ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში

თბილისი
2012



შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდი
Shota Rustaveli National Science Foundation

აღნიშნული პროექტი განხორციელდა შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის ფინანსური მხარდაჭერით. წინამდებარე პუბლიკაციაში გამოთქმული ნებისმიერი მოსაზრება ეკუთვნის ავტორს და შესაძლოა, არ ასახავდეს ფონდის შეხედულებებს.

This project has been made possible by financial support from the Shota Rustaveli National Science Foundation (Grant **# 254_08_2-180**). All ideas expressed herewith are those of the author, and may not represent the opinion of the Foundation itself~.

www.rustaveli.org.ge

უფასო გამოცემა

წარმოდგენილი პროექტის ავტორებისთვის ძნელი დასაჯერებელი იყო, რომ წინამდებარე წიგნის გამოცემა რევაზ გოგშელიძის გარეშე მოხდებოდა, მაგრამ ეს სამწუხარო რეალობაა, რომელსაც თვალი უნდა გავუსწოროთ. ვისაც მასთან შეხება ჰქონია დაგვეთანხმება, რომ ის იყო ამოუწურავი იდეების, წამოწყებების გენერატორი და არაფერს იშურებდა იმისთვის, რასაც პედაგოგიკა და სამეცნიერო საქმიანობა ჰქვია. იგი ამ წიგნზე მუშაობასაც ჩვეული ენთუზიაზმით შეუდგა. დიდი ინტერესით გაეცნო საკვლევი პრობლემის შესახებ სასამართლო პრაქტიკას, სპეციალურ ლიტერატურას, მაგრამ მისი თეორიულ ნაშრომად ქცევა ვეღარ მოასწრო.

ხანმოკლე სიცოცხლის მიუხედავად, მან მაინც შეძლო თავისი მოკრძალებული სიტყვა ეთქვა იურისპრუდენციაში: წიგნად გამოსცა სადისერტაციო ნაშრომი, თანაავტორობით შექმნა სახელმძღვანელოები კრიმინალისტიკასა და სისხლის სამართლის პროცესში, თუმცა განუხორციელებელი დარჩა არაერთი ჩანაფიქრი, იდეა, თუ პროექტი.

ბატონი რეზო გოგშელიძის ნაშრომი მოცემულ წიგნში კიდევ ერთხელ გაახსნებს მკითხველს ამ მართლაც ჭეშმარიტ პედაგოგს, მეცნიერს და პატრიოტ ადამიანს.

პროექტის მონაწილეები:

გურამ ნაჭყებია – იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროექტის სამეცნიერო ხელმძღვანელი

გიორგი გორაშვილი – სამართლის დოქტორი, სამეცნიერო პროექტის მენეჯერი

გოჩა მამულაშვილი – სამართლის დოქტორი, სამეცნიერო პროექტის მონაწილე

ნონა თოდუა – სამართლის დოქტორი, სამეცნიერო პროექტის მონაწილე

რევაზ გოგშელიძე – სამართლის დოქტორი, სამეცნიერო პროექტის მონაწილე †

დავით სულაქველიძე – სამართლის დოქტორი, სამეცნიერო პროექტის მონაწილე

ირაკლი დვალიძე – სამართლის დოქტორი, სამეცნიერო პროექტის მონაწილე

რედაქტორისგან

წინამდებარე ნაშრომი, რომელიც ორგანიზებული დანაშაულის ცნების, კრიმინალიზაციისა და ამ დანაშაულის მიმართ კანონშეფარდებითი პრაქტიკის ანალიზის პრობლემებს ეძღვნება, მიზნად ისახავს, დაეხმაროს ქართულ სახელმწიფოს ამ ტიპის დანაშაულისა და მისი გამოვლენის კონკრეტული ფორმების წინააღმდეგ ბრძოლის კეთილშობილურ საქმეში. მით უფრო, რომ ორგანიზებული დანაშაულობა მსოფლიოს თითქმის ყველა წამყვანი სახელმწიფოს ეროვნულ ტრაგედიას წარმოადგენს, ხოლო მათი მეცნიერული შესწავლა დღემდე პრობლემურია.

საქართველოში ხსენებული პრობლემების კვლევამ აჩვენა, რომ ქართულმა სახელმწიფომ ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლაში მტკიცე პოლიტიკური ნება გამოავლინა (განსაკუთრებით – ქურდული მენტალიტეტის წინააღმდეგ), რის შედეგადაც თითქმის მოისპო კორუფცია, როგორც ორგანიზებული დანაშაულისა და მისი გამოვლენის კონკრეტული ფორმების უპირველესი მკვებავი წყარო, ხოლო ორგანიზებული დანაშაულობა არსებითად შემცირდა და მცირდება. მიუხედავად ამისა, ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლა მაინც აქტუალურია.

ნაშრომში გამოკვეთილია ორგანიზებული დანაშაულის ცნებისა და მისი გამოვლენის კონკრეტული ფორმების თანაფარდობის მეთოდოლოგიური ასპექტები, შესწავლილია ამ მიმართებით საერთაშორისო სისხლის სამართლის გამოცდილება, გამოვლენილია ტრეფიკინგის, ფულის გათეთრების, ქურდული სამყაროსა და ე. წ. კანონიერი ქურდობის თავისებურებანი, დასმული და თავისებურადაა გადაჭრილი იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემა.

ხსენებულ ნაშრომში გამოთქმული მეთოდოლოგიური, თეორიული და პრაქტიკული ხასიათის მოსაზრებანი და რეკომენდაციები, აგრეთვე შენიშვნები (მოქმედი კანონმდებლობისა და ამ საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის გაუმჯობესების მიზნით) ხელს შეუწყობს საქართველოში ჯერ კიდევ შემორჩენილი ორგანიზებული დანაშაულისა და მისი გამოვლენის კონკრეტული ფორმების წინააღმდეგ ეფექტიან ბრძოლას.

ამასთან, მკითხველი ადვილად დარწმუნდება, რომ ნაშრომში დასმული პრობლემების უმრავლესობა შემდგომ გაღრმავებულ კვლევას მოითხოვს.

გურამ ნაჭყებია

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი

შინაარსი

წინასიტყვაობა 15

პირველი კარი

ორგანიზებული დანაშაულისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები

თავი I ორგანიზებული დანაშაულისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების ზოგადთეორიული საფუძვლები 21

§ 1. პასუხისმგებლობა ორგანიზებული დანაშაულისთვის 21

§ 3. დანაშაულში „აუცილებელი თანამონაწილეობის" ცნება და ორგანიზებული დანაშაულის ბუნების პრობლემა 40

§ 4. ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ცნება და ორგანიზებული დანაშაულებრივი ქმედების კრიმინალიზაციის პრობლემა 42

§ 5. ორგანიზებული დანაშაულის კრიმინოლოგიური დახასიათების ცდები საქართველოში 45

§ 6. ორგანიზებული დანაშაულის პრობლემა **საბჭოთა** კავშირის მიწურულს 48

§ 7. ორგანიზებული დანაშაულის პრობლემა პოსტსაბჭოურ სივრცეში 60

§ 8. ორგანიზებული დანაშაულის იურიდიული ანალიზი 70

§ 9. ორგანიზებული დანაშაულის სისხლისსამართლებრივი ასპექტები 78

§ 10. ორგანიზებული დანაშაული და დანაშაულში თანამონაწილეობის პრობლემა 84

§ 11. სისტემური კვლევის მეთოდოლოგია და ორგანიზებული დანაშაულის პრობლემა 93

თავი II გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია (Joint Criminal Enterprise) საერთაშორისო სისხლის სამართალში 103

§ 2. მეთაურთა პასუხისმგებლობა საერთაშორისო სისხლის სამართალში 119
§3.თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობის მიმართება გაერთიანებულ დანაშაულებრივ ორგანიზაციასთან **(Joint Criminal Enterprise)** სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო პრეცედენტების მიხედვით 123
3.1 ანამონაწილეობა ინგლისურ სისხლის სამართალში 165
3.2 ანგლო-ამერიკული კანონის წარმოშობა 176
3.3 თანამონაწილეობა რომანულ-გერმანული სამართალის მიხედვით 178
3.4 შეთქმულება 181
§4. სამი კატეგორიის გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია **(Joint Criminal Enterprise)** ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიხედვით 187
§ 5. წინაწარგანჭვრეტადობის პრობლემა 216
§ 6. გაერთინებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების მიხედვით 219

მეორე კარი

ტრეფიკინგის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და სასამართლო პრაქტიკული ანალიზი

თავი I ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მეთოდოლოგიური საკითხები 241
შესავალი 241
§1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მიზეზები და ხელშემწყობი პირობები 243
§ 2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შედეგები 254

§3. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ჩადენის თავისებურებანი.....255
§4. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფილოსოფიური ასპექტები 261

თავი II ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სისხლისსამართლებრივი დახასიათება და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი 277
§1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სისხლისსამართლებრივი დახასიათება 277
§ 2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სასამართლო პრაქტიკის ანალიზი (ნაწილი პირველი).....300
§ 3. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სასამართლო პრაქტიკის ანალიზი (ნაწილი მეორე).....359
§ 4. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სასამართლო პრაქტიკის ანალიზი (ნაწილი მესამე).....368

თავი IV არასრულწლოვნით - ვაჭრობის (ტრეფიკინგი) სამართლებრივ-სოციოლოგიური ანალიზი 385
§1. არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი).....385
§ 2. ბავშვების ტრეფიკინგი და კომერციული სექსუალური ექსპლუატაცია როგორც თანამედროვეობის გლობალური პრობლემა.....392
2.1 ნაადრევი ქორწინებები 403
2.2 ბავშვთა პორნოგრაფია 405
2.3 ბავშვთა სექსტურიზმი 413
§3. საქართველო ბავშვთა ტრეფიკინგის

გლობალური გამოწვევის წინაშე.....418
§4 ბავშვთა ტრეფიკინგის და კომერციული სექსუალური ექსპლუატაციის პრევენცია (რეკომენდაციები).....435
§ 5. ბავშვთა ტრეფიკინგის კრიმინალიზაცია.....451
§ 6. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობა 471

მესამე კარი
ქართული ანტიქურდული ნორმების და სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა

თავი I ანტიქურდული ნორმების კრიმინალიზაციის საკითხები საქართველოში 481
§1. ქურდული ცხოვრების წესის მსოფლმხედველობრივი საფუძვლები.....481
§2. ე.წ. კანონიერი ქურდობის კრიმინოლოგიური ანალიზი და მოკლე ისტორიული ესკურსი 509
§ 3. კრიმინალური სუბკულტურა და თანამედროვექართული საზოგადოება..... 519
§ 4. საქართველოს ანტიქურდული კანონმდებლობა 527
§ 5. დასჯადობა ქმედებისთვის თუ სოციალური სტატუსისთვის? 541

თავი II ქურდული სამყაროს წევრობისა და კანონიერი ქურდობის დანაშაულთა თაობაზე არსებული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი 547
§ 1. ქურდული სამყაროს წევრობისა და კანონიერი ქურდობის სისხლისსამართლებრივი ასპექტები 547
§ 2. ქურდული სამყაროს წევრობისა და კანონიერი ქურდობის საპროცესო სამართლებრივი ასპექტები 565
§ 3. ქურდული სამყაროს წევრობისა და კანონიერი ქურდობის წინააღმდეგ მიმართული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი *(ნაწილი პირველი)* *573*

§ 4. ქურდული სამყაროს წევრობა, კანონიერი ქურდობის წინააღმდეგ მიმართული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი *(ნაწილი მეორე)*..... 614

§ 5. ქურდული სამყაროს წევრობა, კანონიერი ქურდობა — სისხლის საპროცესო სამართლებრივი ასპექტები..... 662

მეოთხე კარი
ქართული ანტირეკეტული ნორმები

შესავალი..... 683

§ 1. კრიმინალიზაციის საზრისი 686

§ 2. თავისუფალი ინტერპრეტაციის კონცეფცია ლეგალობის პრინციპთან და ქართული სისხლის სამართლის კოდექსის სისტემასთან მიმართებაში 689

2.1 თავისუფალი ინტერპრეტაციის კონცეფციის არსი..... 689

2.2 თავისუფალი ინტერპრეტაციის კონცეფცია ლეგალობის პრინციპთან მიმართებაში 691

2.3 თავისუფალი ინტერპრეტაციის კონცეფცია ქართული სისხლის სამართლის კოდექსის სისტემასთან მიმართებაში 692

§ 3. პასუხისმგებლობის ერთობლიობის კონცეფციის არსი და მისი გამოვლენა ქართულ სისხლის სამართალში 693

3.1 პასუხისმგებლობის ერთობლიობის კონცეფციის არსი.....693

3.2 ანტირეკეტული ნორმები დანაშაულის სიმრავლისა და ჯგუფური დანაშაულობის სამართლებრივ ინსტიტუტებთან მიმართებაში..... 695

§ 4. საკონტროლო დელიქტთა კონცეფცია 697

4.1 საკონტროლო დელიქტთა კონცეფციის არსი..... 697

4.2 ქართული ანტირეკეტული ნორმები საკონტროლო დელიქტთა კონცეფციასთან მიმართებაში 698

4.3 წინადადებები საკონტროლო დელიქტთა კონცეფციასთან მიმართებაში ქართული ანტირეკეტული ნორმების საკანონმდებლო დახვეწისთვის 700
§ 5. ორგანიზაციული შეთანხმების კონცეფცია 703
5.1 ორგანიზაციული შეთანხმების კონცეფციის არსი 703
5.2 ორგანიზებულ დანაშაულობასთან სისხლისსამართლებრივი საშუალებებით ბრძოლის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფისთვის..... 706
5.3 რუსეთის ფედერაციის გამოცდილება დანაშაულებრივი გაერთიანების (ორგანიზაციის) კრიმინალიზაციის საკითხში 708
5.4 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით რეგლამენტირებული ორგანიზებული ჯგუფის სუბიექტური მხარის კრიტიკული ანალიზი..... 711

მეხუთე კარი
უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია

§1. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია როგორც ორგანიზებული დანაშაულის გამოვლენის ფორმა და თანამედროვეობის გლობალური პრობლემა 715
§ 2. ფულის გათეთრების გენეზისი, ხელშემწყობი პირობები და ფაქტორები..... 719
§ 3. ფულის გათეთრებასთან ბრძოლის საერთაშორისო და შიდასამართლებრივი ნორმატიული აქტები, საერთაშორისო მონიტორინგი..... 741
§ 4. ფულის გათეთრების კრიმინალიზაცია (იურიდიული დახასიათება) 755
§ 5. შემოსავლების ლეგალიზაციის ობიექტური შემადგენლობა საერთაშორისო აქტებში და ნაციონალურ კანონმდებლობაში.....772
§ 6. კრიმინალური წარმოშობის ფულის გარეცხვის

მოდელები (უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის ეტაპები — სტადიები); ქმედების ობიექტური მხარის რეალიზაციის სპეციფიკა.....776
§ 7. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სუბიექტური შემადგენლობა 807
§ 8. ფულის გათეთრება და მომიჯნავე დანაშაულები 814
8.1 წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შეძენა ან გასაღება (სსკ-ის 186-ე მუხლი) 814
8.2 უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გზით მოპოვებული ნივთით სარგებლობა, ნივთის შეძენა, ფლობა ან გასაღება (სსკ-ის 194[1]-ე მუხლი) 818
§9. სასამართლო პრაქტიკა ფულის „გარეცხვის“ შესახებ.....820
§ 10. საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა ფულის გათეთრების წინააღმდეგ 872
10.1 ამერიკის შეერთებული შტატები 872
10.2 საფრანგეთი 881
10.3 გერმანია 884
10.4 იტალია..... 890

მეექვსე კარი

ქონების ჩამორთმევა, როგორც ეფექტური მექანიზმი ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში

§ 1. ქართულ კანონმდებლობაში ქონების ჩამორთმევისა და მისი წინამორბედი ინსტიტუტების წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია.....895
§ 2. ქონების ჩამორთმევა, როგორც მატერიალურ სამართლებრივი სანქცია და საპროცესო-სამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიება, თანამედროვე ეტაპზე მოქმედ ქართულ კანონმდებლობაში.....917
2.1 ქონების ჩამორთმევის საკითხები საქართველოს სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობაში (მდგომარეობა 2010 წლის 1 ოქტომბრამდე)..... 919

2.2 ქონების ჩამორთმევა და საპროცესო კონფისკაცია საქართველოს ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში 946
§ 3. ქონების ჩამორთმევის ინსტიტუტი საქართველოს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით 954
§ 4. საერთაშორისო კონვენციები და ევროდირექტივები ქონების ჩამორთმევის (კონფისკაციის) შესახებ..... 963

მეშვიდე კარი

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა როგორც ეფექტური მექანიზმი ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში

§ 1. „სამართლის სუბიექტი" თუ „ სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი" ? 975
§ 2. კატეგორიალური აზროვნება და მისი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა 976
§ 3. იურიდიული პირის პრობლემა სამოქალაქო სამართალში 981
§ 6. ფიქციის ცნება და მისი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა..... 993
§ 7. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი საქართველოში 997
§ 8. იურიდიული პირის პასუხისმგებლობის საფუძველი სამოქალაქო სამართალში 999
§ 9. გ. ბოგუში იურიდიული პირის სისხლის-სამართლებრივი პასუხისმგებლობის წინააღმდეგ 1012
§10. საჯარო სამართლის იურიდიული პირის ცნება და იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთების პრობლემა 1016
§11. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ უახლოესი მოსაზრებანი რუსეთის ფედერაციაში 1018
ინფორმაცია პროექტის მონაწილეთა შესახებ..... 1029

წინასიტყვაობა

საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ, ნაციონალური სახელმწიფოების ხელისუფლების სისუსტის, სოციალური კონტროლის ეფექტურად განხორციელების უუნარობის პირობებში, ორგანიზებულმა დანაშაულობამ ფართო მასშტაბები შეიძინა. მე-20 საუკუნის ბოლოს პოსტსაბჭოური რესპუბლიკების უმრავლესობაში თითქმის ერთიანი სურათი იყო – ორგანიზებულმა დანაშაულობამ ხელთ იგდო არა მხოლოდ დიდი სიმდიდრე და გავლენა ახლად აღმოცენებულ საბაზრო ეკონომიკაზე, არამედ შეაღწია ხელისუფლების ყველა შტოში.

ქართულ საზოგადოებაში დიდი გაქანება ჰპოვა დანაშაულებრივმა სუბკულტურამ, განსაკუთრებით კი, ახალგაზრდებში. ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვეულებრივ მოვლენად იქცა კრიმინალური ჟარგონი, ე.წ. „ქურდული ღირებულებები“. კრიმინალური სუბკულტურა ყველანაირად ცდილობდა თავისი ადგილი დაემკვიდრებინა ქართულ ცნობიერებაში და დოგმის სახე მიეღო. საქართველოში ე.წ. ქურდული სუბკულტურის ფართო გავრცელებაზე მეტყველებს თვითონ ეთნიკურად ქართული წარმოშობის „კანონიერი ქურდების“ პროცენტული სიმრავლე საბჭოთა კავშირის დროს და მისი რღვევის შემდეგაც. ქართული სახელმწიფოებრიობის აღდგენის თავდაპირველ ეტაპზე, საკანონმდებლო ბაზის სისუსტემ და მართლმსაჯულების არაეფექტურობამ, საზოგადოებაში დაუცველობის და უსამართლობის განცდის შეგრძნება დაამკვიდრა. აღნიშნული ფაქტორის გამო, დიდი გასაქანი მიეცა ტრეტეულ სასამართლო პროცესებს, სადაც კვაზისამართლიანობის პრინციპებზე დაყრდნობით ე.წ. ავტორიტეტები „საქმეებს ქურდულად აგვარებდნენ“. ორგანიზებული დანა-

შაულობა რეალურად სახელმწიფოს შიგნით ქმნიდა „სახელმწიფოს“, თავისი ქცევის ნორმებით, „მართლმსაჯულებით“ და იძულების აპარატით.

საქართველოს სახელმწიფო არჩევანის წინაშე დადგა: მას ან უნდა დაეწყო ბრძოლა ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ან კრიმინოკრატიად გადაქცეულიყო. საქართველოს ხელისუფლებამ გამოიჩინა უპრეცენდენტო პრინციპულობა და ეფექტური რეფორმების მეშვეობით დაიწყო ბრძოლა ორგანიზებულ დანაშაულობასთან, რომელიც ქვეყნის სხეულში მყარად იყო გამჯდარი.

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტურობა მძლავრი სამართლებრივი მექანიზმების არსებობას მოითხოვს. საქართველომ უპრეცენდენტოდ ეფექტური რეფორმები გაატარა ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის კუთხით. პოსტსაბჭოურ სივრცეში პირველმა და ერთადერთმა საქართველომ მოახდინა ორგანიზებული დანაშაულის ისეთი ფორმის კრიმინალიზაცია, როგორიც ე.წ. „კანონიერი ქურდობა“ და ქურდული სამყაროს წევრობაა; შეიქმნა ტრეფიკინგის წინააღმდეგ მიმართული ეფექტური სამართლებრივი მექანიზმები და სასამართლო პრაქტიკა; სახელმწიფომ დაიწყო ეფექტური ბრძოლა ორგანიზებული დანაშაულობის ფინანსური საფუძვლების წინააღმდეგ. ამ მხრივ, მნიშვნელოვანია ქონების ჩამორთმევის სამართლებრივი მექანიზმების არსებობა. ორგანიზებული დანაშაულის ფინანსური ინფრასტრუქტურა იკვებება კრმინალურად მოპოვებული თანხების გარეცხვით და მათი შემდგომ ქვეყნის ლეგალურ ფინანსურ სივრცეში დაბანდებით. ფულის გათეთრებით სახელმწიფოს ეკონომიკურ უსაფრთხოებას მნიშვნელოვანი ზიანი ადგება და

აღნიშნული მიმართულებით ქვეყნის საკანონმდებლო ბაზა და სასამართლო პრაქტიკა საკმაოდ განვითარდა.

მიგვაჩნია, რომ სამეცნიერო პოტენციალი ქვეყნის აღმშენებლობის პროცესში ეფექტურად უნდა იქნეს გამოყენებული და სამეცნიერო წრეებმა აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღონ ჩვენი ქვეყნის განვითარებასა და წინსვლაში. ზუსტად ამ მოსაზრებით შევეცადეთ ჩვენი ნააზრევით მოკრძალებული წვლილი შეგვეტანა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

აქტიური საკანონმდებლო მუშაობის შედეგად შემუშავებულმა ორგანიზებული დანაშაულობის ახალმა კრიმინალიზებულმა ფორმებმა, რომელთაც ადრე არც მეცნიერება და არც სასამართლო პრაქტიკა არ იცნობდა, მრავალი კითხვა დაბადა. დადგა ერთბაშად შემუშავებული სამართლებრივი ინსტიტუტების, დეფინიციებისა თუ დანაშაულთა შემადგენლობების ღრმა მეცნიერული ანალიზის აუცილებლობა. ცალკეული სამეცნიერო სტატიების და სისხლის სამართლის სახელმძღვანელოების ფარგლებში განხორციელებული ვიწრო კვლევების გარდა, ქართულ სამართლებრივ სივრცეში აღნიშნული საკითხები ფუნდამენტურ დონეზე არ დამუშავებულ. შესაბამისად, აღნიშნულ სფეროში, რომელიც ავტორთა აზრით უმნიშვნელოვანესია საქართველოს სისხლის სამართლის პოლიტიკიდან გამომდინარე, მნიშვნელოვანი ინფორმაციული ვაკუუმია.

მოცემული ნაშრომი ორგანიზებული დანაშაულის სოციალური, სამართლებრივი, სოციალ-ფსიქოლოგიური ანალიზის, აგრეთვე აღნიშნული მოვლენის წინააღმდეგ მიმართული

ნორმების, მექანიზმების, სასამართლო პრაქტიკის, საერთაშორისო გამოცდილების პირველი კომპლექსური კვლევის ნიმუშს წარმოადგენს.


ნაშრომი საინტერესო უნდა იყოს არაიურისტი, რიგითი მკითხველისთვისაც, რადგან მასში გაანალიზებულია ის სოციალური და სოციალურ-ფსიქოლოგიური ფაქტორები, რომლებიც თანამედროვე ორგანიზებული დანაშაულისთვის და დანაშაულებრივი სუბკულტურისთვისაა დამახასიათებელი. ნაშრომი საზოგადოების ფართო წრისთვის გასაგები ენითაა დაწერილი. მასში გააზრებული მსოფლმხედველობრივი პრობლემები, განსაკუთრებით კრიმინალური სუბკულტურის კუთხით, ხელს შეუწყობს საზოგადოებრივი მართლშეგნების ამაღლებას.

გიორგი გორაშვილი

სამეცნიერო პროექტის მენეჯერი,
სამართლის დოქტორი

პირველი კარი

ორგანიზებული დანაშაულისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლები



http://www.soxfirst.com/50226711/organized_crime_becomes_the_new_superpower.php

გურამ ნაჭყებია
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი

თავი I

ორგანიზებული დანაშაულისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების ზოგადთეორიული საფუძვლები

§ 1. პასუხისმგებლობა ორგანიზებული დანაშაულისთვის (პრობლემის დასმა)

შენიშვნა: ორგანიზებული დანაშაულის ცნება და პრობლემა, მისი მრავალმხრიობისა და სირთულის გამო, არსებით შესწავლას მოითხოვს. იმის მიუხედავად, რომ მას მსოფლიოს ზოგიერთი წამყვანი სახელმწიფოს ზოგადი ნაწილის კანონი და დოგმატიკა იცნობს, იგი კვლავ იქცევს მკვლევართა ყურადღებას. მით უფრო არ ყოფილა იგი ყოველმხრივი შესწავლის საგანი საქართველოში.

ორგანიზებული დანაშაული იურიდიულადაც და ლოგიკურადაც უკავშირდება დანაშაულში თანამონაწილეობის პრობლემას, მაგრამ იგი ამ უკანასკნელს არ ემთხვევა. ეს შეიძლება, ასე ვთქვათ, ნეგატიური წესითაც დავადასტუროთ. კერძოდ, საქართველოში დანაშაულში თანამონაწილეობის პრობლემას არაერთი საინტერესო ნაშრომი მიეძღვნა,[1] მაგრამ, სამწუხაროდ, ორგანიზებული დანაშაულის პრობლემა ამ ნაშრომებში სათანადოდ არც დასმულა. მართალია, ორგა-

[1] თ. წერეთელი, თანამონაწილეობა დანაშაულში, თბ., 1965; ო. გამყრელიძე, შუალობითი ამსრულებლობა და თანაამსრულებლობა, თბ., 1974; მისივე: სისხლისსამართლებრივი უმართლობის პრობლემა და თანამონაწილეთა დასჯადობის საფუძველი, თბ., 1989.

ნიზებული დანაშაულის ცნება და პრობლემა უკვე განხილულია საქართველოს სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელოში,[2] მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია. ამ პრობლემის კომპლექსურ კვლევას კი უაღრესად დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორც პრაქტიკული, ისე თეორიული თვალსაზრისით.

აღსანიშნავია, რომ ორგანიზებული დანაშაული ერთი ან რამდენიმე ქვეყნის პრობლემა კი არაა მხოლოდ, არამედ, მას ტრანსნაციონალური ხასიათი აქვს. ეს ჩანს იმ ოფიციალური დოკუმენტიდანაც, როგორიცაა: გაერთიანებული ერების ორგანიზაციის 2000 წლის 12 დეკემბრის კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ და მისი დამატებითი ოქმებიდან ადამიანთა ტრეფიკინგისა და მიგრანტთა უკანონო გადაყვანის შესახებ. ამ დოკუმენტში განმარტებულია მთელი რიგი ტერმინებისა, რომლებიც ხელს უწყობენ ორგანიზებული დანაშაულის ცნებისა და მისი კრიმინალიზაციის კრიტერიუმების პრობლემათა მართებულ გაგებას. ამ მხრივ, ზოგი რამ გაზიარებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსშიც, ხოლო, ამ კონვენციაში ორგანიზებული დანაშაულის ცნების არსებით ნიშნებს უფრო ვრცლად ამ ნაშრომის თეორიულ ნაწილში შევეხებით. ისიც უნდა შევნიშნოთ, რომ ხსენებულ კონვენციაში ვრცლადაა გადმოცემული ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის როგორც სისხლისსამართლებრივი, ისე საპროცესო ზომები, მაგრამ ჩვენ ორგანიზებული დანაშაულის ძირითადი ნიშნების დადგენით შემოვიფარგლებით.

1. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის მესამე ნაწილში მოცემულია ორგანიზებული ჯგუფის ცნება მისი რამდენიმე ნიშნის მიხედვით: ა) ჯგუფი

[2] სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, რედ.: გ. ნაჭყებია, ი. დვალიძე. თბ., 2007.

დროის განსაზღვრულ პერიოდშია შექმნილი; ბ) იგი მოქმედებს წინასწარშეთანხმებულად, თუმცა ამ შეთანხმების ხარისხზე მინიშნებული არაა და ამიტომ არის საშიშროება იმისა, რომ ორგანიზებული ჯგუფის ცნება ჩვეულებრივ პირთა ჯგუფის ცნებაში აგვერიოს). გ) ჯგუფი სტრუქტურული ფორმის მქონეა, რაც თავის მხრივ, ჰგავს დანაშაულებრივ ორგანიზაციას ან გაერთიანებას. ამ უკანასკნელს იცნობს რუსული კანონმდებლობა, მაგრამ ასე გამოკვეთილად არ იცნობს ქართული კანონმდებლობა (საკითხავია: ხომ არ გვხვდება საქართველოს საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში ამგვარი დანაშაულის (დანაშაულებრივი ორგანიზაციის ან გაერთიანების) ნიშნები? დ) ამ ჯგუფის მიზანი შეიძლება იყოს არა მარტო ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩადენა, არამედ პირდაპირ ან არაპირდაპირ ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის უკანონოდ მიღება (ესე იგი დასადგენია ორგანიზებული ჯგუფის მოქმედების სფერო და ობიექტი (მაგალითად, სსკ-ის 212-ე მუხლის მესამე ნაწილი – ყალბი ფულის ან ფასიანი ქაღალდის დამზადება ან გასაღება, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ).

2. ამავე მუხლის შენიშვნაში, გაეროს ზემოთდასახელებული კონვენციის მე-2 მუხლში მოცემული განმარტების შესაბამისად, ნათქვამია, რომ სტრუქტურული ფორმის მქონეა ჯგუფი, რომელიც ჯერ ერთი, არ არის შექმნილი შემთხვევით ან ნაუცბათევად, რაიმე სიტუაციური ვითარების კარნახით, დანაშაულის ჩასადენად (ესე იგი იგულისხმება უფრო მყარი დანაშაულებრივი კავშირი); აქვე ნათქვამია, რომ არ არის აუცილებელი, ფორმალურად იყოს განაწილებული როლები, მაგრამ მაშინ რითი უნდა განვასხვავოთ ორგანიზებული ჯგუფი ე.წ. აუცილებელი თანამონაწილეობისგან, როდესაც თვით დანაშაულის სპეციფიკა მოითხოვს იმას, რომ ის ორი ან მეტი პირის მიერ ერთობლივად იყოს ჩადენილი? (მაგალითად, მასობრივი არეულობა — სსკ-ის 225-ე მუხლი), მაგრამ ამ მი-

მართებით პასუხისმგებლობის საკითხი დანაშაულში თანამონაწილეობის წესით არ წყდება. მეორე მხრივ, ორგანიზებული ჯგუფის ცნებაში როლების განაწილების უგულებელყოფა ეწინააღმდეგება ამავე მუხლის მეოთხე ნაწილს, რომელშიც პირდაპირ არის მითითება ამ ჯგუფის შემქმნელის ან ხელმძღვანელის პასუხისმგებლობაზე, თუმცა ეს საკითხი ასე ცალსახა არაა.

3. ორგანიზებული ჯგუფის ცნება მუშავდება დანაშაულში თანამონაწილეობის დოქტრინის საფუძველზე, ხოლო, ეს დოქტრინა, თავის მხრივ, სხვადასხვა სამართლებრივ სისტემებში განსხვავებულია. ამდენად, აუცილებელი ხდება ანალოგიისა და შედარების მეთოდოლოგიის გამოყენება. მით უფრო, რომ ორგანიზებული ჯგუფის ცნება გულისხმობს დანაშაულის ჩადენას ადამიანთა გაერთიანებების მიერ, მაგალითად, დანაშაულის ჩადენა კორპორაციის (იურიდიული პირის) ფორმაში, აგრეთვე დანაშაულებრივი ორგანიზაციების მხრივ. ასეთ ვითარებაში სრულიად აუცილებელი ხდება იმის აღნიშვნა, რომ იყო დრო, როდესაც დანაშაულში თანამონაწილეობა განიხილებოდა სოლიდარული პასუხისმგებლობის პრინციპების თანახმად.[33] კალიფორნიის შტატის (აშშ) სისხლის სამართლის კოდექსის მაგალითზე კი, შეიძლება დავადასტუროთ ე.წ. ეკვივალენტური პასუხისმგებლობის თეორია, რომლის თანახმად, მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენისას ყველა თანამონაწილე, მათ შორის, დამხმარეც, ამსრულებელია და პასუხისმგებელია დანაშაულის ამსრულებლობისთვის.[4]

4. ორგანიზებული ჯგუფის ცნება გულისხმობს ორგანიზატორის ან ხელმძღვანელის ცნებას. ამდენად, ეკვივალენტური პასუხისმგებლობის თეორია ორგანიზებული ჯგუფის ცნებას ვერ ჩამოაყალიბებს. მაგრამ რა ხდება,

[3] Н. С. Таганцев, Русское уголовное право, Общая часть, т. 1. Тула, 2001, стр. 577

[4] Дж. Флетчер, А. В. Наумов, Основные концепции современного уголовного права, М., 1998, стр. 452.

შედარებისთვის, მაგალითად, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში? აქ წინააღმდეგობა ხომ არ იქმნება იმის გამო, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი ორგანიზატორის ცნებას საერთოდ არ იცნობს? ისიც აღსანიშნავია, რომ გერმანული სისხლის სამართლის კოდექსი და თეორია (დოგმატიკა) თანამონაწილეობის ფორმებში ორგანიზებული ჯგუფის ცნებას არ გამოყოფს. მაგრამ სისხლის სამართლის კერძო ნაწილში ლაპარაკია ტერორისტული თუ შეიარაღებული გაერთიანებების შექმნაზე (მაგალითად, § 127-ე და § 129-ე).

საკითხავია: რატომ არაა აქ ორგანიზატორი? თუ არ არის, მაშინ აღნიშნული გაერთიანება დანაშაულში თანამონაწილეობის ნაირსახეობას არ წარმოადგენს; ანდა სისხლის სამართლის ზოგად და კერძო ნაწილებს შორის ამ მიმართებით გარკვეული წინააღმდეგობაა.

5. გერმანულ დოქტრინაში თითქმის გაბატონებული ე.წ. ლიმიტირებული აქცესორობა, რაც იმას ნიშნავს, რომ მთავარი ქმედება უნდა იყოს მართლსაწინააღმდეგო, ხოლო ეს არაა სავალდებულო თანამონაწილის ბრალის მიმართ.[55] ამით იმის თქმა უნდათ, რომ აქცესორობა ბრალის მიმართ არ ვრცელდება. მაშასადამე, დანაშაულში თანამონაწილეობა თანაბრალეულობის ცნებას არ ცნობს, მაგრამ ამ დებულებას საკმაოდ სერიოზული გამოცდა ელის. კერძოდ, დანაშაულში თანამონაწილეობა ნიშნავს ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივ მონაწილეობას განზრახი დანაშაულის ჩადენაში (სსკ-ის 23-ე მუხლი). თუ განზრახვა ბრალის ფორმაა, მაშინ ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ დანაშაულში თანამონაწილეობისას, მათ შორის ორგანიზებულში, ადგილი აქვს განზრახ ერთობლივ მოქმედებას, და, მაშასადამე, თანაბრალეულობას? ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ მოცემულ შემთხვევაში პასუხისმგებლობა წყდება თითოეული თანამონაწილის ბრალის

[5] Baumann (Weber) Mitsch, Strafrect, Allgemeiner Teil, 1995, s. 519.

ხარისხის შესაბამისად? საკითხავია: თანაბრალეულობის უარყოფა იმიტომ ხომ არ ხდება, რომ ბრალი და ნეგატიური პასუხისმგებლობა ერთმანეთშია აღრეული?

6. რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის თეორიაში მიღებულია დებულება, რომ სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი დანაშაულის შემადგენლობაა.[66] თუმცა, დანაშაულის ცნების რუსულ მოდელში დანაშაულის შემადგენლობა, მისი ოთხი ტრადიციული ელემენტით (ობიექტით, ობიექტური მხრივ, სუბიექტითა და სუბიექტური მხრივ) მთელი დანაშაულია. ამდენად, ამ მოდელში სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული. იგივე დებულებაა გაცხადებული სსკ-ის მე-7 მუხლის პირველ ნაწილში, რომლის თანახმად, სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული.

დებულება, რომ სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია დანაშაული, სწორი არ არის. ჯერ ერთი, დანაშაული, იურიდიული თვალსაზრისით, მხოლოდ მაშინ ითვლება ჩადენილად, თუ იგი დადასტურებულია კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით. ამ მომენტამდე პირი, თავისი ობიექტური პროცესუალური მდგომარეობის თანახმად, არაბრალეულია. მაშასადამე, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული და მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში სუბიექტის ბრალის დადგენის გარეშე ნეგატიური სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობა შეუძლებელია. ამდენად, სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია არა დანაშაული, როგორც ასეთი, არამედ ბრალი. მითუმეტეს, რომ ბრალი არის პასუხისმგებლობის პოზიტიური და ნეგატიური ასპექტების კავშირის ფორმა. კერძოდ, პასუხისმგებლობის პოზიტიური ასპექტი („პოზიტიური პასუხისმგებლობა") ბრალის, რო-

[6] Курс Российского уголовного права, Общая часть, М. 2001, стр. 161.

გორც „უპასუხისმგებლობის" სინონიმის, საფუძველია, ხოლო ბრალი, თავის მხრივ, ნეგატიური პასუხისმგებლობის საფუძველია.[7]

დებულება, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველია ბრალი, ვრცელდება დანაშაულში თანამონწილეობაზეც, მათ შორის ორგანიზებული დანაშაულის მიმართაც. ამდენად, ლიმიტირებული აქცესორობა, რომელიც თანამონაწილეთა ბრალის მიმართ არ ვრცელდება, ღიად ტოვებს დანაშაულში თანამონაწილეობის, მათ შორის, ორგანიზებული დანაშაულის, პრობლემატიკაში პასუხისმგებლობის საფუძვლის პრობლემას.

7. გერმანელი კოლეგები ფიქრობენ, რომ თანამონაწილეობა გულისხმობს განზრახ ქმედებას, მაგრამ არა აუცილებლად ბრალეულს. აქ განზრახვა გაგებულია წმინდა ფსიქოლოგიურად და არა როგორც ბრალის ფორმა. ამაზე მეტყველებს ისიც, რომ ქმედების შემადგენლობის სტრუქტურაში შეტანილია განზრახვა, მაგრამ მართლწინააღმდეგობის შეგნების გარეშე, რადგან, ამ სტრუქტურაში ქმედების მართლწინააღმდეგობის ადგილი დადგენილია განზრახვის შემდეგ.[8] მაგრამ ამ მიმართებით „განზრახვა" გამოყენებულია ისეთ ასპექტშიც, როცა იგი ბრალის ფორმის როლში გამოდის (მაგალითად, როცა წაქეზებულმა დანამდვილებით იცის მისი წამქეზებლის მოქმედების მართლწინააღმდეგობის გარემოებანი.[9] საკითხავია: თუ განზრახვა ბრალის ფორმა არაა, მაშინ საიდან მიიღება ბრალი? უფორმო შინაარსი ან უშინაარსო ფორმა შეუძლებელია.
8. ცნობილია, რომ „ფინალიზმში„ განზრახვა და გაუფრთხილებლობა ბრალის ფორმებს კი არ წარმოადგენენ,

[7] იხ. გ. ნაჭყებია, ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია, თბ., 2001.

[8] А. Е.Жалинский, Современное немецкое уголовное право, М., 2004, стр. 281.

[9] იქვე, გვ. 218.

არამედ ქმედების ფსიქიკურ ელემენტებს. ამ პოზიციიდან კი, როგორც თავის დროზე სწორად შენიშნა რ. ბუშმა,[10] შეუძლებელია, ჯერ ერთი, დანაშაულის მომზადება და მცდელობა, და, მეორეც, დანაშაულში თანამონაწილეობა. მართლაც, თუ განზრახვა და გაუფრთხილებლობა ბრალის ფორმებს კი არა, ქმედების ფსიქიკურ ელემენტებს წარმოადგენენ, მაშინ საქმე ეხება არაიურიდიულ, ფაქტობრივ, ფსიქოლოგიურ ვითარებას. ამ პოზიციიდან კი დანაშაულის მომზადება და მცდელობა, როგორც იურიდიული პრობლემა, შეუძლებელია. მით უფრო შეუძლებელია ამ პოზიციიდან დანაშაულში თანამონაწილეობის, როგორც იურიდიული პრობლემის, მეცნიერული ანალიზი. კერძოდ, ცნობილია, რომ თანამონაწილეობა დანაშაულში, თავისი ბუნებით, აქცესორულია, ესე იგი, დანაშაულში თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა დამოკიდებულია ამსრულებლის პასუხისმგებლობაზე. განზრახვის, როგორც ბრალის ფორმის, უარყოფით უარყოფილია დანაშაულში თანამონაწილეობის იურიდიული ხასიათი და აღიარებულია დანაშაულში ფაქტობრივი მონაწილეობა. ამ პოზიციიდან კი, მაგალითად, შუალობითი ამსრულებლობა შეუძლებელია, რადგან ის, ვინც გამოყენებულია დანაშაულის ჩადენის იარაღად, ესე იგი, შეურაცხადი, ფაქტობრივი თანამონაწილეობის ლოგიკით, დანაშაულის ამსრულებელი აღმოჩნდება, რაც, რა თქმა უნდა, შეუძლებელია. იურიდიული აზროვნების წესის მიხედვით კი, შუალობითი ამსრულებელია შერაცხადი პირი, რომელმაც დანაშაულის ჩადენის იარაღად გამოიყენა შეურაცხადი პირი, ან ის პირი, რომელიც განზრახ შეიყვანა შეცდომაში და მას გაუფრთხილებლობით ჩაადენინა დანაშაული. მაშასადამე, ფაქტობრივი წამქეზებელი, ესე იგი, ის, ვინც დანაშაულის ჩასადენად გამოიყენა შეურაცხადი, იურიდულად ამსრულებელია, ხოლო ფაქტობრივად ამსრულებელი იურიდიულად დანაშაულის ჩადენის იარაღია.

[10] R. Busch, Moderne Wandlungen der Verbrechenslehre, Tubingen, 1949.

ამრიგად, მართალია, ორგანიზებული დანაშაულის პრობლემა, როგორც შემდგომაც დავინახავთ, დანაშაულში თანამონაწილეობის პრობლემას არ ემთხვევა, მაგრამ მისგან მოწყვეტილიც არაა.

9. საინტერესოა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ აგენტ-პროვოკატორის ოპერატიულ-სამძებრო ასპექტით გამოყენების პრობლემა და დანაშაულის პროვოკაცია. სსკ-ის 145-ე მუხლი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას დანაშაულის პროვოკაციისთვის. ამ შემთხვევაში ფაქტიურად წამქეზებელი, ანუ, პროვოკატორი იურიდიულად ამსრულებელია პროვოკაციისა, რათა პირს დანაშაული მისი მხილების მიზნით ჩაადენინოს. ცხადია, პროვოკატორი მის მიერ ფაქტობრივად წაქეზებული დანაშაულის თანამონაწილე ვერ იქნება. სულ სხვაა ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ აგენტ-პროვოკატორის გამოყენების (ორგანიზებული ჯგუფის წევრთა მხილების მიზნით) პრობლემა, რომელიც საკმაოდ რთული და რისკიანია. გამოსარკვევია, იყენებენ თუ არა მას საქართველოს საგამოძიებო პრაქტიკაში?
10. ორგანიზებული დანაშაულის პრობლემა უკავშირდება იურიდიული პირის სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემას. ამის შესახებ მითითებულია კიდეც ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს ზემოთხსენებული კონვენციის მე-10 მუხლში. ჯერ ერთი, გამორიცხული არაა ორგანიზებული ჯგუფის შექმნა იურიდიული პირის ფორმაში; მეორეც, არაა გამორიცხული დანაშაულში იურიდიული პირების მონაწილეობაც ორგანიზებული დანაშაულის ფორმით. ამდენად, ეს პრობლემაც გამოსარკვევია საქართველოს საგამოძიებო-სასამართლო პრაქტიკის მიხედვით.
11. ორგანიზებული დანაშაულის ცნება და პრობლემა პირდაპირ კავშირშია დანაშაულის მატერიალური განსაზღვრების პრობლემასთან. იგულისხმება ქმედების საზოგადოებრივი (სოციალური) საშიშროების ცნება. მაგალითად,

დიდ ბრიტანეთში დანაშაულში თანამონაწილეთა დაყოფას ამსრულებლისა და დამხმარის სახით ადგილი აქვს ფელონიის მიმართ, ხოლო, ღალატის ქმედება იმდენად საშიშია, რომ ამ ქმედებაში ყველა თანამონაწილე განიხილება, როგორც ამსრულებელი.[11]

12. ორგანიზატორის ცნება, არც დიდი ბრიტანეთის კანონმა და დოგმატიკამ, როგორც ჩანს, არ იცის და, მაშასადამე, აქ ორგანიზებული დანაშაულის ცნებაც რთულია. რაც შეეხება იმას, რომ ღალატის მაღალი საშიშროება ფაქტობრივად დამხმარესაც კი იურიდიულად ამსრულებელს უთანაბრებს, — უყურადღებოდ ვერ დავტოვებთ. სამწუხაროდ, ამ მხრივ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით პოზიცია საკმაოდ ბუნდოვანია. ჯერ ერთი, სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველ ნაწილში დანაშაულის ცნება განმარტებულია წმინდა ფორმალურად, როგორც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. მართალია, ამავე მუხლის მეორე ნაწილში მეორე მნიშვნელობის ქმედება დანაშაულად არ ითვლება, ესე იგი, თითქოს აღიარებულია დანაშაულის სოციალური საშიშროება, მაგრამ დანაშაულებრივი ქმედება მაინც დახასიათებულია, როგორც მართლსაწინააღმდეგო. მაგალითად, ბრალის ფორმების საკანონმდებლო განსაზღვრებებში (იხ. სსკ-ის მე-9 და მე-10 მუხლები) და საზოგადოებრივი თუ სოციალური საშიშროების ცნება ნახსენებიც არაა. მეორე მხრივ, დანაშაულის კატეგორიზაცია (სსკ-ის მე-12 მუხლი) ხდება ქმედების სიმძიმის მიხედვით, რადგან მართლსაწინააღმდეგობას, როგორც ქმედების უარყოფით სამართლებრივ შეფასებას, ხარისხები არ აქვს. ქმედების სიმძიმე კი, მისი სოციალური საშიშროებისგან მოწყვეტით, არ არსებობს. ამაზე მეტყველებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში ორგანიზებული დანაშაულის ცნების გამოყენ-

[11] Уголовное право зарубежных государств, Обшая часть, М., 2001, стр. 73.

ების საზრისიც. მაგალითად, სსკ-ის 323-ე მუხლის მეორე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ტერორისტული აქტი შეიძლება ჩადენილ იქნეს ჯგუფურად. ვინაიდან, ჯგუფური დანაშაული გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლში, რომლის მესამე ნაწილში აღწერილია ორგანიზებული დანაშაულის ნიშნები, ამდენად იგულისხმება, რომ ტერორისტული აქტი შეიძლება ჩადენილ იქნეს ორგანიზებული ჯგუფის მიერაც. მაგრამ ეს ლოგიკური თანამიმდევრობა ყოველთვის დაცული არაა. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 177-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ქურდობა შეიძლება ჩადენილ იქნეს წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ხოლო ამავე მუხლის მეოთხე ნაწილის „ა“ ქვეპუნქტის მიხედვით კი, ქურდობა შეიძლება ჩადენილ იქნეს ორგანიზებული ჯგუფის მიერაც. ამ შემთხვევაში „ორგანიზებული ჯგუფი“ პასუხისმგებლობას უფრო ამძიმებს და ამიტომ ქურდობა ამ ვითარებაში, უფრო საშიშია, ვიდრე ქურდობა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ. მაშასადამე, დანაშაულის ცნების ფორმალური განსაზღვრება (სსკ-ის მე-7 მუხლის პირველი ნაწილი) ორგანიზებული დანაშაულის ცნებას, ისევე, როგორც მთელი რიგი სხვა დანაშაულის, მაგალითად, ყაჩაღობის ცნებას (სსკ-ის 179-ე მუხლი) არ შეესაბამება.

13. ორგანიზებული დანაშაულის პრობლემა კიდევ უფრო გაღრმავდება მისი ცალკეული გამოვლინებების სპეციფიკის (მაგალითად, ტრეფიკინგის, ფულის გათეთრების, ე.წ. ქურდული სამყაროს) კვლევის შედეგად. მით უფრო, რომ ორგანიზებული დანაშაულის პრობლემა გამოკვლეული იქნება სისხლის სამართლის პროცესის პოზიციებიდანაც, რაც ამ პრობლემას უფრო კომპლექსურად წარმოაჩენს.
14. ორგანიზებული დანაშაულის პრობლემატიკაში ერთერთი აქილევსის ქუსლია ამ დანაშაულებრივ ფორმაში

ქმედების შემადგენლობის განხორციელების თავისებურების დადგენა. ამ საკითხზე მსჯელობა საკმაოდ რთულია. ჯერ ერთი, თუ წინასწარ არაა შემუშავებული ორგანიზებული დანაშაულის ნიშნები, ამ დანაშაულების ჩადენის მექანიზმს სწორად ვერ წარმოვაჩენთ. მეორე მხრივ, დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის მექანიზმის გაგების გარეშე ორგანიზებული დანაშაულის ბუნების წარმოჩენა შეუძლებელია. აქ, როგორც ჩანს, ლოგიკურ წრეში ვექცევით, რაც საზოგადოდ დამახასიათებელია კვლევის საგნისა და მეთოდის თანაფარდობისთვის. ამ მხრივ ყურადღების ღირსია ჯგუფური ქცევის სოციალურ-ფსიქოლოგიური კანონზომიერება. ფსიქოლოგიურად ამ მხრივ საყურადღებოა პროფ. ბ. ხარაზაშვილის (ხორნაბუჯელის) დებულება, რომ დანაშაულის ფსიქოლოგიურად ქცევა კი არაა, არამედ ფსიქოლოგიური ქცევის, ანუ, მოტივისა და მიზნის განხორციელების ხერხია.[12][12] ამ პოზიციიდან გამოსაკვლევია ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრთა მოტივაციის და მიზნის პრობლემები. ეს პრობლემატიკა, თავის მხრივ, გადაჯაჭვულია ქმედების შემადგენლობის პრობლემატიკასთან. კერძოდ, დანაშაულის, როგორც ასეთის, ჩადენა კი არ ხდება, არამედ ხორციელდება ქმედების კონკრეტული შემადგენლობა, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა დანაშაულის ჩადენის ხერხი. მაგალითად, ქურდობა არის სხვისი მოძრავი ნივთის ფარული დაუფლება მისი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით, ანუ, ქურდობა სხვისი მოძრავი ნივთის დაუფლების ფარული ხერხია.

როგორც ჩანს, ქმედების შემადგენლობის პრობლემა, მით უფრო რთულია. მაგრამ, ამ მხრივ, საქმეს გვიადვილებს უმართლობის ცნება, რადგან, სისხლისამართლებრივი უსამართლობა, იმის მიუხედავად, თუ როგორია ორგანიზებულ დანაშაულში მონაწილეთა ქცევის მოტივები, ამ პირთა სისხლისამართლებრივი პასუხისმგებლობის

[12] Б. В. Хорнабуджели, Психологическая сторона вины, Тб., 1981, стр. 6.

ობიექტური და ერთიანი საფუძველია.

15. ორგანიზებული დანაშაულის კვლევის შედეგები საშუალებას მოგვცემს, შევიმუშაოთ ამ მიმართებით საკანონმდებლო წინადადებანი, რომელნიც შეეხება როგორც სისხლის სამართლის ზოგად, ისე კერძო ნაწილს; არაა გამორიცხული საკანონმდებლო წინადადებანი როგორც სისხლის სამართლის პროცესის, ისე სასჯელაღსრულებითი სამართლის ასპექტით. გარდა ამისა, ამ მიმართებით შევიმუშაოთ ორგანიზებული დანაშაულებრივი ქმედების კვალიფიკაციის წესები, რომლებიც ხელს უწყობდნენ ამ მხრივ საქმეზე როგორც ჭეშმარიტების დადგენას, ისე ქმედების დანაშაულად სწორი კვალიფიკაციის მიღწევას. ბოლოს, ორგანიზებული დანაშაულის ღრმა მეცნიერული კვლევა საშუალებას მოგვცემს, რიგი თეორიული საკითხი და ტრადიცია გადაისინჯოს და ახლებურად დადგეს სისხლის სამართლის მეცნიერების რიგი ფუნდამენტური საკითხი.

16. ორგანიზებული დანაშაულის ცნება განსაკუთრებულად რთულია და ამიტომაც, იგი დღემდე სრულყოფილად არაა მოპოვებული. კერძოდ, ორგანიზებული დანაშაულებრივი ქმედება საინტერესოა, უპირველეს ყოვლისა, ფსიქოლოგიურად, ჯგუფური ქცევის ფსიქოლოგიური კანონზომიერების მიხედვით. განსხვავებულია ამ მხრივ სოციალური ფსიქოლოგიის მიზნები და ამოცანები, რამდენადაც ამ მიმართებით საქმე შეეხება ფსიქიკის სოციალურში გარდაქმნის პრობლემას. ჯგუფი, როგორც ცნობილია, გარკვეული სოციალური უჯრედია, მაგრამ აქ თავისებურია ამ ჯგუფის ფსიქიკური კავშირ-ურთიერთობანი, ჯგუფის წევრთა ერთმანეთზე გავლენის თავისებურებანი, ე. წ. განწყობის ფსიქიკური და სოციალური ერთიანობა, რომელიც ორგანიზებული დანაშაულის გამოვლენის სპეციფიკური სფეროა.

ორგანიზებული დანაშაულებრივი ქმედება შეიძლება

შესწავლილ იქნეს წმინდა სოციოლოგიურადაც, როგორც გარკვეული სოციალური უჯრედი, რომელიც საზოგადოების სხვა სოციალურ სტრუქტურის ფონზე და მიმართებაში იაზრება. ეს ბუნებრივია, რადგან ამ ასპექტით იგულისხმება ორგანიზებული დანაშაულებრივი ქმედების სოციალური მიზეზები და შედეგები. მით უმეტეს, რომ ერთი რომელიმე დანაშაულებრივი ჯგუფი სხვა ანალოგიური დაჯგუფებისაგან მოწყვეტით შეუძლებელია. ამ თვალსაზრისით ლაპარაკია დანაშაულებრივ დაჯგუფებაზე თუ გაერთიანებაზე, რომელთა ზომა და საქმიანობის მასშტაბი თვით საზოგადოების და მასზე აგებული სახელმწიფოს ზომასა და მასშტაბზეა დამოკიდებული.

ორგანიზებული დანაშაულებრივი ქმედება შეიძლება შესწავლილ იქნეს კრიმინოლოგიურადაც, რამდენადაც აქ იგულისხმება სისხლის სამართლის და სოციოლოგიის გადაკვეთაზე არსებული სპეციფიკური პრობლემები. არ არის შემთხვევითი, რომ ორგანიზებული დანაშაულის არაერთი კრიმინოლოგიური გამოკვლევა არსებობს.[13]

გასაგებია, რომ ამგვარი მრავალწახნაგოვანი მოვლენის ერთ ზოგად ცნებაში ჩამოყალიბება ძალიან რთულია და მას გარკვეული სამუშაო ჰიპოთეზის დანიშნულება შეიძლება ჰქონდეს. საქმე ისაა, რომ ორგანიზებული დანაშაულის ცნება სრულყოფილადაც რომ იყოს მოპოვებული, მას მაინც არ შეუძლია საბოლოოდ გადაწყვიტოს კანონმდებლის ამოცანა. კერძოდ, ორგანიზებული დანაშაულის კონკრეტულ შემადგენლობათა შექმნისათვის ორგანიზებული დანაშაულის ცნება, საკმარისი არაა. მაგალითად, არსებობს მკვლელობის ცნება, როგორც სხვა ადამიანის სიცოცხლის მართლსაწინააღმდეგო და განზრახი მოსპობა. მკვლელობის აღნიშნული

[13]იხ. ზ. წულაია, კრიმინოლოგია, ზოგადი და კერძო ნაწილი, თბ., 2005; კრინიმოლოიგია, თ. წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, თბ., 2005; მ. შალიკაშვილი, კრინიმოლოგია, თბ., 2010.

ცნება მნიშვნელოვანია იმისთვის, რომ კანონმდებელმა მკვლელობის შემადგენლობების შექმნაზე იფიქროს. მაგრამ, ერთია მკვლელობის ცნება და სხვაა მკვლელობის კონკრეტული შემადგენლობანი, რომელთა რაოდენობა სისხლის სამართლის კერძო ნაწილში საკმაოდ ბევრია. კერძოდ, არსებობს მკვლელობის მარტივი შემადგენლობა (სსკ-ის 108-ე მუხლი), რომელსაც თან არ ახლავს მკვლელობისათვის პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელი და დამამძიმებელი გარემოებანი. მკვლელობის ამ შემადგენლობის განხორციელებაც კი არაა ერთნაირი. ერთ შემთხვევაში ის ხორციელდება ეჭვიანობის ნიადაგზე, მეორეში — შურისძიებისა, მესამეში — სისხლის აღებისა, მეოთხეში — ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე.

სულ სხვაა ამ მხრივ მკვლელობის დამამძიმებელი გარემოებები (სსკ-ის 109-ე მუხლი), რომლებიც ამ სახის მკვლელობის ცალკეულ შემადგენლობებს წარმოადგენენ. და ბოლოს, დავას არ იწვევს პასუხისმგებლობის შემამსუბუქებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის ცალკეული შემადგენლობანი.

მკვლელობის, როგორც დანაშაულის, და მკვლელობის ცალკეული შემადგენლობების ეს მოკლე შედარებითი ანალიზი იმისათვის დაგჭირდა, რომ ის გარკვეულწილად გვეხმარება საზოგადოდ დანაშაულის ცნებისა და მისი შემადგენლობის ცნების გამიჯვნის საქმეში. კერძოდ, დანაშაულის, როგორც ასეთის, ჩადენა კი არ ხდება, არამედ ხორციელდება დანაშაულის რომელიმე კონკრეტული შემადგენლობა. მაგალითად, თუ მკვლელობის, როგორც კონკრეტული დანაშაულის, ჩადენა კი არ ხდება, არამედ ხორციელდება მკვლელობის რომელიმე შემადგენლობა, მით უფრო შეუძლებელია დანაშაულის ზოგადი ცნების (სსკ-ის მე-7 მუხლი) პრაქტიკული განხორციელება.

როგორც ჩანს, ორგანიზებული დანაშაულის ცნება საჭიროა იმისთვის, რომ კანონმდებელმა ორგანიზებული დანაშაულის

ცალკეული შემადგენლობების შექმნაზე იზრუნოს, მაგრამ ორგანიზებული დანაშაულის ცნება ამ სახის დანაშაულთა საკანონმდებლო შემადგენლობების შესაქმნელად, როგორც უკვე ითქვა, საკმარისი არ არის. საჭიროა ორგანიზებული დანაშაულის ცალკეულ გამოვლინებათა შესწავლა და ანალიზი, რათა ამ ტიპის დანაშაულის თითოეული შემადგენლობა მაქსიმალურად იყოს მიახლოებული მისი ჩადენის შესაძლებლობასთან. ეს არსებითად დამოკიდებულია კანონმდებლის უნარზე, ზუსტად დაახასიათოს ამა თუ იმ დანაშაულებრივი ქმედება მისი ტიპური ნიშნების მიხედვით. მეორენაირად რომ ვთქვათ, საქმე ეხება სისხლის სამართლის კანონმდებლობის პრობლემას. ამ მიმართებით „შემოქმედება" სავსებით გამართლებულია, რადგან არსებობს ხელოვნებისა და სამართლის მთელი რიგი ანალოგიური ნიშნები. თუ მხატვრული შემოქმედების ცნება დავას არ იწვევს, მაშინ არც „კანონშემოქმედების" ცნება უნდა იყოს უსაფუძვლო. აქ მოკლედ ვიტყვით, რომ მხატვრული სახე და სამართლის ნორმა მთელი რიგი ანალოგიური ნიშნით ხასიათდება. თუ მეცნიერებაში ერთის მეცნიერული იდეა შეიძლება განავითაროს მეორემ, მხატვრულ შემოქმედებაში ეს შეუძლებელია, რადგან ამ სფეროში „ავტორი" იმდენად პერსონალურია, რომ აქ ერთის მხატვრულ იდეას მეორე ვერ განავითარებს. ლადო გუდიაშვილის თუ კონსტანტინე გამსახურდიას შემოქმედების სხვების მიერ განვითარება შეუძლებელია. ანალოგიურად, სისხლის სამართლის სფეროში „ავტორი" არის კანონმდებელი და მხოლოდ მას შეუძლია არა მარტო შექმნას სისხლის სამართლის კანონი, არამედ ცვლილებები და დამატებანი შეიტანოს მასში. არავის სხვას, გარდა კანონმდებლისა, ამ საქმიანობის დადგენილი წესით განხორციელება არ შეუძლია. მეორეც სამართლის ყოველი ნორმა, ისევე როგორც ყოველი მხატვრული სახე, ინდივიდუალური და განუმეორებელია, თუმცა ანალოგიური ხასიათის ნორმები ხშირია. მესამე, მხატვრული შემოქმედება სინამდვილის შემეცნების გარეშე შეუძლებელია, მაგრამ ამ შემოქმედებაში მთავარია სინამდვილისადმი

ღირებულებითი დამოკიდებულება, ამ სინამდვილის ის შეფასება, რომელიც მხატვრულ სახეში გამოიხატება. ანალოგიურად, კანონმდებელი კანონის შექმნას სინამდვილის შემეცნებით, ანუ, ქმედების შემადგენლობის შექმნით კი არ იწყებს, არამედ, უპირველეს ყოვლისა, იმის შეფასებით, თუ როგორია ის ქმედება, რომელიც კრიმინალიზაციის ანუ დანაშაულად საკანონმდებლო კვალიფიკაციის ობიექტი ხდება. მით უფრო, რომ კანონმდებელმა ქმედების სამართლებრივი შეფასება მართლწინააღმდეგობის მეშვეობით უნდა გამოხატოს. მაგრამ მან კრიმინალიზაციის აქტის სრულყოფილად განხორციელებისათვის ქმედების საზოგადოებრივი შეფასებაც უნდა გამოიყენოს. კერძოდ, ქმედების საზოგადოებრივი შეფასება იმას ნიშნავს, რომ ის არის „საზოგადოებრივად საშიში“, ხოლო მისი ოფიციალური წესით კრიმინალიზაციის შედეგად იგი ფასდება, როგორც „მართლსაწინააღმდეგო“. ამრიგად, ორგანიზებული დანაშაულის ცნებისა და კრიმინალიზაციის შესახებ პრობლემის ეს მოკლე მონახაზიც კი ადასტურებს, რომ დასმული პრობლემა განსაკუთრებით რთულია, მაგრამ ამ პრობლემას კიდევ უფრო ართულებს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს ზემოთდასახელებული კონვენციის რამდენიმე დებულება, რომელიც ორგანიზებული დანაშაულის კრიმინალიზაციის კრიტერიუმებს შეეხება.

§ 2. ორგანიზებული დანაშაულის კრიმინალიზაციის კრიტერიუმები ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს 2000 წლის 12 დეკემბრის კონვენციის მე-5 მუხლის მიხედვით (მოკლე კომენტარებით)

აქ, პირველ რიგში, დასახელებულია ზოგიერთი განზრახ დანაშაული, მისი მცდელობის ან ფაქტობრივად ჩადენის მიუხედავად, თუ: ა) შედგა შეთანხმება ერთ ან რამდენიმე პირთან მძიმე დანაშაულის ჩასადენად, პირდაპირი ან არაპირდაპირი

გზით მატერიალური სარგებლის მიღების მიზნით, თუ ამას ითვალისწინებს შიდა კანონდებლობა; იგულისხმება ერთერთი მონაწილის მიერ რაიმე ქმედების ფაქტობრივი განხორციელება ამ შეთანხმების რეალიზაციისთვის, ანდა დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის მონაწილეობა; ბ) განხორციელდა ქმედება, როცა სუბიექტი აცნობიერებს დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის მიზანს ან საერთო დანაშაულებრივ საქმიანობას, ან ჯგუფის განზრახვას, ჩაიდინოს შესაბამისი დანაშაულები, თუ იგი ამასთან აქტიურ მონაწილეობას იღებს ორგანიზებული ჯგუფის დანაშაულებრივ საქმიანობაში, ან ორგანიზებული ჯგუფის სხვა საქმიანობაში, იმის გაცნობიერებით, რომ მისი მონაწილეობა ხელს შეუწყობს დანაშაულებრივი მიზნის განხორციელებას; გ) დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის მონაწილეობით ჩადენილი მძიმე დანაშაულის ორგანიზება, ხელმძღვანელობა, ხელშეწყობა, წაქეზება, დახმარება ან რჩევის მიცემა.

როგორც ვხედავთ, აქ ორგანიზებული დანაშაულის კრიმინალიზაციის რამდენიმე ნიშანია გამოკვეთილი, მაგრამ ამჯერად ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ ქმედების აკრძალვისთვის საკმარისია ერთ ან რამდენიმე პირთან დანაშაულის ჩადენის შესახებ შეთანხმება მძიმე დანაშაულის ჩასადენად, იმის მიუხედავად, ჩადენილია თუ არა გამიზნული დანაშაული ან მისი მცდელობა. ისიც საყურადღებოა, რომ აქ ხაზგასმულია საკითხი დანაშაულის ჩადენის შესახებ იმ პირის მიერ, რომელიც ახორციელებს დანაშაულებრივი ჯგუფის მიზანს, ან ამ უკანასკნელის განზრახვას, ჩადენილ იქნეს დანაშაული. ბოლოს, ორგანიზებული ჯგუფი, კონკრეტულ შემთხვევაში, უშუალოდ შეიძლება არც მონაწილეობდეს დანაშაულში, მაგრამ მონაწილეობდეს ისეთ ორგანიზაციულ საქმიანობაში, რომელიც ხელს შეუწყობს ამ ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენას. მოკლედ რომ ვთქვათ, აღნიშნული კონვენცია სახელმწიფოებს აძლევს რეკომენდაციას, მოახდინონ კრიმინალიზაცია დანაშაულის ჩასა-

დენად პირთა ჯგუფის შეთანხმების მომენტიდან, აგრეთვე დანაშაულის ჩადენისთვის ხელშეწყობად ჩათვალონ ორგანიზებული ჯგუფის მონაწილეობა რაიმე სხვა საქმიანობაში, მაგალითად, დანაშაულის ჩასადენად რაიმე ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტაში (მაგალითად, ე. წ. „კანონიერი ქურდების„ თავყრილობაში მონაწილეობა მათი შემდომი დანაშაულებრივი საქმიანობის ეფექტური ხერხების შემუშავების ან სხვა ტაქტიკური საკითხების გადაჭრის მიზნით).

გარდა ამისა, ამ კონვენციიდან გამომდინარეობს, რომ ორგანიზებული დანაშაული დანაშაულის თანამონაწილეობის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს. ამაზე მეტყველებს ის გარემოება, რომ ამ კონვენციის მე-5 მუხლის ერთ-ერთი ქვეპუნქტის მიხედვით, კრიმინალიზაციას ექვემდებარება ორგანიზებული ჯგუფის ფორმაში მძიმე დანაშაულის ორგანიზება. აქ, როგორც ჩანს, ლაპარაკია დანაშაულის ორგანიზატორზე, თუ ამ ცნებას რუსული და ქართული სისხლისსამართლებრივი ტრადიციების მიხედვით გავიგებთ; აქვე საუბარია ორგანიზებული დანაშაულის ფორმაში მძიმე დანაშაულის ჩადენის ხელმძღვანელობაზეც, წაქეზებაზეც და დახმარებაზეც. აქ გამოყენებულია ტერმინი „ხელშეწყობა," რომელიც თითქოს „დახმარების„ სინონიმია, მაგრამ რა ვუყოთ იმას, რომ „დახმარება" ცალკეა გამოყოფილი? ყოველ შემთხვევაში, აქ გამოყენებული ტერმინები: მძიმე დანაშაულის ჩადენის „ორგანიზება," „ხელმძღვანელობა," „წაქეზება" და „დახმარება," როგორც წესი, დანაშაულში თანამონაწილეობაზე მიანიშნებენ. ყოველივე ეს კი, ჩვენი აზრით, ფრიად სერიოზულ სიძნელეს ქმნის, რადგან ორგანიზებული დანაშაული, თუ ის ჩვეულებრივ ჯგუფურ დანაშაულში არ აგვერევა, დანაშაულში თანამონაწილეობის ტრადიციულ ფორმებს არ ემთხვევა. მით უმეტეს, თუ ორგანიზებული დანაშაული სტრუქტურული ფორმის მქონეა. როგორც შემდგომ დავინახავთ, ორგანიზებულ დანაშაულში, სულ მცირე, ორი სტრუქტურული დაყოფა მაინც უნდა იყოს, იმ ანგარიშით, რომ ამ ორი სტრუქტუ-

რული დანაყოფიდან კონკრეტული დანაშაული ერთმა მაინც ჩაიდინოს. ხსენებული კონვენციის მე-2 მუხლში, ტერმინთა განმარტებისას, ნათქვამია, რომ ორგანიზებული ჯგუფი ნიშნავს „სტრუქტურული ფორმის მქონე, სამი ან მეტი პირისგან შემდგარ ჯგუფს.“ ცხადია, სამი კაცისგან შემდგარი ჯგუფი, თუ ის დამოუკიდებლად მოქმედებს, სრუქტურული ფორმის მქონედ არ შეიძლება ჩაითვალოს, რადგან, იგი შემდგომ სტრუქტურულ დაყოფას არ ექვემდებარება. მაშასადამე, სტრუქტურული ფორმა, როგორც უკვე ითქვა, სულ მცირე, ორ სტრუქტურულ დაყოფას მაინც გულისხმობს. იგულისხმება, რომ ეს, ასე ვთქვათ, „სამკაციანი“ ჯგუფი სხვა სტრუქტურული ორგანიზაციის განაყოფია, მის ინტერესებში მოქმედი და მისივე ფუნქციის მატარებელია. ამის გამო საკმაოდ რთულია დანაშაულში თანამონაწილეობის წესით დაკვალიფიცირდეს ორგანიზებული დანაშაული და მისი კონკრეტული ფორმები. ცხადია, ორგანიზებული დანაშაული დანაშაულში თანამონაწილეობის ტრადიციული ფორმებისგან მოწყვეტით არ არსებობს, მაგრამ არც ამ ტრადიციულ ფორმებზე არ დაიყვანება.

§ 3. დანაშაულში „აუცილებელი თანამონაწილეობის“ ცნება და ორგანიზებული დანაშაულის ბუნების პრობლემა

არსებობს ორგანიზებული დანაშაულის ისეთი კონკრეტული ფორმები, როგორიცაა: ტრეფიკინგი, ქურდული ცხოვრების წესი და მასთან დაკავშირებული პრობლემები, აგრეთვე ფულის გათეთრება. კერძოდ, უფრო კონკრეტულად უნდა მოხდეს ქმედების საზოგადოებრივი საშიშროებისა და კრიმინალიზაციის სხვა კრიტერიუმების ანალიზი. მით უფრო, რომ „ორგანიზებული დანაშაული“ და „დანაშაულში თანამონაწილეობა,“ ამ მიმართებით, იგივეობრივი არაა, რადგან ორგანიზებულ დანაშაულში შეიძლება აღმოჩნდეს ისეთი, რომელიც დანაშაულში თანამონაწილეობის წესით დაკვალიფიცირებული ვერ იქნება. ასეთია, მაგალითად, ე.წ. „აუცილე-

ბელი თანამონაწილეობის" ფორმები.[14] ასეთია, კერძოდ, უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა, ხელმძღვანელობა ან მასში მონაწილეობა (სსკ-ის 223-ე მუხლი); ბანდიტიზმი (სსკ-ის 224-ე მუხლი); მასობრივი არეულობა (სსკ-ის 225-ე მუხლი) და ზოგიერთი სხვა. კერძოდ, არსებობს დანაშაულში თანამონაწილეობის რამდენიმე ფორმა. პირველი, ამ მხრივ, არის დანაშაულში თანამონაწილეობა როლების განაწილებით (ორგანიზატორი, წამქეზებელი და დამხმარე), მაგრამ თანამონაწილეობის ფორმით შეუძლებელია დაკვალიფიცირდეს, მაგალითად, ბანდიტიზმი, ან მასობრივი არეულობა, რადგან ამ სახის დანაშაულში ფაქტობრივი მონაწილეობა იურიდიულად ამგვარ კვალიფიკაციას არ ექვემდებარება. კერძოდ, ბანდაში რიგითი მონაწილე არც ორგანიზატორია, არც წამქეზებელი და არც დამხმარე, იმის მიუხედავად, რომ ბანდაში შეიძლება იყვნენ მეორეხარისხოვანი წევრებიც. ეს მით უფრო ითქმის მასობრივი არეულობის შესახებაც, რადგან აქ დანაშაულში ფაქტობრივი მონაწილეობაა, ხოლო იურიდიულად საკითხი წყდება სხვაგვარად. მაგალითად, მასობრივი არეულობის მხოლოდ მომწყობი, ხელმძღვანელი, ანდა აქტიური წევრი შეიძლება იქნეს მიცემული სისხლისამართლებრივ პასუხისგებაში. ამ მიმართებით თანაამსრულებლობის წესიც შესამოწმებელია.

მოკლედ გვინდა ყურადღება მივაქციოთ ე.წ. ქურდული სამყაროს წევრობის ცნებას სსკ-ის 223[1]-ე მუხლის მიხედვით. აქ არასწორია გამოყენებული ცნება „კანონიერი ქურდობა", თითქოს ქურდობა კანონიერი შეიძლება იყოს. ცხადია, კანონმდებელს მხედველობაში ჰყავს პირი, რომელიც ქურდულ სამყაროში დადგენილი წესის მიმდევარია, მაგრამ უკეთესი იქნებოდა, თუ აქ შეიცვლებოდა როგორც ტერმინი („კანონიერი ქურდობა"), ისე ამ მუხლის შინაარსი. ჯერ ერთი, ქურდული სამყარო, როგორც წესი, დაკავშირებულია

[14] ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2008, გვ. 192.

ორგანიზებულ დანაშაულთან. ამიტომაა, რომ ე.წ. „კანონიერი ქურდის“ ცნება ორგანიზებულ დანაშაულთან კავშირში განიხილება. სხვას რომ თავი დავანებოთ, ქურდული ცხოვრების წესის აღიარება არაა საკმარისი, რომ ქმედების შემადგენლობა ჩამოყალიბდეს. კერძოდ, ქურდული ცხოვრების წესი გულისხმობს ამ ცხოვრების წესის აქტიურ პროპაგანდას, ამგვარი ცხოვრების წესის გავრცელების მიზნით მასში მოზარდების, ახალგაზრდების ჩაბმას, ქურდულ გარჩევებს და ე.წ. „ქურდულ სასამართლოს“ და სხვა (მაგალთად, ქურდული სალაროს შექმნა). ყოველივე ეს კი იმდენად საშიშია, რომ ამ ქმედების კრიმინალიზაცია აუცილებელი იყო და რჩება ასეთად. ამიტომ ამ მხრივ უფრო ზუსტი საკანონმდებლო შემადგენლობის შექმნის მიზნით მიზანშეწონილი იქნებოდა მითითება ქურდული ცხოვრების წესის თუნდაც რამდენიმე მავნე, განუყრელ ნიშანზე, რათა ამ მხრივ ბოლო მოეღოს ისეთ სპეკულაციებს, რომ ქართული სახელმწიფო თითქოს ებრძვის არა დანაშაულს, არამედ აზრს, სურვილს და სხვა ამგვარ სუბიექტურ ფენომენებს. ეს საჭიროა იმისთვის, რომ პასუხისმგებლობა ქურდული ცხოვრების წესის ხასიათს დაუკავშირდეს. ეს ბოლოს და ბოლოს, საჭიროა იმისათვის, რომ ქურდული ცხოვრების მიმდევარს ჰქონდეს მისი ქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნება. ეს უკანასკნელი კი, როგორც ცნობილია, ბრალის აუცილებელი ნორმატიული წანამძღვარია.

§ 4. ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების ცნება და ორგანიზებული დანაშაულებრივი ქმედების კრიმინალიზაციის პრობლემა

ქმედების დანაშაულად სახელმწიფოებრივი კვალიფიკაციისათვის, ანუ ორგანიზებული დანაშაულის კრიმინალიზაციისთვის, ვფიქრობთ, არსებითია ქმედების საზოგადოებრივი საშიშროების კრიტერიუმი. მართალია, საზოგადოებრივი საშიშროების ცნება ფართოდ იყო გამოყენებული დანაშაულის

მატერიალური დახასიათებისთვის, დანაშაულებრივი ქმედების შესაძლო ფორმალური გაგების და, შესაბამისად, შესაძლოა უკანონო მსჯავრდების თავიდან აცილებისათვის, რაც ამ ცნების გამოყენებას ამართლებდა კიდეც. მაგრამ, სამწუხაროდ, ამ ცნების გამოყენებას პარტიულ-კლასობრივი მიდგომის მიზნითაც იყენებდნენ, რის გამოც ის იდეოლოგიურად ბრძოლის ფრონტის წინა ხაზზე მოექცა. მით უფრო, რომ საბჭოთა კრიმინალისტები ამ იდეოლოგიურ იარაღს მოხერხებულად იყენებდნენ დანაშაულის ფორმალური განსაზღვრებისა და გაგების წინააღმდეგ. დანაშაულის ცნების ამგვარი ფორმალური განსაზღვრება, საბჭოთა კრიმინალისტების აზრით, ბურჟუაზიულ კრიმინალისტებს დანაშაულის ცნების კლასობრივი ბუნების შესანიღბავად სჭირდებოდათ. ისინი ამით თითქოს ხაზს უსვამდნენ ბურჟუაზიული საზოგადოების დემოკრატიულ ხასიათს, კერძოდ იმას, რომ რაც კანონით იკრძალება, — ის ამავე დროს საზოგადოების ნებას გამოხატავს.

სამწუხაროდ, საზოგადოებრივი საშიშროების ცნება ყოფილ საბჭოთა კავშირში იდეოლოგიური ხასიათის ფიქცია გახლავთ, საბჭოთა სახელმწიფო ამა თუ იმ ქმედების კრიმინალიზაციის დროს ამ ქმედების თითქოს საზოგადოებრივი შეფასებიდან ამოდის. სინამდვილეში კი კანონშემოქმედება, განსაკუთრებით სისხლის სამართლის სფეროში, სახელმწიფოს პოლიტიკურ-პარტიული აპარატისა და მმართველი ბიუროკრატიის სულისკვეთებით ხდებოდა და ამ მხრივ, საბჭოთა საზოგადოებას არავინ არაფერს ეკითხებოდა. ამის შესახებ პროფ. ნ. კუზნეცოვა, ჯერ კიდევ 1977 წელს წერდა, როცა იგი ეხებოდა სისხლის სამართლის კანონშემოქმედების ობიექტისა და პრინციპების პრობლემას. განსაკუთრებით შემაშფოთებელი აღმოჩნდა სისხლის სამართლის კანონშემოქმედების ისეთი პრინციპი, როგორიცაა: დემოკრატიზმი, ესე იგი, სისხლის სამართლის კანონშემოქმედებაში საზოგადოებრიობის მონაწილეობის ხასიათი და ფორმები. იმის საბუთად,

თუ როგორი იყო ყოფილ საბჭოთა კავშირში სისხლის სამართლის კანონშემოქმედებაში საზოგადოებრიობის მონაწილეობის ხასიათი, იგი ემყარებოდა ისეთ ფაქტობრივ მონაცემს, როგორც იყო რსფსრ სისხლის სამართლის 1960 წლის კოდექში უკანასკნელი 14 წლის მანძილზე შეტანილი ცვლილებები. ირკვევა, რომ 1960 წლიდან 1974 წლის ჩათვლით შეიცვალა დაახლოებით ასამდე ნორმა.

ავტორი, ამ მონაცემებზე დაყრდნობით, იმითაც დაინტერესდა, თუ ვინ იყო ამოდენა საკანონმდებლო ცვლილებების ავტორი. სსრ კავშირის წამყვანი სასწავლო თუ სამეცნიერო-კვლევით დაწესებულებათა (საბჭოთა კანონმდებლობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი, მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის სისხლის სამართლის კათედრა, პეტერბურგის, შორეული აღმოსავლეთისა და სხვა) თანამშრომელთა ანკეტური გამოკითხვით დადასტურდა, რომ ამ ცვლილებებში დასახელებული დაწესებულებების მეცნიერ-თანამშრომლებს რაიმე თვალშისაცემი, აქტიური მონაწილეობა არ მიუღიათ. აქედან გამომდინარე, ავტორი, თვითკრიტიკის სახით, აცხადებდა, რომ საბჭოთა მეცნიერ-კრიმინალისტები სისხლის სამართლის ნორმათა მაღალი მეცნიერული დამუშავებით ვერ დაიტრაბახებენ. ავტორი მართებულად აცხადებდა, რომ სისხლის სამართლის კანონის სოციალური გაპირობების პრობლემაზე თითქმის არაფერი იწერება.[15]

ამრიგად, აშკარა ხდება, რომ ყოფილ საბჭოთა კავშირში კანონშემოქმედება მაშინდელი წამყვანი სამეცნიერო ცენტრებისა და მეცნიერ-იურისტებისგან გვერდის ავლით ხდებოდა. გასაგებია, რომ ამგვარ ვითარებაში საბჭოთა მმართველი აპარატი და ბიუროკრატია კანონშემოქმედების სფეროში საბჭოთა საზოგადოებას არაფერს შეეკითხებოდა. აქედან გამომდინარე, დანაშაულის ცნების მატერიალურ განსაზღვრებაში „საზოგადოებრივი საშიშროება" ქმედების თითქოს

[15] Н. Ф. Кузнецова, Социальная обусловленноьсть уголовного закона, `Правовые исследования", Тб., 1977, стр. 42-43.

საზოგადოებრივ შეფასებას გამოხატავდა, ხოლო საბჭოთა სახელმწიფო, ცალკეულ ქმედებათა კრიმინალიზაციის დროს, თითქოს ამ საზოგადოებრივ შეფასებას ითვალისწინებდა, — იდეოლოგიური ბლეფი გახლდათ და არა რეალობა. სხვა საკითხია, თუ კრიმინალიზაციისა და დეკრიმინალიზაციის პრობლემები დღესაც აქტუალურია, რადგან მათი არსებითი მეცნიერული შესწავლა ნაკლებად ან საერთოდ არ ხდება. ამ ფრიად რთულ და სადავო საკითხებს აქ დაწვრილებით ვერ შევეხებით. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ორგანიზებული დანაშაულის განსაკუთრებული საზოგადოებრივი საშიშროება დავას არ უნდა იწვევდეს, რადგან ამ მიმართებით „მართლწინააღმდეგობა“ მეტისმეტად ფორმალურია, მაშინ, როცა ხსებული დანაშაული ხელყოფს არა მხოლოდ ერთი რომელიმე საზოგადოებისა და სახელმწიფოს ეკონომიკურ, პოლიტიკურ თუ მორალურ საფუძვლებს, არამედ საერთაშორისო მართლწესრიგს, სახელწიფოთა ნორმალურ ურთიერთობას და საფრთხეს უქმნის ღირებულებათა იმ სისტემას, რომელსაც მსოფლიო საზოგადოებრიობა ემყარება.

§ 5. ორგანიზებული დანაშაულის კრიმინოლოგიური დახასიათების ცდები საქართველოში

ორგანიზებული დანაშაულის კრიმინოლოგიური ასპექტები საინტერესოდაა წარმოჩენილი ერთ-ერთ ნაშრომში, რომელიც ჯერ კიდევ ადრე გამოქვეყნდა და „ვარდების რევოლუციის„ შემდგომი ვითარება მასში, როგორც ჩანს, ასახული არაა.

ამ ნაშრომში ხაზგასმულია, რომ ორგანიზებული დანაშაულის პრობლემას დანაშაულში თანამონაწილეობის პრობლემა ვერ ამოწურავს. აქ ნათქვამია, რომ „თანამონაწილეობა ხსნის მხოლოდ ფუნქციურ დამოკიდებულებებს და როლებს ჯგუფური დანაშაულებრივი ქცევის მექანიზმში და არასაკმარისია ორგანიზებულ დანაშაულობასთან — დაკავშირებუ-

ლი დანაშაულობების სწორი კვალიფიკაციისათვის.„[16] უფრო საინტერესო იქნებოდა ის, თუ რა ზოგადი ნიშნებია დამახასიათებელი ორგანიზებული დანაშაულისთვის. ამ მხრივ მოკლედ შევეხებით დასახელებულ ნაშრომს:

1. ორგანიზებული დანაშაული შედარებით მდგრადი სისტემაა;
2. სისტემა, ამ მიმართებით, არის ორგანული ერთიანობა დანაშაულებრივი საქმიანობის უზრუნველსაყოფად;
3. ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი აქტიურად ერევა (ერეოდა ადრე საქართველოში (გ. ნ.) პოლიტიკაში; ამჯერად ვითარება შეცვლილია. ცხადია, იყო აგრესიული სეპარატიზმის ფაქტები (სამაჩაბლო, აფხაზეთი), იგი არც სხვა რეგიონშია გამორიცხული (მაგალითად, ჯავახეთში), მაგრამ ამჯერად ეს უკვე წარსულს განეკუთვნება (გ. ნ).

ორგანიზებული დანაშაულის კონკრეტული ნიშნები:

1. ჯგუფი იდეოლოგიზირებული არაა;
2. არსებობს ორგანიზაციული იერარქია;
3. ძალადობა ან მისი გამოყენების მუქარა;
4. ჯგუფის წევრობა შეზღუდულია;
5. არალეგალური წარმოების შედეგად მოგების მიღება;
6. მოსახლეობის უზრუნველყოფა არალეგალური საქონლით და მომსახურებით;
7. სახელმწიფო მოხელეების კორუმპირებული ნაწილის გამოყენება საქმიანობის უსაფრთხოებისთვის;
8. მონოპოლიზმი სპეციალურ საქონელზე და მომსახურებაზე, განაწილებაზე;
9. ჯგუფის შიგნით პროფესიული სპეციალიზაცია;
10. კონსპირაციულობა;
11. საქმიანობის დაგეგმვა გრძელვადიან პერსპექტივაში.

მეცნიერები უფრო კონკრეტულ ნიშნებსაც ასახელებენ:

---

[16] კრიმინოლოგია, თ. წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, თბ., 2005.

1. მაგალითად, გამოკვეთილი ორგანიზაციული სტრუქტურა;
2. კონსპირაცია;
3. სოციალური კონტროლის განსაკუთრებული სისტემა (დაზვერვა და კონტრდაზვერვა);
4. მნიშვნელოვანი მატერიალური სახსრები;
5. საქმიანობის გაფართოება და სწრაფვა მონოპოლიზაციისაკენ;
6. ორგანიზებული დანაშაულის ლიდერთა მიერ ანტისაზოგადოებრივი იდეოლოგიის გავრცელება;
7. თავისუფლების აღკვეთის ადგილებში მყოფთა მიმართ დახმარება;
8. „განდგომილთა" მიმართ დასჯის მკაცრი ზომები;
9. თავიანთვის სასარგებლო კანონების ლობირება;
10. დამაშინებელი ხმების გავრცელება.

ამავე ნაშრომში ნაცადია კლასიფიკაცია ორგანიზებულობის მიხედვით: მეორე რიგის ორგანიზაცია — საშუალო დონისაა, ჯგუფი მყარია, ორ-სამ კაციანი ქვესტრუქტურით. მესამე რიგისა — „კანონიერი ქურდების" ტიპისაა. მოქმედებს ხანგრძლივად. ლიდერების დიდი ზეგავლენით.

რაც შეეხება პოლიტიკური პარტიის ფორმით შექმნილ ორგანიზებულ ჯგუფს, ცხადია, საქართველოში ვითარება არსებითადაა შეცვლილი. მაგრამ ვიდრე დღევანდელ საქართველოზე ვისაუბრებდეთ, მოკლედ შევჩერდებით რუსეთში ორგანიზებული დანაშაულის პრობლემებზე. ამ მიზნით ვისარგებლებთ ორგანიზებული დანაშაულის შესახებ ორნაწილიანი მასალით, რომელშიც „მრგვალი მაგიდის„ ეგიდით, ე. წ. დიალოგის წესით, გადმოცემულია შეხედულებანი ჯერ კიდევ საბჭოთა რუსეთის უკანასკნელ პერიოდში არსებული ვითარების შესახებ (1989 წ).

§ 6. ორგანიზებული დანაშაულის პრობლემა საბჭოთა კავშირის მიწურულს

ორგანიზებული დანაშაულის პრობლემა მთელი სიმძაფრით დადგა ყოფილი საბჭოთა კავშირის მიწურულს, კერძოდ, 1988-1989 წლებში, როცა საბჭოთა კრიმინალისტები და კრიმინოლოგები, აგრეთვე მაშინდელი სამართალდაცვითი ორგანოების წარმომადგენლები, უკვე ვეღარ მალავენ, რომ ორგანიზებულმა დანაშაულმა მთელი საბჭოური სისტემა მოიცვა. ეს ის ეპოქაა, როცა საბჭოთა საზოგადოება და სახელმწიფო ღრმა და ყოველმხრივ კრიზისშია ჩაფლული და გამოსავალი მხოლოდ ყოფილი საბჭოთა კავშირის დანგრევაა.[17]

როგორც ჩანს, ორგანიზებული დანაშაულითაა დეზორგანიზებული მთელი საბჭოთა იმპერია: ეკონომიკა, გაცვლა, განაწილება, ვაჭრობა, — ყველაფერი ორგანიზებულ კრიმინალთა ხელშია. უკვე აშკარად აცხადებენ, რომ ორგანიზებული დანაშაული საზოგადოების პროდუქტია. ლაპარაკია ე. წ. „მრგვალი მაგიდის" გარშემო თავმოყრილ სოლიდურ პირებზე, რომლებიც უკვე თამამად საუბრობენ საბჭოთა საზოგადოების წინააღმდეგობებზე და საბჭოთა სახელმწიფოს პოლიტიკურ რყევებზე. აქ მოტანილია ცნობები მორალურად გახრწნილ ადამიანებზე, მათ დევიზზე: „გამოიყენე სოციალიზმის ნაკლოვანებანი, რათა იცხოვრო კომუნიზმში." ხოლო, ამ ეტაპზე ორგანიზებულ დანაშაულთა სისტემაში გამოირჩევიან დანაშაულებრივი ლიდერები, როგორც უმაღლესი კასტის წარმომადგენლები, განსაკუთრებით კანონიერი ქურდები, რომლებიც ქცევის ზოგად წესსა და ხაზს ამუშავებენ და ქმნიან დანაშაულებრივ დაჯგუფებებს (გვ. 12-13.). ისინი აწყობენ ე. წ. შეხვედრებს, ყრილობებს, კრებებს, რომელთაც აქვთ ორგანიზაციულ-მმართველობით-მაკოორდინებელი ხასიათი. ამ შეხვედრებში მონაწილე პირები კონკრეტულ დანაშაულებრივ ქმედებებს არ სჩადიან, ხოლო სისხლის სამართლის კოდექსი მხოლოდ კონკრეტულ დანა-

[17] Организованная преступность, М., 1989.

შაულებრივ ქმედებას ითვალისწინებს, ორგანიზატორები კი, კანონის მიღმა რჩებიან. უფრო მეტიც, ეს პირები აშკარად გამოხატავენ ცხოვრების იმ წესს, რომელიც ლეგალური ვერ იქნება. მათ ხელშია დიდი ოდენობით მატერიალური სახსრები, ხოლო, ეს, თავის მხრივ, ქმნის პოლიტიკურ პრეტენზიებს, ხელში ჩაიგდოს სახელმწიფო ხელისუფლება (გვ. 16-17). მით უფრო, რომ ეკონომიკის სფეროში დანაშაულის ჩამდენ პირთა 80% წარმოება-დაწესებულების თანამდებობის პირებია. 1986-1988 წლებში გამოვლინდა 50 ასეთი ღრმად კონსპირირებული ჯგუფი. აქ სახეზეა თანამდებობის კორუმპირებულ პირთა კავშირი ორგანიზებულ დანაშაულთან. აქ უკვე ლაპარაკობენ საბჭოთა მაფიაზეც (გვ. 20-21).

ლაპარაკია ორი ცნების განსხვავებაზე: 1. ორგანიზებული დანაშაული და 2. დანაშაულის ორგანიზებულობა. საუბარი იყო დანაშაულებრივი დაჯგუფების ნიშნებზეც.

დანაშაულებრივი დაჯგუფება პირთა მყარი გაერთიანებაა, რომელსაც აქვს რამდენიმე ნიშანი: საერთო ამოცანების გადასაწყვეტად ფინანსური ბაზა; იერარქიული სტრუქტურა; როლების მკვეთრი განაწილება, რაც მოვალეობათა განაწილებასაც ნიშნავს; მკაცრი დისციპლინა, რომელიც საკუთარ წესებს ემყარება და დუმილის კანონს მოიცავს (გვ. 24-25).

აქ ლაპარაკია კანონიერი ქურდების დაუსჯელობის შესახებაც. მოტანილია საქართველოს მაგალითი, როცა 80-იანი წლების შუა ხანებში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტრომ ჩაატარა მასშტაბური ოპერაცია კანონიერი ქურდების პასუხისგებაში მისაცემად, ამასთან, ახალი ტიპის კანონიერი ქურდებისა, რომლებიც დანაშაულობის ხარჯზე პარაზიტობდნენ, მაგრამ არა დანაშაულზე. 1986 წლის შუა რიცხვებში მსჯავრდებული იქნა ამ ტიტულის 52 ადამიანი. საინტერესოა, რა შეერაცხათ მათ ბრალად? 4 მათგანი გასამართლდა ადმინისტრაციული ზედამხედველობის წესის

დარღვევისთვის, 9 — მაწანწალობისთვის და სხვა პარაზიტული ცხოვრებისთვის, 14 — იარაღის უკანონო ტარებისთვის, 19 — ნარკოტიკებთან უკანონო ოპერაციისთვის (სსრ სსკ-ის 252-ე მუხლი. გვ. 39).

გასაგებია, რომ არც ერთი „კანონიერი ქურდი" ორგანიზებული დანაშაულისათვის პასუხისგებაში მიცემული არ ყოფილა.

აქ ისიცაა ნათქვამი: ძნელია პასუხისგებაში მისცე პირი იმისთვის, რომ ის მატერიალურად ეხმარება პატიმრობაში მყოფ პირს და მის ოჯახს; ან იმისთვის, რომ დანაშაულის ამსრულებელს დართოს ნება, ნაქურდალი ხარჯოს ძვირადღირებულ რესტორანში, დაისვენოს კურორტზე, სულ დიდი — ეს პირები დაისაჯონ დახმარებისათვის, მაგრამ არა დანაშაულის ორგანიზებისთვის.

როგორც ჩანს, საზოგადოება ისე გაიხრწნა, რომ ფულადსასაქონლო ურთიერთობის საგანი ხდება თანამდებობები, წოდებები, ჯილდოები, პარტიულობა, მართლმსაჯულება, და ეს ყველაფერი დაფარულია სხვადასხვაგვარი დემაგოგიით. სწორედ ამ ფაქტებზე ყალიბდება მომწამვლელი იდეოლოგიური შედეგები — ნაციონალიზმი, შოვინიზმი, უსულგულობა, მომხმარებლობა, ანარქია და ა.შ. (გვ. 78-77).

ლაპარაკია ჩრდილოვან ეკონომიკაზე, იმაზე, რომ უკანონოდ ბრუნავს მილიარდები, ხოლო, დანაშაულებრივმა დაჯგუფებებმა გავლენის სფეროებისათვის დაუნდობელი ბრძოლა დაიწყეს (გვ. 85). ისევ და ისევ მსჯელობენ კანონიერ ქურდებზე, რომლებიც დაუსჯელად პარაზიტობენ ორგანიზებულ დანაშაულობაზე, აწყობენ ლეგალურ შეხვედრებს, ასამართლებენ მათი კოდექსით იმ პირებს, ვინც პოლიციასთან თანამშრომლობაშია მხილებული (გვ. 108-109).

აქ მოტანილია ფაქტები, როცა სისხლის სამართლის კოდ-

ექსი ითვალისწინებს პასუხისმგებლობას სხვადასხვა სახის ორგანიზებული დანაშაულისთვის, მაგალითად, ბანდა, თავისუფლების აღკვეთის ადგილებზე დეზორგანიზაციისთვის, მაგრამ როცა ლაპარაკია მაფიაზე, რომელიც აერთიანებს დანაშაულს ეკონომიკის სფეროში (დატაცებები, მექრთამეობა, ხელისუფლების ბოროტად გამოყენება), მათთვის კანონი არ აღმოჩნდა. არადა, იმ დროისთვის, როგორც ჩანს, ცხოვრების წესად იქცა საქმოსნობა, ძალადობა, ძალადობის მუქარა, დაწიოკებები, როცა ბავშვების გატაცების მუქარით იძულებულნი იყვნენ გადაეცათ მათთვის ქონებრივი სარგებელი, ხოლო ამან კიდევ უფრო გაამწვავა ვითარება სხვადასხვა კლანებს შორის.

კანონიერი ქურდების თაობაზე პოლიციას აქვს ცნობები: ისინი იკრიბებიან, წყვეტენ დანაშაულებრივი საქმიანობის საკითხებს, ქმნიან სალაროს, კონფლიქტების გადასაჭრელად — ქურდულ სასამართლოს (ყველაზე უფრო ავტორიტეტული კანონიერი ქურდებისაგან). აქ იქმნება უცნაური ვითარება: გამოიყოფიან პირები, რომლებიც კონკრეტულ დანაშაულს არ სჩადიან, მაგრამ იღებენ გასამრჯელოს ორგანიზებული ჯგუფის წევრთა კონსოლიდაციისთვის, შემდგომ საჭირო გახდა მართვის სისტემა, იერარქია, შინაგანი მოქმედების ნორმებისა და პასუხისმგებლობის ზომების შემუშავება, წევრების უსაფრთხოების უზრუნველყოფა, თანამდებობის პირთა მოსყიდვა და ჩაბმა, ხოლო ყველაზე უფრო ავტორიტეტულნი ქმნიან ელიტას.

ორგანიზებული დანაშაული ადამიანთა დიდი ნაწილის ცხოვრების წესი ხდება (გვ. 119-120).

ორგანიზებული დანაშაულის პოლიტიკური შედეგები: ხდება სახელმწიფოს მართვის კონსტიტუციური ფორმების დევალვაცია. ლიდერები სახელს უტეხენ ოფიციალურ სტრუქტურებს, ისინი თითქოს სამართლიანობის დასამყარებლად

მოქმედებენ. მეორეც, დისკრედიტაციას უწევენ ოფიციალურ სტრუქტურებს და ამტკიცებენ, რომ მართავს სიმდიდრე, ფული; საქმე იცვლება ფულის დიქტატურით. (გვ. 120-121); ახალი ტიპის კოოპერატივები უკანონო შემოსავლების გათეთრების სფერო აღმოჩნდა. დანაშაული – საკმაოდ ბევრი სოციალური ჯგუფის ცხოვრების წესი გახდა (გვ. 141).
დანაშაულებრივი დაჯგუფების მიმართ სისხლის სამართლის კანონის გამოყენება შეუძლებელი ხდება. როგორ შეიძლება დაისახოს სამართალდამცავ ორგანოებთან ურთიერთობის ზოგადი სტრატეგიის შემუშავება, ან საერთო სალაროს შექმნა და განკარგვა, ქურდული სასამართლო; ქურდებში მიღებული ნორმების დაცვა, თუნდაც დანაშაულებრივი გზით მიღებული თანხის განაწილება, — ყველაფერი ეს ხომ ამ დანაშაულებრივი დაჯგუფების მართვის სფეროს განეკუთვნება? (გვ. 165).

არც ერთი ერთი სისხლის სამართლის საქმე ამ ადამიანებზე არ აღძრულა (გვ. 166).

არადა, ადვილად შეიძლებოდა ქურდული ცხოვრების წესის ელემენტების დადგენა, მათი საზოგადოებრივი საშიშროების შეფასება, რომ მათი ქმედება ყოფილიყო დანაშაული — მით უფრო იდეოლოგიური ფონიდან გამომდინარე, როგორც ეს მოგვიანებით მოხდა საქართველოში.

საინტერესოა ისიც, რომ კანონიერი ქურდების მიმართ თანამონაწილეობის ნორმებს ვერ იყენებდნენ (გვ. 167). ქურდული ცხოვრების წესი იყო დანაშაულებრივი და ის უნდა ყოფილიყო აკრძალული.

ამ შემთხვევაში პრინციპი იგივეა: კონკრეტულ საქმოსანთა გამო შეჯახება ანუ კონფლიქტი, ხოლო შემდეგ პირამიდის მომდევნო სართულის მოსამართლის მიერ მათი შეთანხმება. ამასთან, ნათელია, რომ რაც უფრო მაღალია სართული, მით

უფრო შორსაა ამგვარი მოსამართლე იურიდიული პასუხისმგებლობისგან (გვ. 172-73).

ამ ტიპის ორგანიზებულ დანაშაულთა ლიდერები სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაგან შორს არიან და ამიტომ ასე ხანგრძლივად ინარჩუნებენ მდგომარეობას. მოტანილია მონაცემები, როცა ბანკში 280 მილიარდიდან 50 მილიარდი მუთაქებშია, ქურდების წილი 33 მილიარდი მანეთია (გვ. 210-211).

ასეთი მდგომარეობა იდეოლოგიურად წამლავდა ახალგაზრდობას, ხრწნიდა საზოგადოებას. იდეოლოგიური გახრწნის ნიმუშები იდეალი სისულელეა.ნაკლებად იფილოსოფოსე. გახსოვდეს, რომ ცხოვრებაში მთავარია ფული. ყველა ქურდობს და პატიოსნება დონკიხოტობაა, სინდისი მოძველებული ცნებაა, ქრთამი ცუდი ტერმინია, ნუ იყენებ ამ ტერმინს, იცხოვრე და მიეცი საშაულება სხვებს, იცხოვრონ. რაც უფრო მეტს ქურდობ, მეტი იყვირე სიფხიზლის შესახებ. დაიხსომე: დაუჭერელი ქურდი – ქურდი არაა. კანონი ამაში მოგეხმარება (გვ. 212-213).

ორგანიზებულ დანაშაულზე საუბრის დროს უნდა იყოს ორგანიზატორი, სტრუქტურული იერარქია, ერთიანი მიზანი, როლების განაწილება, დანაშაულებრივი საქმიანობის საგანი (გვ. 260-261).

რაც შეეხება მოსაზრებას კანონის შესახებ, აქ წინააღმდეგობრივი მსჯელობებია. ერთი მხრივ, ჩვეულებრივი თანამონაწილეობის წესით საქმე ვერ წყდება, მაგრამ დანაშაულებრივი გაერთიანება თითქოს თანამონაწილეობის ფორმით ხდება (გვ. 274-275). არის თუ არა დანაშაულებრვი დაჯგუფება თანამონაწილეობის ფორმა?

არის წინადადება, რომ ჩამოყალიბდეს დანაშაულებრივი

გაერთიანება შემდეგნაირად: „დანაშაულებრივ გაერთიანებად ჩაითვლება ორი ან მეტი პირის მყარი, მტკიცე გაერთიანება, რომელიც წინასწარ იქნა ორგანიზებული მძიმე დანაშაულის ჩასადენად“ (გვ. 275). ს. დიაკოვი: „ჯერ ერთი, ამგვარი ორგანიზებული ჯგუფი თანამონაწილეობის წესით ვერ დაისჯება. აქ ძნელი იქნება წამქეზებლის და დამხმარის გამოყოფა. მით უფრო, თუ კანონიერი ქურდია — აქ ის ფაქტობრივად ორგანიზატორია, მაგრამ იურიდიულად ის მაინც ცალკეა, როგორც დაჯგუფების ხელმძღვანელი. ამ მხრივ საინტერესოა იტალიის კანონმდებლობის ანალიზი“ (გვ. 280-281).

ბ.ემელიანოვი ცდილობს თანამონაწილეობით გავიდეს ფონს (გვ. 296). ასახელებს ბანდიტიზმს, რაც, ჩვენი აზრით, თანამონაწილეობის ფორმას არ წარმოადგენს.

დისკუსიაში, სამწუხაროდ, მხედველობაში მიღებული არაა, რომ დანაშაულის ჩადენა ზოგადად შეუძლებელია. მაგალითად, ემელიანოვი აყალიბებს ნორმას, რომლის თანახმად, პირი პასუხს აგებს ზოგადი დანაშაულებრივი საქმიანობისათვის (გვ. 288). გაუგებარია, რომელი დანაშაულის შემადგენლობაა.

საქმე ისაა, რომ დანაშაულებრივი დაჯგუფების ერთ-ერთ სახედ მიჩნეულია კანონიერი ქურდების თავმოყრა, მაგრამ აქ დანაშაულში თანამონაწილეობის წესი არ მოქმედებს, რადგან ყოველი კანონიერი ქურდი არის ამსრულებელიც, ორგანიზატორიც და წამქეზებელიც. ქურდული იდეოლოგიის დანერგვაში ყველას თავისი წილი აქვს და პასუხისმგებლობა თანამონაწილეობის ტრადიციული წესით არ ნაწილდება.

დამახასიათებელია, რომ ნ. სტრუჩკოვი აყალიბებს ნორმებს ჯგუფური დანაშაულის შესახებ და ხაზს უსვამს იმას, რომ ჯგუფურ დანაშაულში ყველა მონაწილე ამსრულებელია, ხოლო ამსრულებელთა შორის შეიძლება გამოიყოს ორგანი-

ზატორი (გვ. 323-324). განსაკუთრებული სიმწვავით დადგა კანონიერი ქურდების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემა. ითქვა, რომ ყველაზე დიდი საშიშროებით ხასიათდებიან ორგანიზებული დანაშაულის უმაღლესი ეშელონები. მათი კოორდინირებული მოქმედება განსაკუთრებით საშიშია, მაგრამ მათი ეს მოქმედება არც ერთი მოქმედი ნორმით არ კვალიფიცირდება. ეს იმით აიხსნება, რომ ისინი ორგანიზებას უწევენ არა დანაშაულს, არამედ დამნაშავეობას. კერძოდ, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას არ ექვემდებარება არც ის, რომ ვინმე თავს ამ სამყაროს წევრად მიიჩნევს, არც ის, რომ ქურდულ სალაროში გადაირიცხება ასობით ათასი და ზოგჯერ მილიონობით მანეთი; არც ის, რომ ისინი მონაწილეობენ ქურდულ შეხვედრებში, სადაც წყდება ქურდული სამყაროს სტრატეგიული და ტაქტიკური საკითხები, არც კოორდინაციული ქმედებანი, არც ის, რომ ისინი ამუშავებენ სამართალდაცვით ორგანოებთან მათი დამოკიდებულების საკითხებს, მათ შორის სახელის გამტეხი დემაგოგიით — არ ისჯება (გვ. 333). ამიტომ იყო გამოთქმული მოსაზრება ყველა ამ ქმედების დასჯის თაობაზე (გვ. 333).

ორგანიზებული დანაშაული — მეორე ნაწილი, 1993. აქ მოტანილია ცნობები, რომლებიც კანონიერი ქურდების აქტიურობაზე მეტყველებენ. არასრული მონაცემებით, რეგისტრირებულ იქნა ქურდული გარჩევის 305 შემთხვევა, მაშინ როდესაც 1991 წელს იყო 144. მოკლული იქნა 123 კაცი, დაჭრილ იქნა 280. გარჩევებში სულ მონაწილეობა მიიღო 2339 ადამიანმა.[18]

დამახასიათებელია, რომ 1990 წლისთვის გადასინჯულ იქნა პოლიციის თანამშრომლებისა და ყოფილი ჩინოვნიკების სისხლის სამართლის საქმე მათი პასუხისმგებლობისაგან გათავისუფლების მიზნით, ხოლო ამან კორუფციული დანაშაული კიდევ უფრო გაამწვავა.[19]

გამოსავალს ეძებენ ორგანიზებული დანაშაულის ცნებაში

[18] Организованная преступность, II часть. М., 1993. стр 26.

[19] იქვე, გვ. 32.

მათი ცალკეული გამოვლინებების გარეშე,[20] რაც იმაზე მეტყველებს, რომ აქ ჯერ კიდევ არ იციან, თუ როგორ ხდება დანაშაულის ჩადენა?

ამ დროისათვის ორგანიზებული დანაშაული პოლიტიკურ მიზნებს ისახავს და უკავშირდება ტერორიზმს, რომელიც პოლიტიკური ბრძოლის მეთოდი ხდება. იგი სულ უფრო მასშტაბური ხდება და უკავშირდება პოლიტიკურ ექსტრემიზმს. იწყება ფართო მასშტაბით ყიდვა-გაყიდვა იარაღისა და ნარკოტიკისა.[21]

ა. დოლგოვა აქაც სვამს კითხვას, რა კონკრეტული ფორმებით ვლინდება ორგანიზებული დანაშაული, რა ქმედებებში გამოიხატება იგი და რა ღონისძიება უნდა დავუპირისპიროთ მათ. ავტორი ასახელებს ორგანიზებული დანაშაულის ოთხ მთავარ ნიშანს: 1. წინასწარი შეთანხმება; 2. დანაშაულებრივი საქმიანობის დაგეგმვა; 3. დანაშაულებრივი როლების განაწილება; 4. პასუხისმგებლობისაგან თავის დაღწევის მეთოდები და ხერხები. ავტორი ასევე ახასიათებს ორგანიზებული დანაშაულის მრავალ ფორმას, მაგრამ საინტერესოა, რა განასხვავებს ამათგან უფრო მაღალ დანაშაულებრივ დაჯგუფებებს, რომლებიც საქმიანობის სპეციფიკური ხერხებით გამოირჩევიან.[22]

ამ საკითხზე ავტორის მსჯელობიდან ჩანს, რომ მას აინტერესებს უფრო ზოგადი და მაღალი ფორმა ორგანიზებული დანაშაულისა, როგორიცაა, დანაშაულებრივი დაჯგუფება. აქ უფრო იმაზეა ლაპარაკი, რომ ამ დაჯგუფებებში დიდად ზრუნავენ მათი ქცევის ნორმებზე, მათ იდეოლოგიაზე, უსაფრთხოებაზე, დაზვერვასა და კონტრდაზვერვაზე და ა.შ. ამ ტიპის ორგანიზებული დანაშაულისათვის დამახასიათებელია შემდეგი:

[20] Организованная преступность, დასახ. ნაშრომი, გვ. 36.
[21] იქვე, გვ. 50-53.
[22] იქვე, გვ. 99.

1. არსებობის სიმყარე და ხანგრძლივობა;
2. დანაშაულებრივი საქმიანობის პროგრამირება ცვალებადი სოციალური პირობების გათვალისწინებით, აგრეთვე, სოციალური კონტროლისა და კანონიერების მდგომარეობის მიხედვით, თავის საქმიანობაში სამეცნიერო-ტექნიკური მიღწევების გამოყენება;
3. მაქსიმალური მოგების მიღების მიზანი და ამ მიზნის მისაღწევად ოფიციალური სტრუქტურების გამოყენება;
4. წევრებს შორის ფუნქციების გამიჯვნა, როცა ზოგადი ორგანიზაციული საქმიანობა და კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედება ერთმანეთს არ ემთხვევა;
5. საერთო მატერიალური ფასეულობა, ქცევის საერთო ნორმები და მათდამი მორჩილება.
6. საკუთარი უშიშროების უზრუნველყოფა, რაც გულისხმობს ოფიციალური სახელმწიფო ორგანოების ნეიტრალიზაციას, მოსყიდვას, რაც ორგანიზებული დანაშაულისა და კორუფციის მჭიდრო კავშირზე მიუთითებს. ავტორი არ უარყოფს ჯგუფურ დატაცებებს, ჯგუფურ კონტრაბანდას, მაგრამ ფიქრობს, რომ მათ უკან დგას ფართო მასშტაბის დანაშაულებრივი ორგანიზაცია[23].

ს. ვანიუშკინი ხაზს უსვამს იმას, რომ კანონიერი ქურდები, მიუხედავად იმისა, რომ ზოგიერთი მათგანი სასჯელს იხდის, გავლენას ახდენენ თავისუფლებაში მყოფ კანონიერ ქურდებზე. ორგანიზებულ დანაშაულში აღსანიშნავია ეთნიკური მომენტიც. მაგალითად, ჩეჩნური დაჯგუფება რუსეთში[24]. არსებობენ ე. წ. გასტროლიორები, რომლებიც სხვადასხვა ადგილას სჩადიან დანაშაულს, მათ შორის კანონიერ ქურდებთან კავშირში[25].

ორგანიზებულ დანაშაულს კავშირი აქვს საზღვარგარეთის დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან (მაგალითად, იმპორ-

[23] Организованная преступность, დასახ. ნაშრომი, გვ.102-103.
[24] იქვე, გვ. 106-108.
[25] იქვე, გვ. 108.

ტული ავტომანქანების ქურდობა. ქართული და ამერიკული მაფიების (კოზა-ნოსტრა) კავშირი საკრედიტო ოპერაციისა თაღლითური გზით[26].
კანონიერი ქურდები სულ 276 ადამიანი იყო. მათ გამოყოფილი ჰქონდათ გარკვეული ტერიტორია, ძირითადში თავმოყრილნი იყვნენ მოსკოვში, სადაც იყო მათი ცენტრი და მიმდინარეობდა მათი კურთხევა[27].

კანონიერი ქურდები აქტიურად უწევენ პროპაგანდას ქურდულ კანონებს, ტრადიციებს, ხოლო ამას დიდი მნიშვნელობა ენიჭება, განსაკუთრებით 90-იან წლებში, საბჭოთა კავშირის დანგრევის შემდეგ, როცა ახალი ჯურის კრიმინალებმა კანონიერ ქურდებთან მიტმასნვა და მათი ავტორიტეტით სარგებლობა დაიწყეს[28].

უტენინი აღნიშნავს, რომ ყურადღებას იქცევს ქურდული სალარო. ისინი განსხვავდებიან დანიშნულებისა და თანხის მოცულობის მიხედვით. მაგალითად, კიროვში სამი ასეთი სალარო გაიხსნა, რომელშიც გადარიცხულ იქნა 3, 4 ან 5 მილიონამდე მანეთი. სალაროს ხელმძღვანელობენ წარსულში ნასამართლევი პირები. ეს სალაროები შეივსებიან დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ფულადი სახსრებით, ზონებიდან, აზარტული თამაშებიდან მოგროვილი თანხებით.

ირკუტსკში, იმის გამო, რომ იქ მოქმედებდა ქართული და რუსული დაჯგუფება, რამდენიმე სალარო შეიქმნა. ქართულმა დაჯგუფებამ ხუთი სალარო შექმნა: 50-დან 30 მილიონ მანეთამდე. რუსულმა დაჯგუფებამ კი 300-400 ათასი მანეთი გადარიცხა. ამ თანხების ნაწილი კანონიერი ქურდების პირობით ვადამდე გათავისუფლებას მოხმარდა.მაგრამ უფრო საშიში იყო ამ სალაროების ლეგალიზაცია, კომერციულ საქმიანობაში ამ ფულის გამოყენება — კაზინოების, მიწების შესყიდვისთვის და სხვა. ამის გამო ყოველი მესამე კრიმინალი

[26] Организованная преступность, დასახ. ნაშრომი, გვ. 110.
[27] იქვე, გვ. 111.
[28] იქვე, გვ. 111.

– ბიზნესმენი ხდება[29].

ი. ადაშკევიჩი გამოყოფს ორგანიზებული დანაშაულის შემდეგ ნიშნებს: 1. ღრმა კონსპირაცია და დუმილის კანონი; 2. სისხლის სამართლის კანონისა და საპროცესო კანონის ხარვეზების გამოყენება. პასუხისმგებლობის დისკრეტულობის პრინციპის მოქმედება, ესე იგი ერთი რომელიმე ჯგუფის ლიკვიდაცია არ იწვევს სისტემის მოშლას. ხელისუფლების კორუმპირებულ პირებთან კავშირი; წევრების შინაგანი უსაფრთხოება; ფართო გაქანება და საქმიანობის დიდი მასშტაბი. მასობრივი ინფორმაციების საშუალებების მოსყიდვა[30].

ისევ და ისევ აქცენტი კეთდება თანამონაწილეობაზე. მაგალითად, ა. ბელიავი სისხლის სამართლის კანონის ზოგად ნაწილში აყალიბებს ნორმას, რომელიც დანაშაულებრივ ორგანიზაციას მოიცავს. მისი აზრით, ზოგადი ნაწილის ნორმაში დანაშაულებრივი ორგანიზაცია ასე შეიძლება ჩამოყალიბდეს: „დანაშაულებრივ ორგანიზაციად (დაჯგუფებად) ჩაითვლება პირთა მყარი ჯგუფი, რომელიც სტრუქტურულად და ფუნქციონალურად დანიშნულია დანაშაულის სისტემატურად ჩადენისთვის.„

ჯერ ერთი, ასე ზოგადად და აბსტრაქტულად დანაშაულის ჩადენა არ ხდება, რაღაც კონკრეტული ფორმა უნდა იყოს გამოკვეთილი. მეორეც, გაუგებარია, არის თუ არა აქ თანამონაწილეობა? რომელი ფორმის? ავტორი ლაპარაკობს ორგანიზატორზე, მაგრამ უცნობია აქ როლები ნაწილდება თუ ადგილი აქვს თანაამსრულებლობას?

შემთხვევითი არაა, რომ ავტორი იძულებულია კერძო ნაწილში ჩამოაყალიბოს ნორმა, როცა პირი ქმნის დანაშაულებრივ ორგანიზაციას ან ხელმძღვანელობს მას.

---

[29] Организованная преступность, დასახ. ნაშრომი, გვ. 112.

[30] იქვე, გვ. 118-119.

§ 7. ორგანიზებული დანაშაულის პრობლემა პოსტსაბჭოურ სივრცეში

საბჭოთა კავშირის დანგრევისა და პოსტსაბჭოური სისტემის ჩამოყალიბების შემდეგ კიდევ უფრო მწვავედ დადგა ორგანიზებული დანაშაულის პრობლემა, რადგან უკვე არავითარ ეჭვს არ იწვევდა მეტად საშიში და დღითი-დღე მზარდი რეალობა ისეთი დანაშაულისა, რომელსაც ორგანიზებული ხასიათი აქვს. საქმე უკვე შეეხებოდა არა ამ ტიპის დანაშაულის მიჩქმალვას, რასაც გარკვეული იდეოლოგიური მოტივებით ადგილი ჰქონდა ყოფილ საბჭოთა კავშირში, არამედ, პირიქით, მის გამოვლენას და შესწავლას. უკვე ცხადი გახდა, რომ საზოგადოებას საქმე აქვს ისეთ საშიშ გამოწვევასთან, როგორიცაა ორგანიზებული დანაშაული. აქ უკვე საკმარისი არ იყო ჟურნალისტური პათოსით გამსჭვალული „მრგვალი მაგიდები„ და ცალკეულ სენსაციებზე აგებული ემოციური ბჭობანი, რომელთაც ჩვენ უკვე გავეცანით. საჭირო იყო ღრმა მეცნიერულ კლევაზე დამყარებული დასკვნები, რათა ამ მხრივ ეფექტურად ამოქმედებულიყო ტრადიციული სამართლებრივი ხერხები და მეთოდები, რომლებიც ორგანიზებულ დანაშაულს დაუპირისპირდებოდნენ. ამ მხრივ ბევრი რამ ითქვა და დაიწერა. ზოგიერთ მათგანს აქ მოკლედ შევეხებით.

ერთ-ერთ კრიმინოლოგიური ტიპის ნაშრომში, როგორც ჩანს, უფრო დინჯი ბჭობის შედეგად, ითქვა, რომ ორგანიზებული დანაშაული არის დამნაშავეობის ერთ-ერთი რთული, საშიში სახე, რომელიც ხელყოფს საზოგადოების ეკონომიკურ, პოლიტიკურ, სამართლებრივ თუ ზნეობრივ სფეროს. ამის მიუხედავად, ირკვევა, რომ მსოფლიო კრიმინოლოგიაში ჯერ კიდევ არაა შემუშავებული ორგანიზებული დანაშაულის ცნება. მართალია, არის ცდები ამ დანაშაულის ცნების ჩამოყალიბებისა, მაგრამ, როგორც ჩანს, ეს ისეთი ზოგადია, რომ იგი კანონმდებელს არ გამოადგება. დასახელებულ სახელმძღვანელოში კი ნაცადია ამ ტიპის დანაშაულის ნიშნების გამოყოფა და ანალიზი.[31] ამ მხრივ, პირველი ნიშანია პირთა გაერ-

[31] დასახ. ნაშრომი, Криминология, М., 1977.

თიანება სისტემატური დანაშაულებრივი საქმიანობისთვის. აქ აშკარაა ორგანიზებულ დანაშაულში მონაწილეთა იერარქია, მათი ურთიერთდაქვემდებარება და მკაცრი დისციპლინა რუსეთის დამნაშავეთა სამყაროს მიერ დადგენილი ქცევის ნორმების შესრულებაში. ჯგუფში ძალაუფლება თავმოყრილია ერთ ან რამდენიმე ლიდერის ხელში. რაც შეეხება მონაწილეებს, მათი რიცხვი ხუთიდან რამდენიმე ასეულამდე და ზოგჯერ ათასამდეც მერყეობს.

რაც შეეხება დანაშაულებრივი ჯგუფის ორგანიზებულობის ხარისხს, ის დამოკიდებულია როგორც სოციალურ, ისე ეკონომიკურ, თუ გეოგრაფიულ ფაქტორებზე. გარდა ამისა, ჯგუფის შიგნით გამოიყოფიან, მაგალითად, ე. წ. „ბოევიკები," დაცვის სამსახური, დაზვერვის, ფინანსური მომსახურების და სხვა.

აქ უკვე ნახსენებია დანაშაულებრივი ორგანიზაცია, რომელსაც, თავის მხრივ, აქვს შემდეგი ნიშანი: 1.საერთო მატერიალური ბაზა, სათანადო საფინანსო ანგარიშებით თუ უძრავი ქონებით; 2. ოფიციალური საფარი დარეგისტრირებული საწარმოს, კოოპერატივის, კაზინოს და სხვათა სახით; 3. ხელმძღვანელობის კოლეგიალური ორგანო, რომელშიც თანასწორობის საწყისებზე მონაწილეობენ; 4. ორგანიზაციის საქმიანობის წესდება, მისი დარღვევისთვის რეაგირების ზომებითურთ; 5. იერარქიული ფუნქციონალური სისტემა, ქვესისტემა, მათი კოორდინაცია ცენტრთან და რეგიონთან; 6. განსაკუთრებული ენობრივ-ცნებობრივი სისტემა, ჟარგონი, მეტსახელები და სხვა; 7. ინფორმაციული ბაზა (დაზვერვა და კონტრდაზვერვა); 8. თავისი ხალხი ხელისუფლების, სასამართლო და სამართალდაცვით ორგანოებში.

აქ დანაშაულებრივი გაერთიანების განსაკუთრებულ ფორმად აღიარებულია ე. წ. კანონიერი ქურდების გაერთიანება. კანონიერი ქურდების შესახებ სპეციალისტებმა დიდხანს არაფერი იცოდნენ, რაშიც მთავარი იყო და არის ამ ტიპის

დანაშაულის ძალიან მაღალი კონსპირაცია, მკაცრი კრიმინალური ტრადიციები, მათი დაცვის განსაკუთრებული წესები, რაც დანაშაულებრივი გაერთიანების ამ ფორმას ორგანიზებულობის ფორმას ანიჭებს. სადღეისოდ 800-ზე მეტი ადამიანია გაერთიანებული. თანამედროვე კანონიერი ქურდი — ეს დანაშაულებრივი საქმიანობის ორგანიზატორია, რომელიც თავის საქმიანობის ძირითად სფეროდ ირჩევს რეკეტს, ქურდობას, თაღლითობას. თუმცა ირკვევა, რომ ამ ტიპის კრიმინალებს შორის მოხდა გარკვეული იდეოლოგიური განხეთქილება იმის გამო, რომ ახალი ტიპის ქურდები ამყარებენ კავშირს ხელისუფლების კორუმპირებულ წარმომადგენლებთან, რაც ქურდულ კანონს არ შეესაბამება. ძველები ახლებს ადანაშაულებენ იმაში, რომ ისინი ხელისუფლების კორუმპირებული წარმომადგენლების დამცველები გახდნენ, ხოლო ახლები ძველებს იმაში ადანაშაულებენ, რომ ისინი ცხოვრებას ჩამორჩნენ და მას ფეხი ვერ აუწყვეს.

ორგანიზებული დანაშაულის მეორე მთავარ ნიშნად დასახელებულია მისი ეკონომიკური საფუძველი, რაც ამ ტიპის დანაშაულის ძირითადი წარმმართველი მოტივია. ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრების მხრივ კანონის დარღვევას ის მიზანი აქვს, რომ დანაშაულებრივი გზით მიაღწიონ გამდიდრებას, დააგროვონ კაპიტალი. უფრო მეტიც, ორგანიზებული დანაშაულობის უმრავლესობა სწორედ იმ მიზნით შეიქმნა, რომ მიიღონ დიდი მოგება. ამ ტიპის დანაშაულის შედეგად სახელმწიფოსთვის, კერძო სექტორებისა თუ სხვა კომერციული ორგანიზაციებისთვის მიყენებული ზარალი მილიონობით და მილიარდობითაც კი იზომება. ამ უზარმაზარ ფულად მოგებას თან ახლავს სხვა ისეთი დანაშაული, როგორიცაა: უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, დიდი ოდენობით უკანონო ოპერაციები საზღვარგარეთის ბანკებში და სხვა.

ორგანიზებული დანაშაულის მესამე ნიშნად მიჩნეულია კო-

რუფცია, რომელიც თანამედროვე რუსეთის სინამდვილეში არის სოციალურ-პოლიტიკური მოვლენა. კორუფცია, ამ მიმართებით უბრალოდ ქრთამის აღებას კი არ ნიშნავს, არამედ სახელმწიფო მოხელეების გახრწნას და მათ მოსყიდვას, გადაგვარებას. საინტერესო ისაა, რომ კორუფცია მხოლოდ ანგარების მოტივით არ იკვებება. მას გარკვეული პოლიტიკური სარჩულიც უდევს იმდენად, რამდენადაც ხელისუფლებაში მოსვლის მიზანი გულისხმობს ისეთი ადამიანების მოზიდვას, რომლებიც მომავალი სახელმწიფო ჩინოვნიკის ერთგული მხარდამჭერები იქნებიან.

საქმე ისაა, რომ სახელმწიფოს კორუმპირებული მოხელეები იყიდებიან სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესების წინააღმდეგ, ისინი მფარველობენ ორგანიზებული დანაშაულის ლიდერებს, მის წევრებსაც, ამარაგებენ მათ სათანადო დოკუმენტებით, დანაშაულთა სამყაროსთვის საჭირო ინფორმაციით, ზეწოლას ახდენენ დანაშაულთა წინააღმდეგ მებრძოლ პატიოსან მუშაკებზე. უფრო მეტიც, კრინიმოლოგიური კვლევით დადასტურდა, რომ მაფიოზური ჯგუფის ყველა წევრი სახელმწიფოს კორუმპირებულ მოხელეებთან იყო შეკრული.

ბუნებრივია, რომ ორგანიზებული დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროება განსაკუთრებულია, რადგან იგი არა მარტო ეკონომიკურ ზიანს აყენებს სახელმწიფოს, საზოგადოებას, კერძო ბიზნესის სფეროს და ცალკეულ პირთა ინტერესებს, არამედ, მორალურ-პოლიტიკურ ზიანსაც, უარყოფითად მოქმედებს ახალგაზრდობაზე, მის მორალურ პრინციპებზე.

ამას რომ თავი დავანებოთ, ორგანიზებული დანაშაული არ იფარგლება მხოლოდ ერთი ქვეყნის (ვთქვათ, რუსეთის) ტერიტორიით, რადგან იგი უკავშირდება სხვა სახელმწიფოთა ეკონომიკურ საქმიანობას, საზღვარგარეთის ქვეყნების ბიზნესისა და საქმიანი წრეების წარმომადგენლებს, ხოლო

ყოველივე ეს, თავის მხრივ, ხელს უწყობს ორგანიზებული დანაშაულის ინტერნაციონალიზაციას, მის ტრანსნაციონალურ ხასიათს, რის გამოც ბრძოლა ორგანიზებულ დანაშაულთან კიდევ უფრო რთულდება.

ორგანიზებული დანაშაულის შესახებ კიდევ უფრო საინტერესოდაა მსჯელობა ი. ანტონიანის ნაშრომში, რომელიც ლექციების კურსის სახითაა გამოცემული. აქ ორგანიზებული დანაშაული წარმოდგენილია, როგორც ჩადენილი ხელობის სახით, როგორც დიდი ხნის განმავლობაში მოქმედი და რომელიც ბატონობს გარკვეულ ტერიტორიაზე, თუმცა თანამედროვე პირობებში, სახელმწიფოთა ეკონომიკური კავშირების კვალობაზე, ორგანიზებული დანაშაულიც გლობალურ ხასიათს იძენს და, ამდენად, ბრძოლა მასთან კიდევ უფრო ძნელდება. არც ისაა შემთხვევითი, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ არაერთგზის გაამახვილა ყურადღება ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის ღონისძიებათა შესახებ.

ლიტერატურაში ყურადღება გამახვილებულია იმაზეც, რომ ორგანიზებული დანაშაული, ასე ვთქვათ, წმინდა სახით კი არ არსებობს, არამედ გადაჯაჭვულია მთელ რიგ ეკონომიკურ საქმიანობასთან, რომელსაც, როგორც ასეთს, კანონიერი ფორმა აქვს, მაგრამ ამ საქმიანობის მეთოდებსა და ხერხებში გამოყენებულია კრიმინალისთვის დამახასიათებელი საქმიანობის წესიც (ძალადობა, დაშინება, კორუფცია, ბაზრის მონოპოლიზმი და ა.შ.).[32]

ავტორი ადასტურებს იმ ზოგად ტენდენციას, რომ ორგანიზებული დანა შაული იზრდება როგორც რუსეთში, ისე მთელს მსოფლიოში. ეს, ავტორის აზრით, იმითაც აიხსნება, რომ დანაშაულებრივ საქმიანობაში გამოყენებულია უახლოესი ტექნოლოგიური და ტექნიკური მიღწევები, საერთაშორისო კავშირგაბმულობისა თუ სატრანსპორტო საშუალებანი,

[32] Ю. М. Антонян, Криминология, Избр. Лекций, М., 2004, стр. 363.

ტურიზმი და საერთაშორისო გადაზიდვები. ამის ნიადაგზე არა მარტო იშლება ზღვარი და განსხვავება სახელმწიფოთა შორის, არამედ იქმნება ყოვლისმომცველი საერთაშორისო ბაზარი.

ავტორის აზრით, ორგანიზებული დანაშაული შეიძლება დავყოთ ორ დიდ ჯგუფად. ჯერ ერთი, ამ ტიპის კრიმინალების ერთი ჯგუფი სჩადის ბანდიტურ თუ ყაჩაღურ თავდასხმებს, მკვლელობებს, რის გამოც მათი გამოვლენა და მხილება ძნელი არაა. მეორეც, ორგანიზებული დანაშაულის ნაწილი გადაჯაჭვულია ეკონომიკურ საქმიანობასთან და ამდენად კარგად არის შენიღბული ისე, რომ გარეგნულად გამოიყურება საკმაოდ მაღალი რანგის პოლიტიკოსებთან და ბიზნესმებებთან „მეგობრულ კავშირად," რის გამოც ამ უკანასკნელთა მხილება საკმაოდ რთულია. მესამე, განასხვავებენ ე. წ. ეთნიკური ტიპის ორგანიზებულ დანაშაულს, რომელშიც უპირატესად გაერთიანებულია ერთი ეთნიკური წარმომავლობის კრიმინალები, რომლებიც სჩადიან ისეთ დანაშაულს, როგორიცაა, მაგალითად, ნარკოტიკით ვაჭრობა, ტრეფიკინგი, ტერორიზმი და სხვა.

დანაშაულებრივი დაჯგუფება, რომელიც ორგანიზებული დანაშაულის სისტემაში იაზრება, თავის თავში მოიცავს აგრეთვე სექსუალური ხასიათის ქმედებებს, რომელთაც უკვე პროსტიტუციის ფორმა აქვთ და გულისხმობს გარყვნილების ბუდის მოწყობას, სუტენობას და სხვა ამგვარი ამორალური ხასიათის საქმიანობას.[33]

ორგანიზებული დანაშაულის პრობლემა განხილულია კრიმინოლოგიური ხასიათის სხვა ნაშრომებშიც. ერთ-ერთი ასეთია ავტორთა კოლექტივის მიერ შექმნილი ნაშრომი, რომელშიც სათანადოდაა გათვალისწინებული ამ მხრივ საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილება. კერძოდ, ორგანიზებული

[33] Ю. М. Антонян, Криминология, Избр. Лекций, М., 2004, стр. 368.

დანაშაულის წევრები ცდილობენ შეერწყან საზოგადოებას იმგვარად, რომ მათთან ბრძოლა კიდევ უფრო რთული იყოს. ამ თვალსაზრისით ორგანიზებული დანაშაული ემყარება სახელმწიფოს ოფიციალურ სტრუქტურებს, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს, ფონდებს, ლეგალური ეკონომიკის სხვადასხვა ფორმებს. გასაგებია, რომ ორგანიზებული დანაშაული ამ მიმართებით იყენებს საქმიანობის ისეთ ხერხს, როგორიცაა: კორუფცია, ხელისუფლების წარმომადგენელთა დისკრედიტაცია, შანტაჟი, მუქარები, არასასურველი პირების ფიზიკური ჩამოცილებაც კი.[34]

ყოველივე ამის გამო იქმნება ახალი სოციალური ვითარება: საზოგადოება უკვე მომეტებული კრიმინოგენობით ხასიათდება. უფრო მეტიც, ორგანიზებული დანაშაული უკვე კონტროლს უწევს ფუნქციონერებს პოლიტიკაში, საზოგადოებრივი ცხოვრების ეკონომიკურ, სოციალურ თუ სულიერ სფეროებს. საქმე იქამდეც მიდის, რომ საზოგადოების მნიშვნელოვანი ნაწილი ორგანიზებულ დანაშაულშია ჩაბმული, ხოლო ორგანიზებული დანაშაული, თავის მხრივ, ყალიბდება საზოგადოების ქვესტრუქტურად, როგორც გარკვეული „კრიმინალური საზოგადოება," გარკვეული აზრით, „პოტენციური სახელმწიფო სახელმწიფოში, „ როგორც ეს შეიძლება ითქვას ე. წ. „კანონიერ ქურდებზე". აქ უკვე აშკარაა კრიმინალური სამყაროს გარკვეული იერარქია, რომელიც აიძულებს კრიმინალური სამყაროს ამ წარმომადგენლებს, იბრძოლონ ამ იერარქიის უმაღლესი საფეხურის დაკავებისთვის ან შესანარჩუნებლად, რათა კასტური დაჯგუფების უკიდურესად ქვედა ზღვარს მიღმა არ აღმოჩნდნენ. ყოველივე ეს დიდი მსხვერპლის ფასადაც ჯდება. ეს გარემოება მეტად არსებითია იმისათვის, რომ სწორად იქნეს გაგებული ყოველი ტიპური კრიმინალის, განსაკუთრებით, „კანონიერი ქურდის„ კრიმინალური საზოგადოებისადმი საკუთარი პერსონის მიკუთვნებისათვის ბრძოლისა და ამის გამო სახელმწიფოს ოფიციალური სტრუქტურებისადმი დაპირისპირების

[34] Криминология, Учебник для вузов, М., 2005, стр. 526.

საზრისი. მაგრამ უფრო საინტერესო ისაა, რომ ისეთ რთულ, გარდამავალ პერიოდში, როგორიც იყო საბჭოთა სისტემის ნგრევიდან ახალ სისტემაზე გადასვლა, კიდევ უფრო იძაბება საზოგადოებრივი ცხოვრება. სახელმწიფოს ხელმძღვანელები, ე. წ. ერის ლიდერები (ქართულად რომ ვთქვათ, „ერის მამები" გ. ნ.) ხალხს თვითგადარჩენის ვითარებაში აგდებენ, ხოლო კრიმინალური საზოგადოებები ამ ვითარებაში ერთგვარად ამსუბუქებენ თვითგადარჩენისთვის ადამიანთა დიდი ნაწილის ბრძოლას იმ აზრით, რომ ეს კრიმინალები უკვე მზა ფორმით ახვედრებენ ამ თვითგადარჩენისთვის ბრძოლის დანაშაულებრივ ხერხებსა და მეთოდებს. ერთი შეხედვით, ეს დადებითი მომენტი, საზოგადოებას ძალიან ძვირად უჯდება იმის გამო, რომ საზოგადოების ეს ნაწილი კანონს მიღმა აღმოჩნდა, ხოლო ის, ვისაც თვითგადარჩენისთვის ამ ბრძოლაში თითქოს გაუმართლა და იგი დანაშაულებრივი გზით დიდი ქონების პატრონი გახდა, ფაქტობრივად, ამ ქონებასა და მის დაცვას შეეწირა. იგულისხმება ისეთი ვითარება, როცა ადამიანები დანაშაულობასთან ბრძოლის კანონიერ ფორმებს კი არ მიმართავენ, არამედ, დანაშაულებრივ თვითგასწორებებს, შეკვეთილ მკვლელობებს, ბიზნესის დადგენილი წესის დარღვევებსა და პარტნიორის უზნეო გადაგდებისთვის დასჯის უკანონო, დანაშაულებრივი ხერხებს.[35]

ყოველივე ის, რაც ორგანიზებული დანაშაულის ფენომენის შესახებ აქ ითქვა, ასე ვთქვათ, რეალური ფაქტების აღწერაა ჟმასთან შედარებით, რაზეც ცოტა ქვემოთ არის საუბარი. კერძოდ, აქ შეფასებულია საბჭოთა სისტემის დანგრევის კვალობაზე ე. წ. პრივატიზაციის დამანგრეველი შედეგები, რუსეთისთვის საზღვარგარეთიდან თავსმოხვეული გლობალიზაციის პოლიტიკა, რომელმაც რუსეთის ეროვნულ ინტერესებს კოლოსალური ზიანი მიაყენა. შეფასებითი მონაცემებით, ამ პრივატიზაციის შედეგად რუსეთის ეკონომიკას ორნახევარჯერ მეტი ზარალი მიადგა, ვიდრე, საბჭოთა კავშირს მეორე მსოფლიო ომში და ეს ზარალი, 1995 წლის

[35] Криминология, Учебник для вузов, М., 2005, стр. 530.

ფასებით, შეფასდა 9549 ტრილიონ მანეთად.[36]

ამრიგად, იმისი წინასწარი გათვლის გარეშე, თუ რა შედეგს გამოიღებდა რუსეთში დასავლეთის დემოკრატიული საზოგადოებებისათვის დამახასიათებელი საბაზრო ეკონომიკის პრინციპების მექანიკური, სათანადო საკანონდებლო ბაზის და რიგი სხვა მაკონტროლებელი სისტემის გარეშე დანერგვა რუსეთს, აგრეთვე ე.წ. პოსტსაბჭოური სისტემის ქვეყნებს, ძვირად დაუჯდათ. გამონაკლისი ამ მხრივ არც საქართველო იყო, რადგან ხელოვნურად დაჩქარებელ პრივატიზაციის პროცესს, რომელმაც, თავის მხრივ, მთელი თაობების შრომით დაგროვილი ქონების უსამართლო გადანაწილება გამოიწვია, ხალხმა „პრიხვატიზაცია" შემთხვევით არ უწოდა. რომ არა ახალი სახელმწიფოებრივი აზროვნება და მოზომილი რეფორმები, საქართველოც ისეთივე დღეში იქნებოდა, როგორშიც რუსეთია დღეს. აქ საკმარისი იქნებოდა იმისი თქმა, რომ საქართველოში ორგანიზებული დანაშაულის ტრადიციული ფორმები, როგორც შემდგომ დავინახავთ, (ქურდული ტრადიციები, ფულის გათეთრება, ტრეფიკინგი) თითქმის სულს ღაფავს, მაშინ, როდესაც ორგანიზებული დანაშაული რუსეთში ამ ქვეყნის ერთ-ერთ ეროვნულ უბედურებადაა მიჩნეული. ისიც აღიარებულია თვით რუსი კრიმინოლოგებისა და კრიმინალისტების მიერ, რომ რუსეთში ორგანიზებული დანაშაულის ერთ-ერთი მძლავრი ფაქტორი ტოტალური კორუფციაა, რომლის დაძლევა ხანგრძლივი პროცესია.[37]

ცხადია, ორგანიზებული დანაშაული მსოფლიოს მრავალი წამყვანი ქვეყნის პრობლემაა, მაგრამ ამ მხრივ ყველა სახელმწიფოს მისთვის დამახასიათებელი პრობლემა აქვს. რუსეთში ორგანიზებულ დანაშაულს კვებავს არა მხოლოდ კორუფცია, არამედ რიგი სხვა ფაქტორი, როგორიცაა, მაგალითად, ნარკოტიკით, იარაღით ვაჭრობა, ფულის გათეთრება, ხოლო,

[36] Криминология, Учебник для вузов, М., 2005, стр. 536.

[37] Криминогенные процессы в современном российском обществе: причины, динамика, перспективы, Краснодар, 2009, стр. 100.

თვით დანაშაულებრივი საქმიანობა პროფესიული ხასიათისაა. კორუფცია კი მაინც წამყვანია, რადგან რუსეთში ადგილი აქვს თვით სამართალდაცვითი ორგანოების თანამშრომელთა მოსყიდვას, რათა დანაშაული გაუხსნელი დარჩეს, დიდი ოდენობით უყოფენ ფულად სახსრებს, რათა უკვე აღძრული სისხლის სამართლის საქმე შეწყდეს, ხოლო კიდევ უფრო აღმაშფოთებელი ისაა, რომ ისინი მკვლელობებშიც კი იღებენ მონაწილეობას.[38]

ყოველივე ეს უზნეობა და დანაშაული, თავის მხრივ, იკვებება თვითგადარჩენის იდეოლოგიით, რომელშიც მატერიალური მოთხოვნილება სჭარბობს სულიერს, როცა სამართალდაცვითი ორგანოების რიგი წარმომადგენელი არა მარტო მფარველობს უკანონო საქმიანობას ბიზნესის სფეროში, არამედ თვითონაც უწევს კონკურენციას სხვადასხვა ბანდიტურ ორგანიზაციებსაც კი.[39] ყოველივე ამის გამო, მოსახლეობის დიდი ნაწილი სამართალდაცვით ორგანოებს უნდობლობას უცხადებს, ხოლო ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა ასეთ პირობებში, ცხადია, ეფექტური ვერ იქნება. მით უფრო, როცა აღიარებულია, რომ რუსეთის სამართალდაცვითი ორგანოების წარმომადგენელთა დიდი ნაწილი კრიმინალურად გადაგვარდა, კვებავს და ხელს უწყობს ორგანიზებული დანაშაულის ზრდას, მასობრივი სამართლებრივი ნიჰილიზმის დამკვიდრებას, ასეთ პირობებში ორგანიზებულ დანაშაულზე კონტროლი კი, არსებითად შეუძლებელი ხდება.[40]

საყურადღებოა კრიმინოლოგიური ხასიათის ერთ-ერთი ნაშრომი, რომელშიც ნაცადია იმისი გარკვევა, თუ რას გამოხატავს ტერმინი „ორგანიზებული დანაშაული," რადგან იგულისხმება, რომ საქმე შეეხება დანაშაულებრივ ქმედებას, რომელსაც მასში მონაწილე არაერთი პირის გამო, უბრალოდ

[38] Криминогенные процессы в современном российском обществе: причины, динамика, перспективы, Краснодар, 2009, стр.115.

[39] იქვე, გვ. 117.

[40] იქვე, გვ. 128.

ჯგუფური ხასიათი კი არა აქვს, არამედ ორგანიზებულიც. აქედან გამომდინარე, იგულისხმება ერთობლიობა იმ დანაშაულისა, რომელსაც ორგანიზებული, ესე იგი, წინასწარგანსაზღვრული, მყარი, მტკიცე, ერთმანეთზე დამოკიდებული სტრუქტურა აქვს.

აქ ნათქვამია, რომ ორგანიზებულ დანაშაულს ახასიათებს პირთა ჯგუფის მიერ დანაშაულის ჩადენა თანამონაწილეობით. მაგრამ ყოველი ჯგუფური დანაშაული და დანაშაულებრივი ჯგუფი არ შეიძლება იყოს ორგანიზებული. ჯგუფური დანაშაული ორგანიზებულია მხოლოდ მაშინ, თუ მას აქვს ორგანიზებულობის ნიშნები: კერძოდ, თუ დანაშაულებრივ ჯგუფს აქვს გარკვეული მიზანი, გარკვეული სტრუქტურა, მასში მონაწილე პირთა ფუნქციების განაწილებით, ინფორმაციული არხი და სხვა.[41]

ამ მხრივ რუსეთში ასახელებენ ორგანიზებული დანაშაულის ორ სახეს: ორგანიზებულ ჯგუფებს, ანუ დანაშაულებრივ ორგანიზაციებს და ორგანიზებული ჯგუფების გაერთიანებას.

ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფს ახასიათებს მყარი კავშირი, ერთი ან რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად წინაწარდასახული მიზანი; მასში მონაწილე პირთა კრიმინალური ჩვევები და ტრადიციები, ხოლო ეს დანაშაულებრივი ორგანიზებული ჯგუფი ზოგჯერ შეიძლება შევიდეს უფრო დიდი მასშტაბის დანაშაულებრივ ორგანიზაციაში.

§ 8. ორგანიზებული დანაშაულის იურიდიული ანალიზი

ორგანიზებული დანაშაულის იურიდიული ანალიზის პრობლემა გულისხმობს იმ საკითხის დასმასა და რაღაცნაირ გადაჭრას, ანუ პასუხს კითხვაზე, თუ რაა ამ მეტად საშიში და-

[41] Криминология, Учебник для вузов, под ред. В.Д. Малькова, М., 2006, стр. 403.

ნაშაულებრივი საქმიანობის ობიექტი. ცხადია, „დანაშაულის ობიექტის“ წმინდა რუსული გაგება კი არ გვაქვს მხედველობაში, როგორც წმინდა სოციოლოგიური ცნება, არამედ „სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტის„ ცნება, რომელიც იურიდიული აზროვნების წესს გამოხატავს. იმას, თუ რომელი ობიექტი უნდა იყოს დაცული სისხლის სამართლის კანონით, წყვეტს კანონმდებელი სისხლის სამართლის კანონის ფორმაში. საზოგადოებრივად საშიშ ქმედებათა ზოგიერთი კატეგორია სისხლის სამართლის კანონით იკრძალება, რის გამოც საზოგადოებრივი ურთიერთობა, რომელიც შეიძლება ხელყოფილ იქნეს ანტისაზოგადოებრივი ქმედებით, უკვე დაცული ხდება სისხლის სამართლის კანონით და ამდენად ეს ურთიერთობა უკვე „სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტს“ წარმოადგენს. მით უფრო, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის პირველი მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, „ამ კოდექსის მიზანია დანაშაულებრივი ხელყოფის თავიდან აცილება და მართლწესრიგის დაცვა.“ აქედან გამომდინარე, შეიძლება ითქვას, რომ სისხლის სამართლის კანონის ძალაში შესვლის მომენტიდან სახელმწიფოსა და პიროვნებას შორის, მათ შორის, ზოგიერთი კატეგორიის (როგორც წესი, კერძო სამართლის) იურიდიული პირის ფორმაშიც, დანაშაულთა თავიდან აცილების გამო წარმოიქმნება სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა, რომელიც სახელმწიფოს წინაშე ამ სუბიექტების პოზიტიური პასუხისმგებლობის გამოხატვის იურიდიულ ფორმას წარმოადგენს.

ამრიგად, არსებობს სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი, რომელსაც ხელყოფს დანაშაული. მეორენაირად რომ ვთქვათ, „დანაშაულის ობიექტის„ ტრადიციულ ცნებას წინ უსწრებს სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტის ცნება. აქედან გამომდინარე, დგება საკითხი იმის თაობაზე, თუ რაა ორგანიზებული დანაშაულის ობიექტი? საკითხის ასეთი დასმაც კი მეტყველებს, რომ ორგანიზებული დანაშაული, ასე აბსტრაქტულად და ზოგადად გაუგებარია, თუ

არ გავამახვილეთ ყურადღება ორგანიზებული დანაშაულის გამოვლენის ფორმებზე. საქართველოს სინამდვილეში ორგანიზებული დანაშაული ვლინდებოდა „კანონიერი ქურდების„ გაერთიანებით, ტრეფიკინგით, ფულის გათეთრებით, რომელიც სუსტდება და ტერორიზმის ფორმაში. გასაგებია, რომ ორგანიზებული დანაშაულის ამ ფორმებიდან ერთი მათგანი უშუალოდ ხელყოფს საზოგადოებრივ წესრიგს (ქურდული სამყაროს წევრობა, კანონიერი ქურდობა (სსკ-ის 223[1]-ე მუხლი); ტრეფიკინგი (სსკ-ის 143[1]-ე მუხლი) უშუალოდ ხელყოფს ადამიანის უფლებას, მის თავისუფლებას და ღირსებას. ფულის გათეთრება ხელყოფს არაერთ ინტერესს, მაგრამ განსაკუთრებით — თანასწორობას სამეურნეო საქმიანობის სფეროში, ხოლო ტერორიზმი — საზოგადოებისა და სახელმწიფოს უსაფრთხოების საფუძვლებს.[42]

ამრიგად, ორგანიზებული დანაშაულის ხელყოფის ობიექტის პრობლემა აშკარად ავლენს სისხლისსამართლებრივი დაცვის იმ ობიექტს, რომელსაც კანონმდებელი ამა თუ იმ ქმედების კრიმინალიზაციის დროს იღებს მხედველობაში. ამიტომ რუსეთის სისხლისსამართლებრივი აზრის მცდელობა, ორგანიზებული დანაშაული წარმოადგინოს ზოგადად, მისი გამოვლენის კონკრეტული ფორმების გარეშე, სწორად და ეფექტურად ვერ ჩაითვლება და მეტად შორსაა დანაშაულის ჩადენის იმ მექანიზმისგან, რომლის შესახებ ჩვენ ჯერ კიდევ 2000 წელს გამოქვეყნებულ ნაშრომში აღვნიშნეთ.[43] ამ ნაშრომში, შეძლებისდაგვარად, ვასაბუთებდით იმ დებულებას, რომ დანაშაულის ჩადენა ზოგადად და როგორც ასეთი, კი არ ხდება, არამედ ამა თუ იმ დანაშაულებრივი ქმედების შემადგენლობის განხორციელების გზით. ამდენად, არსე-

---

[42] გ. გორაშვილი, ეთნიკურ-სეპარატისტული ტერორიზმის განვითარების საფრთხეები საქრთველოში და მისი პროფილაქტიკის გზები, თბ., 2010.

[43] გ. ნაჭყებია, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია, თბ., 2000.

ბობს ორგანიზებული დანაშაულის გამოვლენის კონკრეტული ფორმები, ხოლო ამ ფორმებს შემადგენლობის უფრო კონკრეტული სახეობა ახასიათებს.

მოკლედ შევეხებით ორგანიზებული დანაშაულის სუბიექტების საკითხსაც. მხედველობაში გვაქვს „დანაშაულობის" კრიმინოლოგიური ცნება, როცა სახეზეა ამ დანაშაულობის ფაქტობრივად ჩამდენი პირები, იმის მიუხედავად, იურიდიულად დადასტურდა თუ არა ამ პირების მიერ ამ ტიპის დანაშაულის ჩადენა. საქმე ეხება კანონიერ ქურდებს, რეკეტიორებს, ტრეფიკინგის სფეროში მოსაქმეებს, ფულის გამთეთრებლებს, ტერორისტებს და სხვა. ცხადია, ორგანიზებული დანაშაულობის სუბიექტებში ხშირია ბიზნესის კანონიერი ფორმების მიღმა არსებული საქმოსნების უკანონო საქმიანობა, წინათ ნასამართლები პირების თავმოყრა ორგანიზებული დანაშაულობის ჩასადენად და სხვა.

ამ პოზიციიდან დგება საკითხი ორგანიზებული დანაშაულის ობიექტური მხარის, ანუ, ობიექტური შემადგენლობის პრობლემაც. როგორც ცნობილია, ნების გარეგანი აქტის გარეშე არანაირი დანაშაული არ არსებობს, მაგრამ შემჩნეულია, რომ ამ მხრივ ორგანიზებულ დანაშაულს გარკვეული თავისებურება ახასიათებს. ამასთან დაკავშირებით მეტად საინტერესოა სამართლის დოქტორის გ. თოდრიას სტატია, რომელიც ორგანიზებული დანაშაულის ცნებასა და შემადგენლობას შეეხება. კერძოდ, ავტორი მიმოიხილავს შეხედულებებს ორგანიზებული დანაშაულის შესახებ, ყურადღებას ამახვილებს სისხლის სამართლის თეორიაში გაბატონებულ დებულებაზე, რომ დანაშაული ნების გარეგანი აქტია. მაგრამ საინტერესოა, საკმარისია თუ არა ეს დებულება ორგანიზებული დანაშაულის მიმართ. ავტორი მხედველობაში იღებს ზოგიერთი რუსი კრიმინალისტის მოსაზრებას, რომ ორგანიზებული დანაშაულის ცნებას და ფორმებს, ობიექტური მხრივ, შეესაბამება არა ქმედების ტრადიციული გაგება, არ-

ამედ დანაშაულებრივი საქმიანობის ცნება, ხოლო საქმიანობის კრიმინოლოგიური გაგება გულისხმობს ამ საქმიანობის სუბიექტურ მხარესაც. ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, „საჭიროა ორგანიზებული დანაშაულის ისეთი კონსტრუქციის შემოღება, სადაც სუბიექტური ელემენტი (მიზანი) წარმოადგენს უმართლობის განმსაზღვრელ ნიშანს."[44]

ვფიქრობთ, კრიმინოლოგიური თვალსაზრისით საკითხი სწორადაა დასმული, რადგან ორგანიზებული დანაშაულობის ფორმაში საქმე მართლაც შეეხება არა მხოლოდ ქმედებას, როგორც ნების გარეგან აქტს, რომელიც სისხლის სამართლის სფეროში კანონიერების საგარანტიო ფუნქციას გამოხატავს, არამედ ორი ან მეტი პირის ერთობლივ დანაშაულებრივ საქმიანობას, რომელიც გარკვეული სუბიექტური ელემენტის გარეშე მართლაც წარმოუდგენელია. აქ უკვე ფსიქოლოგია, ქცევის ტრადიციული ცნებითა და მისი ფორმებით, საკმარისი არაა და პრობლემა სოციალურ ურთიერთობათა სფეროში გადადის. ერთის მხრივ, საქმე შეეხება სახელმწიფოსა და პიროვნების სისხლისსამართლებრივ ურთიერთობას, რომელიც დანაშაულთა თავიდან აცილების მიზანს ემსახურება, ხოლო მეორე მხრივ, ურთიერთობას ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებს შორის, აგრეთვე ურთიერთობას დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებსა და ჩვეულებრივ მოქალაქეებს შორის, რადგან, ეს უკანასკნელნი, როგორც წესი, დანაშაულის მსხვერპლის როლში გამოდიან.

ამრიგად, მას შემდეგ, რაც სახელმწიფომ აკრძალა ორგანიზებული დანაშაულის ისეთი ფორმები, როგორებიცაა: ტრეფიკინგი, ქურდული სამყაროს წევრობა, კანონიერი ქურდობა, ფულის გათეთრება და სხვა. ამ დანაშაულთა ჩამდენი ყველა შესაძლო პირი ხდება ვალდებული, მოქმედებდეს მართლ-

[44] გ. თოდრია, დანაშაულობის ორგანიზებული ფორმირების ზოგიერთი საკითხი, პარლამენტის მრჩეველთა დამოუკიდებელი საბჭოს უწყებანი, სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი, 1997, № 3, გვ. 1-2.

ზომიერად და ქმნიდეს მართლწესრიგს, მაგრამ საქმე ისაა, რომ მართლზომიერი ქმედების ჩასადენად მართლზომიერი ქმედების ვალდებულების შეგნება საკმარისი არაა. საჭიროა, რომ სუბიექტი მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას მოეკიდოს პასუხისმგებლობით, ესე იგი ამ ვალდებულების აღსრულების შინაგანი განწყობით. ეს იმას ნიშნავს, რომ სახელმწიფოს წინაშე პოზიტიური პასუხისმგებლობის იდეა ქმნის სახელმწიფოსა და მოქალაქის ურთიერთობის იდეას, რადგან პოზიტიური პასუხისმგებლობა დანაშაულთა თავიდან აცილების გამო წარმოშობილი სისხლისსამართლებრივი ურთიერთობის ფორმაში ვლინდება. ამდენად, სისხლის სამართლის სუბიექტი, მათ შორის, იურიდიული პირის ფორმაში, ვალდებულია მოქმედებდეს მართლზომიერად და მოწოდებულია ამ ვალდებულებას მოეკიდოს პასუხისმგებლობით.

სამწუხაროდ, საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკა ადასტურებს, რომ რიგი ადამიანებისა არღვევენ მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას და, მაშასადამე, მოქმედებენ მართლსაწინააღმდეგოდ. მაგრამ ქმედების მართლწინააღმდეგობა დანაშაულის გერმანული მოდელის მიხედვით, რომელიც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველ ნაწილშია გამოხატული, დანაშაულის მეორე ელემენტია. დანაშაულის მესამე ელემენტს კი ბრალი წარმოადგენს. სამწუხაროდ, ბრალის პრობლემა საკმაოდ აბნეულია და ამ თემაზე ამჯერად დისკუსიას ვერ გავმართავთ. მოკლედ აღვნიშნავთ, რომ ბრალის ფსიქოლოგიური თეორია, როგორც ქმედებისა და მისი შედეგებისადმი სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულება, ბრალს ფსიქოლოგიაში ეძებს, მაშინ, როცა ბრალი ქმედების მართლწინააღმდეგობის გარეშე შეუძლებელია, ხოლო მართლწინააღმდეგობა, ცხადია, ფსიქოლოგიურ ცნებასა და პრობლემას არ წარმოადგენს. მით უფრო შეუძლებელია ორგანიზებული დანაშაულის პრობლემა მართებულად აიხსნას ბრალის ფსიქოლოგიური თეორიის საფუძველზე, რადგან, სხვას რომ თავი დავანებოთ,

ქმედებისა და მისი შედეგებისადმი სუბიექტის ფსიქიკურ დამოკიდებულებას არც გაუფრთხილებლობაა მოწყვეტილი, ხოლო ორგანიზებული დანაშაული ბრალის მხოლოდ განზრახი ფორმით ხორციელდება.

ბრალის ნორმატივისტული თეორია, რომელიც, როგორც წესი, გაბატონებულია გერმანულ ლიტერატურაში, გულისხმობს წმინდა შეფასებას, გაკიცხვას თუ გასაკიცხობას, მაშინ, როცა ბრალი სუბიექტის გაკიცხვის საფუძველია. ამ პოზიციიდან უფრო მართებულად გვეჩვენება ბრალის წარმოჩენა სოციალური ფილოსოფიის კატეგორიად, როცა ბრალი გაგებულია პასუხისმგებლობის პოზიტიური და ნეგატიური ასპექტების კავშირის ფორმად. კერძოდ, ადამიანის პიროვნება მოწოდებულია, თავის ნორმატიულ მოვალეობას მოეკიდოს პასუხისმგებლურად, მაგრამ, სამწუხაროდ, ის იშვიათად არ მოქმედებს უპასუხისმგებლოდ, ანუ, ბრალეულად, ხოლო ეს უპასუხისმგებლობა ნეგატიური პასუხისმგებლობის საფუძველია. ბრალი არის სოციალური ფილოსოფიის კატეგორია,[45] ხოლო სისხლის სამართლის სფეროში იგი შეიძლება განისაზღვროს, როგორც მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, რომელიც სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენით გამოიხატება.

ბრალის ფორმებად ტრადიციულად ითვლება განზრახვა და გაუფრთხილებლობა. განზრახვა არის სახელმწიფოს წინაშე სუბიექტზე დაკისრებული პოზიტიური პასუხისმგებლობის შეგნებული უარყოფა, ხოლო გაუფრთხილებლობა, ამ პასუხისმგებლობის უგულებელყოფას წარმოადგენს. საქმე ისაა, რომ პოზიტიური პასუხისმგებლობა, ანუ ნორმატიულად დადგენილი მოვალეობისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულება შეიძლება იყოს კოლექტიური, ესე იგი, შესაძლებელია, რომ ამ მოვალეობას, ორი ან მეტი პირი, ერთობლივი

[45] უფრო დაწრილებით იხ. გ. ნაჭყებია, ბრალი როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია, თბ., 2001.

საქმიანობის დროს, მოეკიდოს პასუხისმგებლობით. აქედან გამომდინარე, ლოგიკურია დასკვნაც, რომ ორი ან მეტი პირი, ერთობლივი საქმიანობის დროს, შეიძლება მოიქცეს უპასუხისმგებლოდ, ანუ ბრალეულად.

თუ მხედველობაში მივიღებთ იმ გარემოებას, რომ გაუფრთხილებლობა წინდახედულობის ნორმის საფუძველზე საბუთდება, ხოლო წინდახედულობის ნორმის მოთხოვნებისადმი დამოკიდებულება მკაცრად პერსონალურია, მაშინ გასაგებია, რომ ორი ან მეტი პირის ერთობლივი გაუფრთხილებელი მოქმედება შეუძლებელია. ამ სფეროში, როგორც პრაქტიკა ადასტურებს, ორი ან მეტი პირის ერთობლივი ქმედებისას, ერთმა შეიძლება მშვენივრად შეიგნოს მისი ქმედების ხასიათი, გაითვალისწინოს ამ ქმედების მოსალოდნელი შედეგები, ხოლო მეორემ, რომელიც პირველთან ერთად საქმიანობს, შეიძლება ყურადღება სხვა რამეზე გადაიტანოს. ამიტომაა, რომ შესაძლებელია ე. წ. შუალობითი ამსრულებლობა, როცა ერთი პირი იყენებს მეორის უყურადღებობას, რათა მას დანაშაული გაუფრთხილებლობით ჩაადენინოს. აქედან გამომდინარეობს, რომ ორი ან მეტი პირის ერთობლივი საქმიანობა შეიძლება მხოლოდ განზრახ, როცა შეგნებულია როგორც ქმედება, ისე მისი შესაძლო შედეგები, აგრეთვე საქმეში მონაწილე პირები.

ერთი სიტყვით, დანაშაულში თანამონაწილეობა, მათ შორის, ორგანიზებულ დანაშაულში, ხდება ბრალის მხოლოდ განზრახი ფორმის საფუძველზე. ორი ან მეტი პირის ერთობლივი დანაშაულებრივი საქმიანობისას აშკარაა, რომ შეგნებულადაა უარყოფილი სახელმწიფოს წინაშე თითოეული მათგანის პოზიტიური პასუხისმგებლობა, რაც მათი თანაბრალეულობის (ესე იგი, თანაუპასუხისმგებლობის) საფუძველია. შემთხვევითი არაა, რომ ორი ან მეტი პირის ერთობლივი დანაშაულებრივი ქმედებისას „თანამზრახველის„ ცნებას ხშირად იყენებენ, რაც „თანაბრალეულობის„ სინონიმია.

გასაგებია, რომ თანაბრალეულობის ცნება კი არ გამორიცხავს, არამედ პირიქით, გულისხმობს ერთიანი თანაბრალეულობის ფარგლებში ჯგუფის ყოველი წევრის ბრალის განსხვავებულ ხასიათსა და ხარისხს, რაც იმაზეა დამოკიდებული, თუ რა როლს და რა ინტენსივობით ასრულებს იგი მას. მაშასადამე, ბრალის განზრახი ფორმა არ გამორიცხავს თანაბრალეულობას, თუმცა, განსხვავებული ხასიათითა და ხარისხით, ხოლო ნეგატიური პასუხისმგებლობა მკაცრად პერსონალურია და ემყარება როგორც ქმედების, ისე მოქმედის ერთიანობას.

§ 9. ორგანიზებული დანაშაულის სისხლისსამართლებრივი ასპექტები

ორგანიზებული დანაშაულის კრიმინოლოგიური ნიშნები საკმაო სისრულით განვიხილეთ, თუმცა არაა გამორიცხული, რომ საკითხი, ამ მხრივ, კიდევ უფრო დაზუსტდეს. მაგალითად, ორგანიზებული დანაშაულის პრობლემატიკაში საინტერესო იქნებოდა არა მარტო მიზეზობრივი კავშირის თავისებურება (მაგალითად, თუ როგორ კვებავს ორგანიზებულ დანაშაულს კორუფცია), არამედ ე. წ. ფუნქციური კავშირიც, რადგან, ჯერ ერთი, ორგანიზებულ დანაშაულს თავისი ფუნქცია აქვს, და მეორეც, ორგანიზებული დანაშაულობის წევრებსაც გააჩნიათ თავიანთი კრიმინალური ფუნქციები, რაც მათი ქმედების კვალიფიკაციისთვის მეტად არსებითია. მოკლედ განვიხილოთ ორგანიზებული დანაშაულის სისხლისსამართლებრივი ასპექტები. საკითხი ეხება ორგანიზებული დანაშაულის ცნებასა და ნიშნებს რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით.

ამ მხრივ ყურადღებას იქცევს რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 35-ე მუხლი, რომელშიც გათვალიწინებულია დანაშაულის ჩადენა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმების გარეშე, წინასწარი შეთახმებით, ორგანიზებუ-

ლი ჯგუფის ანუ დანაშაულებრივი ორგანიზაციის მიერ.

ამ მუხლის მესამე ნაწილის თანახმად, დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილად ჩაითვლება, თუ ის ჩადენილია ერთი ან მეტი დანაშაულის ჩასადენად წინასწარ გაერთიანებულ პირთა მყარი ჯგუფის მიერ. ამ დებულების საფუძველზე საკმაოდ ძნელია ერთმანეთისგან გავმიჯნოთ დანაშაულის ჩადენა პირთა ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით და ორგანიზებული ჯგუფი, რომელიც თავისი ორგანიზებულობის ხასიათისა და ხარისხით აღემატება პირთა ჩვეულებრივ გაერთიანებას. ამ საკითხზე სწორადაა გამახვილებული ყურადღება ერთ-ერთ ნაშრომში, რომელიც ორგანიზებული დანაშაულის პრობლემებს ეძღვნება.[46] ამ კრებულში საინტერესოა მ. მინენოკის სტატია, რომელშიც ორგანიზებული დანაშაულის სისხლისსამართლებრივი პრობლემებია განხილული. ავტორი მართებულად აქცევს ყურადღებას იმ გარემოებას, რომ რუსეთის 1996 წლის 24 მაისის სისხლის სამართლის კოდექსის 35-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფისა და ორგანიზებული ჯგუფის გამიჯვნა ძნელია. მისი აზრით, აქ გამიჯვნის მთავარი კრიტერიუმი არის სიმყარე, მაგრამ რუსი კანონმდებელი, ავტორის აზრით, ამ ტერმინს არ განმარტავს. ავტორი იმოწმებს რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში საკმაოდ გავრცელებულ მტკიცებას, რომ წინასწარი შეთანხმებით პირთა ჯგუფისა და ორგანიზებული ჯგუფის მთავარი განმასხვავებელი ნიშანი ისაა, რომ ამ უკანასკნელ შემთხვევაში არსებობს ჯგუფის ორგანიზატორი ან ხელმძღვანელი. ორგანიზატორი ქმნის ჯგუფს, არჩევს ჯგუფის წევრებს, ანაწილებს მათ შორის როლებს, ხოლო ხელმძღვანელი უზრუნველყოფს ჯგუფის მოქმედებას მთლიანობაში (მაგალითად, ლ. გაუხმანის მოსაზრება).

---

[46] Организованная преступность: уголовно-правовые и криминологические проблемы, Сборник научных трудов, Калининград, 1999.

ჩვენი აზრით, მ. მინენოკი სწორად აღნიშნავს, რომ ორგანიზატორი ან ხელმძღვანელი არაა გამორიცხული წინასწარი შეთანხმებით მოქმედი ჯგუფური დანაშაულის დროსაც კი, როცა ჯგუფის რომელიმე წევრი თავის თავზე იღებს ჯგუფის ორგანიზატორის ან ხელმძღვანელის ფუნქციას. უფრო მეტიც, აღნიშნული ავტორი აკრიტიკებს მკვლელობის საქმეებზე რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოს პლენუმის 1999 წლის 27 იანვრის დადგენილებას, რომელშიც ორგანიზებული ჯგუფი განმარტებულია როგორც ორი ან მეტი პირის მიერ შემდგარი ორგანიზებული ჯგუფი, რომელიც ერთი ან მეტი პირის მკვლელობის განზრახვით შეიქმნა.

ავტორი სწორად განმარტავს, რომ ამ დადგენილებაში წინასწარი შეთანხებით პირთა ჯგუფი არაფრითაა გამიჯნული ორგანიზებული ჯგუფისგან, რადგან ძნელი დასაჯერებელია, რომ შედგეს წინასწარი შეთანხმება ორ ან მეტ პირთა შორის დანაშაულის ჩასადენად და იგი მოკლებული იყოს დანაშაულის ჩადენისთვის აუცილებელ მომენტებს: საქმიანობის დაგეგმვას, მონაწილეთა შორის როლების განაწილებას და სხვა ისეთ მხარეს, რომელიც ამ საქმიანობას გარკვეული წესრიგის ფორმას აძლევს. ორგანიზებული დანაშაული კი, არსებითად სხვაა, ვიდრე პირთა ჯგუფის წევრთა ჩვეულებრივი კავშირი. მით უფრო, რომ ორგანიზებული დანაშაული – ეს არის ორგანიზებული ჯგუფებისა და დანაშაულებრივი ორგანიზაციების გართიანება.

სტატიების ამ კრებულში მოთავსებულია ი. სუჩკოვისა და ვ. ფალაევის ერთობლივი სტატია, რომელშიც განხილულია ჯგუფური დანაშაულისა და ორგანიზებული დანაშაულის გამიჯვნის კრიტერიუმები. მათი აზრით, ამ გამიჯვნის კრიტერიუმი არ შეიძლება იყოს ტერმინი „Сплоченность," (შემჭიდროება, დარაზმულობა), რადგან ეს უკანასკნელი დამახასიათებელია იმ ჯგუფისთვისაც, რომელიც წანასწარი შეთანხმების წესით მოქმედებს.

მათი აზრით, ორგანიზებული ჯგუფისაგან დანაშაულებრივი გაერთიანება სამი ნიშნით განსხვავდება. პირველი ამ მხრივ არის განსაკუთრებული სიმყარე, დისციპლინურობა, მკაცრი გეგმიანობა დანაშაულებრივი ჩანაფიქრის განხორციელებაში; დანაშაულებრივ ორგანიზაციაში რამდენიმე ორგანიზებული ჯგუფის არსებობა; მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის ნათლად გამოკვეთილი მიზანი. ამასთან, პირველი ან მეორე ნიშნის აუცილებელი შერწყმა მესამესთნ (ისე იგი, მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის მიზანთან) ქმნის დანაშაულებრივი გაერთიანების ცნებას. გარდა ამისა, აქ საყურადღებოა ის გარემოება, რომ მკვეთრადაა ხაზგასმული დანაშაულებრივი გაერთიანების ისეთი ნიშნები, როგორიცაა: დარაზმულობა, სიმყარე, თანამონაწილეთა შორის რთული სტრუქტურული კავშირურთიერთობა, მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის ნათლად გამოკვეთილი მიზანი, დანაშაულებრივი საქმიანობა შედარებით ხანგრძლივი დროის განმავლობაში ისე, რომ საქმე ეხება დანაშაულებრივი ცხოვრების წესის გზით მუდმივი შემოსავლის მიღებას.

მაგრამ საქმე ისაა, რომ რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 35-ე მუხლში 2009 წლის 16 ოქტომბერს შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილება-დამატება. კერძოდ, აღნიშნული მუხლის მე-4 ნაწილში გათვალიწინებულ იქნა ორგანიზებული დანაშაულის (დანაშაულებრივი გაერთიანების // დანაშაულებრივი ორგანიზაციის) ახალი ცნება. აქ ნათქვამია: „დანაშაული დანაშაულებრივი გაერთიანების (დანაშაულებრივი ორგანიზაციის) მიერ ჩადენილად ჩაითვლება, თუ ის ჩადენილია სტრუქტურული ჯგუფის ან გაერთიანებული ორგანიზებული ჯგუფების მიერ, რომლებიც მოქმედებენ ერთიანი ხელმძღვანელობის ქვეშ, რომელთა წევრები გაერთიანებული არიან ერთი ან რამდენიმე მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის მიზნით, პირდაპირ ან არაპირდაპირ ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის მისაღებად.“

როგორც ჩანს, ორგანიზებული დანაშაულის აღნიშნული ცნება ნასესხებია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს 2000 წლის 12 დეკემბრის კონვენციდან.

რუსეთის ამჟამად მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 35-ე მუხლში აღნიშნული ცვლილების შეტანა წინგადადგმული ნაბიჯია კოდექსის ამ მუხლის ძველ რედაქციასთან შედარებით, რადგან ადრინდელ რედაქციაში აშკარად არ იყო გამოკვეთილი ის განსხვავება, რაც არსებობს წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მოქმედებასა და ორგანიზებული ჯგუფის მოქმედებას შორის. მაგრამ საკმარისია თუ არა ორგანიზებული დანაშაულის ეს ახალი ცნება მასში ნაგულისხმები ამ დიდი ბოროტების წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში? ვიდრე ამ კითხვაზე მოკლედ მაინც ვუპასუხებდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია იმ ფაქტის აღნიშვნა, რომ ორგანიზებული დანაშაულის ეს ახალი ცნება, თავის მხრივ, თურმე ნასესხებია რუსეთის ფედერაციის უზენაესი სასამართლოს პლენუმის 2008 წლის 10 ივნისის დადგენილებიდან, რომელშიც ნათქვამი იყო, რომ დანაშაულებრივ გაერთიანებად (დანაშაულებრივ ორგანიზაციად) შეიძლება ჩაითვალოს ან სტრუქტურულად გაფორმებული დანაშაულებრივი ჯგუფი, ან ორგანიზატორების, ხელმძღვანელების ან ორგანიზებული ჯგუფების წარმომადგენელთა გაერთიანება.

ამ მსჯელობებში ორგანიზებული დანაშაულის ერთ-ერთ ძირითად ნიშნად მიჩნეულია ამ ტიპის დანაშაულის სტრუქტურული დაყოფა. მით უფრო, რომ ორგანიზებული დანაშაულის ცნებაში ჯგუფის სტრუქტურულ დაყოფაზე ყურადღებას ქართველი კანონმდებელიც ამახვილებს (იხ. სსკ-ის 27-ე მუხლის მე-3 ნაწილი).

გასაგებია, რომ გარკვეული სტრუქტურის მქონე ორგანიზებული ჯგუფი უკვე არ აგვერევა წინასწარი შეთახმებით

მოქმედ, შედარებით მარტივ ჯგუფში. მაგრამ სიძნელე ისაა, რომ გარკვეული სტრუქტურის მქონე დანაშაულებრივი კავშირი დამახასიათებელია რუსული ყოფისა და ტრადიციისთვის, როცა საქმე შეეხება დიდი მასშტაბის დანაშაულებრივ გაერთიანებას (დანაშაულებრივ ორგანიზაციას), ხოლო საქართველოს პირობებში ამგვარი დიდი მასშტაბის ორგანიზებული დანაშაული ტიპური ვერ იქნება. მით უფრო, რომ ამ ბოლო ხანებში ორგანიზებული დანაშაულის ტრადიციული ფორმები აშკარად მცირდება. ცხადია, ეს არ ნიშნავს იმ ნაადრევ დასკვნას, რომ ორგანიზებულ დანაშულთან ბრძოლა საქართველოში თითქოს აქტუალური არაა.

ამრიგად, ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფში სტრუქტურული დანაყოფი დიდი მასშტაბის დანაშაულებრივი გაერთიანებისთვისაა დამახასითებელი, რადგან ეს ქვესტრუქტურა უკვე შეფარდებით დამოუკიდებელია; მას თავისი კონკრეტული ხელმძღვანელიც შეიძლება ჰყავდეს, თუმცა, ეს სტრუქტურული რგოლი მაინც დანაშაულებრივი გაერთიანების სისტემაში მოიაზრება. მიუხედავად ამისა, მაინც დგას ის პრობლემა, თუ რა ხასიათისაა ეს სტრუქტურული დანაყოფი. ამ თვალსაზრისით საინტერესოა ა. მონდახონოვის მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა შეფასდეს ეს სტრუქტურული ჯგუფი სიხლისსამართლებრივი თვალსაზრისით. ავტორი აღნიშნავს, რომ დანაშაულებრივი ორგანიზაციის ეს სტრუქტურული დანაყოფი შეიძლება იყოს დანაშაულში თანამონაწილეობის კანონით დადგენილი ფორმა, და, ამავე დროს, იგი შეიძლება განხილულ იქნეს როგორც ჯგუფი, წინასწარი შეთანხმებით, ან როგორც ბანდა. აქედან გამომდინარე, ავტორი საბოლოოდ ასკვნის, რომ რუსეთის სასამართლო-საგამოძიებო პრაქტიკაში ნათელი არაა ის კრიტერიუმი, ეკუთვნის თუ არა ეს სტრუქტურული ორგანიზაცია დანაშაულში თანამონაწილეობის რომელიმე ფორმას.[47]

[47] А. Мондохонов, Вопросы уголовной ответственности за организацию преступного сообщества (преступной организации), „Уголовное право“, 2010, № 2, стр. 52.

ავტორი აღნიშნავს, რომ ორგანიზებული დანაშაულის (დანაშაულებრივი გაერთიანების (დანაშაულებრივი ორგანიზაციის) სტრუქტურული დანაყოფი, როგორიცაა, მაგალითად, „ბრიგადა,„ „რგოლი„ დასხვა, უნდა ხასიათდებოდეს ორგანიზებულობის ნიშნებით, რამდენადაც ისინი მოქმედებენ დიდი დანაშაულებრივი გაერთიანებების ინტერესებში. აქედან ავტორი ასკვნის, რომ ორგანიზებული დანაშაული (დანაშაულებრივი გაერთიანება // დანაშაულებრივი ორგანიზაცია) თავის თავში უნდა აერთიანებდეს მინიმუმ ორ სტრუქტურულ რგოლს, მინიმუმ ორი წევრის შემადგენლობით.[48] (თუმცა, გაეროს ზემოთდასახელებულ კონვენციაში, ორგანიზებული დანაშაულის ქვესტრუქტურა მინიმალურად სამი წევრით განისაზღვრება). ეს უკანასკნელი მოსაზრება უფრო სწორია, რადგან ამ შემთხვევაში რაოდენობრივი მხარე თვისებრივ მხარეში გადადის.

დასახელებული ავტორი აქ ამოდის დანაშაულში თანამონაწილეობის ცნებიდან და ფორმებიდან, მაშინ, როცა ორგანიზებული დანაშაული და დანაშაულში თანამონაწილეობა, როგორც უკვე იყო ნათქვამი, ერთმანეთს არ ემთხვევა.

§ 10. ორგანიზებული დანაშაული და დანაშაულში თანამონაწილეობის პრობლემა

მთელი რიგი დანაშაული საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ (მაგალითად, ბანდიტიზმი, მასობრივი არეულობა და სხვა) – ორი ან მეტი პირის მონაწილეობის გარეშე ჩადენილი ვერ იქნება. ამ თვალსაზრისით უკვე აღვნიშნეთ, რომ ამ ტიპის დანაშაული აუცილებელი თანამონაწილეობის ფორმით ხორციელდება. მაგრამ აქ სახეზეა დანაშაულში ე. წ. „ფაქტობრივი" მონაწილეობა, მაგრამ არა იურიდიული თვალსაზრისით, რადგან იურიდიულად დანაშაულში თანამონაწილეობას

[48] А. Мондохонов, Вопросы уголовной ответственности за организацию преступного сообщества (преступной организации), „Уголовное право", 2010, № 2, стр. 53.

მისი სპეციფიკური გამოვლენის ფორმები აქვს. კერძოდ, ამ მხრივ პირველია დანაშაულში თანამონაწილეობა როლების განაწილებით (ორგანიზატორი, წამქეზებელი ან დამხმარე), ხოლო უკვე დასახელებული აუცილებელი თანამონაწილეობის ფორმებში როლების ამგვარი განაწილება გამორიცხულია.

საფიქრებელია, რომ აუცილებელი თანამონაწილეობის ფორმებში სახეზეა თანაამსრულებლობა, მაგრამ სინამდვილეში ამ ფორმებში იგულისხმება ჯგუფის ორგანიზატორი, ხელმძღვანელი და დანარჩენი რიგითი წევრები, ხოლო თანაამსრულებლობა ამ მიმართებით წარმოქმნილ თავისებურებას ვერ ამოწურავს.

რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში ცნობილია დანაშაულებრივი დაჯგუფების ცნება, რომელსაც ერთ-ერთი ფორმის სახით განაკუთვნებენ „ბანდას."[49] ეს უკანასკნელი ტიპური თანამონაწილეობის ფორმას არ წარმოადგენს. ამაზე მეტყველებს საქართველოს სისხლის სამართლის კერძო ნაწილის სახელმძღვანელოში განვითარებული მსჯელობაც. კერძოდ, აქ ნათქვამია, რომ „თავდასხმაში მონაწილე შეიძლება იყოს ის პირიც, ვინც არაა ბანდის წევრი, მაგრამ იცის, რომ ხელს უწყობს ბანდიტური თავდასხმის განხორციელებას. მაგალითად, ბანკის თანამშრომელმა, ბანდასთან შეთანხმებით, გამორთო სიგნალიზაცია, რათა ბანდას გაადვილებოდა თავდასხმის მოწყობა ბანკზე, ანდა იგივე თანამშრომელი უშუალოდ მონაწილეობს ბანდის მიერ მოწყობილ თავდასხმაში."[50] ცხადია, ვინც ბანდის წევრი არაა, ის არ შეიძლება პასუხს აგებდეს სსკ-ის 224-ე მუხლის პირველი ნაწილით. ამიტომ ის, ვინც სიგნალიზაცია გამორთო, რათა ბანდას გაადვილებოდა ბანკზე თავდასახმა, არის დამხმარე, ხოლო, თუ პირი, რომელიც ბანდის წევრი არ იყო, მაგრამ უშუალოდ მონაწილეობდა ბანდის მიერ მოწყობილ თავდასხმაში, პასუხს აგებს 224-ე

[49] Уголовное право, Общая часть, М., 2004, стр. 254.

[50] სიხლის სამართლის კერძო ნაწილი, რედ. გ. ტყეშელიაძე, ტომი I, თბ., 2005, გვ. 424.

მუხლის მეორე ნაწილით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში სახეზეა თანაამსრულებლობა, თუმცა ეს უკანასკნელი მაინც არ ემთხვევა დანაშაულში თანამონაწილეობის იმ ფორმას, რომელიც თანამონაწილეობის ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს.

რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის 1996 წლის კომენტარებში განხილულია უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა ან მასში მონაწილეობა, როგორც ორგანიზატორული ფუნქციის კომპლექსი,[51] მაგრამ გაუგებარია, ეს ორგანიზატორული ფუნქცია ნიშნავს თუ არა მასში წამქეზებლისა და დამხმარის მონაწილეობასაც. დიდი დაფიქრება არაა საჭირო ამ კითხვაზე უარყოფითი პასუხის გასაცემად, რადგან აქ „ორგანიზატორი," ნიშნავს არა დანაშაულში თანამონაწილეს, როგორც ეს დანაშაულში თანამონაწილეობის იურიდიულ პრობლემატიკაშია, არამედ შეიარაღებული ორგანიზაციის შემქნელს, რომელიც დანაშაულში ფაქტობრივად მონაწილეობს, რამდენადაც შეიარაღებული ფორმირების შექმნა ორი ამ მეტი პირის ერთობლივი მოქმედების გარეშე შეუძლებელია. აქ, როგორც ჩანს, ვლინდება ფაქტობრივისა და იურიდიულის თანაფარდობის მეთოდოლოგია, როცა ფაქტობრივად ერთი მდგომარეობა, იურიდიულად ნიშნავს მეორეს. მაგალითად, დანაშაულის პროვოკაციისას (სსკ-ის 145-ე მუხლი), ფაქტობრივად, წამქეზებელი იურიდიულად პროვოკაციის ამსრულებელია და მის მიზანს პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა წარმოადგენს. როგორც ჩანს, აქ დანაშაულის ჩასადენად დაყოლიება, ანუ წაქეზება, იურიდიულად წაქეზებას რომ ნიშნავდეს, მაშინ პროვოკატორი იქნებოდა თანამონაწილე იმ დანაშაულისა, რომლის პროვოცირებას იგი ცდილობს, მაშინ, როცა აქ დანაშაულში თანამონაწილეობა შეუძლებელია.

ამრიგად, აუცილებელი თანამონაწილეობის ფორმები, რო-

[51] Комментарий к Уголовному кодексу Российской Федерации, М., 1996, стр. 373.

გორიცაა: უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა ან ხელმძღვანელობა, ან მასში მონაწილეობა (სსკ-ის 223-ე მუხლი); ქურდული სამყაროს წევრობა, კანონიერი ქურდობა (სსკ-ის 223[1]-ე მუხლი); ბანდიტიზმი (სსკ-ის 224-ე მუხლი); რეკეტულ დაჯგუფებაში მონაწილოება (სსკ 224[1]-ე მუხლი); მასობრივი არეულობა (სსკი-ის 225-ე მუხლი); ჯგუფური მოქმედების ორგანიზება (სსკ-ის 226-ე მუხლი) — იურიდიულად თანამონაწილეობის ფორმებს არ წარმოადგენენ. ისინი ხელყოფენ საზოგადოებრივ წესრიგს, მაშინ, როცა დანაშაულში თანამონაწილეობა ხელყოფის ობიექტის მიხედვით ამგვარად შეზღუდული არაა. იგი შეიძლება გამოვლინდეს სისხლის სამართლის კერძო ნაწილის იმ ნორმის საწინააღმდეგოდ, რომელშიც დანაშაულის ჩადენა დანაშაულში თანამონაწილეობის წესით ხდება შესაძლებელი. გარდა ამისა, თუ აუცილებელი თანამონაწილეობის ზემოთ ჩამოთვლილი ფორმები სისხლის სამართლის კერძო ნაწილის პრობლემაა, დანაშაულში თანამონაწილეობა, პირიქით, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის პრობლემაა, თუმცა კონკრეტულ გამოვლენას ის სისხლის სამართლის კერძო ნაწილში აღწერილი ქმედების შემადგენლობის განხორციელების გზით პოულობს.

ამრიგად, ცხადი უნდა იყოს, რომ აუცილებელი თანამონაწილეობის ფორმები დანაშაულში თანამონაწილეობის ფორმებს არ წარმოადგენენ და ამიტომ მათი გაიგივება, რაც რუსულ იურიდიულ ლიტერატურაში ხდება, სწორი არაა. ამაზე მეტყველებს, მაგალითად, დანაშაული, რომელიც გათვალისწინებულია სსკ-ის 223[1]-ე მუხლში. ე. წ. ქურდული სამყაროს წევრობა კავშირშია ორგანიზებულ დანაშაულთან, რადგან თვით „ქურდული სამყარო" მყარად ორგანიზებულ პირთა ისეთი კავშირია, რომელიც ქურდული ცხოვრების წესს გამოხატავს. ქურდული ცხოვრების წესი რიგი არსებითი ელემენტებისაგან შედგება, რის გამოც ის განსაკუთრებული საზოგადოებრივი საშიშროებით ხასიათდება.

სსკ-ის 223[1]-ე მუხლი, როგორც ასეთი, რამდენიმე კანონიერი ქურდის მონაწილეობას არ გამორიცხავს, მაგრამ, როგორც

წესი, თითოული „კანონიერი ქურდი," რომელიც ქურდული ცხოვრების წესის მატარებელი და მიმდევარია, შეიძლება პასუხისგებაში მიეცეს არა როგორც თანამონაწილე, არამედ ინდივიდულურად მოქმედი პირი, რომელსაც წარსულში ორგანიზებულ დანაშაულობაში წევრობით და მასში აქტიური საქმიანობით უკვე დამსახურებული აქვს ამ ცხოვრების წესისათვის ნიშანდობლივი ავტორიტეტი.

ჩვენი აზრით, ქართველი კანონმდებელი სწორად დაუპირისპირდა არა მხოლოდ უკვე ჩამოყალიბებულ კრიმინალს, როგორც ქურდული ცხოვრების წესის შედეგს და პროდუქტს, არამედ თვით ამ ქურდული ცხოვრების წესს და მის ელემენტებს უკვე მათი ჩასახვის მომენტიდან, რათა „კანონიერმა ქურდმა„ ჩამოყალიბება ვერ მოახერხოს. ამ გზით შეიძლება მოიშალოს „ქურდული სამყაროც," რომელიც, თავის მხრივ, ქმნის ამ სამყაროს მიმდევრებს. ამ მიმართებით უფრო მეტი ყურადღება პროფილაქტიკურ ზომებს უნდა მიექცეს.

ამრიგად, აუცილებელი ანუ ფაქტობრივი მონაწილეობის ფორმები, რომლებიც საზოგადოებრივ წესრიგს ხელყოფენ, დანაშაულში თანამონაწილეობის იურიდიულ ფორმებს არ წარმოადგენენ. იურიდიულად შეუძლებელია თანამონაწილეობის წესით დაკვალიფიცირდეს დანაშაული საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ (მაგალითად, მასობრივი არეულობა, რომელიც ორი ან მეტი პირის ერთობლივი მოქმედების გარეშე შეუძლებელია, მაგრამ ამ მიმართებით დანაშაულში თანამონაწილეობის ტრადიციული ფორმები გამორიცხულია. აქაც ხდება აუცილებელი ფაქტობრივისა და იურიდიულის გამიჯვნა. სამწუხაროდ, რუსი კრიმინალისტები ამას არ მიჯნავენ. მაშასადამე, ისინი სოციოლოგები არიან, რადგან ფაქტობრივ მონაწილეობას იურიდიულად თანამონაწილეობად ასაღებენ. მაგალითად, აღიარებულია ბანდის ხელმძღვანელი

ლიდერი, რომელიც ქმნის ბანდას, ანაწილებს როლებს, მაგრამ ბანდაში წამქეზებელი ან დამხმარე კი არაა, არამედ ბანდის რიგითი წევრები, რომლებიც ემორჩილებიან ბანდის ხელმძღვანელს. ეს რიგითი წევრები არაფრით არ ჰგვანან წამქეზებლებს ან დამხმარეებს, ან თანაამსრულებლებსაც კი. აქ დასახელებულია ბანდის დაფინანსება, იარაღით მომარაგება, თავდასხმისათვის ობიექტის შერჩევა, კორუმპირებულ სახელმწიფო მოხელეებთან კონტაქტის დამყარება, რაც ორგანიზატორული ფუნქცია უფროა, ვიდრე უბრალო თანაამსრულებლობა.[52]

საინტერესო აზრია გამოთქმული რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის კომენტარებში: მოქმედება იმ პირებისა, რომლებიც ბანდის წევრებს არ წარმოადგენენ და არ მონაწილეობდნენ ბანდის მიერ მოწყობილ თავდასხმებში, მაგრამ ხელს უწყობდნენ ბანდის ცალკეული წევრების მოქმედებას, უნდა დაკვალიფიცირდეს, როგორც დანაშაულში თანამონაწილეობა. მაგალითად, ბანდის წევრისათვის იარაღის მიყიდვა, ბანდისათვის ტრანსპორტის გადაცემა, თავდასხმის ობიექტზე მითითება — დახმარება.[53] მაშასადამე, ბანდის რიგითი წევრები თანამონაწილეებს არ წარმოადგენენ. ბანდის წევრი, რომელსაც ხელს უწყობს დამხმარე, ამ უკანასკნელთან მიმართებაში არის ამსრულებელი.

ამრიგად, აშკარაა, რომ ფაქტობრივი, ანუ, აუცილებელი თანამონაწილეობის ფორმები (მაგალითად, ბანდიტიზმი), რომლებიც ხელყოფენ საზოგადოებრივ წესრიგს, იურიდიულად დანაშაულში თანამონაწილეობის ტიპურ ფორმებს არ წარმოადგენენ. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ თვით ორგანიზებული დანაშაული, როგორც ასეთი, არსებობს, რადგან ის, რაც კონკრეტული ფორმებისთვის ზოგადია, ამ კონკრეტულ ფორმებზე არ დაიყვანება. მაშასადამე, ორგა-

[52] იხ. დასახ. კომენტარები, გვ. 478.

[53] იქვე, გვ. 476.

ნიზებული დანაშაული არც დანაშაულში თანამონაწილეობის ფორმას წარმოადგენს და არც მისი გამოვლენის ფორმებზე არ დაიყვანება. იქნებ მართალი იყვნენ ის გერმანელი კრიმინალისტები, რომლებიც ორგანიზებულ დანაშაულს, რაღაც დანაშაულებრივი საქმიანობის ახალ ფორმად წარმოაჩენდნენ. ნიშანდობლივია, რომ თვით გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაშიც კი, სადაც ამგვარი რთული პრობლემების კვლევის ტრადიციული ინტერესი არსებობს, ვერ მოხერხდა მისი არსისა და მასთან ბრძოლის ეფექტური ღონისძიების შემუშავება. როგორც მართებულად აღინიშნა, „ორგანიზებული დანაშაული იმდენად რთული ფენომენია, რომ მისი იურიდიული დახასიათება მხოლოდ ერთმნიშვნელოვანი ნიშნებით შეუძლებელი ხდება."[54]

ამრიგად, საკმაოზე მეტად რთულია, ერთი მხრივ, დაადგინო ორგანიზებული დანაშაულის ნიშნები, როგორც ასეთი, მისი გამოვლენის კონკრეტული ფორმებისაგან დამოუკიდებლად, ხოლო, მეორე მხრივ, ამ კონკრეტულ ფორმებში აღმოაჩინო ორგანიზებული დანაშაულის ნიშნები. თუ ორგანიზებული დანაშაულის ცალკეული გამოვლინებანი (მაგალითად, ქურდული სამყაროს წევრობა, კანონიერი ქურდობა) დანაშაულში თანამონაწილეობის ფორმას არ წარმოადგენს, მაშინ ლოგიკურია დასკვნა, რომ ორგანიზებული დანაშაული დანაშაულში თანამონაწილეობის წესით ვერ საბუთდება. ასეთია ლოგიკური დასკვნა, თუმცა დანაშაულში თანამონაწილეობისაგან მისი მოწყვეტაც დაუშვებელია, რადგან თანაამსრულებლობის გარეშე არც ორგანიზებული დანაშაული არსებობს. მაგალითად, „კანონიერი ქურდების„ გაერთიანება ქურდული სამყაროს წინაშე მდგარი „საკითხების„ გადასაწყვეტად, ქმნის თანაამსრულებლობის ვითარებას, თუმცა თითოეული კანონიერი ქურდი, გამომდინარე ქურდული სამყაროს ფუნქციონალური დანიშნულებიდან, შეიძლება მო-

[54] ე. წიკლაური, ორგანიზებული დანაშაულის განსაზღრება და მისი ძირითადი მახასიათებლები, პარლამენტის მრჩეველთა საბჭო, სამეცნიერო-ანალიტიკური ჟურნალი, თბ., 1997, № 3, გვ. 31.

ქმედებდეს ერთპიროვნულადაც იმ უბანზე, რომელიც, სხვა კანონიერ ქურდებთან შეთანხმებით, მისი გავლენისა და მოქმედების სფეროა.

ამრიგად, ორგანიზებული დანაშაული, თუმცა თანამსრულებლობის გარეშე არ არსებობს, მაგრამ ეს თანაამსრულებლობაც სპეციფიკურია და თანამონაწილეობის ტრადიციულ ფორმას არ ემთხვევა.

ამ მხრივ ცალკე განხილვის ღირსია დანაშაულებრივი დაჯგუფების ორგანიზაცია (რუსეთის ფედერაციის სსკ-ის 210-ე მუხლი), აქ იგულისხმება დანაშაულებრივი დაჯგუფების ორგანიზება, რაც უკვე იწვევს პასუხისმგებლობას, იმის მიუხედავად, რომ პირები კონკრეტულ დანაშაულს არ სჩადიან. აქ გაკეთებულია დასკვნა, რომ ეს კონსტრუქცია ბანდიტიზმის კონსტრუქციის ანალოგიურია.[55] ეს ორგანიზაცია გამოირჩევა სიმყარით, იერარქიით, კონკრეტულ დანაშაულებრივ პლატფორმაზე დგომით (ბანდიტური, ანტიკონსტიტუციური, კონტრაბანდულ-სავალუტო, ნაციონალისტური და სხვა ჯგუფი) და მოიცავს საზღვარგარეთის მაფიასთან კავშირს. სამწუხაროდ, რუსულ სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში ორგანიზებული დანაშაულის ყველა ფორმა გაიგივებულია დანაშაულში თანამონაწილეობის ფორმებთან. მაგალითად, პ. აგაპოვი, როცა იგი ეხება რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის 35-ე მუხლის მეოთხე ნაწილში შეტანილ ცვლილებას ორგანიზებული დანაშაულის ცნებასთან დაკავშირებით, ამ უკანასკნელს მოიხსენიებს, როგორც დანაშაულში თანამონაწილეობის ყველაზე უფრო საშიშ ფორმას.[56]

---

[55] იხ. რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის დასახ. კომენტარები, გვ. 478.

[56] П. Агапов, Уголовно-правовое регулирование в сфере противодействия организованной преступности, „Уголовное право", 2009, № 6, стр. 4.

საინტერესო ისაა, რომ დასახელებული ავტორი დანაშაულში თანამონაწილეობის ფორმებად ასახელებს ბანდიტიზმს (რუსეთის ფედერაციის სსკ-ის 209-ე მუხლი), დანაშაულებრივი გაერთიანების (დანაშაულებრივი ორგანიზაციის) შექმნას (აღნიშნული კოდექსის 210-ე მუხლი); ექსტრემისტული გაერთიანების ორგანიზაციას (სსკ-ის 282[1]-ე მუხლი). ავტორი ამტკიცებს, რომ რუსეთის ფედერაციის 210-ე მუხლის მიხედვით შეიძლება პასუხისგებაში მივცეთ ე. წ. კანონიერი ქურდები და დანაშაულებრივი სამყაროს სხვა ლიდერები, რომლებიც მონაწილეობენ ორგანიზებულ ჯგუფებში, მაგრამ კონკრეტულ დანაშაულს პირადად არ სჩადიან.[57]

გასაგებია, რომ დანაშაულში თანამონაწილეობის ტრადიციული კონსტრუქცია ორგანიზებული დანაშაულის ცნებას და მისი გამოვლენის ფორმებს არ ემთხვევა. კერძოდ, კრიმინალთა ორგანიზებული ერთობა შეიძლება ისე, რომ ამ ერთობის რომელიმე წევრმა რომელიმე კონკრეტული დანაშაული პირადად არ ჩაიდინოს, მაშინ, როცა დანაშაულში თანამონაწილეობა სხვა არაფერია, თუ არა ორი ან მეტი პირის განზრახ ერთობლივი მონაწილეობა განზრახ დანაშაულის ჩადენაში (სსკ-ის 23-ე მუხლი). ამ ცნებაში, როგორც ჩანს, იგულისხმება პირთა არა მარტო ზოგადი სოციალური და ფსიქიკური კავშირი, არამედ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებული კონკრეტული ქმედების ჩადენაც. ცხადია, თუ კანონმდებელი აკრძალავს კრიმინალური ფუნქციის მქონე გაერთიანების შექმნას ან მასში მონაწილეობას, ეს უკვე დამოუკიდებელი დანაშაულია, ხოლო, თუ ამ გაერთიანების წევრები ჩაიდენენ კონკრეტულ დანაშაულებრივ ქმედებას, რომელიც სისხლის სამართლის კერძო ნაწილის რომელიმე მუხლშია გათვალისწინებული, მაშინ სახეზეა დანაშაულთა ერთობლიობა.

---

[57] П. Агапов, Уголовно-правовое регулирование в сфере противодействия организованной преступности, „Уголовное право", 2009, № 6, стр. 5.

ამ მიმართებით შემდგომი გაღრმავებული კვლევა აუცილებელი ჩანს, ხოლო ამჯერად, ამ ზოგადი მიმოხილვის ფარგლებში, მოკლედ განვიხილოთ ტერმინი „ორგანიზებულობის" მეთოდოლოგიური საკითხები.

§ 11. სისტემური კვლევის მეთოდოლოგია და ორგანიზებული დანაშაულის პრობლემა

დიდი დაკვირვება არ სჭირდება იმის გაგებას, რომ ტერმინი „ორგანიზებული" რაიმე მთელის ელემენტების კავშირის წესს აღნიშნავს. გასაგებია, რომ რაც უფრო მეტია მთელის ელემენტები, მით უფრო მაღალი და მკაცრია ამ ელემენტების შინაგანი ერთიანობის წესი, ანუ ორგანიზებულობის ფორმა და ხარისხი. სამწუხაროდ, ამ პრობლემის მეთოდოლოგიური საკითხები სუსტადაა შესწავლილი. ამ მხრივ ერთ-ერთი გამონაკლისია მ. სეტროვის ნაშრომი, რომელიც ჯერ კიდევ 1972 წელს გამოქვეყნდა და რომელშიც ნაცადია ორგანიზებულობის მეთოდოლოგიური საკითხების ანალიზი. ავტორი სწორად ამახვილებს ყურადღებას იმაზე, რომ „ორგანიზებულობა" ლოგიკურად უკავშირდება ერთიანი მთელის პრობლემას, როგორც სისტემის თვისებას. ამასთან, ორგანიზებულობის ცნებაში არსებითია არა მხოლოდ მიზეზობრივი კავშირი, არამედ ფუნქციონალური კავშირიც. ავტორის დასკვნით, ფუნქციონალურობა ყოველი ორგანიზაციის ყველაზე უფრო არსებითი მხარეა, თუმცა, სადაც ფუნქციონალური კავშირია, — ჯერ კიდევ არაა ორგანიზებულობა, მაგრამ ამგვარი ფუნქციონალური კავშირის გარეშე არანაირი ორგანიზებულობა არ არსებობს.[58]

ავტორის მტკიცებით, „ფუნქცია, მისი ორგანიზაციულობის გაგებით, მიზეზობრივი და ფუნქციონალური კავშირების ერ-

[58] М. И. Сетров, Основы функциональной теории организации, Ленинград, 1972, стр. 22.

თიანობის ასახვას წარმოადგენს."[59] ავტორის მტკიცებით, ორგანიზებულობა სისტემის თვისებაა. იმისათვის, რომ სისტემა იყოს ორგანიზებული, — მსჯელობს ავტორი, აუცილებელია ერთდროულად ორი სახის შეთავსებადობის არსებობა: ერთი რიგის ელემენტების შეთავსებადობა, როგორც ურთიერთზემოქმედების აუცილებელი პირობა, და ცალკე აღებული ელემენტის შეთავსებადობა მთელის ყველა სხვა ელემენტებთან, ესე იგი, ელემენტისა და სისტემისა, რომელშიც იგი შედის.[60]

როგორც ჩანს, საქმე ეხება მთელისა და მისი ელემენტების თანაფარდობის მეთოდოლოგიურ პრობლემებს. კერძოდ, მთელი ერთგვაროვანი ელემენტებისგან შედგება, ხოლო, ელემენტების ერთგვაროვნობა მთელით განისაზღრება. მთელის ყოველი ცალკე აღებული ელემენტი, თავის მხრივ, შეთავსებადია მთელის, ანუ სისტემის ყველა სხვა ელემენტთან. ირკვევა, რომ ერთი მხრივ, მთელის შექმნა და მისი ქცევა არის მისი ნაწილების ფუნქციონალური ურთიერთზემოქმედების შედეგი, ხოლო მეორე მხრივ, აღმოჩნდება, რომ სისტემის, როგორც მთელის, ურთიერთმომქმედი ნაწილების შესანარჩუნებლად, აუცილებელია სისტემის ცალკეული ნაწილის მიზეზობრივი დამოკიდებულება მთელზე. ნაწილის მოქმედება, როგორც წესი, ცალსახად, განსაზღვრავს მთელის მოქმედებას, და მაშასადამე, მისი თვითშენახვის უნარს.[61]

ამრიგად, ირკვევა, რომ ორგანიზებული დანაშაულის ცნება და პრობლემა მეთოდოლოგიურად მთელისა და ნაწილის დიალექტიკური კავშირის წესით შეიძლება იქნეს გაგებული. მთელისა და ნაწილის პრობლემა კი, თავის მხრივ, სისტემის ზოგადთეორიულ პრობლემებს უკავშირდება. საქმე ეხება სისტემური მიდგომის ფილოსოფიური და კერძო მეცნიერული მიდგომების თანაფარდობას. უფრო კონკრეტულად რომ

[59] П. Агапов, Уголовно-правовое регулирование в сфере противодействия организованной преступности, „Уголовное право", 2009, № 6, стр.. 32.

[60] იქვე, გვ. 29.

[61] იქვე, გვ. 32.

ვთქვათ, სისტემური კვლევის მეთოდოლოგია გვიჩვენებს, რომ სისტემა, როგორც გარკვეული მთელი, აერთიანებს როგორც კაუზალურ, ისე ფუნქციონალურ კავშირურთიერთობებს. ერთია ორგანიზებული დანაშაულის მიზეზები, ხოლო მეორეა მისი ფუნქციონალური დანიშნულება.

როგორც გ. ცინცაძე აღნიშნავს, „სისტემური გზით მიღებული შედეგები ნათლად მეტყველებენ იმაზე, რომ სისტემა, მისი ელემენტები და ა. შ. განისაზღვრება არა მხოლოდ და არა იმდენად მათი სუბსტანციონალური, სუბსტრაქტული თვისებებით, არამედ, და უფრო მეტად მათი ადგილით შესაბამის სფეროში და მათ მიერ შესრულებული ფუნქციებით. სისტემური მიდგომა, ნაცვლად ცალმხრივი მიზეზობრივი ახსნისა, ყურადღებას ამახვილებს საკვლევი ობიექტის მთლიანობრივ, ინტეგრალურ თვისებებზე, მის სხვადასხვა კავშირებსა და სტუქტურაზე.“[62]

ამ უკანასკნელით შეიძლება გაგებულ იქნეს ორგანიზებული დანაშაულის, როგორც მთელის, შემადგენელი ელემენტის თუ სტრუქტურის ფუნქციონალური დანიშნულებაც. ამ პოზიციიდან შეიძლება უკეთ იქნეს გაგებული ორგანიზებული დანაშაულისა და დანაშაულში თანამონაწილეობის როგორც საერთო, ისე განმასხვავებელი ნიშნები. ამჯერად მოკლედ შევეხებით დანაშაულში თანამონაწილეობას ე.წ. ფუნქციონალური თეორიის მიხედვით. ამ საკითხზე, რიგი გერმანელი კრიმინალისტების კვალდაკვალ, ყურადღება გაამახვილა მ. ტურავამ. მისი აზრით, პირი ყაჩაღური თავდასხმის უშუალო მონაწილე შეიძლება არ იყოს, მაგრამ ის, ვინც გარეთ იცდიდა, რათა თავდამსხმელებისთვის საშიშროების სიგნალი მიეცა, დამხმარე კი არაა, არამედ, თავისი ფუნქციით, ყაჩაღური თავდასხმის თანაამსრულებელია.[63]

---

[62] გ. ცინცაძე, მეცნიერული კველევის სისტემური მეთოდი, თბ., 1980, გვ. 64-65.

[63] მ. ტურავა, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის მიმოხილვა, მე-8 გამოცემა, თბ., 2010, გვ. 271.

როგორც უკვე იყო ნათქვამი, გერმანული სისხლის სამართლის დოგმატიკაში „ორგანიზატორის" ცნება უცნობია და გაბატონებულია „ქმედებაზე ფუნქციონალური ბატონობის" თეორია და ამის მიხედვით არის გაგებული ამსრულებელი, რომელიც მთავარი ფიგურის სახით, ქმედებაზე ბატონობს, და თანამონაწილე, რომელიც ქმედებაზე ბატონობის გარეშე, გვერდითი ფიგურის სახით, გამოიწვევს ქმედების ჩადენას, ან ხელს შეუწყობს მის ჩადენას.[64] აქედან გამომდინარე, დგება საკითხი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გადაწყდეს პასუხისმგებლობა ჯგუფის ხელმღვანელისა, რომელიც კონკრეტული შემადგენლობის განხორციელებაში უშუალოდ არ იღებდა მონაწილეობას. არსებობს მოსაზრება, რომლის თანახმად, ბანდის მეთაური, რომელმაც მოიფიქრა და შეადგინა დანაშაულის ჩადენის გეგმა, გააცნო იგი თანამზრახველებს, წამქეზებელი იქნებოდა, თუ მისი თანამზრახველები ჩაიდენდნენ ქურდობას ბინაში შეღწევით, ხოლო ის, ამ დროს, საკუთარი თავისა და ბანდისათვის რაიმე ეჭვის ჩამოშორების მიზნით, თეატრალურ წარმოდგენას დაესწრებოდა. ამ მოსაზრების საწინააღმდეგოდ აქ ისაა ნათქვამი, რომ ბანდის ხელმძღვანელის როლისა და ქმედებაში მისი პირველხარისხოვანი ფუნქციის გათვალისწინებით, ის არ შეიძლება წამქეზებლის ან დამხმარის როლში გამოვიდეს.[65] ამ საკითხის გადაწყვეტისას, მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული ქმედებაზე ფუნქციონალური ბატონობის უმდაბლესი ზღვარი.[66]

ამრიგად, აშკარაა, რომ ორგანიზებული დანაშაულის პრობლემატიკაში, მიზეზობრივი კავშირის გვერდით, ფუნქციონალური კავშირიც უნდა გავითვალისწინოთ. ამ თვალსაზ-

---

[64] ი. ვესელსი, ვ. ბოილკე, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, თარგმნა ზ. არსენიშვილმა, სამეცნიერო რედაქტორი ი.დვალიძე, თბ., 2010, გვ. 290-291.

[65] იქვე, გვ. 300.

[66] იქვე, გვ. 299.

რისით, შედარებით უფრო ნათლად დგება ორგანიზებული დანაშაულის, როგორც რაღაც მთელის, და მისი სტრუქტურული რგოლის თანაფარდობის პრობლემა. კერძოდ, ერთი მხრივ, ორგანიზებული დანაშაული არის მისი სტრუქტურული ორგანიზაციის განსაკუთრებული ფორმა, რომლის ფუნქცია დანაშაულის ჩადენაა. მეორე მხრივ, დანაშაულის კონკრეტულ შემადგენლობას ახორციელებს არა დანაშაულებრივი ორგანიზაცია, როგორც ასეთი, არამედ ორგანიზებული დანაშაულის, როგორც მთელის, კონკრეტული სტრუქტურული დანაყოფი, რომელიც ორგანიზებული დანაშაულის, როგორც მთელის, ფუნქციას ასრულებს. აქედან გამომდინარე, გასაგებია, თუ დანაშაულის ჩადენა ორგანიზებული დანაშაულის ცალკეულ სტრუქტურულ რგოლებს აეკრძალებათ. უფრო რთულია იმისი დასაბუთება, რომ შესაძლებელია აიკრძალოს თვით ორგანიზებული დანაშაულობის, როგორც მთელის, წევრობაც. რაკი პირთა ორგანიზებული კავშირი დანაშულის ჩადენის მიზნით არის შექმნილი, იგულისხმება, რომ ამ ორგანიზებული ერთობის წევრობა დანაშაულის ჩადენის ფუნქციონალური როლისთვისაა გამიზნული, იმის მიუხედავად, რომ დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრმა კონკრეტული დანაშაული შეიძლება არც ჩაიდინოს. ორგანიზებული დანაშაულობის, როგორც გარკვეული მთელის, წევრობის აკრძალვის გარეშე, ეს მთელი მუდამ იარსებებს, როგორც ამ მთელის სტრუქტურის მაცოცხლებელი წყარო. დანაშაულის ჩადენის ეს ორმხრივი აკრძალვა შეესაბამება ორგანიზებული დანაშაულობის, როგორც მთელის, და მისი სტრუქტურული დანაყოფის ფუნქციონალურ ერთიანობას.

აქედან გამომდინარე, ვიმეორებ, იდეაში სავსებით გამართლებულია ქართველი კანონმდებლის პოზიცია, როცა იგი დანაშაულად აცხადებს ქურდული სამყაროს წევრობას და კანონიერ ქურდობას, რაკი ეს სამყარო ფუნქციონალურად არის დანიშნული დანაშაულის ჩასადენად, ხოლო ამ სამყაროს წევრობა, თავის მხრივ, დანაშაულის ჩადენის საზრისის მატარებელია. ამდენად, აქ საქმე ამ ტიპის დანაშაულის

თავიდან აცილების პრობლემებსაც შეეხება. ცხადია, ამ მიმართებით არის პრობლემები, რადგან, როგორც უკვე ჩანს, საკმაოდ რთულია ამ სფეროში კრიმინალის დამტკიცება. ამ მხრივ წინადადებები ბევრია,[67] მათ შორის ამ საგრანტო ნაშრომის თანაავტორთა მხრივაც, რაც, მისასალმებელია, მაგრამ ზოგიერთი გაუგებრობა მაინც რჩება. მაგალითად, ერთი და იგივე ქმედებისთვის ორჯერ დასჯის აკრძალვის საზრისი დავას არ იწვევს, მაგრამ გაუგებარია, რატომ არ შეიძლება „კანონიერი ქურდი," რომელმაც მოიხადა სასჯელი ამისთვის, პასუხისგებაში მიეცეს სსკ-ის 243[1]-ე მუხლით, თუ იგი კვლავ განაგრძობს ან ქურდული სამყაროს წევრობას, ან კანონიერ ქურდად ყოფნას. თუ ზემოთ აღნიშნული ორი სახის სისხლისსამართლებრივი აკრძალვა არსებობს, ხოლო თუ ამ კატეგორიის პირმა რომელიმე აკრძალვა დაარღვია, რისთვისაც სასჯელი მოიხადა, კვლავ დაარღვია ეს აკრძალვა, ცხადია, ის ხელახლა უნდა მიეცეს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში, რადგან ამ შემთხვევაში სახეზეა ახალი დანაშაული.

ამრიგად, ორგანიზებულობა, მთელის, როგორც გარკვეული სისტემის, სტრუქტურული ელემენტების შინაგანი კავშირის ფორმაა და იგი ამ ფორმის გარეშე არ არსებობს. ამ თვალსაზრისით, ადვილი ჩანს იმისი დამტკიცება, რომ სისტემისა და მისი სტრუქტურული დანაყოფის ერთიანობის ლოგიკა შეესაბამება რუსეთის სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში საკმაოდ გავრცელებულ მოსაზრებას, რომ არსებობს დანაშაულებრივი გაერთიანება (დანაშაულებრივი ორგანიზაცია), რომელიც რუსეთისა და მისი რეგიონების ამ უზარმაზარ მასშტაბში, სავსებით შესაძლებელია. მით უფრო, თუ საქმე ეხება გარკვეული სტრუქტურის მქონე გაერთანებას. სწორედ სტრუქტურული დაყოფის პრინციპი ამხელს იმ არსებით სხვაობას, რაც არსებობს კონკრეტულ ორგანიზებულ ჯგუფსა

[67] იხ. დ. მუმლაძე, ლ. ძნელაძე, ბრძოლა ორგანიზებული დანაშაულობის (მაფიის) წინაღმდეგ: შედარებითსამართლებრივი ანალიზი, საქართველოს უზენაესი სასამართლო, „მართლმსაჯულება," 2008, № 2.

და დანაშაულებრივ გაერთიანებას შორის: კონკრეტული ორგანიზებული ჯგუფი უკვე სტრუქტურაა, რომელიც შეიძლება იყოს უფრო დიდი გაერთიანების ელემენტი, ან სრულიად დამოუკიდებული დანაშაულებრივი ჯგუფი, რომელიც სტრუქტრულ დაყოფას უკვე არ ექვემდებარება. ეს კრიტერიუმი, ანუ სტრუქტურული დაყოფა, ჩვენი აზრით, დამახასიათებელია რუსეთის მასშტაბით შესაძლო დანაშაულებრივი გაერთიანებისთვის (დანაშაულებრივი ორგანიზაციისთვის), ხოლო საქართველოში ორგანიზებულ დანაშაულს ამგვარი სტრუქტურული დაყოფა, როგორც წესი, არ აქვს. ამაზე მეტყველებს ის დისკუსია, რაც ამ მხრივ რუსეთის სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში მიმდინარეობს. მაგალითად, სადავო ხდება ის საკითხი, იმიჯნება თუ არა ტერმინი „სიმყარე" ჩვეულებრივი ორგანიზებული ჯგუფი დანაშაულებრივი გაერთიანებისგან? (ორგანიზაციისგან?) მაგალითად, ს. ჟივნირი მიდის დასკვნამდე, რომ ტერმინები (კატეგორიები), როგორიცაა: სიმყარე და დარაზულობა შეიძლება ახასიათებდეს უფრო დაბალი ორგანიზაციის დანაშაულებრივ ჯგუფს (მაგალითად, ბანდიტიზმს), ვიდრე უფრო დიდი მასშტაბის დანაშაულებრივ გაერთიანებას.[68]

უფრო საინტერესოდ გვეჩვენება პ. აგაპოვის მოსაზრება, როცა იგი ყურადღებას ამახვილებს დანაშაულებრივი გაერთიანების (ორგანიზაციის) სტრუქტურულობის თაობაზე. ავტორის მტკიცებით, სტრუქტურა მსოფლიოში არსებული ობიექტებისა და სისტემების განუყოფელი თვისებაა. აქედან ავტორი ასკვნის, რომ დანაშაულებრივი გაერთიანება შედგება სტრუქტურული დანაყოფებისგან (ბლოკი, რგოლი, ბრიგადა), რომელიც დანაშაულებრივი გაერთიანების ინტერესებში მოქმედებს.[69]

---

[68] С. Живнир, К вопросу об определении преступного сообщества в уголовном законе, „Уголовное право~ 2005, №1, стр. 56. ასევე იხ. მ. ბაძაღუა, ჯგუფური დანაშაულობა, თბ., 1998.

[69] П. Агапов, Уголовно-правовые регулирование в сфере противодействия организованной преступности~ `Уголовное Право~, 2009, № 4, стр. 4.

ამრიგად, ავტორი მეთოდოლოგიურად სწორად მსჯელობს, როცა იგი ორგანიზებული დანაშაულის პრობლემატიკაში დანაშაულებრივ ჯგუფებს შორის გამიჯვნის მთავარ კრიტერიუმად იღებს „სტრუქტურის" ცნებას, რადგან, ისეთი დიდი მასშტაბის გაერთიანება, როგორიცაა დანაშაულებრივი ორგანიზაცია, დანაშაულებრივი დაჯგუფება და სხვა ამგვარი უკიდურესად მაღალი დანაშაულებრივი ორგანიზაცია, მისი უფრო კონკრეტული სტრუქტურული დანაყოფის გარეშე შეუძლებელია.

აქედან გამომდინარე, არსებობს თუ არა საქართველოს სისამდვილეში ორგანიზებული დანაშაულის ისეთი ფორმა, რომელიც სულ მცირე, ორი სტრუქტურული ჯგუფისგან შედგება? ამ კითხვაზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის მესამე ნაწილში დადებითი პასუხია გაცემული, რადგან აქ პირდაპირაა მითითებული, რომ საქმე ეხება სტრუქტურული ფორმის მქონე ჯგუფის მიზანდასახულ მოქმედებას.

ჩვენ აქ გვინდა გავიმეოროთ ა. მონდოხონოვის არგუმენტი, რომელიც ზემოთ უკვე მოვიტანეთ: ორგანიზებული დანაშაულის სტრუქტურული დანაყოფი, მინიმალურ დონეზე, ნიშნავს არანაკლებ ორ სტრუქტურულ დანაყოფს, არანაკლებ ორი წევრით, და თითოეული სტრუქტურის არანაკლებ ორ წევრს. გაეროს უკვე დასახელებულ კონვენციაში კი, როგორც უკვე აღინიშნა, ორგანიზებული დანაშაულის მინიმალურ სტრუქტურად სამი კრიმინალია დასახელებული. აქედან გამომდინარე, დგება საკითხი იმის შესახებ, გამოხატავს თუ არა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის მესამე ნაწილი, რომელიც ორგანიზებული დანაშაულის სტრუქტურული დაყოფიდან ამოდის, საქართველოს სისამდვილეში ორგანიზებული დანაშაულის თავისებურებას? ამ კითხვაზე პასუხისთვის საჭირო იქნება ორგანიზებული

დანაშაულისა და დანაშაულში თანამონაწილეობის თანაფარდობის პრობლემის შემდგომი კვლევა და ანალიზი. თუმცა, თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ორგანიზებული დანაშაული, როგორც ჩანს, ტრანსნაციონალური ხასიათისაა, საქართველოში ორგანიზებული დანაშაულის კონკრეტულ ფორმებს კავშირი აქვთ საზღვარგარეთის ქვეყნებში მოკალათებულ დანაშაულებრივ გაერთიანებებთან (დანაშაულებრივ ორგანიზაციებთან). ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა ე. წ. „კანონიერი ქურდების„ საქმიანობის ფონზე, როცა ამ ტიპის კრიმინალთა დიდი ნაწილი საქართველოდან გაქცეულია, და თავს აფარებს, როგორც წესი, რუსეთს, თუმცა კრიმინალურ საქმიანობას იქაც განაგრძობს. აქედან გამომდინარე, გარკვეული აზრით, საქართველოში ორგანიზებული დანაშაულის კონკრეტული ფორმები, იმის გამო, რომ მათ რაღაცნაირი კავშირი აქვთ საზღვარგარეთის დანაშაულებრივ სტრუქტურებთან, გარკვეული პირობითი აზრით, შეიძლება ორგანიზებული დანაშაულის სტრუქტურულ დანაყოფად მივიჩნიოთ.

ამრიგად, იმის მიუხედავად, რომ ორგანიზებული დანაშაულის ტრადიციული ფორმები თანამედროვე საქართველოში გასაოცრად მცირდება, ეს პრობლემა შემდგომ გაღრმავებას მოითხოვს. მაგალითად, უტყუარი მონაცემებით, საქართველოში 2010 წელს ქურდული სამყაროს წევრობის სულ 20 შემთხვევა გამოვლინდა; უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა — 22 შემთხვევა; ტრეფიკინგისა — 11 და ა.შ. ეს მაშინ, როცა თანამედროვე რუსეთში ორგანიზებული დანაშაული ამ ქვეყნის ეროვნულ ტრაგედიად ითვლება.

საქართველოს სინამდვილეში ორგანიზებული დანაშაულის ამ ტიპური ფორმების შემცირების ამგვარი ტენდენცია ძირითადად მაინც იმის შედეგია, რომ ქართულმა სახელმწიფომ დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლაში ჭეშმარიტი პოლიტიკური ნება გამოავლინა, საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი ცხოვრების თითქმის ყველა სფეროდან გამოაძევა

ორგანიზებული დანაშაულის ისეთი პირველხარისხოვანი წყარო, როგორიცაა კორუფცია; მკაცრი წესრიგი და დისციპლინა დაამყარა მომსახურების, ოფიციალური დოკუმენტების ბრუნვისა თუ პრივატიზაციის სფეროში; სრულიად ახალ დონეზე დადგა და გადაწყდა კიდეც სამართალდამცავი ორგანოების რეფორმირების პრობლემები, რის შედეგადაც ორგანიზებულ დანაშაულს საფუძველი ეცლება არა მარტო ქვეყნის შიგნით, არამედ საგარეო კავშირ-ურთიერთობის სფეროშიც.

ქართული სახელმწიფოს ამგვარი, აშკარად აქტიური პოლიტიკური ნება, რომელიც მრავალი თანამედროვე მიღწევების საფუძველია, სამწუხაროდ, უმტკივნეულოდ არ ვლინდება, რადგან, ამ თვალსაზრისით, სახელმწიფო, გარკვეულ წილად, წინ უსწრებს საზოგადოებას, რის გამოც ვითარება არც თუ იშვიათად იძაბება. გამოსავალი ის კი არაა, რომ სახელმწიფოებრივი საწყისი უკან გადაიხაროს, არამედ, პირიქით, საზოგადოებრივი საწყისი სახელმწიფოებრივ საწყისის შესაბამისად განვითარდეს და წინ უსწრებდეს კიდეც მას.

ირაკლი დვალიძე
სამართლის დოქტორი

თავი II

გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია (JOINT CRIMINAL ENTERPRISE) საერთაშორისო სისხლის სამართალში

§ 1. ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრინციპი საერთაშორისო სისხლის სამართალში

თანამედროვე მსოფლიოს განვითარებული ქვეყნების შიდა კანონმდებლობებით აკრძალულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სხვის მიერ განხორციელებული ქმედებისთვის. შესაბამისად, სუბიექტური შერაცხვის, ინდივიდუალური ბრალის დადგენის გარეშე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება თანამედროვე სისხლისსამართლებრივი იდეების დარღვევა იქნება. ეს იდეები მხოლოდ განხორციელებული ქმედებისთვის და ამ ქმედების სუბიექტური შერაცხვის საფუძველზე პასუხისმგებლობის დაწესებას გულისხმობს.

იმის მიუხედავად, რომ საერთაშორისო სისხლის სამართალში აღიარებულია ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრინციპი, მან განვითარების საკმაოდ წინააღმდეგობრივი გზა განვლო. როგორც ქვემოთ დავინახავთ, სასამართლო პრაქტიკაში ამ ფუძემდებლური პრინციპის დარღვევასაც ჰქონდა ადგილი, რომლის გამართლების მცდელობა სხვადასხვა ურთიერთისაწინააღმდეგო და არადამაჯერებელი არგუმენტებით ხდებოდა.

ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრინციპი ნათლადაა გამოხატული სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდებაში, რომელიც მიღებულია 1998 წლის 17 ივლისს. აღნიშნული წესდების 25-ე მუხლის პირველი და მეორე ნაწილების მიხედვით, პასუხისმგებლობა მხოლოდ ფიზიკურ პირებზე ვრცელდება და მათ პასუხისმგებლობა მხოლოდ საკუთარი, ინდივიდუალური მოქმედებისთვის ეკისრებათ.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების მიღებას წინ მრავალი პოლიტიკური დებატები უძღვოდა, რაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სპეციფიკითაა ნაწარმოები. კერძოდ, საერთაშორისო დანაშაულები, ყოველთვის მასშტაბურ ხასიათს ატარებს, რაც დანაშაულის ჩამდენ პირთა და დაზარალებულთა სიმრავლითაა გამოწვეული. ამასთან, განსაკუთრებულ სირთულეს იწვევს გამოძიების წარმოება და შესაბამისი მტკიცებულებების მოპოვება სისხლისსამართლებრივი დევნის განსახორციელებლად.

ვინაიდან საერთაშორისო დანაშაულები ყოველთვის გამოირჩევა დამნაშავეთა სიმრავლითა და გარკვეული ხარისხის ორგანიზებულობით, მტკიცებულებათა მოპოვებისა და დამაგრების სირთულით, ამიტომ ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპზე აგებულ საერთაშორისო სისხლის სამართალში, გადაჭარბებული არ იქნება თუ ვიტყვით, რომ დანაშაულში თანაამსრულებლობის, შუალობითი ამსრულებლობისა თუ თანამონაწილეობის საკითხი ყველაზე პრობლემატურია.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების 25-ე მუხლით, პასუხისმგებლობა დაწესებულია არამხოლოდ დანაშაულის უშუალოდ ჩამდენი პირების მიმართ, არამედ მათ მიმართაც, ვინც თავისი მოქმედებით

„რაღაც წვლილი" შეიტანა დანაშაულის ჩასადენად. მართებულადაა მითითებული იურიდიულ ლიტერატურაში, რომ „სისხლის სამართლის დოგმატიკის ენაზე, სტატუტი იცნობს როგორც ამსრულებლობას, თანაამსრულებლობას, თანამონაწილეობას, ასევე ე.წ. შუალობით ამსრულებლობას."[70]

ცნობილია, რომ სამოსამართლო საქმიანობა მხოლოდ დაწერილ სამართალს არ ეყრდნობა, რაც იმას ნიშნავს, რომ გამოსაყენებელი სამართალი მხოლოდ არსებული კანონმდებლობით არ ამოიწურება. ეს განსაკუთრებით იგრძნობა საერთაშორისო სისხლის სამართალში, რომელიც, შეიძლება ითქვას, რომ სხვადასხვა ქვეყნებში არსებული შეხედულებების ნაზავს წარმოადგენს. კანონიერების პრინციპს სისხლის სამართალში, როგორც ეროვნულ, ისე საერთაშორისო დონეზე, უდიდესი ყურადღება ექცევა. თუმცა ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ყველაფრის წინასწარგანჭვრეტა და შესაბამის ნორმებში ასახვა შეუძლებელია. საერთაშორისო სისხლის სამართლაში გამოსაყენებელი სამართლის წყაროდ არსებულ კანონმდებლობასთან ერთად, სასამართლო პრეცედენტი და საერთაშორისო დონეზე აღიარებული პრინციპები და ჩვეულებები მიიჩნევა. აქვე არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ადამიანის უფლებების დაცვა სამართალგამოყენებით საქმიანობაში წამყვანი ღირებულებაა. სწორედ ამიტომ, საერთაშორისო სისხლის სამართალში კანონის ინტერპრეტაციის საკითხი უდიდესი ყურადღების ღირსია. საერთაშორისო სისხლის სამართალში აღიარებული ფუნდამენტური ღირებულებების დაცვა ბევრადაა დამოკიდეული იმაზე, თუ როგორ განიმარტება კანონი. ნაშრომის ამ ნაწილში წარმოდგენილი კვლევის საგნის პრობლემატურობა, სწორედ, საერთაშორისო სასამართლოების მიერ კანონის ინტერპრეტაციამ განაპირობა.

---

[70] მ. ტურავა, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, რომის სტატუტთან საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისობის კომენტარი, თბ., 2005, გვ. 107.

ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპიდან გამონაკლისი დაშვებული იყო მნიშვნელოვანი ომის დანაშაულებისთვის შექმნილი ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალის წესდების მე-9 და მე-10 მუხლებით. მე-9 მუხლის თანახმად, რომელიმე ჯგუფის ან ორგანიზაციის წევრის სასამართლო პროცესზე ტრიბუნალს შეუძლია (იმ დანაშაულებთან დაკავშირებით, რომლებშიც მას ბრალი ედება) განაცხადოს, რომ ჯგუფი ან ორგანიზაცია, რომლის წევრიც ეს პირია, არის დანაშაულებრივი ორგანიზაცია. მე-10 მუხლის მიხედვით კი, იმ შემთხვევაში თუ ჯგუფი ან ორგანიზაცია, რომელიც დანაშაულებრივადაა გამოცხადებული ტრიბუნალის მიერ, კომპეტენტურ ეროვნულ ორგანოს ან ხელმომწერ მხარეს უფლება აქვს გადასცეს პირი მართლმსაჯულების განსახორციელებლად ეროვნულ, სამხედრო ან სპეციალიზებულ სასამართლოს. ასეთ შემთხვევებში ჯგუფის ან ორგანიზაციის დანაშაულებრივი ბუნება განიხილება დამტკიცებულად და არ ბადებს ეჭვს.[71]

„მაშასადამე, დანაშაულებრივ ორგანიზაციაში უბრალო წევრობაც კი, განიხილება დანაშაულად, იმის მიუხედავად, ამგვარი მონაწილეობა იყო თუ არა ნებაყოფლობითი. ომის დანაშაულებისთვის ომის შემდეგ შექმნილი სასამართლოებისთვის ამგვარი ერთიანი გეგმის იდეა, პირველად განხილვის საგნად აქცია ქოლონელ მურაი კ. ბერნაისმა (Colonel Murray C. Bernays) 1944 წელს აშშ-ში, პენტაგონში და მხარი ომის მდივანმა სტიმსონმა არაპირდაპირ დაუჭირა (Stimson) და მიუთითა, რომ „არასოდეს იქნება იმის საშუალება, რომ შევიპყროთ და გავასამართლოთ გერმანული ალიანსის (Axis) ომის დანაშაულის ყოველი პირი ან კიდევ მათგან უმრავლესობა, ძველი კონცეფციით და პროცედურებით.[72]"

[71] იხ. Antonio Cassese, International Criminal Law, 2003, p. 137.

[72] See Memo by Colonel Brnays of 15 September 1944, in B.F. Smith, *The*

„გიორინგის (Göring) და სხვათა სასამართლო პროცესზე მნიშვნელოვანი ომის დანაშაულებისთვის შექმნილი ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალმა არაპირდაპირ ზოგიერთი ორგანიზაცია დანაშაულებრივად მოიხსენია: ნაცისტური პარტიის ლიდერთა კორპუსი; გესტაპო და ფაშისტური გერმანიის უშიშროების სამსახური; ესესელთა რაზმები. ამის მიუხედავად, ტრიბუნალმა უარყო „ობიექტური" ანუ „ჯგუფური პასუხისმგებლობის" დოქტრინა და დაუბრუნდა სისხლის სამართლის ტრადიციული ცნებების წესდებით მოცემულ პირობებს."[73]

„სხვა ტრიბუნალებმა მხარი დაუჭირეს პირადი პასუხისმგებლობის პრინციპს, რომელიც მნიშვნელოვანი ომის დანაშაულებისთვის შექმნილი ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალმა გამოიყენა სასამართლო პროცესზე. მაგალითად, კრუპის (Krupp) და სხვათა საქმეებზე, სადაც 12 განსასჯელი კრუპის ინდუსტრიულ საწარმოში მნიშვნელოვან სამსახურებრივ მოვალეობას ასრულებდნენ და გერმანიის პოლიტიკურ, ფინანსურ, ინდუსტრიულ და ეკონომიკურ ცხოვრებაში მაღალი პოზიციები ეკავათ. ნიურნბერგში გამართულ პროცესზე აშშ ტრიბუნალმა აღნიშნა, რომ ბრალდებულებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მხოლოდ მაშინ დაეკისრებათ, თუ მათ „ფაქტიურად და პერსონალურად" ჩაიდინეს ის დანაშაულები, რომლებიც მათ ბრალად ერაცხებათ."[74]

American Rood to Nuremberg – Tne Documentary Record – 1944-45 (Standorf, Cal.: Hoover Institution Press, 1982), at 35. ციტირებულია: Antonio Cassese, დასახ. ნაშრომი, გვ. 137.

[73] იქვე, გვ. 138.

[74] „ის მარტივი ფაქტი, იმის გარდა, რომ ბრალდებული იყო კრუპის დირექტორატის წევრი ან ფირმის სამსახურის მნიშვნელოვანი მოვ-

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომლის მიხედვითაც გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია არ არღვევს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპს. მაგალითად, გოსტავსონის აზრით, „იმის მიუხედავად, რომ ამ მოდელის საფუძველზე ბრალად შერაცხული დანაშაულები განხორციელდა გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის საშუალებით, აუცილებელი იყო იმის წარმოჩენა, რომ ყველა გაერთიანებულ დანაშაულებრივ ორგანიზაციას, სულ მცირე, ჰყავს საერთო წევრები და დამხმარე, რომელიც გაერთიანებულ დანაშაულებრივ ორგანიზაციაში მოქმედებდა არა დამოუკიდებლად, არამედ ფაქტიურად დანაშაულებს ახორციელებდა მთავარი გაერთიანებული დანაშაულებრივ ორგანიზაციის გეგმის შესაბამისად. დასასრულ, მართალია, ბრალდებულებსა და ამსრულებლებს შორის არ იყო სავალდებულო ბრალად შერაცხული დანაშაულების განხორციელებაზე შეთანხმება, მაგრამ ბრალდებულებს უნდა გაეზიარებინათ ამსრულებლების მიერ ამ დანაშაულთა ჩადენის განზრახვა.[75] ამ გარემოებების

ალეობის შემსრულებელი, საკმარისი არაა [სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად]." ეს ციტირებულია ამერიკული *Corpus Juris Secundum* კორპორაციული პასუხისმგებლობის შესახებ დადგენილებიდან, რის გამოც, კორპორაციის ჩინოვნიკებს, როგორც წესი, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არ ეკისრებათ სხვა ჩინოვნიკთა ან აგენტთა მიერ განხორციელებული კორპორაციული მოქმედებებისთვის, თუმცა პასუხს აგებენ მაშინ, თუ მათ ფაქტიურად და პერსონალურად ჩაიდინეს დანაშაული ან ამგვარი მოქმედებები მათი ბრძანებით ან ნებართვით განხორციელდა, ამიტომ ეს ჩინოვნიკები პასუხს აგებენ, „სადაც მათი წინასწარშეცნობადობა და ავტორიტეტი დადგენილია, ან სადაც იგი უშუალოდ იმყოფება და მოქმედებს." ტრიბუნალმა დამატებით განაცხადა, რომ ზოგიერთი პრინციპი შეიძლება გამოვიყენოთ ომის დანაშაულთა შემთხვევაშიც (627-8). ციტირებულია: Antonio Cassese, დასახ. ნაშრომი, გვ. 139 (იქვე სქოლიო 7).

[75] ბრალდებულებმა უნდა გაიზიარონ ამსრულებლების განზრახვა

გამო, გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის პასუხისმგებლობის მოდელი შეესაბამება ინდივიდუალური ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს. ყოველივე ეს ვრცელდება ბრჯანინის საქმის განმხილველ სასამართლო პალატაზეც, რომელმაც გაერთიანებულ დანაშაულებრივ ორგანიზაციას საკმაოდ ვიწრო ფორმულირება გაუკეთა."[76]

„ბრჯანინის საქმეში მოცემული გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის წინააღმდეგობებმა, ჩანს, რომ კანონიერი სახე მიიღო: 1) გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის შეთხვევაში ბრალდებამ უნდა დაამტკიცოს ბრალდებულსა და ამსრულებელს (ორიგინალში აქ ნახმარია სიტყვა „triggerman", რაც „სასხლეტის გამომკვრელად" შეიძლება ითარგმნოს. შენიშვნა ჩემია — ი.დ.) შორის უშუალო, ურთიერთსანაცვლო შეთანხმების არსებობა; 2) იმის დამტკიცება, რომ ბრალდებული იზიარებდა გაერთიანებული დან-

---

იმ ფაქტის გამო, რომ დამხმარე გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრებს, მათ შორის მთავარი გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციას და დამხმარე გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის ორმაგ წევრებს, ბრალად უნდა ჰქონდეთ შერაცხული დანაშაულების განხორციელების ერთიანი განზრახვა და მთავარი გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის ყოველი წევრი, თავის მხრივ, უნდა იზიარებდეს ორმაგი წევრების განზრახვას შერაცხული დანაშაულების განხორციელების შესახებ (*Tadić*, *supra* note 1, § 228). თუმცა, დამხმარე გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის ამსრულებლებისთვის სავალდებულოა მხოლოდ მთავარი გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრების იმ განზრახვის გაზიარება, რომელიც მოიცავს დამხმარე გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის მიერ ჩადენილ დანაშაულებს. ციტირებულია: Katrina Gustafson, The Requirement of an `Express Agreement` for Joint Criminal Enterprise Liability, A Critique of Brđanin, Journal of International Criminal Justice 5 (2007), 134-158, Oxford University Press, 2006, p. 154 (იქვე, სქოლიო 72).

[76] Katrina Gustafson, დასახ. ნაშრომი, გვ. 154-155.

აშაულებრივი ორგანიზაციის ამსრულებელ ხელმძღვანელთა განზრახვას, საკმარისი არაა მოთხოვნისთვის; 3) ტადიჩის საქმეში გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის წინასწარგანჭვრეტადობა უფრო მცირეა, ვიდრე ბრჯანინის საქმეში."[77]

„არსებითად, გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის მთელი ღირებულება ისაა, რომ იგი აკავშირებს იმ დამნაშავეებს, ვისაც ფიზიკურად არ მიუღიათ მონაწილეობა კონკრეტული დანაშაულის განხორციელებაში, დანაშაულებთან, რომლებიც ერთ საერთო ჯგუფში შემავალ დამნაშავეთა ჩანაფიქრს წარმოადგენდა."[78]

ელის ვან სლაიდრეგთის აზრით, გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის საზღვრები იმიტომ დგინდებოდა, რომ ამით გარანტიებული ყოფილიყო მის საზღვრებში ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საზღვრები. ამის მიუხედავად, დანაშაულებრივ საქმიანობაში ინდივიდის მიერ სპეციფიკური წვლილის შეტანილი განხილვის ნაცვლად, იგი ყურადღებას ამახვილებს ჯგუფის არსზე კოლექტიური სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ზოგადი პრინციპების ჭრილში. სხვათა პასუხისმგებლობა დასაშვებია, თუ 1) არსებობს მაღალი ხარისხის სოლიდარობა გაერთიანებაში, 2) ესაა კონტროლის ხარისხი მათზე, ვისი ქცევებიც იწვევს კოლექტიურ პასუხისმგებლობას ან, 3) თითოეულმა მათგანმა ნებაყოფლობით შეითავსა კონკრეტული როლი გაერთიანების ფარგლებში და თავისი მდგომარეობიდან გამომდინარე, ჯგუფისგან მოწყვეტით შეეძლო ნებაყოფლობით ხელი აეღო ამ როლის შესრულებაზე.[79]

კრნოჯელაკისა და ვასილევიჩის საქმეზე სასამართლო პალატამ გაერთიანებული დანაშაულებრივი გაერთიანება არ მიიჩნია,

---

[77] A.O'Roorke, Joint Criminal Enterpise and Brđanin: Misguided overcorrection, Harvard International Law Journal, Vol. 47, 2006, pp. 321-322.

[78] Katrina Gustafson, დასახ. ნაშრომი, გვ. 137.

[79] van Sliedregt, *supra* note 3, at 351. ციტირებულია: იხ. Katrina Gustafson, დასახ. ნაშრომი, გვ. 141.

როგორც პასუხისმგებლობის ფორმა და დაასკვნა შემდეგი:
„გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია არაა პასუხისმგებლობის შესაბამისი ფორმა, როდესაც აღწერს ბრალდებულთა ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას. ამ სიტუაციაში, იგი უჩვეულოდ ფართო ბუნების მატარებელია, სადაც სისხლისსამართლებრივი ბრალდება ცდილობს გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის საზღვრებში მოაქციოს პირი, რომელიც სტრუქტურულად დაშორებულია იმ დანაშაულისგან, რომელიც ბრალად შეერაცხა და საბრალდებო დასკვნით იგი ბრალდებულადაა ცნობილი.“[80]

„სასამართლო პალატის შეხედულება, რომ გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციისთვის პასუხიმგებლობა არ შეესაბამება იმ პირთა პასუხისმგებლობის შემთხვევებს, რომლებიც „სტრუქტურულად დაშორებულნი არიან“ დანაშაულის ფიზიკურად განხორციელებისგან, მკვეთრად მიუთითებს, რომ სასამართლო პალატა, როგორც წესი, არ განიხილავს გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციისთვის პასუხისმგებლობას მხოლოდ იმ მაღალჩინოსანი პირების შესატყვის პასუხისმგებლობის ფორმად, რომლებიც, როგორც წესი, სტრუქტურულად დაშორებულნი არიან ფაქტობრივი კუთხით. ეს არსებითი განვითარება იქნებოდა, თუ სასამართლო პალატის ამგვარ დასკვნას მხარს დაუჭერდა აპელაცია. ეს გაართულებდა ბრალდებისთვის დაეკისრებინათ მეთაურთათვის გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის გამო პასუხისმგებლობა, რომლებიც,

[80] Brđanin, *supra* note 2, § 354. სასამართლო პალატის თანახმად, ამგვარი შეთანხმების შესახებ არაპირდაპირი მტკიცებულებები გამოიწვევდა იმის დადასტურებას, რომ მტკიცებულებებიდან გამომდინარე, ერთადერთი გონივრული დასკვნაა ის, რომ ბრალდებულის და ამსრულებელის სტრატიგიული გეგმის განსახორციელებლად შეთანხმებულად მოქმედებისთვის, აუცილებელი იყო შეთანხმების არსებობა. ციტირებულია:Katrina Gustafson, დასახ. ნაშრომი, გვ. 144 (იქვე, სქოლიო 41).

უმეტესწილად, დაშორებულები არიან დანაშაულის ფიზიკურად განხორციელებისგან, ხოლო ამგვარი მიდგომით სასამართლო ვალდებული იქნება დაამტკიცოს ამსრულებელსა და სხვა ბრალდებულებს შორის აშკარა შეთანხმება იმ დანაშაულთა შესახებ, რომლებიც ბრალად ერაცხებათ.[81] მეორეს მხრივ, ამგვარი მოთხოვნა უეჭველი გარანტირება იქნება იმის, რომ ბრალად წარდგენილ დანაშაულში ბრალდებულებსა და ამსრულებლებს შორის მჭიდრო კავშირი არსებობს. ეს კი ამცირებს გაერთიანებულ დანაშაულებრივ ორგანიზაციაში გაერთიანებისთვის ბრალის წარგენაში შეცდომის ან ინდივიდუალური პასუხისმგებლობისთვის დამახასიათებელი ფარგლების სხვაგვარად გადამეტების რისკს."[82]

ამბოსი დაასკვნის, რომ II და III კატეგორიის გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია არის ბრალდების ახალი და დამოუკიდებელი (სისტემური) ცნებები, რომელთაც არ გააჩნიათ კანონით დარეგულირებული ნათელი საფუძველი საერთაშორისო სისხლის სამართალში, რის გამოც მათი გამოყენება არღვევს კანონიერების პრინციპს. ასევე ირღვევა ბრალეულობის პრინციპი, რადგან ბრალეულობის პრინციპის მიხედვით, ყველა უნდა დაისაჯოს მის მიერ ინდივიდუალურად განხორციელებული ქმედებისა და იმ წვლილისთვის, რომელიც მან შეიტანა ჯგუფის მიერ დანაშაულის განხორციელებაში, იმის მიუხედავად, მას რა ფუნქცია ეკისრებოდა

[81] სააპელაციო პალატამ ბრალდების მხარეს ნებადართო გაესაჩივრებინა ამგვარი გადაწყვეტილება; თუმცა ბრალდება შეთანხმდა იმაზე, რომ საჩივრის შედეგები არ იმოქმედებს ბრალდებულთა მიმართ გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციისთვის პასუხისმგებლობაზე იქიდან გამომდინარე, რომ ბრალმდებელი ამ პოზიციას წინასწარ დაეთანხმა სასამართლო პროცესზე. ბრალდების მხარის საჩივრის პირველი საფუძველის დაუკმაყოფილებლობის შესახებ შუამდგომლობაზე მიღებული გადაწყვეტილება: *Brđanin* (IT-99-36-A), Appeals Chamber, 5 May 2005. ციტირებულია: Katrina Gustafson, დასახ. ნაშრომი, გვ. 145 (იქვე, სქოლიო 43).

[82] იქვე, გვ. 144-145.

ამ გაერთიანებაში. სამწუხაროა, რომ კვოჩკას საქმეზე სააპელაციო სასამართლომ არ განასხვავა დამნაშავეთა მიერ შეტანილი წვლილი.[83] განსაკუთრებით ირღვევა ბრალეულობის პრინციპი III კატეგორიის გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის შემთხვევაში. თუკი ჯგუფის ყველა წევრი პასუხისმგებელია სხვა პირთა ქმედებებისთვის, მაშინაც კი, როდესაც აღნიშნული ქმედებები წინასწარ არ იყო შეთანხმებული და მხოლოდ წინასწარგანჭვრეტადი იყო, მაშინ თანამონაწილეთა წინასწარი შეთანხმება ან გეგმა იქცევა სანაცვლაგებო შერაცხვის საფუძველი, რაც უარყოფს კანონით გათვალისწინებულ თანაამსრულებლობის უმთავრეს პრინციპს.[84] „ირონიულად, რომ ითქვას წინასწარგანჭვრეტადობის სტანდარტი განუჭვრეტელს ხდის ბრალდებულის დასჯადობას. დასკვნის სახით, შეიძლება ითქვას, რომ ამ სტანდარტის მიხედვით, დოქტრინას შემოაქვს მკაცრი პასუხისმგელობის ფორმა."[85]

ჯონ ლოლანდი ასახელებს სამ პრობლემას გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის მიმართ. პირველი, გაერთიანებულ დანაშაულებრივ ორგანიზაციას ვერსად ვერ ვხვდებით ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ან რუანდის საერთაშორისო სისხლის სამართლოს სასამართლოს წესდებაში, რის გამოც მას არ გააჩნია საკანონმდებლო ბაზა. მეორე, საკმაოდ

[83] See *supra* note 26 *et seq.* and main text. Critical also van Sliedregt, *supra* note 54, at 353-354; Danner and Martinez, *supra* note 1, at 134, 150. ციტირებულია: Kai Ambos, Joint Criminal Enterprise and Command Responsibility, Journal of International Criminal Justice 5 (2007), 159-183, Oxford University Press, 2007, p. 174.

[84] See K. Ambos, *der allgemeiner Teil des Völkerstrafrechts* (Berlin: Duncker und Humboldt, reprint 2004), at 557 *et seq.*; *idem, La Parte Generale del Derecho Penal Internacional* (reprint Bogotá: Temis, 2006), 185 *et seq.* ციტირებულია: იხ. Kai Ambos, დასახ. ნაშრომი, გვ. 172-174.

[85] იქვე, გვ. 174.

ბუნდოვანი ინდიკატორია იმისთვის, რომ ბრალელულობა დაადგინოს. რადოვან კარადიჩის საბრალდებო აქტში, ერთ-ერთ შემთხვევად მითითებული იყო, რომ გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრებად მიიჩნევიან ბოსნიელ სერბთა ხელმძღვანელობის, სერბიის დემოკრატიული პარტიისა და ბოსნიელ სერბთა რესპუბლიკური, რეგიონული, მუნიციპალური და ადგილობრივი ხელისუფლების წევრები... მეთაურები, მათი თანაშემწეები, უფროსი ოფიცრები, სერბთა შსს განყოფილებათა უფროსები, იუგოსლაველ ხალხთა არმიის, იუგოსლავიის არმიის, ბოსნიისა და ჰერცოგოვინის რეპუბლიკის სერბთა არმიის; ბოსნიელ სერბთა შსს, ბოსნიელ სერბთა ტეროტორიული თავდაცვის მეთაურები და ბოსნიელ სერბთა და სერბთა გასამხედროებული ძალებისა და ნებაყოფლობითი გაერთიანების ლიდერები. ეს ხალხთა დიდი რაოდენობაა. სლობოდან მილოშევიჩის საქმეში, სადაც მას ბრალი დაედო გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციისთვის (ამ ბრალდებას მოსამართლეებმა მხარი დაუჭირეს, რითაც მათ ერთ უზარმაზარ სასამართლო პროცესში გააერთიანეს სამი ცალკეული საბრალდებო დასკვა), 1991 წლის ბოლოდან 1999 წლის შუამდე გაგრძელდა და მრავალი „ცნობილი და უცნობი" ადამიანის სისხლისსამართლებრივი დევნა განხორციელდა.[86]

ძირითადი იდეა ისაა, რომ ის ვინც შეურთდება დანაშაულებრივი ორგანიზაციის ერთობას, ისინი კოლექტიურად პასუხისმგებელნი არიან ამ ორგანიზაციის წევრების მიერ ჩადენილი დანაშაულებისთვის. უფრო მეტიც, ეს დოქტრინა საეჭვოა უფრო მცირედი დარღვევების დონეზეც. 1952 წელს დერიკ ბენტლისა და კრის კრეიგის საყოველთაოდ ცნობილ შემთხვევაში, ბენტლი ცნობილ იქნა დამნაშავედ ბინაში შეღ-

[86] იხ. John Laughland, Conspiracy, joint criminal enterprise and command responsibility in international criminal law. The Hague, 14 November 2009, pp. 1-2. http://www.heritagetpirdefense.org/papers/John_laughland_Conspiracy_joint_criminal_enterprise_and_command_responsibility.pdf (მოპოვების თარიღი 7.04.2011).

წევით ქურდობისას მისი თანამზრახველ კრის კრეიგის მიერ პოლიციელის ცეცხლსასროლი იარაღით მკვლელობის განხორციელების მიუხედავად. ბრალდებას საფუძვლად დაედო „ორგანიზებული გაერთიანების" კონცეფცია.[87]

კვოჩკას საქმეზე ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სააპელაციო პალატამ დაადგინა შემდეგი: „გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის დროს არ არის აუცილებელი რაიმე აღმატებული პასუხისმგებლობის განსაზღვრა და არც იმის მტკიცება, რომ არსებითი ან სერიოზული წვლილია შეტანილი."[88] ბრჯანინის საქმეზე დადგინდა, რომ „გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია არ მოითხოვს დანაშაულის ჩადენის განზრახვის დამტკიცებას."[89] ეს კარგად იკვეთება გენოციდის შემთხვევაში. გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანზაციისთვის შეიძლება პირის დადანაშაულება იმ შემთხვევაშიც, როდესაც იგი არ იყო ამ დანაშაულის უშუალო შემსრულებელი, მაგრამ იყო თანამონაწილე, იცოდა დანაშაულის შესახებ, გასცემდა ბრძანებას, ზეაღმატებულად პასუხისმგებელი იყო არსებით წვლილზე, უფრო მეტიც, განზრახული ჰქონდა ამგვარი წვლილის შეტანა.[90]

სიტუაცია ერთობ რთულია, როდესაც mens rea-ში თანამონაწილეობის ხარისხი საკმაოდ მაღალია. აქ იკვეთება ერთგვარი უხერხულობა: არის თუ არა თავისთავად გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის არსებობა დანაშაული ანუ გაურკვეველია გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია დანაშაულია თუ პასუხისმგებლობის ფორმა. ტრიბუნალები უარყოფენ, რომ გაერთიანებული დანაშაულებრი-

---

[87] იხ. John Laughland, დასახ. ნაშრომი.

[88] Kvoćka Appeal Judgement, 28 Feb 2005, par 99. ციტირებულია: იქვე.

[89] Kvoćka Appeals Chamber Judgement, 28 Feb 2005, par 104. ციტირებულია: იქვე.

[90] იხ.იქვე.

ვი ორგანიზაცია ახალი დანაშაულია, რადგან მათ უფლება არა აქვთ წესდებაში შეიტანონ ახალი დანაშაული. სინამდვილეში კი ეს ასე არ არის. უფრო მეტიც, საკმაოდ არასახარბიელოა, როდესაც განაჩენის გამოტანას საფუძვლად ედება მხოლოდ ბრალდებულის გაერთიანებულ დანაშაულებრივ ორგანიზაციაში „მონაწილეობა." ეს სამხედრო ბრძანების დოქტრინის მსგავსი პრობლემაა. ეს განსაკუთრებით სადისკუსიო გახდა მას შემდეგ, რაც გენერალ იამაშიტას ჩამოხრჩობის საკითხი დადგა 1945 წელს.[91]

საინტერესოა მოსაზრება ტერმინების „გეგმისა" და „დანაშაულებრივი შეთანხმების" თაობაზე. „პირველი, უნდა ვიცოდეთ პოლიტიკური პროცესების ისტორიული პრეცედენტები დანაშაულებრივი შეთქმულებაში მსჯავრდებულთა შესახებ. საკმაოდ პაროდიული მართლმსაჯულებები იყო განხორციელებული შეთქმულებისთვის მსჯავრდების გამო. ლუი XVI ბრალდებული იყო შეთქმულებაში; ასევე მარშალ პეტეინს ბრალი დაედო შეთქმულებაში, მაგრამ შემდეგში პროკურატურამ უარი განაცხადა სასამართლო პროცესზე ბრალდებაზე. 1938 წელს ნიკოლოზ ბუხარინისა და სხვათა სასამართლო პროცესზე, მთავარი განსასჯელი ასაჩივრებდა იმას, რომ მას ბრალად ედებოდა იმ ხალხთან შეხვედრა, რომელთაც არასდროს შეხვედრია. სსრკ-ის საყოველთაოდ ცნობილი გენერალური პროკურორი ანდრეი ვიშინსკი, აცხადებდა, რომ მესამე კატეგორიის გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია კარგადაა ცნობილი სამართლისთვის. მაგრამ არის კი მოსკოვის აღნიშნული სასამართლო პროცესები თანამედროვე საერთაშორისო ტრიბუნალების სასამართლო პრაქტიკის ნამდვილი ნიმუში, თუნდაც მიმსგავსებული?"[92]
მეორე, როგორც დავინახეთ, ესაა „გეგმის" გაგების ლოგიკური არათანმიმდევრულობა. ერთი მხრივ, განსახილველი

[91] On the Yamashita case, see the account by his lawyer, A. Frank REEL, *The Case of General Yamashita* (Chicago: University of Chicago Press, 1949. ციტირებულია: იხ. John Laughland, დასახ. ნაშრომი.
[92] იქვე.

დანაშაული (განსაკუთრებით გენოციდი), რომელიც ჩამოყალიბებულია ნაცისტური გაგებით, რომელიც მოიცავს გაერთიანების დაგეგმვისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყობის დიდ რაოდენობას. ეს ასახულია სასამართლო პრაქტიკას, კანონმდებლობასა და გენოციდის შესახებ კონვენციის travaux preparatoires-ში.[93]

„ფაქტია, რომ „გეგმის" ცნება იმდენად ბუნდოვანია, რომ იგი მხოლოდ პროპაგანდისტული ღირებულების მატარებელია. მართლაც, ეს პოლიტიკურ შემთხვევათა სასამართლოს გზით გადაწყვეტაა. ომის კანონი დანაშაულებრივი გეგმის კონცეფციით ხდება ომის პროპაგანდისტული იარაღი, რითაც კოლექტიური პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს ადამიანთა დიდ ჯგუფს, გარკვეულწილად, მათი (სავარაუდო) განზრახვის საფუძვლზე."[94]

მესამე, იგი გამომდინარეობს პირველი ორი პუნქტიდან. გეგმის ცნება ვერ ასახავს ომის წარმოების ნამდვილობას, რის გამოც იგი რეალურად გამოუსადეგარია ომის დანაშაულის წინააღმდეგ დევნის განსახორციელებლად. ამ პუნქტის განსაზღვრისთვის უნდა მივმართოთ ომის წარმოების უდიდეს თეორეტიკოსს კლაუზევიტცს (Clausewitz). კლაუზევიტცის აზრით, „ომი, როგორც ნაცვალგებითი აქტი, სადაც მხარეთა მოქმედებები ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია, უფრო მეტიც, შეიძლება მტრის მოქმედებით იყოს ნაკარნახები. ომი ესაა ძალადობის აქტი და მის ყოველ გამოყენებას არ გააჩნია საზღვარი. ყოველი მხარე სხვას უწესებს სამართალს და ორმხრივ მოქმედებას მივყავართ წინააღმდეგობამდე. ომის წარმოებისას უმთავრესი მიზანი მტრის განიარაღებაა. თუმცა, ამის უმთავრესი მიზეზი, ისაა, რომ ვიდრე მე ძირს არ დავაგდებ მტერს, მე უნდა მეშინოდეს მისი, რომ მან არ დამაგდოს ძირს, რის გამოც მე არ ვიქნები სიტუაცი-

[93] John Laughland, დასახ. ნაშრომი.

[94] იქვე.

ის ბატონ-პატრონი. პირიქით, იგი მე თავს მახვევს საკუთარ სამართალს ისევე, როგორც ამას მე ვაკეთებ."[95]

დასასრულ, ინდივიდუალური პასუხისმგებლობის დარღვევის შესახებ დასაბუთებული მოსაზრება აქვს გამოთქმული ოლაინს. იგი მიიჩნევს, რომ გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია არღვევს ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპს. ტადიჩის საქმის მიხედვით, ყველა მონაწილეს, მათი გეგმაში მონაწილეობის ხარისხი მიუხედავად, თანაბარი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეკისრებათ.[96] ამის გამო, მეორეხარისხოვანი მონაწილე ისევე ისჯება, როგორც მთავარი ორგანიზატორი. იმის მიუხედავად, რომ სასამართლო იძულებული იყო განსხვავება გაეკეთებინა მონაწილეებს შორის გამამტყუნებელ განაჩენში და სხვადასხვა სიმკაცრის სასჯელი დაენიშნა,[97] ეს მაინც არაა საკამირისი, რადგან დამნაშავეთა სხვადასხვა ხარისხის დად-

---

[95] See on this not only Carl von CLAUSEWITZ, *Vom Kriege*, (Book 1, Chapter 1) but also René GIRARD's reading, *Achever Clausewitz* (Paris: Carnets Nord, 2007). ციტირებულია: იხ. John Laughland, დასახ. ნაშრომი.

[96] See, e.g., *Prosecutor v. Vasiljević*, Case No. IT-98-32-T, T. Ch. II, 29 November 2002, par. 67 ("If the agreed crime is committed by one or other of the participants in a joint criminal enterprise such as has already been discussed, all of the participants in that enterprise are equally guilty of the crime regardless of the part played by each in its commission"). See also ICTY, Judgement, *Prosecutor v. Tadi*, Case No. IT-94-1-A, A. Ch., 15 July 1999, Klip/Sluiter, ALC-III-761, par. 191 (concluding that "the moral gravity of such participation is often no less—or indeed no different—from that of those actually carrying out the acts in question"); Antonio Cassese, International Criminal Law, Oxford Univ. Press, Oxford 2003, p. 181 ("[A]ll participants in a common criminal action are equally responsible if they [...] participate in the action, whatever their position and the extent of their contribution, and... intend to engage in the common criminal action"). იხ. J. D. Ohlin, The Co-Perpetrator Model of Joint Criminal Enterprise, Annotated Leading Cases of International Criminal Tribunals, Vol. 14, 2008, p. 742.

[97] See Cassese, International Criminal Law, at 183 (noting that "it would be diffi cult to distinguish between the degree of criminal liability, except for sentencing purposes"). ციტირებულია: იხ. იქვე, გვ. 742.

გენა მხოლოდ სასჯელის ფუნქცია არაა; ეს დანაშაულის ფუნქციაცაა, რომლითაც პირის გასამართლება უნდა მოხდეს.[98]

§ 2. მეთაურთა პასუხისმგებლობა საერთაშორისო სისხლის სამართალში

საერთაშორისო დანაშაულების მასშტაბური ბუნებიდან გამომდინარე, საერთაშორისო სისხლის სამართალში მეთაურისა ან დანაშაულის განმახორციელებელი დაჯგუფების, მისი ფორმის მიუხედავად, ხელმძღვანელი პირის დასჯადობის საკითხი პირადი და ბრალეული პასუხისმგებლობის პრინციპთან მიმართებით სერიოზული კვლევის საგანია. უკანასკნელი საკანონმდებლო აქტებიდან აღსანიშნავია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების 28-ე მუხლი. ამ მუხლიდან ირკვევა, რომ „პირთა გაერთიანების" ხელმძღვანელი მოიხსენიება ოთხი ფორმით: 1) სამხედრო მეთაური; 2) სამხედრო მეთაურის სახით ეფექტურად მოქმედი პირი; 3) უფროსი; 4) სხვა პირი, რომელშიც შეიძლება მოვიაზროთ ყველა ისეთი უფლებამოსილების მქონე ადამიანი, რომელსაც ჰყავს ხელქვეითები და მის დაქვემდებარებაში მყოფ პირებს აკონტროლებს. ამ მუხლში განზრახვა სახელდება დანაშაულის სუბიექტურ შემადგენლობად. საყურადღებოა ის ფაქტი, რომ კანონმდებელი ცოდნასთან ერთად, რომელიც განზრახვის კომპონენტია, ალტერნატიულ ინტელექტუალურ მომენტზე, კერძოდ, ცოდნის ვალდებულებაზეც მიუთითებს, რომელიც ზრდის ხელმძღვანელთა პასუხისმგებლური ქცევის მოვალეობას დანაშაულებრივი ქმედებებისთვის.

„თანამედროვე პრეცედენტული სამართალი ორგანიზაციასთან[99] მიმართებით ჩამოთვლის მეთაურის პასუხისმგე-

---

[98] იხ.იქვე, გვ. 741-742.

[99] Judjment, *Delalić et al.* (IT-96-21), Trial Chamber, 16 november 1998, §§ 346. See also the following ICTY Judgments: *Aleksovski* (IT-95-14/1), Trial Chamber, 25 June 1999, § 69 *et seq.*; concurring Appeals Chamber, 24 March 2000, §§ 69-77; *Blaskić* (IT-95-14), Trial Chamber, 3 March 2000, 289 *et seq.* (294); concurring *Blaskić Appeals Judgment*, supra note 4, § 484;

ბლობის სამ პირობას:[100] 1) მეთაურთან სუბორდინაციული ურთიერთობის არსებობა; 2) მეთაურს დაქვემდებარებულ პირთაგან დანაშაულის თავიდან აცილებისთვის საჭირო ღონისძიებათა ან ამ ქმედებებისთვის დასჯადობის განუხორციელებლობა; 3) მეთაურმა იცოდა ან ჰქონდა საფუძველი სცოდნოდა, რომ დანაშაული უნდა განხორციელებულიყო ან განხორცილდა."[101]

„პრეცედენტულ სამართალში გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია, არამარტო ჯგუფურად დანაშაულის ჩამდენთა და ბრბოს მიერ განხორციელებულ ძალადობაში მონაწილეთა სისხლისსამართლებრივი დევნისა და მსჯავრდებისთვის, არამედ ამგვარი პასუხისმგებლობა auctor intelleqtualis მიმართაც გამოიყენება, რომლებიც საერთაშორისო დანაშაულების მთავარი ხელმძღვანელები იყვნენ. ამის ყველაზე ნათელი მაგალითი სლობოდან მილოჩევიჩის მიმართ განხორციელებული სისხლისსამართლებრივი დევნაა.[102] ასევე აღსანიშნავია კრაჯიშნიკის (Krajišnik) საქმე,

---

kordić and Čerkez (IT-95-14/2), Trial Chamber, 26 February 2001, § 401 *et seq.* (401); partly reversed by Appeals Chamber, 17 Desember 2004, but no change with regard to the requirements for superior/command responsibility, see *ibid.*, § 827; *Halović* (IT-01-48), Trial Chamber, 16 November 2005, § 55 *et seq.*; *Limaj et al.* (IT-03-66), Trial Chamber, 30 November 2005, § 520 *et se.* (hereinafter: '*Hadzihasanović Trial Judgment*'). For the ICTR: *Akayesu* (ICTR-96-4), Trial Chamber, 2 September 1998, § 486 *et seq.*;' *Kayishema and Ruzindana Trial Judgment*'); *Rutaganda* (ICTR-96-3), Trial Chamber I, 6 Desember 1999, § 31 *et seq.*; *Kajelijeli Trial Judgment*'); *semanza* (ICTR-97-20), Trial Chamber III, 15 May 2003, §§ 375-407. ციტირებულია: Kai Ambos, დასახ. ნაშრომი, გვ. 161.

[100] *Orić* (IT-03-68-T), Trial Chamber, 30 june 2006, § 294 (hereinafter: '*Orić Trial Judgment*') considers the principal crime(s) commited by the subordinates as a fourth element. ციტირებულია: იქვე, გვ. 161.

[101] იქვე, გვ. 161.

[102] Indicment ('Bosnia Herzogovina'), *Milošević* (IT-01-51-I), § 5-31; First Amended Indictment ('Croatia') *Milošević* (IT-02-54-T), § 5-33; Second Amended Indicment *Slobodan Milošević, Milan Milutinović, NikolaSainović, Dragoljob Ojdanić, Vlajiko Stojiković* (IT-99-37-PT), § 16-29. ციტირებუ-

სადაც სასამართლო პალატამ დამნაშავედ სცნო ბოსნიელ სერბთა ლიდერობა გაერთიანებულ დანაშაულებრივ ორგანიზაციაში მონაწილეობით დანაშაულების განხორციელებაში. აღნიშნული დაჯგუფების წევრები იყვნენ კრაჯიშნიკი და ბოსნიელ სერბთა სხვა ლიდერები."[103]

კაი ამბოსი დაწვრილებით განიხილავს ყოფილი იუგოსლავიის ტერიტირიაზე წარმოშობილი კონფლიქტებისა და საომარი მოქმედებების დროს მეთაურთა და მათ დაქვემდებარებულ პირთა შემთხვევებს და იუგოსლავიის სააპელაციო სასამართლოს მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებს, გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციისა და ბრძანების გაცემისთვის პასუხისმგებლობის თანადროულად (Simultaneous) გამოყენების შესაძლებლობას და აკეთებს შემდეგ კრიტიკულ დასკვნებს.[104]

„პირველი, გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციისა და ბრძანების გაცემისთვის პასუხისმგებლობის თავსებადობის მოთხოვნა არაა შეზღუდული ზემდგომთა და მაღალჩინოსანთა (მილოშევიჩი, კრსტიჩი) მიმართ წაყენებული საქმეებით. იგი ასევე ვრცელდება საშუალო და დაბალი რანგის თანამონაწილეებზე (კვოჩკა, ობრენოვიჩი, ბლაგოჯევიჩი და ჯოკიჩი). მეორე, (ფაქტიურად) არსებული მტკიცებულებების საფუძველზე მხოლოდ რამდენიმე შემთხვევაშია შესაძლებელი ერთდროულად ორივე დოქტრინის გამოყენება. კრსტიჩის, კვოჩკას და სხვათა საქმეებზე სააპელაციო პალატამ უპირატესობა გაერთიანებულ დანაშაულებრივ ორგანიზაციას მიანიჭა ბრძანების გაცემისთვის პასუხისმგებლობასთან შე-

---

ლია: Elies van Sliedregt, Joint Criminal Enterprise as a Pathway to Convicting Individuals for Genocide, Journal of International Criminal Justice 5 (2007), 184-207, Oxford University Press, 2006, p. 186.

[103] Judgment, *Krajišnik* (IT-00-39-T), Trial Chamber I, 27 September 2006 (hereinafter *Krajišnik* Judgment). ციტირებულია: Elies van Sliedregt, დასახ. ნაშრომი, გვ. 186.

[104] იხ.იქვე, გვ. 162-166.

დარებით, რასაც საფუძვლად დაედო სამართალდარღვევათა კონკურენციის წესები. ფაქტიურად პრეცედენტული სამართლის მიხედვით, კანონით გათვალისწინებულ დანაშაულსა (მე-7(1) მუხლი) და ბრაძანების გაცემას შორის უპირატესობა მიენიჭა გაერთიანებულ დანაშაულებრივ ორგანიზაციას, როგორც lex specialis.[105] ყოველივე ამის გამო, პრეცედენტულმა სამართალმა არ გაავლო მკვეთრი ზღვარი ამ ორ დოქტრინას შორის."[106]

„მეთაურის პასუხისმგებლობის მიხედვით, მეთაურის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა დაიწყება მათდამი დაქვემდებარებულების მიერ ჩადენილი დანაშაულებისთვის და არამხოლოდ ხელისუფლებაში ყოფნისას ჩადენილი განსხვავებული დაუდევრობითი დანაშაულებისთვის. II მსოფლიო ომის პრეცედენტების შემდეგ, მეთაურის პასუხისმგებლობის იდეა აღიარებულია პოზიტიურ სამართლებრივ ნორმად 1977 წელს მიღებული ჟენევის კონვენციის I დამატებით ოქმში არსებული სისხლისსამართლებრივი დევნის სერიოზული დარღვევის საკითხში.[107] იუგოსლავიის, რუანდისა და სიერა ლეონის ტრიბუნალების შემთხვევაში, ტრიბუნალთა განსჯადი დანაშაულების დაქვემდებარებულთა მიერ ჩადენის ფაქტი, „არ ამსუბუქებს მისი ხელმძღვანელის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, თუ მან იცოდა ან ჰქონდა ცოდნის საფუძველი, რომ დაქვემდებარებული ამგვარ მოქმედებას განახორციელებდა ან განახორციელა და ხელმძღვანელმა აუცილებელი და შესაბამისი ზომები არ მიიღო ამგვარი მოქ-

---

[105] See Judgment, *Kordič é Ćerkez* (IT-95-14/2), Appeals Chamber, 17 December 2004, §§ 33-35; for East Timor see judgment, *Lelan Sufa*, Special Panel for Serious Crimes, 25 November 2004, www.jsmp.minihub.org/Court%20Monitoring/spsccaseinformation2003.htm (visited 24 March), § 18. ციტირებულია: Kai Ambos, დასახ. ნაშრომი, გვ. 166-167.

[106] Critical also E. van Sliedregt, *the Criminal Responsibility of Individuals for Violation of Internationla Humanitarian Law* (The Hague; TMC Asser Press, 2003), at 195; Osiel, *supra* note 1, 1760. ციტირებულია: იქვე, გვ. 166-167.

[107] I დამატებითი ოქმი, 86(2)-ე მუხლი. ციტირებულია: William A. Shabas, An introduction to the Intrenational Criminal Court, Third Edition, 2009, p. 221.

მედებების თავიდან ასაცილებლად ან ამის გამო დამნაშავეების დასასჯელად.“[108]

მეთაურთა და პირებზე კონტროლის განმახორციელებელ სხვა ხელმძღვანელთა პასუხისგებლობის საკითხის დასაბუთებისთვის განსაკუთრებით აქტიურად გამოიყენებოდა მეორე და მესამე კატეგორიის გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის კონცეფცია.

§ 3. თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობის მიმართება გაერთიანებულ დანაშაულებრივ ორგანიზაციასთან (Joint Criminal Enterprise) სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო პრეცედენტების მიხედვით

ინდივიდუალური და ბრალეული პასუხიმგებლობის პრინციპების დაცვა განსაკუთრებულ სიფრთხილეს მოითხოვს, თუ დანაშაული თანაამსრულებლობით ან თანამონაწილეობის ფორმითაა ჩადენილი. სწორედ, თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობის ისეთმა რთულმა ფორმამ, როგორიცაა ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაული, გამოიწვია მეცნიერთა ფართო დისკუსია.

საერთოდ, ორგანიზებული დანაშაულის ძირითადი არსი ისაა, რომ ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ისე დასაბუთდეს, რომ არ დაირღვეს სისხლის სამართლის ფუნდამენტური პრინციპები. ამ პრობლემის გადაჭრას, როგორც შემდეგ დავინახავთ,

---

[108] ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო ტრიბუნალი, გაეროს დოკუმენტი S/RES/827 (1993), დამატება, მე-7(3) მუხლი; რუანდის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო, გაეროს დოკუმენტი S/RES/955 (1994), დამატება, მე-6(3) მუხლი; სიერა ლეონის სპეციალური სასამართლო, მე-6(3) მუხლი. ციტირებულია: William A. Shabas, დასახ. ნაშრომი, გვ. 221.

საერთაშორისო სასამართლოები, კანონის ინტერპრეტაციის საფუძველზე ჩამოყალიბებული ე.წ. გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის (Joint Criminal Enterprise) ცნებით შეეცადნენ.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრების მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის პასუხისმგებლობის გამართლება ან უარყოფა, გარკვეულწილად, სამართლებრივი სისტემის ბუნებაზეცაა დამოკიდებული. კერძოდ, რომანულ-გერმანული და ანგლოსაქსური სამართლებრივი სისტემების მიერ გაგებული სისხლისსამართლებრივი პრინციპები, ხშირად, რადიკალურად განსხვავდებიან ერთმანეთისგან.

განსაკუთრებით საკამათოა შემდეგი საკითხები: 1) ირღვევა თუ არა პირადი პასუხისმგებლობის, ბრალეულის პასუხისმგებლობის და კანონიერების პრინციპები; 2) გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია პასუხისმგებლობის დამოუკიდებელი საფუძველია თუ იგი პასუხისმგებლობის ფორმაა; 3) ჰქონდა თუ არა სასამართლოს კანონის ამგვარი ინტერპრეტაციის საფუძველი, რომელიც დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ პირთა პასუხისმგებლობას დააფუძნებდა. ამ საკითხის გასარკვევად, ერთობ მნიშვნელოვანია გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის საზღვრების დადგენა. „ტადიჩის საქმის განმხილველი ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ დახმარება და წაქეზება განსხვავედება ერთმანეთისგან დანაშაულის ჩასადენად არსებული საერთო მიზნის ანუ გეგმის შესაბამისი მოქმედებებისგან შემდეგი ნიშნებით:

1) „დამხმარე და წამქეზებელი სხვა პირის, ამსრულებლის

მიერ ჩადენილ დანაშაულზე არიან დამოკიდებულნი;
2) დახმარებისა და წაქეზებისას არაა სავალდებულო საერთო შეთანხმებული გეგმის არსებობა, რომ არაფერი ვთქვათ, ამგვარი გეგმის წინასწარ არსებობაზე. არანაირი გეგმის ან შეთანხმების არსებობა სავალდებულო არაა; მართლაც, ამსრულებელმა შეიძლება არც კი იცოდეს თანამონაწილეთა წვლილის შესახებ;

3) დამხმარე და წამქეზებელი ახორციელებენ მოქმედებებს, რომლებიც კონკრეტულად მიმართულია ზუსტად განსაზღვრული კონკრეტული დანაშაულის (მკვლელობა, განადგურება, გაუპატიურება, წამება, მოქალაქეთა საკუთრების გაუაზრებელი განადგურება და ა.შ.) ხელშეწყობის, წაქეზებისა და მორალური მხარდაჭერისკენ და ამგვარ მხარდაჭერას აქვს არსებითი გავლენა დანაშაულის ჩასადენად. ამისგან განსხვავებით, საერთო მიზნის ან გეგმის შესაბამისად მოქმედებისას, განხორციელებულ მოქმედებაში თანამონაწილეობისთვის საკმარისია, რომ იგი რამენაირად მიმართული იყოს საერთო გეგმის ან მიზნის განსახორციელებლად;
4) დახმარებისა და წაქეზებისას სავალდებულო სუბიექტური ელემენტია იმის ცოდნა, რომ დამხმარისა და წამქეზებლის მიერ ჩადენილი ქმედებები ხელს უწყობს ამსრულებლის მიერ კონკრეტული დანაშაულის ჩადენას."[109]

„ამისგან განსხვავებით, საერთო მიზნის ან გეგმის არსებობისას კიდევ სავალდებულოა (ანუ ან დანაშაულის ჩადენის განზრახვა ან დანაშაულებრივი გეგმის შესაბამისი განზრახვის არსებობა და პლუს იმის წინასწარგანჭვრეტა, რომ ამგვარი დანაშაულები სცდება საერთო დანაშაულებრივ მიზანს, რომელიც, სავარაუდოა, რომ ჩადენილია)."[110]

[109] Kriangsak Kittichaisaree, International Criminal Law, 2002, pp. 245-246.
[110] *Tadić* Appeal Judgment, para. 229. Cf. also *Kayishema and Ruzindana*, paras. 204-5. ფურუნძიჯას (paras. 210-5, 249), ყოფილი იუგოსლავი-

„გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის რეკონსტრუირებისთვის, უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია დავადგინოთ, თუ რითი განსხვავდება გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია დახმარებისა და წამქეზებლობისგან. ტადიჩის საქმეზე სასამართლო პალატამ დადგინა, რომ პირის დამხმარედ ან წამქეზებლად მიჩნევისთვის აუცილებელია, რომ მათ განახორციელონ ქმედებები, რომლებიც უშუალოდ მიმართულია ზუსტად განსაზღვრული დანაშაულის ჩასადენად ხელშეწყობის, წაქეზების ან მორალური მხარდაჭერისთვის. პირიქით, გაერთიანეული დანაშაულებრივი ორგანიზაციის დროს თანაამსრულებლობისთვის საკმარისია რამენაირი წვლილის შეტანა საერთო გეგმის ან მიზნის ხელშესაწყობად. თანამონაწილეობის ობიექტური ელემენტის აღნიშნული დაბალი სტანდარტი იმ ფაქტითაა გამოწვეული, რომ გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის თეორიის მიხედვით, პასუხისმგებლობისთვის საჭიროა საერთო დანაშაულებრივი გეგმა ან განზრახვა.[111] დახმარებისა და წაქეზებისას შეიძლება არც კი იცოდეს დახმარებისა და წამქეზებლის წვლილის შესახებ.“[112]

ის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს II პალატამ ასევე სცადა განსხვავების დადგენა, თუმცა ნაკლებადაა დამუშავებული, ვიდრე ეს ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სააპელაციო პალატის მოსამართლეებმა ტადიჩის საქმეზე გააკეთეს, როდესაც ერთმანეთისგან განასხვავეს დახმარება და წაქეზება საერთო გეგმის შესაბამისად მოქმედი პირთა ჯგუფის სახით წარმოდგენილი თანაამსრულებლობისგან. საოცარი ისაა, რომ ფურუნძიჯას საქმის განმხილველი სასამართლო პარალატა ერთ ნაწილში თანამონაწილეობის ორივე ფორმას მსგავსად განიხილავს. ციტირებულია: Kriangsak Kittichaisaree, დასახ. ნაშრომი, გვ. 246 (იქვე, სქოლიო 68).

[111] See also Gustafson, *supra* note 24, at 9-10. ციტირებულია: Elies van Sliedregt, დასახ. ნაშრომი, გვ. 200.

[112] *Tadić* Appeal Judgment, *supra* note 4, § 229. ციტირებულია: იქვე, გვ. 200..

„საერთო მიზანი აერთიანებს დანაშაულის მატერიალურად განმახორციელებელსა (physical perpetrator) და დანაშაულის არამატერიალურად განმახორციელებელს (non-physical perpetrator) და უზრუნველყოფს ინდივიდუალური პასუხისმგებლობის თავისებურებებს. აღნიშნული გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის ყოველი თანამონაწილისთვის აუცილებელია საერთო მიზნის შესაბამისად მოქმედების განზრახვის გაზიარება, ან იმის წინასწარგანჭვრეტა, რომ დანაშაული ამ საერთო მიზნის ბუნებრივი შედეგია.[113] აღნიშნული „სუბიექტური ელემენტის" დაკმაყოფილება, გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრთა იდენტიფიკაციას მოითხოვს. ამის გამო, ეს საკითხი პრაქტიკაში პრობლემატური აღმოჩნდა. განზრახვის შესახებ არაპირდაპირი მტკიცებულებებით დასკვნის გამოტანა მიზანშეწონილობის გადაწყვეტილებით იყო განპირობებული. კრაჯიშნიკის (Krajišnik) საქმეზე, სასამრთლო პალატის მიერ კანონის ამ ნაწილზე გაკეთებული განმარტების მიხედვით, დანაშაულებრივი გაერთიანების წევრები ერთობლივად უნდა მოქმედებდნენ.[114] ამგვარი ერთობლივი მოქმედებიდან შეიძლება გამოვიტანოთ დასკვნა საერთო მიზნის ობიექტური ელემენტის შესახებ."[115]

„მართებულად აღნიშნავს ჰაანი, რომ წინააღმდეგობა არსებობს გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის თეორიასა და პრაქტიკას შორის.[116] პროკურორთათვის მაინც და მაინც არაა აუცილებელი გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის საერთო გეგმისა და mens rea-ს სუბიექტური

---

[113] *Tadić* Appeal Judgment, *supra* note 4, § 204. ციტირებულია: Elies van Sliedregt, დასახ. ნაშრომი, გვ. 200.

[114] *Krajišnik* Judgment, *supra* note 11, at § 834. ციტირებულია: იქვე, გვ. 200.

[115] იქვე, გვ. 200.

[116] Haan, *supra* note 19, at 194-195. ციტირებულია: იქვე, გვ. 201.

ელემენტების დადასტურება. ეს საკმარისია მეორე კატეგორიის გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის ტესტზე დასკვნის გაკეთებისთვის. ამის გარდა, უკანასკნელი მცდელობები გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის ფართო საზღვრების შეზღუდვის შესახებ, თანამონაწილეობისთვის დამატებითი პირობების დადგენით,[117] ობიექტური ელემენტისთვის გადაჭარბებული მნიშვნელობის მინიჭებაა. ამ გაგებით, გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის ობიექტურ-სუბიექტური ბალანსი სრულიად შეცვლილია. actus rea-სთვის ზღვარი გაზრდილია, ხოლო means rea-სთვის — შემცირებულია.[118] ამ ფონზე, „ზუსტად გამოხატული შეთანხმების მოთხოვნა", რომელიც ბრჟანინის საქმეზე სასამართლო პალატამ წარმოადგინა, მისასალმებელია.[119] ეს ზღუდავს გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის საზღვრებს, რომელიც ჯერ-ჯერობით აღდგენს შესაბამის ობიექტურ-სუბიექტურ ბალანსს, რითაც გაერთიანებულ დანაშაულებრივ ორგანიზაციას დაუბრუნებს მის პირველად მნიშვნელობას."[120]

„გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია" არის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ფორმა ანუ საშუალება, რითაც სასამართლო დანაშაულის ჩამდენის ინდივიდუალურ პასუხისგებლობას ადგენს. გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია ეფუძნება არა ბრალდებულის მიერ პირადად ჩადენილი დანაშაულისთვის პასუხისმგებლობას, არამედ მის მონაწილებას ერთობლივ გეგმაში, რომლითაც დანაშაულის განხორციელებისას ხელმძღვანელობდ-

[117] For instance, by requiring the accused to make a substanstial contribution to the JCE. *Kvoćka*, Appeal Judgment, *supra* note 23, § 278. ციტირებულია: Elies van Sliedregt, დასახ. ნაშრომი, გვ. 201.

[118] Haan, *supra* note 19, at 195. ციტირებულია: იქვე, გვ. 201.

[119] See for another view, Gustafson, *supra* note 24. ციტირებულია: იქვე, გვ. 201.

[120] იქვე, გვ. 201.

ნენ. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის აღნიშნული ფორმა პირველად ნათლად იქნა ფორმულირებული ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სააპელაციო პალატის მიერ ბრალდებულ ვ. დუსკო ტადიჩის საქმეზე გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენში. სააპელაციო სასამართლომ განსაზღვრა მოცემული ფორმის პასუხისგებლობის ელემენტები: 1) პირთა სიმრავლე; 2) ერთობლივი გეგმის არსებობა, რომლის დანიშნულება ან მიზანი წესდებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაა; 3) ბრალდებულის მონაწილეობა ერთობლივ გეგმაში, რითაც ხორციელდება წესდებით გათვალისწინებული დანაშაულები.[121]

„მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაფუძნებული სამხედრო კომისიებისა და ტრიბუნალების პროკურორები და მოსამართლეები ეყრდნობოდნენ „ჯგუფური დანაშაულის კონცეფციას", ასევე თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის თეორიას, რომლითაც ხორციელდებოდა ნაცისტთა იმ მხარდამჭერების სისხლისსამართლებრივი დევნა, ვინც მონაწილეობდა ბრბოს მიერ მოკავშირეთა სამხედრო და ჯანყებულთა ძალების წინააღმდეგ განხორციელებულ ძალადობით მოქმედებებში. ისინი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას აფუძნებდნენ ინგლისური სამართლიდან წარმოშობილ „საერთო განზრახვით მოქმედების" კონცეფციით (concept of „acting with common design"). საერთო განზრახვისთვის პასუხისმგებლობის მიხედვით, როგორც სასამართლოს ოქმებშია განმარტებული, უნდა დამტკიცდეს შემდეგი: განსასჯელებს გაცნობიერებული აქვთ (mens rea), რომ მათ ქმედებებს რაღაც წვლილი შეაქვს დანაშაულის განხორციელებაში (actus rea).[122]

[121] იხ. **Mohamed Suma,** An Examining of Joint Criminal Enterprise in the Special Court's Decision of the AFRC Trial, **http://www.carl-sl.org/home/index.php?option=com_content&view=article&id=90:by-zoila-hinson&catid=4:articles&Itemid=23** (მოპოვების თარიღი: 10.12.2010).

[122] See *Werner Rohde Є Eigth Others* United Nations War Crimes Commission, *Law Reports of War Criminals* (UNWCC) (London: HMO 1947-1949), Vol. V. 56; *Bruno Tesch Є Others* (*Zyklon B* case) UNWCC, Vol. I, at 101.

ფიზიკური ელემენტი საკმაოდ ბუნდოვანი იყო, რომელიც შემდეგ, გარკვეულწილად, შეიზღუდა იმ პირობით, რომ ერთობლივი მოქმედება სამხედრო მანქანისთვის „რეალურ საყრდენს" წარმოადგენდა დანაშაულის განხორციელებისას.[123] საერთო განზრახვის თეორიის მიხედვით, პასუხისმგებლობისთვის უფრო დაბალი ხარისხის თანამონაწილეობაა საჭირო, ვიდრე თანამონაწილეობის გამო პასუხისმგებლობისთვის, როდესაც ამსრულებლი დანაშაულს მატერიალურად განახორციელებს. ამასთან, საერთო განზრახვის თეორიის მიხედვით, ამსრულებელსა და თანამონაწილეს შორის განსხვავებას მნიშვნელობა არ გააჩნია, რამდენადაც ყველა დამნაშავე დანაშაულის თანამონაწილედაა მიჩნეული. „საერთო განზრახვის" ცნება საფუძვლად დაედო საკონცენტრაციო ბანაკების პერსონალის[124] და ბრბოს მიერ განხორციელებულ ძალადობებში მონაწილეთა მსჯავრდებას."[125]

„ისტორია განმეორდა ჰააგაში. ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლომ შეიმუშავა ჯგუფური დანაშაულისთვის პასუხისმგებლობის კონცეფცია კოლექტიური დანაშაულების ჩადენაში მონაწილე პირთა სისხლისსამართლებრივი დევნის და მსჯავრდებისთვის. ამას ნათელყოფს ტადიჩის საქმე. ტადიჩის საქმეზე სასამართლო პალატამ გამამართლებელი განაჩენი გამოიტანა სოფელ ჯასკიჩში (Jaskici) ხუთი კაცის მკვლელობისთვის განსასჯელთა მიმართ, ვინაიდან არავითარი მტკიცებულება არ იყო, რომ მათ

ციტირებულია: Elies van Sliedregt, დასახ. ნაშრომი, გვ. 185.

[123] *Max Wielen Є Seventeen Others* (*Stalag Luft III case*) UNWCC, Vol. XI, 5-17. ციტირებულია: Elies van Sliedregt, დასახ. ნაშრომი, გვ. 185.

[124] *Martin Gottfried Wielen Є Thirty-Nine Others* (*Dachau Concentration Camp case*) UNWCC, Vol. XI, 5-17. ციტირებულია: იქვე, გვ. 185.

[125] *Otto Sandrock three others* case UNWCC, Vol. IV, 40; *Erich Heyer Six Others* (The *Essen Lynching* case) cited in Judgment, *Tadić* (IT-94-1-A), Appeals Chamber, 15 July 1999 (hereinafter *Tadić* Appeal Judgment), §§ 204-209; *Kurt Goebell et al.* (The *Borkum island* cases) cited in *Tadić* Appeals Judgment, §§ 210-213. ციტირებულია: იქვე, გვ. 185.

მონაწილეობა მიიღეს მკვლელობებში,[126] ხოლო სააპელაციო პალატა დაეყრდნო საერთო მიზნის კონცეფციას და ტადიჩი მსჯავრდებულად სცნო. სააპელაციო პალატის მიხედვით, როგორც ეს ჩანს შესაბამისი პრეცედენტული სამართლით, საერთო მიზანი, რომელსაც შემდეგში „გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია" ეწოდა, მოიცავს სამი განსხვავებული კატეგორიის დანაშაულებს.[127] ტადიჩი დამნაშავედ ცნეს მესამე კატეგორიის დანაშაულში, რომელიც მონაწილეობის ყველაზე დაბალ დონეს მოითხოვს. სოფელ ჯასკიჩიდან ხალხის განდევნის განზრახვის გაზიარებით, მას დაეკისრა თანაბარი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ხუთივე მკვლელობისთვის, რადგან ეს უკანასკნელნი განხორციელებული იყო განდევნის პროცესში და განდევნის ამგვარი შედეგების წინაწარმეტყველება შესაძლებელი იყო."[128]

გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია საკმაოდ დიდი კრიტიკის საგანია. უპირველეს ყოვლისა, იგი ნათლად ვერ ადგენს წესდებით გათვალისწინებულ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ფორმას ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს ან სეირა ლეონის სპეციალური სასამართლოსთვის. ტადიჩის საქმეზე შექმნილი ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სააპელაციო პალატა ამტკიცებდა, რომ ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება მოიცავს გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციას, როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ფორმას, ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების 1-ლი მუხლიდან გამოდინარე, რომელიც ავრცელებს იურიდიქციის ფარგლებს ყოფილი იუგოსლავიის ტერიტორი-

[126] Opinion and Judgment, *Tadić* (IT-94-1-T), Trial Chamber II, 7 May 1997 (hereinafter *Tadić* Judgment), § 373. ციტირებულია: იქვე, გვ.185.

[127] *Tadić* appeals Judgment, *supra* note 4, § 228. ციტირებულია: Elies van Sliedregt, დასახ. ნაშრომი, გვ. 186.

[128] იქვე, გვ. 185-186.

აზე განხორციელებულ „ყველა" სერიოზული საერთაშორისო ჰუმანიტარული დანაშაულების ჩადენისთვის პასუხისმგებელ პირებზე. ეს არგუმენტირებულია იმით, რომ „დამნაშავე მხოლოდ ისაა, ვინც დანაშაულის არსებითად განხორციელებას გულგრილად ეკიდება იმ თანამონაწილეების მიერ, რომლებიც საბოლოოდ ხელს არ უშლიან დანაშაულის რეალურად ჩადენას. სასამართლომ დადგინა, რომ წესდებაში ფარულად მოცემულია გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია, როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ფორმა, რაც უკვე არსებობს ჩვეულებით საერთაშორისო სამართალში. კრიტიკოსთა აზრით, „სასამართლოს ამგვარი გონივრულობა" თაღლითობაა და სხვა არაფერი. ტადიჩის საქმეზე სასამართლოს გადაწყვეტილების კრიტიკას ასევე ნათელყოფს ის, რომ მის საკამათო ასპექტებსაც მხარს არ უჭერს გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის შესახებ საერთაშორისო დოქტრინაც. სხვა კრიტიკოსთა აზრით, გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია ეფექტურად ფუნქციონირებს იმისთვის, რომ პირი დამნაშავედ ვცნოთ მხოლოდ იმიტომ, რომ იგი ორგანიზაციასთან დაკავშირებული იყო. დასასრულ, კრიტიკოსები აღნიშნავენ, რომ „გაფართოებული" ფორმა არ მოითხოვს მიზეზობრივი კავშირის დადგენას სხვა დამნაშავეთა ქმედებებთან ან განზრახვასა და დამდგარ დანაშაულებთან."[129]

გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია ემსახურება გარკვეული დანაშაულებრივი ქმედების ან მისი შედეგის ორგანიზებულ დანაშაულებრივ გაერთიანებაში მონაწილეთათვის ბრალად შერაცხვას. „დანაშაულებრივი ორგანიზაციისთვის" დამახასიათებელია აშკარად ან მდუმარებით მიღწეული შეთანხმება კონკრეტული დანაშაულის ჩადენის მიზნით.[130] მაგალითად, გენოციდის შემთხვევაში გარკვეული ჯგუფის განადგურების მიზანი. ამგვარი გლობალური

[129] **Mohamed Suma,** დასახ. ნაშრომი.

[130] See most recently *Krajiš nik Trial Judgment*, *supra* note 3, §§ 883, 884: 'common objective'. ციტირებულია: Kai Ambos, დასახ. ნაშრომი, გვ.167.

ანუ დიდი დაჯგუფებები, ჩვეულებისამებრ, შედგება პატარა სუბსიდიური დაჯგუფებებისგან.[131] მაგალითად, საკონცენტრაციო ან პატიმართა ბანაკების მართვადი აღმასრულებელი ჯგუფები, ადგილობრივი და რეგიონული დევნის განმახორციელებელი ჯგუფის წევრები და ა.შ.[132] სწორედ საერთო მიზანია გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის დოქტრინის კოლექტიურობის მთავარი ელემენტი, რომელიც გადააქცევს მას ინსტიტუციურ თანამონაწილეობაზე დაფუძნებულ კოლექტიურ პასუხისმგებლობის [illegible] რიად[133] ან პასუხისმგებლობის სისტემატიკურ მოდელად.[134] ეს დოქტრინა მოგვაგონებს შეთქმულების კანონს[135] და მასში მონაწილეობას ან ორგანიზაციულ პასუხისმგებლობას, რომელიც ნიურნბერგის პროცესზე იყო გამოყენებული.[136]

---

[131] Cf. *Kvočka Trial Judgment*, *supra* note 26, § 307. ციტირებულია: იქვე, გვ. 167.

[132] Critical on such broad interpretations Danner and Martinez, *supra* note 1, at 135 *et seq.*; critical also Osiel, *supra* note 1, at 1796 *et seq.*, 1802 *et seq.* and *idem*, 'modes of Participation in Mass Atrocity', 39 *Cornell International Law Jurnal* (2005) 793, at 799-800. ციტირებულია: Kai Ambos, დასახ. ნაშრომი, გვ. 167.

[133] Cf. H. Jung, 'Begründung, Abbruch und Modifikation der Zurechnung beim Verhalten mehrerer' in A. Eser, B.: Max Planck institute, 1998) 175, at 183 *et seq.* ციტირებულია: იქვე, გვ. 167.

[134] Cf. vogel, *supra* note 59, at 420 *et seq.*; see for a systemic imputation ('global appriach') also Piacente, *supra* note 1, 446 *et seq.* ციტირებულია: იქვე, გვ.167.

[135] Cf. G.P. Flechter and J.D. Ohlin, 'Reclaiming Fundamental Principle of Criminal law in the Darfur Case', 3 *Journal of International Criminal Justice* (*JICJ*) (2005) 539, at 539, at 548; van Sliedregt, *supra* note 54, at 355; S. POwles, 'Joint Criminal Enterprise; Criminal Liability by Prosecutorial Ingenuity and Judicial Creativity?', 2 *JICJ* (2004) 606, at 613; Piacente, *supra* note 1, at 451; Danner and Martinez, *supra* note 1, at 1785, 1791-1792. ციტირებულია: იქვე, გვ. 168.

[136] See for detailed analysis van Sliedregt, *supra* note 54, 17 *et seq.*, 20 *et seq.*; Danner and Martinez, *supra* note 1, at 113-114; recently S. Römer, *Mitglieder verbrecherischer Organisationen nach 1945* (Frankfurt am Main et al.: Peter lang, 2005), 28 *et seq.*; van Sliedregt, *supra* note 54, at 352 *et seq.* regards JCE as 'membarship responsibility' distinguishing between 'institutionalised'

მსგავსებები ყველაზე აშკარად ჩანს III კატეგორიის გაერთიანებულ დანაშაულებრივ ორგანიზაციასთან მიმართებით, რომლის მიხედვითაც, პირი შეუთანხმებელი დანაშაულისთვის აგებს პასუხს. გადამწყვეტი მნიშვნელობა აქ გარკვეული დანაშაულის წინასწარგანჭვრეტადობას გააჩნია. გამოდის, რომ პირის პასუხისმგებლობა ეფუძნება გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციაში მის წევრობას.[137]

„შესაძლებელია, რომ გაერთიანებულ დანაშაულებრივ ორგანიზაციაში მონაწილეობის შესახებ და მე-7(3) მუხლთან დაკავშირებით ყველაზე კარგ უახლოეს მაგალითად გამოდგეს მილოშევიჩისა და სხვათა საჩივრები მათი უდანაშაულობის შესახებ. საბრალდებო აქტის მიხედვით, ხუთ პირს ბრალი ედებოდათ 1999 წელს კოსოვოში საერთაშორისო ჰუმანიტარული სამართლის დარღვევისთვის.[138] საბრალდებო აქტის მე-16 პარაგრაფი, რომელიც შესწორდა, აყალიბებს სისხლისსამართლებრივი დევნის შემდეგ თეორიას:

---

and 'collateral' membership responsibility; Osiel, *supra* note 1, at 1799-1800. Yet, Piachente, *supra* note 1, at 452 argues in favoure of the Nuremberg 'judicial recognition of the common illegal purpose'. ციტირებულია: იქვე, გვ.168.

[137] Kai Ambos, დასხ. ნაშრომი, გვ. 167-168.

[138] *Prosecutor* v. *Milutinović* at al., Indicment, Case No. IT-99-37, 29 October 2001. ბრალდებულთაგან ერთ-ერთმა (*Vlajko Stojilković*) თავი მოიკლა 2002 წლის 2 აპრილს. ორმა ბრალდებულმა, ოჯდანიჩი (*Ojdanić*) და საინოვიჩი (*Sainović*) 2002 წლის 25 აპრილსა და 2 მაისს ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშირისო სასამართლოს ჩაბარდნენ. თავდაპირველად სლობოდან მილოშევიჩს ბრალი წაეყენა მათთან თანაამსრულებლობისთვის, მაგრამ შემდგომში ფაქტიურად საბრალდებო აქტით მისი საქმე გამოეყო ბოსნიისა და ხორვატიის საქმეებთან დაკავშირებული საბრალდებო აქტით სასამართლოს მიზნებიდან გამომდინარე. ციტირებულია: Daryl A. Mundis, Crimes of the Commander: Superiors Responsibility under Artikl 7(3) of the ICTY Statute, Edited by Gideon Boas and William Schabas, International Criminal Law Developments in the Case Law of the ICTY, 2003, pp. 270-271 (იქვე, სქოლიო 157).

„ბრალდებულთაგან თითოეული მათგანი ინდივიდუალურად პასუხისმგებელია მათ წინააღმდეგ დადგენილი იმ დანაშაულებისთვის, რომლებიც გათვალისწინებულია სასამართლოს წესდების მე-3, მე-5 და მე-7(1) მუხლებით. ბრალდებულებმა დაგეგმეს, მოუწოდეს, შეუკვეთეს, განახორციელეს ანდა სხვაგვარად დაეხმარნენ ან წააქეზეს აღნიშნულ დანაშაულთა დაგეგმვის, მომზადებისა თუ აღსრულებისკენ. სიტყვა „განხორციელება" („committing") საბრალდებო აქტში, ბრალდების მიერ არაა შემოთავაზებული მხოლოდ იმ გაგებით, რომ ბრალდებულებმა პირადად ფიზიკურად განახორციელეს ბრალად წაყენებული დანაშაულები. „განხორციელება" წარმოდგენილ ბრალდებაში მიუთითებს გაერთიანებულ დანაშაულებრივ ორგანიზაციაში თანაამსრულებლობის სახით მონაწილეობასაც. გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის მიზანი, მათ შორის, იყო კოსოვოელი ალბანელების მნიშვნელოვანი ნაწილის განდევნა კოსოვოს ტერიტორიიდან, რადგან ამით გარანტირებული ყოფილიყო კოსოვოს ტერიტორიაზე სერბების კონტროლი. ამ მიზნის მისაღწევად, თითოეული ბრალდებული, მოქმედებდა ინდივიდუალურად ან სხვებთან ერთად ანდა იმათთან ერთად, ვინც იცოდა ან არ იცოდა, რომ მნიშვნელოვნად ეხმარებიან გაერთიანებულ დანაშაულებრივ ორგანიზაციას, ვინც იყენებს მათთვის ხელმისაწვდომ de jure და de facto ძალაუფლებას."[139]

---

[139] *Prosecutor* v. *Milutinović* at al., Indicment, Case No. IT-99-37, 29 October 2001. „საბრალდებო აქტის მე-18 პარაგრაფში ჩამოყალიბებულია მრავალი სპეციფიკური დეტალი გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის თეორიასთან დაკავშირებული საქმის გამო:

საბრალდებო აქტის 1-5 პუნქტებში ჩამოთვლილი დანაშაულები, გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის მიზნებში შედიოდა. ალტერნატიულად, 3-5 პუნქტებში ჩამოთვლილი დანაშაულები, რომლებიც გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის ბუნებრივი და წინასწარგანჭვრეტადი შედეგებია და იცოდნენ, რომ ამგვარი დანაშაულები შესაძლებელი იყო გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის მიერ განხორციელებულიყო. მათ მიერ წინასწარგანჭვრეტადი შედეგების გაცნობიერების მიუხედავად, სლობოდან მილოშევიჩმა, მილან მილუტინოვიჩმა, ნიკოლა საინოვიჩმა, დრაგოლჯუბ ოჯანიჩმა, ვლაჯკო სტოჯილჯკოვიჩმა

„ერთად აღებული პასუხისმგებლობის ეს ფორმები ბრალდებას უზრუნველყოფს სხვადასხვა თეორიებით, რომლითაც შესაძლებელია ბრალის წარდგენა იმ პირების მიმართ, ვისაც გააჩნია მმართველობითი ან მეთაურის ძალაუფლება მნიშვნელოვანი საერთაშორისო ჰუმანიტარული დანაშაულების ჩამდენთა მიმართ. ამასთან, გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია — განსაკუთრებით მე-7(3) მუხლთან ერთად — ბრალდებულთაგან დაშორებული დანაშაულებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საშუალებას იძლევა."[140]

„ალბათ, აღნიშნული პრაქტიკის საუკეთესო მაგალითი კრსტიჩის (Krstić) საქმეა.[141] გენერალ კრსტიჩს ბრალი წაეყენა მე-7(1) მუხლით, გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის ჩათვლით და მე-7(3) მუხლით სრებრენიკაში ჩადენილი გენოციდისთვის. სასამართლო პალატამ დაადგინა,

---

იცოდნენ თუ არა, ისინი შეგნებულად და ნებით მონაწილეობდნენ გაერთიანებულ დანაშაულებრივ ორგანიზაციაში. ყოველი ბრალდებული და გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის სხვა თანამონაწილენი იზიარებდენ განზრახვას და განწყობას, რომელიც აუცილებელი იყო 1-5 პუნქტებში მოცემული დანაშაულების განსახორციელებლად. ამის გამო, წესდების მე-7(1) მუხლის მიხედვით, ყოველი ბრალდებულს და გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის სხვა თანამონაწილეებს ეკისრებათ ინდივიდუალურად სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა 1-5 პუნქტებით დადგენილი დანაშაულებისთვის".
ციტირებულია: Daryl A. Mundis, დასახ. ნაშრომი, გვ. 273 (იქვე, სქოლიო 158).

[140] იქვე, გვ. 273.

[141] See also *Prosecutor* v. *Kvočka* et al., *supra* note 54, paras. 242-341, and particularly paras. 287-289. აქ სასამართლო პალატამ დაადგინა, რომ შესაბამისი კატეგორიის განსაზღვრისას (ე.ი. გაერთიანებულ დანაშაულებრივ ორგანიზაციაში თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობისას დახმარების ან წამქეზებლობის სახით), რაც უფრო მაღალია თანამონაწილეობის ხარისხი, მით უფრო საიმედოა იმ დასკვნის გამოტანა, რომ კონკრეტული ბრალდებული იზიარებდა გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის განზრახვას (სქოლიო 161). ციტირებულია: იქვე, გვ. 273.

რომ გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია არსებობდა სრებრენიკას დაპყრობილ ტერიტორიაზე და საერთო გეგმის მიზანი, მათ შორის, იყო სრებრენიკადან მუსულმანი მოსახლეობის იძულებით გაადგილება და „სამხედრო სამსახურისთვის საჭირო ასაკს მიღწეული სრებრენიკას ბოსნეილი მუსულმანი მამაკაცების მკვლელობა იმ შეგნებით, რომ ამგვარი მკვლელობები სრებრენიკაში ბოსნიელ მუსულმანთა საზოგადოების სრული განადგურების საშუალებას მისცემდათ.“[142]

„სრებრენიკას მრავალი ბოსნიელი მუსულმანი მოსახლეობა მიიყვანეს პოტოჩარში (Potočari). ეს ქალაქი რამდენიმე მილითაა დაშორებული სრებრენიკასგან, თუმცა „დაპყრობილი სრებრენიკას“ ფარგლებში მდებარეობს. პოტოჩარში მიყვანილი მრავალი დევნილი გახდა მკვლელობის, გაუპატიურების, ცემისა და სხვა შეურაცხოფის მსხვერპლი. წარმოდგენილი მსჯელობის მიზნებიდან გამომდინარე, საინტერესოა მოსამართლეთა მიერ შეკრებილი შემდეგი მონაცემები:

ამის მიუხედავად, სასამართლო პალატა არაა დარწმუნებული იმ გონივრულ ეჭვში, რომ პოტოჩარში დევნილების მკვლელობა, გაუპატიურება, ცემა და სხვაგვარი შეურაცხყოფა, ასევე მიზანი შეთანხმებული იყო გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრებს შორის. თუმცა, უეჭველია, რომ ამგვარი დანაშაულები ეთნიკური წმენდის კამპანიის ბუნებრივი და წინასწარგანჭვრეტადი შედეგები იყო.“[143]

„ამ მაგალითის მე-7(3) მუხლში მოცემული ცოდნის მოთხ-

[142] *Prosecutor* v. *Krsti* , *supra* note 53, para. 644. See paras. 607-645 for the Trial Chamber's conclusions *in toto* regarding joint criminal enterprise and para. 615 concerning the forcible transfer of the civilian population as one component of this common plan. ციტირებულია: Daryl A. Mundis, დასახ. ნაშრომი, გვ. 273.

[143] *Prosecutor* v. *Krsti* , *supra* note 53, para. 616. ციტირებულია: იქვე, გვ. 273.

ვნასთან შედარებით საინტერსოა სასამართლო პალატის მიერ იმის მტკიცება, რაც მოსამართლეების მიერ ჩამოყალიბებული დასკვნის მხარდასაჭერად გაკეთდა: „იმ გარემოებების გათვალისწინებით, რომელიც არსებობდა გეგმის ჩამოყალიბებისას, გენერალ კრსტიჩს უნდა სცოდნოდა, რომ შესაბამისი თავშესაფრების უკმარისობას, ბრბოს კონცენტრაციას, დევნილთა უმწეო მდგომარეობას, მრავალი რეგულარული და არარეგულარული სამხედრო და გასამხედროებული ერთეულების შესაბამის რეგიონში არსებობას და გაეროს ჯარისკაცთა არასაკმარის რაოდენობას, რაც მათ დაცვას უზრუნველყოფდა, ამ დანაშაულების განხორციელება დაუყოვნებლივ მოჰყვებოდა."[144] სუბიექტური შემადგენლობის „უნდა სცოდნოდა" სტანდარტის სელებიჩის (Čelebići) საქმეზე აღნიშნულ განსხვავებას ამყარებს აპელაციაში მე-7(3) მუხლში მოცემულ „ცოდნის საფუძველი ჰქონდა" სტანდარტის მიმართ გაკეთებული ინტერპრეტაცია. თუკი დადგინდება, რომ ხელმძღვანელი გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრია ან სხვა მსგავსი დანაყოფების ან თუნდაც მის ხელმძღვანელობაში შემავალი დანაყოფების მეთაურებთან ერთად, მაშინ ხელმძღვანელთა დამნაშავედ ცნობა მე-7(1) მუხლის მიხედვით, გაცილებით მარტივია, ვიდრე მე-7(3) მუხლით. ამგვარი გაგება, იმ გარემოების გათავალისიწნებით, რომ მე-7(1) მუხლით გათვალისწინებული დანაშაულები უფრო მძიმე სასჯელებს იწვევს მსჯავრდებულებისთვის, ვიდრე მე-7(3)[145] მუხლით გათვალისწინებული მსგავსი დანაშაულებისთვის, ნათელყოფს გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის პოლიტიკური დატვირთვის პირობების მნიშვნელობას."[146]

---

[144] *Prosecutor* v. *Krsti* , *supra* note 53, para. 616. ციტირებულია: Daryl A. Mundis, დასახ. ნაშრომი, გვ. 274.

[145] ეს გამომდინარეობს იქიდან, რომ მე-7(1) მუხლი მოიცავს დანაშაულთა განხორციელებას, ხოლო მე-7(3) მუხლი მხოლოდ უმოქმედობას ეხება (სქოლიო 166). ციტირებულია: იქვე, გვ. 274.

[146] იქვე, გვ. 274.

„ამის მიუხედავად, კრნოჯელაკის საქმეზე, სხვა სასამართლო პალატა სხვა ფაქტების წინაშე დადგა და ორიენტაცია აიღო, ერთი მხრივ, გაერთიანებულ დანაშაულებრივ ორგანიზაციას და მე-7(1) მუხლით გათვალისწინებულ დახმარებასა და წაქეზებას და მეორე მხრივ, მე-7(3) მუხლით გათვალისწინებულ ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობას შორის ურთიერთკავშირზე.[147] ამ საქმით დადგინდა, რომ განსასჯელმა იცოდა არასერბი ადამიანების იმ ბანაკში უკანონო თავისუფლების აღკვეთის შესახებ, რომლის ზედამხედველიც იყო და მისი „მოქმედება ან უმოქმედობა ხელს უწყობდა ამსრულებლების მიერ დანაშაულის ჩასადენად სისტემის მართლსაწინააღმდეგოდ ფუნქციონირებას."[148] ამის მიუხედავად, სასამართლო პალატამ დადგინა, რომ შესაძლებელი იყო, რომ ბრალდებულებმა „მხოლოდ იმათი ბრძანებები შეასრულა, ვინც ისინი დანიშნა [ბანაკის] თანამდებობაზე და არ იზიარებდნენ განზრახვას."[149] სასამართლო პალატამ გადაწყვიტა, რომ ამ პირობებში:

---

[147] **კრნოჯელაკის** საქმის განმხილველმა სასამართლომ უარყო **კრსტიჩის** საქმის განმხილველი სასამართლოს მიდგომა, სადაც არ იყო ნათლად ჩამოყალიბებული განსხვავება თანამონაწილეობას (როგორც თანამონაწილეობის დამოკიდებულ ფორმასა) და თანაამსრულებლობას შორის (როგორც თანამონაწილეობის უშუალო და ძირითადი ფორმა, მაგრამ საბოლოოდ მაინც არ არის ამსრულებელი as a direct and principal form of participation, but falling short of that of the principal offender) See *Prosecutor* v. *Krnojelac*, *supra* note 6, para. 74. კრნოჯელაკის საქმის განმხილველმა სასამართლომ ასევე უარყო კვოჩკას საქმის განმხილველი სასამართლო პალატის მიდგომა თანაამსრულებლებსა (ვინც იზიარებს გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის განზრახვას) და დამხმარესა და წამქეზებელს შორის (ვინც მხოლოდ იცის ამსრულებლის განზრახვა). *Prosecutor* v. *Krnojelac*, *supra* note 6, para. 76. Both *Krsti* and *Kvo ka* were decided by Trial Chamber I (სქოლიო 167). ციტირებულია: Daryl A. Mundis, დასახ. ნაშრომი, გვ. 274.

[148] *Prosecutor* v. *Krnojelac*, *supra* note 6, para. 127. Both *Krsti* and *Kvo ka* were decided by Trial Chamber I. ციტირებულია: იქვე, გვ. 274.

[149] *Prosecutor* v. *Krnojelac*, *supra* note 6, para. 127. Both *Krsti* and *Kvo ka* were decided by Trial Chamber I. ციტირებულია:იქვე, გვ. 274.

განსასჯელთა დანაშაულებრივი ქცევები, ძირითადად, შესაბამისად კვალიფიცირდება, როგორც გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის ამსრულებელთა მიერ არასერბი დაპატიმრებულების უკანონოდ ციხეში მოთავსებაში დახმარებად და წაქეზებად, წესდების მე-7(1) მუხლის მიხედვით. მე-7(3) მუხლის შესაბამისად, ბრალდებულებს მეთაურთა პასუხისმგებლობა დაეკისრებათ არასერბი პატიმრების უკანონოდ ციხეში მოთავსებისთვის, ვინაიდან, შესაძლებელია, ძირითადად, ბრალდებულების მიერ იყო განხორციელებული და ამდენად ხელმძღვანელი ვალდებული იყო ეცნობებინა ამ უკანონო ქცევების შესახებ, თვით ბრძანების გამცემი პირებისთვის. შესაბამისად, სასამართლო პალატა არ მიიჩნევს მართებულად მისთვის მეთაურის პასუხისმგებლობის დაკისრებას."[150]

კაი ამბოსი მიუთითებს, რომ თანამონაწილეთა დიფერენცირებას, თანაამსრულებელთა და თანამონაწილე (დამხმარე და წამქეზებელი) შორის ზღვრის გავლებას გადამწყვეტი მნიშვნელობა გააჩნია და (სუბიექტურ) დანაშაულებრივ გეგმაში (ობიექტური) თანამონაწილეობის ხარისხობრივ ზღვარს ავლებს. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, მონაწილეობის ხარისხის უარყოფით თანაამსრულებლები უფრო უახლოვდებიან დანაშაულის უბრალო დამხმარესა და წამქეზებელს, რის გამოც, მათ შორის ზღვარი იკარგება. ყოველ შეთხვევაში ისეთი „წინასწარგანჭვრეტადი შედეგების" ბრალად შერაცხვამ, რომელიც წინასწარ არ ყოფილა შეთანხმებული და, შესაბამისად, არ ყოფილა ყველა მონაწილის მიერ განზრახული, შეუძლებელია დააფუძნოს თანაამსრულებლობის და თანამონაწილეობის რომელიმე ფორმა. დანაშაულისთვის აუცილებელია, რომ თვითონ დამნაშავემ უშუალოდ განახორციელოს დანაშაულის ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობანი.

[150] *Prosecutor* v. *Krnojelac*, *supra* note 6, para. 127. Both *Krsti* and *Kvo ka* were decided by Trial Chamber I. See also *ibid.*, para. 173. ციტირებულია: Daryl A. Mundis, დასახ. ნაშრომი, გვ. 274-275.

თუ დანაშაულის რომელიმე ელემენტი პირს არ განუხორციელებია და მას ბრალად ერაცხება სხვა პირის მიერ ჩადენილი დანაშაული, მაშინ შეიძლება პასუხი აგოს მხოლოდ როგორც დამხმარემ ან წამქეზებელმა. საინტერესოა, რომ ტრადიციული ინგლისური დოქტრინა დიდხანს აღიარებდა, რომ საერთო დანაშაულებრივ მიზანში თანამონაწილე არის მეორე ხარისხის ამსრულებელი, როდესაც მათი მოქმედებები მიმართული იყო დანაშაულის ჩასადენად.[151]

„ერთი მხრივ, თანაამსრულებლობას, მეორე მხრივ, დახმარებასა და წამქეზებლობას შორის ყველაზე დამაჯერებელ გამიჯნავ კრიტერიუმებს იძლევა გერმანული დოქტრინა, რომელიც ქმედებაზე ფუნქციონალური ბატონობის სახელითაა ცნობილი (funktionalle Taterrschaftslehre), რომლის თანახმადაც, თანაამსრულებლობისთვის აუცილებელია ფუნქციონალური ერთობლივი მოქმედება სხვა პირებთან (ობიექტური შემადგენლობა) საერთო გეგმის ან შეთანხმების საფუძველზე (სუბიექტური შემადგენლობა).[152] ამგვარი მოთხოვნები მხოლოდ I კატეგორიის გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის შეთხვევაშია შესრულებული. ფაქტიურად, სააპელაციო პალატამ ტადიჩის საქმეზე იცოდა თანაამსრულებლობასა და I კატეგორიის გაერთიანებულ დანაშაულებრივ ორგანიზაციას შორის მსგავსება, ყოველ შემთხვევაში ტერმინოლოგიური მაინც, ვინაიდან I კატეგორიის გაერთიანებულ დანაშაულებრივ ორგანიზაციას მოიხსენიებდა თანაამსრულებლობად (co-perpetratorshipt)[153] და ამავდროუ-

[151] See J.C. Smith, B. Hogan, D. Ormerod, *Criminal LA* (11th edn., Oxford: OUP, 2005), at 169, quoting Stephen, Digest, Art. 38. See also *ibid.*, at 190-191 (JCE as cases of scondaty participation, parties to JCE as accessories). ციტირებულია: იხ. Kai Ambos, დასახ. ნაშრომი, გვ. 168-169.

[152] See for detailed analisys C.Roxin, *Strafrecht, Allgemeiner Teil*, Vol. II (München, C.H. Beck, 2003), at 77 *et.seq.* ციტირებულია: იქვე, გვ. 170.

[153] *Tadić Appels Judgment, supra* note 2, § 198. This terminology is settled, see recently Judgment on Sentensing Appeals, *Babić* (IT-03-72), Appels Chember, 18 July 2005, § 38 (hereinafter: '*Babić Appeals Judgment*'). ციტირებულია: იქვე, გვ.170.

ლად ეყრდნობოდა II მსოფლიო ომის შემდეგ გერმანიისა და იტალიის მიღებულ შეხედულებას თანაამსრულებლობის შესახებ.[154] უეჭველია, რომ I კატეგორიის გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია — სააპელაციო სასამართლოს სხვადასხვა ერთსულოვანი გადაწყვეტილებებით, რომლებიც ფორმულირებულია სხვადასხვაგვარად — მოითხოვს მონაწილის მიერ ქმედების (ობიექტურად) განხორციელებას, რომელიც ასე თუ ისე მიმართულია ერთობლივი გეგმის ან მიზნის (სუბიექტურად) ხელშესაწყობად.[155] ასე რომ, I კატეგორიის გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია არის რომანულ-გერმანული სისტემის სამართლის მიერ ჩამოყალიბებული თანაამსრულებლობის საფუძველზე შექმნილი თანამონაწილეობის ფორმა,[156] ხოლო საერთო გეგმა და მიზანი საერთო სამართლის ქმნილებაა. რაც შეეხება lex lata-ს, უნდა დავასკვნათ, რომ I კატეგორიის გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია არის გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის ერთადერთი ფორმა, რომელიც ყოველგვარი სირთულის გარეშე შეიძლება განხილული იქნეს, როგორც ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების მე-7(1) მუხლის[157]

---

[154] *Tadić Judgment, supra* note 2, § 201. ციტირებულია: იქვე, გვ.170.

[155] *Ibid.*, § 229; *Krnojelac Appeals Judgment, supra* note 4, § 33; *vasilijević Appeals Judgment, supra* note 4, § 102; *Kvočka Appeals Judgment, supra* note 35, § 89; *Babić Appeals Judment, supra* note 76, § 38. ციტირებულია: Kai Ambos, დასახ. ნაშრომი, გვ.170.

[156] CF. *Stakić Trial Judgment, supra* note 4, § 439. Against this background and the universal recognition of co-perpetration as a form participation (see Art. 25(3)(a) ICC Statute) it is more than surprising that the Appeals Chamber states that, on the one hand, 'this mode of liability... does not have support in customary international law' yet, on the other, JCE liability is 'firmly esteblished' (*Stakić Appeals judgment, supra* note 5, § 62). This demonstrates such a blatant ignorance of basic principles of criminal las that even principled supporters of the International Criminal Tribunals, as this writer, are forced to reconsider their support. ციტირებულია: იქვე, გვ.170.

[157] Cf. Powles, *supra* note 62, at 610-611; V. Haan. 'The Development of the Concept of JCE ar the ICT', *INtrrnational Criminal Law Review* (ICLR) (2005) 167, at 201. See also, albeit more radically, Separate and Partly Dis-

განხორციელება და საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს წესდების 25(3)(a)-ე მუხლის მე-2 ალტრენატივაში მოცემული თანაამსრულებლის (co-perpetratration) შესაბამისი."[158]

ოლაინი მიუთითებს, რომ „კვოჩკას საქმეში მოცემული გამიჯვნა (მათ შორის ვინც იზიარებს განზრახვას და ვისაც მხოლოდ გაცნობიერებული აქვს განზრახვა), გარკვეულწილად განსხვავდება ამსრულებლისა და თანამონაწილეების გამიჯვნისთვის გამოყენებული გერმანული დანაშაულის განხორციელებაზე ბატონობის თეორიისგან. მათ შორის არამხოლოდ განსხვავებაა, არამედ ისინი ერთმანეთის მიმართ შუთავსებელია. ძირითადად, კვოჩკას საქმის მიხედვით, სიახლეა ის, რომ აქ მოცემულია მხოლოდ ორელემენტიანი განსხვავება მონაწილეობის ორ დონეს შორის; [...] ბატონობის თეორიით დაბალი დონის მონაწილეებსა და ორგანიზატორებს შორის გამიჯვნა რჩება გარკვეულ საფეხურზე. მაგალითად, შესაძლებელია, რომ კვოჩკას საქმის მიხედვით, უბრალო ქვეითი ჯარისკაცი ჩაითვალოს თანაამსრულებლად, თუ იგი იზიარებს ჯგუფის განზრახვას, მაგრამ ბატონობის თეორიით ჩაითვალოს თანამონაწილედ, რადგან იგი არავითარ ბატონობას შეთქმულებაზე არ ახორციელებდა. ამის გამო, წინააღმდეგობრიობა, როგორც ჩანს, არაა სავარაუდო. განვიხილოთ ქვეითი ჯარისკაცი, რომელმაც მხოლოდ იცის დანაშაულებრივი გეგმა და ამ შეგნებით წვლილი შეაქვს ამ გეგმაში, მაგრამ არ იზიარებს ჯგუფის დანაშაულებრივ განზრახვას. კვოჩკას საქმეში არსებული სქემის მიხედვით, შესაძლებელია, მისი მიჩნევა დამხმარედ ან წამქეზებლად, რადგან მან მხოლოდ იცოდა დანაშაულებრივი გეგმა, თუმცა ბატონობის თეორიის მიხედვითაც, ანალოგიურ საქმეში ის პირები დამხმარედ ან წამქეზებლად შეიძლება განხილულიყვნენ, რადგან

---

senting Opinion of Judge Lindholm, Trial Judgment, *Simić* (IT-95-9/2), Trial Chamber, 17 Octomber 2003, § 2 *et seq.* dissociating himself from JCE. ციტირებულია: იქვე, გვ. 171.

[158] Kai Ambos, დასახ. ნაშრომი, გვ.170-171.

ნაკლებსავარაუდოა, — მართლაც შეუძლებელია — რომ ის, ვინც არ იზიარებს ჯგუფის დანაშაულებრივ მიზანს, ახორციელებდეს მასზე ბატონობას. ბატონობის ცნებაში ნათლად არაა გამოხატული, რომ თითოეულმა მათგანმა უნდა გაიზიაროს ჯგუფის დანაშაულებრივი მიზანი."[159]

ავტორი, ზოგიერთი თეორიული სირთულეების მიუხედავად, დადებითად აფასებს დანაშაულის განხორციელებაზე ბატონობის თეორიას.[160] „შესაძლებელია ყველაზე საუკეთესო საშუალებაა შეჯამებისას ითქვას, რომ თანაამსრულებელი გაერთიანებულ დანაშაულებრივ ორგანიზაციაში ისაა, ვინც უზარმაზარ შეთქმულებაზე ბატონობას ახორციელებს, თუმცა არა ყოვლისმომცველს და ის, ვინც იზიარებს ჯგუფის დანაშაულებრივ მიზანს. (ამ კატეგორიაში მოეძებნა ადგილი სტაკიჩს). გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის დამხმარე ან წაქეზებელია ის, ვინც არ ახორციელებს უზარმაზარ შეთქმულებაზე კონტროლს და ჯგუფის განზრახვის გაცნობიერებით უბრალო წვლილი შეჰქონდა. ამასთან, უნდა განისაზღვროს როგორ უნდა დავაჯგუფოდ დამნაშავეები, რომლებმაც გაიზიარეს დანაშაულებრივი მიზანი, მაგრამ საკმაოდ ქვევით იდგნენ კიბეზე, რომელიც მრავლისმეტყველი შეთქმულებაზე ბატონობის განსახორციელებლადაა განკუთვნილი."[161]

„კრნოჯელაკის საქმეზე სასამართლო პალატამ ფართო დისკუსია გამართა გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის შესახებ და აღნიშნა, რომ გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია არსებობს იქ, სადაც „ორ ან მეტ პირს შორის არსებობს შეთანხმება ანუ მოლაპარაკება დანაშაულის ჩადენის შესახებ."[162] ამგვარი შეთანხმება არაა აუცილებელი

[159] J. D. Ohlin, The Co-Perpetrator Model of Joint Criminal Enterprise, Annotated Leading Cases of International Criminal Tribunals, Vol. 14, 2008, p. 751.

[160] იხ. იქვე, გვ. 751.

[161] იქვე, გვ. 751.

[162] *Prosecutor* v. *Tadić* Judgment, Case No. IT-94-I-A 15 July 1999, paras.

იყოს სპეციალური, იგი შეიძლება შექმნილი გარემოებებიდან გამომდინარეობდეს და მისი მიღწევა ყოველთვის არ შეიძლება თუ განხორციელებული არაა წინასწარ დანაშაულის ჩადენამდე. ამასთან, სასამართლომ ჩამოაყალიბა სამი მაგალითი, თუ როგორ შეიძლება ბრალდებულებმა მონაწილეობა მიიღონ გაერთიანებულ დანაშაულებრივ ორგანიზაციაში:

1. შეთანხმებულ დანაშაულში უშუალო მონაწილეობა (ამსრულებლობა);
2. უნდა იმყოფებოდეს დანაშაულის ჩადენის ადგილზე (იმ შეგნებით, რომ დანაშაული უნდა განხორციელდეს ან ხორციელდება) და განზრახ ეხმარება ან აქეზებს გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის სხვა მონაწილეებს, რათა მათ ჩაიდინონ დანაშაული;
3. იმ სპეციალურ სისტემაში ხელშემწყობი მოქმედების განხორციელება, სადაც დანაშაულის ჩადენა ხდება ბრალდებულის თანამდებობის ან ფუნქციების გამო და ეს ხორციელდება იმის ცოდნით, რომ არსებობს ეს სისტემა და მომავალშიც გაგრძელდება მისი არსებობა."[163]

ამბოსი III კატეგორიის გაერთიანებულ დანაშაულებრივი ორგანიზაციას მხოლოდ დახმარების ან წაქეზების ფორმად განიხილავს. ვასილევიჩის (Vasiljević) საქმეზე სააპელაციო პალატა ზოგიერთ პუნქტში ავითარებს ტადიჩის საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებისგან განსხვავებულ შეხედულებას, რომლის მიხედვითაც, გაერთიანებულ დანაშაულებრივ ორგანიზაციაში მონაწილე პასუხისმგებელია როგორც თანაამსრულებელი და მას უფრო მაღალი ხარისხის პასუხისმგებლობა ეკისრება, ვიდრე დამხმარესა და წამქეზებელს, რომლებიც გაერთიანებულ დანაშაულებრივ ორგანიზაციში ყოველთვის თანამონაწილეებად განიხილებიან.[164] მიუხედა-

229. ციტირებულია: Daryl A. Mundis, დასახ. ნაშრომი, გვ. 270-271.

[163] Daryl A. Mundis, დასახ. ნაშრომი, გვ. 270-271.

[164] *Vasilević Appeals Judgment, supra* note 4, § 102. ციტირებულია:

ვად იმისა, რომ აქ სწორადაა აღწერილი თანაამსრულებლობას და თანამონაწილეობას შორის განსხვავება, იგი არასწორია გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის ფორმასთან მიმართებით, ვინაიდან მხოლოდ I კატეგორიის გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია მოიცავს თანაამსრულებლობის წესებს. ამგვარი მსჯელობა ასევე ეწინააღმდეგება ტადიჩის საქმეზე სააპელაციო პალატის მიერ დაფიქსირებულ პოზიციას, რომელიც უფრო დიდ ყურადღებას აქცევს მონაწილის წვლილს.[165]

გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციისა და ბრძანების გაცემისთვის პასუხისმგებლობის დოქტრინები ერთმანეთისგან კონცეპტუალური სტრუქტურებით განსხვავდებიან. ყველაზე თვალში საცემი შეიძლება ის იყოს, რომ გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია მოითხოვს აქტიურ მოქმედებას და წვლილის შეტანას გაერთიანებაში, როდესაც ბრძანების გაცემისთვის პასუხისმგებლობისას უმოქმედობაც საკმარისია. ამ რაკურსით, ეს დოქტრინები ურთიერთგამომრიცხველია: ადამიანი ან ხელს უწყობს დანაშაულებრივი შედეგის დადგომას აქტიური მოქმედებით, ან უმოქმედობას იჩენს მოვლენის მიმართ, რომელიც დანაშაულებრივი შედეგის თავიდან აცილებისკენაა მიმართული. ამასთან, ორივე ერთდროულად ლოგიკურად შეუძლებელია. მეორე მნიშვნელოვანი განსხვავება ისაა, რომ მეთაურის პასუხისმგებლობა მოითხოვს, per definitionem, იერარქიულ დაქვემდებარებას, მეთაურსა და დაქვემდებარებულს შორის, ე.ი. ვერტიკალურ ურთიერთობას კონტროლის განმახორციელებელსა და იმ დანაშაულის უშუალოდ ჩამდენ პირს შორის, რომელიც თავიდან უნდა ყოფილიყო აცილებული. საწინააღმდეგო ვითარებაა გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის, ყოველ შემთხვევაში I კატეგორიის გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის, წევრებთან მიმართებით, სადაც თანაამსრულებლობას აქვს ადგილი,

---

იხ.დასახ. ნაშრომი, გვ. 171.

[165] იხ. Kai Ambos, დასახ. ნაშრომი, გვ. 171.

ჩვეულებისამებრ, ეს პირები თანაბარ იერარქიულ დონეს მიეკუთვნებიან და მოქმედებენ შეთანხმებულად, ჰორიზონტალური მეთოდით.[166] მესამე განსხვავება გაერთიანებულ დანაშაულებრივ ორგანიზაციასა და ბრძანების გაცემისთვის პასუხისმგებლობის ინტელექტუალურ სფეროს განეკუთვნება. I კატეგორიის გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრებს გააჩნიათ საერთო განზრახვა, ე.ი. საერთო mens rea მიმართულია კონკრეტული დანაშაულის ჩასადენად და საბოლოო მიზნის ან გაერთიანების მიზნის მისაღწევად. სხვა კატეგორიებში, განსაკუთრებით III კატეგორიის გაერთიანებულ დანაშაულებრივ ორგანიზაციაში, მონაწილეებმა იციან, ყოველ შემთხვევაში უნდა იცოდნენ, საერთო ამოცანა ან მიზანი და (ობიექტურად) წინაწარგანჭვრეტილი აქვთ გარკვეული დანაშაულის განხორციელება. ბრძანების გაცემისთვის პასუხისმგებლობისას კი, პირიქით, დანაშაულის ძირითადი მიზანი არსებითად მეთაურის მიერ კონტროლის განუხორციელებლობით დგება და, შესაბამისად, მათი mens rea ვრცელდება ამ უმოქმედობაზე და არა მათთდამი დაქვემდებარებულთა მიერ ჩადენილ დანაშაულებზე.[167]

აღნიშნულ ორ დოქტრინას შორის კონცეპტუალური განსხვავების მიუხედავად, ხშირად ორივე ერთდროულად გამოიყენება. შეიძლება ითქვას, რომ ორივე დოქტრინის გამოყენება იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული დანაშაულებრივი გაერთიანების წევრთა შორის იერარქიული განსხვავება არსებობს. ამის გამო, ზემოაღნიშნული განსხვავება მნიშვნელობას კარგავს. ფაქტიურად, ამგვარი განსხვავება გამოსადეგია მხოლოდ I კატეგორიის გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციისთვის, რომელიც თანაამსრულებლობის ფორმითაა გაგებული და ტიპიურად გამოხატავს მის წევრებს შორის ჰორიზონტალურ დამოკიდებულებას. პირიქით, II და III კატ-

[166] See on this structural difference also Osiel, *supra* note 57, at 797; *idem supra* note 1, at 1769 *et seq.* ციტირებულია: იხ. Kai Ambos, დასახ. ნაშრომი, გვ. 180.

[167] იხ. იქვე, გვ. 179-180.

ეგორიის გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის შემთხვევაში, საშუალო ან მაღალი რანგის მეთაურმა შეიძლება ხელი შეუწყოს დანაშაულის ჩადენას და გარკვეულ შემთხვევებში დაკარგოს კონტროლი მათდამი დაქვემდებარებულთა მიერ ჩადენილ დანაშაულებზე. ეს კი იმაზე მიუთითებს, რომ მოქმედებას და უმოქმედობას შორის ანტაგონიზმი გამოიყენება მხოლოდ ერთპიროვნულად ჩადენილ დანაშაულებთან (single crimes) და არა ერთობლივად ჩადენილ დანაშაულებთან მიმართებით.[168]

„ყოველ შემთხვევაში, გაერთიანებულ დანაშაულებრივ ორგანიზაციასა და ბრძანების გაცემას შორის განსხვავება იერარქიული ორგანიზაციის საფუძველზე მოქმედებაზე ბატონობის, ე.წ. Organisationsherrschaft, თეორიით ხორციელდება,[169] რომელიც მიზნად ისახავს უფროსთა ქმედებები დაუკავშიროს მათი ინტერესებიდან გამომდინარე ჩადენილ დანაშაულებს. ეს თეორია არის ამსრულებლობის ფორმა, რომელიც აღიარებულია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების 25(3)(a) მუხლის მე-3 ალტერნატივით („შუალობითი ამსრულებლობა", „Through another person").[170] ამ თეორიის მიხედვით, „უკან მდგომი ადამიანი" ბატონობს უშუალო ამსრულებელზე იერარქიული ძალაუფლების ორგანიზაციული მოწყობის საშუალებით (აიხმანი,

---

[168] იხ. Kai Ambos, დასახ. ნაშრომი, გვ. 180-181.

[169] See the fundamental work of C. Roxin, *Täterschaft und Taterrschaft* (8th edn, Berlin: De Gruyter, 2006), 242-252, 704-717; see also Ambos, *supra* note 101, 509 *et se.* (Allgemeiner Teil), 216 *et seq.* (Parte General) with refrencent (critical) discussion more resently, Kress and Radtke, 153 *goltdamer's Archiv Für strafrecht* (GA) (2006) 304 *et seq.*, 350 *et se.* For a good explanation in English see Osiel, *supra* note , 1892 *et seq.* ციტირებულია: იქვე, გვ. 181.

[170] Concurring, G. Werle, *Prinsiples of Internationals riminal Law* (The Hague: TMS Asser Press 2005), at 124 with note 196. ციტირებულია: იქვე, გვ. 182.

არგენტინელი გენერლები და აღმოსავლეთ გერმანიის საზღვარზე განხორციელებული მკვლელობები)[171] და შეიძლება მსგავსებები მოიძებნოს ნიურნბერგის პროცესის საქმეებიდან.[172] ფაქტიურად, გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციისგან განსხვავებით იგი ნახულობს საკმაოდ მყარ კანონიერ დასაყრდენს ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების მე-7(1) მუხლში მოცემულ ტერმინ „განხორციელებაში," რომელშიც მოიაზრება პირის უშუალო ან შუალობითი გზით ფიზიკურად ან სხვაგვარად მონაწილეობა დანაშაულის შემადგენლობის განხორციელებაში მოქმედებით, ანდა სავალდებულო მოქმედებისგან თავის შეკავებით, რომელიც მას ინდივიდუალურად ან სხვასთან ერთად უნდა განეხორციელებინა.[173] ეს გულისხმობს დანაშაულის ჩადენას როგორც შუალობით ამსრულებლობით (indirect commission, perpetration by means),[174] ასევე ორგანიზაციულ ბატონობას (Organisationsherrschaft). ნათელია, რომ ამ დოქტრინის საკვანძო საკითხია ის, რომ ხელმძღვანელს (mastermaind) ან „უკან მდგომ პირს" შეუძლია თუ არა განახორციელოს დანაშაული უშუალო ამსრულებელ-

[171] See for refrences K. Ambos, in O. Triffterer (ed.), *Commentary of the Rome Statute Of the ICC* (1999), Art. 25, arginal note 10. Crit. Kreß, *supra* note 149, 306. ციტირებულია: Kai Ambos, დასახ. ნაშრომი, გვ.181.

[172] Judjment, *U.S. v. altsteotter et al. (Justice Trial)*, US Military Tribunal setting at Nuremberg, 4 December 1947, in: Trials of War Criminals (US-GPO, 1947), 954, at 985: 'conscious participation in a nationwide government-*organized system* of cruelty and injustice' (amphasis added). ციტირებულია: იქვე, გვ.182.

[173] *stakič Trial Judjment*, *supra* note 4, § 439 (emphasis edded). ციტირებულია: იქვე, გვ. 182.

[174] *Ibid.*, § 439 with note, § 741. See on *stakič*, Hann, *supra* note 80, at 197; H. Olásolo and C. Pérez, 'The Nation of Control of the Crime and its Application by the ICTY in the Stakic case', 4 *ICLR* (2004), 475 *et seq.* (478-479). ციტირებულია: იქვე, გვ.182.

ზე ორგანიზაციული მოწყობილობით, რომელიც მის მიერაა შექმნილი ან რომელზეც იგი ბატონობს."[175]

„თუკი შუალობითი ამსრულებელი („Man in the bechground") თითქმის ვერ აკონტროლებს პასუხისმგებელ პირებს, მაშინ ამგვარი უკამრისობა კომპენსირდება იმ მოწყობილობით, რომელიც წარმოშობს დანაშაულის განხორციელებისთვის პოტენციურად თანხმობის მიმცემთა განუსაზღვრელ ამსრულებლებს. სხვა სიტყვებით, რომ ითქვას, იმის მიუხედავად, რომ უშუალო ამსრულებლების, რომლებიც სრული სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობით მოქმედებენ, მოქმედებები არ შეიძლება უბრალოდ შუალობითი ამსრულებლობის შემცვლელ აქტებად მივიჩნიოთ, რადგან „სისტემამ", ფაქტიურად შემცვლელთა განუსაზღვრელი რაოდენობა უნდა მოიცავას და ამის გამო, ისეთი მაღალი ხარისხი მოქნილობას მივაღწიოთ, რაც აუცილებელია პერსონალთა მიერ კონკრეტული დანაშაულების ჩასადენად. ამასთან, ვინაიდან ამგვარი კონტროლის ცნება ემყარება ზემოდან ქვემოთ იერარქიულ მოწყობის ფუნქციონირებას, იგი საეჭვოა ყველა სახის დანაშაულებრივი ორგანიზაციის მიმართ გამოვიყენოთ.[176] ამგვარი მიდგომა საკმაოდ ნატურალისტური და მექანიკური იქნება, რაც შეეწინააღმდეგება ამ თეორიის ნორმატიულ საფუძვლებს.[177] თუმცა, პირთა მცირე წრეს შეუძლია აუცილებლობისას უეცრად შეცვალოს ერთი ამსრულებელი მეორეთი, სახელდობრ, ის პირი ვინც დანაშაულებრივი ორგანიზაციის ლიდერობას ახორციელებს ან სულ მცირე ორგანიზაციის ნაწილის აკონტროლებს და

[175] იქვე, გვ. 181-182.

[176] Critical Osiel, *supra* note 1, at 1833 *et seq.*, 1861, arguing for an application of *Organisationsherrschaft* only to relax the effective control requirement of command responsibility. ციტირებულია: Kai Ambos, დასახ. ნაშრომი, გვ.182.

[177] Dua to space constraints I cannot elaborate on this more; fundamentally, it comes down to the question of liberty of the direct perpetrator operating in a hierarchical organization vis à vis the tops executive(s) of this organization, see Ambos, *supra* note 101, 594 *et seq.* (*Allgemeiner Teil*), 220 *et seq.* (*Parte General*). ციტირებულია: იქვე, გვ. 182.

ამით შესაძლებლობა აქვს იბატონოს გეგმის განხორციელებაზე, რომელსაც არ ეწინააღმდეგებიან ორგანიზაციის სხვა წევრები. ამის მიუხედავად, ასეთი წევრები, ზოგადად, შორს არიან დანაშაულებრივი მოქმედებების განხორციელბისგან და, ჩვეულებისამებრ, შუალობით ამსრულებლებად ან თანამონაწილეებად ითვლებიან.[178] ფაქტიურად, ნორმატიული თვალსაზრისით, მთავარი ამსრულებლები, ერთდროულად დანაშაულებრივი გაერთიანების თანამონაწილეებიც არიან და თანაამსრულებლებიც."[179]

„დასასრულ, შეიძლება ითქვას, რომ Organisationsherrschaft დოქტრინა განამტკიცებს გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციისა და ბრძანების გაცემისთვის პასუხისმგებლობის ძირითად არსს. პირველი, პასუხისმგებლობის ინდივიდუალურად დაკისრების ტრადიციული სისტემა, რომლის მიხედვითაც, დანაშაული გვევლინება, როგორც დანაშაულის ერთპიროვნულად განხორციელება, შეიძლება შეეთავსოს საერთაშორისო სისხლის სამართლის მოთხოვნებს, რომელიც მიმართულია შერეული ინდივიდუალურ-კოლექტიური პასუხისმგებლობის განვითარებისკენ, სადაც დანაშაულებრივი გაერთიანება ან ორგანიზაცია მოიაზრება, მათი,

[178] See e.g. Osiel, *supra* note 57, at 807 who, however, apparently fails to grasp the different forms of participation provided for by the differentiated concept of perpetration according to which *Organizationsherrschaft* is more than mere accessorship. Further, it is misleading to state that prosecutors in Latin America (*ibid.*, at 808) 'rely heavily on... superior responsibility'. The truth is that most prosecutors invoke Roxin's theory, especially the *Organisationsherrschaftslehre*, since it can be based on the general rules of perpetration b means (*autoria mediata*) which are – unlike the command responsibility doctrine – well recognized in civil law systems (as latin America). Finally, the fine Distinctions between modes of participation discussed in a differentiated system of perpetration as the German or Spanish one demonstrate that 'simplicity' is not, as suggested by Osiel, *supra* note 1, at 1753, the preferred option for criminal law doctrine, at least not for that of the core civil law countries. ციტირებულია: Kai Ambos, დასახ. ნაშრომი, გვ. 183.

[179] Cf. H. Vest, *genozid durch organisatorische Machtapparate* (Baden-Baden: Nomos, 2002), at 220, 249. ციტირებულია: იქვე, გვ. 182-183.

როგორც ერთი მთლიანი სამართლის სუბიექტის, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლად გვევლინება. მას დოქტრინამ უწოდა Zurechnungsprinzip Gesamttat[180], ე.ი. შერაცხვის პრინციპის ანუ თეორიიის თანხმად, „ერთობლივი ქმედება" („global act") (დანაშაულებრივი ორგანიზაცია) შერაცხვის ცენტრალური ობიექტია. გარკვეულწილად, ეს დოქტრინა აერთიანებს მოცემულ სტატიაში (იგულისხმება ამბოსის ეს უკანასკნელი სტატია. შენიშვნა ჩემია — ი.დ.) წარმოდგენილ თეორიებს და განამტკიცებს გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის ცენტრალურ საკითხს, სადაც დანაშაულებრივი ორგანიზაცია შერაცხვის საწყის საკითხადაა წარმოდგენილი საერთაშორისო სისხლის სამართალში. მეორე, ყველა აღნიშნული თეორიის საერთო მიზანია სისტემის ფარგლებში ინდივიდუალურად ჩადენილი დანაშაულების ორგანიზაციის თუ გაერთიანების იმ ლიდერებისთვის, „ხელმძღვანელებისთვის" შერაცხვა, რომელთაც დაბალი რანგის ამსრულებლებისა და საშუალო დონის ჩინოვნიკთა ბედი ეროვნულ სისხლისსამართლებრივ მართლმსაჯულებას მიანდეს. დასასრულ, და არა უკანასკნელად, ლიდერთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გულისხმობს მათთვის შერაცხულ ქმედებათა თავისებურ (ნორმატიულ) კონტროლს და ინტელექტუალურ თვისებას, რაც მათ აკავშირებს ამ ქმედებებთან, რითაც დაცულია ბრალეულობის პრინციპი."[181]

„იმისთვის, რომ პასუხი გაეცეს „თანაამსრულებლობას", როგორც პასუხისმგებლობის ფორმას, ბრალდებამ გონივრული ეჭვის გარეშე უნდა დაამტკიცოს, რომ: 1) ორ ან მეტ პირს შო-

[180] On this new consept of attribution for collective criminality see the fundamental work of F. Dencker, *Kausalität und Gesamttat* (Berlin: Duncker unda Humblot, 1996), 125 *et seq.*, 152 *et seq.*, 229, 253 *et seq.* and *passim.* The consept was further elaborated by Vest, *supra* note 158, at 214 *et seq.*, 303, 304 *et seq.*, 359 *et seq.* ციტირებულია: Kai Ambos, დასახ. ნაშრომი, გვ. 183.

[181] იქვე, გვ.183.

რის იყო აშკარა შეთანხმება ან ფარული თანხმობა საერთო მიზნის განსახორციელებლად, 2) რაც მიიღწევა კოორდინირებული ერთობლივი მოქმედებით და 3) დანაშაულებრივი ქმედების ერთობლივი კონტროლი ხორციელდებოდა. სტაკიჩის საქმის სასამართლო განხილვის მიხედვით, თანაამსრულებლებმა შეიძლება მათი გეგმის მხოლოდ რეალიზება მოახდინონ, რამდენადაც ისინი ერთობლივად მოქმედებენ, მაგრამ თითოეულ მათგანს შეუძლია ჩააგდოს მთლიანი გეგმა, თუ იგი მის ნაწილს არ შეასრულებს. ამ ზღვრამდე, ყოველი თანაამსრულებელი აკონტროლებს მოქმედებას.[182] საკუთარი პოზიციის ნათელსაყოფად, სასამართლო გადაწყვეტილებაში მითითებული იყო პროფესორ კლაუს როქსინის მაგალითზე: „თუ ორი ადამიანი ერთობლივად მართავს ქვეყანას, ისინი ერთობლივად ბატონობენ (ამ სიტყვის პირდაპირი მნიშვნელობით); ტიპიურ შედეგებად მხოლოდ ისინი მიიჩნევა, რომლებიც დამოკიდებულია სხვა თანაამსრულებლებზე." ამის საწინააღმდეგო მხარეა ის, რომ თანამონაწილეობაზე ხელის აღებით ყოველ პირს შეუძლია ინდივიდუალურად ჩაშალოს ქმედების განხორციელება."[183]

„ბრალად შერაცხული კონკრეტული დანაშაულის mens rea-სთვის დამატებით აუცილებელია, ამ ფორმის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად დადგინდეს: 1) ორივე მხარს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს, რომ დანაშაული მნიშვნელოვანი ალბათობით განხორციელდება; 2) ბრალდებულებს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეთ მათი როლის მნიშ-

[182] *Stakić* Trial judgment, para. 440 quoting *Claus Roxin*, (Tätetrschaft und Tatherrschaft „Perpetration and Control over the act" (Berlin, Hew York, 1994) 278. ციტირებულია: Mohamed Elewara Badar, "Just Convict Everyone!" – Joint Perpetration: From *Tadić* to *Stakić* and Back Again. *International Criminal Law Review* 6: 293–302, 2006. 293, *Koninklijke Brill NV. Printed in the Netherlands,* 2006, p. 296.

[183] *Stakić* Trial judgment, para. 440 (footnotes omitted). ციტირებულია: იქვე, გვ. 296.

ვნელობა.[184] წარმოდგინელ საქმეში მოცემული ფაქტების მიმართ სასამართლო ამ ფორმის პასუხისმგებლობის გამოყენებისას დარწმუნებით მიუთითებდა: „დოქტორ სტაკიჩმა იცოდა, რომ მისი, როგორც პრიედორის (Prijedor) ხელმძღვანელი პოლიტიკოსის, როლი და თანამდებობა, არსებითი ხასიათის იყო საერთო მიზნის განსახორციელებლად. მან იცოდა, რომ საკუთარი ძალაუფლების გამოყენებით, რათა პასუხისგებაში მიეცა დანაშაულის ჩამდენნი, არასერბი წარმოშობის ხალხთა დაცვით ან დახმარებით, ხელმძღვანელი თანამდებობიდან გადადგომით, ხელს შეუშლიდა სერბთა მუნიციპალიტეტს მიზნის განხორციელებაში."[185]

„სტაკიჩის საქმის ამ სპეციფიკურ ნაწილში სასამართლო პალატამ გამოიყენა დანაშაულის განხორციელების ორი ფორმის კომბინაცია, რომელსაც გერმანულ სისხლის სამართალში Mittäterschaft (`co-perpetration~) და mittelbare Täterschaft (`perpetrator behind the direct perpetrator~). ამგვარმა მიდგომამ წერტილი დაუსვა ხანგრძლივ დისკუსიას იმის შესახებ, რომ თანამონაწილეთაგან, — ვინც დანაშაულებრივი ქმედება განახორციელა, რომელიც დანაშაულის actus rea-ს ნაწილიც კი არ არის, მაგრამ გადამწყვეტი როლი ითამაშა მის განხორციელებაში, — უნდა ჩაითვალოს თანაამსრულებლად თუ უბრალო თანამონაწილედ. ქვემოაღნიშნული ჰიპოთეტური შემთხვევა კარგად წარმოაჩენს ამ საკითხს. ა., ბ. და ც. შეთანხმდებიან ეთნიკური ჯგუფის მოსასპობად, ხოლო დ. მოწამლავს მთავრ წყალსადენს, რითაც ამ ჯგუფს ყოველდღიური წყალი მიეწოდება. ც. ექსპერტია ქიმიის დარგში, რომელიც ა-ს და ბ-ს საკმარისი რაოდენობის საწამლავით მოამარაგებს. ა. და ბ. დანაშაულებრივ მოქმედებას განახორციელებენ წალსადენში საწამლავის ჩასხმით. ც. თანაამსრულებელია თუ უბრალო თანამონაწილე? სტაკიჩის საქმის მიხედვით, ც.

[184] *Stakić* Trial judgment, para. 495-497. ციტირებულია: იქვე, გვ. 296.
[185] Mohamed Elewara Badar, დასახ. ნაშრომი, გვ. 296.

თანაამსრულებელია და არა უბრალო თანამონაწილე.[186] ც-ს გამოჩენა შემთხვევის ადგილზე, როდესაც actus rea (დანაშაულებრივი ქმედება) განხორციელებულია, არაა აუცილებელი მისი თანაამსრულებლად განხილვისთვის, როგორც ამას სტაკიჩის საქმეში მოცემული კონცეფცია მოითხოვს."[187]

„თუმცა ერთი საკითხი არაა გადაწყვეტილი სასამართლო პალატის მიერ, სტაკიჩის საქმიდან გამომდინარე, პასუხისმგებლობის ამ ფორმისთვის. სირთულეს წარმოშობს ისეთი შემთხვევა, როდესაც დანაშაულის დეფინიცია ან ბუნება იცვლება დანაშაულის ჩამდენ თანაამსრულებელთა განზრახვისა თუ ცოდნის შესაბამისად. ისმის კითხვა: მოახდენს თუ არა გავლენას ამგვარი განზრახვა თუ ცოდნა სხვა თანაამსრულებლებზე, რომლებიც მონაწილეობენ განსახილველი დანაშაულის განხორციელებაში. ამის საილუსტრაციოდ ქვემოაღნიშნული მაგალითი გამოდგება. ა., ბ. და ც., რომელთაც მაღალი თანამდებობდა უკავიათ X ქვეყანაში, შეთანხმდებიან, რომ მთავრობის ოპოზიციის წევრების გასანადგურებლად ფართომასშტაბიანი და სისტემატური კამპანია წამოიწყონ. ამ შეთანხმების განხორციელებისას ც. გადაწყვეტს, რომ ასევე გაენადგურებინა X სახელმწიფოს პოლიტიკის მიმართ ოპოზიციურად განწყობილი რელიგიური ჯგუფი მთლიანად ან ნაწილობრივ. განახორციელეს თუ არა ა-მ და ბ-მ გენოციდი?[188] გასაოცარია, რომ მესამე

[186] See supra notes 19, 20 and the accompanying text. ციტირებულია: იქვე, გვ. 297.

[187] უნდა იყოს თუ არა ყოველი თანაამსრულებელი დანაშაულის ადგილზე, მაშინ როდესაც დანაშაული განხორციელებულია, ანდა მომზადების სტადიაზე წვლილის შეტანა არის თუ არა საკმარისი, გერმანულ სისხლის სამართალში განხილვის საგნადაა ქცეული. იხ. *Albin Eser*, supra note 24, at 791, fn. 95. ციტირებულია: Mohamed Elewara Badar, დასახ. ნაშრომი, გვ. 297 (იქვე, სქოლიო 27).

[188] პასუხი შეიძლება მოიძებნოს ეგვიპტის სისხლის სამართ-

კატეგორიის გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის მიხედვით,[189] ა-ს და ბ-ს მხოლოდ მაშინ დაეკისრებათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გენოციდისთვის, თუ ეს იყო წამოწყებული დანაშაულებრივი გეგმის აღსრულების ბუნებრივი და წინასწარგანჭვრეტადი შედეგები (განადგურება, როგორც ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული)."[190]

„კაი ჰამდორფი (Kai Hamdorf) გაერთიანებულ დანაშაულებრივ ორგანიზაციას აანალიზებს ექვსი შემთხვევის ფონზე, სადაც ა. და ბ. დანაშაულის მონაწილეები არიან:

1. ა-მ იცი, რომ ბ-ს განზრახული აქვს ც-ს მოკვლა, მაგრამ არ იცის ბ-ს მიერ ჩაფიქრებული დეტალები;
2. ა-მ იცის, რომ ბ-მ უნდა ჩაიდინოს ამა თუ იმ სფეროში დანაშაული, მაგრამ არ იცის ბ-ს მიერ ჩაფიქრებული დეტალები;

ლის კოდექსის 39(2)-ე მუხლში, რომლის მიხედვითაც: „პირი, როგორც ამსრულებელი მონაწილეობს დანაშაულის განხორციელებაში:

1. თუ იგი რომელიმე დანაშაულს ერთპიროვნულად ან სხვასთან ერთად განახორციელებს, ან
2. თუ იგი ორი ან მეტი ქმედებისგან შემდგარი დანაშაულის განხორციელებაში შეგნებულად მონაწილეობს ამ დანაშაულის შემადგენელი ერთი ან რამდენიმე ქმედების განხორციელებით.

იმ შემთხვევაში, თუ ამა თუ იმ ამსრულებლის ისეთი პერსონალური გარემოებანი, რომლებიც იცვლება სხვა ამსრულებელთან მიმართებით, ან დანაშაულის ბუნებას ან დასჯადობას, ამგვარ გარემოებათა შედეგები არ ვრცელდება დანაშაულში მონაწილე სხვა ამსრულებლებზე. მსგავსი წესები მოქმედებს, თუ დანაშაულის ბუნება იცვლება განზრახვის ან ცოდნის ცვლილებასთან ერთად."ციტირებულია: Mohamed Elewara Badar, დასახ. ნაშრომი, გვ. 297 (იქვე, სქოლიო 28).

[189] See Section 2.1.3 of the present case note. ციტირებულია: იქვე, გვ. 297.

[190] იქვე, გვ. 296-297.

3. ა-მ იცის, რომ თუ გარკვეული გარემოებები წარმოიშობა, ბ. კონკრეტულ დანაშაულს ჩაიდენს;
4. ა-მ იცის, რომ თუ გარკვეული გარემოებები წარმოიშობა, ბ-მ შეიძლება კონკრეტული დანაშაული ჩაიდინოს;
5. ა-ს და ბ-ს ერთობლივი გეგმა გააჩნიათ, მაგრამ ბ. შემთხვევით საერთო გეგმით გაუთვალისწინებელ განსხვავებულ დანაშაულს ჩაიდენს;
6. 6) ა-ს და ბ-ს ერთობლივი გეგმა გააჩნიათ, მაგრამ ბ. განზრახ ისეთ დანაშაულს ჩაიდენს, რომელიც სცდება საერთო გეგმის ფარგლებს."[191]

ჰამდორფი ამსრულებლობის სახეებს განიხილავს გერმანული სისხლის სამართლის მიხედვით.[192] აქ წარმოვადგენთ ამსრულებლობის მხოლოდ იმ სახეს, რომელიც ქართული სისხლის სამართლისთვის ერთობ აქტუალურია. „გერმანიის ფედერალურმა სასამართლომ, ძირითადად, ეს დოქტრინა პრაქტიკულად გამოიყენა გერმანიის გაერთიანების შემდეგ, როდესაც აღმოსავლეთ გერმანელმა ჯარისკაცებმა ცეცხლი გაუხსნეს იმ მოქალაქეებს, რომლებიც ცდილობდნენ აღმოსავლეთ გერმანიის კედლის გადალახვას (ე.წ. Mauerschützen ანუ „კედლის მსროლელები"). სასამართლომ დამნაშავედ სცნო „ეროვნული თავდაცვის საბჭოს" წევრები. ამ ორგანომ გასცა ბრძანება კედლის შიდა მხრიდან „ნებისმიერი საშუალებით" აღმოსავლეთიდან დასავლეთისკენ კედლის გადალახვის აღსაკვეთად. მათ იცოდნენ, რომ ამის განსახორციელებლად გამოყენებული იქნებოდა 47-ე მოდელის კალაშნიკოვი, რომელსაც დაბალი სიზუსტის დამიზნება გააჩნია. მესაზღვრე ჯარისკაცებს განუცხადეს, რომ თუ ვინმე მოახერხებდა საზღვრის ბედნიერად გადალახვას, მათ მიმართ დადგებოდა გარკვეული შედეგები. მათ ასევე უთხრეს, რომ სროლით ან ნაღმით დაზარალებული პირების მიმართ გამოყ-

[191] Kai Hamdorf, The Concept of a Joint Criminal Enterprise and Domestic Modes of Liability for Parties to a Crime, A Comparison of German and English Law, Journal of International Criminal Justice 5 (2007), 208-226, Oxford University Press, 2007, p. 209.

[192] იხ. იქვე, გვ. 211.

ენებული სამაშველო ღონისძიებებს თავშეკავებულად უნდა მიდგომოდნენ. ამასთან, საავადმყოფოებს არ უნდა გაეგოთ ჭრილობის მიზეზი."[193]

„სავალდებულო არაა, რომ თანაამსრულებელი დანაშაულის უშუალოდ განხორციელებისას დანაშაულის ადგილზე იმყოფებოდნენ. პირს პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს, მაგალითად, ყაჩაღობის ხელმძღვანელობისთვის თუ მას ეკუთვნის დანაშაულის იდეა, ან აგროვებდა ინფორმაციას ბანკის, სეიფის ან ნაღდი ფულის შესახებ. ეს განსაკუთრებით ნათლად დასტურდება ორგანიზებული დანაშაულისას, როდესაც ორგანიზაციის ბოსი, როგორც წესი, არ იმყოფება დანაშაულის ადგილზე, მაგრამ აკონტროლებს ყოველ ნაბიჯს და აქვს დროის ნებისმიერ მომენტში შეაჩეროს დანაშაულის განხორციელება.[194] სავალდებულო არაა ამსრულებელმა იცოდეს ყველა დეტალი, მაგრამ მან უნდა იცოდეს მისი ძირითადი ასპექტები. სხვა სიტყვებით, რომ ითქვას, არაა სავალდებულო თანაამსრულებელმა წინასწარ იცოდეს თანაამსრულებელთა ყველა მოქმედება, მაგრამ საერთო ბუნების შესახებ ყოველმა თანაამსრულებელმა უნდა იცოდეს.[195] თითოეულ თანაამსრულებელს უნდა გააჩნდეს განზრახვა დანაშაულის, საერთო გეგმისა და თანაამსრულებელთა ერთობლივი მოქმედების ფორმების შესახებ. აქედან გამომდინარე, თანაამსრულებლობა გამორიცხულია თვითიმედოვნებითა და დაუდევრობით ჩადენილ

[193] BGHSt 40, 218; BGHSt 42,68 (regarding a regimental commander at the border); BGHSt 45, 296 (for members of the '*Politbüro des Zentralkomitees der SED*'); BGHSt 40, 316 (regarding the falsification of the result of an election); Cramer and Heine, *supra* note 4, at 530 margin 25-25a; Roxin, *ibid.*, at margin 128. ციტირებულია: იქვე, გვ. 211-212.

[194] BGHSt 32, 178; Tröndle and Fischer, *ibid.*, at 216 margin 6. ციტირებულია: Kai Hamdorf, დასახ. ნაშრომი, გვ. 212.

[195] Jescheck andWeigend, *supra* note 5, at 678; Kühl, *supra* note 5, at 817; Roxin, *supra* note 5, at 81. ციტირებულია: იქვე, გვ. 212.

დანაშაულებში."[196]

„თანამონაწილე (წამქეზებელი და დამხმარე), როგორც წესი, პასუხს აგებს მხოლოდ მაშინ, თუ ამსრულებელმა დანაშაული განახორციელა. ასე ვთქვათ, ამსრულებელმა, სულ მცირე, ისეთი განზრახი მართლსაწინააღმდეგო ქმედების მცდელობა მაინც უნდა განახორციელოს, რომელიც თანამონაწილეს ჰქონდა ჩაფიქებული. ც-ს მოსაკლავად ა-ს მხრიდან ბ-სთვის მხოლოდ დახმარების მცდელობა, გერმანიის სისხლის სამართლის მიხედვით, დანაშაულს არ წარმადგენს, თუკი ბ. რაიმე ნაბიჯებს არ გადადგამს ც-ს მოსაკლავად. წაქეზების მცდელობა მხოლოდ გარკვეულ შემთხვევებში ისჯება. თანამონაწილეთა დასჯადობა არაა დამოკიდებული ამსრულებლის ბრალეულობაზე (ე.წ. ლიმიტირებული აქსცესორულობა). სავალდებულო არაა, რომ თვით ამსრულებლის ბრალი დადგინდეს. იმ პირებს, ვინც უშუალოდ არ ახორციელებენ დანაშაულს, პასუხისმგებლობა მაშინაც დაეკისრებათ, თუ ამსრულებლის ბრალი ვერ დადგინდება, მაგალითად, იმის გამო, რომ იგი ფსიქიკურადაა დაავადებული და მან, სულ მცირე, განზრახ მართლსაწინააღმდეგო ქმედება განახორციელა."[197]

„გაერთიანებულ დანაშაულებრივ ორგანიზაციასთან მიმართებით, სადავოა თანამონაწილეობისა და განზრახვა/გაუფრთხილებლობის საკითხი: რა მოხდება თუკი თანამონაწილეთა ჯგუფის წევრი (ამსრულებელი ან თანა-

[196] Cramer and Heine, *supra* note 4, at 518 margin 115. ციტირებულია: იქვე, გვ. 212.

[197] გერმანული სამართლის მიხედვით, ქმედება მაშინაც შეიძლება მართლსაწინააღმდეგო იყოს, თუ სამართალდამრღვევი ფსიქიკურად ავადმყოფი იყო. ციტირებულია: Kai Hamdorf, დასახ. ნაშრომი, გვ. 212-213 (იქვე, სქოლიო 12).

მონაწილე) შეცდომით ან განზრახ განახორციელებს დანაშაულს, რომელიც ზუსტად არ შეესაბამება საერთო მიზანს? ასეთი სიტუაცია შეიძლება წარმოიშვას შუალობითი ამსრულებლობის დროსაც."[198]

„ყოველი მონაწილისთვის საერთო წესია ის, რომ მათ პასუხისმგებლობა მხოლოდ მაშინ დაეკისროთ, თუ ქმედების ობიექტური შემადგენლობა მათი განზრახვით იყო მოცული. შუალობით ამსრულებელს არ დაეკისრება პასუხისმგებლობა, თუ ცოცხალმა იარაღმა სრულიად სხვა დანაშაული ჩაიდინა. არც თანაამსრულებელს დაეკისრება პასუხისმგებლობა იმ დანაშაულისთვის, რომელიც სხვა თანაამსრულებელმა ჩაიდინა და ეს დანაშაული არ შეესაბამება სართო გეგმას (ასევე წყდება საკითხი თანამონაწილისა და ამსრულებლის მიერ განხორციელებული დანაშაულების შემთხვევაშიც).[199] მაგალითად, ა-მ და ბ-მ გადაწყვიტეს ბანკზე ყაჩაღური თავდასხმის განხორციელება. ბ-ს თან ჰქონდა ცეცხლსასროლი იარაღი, რის შესახებაც არ უთქვამს ა-სთვის. ა. და ბ. გარბოდნენ პოლიციისგან. ამ დროს ბ-მ ესროლა პოლიციელ ც-ს, რომელიც გარდაიცვალა. ამ შემთხვევაში ა. პასუხს არ აგებს მკვლელობისთვის.[200] უზენაესი სასამართლოს მიერ განხილული შემთხვევის მიხედვით,[201] ადამიანთა ერთი ჯგუფი შეთანხმდება მეორე ჯგუფის საცემად. უეცრად ერთი ჯგუფის წევრი ამოიღებს დანას და მოკლავს მეორე ჯგუფის წევრს. სასამართლომ განსასჯელი გაამართლა არამარტო

---

[198] Kai Hamdorf, დასახ. ნაშრომი, გვ. 215.

[199] BGHSt 36, at 231; Cramer and Heine, *supra* note 4, at 542 margin 94; Jescheck and Weigend, supra note 5, at 677; Kühl, *supra* note 5, at 817; Roxin, *supra* note 5, at 80; Tröndle and Fischer, *supra* note 7, at 217 margin 8a. ციტირებულია: Kai Hamdorf, დასახ. ნაშრომი, გვ. 215.

[200] See for example RGSt 44, 321 - a judgment of 2 February 1911 - where the common plan was to inflict bodily harm and suddenly one perpetrator killed the victim. ციტირებულია: იქვე, გვ. 215.

[201] RGSt 67, 367, judgment of 23 November 1933. ციტირებულია: იქვე, გვ. 215.

მკვლელობის, არამედ იარაღით ჯანმრთელობის დაზიანების ნაწილში, იმის მიუხედავად, რომ განსასჯელი პირველი ჯგუფის წევრი იყო და იგი იზიარებდა საერთო გეგმას ჯანმრთელობის დაზიანების შესახებ, რომლისთვისაც მას დაეკისრა პასუხისმგებლობა, მაგრამ არ დაეკისრა იარაღის გამოყენებისთვის, რომლის წინასწარგანჭვრეტა მას არ შეეძლო. უზენაესი სასართლოს გადაწყვეტილების მიხედვით, ა. და ბ. ვარაუდობდნენ, რომ მათ მართლზომიერი შესაძლებლობა აქვთ ც-სგან მოითხოვონ 16.20 გერმანული მარკა, რისთვის მათ დაუწყეს ცემა. .ამ თავისი კუთვნილი 16.20 გერმანული მარკა აიღო, ხოლო ბ-მ მეტი აიღო. მხოლოდ ბ-ს შეერაცხა ყაჩაღობა, ხოლო ა-ს პასუხისმგებლობა ცემისთვის დაეკისრა.[202] სხვა შემთხვევის მიხედვით, ა-მ და ბ-მ გადაწყვიტეს ც-ს უგონო მდგომარეობაში ჩაგდება გარკვეული სასმელით და ამის შემდეგ მის წინაღმდეგ ქურდობის განხორციელება. ც-მ ადრეულად გაიღვიძა და ბ-ს დაესხა თავს. ბ-მ ბოთლი აიღო და რამდენიმეჯერ ჩაარტყა მას. ა. გაიქცა სახლიდან, რადგან პოლიციის მხრიდან შეპყრობის შეეშინდა. მას შემდეგ, რაც ა. გაიქცა, ბ-მ ც. დაახრჩო. მხოლოდ ბ-ს დაეკისრა პასუხისმგებლობა მკვლელობისთვის.[203] ამის მიუხედავად, პრობლემა შეიძლება წარმოიშვას, მაშინ თუ განხორციელებული მოქმედება მთლიანად არ განსხვავდება შუალობითი ამსრულებლის ან თანამონაწილის განზრახვისგან ან თანაამსრულებელთა საერთო გეგმისგან."

„პირს შეუძლია მონაწილეობა მიიღოს დანაშაულის განხორციელებაში ამსრულებლის დანაშაულებრივი განზახვის გაზიარების გარეშე, თუმცა ამ დროს იგი ხელს უნდა უწყობდეს დანაშაულის ჩადენაში. დახმარების და წაქეზების ობი-

---

[202] BGH, *Goldtammers Archiv* (1968) 121. ციტირებულია: Kai Hamdorf, დასახ. ნაშრომი, გვ. 215.

[203] BGH, *Neue JuristischeWochenschrift*, (1973) 377. ციტირებულია: იქვე, გვ. 215-216.

ექტური ელემენტები შედგება პრაქტიკული ხელშეწყობის, გამხნევების ან მორალური დახმარებისგან, რომელიც მომდინარეობს ამსრულებლის თანამონაწილეებისგან (სახელდობრ, ძირითადი დანაშაულის ორგანიზატორისგან); დასასრულ, ხელშეწყობა სხვა მოქმედებებშიც შეიძლება გამოიხატოს, რომელსაც შეუძლია არსებითი გავლენა იქონიოს დანაშაულის განხორციელებაზე. თანამონაწილეთა სუბიექტური ელემენტი გულისხმობს იმის ცოდნას, რომ „მათი მოქმედება ხელს უწყობს ამსრულებელს დანაშაულის განხორციელებაში." (ამგვარი დამაჯერებელი არგუმენტები წარმოადგინა ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო პალატამ ფურუნძიჯას (Furundžija) საქმეზე (§ § 190-249); ასევე იხილეთ მუსემას (Musema, § 126), ალექსოვსკის (Aleksovski, § 63), კურაჩის (Kunarac, § 391) და სხვათა საქმეები."[204]

„ამრიგად, განსხვავებით წინანდელი განხილვებისგან, დახმარებისა და წაქეზებისთვის აუცილებელი არაა იმის გათვალისწინება, რომ დამხმარე და წამქეზებელი იზიარებენ ამსრულებლის საერთო გეგმას ან მიზანს ან მის დანაშაულებრივ განზრახვას ან დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობის სხვა ფორმას; როგორც ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო პალატამ აღნიშნა ტადიჩის საქმეზე, „ამსრულებელმა შეიძლება არც კი იცოდეს თანამონაწილეთა დახმარების შესახებ" (§ 229). სავალდებულოა ის, რომ დამხმარე ან ხელშემწყობმა პირმა უნდა იცოდეს, რომ მისი მოქმედება ამსრულებელს ან ამსრულებლებს უზრუნველყოფს ან ეხმარება დანაშაულის ჩადენაში."[205]

„ფურუნძიჯას საქმის განხილვისას ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს დამნაშავედ სცნო, ბოსნიელ ხორვატთა შეიარაღებული ძალების

[204] Antonio Cassese, დასახ. ნაშრომი, გვ. 188.

[205] იქვე, გვ. 188.

ოფიცერი, რომელიც სხვა ოფიცრის მიერ გაუპატიურების განხორციელების ადგილზე იმყოფებოდა და მის დაკითხვას აწარმოებდა. ამგვარი გადაწყვეტილება გამყარებული იყო იმით, რომ ეს ოფიცერი ხელს უწყობდა, ამხნევებდა ან მორალურად ეხმარებოდა, რაც არსებით გავლენას ახდენდა სხვა ოფიცრის მიერ დანაშაულის ჩადენაზე, რადგან მან იცოდა, რომ ამგვარი მოქმედება ხელს უწყობს დანაშაულის განხორციელებას. ამის გამო, სასამართლო პალატამ განსასჯელებს ბრალი დასდო პირადი ღირსების შეურაცხყოფის უხეშ დარღვევაში, მათ შორის გაუპატიურებაში, დახმარების და წაქეზებისთვის (§ § 270-5).“[206]

„საერთო გეგმის თუ მონახაზის უშუალოდ განხორციელებას და მისთვის ხელშეწყობას შორის შემდეგი განსხვავებაა:

1. „დამხმარე ან წამქეზებელი ყოველთვის თანამონაწილეა ამსრულებლის მიერ ჩადენილ დანაშაულში;
2. დახმარებისა და წაქეზებისთვის დამტკიცებას არ საჭიროებს, რომ აუცილებელია საერთო შეთანხმებული გეგმის არსებობა, რომ არაფერი ვთქვათ, ამგვარი გეგმის წინასწარგანჭვრეტაზე. სავალდებულო არაა გეგმის ან შეთანხმების არსებობა: მართლაც, ამსრულებელმა შეიძლება არც კი იცოდეს, რომ თანამონაწილე ხელს უწყობს მას;
3. დამხმარე ან წამქეზებელი ახორციელებს ისეთ მოქმედებებს, რომლებიც სპეციალურად, პირდაპირაა მიმართული განსაკუთრებული დანაშაულების (მკვლელობა, განადგურება, გაუპატიურება, წამება, მოქალაქეთა საკუთრების უმიზეზო დაზიანება და ა.შ.) ხელშესაწყობად, წასაქეზებლად და მორალური მხარდაჭერისკენაა მიმართული და ამგვარ მხარდაჭერას არსებითი მნიშვნელობა აქვს დანაშაულის ჩასადენად.
4. 4) დახმარებისა და წაქეზების შემთხვავეში, აუცილებელი ინტელექტუალური ელემენტია დამხმარისა და წამქეზებლის მიერ იმის ცოდნა, რომ მათ მიერ განხორციელებული

[206] Antonio Cassese, დასახ. ნაშრომი, გვ. 189.

ქმედებები მიმართულია ამსრულებლის მიერ ჩადენილი კონკრეტული დანაშაულის ხელშესაწყობად."[207]

სისხლის სამართალი მიზნად ისახავს არამხოლოდ ინდივიდების სისხლისსამართლებრივ დევნასა და მათ დასჯას, არამედ მათი ბრალეულობის დადასტურებას ერთობლივი მოქმედებისთვის. სწორედ ამიტომაა, რომ სისხლის სამართლის თეორია ცდილობს თანაბრად გაანაწილოს გაკიცხვა დანაშაულებრივი გაერთიანების ელემენტებზე. ამისთვის საჭიროა სამი მოხერხებული ცნების ფრთხილი ანალიზი. ესენია: განზრახვა, წინასწარგანჭვრეტადობა და ბრალეულობა. საერთაშორისო სისხლის სამართლის დოქტრინა გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის შესახებ ყოველთვის წარმატებულ სურათს ვერ იძლევა. წარუმატებლობის შედეგი ნაწილობრივ დოქტრინის ფესვებში უნდა ვეძებოთ. დოქტრინა წარმოიშვა ომის დანაშაულზე საერთაშორისო და ეროვნული სასამართლოების მიერ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებისას, რომელსაც ადგილი ჰქონდა II მსოფლიო ომის შემდეგ.[208] სხვადასხვა ქვეყნების ტრიბუნალები მონაწილეობას იღებდნენ საერთაშორისო სამართალში მოცემული ომის დანაშაულის ელემენტთა ინტერპრეტაციაში,

[207] *Tadic* Appeals Judgment, at para. 229. ციტირებულია: Attila Bogdan, Individual Criminal Responsibility in the Execution of a "Joint Criminal Enterprise" in the Jurisprudence of the *ad hoc* International Tribunal for the Former Yugoslavia, *International Criminal Law Review* 6: 63–120, 2006. © 2006 *Koninklijke Brill NV. Printed in the Netherlands,* p. 93.

[208] See e.g. *trial of Otto Sandrock and three others,* b\British Military Court for the Trial of War Criminals; *Trial of Gustav Alfred Jepsen and others,* Proceedings of a British War Crimes Trial held at Luneberg, Germany (13-23 August 1946); *Trial of Franz Schonfeld and others,* British Military Court. For an axtensive discussion of the World War II case law, see Judgment, *Tadić* (IT-94-1-A), Appeals Chamber, 15 July 1999, § 195 *passim* (henceforth *Tadić*). See also A. Cassese, *International Criminal Law* (Oxford: OUP, 2003), 183-86. ციტირებულია: იხ. Jens David Ohlin, Three Conceptual Problems with the Doctrine of Joint Criminal Enterprise, Journal of International Criminal Justice 5 (2007), 69-90, Oxford University Press, 2006, p. 70.

რამაც გამოიწვია ad hoc გადაწყვეტილებათა დადგენა. გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის ძირითადი არსის კოდიფიცირებულად წარმოდგენის მცდელობა არც ყოფილა. ესაა ანგლო-ამერიკული საერთო სამართლის განვითარების კლასიკური მაგალითი. ამის გამო, გასაკვირი არაა, რომ გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია საერთაშორისო პრეცედენტულ სამართალში ანალიზდება.[209]

აქედან გამომდინარე, ქართველი მკითხველისთვის საინტერესო იქნება ანგლო-ამერიკული სისხლის სამართლისა და რომანულ-გერმანული სისხლის სამართლის ურთიერთშედარების მიხედვით თანამონაწილეობის საყურადღებო ასპექტების მოკლე მიმოხილვა, რაც უფრო ნათლად წარმოაჩენს გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის რეალურ არსს.

3.1 თანამონაწილეობა ინგლისურ სისხლის სამართალში

„ინგლისის სისხლის სამართალში ამსრულებლისა და თანამონაწილეთა გამიჯვნას დიდი მნიშვნელობა არ ენიჭება, როგორც ეს გერმანული სისხლის სამართლისთვისაა დამახასიათებელი, რადგან პასუხისმგებლობის ორივე ფორმისთვის სასჯელი იდენტურია და თანამონაწილეთა პასუხისმგებლობა, — განსხვავებით გერმანული სისხლის სამართლისგან, — როგორც წესი, არ შემოიფარგლება ამსრულებლის და თანამონაწილეთა განზრახი მოქმედებით. 1861 წლის კანონის მე-8 მუხლში, რომელიც ეხება თანამონაწილეებს და წამქეზებელს, 1977 წლის სისხლის სამართლის კანონით შეტანილი ცვლილება შევიდა, რომლის მიხედვით: ის ვინც დაეხმარება, წააქეზებს, რჩევას მისცემს ან უზრუნველყოფს სისხლისამართლებრივ დევნას დაქვემდებარებულ სამართალდარღვე-

[209] იხ. Jens David Ohlin, Three Conceptual Problems with the Doctrine of Joint Criminal Enterprise, Journal of International Criminal Justice 5 (2007), 69-90, Oxford University Press, 2006, p 70.

ვას, რომელიც საერთო სამართლის ან რომელიმე კანონით დანაშაულადაა მიჩნეული, მიეცემა სამართალში, დაიწყება მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა და დაისჯება როგორც დანაშაულის ამსრულებელი."[210]

„ამის მიუხედავად, განსხვავებას მნიშვნელობა ენიჭება მკაცრი და უფლებამოსილებით აღჭურვილის პასუხისმგებლობისას (strict and vicarious liability), ისევე როგორც განსაკუთრებული კლასის მიერ ჩასადენი დანაშაულების შემთხვევაში. თუკი ამსრულებლის მიერ განხორციელებული დანაშაული მკაცრ პასუხისმგებლობას ექვემდებარება, მაშინ სხვა თანამონაწილენი პასუხისმგებელნი იქნებიან, თუ დამტკიცდება, რომ ისინი ძირითადად მოქმედებდნენ ხსენებული means reas-ს შესაბამისად და უფლებამოსილებით აღჭურვილისთვის პასუხისმგებლობა შეიძლება მხოლოდ ამსრულებელს დაეკისროს. იქ, სადაც დანაშაულისთვის სავალდებულოა, რომ დამნაშავე განსაკუთრებულ კლასს მიეკუთვნებოდეს (მაგალითად, სასამართლო ნებართვის მფლობელი), გამორიცხულია ამ კლასში არშემავალი პირის, როგორც ამსრულებლის, პასუხისმგებლობა. აქ პასუხისმგებლობა მხოლოდ თანამონაწილეობისთვის შეიძლება დადგეს.[211] გარკვეულ შემთხვევებში, სასამართლო ნათლად არ განსაზღვრავს, პირი როგორც ამსრულებელი თუ როგორც თანამონაწილეა პასუხისმგებელი, მანამდე კი, ყოველი მათგანი ასე თუ ისე თანაბრად ისჯება."[212]

---

[210] Kai Hamdorf, დასახ. ნაშრომი, გვ. 218.

[211] M.J. Allen, *Textbook on Criminal Law* (8th edn., Oxford: Oxford University Press, 2005), 199; Smith & Hogan, *Criminal Law* (11th edn., Oxford: Oxford University Press, 2005), 165. ციტირებულია: Kai Hamdorf, დასახ. ნაშრომი, გვ. 218.

[212] Allen, *ibid.*, at199; Smith & Hogan, *ibid.*, at 164, submitting that '[i]t has always been sufficient to prove that the defendant was either the principal or a secondary party . . . [b]ut the charge should, wherever possible, specify the actual mode of participation alleged'. ციტირებულია: იქვე, გვ. 218.

„საკმაოდ ნათელი და ფორმალური მიდგომაა გამოვლენილი ამსრულებელთა და თანამონაწილეთა გასამიჯნად: ის, ვინც უშუალოდ ახორციელებს დანაშაულის ობიექტურ შემადგენლობას (acrus rea) ამსრულებელია, ხოლო დანაშაულში მონაწილე დანარჩენი პირები თანამონაწილეებად განიხილებიან.[213] ამგვარი მიდგომა გამოიყენება მაშინაც, როდესაც ორი ბოროტმოქმედი დანაშაულს ერთობლივად ახორციელებს. ისინი ორივე ამსრულებლად განიხილებიან, თუ ერთობლივად ახორციელებენ შესაბამისი დანაშაულის შემადგენლობას, რაც გაერთიანებული ძალისხმევის შედეგია. მაგალითად, ბანკზე ყაჩაღური თავდასხმისას ერთი ბანკის თანამშრომლების მიმართ ახორციელებს მუქარას, ხოლო მეორე ტომარაში ფულს ყრის. ამასთან, მათ მიერ შესრულებული დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობა უნდა მოიცავდეს დანაშაულის ერთობლივად ჩადენას. მძღოლი კი, განიხილება თანამონაწილედ, მაშინაც კი, თუ იგი იყო ბანდის მეთაური, გეგმა შეიმუშავა, მანქანა გაიტაცა, დაათვალიერა ბანკი ყაჩაღობის განხორციელებამდე და ა.შ. გერმანულ სისხლის სამართალში კი, ამგვარად მონაწილე პირი შესაძლებელია თანაამსრულებლად იქნეს განხილული. ამგვარი ფორმალური მიდგომიდან, გამონაკლისია შუალობითი ამსრულებლობა, როდესაც ამსრულებელი დანაშაულს ახორციელებს პასუხისმგებლობის ასაკს მიუღწეველი პირის, ფსიქიურად დაავადებულის, დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობის ნაკლულობისას ან იძულებისას.[214] ცოცხალი იარაღის გამოყენებას დოქტრინა უარყოფს იმ შემთხვევაში, როდესაც ამსრულებელმა პერსონალურად უნდა განახორციელოს დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა, მაგალითად, ორცოლიანობა ან გაუპატიურება.[215] (თუმცა, გაუპატიურებასთან

---

[213] Allen, *ibid.*, at 198; Smith & Hogan, *ibid.*, at166. ციტირებულია: იქვე, გვ. 218.

[214] Allen, *ibid.*, at 198; Smith & Hogan, *ibid.*, at167. ციტირებულია: Kai Hamdorf, დასახ. ნაშრომი, გვ. 219.

[215] Smith & Hogan, *ibid.*, at168.The same applies under German law for the so-called *'eigenhändige Delikte'*. ციტირებულია: იქვე, გვ. 219.

დაკავშირებით ეს აზრი მიუღებელია ჩვენი კანონმდებლობის მიხედვით. შენიშვნა ჩემია — ი.დ.). იქ სადაც ცოცხალი იარაღის შესახებ დოქტრინა გამოიყენება, სრულიად შესაძლებელია ორი ან მეტი ბოროტმოქმედი განვიხილოთ თანაამსრულებლებად, თუნდაც ისინი არ ესწრებოდნენ დანაშაულის დასრულების მომენტს."[216]

„დახმარების, წაქეზებისა და რჩევის მიცემისთვის დაწესებული თანამონაწილეობის პასუხისმგებლობა არ მითხოვს მიზეზობრივი კავშირის დადგენას თანამონაწილეთა მოქმედებასა და ამსრულებლის მიერ განხორციელებულ დანაშაულს შორის; საკმარისია, რომ დამხმარემ ამსრულებელს შესაძლებლობა მისცეს დანაშაული ჩაიდინოს უფრო ადვილად, დროულად და საიმედოდ, მაშინაც კი, თუ თანამონაწილის ჩარევის გარეშეც დანაშაული ბოლომდე მივიდოდა.[217] დამხმარე მაშინაც კი ისჯება, როდესაც მან მკვლელი დანაშაულის ადგილზე მიიყვანა, მაგრამ მკვლელობა მხოლოდ 13 საათის შემდეგ განხორციელდა.[218] წამქეზებელი მაშინაც ისჯება, როდესაც ამსრულებელს უკვე დანაშაულის ჩადენა გადაწყვეტილი აქვს.[219]

„უზრუნველყოფა თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის ოთხივე ფორმას შორის ყველაზე უზოგადესია და დანაშაულის განსახორციელებლად წარმოებულ ყველა მოქმედებას მოიცავს. უზრუნველმყოფი (procurer) არ იმყოფება დანაშაულის ფაქტიურად განხორციელების ადგილზე, თუმცა უზ-

[216] Smith & Hogan, *ibid.*, at 168. ციტირებულია: იქვე, გვ. 218-219.

[217] Allen, *supra* note 32, at 201; Smith & Hogan, *ibid.*, at 172. ციტირებულია: Kai Hamdorf, დასახ. ნაშრომი, გვ. 219.

[218] *Bryce* (2004) EWCA Crim1231 and (2004) Crim LR 936. ციტირებულია: იქვე, გვ. 219.

[219] Smith & Hogan, *supra* note 32, at 173 with reference to *Gianetto* (1996) Crim LR 722, giving the example: 'I am going to kill your wife'; Husband: 'Oh goody'. ციტირებულია: იქვე, გვ. 219.

რუნველყოფასა და დანაშაულს შორის მიზეზობრივი კავშირი უნდა დადგინდეს."[220]

„თანამონაწილის პასუხისმგებლობა არაა დამოკიდებული უშუალო ამსრულებელზე. წამქეზებელს პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროს განზრახი დანაშაულისთვის, მაშინაც კი, როდესაც უშუალო ამსრულებელი განზრახ არ მოქმედებს. ასეთ შემხვევებში, წამქეზებელი, უმეტესწილად, ისჯება როგორც შუალობითი ამსრულებელი, მაგრამ მას როგორც წამქეზებელს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა, თუკი დანაშაულის აღწერილობა ისეა ფორმულირებული, რომ პირის განხილვა არ შეიძლება დამნაშავედ."[221]

„თანამონაწილის სუბიექტური შემადგენლობისთვის აუცილებელი პირობებია: 1) თანამონაწილეს განზრახული უნდა ჰქონდეს დანაშაულში დახმარება, დანაშაულის წაქეზება, ან — უზრუნველყოფის შემთხვევაში — დანაშაულის გამოწვევა, 2) თანამონაწილეს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს ამსრულებლის მიერ ჩასადენი დანაშაულის არსებითი ელემენტები (იმ მონაცემების ჩათვლით, რაც აუცილებელია მკაცრი პასუხისმგებლობისთვის); ეს აგრეთვე გულისხმობს იმის გაცნობიერებასაც, რომ ამსრულებელი ამგვარი დანაშაულის

---

[220] Smith & Hogan, *ibid.*, at 174. ციტირებულია: Kai Hamdorf, დასახ. ნაშრომი, გვ. 219.

[221] For example, in Millward (1994) Crim LR 527: დ-მ ასწავლა მის თანამშრომელ პ-ს გზაზე სატრანსპორტო საშუალების მართვა. დ-მ იცოდა, რომ სატრანსპორტო საშუალება სახიფათო მდგომარეობაში იყო, მაგრამ პ-მ არ იცოდა ამის შესახებ. სატრანსპორტო საშუალების მდგომარეობამ გამოიწვია შეჯახება, რის შედეგადაც ადამიანი დაიღუპა. პ-ს მიმართ გამოვიდა გამამრთლებელი განაჩენი დაუდევრობით მართვის შედეგად სიცოხლის მოსპობისთვის, თუმცა დ-ს პასუხისმგებლობა დაეკისრა დაუდევრობით მართვის ობიექტური შემადგენლობის განხორციელების უზრუნველყოფისთვის. ციტირებულია: Kai Hamdorf, დასახ. ნაშრომი, გვ. 220 (იქვე, სქოლიო 43).

სუბიექტური შემადგენლობით იმოქმედებს. მეორე ელემენტთან დაკავშირებით, სააპელაციო პალატა განმარტავს, რომ მეორეხარისხოვანმა წევრებმა, სულ მცირე, უნდა იცოდნენ „არსებითი ხასიათის საკითხები," რომლებიც დანაშაულის ძირითადი ნაწილის შემადგენელია, მაგრამ არაა საჭირო ყველა დეტალის ცოდნა."[222]

„ინგლისის სისხლის სამართალი არანაირ განსხვავებას არ აკეთებს error in persona-სა და aberratio ictus-ს შორის. ე.წ. „ბოროტი განზრახვის გადასვლის" დოქტრინის მიხედვით, მეორეხარისხოვან წევრებს პასუხისმგებლობა მაშინაც ეკისრებათ, როდესაც ამსრულებელი შეცდომით დანაშაულს სხვა პიროვნების ან ობიექტის მიმართ ჩაიდენს. მაგალითად, თუ ა. და ბ. შეთანხმდებიან, რომ ბ-მ ჩაიდინოს ც-ს მკვლელობა, მაგრამ ბ-ს ც. აერევა დ-ში და დ-ს მოკლავს, ა. დამნაშვე იქნება როგორც მეორეხარისხოვანი წევრი, ხოლო ბ. მკვლელობის ამსრულებელი იქნება."[223]

„ა-ს, როგორც მეორეხარისხოვან წევრს, არ დაეკისრება მკვლელობისთვის პასუხისმგებლობა, თუ ბ. განზრახ მოკლავს დ-ს, რა დროსაც მან კარგად იცოდა, რომ ვისაც იგი კლავდა ც. არ იყო. დუნინგისა და გრეიემის საქმის მიხედვით, დ-მ სთხოვა პ-ს ვ-ს სახლისთვის ცეცხლი წაეკიდებინა. პ-მ გადაწყვიდა ცეცხლი ვ-ს მანქანისთვის წაეკიდებინა. სასამართლომ დ-ს პასუხისმგებლობა დააფუძნა იმ მოსაზრებაზე, რომ მას შეეძლო წინასწარ ნება დაერთო ან გაეთვალისწინებინა იმის შესაძლებლობა, რომ ისეთი საკუთრება, როგორიცაა მანქანა, რომელიც სახლთან ახლოს დგას, დაიწვებოდა."[224]

„ინგლისურ სისხლის სამართალში, დღესდღეობით ისიც

[222] *Johnson v.Youden* (1950) 1 All ER 300. ციტირებულია: იქვე, გვ. 220.

[223] Allen, *supra* note 32, at 214; Smith & Hogan, *supra* note 32, at 189. ციტირებულია: Kai Hamdorf, დასახ. ნაშრომი, გვ. 221.

[224] Preston Crown Court, December 1985, unreported, cited after Smith & Hogan, *supra* note 32, at 188. ციტირებულია: იქვე, გვ. 221.

ნათელია, რომ ამსრულებელს ან მეორეხარისხოვან თანამონაწილეს, რომლებიც მონაწილეობენ გაერთიანებულ დანაშაულებრივ ორგანიზაციაში პასუხისმგებლობა დაეკისრებათ არამარტო საერთო გეგმით გათვალისწინებული დანაშაულისთვის, არამედ ჯგუფის რომელიმე წევრის მიერ ჩადენილი ისეთი დანაშაულისთვისაც, რომლის წინასწარგანჭვრეტა შეიძლებოდა და ამგვარ რისკს ნებაყოფლობით ურიგდებოდა.[225] ეს პრინციპი პირველად განავითარი დახურულმა საბჭომ ჩან ვინგ-სიუში (Chan Wing-Siu),[226] რომლის მიხედვითაც, დანებით შეიარაღებული ა., დ. და ე. გაემართნენ ვ-ს ბინის გასაქურდად. ვ-მ უარი განაცხადა ფულის გადაცემაზე, რის გამოც, იგი სასიკვდილო ჭრილობებით მოკლეს. ა. მოითხოვდა, რომ მას არ უნდა დაკისრებოდა პასუხისმგებლობა მკვლელობისთვის, რადგან როდესაც დ. და ე. ვ-ს კლავდნენ, ა. ვ-ს მუელლეს აკავებდა სხვა ოთახში. ა-ს, დ-ს და ე-ს ბრალი დაედოთ მკვლელობისთვის და სააპელაციო საჩივარი არ დააკმაყოფილა სასამართლომ. სასამართლომ განაცხადა: „მთავარი დამნაშავის მოქმედებისთვის მეორე ხარისხოვან წევრებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრებათ, თუკი ამ უკანასკნელთ შეეძლოთ წინასწარგანეჭვრიტათ ეს და სრულიად არაა საჭირო განზრახვის არსებობა... ეს შეესაბამისობაშია იმ დანაშაულის წინასწარგანჭვრეტასთან, რომელიც ერთიანმა უკანონო გაერთიანებამ შეიძლება შემთხვევით განახორციელოს. სისხლისსამართლებრივი ბრალეულობა გამომდინარეობს გაერთიანებაში მონაწილე-

---

[225] ინგლისურ სისხლის სამართალში მთლიანად ნათელი არაა, უნდა გაიმიჯნოს თუ არა პასუხისმგებლობის ეს ფორმა დახმარების, წაქეზებისა და უზრუნველყოფისგან, როგორც პასუხისმგებლობის დამოუკიდებელი ფორმებისგან, თუ იგი დახმარების, წაქეზების და უზრუნველყოფის ერთ-ერთი ფორმაა. დისკუსიისთვის იხ. J.C. Smith, 'Criminal Liability of Accessories: Law and Law Reform', 113 Law Quarterly Review, (1997) 453-467, at 462. ციტირებულია: Kai Hamdorf, დასახ. ნაშრომი,გვ. 221 (იქვე, სქოლიო 53).

[226] (1985) 1AC 168. ციტირებულია: იქვე, გვ. 221.

ობის წინდახედულობიდან."[227]

„ა. პასუხს აგებს ბ-ს ქმედებისთვის, თუ ბ-ს შესაბამისი მოქმედება არსებითად განსხვავდება ისეთი ქმედებისგან, რომელიც ა-ს უნდა გაეთვალისწინებინა.[228] რ.ვ. გემბლეს (R.v. Gambles) საქმის მიხედვით,[229] ოთხმა ბრალდებულმა დ-მ, კ-მ, ა-მ და მ-მ გადაწყვიტეს პ. დაესაჯათ. ორმა ბრალდებულმა კ-მ და დ-მ გადაწყვიტეს პ-სთვის რამდენიმეჯერ დაერტყათ ან „მუხლის თავი დაეზიანებინათ" (Kneecapping) (ცეხლსასროლი იარაღიდან ტყვია ესროლათ მუხლის თავში). ა-მ და მ-მ თავდასხმისას პ. განსაკუთრებული სისასტიკით მოკლეს. პ-ს საკმაოდ ღრმად ჰქონდა ყელი გამოჭრილი, რამაც უეცარი სიკვდილი გამოიწვია. ამის გარდა, მას ოთხი ტყვია ჰქონდა მოხვედრილი სხეულის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან ადგილებში, რომელთაგან ორი მათგანი ფატალური იყო. მოსამართლე ქარსველის (Carswell) აზრით, დ-ს და კ-ს არ უნდა დაეკისროთ იმათ მიერ გამოწვეული შედეგისთვის პასუხისმგებლობა, რადგან მისი წინასწარგანჭვრეტა არ შეიძლებოდა და არც ამ შედეგის სურვილი და განზრახვა არ ჰქონდათ. დ-ს და კ-ს ბრალი დაედოთ განზრახ ჯანმრთელობის მძიმე დაზიანებისთვის და არა მკვლელობისთვის."[230]

„რ.ვ. უდინის (R.v. uddin) საქმეში, მსჯავრდებული უ.კეტებითა და ბარებით შეიარაღებული ექვსი კაციდან ერთ-ერთი მათგანი იყო.ისინი თავს დაესხნენ ვ-ს, რომელიც ტ-ს დარტყმებით გარდაიცვალა. უ-ს მიმართ გამოტანილი გამამტყუნე-

---

[227] *ChanWing-Siu v. The Queen* [1985] AC 168, at 175. ციტირებულია: Kai Hamdorf, დასახ. ნაშრომი, გვ. 221.

[228] Allen, *supra* note 32, at 215; M.T. *Molan, Cases & Materials on Criminal Law* (3rd edn., London: Cavendish, 2005) at 340; Smith & Hogan, *supra* note 32, at 193. ციტირებულია: იქვე, გვ. 221.

[229] Crown Court in Northern Ireland (1989) NI 268. ციტირებულია: იქვე, გვ. 221.

[230] See alsoWilson, *supra* note 47, at 595: 'It would be wrong, for example, if A gave P explosives to blow open a safe, to convict A of murder if P used them to blow up an inhabited office block'. ციტირებულია: Kai Hamdorf, დასახ. ნაშრომი, გვ. 212-222.

ბელი განაჩენი შეიცვალა. სასამართლომ აღნიშნა: თუკი რამდენიმე პირი ერთობლივად თავს ესხმის დაზარალებულს ისეთ გარემოებებში, რომელიც მეტყველებს, რომ მათ განზრახული აქვთ სერიოზული დაზიანებების მიყენება, ყველა მათგანი პასუხისმგებელია მკვლელობისთვის. ამიტომ, თუკი განზრახ დაზიანება მეტყველებს იმაზე, რომ ეს მხოლოდ და მხოლოდ ერთ-ერთი თანამონაწილის მოქმედებაა, რომელიც სრულიად განსხვავდება წინასწარგანჭვრეტადი ქმედებებისგან, როგორც თავდასხმის შემადგენელი ნაწილისგან, მაშინ მხოლოდ ამ ქმედების განმახორციელებელი მონაწილეა დამნაშავე მკვლელობაში. სასამართლომ მიუთითა, რომ მეორე მხარის მიერ იარაღის გამოყენება არსებითი ფაქტორია და სხვათა პასუხისმგებლობა იმაზეა დამოკიდებული, იცოდნენ თუ არა მათ იარაღის არსებობის შესახებ და ითვალისწინებდნენ თუ არა იმას, რომ იარაღს გამოიყენებდნენ."[231]

„ინგლისის სისხლის სამართალი განასხვავებს ქმედების სუბიექტური შემადგენლობის (means rea) სამ ფორმას: განზრახვა, თვითმიმედოვნება და დაუდევრობა. პირი განზრახ ახორციელებს კონკრეტულ დანაშაულს, თუ მას ეს მიზანი გააჩნია, მაშინაც კი, თუ მას წარმატების იმედი არა აქვს. მაგალითად, ა-ს სურს ბ-ს ესროლოს თავში, თუმცა იცის, რომ ცუდი მსროლელია, ან ბ. საკმაოდ შორსაა.[232] ამასთან, სასამართლოს ან ნაფიც მსაჯულებს შეუძლიათ განზრახვა დაადგინონ შედეგის მიმართ, როდესაც შედეგი ამსრულებლის მიერ

[231] ეს აზრი გაკრიტიკებულია შემდეგი ავტორების მიერ: This view is criticized by C.M.V Clarkson and H.M. Keating, *Criminal Law: Text and Materials* (5th edn., London: Sweet & Maxwell, 2004) at 545: „მართალია, ცეცხლსასროლი იარაღი ხის ხელკეტზე უფრო საშიში საშუალებაა, მაგრამ თუ განსასჯელი წინასწარ ითვალისწინებდა, რომ ამსრულებელს შეეძლო მკვლელობა განეხორციელებინა, რთულია იმის გაგება, თუ რატომ უნდა ჰქონდეს მკვლელობის მეთოდს ან გამოყენებულ საშუალებას, ასეთი არსებითი მნიშვნელობა. ციტირებულია: Kai Hamdorf, დასახ. ნაშრომი, გვ. 222 (იქვე, სქოლიო 61).

[232] Smith & Hogan, *ibid.*, at 92. ციტირებულია: იქვე, გვ. 223.

არ იყო გამიზნული, მაგრამ 1) დამდგარი შედეგი ფაქტიურად კონკრეტული მოქმედების შედეგია და 2) ამსრულებელს გაცნობიერებული აქვს ფაქტიური შედეგი. განზრახვის ამ ფორმას „არაპირდაპირი განზრახვა ეწოდება (oblique intention).[233] თვითიმედოვნებისას პირი, რომელიც განზრახ არ მოქმედებს შედეგის მიმართ, შედეგს იწვევს გაუმართლებელი რისკით. ე.წ. „ქანინგჰემის ტესტის" („Cunningham test") თანახმად, ბრალდების მხარემ უნდა დაამტკიცოს, რომ დამნაშავეს გაცნობიერებული ჰქონდა გაუმართლებელი რისკი („გულისხმიერი თვითიმედოვნება." „advertent recklessness").[234] პირი მაშინაც თვითიმედოვნებით მოქმედებს, როდესაც იგი ზუსტადაა დარწმუნებული, რომ აკრძალული შედეგი არასდროს არ დადგება. გულგრილობა თვითიმედოვნების დამამძიმებელი ფაქტორია და არა მისი ცნების შემადგენელი ელემენტი.[235] თვითიმედოვნების ცნებაში ასევე მოიაზრება ისეთი ფსიქიკური მდგომარეობაც, რომელიც ევენტუალურ განზრახვად შეიძლება შეფასდეს, ანუ განზრახვად გერმანული სამართლის მიხედვით. რაც შეეხება დაუდევრობას, იგი არის უყურადღებო დამოკიდებულება გაუმართლებელი რისკის მიმართ, რომელიც მთლიანად ობიექტურ საფუძველზე დგინდება."[236]

„შიდასახელმწიფოებრივი სისხლის სამართლის მიერ შემოთავაზებული შეზღუდვები შეიძლება შეფასდეს, როგორც ამ წინადადებათა კომბინაცია. ამასთან, მოკლედ, რომ ვთქვათ, გერმანული და ინგლისური სისხლის სამართალი მოიცავს გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის სამივე ფორმის უდიდეს ნაწილს, ყოველ შემთხვევაში, გერმანული

[233] *Ibid.*, at 94. ციტირებულია: Kai Hamdorf, დასახ. ნაშრომი, გვ. 223.

[234] *Ibid.*, at 103. ციტირებულია: იქვე, გვ. 224.

[235] *Ibid.*, at 109. ციტირებულია: Kai Hamdorf, დასახ. ნაშრომი, გვ. 224.

[236] *Ibid.*, at 109. ციტირებულია: იქვე, გვ. 223-224.

სისხლის სამართალი ამგვარი ორგანიზებული გაერთიანების მონაწილეებს მიჯნავს ერთმანეთისგან. მონაწილე, როგორც ამსრულებელი, მხოლოდ მაშინაა პასუხისმგებელი თუ იგი უშუალო ამსრულებლად, თანაამსრულებლად ან შუალობით ამსრულებლად მიიჩნევა, რომელთაგან პასუხისმგებლობის სამივე ფორმას საკუთარი წანამძღვრები გააჩნია. როდესაც საქმე ეხება მაღალჩინოსან პოლიტიკურ და სამხედრო თანამდებობის პირებს და გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია, როგორც პასუხისმგებლობის გამორჩეული ფორმა, მნიშვნელოვანია, შემდეგ პრინციპებს უნდა დავეყრდნოთ:

1. თანამონაწილე იშვიათად შეიძლება მოგვევლინოს უშუალო ამსრულებლად, რადგან სავალდებულოა, რომ მან ფაქტიურად თვითონ განახორციელოს დანაშაული, რაც ორგანიზებული გაერთიანების მიზანია;
2. თანამონაწილე შეიძლება შეფასდეს თანაამსრულებლად თუ იგი: ა) უშუალოდ იღებდა მონაწილეობას დანაშაულის განხორციელებაში და მოქმედებდა ერთობლივად საერთო გეგმის შესაბამისად სხვა თანამონაწილეებთან ერთად ან ბ) უშუალოდ არ იღებდა მონაწილეობას დანაშაულის რეალურად განხორციელებაში, მაგრამ იგი იყო დანაშაულის „ორგანიზატორი," მან შეადგინა დანაშაულის გეგმა, ყოველი თანამონაწილის მოქმედებას ხელმძღვანელობდა და ა.შ.
3. თანამონაწილე მხოლოდ მაშინ შეფასდება შუალობით ამსრულებლად თუ: ა) უშუალო ამსრულებელი ფსიქიურად დაავადებული იყო ან იძულებით მოქმედებდა ან სხვა მსგავს მდგომარეობას ჰქონდა ადგილი ან ბ) უშუალო ამსრულებელი ორგანიზებული ჯგუფის, ორგანიზაციის ან პოლიტიკური ორგანის მაღალჩინოსანი წევრი იყო, რომელსაც გამოკვეთილი იერარქიული ბრძანებების გაცემის უფლებამოსილება გააჩნდა და ამგვარი თანამონაწილე საკუთარ პოზიციას იყენებდა იმისთვის, რომ მის დაქვემდებარებულებს დანაშაული

განეხორციელებინათ."[237]

3.2 ანგლო-ამერიკული კანონის წარმოშობა

„გაერთიანეული დანაშაულებრივი ორგანიზაციის ცნების სრულყოფილი გაგებისთვის, აუცილებელია ცნებათა წინააღმდეგობას მივმართოთ, რომელსაც იწვევს ანგლო-ამერიკულ სისტემაში ჩამოყალიბებული თანამონაწილეობისთვის პასუხისმგებლობა (accomplice liability/complicity) და რომანულ-გერმანული თანაამსრულებლობის ცნება. პასუხისმგებლობის ორივე თეორია ჩადებულია გაერთიანეული დანაშაულებრივი ორგანიზაციის ცნებაში. თანამონაწილეობისთვის პასუხისმგებლობის ნათელსაყოფად საკმარისია კადიშის ნაშრომიდან ციტირება: „მეორეხარისხოვანი მონაწილის პასუხისმგებლობა ნაწარმოებია მთავარი მონაწილის მიერ იმ კანონის დარღვევიდან, რომელშიც მეორეხარისხოვანმა მონაწილემ წვლილი შეიტანა. ამგვარი შენატანი არაა უშუალო, რადგან თვით მიზეზობრიობის ანალიზიც არაა შესაბამისი. ეს გამორიცხულია ადამიანური ქცევის ჩვენეული გაგებიდან გამომდინარე, რომელსაც თანამონაწილეობის დოქტრინა იზიარებს. ნებელობითი ქცევები მთავარი ამსრულებლის არჩევანია, რის გამოც, იგი მხოლოდ მისი ქცევაა. ის, ვინც „დაეხმარება და წააქეზებს" მას ამ ქმედებათა განხორციელებაში, საერთოა სამართლის ტრადიციული ენით, შეიძლება პასუხი აგოს, მაგრამ არა ისე, თითქოს მან გამოიწვია ამსრულებლის (principal) ქმედებები ან ამსრულებლის ქმედებები მისი ქმედებებია. მისი პასუხიმგებლობა ეფუძნება ამსრულებლის მიერ კანონის დარღვევას, რომლის იურიდიულ შედეგებს იგი კისრულობს საკუთარი მოქმედებების გამო."[238]

---

[237] Kai Hamdorf, დასახ. ნაშრომი, გვ. 224-225.

[238] S.H. Kadish, 'Complicity, Cause and Blame: A study in the Interpretation of Docrtine', 73 *California Law Review* (1985), 323 *et seq.*, 337. ციტირებულია: Elies van Sliedregt, დასახ. ნაშრომი, გვ. 196.

„ამსრულებლობისა და თანამონაწილეობის მკაცრი სტრუქტურა არ ერგება ისეთ სიტუაციებს, სადაც ა. და ბ. არიან გაერთიანებული ამსრულებლები და ყოველ მათგანს არსებითი მიზეზობრივი წვლილი შეაქვს actus rea-ს განხორციელებაში.[239] საერთო მიზნის ანუ გაერთიანეული დანაშაულებრივი ორგანიზაციის დოქტრინა ავსებს ამგვარ „უკამრისობას" ანგლო-ამერიკულ თანამონაწილეობაში იმით, რომ არ მოითხოვს ზუსტად განსაზღვრული კაუზალური წვლილის დადგენას, რამაც დანაშაული გამოიწვია, თუმცა ეს გადაფარულია „გაერთიანუბული ორგანიზაციით" ანუ „საერთო მიზნით."[240] საერთო მიზნის/გაერთიანეული დანაშაულებრივი ორგანიზაციისთვის პასუხისმგებლობა ემყარება თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის პრინციპს, სადაც ყოველი მათგანის პასუხისმგებლობა გამომდინარეობს სხვათა კაუზალური წვლილიდან და გაერთიანებული „ამსრულებლებიდან" ყოველი მათგანი პასუხისმგებელია თავიანთი გაერთიანებული მოქმედებებისთვის და ისჯებიან ამსრულებლის მიერ განხორციელებული დანაშაულისთვის.[241] ესეც ნაწარმოები პასუხისმგებლობაა: სადაც პირები actus reas-ს გარკვეულ ელემენტებს ასრულებენ თვითონ. სხვა სიტყვებით, რომ ვთქვათ, პირებს პასუხისმგებლობა ნაწილობრივ ეკისრებათ სხვა პირთა მოქმედებებისთვის.[242] ამის გამო, ამსრულებელსა და წამქეზებელს შორის განსხვავების დადგენა გართულებულია. სმიტისა და ჰოგანის თანახმად, მათ შორის განსხვავება უმნიშვნელოა. ის, რომ ერთი ახორციელებს დანაშაულს ამსრულებელი, ხოლო მეორეხარისხოვანი პირი თანაბრადაა პასუხისმგებელი, საერთოდ არანაირი მნიშვნელობა არ გააჩნია."[243]

---

[239] Smith, *supra* note 68, at 80, footnote 101. ციტირებულია: Elies van Sliedregt, დასახ. ნაშრომი, გვ. 197.

[240] *Ibid.*, pp. 209-234. ციტირებულია: იქვე, გვ. 197.

[241] *Smith and Hogan, supra* note 58, at 147. ციტირებულია: იქვე, გვ. 197.

[242] See Kadish, *supra* note 67, at 344-345, n. 36. ციტირებულია: იქვე, გვ. 197.

[243] *Smith and Hogan, supra* note 58, at 127-129. ციტირებულია: იქვე, გვ. 197.

საერთო მიზნის/გაერთიანეული დანაშაულებრივი ორგანიზაციის დოქტრინას შემოაქვს „წინასწარგანჭვრეტადობის რისკის" ტესტი და თანამონაწილეობის საზღვრებში აქცევს იმ პირის მოქმედებებს, ვინც ეგუება საკუთარი შეხედულებით. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ეფუძნება წინასწარმეტყველებას.[244] ეს ტესტი ჰგავს ინგლისურ სამართალში განვითარებულ თანამონაწილეობისთვის პასუხისმგებლობას წინდაუხედაობის ცოდნის (reckless knowledge) ტესტს[245] და დიდად არ განსხვავდება ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ დახმარებისა და წამქეზებლობისთვის დაწესებული ინტელექტუალური ტესტისგან, რომლის მიხედვითაც, პირს შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა დანაშაულში დახმარების ან დანაშაულის წამქეზებლობისთვის, თუ პირმა იცოდა, რომ ეს დანაშაული „შეიძლება განხორციელებულიყო."[246]

3.3 თანამონაწილეობა რომანულ-გერმანული სამართალის მიხედვით

„თანაამსრულებლობა ანუ ერთობლივი ამსრულებლობა პასუხისმგებლობის დამოუკიდებლ საფუძვლადაა მიჩნეული უმეტეს რომანულ-გერმანული სამართლის სისტემებში. ერთობლივი ამსრულებლობა, როგორიცაა გერმანული „Mittäterschaft", ბელგიური „coactions," ჰოლანდიური „medeplegen", გამიჯნულია თანამონაწილეობისგან და უფრო მეტს

[244] A. Ashworth, *Principles of Criminal Law* (Oxford: OUP, 2003), at 434. ციტირებულია: იხ. Elies van Sliedregt, დასახ. ნაშრომი, გვ. 197.

[245] In *DPP for Northern Ireland v. Maxwell* ([1978] 3 All Er 1140), a reckless knowledge test was introduced for complicity. As to the mental element of the accomplice, it suffices that he '[k]nows that one or more of group of offences is virtually certain to be committed, which means that in relation to the one(s) actually commited there was knowledge only of a risk that it would be actually commited – and that amounts to rechlessness.' Ashworth, *supra* note 77, at 442. ციტირებულია: იხ. იქვე, გვ. 198.

[246] იხ. იქვე, გვ. 197-198.

მოითხოვს ვიდრე უბრალოდ ხელშეწყობა.[247] თანაამსრულებლობა (co-perpetration) ნიშნავს დანაშაულში სრულ თანამონაწილეობას. იმ სისტემებში, სადაც აღიარებულია მონაწილეობის ორი ფორმა — თანაამსრულებლობა და თანამონაწილეობა — რთულია მათი გამიჯვნა. ამის მიუხედავად, ეს სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია, რადგან დამხმარეები (facilitators), რომელსაც როგორც ხელშემწყობს (helpers) მეორეხარისხოვანი სტატუსი გააჩნიათ და თანაამსრულებლებთან შედარებით უფრო მსუბუქად ისჯებიან. ფრანგული სამართალი, ანგლო-ამერიკულის მსგავსად, დიდი ძალისხმევით ცდილობდა დაერეგულირებინა ამსრულებლის ცნება, რადგან თანამონაწილეობის შესახებ მისი ხელოვნური თეორია ემყარება „სასჯელის ნასესხობის" ცნებას (emprnut de penalité).[248] 1810 წლის კოდექსით, თანამონაწილე, როგორც ამსრულებელი ისე ისჯებოდა, ახლა კი, 121-7 მუხლის მიხედვით, თანამონაწილე ისჯება ისე, თითქოს იგი ამსრულებელია. ბელგიური თანაამსრულებელი განსხვავდება თანამონაწილისგან იმით, რომ მას პასუხისმგებლობა საკუთარი მოქმედების შესაბამისად ეკისრება. მათ შორის განსხვავება ისაა, რომ თანაამსრულებელი თავისი შეხედულებისამებრ ახორციელებს მოქმედებებს, რომლებიც დანაშაულის შემადგენელი ნაწილია, ხოლო თანამონაწილე ახორციელებს მარტივ დამატებით მოქმედებებს დანაშაულის ხელშეწყობის მიზნით.[249] თავისი არსით, ბელგიური თანაამსრულებელი მეორეხარისხოვანი მხარეა ისევე, როგორ ყველა სხვა თანამონაწილე."[250]

[247] Mittäterschaft, Art. 25(2) German Penal Code, Caition, Art. 66 Belgioan Penal Code, Medeplegen, Art. 47(1) holandiuri Penal Code. ციტირებულია: იხ. Elies van Sliedregt, დასახ. ნაშრომი, გვ. 198.

[248] F. Desportes and F. Le Gunehec, *Le Nouveau Droit Pénal* (7th edn., Paris: Economic, 2000), § 566, at 494. ციტირებულია: იქვე, გვ. 198.

[249] J.S. Bell at al., *Principles of French Law* (Oxford: OUP, 1998), at 238. ციტირებულია: იქვე, გვ. 199.

[250] იქვე, გვ. 198-199.

„ნათელია, რომ თუ პირველი და მეორე კატეგორიის გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის ფესვები რომანულ-გერმანული სამართლის სისტემიდან მოდის, მესამე კატეგორიის გაერთიანებულ დანაშაულებრივ ორგანიზაციასაც აქვს თანაბარზომიერი ფესვები რომანულ-გერმანული სამართლის სისტემაში, იმის მიუხედავად, რომ ამის შეცნობა ერთობ რთულია. ჰოლანდიურ სამართალში მესამე კატეგორიის გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია თანაამსრულებლობად მიიჩნევა, რადგან დანაშაულში თანამონაწილეობის, მათ შორის თანაამსრულებლობის, mens rea ევენტუალურ განზრახვას მოიცავს.[251] რომანულ-გერმანული სამართლის სხვა სისტემებში მესამე კატეგორიის გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის ცნების ტოლფასოვნადაა აღიარებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრობის დასჯადობა.[252] ვინაიდან გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია თავისი არსით განსხვავდება წარმოდგენილი ცნებებისგან, ზოგიერთი პრინციპი, რომელიც „წევრობისთვის პასუხისმგებლობას" უდევს საფუძვლად, როგორც ჩანს ასახავს გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის ძირითად არსს."[253]

---

[251] Dutch Supreme Court, 20 January 1998, NJ (Dutch Law Reports) 1998, 426. ციტირებულია: Elies van Sliedregt, დასახ. ნაშრომი, გვ. 199.

[252] French law penalizes 'participation in group fermed or an understanding reached for the perpetration of one of the falonies specified in Arts 211-1, 212-1 and 212-2 (genocide, crimes against humanity and war crimes, *EvS*), when evidenced by one or more overt acts', Art. 213-3, § 1 Code Pénal [Translation; *The American Serias of Foreign Penal Codes,* Vol. 31: France (1999)]. See also Desportes and Le Gunehec, *supra* note 82, at 461. Moreover, the French concept of '*association de malfaiteures*' – a concept that inspired the drafters of the Nuremberg Statute to penalize membership of a criminal organization – has been aqually devised to deal with mob violence by overcoming causality problems, Arts. 450-1 to 450-4 of the Code Pénal. Dutch law provides for an analogous concept in Art 140 of the Dutch Penal Code. [Translation: *The American Series of Foreign Penal Codes,* Vol. 30; The Netherlands (1997)]. ციტირებულია: იქვე, გვ. 199.

[253] იქვე, გვ. 199.

3.4 შეთქმულება

იურიდიულ ლიტერატურაში მითითებულია, რომ აშშ-ში შეთქმულების დოქტრინის დაბადება დაკაშირებული იყო, მზარდი სოციალური პრობლების გამო მკაცრი სასჯელების დაწესებისა და სასამართლო პროცესის გამარტივებისთვის. ზოგიერთი კანონმდებლობა დანაშაულებრივ შეთანხმებას დასჯადად აცხადებდნენ მაშინაც კი, როდესაც დანაშაულებრივი ქმედება განხორციელებული არ იყო. ამგვარი მიდგომა გამოსადეგი იყო, მაშინ, როდესაც ბრალი ედებოდა პირს მკვლელობის ჩადენაში, მაგრამ დანაშაულთან უშუალოდ დაკავშირებული მტკიცებულებები არ იყო. გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია განვითარებას იწყებს მეორე მსოფლიო ომის შემდეგი წლებიდან, რადგან ყველა დამნაშავისთვის თანაბარი პასუხისმგებლობის დაკისრებას პრაქტიკული დანიშნულება ჰქონდა.[254]

არის მეორე, ფილოსოფიური მიზეზი, რომელიც ასაბუთებს ხელოვნურად შექმნილი თანაბარ ბრალეულ პასუხისმგებლობას. მეცნიერები ცდილობენ, რომ ზოგჯერ დანაშაულებრივი შეთანხმება განიხილონ გაერთიანებული ქცევის მცდელობად, როგორც ჯგუფის აგენტის მოქმედების შედეგი.[255]

„შეთქმულების პრობლემა საერთაშორისო სისხლის სამართალში განსჯის საგანი ნიურნბერგის პროცესის შემდეგ გახდა. საერთო სამართლის სისტემის მიხედვით, შეთქმულება განხორციელებულია თუ ორი ან მეტი პირი შეთანხმდება დანაშაულის ჩასადენად, იმის მიუხედავად, ეს უკანასკნელი დანაშაული განხორციელდა თუ არა, ხოლო კონტინენტური სამართლის სისტემა, რომელიც ნაპოლეონის ტრადიციის

[254] იხ. Jens David Ohlin, Three Conceptual Problems with the Doctrine of Joint Criminal Enterprise, Journal of International Criminal Justice 5 (2007), 69-90, Oxford University Press, 2006, pp. 85-86.

[255] იხ. იქვე, გვ. 86.

გავლენას განიცდიდა, შეთქმულება, ზოგადად, განიხილება როგორც თანამონაწილეობის ანუ რეალურად ჩადენილ დანაშაულში ან მის მცდელობაში თანამონაწილეობის ფორმად. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდებამ დაუშვა კომპრომისი და სავალდებულოდ მიიჩნია რაიმე მოქმედების განხორციელება შეთქმულების დასამტკიცებლად, თუმცა არაა სავალდებულო დანაშაულის რეალურად განხორციელება. გადაწყვეტილება მომდინარეობს ტერორისტული დაბომბვის თავიდან აცილების შესახებ 1997 წლის კონვენციიდან, სადაც ეს მისაღები ფორმულა კონსესუსით მიიღეს.[256] სამწუხარო შედეგი ისაა, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება სრულად არ ასახავს გენოციდის შესახებ კონვენციის დებულებებს, რომლის III(ხ) მუხლი „შეთქმულებას" განსაზღვრავს როგორც გენოციდის ფაქტიურად განხორციელებას. გენოციდის შესახებ კონვენციის კანონპროექტის შედგენის ისტორია გვიჩვენებს საერთო სამართალში ჩამოყალიბებული შეთქმულების ცნების შემოტანის განზრახვას, რაც რეალურად დაუმთავრებელი დანაშაულია.[257]"

ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების მე-4(3) მუხლი გვთავაზობს გენოციდისთვის პასუხისმგებლობის ორ საფუძველს, რომლებიც მსგავსია, თუმცა განსხვავდება, მაგრამ გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციისთვის ერთი და იგივე არაა შეთქმულება და თანამონაწილეობა. შეთქმულებას ადგილი აქვს მაშინ, როდესაც ორი ან მეტი პირი შეთანხმდება საერთო გეგმის შესაბამისად განახორციელონ გენოციდი.[258]

[256] GA Res. 52/164, Annex, See also Saland, 'International Criminal Law Principles', pp. 199-200. ციტირებულია: William Shabas, დასახ. ნაშრომი, გვ. 214.

[257] Shabas, *Genocide in Intrenational Law*, pp. 260-1. ციტირებულია: William A. Shabas, დასახ. ნაშრომი, გვ. 214-215.

[258] Judgment, *Musema* (ICTR-96-13-A), Trial Chember, 27 January 2000, paras 189-191. Conspiracy is approached differently in common and civel-law systems. In the former case, it is directly punishable as a form of crimi-

შეთქმულების mens rea მიხედვით, უნდა არსებობდეს იმ დანაშაულის განსახორციელებლად ფაქტებისა და გარემოებების შესახებ ცოდნა, რომელიც ჯგუფის მიერაა ჩაფიქრებული და იგი უნდა განხორციელდეს შეთანხმებისამებრ, ამ შემთხვევაში გენოციდი.[259] ამგვარი სახით, შეთანხმება შეესაბამება პირველი კატეგორის ოდგ-ს.[260]

გენოციდში თანამონაწილეობა შეიძლება დააფუძნოს გენოციდში მონაწილების რამდენიმე ფორმამ, მათ შორის საშუალების მიწოდებამ, მაგალითად, იარაღის გამონახვა, შეგნებულად დახმარება ან წაქეზება დანაშაულის ჩადენაში.[261] means rea მოითხვს თანამონაწილის მხრიდან გენოციდში თანამონაწილეობის ცოდნას; განზრახვისთვის დამახასიათებელია ის, რომ თანამონაწილე შეგნებულად ეხმარება ან აქეზებს ორ ან მეტ პირს გენოციდის ჩადენაში. ამრიგად, სავალდებულო არაა თანამონაწილეს ჰქონდეს ჯგუფის მთლიანი ან ნაწილორივი მოსპობის მიზანი.[262]

„ბრალდებული დაცული ჯგუფის ნაწილობრივი ან სრული განადგურების მიზანს იზიარებს, გაცნობიერებული აქვს, რომ მისი მოქმედება ან უმოქმედობა ხელ უწყობს ანდა ხელს შეუწყობს ამგვარ განადგურებას, პასუხისმგებლობა დაეკისრება გენოციდში თანამონაწილეობისთვის და არა თვით

---

nal participation. In the latter, a person cannot generally be convicted for mere criminal intent or the commission of 'preparatory acts'. W. Schabas, *Genocide in International law* (Cambridge: Cambridge University Press, 2000), 259. ციტირებულია: იხ. Steven Paulus, Joint Criminal Enterprice Criminal Liability by Prosecutorial Ingenuity Judicial Creativity? Journal of International Criminal Justice 2 (2004), 606-619, Oxford University Press, 2004, p. 8.

[259] A. Cassese, *International Criminla Law* (Oxford: Oxford University Press, 2003), 196, 2003), 196. The *mens rea* for conspirancy is the same as for genocide itself. *Ibd.*, para. 192. ციტირებულია: Steven Paulus, იქვე, გვ. 8.

[260] იხ. Steven Paulus, დასახ. ნაშრომი, გვ. 8.

[261] Judgment, *Akayesu* (ICTR-96-4-T), Trial Chamber, 2 September 1998, para 537. ციტირებულია: იხ. იქვე, გვ. 9.

[262] *Ibid*, paras 538-545. ციტირებულია, იხ. იქვე, გვ. 9.

გენოციდისთვის.[263] ამის გამო, თუ ბრალდებულმა არ იცოდა ამსრულებლის განზრახვა გენოციდის შესახებ, არ შეიძლება მის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოება, თუმცა მის მიმართ შეიძლება სისხლისსამართლებრივი დევნის წარმოება, მაგალითად, მკვლელობისთვის."[264]

„ტადიჩის საქმეზე გამოტანილი გადაწყვეტილება, თითქოს გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია პასუხისმგებლობის ფორმა იყო, რომელიც პირველად ჩვეულებით სამართალში დამკვიდრდა, სადავო გახდა დაცვის მიერ „წარდგენილი შუამდგომლობით ოჯანიჩის (Ojdanić) მიმართ განსჯადობის თაობაზე."[265] ოჯანიჩი, სხვათა შორის, ასაბუთებდა, რომ გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციისთვის პასუხისმგებლობა სრულიად არ მომდინარეობს ტრიბუნალთა განსჯადობიდან და იგი არღვევს nullum crimen sine lege პრინციპს."[266]

„შეთქმულება ჯგუფური დანაშაულია, რომელიც გულისხმობს ორ ან მეტ პირს შორის შეთანხმებას დანაშაულის ჩასადენად. იგი დასჯადია მაშინაც, როდესაც დანაშაული არ განხორციელებულა. ამასთან, თუ დანაშაული განხორციელდა, დანაშავენი პასუხს აგებენ როგორც შეთქმულების, ისე მათ მიერ რეალურად ჩადენილი დანაშაულისთვის. შეთქმულების ობიექტური შემადგენლობა მოითხოვს ყოველი თანამონაწილისთვის ორი პირობის არსებობას: 1) დანაშაულის ჯგუფურად განხორციელების განზრახვის ფაქტების ანუ პირობების ცოდნა; 2) შეთქმულების განხორციელების განზრახვა და ამ განზრახვით რეალურად დანაშაულის ჩადე-

[263] *Jelisic*, para. 86 citing *Akayesu*, paras. 544-7. Also *Musema*, paras. 180-3. ციტირებულია: Kriangsak Kittichaisaree, დასახ. ნაშრომი, გვ. 246.

[264] *Musema*, para. 182. ციტირებულია: იქვე, გვ. 246-247.

[265] Dicision on Dragoljub Ojdanić's Motion Challenging Jurisdiction – *joint Criminal Enterprise, Ojdanić* (IT-99-37-AR72), Appeals Chamber, 21 May 2003. ციტირებულია: Steven Paulus, დასახ. ნაშრომი, გვ. 9.

[266] იქვე, გვ. p. 9.

ნა. ნათელია, რომ ამ დანაშაულის აკრძალვის საფუძვლის ახსნას უკან დანაშაულის თავიდან აცილებაა, განსაკუთრებით, როდესაც მათში გაერთიანებულია რამდენიმე პიროვნება და ისინი საკმაოდ საშიშია საზოგადოებისთვის."[267]

„შეთქმულების შესახებ ერთადერთი სამართლებრივი ნორმები შეიძლება მოვიძიოთ ლონდონის 1945 წლის შეთანხმებაში. მე-6 მუხლი აწესებს სასჯელს „იმ პირთათვის, ვინც მშვიდობის წინააღმდეგ მიმართული რომელიმე დანაშაულის განსახორციელებლად მონაწილეობს საერთო გეგმაში ან შეთქმულებაში და ამავდროულად ხელმძღვანელობს, ორგანიზებას უწევს, აქეზებს ან ხელს უწყობს იმ საერთო გეგმის ან შეთქმულების ჩამოყალიბებას ან აღსრულებაში მონაწილეობას, რომელიც მიმართულია ზემოაღნიშნულ დანაშაულთა [დანაშაული მშვიდობის წინააღმდეგ, ომის დანაშაულები და ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულები] განსახორციელებლად, ასევე პასუხისმგებლობა დაწესებულია ყველა პირთა იმ ქმედებებისთვის, რომლებიც აღნიშნული გეგმის განხორციელებას ემსახურება."[268]

სხვა საერთაშორისო დადგენილება ამ საკითხის შესახებ ესაა 1948 წლის გენოციდის შესახებ კონვენციის მე-3(ხ) მუხლი, რომელიც ასევე აწესებს დასჯადობას გენოციდის ჩასადენად შეთქმულებისთვის.[269]

„ნიურნბერგისა და ტოკიოს საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალებმა დადგინეს, რომ ისინი, ვინც მონაწილეობდნენ „საერთო გეგმის ან შეთქმულებაში ზემოაღნიშნული დანაშაულების განსახორციელებლად, პასუხისმგებლობა დაეკისრებათ ყოველი მოქმედებისთვის, რომლებიც ჩადენილია რომელიმე პირის მიერ ამგვარი გეგმის განსახორციელე-

[267] Antonio Cassese, დასახ. ნაშრომი, გვ. 196-197.
[268] იქვე, გვ. 197.
[269] იქვე, გვ. 197.

ბლად."[270] აღნიშული გარემოებების შემცველი პასუხისმგებლობის ეს ფორმა, რომლებიც ორივე ტრიბუნალის დადგენილებით გამოყენებულია მხოლოდ მშვიდობის წინაღმდეგ მიმართული დანაშაულების მიმართ,[271] რომლებიც ხშირად შეთქმულების სახელითაა ცნობილი.[272] ამ მიმართებით „შეთქმულების" გამოყენება დამაბნეველია, ვინაიდან გაურკვეველია შესაბამისი საფუძვლები ამ სახის პასუხისმგებლობასა და შეთქმულების ცალკეულ დანაშაულებს შორის, რომელიც წარმოადგენს შეთანხმებას დანაშაულის ჩადენის შესახებ და არაა სავალდებულო, რომ რომელიმე შემდგომი მოქმედება შეთანხმებას შეესაბამებოდეს.[273] საერთაშორისო სისხლის სამართალში აღნიშნული დაუმთავრებელი დანაშაული გენოციდის სახითაა წარმოდგენილი.[274] ნიურნბერგისა და ტოკიოს სამხედრო ტრიბუნალებს, რომლებიც იყენებდნენ ტერმინს შეთქმულება, საქმე ჰქონდათ ისეთ სიტუაციებთან, სადაც გეგმა რეალურად განხორციელებულია. ნიურნბერგის საერთაშორისო სამხედრო ტრიბუნალი პრინციპს საკმაოდ ვიწროდ განმარტავდა, ხოლო ტოკიოს საერთაშორისო სამხ-

[270] Nuremberg IMT Statute, Art. 6, Tokyo IMT Statute, Art. 5(c). ციტირებულია: Robert Cryer, Håkan Friman, Darryl Robinson, Elizabeth Wolmshurst, An Introduction to International Criminal law and Procedure, 2009, p. 304.

[271] 'Nuremberg IMT: Judgment and Sentence' (1947) 41 *AJIL* 172, 221-2: Tokyo IMT Judgment, 48-, 449, Judges Bernard and Jaranilla dissented on this: Dissented on this: Deissenting Opinion of the Member from France, at 5-7; Concurring Opinion of the Member from the Philippines, 1-7. ციტირებულია: იქვე, გვ. 304.

[272] მათ შორის ტრიბუნალებიც. ციტირებულია: Robert Cryer, Håkan Friman, Darryl Robinson, Elizabeth Wolmshurst, დასახ. ნაშრომი, გვ.304.

[273] *Multinović et al.* ICTY A. Ch. 21.5. 2003 (hereinafter *Odjanić*) para. 23. ციტირებულია: იქვე, გვ. 305.

[274] 1948 Genocide Convention, Art. 3(d). See William Schabas, *Genocide in International Law* (Cambridge, 2000) 259-66. ციტირებულია: იქვე, გვ. 305.

ედრო ტრიბუნალი საკმაოდ ფართო განმარტებას იყენებდა, რის გამოც კრიტიკა დაიმსახურა."[275]

§ 4. სამი კატეგორიის გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია (Joint Criminal Enterprise) ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიხედვით

გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის გამართლება საკმაოდ სადავო გახდა ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს გადაწყვეტილებების შემდეგ.

გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის სამი კატეგორია გამოიყოფა, რომელთაგან ყველაზე სადავო მესამე კატეგორიაა.

„ტადიჩის საქმეზე სასამართლომ ასევე აღწერა გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის სამი ფორმა, რომელიც სეირა ლეონის სპეციალური სასამართლოს შეაირაღებული ძალების რევოლუციური საბჭოს შესახებ გადაწყვეტილებითაა ცნობილი: ძირითადი, სისტემატური და გაფართოებული. ძირითად ფორმაში იგულისხმება, რომ ერთობლივი დანაშაულებრივი ორგანიზაციის ყველა წევრს, ბრალდებულის ჩათვლით, განზრახული აქვთ ჩაიდინონ მათი განზრახვით მოცული დანაშაულები და გეგმის მიხედვით ყველა პასუხისმგებელნი არიან ამ დანაშაულთა მომზადებისა და განხორციელებისთვის. სისტემატურობის ფორმა მიუთითებს ე.წ. „საკონცენტრაციო ბანაკის" შემთხვევაზე. ამ ფორმაში იგულისხმება, რომ ბრალდებული შესაძლებელია ცნობილი იქნეს დამნაშავედ იმ ორგანიზაციაში მონაწილეობისთვის, სადაც

[275] Ian Brownlie, *International law and the Use of Force by States* (Oxford, 1962) 203: John Piccigallo, *The japanese on Trial* (Austin, TX, 1979) 21. ციტირებულია: იქვე, გვ. 305.

ილახება ადამიანის უფლებები და მან იცის ამის შესახებ, აგრეთვე ნებით იღებს მონაწილეობას ამ გაერთიანებაში და ფარულად თუ აშკარად გამოხატავს ამგვარი დარღვევების გაგრძელების განზრახვას. საკონცენტრაციო ბანაკის ხელმძღვანელს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მაშინაც დაეკისრება, როდესაც იგი უშუალო მონაწილეობას არ იღებს საკონცენტრაციო ბანაკში განხორციელებულ წამებაში, მაგრამ იცის ამის შესახებ და განაგრძობს აქ მუშაობას. დასასრულ, გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის გაფართოებული ფორმა ნიშნავს იმას, რომ ბრალდებული პასუხისმგებელია მისი წევრების მიერ ჩადენილი იმ დანაშაულებისთვის, რომლებიც მისი განზრახვით მოცული არ იყო, მაგრამ საერთო დანაშაულებრივი გეგმის მიხედვით, ამგვარი შედეგები მოსალოდნელი იყო, რაშიც იგი ნებით იღებდა მონაწილეობას."[276]

ტადიჩის საქმის განმხილველი ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს პროცესი პირველი იყო, სადაც ბრალდება წარდგენილი იყო „გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის" პასუხისმგებლობისთვის, რაც ბოსნიის სოფელ ჯაშკიჩში (Jaskichi) მცხოვრები ხუთი კაცის მოკვლას უკავშირდებოდა. არავითარი პირდაპირი მტკიცებულება არ იყო ხუთი კაცის უშუალოდ მოკვლის შესახებ. სასამართლოს არ განუხილავს „ერთობლივი მიზანი", როგორც საერთაშორისო სისხლის სამართლში დამოუკიდებელი პასუხისმგებლობის ფორმა. სასამართლო პალატამ ხუთი კაცის მკვლელობაში გამამართლებელი გადაწყვეტილება გამოიტანა, თუმცა სააპელაციო წესით გასაჩივრების შემდეგ, სააპელაციო პალატამ 1999 წლის 15 ივლისს საერთოდ შეცვალა ეს გადაწყვეტილება. ამ გადაწყვეტილებამ საფუძველი დაუდო „გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის" სასამართლო სტანდარტს, რომელსაც შემდეგში ემყარებოდა ყოფილი იუგოსლავიის

[276] Mohamed Suma, დასახ. ნაშრომი. გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის შესახებ ასევე იხილეთ: A.O'Roorke, დასახ. ნაშრომი, გვ. 312-313.

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სხვა შეფასებები. აქვე სასამართლო შეეხო შემდეგ მნიშვნელოვან პრობლემებს: 1) შეიძლება თუ არა ერთი პირის მოქმედებამ დააფუძნოს იმ ორი პირის სისხლისსამართლებრივი ბრალეულობა, რომლებიც მონაწილეობენ დანაშაულებრივი გეგმის განხორციელებაში და 2) mens rea-ს რა ხარისხია საჭირო ამ შემთხვევაში.[277]

„ტადიჩის საქმეზე სააპელაციო სასამართლომ დაადგინა, რომ გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის ცნება ჩვეულებითი სამართლის მიერაა შექმნილი და ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდებითაც შეიძლება მისი გამოყენება.“[278]

„პირველი კატეგორიის გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის და მესამე კატეგორიის გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის დახმარებას და წაქეზებას შორის განსხვავება მათ შესაძლებლობებში იკვეთება. მესამე კატეგორის გაერთიანებულ დანაშაულებრივ ორგანიზაციაში დახმარებისა და წაქეზებისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება შეუძლებელია. მესამე კატეგორიის გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის შემთხვევაში, ბრალდებულებს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროთ, თუ მათ დანაშაულის განხორციელებაში მონაწილეობა ჰქონდათ განზრახული. ასეთი დანაშაული, შეიძლება იყოს, მაგალითად, წამება. მისი ბრალეულობა მკვლელობაში, მაშინ იკვეთება, თუ წინასწარგანჭვრეტადი იყო მსხვერპლის გარდაცვალების რისკი, მაგრამ, რისკის მიუხედავად, ბრალდებული მაინც გაერთიანებულ დანაშაულებრივ ორგანიზაციაში მონაწილეობდა, რათა მკვლელობა განხორციელებულიყო. ამასთან, წამებაში გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის დამხ-

[277] იხ. Attila Bogdan, დასახ. ნაშრომი, გვ. 80.

[278] Judgment, *Tadić* (IT-94-1), Appeals Chember, 15 July 1999, para. 220. ციტირებულია: Steven Paulus, დასახ. ნაშრომი, გვ. 2.

მარეს და წამქეზებელს მკვლელობისთვის ბრალი არ დაეკისრებათ, მაშინაც კი, თუ წამების მსხვერპლის გარდაცვალება წინასწარგანჭვრეტადი იყო, ვინაიდან ასეთ სპეციფიკურ დანაშაულში დახმარება და წაქეზება, სიკვდილს იწვევს."[279]

„ტადიჩის სასამართლომ გაერთიანებული დანაშაულებრივი გაერთიანების კონსტრუირებისთვის საკმაოდ სპეციფიკური არგუმენტები გამოიყენა. მისი აზრით, გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია მოიცავს სამ კარგად გამოხატულ სცენარს, რომელთაგან თითოეული ნებისმიერმა შეიძლება, ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდებით, დააფუძნოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. პირველი სცენარი, მოიცავს შეთანხმებას, რომლის წევრებსაც განზრახული აქვთ დანაშაულთა განხორციელება, იმის მიუხედავად, რომ შეთანხმების ერთმა წევრმა განახორციელა დანაშაული. მეორე, გულისხმობს საკონცენტრაციო ბანაკებს, სადაც ყველა წევრმა იცის ბანაკში ცუდი მოპყრობის სისტემის შესახებ და სამომავლოთაც განზრახული აქვთ ცუდი მოპყრობის შესახებ. უფრო მეტიც, შეთანხმების წევრები მაშინაც აგებენ პასუხს, როდესაც მათ არ აქვთ ცოდნა აღნიშნული დანაშაულებების ან სხვა ქმედებების შესახებ. მესამე სცენარის მიხედვით, შეთანხმების წევრი აქტიურად მოქმედებს გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის მიზნების განხორციელებაში და პასუხისმგებლობა ეკისრება სხვა წევრების მიერ ჩადენილი წინასწარგანჭვრეტადი დანაშაულებისთვის, მაშინაც კი თუ ამგვარი დანაშაულები შეთანხმების ნაწილი არ იყო. მესამე სცენარის თანახმად, სასამართლოს აზრით, დამნაშავე პასუხისმგებელია, ვიდრე მას გონივრულად შეეძლო ეწინასწარმეტყველა, რომ საერთო გეგმის წევრებს შეეძლოთ დანაშაულებრივ ქმედებებში მონაწილეობა მიეღოთ."[280]

[279] Judgment, *Furundzija* (IT-95-17/1), Trial Chember, 10 December 1998, para. 249. ციტირებულია: Steven Paulus, დასახ. ნაშრომი, გვ. 7-8.

[280] Jens David Ohlin, Three Conceptual Problems with the Doctrine of Joint Criminal Enterprise, Journal of International Criminal Justice 5 (2007), 69-90, Oxford University Press, 2006, p. 75.

გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის მოცემული ვარიანტები აღებულია საერთაშორისო საქმეებიდან, რომელთაგან ზოგიერთს საეჭვო ღირებულება გააჩნია.[281]

---

[281] „მაგალითად, ტადიჩის საქმეზე სასამართლო დაეყრდნო კურტ გოებელისა (*Kurt Goebell*) და სხვა საქმეებზე (კუნძულ ბორკუმის შემთხვევა) აშშ სამხედრო სასამართლოს გადაწყვეტილებას. იხ. ტადიჩი, § 210-212. ამ საქმის მიხედვით, აშშ ავიაგამანადგურებელი გერმანიის ტერიტორიაზე ჩამოაგდეს და თვითმფრინავის ჯგუფის წევრები სასიკვდილო გზას გაუყენეს. ტყვეებს გერმანელი ჯარისკაცები, აცილებდნენ რომლებიც მოქალაქეებს მოუწოდებდნენ ცემით ამოეხადათ მათთვის სული. ბოლოს და ბოლოს ტყვეები დახვრიტეს. ამერიკელი პროკურორი გამამტყუნებელი განაჩენის გასამყარებლად ეყრდნობოდა საერთო დანაშაულებრივი მიზნის ყოვლისმომცველ თეორიას. იმის მიუხედავად, რომ საქმეში წარმოდგენილი ფაქტები უშუალო შემხებლობაშია გაერთიანებულ დანაშაულებრივ ორგანიზაციასთან, სამხედრო სასამართლომ საკმაოდ მარტივად დაადგინა გამამტყუნებელი განაჩენი და არ გაუკეთებია ფართო იურიდიული დასკვნები საერთო დანაშაულებრივი გეგმის ან ბრბოს მიერ განხორციელებული ცემის შესახებ. შესაბამისად, *ტადიჩის* საქმეზე სასამართლომ მიიღო მხედველობაში აშშ პროკურორის მიერ ციტირებული სიტყვები და დაასკვნა, რომ პროკურორის მოსაზრება გაზიარებულია. ამგვარი ტიპის საქმეებს არანაირი ღირებულება არ გააჩნია, სწორედ ამ მოსაზრების გამო. მართლაც, პროკურორის მსჯელობა ამ საკითხის გარშემო შინაგანად წინააღმდეგობების შემცველია. ერთხელ იგი ამტკიცებდა, რომ „საკმაოდ მნიშვნელოვანია გამოაშკარავდეს ყოველი ბრალდებულის ბრალი მათი ზუსტი როლების მიხედვით. მათ მსგავსი მოქმედებებით არ მიუღიათ მონაწილეობა. ბრბოს წევრები იშვიათად ახორციელებენ ერთმანეთის მსგავს მოქმედებებს.“ ეს საკმაოდ ფაქიზი საკითხია, რომელსაც მოგვიანებით სტატიის სხვა ნაწილში შევეხები. თუმცა, პროკურორის შემდეგი გამონათქვამი ამსხვრევს ამ იდეას ყოველგვარი განმარტების გარეშე და ეწინააღმდეგება მის მიერ შემოთავაზებულ მოსაზრებას: „იურისპრუდენციის ყველა დიდი სპეციალისტი თანხმდება იმაზე, რომ სადაც ბრბოს ერთიანი გან-

სასამართლოების მიერ შემთხვევათა ამომწურავი ჩამონათვალი გვათქმევინებს, რომ ტრიბუნალები, როგორც საერთაშორისო და ეროვნული, იყენებდნენ შეთანხმების გაფართოებულ ცნებას ომის დანაშაულთა ჩამდენთა მიმართ.[282] მაგალითად, ტადიჩის საქმეში ციტირებულია, რომ ქალაქ ესენში სამხედროები, რომლებიც აცილებდნენ ტყვეებს, დამნაშავედ ცნეს ბრბოს მიერ ლინჩის წესით გასამართლებაში. ამასთან, ბრბოს წევრებსაც ბრალად დაედოთ მკვლელობა, რადგან ისი-

---

ზრახვა არსებობს და ბრბო ამ განზრახვას ახორციელებს, იქ არანაირი განსხვავება არ არსებობს მომწოდებელსა და უშუალო განმახორციელებელს შორის. არანაირი განსხვავება არ არსებობს იმათ შორის, ვინც თავისი მოქმედებებით მსხვერპლი ბრბოს სიამოვნების მიღების საგნად აქცია ან ვინც მოუწოდა ბრბოს ან ვინც ფატალური დარტყმები განახორციელა". ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება მის ადრეულ განცხადებას ინდივიდუალური ბრალის შესახებ, რაც ბრბოს მიერ განხორციელებულ ძალადობასთანაა გარეგნულად გათანაბრებული. ბუნდოვანია როგორ ეთანხმება ამგვარი მსჯელობები ერთმანეთს." იხ. Jens David Ohlin, Three Conceptual Problems with the Doctrine of Joint Criminal Enterprise, Journal of International Criminal Justice 5 (2007), 69-90, Oxford University Press, 2006, p. 75 (ამასთან, მე-10 სქოლიო).

[282] მაგალითად, *პონზანოს* საქმეში აღნიშნულია, რომ იგი მონაწილეობდა ბრიტანელ ომის ტყვეთა მკვლელობაში, სადაც იგი გვევლინება „მოვლენათა მექანიზმის ჭანჭიკად, რომელსაც შედეგამდე მივყავართ," მონაწილეობა არაა სავალდებულო ისე ფართო იყოს, რომ მისი მონაწილეობის გარეშე ეს არ მოხდებოდა. მოსამართლემ გადაწყვეტილებაში, მიუთითა, რომ ერთობლივი დანაშაულებრივი გეგმის გამო პასუხისმგებლობის დაწესებისთვის საჭიროა ჯგუფის გეგმის ცოდნა. არაპირდაპირ ეს მიმანიშნებელია, რომ არაა სავალდებულო სამომავლო ერთობლივი დანაშაულებრივი გეგმის მიმართ განზრახვა. ამაზე მითითებულია *ტადიჩის* საქმეში, § 199. იხ. Jens David Ohlin, Three Conceptual Problems with the Doctrine of Joint Criminal Enterprise, Journal of International Criminal Justice 5 (2007), 69-90, Oxford University Press, 2006, p. 76. (ამასთან, სქოლიო მე-11).

ნი „დაინტერესებულნი იყვნენ მკვლელობაში."[283] აქვე მართებულადაა მითითებული, რომ ეს არგუმენტი აარა მყარი, რამდენადაც მეორე მსოფლიო ომის შემდეგ იტალიის და გერმანიის ტრიბუნალებს არ ჰქოდათ წერილობითი სისხლის სამართლის წესდება და მაშინ შესაძლებელი იყო შეთანხმების ფართო ინტერპრეტაცია, მაშინ როდესაც ტადიჩის საქმეზე არსებობდა ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების მე-7 (1) მუხლი.[284]

„თუ ჩვენ გადავხედავთ მეორე მსოფლიო ომის შემდგომ სასამართლო საქმეებს[285], ისეთი როგორიცაა ალმელოს (Almelo) საქმე[286] ქალაქ ესენში ლინჩის წესით გასამართლების სასამართლო პროცესი[287], ტადიჩის საქმის განმხილველმა სასამართლო პალატამ დაადგინა, რომ ეს საქმეები არის ზოგადმიღებული საფუძვლები ისეთი სამი ტიპის შემთხვევებისთვის, როგორიცაა „თანაამსრულებლობა, სადაც საერთო გეგმის ყოველ მონაწილეს გააჩნია დანაშაულის ჩადენის მსგავსი დანაშაულებრივი განზრახვა (რომელთაგან ერთი ან მეტი პირი ახორციელებს განზრახ დანაშაულს)... ე.წ. „საკონცენტრაციო ბანაკების" შემთხვევები და გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის „მესამე ტიპი, როდესაც ჯგუფის წევრების მიერ განხორციელებულია ისეთი

[283] *Trial of Erich Heyer and six others*, British Military Court For the Trial of War Criminals, Essen, 18-22 Dec 1945, UNWWC, vol. I. at 91, cited in *Tadić*, § 207. ციტირებულია: იხ. Jens David Ohlin, Three Conceptual Problems with the Doctrine of Joint Criminal Enterprise, Journal of International Criminal Justice 5 (2007), 69-90, Oxford University Press, 2006, p. 76.

[284] იხ. იქვე, გვ. 75-76.

[285] უნდა აღინიშნოს, რომ ყველა მათგანი ნათლად არ განსაზღვრავს პასუხისმგებლობის ფორმებს. ციტირებულია: Robert Cryer, Håkan Friman, Darryl Robinson, Elizabeth Wolmshurst, დასახ. ნაშრომი, გვ. 305 (იქვე, სქოლიო 36).

[286] *Otto* Sandrock I LRTWC 35. ციტირებულია: იქვე, გვ. 305.

[287] *Erich Heyer* I LRTWC 88. ციტირებულია: იქვე, გვ. 305.

დანაშაულები, რომლებიც არ შედის მათ საერთო მიზანში, მაგრამ შემთხვევები წინასწარგანჭვრეტადია.[288] სასამართლომ დაადგინა, რომ სამივე ტიპისთვის საერთო სახის დანაშაულის ობიექტური შემადგენლობაა დამახასიათებელი. სახელდობრ:

1. პირთა სიმრავლე;
2. საერთო გეგმის, განზრახვის თუ მიზნის არსებობა, რომელიც გათვლილია ანუ მოიცავს წესდებით გათვალისწინებულ დანაშაულთა ჩადენას;
3. საერთო განზრახვის განხორციელებაში მონაწილეობა, რომელიც გულისხმობს წესდებით გათვალისწინებული რომელიმე დანაშულის ჩადენას."[289]

„ტადიჩის საქმეზე სააპელაციო პალატამ დააზუსტა ეს კრიტერიუმები. მაგალითად, „სიმრავლისთვის არაა აუცილებელი სამხედრო, პოლიტიკური ან ადმინისტრაციულ სტრუქტურაში ორგანიზებულობა...[290] არაა აუცილებელი ამგვარი საერთო გეგმა, განზრახვა ან მიზანი წინასწარი იყოს მოწესრიგებული და ჩამოყალიბებული. საერთო განზრახვა ან მიზანი შეიძლება განხორციელდეს წინასწარი მომზადების გარეშეც, რომლის მოაზრებაც შეიძლება იმ ფაქტიდან, რომ რამდენიმე პირი მოქმედებს შეთანხმებულად გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის შედეგის მისაღწევად."[291] საერთო განზრახვაში მონაწილეობისთვის „არაა აუცილებელი ამ პირობების შესაბამისი კონკრეტული დანაშაულის ჩადენა... მაგრამ შეიძლება გამოიხატოს საერთო გეგმის ან მიზნის განხორციელებაში დახმარებით ანუ ხელშეწყობით."[292] უფრო გვიანდელმა საქმეებმაც ხელი შეუწყო დანაშაულის ობიექტური

---

[288] *Tadić* 1999 Appeal para. 220. See also *Gacumbitsi* Appeal, Separate Opinion of Judge Shahabuddeen, para. 40. ციტირებულია: Robert Cryer, Håkan Friman, Darryl Robinson, Elizabeth Wolmshurst, დასახ. ნაშრომი, გვ. 306.

[289] *Tadić* 1999 Appeal para. 227. ციტირებულია: იქვე, გვ. 305-306.

[290] *Tadić* 1999 Appeal para. 227. ციტირებულია: Robert Cryer, Håkan Friman, Darryl Robinson, Elizabeth Wolmshurst, დასახ. ნაშრომი, გვ. 306.

[291] *Tadić* 1999 Appeal para. 227. ციტირებულია: იქვე, გვ. 306.

[292] *Tadić* 1999 Appeal para. 227. ციტირებულია: იქვე, გვ. 306.

შემადგენლობის გაგებას. ნათელია, რომ, მაგალითად, ჯგუფის წევრობა არსებითად საკმარისი არაა ამ საფუძველზე დაყრდნობით პასუხისმგებლობის დასაკისრებლად. სახეზე უნდა იყოს ბრალდებულთა მიერ რაიმე ფორმით მოქმედება, რომელიც ხელს უწყობს საერთო გეგმის განხორციელებას.[293] უშუალო ან შუალობითი მონაწილეობა თანაბრად საკმარისია.[294] სავალდებულო არაა ბრალდებულის მიერ შეტანილი წვლილი არსებითი იყოს.[295] ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკა არათანიმდევრულია იმის თაობაზე, რომ უნდა იყოს თუ არა შესაბამისი დანაშაულის ფაქტობრივად განმახორციელებელი გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრი, იმისთვის, რომ ამ პრინციპზე დაყრდნობით ამ ორგანიზაციაში მონაწილეობისთვის დავდოთ ბრალი."[296]

„თუ საერთო გეგმა ან მიზანი ძირეულად იცვლება, მაშინ ეს ახალი გეგმა ან მიზანია და არა უბრალოდ ძველი გეგმის ან

---

[293] *Odjanić* para. 26. *Brdjanin and Talić* ICTY T.Ch. 1.9.2004 (hereinafter *Brdjanin*) para. 263. ციტირებულია: Robert Cryer, Håkan Friman, Darryl Robinson, Elizabeth Wolmshurst, დასახ. ნაშრომი, გვ. 306.

[294] *Odjanić* para. 26. *Brdjanin and Talić* ICTY T.Ch. 1.9.2004 (hereinafter *Brdjanin*) para. 263. ციტირებულია: იქვე, გვ. 306.

[295] *Kvočka* Appeal para. 97. ციტირებულია: იქვე, გვ. 306.

[296] See *Krštić* ICTY T. Ch. I 2.8.2001 para. 612; *contra Brdjanin* para. 344; Limaj ICTY T. Ch. II 30.11.2005 n. 2264; and Rwamakuba ICTR A. Ch. 22.10.2004 para. 24. See also *Odjanić* paras. 18-24, მოსამართლე ბონომის (Bonomy) განსხვავებული აზრის მიხედვით, ნათელია, რომ ამგვარ სიტუაციებშიც შეიძლება პასუხისმგებლობის დაკისრება. მე-13 აბზაცში იგი მიუთითებს, რომ „მართლაც, არ არსებობს სააპელაციო სასამართლოს სავალდებულო გადაწყვეტილება, რომელიც დააბრკოლებდა სასამართლო პალატას ამის საფუძველზე ბრალდებულისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებას. ციტირებულია: იქვე, გვ. 306. (იქვე, სქოლიო 48).

მიზნის გაგრძელება ან შეცვლა[297] და პირი პასუხისმგებელია მხოლოდ იმ დანაშაულებისთვის, რომლებიც შეთანხმებული გეგმით ან მიზნით იყო გათვალისწინებული.[298] გარკვეული ეჭვი შეიძლება გამოითქვას ბლაგოჯევიჩის და ჯოკიჩის საქმეზე არსებული მტკიცების შესახებ, თითქოს „თავდაპირველი მიზნის ნებისმიერი „გაფართოება" შეიძლება შეთანხმებული იყოს თუ პირს ეკისრება სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა პირველი კატეგორიის გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციისთვის, ან „გაფართოება" იყოს თავდაპირველი ორგანიზაციის ბუნებრივი და წინასწარგანჭვრეტადი შედეგი."[299] უკანასკნელ შემთხვევაში ასეა იმიტომ, რომ არსებობს რისკი, რის გამოც, პირს შეიძლება დაეკისროს იმ დანაშაულისთვის პასუხისმგებლობა, რომელიც ახალი ორგანიზაციის წინასწარგანჭვრეტადი, მაგრამ არა შეთანხმებული, შედეგია."[300]

„ნათელია, რომ პირველი კატეგორიის გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია ახლოს დგას თანაამსრულებლობის ცნებასთან: სხვადასხვა მონაწილეები იზიარებენ განსახორციელებელი დანაშაულის ჩადენის განზრახვას. ამგვარი რამ შესაძლებელია მეორე კატეგორიაშიც, სადაც სასტიკი მოპყრობის სისტემის შესახებ ცოდნა საკმარისია და არაა საჭირო კონკრეტული დანაშაულის ჩადენის განზრახვა (თუ ცოდნა და განზრახვა სრულიად განსხვავებლი

[297] *Blagojević and Jokić* ICTY T. Ch. 17.1.2005 para. 700. ციტირებულია: Robert Cryer, Håkan Friman, Darryl Robinson, Elizabeth Wolmshurst, დასახ. ნაშრომი, გვ. , გვ. 306.

[298] *Ibid.*, para. 701, although if the later plan or purpose is broader, he or she may still be liable for those crimes that fall within the narrower aspect agreed to, *ibid.*, n. 2157. ციტირებულია: იქვე, გვ. 306.

[299] *Ibid.*, n. 2156. ციტირებულია: იქვე, გვ. 307.

[300] იქვე, ნაშრომი, გვ. 306-307.

ცნებებია).[301] პასუხისმგებლობის ყველაზე ფართო ფორმა მოცემულია დანაშაულებრივი გაერთიანების „მესამე ტიპის" პასუხისმგებლობისას, სადაც დანაშაულის წინასწარგანჭვრეტადობა, როგორც ამბობენ, არის ტესტი."[302]

„შეიძლება მივიჩნიოთ, რომ „მესამე ტიპის" გაერთიანებულ დანაშაულებრივ ორგანიზაციასთან მიმართებით ტერმინ „წინასწარგანჭვრეტადის" და არა „წინასწარგანჭვრეტილის" გამოყენებისთვის სააპელაციო პალატამ დაადგინა დაუდევრობის (negligence) სტანდარტი. მცდარი იქნება, თუ ტესტის მეორე ასპექტი — როდესაც ბრალდებულმა „სიამოვნებით გასწია რისკი" — აშკარად გვიჩვენებს, რომ ტესტის მიხედვით, უნდა განისაზღვროს იყო თუ არა პირი წინდაუხედავი (ან რომანულ-გერმანული სამართლის სისტემის ტერმინით რომ ვთქვათ, ჰქონდა თუ არა მას ევენტუალური განზრახვა) ამგვარი დანაშაულის მიმართ.[303] ასევე მნიშვნელოვანია აღინიშნოს, რომ ნებისმიერი დასკვნის გაკეთებისას ყურადღება უნდა მიექცეს, თუ რა დეტალები იცოდა ბრალდებულმა: „ის რაც ბუნებრივი და წინასწარგანჭვრეტადია სისტემური გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის ერთი წევრისთვის, მეორისთვის არ იყოს ბუნებრივი და წინასწარგანჭვრეტადი, რაც მისთვის ხელმისაწვდომ ინფორ-

---

[301] Although in both instances the Appeals Chamber has said the participants must share the physical perpetrator's *mens rea: Krnojelac* ICTY A. Ch. 17.9.2003 para. 83. ციტირებულია: Robert Cryer, Håkan Friman, Darryl Robinson, Elizabeth Wolmshurst, დასახ. ნაშრომი, გვ. , გვ. 307.

[302] ერთ-ერთი სასამართლო პალატა არადამაჯერებლად ამტკიცებდა ოდგ-ს მესამე ტიპისთვის თანამონაწილეებსა და დანაშაულის ამსრულებლებს შორის სპეციალური შეთანხმების არსებობის დამტკიცებას: *Brdjanin* para. 347; for a critique, see Katrina Gustafson, 'The Requirement of an "Express Agreement" for Joint Criminal Enterprise Liability' (2007) 5 *JICJ*. The requirement was not mentioned in the *Kvočka* or *Stakič* Appeals. ციტირებულია: იქვე, გვ. 307 (იქვე, სქოლიო 55).

[303] *See Tadić* 1999 Appeal para. 220; Stakicr Appeal paras. 99–103. ციტირებულია: იქვე, გვ. 308.

მაციაზეა დამოკიდებული."[304] თუ ეს ნაჩვენებია, მაგრამ პირს შეიძლება მაშინაც კი დაეკისროს პასუხისმგებლობა ამგვარი დანაშაულისთვის, თუ დამტკიცდება, რომ მან იცოდა ამგვარი დანაშაულის განხორციელების შესახებ."[305]

„ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების მე-7 (1) მუხლი და რუანდის სასამართლოს წესდების მე-6 (1) მუხლი აღწერს „პირდაპირი პასუხისმგებლობის"[306] ხუთ ფორმას იდენტური ტერმინებით: „ის ვინც დაგეგმავს, მოუწოდებს, გასცემს ბრძანებას, განახორციელებს ან სხვაგვარად ხელს შეუწყობს ან წააქეზებს დანაშაულის დაგეგმვის, მომზადების ან განხორციელებისკენ... ინდივიდუალურად აგებს პასუხს დანაშაულის ჩადენისთვის."[307] ამ თვალსაზრისით, პასუხისმგებლობის ხუთი სახეა გამოყოფილი: ორი ამსრულებლის და სამი თანამონაწილის. პირი, როგორც ამსრულებელი, დამნაშავეა თუ იგი თვითონ ან სხვისი ხელშეწყობით „განახორციელებს" და-

---

[304] *Kvočka* Appeal para. 86. ციტირებულია:Robert Cryer, Håkan Friman, Darryl Robinson, Elizabeth Wolmshurst, დასახ. ნაშრომი, გვ. 308.

[305] *Milošević* ICTY T. Ch. III 16.6. 2004 para. 150. ციტირებულია: იქვე, გვ. 307-308.

[306] ტრიბუნალების სასამართლო პრაქტიკაში, პასუხისმგებლობის აღნიშნული ხუთი ფორმა მოიხსენიება, როგორც „პირდაპირი პასუხისმგებლობა," რათა ისინი გაიმიჯნოს მეთაურთა პასუხისმგებლობისგან (ანუ ხელმძღვანელთა პასუხისმგებლობისგან"). *See, e.g.*, Prosecutor v. Mucić, Judgement on Sentence Appeal, ICTY Appeals Chamber, at para. 34, Case No. IT-96-21-Abis (Apr. 8, 2003) (contrasting "direct" responsibility with "superior" responsibility); Prosecutor v. Delalić, Judgement, ICTY Trial Chamber, supra note 30, at para. 12 . ციტირებულია: A. M. Danner and J. S. Martinez, Guilty Associations: Joint Criminal Enterprise, Command Responsibility, and the Development of International Criminal Law, *CALIFORNIA LAW REVIEW*, Vol. 93:75, 2005, p.102.

[307] ICTR Statute, *supra* note 9, at art. 6(1); ICTY Statute, *supra* note 9, at art. 7(1). ციტირებულია: A. M. Danner and J. S. Martinez, დასახ. ნაშრომი, გვ. 102.

ნაშაულს ან „დაგეგმავს“ დანაშაულს. ნებისმიერი პირობის თანახმად, ბრალდებულს განზრახული უნდა ჰქონდეს დანაშაულის დაგეგმვა ან განხორციელება ან საკმარისად უნდა აცნობიერებდეს იმის ალბათობას, რომ მის ხელმძღვანელობას შედეგად მოჰყვებოდა დანაშაულებრივი მოქმედება ან უმოქმედობა.“[308]

„პირი შეიძლება პასუხისმგებელი იყოს მაშინაც, როდესაც დანაშაული სხვასთან ურთიერთქმედებით განხორციელდა: იგი მოუწოდებდა, უბრძანებდა ან ეხმარებოდა და აქეზებდა სხვას დანაშაულის ჩადენისკენ. პასუხისმგებლობის აღნიშნული ფორმები აქსცესორულია, რადგან ისინი დარწმუნებული არიან, რომ ბრალდებულის გარდა, სხვა ახორციელებს დანაშაულს, რის გამოც მას პასუხისმგებლობა ხელმძღვანელობისა (ის, ვინც ახორციელებს ფიზიკურად დანაშაულს) და თანამონაწილეობისთვის ეკისრება.“[309]

„ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მე-7 (3) მუხლი და ყოფილი რუანდის სასამართლოს წესდების მე-6 (3) მუხლი ითვალისწინებს თანამონაწილეთა სხვა ფორმებს. სახელდობრ, ის ვისაც გააჩნია ბრძანების გაცემის უფლებამოსილება, იქნება ეს სამოქალაქო თუ სამხედრო ხელმძღვანელი. აღნიშნულ პირებს პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროთ მათდამი დაქვემდებარებულების მიერ ჩადენილი დანაშაულისთვის, თუ ხელმძღვანელები ვერ შეძლებენ ამ დანაშაულთა თავიდან აცილებას ან ვერ დასჯიან ჩადენილი დანაშაულისთვის.“[310]

---

[308] Prosecutor v. Kvočka, Judgement, ICTY Trial Chamber, at para. 251, Case No. IT-98-30/1-T (Nov. 2, 2001) [hereinafter Kvočka Trial Judgement]. ციტირებულია: A. M. Danner and J. S. Martinez, დასახ. ნაშრომი, გვ. 102.

[309] See Prosecutor v. Kordić, Judgement, ICTY Trial Chamber, at para. 373, Case No. IT-95-14/2-T (Feb. 26, 2001) (noting “[t]he various forms of participation listed in Article 7(1) may be divided between principal perpetrators and accomplices”). ციტირებულია: იქვე, გვ. 102.

[310] იქვე, გვ. 102.

პასუხისმგებლობის ერთობლივი მიზნის განსაზღვრისთვის, ტადიჩის საქმის განმხილველი სააპელაციო პალატა მიუბრუნდა ჩვეულებით საერთაშორისო სამართალს, რომელიც ძირითადად მეორე მსოფლი ომის შემდეგ შექმნილი სამხედრო ტრიბუნალების შედეგად შეიქმნა. სააპელაციო პალატამ რამდენიმე მსგავსება დაადგინა იმ საქმეებს შორის, რომელიც განიხილა სამხედრო სასამართლოებმა, რომელთაც ბრალი დასდეს პირებს ერთობლივ გეგმაში თანამონაწილეობისთვის. სააპელაციო პალატამ ამგვარი სასამართლო პრაქტიკის განხილვის შემდეგ დაადგინა, რომ „საერთოდ, ერთობლივი მიზნის ცნება მოიცავს ერთობლივ პასუხისმგებლობის სამ კატეგორიას. პირველი კატეგორიის მიხედვით, დამნაშავეები მოქმედებენ საერთო განზრახვის შესაბამისად და მონაწილეობენ საერთო დანაშაულებრივი განზრახვის განხორციელებაში. „პირველი კატეგორიის" გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის მიხედვით, მკვლელობაში ბრალდებისთვის, ბლადებამ უნდა დაამტკიცოს, რომ ერთობლივ გეგმაში შემავალი მკვლელობის განხორციელებაში პირი ნებაყოფლობით მონაწილეობდა, თუნდაც მცირეოდენი წვლილის შეტანით, ერთობლივი გეგმის განხორციელებაში და ბრალდებულს განზრახული ჰქონდა ხელი შეეწყო მკვლელობისთვის, თუნდაც მას უშუალოდ არ ჩაედინოს მკვლელობა.[311]

„მეორე კატეგორიის გაერთიანებულ დანაშაულებრივ ორგანიზაცია ეხება „სასტიკი მოპყრობის სისტემებს,"[312] უპირველეს ყოვლისა, საკონცენტრაციო ბანაკებში. ამ კატეგორიისთვის, სავალდებულო არაა თანამონაწილეებს შორის ფორმალური ან არაფორმალური შეთანხმების დამტკიცება, მაგრამ წარმოჩენილი უნდა იყოს რეპრესიული სისტემის-

[311] Tadić V, supra note 111, at para. 196 . ციტირებულია: იხ.A. M. Danner and J. S. Martinez, დასახ. ნაშრომი, გვ. 105.

[312] Tadić V, supra note 111, at para. 202 . ციტირებულია: იქვე, გვ. 105.

ადმი მჭიდრო კავშირი.[313] აღნიშნულ პირის ბრალდებისთვის, აუცილებელია რეპრესიული სისტემის არსებობის დამტკიცება; რეპრესიული სისტემის განხორციელებაში ბრალდებულის აქტიური მონაწილეობის დამტკიცება; ბრალდებულის მიერ სისტემის ბუნების ცოდნა; რეპრესიული სისტემისთვის ხელშეწყობის განზრახვა ბრალდებულის მხრიდან.[314] პირველი ორი კატეგორიის მიხედვით, გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრებს შეიძლება დაეკისროთ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ერთობლივი დანაშაულებრივი გეგმის ფარგლებში ჩადენილი დანაშაულისთვის."[315]

„როგორც კი დამყარდა სერბების კონტროლი პრიედორის მუნიციპალიტეტში, სტაკიჩმა დაიწყო მონაწილეობა არასერბი მოსახლეობის მუნიციპალიტეტიდან გაადგილების კოორდინებულ კამპანიაში, რომელიც რადომან კარაძიჩის დიდი, სერბთა ჰომოგენური სახელწიფოს ჩამოყალიბების, გეგმის ნაწილი იყო. ამ გეგმის „კულმინაცია", ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო პალატის შეხედულების თანახმად, იყო არასერბი მოსახლეობის იძულება სამი დიდი ბანაკის შესაქმნელად — ომარსკა (Omasr-

[313] Prosecutor v. Krnojelac, Judgement, ICTY Appeals Chamber, at para. 96, Case No. IT-97-25-A (Sept. 17, 2003). ციტირებულია: A. M. Danner and J. S. Martinez, დასახ. ნაშრომი, გვ. 105.

[314] Prosecutor v. Krnojelac, Judgement, ICTY Appeals Chamber, at para. 203, Case No. IT-97-25-A (Sept. 17, 2003). ციტირებულია: A. M. Danner and J. S. Martinez, დასახ. ნაშრომი, გვ. 106.

[315] გენოციდის მცდელობის გამოკლებით, ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს და რუანდის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სტატუტების მიხედვით მცდელობა დანაშაულს არ წარმოადგენს. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება მცდელობას დანაშაულად მიიჩნევს. ICC Statute, *supra* note 9, at art. 25(3)(f). ციტირებულია: იქვე, გვ. 105-106 (იქვე, სქოლიო 120).

ska), კერატერმი (Keraterm) და ტრნოპოლჯე (Trnopolje).[316] სასამართლო პალატამ დაასკვნა, სამოქალაქო თანამდებობის მქონე პირები, რომელთაც დოქტორ სტაკიჩის მეთაურობდა, დიდი უფლებამოსილება გააჩნდათ საპატიმრო ბანაკების ასაშენებლად, სადაც დაახლოებით 3000 მუსულმანი და ხორვატი მოკლეს.[317] სხვები სისტემატური და არაერთგზისი სექსუალური ძალადობის სამიზნეები იყვნენ.[318] მართლაც, სამხედრო და სამოქალაქო თანამდებობის მქონე პირებს შორის კავშირი იმდენად მჭიდრო იყო, რომ სტაკიჩი დროგამოშვებით სამხედრო უნიფორმას და იარაღს ატარებდა."[319]

„მესამე კატეგორიის გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია, რომელიც საკმაოდ შორს მწვდომია, მოიცავს ერთობლივი გეგმით გაუთვალისწინებელ დანაშაულებს. ტადიჩის საქმეზე სააპელაციო სასამართლომ დაასკვნა, რომ იმ ბრალდებულს, ვისაც განზრახული ჰქონდა საერთო გეგმაში მონაწილეობა, შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა საერთო გეგმით გაუთვალისწინებელი ქმედებებისთვის, თუ იგი „ჩვეულებრივი და წინასწარგანჭვრეტადი შედეგის

[316] ICTY, Judgement, *Prosecutor v. Stakić*, Case No. IT-97-24-T, T. Ch., 31 July 2003, **ALC-XIV-xxx**, par. 378. ციტირებულია: J. D. Ohlin, The Co-Perpetrator Model of Joint Criminal Enterprise, Annotated Leading Cases of International Criminal Tribunals, Vol. 14, 2008, p. 740.

[317] ICTY, Judgement, *Prosecutor v. Stakić*, Case No. IT-97-24-T, T. Ch., 31 July 2003, **ALC-XIV-xxx**, par. 384. ციტირებულია: იქვე, გვ. 740.

[318] ICTY, Judgement, *Prosecutor v. Stakić*, Case No. IT-97-24-T, T. Ch., 31 July 2003, **ALC-XIV-xxx**, par. 3228. ციტირებულია: იქვე, გვ. 740.

[319] იქვე, გვ. 740.

გამომწვევია."[320] სააპელაციო პალატამ ნათელი არ მოჰფინა: — წინასწარგანჭვრეტადობის კომპონენტი სუბიექტურად უნდა შეფასდეს თუ ობიექტურად,[321] თუმცა, სუბიექტური წინასწარგანჭვრეტადობის დადგენის სირთულეს და მათ შორის განსხვავების დადგენის შესაძლებლობას, მცირე პრაქტიკული დანიშნულება გააჩნია."[322]

საინტერესოა, რომ ბრჟანინის საქმეზე სააპელაციო სასამართლომ მთლიანად შეცვალა პირველი ინსტანციის გადაწყვეტილება და აღნიშნა, რომ მესამე კატეგორიის გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია, როგორც პასუხისმგებლობის ფორმა, არ განსხვავდება პასუხისმგებლობის სხვა ფორმებისგან, რომლებიც არ მოითხოვენ ყოვლისმომცველ განზრახვის დადგენას დანაშაულის ჩადენის მიმართ. დახმარებისა და წამქეზებლობისთვის, ისევე როგორც მეთაურთა პასუხისმგებლობისას, ცოდნის დადგენა საკმარისია.[323] განსასჯელებს პასუხისმგებლობა შეიძლება

---

[320] Tadić V, supra note 111, at para. 204. ციტირებულია: J. D. Ohlin, The Co-Perpetrator Model of Joint Criminal Enterprise, Annotated Leading Cases of International Criminal Tribunals, Vol. 14, 2008, p. 106.

[321] სააპელაციო პალატამ გამოიყენა გარკვეულწილად წინააღმდეგობრივი გამოთქმა წინასწარგანჭვრეტადობის გამოკვლევის შესახებ. სასამართლომ დაადგინა: „იმის მიუხედავად, რომ დამნაშავეს არ ჰქონდა განზრახული არსებითი შედეგის დადგომა, იცოდა, რომ ჯგუფის მოქმედება წინ უსწრებდა ამ შედეგს, მაგრამ არასდროს არ სურდა ამგვარი რისკის განხორციელება". ამასთან, პალატამ აღნიშნა, რომ „ჯგუფში თითოეულს უნდა ჰქონდეს შედეგის წინასწარგანჭვრეტის შესაძლებლობა." Tadić V, supra note 111, at para. 204. ციტირებულია: A. M. Danner and J. S. Martinez, დასახ. ნაშრომი, გვ. 106 (იქვე, სქოლიო 122).

[322] იქვე, გვ. 106.

[323] Decision on Interlocutory Appeal, *Brđanin* (IT-99-36-A), Appeals Chamber, 19 March 2004, § 7 (hereinafter *Brđanin* 98 *bis* Dicision). ციტირებულია: იხ. Elies van Sliedregt, დასახ. ნაშრომი, გვ. 191.

დაეკისროთ გენოციდისთვის, თუ ეს ეს მათი ქმედებებიდან ბუნებრივად გამომდინარეობს და წინასწარგანჭვრტადი შედეგის სახით გვევლინება. ამგვარი შეხედულება გაიზიარა სასამართლო პალატამ მილოშევიჩის საქმის განხილვისას.[324] ამის მიუხედავად, მეტრაუქსი (Mettraux) სამართლიანად მიუთითებს, რომ ბრჟანინის საქმეზე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას არ ჰქონია პრეცედენტული მნიშვნელობა, რომელიც გადაჭრიდა შემდეგ საკითხს: შეიძლება თუ არა მესამე კატეგორიის გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის გენოციდისთვის პასუხისმგებლობის საფუძველი გახდეს. ეს კვლავ დავის საგნად და გადაუჭრელ პრობლემად რჩება.[325]

სტაკიჩის საქმის განმხილველმა სასამართლომ თანაამსრულებლობის შესახებ იურიდიულ მეცნიერებასა და სისხლის სამართლებრივ ლიტერატურაზე დაყრდნობით გამამტყუნებელ განაჩენში აღნიშნა, რომ უმჯობესია თანაამსრულებლობისთვის დაწესებულ პასუხისმგებლობას დავეყრდნოთ, ვიდრე მივმართოთ სასამართლო პროცესზე წარმოშობილი გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის დოქტრინას. ამ მხრივ, აღსანიშნავია, რომ ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო პალატა, ძირითადად, დაეყრდნო გერმანული სისხლის სამართლის თეორიას. ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს მიერ როქსინისა და ფლეტჩერის[326]

[324] Decision on Motion for Judgment of Acquittal, *Milošević* (IT-54-02-T), Trial Chamber, 16 June 2004, § 291 (hereinafter *Milošević* Decision on Acquittal). ციტირებულია: იხ. Elies van Sliedregt, დასახ. ნაშრომი, გვ. 191.

[325] G. Mettraux, *International Crimes and the* ad hoc *Tribunals* (Oxford: OUP, 2005), at 265. ციტირებულია: იხ. იქვე, გვ. 191.

[326] იმის მიუხედავად, რომ ფლეტჩერი ამერიკელია, მის მიერ ახლებურად გააზრებული სისხლის სამართალი (Oxford Univ. Press, New York 2nd ed. 2000) შედარებითსამართლებრივი ნაშრომია, რომელიც, უმეტესწილად, ეყრდნობა გერმანული სისხლის სამართლის მოდელს. იხ. J. D. Ohlin, The Co-Perpetrator Model of Joint Criminal Enterprise, Annotated Leading Cases of International Criminal Tribunals, Vol.

ნაშრომებზე ციტირება იმას ადასტურებს, რომ სასამართლო პალატა სამართლის ახალ წყაროს ქმნის, რომელიც ტრიბუნალების ფარგლებს სცდება, რადგან გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის პრობლემა თანაამსრულებლობის ფორმით გადაჭრას.[327]

საინტერესოა, რომ როქსინის მიხედვით, თანაამსრულების როლი არსებითია და თუ იგი მონაწილეობას არ მიიღებს დანაშაულის განხორციელებაში, დანაშაული ჩაიშლება. ამის გამო, იგი სავალდებულო ფიგურაა, მაგრამ არა საკმარისი დანაშაულის დასრულებისთვის. ესაა თანაამსრულებლობის არსი: დანაშაული იმდენად მასშტაბურია, რომ მისი დასრულება ერთპიროვნულად არც ერთ ამსრულებელს არ შეუძლია.[328]

„გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის" actus rea („ობიექტური ელემენტები") განსაზღვრულია შემდეგნაირად:

1. „1) პირთა სიმრავლე. არაა სავალდებულო მათი ორგანიზებულობა სამხედრო, პოლიტიკური თუ ადმინისტრაციული სტრუქტურების მიხედვით;
2. 2) ერთიანი გეგმის, მონახაზის ან მიზნის არსებობა, რომელიც გათვლილია ან მოიცავს სტატუტით გათვალისწინებული დანაშაულების ჩასადენად. ეს არაა საჭირო იმ გეგმის, მონახაზის ან მიზნისთვის, რომელიც წინასწარაა შეთანხმებული ანდა ჩამოყალიბებული. ამგვარი გეგმა ან მონახაზი შეიძლება პრაქტიკულად განხორციელდეს გაუთვალისწინებლადაც ან გამომდინარეობდეს იმ ფაქტიდან, რომ შეთანხმებული მრავლობითი აქტები გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის შედეგია.
3. ბრალად წარდგენილ საერთო გეგმაში მონაწილეობა,

14, 2008, p. 740 (იქვე, სქოლიო 1695).

[327] იხ. J. D. Ohlin, The Co-Perpetrator Model of Joint Criminal Enterprise, Annotated Leading Cases of International Criminal Tribunals, Vol. 14, 2008, p. 740.

[328] იხ.იქვე, გვ. 740.

რომელიც სტატუტით გათვალისწინებულ ერთ-ერთ დანაშაულს მოიცავს. თანამონაწილეობისთვის სავალდებულო არაა ისეთი სპეციფიკური დანაშაულების (მაგალითად, მკვლელობა, განადგურება, წამება, გაუპატიურება და ა.შ.) განხორციელება, რომელიც უზრუნველყოფს ამ გეგმის განხორციელებას. საკმარისია ამ გეგმის ან მიზნის განსახორციელებლად დახმარება ან გარკვეული წვლილის შეტანა მასში.[329]

რაც შეეხება mens rea-ს („სუბიექტური ელემენტები"), სააპელაციო პალატამ დააფიქსირა, რომ mens rea-ს ელემენტები იყოფა საერთო მონახაზისადმი დამოკიდებულების მიხედვით."[330]
სააპელაციო პალატამ დაადგინა შემდეგი:
„პირველ კატეგორიასთან მიმართებით განზრახვის არსებობაა საჭირო არსებული დანაშაულის ჩასადენად. მეორე კატეგორიის მიმართ, სასტიკი მოპყრობის ცოდნა, რაც იმას ნიშნავს, რომ ამგვარი მოპყრობა სამომავლოდაც გაგრძელდება. მესამე კატეგორიის მიმართ, დანაშაულში ან სამომავლოდ განსახორციელებელ დანაშაულში აქტიური მონაწილეობის განზრახვაა საჭირო ანდა ჯგუფის მიზნის განხორციელების მიმართ განზრახვის არსებობა და გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციისთვის ხელშეწყობა ან ჯგუფის მიერ ჩადენილ რაიმე დანაშაულის განსახორციელებელ მოვლენებში წვლილის შეტანა. დასასრულ, პასუხისმგებლობა დადგება აგრეთვე იმ დანაშაულებისთვის, რომლებიც საერთო გეგმით არ იყო გათვალისწინებული, თუმცა: 1) შესაძლებელი იყო იმის წინაწარგანჭვრეტა, რომ ჯგუფის რომელიმე წევრი ამ დანაშაულს ჩაიდენდა და 2) ბრალდებული მისი ჩადენის რისკს ნებაყოფლობით უშვებდა."[331]

პირველი კატეგორიის საქმეებთან დაკავშირებით სააპელა-

[329] იხ. Attila Bogdan, დასახ. ნაშრომი, გვ. 92.

[330] *Tadic* Appeals Judgment, at para. 228. ციტირებულია: იქვე, გვ. 92.

[331] *Tadic* Appeals Judgment, at para. 228 (emphasis in original). ციტირებულია: იქვე, გვ. 92.

ციო სასამართლომ გამოიყენა ბრიტანეთის სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილება გეორგ ოტო სანდროკისა (Georg Otto Sandrock) და სხვათა მიმართ. სააპელაციო პალატამ ასევე გამოიკვლია ბრიტანეთის სხვა გადაწყვეტილება ჯეპსენისა (Jepsen) და სხვათა წინააღმდეგ. აქვე სააპელაციო პალატამ მიუთითა, რომ ზოგიერთი რამეები „მეტისმეტად აფართოებს ერთობლივი მიზნის ცნებას მიზეზობრივად განპირობებულობის გამო." ამ მხრივ, ასევე საინტერესოა, სააპელაციო პალატის მიერ შესწავლილი აშშ სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილება Eisatzgruppen (გერმანული სიტყვაა და ქართულად ოპერატიულ ჯგუფს ნიშნავს. შენიშვნა ჩემია — ი.დ.) საქმეზე.[332]

მეორე კატეგორიის საქმეებზე სააპელაციო პალატამ გააანალიზა აშშ და ბრიტანეთის სამხედრო ტრიბუნალების მიერ ორ საქმეზე მიღებული გადაწყვეტილებები. ამ მხრივ, განსაკუთრებით საინტერესოა დაჰაუს (Dachau) საკონცენტრაციო ბანაკის საქმე, რომელზეც გადაწყვეტილება გერმანიაში გამართულ პროცესზე აშშ სასამართლომ გამოიტანა და ბელსენის (Belsen) საქმე, რომელზეც გადაწყვეტილება გერმანიაში გამართულ პროცესზე ბრიტანეთის სამხედრო ტრიბუნალმა გამოიტანა. აქვე საინტერესოა, რომ სააპელაციო პალატის აზრით, ამ კატეგორიის საქმეები წარმოდგენილ საქმეებს კი არა, უფრო პირველი კატეგორიის საქმეებს შეესაბამება. ამის გამო, სააპელაციო პალატამ დაადგინა, რომ სავალდებულო actus rea გამოიხატა არსებულ რეპრესიულ სისტემაში აქტიური მონაწილეობით, რაც შეიძლება გამომდინარეობდეს კუთვნილი უფლებამოსილებიდან და სპეციფიკური ფუნქციებიდან. რაც შეეხება mens rea ელემენტს, იგი მოიცავს 1) სისტემების ბუნების ცოდნას; 2) შემდეგშიც სასტიკად მოპყრობის გაგრძელება საერთო გეგმის შესაბამისად.[333]

---

[332] დაწვრ. იხ. Attila Bogdan, დასახ. ნაშრომი, გვ. 82-84.

[333] იხ. იქვე, გვ. 86.

მესამე კატეგორიის საქმეებზე პრეცედენტული სამართალი, უპირველეს ყოვლისა, შეეხო ბრბოს მიერ ჩადენილ ძალადობას, ე.ი. არეულ სიტუაციას, სადაც მრავალი დამნაშავე საერთო მიზნით მოქმედებს, რომელთაგან ყოველი მათგანი ახორციელებს მსხვერპლის წინააღმდეგ დანაშაულს, მაგრამ ვერ დგინდება ან შეუძლებელია თუ რომელი დანაშაულებრივი მოქმედება ვისი ჩადენილია. სააპელაციო პალატამ ამ კატეგორიის ნათელსაყოფად ორი საქმე გაანალიზა (ერთი ბრიტანეთის სამხედრო ტრიბუნალის და ერთი აშშ სამხედრო ტრიბუნალის გადაწყვეტილებებიდან). ეს საქმეები ადგენს შემდეგ მოთხოვნებს: 1) დანაშაულებრივი განზრახვა ერთობლივი გეგმაში; 2) იმის წინასწარგანჭვრეტა, რომ ერთობლივი გეგმის მონაწილენი, დანაშაულებრივი გეგმით გათვალისწინებული დანაშაულების გარდა, სხვა დანაშაულებს განახორციელებენ.[334]

„სააპელაციო პალატამ პირველად გაანალიზა ბრიტანეთის სამხედრო ტრიბუნალის მიერ გამოტანილი გადაწყვეტილება ესენში ლინჩის წესით (Essen Linching) გასამართლების შესახებ (ე.წ. ესენის დასავლეთი).[335] ამ საქმის მიხედვით, 1944 წლის 13 დეკემბერს ქალაქ ესენის დასავლეთში ბრიტანელი სამი სამხედრო ტყვე გერმანელ ხალხთა ბრბომ გაასამართლა ლინჩის წესით.[336] შვიდი პირი დამნაშავედ ცნეს ომის დანაშაულის ჩადენისთვის, რადგან ისინი „დაინტერესებულები იყვნენ სამი სამხედრო ტყვეს მკვლელობაში."[337] ერთ-ერთი ბრალდებულთაგანი იყო „გერმანელი კაპიტანი ჰეიერი (Heyer), რომელმაც გერმანელ ჯარისკაცთა ესკორტში განათავსა ბრიტანელი მფრინავები. აღნიშნულ გერმანულ სამხედრო

---

[334] იხ. Attila Bogdan, დასახ. ნაშრომი, გვ. 86.

[335] *Tadić* Appeals Judgment, at para. 207 citing to *Trial of Erich Heyer and six others*, British Military Court for the Trial of War Criminals, Essen, 18th–19th and 21st–22nd December, 1945, UNWCC, vol. I, p. 88, at p. 91. ციტირებულია: იქვე, გვ. 87.

[336] *Tadić* Appeals Judgment, at para. 207. ციტირებულია: იქვე, გვ. 87.

[337] *Tadić* Appeals Judgment, at para. 207. ციტირებულია:იქვე, გვ. 87.

დანაყოფს ევალებოდა გერმანულ სამხედრო-საჰაერო (Luftwaffe) ნაწილში ტყვეთა მიყვანა დასაკითხად."[338]

ამის შემდეგ სააპელაციო პალატამ შეაფასა აშშ სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება კურტ გოებელისა (Kurt Goebell) და სხვათა წინააღმდეგ (ე.წ. ბორკუმის კუნძულის საქმე). ფაქტების შეჯამების შემდეგ, სააპელაციო პალატამ აღნიშნა, რომ აღნიშნული საქმიდან აშკარად არ ჩანს, ბრალდებულები მონაწილეობდნენ თუ არა „გაერთიანებულ დანაშაულებრივ ორგანიზაციაში." თუ დაუკვირდებით, საკუთარი გადაწყვეტილება გამართლებულია ბრბოს მიერ ჩადენილი დანაშაულის სპეციფიკით, მასში მონაწილეთა განხორციელებულ ქცევათა თავისებურებითა და მტკიცებულებათა აღმოჩენის სირთულით. მთავარი აქ ის არის, რომ ჯგუფის წევრებს საერთო მიზნის განსახორციელებლად საკუთარი წვლილი შეაქვთ და უკვე იმის მტკიცებას თუ ვინ რა მოქმედება შეასრულა აზრი აღარ აქვს. წინააღმდეგ შემთხვევაში დანაშაულის ნამდვილი წამქეზებლები ვერასდროს დაისჯებიან.[339]

„გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის ყველა თანამონაწილეს თანაბარად მიუძღვით ბრალი საერთო გეგმით გათვალისწინებული დანაშაულების განხორციელებაში, ისევე როგორც იმ დანაშაულებისთვის, რომლებიც აღნიშნულ დანაშაულთათვის ბუნებრივი და წინასწარგანჭვრეტადი შედეგებია, საერთო გეგმის მისაღწევად მათი ცვალებადი როლის მიუხედავად."[340]

---

[338] *Tadić* Appeals Judgment, at para. 207. ციტირებულია: Attila Bogdan, დასახ. ნაშრომი, გვ. 87.

[339] დაწვრ. იხ. იქვე, გვ. 87.

[340] *Tadic* Appeal Judgment, para. 227, 228. (emphasis added) para. 203. ამის მიუხედავად, გამამტყუნებელი განაჩენი შეიძლება შეიცვალოს თანამონაწილეთა როლის შესაბამისად. ციტირებულია: Verena Haan, The Development of the Concept of Joint Criminal Enterprise at the International Criminal Tribunal for the FormerYugoslavia, *International Criminal Law Review* 5: 167–201, 2005, *Koninklijke Brill NV.*

„ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სააპელაციო პალატა გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის კონცეფციას მიიჩნევს თვით მრავალი საერთაშორისო დანაშაულებით გარანტირებული პასუხისმგებლობის ფორმად, რომლებიც, როგორც წესი, ომის დროს ხორციელდება."[341]

„თუმცა, დაწვრილებითი ანალიზის შემდეგ გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის გონივრული ახსნა და კონცეპტუალური იდეა ფოკუსირდება თავისებური სახის შემთხვევაზე, რომელიც საკმაოდ განსხვავდება ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო პროცესებამდე არსებულისგან. ასეთი შეუსაბამობა, ერთი მხრივ, იწვევს შეუთანხმებოლობას გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის თეორიულ განსაზღვრებათა შორის და მეორე მხრივ, კონცეფციის მეთოდთა მიმართ, რომლებიც გამოყენებული იყოს სასამართლო განხილვებისას, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც განსასჯელი მხოლოდ არაპირდაპირ იყო დაკავშრებული დანაშაულის განხორციელებასთან." [342]

„გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის კონცეპტუალური იდეა, თუ რატომ შეიძლება დაეკისროს ერთი პირის მოქმედებისთვის სხვას პასუხისმგებლობა, დამყარებულია ერთ სუბიექტურ და ერთ ობიექტურ ელემენტზე: სუბიექტური ელემენტია ის, რომ არსებობს შეთანხმება და საერთო განზრახვა საერთო გეგმის შესაბამისად მოქმედების შესახებ, რომლის მიზანია (ანუ რომელიც გულისხმობს) დანაშაულთა განხორციელებას; ობიექტური ელემენტი კი, გულისხმობს ბრალდებულთა თანამონაწილეობას გეგმაში."[343]
„თუმცა მთლიანი აქცენტი სუბიექტურ ელემენტზე, პირ-

Printed in the Netherlands, 2005, pp. 169-170 (იქვე, სქოლიო, მე-6).

[341] *Tadic* Appeal Judgment, para. 191. ციტირებულია: Verena Haan, დასახ. ნაშრომი, გვ. 194.

[342] იქვე, გვ. 194.

[343] იქვე, გვ. 195.

თა ურთიერთგაგებაზეა გადატანილი. ვინაიდან თანამონაწილეებს განზრახული აქვთ გაერთიანების მიზნებს ერთად მიაღწიონ და ყოველ მათგანს სურს, რომ სხვა თანამონაწილეებმა წვლილი შეიტანონ საერთო მიზნის განხორციელებაში. ყოველი მათგანი თანაბარი ხარისხითაა პასუხისმგებელი, მათი ცვალებადი როლების მიუხედავად."[344] 195
„არც გენერალ კრსტიჩის (Krstic) და არც იმ მუნიციპალიტეტის ლიდერების მიონერ სტაკიჩის (Miomir Stakic) და ბლაგოჟე სიმიჩის (Blagoje Simic) მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენი არ ემყარება ფაქტს, რომ ისინი გაურიგდნენ მრვალრიცხოვან უშუალო ამსრულებლებს და გაიზიარეს მათი საერთო განზრახვა. უფრო მეტიც, ისინი დამნაშავედ იქნენ ცნობილნი იმისთვის, რომ მათ ხელისუფლების ორგანოში ეკავათ თანამდებობები, რაც მათ საშუალებას აძლევდათ, — თანაბარი დონის თანამდებობებზე მოქმედ პირებთან ერთად, — გაეცათ ბრძანება საჭირო დანაშაულის შესახებ ან სასამართლო, პოლიტიკური ან სხვა სტრუქტურის უზრუნველსაყოფად, რომლის მეშვეობითაც უშუალო ამსრულებლებს საშუალება ჰქონდათ ემოქმედათ ტოტალური უკანონობის მდგომარეობაში."[345]

„მხოლოდ სტაკიჩის სასამართლო პროცესზე გამახვილდა ამ პრობლემაზე ყურადღება: „ამგვარ სიტუაციაში, განსხვავებული განზრახვის დადგენის მოთხოვნა ორივე განსასჯელისა და მოქმედ პირთა მიერ განხორციელებული ყოველი ცალკეული მოქმედების მიმართ, გამოიწვევდა მეთაურთა დაუმსახურებელ დაცვას და შეეწინააღმდეგებოდა საერთაშორისო ტრიბუნალის არსს, გონს და მიზანს."[346]

---

[344] Verena Haan, დასახ. ნაშრომი, გვ. 195.

[345] იხილეთ, მაგალითად, *Krstic* Trial Judgment, para. 338, 607, 608, 615. *Simic* Trial Judgment, para. 991, 992; *Stakic* Trial Judgment, para. 590, 818. ციტირებულია: იქვე, გვ. 196.

[346] *Stakic* Trial Judgment, para. 742. ციტირებულია: იქვე, გვ. 196-197.

„მეორე მიზეზი, რის გამოც გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის ცნება პრობლემატურია ისაა, რომ სხვადასხვა სასამართლო განხილვებისა და გადაწყვეტილებებში საკმაოდ ფართოდაა იგი განმარტებული. განსაკუთრებით ეს უნდა ითქვას მეორე და მესამე კატეგორიის გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის შესახებ, როგორც ეს განსაზღვრულია ბრჯანინის საქმეზე, დადგენილი წესით, სააპელაციო სასამართლოს 89bis გადაწყვეტილებაში, რაც სცილდება ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდებით დადგენილ ფარგლებს."[347]

ბოგდანი მიუთითებს რამდენიმე მიზეზს თუ, რატომ დაირღვა ტადიჩის საქმეზე სააპელაციო პალატის მიერ მიღებულ გადაწყვეტილებაში ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპი: 1) „გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია" არაა გამყარებული საერთაშორისო ჩვეულებითი სამართლით; 2) „გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია" მჭიდრო კავშირშია აშშ განვითარებულ შეთქმულების ფორმულასთან; 3) „გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის," როგორც პასუხისმგებლობის ფორმის, გამოყენება იუგოსლავიის ტრიბუნალის მიერ არღვევს კანონიერების პრინციპს.[348]

„გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის პასუხისმგებლობის მნიშვნელოვანი ახსნაა ის, რომ დანაშაულის სისტემატურად (systemcriminality) განხორციელების კონტექსტში, ლიდერების დანაშაულებრივი საქმიანობა, უმეტესწილად, დაშორებულია დანაშაულის ფიზიკურად განხორციელებისგან, მაშინ როდესაც ზოგჯერ, როგორც ფიქრობენ, უკიდურეს შემთხვევაში თანაბარი თუ არა უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრებათ ამსრულებლებთ-

[347] Verena Haan, დასახ. ნაშრომი, გვ. 197.

[348] დაწვრ. იხ. Attila Bogdan, იქვე, გვ. 109-120.

ან შედარებით იგივე დანაშაულთათვის. ამგვარ დასკვნას ამყარებს გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციისთვის პასუხისმგებლობის შემდეგი პრინციპები, რომლებიც სააპელაციო პალატამ ჩამოაყალიბა:

1. გარკვეულ შემთხვევებში, დანაშაულებრივი გეგმის შედგენა და მოქმედება, შეესაბამება თანაამსრულებლებთან ინდივიდუალურ პასუხისმგებლობას, როდესაც ისინი ფიზიკურად არ ახორციელებენ დანაშაულს;
2. პირი დამნაშავეა გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის, როგორც პასუხისმგებლობის ფორმის, საშუალებით ჩადენილი დანაშაულის ჩადენაში და ეს გათვალისწინებულია წესდების მე-7(1) მუხლით. ამასთან, იგი თანაამსრულებელია, იმის მიუხედავად, თუ რა განსაკუთრებული როლი შეასრულა დანაშაულის მატერიალურად, ფიზიკურად განხორციელებაში;
3. სავალდებულო არაა ბრალდებული ფიზიკურად მონაწილეობდეს, რომელიმე დანაშაულის ჩადენაში ან, უფრო მეტიც, არსებითად ხელს უწყობდეს მის განხორციელებას. სავალდებულოა საერთო გეგმის ან მიზნის განხორციელებისთვის მხოლოდ რამენაირად ხელშეწყობა იმ დანაშაულთავის, რომელიც ბრალად ერაცხებათ;
4. სავალდებულო არაა ბრალდებული ესწრებოდეს დანაშაულის განხორციელებას, რათა მას წარედგინოს ბრალი დანაშაულის ჩადენისთვის, როგორც გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრს;
5. გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის ყოველი წევრი თანაბრადაა დამნაშავე გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის მეშვეობით ჩადენილი დანაშაულებისთვის;
6. განაჩენის გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრთა მიმართ გამოტანილი გამამტყუნებელი განაჩენით დადგენილი სასჯელის ვადა სავალდებულო არაა დამოკიდებული იყოს დანაშაულის ფიზიკურ

განხორციელებაში შესრულებულ როლზე და შეიძლება იყოს შემთხვევები, როდესაც გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრი არაა ამსრულებელთა შორის, თუმცა ამსრულებლებთან შედარებით იმსახურებდეს უფრო მკაცრ განაჩენს, დანაშაულებრივ გეგმაში ანდა გეგმის ხელშეწყობისთვის ჩადენილ დანაშაულებში მონაწილეობის ბუნებისა და მოცულობის გამო."[349]

„წარმოდგენელი პრინციპებიდან, მიზანშეწონილია, დავასკვნათ, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის არანაირი მნიშვნელობა არა აქვს გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის ამსრულებელთა და თანაამსრულებელთა შორის განსხვავების დადგენას. ვასილევიჩის საქმის განმხილველი მოსამართლე შაჰაბუდენის (Shahabudden) სიტყვებით, რომ ვთქვათ:

გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის თითოეული მონაწილე არ მოქმედებს, როგორც სხვისი აგენტი, ყოველ შემთხვევაში, სიტყვის ჩვეულებრივი გაგებით. ყველა მონაწილე მოქმედებს ერთობლივად შეთანხმებული შედეგის მისაღწევად. ერთად მოქმედებისას, ისინი მართლაც მოქმედებენ როგორც ერთპიროვნული ამსრულებელი. ამის გამო, ყოველი მათგანის მოქმედება არის ყველას მოქმედება.[350]"

„სტაკიჩის საქმის სააპელაციო წესით განხილვის მიხედვით, გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის პასუხისმგებლობის გამოსაყენებლად უნდა დადგინდეს შემდეგი ელემენტები: ა) ისეთი დანაშაულები განხორციელდა, რომელიც საერთო მიზნით არ იყო მოცული; ბ) ეს დანაშაულები საერთო მიზნის განხორციელების ბუნებრივი და წინასწაგაჭვრეტადი შედეგია და გ) გაერთიანებული დანა-

[349] Katrina Gustafson, დასახ. ნაშრომი, გვ. 145-146.

[350] მოსამართლე შაჰაბუდენისგან განსხვავებული და საწინააღმდეგო აზრი, იხ. *Vasiljević, supra* note 14, at § 31 (not dissenting on this point). ციტირებულია: იქვე, გვ. 146 (იქვე, სქოლიო 44).

შაულებრივი ორგანიზაციის წევრებმა იცოდნენ, რომ საერთო მიზნის აღსრულებას შეეძლო გამოეწვია ეს დანაშაულები, ამის მიუხედავად, ისინი მაინც განაგრძობდნენ საერთო მიზნის ხელშეწყობას."[351]

„თუ ერთ მშვენიერ დღეს, ბრალდების მხარე წარმატებას მიაღწევს „დანაშაულის კონკრეტული მიზნისთვის" მსჯავრდებისას, მესამე კატეგორიის გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის მეშვეობით, ეს შეცვლის გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის დოქტრინას, რათა იგი გადაიქცეს „ოღონდ ყველა დამნაშავედ სცანით" ქოლგად."[352]

„მნიშვნელოვან დანაშაულთა გამოძიებისას, რომლებიც, როგორც ამტკიცებენ, ჩადენიალია მაღალჩინოსანი სამხედრო ან პოლიტიკური თანამდებობის მქონე დამნაშავეთა მიერ, აუცილებელია დადგინდეს:

1. რამდენიმე პირის არსებობა;
2. საერთო მიზნის და/ან გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის არსებობა;
3. დანაშაულებრივ ორგანიზაციას უნდა გააჩნდეს საერთო დანაშაულებრივი გეგმა;
4. ბრალდებულთა მონაწილეობა გაერთიანებულ დანაშაულებრივ ორგანიზაციაში;
5. ბრალდებულები უნდა ასრულებდნენ კონკრეტულ როლს

[351] *Stakić* Appeals judgment, para. 87 (capital letters are in original). ციტირებულია: Mohamed Elewara Badar, დასახ. ნაშრომი, გვ. 300.

[352] მესამე კატეგორიის გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის ალტერნატივად ტერმინი „ოღონდ ყველა დამნაშავედ სცანით" (just convict everyone) პირველად გამოიყენა პროფესორმა უილიამ შაბასმა მე-5 ყოველწლიურ „სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლო — საზაფხული კურსებზე" ჩატარებული ლექციის დროს,Galway, 2005. ციტირებულია: იქვე, გვ. 302 (იქვე, სქოლიო 47).

ორგანიზაციაში;

6. ბრალდებულთა დანაშაულებრივი ორგანიზაციაში მონაწილეობის განზრახვა;
7. დანაშაულებრივი ორგანიზაციის მიზანი;
8. ჩადენილ დანაშაულთა დანაშაულებრივი ორგანიზაციის გეგმით გათვალისწინებულობა."[353]

§ 5. წინაწარგანჭვრეტადობის პრობლემა

გაერთინებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის დოქტრინის ერთ-ერთი უმთავრესი ნაკლი წინასწარგანჭვრეტადობის არასრულყოფილი დამუშავებაა. ტადიჩის საქმეზე სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილების პირველ ნაწილში მითითებულია, რომ გაერთინებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრებს მაშინაც დაეკისრებათ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, თუ დანაშაულებრივი ქმედებები წინასწარ არ იყო შეთანხმებული. ერთადერთი შეზღუდვა ისაა, რომ სხვისი ქმედებისთვის პასუხისმგებლობა მხოლოდ მაშინაა დასაშვები, თუ ეს წინასწარგანჭვრეტადი იყო. სხვა სიტყვებით, რომ ითქვას, თუ გაერთიანების წევრთა მიერ ჩადენილი შეთანხმებელი მოქმედებები ობიექტურად წინასწარგანჭვრეტადი იყო, მაშინ გაერთიანების სხვა წევრებსაც შეიძლება ბრალად შეერაცხოთ დანაშაულის ჩადენა. ავტორის აზრით, თანაბარზომიერი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა შეიზღუდოს გეგმის მიხედვით ჩამოყალიბებული ქმედებებით, რაც იმას ნიშნავს, რომ შეუთანხმებელი წინასწარგანჭვრეტადი დანაშაულებისთვის უფრო ლმობიერი პასუხისმგებლობა უნდა დაწესდეს.[354]

[353] Nicola Piachente, Importence of the Joint Criminal Enterprice Doctrine For the ICTY Prosecutorial Policy, Journal of International Criminal Justice 2 (2004), 446-454, Oxford University Press, 2004, p. 4.

[354] იხ. Jens David Ohlin, Three Conceptual Problems with the Doctrine of Joint Criminal Enterprise, Journal of International Criminal Justice 5 (2007), 69-90, Oxford University Press, 2006, p. 81.

„დანაშაულებრივი გეგმა, რომელთა გამო სისხლისსამართლებრივი დევნა განხორციელდა, უმეტეს შემთხვევაში, ორი მოხერხებული და მტკივნეული სცენარით წარიმართება: დანაშაულებრივი შეთანხმების წევრები ახოციელებენ წინასწარ გამიზნულ ობიექტზე თავდასხმას, მაგრამ ერთ-ერთი ჯარისკაცი ახორციელებს პირველადი გეგმით გაუთვალისწინებელ დანაშაულებრივ ქმედებას.[355] ეს შეიძლება განხორციელდეს ორიდან ერთ-ერთი გზით: ჯარისკაცები ახორციელებენ ტაქტიკას, რაც გეგმით არაა გათვალისწინებული, როგორიცაა წამება ან გაუპატიურება, ან ჯარისკაცები საკუთარ ინიციატივით აფართოებენ გეგმის ფარგლებს ირჩევენ ახალ სამიზნეს, როგორიცაა ახალი სოფელი ან შენობა. ამგვარ სიტუაციებში, ტადიჩის საქმესთან დაკავშირებით, გაერთინებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის მიხედვით, ყველა წევრისთვის თანაბარი სასჯელია გათვალისწინებული წინასწარგანჭვრეტადი დანაშაულისთვის.“[356]

---

[355] „ამგვარ სიტუაციებში, მეთაურებსაც შეიძლება დაეკისროთ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ბრძანების გაცემისთვის პასუხისმგებლობის თეორიით, რაც სისტემატიზეულია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების 28-ე მუხლში. ეს აშშ იურიდიულ სფეროში ასევე ცნობილია იამაშიტას (Yamashita) პრინციპით. იმის მიუხედავა, რომ ბრძანების გაცემისთვის პასუხისმგებლობამ და ოდგ-მ შეიძლება მსგავს შედეგებამდე — გამამტყუნებელ განაჩენამდე — მიგვიყვანოს, ისინი განსხვავებული დოქტრინები არიან. ისინი ურთიერთდაკავშირებულნი არიან იმდენად, რამდენადაც ორივე დოქტრინა სხვის მიერ ჩადენილი ქმედებებისთვის პასუხისმგებლობის (ვიცარიოუს ლიაბილიტყ) დაკისრების საშუალებას იძლევა.“ციტირებულია: Jens David Ohlin, Three Conceptual Problems with the Doctrine of Joint Criminal Enterprise, Journal of International Criminal Justice 5 (2007), 69-90, Oxford University Press, 2006, p. 82 (ამასთან, სქოლიო 22-ე).

[356] იქვე, გვ. 82.

როგორც ზემოთ აღინიშნა, მესამე კატეგორიის გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია მოიცავს ერთობლივი გეგმით გაუთვალისწინებელ დანაშაულებს. პირს ვისაც განზრახული ჰქონდა საერთო გეგმაში მონაწილეობა, შეიძლება დაეკისროს პასუხისმგებლობა საერთო გეგმით გაუთვალისწინებელი ქმედებებისთვის, თუ იგი „ჩვეულებრივი და წინასწარგანჭვრეტადი შედეგის გამომწვევია." ყველაზე გაურკვეველი წინასწარგანჭვრეტადობის კომპონენტთან ისაა, რომ იგი სუბიექტურად უნდა შეფასდეს თუ ობიექტურად ნათელი არაა.

გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის შესახებ ყველაზე დიდ უთანხმოებას იწვევს ის, რომ შეიძლება თუ არა მისი გაფართოებული ფორმა გამოვიყენოთ ისეთი სპეციალური განზრახი დანაშაულის მიმართ, როგორიცაა გენოციდი. შეიძლება თუ არა მესამე კატეგორიის გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის თანამონაწილეს დაეკისროს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გენოციდის ჩადენისთვის, როდესაც გენოციდი განხორციელდა, როგორც გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის ბუნებრივი და წინასწარგანჭვრეტადი შედეგი? ესაა mens reas-ს პრობლემა. თუკი გენოციდი მოითხოვს dolus specials, ე.ი. ეროვნული, ეთნიკური, რასობრივი ან რელიგიური ჯგუფის მთლიანად ან ნაწილობრივ მოსასპობად განზრახვის დადგენას, მესამე კატეგორიის გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია მოითხოვს ევენტუალურ განზრახვას ან თვითმიმედოვნებას (dolus eventualis/advertent recklessness), რომელიც წინდახედულობის ტესტად გამოიყენება. როდესაც სასამართლო პალატამ კრსტიჩი (Krstić) მესამე კატეგორიის გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის თანამონაწილედ სცნო, სასამართლო პალატამ შეცვალა გენოციდის მოთხოვნა უმაღლესი ხარისხის განზრახვის, dolus specialis შესახებ და იგი დაბალი ხარისხის განხრახვით, dolus eventualis-ით შეცვალა. ჩანს, რომ ეს ბუნდოვანი განმარტებაა."[357]

[357] Elies van Sliedregt, დასახ. ნაშრომი, გვ. 190-191.

წინასწარგანჭვრეტადობა, რომელიც მესამე კატეგორიის გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის სუბიექტურ შემადგენლობაშია მოცემული, აშკარად ვერ ეთანხმება განზრახვის და თანამონაწილეების ცნებას, ვინაიდან თუ გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრები გაზრახ საერთო გეგმის მიხედვით მონაწილეობენ, მაშინ მის წევრებს პასუხისმგებლობა შეიძლება დაეკისროთ მხოლოდ მათი საერთო განზრახვით მოცული დანაშაულებისთვის და წინასწარგანჭვრეტადი შედეგებისთვის. წინასწარგანჭვრეტადობა უფრო ობიექტურ შერაცხვას ემსგავსება, რადგან აქ მოსამართლის ვარაუდზეა აგებული მსჯელობა: შეეძლო თუ არა საშუალო შესაძლებლობის ადამიანს შეთანხმებული განზრახი დანაშაულების ოანმდევი დანაშაულების განხორციელების შესაძლებლობა დაეშვა.

§ 6. გაერთინებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების მიხედვით

„შიდა კანონმდებლობებისგან განსხვავებით, სადაც დამნაშავის ტრადიციული გამოხატულება ამსრულებელია, ვინც სასხლეტს თითს გამოკრავს, საერთაშორისო სისხლის სამართალში სანიმუშო დამნაშავეა ის, ვინც ბრძანებას გასცემს, ორგანიზებას უწევს ან მაღალ დონეზე მონაწილეობას იღებს გეგმის შედგენაში.[358] ამის გამო, მეორეხარისხოვანი პასუხისმგებლობა შედარებით დიდ როლს თამაშობს საერთაშორ-

[358] ასეთ პირებად ხშირად მოიხსენიებიან „ისინი, ვისაც ეკისრებათ ყველაზე დიდი პასუხისმგებლობა" საერთაშორისო დანაშაულებისთვის (იხ., მაგალითად, სიერრა ლეონის სპეციალური სასამართლოს წესდების 1-ლი მუხლი), ან „ისინი, ვინც საერთაშორისო დანაშაულების ჩადენაში ეჭვმიტანილნი მნიშვნელოვანი მეთაურებია არიან" (უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 1534 (2004). ციტირებულია: Robert Cryer, Håkan Friman, Darryl Robinson, Elizabeth Wolmshurst, დასახ. ნაშრომი, გვ.304 (იქვე, სქოლიო 1).

ისო სისხლის სამართალში."[359]

ოლაინი მიუთითებს, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების მიღებამდე ტადიჩის საქმეში ყველაზე კომპლექსურადაა გაანალიზებული გაერთინებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება გაერთინებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის ანალიზის პირველი დირექტივაა. სამწუხაროა, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება მრავალ ადგილას იმეორებს, რომ საერთაშორისო სამართლით აღიარებული ომის დანაშაული პრეცედენტულ სამართალში უნდა ვეძებოთო, იმის მაგივრად, რომ ახლიდან განსაზღვროს ეს უკანასკნელი. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს წესდების 25-ე მუხლი ბუნდოვანია. ავტორი აღნიშნულ დოქტრინასთანა მიმართებით სამ პრობლემას განიხილავს: 1) განზრახვის არაადეკვატური ინტერპრეტაცია და რა ხარისხის განზრახვაა საჭირო გაერთიანებაში დანაშაულებრივი წვლილის შეტანისას; 2) დამაბნეველი პასუხისმგებლობის დაწესება პირისთვის თანამზრახველთა „წინასწარგანჭვრეტადი" ქმედებისთვის და 3) პასუხისმგებლობის ძირითადი პრინციპის დარღვევა, რომელიც გულისხმობის პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებას მხოლოდ საკუთარი ბრალისთვის.[360]

---

[359] See William Schabas, 'Enforcing Individual Criminal Responsibility in International Criminal Law: Prosecuting the Accomplices' (2001) 843 *International Review of the Red Cross* 439. Equally, as we will see, some forms of liability in international criminal. საერთაშორისო სისხლის სამართლი შესაძლებლობას იძლევა ის პირები, ვინც ტრადიციულად თანამონაწილეებად მიიჩნევიან ამსრულებლების თანაბრად იყვნენ განხილულნი. ციტირებულია: Robert Cryer, Håkan Friman, Darryl Robinson, Elizabeth Wolmshurst, დასახ. ნაშრომი, გვ. 304 (იქვე, სქოლიო 2).

[360] იხ. Jens David Ohlin, Three Conceptual Problems with the Doctrine of

ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდებით გათვალისწინებული ომის დანაშაული, ადამიანურობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაული და გენოციდი, ხშირ შემთხვევებში, ჩადენილია კოლექტიურად: — ბრიგადების, მოხალისეთა გაერთიანების ან არმიების მიერ. ისტორიული ფაქტების ანალიზი საშუალებას გვაძლევს ვთქვათ, რომ გენოცი ხორციელდება მაშინ, როდესაც ერთი ეთნიკური ჯგუფი მეორეს გამანადგურებელი ომით ემუქრება.[361] ამის მიუხედავად, საერთაშორისო ტრიბუნალებს არ შეუძლიათ პასუხისმგებლობა დააკისრონ მთელ ეთნიკურ ჯგუფს. თუნდაც სწორი იყოს ის ფაქტი, რომ მთელ გერმანელ ერს სურდა ებრაელი ერის განადგურება, საერთაშორისო ტრიბუნალებს არ შეეძლოთ მთლიანი გერმანელი ერისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება. ეს წარმოშობს ურთულეს საკითხს, თუ როგორ უნდა აგონ პასუხი პირებმა ისეთი დანაშაულისთვის, როგორიცაა გენოციდი, რასაც კოლექტიურობის ასპექტი ახლავს თან. დანაშაულის კოლექტიური ბუნებიდან გამომდინარე, ამგვარ კითხვაზე პასუხის გაცემისას აუცილებელია მეტი კონკრეტულობა, რომელსაც ადგილი აქვს სამხედრო მეთაურთა, ბრიგადების, მოხალისეთა და ბრბოს კონსპირ-

---

Joint Criminal Enterprise, Journal of International Criminal Justice 5 (2007), 69-90, Oxford University Press, 2006, pp. 70-71.

[361] For a discussion of genocide, see R. Lemkin, 'Genocide as a Crime under International Law', 41 *American Journal of International Law* (1947) 145-151. I have argued elsewehere that genocide is necessarily collective: it is the attempt by one ethnic group to destroy another. While a single individual may commit a murder with the intent to destroy another athnc group, it should not fall under the category of genocide until there is some desire by the ethnic group as a whole to wipe out their victims. See G.P. Fletcher and J.D Ohlin, 'Reclaiming Fundamental Principles of Criminal Law in the Darfur Case', 3 *Journal of Intrenational Criminal Justice* (2005), at 546. However, this view departs significantly from the Rome Statute's treatment of the crime of genocide, which does not require this collective aspect. ციტირებულია: იხ. Jens David Ohlin, Three Conceptual Problems with the Doctrine of Joint Criminal Enterprise, Journal of International Criminal Justice 5 (2007), 69-90, Oxford University Press, 2006, p. 73.

აციული შეთანხმების სახით. ამგვარ გაერთიენებებს მჭიდრო კავშირი აქვთ აღნიშნულ დანაშაულებთან, რის გამოც, მათი ინდივიდუალური სისხლისსამართლებრივი პასუხიმგებლობაც პრობლემატური არ არის.[362]

მართალი იყო ტადიჩის სასამართლოზე ის, რომ ხაზი გაესვა გენოციდის კოლექტიურ ბუნებას, მაგრამ ეს ჯერ კიდევ იმას არ ნიშნავს, რომ ამით ჩვენ შეგვიძლია მცირე დაჯგუფებათა პასუხისმგებლობა ყველაზე გავრცელდეს. ამ უკანასკნელის წევრებიდან პასუხი უნდა აგონ მხოლოდ მათ, ვინც ნიშანდობლივად თანამონაწილეობდნენ გენოციდის განხორციელებაში.[363]

ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების მე-7(1) მუხლი მიუთითებს კოლექტიური პასუხისმგებლობის სახეებზე, რაც გამოიხატება დაგეგმვას, წაქეზებასა და დახმარებაში. თუმცა აქვე საკითხავია: როგორი ერთობლივი მოქმედებაა დანაშაულებრივი ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდებით. სასამართლოს არ ჰქონდა არც ერთი არგუმენტი, რომელიც დაასაბუთებდა, რომ გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია ჩადებული იყო ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდებაში. მიუხედავად იმისა, რომ ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდება ზღვარდადებული დოკუმენტია, განზრახ დატოვა სხვადასხვა იურიდიული დოქტრინების დეტალებისთვის ადგილი, რათა სრულყოფილი სახე მიეცა ტრიბუნალისთვის, უდავოა, რომ ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების მე-7(1) მუხლში მხოლოდ წაქეზებაზე და დახმარებაზეა საუბარი და ადგილი არ

[362] იხ. Jens David Ohlin, Three Conceptual Problems with the Doctrine of Joint Criminal Enterprise, Journal of International Criminal Justice 5 (2007), 69-90, Oxford University Press, 2006, pp. 73-74.

[363] იხ. იქვე, გვ.74.

დაუტოვებია გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციისთვის.[364]

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების მე-25 (d) ანალიზი სიფრთხილეს მოითხოვს. „საზოგადოების უმრავლესობამ შეიძლება გარკვეული წვლილი შეიტანოს დანაშაულებრივი ორგანიზაციის საქმიანობაში, იმის მიუხედავად, რომ დადებითად არ ეკიდებიან მათ საქმიანობას. ვაჭარმა შეიძლება მიჰყიდოს დამნაშავეებს საჭმელი, სასმელი და ტანსაცმელი, ბენზინი, მანქანები და შეაკეთონ მათი სატრანსპორტო საშუალებები, მიაქირაონ ადგილი, ბინა და სახლი. უეჭველია, რომ ამგვარი ხელშეწყობის გარეშე დანაშაულებრივი საქმიანობა ვერ განხორციელდება. უფრო მეტიც, ამგვარი საქმიანობა შეიძლება კარგად იქნეს შესრულებული, თუნდაც შემსრულებელმა იცოდეს დაჯგუფების დანაშაულებრივი მიზნები. თუმცა ამგვარი საგნები, უპირველეს ყოვლისა, ისეთი სამომხმარებლო საგნები, როლებიც თავისუფლად იყიდება ბაზარზე (სხვა საქმეა ცეცხლსასროლი იარაღის ან ასაფეთქებელი საშუალებების მიყიდვა). თუ ერთი ვაჭრი არ მიყიდეს აღნიშნულ ნივთებს, მაშინ სხვა მიყიდის. გამოდის, რომ ვინაიდან ვაჭარმა ეს „განზრახ" გააკეთა და „იცოდა ჯგუფის დანაშაულებრივი განზრახვა", წესდების აზრით, მას სისხლისსამართლებრივი პასუხისგებლობა უნდა დაეკისროს. გაერთიანეული დანაშაულებრივი ორგანიზაციის დოქტრინის ამგვარი განცხადება საკანონმდებლო ეშმაკობის სერიოზული მაგალითია. იყო თუ არა ამგვარი რამ, წესდების შემქმნელთა მიერ განზრახ ჩადებული ნათელი არაა. თუმცა, უდავოა, რომ ეს წინდახედულობის გამოა გაკეთებული."[365]

„დამაინტრიგებელი პრობლემა წარმოიშობა გაერთიანეული დანაშაულებრივი ორგანიზაციის კონცეფციასთან დაკავ-

[364] იხ. Jens David Ohlin, Three Conceptual Problems with the Doctrine of Joint Criminal Enterprise, Journal of International Criminal Justice 5 (2007), 69-90, Oxford University Press, 2006, p. 75.

[365] იხ. იქვე, გვ. 79.

შირებით, როგორც ეს განსაზღვრულია სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების 25-ე მუხლში, სადაც მითითებულია „სასამართლოს განსაჯობაში შემავალ დანაშაულებზე". ამგვარი ფორმულირებაა წესდების მე-5 მუხლის დასათაურებაში, რომელიც მიუთითებს ოთხ დანაშაულზე, მათ შორის, აგრესიაზე. შეიძლება თუ არა პირებს წაეყენოთ ბრალი თანამონაწილეთა მიერ ჩადენილი ომის დანაშაულებისთვის, რომლებიც გაერთიანეული დანაშაულებრივი ორგანიზაციის ფარგლებში აგრესიის განხორციელების ნაწილია და ის გაგრძელებას წარმოადგენს? მე-5(2) მუხლის თანახმად, სასამართლოს არ შეუძლია გაავრცელოს თავისი იურისდიქცია აგრესიაზე ვიდრე არსებითი გარემოებები სრულიად არ განხორციელდება. თუმცა, ომის დანაშაულების, — რომელიც გაერთიანეული დანაშაულებრივი ორგანიზაციის მიერ განსახორციელებელი აგრესიის ნაწილია, — განხორციელებისთვის პირთა მიმართ, სისხლისსამართლებრივი დევნის საწარმოებლად, სასამართლოს განსჯადობა არ გავრცელდება აგრესიაზე. ეს გამომდინარეობს იქედან, რომ 25(3) (b) (i)-ე მუხლში მოცემული ფრაზა „სასამართლოს განსჯადი დანაშაულები", მოითხოვს აგრესიის, რომ დანაშაულები განვიხილოთ გაერთიანეული დანაშაულებრივი ორგანიზაციასთან მიმართებით, რომელიც შექმნილია წესდებით გათვალისწინებული დანარჩენი სამი დანაშაულის ჩასადენად, რომლებზეც იურისდიქციის გავრცელებისას ბრალმდებელს შეუძლია მიუთითოს, რომ „მე არ მაქვს უფლებამოსილება კანონიერების არგუმენტებზე დაყრდნობით გამოვიყენო ძალაუფლება აგრესიის დანაშაულისგან განსხვავებულად."[366] ეს არაა სრულყოფილი."[367]

„გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციისთვის პასუხისმგებლობის ბუნება მნიშვნელოვანია. მაგალითად, თუ

[366] 'Letter of Prosecutor dated 9 February 2006' (Iraq), p. 3. ციტირებულია: William A. Shabas, დასახ. ნაშრომი, გვ. 218.

[367] იქვე, გვ. 218.

გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციას განვიხილავთ, როგორც პასუხისმგებლობის ძირითად ფორმას, მაშინ ორგანიზაციაში თანამონაწილენი შეიძლება იყვნენ მის გარეთ მდგომი დამხმარე და წამქეზებელი.[368] თუ ეს არის ნაწარმოები პასუხისმგებლობა, მაშინ ისინი არ იქნებიან. ამასთან, სამართლიანი სახელწოდების მიცემის პრინციპიდან გამომდინარე, გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციისთვის პასუხისმგებლობის ყოვლისმომცველი ბუნება, როგორც „განხორციელება", თავს უყრის ბრალეულობის საკმაოდ განსხვავებულ დონეებს, რაც ვერ გამოხატავს მათ შორის განსხვავებას, ვინც არიან ძირითადი თანაამსრულებლები, მაგრამ უმნიშვნელო დაყოფაა მათ საქმიანობებს შორის.და ვინც, უფრო უფრო ახლოს არიან დამხმარეებსა და წამქეზებლებთან, ვიდრე ძირითად ამსრულებლებთან. ეს ის განსაკუთრებული შემთხვევაა, როდესაც დანაშაულის განხორციელებისას თითოეულის როლის მიუხედავად, ორგანიზაციის ყველა თანამონაწილე ერთი და იგივე დანაშაულის ჩადენისთვის არიან დამნაშავენი."[369]

სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების მიღებამდე ტადიჩის საქმეში ყველაზე კომპლექსურადაა გაანალიზებული გაერთიანეული დანაშაულებრივი ორგანიზაცია. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდება გაერთიანეული დანაშაულებრივი ორგანიზაციის ანალიზის პირველი დირექტივაა. სამწუხაროა, რომ სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართ-

---

[368] *Ojanić* para. 20; *Kvočka* Appeal paras. 79-80. ციტირებულია: Robert Cryer, Håkan Friman, Darryl Robinson, Elizabeth Wolmshurst, დასახ. ნაშრომი, გვ. 308.

[369] *Blagojević and Jokić* ICTY T. Ch. 17.1.2005 para. 702, reffering inter alia to *Vasiljević* Appeal para. 111. ციტირებულია: იქვე, გვ.308.

ლოს რომის წესდება მრავალ ადგილას იმეორებს, რომ საერთაშორისო სამართლით აღიარებული ომის დანაშაული პრეცედენტულ სამართალში უნდა ვეძებოთო, იმის მაგივრად, რომ ახლიდან განსაღვროს ეს უკანასკნელი. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების 25-ე მუხლი ბუნდოვანია. ოლაინი აღნიშნულ დოქტრინასთანა მიმართებით სამ პრობლემას განიხილავს: 1) განზრახვის არაადეკვატური ინტერპრეტაცია და რა ხარისხის განზრახვაა საჭირო გაერთიანებაში დანაშაულებრივი წვლილის შეტანისას; 2) დამაბნეველი პასუხისმგებლობის დაწესება პირისთვის თანამზრახველთა „წინასწარგანჭვრეტადი" ქმედებისთვის და 3) პასუხისმგებლობის ძირითადი პრინციპის დარღვევა, რომელიც გულისხმობის პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებას მხოლოდ საკუთარი ბრალისთვის.[370]

„რაც შეეხება II კატეგორიის გაერთიანებულ დანაშაულებრივ ორგანიზაციას, აქ სიტუაცია არაა ნათელი და ამ კატეგორიის გაგებაზეა დამოკიდებული. II კატეგორიის გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია არ შეიძლება განვიხილოთ თანაამსრულებლობად ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების მე-7(1) მუხლის ან საერთაშორისო სისხლის სამართლის სასამართლოს წესდების 25(3)(a)-ე მუხლის მიხედვით. ამის მიუხედავად, II კატეგორიის გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია (ფართო გაგებით) და III კატეგორიის გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია სტურქტურულად შეიძლება დავახარისხოთ, როგორც დანაშაულებრივი დაჯგუფების დახმარების ან წაქეზების ფორმებად, რომლებიც უშუალოდ

[370] იხ. Jens David Ohlin, Three Conceptual Problems with the Doctrine of Joint Criminal Enterprise, Journal of International Criminal Justice 5 (2007), 69-90, Oxford University Press, 2006, pp. 70-71.

არაა ასახული ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების მე-7(1) და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების 25(3)-ე მუხლებში. ამ გარემოებათა გათვალისწინებით, II და III კატეგორიის გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია შეიძლება მოვიაზროთ „სხვაგვარად დახმარების და წაქეზების" ფორმულაში, თუკი ჩვენ „სხვაგვარს"[371] განვმარტავთ, როგორც დანაშაულის კოლექტიურად განხორციელებაში ნებისმიერ თანამონაწილეობას. დახმარება და წაქეზება, როგორც ეს გაგებულია ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს წესდების მე-7(1) მუხლსა და სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების 25(3)(c)-ე მუხლში, განსხვავდება II და III კატეგორიის გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის mens reas-სგან. ეს უკანასკნელი, სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების 30-ე მუხლის მიხედვით, მოითხოვს, ერთი მხრივ, ცოდნას[372] და განზრახვას, მეორე მხრივ, ქმედებას, რომელიც „დანაშაულისთვის ხელშეწყობის მიზნითაა განხორციელებული." გამოდის რომ, ერთადერთ ფორმად, რომელიც შეესაბამება II და III კატეგორიის გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციას, არის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების 25(3)(d)-ე მუხლში მოცემული კოლექტიური პასუხისმგებლობა."[373]

---

[371] Contrary to the '*Ojdanić Dicision*', *supra* note 4, § 19 the term 'otherwise' does not suggest that the modes of liability set out in Art. 7(1) are not exhaustive; correctly Powles, *supra* note 62, at 611. ციტირებულია: Kai Ambos, დასახ. ნაშრომი, გვ. 172.

[372] See also Powles, *supra* note 62, at 612-613 seeing an incompatibility of aiding and abetting and JCE III. ციტირებულია: იქვე, გვ.172.

[373] დასახ. ნაშრომი, გვ. 172.

ამბოსი შეუძლებლად მიიჩნევს ერთდროულად ცოდნისა და წინაწარგანჭვრეტადობის არსებობას. ბრალდებულმა ან იცის, რომ შედეგი დადგება, ან წინასწარგანჭვრეტს, რომ შედეგი დადგება. ორივე ერთდროულად ლოგიკურად შეუძლებელია. ცოდნა განზრახი დანაშაულებისთვისაა ტიპიური (იხ. სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს რომის წესდების 30-ე მუხლი), როდესაც წინაწარგანჭვრეტადობა ეკუთვნის მოძღვრებას თვითიმედოვნების (recklessness) ან დაუდევრობის (negligence) შესახებ. ერთადერთი გამოსავალი ამ ჩიხიდან ისაა, რომ წინაწარგანჭვრეტადობა განვიხილოთ ობიექტურ მოთხოვნად (გონიერი ადამიანის სტანდარტის გაგებით) და ცოდნა უნდა დარჩეს პასუხისმგებლობის (ერთადერთი) სუბიექტური ანუ ინტელექტუალური ეტალონი.[374] შეიძლება ითქვას, რომ III კატეგორიის გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის მთელი არსი გამოიხატება შემდეგში: თანამონაწილემ უნდა იცოდეს, რომ განსახილველი დანაშაულები, ჩვეულებისამებრ, ხორციელდება ამ გაერთიანებაში.[375]

დასკვნა

წარმოდგენილი მასალის მიმოხილვა საშუალებას იძლევა გავაკეთოთ გარკვეული დასკვნები, რომელიც უფრო ნათელს გახდის გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის არსს.

უპირველეს ყოვლისა, აღსანიშნავია გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის კომპილაციური, ჰიბრიდული ხასიათი. ამგვარი ხასითის არსებობა ბუნებრივიცაა, რადგან

[374] This view was indeed taken recently – after having finalized this paper – by the *Krajič nik Trial Judgment, supra* note 3, § 882. ციტირებულია: იხ. Kai Ambos, დასახ. ნაშრომი, გვ. 175.

[375] იხ. იქვე, გვ. 174-175.

საერთაშორისო დონეზე სხვადასხვა სამართლებრივი სისტემების თავისებურებათა შერწყის მცდელობას გვერდს ვერ ავუვლით, სულ მცირე, ორი მიზეზის გამო: პირველი, საერთაშორისო სისხლის სამართალი ყოველთვის სხვადასხვა სახელმწიფოთა ერთობლივი ძალისხმევითა და კომპრომისით იქმნება. მეორე, საერთაშორისო სისხლის სამართლის მოსამართლეები სხვადასხვა სამართლებრივი სისტემების გავლენას განიცდიან, თავიანთი იურიდიული განათლების გამო, რაც საკმაოდ დიდ გავლენას ახდენს მოსამართლის შინაგან რწმენასა და, შესაბამისად, კანონის ინტერპრეტაციაზე. ამასთან, უნდა აღინიშნოს, რომ გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის ბუნებაში წამყვანი როლი, მაინც საერთო სამართალს ეკუთვნის. ეს გარკვეულწილად იმითაცაა განპირობებული, რომ გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია ანგლო-ამერიკული სამართლის სისტემის „პირმშოა". სწორედ ამიტომაა, რომ „ადრინდელი და ახლანდელი სასამართლო პრაქტიკა გვიჩვენებს შემდეგს: გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია ეყრდნობა ანგლო-ამერიკულ პრინციპებს და ამგვარადაც იქნა გამოყენებული."[376] იურიდიულ ლიტერატურაში მართებულადაა მითითებული, რომ „გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის დანაშაულში თანამონაწილეობის ფორმად განხილვა რომანულ-გერმანული სამართლის საწყისების უარყოფას არ ნიშნავს, ვინაიდან რომანულ-გერმანული სამართალი არ გამორიცხავს თანაამსრულებლობის განხილვას თანამონაწილეობის ფორმად. ამასთან, გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია პასუხისმგებლობით უფრო დიდი დონეა, ვიდრე დახმარება და წაქეზება."[377] მაშასადამე, გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციისთვის პასუხისმგებლობა განვითარდა, როგორც სხვადასხვა სამარ-

[376] Elies van Sliedregt, დასახ. ნაშრომი, გვ. 202.

[377] იქვე, გვ.202.

თლებრივი სისტემებიდან ნასაზრდოები ცნება. კერძოდ, რომანულ-გერმანულმა და ანგლო-ამერიკულმა სამართლებრივმა სისტემებმა განაპირობა გაერთიანეული დანაშაულებრივი ორგანიზაციის ჰიბრიდულობა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ იგი უფრო საერთო მიზნის ანგლო-ამერიკულ დოქტრინას მოგვაგონებს, რასაც ამტკიცებს ადრინდელი და ახლანდელი პრეცედენტული სამართალი.

მეორე, წარმოდგენილი საკითხის კვლევისას, ერთ-ერთი უმთავრესია შეკითხვა: მაინც რამ განაპირობა გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის კონცეფციის განვითარება? გაერთინებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის კონცეფციის განვითარება უფრო პრაგმატული მოსაზრებებითაა ნაკარნახები, რომელსაც საფუძვლად მტკიცებულებათა აღმოჩენის სირთულე უდევს. ამგვარი მოსაზრება იურიდიულ ლიტერატურაშიცაა დაფიქსირებული. მაგალითად, ოლაინი მიუთითებს: „ალბათ, გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის განვითარების ერთ-ერთი მიზეზი საკმარის მტკიცებულებათა შეკრების სირთულეა, რომელიც დიდი დანაშაულებრივი ორგანიზაციის საზღვრებში ბრალეულობის ინდივიდუალური გარემოებების შექმნისთვისაა საჭირო."[378] ამასთან, გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის მთელი არსი ისიაცაა, რომ ამგვარ დაჯგუფებაში შემავალი დამნაშავეების საერთო განზრახვასთან აკავშირებს იმ დამნაშავეებს, ვისაც ფიზიკურად არ მიუღიათ მონაწილეობა კონკრეტული დანაშაულის განხორციელებაში.

მესამე, არანაკლებ მნიშვნელოვანია ინდივიდუალური, ბრალეული პასუხისმგებლობის და კანონიერების პრინციპებთან გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის მიმართება. აშკარაა, რომ გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგა-

[378] J. D. Ohlin, The Co-Perpetrator Model of Joint Criminal Enterprise, Annotated Leading Cases of International Criminal Tribunals, Vol. 14, 2008, p. 742.

ნიზაციის ცნება კრიტიკის საგანი, სწორედ ამ პრინციპებთან მისი მიმართების გამო გახდა. სწორია მოსაზრება, რომ გაერთიანებულმა დანაშაულებრივმა ორგანიზაციამ „გააფართოვა ინდივიდუალური პასუხისმგებლობის საზღვრები. კერძოდ, მეორე და მესამე კატეგორიის გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია გაკრიტიკებული იყო კოლექტიური პასუხისმგებლობის საზღვრების გამო, მას შემდეგ, რაც ჩადენილ დანაშაულში ფაქტიურად შეტანილ წვლილს გადააჭარბა დანიშნულმა სასჯელმა."[379] ჩანს, რომ გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის ცნების შემოღებით ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპის პარალელურად ჩნდება კოლექტიური პასუხისმგებლობის პრინციპი, რაც ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპს ძირს უთხრის. აღნიშნული პრინციპების დარღვევა კარგად ჩანს მესამე კატეგორიის გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის შემთხვევაში, სადაც გადამწყვეტია არა კონკრეტული ქმედება და განზრახვა, არამედ საკმაოდ ბუნდოვანი „წინასწარგანჭვრეტადობის" ცნება. ამას ემატება ისიც, რომ გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის მთავარი „საერთო გეგმის" ელემენტი, ზუსტად არ არის განმარტებული.

კვლევის შედეგად დავინახეთ, რომ „მეორე კატეგორიის გაერთიანებულ დანაშაულებრივ ორგანიზაციასთან, მაშინ გვაქვს საქმე, როდესაც დანაშაულები ჩადენილია სასტიკი მოპყრობის ისეთ სისტემაში, როგორიცაა პატიმართა ბანაკები. ტადიჩის საქმეზე სააპელაციო პალატა თვლიდა, რომ actus rea, სასტიკი მოპყრობის სისტემაში განხორციელებულ იძულებით მოქმედებაში აქტიური მონაწილეობა, გამომდინ-

[379] Elies van Sliedregt, დასახ. ნაშრომი, გვ. 188.

არეობს ბანაკის ხელმძღვანელობის თანამდებობიდან.[380] ეს საკმაოდ ფართო ტესტია, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც პირს გააზრებული აქვს mens rea, სასტიკი მოპყრობის შესახებ გააჩნია ინდივიდუალური ცოდნა და შეიძლება დადასტურდეს, რომ ამის შესახებ „ხელმძღვანელი თანამდებობის მქონე ბრალდებულის გონივრული დასკვნა გაეკეთებინა".[381] ამრიგად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უნდა დამყარებულიყო, უპირველეს ყოვლისა, პიროვნების მდგომარეობაზე, რომელიც არღვევს სისხლის სამართლის ისეთ ფუნდამენტურ პრინციპს, როგორიცაა მაქსიმა „არავითარი ბრალეულობა კანონის პერსონალური დარღვევის გარეშე". კრნოჯელაკის (Krnojelac) საქმეზე სასამართლო პალატამ უარი განაცხადა მეორე კატეგორიის გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის „დასკვნის გაკეთების ტესტის" გამოყენებაზე და სანაცვლოდ დაეყრდნო პირველი კატეგორიის გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის საბაზისო მოთხოვნებს."[382]

„მესამე კატეგორიის გაერთიანებულმა დანაშაულებრივმა ორგანიზაციამაც იგივე ეჭვები გამოიწვია, განსაკუთრებით „გარეშემყოფთა" მიმართ. დანერი და მარტინეცი (Danner and Martinez) ამტკიცებენ, რომ გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის გაფართოებულმა ფორმამ, ე.ი. მესამე კატეგორიის გაერთიანებულმა დანაშაულებრივმა ორგანიზაციამ, შეიძლება მიგვიყვანოს, ასოციაციის ბრალთან, ვინაიდან გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის დაბალი დონის წევრებს შეიძლება დაეკისროთ

[380] *Tadić* Appeal Judgment, *supra* note 4, § 203. ციტირებულია: იქვე, გვ. 188.

[381] *Ibid*, § 228. ციტირებულია: Elies van Sliedregt, დასახ. ნაშრომი, გვ. 188.

[382] Judgment, *krnojelac* (IT-97-25-T), Trial cember I, 15 March 2002, § 78 (hereinafter *Krnojelac* Judgment). ციტირებულია: იქვე, გვ. 188.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა გართიანების მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულისთვის.[383] ოზიელი (Osiel) უფრო მეტი კრიტიკულობით გამოირჩევა, ვიდრე დანერი და მარტინეცი და შენიშნავს, რომ საერთაშორისო სამართლის კუთხით, გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციისთვის დაწესებული პასუხისმგებლობა აფართოებს მორალური ბრალეულობის საზღვრებს."[384]

„გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის პასუხისმგებლობის შეზღუდვის უახლესი მცდელობა შედგა სასამარლო პალატის მიერ ბრჟანინის (Brđanin) საქმის განხილვისას.[385] სასამართლო პალატამ ნათლად მიუთითა, რომ გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციისთვის პასუხისმგებლობა მოითხოვს გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის ამსრულებელსა ('physical/actual perpetrator) და თანამონაწილეს ('non-physical pepetrator/participant) შორის შეთანხმებას. ამგვარი კავშირი ზუსტად უნდა იყოს განსაზღვრული. ამასთან შეთანხმება უნდა იყოს თანამონაწილეებს შორისაც. მაგალითად, სერბიელთა ლიდერობა ვერ აკმაყოფილებს „შეთანხმების მოთხოვნას" გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის პასუხისმგებლობისთვის.[386] გამოდის, რომ გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია არ შეიძლება გამოყენებული იყოს როგორც ფართო პასუხისმგებლობის თეორიად მასშტაბიანი გაერთიანები-

[383] Martinez and Danner, *supra* note 12, at 137. ციტირებულია: Elies van Sliedregt, დასახ. ნაშრომი, გვ. 188.

[384] M.J. Osiel, 'The banality of Good: Aligning Incentives against Mass Atrocity', 105 *Columbia Law Review* (2005) 1751-1862, at 1772. ციტირებულია: იქვე, გვ. 188.

[385] See for elaborate account and commentary: K. Gustafson, 'The requirmnet of an 'Express Agreement' for Join Criminal Enterprise Liability' in this Symposium. ციტირებულია: იქვე, გვ. 188.

[386] Judgment, *Brđanin* (IT-99-36-T), Trial Chember I, 1 September 2004, § 347 (hereinafter *Brđanin* Judgment). ციტირებულია: იქვე, გვ.188.

სთვის, რომლისთვისაც ბრალდებულები სტრუქტურულად შორს არიან დანაშაულის ფაქტიური ჩადენის ადგილიდან. ფრიად გასაკვირია, რომ სასამართლო პალატამ მილოშევიჩის საქმეზე გაერთიანებულ დანაშაულებრივ ორგანიზაციისა და მეთაურთა პასუხისმგებლობის პრობლემაზე მოითხოვა amicus curiae დასკვნები.[387]

მაშასადამე, გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის ძირითადი იდეა ისაა, რომ ის ვინც შეურთდება დანაშაულებრივი ორგანიზაციის ერთობას, თუნდაც მათ ფიზიკურად არ ჩაედინოთ დანაშაული, კოლექტიურად პასუხისმგებელნი არიან აღნიშნული ორგანიზაციის წევრების მიერ ჩადენილი დანაშაულებისთვის. მეორე და მესამე კატეგორიის გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის ცნება საერთაშორისო სისხლის სამართალში არც ერთი საკანონმდებლო აქტით მოწესრიგებული არ არის, რის გამოც მათი გამოყენება არღვევს კანონიერების პრინციპს.

მეოთხე, საერთაშორისო სასამართლოების მიხედვით, გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის სამი კატეგორია გამოიყოფა: ძირითადი, სისტემატური და გაფართოებული, რომელთაგან ყველაზე სადავო მესამე კატეგორიაა.

მეხუთე, ასევე განხილვის საგნად არის ქცეული შემდეგი საკითხი: არის თუ არა თავისთავად გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის არსებობა დანაშაული ანუ გაურკვეველია გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია დანაშაულია თუ პასუხისმგებლობის ფორმა. აზრთა სხვადასხვაობის მიუხედავად, აშკარაა, რომ გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია დანაშაული ვერ იქნება,

[387] Order on *Amicus Curiae* observations *proprio motu* on the desirability of submissions on the alternative basis of individual criminal responsibility alleged in the case and ond the issue of traials in absentia, *Milošević* (IT-02-54-T), 1 july 2005. ციტირებულია: Elies van Sliedregt, დასახ. ნაშრომი, გვ. 189.

რადგან ეს კანონის ანალოგია იქნებოდა ანუ ტრიბუნალებს უნდა შეეტანათ წესდებაში ახალი დანაშაული, რისი უფლებაც მათ არ აქვთ. თუმცა ისიც, უნდა აღინიშნოს, რომ ტრიბუნალების მიერ კანონის საკმაოდ ფართო ინტერპრეტაციამ, ხშირად ეჭვქვეშ დააყენა კანონიერების პრინციპი და ამან საფუძველი მისცა მეცნიერებს განეცხადებინათ, რომ გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია პასუხისმგებლობის ფორმა კი არა, არამედ დანაშაულია, რის გამოც გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის კონცეფცია მოგვაგონებს შეთქმულების კანონს. როგორც უკვე აღინიშნა, გაერთინებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია, როგორც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ფორმა, პირველად ნათლად იქნა ფორმულირებული ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სააპელაციო პალატის მიერ ბრალდებულ ვ. დუსკო ტადიჩის საქმეზე გამოტანილ გამამტყუნებელ განაჩენში. სააპელაციო სასამართლომ განსაზღვრა მოცემული ფორმის პასუხისმგებლობის ელემენტები: 1) პირთა სიმრავლე; 2) ერთობლივი გეგმის არსებობა, რომლის დანიშნულებაა ან მიზანია წესდებით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენა; 3) ბრალდებულის მონაწილეობა ერთობლივ გეგმაში, რითაც ხორციელდება წესდებით გათვალისწინებული დანაშაულები.[388]

მეექვსე, საინტერესოა ასევე თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობის ერთმანეთისგან გამიჯვნა, რომელიც ყველაზე დასაბუთებულადაა მოცემული გერმანულ დოქტრინაში, რომელიც ქმედებაზე ფუნქციონალური ბატონობის სახელითაა ცნობილი (funktionalle Taterrschaftslehre). „ტადიჩის საქმეზე სააპელაციო პალატამ გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია წინააღმდეგობრივად ახსნა. ერთი მხრივ, პალატამ კონცეფცია წარმოგვიდგინა „განხორციელების" დასათაურებით და გამიჯნა იგი დანაშაულში დახ-

[388] იხ. Mohamed Suma, დასახ. ნაშრომი.

მარებისა და დანაშაულის წამქეზებლობისგან, რომლებიც, უმეტესწილად, მოხსენიებული იყო ტერმინით დანაშაულში „თანამონაწილეობა“,[389] რომელიც „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ნაკლებ ხარისხს“ აწესებდა.[390] მეორე მხრივ, საერთო მიზანი/გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია მოიხსენია თანამონაწილეობის ფორმად.[391] საქმეს ართულებს ისიც, რომ შემდეგში ყოფილი იუგოსლავიის სისხლის სამართლის საერთაშორისო სასამართლოს სააპელაციო პალატამ გაერთიანებულ დანაშაულებრივ ორგანიზაციაში თანამონაწილეობასთან მიმართებით გამოიყენა ტერმინები „ამსრულებელი“ და „თანაამსრულებლობა“.[392] „საერთო მიზნის/გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის წინააღმდეგობრივი ბუნება რომანულ-გერმანული და საერთო სამართლის ჰიბრიდული მემკვიდრეობიდან მომდინარეობს. თანაამსრულებლობა (co-perpetration) რომანულ-გერმანული სამართლის ცნებაა, რომელიც დანაშაულის ჩადენასთან უშუალოდ დაკავშირებული პირის დანაშაულში უბრალოდ დამხმარისაგან გასამიჯნად გამოიყენება. ამ უკანასკნელის მიერ შეტანილი წვლილისთვის მაქსიმალურთან შედარებით დაბალი სასჯელი ინიშნება. დამნაშავეთა ამგვარი კატეგორიზაცია სასამართლობის მიერ შექმნილ პრეცედენტულ სამართალში რომანულ-გერმანული სამართლის მიხედვით შემოვიდა. პირიქით, გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაცია საერთო სამართლის მიხედვით, თანამონაწილეობისთვის პასუხისმგებლობის ფორმაა. თანაამსრულებლობისა და გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის თაობაზე ამგვარი უწესრიგობის გამო, ეს ორი ცნება შემდგომი სასამართლო გადაწყვეტილებებსა და

---

[389] In this it relied on the text of Art. 2(3)(c) of the International Convention for the Suppression of Terrorist Bombing, See *Tadić* Appeal Judgment, *supra* note 4, § 221. ციტირებულია: Elies van Sliedregt, დასახ. ნაშრომი, გვ. 189.

[390] *Ibid*, § 192. ციტირებულია: იქვე, გვ. 189.

[391] *Ibid*, § 202. ციტირებულია: იქვე, გვ. 189.

[392] *Ibid*, § 192. ციტირებულია: იქვე, გვ. 189-190.

პროცესებზე კონკურირებადი ახსნა-განმარტების საგნად იქცა."[393]

დასასრულ, გაერთიანებული დანაშაულებრივი ორგანიზაციის დოქტრინის ერთ-ერთი უმთავრესი ნაკლი წინასწარგანჭვრეტადობის არასრულყოფილი და ბუნდოვანი დამუშავებაა. ბრალდებულებს მაშინაც შეიძლება დაეკისროთ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, როდესაც ქმედებები წინასწარ არ იყო შეთანხმებული, თუმცა შეთანხმებული განზრახი დანაშაულებისთვის თანმდევი შეუთანხმებელი განზრახი დანაშაულები წინასწარგანჭვრეტადი იყო. წინასწარგანჭვრედატობის განზრახვის პარალელურად მოაზრება, ასევე ბუნდოვანია. კვლევის შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ წინსასწარგანჭვრეტადობა მხოლოდ ობიექტური ტესტია, რის გამოც სუბიექტური შერაცხვის პრინციპი ილახება.

[393] Elies van Sliedregt, დასახ. ნაშრომი, გვ. 190.

მეორე კარი

ტრეფიკინგის სისხლისსამართლებრივი, კრიმინოლოგიური და სასამართლო პრაქტიკული ანალიზი



http://soroptimistvista.org/stop_trafficking

გურამ ნაჭყებია
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი

თავი I

ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მეთოდოლოგიური საკითხები

შესავალი

ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მეთოდოლოგიური საკითხები, სამწუხაროდ, სათანადოდ არაა შესწავლილი. ამდენად, ჩვენ ვცდილობთ, მოკლედ მაინც განვიხილოთ ამ დანაშაულის არსის, მიზეზის, შედეგის, ჩადენის ფსიქიკური საზრისის, ჩადენის ხერხების ანუ მისი შემადგენლობის, მართლწინააღმდეგობისა და ბრალის მეთოდოლოგიური საკითხები. ყურადღებას მივაქცევთ აგრეთვე ადამიანის ფილოსოფიურ პრობლემას, რადგან ტრეფიკინგი (ადამიანებით ვაჭრობა) ადამიანის არსის ფილოსოფიური გაგების გარეშე სწორად ვერ იქნება გაგებული. ამ მხრივ ყურადღებას მივაქცევთ ღირებულების აქსიოლოგიურ პრობლემას, რადგან ამ პოზიციიდან ადამიანი არის მიზანი, როგორც უპირობო ღირებულება, და არა მხოლოდ საშუალება (ი. კანტი). ფილოსოფიური ანთროპოლოგიის გარეშე შეუძლებელია იმის გაგება, თუ რა აზრი ჰქონდა და აქვს დღესაც ადამიანის მიერ ადამიანის, ან სახელმწიფოს მიერ ადამიანის ექსპლოატაციას.

ტერმინი „ტრეფიკინგი“ ინგლისურია და სიტყვასიტყვით გაგებულია როგორც ადამიანებით ვაჭრობა. საქართველოს კანონში „ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ“ (2006 წლის 28 აპრილი) ტრეფიკინგი ადამიანებით ვაჭრობასთანაა გაიგივებული. ამ კანონის მე-3 მუხლში განმარტებულია ტერმინები, მათ შორის ტრეფიკინგი, როგორც ადამიანებით ვაჭრობა. მაგრამ საქმე ისაა,

რომ ამ განმარტებიდან ტრეფიკინგის უფრო ფართო შინაარსი გამომდინარეობს, ვიდრე ადამიანებით ვაჭრობა. კერძოდ, ტრეფიკინგის ხერხები ადასტურებს, რომ ტრეფიკინგი ადამიანებით ვაჭრობასაც გულისხმობს, მაგრამ მასზე არ დაიყვანება. როგორც სწორად აღნიშნავს გ. მამულაშვილი, არ არსებობს ტრეფიკინგის უნივერსალური ცნება, მაგრამ ადამიანით ვაჭრობასთან ტრეფიკინგის გაიგივება, მისივე აზრით, არასწორია.[1]

ტერმინი „ტრეფიკინგი" ადამიანებით ვაჭრობადაა გაიგივებული ერთ-ერთ სახელმძღვანელოში სასამართლო სტრუქტურის წარმომადგენლებისათვის.[2] ცხადია, ტრეფიკინგი, როგორც უკვე ითქვა, ადამიანებით ვაჭრობასაც მოიცავს. დ. ჯულუხაძე სწორად აღნიშნავს, რომ ტრეფიკინგი, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 143[1]-ე მუხლის თანახმად, უპირველეს ყოვლისა, შეიძლება გამოვლინდეს ადამიანის ყიდვა-გაყიდვაში.[3] თუმცა ავტორი არც იმას უგულებელყოფს, რომ ტრეფიკინგი ადამიანის შრომით თუ სექსუალურ ექსპლუატაციაში ჩაბმასაც გულისხმობს. არსებობს მთელი რიგი დოკუმენტებისა, რომლებშიც სხვადასხვა კუთხითაა განხილული ტრეფიკინგის გამოვლინებანი და მათთან ბრძოლის ღონისძიებანი. ასეთებია, მაგალითად: საქართველოს პარლამენტის მიერ რატიფიცირებული ბავშვის უფლებების კონვენციის დამატებითი ოქმი (2002 წლის 27 სექტემბერი); ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ოქმი (2006 წლის 7 ივნისი); ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ (2006 წლის 22 დეკემბერი) და სხვა.

---

[1] გ. მამულაშვილი, სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფისათვის, „მართლმსაჯულება და კანონი," თბ., 2006, № 2, გვ. 56.

[2] ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სისხლის სამართლის დანაშაულის სასამართლო განხილვა, თბ., 2008.

3 დ. ჯულუხაძე, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ტრეფიკინგისთვის, თბ., 2006, გვ. 9.

როგორც აღნიშნულია, 2000 წლამდე არ არსებობდა ტრეფიკინგის იურიდიული დეფინიცია, რომელიც საყოველთაოდ იქნებოდა მიღებული. 2002 წელს ქალაქ პალერმოში მსოფლიოს სახელმწიფოებმა ხელი მოაწერეს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენციას და ამასთან ერთად, ოქმს „ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების, ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ", რომელიც იქცა ადამიანთა ტრეფიკინგის დანაშაულის დეფინიციის შემცველ პირველ საერთაშორისო იურიდიულ დოკუმენტად.[4] გარდა ამისა, არსებობს ლიტერატურა ტრეფიკინგის შესახებ.[5]

§ 1. ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მიზეზები და ხელშემწყობი პირობები

ადამიანების ტრეფიკინგი რთული, მრავალმხრივი დანაშაულია, რომლის მიზეზების, ხელშემწყობი პირობებისა და თავიდან აცილების პრობლემა რთული, მრავალმხრივი

[4] ნ. ბაქაქური, ოჯახური ძალადობა და ადამიანთა ტრეფიკინგი, თბ., 2004, გვ. 84.

[5] მაგალითად, ნ. თოდუა, ადამიანებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), „სისხლის სამართლის კერძო ნაწილი", თბ., 2006, გვ. 193-211; გ. ღლონტი, „ადამიანებით ვაჭრობა საქართველოში", თბ., 2005; Глонти Г. Торговля людьми с целью сексуальной эксплуатации: Реалии и перспективы, Криминологический анализ проституции, порнобизнеса и трефикинга, Тб., 2004; Т. Долголенко, Уголовная ответственность за торговлю людьми, „Уголовное право" 2004, № 2.; გ. ლობჟანიძე, ტრეფიკინგის სამართლებრივი ასპექტები, თბ., 2006; მისივე, საერთაშორისო ორგანიზაციები, დამნაშავეობის ზოგიერთი პრობლემა, თბ., 2002; კრიმინოლოგია, თ. წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, თბ., 2008.; მ. ტურავა, ადამიანებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), „სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი", დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, თბ., 2008; ზ. წულაია, კრიმინოლოგია, ზოგადი და კერძო ნაწილი, თბ., 2005 და სხვა.

კრიმინოლოგიური პრობლემაა. გასაგებია, რომ აღნიშნული პრობლემა ვრცელ მსჯელობას მოითხოვს, ხოლო ჩვენ ამ პრობლემას მოკლედ და ისიც ამ დანაშაულის სუბიექტურ მხარესთან კავშირში განვიხილავთ. კერძოდ, რა არის ტრეფიკინგის, როგორც დანაშაულის, მოტივი, ანუ ფსიქიკური საზრისი. დავას არ იწვევს, რომ ტრეფიკინგის წამყვანი მოტივი არის ანგარება, თუმცა არაა გამორიცხული მისი ჩადენა სხვა მოტივითაც. ასეთად შეიძლება დავასახელოთ, მაგალითად: შური, შურისძიება,[6] კონკრეტული პირის პატივისა და ღირსების დამცირება და სხვა. მაგრამ მატერიალისტური ფილოსოფიის თანახმად, მოტივი, როგორც ნებისმიერი ქცევის ფსიქიკური საზრისი, გარესამყაროს მოვლენების ზემოქმედების გარეშე არ ჩნდება. მეორენაირად რომ ვთქვათ, ადამიანის ქცევა სათანადო მოთხოვნილების გარეშე არ ხორციელდება. მოთხოვნილება არის ცოცხალი ორგანიზმის, მათ შორის, ადამიანის, აქტივობის წყარო. მაგრამ შესაძლებელია მოთხოვნილება ქცევაში უშუალოდ გადავიდეს ისე, რომ ამ შემთხვევაში ქცევის მოტივაცია საჭირო არ გახდეს. ასეთ ქცევას აკად. დ. უზნაძის ფსიქოლოგიურ მოძღვრებაში იმპულსური ქცევა ჰქვია, რადგან ამ მიმართებით ქცევას უშუალოდ მოთხოვნილების იმპულსი წარმართავს და იგი ცნობიერების საგანგებო ჩარევის გარეშეც ხორციელდება. მაგალითად, ქუჩაში ადამიანს შეუძლია მოწიოს თამბაქო იმგვარად, რომ ცნობიერება სულ სხვა საგანზე მიმართოს, მაგალითად: ესაუბროს ნაცნობს და იკამათოს მასთან, მაგრამ იგივე ადამიანს ოფიციალურ სამთავრობო სხდომებზე, თეატრალურ წარმოდგენებზე თუ სტუდენტურ აუდიტორიებში, თამბაქოს წევის მოთხოვნილების შეკავება მოუწევს და ამას იგი ნებისყოფის მეშვეობით მოახერხებს. ასეთ ქცევას კი აკად. დ. უზნაძე ნებისმიერ ქცევას უწოდებს. ასეთ შემთხვევაში მოთხოვნილება ქცევაში პირდაპირ და უშუალოდ კი არ გადადის, როგორც ეს ხდება იმპულსური ქცევისას, არამედ მოტივაციის გაშუალებით. მოტივაცია ეხება იმას, თუ რა ხე-

[6] დ. ჯულუხაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 24.

რხებით დაკმაყოფილდეს ეს მოთხოვნილება. აკად. დ. უზნაძე წერდა „ფსიქოლოგიაში ნებისმიერი მოქმედების საბუთს ანუ საფუძველს მოტივს უწოდებენ. მაშასადამე, სანამ ადამიანი რაიმეს გადაწყვეტდეს, მან სათანადო მოტივების ძებნა უნდა დაიწყოს: გადაწყვეტის აქტს მოტივაციის პროცესი უძღვის წინ.“[7]

უნდა ითქვას, რომ მოტივი და მოტივაცია ანუ რაიმე გადაწყვეტილების ფსიქოლოგიური დასაბუთება, გარეფაქტორების ზეგავლენის გარეშე არ ხდება. მეორენაირად რომ ვთქვათ, არსებობს მოტივაციის, როგორც ადამიანის შინაგანი ფსიქიკური პროცესის, გარეგანი მიზეზი, რომელიც სუბიექტის ნებისაგან დამოუკიდებელ ობიექტურ სამყაროში მდებარეობს. იგულისხმება ადამიანის ქცევის მიზეზი, რომელიც, როგორც წესი, მოტივაციის გავლით იწვევს ადამიანის ამა თუ იმ ქმედებას. სწორედ ესაა ადამიანის თავისუფლების ფსიქოლოგიური პირობა. კერძოდ, მიზეზი ადამიანის საქციელს ფატალისტურად, სათანადო მოტივაციის გარეშე, არ განსაზღვრავს. ეს ეხება ტრეფიკინგსაც, როგორც დანაშაულებრივი ქმედების ობიექტური და სუბიექტური მხარეების განსაზღვრულ ერთიანობას. პროფ. ბ. ხარაზიშვილი მართებულად წერდა, რომ მიზეზი „ობიექტური ხასიათისაა მაშინაც, როცა იგი ადამიანის მოქმედებას უკავშირდება, მაგრამ რამდენადაც ნებისმიერ ქცევას უშუალოდ მოტივი აღძრავს და ეს უკანასკნელი ქცევის წარმმართველად ფუნქციობს, ამიტომ დანაშაულობათა მიზეზების პრობლემა ამ კუთხით შესწავლას მოითხოვს.“[8] ავტორი მართებულად აღნიშნავდა, რომ „დანაშაულებრივი ქმედების ობიექტური წანამძღვრები ყოველთვის გარე სინამდვილეში უნდა ვეძიოთ.“[9]

როგორც ვხედავთ, ავტორი მეთოდოლოგიურად სავსებით

---

[7] დ.უზნაძე, ზოგადი ფსიქოლოგია, თბ., 1998, გვ. 203.

[8] ბ. ხარაზიშვილი, კრიმინალისტიკა, თბ., 1969, გვ. 492.

[9] იქვე, გვ. 485.

სწორ პოზიციაზე იდგა, როდესაც იგი ადამიანის ქმედებას ობიექტურისა და სუბიექტურის (მიზეზისა და მოტივის) ერთიანობად წარმოაჩენდა. ამ პოზიციიდან კი იგი მკაცრად აკრიტიკებდა იმ კომუნისტურ იდეოლოგიას, რომლის თანახმად, საბჭოთა კავშირში დანაშაულების ობიექტური პირობები თითქოს მოსპობილია და რომ დანაშაულის მიზეზი ცალკეული ადამიანში (კაპიტალიზმის გადმონაშთების სახით) არსებობს. ეს დებულება არა მარტო არამეცნიერული, არამედ ანტიმარქსისტულიც გახლდათ. კერძოდ, მარქსიზმი ადამიანის ცნობიერებას მისივე ყოფიერებას უკავშირებდა. აქედან გამომდინარე, თუ სოციალიზმის დროს დანაშაულის ობიექტური სოციალური მიზეზები არ არსებობს, მაშინ დანაშაული ბიოლოგიური მოვლენა ყოფილა, ხოლო ეს მარქსიზმისათვის პრინციპულად მიუღებელია. პროფ. ბ. ხარაზიშვილი წერდა, რომ მიზეზი ადამიანის მიმართაც იწვევს აუცილებელ შედეგს, მაგრამ ეს შედეგი მოტივის სახითაა ხოლმე მოცემული ნებისმიერი ქცევის შემთხვევაში და ის ასრულებს წამყვან როლს. მისი აზრით, „დანაშაულის ჩადენის ობიექტური მიზეზი ცნობიერებით არის დაკავშირებული მოტივაციის პროცესთან.“[10]ამდენად თუ დანაშაულებრივი ქმედების ობიექტური მხარის დახასიათებისას არსებითია ყურადღების გამახვილება დანაშაულის გამომწვევ მიზეზსა და პირობებზე, „დანაშაულის სუბიექტური მხარის დადგენა აუცილებლად გულისხმობს დანაშაულებრივი ქცევის მოტივის შესწავლას.“[11]

უფრო მეტიც, ავტორი ყურადღებას აქცევდა იმ ზოგად დებულებას, რომ ადამიანის ქცევა მოთხოვნილების გარეშე არ ხორციელდება, ხოლო მოთხოვნილება ყოველთვის რაიმეს დანაკლისის სახით განიცდება. აქედან გამომდინარე, ავტორი დანაშაულის კონკრეტულ მიზეზად ასახელებს მოთხოვნილების საგანთან ინდივიდის დამოკიდებულებას.

---

[10] ბ. ხარაზიშვილი, კრიმინალისტიკა, თბ., 1969, გვ. 497.

[11] იქვე, გვ. 487.

მისი დასკვნით „ჩვენ ვერ დავასახელებთ ვერც ერთ დანაშაულებრივ შემთხვევას, სადაც სუბიექტი არ ამჟღავნებდეს შრომისადმი ან ადამიანებისადმი დამოკიდებულების ანტისაზოგადოებრივ ხასიათს."[12] ყოველივე ეს ტრეფიკინგზეც არის ნათქვამი, რადგან ტრეფიკინგი მართლაც გამოხატავს როგორც შრომისადმი, ისე საკუთრივ ადამიანებისადმი ანტისაზოგადოებრივ დამოკიდებულებას. კერძოდ, როგორც ქვემოთ დავინახავთ, მონათმფლობელურ იდეოლოგიაში ფიზიკური შრომა ადამიანის დამამცირებლად იყო მიჩნეული, ხოლო ტრეფიკინგი, ადამიანისადმი ანტისაზოგადოებრივ დამოკიდებულებას მართლაც გამოხატავს.

ამ დებულების სასარგებლოდ მეტყველებს არაერთი ისტორიული პარალელი, რომელიც გასაოცრად ჰგავს დღევანდელობას. ისე ჩანს, თითქოს ადამიანს მონათმფლობელობის ეპოქიდან, როცა მონებს, როგორ წესი, ცხოველებზე უფრო იაფად ყიდულობდნენ ან ყიდდნენ, ერთი ნაბიჯიც არ გადაუდგამს წინ პროგრესისაკენ. ამ დებულებას, თავის მხრივ განამტკიცებს ის ფრიად აღმაშფოთებელი ვითარება, როდესაც ადამიანებით ვაჭრობასთან დაკავშირებით დღესაც საუბარია ადამიანის, როგორც ტრეფიკინგის მსხვერპლის, მონობის მსგავს მდგომარეობაში ჩაყენებაზე ან უბრალოდ ლაპარაკობენ თანამედროვე მონობაზეც კი. მაგალითად, ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროსაბჭოს კონვენციაში, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ 2006 წლის 22 დეკემბერსაა რატიფიცირებული, ნათქვამია, რომ ადამიანებით ვაჭრობას შეიძლება შედეგად მოჰყვეს ამ ვაჭრობის მსხვერპლთა მონურ მდგომარეობამდე მიყვანა. ამდენად, სწორადაა ნათქვამი, რომ ადამიანებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) „წარმოადგენს მონობის თანამედროვე ფორმას, მონათმფლობელური ვაჭრობის ახალ ტიპს."[13] აქვე ნათქვამია ისიც, რომ საქართ-

[12] ბ. ხარაზიშვილი, კრიმინალისტიკა, თბ., 1969, გვ. 504.

[13] იხ. დასახელებული სახელმძღვანელო ტრეფიკინგის საკითხები

ველოში ამ დანაშაულის ზრდის მიზეზი მჭიდროდაა დაკავშირებული გარკვეული პროფესიების ადამიანების სამუშაო ძალაზე არსებულ მზარდ მოთხოვნილებასთან, აგრეთვე იმასთანაც, რომ ადამიანთა ნაწილს სურს წაყვანილ იქნან საზღვარგარეთ შეპირებული სამუშაოს შესასრულებლად.[14] ამ უკანასკნელ სურვილს კი, თავის მხრივ იწვევს მოსახლეობის მძიმე ეკონომიკური მდგომარეობა, უმუშევრობა, შეძენილი პროფესიის შესატყვისი სამუშაოს პოვნის სიძნელე (როცა, მაგალითად, უმაღლესი განათლებით ისტორიკოსი იძულებული ხდება ტაქსის მძღოლად იმუშაოს და ოჯახი ამით არჩინოს), მაგრამ კიდევ უფრო მძიმე და სარისკოა მდგომარეობა იმ პირებისა, რომლებიც საზღვარგარეთ სამუშაოდ მიემგზავრებიან, რადგან ისინი შეიძლება აღმოჩნდნენ მსხვერპლნი იძულებითი შრომისა, პროსტიტუციისა, პორნოგრაფიისა, ადამიანის ორგანოებით ვაჭრობისა და სხვა. ყოველივე ამას კი ის საზრისი აქვს, რომ მსოფლიო ბაზარზე ადამიანთა მონურ ექსპლუატაციას მაღალი და უსაფრთხო მოგება მოაქვს. ამდენად, პირდაპირ შეიძლება ითქვას, რომ „ადამიანებით ვაჭრობა მონათმფლობელური სახელმწიფოსა და სამართლის გამოძახილია თანამედროვე ეპოქაში, თუმცა ამ სახის დანაშაულმა თავისი განვითარების ისტორიული გზა გამოიარა. ტყვეთა სყიდვამ, ადამიანებით ვაჭრობამ ფართო ხასიათი მიიღო ფეოდალურ ეპოქაში, განსაკუთრებით მუსულმანურ სახელმწიფოებში, სადაც ადამიანთა ცოცხალ ბაზარში ჩვეულებრივი ნივთის თუ ცხოველის მსგავსად ჰყიდდნენ და ყიდულობდენ ადამიანებს.[15]

მოკლედ შევეხებით მონათმფლობელურ ეპოქაში მონების ექსპლუატაციის ეკონომიკურ მიზეზებსა და შედეგებს. ცხადია, მონობა მარტოოდენ ეკონომიკური მიზეზით არ წარმო-

---

სასამართლო სტრუქტურის წარმომადგენლობისთვის, გვ. 5.

[14] იქვე, გვ. 7.

[15] გ. ლობჟანიძე, საერთაშორისო ორგანზაციები, დამნაშავეობის ზოგიერთი პრობლემა, გვ. 97-98.

შობილა. ამ უდიდეს ისტორიულ მოვლენას იდეოლოგიურ-პოლიტიკური ხელშემწყობი პირობებიც ჰქონდა (თუნდაც იმისი მტკიცების ცდა, რომ მონა სრულყოფილი ადამიანი არაა). მაგრამ ამ სამარცხვინო საქმეში ეკონომიკურ მოტივს მაინც გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა. პროფ. მ. ალექსიშვილი სწორად მიუთითებდა, რომ მონათმფლობელურ იდეოლოგიაში ადამიანის დამცირება მონობის წინააღმდეგ და მათდამი ურჯულო დამოკიდებულების გამართლებას ემსახურებოდა. ავტორი წერდა, რომ ხომალდის სახიფათო მდგომარეობის დროს, სამწუხაროდ, მონათმფლობელს ბევრი ფიქრი არ სჭირდებოდა, ზღვაში რომელი გადაეგდო — ძვირადღირებული ცხენი თუ იაფი მონა? მისი დასკვნით, მონათმფლობელს „აქ ჰუმანიზმის ვერავითარი ნორმები ვერ შეაჩერებდა — ძვირადღირებული ცხენი შეენარჩუნებინა და უფრო იაფად ღირებული მონა კი ზღვაში გადაეგდო."[16] ავტორი ჩამოთვლის იმ მიზეზებს, რომლებმაც მონისადმი ამგვარი დამოკიდებულება განაპირობეს. პირველი მიზეზი ამ მხრივ იყო სიხარბე და, მეთოდების მიუხედავად, სიმდიდრის დაგროვებისადმი დამოკიდებულება. სიმდიდრე სათნოების წყაროდ გამოცხადდა და მაშინ ამ წყაროს გაზრდის ნებისმიერი საშუალება გამართლებული იყო.[17]მეორე მიზეზი იყო მექრთამეობისა და გამოძალვის უდიდესი გაქანება და განვითარება. ამ საქმეს, ავტორის მტკიცებით, თვით „ღვთაებრივი" ცეზარიც კი არ თაკილობდა. მონას აიძულებდნენ პროსტიტუციაში ჩაბმას, რათა ეს ახალი შემოსავლის წყარო გამხდარიყო.[18] გარდა ამისა, დიდი მნიშვნელობა ჰქონდა მონათმფლობელთა საცხოვრებელი სახლების მდიდრულად აშენებას და ძვირფასი ლითონებით გაწყობას. ერთი სიტყვით, მონობის მდგომარეობას და მონის სასტიკ ექსპლუატაციას ეკონომიკური ინტერესი განაპირობებს. ასეთივე ინტერესი

---

[16] მ. ალექსიშვილი, მონობა და მონათმფლობელური იდეოლოგია ანტიკურ სამყაროში, თბ., 1974, გვ. 345.

[17] იქვე, გვ. 246.

[18] იქვე, გვ. 252.

უდევს საფუძვლად ე.წ. „ტყვის სყიდვას" ფეოდალურ საქართველოში, რაც, როგორც აღნიშნავენ, ფეოდალურ საქართველოს უკიდურესი დაცემის ნიშანი იყო. ცენტრალური სახელმწიფო ხელისუფლების დასუსტება და დაცემა, ქვეყნის „მესვეურად" წოდებულ თავადაზნაურთა თავაშვებულობა და შინა ომები ქვეყანას ძალას აცლიდა. ერთმანეთთან მოდავე ფეოდალები ერთმანეთს არბევდნენ და ძარცვავდნენ, ყმები ტყვეებად მიჰყავდათ, როგორც „ომში ნაშოვნი" და მათი „მიუდევარი" საკუთრება.[19]

საყურადღებოა შემდეგიც: გაქცევის შემთხვევაში გლეხი საკუთარ თავს უფრო მეტ საფრთხეში აგდებდა, რადგან იგი ადვილად იქცეოდა საკბილოდ და საქონლად ადამიანებით მოვაჭრე ავაზაკებისთვის.[20]ანალოგიურ ვითარებაში ვარდება საქართველოს დღევანდელი მოქალაქეც, რომელიც იძულებით საზღვარგარეთ სამუშაოს პოვნის იმედით, გარბის საქართველოდან. ყოველივე ეს გვაძლევს საფუძველს დავასკვნათ, რომ ადამიანებით ვაჭრობას, როგორც წარსულში (მონათმფლობელურ ეპოქაში და ფეოდალურ საქართველოში), ისე დღესაც ძირითადად განაპირობებს ეკონომიკური მიზეზები. სწორად აღნიშნავენ ქართველი კრიმინოლოგები, რომ ჩვენს ქვეყანაში დანაშაულის შენარჩუნება და არსებობა დეტერმინირებულია მთელი რიგი მიზეზებით, მათ შორის საზოგადოებაში არსებული ეკონომიკური ხასიათის წინააღმდეგობებით. [21]

ფრიად საინტერესოა ი. გოძიაშვილის აზრი, რომ საბჭოთა საქართველოში დამნაშავეობის შედარებით დაბალი დონე მიუთითებდა მძლავრ არაფორმალურ კონტროლზე, რომელიც დანაშაულის შემაკავებელ ფაქტორად გვევლინებოდა. ავ-

---

[19] ა. კილასონია, ადამიანებით ვაჭრობა საქართველო-კავკასიაში XVI-XIX საუკუნეებში, თბ., 2006, გვ. 38.

[20] იქვე, გვ. 39.

[21] ზ. წულაია, კრიმინოლოგია, ზოგადი და კერძო ნაწილი, თბ., 2005.

ტორის აზრით, სამართლებრივი სისტემის გარეთ არსებული ეს საზოგადოებრივი კონტროლი (უფროსებისადმი პატივისცემა, არაფორმალური ნორმების არსებობა), „რომელიც ეფექტურ კონტროლს უწევს ადამიანის ქცევას ოჯახში, საზოგადოების თავშეყრის ადგილებში, ნასვამ მდგომარეობაში და ა.შ. და რომელიც ბატონობდა საქართველოში დიდი ხნის განმავლობაში და მისთვის მძიმე მომენტებშიც ქართველი ხალხის გადარჩენის ერთ-ერთ ეფექტურ საშუალებას წარმოადგენდა.[22] ავტორი მართებულად აღნიშნავს, რომ ყოფილ საბჭოთა რესპუბლიკებს შორის საქართველოში ეკონომიკური ხასიათის დანაშაულს ერთ-ერთი ყველაზე მაღალი (მეორე) ადგილი ეკავა. ავტორის დასკვნით, ეს იმით აიხსნება, რომ „ცხოვრების წესი, რომელიც საქართველოში გაბატონებული იყო და გვევლინებოდა, როგორც ანტიკრიმინოგენური ფაქტორი, თავის მხრივ მოითხოვდა სათანადო ეკონომიკურ ძალისხმევას მის შესანარჩუნებლად. თავისი ეფექტური არსებობისათვის ოჯახი, როგორც ტრადიციული ფასეულობების მძლავრი მატარებელი, მოითხოვდა ეკონომიკურ უზრუნველყოფას. ამის გარეშე ოჯახმა შეიძლება დაკარგოს მოსახლეობაში არსებული და დამკვიდრებული წლების მანძილზე თავისი როლი და ავტორიტეტი. პატივისცემა ოჯახური ფასეულობების მიმართ შეიძლება ადვილად გაიქარწყლოს, როგორც კი ოჯახში წარმოიშობა ეკონომიკური პრობლემები."[23] თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ბოლო ორი საუკუნე ქართული სახელმწიფოებრიობის გარეშე დავრჩით, ოჯახი ბუნებრივად იქცა ქართველი კაცის ყოფიერების წამყვან კერად. მოგვიანებით ვითარება შეიცვალა იმ მხრივ, რომ ქართველ ხალხს აქვს დამოუკიდებელი სახელმწიფო, მაგრამ ეკონომიკურმა სიძნელეებმა საფრთხე შეუქმნა როგორც სახელმწიფო მშენებლობის, ისე ოჯახ-

---

[22] ი. გოძიაშვილი, საზოგადოებრივი ერთიანობა და დანაშაული, „სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმისა და თანამედროვე კრიმინოლოგიის პრობლემები", თბ., 2006, გვ. 383.

[23] იქვე, გვ. 384.

ური ტრადიციების საქმეს. ამ მხრივ ტრეფიკინგი, როგორც დანაშაული, უდიდეს საფრთხეს უქმნის საქართველოს. ამ საფრთხის შესახებ ცოტა ქვემოთ ვისაუბრებთ. აქ კი გვინდა ყურადღება მივაქციოთ საზოგადოებრივ და სახელმწიფოებრივ ცხოვრებაში ეკონომიკური როლის პრობლემას. როგორც ცნობილია, მარქსიზმი გამოცხადებულ იქნა ისტორიის ახალ, დიალექტურ-მატერიალისტურ გაგებად, რომლის თანახმად, საზოგადოების არსებობას და განვითარებას მისი ეკონომიკური პირობები განსაზღვრავს. ეს იყო საბჭოთა კავშირში გაბატონებული დებულება, მაგრამ საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ ამ იდეების გადასინჯვის საკითხიც დაისვა. კერძოდ, როგორც ცნობილია, კ. მარქსის გარდაცვალების შემდეგ ფრ. ენგელსი ცდილობდა გაეცა პასუხი ისტორიის მატერიალისტური გაგების ძირითად საკითხებზე, მისი რიგი წერილები ადასტურებს, რომ ფრ. ენგელსი თითქოს ითვალისწინებდა საზოგადოების განვითარების არაეკონომიკურ ფაქტორებსაც, სოციალური სტრუქტურის შეფარდებით დამოუკიდებლობას, მაგრამ ის საბოლოო ჯამში მაინც აღიარებდა ეკონომიკური ფაქტორების წამყვან ხასიათს, ხოლო პროფესორმა ბ. ლუტიძემ სწორად შენიშნა, რომ საზოგადოების ერთფაქტორიანი ახსნა და გაგება მეთოდოლოგიურად მიუღებელია.[24]საზოგადოების ეკონომიკური მდგომარეობა, ცხადია ბევრ რამეს განაპირობებს, თუმცა ის საზოგადოებრივი პროცესების განვითარების ან მათი შეფერხების ერთადერთი ფაქტორი არ არის. მაგალითად, დასავლეთ საქართველოში ე.წ. „ტყვეთა სყიდვას“ მხოლოდ ეკონომიკური ინტერესი არ განაპირობებდა. ჯერ ერთი, როგორც სწორადაა აღნიშნული, ტყვე გლეხთა კატეგორიას ქართული სამართალი არ იცნობს. ამ აზრს ისიც ადასტურებს, რომ „ტყვე“ არაქართველს და უთვისტომოს ნიშნავდა, შემდეგ კი მოხდა

[24] ბ. ლუტიძე, ფრ. ენგელსის კომენტარის კომენტარი (ფრ. ენგელსის XIX საუკუნის 90-იანი წლების წერილების გამო), „ფილოსოფიური ძიებანი,“ ტ. V, თბ., 2003, გვ. 114.

ამ ტერმინის ტრანსფორმაცია.[25]

მეორეც, მართალია, ფეოდალურ საქართველოში ყმა-გლეხების ეკონომიკური მდგომარეობა მძიმე იყო, რაც მაშინდელ თავადაზნაურობას ტყვეთა სყიდვისკენ უბიძგებდა, მაგრამ მეორე მხრივ, რომ არ ყოფილიყო მუსულმანური გარემოცვა, ეს მოვლენა შეიძლება არც წარმოშობილიყო. საქმე ყმა-გლეხების ფეოდალური ექსპლოატაციით დამთავრდებოდა. მაგრამ ცნობილია, რომ მაგალითად, თურქი ვაჭრები ნივთებს ქართველ ვაჭრებთან მხოლოდ ადამიანებზე ცვლიდნენ, ხოლო ქვეყნის „მესვეური" ადგილობრივი დიდებულები ამ დანაშაულებრივ გაცვლით საქმიანობას ეწეოდნენ.[26] გარდა ამისა, უკვე ითქვა, რომ ფეოდალურ საქართველოში „ტყვეთა სყიდვა" ცენტრალური სახელმწიფო ხელისუფლების დასუსტების პირობებში იყო შესაძლებელი. ასე რომ, მონობის თუ ტყვეთა სყიდვის მიზეზებში მხოლოდ ეკონომიკური ფაქტორი არ მონაწილეობდა. იგივე შეიძლება ითქვას ტრეფიკინგის თანამედროვე მიზეზებსა და პირობებზე. კერძოდ, საქართველოში მძიმე მდგომარეობა იმანაც შექმნა, რომ აფხაზეთიდან დიდი რაოდენობით დევნილი მოსახლეობა აღმოჩნდა დაუცველი და უმუშევარი, მაგრამ ვისაც ეკონომიკურად უჭირდა და უჭირს, საზღვარგარეთ სამუშაოდ არ მიდიოდა და არ მიდის დღესაც. მეორეც, საზღვარგარეთ სამუშაოდ არალეგალური გზითაც მიდიოდნენ, რასაც თავის მხრივ, ხელს უწყობდა ზღვარგადასული კორუფცია, საზღვარგარეთ გასამგზავრებლად ყალბი დოკუმენტების დამზადების შესაძლებლობა, საზღვრის სათანადო დაუცველობა, საემიგრაციო სამსახურის გაუმართავი მუშაობა და სხვა. ხშირადაა აღნიშნული, რომ საქართველოდან ემიგრირებულთა უმეტესობა სამუშაოდაა წასული, მაგრამ იქ ლეგალური შრომითი მიგრაცია თითქმის შეუძლებელია და მაშინ გასაგები ხდება, ადამიანთა დიდი ნაწილი არალეგალური მიგრანტია, რაც საფრთხეს უქმნის მათ უფლებებსა

[25] ა. კილასონია, დასახ. ნაშრომი, გვ. 40.

[26] იქვე, გვ. 40.

და თავისუფლებას და ქმნის მათი ექსპლოატაციის რეალურ საფრთხეს.[27]

ამრიგად, ადვილი მისახვედრია, რომ თანამედროვე ტრეფიკინგი ეკონომიკურ მოტივებს, რა თქმა უნდა, მოწყვეტილი არ არის. უფრო მეტიც, ადამიანების ტრეფიკინგის შედეგად უზარმაზარი მოგება გროვდება, არც ამ საშინელი ბოროტმოქმედების უკიდურეს ამორალურობაზე მეტყველებს, მაგრამ თუ გვინდა, რომ საქართველოში ტრეფიკინგი შევამციროთ და თავიდან ავიცილოთ, საჭიროა ამ ბოროტების მიზეზებისა და ხელშემწყობი პირობების ანალიზი, რათა მათზე ეფექტური ზემოქმედებით შევძლოთ მისი თავიდან აცილება.

§ 2. ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შედეგები

ადამიანებით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), როგორც სწორადაა აღნიშნული, საზოგადოდ, ხელყოფს ადამიანის არაერთ ფუნდამენტურ უფლებას და თავისუფლებას ამიტომაა, რომ იგი როგორც წესი სცილდება ერთი რომელიმე ქვეყნის ფარგლებს და ტრანსნაციონალურ ხასიათს იძენს. ამდენად ეს დანაშაული მრავალმხრივი მავნეობითა და საშიშროებით გამოირჩევა. ის ხელყოფს ადამიანის თავისუფლებას, დადგენილი წესისამებრ თავისუფლად გადაადგილების უფლებას, როგორც ქვეყნის შიგნით, ისე მის გარეთ, აგრეთვე ადამიანის ღირსებას და შრომის თავისუფლებას, ოჯახისა და არასრულწლოვანთა ინტერესებს. ამ უკანასკნელთა ნორმალური განვითარებისა და აღზრდის პირობებს, მაგრამ საქმე ისაა, რომ ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შედეგები განსაკუთრებით საგანგაშოა ისეთი ქვეყნისათვის, როგორიცაა საქართველო. ისედაც მცირერიცხოვანი ქართული მოსახლეობა, ტრეფიკინგის შედეგად კიდევ უფრო მცირდება. ეს კი დიდ საფრთხეს უქმნის ერის გენოფონდს. გარდა იმისა, რომ საზღვარგარეთ სამუშაოს მძებნელი და ტრეფიკინგის მსხვერპლი უკან საქართველოში იშვიათად ბრუნდება, მაგრამ ვინც ბრუნდება საეჭვოა, რომ მან მოკლე ხანში შეძლოს

[27] ნ. ბექაურის დასახ. ნაშრომი, გვ. 83-84.

რეაბილიტაცია, ოჯახის შექმნა, ბავშვების ყოლა და მათი ნორმალური განვითარება; ტრეფიკინგი ერის გენოფონდს კიდევ უფრო დიდ საფრთხეს უქმნის იმ შემთხვევაში, როდესაც ტრეფიკინგი არასრულწლოვანთა მიმართ ხორციელდება, რადგან არასრულწლოვანთა შრომითი ან სექსუალური ექსპლოატაცია სპობს არასრულწლოვნის პიროვნებას, როგორც მომავალ პოტენციურ მშობელს. ყოველივე ეს საფუძველს გვაძლევს გავაკეთოთ დასკვნა, რომ ტრეფიკინგი უპირველეს ყოვლისა საფრთხეს უქმნის ქართველი ერის გენოფონდს და ესაა მისი დიდი საზოგადოებრივი საშიშროების მაჩვენებელი. ამდენად, ტრეფიკინგი საქართველოსთან მიმართებაში დიდი საზოგადოებრივი საშიშროების მატარებელია. ეს ერთხელ კიდევ ადასტურებს იმ გარემოებას, რომ დანაშაულის ხასიათი მისი მართლწინააღმდეგობით არ ამოიწურება. სამწუხაროდ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველ ნაწილში დანაშაულის ცნება განმარტებულია ფორმალური ნიშნით, როგორც მართლსაწინააღმდეგო ქმედება. მართლწინააღმდეგობა გამოხატავს ქმედების უარყოფით სამართლებრივ შეფასებას, რაც ცხადია, მეტად მნიშვნელოვანია, მაგრამ სსკ-ის მე-7 მუხლის მეორე ნაწილის სწორი გაგება ადასტურებს, რომ მცირემნიშვნელოვანი ქმედება, რომელიც ზიანს არ აყენებს კანონით დაცულ სამართლებრივ სიკეთეს ან არ ქმნის ასეთი ზიანის მიყენების საფრთხეს, დანაშაულად ვერ ჩაითვლება. აქედან გამომდინარე, ტრეფიკინგის, როგორც დანაშაულებრივი ქმედების, სოციალურ-პოლიტიკური, იდეოლოგიურ-ფილოსოფიურ-ეროვნული დახასიათებისათვის მართლწინააღმდეგობის ნიშანი საკმარისი არ არის.

§ 3. ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ჩადენის თავისებურებანი

ადამიანთა ტრეფიკინგი რთული, მრავალმხრივი დანაშაულია. ის შეიძლება ჩადენილ იქნეს ადამიანის ყიდვა-გაყიდვის ფორმით, მაგრამ არაა გამორიცხული მისი ჩადენა ამ აქტე-

ბის გარეშეც, ერთი პირის მიერაც (მაგალითად, დაქირავებული პირის შრომითი ექსპლუატაცია), ასევე შესაძლებელია მისი ჩადენა დანაშაულში თანამონაწილეობის ფორმით, მათ შორის მყარად ორგანიზებული ჯგუფის მიერაც; შეიძლება ერთი ქვეყნის ადმინისტრაციული საზღვრის ფარგლებშიც მოხდეს და სხვადასხვა ქვეყნის ტერიტორიაზეც ჰქონდეს ერთი დასრულებული ხასიათი, მაგრამ არაა გამორიცხული მისი ჩადენა არაერთგზის ან განგრძობადი დანაშაულის სახით; ჰქონდეს შიდაეროვნულიც და ტრანსნაციონალური ხასიათიც, შეიძლება ჩაიდინოს ფიზიკურმა პირმაც, მაგრამ არაა გამორიცხული მისი ჩადენა იურიდიული პირის მიერაც და ა.შ. ყოველივე ამის გამო დგას ამ დანაშაულის შემადგენლობის პრობლემა, რომელიც თავის მხრივ, მისი ჩადენის ხერხებზე მიუთითებს. ამდენად ყურადღებას იქცევს თვით დანაშაულის, მათ შორის, ტრეფიკინგის, როგორც ასეთის, ჩადენის პრობლემა.

ბუნებრივია, რომ ეს საკითხი არსებითად მეთოდოლოგიურია, რადგან, როგორც უკვე აღნიშნული გვქონდა, დანაშაულის, როგორც ასეთის ჩადენა კი არ ხდება, არამედ პრაქტიკულად ხორციელდება ამა თუ იმ დანაშაულის კონკრეტული შემადგენლობა, რომელიც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების ჩადენის კონკრეტული ხერხია.[28] სამწუხაროდ, საკითხის აქტუალობის გამო, იძულებულნი ვართ, აქ ზოგი რამ გავიმეოროთ.

ცნობილია, რომ ადამიანი გარესინამდვილისადმი ორგვარ დამოკიდებულებას ამყარებს. უპირველესი ამ მხრივ არის პრაქტიკული დამოუკიდებლობა. ადამიანი საზოგადოებრივი პრაქტიკის სუბიექტია. დანაშაულის ჩადენაც საზოგადოებრივ პრაქტიკაში ხდება. საზოგადოებრივი პრაქტიკა კი მოწესრიგებულია სოციალური ნორმებით. ზნეობა, რელიგია,

[28] გ. ნაჭყებია, ქმდების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორიის შესავალი, თბ., 2000, გვ. 73-85.

პოლიტიკა, სამართალი და ა.შ. ამყარებს ადამიანთა შორის განსაზღვრულ ურთიერთობებს და ყალიბდება საზოგადოებრივი წესრიგი, ცხადია, მათ შორის მართლწესრიგი. ადამიანის ისტორიული ქმნადობა სწორედ საზოგადოებრივ პრაქტიკაში ხდება. ამიტომაა, რომ ადამიანი პრაქტიკულად ცხოვრობს განსაზღვრულ კულტურაში, ქმნის და ავითარებს ამ კულტურას. სამაგიეროდ, კულტურაც ქმნის და აყალიბებს ადამიანს. ზნეობა, რელიგია, ხელოვნება, პოლიტიკა, სამართალი და სხვა ნორმატიული სისტემა, ღირებულებათა განსაზღვრულ იერარქიას ანუ წესრიგს გამოხატავს. ამიტომაა, რომ ადამიანი გარე სინამდვილისადმი ამყარებს არა უბრალოდ პრაქტიკულ მიმართებას, არამედ პრაქტიკულ-ღირებულებით მიმართებას. სიკეთე, მშვენიერება, სამართლიანობა, სიმამაცე და სხვა — ისეთი ღირებულებანია, რომელთა საფუძველზე ხდება ადამიანთა ურთიერთობის შეფასება. მაგრამ ადამიანი გარე სინამდვილისადმი თეორიულ, შემეცნებით მიმართებასაც ამყარებს. იგულისხმება როგორც კერძო მეცნიერული, ისე ფოლოსოფიური შემეცნება. თეორიული შემეცნება კი გარესინამდვილისადმი ადამიანის პრაქტიკულ-ღირებულებით დამოკიდებულებაზე არ დაიყვანება. მაგალითად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-7 მუხლის პირველ ნაწილში გადმოცემულია დანაშაულის ცნება, როგორც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება. ცნება კი (კატეგორიაც) არის აზრის ლოგიკური ფორმა, რომელიც პრაქტიკულად და პირდაპირი ლოგიკური გზით არ ხორციელდება. ამიტომაა, რომ პრაქტიკულად ხორციელდება არა დანაშაული, როგორც ასეთი, ანუ დანაშაულის ზოგადი ცნება, არამედ ამა თუ იმ დანაშაულებრივი ქმედების კონკრეტული შემადგენლობა, რომელიც შემდგომში შეიძლება დაკვალიფიცირდეს დანაშაულად. ეს დებულება ვრცელდება არა მხოლოდ დანაშაულის ზოგად ცნებაზე, არამედ ყველა სახის კონკრეტული დანაშაულის ცნებაზეც. მაგალითად, მკვლელობა არის სხვა ადამიანის სიცოცხლის

მართლსაწინააღმდეგო და განზრახი მოსპობა, მაგრამ პრაქტიკულად მკვლელობის ცნება რომ ხორციელდებოდეს, მაშინ მკვლელობის ცალკეული შემადგენლობანი (სსკ-ის 108-114-ე მუხლები) საჭირო არც იქნებოდა. მაშასადამე, პრაქტიკულად ხორციელდება არა მკვლელობა საზოგადოდ და როგორც ასეთი, არამედ მკვლელობის ცალკეული შემადგენლობანი. ამრიგად, დანაშაულის, როგორც ასეთის ჩადენა კი არ ხდება, არამედ ხორციელდება ამა თუ იმ ქმედების კონკრეტული შემადგენლობა. ეს რასაკვირველია, ეხება ადამიანთა ტრეფიკინგსაც. უკვე ნათქვამია, რომ ტრეფიკინგი რთული, მრავალმხრივი დანაშაულია. ამიტომაა, რომ ის სხვადასხვანაირად ხორციელდება ანუ მისი შემადგენლობა საკმაოდ მრავალფეროვანია. თითოეული ეს შემადგენლობა ადამიანთა ტრეფიკინგის ჩადენის კონკრეტული ხერხია. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იქცევს პროფ. ბ. ხარაზიშვილის დებულება, რომ დანაშაული ფსიქოლოგიური ქცევა კი არაა, არამედ ფსიქოლოგიური ქცევის ანუ მოტივისა და მიზნის განხორციელების ხერხია. [29] მაგალითად, ქურდობა არის სხვისი მოძრავი ქონების მისაკუთრების მიზნით მართლსაწინააღმდეგო დაუფლების ფარული ხერხი. სწორედ ეს ხერხი შეიძლება იყოს სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული, საზოგადოებრივად საშიში, მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული.

ჩვენ უკვე, მოკლედ მაინც გვქონდა მსჯელობა იმის თაობაზე, რომ ქცევა ფსიქოლოგიურად მოტივში ვლინდება. მაგრამ ქცევა ფსიქოლოგიურად მიზანსაც გულისხმობს. მართალია, მიზანი ფილოსოფიური ასპექტის მქონეა, მაგრამ ამჯერად მისი მხოლოდ ფსიქოლოგიური მხარე გვაინტერესებს. კერძოდ, თუ მოტივი მოთხოვნილებასთან კავშირში სუბიექტის ნებას უკავშირდება, როგორც გადაწყვეტილების ფსიქოლოგიური საფუძველი, მიზანი, როგორც ქმედების შედეგის იდეალური წარმოდგენა-მოდელი სუბიექტის ინტელექტთანაა

[29] ბ. ხარაზიშვილი, სიცრუის ფსიქოლოგია, თბ., 1975.

დაკავშირებული, მაგრამ კრიმინოლოგიურად და სისხლის-სამართლებრივად არსებითია ნებისმიერი ქცევის ხერხი. მაგალითად, მატერიალური გამდიდრების სურვილი თავისთავად „ანგარებას" სრულიადაც არ ნიშნავს, თუ ეს სურვილი თუ მოტივი კანონიერი ხერხით ხორციელდება. მაგრამ საკმარისია, რომ სუბიექტი გამდიდრების მოტივს უკანონო ხერხით შეუდგეს, რომ ეს მოტივი ანგარებად შეფასდეს. [30] როგორც სწორად მიუთითებს ბ. კვირიკაშვილი „ხერხი — ქმედების უმნიშვნელოვანესი თვისებაა. ქმედება ყოველთვის ინდივიდუალური და სპეციფიკურია და ამ სპეციფიკურობას მას ხერხი ანიჭებს."[31]

ავტორი მართებულად აღნიშნავს, რომ ქმედების ხერხის შერჩევა შემთხვევითი არაა და იგი განსაზღვრულია იმ გარემოებათა სრული ერთობლიობით, რომელიც ახასიათებს როგორც დანაშაულს, ისე მის ჩამდენ პიროვნებას. კიდევ უფრო საინტერესოა ავტორის მტკიცება, რომ „ყველაზე დიდი გავლენა დანაშაულის ხერხის შერჩევაზე, ეჭვს გარეშეა, მიზანს აქვს. უკვე მიზნის დასახვაც კი, ყოველთვის დაკავშირებულია მის მისაღწევად საჭირო იარაღისა და საშუალებების განსაზღვრასთან" და რომ „ყოველ მიზანს შეესაბამება მისთვის დამახასიათებელი ხერხი."[32]

მიუხედავად იმისა, რომ ამ მსჯელობაში ქმედების ხერხი მიზანთანაა დაკავშირებული, საკითხი მაინც დაზუსტებას მოითხოვს. ჯერ ერთი, ერთმანეთისგან უნდა განვასხვავოთ დანაშაული, როგორც ფსიქოლოგიური ქცევის განხორციელების ხერხი, და თვით დანაშაულის ჩადენის ხერხი. მაგალითად, ადამიანთა ტრეფიკინგი, ფსიქოლოგიური ქცევის

[30] Б. В. Хорнабуджели, Психологическая сторона вины, Тб., 1981, стр. 85.

[31] ბ. კვირიკაშვილი, დანაშაულებრივი ქცევის სუბიექტურ და ობიექტურ ფაქტორთა დეტერმინანტების კრიმინოლოგიური ასპექტები, „სისხლის სამართლის კანონმდებლობის რეფორმისა და თანამედროვე კრიმინოლოგიის პრობლემები," თბ., 2006, გვ. 392.

[32] იქვე, გვ. 393.

ანუ მოტივისა (მაგალითად, ანგარების მოტივის) და მიზნის განხორციელების ხერხია, მაგრამ სულ სხვაა თვით ტრეფიკინგის, როგორც განსაზღვრული დანაშაულის ჩადენის ხერხი. ტრეფიკინგი შეიძლება ჩადენილ იქნეს, მაგალითად ადამიანის მოტაცებით, შანტაჟით, თაღლითობით, მოტყუებით და ა.შ. მეორეც, მიზანი აქსიოლოგიურად დაკავშირებულია საშუალებასთან, რადგან ნებისმიერი ადამიანური ქმედება შეიძლება შეფასდეს სამი კომპონენტით: მიზნით, ამ მიზნის შესატყვისი საშუალებით და მიღწეული შედეგით. ამდენად, უპირველეს ყოვლისა, მიზნის ხასიათი მნიშვნელოვნად განსაზღვრავს ქმედების ბუნებას.. მაგალითად, ადამიანი შეიძლება იყიდონ მისი შემდგომი შრომითი თუ სექსუალური ექსპლოატაციის მიზნით და ეს დანაშაულია, მაგრამ ადამიანი შეიძლება გამოისყიდონ ტრეფიკინგისაგან მისი დახსნის მიზნით (თუ მოცემულ შემთხვევაში მისი დახსნის სხვა კანონიერი გზა არ არსებობს) და მაშინ ეს ქმედება, როგორც უკიდურესი აუცილებლობა, მართლზომიერია. მაშასადამე, ქმედების სამართლებრივი შეფასება მნიშვნელოვნადაა დაკავშირებული სუბიექტის ქმედების მიზანთან. ამიტომ საკითხი ასე დგას: ადამიანი სამოქალაქო ბრუნვიდან ამოღებულია და ამიტომ ადამიანებით ვაჭრობა დაუშვებელია. ამდენად, ადამიანებით ვაჭრობა უკანონოა და ამიტომ მისი კანონიერი ფორმა არ არსებობს. სამწუხაროდ, ზოგჯერ ეს საკითხი მთლად ნათელი არაა. კერძოდ, ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროსაბჭოს 2006 წლის 22 დეკემბრის კონვენციის პრეამბულის მეორე აბზაცში ნათქვამია, რომ ადამიანებით ვაჭრობა წარმოადგენს ადამიანის უფლებათა დარღვევას, ადამიანის ღირსებისა და პიროვნების წინააღმდეგ მიმართულ დანაშაულს. ამავე პრეამბულის მომდევნო აბზაცში კი წერია: „მიიჩნევენ, რომ ადამიანებით უკანონო ვაჭრობას შესაძლოა შედეგად მოჰყვეს ამ ვაჭრობის მსხვერპლთა მონურ მდგომარეობაზე მიყვანა.“ რატომ წერია აქ ადამინთა უკანონო ვაჭრობა, განა ადამიანებით ვაჭრობის კანონიერი ფორმა არსებობს? რა თქმა უნდა,

არა! ეს და ზოგიერთი სხვა სიძნელე ადასტურებს, რომ დასმული პრობლემა შემდგომ გაღრმავებას მოითხოვს.

§ 4. ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) ფილოსოფიური ასპექტები

ტრეფიკინგი (ადამიანებით ვაჭრობა) ფილოსოფიურ ანალიზსაც მოითხოვს. ეს, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის ფილოსოფიურ პრობლემას ეხება. ფილოსოფიური მსოფლმხედველობა დოგმატური კი არაა, არამედ, პირიქით, კრიტიკული და თვითკრიტიკულია. ფილოსოფია ეპოქის კრიტიკაა. ამიტომაც იყო, რომ ტირანებს და მათ მსახურებს არასდროს არ ჰყვარებიათ ფილოსოფია.[33] გასაგებია, რომ ფილოსოფია არის ადამიანის კრიტიკაც, რადგან იგი დღემდე ვერ გათავისუფლდა თავისივე მსგავსის, ანუ ადამიანის ტრეფიკინგისაგან. სამწუხაროდ, ტრეფიკინგისადმი მიძღვნილი, ამ პრობლემის ფილოსოფიური მხარე თანამედროვე ლიტერატურაში ნახსენებიც არაა, ეს საკითხი თითქოს ზედმეტი და არაფრის მომცემია. სამწუხაროა ისიც, რომ ადამიანთა ტრეფიკინგის ფილოსოფიური მხარე ქართველი ფილოსოფოსების ინტერესის საგანი არ გამხდარა. ამდენად, ჩვენ არ გვაქვს პრეტენზია, რომ ამ მხრივ რაიმე „გარღვევას" მოვახდენთ. შევეცდებით მხოლოდ იმას, რომ ამ საზარელი დანაშაულის ანთროპოლოგიურ წანამძღვრებზე მოკლედ მაინც შევჩერდეთ, რათა ამ გზით შემდგომი კვლევა-ძიება უფრო ეფექტურად წარიმართოს. სავსებით სწორია მტკიცება, რომ „ფილოსოფია კი არ გვაშორებს ცხოვრებას, არამედ უფრო ღრმად გვახედებს ჩვენი ცხოვრების არსში."[34] მაგრამ სიძნელე ისაა, რომ ადამიანს სხვადასხვა ასპექტით არაერთი კერძო მეცნიერება სწავლობს (ფიზიოლოგია, ანატომია, ფსიქოლოგია და ა.შ.). ადამიანის ცნებას კი არც ერთი კერძო მეცნიერება არ ად-

[33] თ. ბუაჩიძე, ადამიანის ყოფიერება და ფილოსოფიის რაობა, „ფილოსოფიური ანტროპოლოგიის საკითხები," თბ., 1083, გვ. 31.

[34] იქვე, გვ. 30.

გენს. როგორც აკადემიკოსი ა. ბოჭორიშვილი მართებულად აღნიშნავდა, ფსიქოლოგია, სწავლობს ფსიქიკას, „მაგრამ ადამიანისაგან მოწყვეტილი ფსიქიკა არავის უნახავს, ხოლო ეს იმას ადასტურებს, რომ ადამიანის არსის ფილოსოფიური გაგების გარეშე, ადამიანის შესახებ კერძო მეცნიერებანი ვერ დასაბუთდებიან."[35] სამწუხაროდ, არის ცდები იმისა, რომ ფილოსოფიური ანთროპოლოგიის გარეშე დააფუძნონ სამართლის ანთროპოლოგია, როგორც „ადამიანის სამართლებრივი ყოფიერება", როგორც ამას ფიქრობს, მაგალითად, ა. საიდოვი.[36] მაგრამ ადამიანის სამართლებრივი ყოფიერება თვით ადამიანის არსის ფილოსოფიური მოძღვრების გარეშე სწორად ვერ იქნება გაგებული. კერძოდ, ადამიანს, როგორც მეტად თავისებურ არსებას, მოკლედ რომ ვთქვათ, ბუნების გვირგვინს თუ ღვთის ქმნილებას, იმდენად დიდი და განუსაზღვრელი ფასი ადევს, რომ მას კონკრეტული საბაზრო ფასი არ გააჩნია. მეორენაირად რომ ვთქვათ, ადამიანი სასაქონლო ბრუნვიდან ამოღებულია და ამიტომ მასზე რაიმე კონკრეტული საბაზრო ფასის დაწესება დაუშვებელია, მაგრამ არა მხოლოდ წმინდა სამართლებრივად, არამედ, უპირველეს ყოვლისა, ფილოსოფიურად. ვინც სხვა ადამიანს ანგარების მოტივით ყიდის ან ყიდულობს, ის თავისთავსაც აქცევს საბაზრო ურთიერთობის სფეროში და ადამიანის, როგორც განსაკუთრებული არსების, გაუფასურებას იწვევს. ამდენად, ამ მიმართებით დგას არაერთი რთული და საინტერესო პრობლემა. ჯერ ერთი, პარადოქსულია მტკიცება, რომ ადამიანი იმდენად აბსოლუტური ღირებულებაა, რომ მას კონკრეტული ფასი არ აქვს. მეორეც, აზროვნების ისტორიაში ცნობილი გახლდათ პრინციპი, რომლის თანახმად, ადამიანი თვითონაა ყველა ღირებულებათა საზომი და ამიტომ რელატურ ღირებულებად ვერ ჩაითვლება. მაგრამ დებულება, რომ ადამიანი

---

[35] ა. ბოჭორიშვილი, ფილოსოფიური ანთროლოგიის თეორიული საფუძვლები, თბ., 1976, გვ. 328.

[36] А. Х. Саидов, О предмете антрпологии права, „Государство и право", 2004, № 2.

ყველა ღირებულებათა საზომია, ამკვიდრებს რელატივიზმს აქსიოლოგიაში (ღირებულების თეორიაში). ადამიანი გონითი არსებაა, მაგრამ ეს დებულება მხოლოდ იმას კი არ ნიშნავს, რომ ადამიანი ინტელექტუალურად რაიმეს შეიგნებს, შეიმეცნებს. ადამიანს, როგორც სწორად აღნიშნავდა თ. ბუაჩიძე, ესმის და აწუხებს სინდისის ხმა, რომელიც თავისთავის განსჯაა, არის ისეთი ინსტანცია, რომელიც ჩვენი ვიტალური მოთხოვნილებების მიღმაა და „მიმართავს ღირებულებათა სამყაროს. ღირებულებათა ცნობიერების გარეშე საკუთარი თავის განსჯა, შეფასება შეუძლებელია. სწორედ ღირებულების შუქზე ვსჯით ჩვენ ჩვენს თავს, როცა ეთიკური პოზიცია გვიკავია."[37]

ამრიგად, შეიძლება სწორად მოგვეჩვენოს დებულება, რომ ადამიანი არის საზომი ყველა ნივთისა, როგორც ეს თავის დროზე თქვა სოფისტმა პროტაგორამ. სინამდვილეში ეს დებულება, „გადატანილი ღირებულების სფეროში, საფუძველს აცლის ღირებულების ობიექტურობას, იმის შესაძლებლობას, ღირებულებით დებულებას ჰქონდეს საყოველთაო ხასიათი.[38] " ეს დებულება ძალაშია არა მარტო მაშინ როდესაც ადამიანი, როგორც ყველა ნივთის საზომი, გაგებულია, როგორც ინდივიდი, მაშინ როდესაც აქ იგულისხმება ადამიანის გვარი საზოგადოდ.[39] ამ პოზიციიდან ღირებულება მაინც სუბიექტური გამოდის და ამდენად ადამიანი ჩვეულებრივ ნივთებს შორის უფრო აღმატებული ჩანს, მაგრამ აქ ადამიანი მაინც რელატიური ღირებულების სფეროში ექცევა. ღირებულების ობიექტურობის დასაბუთებისთვის კი საჭიროა იმაზე ხაზგამა, რომ ადამიანმა „თავისი თავი იაზროს არა ყოველივეს ცენტრში, ანთროპოცენტრულად, არამედ როგორც ერთ-ერთი საგანი სხვა საგნებს შორის, ანუ ობიექტურად. არსებული უნდა

[37] თ. ბუაჩიძე, ღირებულება და ადამიანის დანიშნულება, „ადამიანი, ინდივიდი, პიროვნება", თბ., 1987, გვ. 36.

[38] იქვე, გვ. 37

[39] იქვე, გვ. 38.

იზომებოდეს არა ადამიანის მასშტაბით, არამედ ობიექტური ღირებულების თვალსაზრისით, რაც იმის გარანტიას იძლევა, რომ ობიექტმა, როგორც არსებულმა, შეინარჩუნოს თავისთავადობა და არ იყოს სუბიექტურობის დაღის მატარებელი."[40]

ამრიგად, ერთი მხრივ, სწორი და მარტივი ჩანს მტკიცება, რომ ადამიანი ყველა ნივთის საზომია და ამიტომ მას თვითონ ფასი არ აქვს. ამ პოზიციიდან ადამიანი თითქოს ყიდვა-გაყიდვის სფეროში არ ექცევა, მაგრამ, მეორე მხრივ, დებულება, რომ ადამიანი ყველა ნივთის საზომია, უშვებს იმას, რომ ღირებულება რელატიურია, ესე იგი, იზომება სუბიექტურად იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც ამ მიმართებით იგულისხმება ადამიანთა გვარი და, მაშინ, პირიქით, ადამიანიც ერთ-ერთ ჩვეულებრივ ნივთად გადაიქცევა და მაშასადამე, ყიდვა-გაყიდვის სფეროში ექცევა. ამ წინააღმდეგობიდან ის გამოსავალი არსებობს, რომ დასაბუთდეს ობიექტური, აბსოლიტური ღირებულება, როგორც შეფასებისა და ორიენტაციის იდეალური საფუძველი.[41] ამდენად, გასაგებია, რომ ღირებულება იდეალურია (მაგალითად სიკეთე, მშვენიერება, სამართლიანობა, სიმამაცე და ა.შ.) და მას ჯერარსრული ბუნება აქვს და იგი „მოთხოვნის, ვალდებულების სახით არსებობს და დამოუკიდებლად იმისა, არის თუ არა სინამდვილეში განხორციელებული."[42]

ამრიგად, ღირებულება ობიექტურია, გარკვეული აზრით აბსოლუტურიც. როგორც სწორად მიუთითებს გ. შუშანაშვილი, „თუ ღირებულებათა სამყაროში არ არის აბსოლუტური, მაშინ იქ ყველაფერი რელატიურია, ეს კი ყველაფრის გაუფასურებას ნიშნავს. ღირებულებათა სამყაროში აბსოლუტურს უწო-

---

[40] თ. ბოჭორიშვილი, ღირებულების ობიექტურობა და პიროვნების პრობლემა, „ადამიანი, გონი, ღირებულება," თბ., 1991, გვ. 31.

[41] იხ. ვ. ქვაჩახია, შ. ნადირაშვილი, დ. ბეჭვაია, ვ. ჭელიძე, ღირებულება და განწყობა, „სიციოლოგიური ნარკვევები," 1969, გვ. 46.

[42] თ. ბოჭორიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 41.

დებენ უპირობოს. უპირობო არის ღირებულება, რომელიც უპირატესად მიზანია და არა მხოლოდ საშუალება. ამგვარ უპირობოს ეძებდა კანტი, რომელიც პიროვნების ღირებულებასთან შეჩერდა (პიროვნების „კეთილი ნება"). რამდენად დაასაბუთა კანტმა პიროვნების ღირებულების უპირატესობა, ეს სხვა საკითხია. მაგრამ კანტის მცდელობა აბსოლუტური ანუ უპირობო ღირებულების დადგენისა არის სრულიად გამართლებული რელატივიზმის საფრთხისაგან ღირებულებათა სამყაროს გადასარჩენად."[43] ამდენად არსენ გულიგას ჰქონდა სრული საფუძველი ეთქვა: „კანტი იყო ერთ-ერთი პირველი მოაზროვნე, ვინც გამოაცხადა ადამიანის პიროვნება აბსოლუტურ ღირებულებად რასობრივი, ეროვნული და წოდებრივი კუთვნილების მიუხედავად."[44] კანტს მტკიცედ სწამდა, რომ საზოგადოებრივი კრიზისის დროს მორალი და სამართალი შეიძლება შეირყეს, მაგრამ კრიზისი სხვაა, ნორმა კი სხვა.[45] იმანუელ კანტის ფილოსოფია თავისებურად შეაფასა ს. დანელიამ, რომლის თანახმად, კანტმა ადამიანი გაიგო არა როგორც ობიექტი, არამედ როგორც სუბიექტი, რომელიც ბუნებისმეტყველური მიზეზობრიობის პრინციპით ვერ აიხსნება და ვერ გაიგება, „გარდა მიზეზის ცნებისა, — წერდა ს. დანელია, — არსებობს კიდევ ღირებულების ცნება და გარდა საგნის ახსნისა (ე.ი. მიზეზის ცოდნისა), არის კიდევ შეფასება (ესე იგი, საგნის ღირებულების ცოდნა) ან კრიტიკა, რომელიც არანაკლებ საჭიროა, ვიდრე საგნის ახსნა. ახსნით არ ამოიწურება მეცნიერება და მიზეზის გარკვევით ან გენეზისის აღმოჩენით არ თავდება შემეცნების მთელი საქმე."[46] იმანუელ კანტის ცხოვრებასა და ფილოსოფიას ვრცელი გამოკვლევა მიუძღვნა აკად. გ. თევზაძემ, რომელმაც აგრეთვე ყურადღება მიაქცია კანტის დამსახურებას ზნეო-

[43] გ. შუშანაშვილი, რელატივიზმი აქსიოლოგიაში, „ფილოსოფიური ძიებანი," თბ., 2009, გვ. 430.

[44] ა. გულიგა, კანტი, თბ., 1986, გვ. 175-176.

[45] იქვე, გვ. 174.

[46] ს. დანელია, კანტის ცხოვრება და ფილოსოფიური მოღვაწეობა, თბ., 1977, გვ. 29.

ბის დაფუძნების საქმეში.[47]

ჩვენ კანტის ფილოსოფიაზე ასე ვრცლად იმიტომ შევჩერდით, რომ სწორედ კანტმა გაუსვა ხაზი ადამიანის პიროვნების აბსოლუტურ, უპირობო ღირებულებას, როგორც უპირატესად თავისთავად მიზანს და არასოდეს მხოლოდ საშუალებას. ამ დებულებას ტრეფიკინგის სფეროში განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგან იქ, სადაც ადამიანის რაიმე სულმდაბლური მიზნის საშუალებად უყურებენ, ცხადია, ადამიანი ჩვეულებრივ ნივთთა სამყაროში ექცევა, ხოლო ამ პოზიციიდან ადამიანის ექსპლუატაცია მორალურად გამართლებული ჩანს. კანტის ფილოსოფიის ამ მხარეს სამართლიანად მიაქცია ყურადღება აგრეთვე ნ. მშვენიერაძემ. მისი მტკიცებით, კანტის ფილოსოფიაში („ზნეობის მეტაფიზიკა") ადამიანი, როგორც პიროვნება, არის მორალურ-პრაქტიკული გონების სუბიექტი, ყველა სახმარ ღირებულებაზე მაღლა მდგომი. ეს იმით აიხსნება, რომ ის წარმოადგენს არა მხოლოდ საშუალებას სხვების ხელში და საკუთარი მიზნებისთვისაც კი, არამედ იგი შეფასებულ უნდა იქნეს, როგორც თავისთავადი მიზანი, ე.ი. მას აქვს ღირსება (აბსოლუტური შინაგანი ღირებულება), რისი მეშვეობითაც იგი ყველა სხვა გონიერ არსებას აიძულებს პატივი სცეს მას და შემდეგ: კანტისათვის მორალური ღირსება გამომდინარეობს გონიერი არსების ღირსების იდეიდან, რომელიც არავითარ კანონს არ ემორჩილება, გარდა იმისა, რომელსაც თვითონ უწესებს საკუთარ თავს" და რომ ეს ღირსება, როგორც პიროვნების შინაგანი ღირებულება, არის პირობა იმისა, რომ ის იყოს მიზანი თავისთავად.[48] ბოლოს, მივაქციოთ ყურადღება იმ გარემოებასაც, რომ კანტი სრულიადაც არ გამორიცხავს ადმიანის საშუალებად გამოყენების შესაძლებლობასაც. კერძოდ, ადამიანი თვითონ ქმნის თავის თავს და ესაა მთავარი. „ადამიანის ყველა სხვა კარგსა

---

[47] გ. თევზაძე, იმანუელ კანტი, თბ., 1974, გვ. 105-118.

[48] ნ. მშვენიერაძე, ადამიანი როგორც შემოქმედი, გონითი არსება (ფილოსოფიური ანთროპოლოგია), თბ., 2005, გვ. 43-43.

და სასარგებლო თვისებას, — წერს კანტი, — აქვს ღირებულება, როცა შესაძლებელია გაცვლა სარგებლობის მომტან სხვა თვისებებზე. ტალანტს აქვს საბაზრო ღირებულება, რადგან მთავრობას ან მიწათმოქმედს შეუძლია სრულიად გამოიყენოს ასეთი ადამიანი, — ტემპერამენტს აქვს ეფექტური ღირებულება, ვინაიდან ასეთ ადამიანთან შესაძლოა დროის სასიამოვნოდ გატარება, ის სასიამოვნო თანამოსაუბრეა, მაგრამ ხასიათს აქვს შინაგანი ღირებულება, რომელიც ყოველგვარ ფასებზე მაღლა დგას."[49]

ამრიგად, გასაგებია, რომ ადამიანის ღირსება, როგორც მისი შინაგანი ღირებულება, არის თავისთავადი, უპირობო და აბსოლუტური, რომელიც ამავე დროს თვითმიზანსაც წარმოადგენს. ამ პოზიციიდან ადამიანით ვაჭრობის გამართლების მცდელობა აზროვნების ისტორიაში იშვიათი არ ყოფილა. კერძოდ, მონათმფლობელურ იდეოლოგიაში მონა სრულყოფილ ადამიანად არ ითვლებოდა. ეს იდეოლოგია საჭირო იყო იმისთვის, რომ გაემართლებინათ მონის სასტიკი ექსპლუატაცია, რომ თითქოს იგი არის სხვისი კერძო საკუთრებაში მყოფი ნივთი. [5050] საინტერესოა, რომ მონობის ცნება ამნაირად ესმოდა ჰეგელსაც. მისი მტკიცებით, მონას ჯერ კიდევ არა აქვს შეგნებული პირადი თავისუფლება და ამიტომ იქამდე ქვეითდება, რომ მას ეპყრობოდნენ, როგორც ნივთს, როგორც ისეთ რამეს, რომელსაც არა აქვს ფასი. [5151] მაგრამ ჰეგელი არც მონათმფლობელს ინდობდა და სავსებით სწორად აღნიშნავდა, რომ „მონის პირისპირ მდგომი ბატონი ჯერ კიდევ ჭეშმარიტად თავისუფალი არ იყო, რადგან იგი სრულებითაც ვერ ჭვრეტდა მონაში თავის თავს. მაშასადამე, ბატონიც სავსებით თავისუფალი მხოლოდ მაშინ ხდება, როცა თავისუფალი ხდება მონაც."[52]

---

[49] Кант, Сочинения, т. 6, М., 1966, стр. 541.

[50] მ. ალექსიშვიოლი, დასახ. ნაშრომი, გვ. 7

[51] ჰეგელი, ისტორიის ფილოსოფია, ტ.V111, 1935.

[52] ჰეგელი, გონის ფილოსოფია, თბ., 1984, გვ. 214.

როგორც ჩანს, მონათმფლობელის არათავისუფლების ერთ-ერთი ნიშანი ისაა, რომ იგი მონაში თავის თავს ანუ ადამიანს ვერ ხედავს. სამწუხაროდ, ამ წინააღმდეგობას ვერ გადაურჩა ისეთი დიდი ფილოსოფოსი, როგორიც იყო არისტოტელე. როგორც სწორად მიუთითებს პროფ. მ. ალექსიშვილი, „სამუშაო იარაღებსა და ცხოველებთან გათანაბრებული ეს მონები ისევე ემორჩილებიან ყიდვა-გაყიდვის წესს, როგორც საქონელი ან ცხოველი.“ უფრო მეტიც, არის ცნობები, რომ მონა ზოგჯერ ცხოველებზე უფრო დაბალ ფასად იყიდებოდა.[53] აქ გადამწყვეტი იყო მონათმფლობელთა იდეოლოგია, „რომელსაც თავის რიგებში ჰყავდა ანტიკური კულტურის მთელი ნაღები საზოგადოება არისტოტელეს ჩათვლით. მონის, როგორც ნაკლული ადამიანის, დამცირება უბრალოდ შეიცავდა საფრთხეს ადამიანის დამცირებისათვის. უფრო მეტიც, იყო ცდები, რომ ადამიანი წარმოედგინათ, როგორც ყველაზე უფრო ბოროტი არსება. უბედურება ისიც გახლდათ, რომ შრომა, რომელიც ადამიანის ღირსეული არსებობის წყაროა, მონათფლობელურ იდეოლოგიაში ადამიანის ღირსების დამამცირებლად ითვლებოდა. არისტოტელე მაგალითად, მოქალაქეობასაც კი არ აძლევდა იმ პირს, ვინც ფიზიკურ შრომას ეწეოდა.[54] მაშასადამე, სავსებით სწორი ჩანს პროფ. ბ. ხარაზიშვილის დებულება, რომ დანაშაულებათა კონკრეტული მიზეზი არის შრომისადმი, ადამიანებისადმი ანტისაზოგადოებრივი დამოკიდებულება. მართალია, ზოგიერთ გამონაკლის შემთხვევაში მონა (ან ყოფილი მონა) მიწათმფლობელებს თავიანთი შვილების მასწავლებლებად (ე.წ. გრამატიკოსებად) ჰყავდათ, მაგრამ, როგორც წესი, მონა სასტიკი ექსპლუატაციის (მათ შორის სქესობრივ სფეროში) ობიექტი იყო. რომაელ იმპერატორთა სასახლე გარყვნილების ბუდე იყო, რაც მათი ზნედაცემულობის უტყუარ ნიშნად გამოიყურება.

---

[53] მ. ალექსიშვილის დასახ. ნაშრომი, გვ. 12

[54] იქვე, გვ. 164.

ამრიგად, მონათმფლობელური იდეოლოგია მონობის არა მარტო გამართლებას ცდილობდა, არამედ ამართლებდა მონის უსასტიკეს ექსპლუატაციას, მათ შორის მოგების მომტან, სქესობრივი ექსპლუატაციის გზით, უბრალო გართობის მიზნით, ე.წ. გლადიატორთა მოკვდინების ამაზრზენად მახინჯი ფანტაზიის მეშვეობით და რიგი სხვა უბედურებით, რომელიც ადამიანის, როგორც განსაკუთრებულად მაღალი, უპირობო ღირებულებების ვერ გაგების შედეგიც გახლდათ. ისიც ცნობილია, რომ ბერძნული ფილოსოფია უპირატესად კოსმოლოგიური იყო და ადამიანის პრობლემა სოფისტებამდე და სოკრატემდე საგანგებოდ არც დასმულა. როგორც მართებულად მიუთითებს პროფ: მ. ჭელიძე, არისტოტელე, მაგალითად, მონისა და ბატონის ურთიერთობას უმაღლეს კოსმიურ სახესაც უძებნიდა.[55]

ამრიგად, მონათმფლობელური იდეოლოგია, როგორც წესი, მონობის, მონის, უსასტიკესი ექსპლუატაცის გამართლებას ცდილობდა და ამით არსებით წინააღმდეგობაში იყო ადამიანის, როგორც გონითი არსების, ცნებასთან. ჰეგელი, გარკვეული აზრით, სწორად აღნიშნავდა, რომ მონათმფლობელი მონაში თავის თავს ვერ ჭვრეტდა და ამდენად თავისუფალი არ იყო.

სამწუხაროდ, ამ მხრივ უკეთესი მდგომარეობა არც ფეოდალურ ეპოქაში იყო, მით უფრო ე.წ. „ტყვეთა სყიდვის" ქართული ტრაგედიის ფონზე. ადამიანი აქაც ხდება ყიდვა-გაყიდვისა და სხვა საშინელი ექსპლუატაციის ობიექტი. ცხადია, „ტყვეთა სყიდვის" ამორალურობა და მისი საძრახი ხასიათი მაშინაც კარგად ჰქონდათ შეგნებული. ქართული სახელმწიფოებრიობის დაცემისა და დაკნინების გამო იძალა ირან-ოსმალეთის აგრესიამ ამ სამარცხვინო საქმეშიც. ა.

---

[55] მ. ჭელიძე, ფილოსოფიის ისტორიის მეცნიერების სათავეებთან (პლატონი, არისტოტელე), თბ., 1982, გვ. 90.

[56] ა. კილასონიას დასახ. ნაშრომი, გვ. 7.

კილასონია მიუთითებს, რომ „თურქეთის ისტორიის ფუნდამენტურ გამოცემებში აღნიშნული საკითხი (ესე იგი, „ტყვეთა სყიდვა“ — გ.ნ.) საერთოდ არაა ნახსენები. ავტორი ამ ფაქტს თურქი მკვლევარების ტენდენციურობით ხსნის. ცხადია, არც უმაგისობაა, მაგრამ ვფიქრობთ, აქ გადამწყვეტი მაინც „ტყვეთა სყიდვის“ საძრახისი ხასიათია. გარდა ამისა, „ტყვე სოციალურად უმდაბლეს საფეხურზე მდგომი ადამიანია, ის ჩამონათვალში ძროხისა და ცხვრის შემდეგ არის დასახელებული, რაც პირდაპირ მიუთითებს მის მონურ და სრულიად უუფლებო მდგომარეობაზე.“[56] აქ კიდევ ერთხელ გავიმეორებთ, რომ ტერმინი „ტრეფიკინგი“ თავისი არსით დღემდე უცვლელია და ამდენად დღემდე ქმნის ადამიანის არა მარტო ზნეობრივი სახის პრობლემას, არამედ ადამიანის პრობლემას საზოგადოდ. ამ მხრივ საინტერესოდ გვეჩვენება ფეოდალურ საქართველოში მყოფი კათოლიკე მისიონერების გალაშქრება „ტყვეთა სყიდვის“ წინააღმდეგ. მათ ჩანაწერებში ვკითხულობთ მოსაზრებას, რომ ღმერთმა ადამიანი გააჩინა თავისუფალი და მათი ყიდვა-გაყიდვა ღვთის ნების წინააღმდეგ მოქმედება იყო, ისინი აღშფოთებას ვერ მალავდნენ იმის გამოც, რომ ქართველ ქრისტიანებს მუსულმანებზე ჰყიდიდნენ. აქ ბუნებითი სამართლის იდეებიც იყო მოშველიებული, მაგრამ სამწუხაროდ, ამგვარი შეგონება საქმის ვითარებას არ ცვლიდა და ეს სამარცხვინო საქმე მაინც გრძელდებოდა.

შეიცვალა თუ არა ამ მხრივ, ვითარება კაპიტალიზმის დროს? სამწუხაროდ, მარქსისტებს გარკვეული საფუძველი ჰქონდათ იმის მტკიცებისა, რომ სოციალიზმამდელი ყველა კლასობრივი საზოგადოება ექსპლუატატორული იყო. ამის ერთერთ საბუთად მოჰქონდათ ადამიანის გაუცხოების ცნება და პრობლემა. კერძოდ, როცა ადამიანს გარკვეული ისტორიული პირობების გამო არ აქვს საშუალება იცხოვროს თავისი ფუნდამენტური არსობრივი შესაძლებლობის მიხედვით, როცა ადამიანის მოღვაწეობის შედეგები მიმართულია

[56] ა. კილასონიას დასახ. ნაშრომი, გვ. 43.

თვით ადამიანის გვარეობითი არსების წინააღმდეგ და რომ ეს გაუცხოება მჟღავნდებოდა კაცობრიობის განვითარების მთელ მანძილზე, მაგრამ ის უფრო რელიეფურად გამოვლინდა კაპიტალიზმის წიაღში არსებული შრომის დანაწილების კვალობაზე. ადამიანს საკუთარი მოღვაწეობის შედეგები დაუპირისპირდა. ეს განსაკუთრებით ითქმის მშრომელ ადამიანზე. „ასეთ საზოგადოებაში კულტურულ ღირებულებათა მთელი მრავალფეროვნება და სიმდიდრე მშრომელი ადამიანის სულიერ-გონითი ძალების გამოფიტვისა და დეგრადაციის ხარჯზე ხორციელდება.“[57] მუშას კაპიტალისტი უწევს ექსპლუატაციას ისე, რომ იგი ფაქტობრივად ჰყიდის თავის სამუშაო ძალას და ამდენად ტრეფიკინგის შესაძლებლობისაგან არც კაპიტალიზმია დაზღვეული. ამას დღევანდელობაც ადასტურებს. მაგრამ, მეორე მხრივ, საკითხავია, მართლა თავისუფალი იყო თუ არა სოციალიზმი ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლუატაციისგან. ამ კითხვაზე პირდაპირი პასუხი ძნელია, რადგან სოციალიზმის დროს ადამიანის ყიდვა-გაყიდვა, ამ ცნებების სამოქალაქო-სამართლებრივი გაგებით, მართლაც არ ხდებოდა. თუმცა საქმე ის გახლდათ, რომ სოციალიზმის დროს თვით სახელმწიფო ახორციელებდა ადამიანთა შრომით ექსპლუატაციას. სრულიად არაადეკვატური გახლდათ ანაზღაურება იმ შრომისა, რომელსაც საბჭოთა ადამიანები ეწეოდნენ. თუ იმასაც ვიტყვით, რომ ათასობით რეპრესირებული ადამიანი სასტიკ იძულებით შრომას ეწეოდა, მაშინ გასაგებია, რომ სოციალიზმის დროს ადამიანი იყო „კომუნიზმის მშენებლობის“ უსახური საშუალება და არაფერი სხვა.

გამოდის, რომ ადამიანს საშველი არც ერთ ეპოქაში არ ადგა. ამიტომ დგას ადამიანის არსებობის საზრისის თუ ღირებულების პრობლემა. რისთვის არსებობს ადამიანი? რაა მისი

---

[57] ა. ბაქრაძე, ადამიანის გვარეობითი არსისა და იდეალის პრობლემა, „ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საკითხები,“ ტ.V., თბ., 1983, გვ. 62-63.

დანიშნულება? არის თუ არა ადამიანის სიცოცხლე უმაღლესი, უპირობო ღირებულება? ეს კითხვა ფილოსოფიაში არაერთგზის დასმულა, მაგრამ განსაკუთრებით საინტერესოა, როცა ამგვარ საკითხს არაფილოსოფოსი დასვამს, თანაც ის პიროვნება, რომელიც, როგორც ჩანს, ორგანიზებული დანაშაულითა და ტერორიზმითაა შეწუხებული. მხედველობაში გვაქვს რუსი იურისტი ვ. ლუნეევი, რომელიც საკმაო ფაქტობრივი მონაცემების საფუძველზე აკეთებს განმაზოგადებელ დასკვნას, რომ ორგანიზებული დანაშაული და ტერორიზმი აწუხებს არა მარტო თანამედროვე რუსეთს, არამედ არაერთ მოწინავე, განვითარებულ სახელმწიფოს, მათ შორის ამერიკის შეერთებულ შტატებსაც. ავტორი ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე აშიშვლებს ორგანიზებული დანაშაულის ფსიქოლოგიურ მხარეს, მის მოტივებს და მიდის დასკვნამდე, რომ ყოველივე ამ ჭაპანწყვეტას ანგარებით გახელება წარმართავს. მისი დასკვნით, წარმათველი კრიმინალური მოტივაცია პრაგმატისტულია, უტილიტარული და პრიმიტიულია: – ანგარება ან სხვა პირადი დაინტერესება. ის ბიბლიური დროიდან აღარ შეცვლილა, მხოლოდ უფრო გაძლიერდა საზოგადოებრივ ურთიერთობათა არამარტო ეკონომიკურ და პოლიტიკურ, არამედ ზნეობრივ და შემოქმედებით სფეროშიც კი, „ანგარებიანობის" პროცესი გრძელდება. კაცობრიობის იმედი, რომ ეკონომიკურ განვითარებაზე დამყარებული პროგრესი ზნეობის ზოგად შემსუბუქებას გამოიწვევს, არ გამართლდა.[58]

ამრიგად, „იმის მიუხედავად, რომ ეს სტატია 2002 წელს გამოქვეყნდა, მსოფლიოს წამყვან სახელმწიფოებში ამ მიმართებით დღემდე არაფერი შეცვლილა სასიკეთოდ. დიდი იმედი, რომ საზოგადოების ეკონომიკური განვითარება ადამიანთა ზნეობის გაჯანსაღებას გამოიწვევს, არც დღეს მართლდება. სამწუხაროდ, ამგვარ პესიმისტურ დასკვნას ადამია-

[58] В.В. Лунеев, Организованная преступность, уголовный терроризм в условиях глобализации, „Социологические исследования," 2002, № 5, стр. 11.

ნის ზნეობრივ ცდომილებათა შესახებ მხოლოდ ვ. ლუნეევი როდი აკეთებს. ეს საკითხი დღემდე თავსატეხია რადგან, მას არაერთი პარადოქსული დასკვნა უკავშირდება. ცხადია, ორგანიზებულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლაში მოსახლეობის ეკონომიკური სიდუხჭირე ეფექტური ვერ იქნება, თუმცა, რაოდენ პარადოქსულიც არ უნდა იყოს, ეკონომიკურად ჩამორჩენილ ქვეყნებში მოთხოვნილებაც შეზღუდულია, და მაშასადამე, ხალხს ასე ვთქვათ, ცოტაც ჰყოფნის და ამიტომ ამ საზოგადოებაში ადამიანი კრიმინალურ გზას ნაკლებად ადგას. ეკონომიკურად განვითარებულ სახელმწიფოებში კი, მოთხოვნილებაც დიდი და მზარდია, რის გამოც კრიმინალიც ხშირია, თუ სახელმწიფომ თავის თავზე არ აიღო კრიმინალთან კანონიერი ბრძოლის პასუხისმგებლობა. ამასთან სახელმწიფო კრიმინალს არა მხოლოდ პოლიტიკურად და სამართლებრივად უნდა დაუპირისპირდეს, არამედ იდეოლოგიურადაც, ადამიანის ცხოვრების საზრისისა და ყოფიერების პრობლემებზე ყურადღების გამახვილებით, სახელმწიფოსა და მის საფუძველში ნაგულისხმევი საზოგადოების წინაშე მდგარი მიზნებისა და ამოცანების გადაჭრაზე ორიენტაციით. ამ პოზიციიდან გასაგებია, რომ ადამიანის წინაშე მდგარ ანთროპოლოგიურ პრობლემებს დიდი პროფილაქტიკური მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, არის თუ არა ადამიანის სიცოცხლე უმაღლესი ღირებულება? საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, სისხლისსამართლებრივი დაცვის უპირველესი ობიექტია ადამიანის სიცოცხლე, მაგრამ არა როგორც ბიოლოგიური მოვლენა, არამედ, გარკვეული ნორმატიული ურთიერთობის ობიექტი.

ამ მხრივ ფრიად საინტერესოა დ. უზნაძის ანთროპოლოგიური კონცეფცია, რომელსაც ამჯერად მოკლედ გადმოვცემთ. ავტორის აზრით, ადამიანის სიცოცხლე რომ უმაღლესი, უპირობო ღირებულება იყოს, მაშინ ადამიანის ყოველგვარი სიკვდილი უდიდესი ბოროტება იქნებოდა. ცხადია, ჩვეულებრივ პირობებში მკვლელობა, მისი ჩადენის გარემოებათა

მიხედვით, დასჯადი ქმედებაა. მაგრამ როგორც ავტორი ამბობს, „იწყება ომი... და ჩვენი აზრი და გრძნობა ძირფესვიანად იცვლება" და რომ ჩვეულებრივ დროს გაჭედილი ღირებულებათა მწყობრი სისტემა ერთბაშად ნიავდება; სინდისი ძირფესვიანად ირყევა და მტრის სიკვდილი სასიქადულო და სანატრელ ამბად ეპკურება ჩვენს სმენას. „თუ მშვიდობიანობის დროს ერთი კაცის მკვლელობაც უდიდესი ბოროტება იყო, ომის ვითარებაში ათასი კაცის სისხლში ამობანილი ხელი გმირისა და კეთილისმყოფელის ხელად გვეჩვენება."[59] რადგან ომის დროს მტრის მოკვდინება უფრო რაინდობად მიგვაჩნია, ვიდრე დანაშაულად, — ჩვენი ბუნებრივი რწმენა გვეუბნება, რომ „კერძო ადამიანის სიცოცხლე არ წარმოადგენს უდიდეს ღირებულებას, რომ ჩვენი დანიშნულება თვითონ სიცოხლესა და, მაშასადამე, მის გაფართოებასა და გაღრმავებაში როდი უნდა ვეძიოთ, არამედ პირიქით, სიცოცხლე მხოლოდ საშუალებაა, რომლის მეოხებითაც ხორციელდება ის უმაღლესი დანიშნულება, ადამიანის არსებობას რომ უდევს სარჩულად."[60] ავტორი ასკვნის, რომ „სიკვდილი და სიცოცხლე ამ დანიშნულებისათვის სულ ერთია, რომ ზოგჯერ იგი სიკვდილს მოითხოვს, ზოგჯერ სიცოცხლეს, რაც იმას ადასტურებს რომ ჩვენი არსებობის აზრი ჩვენივე სიცოცხლის მიღმა და მაღლა დგას.„

როგორც ჩანს, საკითხი აქაც მიზან-საშუალების ჭრილში დგას. სიცოცხლე, გარკვეული ასპექტით, საშუალებაა ადამიანის ღირსეული არსებობისა. მით უმეტეს, რომ ჩვენ, ქართველებს, დიდი ხნის წინათ გვიანდერძეს: „სჯობს სიცოცხლესა ნაძრახსა, სიკვდილი სახელოვანი". მაგრამ სიცოცხლე ფილოსოფიაში მხოლოდ აღნიშნული აზრით არ განიხილება. არსებობს სიცოცხლის ფილოსოფია, რომელიც სხვა არაფერია, თუ არა სიცოცხლის მიერ თავისი თავის გაგება ჰერმენევტიკის პოზიციებიდან. თ. ბუაჩიძე ეთანხმება ვილჰელმ

[59] დ. უზნაძე, ფილოსოფიური შრომები, თბ., 1984, გვ. 275.
[60] იქვე, გვ. 276.

დილთაის იმ დებულებას, რომ ადამიანის ადამიანური ბუნება არსებობას იწყებს მხოლოდ მაშინ, როცა ის ისტორიის გზაზე გამოისახება და რომ „ისტორია ხორცშესხმული ადამიანის ბუნებაა."[61] მით უფრო, რომ დილთაის ფილოსოფია გაგების, ანუ, ჰერმენევტიკულ მეთოდს წარმოადგენს ისე, რომ ფილოსოფია სიცოცხლის მიერ საკუთარი თავის წვდომაა.[62]

ამრიგად, ჩვენ, თუმცა მოკლედ, მაგრამ მაინც განვიხილეთ ადამიანის ისტორიული ყოფიერების ზოგიერთი ასპექტი ტრეფიკინგის, როგორც ადამიანის მიერ ადამიანის ყიდვა-გაყიდვის, შრომითი თუ სექსუალური ექსპლუატაციის პოზიციებიდან და ეს დანაშაულებრივი ქმედება ადამიანის ღირსებას დღემდე აკნინებს, უფრო იმ ადამიანისა, რომელიც ამ ქმედებას სჩადის. როგორ ახერხებს ადამიანი ამ საზარელი დანაშაულის ჩადენას სინდისის სათანადო ქენჯნის გარეშე? ამ კითხვაზე საინტერესო პასუხს იძლევა პროფ. ზ. კაკაბაძე ე.წ. თვითმოტყუების ფენომენის დასაბუთებით. კერძოდ, ადამიანი მიდრეკილია თვითმოტყუებისაკენ და ეს ადამიანის ერთ-ერთი დამახასიათებელი სისუსტეა და რომ ის ადამიანში ბოროტი საწყისის ძირითადი იარაღია. სოციალურ სფეროში კი იგი რეაქციული კლასის ყალბი იდეოლოგია და ამ კლასის დანაშაულებრივი მიზნების იარაღია.[6364] თვითმოტყუება ნიშნავს ადამიანის მიერ თავისი სინდისის ნეიტრალიზაციას, მის მოტყუებას, საძრახისი საქმე, პირიქით, თითქოს გამართლებულია. თავის მომტყუებლებს კი, მხილება ძალიან არ უყვართ. მამხილებელი ფილმების მაყურებელთა შორის შეიძლება აღმოჩნდეს რომელიმე სუტენიორი, რომელიც აღშფოთებას გამოთქვამს ამ მამხილებელი ფილმების მიმართ: ნახეთ, ცილს გვწამებენ, განა ჩვენ ასეთი ცუდები ვართო? ასევე არ უნდა გაგვიკვირდეს, თუ ეს სუტენიორი პრესის ფურცლებზე თავის აღმაშფოთებელ წერილს

---

[61] თ. ბუაჩიძე, სიცოცხლის ფილოსოფია, თბ., 1971, გვ. 57.

[62] იქვე, გვ. 68.

[63] ზ. კაკაბაძე, ადამიანი, როგორც ფილოსოფიური პრობლემა, თბ., 1987, გვ. 18.

გამოაქვეყნებს და რომის პაპთან ერთად მოითხოვს ამგვარი „ცილისმწამებლური“ ხელოვნების აკრძალვას (იქვე, გვ 18). ავტორი წერდა: „სინდისი, ყოველივეს მიუხედავად, ყოველ ჩვენგანშია და გარდაუვალად მოითხოვს ობიექტურად ღირებულ, ე.ი. კეთილ საქციელს. თუ სინდისი არ მოტყუვდა, არ დაბრმავდა ყალბი შუქით, მას ძალუძს ჩაშალოს ნებისმიერი დანაშაულებრივი საქმე. დანაშაულის ჩადენისათვის ადამიანი რაღაც ზომით ყოველთვის საჭიროებს საკუთარი სინდისის ნეიტრალიზაციას თავის მოტყუების საშუალებით. ეს მოტყუება ვიზაა დანაშაულის სამყაროში შესასვლელად.“[64][65] ამრიგად, აშკარაა, რომ თვითმოტყუება შეიძლება იყოს, როგორც რეაქციული, ყალბი იდეოლოგიის წყარო, ისე ინდივიდუალური დანაშაულებრივი ქმედების ყალბად გამართლების საფუძველი. ეს, ცხადია, პირდაპირ ეხება ტრეფიკინგსაც. მით უფრო, რომ ავტორი ლაპარაკობს სუტენიორზე, რომელიც უსინდისოდ და ფარისევლურად იმართლებს თავს, თითქოს ის საძრახისს არაფერს აკეთებს. ესაა დანაშაულის, მათ შორის, ტრეფიკინგის, გამართლების ამაო მცდელობა, რადგან დანაშაულის გამართლება შეუძლებელია. მით უფრო, რომ ტრეფიკინგი განზრახი დანაშაულია, ხოლო, ამგვარი დანაშაული არის ადამიანის ისეთი შეცდომა, რომელიც ფილოსოფიურად ფასდება, როგორც მსოფლმხედველობრივი ცდომილება.[65]

ცხადია, პრობლემა ამ მხრივაც შემდგომ გაღრმავებას მოითხოვს.

---

[64] ზ. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 19.

[65] გ. ნაჭყებია, განზრახი დანაშაული როგორც ფილოსოფიური ცდომილება, „ფილოსოფიური ძიებანი,“ ტ. X1, 2007, გვ. 129-142.

თავი II

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სისხლისსამართლებრივი დახასიათება და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

ნონა თოდუა

სამართლის დოქტორი

§ 1. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სისხლისსამართლებრივი დახასიათება

XX საუკუნის ბოლოს მსოფლიოს კრიმინალურ ბიზნესს (იარაღით და ნარკოტიკით ვაჭრობის გვერდით) დაემატა ახალი სახე – ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი).

ტყვეთა სყიდვის სახელწოდებით ცნობილი ეს დანაშაული, გავრცელებული იყო XIV- XVIII საუკუნეების საქართველოში და მას ძირითადად მუსლიმური ქვეყნების წარმომადგენლები სჩადიოდნენ ქართველ დიდგვაროვანთა დახმარებით.

ამდენად, წარსულში უკვე მივიწყებულმა დანაშაულმა გასულ საუკუნეში ახალი ძალით იფეთქა და იგი მსოფლიო კრიმინალურ ბიზნესში, მასშტაბის თვალსაზრისით, მეორე, მესამე ადგილს იკავებს.

ადამიანით ვაჭრობის ცნება სხვადასხვაგვარადაა განმარტებული როგორც დოქტრინაში, ისე საერთაშორისო კონვენციებში (ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის დამატებითი ოქმი – ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ – მე-3 მუხლი; 2005 წლის მაისის ევროსაბჭოს კონვენციის – ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის

შესახებ – I თავის მე-4 მუხლი), მაგრამ უნდა ითქვას, რომ ამ განმარტებათა ძირითადი არსი ერთია და იგი მოიცავს:
ა) სათანადო ქმედებებს; ბ) მათი განხორციელების ხერხსა (ობიექტური შემადგენლობა) და მიზანს (ექსპლუატაციას).
მონობის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის მიხედვით, სახელმწიფოები იყოფიან სამ ჯგუფად:

1. მიმწოდებელი ქვეყანა – რომლის ტერიტორიიდანაც გაჰყავთ მუდმივად მაცხოვრებელი ადამიანები (ე.ი. ექსპლუატაციის მსხვერპლნი);
2. ტრანზიტული ქვეყანა – რომლის ტერიტორიის გავლით ხდება მსხვერპლთა გადაყვანა;
3. დანიშნულების ქვეყანა – ესაა ბოლო სახელმწიფო, რომლის ტერიტორიაზეც ხდება ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა სხვადასხვა სახით ექსპლუატაცია.

აქედან საქართველო ძირითადად მიეკუთვნება ტრანზიტული ქვეყნების ჯგუფს.

საქართველოს სსკ-ის 143[1]-ე მუხლი სწორედ ზემოთხსენებულ კონვენციათა მიერ მოცემულ ცნებაზეა აგებული. კერძოდ, იგი ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: ადამიანის ყიდვა ან გაყიდვა, ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მუქარით, ძალადობით ან იძულების სხვა ფორმით, მოტაცებით, შანტაჟით, თაღლითობით, მოტყუებით, უმწეო მდგომარეობის ან ძალაუფლების ბოროტად გამოყენებით, საზღაურის ან სარგებლის მიცემის ან მიღების გზით იმ პირის თანხმობის მისაღებად, რომელსაც სხვა პირზე ზეგავლენის მოხდენა შეუძლია, ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით.

განსახილველი ნორმა მოიცავს ასევე სხვადასხვა დამამძიმებელ გარემოებას, რაზეც ქვემოთ იქნება საუბარი.

ამ დანაშაულისაგან სისხლის სამართლის დაცვის ობიექტია საქართველოს კონსტიტუციით და საერთაშორისო აქტებით აღიარებული ადამიანის პირადი უფლება და თავისუფლება: ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე თავისუფალი გადაადგილების უფლება, საცხოვრებელი ადგილისა და საქმიანობის სფეროს თავისუფალი არჩევის უფლება, მისი პატივი და ღირსება. ფაკულტატური ობიექტია ადამიანის სიცოცხლე და ჯანმრთელობა, რომელსაც შეიძლება შეექმნას საფრთხე.

დანაშაულის მსხვერპლი აუცილებლად არის სრულწლოვანი. ჩვენმა კანონმდებელმა პასუხისმგებლობა არასრულწლოვნით ვაჭრობისათვის გაითვალისწინა სისხლის სამართლის კოდექსის ცალკე მუხლში.

დანაშაულის ამსრულებელია სისხლისსამართლებრივ ასაკს მიღწეული, შერაცხადი პირი (საერთო სუბიექტი). სპეციალური სუბიექტი გათვალისწინებულია ამ მუხლის მხოლოდ დამამძიმებელ გარემოებაში (მეორე ნაწილის „გ" ქვეპუნქტი – სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით).

დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა შეიძლება დაიყოს შემდეგნაირად:

ა) ქმედებები; ბ) მისი განხორციელების ხერხები.
ადამიანის მიმართ განხორციელებული ეს ქმედებებია:

1. ყიდვა;
2. გაყიდვა;
3. სხვა უკანონო გარიგების განხორციელება;
4. გადაბირება;
5. გადაყვანა;
6. გადამალვა;
7. დაქირავება;
8. ტრანსპორტირება;
9. გადაცემა;
10. შეფარება;

11. მიღება (ექსპლუატაციის მიზნით).

ამ ქმედებათა უმრავლესობის განხორციელების ხერხებია:

1. მუქარა - (იგულისხმება ცემის, ჯანმრთელობის მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე დაზიანების, მოტაცების, წამების და სხვა ძალადობის მუქარა, ოღონდ იგი არ უნდა იყოს საშიში სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის – რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 143[1]-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ“ ქვეპუნქტით);
2. ძალადობა - (იგულისხმება ცემა, ჯანმრთელობის მსუბუქი ან ნაკლებად მძიმე დაზიანება, წამება, გათოკვა და სხვა);
3. იძულების სხვა ფორმის გამოყენება - (სისტემატური დამცირება და აბუჩად აგდება, რათა პირი იძულებული გახდეს, დაემორჩილოს დამნაშავეს);
4. მოტაცება - (პირის იძულებითი გადაადგილება სხვა ადგილას);
5. შანტაჟი - (სახელის გამტეხი ან დანაშაულში მამხილებელი ცნობის გავრცელების მუქარა);
6. თაღლითობა (დამნაშავე მოტყუებით ეუფლება მსხვერპლის ნივთს და შემდეგ ამ ნივთის დაბრუნების საბაბით აბამს მას ექსპლუატაციაში);
7. მოტყუება - (მსხვერპლის შეცდომაში შეყვანა სხვადასხვა ცრუ დაპირებით. მაგალითად, რომ მოაწყობს სამუშაოზე. სინამდვილეში კი მიჰყავს ექსპლუატაციაში ჩასაბმელად);
8. უმწეო მდგომარეობის გამოყენება - (ამ შემთხვევაში უმწეო მდგომარეობაში მყოფი ამ დანაშაულის ამსრულებელია და არა მსხვერპლი. აქ იგულისხმება მხოლოდ ფიზიკური (და არა ფსიქიკური) უმწეობა, როცა პირი იყენებს თავის უმწეობას იმისათვის, რომ დაარწმუნოს მისი ახლო ნათესავი ექსპლუატაციაში ჩაბმის აუცილებლობაში;
9. ძალაუფლების ბოროტად გამოყენება – მასში ვერ ვიგუ-

ლისხმებთ სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებას (ამ მუხლის მე-2 ნაწილი), ვერც საოჯახო, პედაგოგიურ ან მატერიალურ დამოკიდებულებას (ამ მუხლის მე-2 ნაწილი). ამ შემთხვევაში იგულისხმება მხოლოდ კრიმინალური ძალაუფლების გამოყენება ადამიანით ვაჭრობისათვის;

10. საზღაურის ან სარგებლის მიცემა იმ პირზე, ვისაც სხვა პირზე (ანუ ექსპლუატაციის პოტენციურ მსხვერპლზე) ზეგავლენის მოხდენა შეუძლია;
11. საზღაურის ან სარგებლის მიღება იმ პირის თანხმობის მისაღწევად, რომელსაც სხვა პირზე (ექსპლუატაციის პოტენციურ მსხვერპლზე) ზეგავლენის მოხდენა შეუძლია.

აშკარაა, რომ ამ ბოლო ორ შემთხვევაში დანაშაულის ხერხია მოსყიდვა, მაგრამ ხდება არა თავად მსხვერპლის, არამედ იმ პირთა მოსყიდვა, ვისაც მსხვერპლზე შეუძლია ზეგავლენის მოხდენა სხვადასხვა საშუალების (მაგალითად, მუქარის) გამოყენებით.

ჩამოთვლილი ხერხების გამოყენება არაა დამახასიათებელი ადამიანის ყიდვა-გაყიდვისა და მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელებისათვის. ასევე იგი არ ახასიათებს ადამიანის მიღებას ექსპლუატაციის მიზნით. სხვა ქმედებების განხორციელებისას კი (მაგალითად, გადაბირების, გადაყვანის, გადამალვის და ა.შ.), აუცილებელია, ერთ-ერთი ამ ხერხის გამოყენება.

როგორც ვხედავთ, სახეზეა ერთიანი დანაშაული ალტერნატიული ქმედებებით. ეს იმას ნიშნავს, რომ დანაშაულის დამთავრებულად ცნობისათვის საკმარისია ერთ-ერთი მათგანის ჩადენა (მაგალითად, ყიდვის). ამასთანავე, როცა სახეზეა შესაბამისი ხერხით განხორციელებული რამდენიმე ქმედება, რომელიც ჩადენილია ერთიანი განზრახვით (მაგალითად, დამნაშავემ იყიდა მსხვერპლი, შემდეგ გადაიბირა და

გადაიყვანა იგი მუქარით და მიჰყიდა ექსპლუატატორს), ქმედება დაკვალიფიცირდება არა დანაშაულთა ერთობლიობით, არამედ როგორც ერთი დანაშაული (სსკ-ის 143[1]-ე მუხლის შესაბამისი ნაწილით).

სანამ დეტალურად განვიხილავდეთ სსკ-ის 143[1]-ე მუხლის ობიექტურ და სუბიექტურ შემადგენლობას, უნდა შევნიშნოთ, რომ ადამიანით ვაჭრობა, როგორც წესი, გაივლის რამდენიმე სტადიას:

1. მსხვერპლის გამოძებნა და თავმოყრა;
2. მისი გადაადგილება (როგორც ქვეყნის შიგნით, ისე სახელმწიფო საზღვარზე ტრანზიტით გადაყვანა);
3. მისი მიღება ექსპლუატაციის მიზნით;
4. მისი ექსპლუატაცია.

უნდა აღინიშნოს, რომ მსხვერპლის გამოძებნა (მისი გამოვლენა), წინ უძღვის ამ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის განხორციელებას. დამნაშავეები წინასწარ სწავლობენ პოტენციური მსხვერპლის პიროვნებას (მის გარეგნობას, მორალურ, ინტელექტუალურ და ფიზიკურ შესაძლებლობებს), ასევე მის ახლობელთა წრეს, რათა შეიტყონ, რამდენად სარისკოა ამ პირის ექსპლუატაციაში ჩაბმა. ეს წინარე ქმედებები, რომლის მიზანია მსხვერპლის გამოძებნა, არ შედის სსკ-ის 143[1]-ე მუხლის ობიექტურ შემადგენლობაში. იგი მხოლოდ დანაშაულის მომზადებად შეიძლება ჩაითვალოს, ისიც სათანადო პირობების არსებობისას.

მაგალითად, ა-მ შექმნა ტურისტული ფირმა ვითომ საზღვარგარეთ სამუშაოდ წამსვლელთა მომსახურებისათვის. სინამდვილეში კი იქ მისული მოქალაქეებისაგან საგულდაგულოდ არჩევს ექსპლუატაციის პოტენციურ მსხვერპლთ, რათა მომავალში სხვადასხვა ხერხით მოახდინოს მათი გადაბირება, გადაყვანა ექსპლუატაციაში ჩასაბმელად.

პოტენციურ მსხვერპლთა მძებნელი და შემკრები, როგორც წესი, თავად არ ახდენს მათ ექსპლუატაციას, არამედ მსხვერპლს გადასცემს სხვას, იმას, ვინც მიიღებს მას ექსპლუატაციისათვის.

პოტენციურ მსხვერპლთა ამგვარი შერჩევა (მათ გადაბირებამდე) უნდა ჩაითვალოს ადამიანით ვაჭრობის მომზადებად – სსკ-ის 18, 143[1]-ე მუხლი (თუ რა თქმა უნდა, ეს ყველაფერი დადასტურდება შესაბამისი მტკიცებულებებით).

რაც შეეხება მსხვერპლის ექსპლუატაციას, მისი რეალურად განხორციელება არაა ადამიანით ვაჭრობის ობიექტური შემადგენლობის ალტერნატიულ-სავალდებულო ნიშანი. ამდენად, იგი არაა აღწერილი განსახილველი მუხლის შემადგენლობაში და დანაშაული ექსპლუატაციის პრაქტიკულად განხორციელებამდეც დამთავრებულია. თუმცა საქმე ისაა, რომ ექსპლუატაციის რეალურად განხორციელების შემთხვევაში ქმედების დამატებითი კვალიფიკაცია დანაშაულთა ერთობლიობით, როგორც წესი, საჭირო არაა (გარდა იმ შემთხვევისა, როცა მსხვერპლი ჩაბმულია დანაშაულებრივ ქმედებაში).

ამდენად, ადამიანის ექსპლუატაციის რეალურად განხორციელება არაა აღწერილი სსკ-ის 143[1]-ე მუხლში, მაგრამ იგი მასში, როგორც წესი, იგულისხმება.

ადამიანის ყიდვა-გაყიდვა — იგი შესაძლებელია განხორციელდეს იმ პირისთვის ფულის გადახდით, ვისაც ფაქტობრივად შეუძლია მსხვერპლის მყიდველისთვის გადაცემა. მსხვერპლის მყიდველისთვის გადაცემა კი შეუძლია გაყიდულის მშობელს, მეუღლეს, სხვა კანონიერ წარმომადგენელს ან ნებისმიერ სხვას, ვინც ადამიანი მოტყუებით ან ძალადობით მიუყვანა მყიდველს.

ადამიანის ყიდვა ასევე შეიძლება მისი სხვა ნივთში გაცვლით, ვალში ჩათვლით. იგივე ითქმის ადამიანის გაყიდვაზე, რადგან ყიდვა-გაყიდვა ურთიერთგანპირობებული ქმედებებია: ისინი ერთმანეთის გარეშე არ არსებობენ.

ვინაიდან ადამიანის ყიდვა-გაყიდვა ყოველთვის უკანონოდ ხდება, ამიტომ განსახილველ მუხლში არაა მითითება ამ ქმედების უკანონობაზე, რადგან იგი ისედაც იგულისხმება. თუმცა ეს ქმედება შეიძლება განხორციელდეს მართლწინააღმდეგობის გამომრიცხველ გარემოებებში. მაგალითად, ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლის ყიდვა იმ მიზნით, რომ იგი დაუბრუნონ თავის ოჯახს, გამორიცხავს ამ ქმედების მართლწინააღმდეგობას.

ადამიანის ყიდვის შემდეგ, როგორც წესი, გაყიდული პირი გადადის მყიდველის უვადო „მფლობელობაში". თუმცა არაა გამორიცხული, გამყიდველი და მყიდველი შეთანხმდნენ გარკვეულ ვადაზეც (მაგალითად, მსხვერპლის გაყიდვა იმ ვადით, რაც დაფიქსირებულია საზღვარგარეთ მისი ყოფნის ვიზაში).

აქვე ადამიანის ყიდვა-გაყიდვა უნდა გავმიჯნოთ ისეთი კანონიერი გარიგებისაგან, როცა მხარეებს შორის დადებული ხელშეკრულების (კონტრაქტის) საფუძველზე ადამიანი გარკვეული ანაზღაურების სანაცვლოდ კისრულობს ვალდებულებას, ითანამშრომლოს ვთქვათ, რომელიმე საფეხბურთო გუნდთან გარკვეული ვადით ან უვადოდ. სპორტში ხშირია შემთხვევა, როცა ცნობილი სპორტსმენი გადადის ერთი გუნდიდან მეორეში, რადგან მას იქ მეტ ანაზღაურებას და უკეთეს პირობებს სთავაზობენ. ასეთი გარიგება კანონიერია და მას არავითარი საერთო არ აქვს ადამიანის ყიდვა-გაყიდვასთან (თუმცა ასეთ შემთხვევაში ხშირად საუბრობენ იმაზე, რომ თითქოს ეს სპორტსმენი „იყიდა" ამა და ამ გუნდმა).

ადამიანის ყიდვის დროს კი მსხვერპლი ისე გადადის მყიდვე-

ლის მფლობელობაში, რომ ეს გარიგება არსად არაა დაფიქსირებული (იგი ვერც დაფიქსირდება, რადგან უკანონოა). აქედან გამომდინარე, მყიდველს შეუძლია მოექცეს მახ ისე, როგორც მოესურვება. ამასთანავე, გაყიდული ადამიანის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილი ოფიციალურად არსად არაა დაფიქსირებული, იგი გამქრალია სამართლებრივი სივრციდან (არც ცოცხლებშია და არც გარდაცვლილებში). თუ ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლი მისი ექსპლუატაციისას გარდაიცვალა, ან მოკლეს, მისი გარდაცვალების ფაქტობრივი ადგილი არ იქნება დაფიქსირებული, რადგან ეს შეიძლება გახდეს სამხილი დამნაშავეებისათვის. უფრო მეტიც, შესაძლებელია, მისი გარდაცვალების არა მარტო ადგილი, არამედ ფაქტიც კი დაუფიქსირებელი გახდეს და შეიქმნეს ვითარება, როცა პირი გარდაცვლილია, მაგრამ ეს ფაქტი არაა რეგისტრირებული.

ადამიანის ყიდვა-გაყიდვისას არაა აუცილებელი ისეთი ხერხების გამოყენება, როგორიცაა მუქარა, მოტყუება, ძალადობა და სხვა. ყიდვა-გაყიდვა შეიძლება მოხდეს თვით მსხვერპლთან შეთანხმებით და ეს არ გამორიცხავს ქმედების მართლწინააღმდეგობას, რადგან თავად ეს გარიგებაა უკანონო. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ მსხვერპლის თანხმობის შემთხვევაშიც „საზღაური“ გადაეცემა არა მას (მსხვერპლს), არამედ მესამე პირს (მაგალითად, მის მეუღლეს). თუ ასეთი საზღაური (ფული) გადაეცა თავად მსხვერპლს, რათა მიღწეულ იქნეს მისი თანხმობა ექსპლუატაციაში ჩაბმაზე, ასეთი გარიგება არ ჩაითვლება ადამიანის ყიდვა-გაყიდვად. ასეთი გარიგება უნდა ჩაითვალოს ადამიანის გადაბირებად, რომლის ხერხად გამოყენებულია მოსყიდვა. მოსყიდვა კი, როგორც დანაშაულის ხერხი, იგულისხმება არასრულწლოვნით ვაჭრობისას (სსკ-ის 143²-ე მუხლის 1-ლი ნაწილი), მაგრამ ასეთი ხერხი არაა მოცემული ადამიანით ვაჭრობის (სსკ-ის 143¹-ე მუხლი) შემადგენლობაში.

ამდენად, სრულწლოვნის გადაბირებისათვის მოსყიდვით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა არაა დაწესებული.ეს სწორიცაა, რადგან ცდუნება საზღაურის დაპირებით ექსპლუატაციის ხერხად შეიძლება ჩაითვალოს მხოლოდ არასრულწლოვნის მიმართ, რომლის ზნეობრივი კრედო და ფსიქიკა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია და დამნაშავე სარგებლობს ამ ვითარებით.

აქედან გამომდინარე, ვერ დავეთანხმებით იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულ მოსაზრებას, რომ სხვა უკანონო გარიგებაში იგულისხმება დამნაშავესა და დაზარალებულს შორის რაიმე უკანონო მორიგება-შეთანხმება და რომ ადამიანის პროსტიტუციაში ჩაბმა სოლიდური თანხის დაპირებით, თითქოს უნდა შეფასდეს, როგორც ადამიანის მიმართ სხვა უკანონო გარიგება.[66]

ეს მოსაზრება არაა მისაღები, რადგან:

ა) „ცდუნება", რაშიც ძირითადად იგულისხმება მოსყიდვა, როგორც მსხვერპლზე ზემოქმედების ხერხი, საერთოდ არაა გათვალისწინებული სსკ-ის 143[1]-ე მუხლში;

ბ) ადამიანის მიმართ უკანონო გარიგებისას დანაშაულის მსხვერპლი საერთოდ არაა ამ გარიგების მონაწილე (სუბიექტი), იგი ამ გარიგების ობიექტია, ე.ი. გარიგება მიდის დამნაშავესა და სხვა პირს შორის.

გარდა ამისა, სრულწლოვნის ჩაბმა პროსტიტუციაში მოსყიდვით, საერთოდ არაა სისხლის სამართლებრივად დასჯადი ქმედება. ასეთი ქმედებისათვის პასუხისმგებლობა დაკისრებულია იმ შემთხვევაში, თუ იგი მიმართულია არასრულწლოვნისკენ. ასეთი ქმედება არასრულწლოვნის მიმართ უნდა დაკვალიფიცირდეს ან სსკ-ის 171-ე მუხლის მე-3 ნაწილით (არასრულწლოვნის ჩაბმა პროსტიტუციაში ძალადობის,

[66] გ. ლობჟანიძე, ტრეფიკინგის სამართლებრივი ასპექტები, თბ., 2006, გვ. 146).

ძალადობის მუქარისა და მოტყუების გარეშე), ან როგორც არასრულწლოვნით ვაჭრობა (თუ მას მცირეწლოვნების ან სხვა მიზეზის გამო არ ესმოდა, რა ქმედებაში იყო ჩაბმული). ადამიანის ყიდვა-გაყიდვა დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს მაშინ, როცა გაყიდული პირი გადავა მყიდველის „მფლობელობაში“. მხოლოდ მხარეთა შეთანხმება, თუნდაც მას ახლდეს გამყიდველზე ფულის გადაცემა, არ უნდა შეფასდეს, როგორც ადამიანის გაყიდვა ან ყიდვა, თუ მას თან არ ახლავს გაყიდული პირის ფაქტობრივი გადაცემა მყიდველზე. ეს გარიგება ნასყიდობის ხელშეკრულებისაგან განსხვავდება რამდენიმე ნიშნით:

1. გარიგება აქ არის უკანონო. ამდენად, მყიდველს ფულის გადახდის მომენტიდან არანაირი სამართლებრივი უფლება პირზე არ წარმოეშობა, ხოლო ფაქტობრივი შესაძლებლობა მისი გამოყენებისა, ჯერ არ აქვს;
2. გარიგება ეხება ადამიანს (და არა ნივთს). ადამიანი კი გაყიდულად მაშინ უნდა ჩაითვალოს, როცა იგი ფაქტობრივად გადავა მყიდველის ხელში, რადგან მხოლოდ ამ მომენტიდან შეუძლია მყიდველს გამოიყენოს იგი თავისი შეხედულებისამებრ.

ადამიანის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება – უნდა აღინიშნოს, რომ ადამიანის ყიდვა-გაყიდვაც უკანონო გარიგების ერთ-ერთი სახეა, ხოლო სხვა უკანონო გარიგებაში შეიძლება ვიგულისხმოთ შემთხვევა, როცა ადამიანით მოვაჭრე მსხვერპლის კანონიერი წარმომადგენლისაგან (ან სხვა პირისაგან) ითხოვს ამ ადამიანის გადაცემას და სანაცვლოდ მას ჰპირდება, რომ შეასრულებს მისთვის სასარგებლო ქმედებას. მაგალითად, იზრუნებს მის მიმართ დაწყებული სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტაზე, ან იმაზე, რომ არ იქნეს დაწყებული ასეთი დევნა, ანდა უშოვის მას სამსახურს, ხელს შეუწყობს ბიზნესის წამოწყებაში, ჩამოაშორებს

კონკურენტს ბიზნესში და ა.შ.
აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სხვა უკანონო გარიგება უნდა განხორციელდეს არა თავად მსხვერპლთან, არამედ მესამე პირთან (გარიგება „მის მიმართ" და არა „მასთან").

„მის მიმართ უკანონო გარიგების განხორციელებაში" არ იგულისხმება მესამე პირზე ფულის ან ნივთის გადაცემა, რადგან ასეთი გარიგება ყიდვა-გაყიდვად უნდა ჩაითვალოს. ამასთანავე, რადგან ყიდვა-გაყიდვაც უკანონო გარიგების ერთერთი სახეა, სხვა უკანონო გარიგების დამთავრების მომენტიც ისევე უნდა განისაზღვროს, როგორც ყიდვა-გაყიდვისა. კერძოდ, იგი დამთავრებულად უნდა ჩაითვალოს მსხვერპლის დამნაშავეზე ფაქტობრივი გადაცემის მომენტიდან.
გადაბირება – მასში იგულისხმება პირის დაყოლიება ექსპლუატაციაში იმ ხერხების გამოყენებით, რაც მითითებულია სსკ-ის 143[1]-ე მუხლში (მოტყუება, მუქარა და სხვა). თუ პირის გადაბირებისათვის არც ერთი ამ ხერხთაგანი არაა გამოყენებული, დანაშაულის შემადგენლობა სახეზე არ არის. მაგალითად, არ ჩაითვლება სრულწლოვნის გადაბირებად მისი შეგონება, რომ სჯობს ჩაებას ექსპლუატაციაში (ვთქვათ, პროსტიტუციაში) ლუკმა პურის სანაცვლოდ, ვიდრე იყოს მშიერი და ნაგავში ეძებოს საკვები. თუ სრულწლოვანი ასეთ შეგონებას დაჰყვება, ადამიანით ვაჭრობის შემადგენლობა სახეზე არ გვაქვს.

გადაყვანა – ამ დროს ხდება მსხვერპლის გადაადგილება ქვეყნის ერთი ადგილიდან მეორეში, ასევე საზღვარგარეთ (143[1]-ე მუხლის მე-2 ნაწ.) ნებისმიერი გზით — ფეხით, სატრანსპორტო საშუალებით (ოღონდ თუ სატრანსპორტო საშუალებას თავად დამნაშავე მართავს, ეს ჩაითვლება არა გადაყვანად, არამედ ტრანსპორტირებად). ამასთან, აუცილებელი არაა მსხვერპლს თან ახლდეს დამნაშავე. შესაძლოა, მან სხვა გზით უზრუნველყოს მისი გადაყვანა (ტრანსპორტის გამოძებნით, საბუთების გაფორმებაში ხელის შეწყობით, მგ-

ზავრობის დაფინანსებით და სხვა). გადაყვანის ხერხად ასევე გამოყენებული უნდა იყოს მუქარა, მოტყუება ან 143[1]-ე მუხლში მითითებული სხვა ხერხი.

გადამალვა – იგი გულისხმობს მსხვერპლის მოთავსებას ისეთ ადგილას, რაც გამორიცხავს როგორც მის თავისუფალ გადაადგილებას, ასევე შემთხვევითი პირების კონტაქტს მასთან. ეს შესაძლოა იყოს ბინა, რაიმე სათავსო, ტყე და სხვა. გადამალვის მიზანი შეიძლება იყოს პირის შემდგომი გადაბირება ან ტრანსპორტირება, მისი გადაცემა ექსპლუატატორზე ან შემდგომი ჩაბმა ექსპლუატაციაში. გადამალვა თავის თავში მოიცავს თავისუფლების უკანონო აღკვეთას და დამატებითი კვალიფიკაცია სსკ-ის 143-ე მუხლით საჭირო არაა. გადამალვისას ასევე გამოყენებული უნდა იყოს ზემოთმითითებული ხერხიდან რომელიმე (მაგალითად, მოტყუება).

ვინაიდან სახეზეა ერთიანი დანაშაული ალტერნატიული ქმედებებით, შესაძლოა, ყველა ეს ქმედება (გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა) ერთმა პირმა ჩაიდინოს და ეს ზეგავლენას ვერ მოახდენს ქმედების კვალიფიკაციაზე, მაგრამ იგი აისახება ბრალდებაში. შესაძლოა, ეს ქმედებები შეთანხმებულად სხვადასხვა პირებმა ჩაიდინონ – ერთმა გადაიბიროს, მეორემ გადაიყვანოს, ხოლო მესამემ გადამალოს. ასეთ შემთხვევაში, არაა აუცილებელი, ყველა მათგანმა გამოიყენოს სსკ-ის 143[1]-ე მუხლში მითითებული ხერხი. განსაკუთრებით ეს ითქმის ისეთ ხერხზე, როგორიცაა მოტყუება, მუქარა და შანტაჟი. ეს ხერხი შესაძლოა გამოიყენოს მხოლოდ იმან, ვინც გადაიბირა მსხვერპლი. სხვებმა კი (ვინც გადაიყვანა და გადამალა იგი), მხოლოდ იციან ამის შესახებ. მოტყუებით გადაბირებული პირი ფორმალურად ნებით მიჰყვება დამნაშავეს და ასევე ნებაყოფლობით ჩერდება იმ ადგილას, სადაც მას ათავსებენ.

დაქირავება – საერთოდ იგი ჩვეულებრივი სამოქალაქო სა-

მართლებრივი ურთიერთობის სახეა (გარკვეული ანაზღაურების პირობით რაიმე სამუშაოს შესრულება ან მომსახურების გაწევა. ასევე სხვისი ნივთის (როგორც მოძრავი, ისე უძრავი) გარკვეული ვადით გამოყენება მესაკუთრისათვის ანაზღაურების გადახდის პირობით). განსახილველ შემთხვევაში იგულისხმება პირის არა კანონიერი დაქირავება (შესაბამისი კონტრაქტის საფუძველზე), არამედ პირი ქირავდება მისი ექსპლუატაციისათვის, როგორც ნივთი და საზღაური გადაეცემა არა თავად მას (დაქირავებულს), არამედ სხვას. ეს სხვა შეიძლება იყოს მისი ახლო ნათესავი (მაგალითად, მეუღლე), ასევე მსხვერპლის „მესაკუთრე", რომელსაც იგი ნაყიდი ჰყავს, როგორც მონა.

აქვე დაქირავება უნდა განვასხვავოთ ადამიანის ყიდვისაგან. ყიდვის დროს მყიდველი ერთიან თანხაზე თანხმდება გამყიდველთან და როგორც წესი, ერთიანად იხდის მას. გაყიდული პირი კი მის უვადო „სარგებლობაში" გადადის, როგორც ნივთი. დაქირავების დროს კი დამქირავებელი (ექსპლუატატორი) და გამქირავებელი (იგი შესაძლოა, არ იყოს ექსპლუატატორი) თანხმდებიან იმაზე, რომ მსხვერპლი დამქირავებელს გადაეცემა ხანმოკლე ვადით (მაგალითად, ერთი დღით) გარკვეული სამუშაოს შესასრულებლად და ქირაც ქირავნობის დროის შესაბამისად განისაზღვრება. რა თქმა უნდა, ქირა არაადეკვატურია შესრულებულ სამუშაოსთან მიმართებაში და ამასთან დამნაშავე მსხვერპლის მიმართ იყენებს კანონში მითითებულ რომელიმე ხერხს.

დაქირავებაში იგულისხმება ისეთი შემთხვევაც, როცა შესასრულებელი სამუშაოს საზღაური გადაეცემა თავად დაქირავებულს, მაგრამ ეს საზღაური არაადეკვატურია და რაც მთავარია, მსხვერპლის თანხმობისათვის გამოყენებულია ერთ-ერთი ის ხერხი, რაც მითითებულია სსკ-ის 143[1]-ე მუხლში. ამ შემთხვევაში თუ დამნაშავის მიერ გამოყენებული არაა კანონში მითითებული რომელიმე ხერხი, დაქირავებულის

მიმართ გადახდილი ანაზღაურება რაც არ უნდა არაადეკვატური იყოს, ადამიანის ექსპლუატაციასთან საქმე არ გვაქვს, რადგან:

ა) ანაზღაურების არაადეკვატურობა შეფასებითი ცნებაა და მისი კრიტერიუმი განსხვავებულია სხვადასხვა სახელმწიფოში. მაგალითად, რაც საქართველოს მოქალაქისათვის „ნორმალური ანაზღაურებაა“, ის განვითარებული ქვეყნის მოქალაქისათვის (იქ ცხოვრების დონიდან გამომდინარე) არაადეკვატურია. ამიტომ არ უნდა შეიქმნას ისეთი ვითარება, როცა უცხოეთში სამუშაოდ წასული საქართველოს მოქალაქე კმაყოფილია თავისი შრომის ანაზღაურებით, მაგრამ ეს ანაზღაურება იმ ქვეყანაში შეფასდეს ადამიანის ექსპლუატაციად;

ბ) მოცემულ შემთხვევაში დაქირავებული არის სრულწლოვანი პირი;

გ) საერთოდ, რამდენად ადეკვატურ ანაზღაურებაზე შეთანხმდებიან მხარეები კანონით დაშვებული სამუშაოს შესასრულებლად, ეს მათ შეთანხმებაზე უნდა იყოს დამოკიდებული. თუ სრულწლოვან მოქალაქეს აკმაყოფილებს შეთავაზებული ანაზღაურება, არავის აქვს უფლება (მათ შორის სახელმწიფოს), ჩაერიოს ასეთ ურთიერთობაში.

სხვა საკითხია, თუ მხარეები თანხმდებიან კანონსაწინააღმდეგო სამუშაოს შესრულებაზე. ასეთ შემთხვევაში, მათ პასუხი უნდა აგონ იმ კანონის შესაბამისად, რომელიც კრძალავს ასეთი სამუშაოს შესრულებას (და არა ადამიანის ექსპლუატაციისათვის).

ტრანსპორტირება – აქ იგულისხმება მსხვერპლის გადაადგილება ერთი ადგილიდან მეორეზე (მათ შორის საზღვარგარეთაც) ნებისმიერი სახის ტრანსპორტით (როგორც საქალაქო, ისე წყლისა და საჰაერო ტრანსპორტით). ამასთან, ამ ქმედების ამსრულებელია ის, ვინც ტრანსპორტს მართავს და გაცნობიერებული აქვს, რომ ახდენს ადამიანით ვაჭრობის

მსხვერპლის გადაადგილებას. განსხვავებით გადაყვანისაგან, სადაც ამ ქმედების ამსრულებელი, შესაძლოა, თავად არც ახლდეს მსხვერპლს გადაყვანისას (მაგრამ უზრუნველყოს მისი ტრანსპორტირება). ტრანსპორტირებისას დამნაშავე თავად მართავს იმ ტრანსპორტს, რითაც ხდება მსხვერპლის გადაყვანა.

საერთოდ, გადაყვანა უფრო ფართო ცნებაა, ვიდრე ტრანსპორტირება, მაგრამ ვინაიდან კანონმდებელმა ტრანსპორტირება დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ცალკე ნიშნად გამოჰყო, იგი უკვე არ იგულისხმება გადაყვანაში.

გადაცემა – აქ იგულისხმება მსხვერპლის ჩაბარება სხვა პირზე. იგი შეიძლება იყოს ექსპლუატატორი ან სხვა, რომელმაც იგი დროებით უნდა გადამალოს. გადაცემა არ გულისხმობს არც გადაყვანას და არც ტრანსპორტირებას. ეს ქმედებები შესაძლოა, სხვა პირმა განახორციელოს. მაგალითად, ა-მ მოტყუებით გადაიყვანა ბ. საზღვარგარეთ და მიიყვანა ერთ-ერთი ქალაქის სასტუმროსთან, სადაც მას ელოდებოდა ც. (რომელსაც გაცნობიერებული აქვს საქმის ვითარება), რომელმაც მსხვერპლი გადასცა სასტუმროს მეპატრონეს.

აღსანიშნავია, რომამგვარი ქმედების (მსხვერპლის გადაცემა) ჩამდენი, სანამ სსკ-ის 143[1]-ე მუხლში ეს ქმედება სახელდებით არ იყო გათვალისწინებული, ვერ ჩაითვლებოდა დანაშაულის ამსრულებლად. იგი ითვლებოდა თანამონაწილედ ადამიანით ვაჭრობაში, კერძოდ, დამხმარედ. ამდენად, ამ საკანონმდებლო სიახლით გამკაცრდა პასუხისმგებლობა აღნიშნული ქმედებისათვის.

შეფარება – საერთოდ შეფარება გულისხმობს ადამიანის დაფარვას რაიმე განსაცდელისაგან, ხიფათისაგან, მის გამოხსნას რთული ვითარებიდან.[67] განსახილველ შემთხვევაში

[67] იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, მთ. რედ. არნ. ჩიქობავა, ნაკვ. II, თბ., 1990.

შეფარება გულისხმობს უსახლკარო, უმუშევარი, მშიერი ადამიანის უზრუნველყოფას თავშესაფრით, სამუშაოთი ან საკვებით.

ასეთ ვითარებაში, ბევრი კითხვა იბადება. კერძოდ, საქართველოს სინამდვილეში, სადაც სიდუხჭირეში მყოფთა სოციალური დახმარების საკითხი პრობლემურია, რაში სჭირდება პირს განსაცდელში მყოფის ამ ვითარებიდან გამოხსნისათვის გამოიყენოს ისეთი ხერხი, როგორიცაა ძალადობა, მუქარა, შანტაჟი და სხვა? განა განსაცდელში მყოფი ამ ხერხის გამოყენების გარეშეც დიდი სიამოვნებით და მადლიერებით არ დათანხმდება მას შეფარებაზე, თუნდაც რაიმე სამუშაოს შესრულების პირობით? ან, რატომაა ვალდებული პირი, რომელმაც შეიფარა განსაცდელში მყოფი, ადეკვატურად აუნაზღაუროს მას გაწეული სამუშაო? რა თქმა უნდა, შეფარებული პირის გამოყენება მძიმე სამუშაოსათვის, ლუკმა პურის სანაცვლოდ, ამორალური ქმედებაა, რადგან პირი სარგებლობს იმით, რომ განსაცდელში მყოფს სხვა გამოსავალი არ აქვს, მაგრამ ეს საკითხის მორალური მხარეა და მას საერთო არ აქვს ადამიანით ვაჭრობასთან.

ერთადერთი ხერხი, რაც საქართველოს რეალობაში პრაქტიკულად შესაძლოა გამოყენებულ იქნეს განსაცდელში მყოფის შეფარებისას მისი ექსპლუატაციის მიზნით, ესაა მოტყუება, როცა მას პირდებიან სათანადო ანაზღაურებას მძიმე სამუშაოს შესრულების სანაცვლოდ. შემდეგ კი მხოლოდ საკვებს და თავშესაფარს აძლევენ და ტოვებენ ანაზღაურების გარეშე, რაც მართლაც უნდა ჩაითვალოს ადამიანის ექსპლუატაციად.

რაც შეეხება იმ ქვეყნებს, სადაც უმუშევართა და უსახლკაროთა დახმარებას სახელმწიფო იღებს თავის თავზე, კერძო პირებს უნდა აეკრძალოთ ასეთი პირების შეფარება მათი იაფ მუშახელად გამოყენების სანაცვლოდ და ასეთი შეფარება მართლაც უნდა ჩაითვალოს ადამიანის ექსპლუატაციად.

ადამიანის მიღება ექსპლუატაციის მიზნით – აქ იგულისხმება შემთხვევა, როცა ექსპლუატატორი, წინასწარი შეცნობით, სხვის მიერ, ამა თუ იმ ხერხით, უკვე გადაბირებულ ადამიანს იღებს ექსპლუატაციის გასაწევად. მართალია, მას თავად არ გამოუყენებია რაიმე ხერხი მისი გადაბირებისათვის, მაგრამ იცის, რომ ეს ხერხი სხვამ გამოიყენა. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროსაბჭოს კონვენციის მე-4 მუხლის შინაარსის თანახმად, ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლის თანხმობა, გამოყენებულ იქნეს ექსპლუატაციის მიზნებისათვის, არ ჩაითვლება ნამდვილად, თუ ეს თანხმობა მიღებულ იქნა ისეთი საშუალების გამოყენებით, როგორიცაა: მუქარა, ძალადობა, იძულების სხვა ფორმა, მოტყუება და სხვა (რაც ჩამოთვლილია კონვენციის ამავე მუხლში).

ამით კონვენციის ავტორებმა ხაზი გაუსვეს იმას, რომ თუ სრულწლოვნის თანხმობა ექსპლუატაციაში ჩაბმაზე არის მოჩვენებითი, ასეთ თანხმობას მნიშვნელობა არ მიენიჭება და მისი ექსპლუატაციაში ჩაბმა ჩაითვლება ადამიანით ვაჭრობად.

იგივე აზრია გატარებული სსკ-ის 143[1]-ე მუხლის შენიშვნაში, სადაც წერია: „პირის თანხმობას მის წინასწარგანზრახულ ექსპლუატაციაზე (ნ.თ.) მნიშვნელობა არ აქვს".

მტკიცების საკითხია, როგორ დადგინდეს, იცოდა თუ არა პირმა, რომ ადამიანის თანხმობა იყო მოჩვენებითი, არარეალური. ამის დასადგენად სხვა მტკიცებულებებთან ერთად, გამოდგება იმის დადგენა, თუ რა მდგომარეობაში იყო გარეგნული თუ ემოციური თვალსაზრისით ის ადამიანი, ვინც თანხმობა განაცხადა ექსპლუატაციაზე (ეტყობოდა ძალადობის ნიშნები, იყო აღელვებული, დაშინებული და სხვა).

ადამიანით ვაჭრობის სუბიექტური შემადგენლობისთვის, როგორც წესი, დამახასიათებელია ექსპლუატაციის მიზანი. ამიტომ ამ მიზნის სწორად გაგებისთვის განსახილველი ნორმის შენიშვნაში კანონმდებელი განმარტავს ექსპლუატაციის ცნებას.

სხვადასხვა მიზანთან ერთად, ექსპლუატაციის მიზანი ერთერთ ალტერნატიულ მიზნად გულისხმობს ადამიანის მონობის თანამედროვე პირობებში ჩაყენებას, რაც სხვა ნიშნებთან ერთად (მაგალითად, მისთვის პიროვნების საიდენტიფიკაციო დოკუმენტის ჩამორთმევა და სხვა) გულისხმობს თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვას.

რას ნიშნავს თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვა, რით განსხვავდება იგი თავისუფლების აღკვეთისგან და როგორ ვლინდება ეს ქმედებები განსახილველ შემთხვევაში?

თავისუფლების აღკვეთისას (რა თქმა უნდა, აქ ვგულისხმობთ მის უკანონოდ აღკვეთას) მსხვერპლს წართმეული აქვს ქვეყნის მთელ ტერიტორიაზე გადაადგილების უფლება. კერძოდ, იგი შეიძლება დამწყვდეული იყოს ბინაში, სარდაფში, ორმოში, მიბმული იყოს ხეზე და ა.შ. ამდენად, მას არ აქვს ფიზიკური შესაძლებლობა, გადაადგილდეს ამა თუ იმ კონკრეტული ტერიტორიის იქით (მაგ. ბინის იქით).ანდა საერთოდ წართმეული აქვს გადაადგილების შესაძლებლობა (მაგ. მიბმულია ხეზე, ჩაგდებულია ორმოში).

რაც შეეხება თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვას, აქ განსხვავებულ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე. კერძოდ, მსხვერპლს ეძლევა შესაძლებლობა (რა თქმა უნდა, „ტრეფიკერის" თანხმობით), გასცილდეს ამა თუ იმ შემოსაზღვრულ ტერიტორიას (მაგალითად, იმ ბინას, სადაც მას ამყოფებენ) და გავიდეს ქუჩაში, მაგრამ მას არ აქვს შესაძლებლობა, თავისუფლად გადაადგილდეს, სადაც სურს. ამის მიზეზი

კი სხვადასხვაა:

ა) მსხვერპლს ჩამორთმეული აქვს საიდენტიფიკაციო საშუალება, რის გამოც ერიდება პოლიციასთან შეხვედრას;

ბ) არ აქვს სათანადო თანხა, რათა აიღოს სამგზავრო ბილეთი და გაემგზავროს, სადაც სურს;

გ) არ იცის იმ ქვეყნის სასაუბრო ენა, სადაც იმყოფება და ა.შ.

ექსპლუატაციის მსხვერპლთ „ტრეფიკერები" ხშირად უფლებას აძლევენ, გავიდნენ ქუჩაში და მაღაზიაში შეიძინონ წვრილმანი კვების პროდუქტები. „ტრეფიკერმა" იცის, რომ იგი იძულებულია, მალევე დაბრუნდეს უკან, რადგან არა აქვს საიდენტიფიკაციო საშუალება და თუ პოლიციამ გააჩერა, დაკავება არ ასცდება.

ასეთი რამ განსაკუთრებით დამახასიათებელია ადამიანით ვაჭრობის იმ შემთხვევისთვის, როცა მსხვერპლის მიმართ გამოყენებულია მოტყუების ხერხი და მან ჯერ არ იცის, რომ უწევენ ექსპლუატაციას. მას ჰგონია, მისი ანაზღაურება „გროვდება ბანკში" და წასვლის დრო რომ დადგება, ერთბაშად მიიღებს „კუთვნილ თანხას".

თავისუფალი გადაადგილების უფლების შეზღუდვა შესაძლოა, გამოყენებული იყოს იმ შემთხვევაშიც, როცა დანაშაულის ხერხად გამოყენებულია ძალადობა ან მუქარა, ანუ მსხვერპლმა უკვე იცის, რომ მას ექსპლუატაციას უწევენ. პრაქტიკაში შესაძლოა, მოხდეს ისე, რომ ძალადობით ან მუქარით დამორჩილებულ მსხვერპლს კი არ აღუკვეთონ თავისუფლება, არამედ შეუზღუდონ გადაადგილების უფლება, ე.ი. მისცენ შესაძლებლობა, გავიდეს შემოსაზღვრული ტერიტორიის (მაგალ. შენობის) გარეთ იმ პირობით, რომ განსაზღვრულ დროს გაბრუნდება უკან. მსხვერპლი მართლაც იძულებულია, გარკვეული „სამუშაოს" შესრულების შემდეგ უკან დაბრუნდეს. მის მიზეზი ის კი არაა, რომ მას წართმეული აქვს საიდენტიფიკაციო საშუალება, არა აქვს გასამგზავრებელი

თანხა და ა.შ. არამედ ისაა, რომ „ტრეფიკერს“ მძევლად ჰყავს ჩაგდებული მსხვერპლის ახლო ნათესავი და თუ იგი დროზე არ დაბრუნდა, მძევლის სიცოცხლეს საფრთხე დაემუქრება. ამასთან დაკავშირებით ისმის კითხვა: მოიცავს თუ არა ადამიანით ვაჭრობა მძევლად ხელში ჩაგდებას (ისევე როგორც თავისუფლების უკანონო აღკვეთას), თუ ამ დროს საჭიროა ქმედების კვალიფიკაცია დანაშაულთა ერთობლიობით?

ეს საკითხი განვიხილოთ შემდეგ მაგალითზე: ა-მ საზღვარგარეთ მოტყუებით წაიყვანა ბ. თავის ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად სამუშაოზე (კერძოდ, ძიძად) მოწყობის პირობით. ადგილზე ჩასვლის შემდეგ მან და იქ დამხვედრმა სხვა პირებმა ბ. მოკვლის მუქარით აიძულეს თანხმობა განეცხადებინა თავის ერთ-ერთ შვილთან ერთად ყოველდღიურ მათხოვრობაზე. სანამ ბ. ქუჩაში მათხოვრობდა, მისი მეორე შვილი ა-ს ჰყავდა გამოკეტილი იმის გარანტად, რომ ბ. დროულად დაბრუნდებოდა და ჩააბარებდა მათხოვრობით მიღებულ თანხას. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბინაში დამწყვდეულ შვილს მოუკლავდნენ.

ზემოთმოყვანილი ქმედება განსხვავდება იმ შემთხვევისაგან, როცა მსხვერპლს აიძულებენ დათანხმდეს ექსპლუატაციაში ჩაბმაზე შვილის მოკვლის მუქარით, რასაც შეიძლება ერთჯერადი ხასიათი ჰქონდეს. მოცემულ მაგალითზე კი დამნაშავეს ჩაკეტილი ჰყავს მსხვერპლის შვილი მთელი მისი ექსპლუატაციის მანძილზე, რითაც აიძულებს მას, შეასრულოს გარკვეული ქმედება დაცული ტერიტორიის გარეთ (ქუჩაში) – იმათხოვროს და ფულით ხელში დაბრუნდეს უკან. ის ფაქტი, რომ ა-ს მსხვერპლის შვილი გამომწყვდეული ჰყავს, ფაქტობრივ შესაძლებლობას უსპობს თავისუფალ სივრცეში გასულ მსხვერპლს, გაიქცეს ან მიმართოს პოლიციას (ეს უკანასკნელიც დიდ რისკთანაა დაკავშირებული).

როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს ჩადენილი ქმედება?

უდავოა, რომ ა-მ მოტყუებით გადაიბირა და საზღვარგარეთ გადაიყვანა ბ., შემდეგ კი მუქარით (კერძოდ, მოკვლის მუქარით) იგი ექსპლუატაციაში ჩააბა, კერძოდ, ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში – მათხოვრობაში.

ამასთან, ისმის კითხვა: მიეცეს თუ არა დამატებითი კვალიფიკაცია იმ ფაქტს, რომ ა-ს გამომწყვდეული ჰყავდა მსხვერპლის შვილი იმის გარანტად, რათა ქუჩაში გასული ბ. ნამდვილად იმათხოვრებდა და ბინაშიც დაბრუნდებოდა სათანადო თანხით? ხომ არ გულისხმობს სსკ-ის 143[1]-ე მუხლში მითითებული ხერხები – მუქარა, ძალადობა ან იძულების სხვა ფორმა მძევლად ხელში ჩაგდებასაც, რადგან მძევლად ხელში ჩაგდება სწორედ რომ გულისხმობს ძალადობას (მძევლის ხელში ჩაგდების სახით), ასევე მუქარას მესამე პირზე, რათა მან შეასრულოს ან არ შეასრულოს რაიმე ქმედება (ამ შემთხვევაში, შეასრულოს იგი – იმათხოვროს)?

საერთოდ, დანაშაულის ის ხერხები, რაც მოცემულია განსახილველ ნორმაში (მუქარა, ძალადობა, თაღლითობა და სხვა), ძირითადად მიმართულია თავად მსხვერპლისკენ, ვისი ჩაბმაც სურთ ექსპლუატაციაში. თუმცა არაა გამორიცხული, ზოგიერთი მათგანი (მაგალითად, ძალადობა და მუქარა) მიმართული იყოს სხვა პირისკენ, ვისი ბედითაც დაინტერესებულია მსხვერპლი (მისი შვილი, მეუღლე და სხვა). მაგალითად, დედისგან მოითხოვენ, დათანხმდეს მონურ შრომაში ჩაბმას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ემუქრებიან, რომ დაუყონებლივ მოუკლავენ შვილს. ასეთი მუქარა მთლიანად იგულისხმება სსკ-ის 143[1]-ე მუხლის შემადგენლობაში და მას დამატებითი კვალიფიკაცია არ სჭირდება.

სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე, როცა დამნაშავე დროის განსაზღვრულ მონაკვეთში (მსხვერპლის ექსპლუატაციის მთელ პერიოდში) ხელთ იგდებს არა მარტო იმას, ვისაც ექს-

პლუატაცია უნდა გაუწიოს, არამედ სხვა პირსაც (მის შვილს) და მის მიმართ ძალადობის მუქარით აიძულებს მსხვერპლს, შეასრულოს „ტრეფიკერისათვის" სასურველი ქმედება დაცული ტერიტორიის გარეთ (ამ შემთხვევაში ქუჩაში მათხოვრობით), საიდანაც მას ფორმალურად თავისუფლად შეუძლია გაიქცეს ან საშველად მიმართოს სათანადო ორგანოს. მოცემულ შემთხვევაში კი შვილის მძევლობის გამო იგი ამ შესაძლებლობას მოკლებულია. ეს, ფაქტობრივად, იმას ნიშნავს, რომ ხელყოფილია არამარტო ექსპლუატაციაში ჩაბმულის თავისუფლება, ღირსება და სიცოცხლე, არამედ სხვა პირისაც (მისი შვილის), რაც დამატებით კვალიფიკაციას მოითხოვს სსკ-ის 144-ე მუხლის შესაბამისი ნაწილით.

ამდენად, ადამიანით ვაჭრობა თავისთავში გულისხმობს მსხვერპლის ან სხვა პირის თავისუფლების უკანონო აღკვეთას (გადამალვა), მაგრამ იგი არ გულისხმობს მძევლად ხელში ჩაგდებას.

§ 2. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სასამართლო პრაქტიკის ანალიზი (ნაწილი პირველი)

პრობლემურია საკითხი, თუ როგორ ესმით სასამართლო პრაქტიკაში ადამიანით ვაჭრობის ობიექტური შემადგენლობა (კერძოდ, ქმედება, და ის ხერხები, რაც ჩამოთვლილია სსკ-ის 143[1]-ე მუხლში).

ამის გასარკვევად გამოგვადგება 2006 წლის 12 ივნისს თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ განხილული საქმე № 1/ა-141 ზოია ალ-ნის მიმართ.

სასამართლომ ზ. ალ-ს მსჯავრი დასდო მასში, რომ მან ჩაიდინა ადამიანის მიმართ უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მოტყუებით ადამიანის გადაყვანა და მიღება ექსპლუატაციის მიზნით ორი ან მეტი პირის მიმართ და დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ. ასევე ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადებაში დახმარებისთვის არაერთგზის, ე.ი. დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 143[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტით, ასევე ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით (2006 წლის 31 მაისის რედაქციით) და 25-ე, 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით.

სასამართლო გამოძიების, საქმის მასალების ერთობლივი შესწავლისა და ანალიზის საფუძველზე სასამართლო კოლეგიამ გამოკვლეულად და დადასტურებულად ცნო შემდეგი: „2003 წლის ოქტომბერში ზ. ალ-მა, მ. ხ-შვილმა და მ. ალ-ამ შექმნეს ორგანიზებული ჯგუფი ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) განზრახვით. 2004 წლის იანვარში ზ. ალ-მა და მ. ხ-შვილ-

მა მოტყუებით განახორციელეს ნ. ხ-შვილისა და თ. პ-შვილის მიმართ უკანონო გარიგება, მათი საზღვარგარეთ გაყვანით ექსპლუატაციის (პროსტიტუციაში ჩაბმის) მიზნით. ზ. ალ-მა დაიყოლია ნ. ხ-შვილი და თ. პ-შვილი პროსტიტუციაში ჩაბმის შედეგად, სათანადო საზღაურის მიღების მიზნით ქ. დუბაიში წაყვანაზე, სადაც მათ საქმიანობასა და ამ გზით მიღებულ შემოსავლებს მეთვალყურეობასა და კონტროლს გაუწევდა მ. ალ-ა. აღნიშნულის სანაცვლოდ ნ. ხ-შვილსა და თ. პ-შვილს თავდაპირველად უნდა გადაეხადათ პროსტიტუციით მიღებული მთლიანი თანხა — 4000 აშშ დოლარი, ხოლო შემდეგში კი — შემოსავლის ნახევარი. პ-შვილსა და ხ-შვილს ეროვნული პასპორტების აღებაში დაეხმარა ზ. ალ-ნი, რომელმაც ეს პასპორტები გადასცა მ. ჟ-ს დაბადების თარიღის გრაფაში მათი მონაცემების გაყალბების მიზნით, რაც მ. ჟ-მ გააყალბა.

2004 წლის 5 მარტს თ. პ-შვილმა და ნ. ხ-შვილმა გაყალბებული პასპორტებით გადაკვეთეს საქართველოს საზღვარი და ჩავიდნენ ერევანში, ხოლო შემდეგ „ერევან-დუბაის“ ავიარეისებით ჩაფრინდნენ ქ. დუბაის აეროპორტში, სადაც ეროვნულ პასპორტებში არსებული ყალბი მონაცემების აღმოჩენის გამო 2004 წლის 10 მარტს დეპორტირებულ იქნენ. თბილისში დაბრუნებისთანავე ზ. ალ-მა და მ. ხ-შვილმა დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით ნ. ხ-შვილსა და თ. პ-შვილს გამოართვეს ყალბი პასპორტები და გადამალეს.“

საბოლოოდ, ზ. ალ-ს მსჯავრი დაედო მასში, რომ მან ჩაიდინა ადამიანის მიმართ უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მოტყუებით ადამიანის გადაყვანა და მიღება ექსპლუატაციის მიზნით ორი ან მეტი პირის მიმართ და დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ (ასევე 25-ე, 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ დანაშაულში).
როგორც განაჩენიდან ჩანს, ზ. ალ-ნის ბრალდების ერთ-ერთი შემადგენილი ნაწილი არის ის, რომ მან ჩაიდინა ადამიანის მიმართ უკანონო გარიგების განხორციელება.

საქმის მასალებით კი დადგინდა, რომ ზ. ალ-ს (ასევე მ. ხ-შვილს) ქ. დუბაიში წასვლაზე საუბარი ჰქონდა უშუალოდ ამ გოგონებთან. იქ ცხოვრების პირობებზეც მათ ესაუბრა. ზ. ალ-ს (ასევე მ. ხ-შვილს) არ ჰქონია ურთიერთობა სხვა ისეთ პირებთან, ვინც შეძლებდა გოგონებზე ზემოქმედების მოხდენას. ამდენად, იგი ამ გოგონებთან თავად აწარმოებდა გარიგებას. ეს კი სასამართლომ ჩათვალა მათ მიმართ უკანონო გარიგებად. სსკ-ის 143[1]-ე მუხლში კი ნათქვამია: „მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება" („მის მიმართ" და არა „მასთან"). ამდენად, უკანონო გარიგებისას, როგორც ეს ზემოთ უკვე ითქვა, დანაშაულის მსხვერპლი არის ამ გარიგების ობიექტი. იგი არაა გარიგების სუბიექტი (მონაწილე). უკანონო გარიგების დროს გარიგება უნდა ხორციელდებოდეს ადამიანით მოვაჭრესა და მესამე პირს (მაგალითად, მსხვერპლის მეუღლეს) შორის.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლით დავრწმუნდით, რომ უმეტეს შემთხვევაში სასამართლოებს „მის მიმართ უკანონო გარიგების განხორციელება" არასწორად ესმით.

ამავე სისხლის სამართლის საქმის მიხედვით ზ. ალ-ს მსჯავრი დაედო ასევე იმაში, რომ მან ჩაიდინა მოტყუებით ადამიანის გადაყვანა. თუმცა სასამართლოს არ დაუმტკიცებია, კონკრეტულად, რა ქმედებაში გამოიხატა გოგონების მოტყუება, ან საიდან დასტურდება, რომ ზ. ალ-ს მათი მოტყუება ჰქონდა განზრახული. როგორც დადგინდა, გოგონებმა ვერ ჩააღწიეს ქ. დუბაიმდე, ისინი უკვე იქნენ დეპორტირებულნი. მაშ, საიდან კეთდება დასკვნა, რომ ქ. დუბაიში ჩასვლის შემთხვევაში, მათი იქ ცხოვრება ისე არ წარიმართებოდა, როგორც ამას მათ ჰპირდებოდა ზ. ალ-ი და რაზეც ამ გოგონებმა თანხმობა განაცხადეს (რომ მათ თავიდან გადაახდევინებდნენ 4000 აშშ დოლარს, ხოლო შემდეგ – „შემოსავლის" ნახევარს)? განაჩენში ეს საკითხი საერთოდ დასმულიც კი არაა, უბრალოდ ბრალდების ფორმულირებაში ნათქვამია, რომ მან ჩაიდი-

ნა ადამიანის გადაყვანა მოტყუებით.

მოტყუება კი არის ამ დანაშაულის ჩადენის ერთ-ერთი ხერხი. მას ადგილი აქვს მაშინ, როცა ადამიანით მოვაჭრე შეგნებულად გაყალბებულ ინფორმაციას აწვდის პირს, რათა შეცდომაში შეიყვანოს და ამ გზით დაიყოლიოს (ან გადაიყვანოს, გადამალოს და ა.შ.) იგი. მაგალითად, ჰპირდება, რომ საზღვარგარეთ მოაწყობს მას ძიძად, ან კაფეში მიმტანად, მზარეულად. სინამდვილეში კი ჩაიყვანს მას ადგილზე და იძულებით აბამს პროსტიტუციაში ან სხვაგვარ ექსპლუატაციაში. მოტყუებას ადგილი აქვს მაშინაც, როცა არ უმალავს, რომ ჩააბამს პროსტიტუციაში, მაგრამ ჰპირდება პროსტიტუციით მიღებული თანხის გარკვეული ნაწილის გადაცემას. სინამდვილეში კი, მიიყვანს რა ადგილზე, პროსტიტუციით მიღებულ თანხას თვითონ ისაკუთრებს (ამდენად, იმ პირის მოტყუებაც დაუშვებელია, რომელიც თანახმაა, ჩაებას პროსტიტუციაში).

როგორც ვხედავთ, განხილულ სისხლის სამართლის საქმეში ასეთი მოტყუების ფაქტი არაფრით არაა დადგენილი.

აქვე თვალში საცემია განაჩენში დაფიქსირებული ბრალდების უჩვეულო ფორმულირება: „2004 წლის იანვარში ზ. ალ-მა და მ. ხ-შვილმა მოტყუებით განახორციელეს ნ. ხ-შვილისა და თ. პ-შვილის მიმართ უკანონო გარიგება“.

ისმის კითხვა: რას ნიშნავს „მოტყუებით უკანონო გარიგება“? უკანონო გარიგება არის ადამიანით ვაჭრობის ობიექტური შემადგენლობის (კერძოდ, ქმედების) ერთ-ერთი ნიშანი ყიდვა-გაყიდვასთან ერთად. ამ შემთხვევაში დანაშაულის ხერხს მნიშვნელობა არ აქვს. რაც შეეხება მოტყუებას, იგი არის ერთ-ერთი ალტერნატიული ხერხი ამ დანაშაულისა ისეთი ქმედებებისთვის, როგორიცაა: ადამიანის გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა და ა.შ. (მაგრამ არა უკანონო გარიგები-

სთვის). აქედან გამომდინარე, ფორმულირება: „მოტყუებით უკანონო გარიგების განხორციელება" არის სსკ-ის 143[1]-ე მუხლის ობიექტური შემადგენლობის არასწორად გაგების შედეგი.

სსკ-ის 143[1]-ე მუხლში მოცემული სხვა ხერხები კი (როგორიცაა თაღლითობა, მუქარა, ძალადობა, მოტაცება და სხვა), ზ. ალ-ს საერთოდ ბრალად არა აქვს შერაცხული.

ამავე განაჩენით სასამართლო კოლეგიამ დადასტურებულად ცნო, რომ ზ. ალ-ნმა დაიყოლია ნ. ხ-შვილი და თ. პ-შვილი პროსტიტუციაში ჩაბმის შედეგად სათანადო საზღაურის მიღების მიზნით ქ. დუბაიში წაყვანაზე (ს.ფ. 188-ე ამავე სისხლის სამართლის საქმეზე).

ისმის კითხვა: რას ნიშნავს „დაიყოლია"? რა ხერხით დაიყოლია და რაში გამოიხატა ეს, ამაზე განაჩენში არაფერია ნათქვამი. თუმცა, ამ მხრივ, ყურადღებას იპყრობს დაზარალებულისა და მოწმის ჩვენებები, რომელთაც სასამართლო ეყრდნობა გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას. მაგალითად, დაზარალებულად ცნობილმა ხებრელაშვილმა აჩვენა, რომ გამგზავრებასთან დაკავშირებით მას უთანხმოება მოუვიდა ოჯახში და გადაიფიქრა დუბაიში წასვლა. თუმცა ზ. ალ-ნი და მ. ხ-შვილი დაემუქრნენ მას და აიძულეს დათანხმებულიყო გამგზავრებაზე (იგივეს ადასტურებენ თ. პ-შვილი და მოწმე შ. მ-ძე, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ არაფერს ამბობენ მუქარაზე). როგორც პროცესზე გაირკვა, ზ. ალ-მა და მ. ხ-შვილმა უთხრეს ხ-შვილს, რომ ფული უკვე დახარჯული იყო პასპორტისა და ვიზის გაკეთებაში და თუ იგი არ წავიდოდა დუბაიში, ამ ხარჯს ვერავინ აანაზღაურებდა. ამიტომაც ნ. ხ-შვილი დათანხმდა გამგზავრეზე.
როგორც ამ ჩვენებებიდან ჩანს, ზ. ალ-სა და მ. ხ-შვილის ქმედებაში არაა არც მოტყუება და არც მუქარა (ასევე არც სსკ-ის 143[1]-ე მუხლით გათვალისწინებული სხვა ხერხი). არადა დაყოლიება არის ამ დანაშაულის ობიექტური შემადგენ-

ლობის ისეთი ნიშანი, რომელიც ჩადენილი უნდა იყოს ამ მუხლში ჩამოთვლილი ერთ-ერთი ხერხით (მუქარით, მოტყუებით ან სხვა ხერხით). თუ დაყოლიებისთვის არაა გამოყენებული 143[1]-ე მუხლში ჩამოთვლილი ერთ-ერთი ხერხი მაინც, მაშინ დანაშაულის შემადგენლობა არაა სახეზე (სხვა ვითარებასთან გვაქვს საქმე არასრულწლოვნით ვაჭრობისას).

ამდენად, მოცემულ საქმეში არაა დამტკიცებული ადამიანით ვაჭრობის არც ერთი ხერხი, რაც აუცილებელია სსკ-ის 143[1]-ე მუხლის გამოყენებისთვის. ეს კი იმას ნიშნავს, რომ ამ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა (კერძოდ, ხერხი) საქმის მასალებით არაა დადასტურებული.

ამავე სისხლის სამართლის საქმეში ზ. ა-ნს მსჯავრი დაედო იმაში, რომ მან ჩაიდინა ადამიანის მიღება ექსპლუატაციის მიზნით.

როგორ უნდა გავიგოთ ადამიანის მიღება ექსპლუატაციის მიზნით?

ადამიანის მიღება ექსპლუატაციის მიზნით არის ერთ-ერთი იმ ქმედებათაგანი, რომლის ჩადენითაც შესაძლებელია ამ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის (კონკრეტულად, ქმედების) განხორციელება. ადამიანის მიღება ექსპლუატაციის მიზნით შეუძლია განახორციელოს იმ პირს, ვისაც გადაწყვეტილი აქვს, თავად გაუწიოს ექსპლუატაცია ადამიანს. ე.ი. თავად მან ჩააბას იგი იძულებით შრომაში (და არა სხვას მიუყვანოს ექსპლუატაციაში ჩასაბმელად). ხშირად ასეთ „ექსპლუატატორთან" სხვებს მოჰყავთ ამა თუ იმ ხერხით უკვე გადაბირებული ადამიანი და იგი იღებს მას, რათა გაუწიოს ექსპლუატაცია.
თუკი „ექსპლუატატორი" („ტრეფიკერი") ადამიანის გადაბირებისთვის თავად იყენებს სსკ-ის 143[1]-ე მუხლში მითითებულ რომელიმე ხერხს (მაგალითად, მუქარას), რათა მიაღწიოს პირის თანხმობას ექსპლუატაციაში ჩაბმაზე, მას ბრალად

უნდა წაეყენოს არა მარტო ადამიანის მიღება ექსპლუატაციის მიზნით, არამედ ასევე მისი გადაბირება მუქარით.

ახლა მოვუბრუნდეთ ზ. ა-ის საქმეს. ზ. ა-მა გოგონები გაგზავნა ქ. დუბაიში, სადაც ისინი ნებაყოფლობით უნდა ჩაბმულიყვნენ პროსტიტუციაში. მათ საქმიანობას კი მეთვალყურეობას გაუწევდა მ. ა-ევა. ზ. ა-ნი არც კი გაჰყოლია მათ. უფრო მეტიც არანაირი შეხება მათთან მომავალში არ უნდა ჰქონოდა. იგი არც ამ ჯგუფის ორგანიზატორად ყოფილა ცნობილი (ამ ჯგუფის ორგანიზატორად სასამართლომ ცნო მ. ხ-შვილი). ასეთ შემთხვევაში ზ. ა-სა და სხვა პირთა მიმართ ადამიანით ვაჭრობის ფაქტი დადასტურებული რომც იყოს, ა-ის ქმედება მაინც არ უნდა შეფასდეს როგორც ადამიანის მიღება ექსპლუატაციის მიზნით.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სასამართლომ ისე ცნო დადასტურებულად მის მიმართ ეს ბრალდება (ადამიანის მიღება ექსპლუატაციის მიზნით), რომ არ დაუსაბუთებია, თუ კონკრეტულად რა ქმედებაში გამოიხატა იგი. როდესაც სისხლისსამართლებრივ ნორმაში მოცემულია რამდენიმე ალტერნატიული ქმედება ან/და ალტერნატიული ხერხი, თითოეული მათგანის ბრალად შერახცვისას უნდა დასაბუთდეს, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატა იგი მოცემულ შემთხვევაში.

საინტერესოა, თუ როგორ ესმით სასამართლო პრაქტიკაში ადამიანით ვაჭრობა, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ? ამავე საქმეში ზ. ა-ს მ. ხ-შვილსა და მ. ალ-თან ერთად ბრალი დაედო იმაში, რომ მან განახორციელა ადამიანით ვაჭრობა, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ.
თავად მ. ხ-შვილის მიმართ საქმე გამოყოფილი იყო ცალკე წარმოებად და მის მიმართ თბილისის საქალაქო სასამართლომ 2007 წლის 28 დეკემბერს გამოიტანა განაჩენი (საქმე №1/6417-07). ამ განაჩენის მიხედვით: „2003 წლის ოქტომბერში მ. ხ-შვილმა ზ. ა-თან და მ. ალ-თან ერთად შექმნა ორგანი-

ზებული ჯგუფი ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) განზრახვით". ამდენად, განაჩენის მიხედვით მ. ხ-შვილი მიჩნეულია ორგანიზებული ჯგუფის ორგანიზატორად.

სანამ შევაფასებდეთ სასამართლოს მიერ მოპოვებულ მტკიცებულებებს, ვნახოთ, თუ როგორ იყო განმარტებული-სისხლის სამართლისკოდექსში (2006 წლის 25 ივლისამდე) ორგანიზებული ჯგუფი. სსკ-ის 27-ე მუხლის მე-3 ნაწილში ნათქვამი იყო: დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერაა ჩადენილი, თუ იგი განახორციელა პირთა მყარმა ჯგუფმა, რომლებიც წინასწარ შეკავშირდნენ რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად.

ამდენად, პირთა ჯგუფის ორგანიზებულ ჯგუფად ცნობისთვის საჭირო იყო რამდენიმე ნიშანი: 1. პირთა ჯგუფი უნდა იყოს მყარი; 2. ეს მყარი ჯგუფი წინასწარ უნდა იყოს შეკავშირებული არა ერთი, არამედ რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად.

მყარი ჯგუფისთვის კი დამახასიათებელი უნდა იყოს რამდენიმე ნიშანი: ა) პირთა ჯგუფს ჰყავს ხელმძღვანელი (ორგანიზატორი); ბ) ჯგუფიდან არ ხდება წევრების თავისუფალი დენადობა; გ) ჯგუფში წევრების მიღება ხდება მათი წინასწარი შერჩევით (და არა შემთხვევითი პირისა); დ) ჯგუფს ახასიათებს მკაცრი შინაგანი დისციპლინა, ე.ი. ხელძღვანელის (ორგანიზატორის) ბრძანების უსიტყვო შესრულება; ე) ჯგუფი შექმნილია ხანგრძლივი დროით მოქმედებისთვის.

ვნახოთ, თუ რამდენად შეესაბამება საქმეში მოცემული ჯგუფი ამ ნიშნებს. მ. ხ-შვილის მიმართ გამოტანილ ზემოთხსენებულ განაჩენში ვკითხულობთ: „აღნიშნული განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, 2004 წლის იანვარში, მ. ხ-შვილმა, მასთან დანაშაულებრივ კავშირში მყოფ ზ. ალ-თან ერთად განახორციელა უკანონო გარიგება, მოტყუებით ნ. ხ-შვილისა და თ. პ-შვილის მიმართ, საზღვარგარეთ გაყვანით ექსპლუ-

ატაციის (პრისტიტუციაში ჩაბმის) მიზნით. მ. ხ-შვილმა დაიყოლია ნ. ხ-შვილი და თ. პ-შვილი არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში, კერძოდ, ქ. დუბაიში წაყვანაზე პროსტიტუციაში ჩაბმის გზით, სათანადო საზღაურის მისაღებად, სადაც ორგანიზებული ჯგუფის მესამე წევრი — მ. ალ-ევა მათ საქმიანობასა და ამ გზით მიღებულ შემოსავლებს მეთვალყურეობასა და კონტროლს გაუწევდა. აღნიშნულის სანაცვლოდ, უკანონო გარიგებისამებრ, ნ. ხ-შვილს და თ. პ-შვილს ორგანიზებული ჯგუფის სამივე წევრისთვის მ. ხ-შვილისთვის, ბ. ალ-ევასთვის და ზ. ალ-სთვის თავდაპირველად უნდა გადაეხადათ პროსტიტუციით მიღებული მთლიანი თანხა — 4000 აშშ დოლარის ოდენობით თითოეულს, ხოლო შემდგომში კი — შემოსავლის ნახევარი. იმის გამო, რომ დუბაიში გასამგზავრებლად თ. პ-შვილს და ნ. ხ-შვილას არ ჰქონდათ ეროვნული პასპორტები, მ. ხ-შვილი მითითებით ზ. ა-ნი დაეხმარა მათ ეროვნული პასპორტების აღებაში.

აღნიშნულის შემდგომ მ. ხ-შვილისგან ზ. ალ-სთვის ცნობილი გახდა, რომ მათი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანას ხელს შეუშლიდა თ. პ-შვილისა და მ. ხ-შვილის ასაკი და მ. ხ-შვილის მითითებით ზ. ალ-ნმა მათი პასპორტები გადასცა მ. ჟ-ს, რომელმაც ტექნიკური საშუალების გამოყენებით გააყალბა ოფიციალურ დოკუმენტებში თ. პ-შვილისა და ნ. ხ-შვილის მონაცემები დაბადების თარიღის შესაბამის გრაფაში.

2004 წლის 5 მარტს თ. პ-შვილმა და ნ. ხ-შვილმა გაყალბებული პასპორტების მეშვეობით, სამარშრუტო ტაქსით „თბილისი-ერევანი“ გადაკვეთეს საქართველოს სახელმწიფო საზღვარი ქ. ერევნის მიმართულებით, ხოლო შემდეგ ავიარეისით „ერევანი-დუბაი“ ჩაფრინდნენ ქ. დუბაის აეროპორტში, სადაც პასპორტებში არსებული ყალბი მონაცემების აღმოჩენის გამო, 2004 წლის 10 მარტს გაუკეთდათ დეპორტაცია.

თბილისში დაბრუნებისთანავე, მ. ხ-შვილმა დანაშაულის კვალის დაფარვის მიზნით ნ. ხ-შვილსა და თ. პ-შვილს ჩამოართვა პასპორტები და გადამალა.“

მ. ხ-შვილზე წარდგენილი ბრალდების ამ ფორმულირებიდან აშკარაა, რომ აქ არ იკვეთება მყარი ჯგუფის არსებობა. ამდენად, ჯგუფის სიმყარე განაჩენით არაა დასაბუთებული.

ბრალდებაში აღწერილი ფაქტობრივი გარემოებებიდან ჩანს, რომ ქმედება ნამდვილად ჩადენილია პირთა ჯგუფის მიერ წინასწარ შეთანხმებით (სხვა საკითხია, რომ მათ ქმედებაში არაა დადასტურებული ამ დანაშაულის შემადგენლობისთვის აუცილებელი ხერხი, რაზეც ზემოთ უკვე ვისაუბრეთ). ხოლო წინასწარი შეთანხმებით ჯგუფურად ადამიანით ვაჭრობოს ჩადენა არ გვაძლევს სსკ-ის 143[1]-ე მუხლის დამამძიმებელ გარემოებას, იგი ამ მუხლის 1-ელ ნაწილში იგულისხმება.

წინასწარ შეთანხმებული ჯგუფის წევრები მოცემულ საქმეში არიან მ. ხ-შვილი და ზ. ალ-ნი, რომლებსაც უშუალო კონტაქტი ჰქონდათ დაზარალებულად ცნობილ გოგონებთან, ასევე მათი პასპორტის გამყალბებელ მ. ჟ-სთან. რაც შეეხება ჯგუფის მე-3 წევრს, განაჩენით ასეთად მიჩნეულია ვინმე მ. ალ-ვა, რომელსაც ვითომც მეთვალყურეობა უნდა გაეწია ამ გოგონებისთვის ქ. დუბაიში. სინამდვილეში კი მ. ალ-ას პიროვნება საქმეში არაა დადგენილი. იგი არც გამომძიებელს და არც მოსამართლეს თვალითაც არ უნახავს. უფრო მეტიც, იგი თავად დაზარალებულად ცნობილ პირებსაც არა თუ არ უნახავთ, არამედ მასთან სატელეფონო ან სხვაგვარი დისტანციური საუბარიც არ ჰქონიათ. ვინმე მ. ალ-ას მონაწილეობა ჯგუფში დადასტურებულადაა მიჩნეული მხოლოდ დაზარალებულად ცნობილი გოგონების (თ. პ-შვილისა და მ. ხ-შვილის) ჩვენებებით, რომლის მიხედვითაც ზ. ალ-ნი ეუბნებოდა მათ, რომ ვინმე მ. ალ-ას კონტროლი უნდა გაეწია მათი საქმიანობისთვის ქ. დუბაიში.

ამდენად, ვინმე მ. ალ-ას (რომელიც არავინ უწყის, არსებობს თუ არა სინამდვილეში) რეალური მონაწილეობა ჯგუფში საქმის მასალებით არაა დადასტურებული, მაგრამ ამის მიუხედავად განაჩენში იგი მოხსენიებულია, როგორც დანაშაულებრივი ჯგუფის წევრი.

როგორც ვხედავთ, საქმეში დადგენილადაა მიჩნეული მხოლოდ ორი პირის მონაწილეობა, მაგრამ არ არსებობს მტკიცებულება, რომ ეს ორი პირისგან შემდგარი ჯგუფი იყო მყარი და იგი შექმნილი იყო რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად. უფრო მეტიც, ამ საკითხზე არც კი მსჯელობს სასამართლო. თუმცა უნდა ითქვას, რომ ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს დაზარალებულად ცნობილ პირთა ჩვენებები, სადაც ნათქვამია: ზ. ალ-ნი ეუბნებოდა მათ, რომ ნუ გეშინიათ, მე სხვა დროსაც გამიგზავნია გოგონები დუბაიშიო.

დაზარალებულთა ეს ჩვენება არაა საკმარისი იმის სამტკიცებლად, რომ ზ. ალ-ნს მართლაც გაუგზავნია ვინმე დუბაიში, ან თუ გაუგზავნია, ეს ჩადენილი იყო ორგანიზებულ ჯგუფთან ერთად. მით უმეტეს არაა საკმარისი იმის სამტკიცებლად, რომ ეს ქმედება ჩადენილი იყო მოტყუებით, მუქარით და სსკ-ის 143[1]-ე მუხლში მოცემული სხვა ხერხის გამოყენებით (ამ ხერხების გარეშე კი 143[1]-ე მუხლის შემადგენლობა არ არსებობს).

ამდენად, ზ. ალ-ისა და ნ. ხ-შვილის ქმედებაში ადამიანით ვაჭრობის შემადგენლობის ყველა ნიშანი დადასტურებულიც რომ იყოს, ეს დანაშაული ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილად მაინც ვერ ჩაითვლება. განაჩენში კი ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე ნათქვამია, რომ დანაშაული ჩადენილია ორგანიზებული ჯგუფის მიერ.

ეს არ უნდა გავიგოთ ისე, თითქოს სასამართლოები ყველა შემთხვევაში უკრიტიკოდ ეთანხმებიან ქმედების იმ კვალიფიკაციას, რაც მოცემულია საბრალდებო დასკვნაში.

პრაქტიკის შესწავლით დავრწმუნდით, რომ რიგ შემთხვევაში სასამართლო არ ცნობს დადასტურებულად დანაშაულის ჩადენას ორგანიზებული ჯგუფის მიერ და ამ ბრალდებას სავსებით სამართლიანად უხსნის განსასჯელს.

ამის მაგალითად გამოდგება თბილისის საოლქო სასამართლის სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის მიერ 2005 წლის 31 ოქტომბერს გამოტანილი განაჩენი (საქმე № 1/ა—113) ხ. ყ-ის მიმართ, რომელსაც ბრალი ედებოდა მასში, რომ მან ჩაიდინა ადამიანის მიმართ უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე ადამიანის გადაყვანა ექსპლუატაციის მიზნით, ორი პირის მიმართ, დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ (მასვე ბრალი დაედო თაღლითობაში, მაგრამ ბრალდების ეს ნაწილი ამჯერად ჩვენთვის არაა საინტერესო).

საბრალდებო დასკვნით საქმის ფაქტობრივი გარემოება მდგომარეობდა შემდეგში: 2004 წლის თებერვალში ხ. ყ-ლმა თურქეთში ყოფნისას თურქეთის მოქალაქეებთან ვინმე ად-სთან და წარმოშობით მარნეულელ ვინმე ნინოსთან ერთად შექმნა ორგანიზებული ჯგუფი ადამიანებით ვაჭრობის განზრახვით. ამ მიზნით მან წინასწარი გარიგებით ზემოთაღნიშნული პირებისაგან აიღო 3000 აშშ დოლარი, რომლის საშუალებით, მოტყუებით საქართველოდან თურქეთში ჩაიყვანა რამდენიმე ახალგაზრდა გოგონა, რომლებიც თურქეთში ჩააბარა ვინმე ნინოს და მის მეუღლე ალის, თავად კი დაბრუნდა საქართველოში. ზემოთაღნიშნულმა პირებმა გოგონებს წაართვეს პასპორტები და იარაღისა და ფიზიკური განადგურების მუქარით აიძულებდნენ პროსტიტუციას, თანხას კი თავად იღებდნენ. 13 დღის შემდეგ გოგონებმა მოახერხეს გამოპარვა და თურქი სამართალდამცავი ორგანოების დახმარებით დაბრუნდნენ საქართველოში.

სასამართლომ ხ. ყ-ლზე წარდგენილი ბრალდება ადამიანებით

ვაჭრობის ნაწილში დადასტურებულად ცნო, მაგრამ მოუხსნა მას ბრალდება სსკ-ის 143[1]-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, როგორც დაუდასტურებელი და ეს დაასაბუთა შემდეგნაირად: „მართალია, საქმეში არსებობს დადგენილება სისხლის სამართლის საქმის აღძვრისა და საქმის ცალკე წარმოებად გამოყოფის შესახებ გამოძიებით დაუდგენელ ვინმე „ადამას", „ნინოს", „ალი", „იესემინასა" და სხვათა მიმართ (იხ. ტ.I. ს.ფ. 211-215), მაგრამ კოლეგიისთვის უცნობია საქმის შემდგომი სამართლებრივი შედეგი. ბრალდების მხარის მიერ სასამართლო პროცესზე არ ყოფილა წარმოდგენილი დასახელებულ პირთა მიმართ რაიმე კონკრეტული სახის მასალები, რომლებიც დაადასტურბდნენ ხ. ყ-ელის მიმართ სისხლის სამართლის კოდექსის 143[1]-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა" ქვეპუნქტით წარდგენილ ბრალდებას... ამდენად, სასამართლო კოლეგია ვერ დაეთანხმება ბრალდების მხარის მოთხოვნას ხ. ყ-ელის დამნაშავედ ცნობის შესახებ სსკ-ის 143[1]-ე მუხლის მესამე ნაწილის „ა" ქვეპუნქტით, ვინაიდან აღნიშნულის დამადასტურებელი კანონით დადგენილი წესით მიღებული რაიმე მტკიცებულება არ ყოფილა წარმოდგენილი სასამართლო პროცესზე და ასეთი არ მოიპოვება არც წინასწარი გამოძიების მასალებში. ამასთან სასამართლო კოლეგიამ განიხილა კონკრეტულად მხოლოდ ერთი პირის ხ. ყ-ელის ბრალდების საქმე."

როგორც ვხედავთ, განსხვავებით მ. ხ-შვილის საქმისაგან, სადაც სასამართლომ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრად ჩათვალა ვინმე ალ-ნი (რომლის ვინაობა არაა დადგენილი), ხ. ყ-ელის საქმეზე სასამართლომ არ ჩათვალა დადასტურებულად დაუდგენელ პირთა (ვინმე „ნინოს", „ადამას" და სხვათა) მონაწილეობა ადამიანით ვაჭრობაში, რაც უდაოდ სწორად უნდა ჩაითვალოს.

აქვე უნდა შევეხოთ ერთ საკითხს. 2007 წლის 28 დეკემბრის ზემოთხსენებულ განაჩენში მ. ხ-შვილს ბრალად ედება თანამონაწილეობა ორგანიზატორის სახით ყალბი ოფიციალური

დოკუმენტის დამზადებაში არაერთგზის.

საქმის მასალებით დადგინდა შემდეგი: მ. ხ-შვილმა დაურეკა მ. ჟ-ას და უთხრა, რომ მასთან მივიდოდა მისი მეგობარი ზოია და მიუტანდა ორ პასსპორტს, სადაც დაბადების თარიღები უნდა გადაესწორებინა, რაც მ. ჟ-ამ შეასრულა და დაპირებისამებრ მიიღო 50-50 აშშ დოლარი.

ვნახოთ, რამდენად სწორად არის შეფასებული მ. ხ-შვილის ქმედება, როგორც თანამონაწილეობა ორგანიზატორის სახით?

ორგანიზატორია ის, ვინც: ა) მოაწყო დანაშაულის ჩადენა; ბ) ხელმძღვანელობდა მის განხორციელებას; გ) შექმნა ორგანიზებული ჯგუფი; დ) ხელმძღვანელობდა ამ ჯგუფს. მ. ხ-შვილის ქმედებაში კი არც ერთი ამათგანი არ იკვეთება. მ. ჟ-ა არაა ცნობილი იმ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრად, რომლის ორგანიზატორად მიჩნეულია მ. ხ-შვილი. ამდენად, ის ფაქტი, რომ ხ-შვილმა მას დაურეკა და ორი პასპორტის გაყალბება შესთავაზა, ვერ ჩაითვლება ორგანიზებად. ხ-შვილი ფულს დაპირდა მ. ჟ-ას და ამით დაიყოლია დოკუმენტის გაყალბებაზე. ამდენად, იგი არის ამ დანაშაულის წამქეზებელი და არა ორგანიზატორი. სამწუხაროდ, აქაც სასამართლო არ ასაბუთებს, თუ რატომ მისცა მან მ. ხ-შვილის ქმედებას ამ ეპიზოდში ორგანიზატორის კვალიფიკაცია. ისმის კითხვა: კერძოდ, მან მოაწყო ეს დანაშაული, თუ ხელმძღვანელობდა მას?

ზ. ალ-სა და მ. ხ-შვილს ასევე შერაცხული აქვთ ადამიანით ვაჭრობა ორი ან მეტი პირის მიმართ.

თავდაპირველად შევეხოთ თავად ამ ფორმულირებას: „ორი ან მეტი პირის მიმართ". რამდენად სწორია იგი მოცემულ შემთხვევაში?

განსახილველ სისხლის სამართლის საქმეში დადგენილად არის მიჩნეული, რომ ზ. ალ-სა და მ. ხ-შვილს სურდათ ორი

პირის გადაყვანა საზღვარგარეთ. სხვა მესამე ან მეოთხე პირის მიმართ მსგავსი ქმედება საქმის მასალებით არ ფიქსირდება. ასეთ შემთხვევაში კი ბრალდებაში უნდა ჩაიწეროს: „ადამიანით ვაჭრობა ორი პირის მიმართ" და არა „ორი ან მეტი პირის მიმართ". მართალია, სსკ-ის 143[1]-ე მუხლით დამამძიმებელი გარემოებაა „იგივე ქმედება, ჩადენილი ორი ან მეტი პირის მიმართ", მაგრამ ასეთი რედაქცია კანონმდებელმა შემოგვთავაზა იმდენად, რამდენადაც რეალობაში ადამიანით ვაჭრობა შეიძლება ჩადენილი იყოს როგორც ორი, ისე მეტი პირის მიმართაც.

აქ შეიძლება მოვიყვანოთ შედარება სსკ-ის 109-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტთან — მკვლელობა ორი ან მეტი პირისა. როდესაც ერთიანი განზრახვით ჩადენილია ორი პირის მკვლელობა, მკვლელს ბრალად უნდა შეერაცხოს „მკვლელობა ორი პირისა" და არა „ორი ან მეტი პირისა".

მართალია, ეს არაა პრინციპული საკითხი, რადგან ამით არ იცვლება ქმედების კვალიფიკაცია, მაგრამ ისიც ფაქტია, რომ ბრალდების ფორმულირება უნდა იყოს ზუსტი და ყოველგვარი ზედმეტი ფრაზებისგან თავისუფალი.

მივუბრუნდეთ უფრო მნიშვნელოვან საკითხს. კერძოდ, საკითხავია, იყო თუ არა ამ შემთხვევაში ეს ქმედება ჩადენილი ორი პირის მიმართ?

ცნობილია, რომ „იგივე ქმედება, ჩადენილი ორი ან მეტი პირის მიმართ" აუცილებლად გულისხმობს ერთიანი განზრახვით ჩადენილ ქმედებას. ჰქონდა თუ არა ამას ადგილი მოცემულ შემთხვევაში?

საქმის მასალებით დადგინდა, რომ ზ. ალ-მა თ. პ-შვილი და ნ. ხ-შვილი სხვადასხვა დროს გაიცნო და სხვადასხვა დროს შესთავაზა ქ. დუბაიში გამგზავრება პროსტიტუციაში ჩასა-

ბმელად, რაზეც თანხმობა მიიღო. მაგრამ ეს ფაქტი სრულებითაც არ გამორიცხავს იმას, რომ ზ. ალ-ნი მათ მიმართ მოქმედებდა ერთიანი განზრახვით (კიდევ ერთხელ აღვნიშნავთ, რომ ამ საქმეში არის სხვა არსებითი პრობლემა. კერძოდ, არაა დადასტურებული მოტყუების ფაქტი, რაც აუცილებელია სსკ-ის 143[1]-ე მუხლით ქმედების კვალიფიკაციისთვის, მაგრამ ეს სხვა საკითხია და მასზე უკვე ვიმსჯელეთ).

მართალია, ადამიანით ვაჭრობა დამთავრებულია ადამიანის გადაბირების მომენტიდან, მაგრამ საქმე ისაა, რომ ამ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობა მოიცავს რამდენიმე ალტერნატიულ ქმედებას: გადაბირებას, გადაყვანას, გადამალვას და ა.შ. ეს იმას ნიშნავს, რომ ნებისმიერი ამ ქმედებათაგანის ჩადენა საკმარისია დანაშაულის დამთავრებულად ცნობისთვის. ამასთანავე პირმა შეიძლება ჩაიდინოს რამდენიმე ალტერნატიული ქმედება (მაგალითად, გადაბირება და გადამალვა). მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში ზ. ალნს ბრალად შერაცხული აქვს როგორც გადაბირება, ისე გადაყვანა (საზღვარგარეთ). გადაბირების დროს იგი ერთიანი განზრახვით არ მოქმედებდა, რადგან სხვადასხვა დროს გაცნობილი გოგონები სხვადასხვა დროს გადაიბირა. შამაგიეროდ, ორივე მათგანის საზღვარგარეთ გადაყვანა მოახდინა ერთიანი განზრახვით, რადგან ორივეს მან გაუკეთა პასპორტი და ერთად გაამგზავრა. ამდენად, გადაყვანა მოხდა ერთიანი განზრახვით ორი პირის მიმართ.

ამდენად, ჩადენილ ქმედებას ამ ნაწილში სწორი კვალიფიკაცია აქვს მიცემული.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლისას გამოიკვეთა, რომ ზოგჯერ (რა თქმა უნდა, არა ყოველთვის) არასწორად ესმით ადამიანით ვაჭრობა ორი ან მეტი პირის მიმართ, ასევე ადამიანით ვაჭრობა დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით. ამ მხრივ ადგილი აქვს შეცდომებს გამოძიების სტადიაზე, რაც შემდგომში გასწორებულია სასამართლოს მიერ.

ამის მაგალითად გამოგვადგება თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 29 ივნისის განაჩენი ო. ზვ-ის მიმართ (საქმე № 1/1341-06), რომელსაც საბრალდებო დასკვნით სხვა ქმედებებთან ერთად ბრალი ედებოდა მასშიც, რომ მან ჩაიდინა მოტყუებით ადამიანის გადაყვანა ექსპლუატაციის მიზნით ორი პირის მიმართ, დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ორი ან მეტი პირის მიმართ დანაშაულის ჩადენას მაშინ აქვს ადგილი, თუ დამტკიცდება, რომ დამნაშავე მათ მიმართ მოქმედებდა ერთიანი განზრახვით. რაც შეეხება ადამიანით ვაჭრობას დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით, ეს უნდა გავიგოთ შემდეგნაირად: ა) პირის (ან პირთა) დანაშაულებრივი ქმედება (მაგალითად გადაბირება) უნდა დაიწყოს საქართველოში მყოფი (თუნდაც დროებით მცხოვრები) პირის მიმართ. ამ დროს მნიშვნელობა არ უნდა მიენიჭოს იმას, თავად დამნაშავე ფიზიკურად საქართველოში იმყოფება, თუ საზღვარგარეთიდან ახდენს ზეგავლენას ადამიანზე; ბ) დამნაშავემ თავად უნდა შეიტანოს წვლილი ადამიანის საზღვარგარეთ გამგზავრებაში. მაგალითად, მონაწილეობა მიიღოს გასამგზავრებელი დოკუმენტების შეგროვებაში (ეს იქნება მატერიალური სახსრების გაღებით თუ სხვაგვარად). ანდა თავად უნდა გამოძებნოს ტრანსპორტი, გადაიხადოს ტრანსპორტის ხარჯები და ა.შ. ამასთან აუცილებელი არაა საზღვარგარეთ გამგზავრებისას იგი თავად ახლდეს გადაბირებულ პირს, მთავარია, მან უზრუნველყოს მსხვერპლის გაყვანა საზღვარგარეთ (სწორედ ასეა ეს საკითხი გადმოცემული 2005 წლის ევროსაბჭოს კონვენციაში ადამიანიებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლოს შესახებ.

როდესაც სახეზეა წინასწარ შეთანხმებულ პირთა ჯგუფი, მაშინ შესაძლოა, ეს ქმედებები თითოეულმა მათგანმა ჩაიდინოს. მაგალითად, ერთმა გადაიბირა, მეორემ — საბუთები

გაუმზადა, მესამემ გადაიყვანა საზღვარგარეთ. ამ შემთხვევაში ყველა მათგანს უნდა შეერაცხოს ადამიანით ვაჭრობა დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით.

თუ ზემოთხსენებული ეს ორი პირობა ერთდროულად არაა სახეზე, მაშინ ადამიანით ვაჭრობა არ ჩაითვლება ჩადენილად დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით.

მივუბრუნდეთ ო. ზვ-ის საქმეს. საქმის მასალებით გაირკვა, რომ თურქეთის მოქალაქე ვინმე რ. ზ-ამ, იგივე ნ. ოს-ამ და მისმა თურქმა მეუღლემ (რომელთა ვინაობა არაა დადგენილი), თურქეთში გაიცნეს საქართველოს მოქალაქე ი. მ-ანი და შესთავაზეს მეძავობა. თანაც დაპირდნენ, რომ თანხის დიდ ნაწილს მას მისცემდნენ. ამ პირობით ჩააბეს პროსტიტუციაში, მაგრამ ბოლოს შეპირებული თანხა არ მისცეს და გამოამგზავრეს საქართველოში. რ. ზ-ა დაპირდა, რომ კუთვნილ თანხას მომავალში გადაუხდიდა. ამის შემდეგ რ. ზ-ამ თურქეთიდან დაურეკა ი. მ-ანს და სთხოვა კვლავ ჩამოსულიყო თურქეთში სამუშაოდ, თან იმ კუთვნილი თანხის მიცემასაც დაპირდა. ი. მ-ანმა თავისი ხარჯებით შეაგროვა საბუთები და გაემგზავრა თურქეთში, სადაც რ. ზ-ამ იგი ჩაკეტა და აიძულებდა პროსტიტუციას, ფულს კი თავად იღებდა. ბოლოს მ-მა მოახერხა გამოპარვა საქართველოში. ამის შემდეგ სხვა დროს კიდევ დაურეკა რ. ზ-ამ ი. მ-ანს და იგი კვლავ თავისი ხარჯებით ჩავიდა თურქეთში იმ იმედით, რომ მიიღებდა შეპირებულ თანხას, მაგრამ მოტყუებული დარჩა და კვლად გაუწიეს ექსპლუატაცია, საიდანაც საბოლოოდ კვლავ მოახერხა წამოსვლა. ბოლოს 2005 წლის იანვარში მას კვლავ დაუკავშირდა რ. ზ-ა და კვლავ შესთავაზა თურქეთში ჩასვლა ვითომც სამუშაოზე მოსაწყობად. იმავდროულად სთხოვა სხვა გოგონების ჩაყვანაც, თანაც დაპირდა, რომ მიეხმარებოდა ახალი, ყალბი პასპორტის აღებაში, რადგან მ-ანს დარღვეული ჰქონდა სასაზღვრო რეჟიმი და საკუთარი პასპორტით ვერ გადაკვეთდა საზღვარს. ყალბი პასპორტის

დასამზადებლად რ. ზ-ამ მას ჩააწერინა ო. ზვ-ის ტელეფონის ნომერი და შეპირდა, რომ იგი დაეხმარებოდა მას ყველა დოკუმენტის დამზადებაში.

ი. მ-ანმა მიმართა სამართალდამცავ ორგანოებს განცხადებით, რითაც აცნობა მათ მომხდარის შესახებ. დაიგეგმა ოპერატიული ღონისძიება და დანაშაულებრივ ჯგუფში შეყვანილ იქნა ოპერატიული თანამშრომელი თ. მ-ლი. ი. მ-ანი და თ. მ-ლი შეხვდნენ ო. ზვ-ს და სთხოვეს დახმარება ყალბი პასპორტის დამზადებაში, რაშიც ზვ-მა მათ 1000-1000 აშშ დოლარი მოსთხოვა. ი. მ-მა მოიმიზეზა უფულობა და სთხოვა ამჯერად მხოლოდ მ-ის დაემზადებინა პასპორტი. თ. მ-მა ზვ-ს გადასცა საკონტროლო შესყიდვისთვის გამზადებული 600 აშშ დოლარი, ხოლო დანარჩენს დაპირდა პასპორტის დამზადების შემდეგ. ზვ-ი თავის მხრივ დაუკავშირდა ვინმე ლევანს (რომლის ვინაობა დაუდგენელია), რომელსაც კავშირი ჰქონდა საპასპორტო სამსახურის მრჩეველ ი. პ-შვილთან, რომელმაც დაუმზადა თ. მ-ს ყალბი პასპორტი, რომლის მ-ზე გადაცემისას ისინი დააკავეს.

როგორც ვხედავთ, არც ერთ ეპიზოდში რ. ზ-ას არ მოუხდენია მ-ის გადაყვანა საზღვარგარეთ, რადგან თავდაპირველად გადაბირება და ექსპლუატაციაში ჩაბმა მოხდა თავად თურქეთის რესპუბლიკაში. შემდგომ ეპიზოდებში კი რ. ზ-ა მხოლოდ ურეკავდა მას თურქეთიდან და სთხოვდა ჩასვლას. ი. მ-ი კი საკუთარი ხარჯებით ამზადებდა საჭირო დოკუმენტებს და დამოუკიდებლად მიემგზავრებოდა თურქეთში.

ზემოთმითითებულ განაჩენში სასამართლომ სამართლიანად მოხსნა ბრალდებიდან ადამიანით ვაჭრობის დამამძიმებელი გარემოება — საზღვარგარეთ გაყვანით, თუმცა უნდა ითქვას, რომ არ დაუსაბუთებია, რატომ მიიღო ეს გადაწყვეტილება. როგორც აღვნიშნეთ, ო. ზვ-ს საბრალდებო დასკვნით ბრალი ედებოდა ასევე ადამიანით ვაჭრობაში ორი პირის მიმართ. სასამართლომ მას ეს ბრალდებაც სრულიად სამართლიანად

მოუხსნა, თუმცა სამწუხაროდ არც ესაა დასაბუთებული განაჩენში.

ამ შემთხვევაში ორი პირის მიმართ ადამიანით ვაჭრობაზე საუბარიც კი ზედმეტია, რადგან მეორე პირი — თ. მ-ლი არ ყოფილა ამ დანაშაულის მსხვერპლი და არცაა ცნობილი ასეთად (სხვა საკითხია, რომ თავად ი. მ-ის მიმართაც ამ დანაშაულის ჩადენა საქმის მასალებით არაა დადასტურებული, რაზეც ცოტა ქვემოთ გვექნება საუბარი). თ. მ-ლი იყო პოლიციის ოპერატიული თანამშრომელი, რომლის მიზანი იყო დანაშაულებრივი ფაქტის გამოვლენა. გამომდინარე აქედან, საქმეში არ არსებობს ორი მსხვერპლი, რაც აუცილებელია ქმედების ამ დამამძიმებელი გარემოებით კვალიფიკაციისთვის. ამდენად, ზედმეტია საუბარი იმაზე, ჰქონდა თუ არა ადგილი ქმედების ჩადენას ერთიანი განზრახვით.

საბოლოოდ სასამართლომ ო. ზვ-ის ქმედება გადააკვალიფიცირა სსკ-ის 143[1]-ე მუხლის პირველ ნაწილზე. კერძოდ ბრალი დასდო იმაში, რომ მან ჩაიდინა ადამიანის მიმართ უკანონო გარიგების განხორციელება, აგრეთვე მოტყუებით ადამიანის გადაყვანა.

ისმის კითხვა: ვინ გადაიბირა და გადაიყვანა მან მოტყუებით? რატომ ჩაითვალა ი. მ-ნი მისი ქმედების მსხვერპლად? ამ კითხვაზე საბრალდებო დასკვნაში არც ერთი ინსტანციის სასამართლო განაჩენებში (ეს საქმე სააპელაციო წესით განხილულ იქნა 2007 წლის 20 თებერვალს — საქმე № 1/ბ-2068-06) არაა პასუხი.

საქმის მასალებით დადგენილია, რომ ი. მ-ნი რ. ზ-ამ გაიცნო თურქეთში და მისი თურქი მეუღლის დახმარებით არაერთხელ ჩააბა იგი პროსტიტუციაში. ო. ზვ-ს ამ საქმეში არანაირი მონაწილეობა არ მიუღია. მ-ს იგი თვალითაც არ უნახავს. მათი შეხვედრა პირველად მოხდა მხოლოდ 2005 წლის იანვარში თ. მ-თან ერთად დაგეგმილი ოპერატიული ღონისძიე-

ბის შესაბამისად. ისიც უნდა ითქვას, რომ ამ შემთხვევაშიც მ-ნმა მოიმიზეზა რა უფულობა, ზ-სთან საუბრისას უარი თქვა საზღვარგარეთის პასპორტის დამზადებაზე და მას მხოლოდ მ-სთვის სთხოვა ამ პასპორტის დამზადება, რაც ზვ-მა სხვა პირის მეშვეობით შეასრულა. ხატოვნად რომ ვთქვათ, მ-ანი ამ შემთხვევაში „გავიდა თამაშიდან".

მაშ, რით უდასტურებს სასამართლო ზვ-ს ადამიანით ვაჭრობას?

ორივე ინსტანციის სასამართლოს ამის მტკიცებულებად მოჰყავს ი. მ-ის ჩვენება, რომ მან 1997-98 წლებში თურქეთში გაიცნო რ. ზ-ა, რომელმაც მას გარკვეული გასამრჯელოს საფასურად სხეულით ვაჭრობა შესთავაზა. რ. ზ-ა მასთან საუბარში ხშირად ახსენებდა ოთარის და ეუბნებოდა, რომ სანამ ოთარი ქალებს არ გამოაგზავნიდა თურქეთში, მანამდე ის აქ უნდა ყოფილიყო. მან რ. ზ-გან იცოდა, რომ ოთარი საქართველოდან ქალების გადმოყვანაში ეხმარებოდა და ოთარის ამ საქმიდან თავისი წილი მიჰქონდა.

ის ფაქტი, რომ სასამართლო ძირითადად ეყრდნობა ამ ჩვენებას, სწორედ რომ კურიოზად უნდა ჩაითვალოს, რადგან:

ა) საქმეში არ არსებობს იმის უტყუარი მტკიცება, რომ ვინმე რ. ზ-ა ნამდვილად ეუბნებოდა ამას ი. მ-ს;

ბ) გამოძიებით დადგენილი არაა ზ-ას (ანუ ნატო ოს-ას) პიროვნება. ანუ დაუდგენელია, არსებობს (ან არსებობდა) თუ არა სინამდვილეში ასეთი პიროვნება;

გ) მაგრამ ეს ყველაფერი დადგენილიც რომ იყოს, ეს ვერანაირად დაადასტურებს იმას, რომ ზვ-რი მონაწილეობდა მ-ის ექსპლუატაციაში. იგი შეიძლება მონაწილეობდა ვიღაც სხვა გოგონების ექსპლუატაციაში, თუკი ისინი მართლაც ჩაჰყავდა თურქეთში ამ განზრახვით და ამაში წილსაც იღებდა, მაგრამ სასამართლომ ასეთი ერთი ფაქ-

ტი ვარაუდის დონეზეც კი ვერ დაადგინა.

დ) სასამართლოს ყურადღება არ მიუქცევია იმ ფაქტისთვის, რომ რ. ზ-ამ მ-ს 1997-98 წლებში შესთავაზა სხეულით ვაჭრობა და ჩააბა იგი პროსტიტუციაში. მეორედ იგი რ. ზ-სთან თურქეთში ჩავიდა დაახლოებით ერთი წლის შემდეგ (ე.ი. 1999 წელს). ბოლო ჩასვლა მოხდა 2004 წელს, მაგრამ ამ დროს იგი თავისი ნებით და საკუთარი ხარჯით ჩავიდა. სსკ-ის 143[1]-ე მუხლი კი სისხლის სამართლის კოდექსში შემოღებულიქნა 2003 წლის 6 ივნისის კანონით. ე.ი. მანამდელი ქმედებების ამ მუხლით კვალიფიკაცია შეუძლებელია.

ამდენად, საქმეში იკვეთება მხოლოდ ეჭვი, რომ შესაძლოა ზვ-რი ოდესღაც მონაწილეობდა დაუდგენელი პირების ექსპლოატაციაში.

საბოლოოდ კი გამოვიდა ასე: რადგან გამოძიებამ და სასამართლომ ასეთი ფაქტები ზვ-ის მიმართ ვერ დაადგინა და რატომღაც ვერც თურქეთში მცხოვრები რ. ზ-ას პიროვნება დაადგინა (რომლის მეუღლის სახელი და გვარიც ცნობილი იყო), ამიტომაც ი. მ-ის ექსპლუატაციისთვის პასუხისგებაში მისცა სწორედ ო. ზვ-ი, რომელსაც არანაირი შეხება ი. მ-ისა და რ. ზ-ას არც ერთ ეტაპზე არ ჰქონია.

რაც შეეხება ი. მ-ის მოტყუებით გადაყვანისა და პროსტიტუციაში ჩაბმის ფაქტს, აქაც უნდა ითქვას, რომ სასამართლომ უკრიტიკოდ მიიღო მისი ჩვენება, რომ იგი მოტყუებით ჩააბეს პროსტიტუციაში და შეპირებული ფულის გადაუხდელად გამოუშვეს საქართველოში. სასამართლოს კრიტიკულად უნდა შეეფასებინა თავად მ-ის ჩვენება, რომლის მიხედვითაც, იგი სამჯერ იყო თურქეთში და აქედან ორჯერ წავიდა რ. ზ-თან საკუთარი ხარჯებით. თუკი იგი რ. ზ-ამ მოატყუა ერთხელ, რატომ წავიდა მასთან მეორედ? მესამედ?

განხილულ საქმეში არის სხვა შეცდომაც. კერძოდ, ო. ზვ-ს

ბრალად შერაცხული აქვს ასევე ყალბი პასპორტის დამზადება — სსკ-ის 362-ე მუხლი და ეს კვალიფიკაცია არ შეცვლილა არც ერთი ინსტანციის სასამართლო განაჩენით. საქმე ისაა, რომ ზვ-ს თავად არ დაუმზადებია ყალბი პასპორტი, იგი არაა ამ დანაშაულის ამსრულებელი. საქმის მასალებით დადგინდა, რომ იგი დაუკავშირდა ვინმე ლევანს, რომელიც თავის მხრივ დაუკავშირდა საპასპორტო სამსახურის თანამშრომელ ი. პ-შვილს, რომელმაც დაამზადა ეს ყალბი პასპორტი. ამდენად, ზვიადაური იყო სამსახურებრივი სიყალბის (341-ე მუხლი) თანამონაწილე, კერძოდ, დამხმარე. ამიტომ მისი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 25-ე, 341-ე მუხლით და არა 362-ე მუხლით. სასაჳართლომ კი ი. პ-შვილი პასუხისგებაში მისცა სსკ-ის 341-ე მუხლით — სამსახურებრივი სიყალბით (იხ. თბილისის გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს 2005 წლის 11 თებერვლის განაჩენი — საქმე № 1/290-05), როგორც ამ ქმედების ამსრულებელი, ხოლო ო. ზვ-ი — 362-ე მუხლით, ასევე როგორც ამსრულებელი.

გამოდის, რომ ეს ყალბი პასპორტი უშუალოდ ორივეს (პ-შვილს და ზვ-ს) დაუმზადებია მაშინ, როცა ზ-ურს პასპორტის დამზადების პროცესთან არავითარი შეხება არ ჰქონია (და ვერც ექნებოდა, რადგან არ იყო სათანადო ორგანიზაციის თანამშრომელი). სასამართლოს ეს კვალიფიკაცია აშკარად ეწინააღმდეგება სსკ-ის 25-ე მუხლის მე-6 ნაწილს, სადაც წერია: ისეთ დანაშაულში თანამონაწილეობისთვის, რომლის ამსრულებელი შეიძლება იყოს ამ კოდექსით გათვალისწინებული შესაბამისი დანაშაულის სპეციალური სუბიექტი, პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება როგორც ორგანიზატორს, წამქეზებელს ან დამხმარეს.

ი. პ-შვილის მიერ ჩადენილია დანაშაული (სამსახურებრივი სიყალბე), რომლის ამსრულებელი შეიძლება იყოს მხოლოდ სპეციალური სუბიექტი (მოხელე ან მასთან გათანაბრებული პირი) და ამდენად, ო. ზვ-ის ქმედება უნდა დაკვალიფიცირდ-

ეს ამ დანაშაულში თანამონაწილეობად (ამ შემთხვევაში დახმარებად).

სასამართლო პრაქტიკის გაცნობით ტენდენციის სახით გამოიკვეთა შემდეგი გარემოება: ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა დიდი ნაწილი დახმარებისთვის მიმართავს უცხო ქვეყნის (უმეტესად, თურქეთის) ხელისუფალთ და ამხელს დამნაშავეებს. ამის შემდეგ ხდება დაზარალებულთა გადმოყვანა საქართველოში, სადაც იწყება ძიება, მაგრამ სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში არასოდეს არაა მიცემული ის მოქალაქე, რომელიც ცხოვრობს თურქეთში. მის ვინაობას რატომღაც ვერ ადგენენ. სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში აძლევენ მხოლოდ იმ თანამონაწილეს, რომელიც ცხოვრობს საქართველოში. ამდენად, ადამიანით ვაჭრობის ძირითადი ბუდე, ძირითადი ქმედების სათავე ხელუხლებელი რჩება, რის გამოც ამ კატეგორიის დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლა შედეგიანი ვერ იქნება.

ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივ ბრძოლა შედეგიანი რომ იყოს, სახელმწიფოებმა უფრო მეტად უნდა ისარგებლონ საერთაშორისო თანამშრომლობით. ამასთან ძირითადი აქცენტი გადატანილი უნდა იყოს ე.წ. დანიშნულების ქვეყანაში მოქმედ პირთა მხილებაზე.

როგორია ქმედების კვალიფიკაცია, როცა სახეზეა ერთდროულად რამდენიმე დამამძიმებელი გარემოება, რომლებიც გათვალისწინებულია მოცემული ნორმის (ამ შემთხვევაში სსკ-ის 143[1]-ე მუხლის) სხვადასხვა ნაწილებში, მაგალითად, მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებში?

ეს საკითხი პრობლემურია არა მარტო სასამართლო პრაქტიკაში, არამედ დოქტრინაშიც. განვიხილოთ იგი სსკ-ის 143[1]-ე მუხლის მაგალითზე.

დოქტრინაში არაა სადაო, რომ ამა თუ იმ მუხლის მეორე ნაწილი, სადაც გათვალისწინებულია იგივე ქმედება რომელიმე დამამძიმებელი გარემოებით (მაგალითად, ჯგუფურად) თავის თავში გულისხმობს ამავე მუხლის პირველ ნაწილსაც, როგორც ამ დანაშაულის ძირითად შემადგენლობას. ამიტომ, როცა სახეზეა რომელიმე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოება, ქმედების კვალიფიკაცია უნდა მოხდეს ამ მუხლის მე-2 ნაწილის შესაბამისი ქვეპუნქტით. მაგალითად, თუ ჩადენილია ადამიანით ვაჭრობა დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით ორსული ქალის მიმართ, ქმედების კვალიფიკაცია მოხდება სსკ-ის 143[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის ქ„ა" ქვეპუნქტით (და არა 1-ლი და მე-2 ნაწილის ერთობლიობით). ჩვენს მიერ შესწავლილ სისხლის სამართლის საქმეებზე ეს საკითხი სწორადაა გაგებული და სასამართლო შეცდომები არ ფიქსირდება.

უფრო სადაოა საკითხი, როცა ერთდროულად სახეზეა ამ მუხლის მე-2 და მე-3, ან მე-3 და მე-4, ანდა მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილებით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებები. როგორი უნდა იყოს ქმედების კვალიფიკაცია ამ შემთხვევაში?

საინტერესოა ქართველ სწავლულ იურისტთა შეხედულება ამ პრობლებაზე. პროფ. ო. გამყრელიძის აზრით (რომელიც ამ საკითხს იხილავს სსკ-ის 137-ე მუხლის მაგალითზე), მუხლის პირველი ნაწილი ქმედების ზოგადი შემადგენლობაა და ამიტომ არ შეიძლება მისი ერთობლიობის წესით დაკვალიფიცირება ამავე მუხლის მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 ნაწილებით აღწერილ შემადგენლობებთან. ერთობლიობით შეიძლება დაკვალიფიცირდეს 137-ე მუხლის მხოლოდ მე-2, მე-3, მე-4 და მე-5 ნაწილებით აღწერილი შემადგენლობები[68].

---

[68] იხ. სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი: დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის თავი XXII-XXIV, გამომც. „მერიდიანი", თბ., 2008, გვ. 30.

ამდენად, პროფ. ო. გამყრელიძე მხარს უჭერს ქმედების ერთობლიობით კვალიფიკაციას როცა პირის ქმედებაში სახეზეა მუხლის მე-2, მე-3, მე-4 ან მე-5 ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებები, მაგრამ გამორიცხავს მუხლის პირველ ნაწილთან მისი მეორე, მესამე ან სხვა ნაწილების ერთობლიობით კვალიფიკაციას.

საინტერესოა ამ საკითხზე პროფ. გ. ნაჭყებიას მოსაზრება. ისიც მხარს უჭერს ქმედების კვალიფიკაციას ერთობლიობით, როცა სახეზეა მოცემული მუხლის რამდენიმე დამამძიმებელი გარემოება, მაგრამ ამავე დროს ხაზს უსვამს იმას, რომ ამ დროს ხელოვნურად იქმნება დანაშაულთა ერთობლიობა. კერძოდ, იგი წერს: „ამრიგად, ქურდობა, როგორც კონკრეტული დანაშაულის სახეობა შეიძლება პრაქტიკულად განხორციელდეს მისი კონკრეტული შემადგენლობის მიხედვით, მაგრამ კანონმდებელი სასჯელის გამოყენების ინტერესების გამო ქურდობას სამ დანაშაულად აცხადებს. მართლაც, თუ მაგალითად, პირმა ერთდროულად ჩაიდინა ქურდობა მნიშვნელოვანი ზიანით და ამავე დროს ბინაში, სადგომში ან სხვა საცავში შეღწევით, მაშინ ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს 177-ე მუხლის მეორე და მესამე ნაწილებით. მაშასადამე, სახეზეა დანაშაულთა ერთობლიობა. მაგრამ რა ვუყოთ იმ ფაქტს, რომ ქურდობა ერთი დანაშაულია?... როგორც ვხედავთ, ქურდობის პრაქტიკული ჩადენა ხდება კონკრეტულ შემადგენლობათა შესაბამისად, ხოლო ხსენებული მუხლის სამ ნაწილად დაყოფამ და თითოეული ნაწილის შესაბამისი სასჯელით აღჭურვამ ხელოვნურად შექმნა დანაშაულთა ერთობლიობის შესაძლებლობა, მაშინ, როდესაც ქურდობა არსებითად ერთი დანაშაულია. ასეთი სიძნელე იქმნება ძარცვის, ყაჩაღობისა და ზოგიერთი სხვა დანაშაულისა და მათი შემადგენლობების მიმართების საკითხშიც. მაგრამ საქმე ისაა, რომ კანონმდებელი ამ გზას ადგას დასასჯელის ინტერესების გამო და ეს ბუნებრივიცაა, თუმცა ამ თვალსაზრისით კანონშემოქმედების პრობლემა ვრცელ მსჯელობას მოითხოვს...“[69]

[69] იხ. გურამ ნაჭყებია, ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცი-

როგორც ვხედავთ, ერთდროულად რამდენიმე დამამძიმებელი გარემოების არსებობისას ქმედების კვალიფიკაციის საკითხი მეტად პრობლემურია არა მარტო თეორიული, არამედ პრაქტიკული კუთხითაც.

ვნახოთ, თუ როგორია სასამართლო პრაქტიკა ამ მიმართებით. სწორედ ასეთ შემთხვევასთან გვაქვს საქმე ჩვენ მიერ განხილულ სისხლის სამართლის საქმეში ზ. ალოიანის მიმართ, რომელსაც 2006 წლის 12 ივნისს, თბილისის საოლქო სასამართლოს განაჩენით მსჯავრი დაედო ორი ან მეტი პირის მიმართ ადამიანით ვაჭრობაში და საზღვარგარეთ გაყვანაში. 2006 წლის 31 მაისის რედაქციით სსკ-ის 143[1]-ე მუხლში ეს დამამძიმებელი გარემოებები მოცემული იყო ამ მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტში და მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტში. სასამართლომ მისი ქმედება დააკვალიფიცირა სსკ-ის 143[1]-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების შესაბამისი ქვეპუნქტების ერთობლიობით. ასევე დაკვალიფიცირდა მ. ხ-შვილის ქმედება თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2007 წლის 28 დეკემბრის განაჩენით.

ასეთი კვალიფიკაცია არ უნდა ჩაითვალოს სწორად, რადგან იგი ქმნის რამდენიმე პრობლემას. აქედან პირველი არის ის, რომ ასეთი კვალიფიკაცია მართლაც ხელოვნურად ქმნის დანაშაულთა ერთობლიობას, რადგან ერთობლიობა სახეზეა მხოლოდ მაშინ, როცა პირის ერთი ქმედებით (იდეალური ერთობლიობა) ან რამდენიმე ქმედებით (რეალური ერთობლიობა) განხორციელებულია სხვადასხვა დანაშაულის შემადგენლობა. მეორე პრობლემა კი უკავშირდება სასჯელის დანიშვნას (რაზეც აქვე ცოტა ქვემოთ გვექნება საუბარი). როგორც ჩანს, ეს ფაქტი გაითვალისწინა ჩვენმა კანონმდებელმა და შესაბამისი მუხლების იმგვარი რედაქცია შემოგვთავაზა, რომლითაც გამორიცხა მსგავსი შემთხვევების დანაშაულთა ერთობლიობით კვალიფიკაცია. კერძოდ, სსკ-ის 143[1]-ე მუხ-

---

ის ზოგადი თეორიის შესავალი, ნაწ. პირველი, გამომც. „ინტელექტი", თბ., 2000, გვ. 84-85.

ლის მე-2 და მე-3 ნაწილები იწყება სიტყვებით: „იგივე ქმედება, ჩადენილი" და არა „ადამიანით ვაჭრობა, ჩადენილი" და შემდეგ ჩამოთვლილია ქვეპუნქტები. ეს იმას ნიშნავს, რომ არა მარტო მე-2 ნაწილი მოიცავს პირველ ნაწილს, როგორც ძირითად შემადგელობას, არამედ ყოველი მომდევნო ნაწილი თავისთავში მოიცავს წინა ნაწილებს. ასე მაგალითად, ამ მუხლის მე-3 ნაწილი მოიცავს 1-ელ და მე-2 ნაწილებს; მე-4 ნაწილი კი — 1-ელ, მე-2 და მე-3 ნაწილებს. ამ მუხლის მე-4 ნაწილში ეს აზრი უფრო დაკონკრეტებულია, რადგან მისი დისპოზიცია იწყება სიტყვებით: „ამ მუხლის პირველ, მე-2 და მე-3 ნაწილში გათვალისწინებული ქმედება" და შემდგომ ჩამოთვლილია ქვეპუნქტები.

აქედან გამომდინარე, სასამართლოს ზ. ალ-ისა და მ. ხ-შვილის ქმედება უნდა დაეკვალიფიცირებინა სსკ-ის 143[1]-ე მუხლის მხოლოდ მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით. მათზე წარდგენილი ბრალდების ფორმულირებაში კი უნდა დაეფიქსირებინა ორივე დამამძიმებელი გარემოება (ორი პირის მიმართ და საზღვარგარეთ გაყვანით).

ისმის კითხვა: თუკი მსგავს ქმედებებს დავაკვალიფიცირებთ სსკ-ის 143[1]-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით, რატომ ნიშნავს ეს ქმედების კვალიფიკაციას დანაშაულთა ერთობლიობით, მაშინ როცა ფაქტობრივად ჩადენილია ერთი დანაშაული — ადამიანით ვაჭრობა?

ასეთი კვალიფიკაციით რომ ნამდვილად იქმნება დანაშაულთა ერთობლიობა, ეს გამომდინარეობს სსკ-ის მე-16 მუხლის პირველი ნაწილის რედაქციიდან, სადაც წერია: დანაშაულთა ერთობლიობა ნიშნავს ამ კოდექსის მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული ორი ან მეტი ქმედების ჩადენას, რომელთაგან პირი არც ერთისთვის არ ყოფილა მსჯავრდებული (რეალური ერთობლიობა). დანაშაულთა ერთობლიობად ითვლება აგრეთვე ისეთი ქმედების ჩადენა,

რომელიც შეიცავს ამ კოდექსის ორი ან მეტი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებულ დანაშაულთა ნიშნებს (იდეალური ერთობლიობა).

როგორც ვხედავთ, სსკ-ის მე-16 მუხლში, სადაც მოცემულია დანაშაულის რეალური და იდეალური ერთობლიობის ცნება, კანონმდებელი საგანგებოდ მიუთითებს არა მარტო მუხლების ერთობლიობაზე, არამედ მუხლის ნაწილების ერთობლიობაზეც. აქედან გამომდინარე, თუ პირის ქმედებას დავაკვალიფიცირებთ მოცემული მუხლის ორი სხვადასხვა ნაწილით, ეს ნიშნავს იმას, რომ მისი ქმედება დაკვალიფიცირდა დანაშაულთა ერთობლიობით.

კვლავ ისმის კითხვა: მერე და რა პრობლემაა, თუკი ქმედების კვალიფიკაცია ასეთ შემთხვევაში მოხდება დანაშაულთა ერთობლიობით?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად გამოგვადგება სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილი, სადაც მოცემულია სასჯელთა დანიშვნის წესი დანაშაულთა ერთობლიობისას. კერძოდ, აქ ნათქვამია: „დანაშაულთა ერთობლიობის დროს სასჯელი ინიშნება თითოეული დანაშაულისთვის და საბოლოო სასჯელის დანიშვნისას ხდება მათი შეკრება“ (ადრე მოქმედი კანონი მოითხოვდა მათ მთლიან შეკრებას). სხვა რაიმე დათქმა აქ არ ფიქსირდება. ანუ კანონმდებელი რაიმე გამონაკლისს არ აწესებს იდეალური ერთობლიობის დროს სასჯელის დანიშვნისას. ეს კი იმას ნიშნავს, რომ თუკი ქმედებას სსკ-ის 143[1]-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების ერთობლიობით დავაკვალიფიცირებთ, მაშინ სასჯელი პირს ცალ-ცალკე უნდა დაენიშნოს მე-2 და მე-3 ნაწილებით და შემდეგ უნდა მოხდეს მათი შეკრება იმის მიუხედავად, სახეზეა რეალური თუ იდეალური ერთობლიობა. ეს არის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის იმპერატიული მოთხოვნა. არადა სასჯელის ამგვარი წესით დანიშვნა ანალოგიურ შემთხვევებში არ იქნება სამართლიანი, რადგან, როგორც უკვე ვთქვით, ჩადენილია ერთი უმართლობა

— ადამიანით ვაჭრობა. სათვალავშია მისაღები ისიც, რომ დღეისთვის მოქმედი კანონმდებლობით დანაშაულთა ერთობლიობისას სასჯელთა შთანთქმის წესი არ არსებობს. სწორედ ეს გარემოება გაითვალისწინა ჩვენმა კანონმდებელმა და სსკ-ის 143[1]-ე მუხლის (ასევე ბევრი სხვა მუხლების) კონსტრუქცია ისე ააგო, რომ ყოველი მომდევნო ნაწილი (რადგან იგი იწყება სიტყვებით: „იგივე ქმედება“) შთანთქავს წინა ნაწილებს.

უნდა აღინიშნოს, რომ თავდაპირველად, როცა დღეს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი ძალაში შევიდა, ეს საკითხი საკანონმდებლო დონეზე არ იყო სათანადოდ მოგვარებული. ამის დასტურია სსკ-ის შესაბამისი მუხლების მაშინდელი რედაქცია. ასე მაგალითად, სსკ-ის 177-ე მუხლი შედგებოდა სამი ნაწილისგან და მე-2 ნაწილი იწყებოდა სიტყვებით: „იგივე ქმედება“. ხოლო მესამე ნაწილის დისპოზიციაში ნათქვამი იყო: „ქურდობა, ჩადენილი“ (და არა „იგივე ქმედება, ჩადენილი“) და შემდეგ ჩამოთვლილი იყო შესაბამისი დამამძიმებელი გარემოებები. ეს კი იმას ნიშნავდა, რომ 177-ე მუხლის მე-3 ნაწილი შთანთქავდა მხოლოდ პირველ ნაწილს, მაგრამ არა მეორეს.

იგივე მდგომარეობა იყო სსკ-ის 178-ე, 182-ე, 1137-ე, 138-ე და სხვა მუხლებში. მაგრამ შემდგომში კანონმდებელმა შეცვალა ამ მუხლების დამამძიმებელ გარემოებათა რედაქცია და ყოველი ახალი დამამძიმებელი გარემოება დაიწყო სიტყვებით: „იგივე ქმედება“, რითაც ხაზი გაუსვა იმას, რომ ყოველი შემდგომი დამამძიმებელი გარემოება შთანთქავს ყველა წინას და არა მარტო პირველ ნაწილს, როგორც ძირითად შემადგენლობას. ამიტომაც ქმედების კვალიფიკაცია ნაწილების ერთობლიობით არაა საჭირო. თუმცა კვლავ ვიმეორებთ იმას, რომ ბრალდების ფორმულირებაში უნდა დაფიქსირდეს უკლებლივ ყველა მაკვალიფიცირებელი გარემოება. ეს აუცილებელია, რადგან:

ა) ისინი მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული სასჯელის შეფარდებისას;
ბ) შესაძლოა, სასამართლომ პირს მოუხსნას ბრალდება სსკ-ის 143[1]-ე მუხლის მე-3 ნაწილით (ან მე-4 ნაწილით). ასეთ შემთხვევაში მისი ქმედება ადვილად გადაკვალიფიცირდება ამავე მუხლის მე-2 ნაწილის (ან მე-3 ნაწ.) იმ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებით, რაც დაფიქსირებული იყო ბრალდების ფორმულირებაში.

იგივე ვითარებასთან გვაქვს საქმე სსკ-ის სხვა მუხლებშიც, რომელთა კონსტრუქციაც ანალოგიურადაა აგებული. მაგალითად, სსკ-ის 143-ე, 177-ე, 178-ე, 179-ე და სხვა მუხლებში.
როგორც ზემოთ აღინიშნა, ეს საკითხი თავიდან არ იყო მოგვარებული საკანონმდებლო დონეზე და შემდეგ მოგვარდა. ამის მიუხედავად, უნდა ითქვას, რომ სისხლის სამართლის კოდექსში მაინც გვხვდება ისეთი მუხლები, რომელიც ამ თვალსაზრისით რედაქციულად გაუმართავია. მაგალითად შეიძლება დავასახელოთ სსკ-ის 261-ე, 262-ე და 264-ე მუხლები.

კერძოდ, სსკ-ის 261-ე მუხლი შედგება ოთხი ნაწილისაგან. პირველი და მეორე ნაწილი ერთმანეთისგან დანაშაულის საგნით განსხვავდება (ფსიქოტროპული ნივთიერება, ძლიერმოქმედი ნივთიერება). მესამე და მეოთხე ნაწილებში კი მოცემულია დამამძიმებელი გარემოებები. ამის მიუხედავად, მე-4 ნაწილის დისპოზიცია იწყება სიტყვებით: „ამ მუხლის პირველი ან მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი". როგორც ვხედავთ, აქ არაა დაფიქსირებული მე-3 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, რაც ქმნის იმის შთაბეჭდილებას, რომ მე-4 ნაწილი მოიცავს პირველ და მე-2 ნაწილს, მაგრამ არ მოიცავს მე-3 ნაწილს. სინამდვილეში კი არ არსებობს ობიექტური საფუძველი ასეთი დასკვნისთვის.
რატომ არ არსებობს? ამ კითხვაზე პასუხის გაცემისთვის უნდა მოვახდინოთ სსკ-ის 261-ე და 260-ე მუხლების შედარება. ამ ორ მუხლს შორის განსხვავება მხოლოდ დანა-

შაულის საგანშია (260-ე მუხლში საგანი არის ნარკოტიკული ნივთიერება, მისი ანალოგი, პრეკურსორი), დანაშაულის შემადგენლობის სხვა ნიშანი კი ერთმანეთს ემთხვევა. სსკ-ის 260-ე მუხლი სამ ნაწილიანია და რედაქციულად ისეა აგებული, რომ ყოველი მომდევნო ნაწილი შთანთქავს წინას. ამავე დროს 260-ე მუხლი უფრო მძიმე დანაშაულია (იგი არის განსაკუთრებით მძიმე დანაშაული), ვიდრე 261-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული (იგი ნაკლებად მძიმე დანაშაულია). აქედან გამომდინარე, თუ განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ყოველი მომდევნო დამამძიმებელი გარემოება მოიცავს წინას, შეუძლებელია იგივე შინაარსის ნაკლებად მძიმე დანაშაულის (როგორც ვთქვით, ისინი მხოლოდ დანაშაულის საგნით განსხვავდებიან) ყოველმა მომდევნო დამამძიმებელმა გარემოებამ არ მოიცვას წინა გარემოება და ქმედების კვალიფიკაცია მოხდეს ნაწილების ერთობლიობით.

ამდენად, ქმედების სსკ-ის 161-ე მუხლით კვალიფიკაციისას მე-3 და მე-4 ნაწილით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებების არსებობისას, კვალიფიკაცია უნდა მოხდეს ამ მუხლის მე-4 ნაწილით (და არა მე-3 და მე-4 ნაწილის ერთობლიობით)..ამდენად, სსკ-ის 261-ე მუხლის მე-4 ნაწილის დასაწყისი რედაქციულ დახვეწას მოითხოვს. კერძოდ, მას უნდა ჩაემატოს სიტყვები: „ან მესამე ნაწილით'.

ამ თვალსაზრისით უნდა განვიხილოთ სსკ-ის 262-ე და 264-ე მუხლების რედაქციაც.

სსკ-ის 262-ე და 264-ე მუხლები (შესაბამისად, საქართველოში ნარკოტიკული საშუალების უკანონო შემოტანა, გატანა ან ტრანზიტით საერთაშორისო გადაზიდვა; ნარკოტიკული საშუალების მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრება ან გამოძალვა) დღეისთვის შედგება ოთხი ნაწილისგან. მე-2 ნაწილი იწყება სიტყვებით: „იგივე ქმედება, ჩადენილი". ხოლო ამ მუხლების მე-3 ნაწილის დასაწყისი კი ფორმულირებულია

შემდეგნაირად: „ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი". აქაც, ისევე, როგორც სსკ-ის 261-ე მუხლის შემთხვევაში, იქმნება შთაბეჭდილება, რომ მე-3 ნაწილი მოიცავს ამ მუხლის მხოლოდ პირველ ნაწილს, მაგრამ არ მოიცავს მის მე-2 ნაწილს, რაც ყოველგვარ ლოგიკას მოკლებულია.

რატომ მოხდა ასე?

ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ადვილი იქნება, თუ შევადარებთ სსკ-ის 262-ე და 264-ე მუხლების რედაქციას იმ რედაქციასთან, რაც არსებობდა ამ კოდექსის (1999 წლის 22 ივლისს მიღებული კოდექსის) ძალაში შესვლისას. კერძოდ, მაშინ ეს მუხლები შედგებოდა სამი ნაწილისგან და ის დამამძიმებელი გარემოებები, რაც დღეს მე-3 ნაწილშია მოცემული (სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით; არაერთგზის; იმის მიერ, ვისაც წინათ ჩადენილი აქვს კოდექსის ამ თავით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაული), გათვალისწინებული იყო ამ მუხლების მე-2 ნაწილში. 2006 წლის 28 აპრილის კანონის მიხედვით ამ მუხლებმა განიცადა ცვლილება და ოთხნაწილიანი გახდა. კერძოდ, მე-2 ნაწილს ჩამოშორდა ზოგიერთი დამამძიმებელი გარემოება და გადატანილ იქნა მე-3 ნაწილში. ხოლო მე-3 ნაწილში არსებული დამამძიმებელი გარემოება გადავიდა მე-4 ნაწილში. ამდენად, მე-2 ნაწილიდან შეიქმნა მე-3 ნაწილი, მაგრამ მეორე ნაწილის დისპოზიციის დასაწყისის ფორმულირება გაუაზრებლად და მექანიკურად იქნა გადატანილი მე-3 ნაწილის დისპოზიციის დასაწყისში. კერძოდ, მე-3 ნაწილშიც მექანიკურად ჩაწერეს: „ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ჩადენილი". ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ სსკ-ის 262-ე და 264-ე მუხლების მე-3 ნაწილის დისპოზიციის დასაწყისი არის ამავე მუხლების მე-2 ნაწილების რედაქციის ზეგავლენით მიღებული „ჩარჩენილი" ვარიანტი, რაც უნდა გასწორდეს.

აქვე უნდა ითქვას შემდეგი: ჩვენი ეს მტკიცება ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს საერთოდ სისხლის სამართლის კოდექსის მუხლებში ყოველი მომდევნო ნაწილი შთანთქავს მის წინა ნაწილს. ჩვენს კოდექსში არის არაერთი მუხლი, რომელიც შედგება რამდენიმე ნაწილისგან, მაგრამ მომდევნო ნაწილი არ შთანთქავს წინას. მაგალითად, სსკ-ის 131-ე მუხლი (შიდსის შეყრა) შედგება ოთხი ნაწილისგან, საიდანაც მუხლის მე-2 ნაწილი (სხვისთვის შიდსის განზრახ შეყრა), როგორც შედეგიანი დანაშაული, შთანთქავს 1-ელ ნაწილს (სხვისთვის შიდსის განზრახ შეყრის საფრთხის შექმნა), როგორც საფრთხის დელიქტს, რადგან იგულისხმება, რომ სანამ პირს სხვისი ქმედებით შიდსი შეეყრება, მანამდე მას ამავე ქმედებით (მაგალითად, სქესობრივი კავშირით) ექმნება მისი შეყრის საფრთხე.

სულ სხვა ვითარებაა ამავე მუხლის მე-3 ნაწილის მიმართ (სხვისთვის შიდსის გაუფრთხილებლობით შეყრა პროფესიული მოვალეობის შესრულებისას). განსხვავებით ამ მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილებისაგან, მე-3 ნაწილი არის გაუფრთხილებელი დანაშაული, ამიტომ იგი არ შთანთქავს ამ მუხლის პირველი ნაწილს (განზრახ საფრთხის შექმნას) და მით უმეტეს არც მე-2 ნაწილს (შიდსის განზრახ შეყრას). ეს იმას ნიშნავს, რომ თუ მედიცინის მუშაკის გაუფრთხილებელ ქმედებას შედეგად არ მოჰყვა შიდსის შეყრა, მისი ქმედება არ დაკვალიფიცირდება სსკ-ის 131-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რადგან აქ აუცილებელია განზრახვა საფრთხის მიმართ. მედიცინის მუშაკის ასეთი გაუფრთხილებელი ქმედება (შედეგის გარეშე) მხოლოდ დისციპლინური გადაცდომაა.

ამ შემთხვევაში საკითხის გადაწყვეტა შედარებით ადვილია, რადგან 131-ე მუხლის 1-ელ და მე-2 ნაწილში საქმე გვაქვს განზრახ დანაშაულთან, ხოლო მე-3 ნაწილში — გაუფრთხილებელ დანაშაულთან. მაგრამ ჩვენს სისხლის სამართლის კოდექსში გვაქვს ისეთი მუხლები, რომლებიც რამდენიმე

ნაწილისგან შედგება. ყველა მათგანი განზრახი დანაშაულია, მაგრამ ამის მიუხედავად, მუხლის მომდევნო ნაწილი არ შთანთქავს წინა ნაწილს. საამისოდ გამოდგება სსკ-ის 227^1-ე და 227^2-ე მუხლები.

სსკ-ის 227^1-ე მუხლი (წყლის ხომალდის ნაოსნობისთვის საშიშროების შექმნა) ხუთი ნაწილისგან შედგება და ყველა მათგანი განზრახი დანაშაულია. შესაბამისად, 227^2-ე მუხლი სამ ნაწილიანია და ყველა მათგანი განზრახი დანაშაულია. უფრო მეტიც, ყოველ მომდევნო ნაწილში სანქცია საგრძნობლად მკაცრდება. ყოველივე ამის მიუხედავად, ამ მუხლების მომდევნო ნაწილები არ შთანთქავს მის წინა ნაწილს. ასე მაგალითად, 227^1-ე მუხლის 1-ელი ნაწილი გულისხმობს წყლის ხომალდისთვის განზრახ ცრუ ინფორმაციის გადაცემას, რითაც საშიშროება ექმნება წყლის ხომალდის ნაოსნობას (კონკრეტული საფრთხის დელიქტი). ამავე მუხლის მე-2 ნაწილი — წყლის ხომალდზე მყოფი პირის წინააღმდეგ განხორციელებული ძალადობა ან ძალადობის მუქარა, რითაც შეიძლება საფრთხე შეექმნას წყლის ხომალდის ნაოსნობას (ასევე კონკრეტული საფრთხის დელიქტი), მართალია, უფრო მკაცრი სანქციითაა აღჭურვილი, მაგრამ იგი მაინც არ შთანთქავს პირველ ნაწილს. ამის მიზეზი არაა ის, რომ მე-2 ნაწილის დისპოზიცია არ იწყება სიტყვებით: „იგივე ქმედება". ამის მიზეზი სხვაა. კერძოდ, ამ მუხლის პირველი ნაწილი გულისხმობს სრულიად სხვა ქმედებას (ხომალდისთვის განზრახ ცრუ ინფორმაციის გადაცემას), ხოლო ამავე მუხლის მე-2 ნაწილი კი ასევე სხვა ქმედებას (ხომალდზე მყოფი პირის წინააღმდეგ ძალადობა ან ძალადობის მუქარა). ამ ქმედებათა შემადგენლობა თავისი არსით სრულიად განსხვავებულია, ისინი არაა დაკავშირებული ერთმანეთთან, მეორე ქმედება არაა პირველის (ცრუ ინფორმაციის გადაცემის) ლოგიკური გაგრძელება, მათ ერთმანეთთან არა აქვთ ლოგიკური კავშირი, მათი განხორციელება ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ხდება. კერძოდ, ხომალდზე მყოფი პირის წინააღმდეგ ძალადობის

ან მუქარის განხორციელებისთვის არაა საჭირო წინასწარ ამ ხომალდისთვის ცრუ ინფორმაციის გადაცემა. ამდენად, აქ სახეზეა მოცემული დანაშაულის სხვადასხვა შემადგენლობა, რომლებსაც არა აქვთ ლოგიკური კავშირი ერთმანეთთან. ამიტომ თუკი ჩადენილია ამ მუხლის როგორც პირველი, ისე მე-2 ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, კვალიფიკაცია უნდა მიხდეს პირველი და მე-2 ნაწილთა ერთობლიობით.

იგივე ითქმის სსკ-ის 227[1]-ე მუხლის მე-3 ნაწილზე — საზღვაო-სანავიგაციო დანადგარის დაზიანება ან მათი ფუნქციონირებისთვის ხელის შეშლა, რითაც საშიშროება ექმნება წყლის ხომალდის ნაოსნობას. ეს ქმედება თავის თავში არ მოიცავს ამ მუხლის არც 1-ლი და არც მე-2 ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებებს, რადგან იგი არაა მათი ლოგიკური გაგრძელება — მისი ჩადენა დამოუკიდებლად შესაძლებელია. სხვაგვარად რომ ვთქვათ, ამ ქმედებების ჩადენა ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ხდება. ეს ქმედებები თავიანთი არსით სრულიად განსხვავებულნი არიან. მათ საერთო აქვთ მხოლოდ ის, რომ საფრთხეს უქმნიანსისხლის სამართლისდაცვის ერთი და იგივე ობიექტს (წყლის ხომალდის ნაოსნობას).

იგივე ვითარებასთან გვაქვს საქმე სსკ-ის 227[2]-ე მუხლში.

ამდენად, იმის გასარკვევად, მუხლის მომდევნო ნაწილი შთანთქავს თუ არა წინას, უნდა ვიხელმძღვანელოთ არა მარტო იმით, იწყება თუ არა მომდევნო ნაწილის დისპოზიცია სიტყვებით: „იგიგვე ქმედება", ანდა იმის გარკვევით, არის თუ არა მომდევნო ნაწილის სანქცია უფრო მკაცრი, არამედ იმის გარკვევითაც, არის თუ არა მომდევნო ნაწილში მოცემული ქმედება წინა ქმედების ლოგიკური გაგრძელება (მაგალითად, მუხლის მე-3 ნაწილი ხომ არაა მე-2 ნაწილის ლოგიკური გაგრძელება).

აქედან გამომდინარე, უნდა დავასკვნათ, რომ საქართველოს

სისხლის სამართლის კოდექსში შესაძლოა გვქონდეს ისეთი ნორმები, რომლებიც რამდენიმე ნაწილისგან შესდგება და ყოველი მომდევნო შთანთქავს წინას იმის მიუხედავად, რომ მომდევნო ნაწილის დისპოზიცია არ იწყება სიტყვებით: „იგივე ქმედება". ამის მაგალითად გამოდგება სსკ-ის 236-ე მუხლი, რომლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ცეცხლსასროლი (და სხვა იარაღის) მართლსაწინააღმდეგო შეძენისა და შენახვისთვის. ამავე მუხლის მე-2 ნაწილით კი — ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარებისთვის.

იმის მიუხედავად, რომ ამ მუხლის მე-2 ნაწილი არ იწყება სიტყვებით: „იგივე ქმედება", იგი მაინც შთანთქავს პირველი ნაწილით გათვალისწინებულ ქმედებას — ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენას ან შენახვას. ამდენად, როცა დამტკიცდება, რომ პირი მართლსაწინააღმდეგოდ ატარებდა იარაღს, ეს ქმედება თავისთავში მოიცავს ამ იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენასაც, ასევე შენახვასაც, რადგან იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარება არის მისი შეძენის ლოგიკური გაგრძელება (ჯერ უნდა შეიძინო, რომ ატარო). რაც შეეხება ტარებას, იგი თავისთავში მოიცავს შენახვასაც (როგორ ატარებ რამეს, თუ იგი სადმე – ჯიბეში, ჩანთაში ან სხვაგან არა გაქვს შენახული?). მითითებული ქმედებები დაკავშირებულია ერთმანეთთან. ე.ი. იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარებას, როგორც წესი, წინ უძღვის მისი მართლსაწინააღმდეგო შეძენა. ხოლო შენახვა, მასში თავისთავად იგულისხმება.

ამდენად, ქმედების კვალიფიკაცია ამ შემთხვევაში უნდა მოხდეს მხოლოდ სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილით (და არა პირველი და მე-2 ნაწილების ერთობლიობით). სსკ-ის 236-ე მუხლის მე-2 ნაწილში სიტყვები: „იგივე ქმედება" გრამატიკულად ვერ ჩაჯდება და სწორედ რედაქციული მოუხერხებლობის გამო კანონმდებელმა უარი თქვა მასზე (ყოვ-

ლად გაუმართავი იქნებოდა 236-ე მუხლის ასეთი რედაქცია: პირველი ნაწილი — „იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა სასამართლო პრაქტიკაში შეიძლება შეგხვდეს გამონაკლისი შემთხვევა, როცა იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარებას არ უძღვის მისი შეძენა ან შენახვა. მაგალითად, ა-მ ამხანაგ ბ-ს, რომელიც ქუჩაში მანქანით სეირნობდა, გადასცა შეფუთული ნივთი, დროებით შესანახად და შეუთანხმდა, რომ დღის ბოლოს მიაკითხავდა სახლში და უკან გამოართმევდა. ბ-ა რამდენიმე საათის შემდეგ შემთხვევით ნახა, რომ ეს ნივთი ცეცხლსასროლი იარაღი იყო. იგი მიხვდა, რომ ა-ს უნდოდა მოსალოდნელი პასუხისმგებლობისგან თავის დაღწევა, რადგან იმ დროს ქუჩაში გაძლიერებული პატრულირება მიმდინარეობდა. მან ამის მიუხედავად, არ ჩააბარა ეს იარაღი სათანადო ორგანოებს და არც გადააგდო სადმე, არამედ გააგრძელა მანქანით მოძრაობა. აქ სახეზეა იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარება, მაგრამ მას წინ არ უძღვის მისი მართლსაწინააღმდეგო შეძენა, რადგან ბ-ს თავიდან არ ჰქონდა გაცნობიერებული, რომ ამხანაგმა მას იარაღი გადასცა.

ასეთი შემთხვევები არატიპურია და ამგვარი ყურით მოთრეული კაზუსებისთვის კანონმდებელი არ ქმნის სისხლისსამართლებრივ ნორმას. სისხლისსამართლებრივი ნორმა იქმნება ტიპური შემთხვევებისთვის, რომელსაც მოწესრიგება სჭირდება.

გარდა ამისა, აქ მხედველობაშია მისაღები სხვა გარემოებაც. კერძოდ: სსკ-ის 236-ე მუხლით გათვალისწინებულია ერთიანი დანაშაული ალტერნატიული ქმედებებით. ანუ ამ მუხლის პირველ, მეორე და მესამე ნაწილში მოცემულია ალტერნატიული ქმედებები, რომლებიც კანონმდებელს შეეძლო ამ მუხლის პირველ ნაწილში გაეთვალისწინებინა ისე, როგორც ამას ადგილი აქვს ნარკოტიკული დანაშაულთა თავში (260-ე და 261-ე მუხლები) და დაეწესებინა ერთიანი სასჯელი. ვინაიდან 236-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საგანი

არის მომეტებული საფრთხის წყარო (ზოგიერთი მათგანი კი მრავალჯერადი გამოყენებისაა), კანონმდებელმა ეს ალტერნატიული ქმედებები თავიანთი საშიშროების ხარისხის მიხედვით 236-ე მუხლის სხვადასხვა ნაწილებში გადააჯგუფა და განსხვავებული სანქცია დაუწესა. ამდენად, ამ ქმედებებზე სასჯელის დაკისრება კანონმდებელმა არ მიანდო სასამართლოს (როგორც ამას ადგილი აქვს სსკ-ის 260-ე მუხლში). ასე მაგალითად, იარაღის ტარებისთვის მუხლის მე-2 ნაწილით უფრო მკაცრი სანქციაა დაწესებული, ვიდრე მისი შეძენისა და შენახვისათვის. ასევე იარაღის გასაღებისთვის (მე-3 ნაწ.) — უფრო მკაცრი სანქცია, ვიდრე მისი ტარებისთვის.

ამდენად, 236-ე მუხლის დაყოფა სამ ნაწილად არ ნიშნავს იმას, რომ აქ სახეზეა დანაშაულის სხვადასხვა შემადგენლობა, არამედ აქ სახეზეა ერთიანი დანაშაული ალტერნატიული ქმედებებით (ერთი და იგივეა დანაშაულის საგანი, მისი ამსრულებელი და სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი). ამიტომ მუხლის ყოველი მომდევნო ნაწილი (პირველი, ,ეორე და მესამე) მოიცავს ზედა ნაწილებს და საჭირო არაა ქმედების კვლიფიკაციისას ყველა ნაწილზე მითითება.

თუკი გულდასმით შევისწავლით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამის მუხლებს, ისეთ შემთხვევებსაც აღმოვაჩენთ, როცა მუხლი შედგება რამდენიმე ნაწილისგან, ამასთან ყოველი მომდევნო ნაწილი არის მისი განსაკუთრებით დამამძიმებელი გარემოება და ამის მიუხედავად ეს განსაკუთრებით დამამძიმებელი გარემოება შთანთქავს მხოლოდ მოცემული მუხლის პირველ ნაწილს, მაგრამ არა დანარჩენ ნაწილებს. ამის მაგალითად გამოგვადგება სსკ-ის 137-ე და 138-ე მუხლები, რომლებიც ხუთ-ხუთი ნაწილისგან შედგება. ამასთანავე მე-2, მე-3 და მე-4 ნაწილების დისპოზიცია იწყება სიტყვებით: „იგივე ქმედება", ხოლო მე-5 ნაწილის დისპოზიცია კი ფორმულირებულია შემდეგნაირად: „გაუპატიურება, იმისა, ვისაც არ

შესრულებია 14 წელი" (სსკ-ის 137-ე მუხლის მე-5 ნაწილი) და შესაბამისად: „სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება, ჩადენილი იმის მიმართ, ვისაც არ შესრულებია 14 წელი" (სსკ-ის 138-ე მუხლის მე-5 ნაწილი).

რატომ შემოგვთავაზა კანონმდებელმა ამ მუხლების მე-5 ნაწილებში ასეთი ფორმულირება? აქ ხომ თავისუფლად შეიძლებოდა ჩაწერილიყო: „იგივე ქმედება, ჩადენილი თოთხმეტ წელს მიუღწევლის მიმართ"? (ისევე, როგორც ეს მოცემულია ამ მუხლების მე-3 ნაწილის „დ" ქვეპუნქტში — „იგივე ქმედება, არასრულწლოვნის მიმართ")?

საქმე ისაა, რომ კანონმდებელმა 137-ე და 138-ე მუხლების მე-5 ნაწილების ამგვარი რედაქციით გამოხატა თავისი ნება, რომ მცირეწლოვნის გაუპატიურება შთანთქავს 137-ე მუხლის მხოლოდ პირველ ნაწილს, მაგრამ არა დანარჩენებს. ამიტომ თუკი მცირეწლოვნის გაუპატიურებას თან ახლავს ამ მუხლში გათვალისწინებული სხვა დამამძიმებელი გარემოება (მაგალითად, იგი ჩადენილია ჯგუფურად), ქმედების კვალიფიკაცია უნდა მოხდეს 137-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტითა და მე-5 ნაწილების ერთობლიობით (იგივეა 138-ე მუხლთან მიმართებაშიც). როგორც ჩანს, კანონმდებელმა მცირეწლოვნის მიმართ ძალადობითი სქესობრივი დანაშაული იმდენად საშიშ ქმედებად ჩათვალა, რომ რამდენიმე დამამძიმებელი გარემოების არსებობისას მიზანშეწონილად მიიჩნია ასეთი შემთხვევების განსაკუთრებული სიმკაცრით დასჯა (სასჯელის დანიშვნა დანაშაულთა ერთობლიობის წესით).

რასაკვირველია, ასეთი კვალიფიკაციით ხელოვნურად იქმნება დანაშაულთა ერთობლიობა, რადგან გაუპატიურება ერთი დანაშაულია (ერთიანი უმართლობაა), რამდენი დამამძიმებელი გარემოებაც არ უნდა ახლდეს მას, მაგრამ სასამართლო ვერ გადააბიჯებს კანონმდებლის ნებას, რომელიც ამ შემთხ-

ვევაში არაორაზროვნადაა გამოხატული. თეორიულ პლანში კი ამ საკითხზე დავა არ იქნება აზრს მოკლებული.

სისხლის სამართლის კოდექსში განსაკუთრებით საინტერესოა განზრახი დანაშაულის ისეთი შემადგენლობები, რომლებიც რამდენიმე ნაწილიანია და ამასთანავე ყოველ ნაწილს მოსდევს თანამდევი შედეგით კვალიფიცირებული შემადგენლობა. ასეთია სსკ-ის 117-ე მუხლი (ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება), რომელიც რვა ნაწილისგან შედგება. აქედან, ყოველი მომდევნო ნაწილი (მე-2, მე-4, მე-6 და მე-8 ნაწ.) კვალიფიცირებულია თანამდევი შედეგით, რაც ფორმულირებულია შემდეგნაირად: „იგივე ქმედება, რამაც გამოიწვია სიცოცხლის მოსპობა". ამ შედეგის მიმართ იგულისხმება გაუფრთხილებლობა. ამ მუხლის მე-3, მე-5, მე-7 ნაწილებში კი მოცემულია ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანების დამამძიმებელი გარემოებები (კვალიფიციური შემადგენლობა). ამასთან ამ ნაწილების დისპოზიციის დასაწყისი ფორმულირებულია შემდეგნაირად: „ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანება, ჩადენილი" (და არა „იგივე ქმედება, ჩადენილი").

ასეთ ვითარებაში ისმის კითხვა: ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ სსკ-ის 117-ე მუხლის მე-3, მე-5 და მე-7 ნაწილები მოიცავს ამ მუხლის მხოლოდ პირველ ნაწილს (როგორც ძირითად შემადგენლობას), მაგრამ მე-5 ნაწილი არ მოიცავს ასევე მე-3 ნაწილს, ანდა მე-7 ნაწილი არ მოიცავს მე-3 და მე-5 ნაწილს? სხვაგვარად რომ ვთქვათ, ხომ არ ნიშნავს ეს იმას, რომ თუკი ადგილი ექნება ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებას, რაც ჩადენილია სხვადასხვა დამამძიმებელ გარემოებებში (მაგალითად, მძევლად ხელში ჩაგდებასთან დაკავშირებით, ჯგუფურად და არაერთგზის) ქმედება უნდა დავაკვალიფიციროთ სსკ-ის 117-ე მუხლის მე-3, მე-5 და მე-7 ნაწილების შესაბამისი ქვეპუნქტებით?

ამ კითხვას შემდეგი პასუხი უნდა გაეცეს: სსკ-ის 117-ე მუხ-

ლის ყოველი ის მომდევნო დამამძიმებელი გარემოება, რაც ჩადენილია განზრახ, მოიცავს იმ წინა დამამძიმებელ გარემოებას, რაც ასევე განზრახაა ჩადენილი. კერძოდ, მე-3 ნაწილი მოიცავს პირველს; მე-5 ნაწილი — პირველსა და მესამეს; მე-7 ნაწილი — პირველს, მესამესა და მეხუთეს. განსახილველ ნორმაში დამამძიმებელი გარემოებები იმიტომ არ იწყება სიტყვებით: „იგივე ქმედება", რომ ასეთ შემთხვევაში იგი შთანთქავდა ზემოთ მოცემულ გაუფრთხილებელ შედეგსაც (სიცოცხლის მოსპობას), რაც არ იქნებოდა გამართლებული, რადგან თუკი სიკვდილი გამოიწვია მე-3 ნაწილით გათვალისწინებულ დამამძიმებელ გარემოებაში ჩადენილმა ჯანმრთელობის განზრახ მძიმე დაზიანებამ, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს სსკ-ის 117-ე მუხლის მე-4 ნაწილით (და არა მე-3 ნაწილით).

ამდენად, სსკ-ის 117-ე მუხლით გათვალისწინებული რამდენიმე დამამძიმებელი გარემოების არსებობისას ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს ყველაზე მძიმე დამამძიმებელი ნაწილის შესაბამისი ქვეპუნქტით, ხოლო ბრალდების ფორმულირებაში კი უნდა დაფიქსირდეს როგორც ძირითადი შემადგენლობა, ისე ყველა დამამძიმებელი დაგემოება.

საბოლოოდ, ზემოთგანხილული შემთხვევები შეიძლება დავყოთ რამდენიმე ჯგუფად:

1. როცა სსკ-ის კერძო ნაწილის მოცემული მუხლის ყოველი მომდევნო ნაწილი შთანთქავს წინას, რადგან მათი დისპოზიცია იწყება სიტყვებით: „იგივე ქმედება, ჩადენილი";
2. ყოველი მომდევნო ნაწილი შთანთქავს წინას იმის მიუხედავად, რომ იგი არ იწყება სიტყვებით: „იგივე ქმედება", რადგან ყოველი მომდევნო ნაწილით გათვალისწინებული ქმედება არის ამ წინა ნაწილში მოცემული ქმედების ლოგიკური გაგრძელება;
3. მუხლის მომდევნო ნაწილი არ შთანთქავს წინას, რადგან

ეს ქმედებები ჩადენილია ბრალის სხვადასხვა ფორმით (მაგალითად, მე-2 ნაწილის ქმედება განზრახია, ხოლო მე-3 ნაწილისა — გაუფრთხილებელი), ანდა იმიტომ, რომ მომდევნო ნაწილში მოცემულია პრივილეგიური შემადგენლობა (ამ დანაშაულის შემამსუბუქებელი გარემოება);

4. მართალია, მომდევნო ნაწილი მოიცავს ამ დანაშაულის განსაკუთრებით დამამძიმებელ გარემოებას, მაგრამ ამის მიუხედავად, იგი არ შთანთქავს მის წინა ნაწილებს, იგი შთანთქავს მუხლის მხოლოდ პირველ ნაწილს, როგორც ამ დანაშაულის ძირითად შემადგენლობას (სსკ-ის 137-ე მუხლის მე-5 ნ.აწილი);
5. ყოველი მომდევნო ნაწილი შთანთქავს წინა ნაწილების მხოლოდ იმ შემადგენლობას, რომელიც ჩადენილია განზრახ (მაგალითად, სსკ-ის 117-ე მუხლი).

მივუბრუნდეთ ზ. ალ-ისა და მ. ხ-შვილის საქმეს. საინტერესოა, როგორი წესით დაუნიშნა მათ სასჯელი სასამართლომ?
ზ. ალ-ნს, რომლის მიმართ განაჩენი დადგა 2006 წლის 12 ივნისს, სსკ-ის 143[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ“ და „ე“ ქვეპუნქტით მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 8 წლით. ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით — თავისუფლების აღკვეთა 12 წლით.

საბოლოოდ სსკ-ის 59-ე მუხლის მე-4 ნაწილის თანახმად, სასამართლომ გამოიყენა შთანთქმის პრინციპი (რომელიც მაშინ ჯერ კიდევ არ იყო გაუქმებული) და საბოლოოდ მოსახდელად განუსაზღვრა თავისუფლების აღკვეთა 12 წლით.

რაც შეეხება მ. ხ-შვილს, მის მიმართ განაჩენი დადგა 2007 წლის 28 დეკემბერს, როცა სასჯელთა შთანთქმისა და ნაწილობრივ შეკრების წესი უკვე გაუქმებული იყო. სასამართლომ, რომელმაც ქმედება დააკვალიფიცირა 143[1]-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილების ერთობლიობით, სასჯელი შეუფარდა

მხოლოდ მე-3 ნაწილით და მიუსაჯა თ. ა. 13 წლის ვადით (იგივე წესით დაენიშნა სასჯელი გ. გ-ძეს, რომელსაც თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2007 წლის 19 თებერვალს მსჯავრი დაედო სსკ-ის 223[1]-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, 239-ე მუხლის მე-2 და მე-3 ნაწილებით. კერძოდ, 239-ე მუხლის მიმართ სასამართლოს ორივე ნაწილისთვის ერთიანი სასჯელი დანიშნა — საქმე № 1/6060-06).

ეს განაჩენი სამართლიანია, მაგრამ არაა კანონიერი. სამართლიანია იმ თვალსაზრისით, რომ ერთი უმართლობისთვის სასჯელი არაა დანიშნული დანაშაულთა ერთობლიობის წესით და იგი არაა შეკრებილი. განაჩენი არაა კანონიერი, რადგან არ შეესაბამება სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნას, რომლის მიხედვითაც დანაშაულთა ერთობლიობის დროს (ამ შემთხვევაში ქმედება დანაშაულთა ერთობლიობით იყო დაკვალიფიცირებული) სასჯელი ინიშნება თითოეული დანაშაულისთვის და საბოლოო სასჯელის დანიშვნისას ხდება მათი შეკრება.

როგორც ვხედავთ ერთ საქმეში მონაწილე სხვადასხვა განსასჯელის მიმართ სასჯელების დანიშვნა მოხდა სხვადასხვა წესით (ზ. ალ-ს იგი დაენიშნა 143[1]-ე მუხლის როგორც მე-2, ისე მე-3 ნაწილებით, ხოლო მ. ხ-შვილს მხოლოდ მე-3 ნაწილით) და ეს მოხდა იმის გამო, რომ ადგილი არ ჰქონოდა სასჯელის ხელოვნურად გაბერვას. სასამართლო იძულებული გახდა დაერღვია სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნა.

სასამართლო პრაქტიკაში, მომავალშიც რომ არ ექნეს ადგილი მსგავს შემთხვევას და დანიშნული სასჯელი იყოს როგორც სამართლიანი, ასევე კანონიერი, გამოსავალი არის ერთი: ასეთ შემთხვევაში ქმედების კვალიფიკაცია უნდა მოხდეს მუხლის მხოლოდ იმ ნაწილით, რომელიც ითვალისწინებს ყველაზე მკაცრ სასჯელს. თუ ამ წესს დავიცავთ, ხელოვნურად არ შეიქმნება დანაშაულთა ერთობლიობა და

სასამართლოს არ მოუწევს სასჯელის დანიშვნა სსკ-ის 59-ე მუხლის პირველი ნაწილის მოთხოვნის გვერდის ავლით (არ მოუწევს კანონის დარღვევა).

პრობლემურია საკითხი: რით განსხვავდება ადამიანით ვაჭრობა (143[1]-ე მუხლი) პროსტიტუციაში ჩაბმისაგან (253-ე მუხლი)? სასამართლო პრაქტიკის შესწავლით გამოვლინდა შემთხვევა, როდესაც პროსტიტუციაში ჩაბმა შეფასებულია როგორც ადამიანით ვაჭრობა. კერძოდ:

2006 წლის 10 აგვისტოს თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით (საქმე № 1/4263-06) ზ. მ-ის მიმართ დადგენილად და დადასტურებულად იქნა მიჩნეული, რომ მან ჩაიდინა სსკ-ის 143[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით და 373-ე მუხლის მე-2 ნაწილით (მაგრამ ეს უკანასკნელი ბრალდება ჩვენთვის საინტერესო არაა და მას არ შევეხებით) გათვალისწინებული დანაშაული. კერძოდ, ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), რაც გამოიხატა ადამიანის მიმართ უკანონო გარიგების განხორციელებაში იძულებით, შანტაჟით, მოტყუებით, ადამიანის გადაბირება ექსპლუატაციის მიზნით, ასევე დანაშაულის ჩადენის შესახებ ცრუ დასმენა, რაც გამოიხატა შემდეგში: ზ. მ-ი კანონიერ ქორწინებაში იყო ნ. კ-შვილთან. მათ ჰყავდათ ორი შვილი. 1997 წელს მან გადაწყვიტა, პროსტიტუციაში ჩაება მისი მეუღლე და ამ საქმიანობიდან მიღებული შემოსავლით ერჩინა ოჯახი. ეს განზრახვა მან გაანდო მეუღლეს, რომელმაც თავი შეურაცხყოფილად იგრძნო და ორ მცირეწლოვან შვილთან ერთად საცხოვრებლად გადავიდა დედასთან. იგი ოთხი თვის შემდეგ დაბრუნდა სახლში იმ იმედით, რომ მეუღლე არ აიძულებდა მას მეძავობას.

ზ. მ-მა სახლში დაბრუნებული მეუღლე მოტყუებით, თითქოსდა სამსახურის მოძიების მიზნით გაიყვანა თბილისის რკინიგზის სადგურის მიმდებარე ტერიტორიაზე, სადაც გააცნო იქ მყოფი მეძავები. საუბრისას მეტრეველმა ნ. კ-შვილს უთხრა,

რომ მეძავი დღეში შოულობდა იმდენს, რამდენსაც იგი თვეში და კვლავ შესთავაზა მეძაობა, უარის შემთხვევაში კი დაემუქრა შვილების წართმევით. აღნიშნულის გამო ცოლ-ქმარს შორის კვლავ წარმოიშვა კონფლიქტი და სახლში მისულ მეუღლეს მ-მა კვლავ მიაყენა სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა.

მეორე დღეს მან სახლში მოიყვანა მეგობრის საყვარელი ქალი, რომელიც ღამე მათთან დარჩა და გამთენიისას მ-ის სახლიდან წასვლის შემდეგ ნ. კ-შვილს მეძაობა შესთავაზა, რის გამოც კ-შვილმა იგი სახლიდან გააგდო. დაახლოებით ერთ საათში სახლში დაბრუნდა ნასვამი ზ. მ-ი, რომელმაც ცოლს დაუწყო ცემა და მუქარა, რათა დაეყოლიებინა პროსტიტუციაზე, რაც შესძლო კიდეც და მეორე დღეს კ-შვილი იძულებით მიიყვანა აბანოში კლიენტთან შესახვედრად. ამ დღის შემდეგ მ-ლი ცემითა და შანტაჟით აიძულებდა მეუღლეს მეძაობას და დაჰყვებოდა როგორც სუტენიორი, ხოლო კ-შვილის ექსპლუატაციით მიღებულ თანხას ხარჯავდა პირადი შეხედულებისამებრ.

საბოლოოდ, სასამართლომ მ-ის ქმედება შეაფასა სსკ-ის 143[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით.

საქმის მასალებით და სასამართლო გამოძიებაზე გამოკვლეული მტკიცებულებებით მ-ის ქმედებაში არ იკვეთება ადამიანით ვაჭრობა. მივყვეთ ბრალდების ფორმულირებას ეტაპობრივად:

1. მას ბრალად ედება, რომ ჩაიდინა ადამიანის მიმართ უკანონო გარიგება.
   როგორც უკვე აღვნიშნეთ, ადამიანის მიმართ უკანონო გარიგების განხორციელებისას გარიგების მსხვერპლი არაა ამ გარიგების მონაწილე (სუბიექტი), არამედ იგი არის ამ გარიგების ობიექტი, ე.ი. გარიგება მიმდინარეობს ადამიანით მოვაჭრესა და მე-3 პირს შორის, რასაც მოცე-

მულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

2. მას ბრალად შერაცხული აქვს ასევე იძულებით, შანტაჟით, მოტყუებით ადამიანის გადაბირება ექსპლუატაციის მიზნით.

დავიწყოთ მოტყუებიდან.

მ-ს ცოლის ექსპლუატაციაში ჩაბმისთვის მოტყუების ხერხი საერთოდ არ გამოუყენებია. რაც შეეხება იმას, რომ მან მოტყუებით წაიყვანა იგი რკინიგზის სადგურზე და გააცნო მეძავი, რომელმაც მას მეძაობა ურჩია, ეს ფაქტი არ შეიძლება ჩაითვალოს მოტყუების ხერხად, რადგან მოტყუებით სადგურზე მიყვანილისთვის არ აღუკვეთიათ თავისუფლება და არ ჩაუბიათ პროსტიტუციაში. მან მოისმინა რა ერთ-ერთი მეძავის რჩევა, არ მიიღო იგი და თავისუფლად დაბრუნდა სახლში.

რაიმე სხვა სახის მოტყუებას კ-შვილის მიმართ ადგილი არ ჰქონია.

ახლა შევაფასოთ მ-ის მიერ გამოყენებული იძულების (ცემის) და შანტაჟის ფაქტები. ეს ფაქტები საქმის მასალებით მართლაც დადასტურებულია, მაგრამ იგი ვერ გამოდგება მისი ქმედების სსკ-ის 143[1]-ე მუხლით კვალიფიკაციისთვის, რადგან:

ა) დაზარალებულ კ-შვილის და მოწმეთა ჩვენებებით დადასტურდა, რომ მ-ლი, მართალია, აიძულებდა ცოლს პროსტიტუციას, „კლიენტებისაგან" გადახდილ ფულს თავად იღებდა, მაგრამ ამ ფულს ისინი ოჯახს ახმარდნენ, მ-ლი პირადი მიზნებისთვის არ ხარჯავდა მას. ფულს იმიტომ არ აძლევდა კ-შვილს, რომ ეშინოდა, საყვარელი არ გაეჩინა და ფული მისთვის არ მიეცა.

თვით სასამართლოს მიერ ფორმულირებულ ბრალდებაში გარკვევით წერია: „ზ. მ-მა განიზრახა პროსტიტუ-

ციაში ჩაება მისი მეუღლე ნ. კ-შვილი და ამ საქმიანობიდან მიღებული შემოსავლით ერჩინა ოჯახი.“ თუმცა იმავე განაჩენში ასევე წერია: „...ხოლო კ-შვილის ექსპლუატაციით მიღებულ თანხას ხარჯავდა პირადი შეხედულებისამებრ.“

როგორც ვხედავთ, განაჩენის ეს ორი მონაკვეთი ეწინააღმდეგება ერთმანეთს. ამასთანავე, განაჩენში მართალია, მტკიცებულებად მოყვანილია კ-შვილისა და სხვა მოწმეთა ჩვენებები, რომელსაც სასამართლო ეყრდნობა გამამტყუნებელი განაჩენის გამოტანისას, მაგრამ რატომღაც ეს ჩვენებები არაა შეფასებული იმ ნაწილში, რითაც დგინდება, რომ ფულს ისინი ხარჯავდნენ ოჯახის საჭიროებისთვის.

აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ „პირადი შეხედულებისამებრ“ ფულის დახარჯვა არ ნიშნავს „პირადი მიზნისთვის“ მის დახარჯვას, პირადი შეხედულებისამებრ ფული შეიძლება დაიხარჯოს ოჯახის მიზნების შესაბამისად.

ბ) საქმის მასალებით ასევე უტყუარადაა დადგენილი, რომ ნ. კ-შვილს თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობა არ ჰქონდა აღკვეთილი, უფრო მეტიც, შეზღუდულიც კი არ ჰქონდა. იგი თავისუფლად გამოდიოდა ქალაქში, მანქანაში უჯდებოდა უცხო მამაკაცებს („კლიენტებს“) და მიჰყვებოდა მათ. მას არც პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტი ჰქონდა წართმეული. კ-შვილს ნებისმიერ დროს თავისუფლად შეეძლო, მიემართა სამართალდამცავი ორგანოებისთვის საშველად.

ამდენად, მ-ის ქმედებაში არაა ადამიანით ვაჭრობის სუბიექტური შემადგენლობა — ექსპლუატაციის მიზანი, რისი არსებობაც ამ შემთხვევაში აუცილებელია. ამიტომ მისი ქმედების 143[1]-ე მუხლით კვალიფიკაცია უხეშ შეცდომად უნდა ჩაითვალოს. მისი ქმედება სასამართლოს უნდა დაეკვალიფიცირებინა სსკ-ის 253-ე მუხლის პირველი ნაწილით — პროსტიტუ-

ციაში ჩაბმა ძალადობით და შანტაჟით. მართალია, სსკ-ის 143[1]-ე მუხლიც გულისხმობს პროსტიტუციაში ჩაბმას და ჩაბმის ხერხებიც ნაწილობრივ ემთხვევა 253-ე მუხლით გათვალისწინებულ ხერხებს, მაგრამ მათ

1. პროსტიტუციაში ჩაბმულს აღკვეთილი ან შეზღუდული აქვს თავისუფალი გადაადგილების უფლება:
2. პროსტიტუციის შედეგად მიღებული „შემოსავალი" გადადის ექსპლუატატორის (ტრეფიკერის) ხელში და იგი მას საკუთარი მიზნის დასაკმაყოფილებლად იყენებს. ამდენად, აქ დანაშაულის მსხვერპლი გამოყენებულია სხვისი გამდიდრების საშუალებად.

რაც შეეხება სსკ-ის 253-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს, იგი არ გულისხმობს ასეთ შემთხვევებს. ზ. მ-ის ქმედება სწორედ რომ ემთხვევა ამ დანაშაულის შემადგენლობას, რადგან მან ძალადობით და შანტაჟით აიძულა მეუღლე ჩაბმულიყო პროსტიტუციაში და ამ გზით ერჩინა ოჯახი, რომლის წევრი თავად ნ. კ-შვილიც იყო.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლით გამოვლინდა შემთხვევა, როცა მსჯავრდებულზე შერაცხული ბრალი არა მარტო დაუსაბუთებელია, არამედ თავად ბრალდების ფორმულირება რედაქციულად გაუმართავია.

ამის მაგალითად გამოდგება 2006 წლის 20 ივლისს თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი (საქმე № 1/4279-06) ნ. გ-ის მიმართ, რომელსაც ბრალი დაედო მასში, „რომ მან ჩაიდინა ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), ე.ი. ადამიანის მიმართ უკანონო გარიგების განხორციელება, მოტყუებით მისი გადაბირება და გადამალვა ექსპლუატაციის მიღების მიზნით."

ბრალდების ამ ფორმულირებაში ყურადღებას იპყრობს ფრაზა: „ექსპლუატაციის მიღების მიზნით." ეს ფორმულირება

არა მარტო აზრობრივად გაუმართავია, არამედ არ შეესაბამება სსკ-ის 143[1]-ე მუხლის დისპოზიციას, სადაც დაფიქსირებულია დანაშაულის სუბიექტური შემადგენლობის ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანი — ექსპლუატაციის მიზანი. ექსპლუატაცია ნიშნავს სხვისი შრომის ნაყოფის მითვისებას, ყვლეფას.[70] აქედან გამომდინარე, ექსპლუატაციის მიზანი ნიშნავს სხვისი შრომის ნაყოფის მითვისების მიზანს.

რაც შეეხება, „ექსპლუატაციის მიღების მიზანს", იგი სრული ტავტოლოგიაა, რადგან იშიფრება ასე: „სხვისი შრომის ნაყოფის მითვისების მიღების მიზანი". რადგან მითვისება იგივე მიღებაა, გამოდის „მიღების მიზანი".

გ-ზე წარდგენილი ეს ბრალდება სიტყვა-სიტყვით მეორდება თბილისის სააპელაციო სასამართლოს 2007 წლის 26 თებერვლის განაჩენში (საქმე № 1/ბ-2708-06).

გარდა ამ რედაქციული უზუსტობისა, აღნიშნულ განაჩენებს სხვა არსებითი ხასიათის ხარვეზი აქვთ. კერძოდ, საქმის მასალებით სრულიად დაუსაბუთებელია გ-ის მიერ ბესტაევას მოტყუებით პროსტიტუციაში ჩაბმის ფაქტი. საქმის არსი მდგომარეობდა შემდეგში: საქართველოს მოქალაქემ ნ. გ-მა 2004 წლის ოქტომბერში დაბადების დღეზე გაიცნო ს. ბ-ვა, რომელსაც რამდენიმე შეხვედრის შემდეგ შესთავაზა მაღალანაზღაურებადი სამსახური თურქეთში, რაზეც უარი მიიღო, რადგან ბ-ას გაგონილი ჰქონდა, რომ გ-ვი თურქეთში გოგონებს აბამდა პროსტიტუციაში და შემდეგ ყოველგვარი ანაზღაურების გარეშე აგდებდა საქართველოში (ეს დადგინდა არა მარტო ბ-ას, არამედ მოწმეთა ჩვენებებით).
ამდენად, ბ-თვის უკვე ცნობილი იყო, რომ გ-ვი მას პროსტიტუციაში ჩაბმას უპირებდა და თანაც უსასყიდლოდ.

---

[70] იხ. ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონი, ერთტომეული, ნაკვ. პირველი, მთ. რდ. არნ. ჩიქობავა, თბ., 1990, გვ. 487.

ამის შემდეგ ს. ბ-ვა მისი ნაცნობი თ. დ-ძის რჩევით გაემგზავრა თურქეთში, სადაც დ-ძემ იგი მიიყვანა ვინმე მ-თან, სადაც ცხოვრობდა რამდენიმე დღე.

საქმის მასალებით (მათ შორის თავად ბ-ვას ჩვენებით) დადგენილია, რომ დ-ძემ გააფრთხილა ბ-ვა, რომ ამავე ქალაქში ცხოვრობდა გ-ვი და თავი უნდა მოერიდებინა მისთვის, თორემ თუკი სადმე შეხვდებოდა, იგი არ დაინდობდა და ჩააბამდა პროსტიტუციაში, თანაც ფულსაც არ გადაუხდიდა.
ამდენად, ბ-ვამ ერთხელ კიდევ მიიღო ინფორმაცია იმის შესახებ, თუ რა ჩანაფიქრი ჰქონდა გ-ვს მის მიმართ.

შემდგომში მოვლენები ვითარდება ასე: ერთხელ ქუჩაში სეირნობისას მათ მართლაც შეხვდათ გ-ვი, რომელმაც როცა გაიგო, რომ ბ-ვა მ-თან ცხოვრობდა, დაიწყო ჩხუბი და გინება, თან წამოაყენა პრეტენზიები, რომ ს. ბ-ვა იყო მისი გადაბირებული და რატომ ცხოვრობდა მ-თან. მ-ს მიაყენა შეურაცხყოფა და დაემუქრა კიდეც. ამიტომ მ-მ ურჩია ს-ს, გადასულიყო გ-თან, თორემ იგი მას მოსვენებას არ მისცემდა. მ-ს და თ-ს რჩევით ს. ბ-ვა საცხოვრებლად გადავიდა გ-ვთან.

ამდენად, აშკარაა, რომ ბ-ვა საცხოვრებლად თავისი ნებით გადავიდა გ-ვთან, ძალა მისთვის არავის დაუტანებია. იგი არც მოტყუებით იყო გადაყვანილი, რადგან წინასწარ იცოდა, თუ რა ჰქონდა განზრახული გ-ვს. ამის მიუხედავად, საქმეში არსებული მტკიცებულებების საწინააღმდეგოდ, განაჩენში ვკითხულობთ: „2005 წლის ივლისის თვეში, თურქეთში, ქ. ახჩაგოჯაში ყოფნისას ნ. გ-ვი შემთხვევით შეხვდა ვინმე მ-სთან სტუმრად მყოფ ს. ბ-ვას, რა დროსაც კიდევ ერთხელ შესთავაზა მაღალანაზღაურებადი სამსახური. საბოლოოდ, მან მოტყუებით შეძლო ბ-ვას გადაბირება. გადაიყვანა იგი საკურორტო ზონა „პუზურში“, ჩამოართვა პასპორტი, რითაც აღუკვეთა თავისუფალი გადაადგილების საშუალება და გადამალა ამავე საკურორტო ზონაში მოცილებით მდებარე უკაცრიელ ადგილას, სამსართულიანი კოტეჯის მე-3 სარ-

თულზე მდებარე ე.წ. მანსარდში. ორი კვირის მანძილზე საკუთარი გამორჩენის მიზნით გ-ვი ე.წ. „კლიენტებისაგან" მიღებული თანხის სანაცვლოდ აიძულებდა სექსუალური კავშირი დაემყარებინა დღეში 5-6 მამაკაცთან."

საიდან გაკეთდა დასკვნა, რომ გ-ვმა მოტყუებით შეძლო ბ-ვას გადაბირება? ანდა საიდან კეთდება დასკვნა, რომ ქუჩაში შეხვედრისას გ-ვმა კიდევ ერთხელ შესთავაზა ბ-ვას მაღალანაზღაურებადი სამსახური და ამ წინადადების ზეგავლენით დათანხმდა იგი, გადასულიყო მასთან საცხოვრებლად მაშინ, როცა თავად ბ-ვა და დ-ძე სხვა რამეს ადასტურებენ? საოცარი ისაა, რომ სასამართლოს მტკიცებულებად მოყვანილი აქვს მათი ჩვენებები, მაგრამ არასწორად აფასებს ამ ჩვენებათა შინაარსს. უფრო მეტიც, ამახინჯებს მათ.

თუკი სასამართლომ დადასტურებულად ცნო ის ფაქტი, რომ გ-ვმა ძალის გამოყენებით ჩაკეტა ბ-ვა და წაართვა მას პასპორტი, მაშინ ადამიანით ვაჭრობის ხერხად მიჩნეულ უნდა იყოს ძალადობა და არა მოტყუება. როგორც ვხედავთ, სასამართლო ლოგიკურ წინააღმდეგობაში მოექცა.

გ-ვას ასევე შერაცხული აქვს „ადამიანის მიმართ უკანონო გარიგების განხორციელება". აქაც ისევე, როგორც ზემოთ განხილულ შემთხვევებში, უნდა ითქვას, რომ ადგილი არ ჰქონია ადამიანის (ბესტაევას) მიმართ უკანონო გარიგებას, რადგან მოლაპარაკება გ-ვს ორივე შემთხვევაში ჰქონდა თავად ბ-სთან: ჯერ საქართველოში — თურქეთში წაყვანის შესახებ, ხოლო შემდეგ თურქეთში — მასთან საცხოვრებლად გადმოსვლის შესახებ. ამდენად, ბ-ვა იყო მათ შორის გარიგების მონაწილე (სუბიექტი) და არა ობიექტი.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლისას აღმოჩნდა, რომ არის შემთხვევა, როცა პირს ბრალს სდებენ ისეთი ქმედების ჩადენაში, რაც საქმის მასალებით არაა დადასტურებული. სამაგიეროდ არ სდებენ ბრალს იმ ქმედებაში, რაც საქმის მასალებით დამტკიცებულია.

ამის მაგალითად გამოდგება თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სასამართლო კოლეგიის 2006 წლის 29 მარტის განაჩენი, ასევე ამავე საქმეზე საქართველოს უზენაესი სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა 2006 წლის 21 ივნისის განჩინება მსჯავრდებულ ბლუიშვილის საქმეზე, რომლითაც იგი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 143[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე" ქვეპუნქტით იმაში, რომ ჩაიდინა ადამიანით ვაჭრობა, ე.ი. ადამიანის გაყიდვა საზღვარგარეთ გაყვანით ექსპლუატაციის მიზნით.

საქმეში არსებული მასალებით დადგინდა შემდეგი: 2004 წლის აგვისტოში უ. ბ-შვილმა გაიცნო რ. ბ-შვილი, რომელიც გაცილებული იყო ქმართან, ზრდიდა ბავშვს და ეკონომიკურად უჭირდა. მან განიზრახა მისი მოტყუებით გადაყვანა საზღვარგარეთ და გაყიდვა ექსპლუატაციის მიზნით. ამ განზრახვის სისრულეში მოსაყვანად შესთავაზა რ. ბ-შვილს, რომ დაეხმარებოდა ქ. დუბაიში სამუშაოზე მოწყობაში, მაგრამ გზის ხარჯისთვის საჭირო ფულის საშოვნელად ჯერ უნდა წასულიყვნენ თურქეთში, სადაც მოაწყობდა შოკოლადის ან ტყავის საამქროში თურქეთში მცხოვრებ ს. ა-ს დახმარებით. უ. ბ-შვილმა თავისი ხარჯებით გაუკეთა პასპორტი რ-ს და ერთად გაემგზავრნენ თურქეთში და მიიყვანა ქ. ბორჩხაში არსებულ ერთ-ერთ სასტუმროში, სადაც დაბინავებული იყო ს. ა-ვა. აქ მან აიძულა რ. ბ-შვილი, როგორც მეძავი, მომსახურებოდა მისთვის უცნობ მამაკაცებს, რაზედაც იგი თავიდან სასტიკი წინააღმდეგი იყო. ამბობდა, რომ არ შეეძლო ასეთი საქმიანობა, სთხოვდა, დაებრუნებინა მისთვის პასპორტი, რათა გამომგზავრებულიყო საქართველოში, მაგრამ უ. ბ-შვილმა მას პასპორტი არ მისცა იმ მოტივით, რომ მისი თურქეთში წაყვანის ხარჯი შეადგენდა 400 აშშ დოლარს და იგი ვალდებული იყო ნაშოვნი ფულით გაესტუმრებინა ვალი. ღ. ბ-შვილი სამი დღე-ღამის განმავლობაში, ფსიქოლოგიური ზემოქმედების ქვეშ, როგორც მეძავი, ემსახურებოდა სასტუმროში მისულ კლიენტებს. „მომსახურების" საფასურს

კი იღებდა უ. ბ-შვილი. ამის შემდეგ მან ს. ა-ვას დახმარებით რ. გადაიყვანა ქ. ხოფაში და ფსიქოლოგიური ზეწოლის ქვეშ აგრძელებინებდა მეძაობას, ფულს კი თვითონ იღებდა. თურქეთში ჩასვლიდან ერთი კვირის შემდეგ, როდესაც გარკვეული თანხა მოაგროვა, უ. ბ-შვილი დაბრუნდა საქართველოში. რ. ბ-ვილს კი მიუჩინა ს. ა-ვა, რომელიც რ. ბ-შვილის „გამომუშავებულ" თანხას მას უგზავნიდა.

როგორც ზემოთ მოყვანილი ფაქტობრივი გარემოებებიდან ჩანს, უ. ბ-შვილის ქმედებაში აშკარაა ადამიანის გადაბირება და გადაყვანა საზღვარგარეთ მოტყუებით, აგრეთვე გადამალვა ექსპლუატაციაში ჩაბმის მიზნით. ასევე მისი ჩაბმა ექსპლუატაციაში ძალადობით და მუქარით.

მიუხედავად ამისა, უ. ბ-შვილს ეს ქმედებები ბრალად არა აქვს შერაცხული (არც წინასწარ გამოძიებაში ჰქონდა წარდგენილი ასეთი ბრალდება). სამაგიეროს მას შერაცხული აქვს ადამიანის გაყიდვა საზღვარგარეთ გაყვანით ექსპლუატაციის მიზნით.

ვნახოთ, რამდენადაა დადასტურებული ეს ბრალდება.

საოლქო სასამართლოს განაჩენსა და უზენაესი სასამართლოს განჩინებაში ვკითხულობთ: თურქეთში ჩასვლიდან დაახლოებით ორი კვირის შემდეგ რ. ბ-შვილმა შეიტყო, რომ იგი 3000 აშშ დოლარად იყიდებოდა მისთვის უცნობ თურქი ეროვნების მამაკაცზე, რამაც ძლიერ აღაშფოთა და დახმარებისთვის მიმართა სასტუმროს მფლობელ ე. გ-ორს, რომელმაც შეიტყო რა, რომ რ. ბ-შვილს მასზე განხორციელებული ფსიქოლოგიური ზეწოლის გამო სურდა სასტუმროდან წასვლა, ფულის გადაუხდელად გაუშვა იგი. რ. ბ-შვილი თურქეთის სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელთა დახმარებით გადმოვიდა საქართველოს ტერიტორიაზე.

ისმის კითხვა: რითაა დადასტურებული ის ფაქტი, რომ რ. ბ-შვილი გაიყიდა (ან იყიდებოდა) უცხო მამაკაცზე?

სასამართლომ ბ-შვილის გაყიდვის ფაქტი დადასტურებულად ცნო თავად დაზარალებულ ბ-შვილის და მოწმე მ. შ-ძის ჩვენებით, რომელიც ვერ გამოდგება ბ-შვილის გაყიდვის ფაქტის დასადასტურებლად. კერძოდ, რ. ბ-შვილის ჩვენებით, მან მოგვიანებით შეიტყო, რომ იყიდებოდა უცნობ თურქ მამაკაცზე, რის შემდეგადაც სასტუმროს დირექტორისა და მ. შ-ძის დახმარებით შეძლო სასტუმროდან გაქცევა (ტ. I. ს.ფ. 29-32, 308-310).

როგორც ვხედავთ, ეს ჩვენება მეტად ზერელე და ბუნდოვანია, რადგან იგი არ აკონკრეტებს, თუ ვისგან შეიტყო, რომ იგი იყიდებოდა, ან კერძოდ ვინ ყიდიდა მას უცხო მამაკაცზე. გასათვალისწინებელია ისიც, რომ ამ დროს უ. ბ-შვილი თურქეთში არ იმყოფებოდა. მაშ, საიდან კეთდება დასკვნა, რომ სწორედ იგი აპირებდა მის გაყიდვას? თუკი ამის მსხვერპლმა არაფერი იცის, მაშ საიდან იცის ის, რომ უნდა გაეყიდათ და მით უმეტეს საიდან გაიგო გაყიდვის თანხა — 3000 აშშ დოლარი? ამას გარდა, „იყიდებოდა" ჯერ კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ იგი გაიყიდა. ადამიანის გაყიდვისთვის საჭიროა გარკვეული თანხის ან ნივთის გადაცემა გამყიდველზე და გაყიდული პირის გადასვლა მყიდველის ხელში.

არც ერთი ეს ქმედება საქმის მასალებით არაა დადასტურებული.

ვნახოთ, მოწმე მ. შ-ძის ჩვენება რამდენად ადასტურებს რ. ბ-შვილის გაყიდვის ფაქტს. იგი უჩვენებს: ...რამდენიმე დღეში ქ. ხოფაში ყოფნისას მას დაურეკა რ. ბ-შვილმა და ტირილით უთხრა, რომ იგი მიჰყიდეს თურქ მამაკაცს. ისიც უთხრა, რომ სცემეს და თავისუფლება აღუკვეთეს. მ. შ-ძე მივიდა სასტუმროში, სადაც სასტუმროს თანამშრომელმა რ. 20 აშშ დოლარი

მისცა, ხოლო მას სთხოვა, დაზარალებული წაეყვანა (ტ. I, ს.ფ. 103-104, 284-288).

ამ ჩვენებაშიც კონკრეტულად არაფერია ნათქვამი. კერძოდ, ვინ გაყიდა რ. ბ-შვილი. ამასთან გაუგებარია, თუკი იგი უკვე გაყიდული იყო, რატომ არ წაიყვანა იგი მყიდველმა და რატომ ცხოვრობდა კვლავ იმავე სასტუმროში მარტო?

როგორც ვხედავთ, ბრალდება რ. ბ-შვილის გაყიდვის შესახებ დამყარებულია არაფრისმთქმელ ჩვენებებზე მაშინ, როცა მისი მოტყუებით გადაბირების, გადაყვანისა და გადამალვის ფაქტი უტყუარადაა დამტკიცებული. ამის მიუხედავად, მას ბრალად შერაცხული აქვს არა ადამიანის გადაბირება და გადაყვანა მოტყუებით, არამედ ადამიანის გაყიდვა.

სასამართლო პრაქტიკის შესწავლისას ვაწყდებით შემთხვევას, როცა განაჩენებში ბრალდების ფორმულირება არაა ჩამოყალიბებული, არამედ მითითებულია მხოლოდ შესაბამის მუხლზე და ნაწილზე, შემდეგ კი პირდაპირ აღწერილია საქმის ფაქტობრივი გარემოება. ამის მაგალითად გამოგვადგება თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 29 ივლისს გამოტანილი განაჩენი მ. ა-ძის მიმართ (საქმე №1/3100-06), სადაც სასამართლომ დადასტურებულად ცნო, რომ „განსასჯელმა მ. ა-ძემ ჩაიდინა ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი) არაერთგზის, ორი ან მეტი პირის მიმართ, დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით, ე.ი. დანაშაული გათვალისწინებულისისხლის სამართლისკოდექსის 143¹-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა", „ბ" და „ე" ქვეპუნქტებით (სსკ-ის 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქცია), რაც გამოიხატა შემდეგში:"

როგორც ვხედავთ, ბრალდების ფორმულირებაში მითითებულია მხოლოდ მუხლზე და მის ნაწილზე, ასევე დაფიქსირებულია დამამძიმებელი გარემოებები (ორი ან მეტი პირის მიმართ, დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით), მაგრამ

ნახსენებიც კი არაა თუ რა ქმედებაში გამოიხატა ეს დანაშაული (სახეზე იყო ყიდვა, თუ გადაბირება, ან გადაყვანა და ა.შ.). ასევე ნახსენებიც კი არაა თუ რა ხერხით იქნა ჩადენილი ეს დანაშაული (მოტყუებით, ძალადობით თუ სხვა ხერხით).

ამდენად, იმისთვის, რომ გავიგოთ, თუ სსკ-ის 143[1]-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის კონკრეტულად რა ქმედებაში ედება მ. ალფაიძეს ბრალი, აუცილებელია წავიკითხოთ განაჩენში აღწერილი მთელი ფაქტობრივი გარემოება. სასამართლო გადმოგვცემს ამ ფაქტობრივ გარემოებას, მაგრამ არ აფასებს მას, არ ადგენს მ. ა-ძის მიერ ფაქტობრივად ჩადენილი ქმედების შესაბამისობას სსკ-ის 143[1]-ე მუხლით აღწერილ რომელიმე ქმედებასთან. ამიტომ გაუგებარია, თუ რატომ მიიჩნია სასამართლომ, რომ ეს ფაქტობრივი გარემოებები არის ადამიანით ვაჭრობა. არადა განაჩენში აღწერილი ფაქტობრივი გარემოებებით (რომელიც დამტკიცებულია საქმის მასალებით), აშკარად ჩანს ჩადენილი ქმედებაც და დანაშაულის ხერხიც. ამდენად, მისი შეფასება არ იყო რთული. კერძოდ, დადგინდა, რომ მ. ალფაიძემ მოტყუებით თურქეთში გადაიყვანა რამდენიმე ქალი, იქ დასაქმების პირობით. სინამდვილეში კი წაართვა მათ პასპორტები, გამოკეტა ბინაში და შემდეგ სხვადასხვა ფასად გაყიდა ისინი თურქი ეროვნების მამაკაცებზე, რომლებიც მათ უწევდნენ ფიზიკურ და სექსუალურ ექსპლუატაციას.

ამდენად, აშკარაა, რომ აქ სახეზეა ადამიანის გადაბირება და გადაყვანა მოტყუებით, ასევე გადამალვა, აგრეთვე გაყიდვა, ჩადენილი, ორი ან მეტი პირის მიმართ (სულ გაყიდული იყო ოთხი ქალი, აქედან ორის გაყიდვა მოხდა ერთიანი განზრახვით), არაერთგზის, დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით.

იგივე ხარვეზი აქვს ამ საქმეზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა სააპელაციო პალა-

ტის მიერ 2008 წლის 8 ივლისს გამოტანილ განაჩენს (საქმე № 1/ბ-935-08).

მსგავსი ხარვეზი იმდენად ხშირად ფიქსირდება, რომ იქმნება შთაბეჭდილება, თითქოს მას ტენდენციის სახე აქვს. მაგალითად, თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 12 დეკემბრის განაჩენი (საქმე № 1-5639-06), სადაც ვკითხულობთ: „საბრალდებო დასკვნით მ. ჩ-ძეს ბრალი ედება მასში, რომ მან ჩაიდინა ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით, რაც გამოიხატა შემდეგში: ..."როგორც ვხედავთ, არც ქმედებაა ნახსენები და არც ხერხი.
ზუსტად ასევეა ფორმულირებული ბრალდება განაჩენის სამოტივაციო ნაწილშიც.

ამ საქმეშიც ჩადენილია პირის გადაბირება, გადაყვანა მოტყუებით, ასევე გადამალვა და გაყიდვა.

იგივე ვითარებაა თბილისის საოლაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლის მიერ 2006 წლის 16 მაისს გამოტანილ განაჩენში (საქმე № 1/3424), სადაც როგორც აღწერილობითი, ისე სამოტივაციო ნაწილით ბრალდების ფორმულირება შემდეგნაირად გამოიყურება: „განსასჯელმა თ. ქ-ვამ ჩაიდინა ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 143[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ე" ქვეპუნქტით."

ამ საქმეშიც სახეზე იყო მოტყუებით გადაბირება, გადაყვანა, ასევე გადამალვა და ბოლოს — გაყიდვა.

ანალოგიურადაა ფორმულირებული ბრალდება ს. კ-ას საქმეზე, რომელზეც თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მოსამართლემ 2007

წლის 22 თებერვალს დაადგინა გამამტყუნებელი განაჩენი (საქმე № 1/4680-06).

ზემოთჩამოთვლილ საქმეთა განაჩენის წაკითხვით აშკარა ხდება, თუ რით არის განპირობებული ამგვარი ხარვეზი. საქმე ისაა, რომ ბრალდების ამგვარი არასრულყოფილი ფორმულირება მოცემულია საბრალდებო დასკვნებში და სისხლის სამართლის საქმე ამგვარად მოდის სასამართლოში განსახილველად. მოსამართლეები რატომღაც არ იღებენ საკუთარ თავზე ვალდებულებას, შეავსონ ეს ხარვეზი, რომელიც არაა დაკავშირებული ახალ ბრალდებასთან ან ბრალდების შეცვლასთან. მათ სიტყვა-სიტყვით გადააქვთ განაჩენში ბრალდების ის ფორმულორება, რაც დაფიქსირებულია საბრალდებო დასკვნაში. იგივეს აკეთებენ ზედა ინსტანციის სასამართლოები, რაც არ უნდა ჩაითვალოს მართებულად. სასამართლო ვალდებულია სრულყოფილი, კონკრეტული და გასაგები გახადოს ბრალდება.

დავით სულაქველიძე
სამართლის დოქტორი

§ 3. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სასამართლო პრაქტიკის ანალიზი (ნაწილი მეორე)

ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) თაობაზე საქართველოში არსებული სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და ანალიზის მიზანს წარმოადგენდა აღნიშნული დანაშაულის საქმეებზე სამართალდამცავი ორგანოების მიერ განხორციელებული წინასწარი გამოძიების, აგრეთვე, საერთო სასამართლოების მიერ ჩატარებული სასამართლო გამოძიებისა და მათ მიერ გამოტანილი განაჩენების მოცემულ საკითხზე მოქმედ საერთაშორისო კონვენციასთან და საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობასთან შესაბამისობის დადგენა, ამასთან იმის განსაზღვრა – რამდენად ეფექტურია ხსენებული სახელმწიფო ორგანოების საქმიანობა არსებული საკანონმდებლო ბაზის შესაძლებლობათა მაქსიმალური გამოყენების, ასევე ტრეფიკინგული დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ პირთა (ტრეფიკირების) ჯეროვნად დასჯის, მათ მიმართ სისხლის სამართალწარმოების განხორციელებისას მათი და ტრეფიკინგით დაზარალებულ პირთა (ტრეფიკინგის მსხვერპლთა) უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვის თვალსაზრისით.

ტრეფიკინგის დანაშაულთა ფაქტებზე არსებული სისხლის სამართლის საქმეების ანალიზი ცხადყოფს, რომ ასეთი დანაშაულების ჩამდენ პირთა მიმართ საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების, ასევე საერთო სასამართლოების მიერ განხორციელებული ღონისძიებები ნაწილობრივ შეესაბამებიან ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ ოქმით განსაზ-

ღვრულ იმ მოთხოვნებს, რომლებიც შეეხებიან ტრეფიკინგის დანაშაულში მხილებული პირების მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელებასა და მათ ჯეროვნად დასჯას.[71] აღსანიშნავია ისიც, რომ ტრეფიკინგის საქმეებთან დაკავშირებით სისხლის სამართლის პროცესის წარმოებისას როგორც წინასწარი გამოძიების ორგანოების მიერ, ასევე სასამართლოების მიერ დაცულია ტრეფიკინგის მსხვერპლთა, ანუ აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე დაზარალებულად ცნობილი პირების საპროცესო უფლებები და კანონიერი ინტერესები.

ტრეფიკინგის დანაშაულთა თაობაზე არსებული საქმეების შესწავლის შედეგად ირკვევა, რომ საქართველოში მისი გავრცელებული სახეებია მოტყუებით, სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით, ქალების გაყვანა საქართველოდან უცხო ქვეყანაში, ძირითადად თურქეთსა და არაბეთში, აგრეთვე არასრულწლოვანით ვაჭრობა. ბევრ შემთხვევაში ასეთ დანაშაულებს თან ახლავს ისეთი დასჯადი ქმედებების ჩადენაც, როგორიცაა ყალბი პირადობის მოწმობისა და საქართველოს მოქალაქის პასპორტის დამზადება – გამოყენება და საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა. ამრიგად, ხსენებული დანაშაულები იწყებოდა საქართველოს ტერიტორიაზე, სადაც ხორციელდებოდა მისი მოსამზადებელი სტადია (იგულისხმება გარეგნულად ქმედებაში გამოვლენილი დანაშაულებრივი განზრახვა დანაშაულის ჩასადენად პირობების შექმნის სახით), ხოლო დანაშაულთა დამამთავრებელი სტადია ხორციელდებოდა სხვა ქვეყანაში. თუმცა იყო ისეთი შემთხვევებიც, როდესაც საქართველოს ტერიტორია გამოყენებული იყო როგორც სატრანზიტო პუნქტი ტრეფიკინგის დანაშაულთა ჩასადენად, კერძოდ, სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით ერთი უცხო ქვეყნიდან საქართველოს ტერიტორიის გავლით ქალების მესამე ქვეყანაში გაყვანის მიზნით. ეს დანაშაულები მცდელობის სტადიაზე აღკვეთილ

[71] იხ. აღნიშნული ოქმის III თავი, მუხლები 9, 10, 11.

იქნა საქართველოს ტერიტორიაზე სამართალდამცავი ორგანოების მიერ. ტრეფიკინგის დანაშაულთა გარკვეული ნაწილი ჩადენილია საქართველოს ტერიტორიაზე მათი დამამთავრებული სტადიის ჩათვლით, რომლებიც თავისი არსით წარმოადგენდნენ არასრულწლოვანით ვაჭრობასა და ადამიანის შრომით ექსპლუატაციას ან სექსუალურ ექსპლუატაციას.

რაც შეეხება ტრეფიკინგის დანაშაულთა თაობაზე წარმოებული საქმეების საპროცესო სამართლებრივ მხარეს, უნდა აღინიშნოს, რომ ასეთი დანაშაულის ჩამდენ პირთა მიმართ ბრალდება ძირითადად ემყარება დაზარალებულთა ჩვენებებს, რომლებიც განმტკიცებულია სხვა არაპირდაპირი მტკიცებულებებით, კერძოდ ისეთ მოწმეთა ჩვენებებით, რომლებსაც, მართალია, გარკვეული შეხება ჰქონდათ დანაშაულის შემთხვევასთან, მაგრამ ისინი არ ყოფილან უშუალო თვითმხილველნი იმისა თუ სად, როდის, რა ვითარებაში და ვისი მონაწილეობით ხორციელდებოდა ტრეფიკინგის მსხვერპლის მიმართ სექსუალური ექსპლუატაცია ან სხვა მსგავსი ქმედება. როგორც წესი, ასეთ მოწმეებს ინფორმაცია გააჩნდათ მხოლოდ იმის შესახებ, თუ როგორ მზადდებოდა ტრეფიკინგის მსხვერპლის (დაზარალებულის) დაყოლიება პროსტიტუციაზე ანდა საქართველოდან უცხო ქვეყანაში მისი გაყვანა (მათთვის ყალბი დოკუმენტების მომზადება სახელმწიფო საზღვრის გადასაკვეთად, მათი დაყოლიება საზღვარგარეთ გამგზავრებაზე და სხვა). თუმცა აღსანიშნავია ისიც, რომ თითქმის ყველა შემთხვევაში დაზარალებულთა ჩვენებები არის ვრცელი, დეტალური და ამომწურავი, რომლებიც გვაძლევენ საკმარის წარმოდგენას მომხდარი შემთხვევის თაობაზე.

აქვე შეიძლება აღინიშნოს იმის თაობაზეც, რომ ცალკეულ შემთხვევაში საქმის გამოძიებისას გამოყენებული იყო კანონით გათვალისწინებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებები, მაგალითად, ოპერატიული თვალთვალი, ფარული

მოსმენები, ოპერატიული მუშაკის „ჩანერგვა" დამნაშავეთა ჯგუფში და სხვა, რომელთა მეშვეობით მოპოვებული იყო მნიშვნელოვანი მტკიცებულებები პირის ბრალეულობის დასადასტურებლად.

ამასთან, უმეტეს შემთხვევაში, საქმეებზე არ ხორციელდებოდა საგამოძიებო მოქმედებები საქართველოს ტერიტორიის ფარგლებს გარეთ, რადგან საამისოდ არ ხდებოდა საქართველოს მიერ შესაბამის სახელმწიფოსთან სამართლებრივ სფეროში თანამშრომლობის თაობაზე დადებული ორმხრივი ხელშეკრულებითა თუ სხვა საერთაშორისო ხელშეკრულებით (კონვენციებით) გათვალისწინებული შესაძლებლობების გამოყენება. მაგალითისთვის შეიძლება დასახელდეს 1998 წლის „ხელშეკრულება საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას შორის სამოქალაქო, სავაჭრო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ", აგრეთვე 1959 წლის „ევროპული კონვენცია სისხლის სამართლის საქმეებზე ურთიერთდახმარების შესახებ" რომლებიც ითვალისწინებენ სახელმწიფოთა თანამშრომლობას სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებით ურთიერთდახმარების მიზნით. საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების მიერ აღნიშნული შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენების შემთხვევაში სასამართლოსთვის საგამოძიებო ორგანოს მიერ საქმის ფაქტობრივ გარემოებათა თაობაზე წარდგენილი მასალა იქნებოდა უფრო სრული, მტკიცებულებების ბაზა უფრო მყარი, რაც თავის მხრივ საწინდარია ხსენებული კატეგორიის საქმეებზე უფრო დასაბუთებული სასამართლო გადაწყვეტილებების გამოსატანად.

ამავე დროს, აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ საქმის წინასწარი გამოძიების სტადიაზე დაშვებული ის ხარვეზი, რომელიც მდგომარეობს საგამოძიებო მოქმედებების წარმოების არეალის მხოლოდ საქართველოს ტერიტორიით შემოფარგვლაში, ხელს უშლის იმის დადგენას — ტრეფიკინ-

გულ დანაშაულს, იმ შემთხვევებში, როდესაც ხდებოდა მსხვერპლის საზღვარგარეთ გაყვანა და იქ სექსუალურ ექსპლუატაციაში ან მონურ მუშაობაში ჩაბმა, ხომ არ ჰქონდა ორგანიზებული დანაშაულის ხასიათი. გასათვალისწინებელია აუცილებლად ის გარემოება, რომ მსგავსი დანაშაულის ჩადენა დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით უმრავლეს შემთხვევაში, განსაკუთრებით კი ისეთ შემთხვევებში, როდესაც ადგილი აქვს ერთი და იგივე დამნაშავის მიერ დაზარალებულების საზღვარგარეთ არაერთგზის გადაყვანას, ან მრავალი დაზარალებულის ერთდროულად გაყვანას საზღვარგარეთ, ერთ ან ორ ადამიანს არ ხელეწიფება, ვინაიდან ასეთი დანაშაულებრივი მიზნის რეალიზაცია ბევრი სირთულისა და დაბრკოლების გადალახვასთან არის დაკავშირებული, რაც ერთ ადამიანს, როგორც წესი არ შეუძლია და იგი უთუოდ მოითხოვს სულ ცოტა რამდენიმე ადამიანის ძალისხმევას კარგად ორგანიზებული ჯგუფის სახით.

ნიშანდობლივია ის გარემოება, რომ ტრეფიკინგული დანაშაულის ორგანიზებული შემთხვევის გამოვლენის დროსაც კი, საგამოძიებო ორგანოს მიერ პრაქტიკულად დაუდგენელია ორგანიზებული ჯგუფი შექმნილი იყო ერთი დანაშაულის ჩასადენად, თუ მრავალი დანაშაულის ჩასადენად, რის დადგენასაც არსებითი მნიშვნელობა აქვს ასეთი კატეგორიის დანაშაულთა პრევენციისთვის.

ტრეფიკინგულ დანაშაულთან ბრძოლაში აღნიშნული ხარვეზების არსებობა იწვევს იმას, რომ ამ დანაშაულის ორგანიზებული ჯგუფების მიერ ჩადენის შემთხვევები იძენს ლატენტურ ხასიათს მათი დაუდგენლობისა და დაუსჯელობის გამო, რაზედაც მეტყველებს სასამართლო სტატისტიკაც, რომელშიც აისახება რეალური მდგომარეობა, რაც, თავის მხრივ, დაბლა სცემს შესაბამისი სახელმწიფო ორგანოების მიერ მოცემულ დანაშაულთან ბრძოლის ეფექტურობას. ყოველივე აღნიშნული მიუთითებს იმაზე, რომ ორგანიზე-

ბულ დანაშაულთან და ტრეფიკინგულ დანაშაულთან დაკავშირებით მოქმედი საერთაშორისო კონვენციებით დადგენილი მოთხოვნები, რომელთანაც შეერთებულია საქართველოს სახელმწიფოც, არაჯეროვნად სრულდება, რაც შედეგობრივად, თავის მხრივ ნეგატიურ დაღს ასვამს ხსენებულ დანაშაულობასთან ბრძოლის პრაქტიკას და ხელს უწყობს ასეთი ხასიათის დანაშაულთა გამრავლებას.

ამასთან ერთად, შეუძლებელია არ აღინიშნოს იმის თაობაზე, რომ ცალკეულ შემთხვევაში ტრეფიკინგის საქმეზე სამართალწარმოების განხორციელებისას, როგორც წინასწარი გამოძიების სტადიაზე, ასევე სასამართლოში საქმის განხილვისას, ირღვევა ბრალდებულისა და განსასჯელის საპროცესო უფლებები. ეს ისეთი შემთხვევებია, როდესაც დაცვის მხარის კანონიერი და დასაბუთებული ინიციატივა არ იქნა მხარდაჭერილი არა მარტო ბრალდების მხარის მიერ, არამედ ასევე სასამართლოს მიერ. მაგალითისთვის შეიძლება განვიხილოთ მსჯავრდებულ ს.კ.-ს ბრალდების საქმე, რომელსაც ბრალი ედებოდა ადამიანით ვაჭრობაში, ჩადენილი ორი ან მეტი პირის მიმართ დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით, სახელდობრ, მან განახორციელა ქალების გადაყვანა თურქეთის ქ. ორდუში, სადაც მათ უწევდა სექსუალურ ექსპლუატაციას.

წინასწარი გამოძიების სტადიაზე ბრალდებულის დამცველმა შუამდგომლობით მიმართა პროკურორს, რომელიც აღნიშნული საქმის გამოძიებაზე ახორციელებდა საპროცესო ხელმძღვანელობას იმის თაობაზე, რომ გამოძიებას დაეკითხა თურქეთის ქ. ორდუში მყოფი მოწმეები საერთაშორისო ხელშეკრულებითა და კანონით გათვალისწინებული სათანადო პროცედურების მეშვეობით, რომელთა ჩვენებები, მისი აზრით, ნათელს მოფენდნენ საქმის ფაქტობრივ გარემოებებს და ხელს შეუწყობდნენ საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას. ამის შემდეგ სპეციალური ოპერატიული დეპარტა-

მენტის გამომძიებელმა შუამდგომლობით მიმართა თურქეთის სამართალდამცავ ორგანოებს, რომლითაც ითხოვდა დაცვის მხარის მიერ დასახელებული მოწმეების დაკითხვას გამოძიებისთვის საინტერესო საკითხებზე. წინასწარი გამოძიების მასალებში აღნიშნული მიმართვის შედეგები არ ჩანს. ს.კ.-ს ბრალდების საქმე გადაეცა პირველი ინსტანციის სასამართლოს არსებითი განხილვისთვის. სასამართლო სხდომის მოსამზადებელ სტადიაზე განსასჯელის დამცველმა დააყენა შუამდგომლობა გარკვეულიყო, შეასრულა თუ არა თურქულმა მხარემ საქართველოს საგამოძიებო ორგანოს თხოვნა და თურქეთიდან გამოიგზავნა თუ არა შესაბამისი მასალა, რომელიც წარმოდგენილ უნდა იქნეს სასამართლოს წინაშე, როგორც მტკიცებულებები. სასამართლომ, მართალია, დააკმაყოფილა დაცვის შუამდგომლობა და აღნიშნული საკითხის თაობაზე მიმართა საქართველოს გენერალურ პროკურატურას, მაგრამ პირველი ინსტანციის სასამართლოში საქმის განხილვა ისე დამთავრდა, რომ გენერალური პროკურატურიდან პასუხი მიღებული არ ყოფილა, ხოლო ს.კ. მსჯავრდებულ იქნა.

სააპელაციო სასამართლოში საქმის განხილვისას დაცვის მხარემ კვლავ მიმართა სასამართლო პალატას შუამდგომლობით, რომლითაც ითხოვდა, რომ ბრალდების მხარეს წარმოედგინა სასამართლოში თურქული მხარის მიერ გამომძიებლის დავალების საფუძველზე მოპოვებული და საქართველოს გენერალური პროკურატურისთვის გადმოგზავნილი მტკიცებულებები, აგრეთვე იმას, რომ დაცვის მხარეს მიცემოდა აღნიშნული მტკიცებულებების, როგორც საქმის მასალის, გაცნობის შესაძლებლობა. აღნიშნული შუამდგომლობის განხილვისას პროცესში მონაწილე პროკურორმა განაცხადა, რომ ბრალდების მხარე ამ მტკიცებულებებს არ წარმოადგენდა სასამართლოში იმ მოტივით, რომ ისინი ბრალდების მხარეს არ მიაჩნია ბრალდების მტკიცებულებებად, ხოლო დაცვის მხარემ თავად უნდა იზრუნოს თავისი მტკიცებულებების მოპოვებაზე.

სააპელაციო სასამართლომ უარი უთხრა დაცვის მხარეს მის მიერ დაყენებული შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე სრულიად დაუსაბუთებლად, იმ მოტივაციით, რომ დაცვის მხარის მიერ აღნიშნული საკითხი არ ყოფილა დაყენებული პირველი ინსტანციის სასამართლოში, ხოლო თვითონ დაცვის მხარეს აღნიშნული მასალების მოსაპოვებლად არაფერი გაუკეთებია, რის გამოც სასამართლოსთვის უცნობია რა მასალებზეა საუბარი. სააპელაციო სასამართლოს ასეთი პოზიცია მთლიანად ეწინააღმდეგება როგორც საქმის რეალურ ვითარებას, ისე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობით გათვალისწინებულ იმპერატიულ მოთხოვნებს. საქმე ისაა, რომ როგორც დგინდება, ხსენებული მასალის (მტკიცებულებების) მოსაპოვებლად დაცვის მხარემ შუამდგომლობით მიმართა პროკურორს, რომლის საფუძველზე გამომძიებელმა მიმართა თურქეთის შესაბამის სახელმწიფო ორგანოებს, რომლებმაც მოიპოვეს მტკიცებულებები და ეს მასალა გადაუგზავნეს ადრესატს. ამასთან, დაცვის მხარემ ამ მტკიცებულებების სასამართლოში წარმოდგენაზე პირველი ინსტანციის სასამართლოშიც დააყენა საკითხი საპროცესო კანონით დადგენილი წესით, რომლის საფუძველზე საქართველოს გენერალურ პროკურატურას სასამართლოს მიერ გაეგზავნა მიმართვა. იგივე საკითხი დაცვის მხარემ სააპელაციო სასამართლოშიც საპროცესო კანონით დადგენილი წესით დააყენა, მიუხედავად ამისა, სააპელაციო სასამართლოს მიერ, უსაფუძვლოდ ეთქვა უარი.

აღნიშნულის შედეგად უხეშად დაირღვა მსჯავრდებულის დაცვის უფლება, რადგან ზემოხსენეუბლი მასალა, საპროცესო კანონიდან გამომდინარე, წარმოადგენდა საქმის მასალის განუყოფელ ნაწილს, რის გამოც იგი აუცილებლად უნდა ყოფილიყო წარმოდგენილი სასამართლოში როგორც მტკიცებულება და სრული უფლება ჰქონდა დაცვის მხარეს გაცნობოდა ამ მასალას. ამავე დროს, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია) მე-18 მუხლის თანახმად, საქმის წინასწარი

გამოძიების სტადიაზეც და სასამართლო განხილვის სტადიაზეც, გამომძიებელი, პროკურორი და სასამართლო ვალდებულნი იყვნენ გაერკვიათ მტკიცების საგნის ყველა სხვა გარემოება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით. საამისოდ მათ მიერ წარმოებული საქმის გარემოებათა გამოკვლევა უნდა ყოფილიყო ყოველმხრივი, სრული და ობიექტური, რა დროსაც ერთნაირი გულმოდგინებით უნდა გაირკვეს ბრალდებულის როგორც მამხილებელი, ისე გამამართლებელი გარემოებები, ხოლო დაცვის მხარის ყველა განცხადება და საჩივარი უდანაშაულობისა თუ ნაკლები ბრალის შესახებ, აგრეთვე სისხლის სამართალწარმოების განხორციელებისას დაშვებული საპროცესო დარღვევების თაობაზე გულდასმით უნდა შემოწმდეს.

კანონის ასეთი მოთხოვნის შეუსრულებლობა წარმოადგენდა ისეთ არსებით საპროცესო დარღვევას, რომელიც ნეგატიურ გავლენას ახდენდა საქმის შედეგზე მსჯავრდებულის კანონიერი ინტერესების საზიანოდ.

ამრიგად, ტრეფიკინგის საქმეებზე არსებული წინასაგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის ანალიზი გვიჩვენებს, რომ საქართველოს წინასწარი გამოძიების ორგანოებისა და სასამართლოების საქმიანობა ჯერ კიდევ სრულად ვერ აკმაყოფილებს აღნიშნული ხასიათის დანაშაულთან ბრძოლის, ასეთ დანაშაულთა საქმეებზე წინასწარი გამოძიების წარმოებისა და სასამართლო განხილვის თაობაზე შესაბამისი საერთაშორისო კონვენციებითა და საქართველოს შიგა კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. განსაკუთრებით უნდა მიეთითოს სისხლის სამართალწარმოების ხარვეზებზე ხსენებულ დანაშაულთა გამოვლენის ორგანიზებულ ფორმებთან დაკავშირებით. ასეთი ვითარება მოითხოვს სათანადო რეკომენდაციების შემუშავებასა და შესაბამისი სახელმწიფო ორგანოებისთვის მიწოდებას მათი დანერგვის მიზნით იურიდიული პრაქტიკის ეფექტურობის გასაძლიერებლად და მოცემულ სფეროში საერთო კრიმინოგენური ვითარების გასაჯანსაღებლად.

რევაზ გოგშელიძე
სამართლის დოქტორი

§ 4. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) სასამართლო პრაქტიკის ანალიზი (ნაწილი მესამე)

ჩვენს მიერ შესწავლილ იქნა რამდენიმე სს საქმე, მათ შორის ს. კ-სკაიას საქმე (სადაც დაზარალებულად ცნობილი არიან ქ. ბ-ოვა და ო. ს-ოვა). ამ საქმეში დაფიქსირდა სხვადასხვა სახის დარღვევა. კერძოდ:

1. დაზარალებულ ქრისტინა ბ-ოვას დაკითხვის ოქმში გამომძიებელი უთითებს, რომ მან დაზარალებული დაკითხა თარჯიმნის მონაწილეობით, მაგრამ დაკითხვის ოქმის შესავალ ნაწილში არაა მითითებული თარჯიმნის გვარი. ამავე დროს, საქ. სსსკ-ის 303-ე მუხლის მე-9 ნაწილის მიხედვით თარჯიმანი ხელს უნდა აწერდეს დაზარალებულის მიერ მიცემული ჩვენების თარგმანის თითოეულ გვერდს, რაც არ არის გაკეთებული, რითაც დარღვეულია სსსკ-ის 303-ე მუხლის მე-9 ნაწილის მოთხოვნა (ძველი კოდექსი).
2. ქ. ბ-ოვას დაკითხვის მსგავსად დარღვეულია თარჯიმნის მონაწილეობის წესი დაზარალებულ ოლგა ს-ოვას დაკითხვისას.
3. ამავე საქმეში არის სხვა ხარვეზიც, რასაც გარდა ფორმალურისა, მტკიცებითი მნიშვნელობა აქვს. მაგალითად, გამომძიებელი არ ინტერესდება იმ პირთა წრის გარკვევით, რომელთა დაკითხვაც ხელს შეუწყობდა საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას.

   კერძოდ, ამ საქმეში დაზარალებულად ცნობილ ქ. ბ-ოვას დედა დაკითხვისას უთითებს, რომ მათთან სახლში, როცა საუბარი მიდიოდა ს. კ-კაიასა და ქ. ბ-ოვას შორის (ე.ი. ტრეფიქერსა და ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლს

შორის), ასევე იმყოფებოდა ნატო. თავად ბრალდებული ს. კ-სკაია კი საერთოდ არ ახსენებს ნატოს, როგორც ბ-ოვასთან მისი საუბრის მოწმეს.

ასეთ შემთხვევაში გამომძიებელს უნდა დაედგინა ნატოს პიროვნება და უნდა დაეკითხა იგი, რადგან შესაძლოა, მისი ჩვენება ნათელს მოჰფენდა საქმეს, მით უმეტეს, რომ ამ საქმეზე ბრალდებული არ აღიარებს ბრალდებას.

4. ს. კ-კაიას სისხლის სამართლის საქმეზე (გვ.80-83) გამომძიებელმა შეისწავლა რა საქმეზე მოპოვებული მტკიცებულებები, გამოიტანა დადგენილება ს. კ-სკაიას ბრალდებულის სახით პასუხისგებაში მიცემის შესახებ, მაგრამ რატომღაც ამ დადგენილებას ხელს აწერს სხვა გამომძიებელი და არა ის, რომელიც საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე მივიდა იმ დასკვნამდე, რომ ს. კ-სკაია მიცემული იქნეს ბრალდების სახით პასუხისგებაში (გასაკვირია, რომ ამ ფაქტს ყურადღებას არ აქცევს ბრალდებულის ადვოკატი და ხელს აწერს ამგვარ დადგენილებას).

5. სვეტლანა კ-კაიას კანონიერი ინტერესების დამცველმა ვაჟა ნ-ძემ, რომელიც იმყოფებოდა თურქეთში, ქ. ორდუში, გამოკითხა თურქეთის მოქალაქეები დაზარალებულის ქ. ბ-ოვასა და ო. ს-ცოვას შესახებ. შემდეგ მან თურქეთის მოქალაქეთა გამოკითხვის ოქმები თარგმნა ქართულად და დაამოწმა ნოტარიული წესით. კერძოდ, ადვოკატმა გამოკითხა თურქეთის მოქალაქეები: ნაზიმ ქაჰრამანი, რომელიც ცხოვრობდა იმავე სახლის ერთერთ ბინაში, სადაც ცხოვრობდნენ ქ. ბ-ოვა და ო. ს-ნცოვა; ბაჰთირ ოზქანი, რომელიც ცხოვრობდა იმავე სახლის პირველ სართულზე; აითაჩ დურუმი, რომელიც იცნობდა ს. კრასოვსკაიას დაახლოებით 3 წელი, დახვდა მას ავტომობილით და ქ. ბ-ოვასთან და ო. ს-ცოვასთან ერთად მიიყვანა ქ. ორდაში, იმ სამსართულიან სახლთან, სადაც

ისინი ცხოვრობდნენ 10 დღე-ღამის განმავლობაში. მ მოქალაქეთა გამოკითხვით დგინდება, რომ ქ. ბ-ოვა და რ. ს-ნცოვა არ იმყოფებოდნენ რაიმე ფიზიკური და ფსიქიკური ზეწოლის ქვეშ, თავისუფლად მოძრაობდნენ ქ. ორდუს ქუჩებში, ბაზარში, მაღაზიებში.

საქართველოს შს სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის განსაკუთრებულ მნიშვნელოვან საქმეთა უფროსმა გამომძიებელმა სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის მიზნით შუამდგომლობით მიმართა თურქეთის რესპუბლიკის შესაბამის სამართალდამცავ ორგანოებს, დაეკითხათ ს. კ-სკაიას სისხლის სამართლის საქმეზე თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეები: ბაჰთირ ოზქანი, ნაზიმ ქაჰრამანი, აითაჩ დურუმი, გარკვეული გარემოებების დადგენის მიზნით.

თურქეთის რესპუბლიკის გენერალურ პროკურატურაში, პროკურორმა ჯან შუქრუ გენჩქანმა მოწმეებად დაკითხა აღნიშნული პირები, რომელთაც დაადასტურეს ს. კ-სკაიას ადვოკატ ვ. ნებიერიძისათვის მიცემული ინფორმაცია, რომ ქ. ბ-ოვა და ო. ს-ნცოვა თავისუფლად გადაადგილდბეოდნენ ქ. ორდუს ქუჩებში და მათ არ ეტყობოდათ რაიმე ზეწოლის ქვეშ ყოფნა.

გამოძიებამ რატომღაც საბრალდებო დასკვნის შედგენამდე არ გადაამოწმა ს. კ-სკაიას დამცველის მიერ თურქეთის მოქალაქეების მხრიდან მიღებული ინფორმაცია (დამცველმა ინფორმაცია მიიღო თურქი მოქალაქეებისაგან 2006წ. 1 მაისს, საბრალდებო დასკვნა შედგა 2006 წლის 31 მაისს). საბრალდებო დასკვნაში შენიშნულ იქნა, რომ ბრალდებულისა და მისი დამცველის მიერ დასახელებული მოქალაქეები არიან თურქეთის რესპუბლიკის მოქალაქეები და შესაბამისად თურქეთის კომპეტენტურ ორგანოებს წარედგინათ შუამდგომლობა სამართლებრი-

ვი დახმარების აღმოჩენის შესახებ. (ამდენად, სამართლებრივი შეფასება არ მიეცა დამცველის მიერ მოპოვებულ ინფორმაციას, რომელიც ნოტარიული წესით იყო დამოწმებული).

როგორც ზემოთ აღინიშნა, თურქეთის რესპუბლიკის კომპეტენტური ორგანოების მიმართ გაგზავნილი იქნა შუამდგომლობა სამართლებრივი დახმარების აღმოჩენის შესახებ. იგი ითვალისწინებდა თურქეთის მოქალაქეების: ბაჰთირ ოზქანი, ნაზიმ ქაჰრამანი, აითაჩ დურუს, მოწმეების სახით დაკითხვას. თურქეთის გენერალური პროკურატურის პროკურორებმა, ისმაილ დეღირმენჯიმ და ჯან შუქუ გენერჩქანმა მოწმეების სახით დაკითხეს აღნიშნული პირები და მათ მიერ მიცემული ზემოთ ნახსენები ჩვენებები გადმოუგზავნეს საქართველოს გენერალურ პროკურატურას. მის მიუხედავად, სამართლებრივი დახმარების საფუძველზე თურქეთიდან მიღებული მასალები არ დაერთო საქმეს. უფრო მეტიც, სახელმწიფო ბრალმდებელმა სააპელაციო სასამართლოს სასამართლო სხდომაზე განაცხადა აღნიშნული მასალების შესახებ, რომ ბრალდების მხარისათვის ისინი არ წარმოადგენს მტკიცებულებებს.

აქვე ჩნდება კითხვა: თუკი წინასწარვე ცნობილი იყო, რომ უცხო ქვეყნიდან მიღებულ ჩვენებებს არავითარი მტკიცებულების ძალა არ უნდა მიენიჭოს, მაშ, რატომ მიმართა საქართველოს პროკურატურამ თურქეთის შესაბამის ორგანოს შუამდგომლობით სამართლებრივი დახმარების შესახებ ან საერთოდ, რატომ არსებობს ასეთი ურთიერთდახმარების ინსტიტუტი?

6. წესით პროკურორს შესაძლებლობა უნდა მიეცა სასამართლოსათვის, მხარეების მონაწილეობით შეესწავლა, გამოეკვლია სამართლებრივი დახმარების საფუძველზე მიღებული მასალები, მხარეებს დაეფიქსირებინათ თავი-

ანთი მოსაზრებები, არგუმენტები. პროკურორს თავისი დასაბუთებული პოზიცია უნდა დაეფიქსირებინა ამ მასალებთან დაკავშირებით.ხოლოდ ამის შემდეგ უნდა გადაწყვეტილიყო საკითხი: ჩაეთვალათ თუ არა ეს მასალები მტკიცებულებად. პროკურორმა კი იმ ფაქტით, რომ ეს მასალები საერთოდ არ დაურთო სს საქმეს, ფაქტობრივად უგულვებელყო ისეთი ინსტიტუტი, როგორიცაა საერთაშორისო თანამშრომლობა სისხლის სამართლის სფეროში, რაც არ უნდა ჩაითვალოს გამართლებულად.

7. პროკურორის ასეთი დამოკიდებულება რამდენადმე არყევს სსსკ-ის ოცდამეთერთმეტე თავში მოცემული ამ ინსტიტუტის ავტორიტეტს, რადგან იქმნება შთაბეჭდილება, რომ ამ ინსტიტუტით სარგებლობა შესაძლოა. მიუღებელი აღმოჩნდეს ისეთი საგამოძიებო მოქმედების ჩატარების დროს, როგორიცაა დაკითხვა?
ისმის კითხვა: იქნებ მართლაც უფრო მისაღებია ამ ინსტიტუტის გამოყენება გავავრცელოთ ისეთ საგამოძიებო მოქმედებებზე, როგორიცაა: შემთხვევის ადგილის დათვალიერება, ექსპერტიზის დანიშვნა? ეს საკითხი მართლაც დაფიქრებას და შემდგომ კვლევას მოითხოვს. თუმცაღა, სანამ შესაბამის ნორმატიულ აქტებში სათანადო ცვლილება არაა შეტანილი, მხარეებმა რა თქმა უნდა, უნდა იდავონ თითოეული ამ გზით მოპოვებული მასალების გარშემო, შეაფასონ იგი, მაგრამ ეს დავა უნდა იყოს მოტივირებული და გამყარებული სისხლის საქმეში არსებული მტკიცებულებებით და არა ხელაღებით უარყოფილი, როგორც ამას ადგილი ჰქონდა ზემოთხსენებულ შემთხვევაში.

8. საინტერესოა, რატომ არ დაურთო სახელმწიფო ბრალმდებელმა თურქეთიდან ჩამოსული მასალები სისხლის სამართლის საქმეს? თურქეთის მოქალაქეების მიერ მიცემულ ჩვენებებში, რომლებიც საუბრობენ, რომ ქ. ბოვა და ო. ს-ნცოვა თავისუფლად დაიარებოდნენ ქალაქში და არ იმყოფებოდნენ რაიმე ფიზიკური თუ ფსიქიკური

ზეწოლის ქვეშ, სულაც არ გამორიცხავს ადამიანით ვაჭრობას. განა არ შეიძლება თავისუფლებაში მყოფი პირის მოტყუება, ექსპლუატაცია, პროსტიტუციაში ჩაბმა და ა.შ? თვითონ მსჯავრდებული ს. კ-სკაიას მიერ მიცემულ ჩვენებაში რამდენიმე ურთიერთსაწინააღმდეგო ინფორმაციაა, რაც პროკურორს შეეძლო გამოეყენებინა ბრალდების გასამყარებლად.

კერძოდ, ბრალდებულ კ-სკაიას ჩვენებით დგინდება, რომ მას თანხას სთხოვდნენ ბ-ოვა და ს-ოვა. ბრალდების მხარეს ერთხელაც არ უკითხავს მისთვის, რატომ სთხოვდნენ მას თანხას ეს გოგონები (ქ. ბ-ოვა და ო. ს-ოვა)? რატომ თავად იგი არ ითხოვდა მათგან იმ 50-50 დოლარს, რაც მან ასესხა ამ გოგონებს მგზავრობისათვის? რას უნდა ნიშნავდეს ის გარემოება, რომ ს. კ-სკაიას ქ. ბ-ოვა უკავშირდება, და ითხოვს მისგან ფულს, რათა იყიდოს იუბკა, ჩექმები, ბავშვისათვის „რაღაცეები;"? როცა ბითაროვას დედა ცუდადაა, იგი ფულის გაგზავნას თხოვს ს. კ-სკაიას რა დროსაც ს. კ-სკაია პასუხობს, რომ „შაბათ-კვირაა და ბანკი არ მუშაობს, თბილისში დაურეკავს ახლობელს და ის მიაწოდებს დედამისს 100 დოლარს."

რატომ თხოვდა ქ. ბ-ოვა თანხას ს. კ-სკაიას, თუ პროსტიტუციის გზით კლიენტისაგან მიღებული თანხის მართლაც მხოლოდ 10%-ს იღებდა ს. კ-სკაია და დანარჩენი იყო ქ. ბ-ოვასი?

ზემოთაღნიშნულ ჩვენებებზე დაყრდნობით სახელმწიფო ბრალდებას შეეძლო ემტკიცებინა, რომ პროსტიტუციის გზით მიღებულ მთელ თანხებს მოტყუებით იღებდა ს. კ-სკაია. ასეთი დასკვნის გაკეთების საფუძველს იძლევა თვითონ ს. კ-სკაიას მიერ მიცემული ჩვენება, (სხვა მტკიცებულებებზე რომ არაფერი ვთქვათ), რაც ბრალდებამ ვერ გამოიყენა ბრალდების გასამყარებლად.

9. საქ. სსსკ-ის 305-ე მუხლის მეექვსე ნაწილის მიხედვით შესაძლებელი იყო თურქეთის მოქალაქეების მოწმის სტატუსით დაკითხვა ტექნიკური საშუალებების გამოყენებით, რაც გამოძიებამ არ გამოიყენა.

სისხლის სამართლის საქმე ხ. ყ-ის მიმართ (ადამიანით ვაჭრობა)

ადამიანით ვაჭრობის საქმეებზე ხშირად შეინიშნება ხარვეზი მტიცების თვალსაზრისით განსაკუთრებით მაშინ, როცა საქმე ეხება ორგანიზებული ჯგუფის მიერ ჩადენილი დანაშაულის ბრალდებას. საამისოდ გამოდგება სს საქმე ხ. ყ-ის მიმართ, სადაც დაზარალებულად ცნობილი არიან თ. კ-ძე და ი. ბ-ძე)

1. მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე წინაწარი გამოძიების მიერ ხ. ყ-ის მიმართ არასწორად იყო წარდგენილი ბრალდება სისხლის სამართლის კოდექსის 143[1]-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით (იგივე ქმედება ორგანიზებული ჯგუფის მიერ), რამდენადაც ორგანიზებული ჯგუფის მიერ აღნიშნული მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა არ იყო დადასტურებული საქმეში არსებული მტკიცებულებებით.

ეს ხარვეზი გამოსწორებულ იქნა სასამართლოს მიერ, რაც უდაოდ დადებითად მეტყველებს მათ საქმიანობაზე.

ამ საქმეში მტკიცებულებად დაზარალებულთა ჩვენების საფუძველზე მიჩნეულია ის, რომ გამოძიებით დაუდგენელი პირები აიძულებდნენ თ. კ-ძესა და ი. ბ-ძეს გარკვეული თანხის საფასურად ჰქონოდათ სქესობრივი კავშირი მამაკაცებთან.

ასეთ შემთხვევაში გამოძიება უნდა დაინტერესებულიყო იმ დაუდგენელი პირებით და უნდა დაედგინა მათი ვინაობა. ამის შესაძლებლობა მას ჰქონდა, რამდენადაც დაზარალებულები

თავიანთ ჩვენებებში ნათლად მიუთითებდნენ ამ პირებზე, კერძოდ ხ. ყ-ის დედის მეგობარ „ნინოზე," „ნინოს" მეუღლე - ალიზე, „ნინოს" მეზობელზე - იესემინასა და მის მეუღლე - ადემაზე.

გარდა ამისა, გაოცებას იწვევს ის ფაქტი, რომ გამოძიებამ და შემდგომში სასამართლომაც, მართალია, გაიზიარა დაზარალებულების მიერ მიცემული ჩვენებები, მაგრამ რატომღაც ყურადღება არ მიაქცია ამ ჩვენებების იმ ნაწილს, რომლითაც დასტურდება, რომ ზემოთ აღნიშნული თურქეთის მოქალაქეები: „ნინო," მისი მეუღლე, ესემინა და მისი მეუღლე ადემა, დაკავებულ იქნენ თურქეთის პოლიციის მიერ სწორედ ამ დაზარალებულთა განცხადების საფუძველზე.

2. გამოძიებას უნდა გადაემოწმებინა ეს ფაქტი. კერძოდ, მართლაც იყვნენ თუ არა ისინი დაკავებული თურქეთის პოლიციის მიერ და თუ იგი დადასტურდებოდა, გამოეყენებინა შესაძლებლობა „საერთაშორისო თანამშრომლობისა სისხლის სამართლის სფეროში", რათა დაედგინათ გამოძიებით დაუდგენელი ეს პირები და სამართლებრივი დახმარების საფუძველზე ჩაეტარებინათ გარკვეული სახის საგამოძიებო თუ სასამართლო მოქმედებები. ამით კი გამყარდებოდა ხ. ყ-ის მიმართ წარდგენილი ბრალდება ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) შესახებ. მით უმეტეს საქართველოსა და თურქეთის რესპუბლიკას ურთიეთშორის დადებული აქვს სამოქალაქო, სავაჭრო და სისხლის სამართლის საქმეებზე სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ ხელშეკრულება 1996 წლის 4 აპრილის, რომელიც ძალაშია 1998 წლის 15 ნოემბრიდან.

3. გამოძიებისა და სასამართლო ორგანოების მიერ არ არის დადგენილი რეალურად გადასცა თუ არა ვინმე „ნინომ" ზ. ყირიმელს 3000 დოლარი და მართლაც გაიყიდნენ თუ არა თ.

კ-ძე და ი. ბ-ძე. ეს ფაქტი არ დაუდგენია არც გამოძიებასა და არც სასამართლოს, იგი მხოლოდ ეფუძნება დაზარალებულის ჩვენებებს, რომლებმაც ეს ინფორმაცია მიიღეს გამოძიებით დაუდგენელი პირისაგან, ვინმე „ნინოსაგან."

საკითხავია, საერთოდ არ არსებობს კი ეს ნინო, ან თუ არსებობს, ასეთი ინფორმაცია მართლაც მიიღეს მისგან?

4. გამოძიებისა და სასამართლო ორგანოებს ასევე უნდა დაედგინათ, რამდენად შეესაბამება სიმართლეს ის, რომ დაზარალებულებმა მიმართეს ადგილობრივ (თურქ) სამართალდამცავ ორგანოებს და მათი დახმარებით დაიბრუნეს პასპორტები.

5. სამწუხაროდ, როგორც საქალაქო, ისე საოლქო (ამჟამად სააპელაციო) და საკასაციო ინსტანციის სასამართლოები გამამტყუნებელი განაჩენის დადგენისას ეფუძნებიან მხოლოდ დაზარალებულების ი. ბ-ძისა და თ. კ-ძის ჩვენებებს. ხოლო ბრალდებული ხ. ყირიმელი, მისი მეუღლე, სიდედრი, სიმამრი, რა თქმა უნდა, საუბრობენ ხ. ყ-ის (ბრალდებულის) სასარგებლოდ. ღაც შეეხება თურქ მოქალაქეებს, მათგან არა თუ ჩვენებები არ არის მიღებული, არამედ მათი ვინაობაც არაა დადგენილი.

6. ასევე, გამოძიებისა და სასამართლო ორგანოები უნდა დაინტერესებულიყვნენ დაზარალებულის თ. კ-ძისა და ი. ბ-ძის ჩვენებებით, სადაც ნათქვამია: „ერთ დღეს, მათ როგორღაც მოახერხეს გაპარვა და პოლიციაში მისვლა. აჩვენეს პოლიციელებს სახლი, სადაც ისინი იმყოფებოდნენ და პოლიციამ დააპატიმრა თურქეთის ოთხივე მოქალაქე. დაზარალებულთა ამ ჩვენების გადამოწმებით გამოძიება და სასამართლო ადვილად დაადგენდა ამ პირთა ვინაობას და შეძლებდა მათ დაკითხვას თურქი სამართალდამცავი ორგანოს თანამშრომელთა დახმარებით, რაც რატომღაც არ გაკეთდა.

უნდა აღინიშნოს, რომ სამწუხაროდ, სისხლის სამართლის საქმეში არსებულ ხარვეზებს ბრალდებულის სასარგებლოდ არ იყენებს საქმეში მონაწილე დამცველიც.

ინტერესს იწვევს ასევე სისხლის სამართლის საქმე – ნოვბარ ისხან-კიზი ნ. გ-ევას მიმართ ადამიანით ვაჭრობის ბრალდებით.

მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში ბრალდებულ (განსასჯელ) ნ. გ-ევას მიმართ წარდგენილი ბრალდება ძირითადად გამყარებულია დაზარალებულ ს. ბ-ვას მიერ მიცემული ჩვენებით. სასამართლო გამოძიების დროს მოწმის სახით არ დაკითხულან ის პირები, ვინც თურქეთში იყვნენ ს. ბ-ევას გვერდით, მაგ: ვინმე „მანანა," „ნინო".

რაც შეეხება თეა დ-ძეს, იგი დაკითხულ იქნა წინასწარი გამოძიების სტადიაზე, მაგრამ რატომღაც მისი წარმოდგენა ვერ მოხერხდა სასამართლო სხდომაზე.

მოცემულ შემთხვევაში სასამართლო სხდომაზე წაკითხულ იქნა თ. დ-ძის ჩვენება, რაც გაიზიარა სასამართლომ და საფუძვლად დაუდო გამამტყუნებელ განაჩენს.

მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე ფაქტობრივად ნ. გ-ევას მიმართ სხვა დაკითხული მოწმეები მის საწინააღმდეგოდ ჩვენებას არ იძლევიან. ხოლო რაც შეეხება ვინმე „მანანას," „ნინოს," რომლებთანაც თურქეთში შემხებლობა ჰქონდა დაზარალებულად ცნობილ ს. ბ-ვას, მათი წარმოდგენა და დაკითხვა ვერ მოხერხდა, ვერც წინასწარი გამოძიების სტადიაზე, ვერც სასამართლო სხდომაზე. გამოძიებამ და სასამართლომ არ ისარგებლეს საქ. სსსკ-ით გათვალისწინებული საერთაშორისო სამართლებრივი დახმარების ინსტიტუტით.

ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ ნ. გ-ევას მიმართ წარდგე-

ნილ ბრალდებას და გამამტყუნებელი განაჩენი დამყარებულია მხოლოდ დაზარალებულის ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებაზე და თ. დ-ძეს მიერ წინასწარი გამოძიებისათვის მიცემული ჩვენებაზე, რომელიც წაკითხული იქნა სასამართლოს სხდომაზე. არადა გამამტყუვნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს უტყუარ მტკიცებულებათა ერთობლიობას (ისევე როგორც საბრალდებო დასკვნა და ყველა სხვა საპროცესო გადაწყვეტილება - საქ. სსსკ-ის მე-10 მუხ. მესამე ნაწილი – ძვ. კოდექსი).

სასამართლო უკრიტიკოდ იღებს დაზარალებულად ცნობილ ბ-ვას ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებას სასამართლოს სხდომაზე, სადაც იგი საუბრობს, რომ: გ-ვამ მითხრა, მაინტერესებს, სად ცხოვრობ და პასპორტი მანახეო, ვაჩვენე პასპორტი და გ-ევამ ამის შემდეგ აღარ დამიბრუნა.

რამდენად გასაზიარებელია ეს ჩვენება? განა ნ. გ-ევა, ვერ ხედავდა, სად ცხოვრობდა ს. ბ-ვა თურქეთში? ან ამგვარი ინფორმაციის მისაღებად რა აუცილებლობას წარმოადგენს პასპორტში ჩახედვა? ასევე ს. ბ-ევა საუბრობს იმის შესახებ, რომ თუ „გ-ევა არ გაგვიყვანდა, ჩვენით გარეთ ვერ გავიდოდით, პასპორტი არ გვქონდა და პოლიცია დაგვიჭერდაო.

ბ-ვას ეს ჩვენება არ უნდა ჩაითვალოს სარწმუნოდ, რადგან თუ მას პასპორტი მართლაც წართმეული ჰქონდა, ასეთ შემთხვევაში ნ. გ-ევა ვერ იქნებოდა გარანტი იმისა, რომ პოლიცია მათ არ დაიჭერდათ. თუ ბ-ვას იმის თქმა სურს, რომ გოჯაევასთან ერთად ქუჩაში ყოფნისას პოლიციელს ამ გოგონების პასსპორტს თავად გ-ევა (ე.წ. ტრეფიკერი) წარუდგენდა, ასეთ შემთხვევაში თავად გოჯაევას მიმართ გაჩნდებოდა ეჭვი, რადგან მას თან დააქვს უცხო მოქალაქეთა (თანაც ახალგაზრდა გოგონების) პასპორტი.

აქ სასამართლოს სხვა კითხვაც უნდა გასჩენოდა: თუკი გო-

ჯაევას ეს გოგონები მართლაც გაჰყავდა ქუჩაში თავისი მეგზურობით, რა გარანტია ჰქონდა მას, რომ ისინი პოლიციის გამოჩენის შემთხვევაში, იქვე, გოჯიევას თანდასწრებით არ მიმართავდნენ მას საშველად და არ ამხელდნენ გოჯაევას? ანდა, რატომ ერთხელაც არ ისარგებლეს მომენტით, როცა ქუჩაში მიდიოდნენ და შეხვდნენ ან ჩაუარეს პოლიციელს, თუკი მართლაც იძულებით იყვნენ დაკავებული გოჯაევას მიერ?

სასამართლოს სრულყოფილად უნდა გამოეკვლია ყველეფერი ეს და გამოეტანა შესაბამისი დასკვნა.

სისხლის სამართლის საქმე მ. ჩ-ძის ბრალდების გამო (ადამიანით ვაჭრობა)

მოცემული სისხლის სამართლის საქმეც ისევე როგორც ყველა წინამდებარე, დაიწყო დაზარალებულის განცხადებით.

აღნიშნულ სისხლის სამართლის საქმეში სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცმეულ იქნა მხოლოდ მარინა (ოგანესიანი) ჩხიკვაიძე. დაზარალებულის (მსხვერპლის) დილრაბო რ-ვას ჩვენებით გამოიკვეთა პირთა ჯგუფი, რომლებიც მონაწილეობდნენ დაზარალებულის საზღვარგარეთ (კერძოდ კი, არაბეთის გაერთიანებულ ემირატებში) გაყვანაში, მაგრამ რატომღაც სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დადგა მხოლოდ მ. (ოგანესიანი) ჩ-ძის მიმართ. გამოძიების ორგანოები არ დაინტერესდნენ სხვა პირთა საქმიანობით, რომლებიც არ არიან საქართველოს მოქალაქენი, რომ არაფერი ვთქვათ უზბეკეთისა და არაბთა გაერთიანებული ემირატების მოქალაქეებზე.

გამოძიებას არ გადაუმოწმებია დაზარალებულ დ. რ-ვას მიერ მიცემული ჩვენების სისწორე. დაზარალებულმა კი თავის ჩვენებაში დაასახელა უამრავი პირი (ასევე აღწერა მათი გარეგნობა), რითაც გამოძიებას მისცა შესაძლებლობა, შეეს-

წავლა ობიექტური რეალობა, დაედგინა იურიდიული ფაქტი და მასთან დაკავშირებული გარემოებანი. ყოველივე ეს არ იქნა გამოყენებული გამოძიების ორგანოების მხრიდან.

კერძოდ, გამოძიებას საერთაშორისო სამართლებრივი დახმარების საფუძველზე შეეძლო უზბეკეთის მოქალაქის, ე.წ. გამოძიებით დაუდგენელი ვინმე „ნარგიზას" დადგენა და მისგან ჩვენების მიღება (დაზარალებულმა კარგად იცოდა და აღწერა კიდეც მისი საცხოვრებელი ადგილი ქ. სამარყანდაში).

გამოძიებას ასევე შეეძლო ბრალდებულის ჩვენების საფუძველზე დაედგინა ტურისრული ფირმის სახელწოდება და ადგილსამყოფელი. შემდეგ კი გაერკვია ამ ფირმის თანამშრომელ ვინმე „ირას" პიროვნება, რათა გარკვეულიყო, რა როლი ითამაშა მან მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში.

გამოძიებას უნდა დაედგინა, ასე მარტივად როგორ მოახერხეს საქმეში მონაწილე პირებმა, უზბეკეთის მოქალაქისათვის საქართველოს მოქალაქის პირადობის დამადასტურებელი მოწმობის, საზღვარგარეთის პასპორტის და ემირატების ვიზის დამზადება (ვინ განახორციელა ყოველივე ეს)?

გამოძიებას საერთაშორისო სამართლებრივი დახმარების ინსტიტუტის გამოყენებით უნდა დაედგინა დაზარალებულის ჩვენებაში მითითებული პირები, რომლებიც ცხოვრობდნენ არაბეთის გაერთიანებული ემირატების შემდეგ ქალაქებში: ქ. ბარდუბაიში (ქალბატონი სამირა, რომლის ტელეფონის ნომერიც კი იცოდნენ), ქ. რიგასთრიდიში (ინდუსი, ვინმე ფარუხი).

საერთაშორისო სამართლებრივი დახმარების ინსტიტუტის გათვალისწინება სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობით, უპირველეს ყოვლისა, იმას ნიშნავს, რომ კაცობრიობამ, მსოფლიო საზოგადოებამ, ერთობლივად, ორგანიზებულად

განახორციელოს ბრძოლა, ისეთი საშიში ტრანსნაციონალური დანაშაულის წინააღმდეგ, როგორიცაა ადამიანით ვაჭრობა.

სასამართლო პრაქტიკაში გვხდება ისეთი შემთხვევაც, როცა ბრალდების დადასტურებისათვის თავად დაზარალებულის ჩვენებაც კი ვერ გამოდგება. ამის მაგალითია თბილისის საოლქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ განხილული სისხლის სამართლის საქმე ზოია ალოიანის მიმართ- ნომერი 1/ა-141 (ადამიანით ვაჭრობა).

განაჩენის სამოტივაციო ნაწილში ნათქვამია: დაზარალებულმა ნათია ხ-შვილმა და დაზარალებულმა თეა პ-შვილმა დაადასტურეს მათ მიერ წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენებები.

განა სასამართლოს მისია ისაა, რომ დარწმუნდეს – წინასწარი გამოძიების დროს პროცესის მონაწილეების მიერ მიცემული ჩვენება იდენტურია სასამართლო გამოძიების დროს მიცემული ჩვენებისა?

ზოია ალოიანის სისხლის სამართლის საქმეზე, ზოია ალოიანის ბრალდება გამყარებულია იმით, რომ: ზ. ალოიანმა გააყალბა დაზარალებულის - ნათია ხ-შვილისა და თეა პ-შვილის პასპორტები, კერძოდ, გადაასწორა დაბადების თარიღები, რამდენადაც „ქ. დუბაიში 30 წლამდე მანდილოსნებს არ უშვებდნენ," შემდგომ განაჩენში შენიშნულია, რომ ქ. დუბაის აეროპორტში გამოვლინდა ხსენებული პირების პასპორტებში სიყალბე და მოხდა მათი დეპორტაცია. განაჩენის მიხედვით, ამის შემდეგ დაზარალებულებმა დაწვეს ბილეთები და ვიზები, ხოლო პასპორტები კი მიუტანეს მ. ხ-შვილს, რაც ვერ იქნა ამოღებული.

გამოდის, რომ ზ. ალოიანის ბრალდების დამადასტურებელი

მთელი რიგი მტკიცებულებები (მათ შორის გაყალბებული პასპორტები) საქმეში არ არის, რჩება მხოლოდ დაზარალებულთა ჩვენებები, საიდანაც სრულებითაც არ დასტურდება დაზარალებულად ცნობილი გოგონების მოტყუების ფაქტი, რადგან მათ ვერ ჩააღწიეს დუბაიმდე. ამდენად, გაურკვეველია, რა ბედი ეწოდათ მათ, რომ ჩასულიყვნენ დანიშნულების ადგილას.

სასამართლოები საქმის განხილვისას ზოგჯერ გვერდს უვლიან პროცესის უშუალობისა და ზეპირობის პრინციპის გამოყენებას (სსსკ მე-20 მ-ის მე-2 და მე-3 ნაწ.- ძველი კოდექსი), რომლის მიხედვითაც სასამართლო სხდომაზე დაკითხული პირი ჩვენებას იძლევა ზეპირად (მე-2 ნ.) და სასამართლო გადაწყვეტილებას საფუძვლად უდევს მხოლოდ ის მტკიცებულებები, რომლებიც გამორკვეული იყო სასამართლო სხდომაზე მხარეთა მონაწილეობით (მე-3 ნ.).

ყველაფერი ეს კი ნიშნავს იმას, რომ სასამართლო გადაწყვეტილებას საფუძვლად უნდა დაედოს არა წინასწარ გამოძიებაში მიცემული ჩვენებები, არამედ პროცესზე უშუალოდ მოსმენილი და გამოკვლეული ჩვენებები (მართალია, შესაძლებელია ძიებაში მიცემული ჩვენების გამოქვეყნების შესაძლებლობაც, მაგრამ ეს კანონით დადგენილ შემთხვევაში).

ამის მაგალითად გამოდგება **თ. ქ-ავას მიმართ სს საქმე** ადამიანით ვაჭრობის ბრალდებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის მიერ გამოტანილ განაჩენში აღნიშნულია, რომ: „განსასჯელ თამარ ქარჩავას მიერ სასამართლო სხდომაზე მიცემული აღიარებითი ჩვენება დანაშაულის ჩადენის შესახებ, ასევე დადასტურებულია სისხლის სამართლის საქმეზე წინასწარი გამოძიებისას შეკრებილ მტკიცებულებათა ერთობლიობით" და ჩამოთვლის წინასწარი გამოძიების მიერ მოპოვებულ მტკიცებულებათა სახეებს. რის შედეგადაც დაასკვნის, ამდენად, „სასამართლოს დადასტურებუ-

ლად მიაჩნია, რომ განსასჯელმა თ.ქ-ავამ ჩაიდინა ადამიანით ვაჭრობა (ტრეფიკინგი), დაზარალებულის საზღვარგარეთ გავყანით, რაც გათვალისწინებულია საქართველოს სსსკ-ის 143[1] მუხლის მეორე ნაწილის „ე" ქვეპუნქტით."

როგორც ვხედავთ, უშუალოდ სასამართლო სხდომაზე მოსმენილ და გამოკვლეულ იქნა მხოლოდ განსასჯელის ჩვენება, რომელიც მართალია, იყო აღიარებითი, მაგრამ ეს სსს კანონმდებლობით სრულებით არაა საკმარისი გამამტყუნებელი განაჩენის დასადგენად.

სასამართლო განსასჯელის მიერ მიცემული ჩვენების დასადასტურებლად იშველიებს წინასწარ გამოძიებაში შეკრებილ მტკიცებულებებს, რაც მას უშუალოდ არ მოუსმენია და არ გამოუკვლევია.

პრაქტიკაში ვაწყდებით შემთხვევას, როცა გამოძიებამ მართალია, ისარგებლა საერთაშორისო სს დახმარებით, რის საფუძველზეც მოხდა დაზარალებულის მიერ დასახელებულ პირთა (სავარაუდოდ „ტრეფიკერთა") დაკითხვა, მაგრამ მათი ჩვენება სს საქმეში დარჩა მხოლოდ ჩვენებად და არ დადგა მათი სს პასუხისგებაში მიცემის საკითხი.

ამის მაგალითად გამოდგება სისხლის სამართლის საქმე ადამიანით ვაჭრობისათვის **მ- ა-იძის** ბრალდებაზე.

მოცემულ სისხლის სამართლის საქმეზე საერთაშორისო სამართლებრივი დახმარების გზით, საქართველოს გენერალური პროკურატურის წერილის საფუძველზე მოხდა თურქეთის მოქალაქეების დაკითხვა. მათი ჩვენებები გადმოგზავნილ იქნა საქართველოს გენერალურ პროკურატურაში და დაერთო საქმეს, მაგრამ უცნობია, რა ზომები გატარდა ადამიანით ვაჭრობაში მონაწილე თურქეთის მოქალაქეების მიმართ. კერძოდ, იქნენ თუ არა ისინი სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემულნი.

მაშ, რა აზრი აქვს იმ უცხოელთა დაკითხვას, რომელთაც ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლი ამხელს დანაშაულში, თუკი მათ მიმართ უცხო ქვეყანაში არ განხორციელდება სს დევნა და ამ საქმეში არ ითანამშრომლებენ საქართველოსა და სხვა ქვეყნის შესაბამისი ორგანოები?

ვფიქრობთ, უნდა შეიქმნას რაიმე სამართლებრივი მექანიზმი, რაც მოგვცემს იმის გარანტიას, რომ საერთაშორისო სისხლისსამართლებრივი დახმარების საფუძველზე მოპოვებული მტკიცებულებები არ დარჩება იურიდიული შეფასების გარეშე, როგორც საქართველოში, ისე სხვა ქვეყანაში. ეს კი აამაღლებს ამ ინსტიტუტის მნიშვნელობას ტრანსნაციონალური დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში.

გოჩა მამულაშვილი
სამართლის დოქტორი

თავი IV
არასრულწლოვნით – ვაჭრობის (ტრეფიკინგი) სამართლებრივ-სოციოლოგიური ანალიზი

§1. არასრულწლოვნით ვაჭრობა (ტრეფიკინგი)

მეთოდოლოგია. ბავშვთა ტრეფიკინგის კვლევისას დავემყარეთ სისხლის სამართლის სამეცნიერო ლიტერატურას, არასამთავრობო ორგანიზაციების სოციოლოგიურ კვლევებსა და ინფორმაციებს, საერთაშორისო აქტებს და ეროვნულ კანონმდებლობას, სასამართლო პრაქტიკას და სტატისტიკას, საგაზეთო სტატიებს და ინფორმაციებს ინტერნეტის ქსელში, Ecpat international-ის ანგარიშებს[72], ჩავატარეთ გამოკითხვა სხვადასხვა არასამთავრობო ორგანიზაციების და სამართალ-

[72] Ecpat _ აბრევიატურა ნიშნავს „ბოლო მოვუღოთ ბავშვთა პროსტიტუციას, ბავშვთა პორნოგრაფიას და ბავშვებით ვაჭრობას სექსუალური მიზნით". ეს არის საერთაშორისო ქსელი ორგანიზაციებისა და კერძო პირებისა, რომლებიც ერთად მუშაობენ ბავშვთა პროსტიტუციის, პორნოგრაფიის და ვაჭრობის აღმოსაფხვრელად. Ecpat-ის მანდატი ითვალისწინებს ბავშვთა კომერციულ სექსუალურ ექსპლუატაციასთან ბრძოლას. იგი დაარსდა 1991 წელს როგორც საზოგადოებრივი ორგანიზაციებისა და კერძო პირების ჯგუფი აზიაში ბავშვთა სექსტურიზმის აღმოფხვრის კამპანიისთვის. 1996 წელს ამ ჯგუფმა გააცნობიერა, რომ ბავშვთა კომერციული სექსუალური ექსპლუატაცია იზრდება და ხდება გლობალური ფენომენი, რომელსაც რამდენიმე ფორმა აქვს. გადაწყდა, რომ გაზრდილიყო მისი საზღვრები და მას მოეცვა ისეთი საკითხებიც, როგორიცაა ბავშვთა პორნოგრაფია და ბავშვებით ვაჭრობა სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით. იგი საერთაშორისო საზოგადოებრივ ორგანიზაციად გადაიქცა. მისი ქსელი შედგება 69 ჯგუფისა და ინდივიდუალური წევრისგან, რომლებიც მსოფლიოს 70-ზე მეტ ქვეყანაში მუშაობენ. მისმა კვლევებმა და ანგარიშებმა დიდი დახმარება გაგვიწია პრობლემის შესწავლასა და გაანალიზებაში.

დამცავი ორგანიზაციების წარმომადგენლებთან, რომლებიც ტრეფიკინგის მსხვერპლ ბავშვებთან მუშაობენ.

კვლევისთვის შეძლებისდაგვარად მრავალმხრივი ინფორმაცია მოვიპოვეთ. აქვე აღვნიშნავთ, რომ არასრულწლოვანთა წინააღმდეგ დანაშაულის შესახებ მონაცემთა ერთიანი ბაზის არარსებობა საქართველოში დიდი ხელშემშლელი ფაქტორია წარმატებული კვლევისა და სწორი დასკვნების გასაკეთებლად.

ძირითადი ნორმატიული ბაზა ბავშვთა ტრეფიკინგისა და სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ

XX საუკუნის პირველი ნახევრიდან მსოფლიო თანამეგობრობის ზრუნვის საგნად იქცა ბავშვთა უფლებების დაცვის უზრუნველყოფა. სახელდობრ, 1924 წელს ჟენევაში მიღებულ იქნა დეკლარაცია ბავშვის უფლებების შესახებ, 1959 წელს — გაეროს დეკლარაცია ბავშვის უფლებების შესახებ, 1989 წელს — გაეროს კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, 1995 წელს — პეკინის მოქმედებათა პლატფორმა, 1996 წელს ბავშვთა კომერციული სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ საერთაშორისო კონგრესზე, სტოკჰოლმში, შემუშავდა ღონისძიებათა გეგმა, რომელიც სტოკჰოლმის გეგმის სახელითაა ცნობილი. დღეისათვის ეს გეგმა მიღებული და აღიარებულია 161 ქვეყნის მიერ. ამ ღონისძიებათა გაგრძელება იყო მეორე კონგრესი, რომელიც 2001 წელს ჩატარდა იაპონიაში (იოკოჰამა) და მესამე კონგრესი, რომელიც ბრაზილიაში ჩატარდა 2008 წელს და ა.შ.

დღესდღეობით საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ ადამიანებით ვაჭრობასა და მონობასთან საბრძოლველად მიღებულია საერთაშორისო აქტების ისეთი რაოდენობა, რომელსაც თავისთავად სჭირდება სისტემატიზაცია და განზოგადე-

ბა მათი ურთიერთკავშირის ასახსნელად, წინააღმდეგობათა აღმოსაფხვრელად. (დღეისათვის მიღებულია 22 აქტი).

როგორც აღვნიშნეთ, პირველი დამოუკიდებელი დოკუმენტი, რომელიც მსოფლიო თანამეგობრობამ ბავშვთა უფლებების დასაცავად მიიღო, იყო ბავშვის უფლებების ჟენევის დეკლარაცია, რომელიც ჯერ კიდევ 1924 წელს გამოცხადდა. ბავშვის უფლებების შესახებ სხვა უმნიშვნელოვანეს საერთაშორისო დოკუმენტებს მიეკუთვნება — მსოფლიო დეკლარაცია ბავშვთა გადარჩენის, დაცვისა და განვითარების უზრუნველყოფის შესახებ, რომელიც მიღებულია გაეროს 1990 წლის 30 სექტემბრის მსოფლიო შეხვედრაზე.

2002 წლის ბრიუსელის დეკლარაცია ადამიანებით ვაჭრობის აღკვეთის შესახებ, პრიორიტეტულ ინტერესად თვლის ბავშვებით ვაჭრობასთან ბრძოლას. დეკლარაცია ევროპულ და მსოფლიო საზოგადოებას მოუწოდებს ამ მიმართულებით ძალისხმევის შემდგომი განვითარებისკენ, აგრეთვე, კონკრეტული ღონისძიებების და სტანდარტების შემუშავებისა და საუკეთესო გამოცდილების გავრცელებისაკენ ადამიანით ვაჭრობასთან საბრძოლველად.

2000 წლის 15 ნოემბერს პალერმოში (იტალია) მიღებულ იქნა ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის ადამიანთა, განსაკუთრებით ქალებითა და ბავშვებით ვაჭრობის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დამნაშავეთა დასჯის დამატებითი პროტოკოლი. ამ დოკუმენტში მოცემულია ადამიანებით ვაჭრობის ძალიან ფართო განმარტება. ოქმი ასევე განმარტავს ექსპლუატაციის ცნებასაც.

ბოლო წლებში ევროპის საბჭომ დიდი როლი ითამაშა რიგი საკანონმდებლო მექანიზმების მომზადებაში ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ საბრძოლველად. სახელდობრ, 2004 წელს ძალაში შევიდა კონვენცია კიბერ-

დამნაშავეობის შესახებ, რომლის მიხედვითაც რეკომენდებულია, კრიმინალიზებულ იქნეს კომპიუტერული სისტემის მეშვეობით ბავშვთა პორნოგრაფიის დამზადება, გავრცელება, გადაცემა, შეთავაზება, ასევე მისი ფლობა კომპიუტერულ სისტემაში ან მონაცემთა შენახვის საშუალებებში. 2005 წლის 16 მაისს მიღებულია ევროპის საბჭოს კონვენცია ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ; ცოტა ხნის წინ ევროპის საბჭომ მიიღო ახალი კონვენცია ბავშვთა დასაცავად ექსპლუატაციისა და სექსუალური ხასიათის ხელყოფისაგან (CSEA), რომელიც ღიაა ხელმოსაწერად 2007 წლის 25 ოქტომბრიდან. კონვენცია მიზნად ისახავს ბავშვებზე სექსუალური ძალადობის და სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ ბრძოლას, მსხვერპლი ბავშვების უფლებების დაცვას, საერთაშორისო თანამშრომლობის გაძლიერებას ამ მოვლენასთან საბრძოლველად. საინტერესოა ის ფაქტი, რომ ეს კონვენცია დანაშაულად აღიარებს საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მეშვეობით ბავშვთა პორნოგრაფიასთან დაშვების შესაძლებლობის შეგნებულად მიცემას და შემოაქვს ახალი დანაშაულის განსაზღვრება, რომელიც ქართულად ვთარგმნეთ როგორც „კიბერ-არშიყი“.

ზემოთ მოტანილი საერთაშორისო შეთანხმებების და კონვენციების დებულებები ამა თუ იმ ფორმით და ხარისხით ტრანსფორმირებულია არაერთი ქვეყნის ეროვნულ კანონმდებლობაში. დღეისთვის მსოფლიოს 180 ქვეყანას აქვს კანონმდებლობა ადამიანებით ვაჭრობასთან საბრძოლველად, თუმცა ეს მექანიზმები ურთიერთგანსხვავებულია. ქვეყნების ერთი ნაწილი ადამიანებით ვაჭრობას აიგივებს პროსტიტუციასთან და მაჭანკლობასთან (გერმანია, ჰოლანდია, ესპანეთი და სხვ.), ქვეყნების მეორე ნაწილი ადამიანებით ვაჭრობას არ აიგივებს მაჭანკლობასთან ან იძულებით პროსტიტუციასთან და დამოუკიდებელ პასუხისმგებლობას ადგენს უშუალოდ ადამიანის გაყიდვისთვის (პოლონეთი, უკრაინა, საქართველო

და სხვ.). არის ქვეყნები, რომლებიც ადამიანით ვაჭრობას თუმცა არ აიგივებენ მაჭანკლობასთან, მაგრამ არც ცალკე პასუხისმგებლობას ადგენენ ადამიანის ყიდვა-გაყიდვისთვის. მათი კოდექსებით გათვალისწინებულია პასუხისმგებლობა ადამიანის მოტაცებისთვის ან/და თავისუფლების უკანონო აღკვეთისთვის. ტერმინი „ადამიანით ვაჭრობა" მათ კოდექსებში არ გამოიყენება (იაპონია, დანია, შვეცია, ბულგარეთი და სხვ.). ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობით პასუხისმგებლობა ცალკეა გათვალისწინებული ადამიანების გადაბირებისთვის სექსუალური ან სხვა სახის ექსპლუატაციისთვის (ისრაელი, ბელარუსი, უზბეკეთი და სხვ.).[73]

ყოველივე ეს იმაზე მეტყველებს, რომ სხვადასხვა კულტურებს და საერთაშორისო წყაროებს განსხვავებულად ესმით ამ მოვლენის შინაარსი.

რაც შეეხება ქართული ანტიტრეფიკინგული კანონმდებლობის გენეზისს, ძველი ქართული სამართლის ძეგლები ტერმინს „ადამიანებით ვაჭრობა" არ იცნობს, თუმცა ბავშვების მოტაცება და სტამბულის ბაზარზე გაყიდვა ქართული სინამდვილის სამარცხვინო ფურცელი იყო. სწორედ ამიტომ, ძველი ქართული სამართლის წყაროებში ადამიანის გაყიდვის ამკრძალავ ნორმებს ვხვდებით. მაგალითად, მე-16 საუკუნის პირველი ნახევრის ქართული სამართლის ძეგლი „კათალიკოსთა სამართალი" გვამცნობს, რომ თუ ვინმე კაცს გაყიდის, მიუხედავად სოციალური მდგომარეობისა, შეჩვენებით დაისჯება (შეჩვენება უმაღლესი საეკლესიო სასჯელია). თუ გამოძიებით უცილობლად დადგინდება, რომ პირმა კაცი გაყიდა, უნდა დაიხსნას და საურავი დააურვოს მისი სამწყსოს ეპისკოპოსს და მის ბატონს. თუ ამას ვერ გააკეთებს- სიკვდილით დაისჯება (ძელსა მიეცეს).[74] ვახტანგ მეექვსის

[73] იხ. Предотвращение торговли людьми и эксплуатации детей, Киев, 2006.
[74] იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტომი I, თბ., 1963, გვ. 393.

სამართლის წიგნის 96-ე და 97-ე მუხლები ადამიანის, მათ შორის ბავშვის გაყიდვის აკრძალვას ეთმობა[75].

სსრ კავშირი ადამიანებით ვაჭრობის პრობლემას არ აღიარებდა. შესაბამისი საერთაშორისო სამართლებრივი აქტების რატიფიკაციის დროს სპეციალურ დათქმას აკეთებდა იმის შესახებ, რომ ამგვარი მოვლენა ქვეყანაში არ არსებობს და რატიფიკაცია მხოლოდ იმ მიზნით ხდებოდა, რომ სხვა ქვეყნების ძალისხმევისთვის მხარი დაეჭირა. ცხადია, რომ ყველაფერი ასეთი ცალსახა არ იყო. საუკუნის ბევრი გრანდიოზული მშენებლობა იძულებითი შრომით ხორციელდებოდა, რომელიც სცილდებოდა შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის სტანდარტებს და ექსპლუატაციის სახე ჰქონდა.[76] სამშობიარო სახლებიდან ჩვილ ბავშვთა გაყიდვა ასევე ჩვეულებრივი პრაქტიკა იყო საბჭოთა სინამდვილეში.

1990-იანი წლების დასაწყისში სსრ კავშირის დაშლამ, გეგმიური ცენტრალიზებული ეკონომიკიდან საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ, დიდი სოციალური ძვრები გამოიწვია. პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ეკონომიკურმა ვარდნამ განაპირობა უმუშევრობა, ცხოვრების პირობების მკვეთრი გაუარესება, მასობრივი მიგრაცია დასავლეთის ქვეყნებში. ასეთ ვითარებაში ბავშვთა დიდი რაოდენობა აღმოჩნდა დაუცველი სხვადასხვა ფორმის ექსპლუატაციისგან.

1997 წლის 17 ოქტომბრის კანონით, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 127[2]-ე მუხლი — ბავშვით ვაჭრობა, რომლითაც პასუხისმგებლობა დადგინდა ბავშვის ყიდვა-გაყიდვისა ან სხვა გარიგების განხორციელებისთვის. ამავე შინაარსის ნორმამ ასახვა ჰპოვა ახალი სისხლის სამართლის კოდექსის 172-ე მუხლში. 2006 წლის 25 ივლისს სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 143[2]-ე მუხლი არასრულწლოვნით ვაჭრობა, რომელშიც საერთაშორისო სტან-

[75] იხ. ქართული სამართლის ძეგლები, ტომი I, თბ., 1963, გვ. 506.

[76] იხ. Е. Б. Мизулина, Торговля людьми и рабство в России, М., 2006.

დარტების შესაბამისად ჩამოყალიბდა ტრეფიკინგის დანაშაულის შემადგენლობა, ხოლო 2007 წლის 8 მაისს, ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს რეკომენდაციის საფუძველზე სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა 143[3]-ე მუხლი — ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობა. ევროსაბჭოს ჩარჩო გადაწყვეტილებების საფუძველზე სისხლის სამართლის კოდექსს ასევე დაემატა 255[1]-ე (არასრულწლოვანის ჩაბმა პორნოგრაფიული ნაწარმოების დამზადებასა და გასაღებაში, 25.07.2006) და 344[1]-ე მუხლი (საქართველოს სახელმწიფო საზღვარზე მიგრანტის უკანონო გადაყვანა ან/და საქართველოში ყოფნისთვის შესაბამისი პირობების შექმნა, 25.07.2006).

ბავშვთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ეროვნულ მექანიზმებს (ინსტრუმენტებს) შორის უნდა დავასახელოთ საქართველოს 2006 წლის 28 აპრილის კანონი ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. ამასთანავე, საქართველომ შეიმუშავა და 2006 წლის 20 ნოემბრიდან აამოქმედა მსხვერპლის ინტერესების დაცვაზე ორიენტირებული ეროვნული რეფერალური მექანიზმი. ტრეფიკინგის მსხვერპლ, დაზარალებულ ბავშვთა მიმართ გამოიყენება გაეროს 1989 წლის ბავშვთა უფლებათა კონვენციით და ადამიანებით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ ევროპის საბჭოს კონვენციით გათვალისწინებული ბავშვთა უფლებათა დაცვის მექანიზმები და საერთაშორისო ორგანიზაციების მიერ ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლ ბავშვთა უფლებების დაცვის შესახებ მიღებული სახელმძღვანელო მითითებები.

2006 წელს მიღებულ იქნა კანონი „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“, რომელიც ოჯახში ძალადობის მსხვერპლ ბავშვთა დაცვასა და რეაბილიტაციას ითვალისწინებს.
ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ საქართველოს გააჩნია სა-

თანადო ნორმატიული ბაზა, როგორც ადამიანებით ვაჭრობასთან, ისე მომიჯნავე დანაშაულებთან საბრძოლველად, როგორებიცაა: უკანონო მიგრაცია, არასრულწლოვნის ჩაბმა პროსტიტუციაში, პორნოგრაფიული ნაწარმოების დამზადებასა და გასაღებაში, მათხოვრობასა ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში, ადამიანის ორგანოს ან ქსოვილის აღების იძულება, უკანონო გარიგება შვილად აყვანის მიზნით და სხვ.

§ 2. ბავშვების ტრეფიკინგი და კომერციული სექსუალური ექსპლუატაცია როგორც თანამედროვეობის გლობალური პრობლემა

საერთაშორისო სტანდარტებით ბავშვად ითვლება 18 წლამდე ასაკის ყოველი ადამიანი, თუკი რომელიმე ქვეყნის კანონმდებლობის მიხედვით, ბავშვი უფრო ადრე არ აღწევს სრულწლოვნებას.

მსოფლიოში წლიდან წლამდე სულ უფრო მეტი ბავშვი გაჰყავთ სხვადასხვა ქვეყნებსა თუ რეგიონებში ამა თუ იმ არალეგალური სამუშაოს შესასრულებლად, კომერციული სექსუალური ექსპლუატაციისათვის, შვილად ასაყვანად და სხვა მიზნით.

ექსპერტების შეფასებით ყოველწლიურად მსოფლიოში 1-1,2 მილიონი ბავშვი ხდება ვაჭრობის მსხვერპლი. არსებობს ასეთი სტატისტიკაც: გლობალური მასშტაბით ტრეფიკინგის მსხვერპლთა 80%-მდე გოგონებია, აქედან 50% არასრულწლოვანია. თუმცა დღესდღეობით ვაჭრობისა და ექსპლუატაციის მსხვერპლი ბავშვების ზუსტი რიცხვის განსაზღვრის შესაძლებლობა არ არსებობს, რადგანაც არ არსებობს საყოველთაოდ აღიარებული მეთოდიკა ამგვარი შეფასებებისთვის, ასევე ტრეფიკინგის შინაარსის ერთგვაროვანი გაგება სხვადასხვა კულტურებში. შედარებით იოლია ამ ციფრის განსაზღვრა ერთი ქვეყნის ფარგლებში, თუმცა აქაც სხ-

ვადასხვა წყაროდან მიღებული ინფორმაცია მათ საკუთარ ინტერესებს უფრო ასახავს, ვიდრე პრობლემის არსს. მაგალითად, სახელმწიფო ინფორმაციის წყაროები ამცირებენ ან საერთოდ უარყოფენ პრობლემის არსებობას, საერთაშორისო არენაზე საკუთარი რეპუტაციის დასაცავად, ხოლო არასამთავრობო ორგანიზაციების მონაცემები ხშირად მოკლებულია დასაბუთებულობას.

ბავშვთა უფლებების დამცველი ორგანიზაციების მართებული მიდგომით, ერთი ბავშვის ექსპლუატაციაც კი, უკვე ბევრია.

თუმცა, სამწუხაროდ, ამგვარი ბავშვების რაოდენობა მილიონებს აღწევს.

ბავშვებით ვაჭრობა ხორციელდება როგორც ამა თუ იმ ქვეყნის ფარგლებს გარეთ, ისე ერთი ქვეყნის შიგნითაც. უფრო გავრცელებულ მოვლენად ითვლება მათი საზღვარგარეთ გაყიდვა. ადამიანებით ვაჭრობასთან დაკავშირებულ ქვეყნებს, გეოგრაფიული საზღვრების გადალახვით სამ კატეგორიად ყოფენ: წარმოშობის ქვეყანა, ტრანზიტის ქვეყანა და დანიშნულების ქვეყანა. ზოგიერთი ქვეყანა სამივე კატეგორიაში ხვდება, მაგალითად, რუსეთი, ჩინეთი, ბრაზილია და სხვ.

იარაღითა და ნარკოტიკებით ვაჭრობისაგან განსხვავებით ბავშვებით ვაჭრობა შედარებით უსაფრთხო, ნაკლებად სარისკო ბიზნესია. თანაც ბავშვები რამდენჯერმე შეიძლება იქცნენ ყიდვა-გაყიდვის საგნად, რასაც მილიარდობით შემოსავალი მოაქვს.

ვაჭრობის და საზოგადოდ ექსპლუატაციის მსხვერპლი ბავშვების ზრდა დაკავშირებულია ეკონომიკურ კრიზისთან, სიღარიბესთან, საომარ კონფლიქტებთან, ბუნებრივ კატაკლიზმებთან, სუსტ საიმიგრაციო კონტროლთან, არასრულწლოვნების სექსუალურ მომსახურებაზე მოთხოვნილების ზრდასთან და სხვა უამრავ მიზეზთან.

ვაჭრობის ან სხვა უკანონო გარიგების მსხვერპლი ბავშვები გამოიყენება კომერციული სექსუალური ექსპლუატაციისთვის, რომლის ფორმებია ბავშვთა პროსტიტუცია, ბავშვთა პორნოგრაფია, ბავშვთა სექსტურიზმი, ასევე შრომის ექსპლუატაციისთვის; დანაშაულებრივ, თუ სხვა ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში ჩასაბმელად, იძულებითი დონორობისთვის და სხვ.

სრულწლოვანთა ტრეფიკინგის მსგავსად, ბავშვთა ტრეფიკინგიც, სამ სტადიას მოიცავს: მსხვერპლის გადაბირება, ტრანსპორტირება და გადაცემა ექსპლუატაციისთვის, მაგრამ ეს სტადიები შესაძლოა ნაწილობრივ დაემთხვეს. ბავშვები ტრეფიკინგის მსხვერპლი ხშირად იმავე მიზეზებით ხდებიან, რითაც სრულწლოვნები, მაგრამ ბავშვები სხვადასხვა ცხოვრებისეული გამოწვევების წინაშე გამოუცდელები არიან მათი ფიზიკური და გონებრივი მოუმწიფებლობის გამო, ხოლო სოციალური უზრუნველყოფის და მართლმსაჯულების სახელმწიფოებრივი სისტემა ხშირად ბავშვებს არ იცავს სათანადოდ. ამგვარად ბავშვების ექსპლუატაცია უფრო იოლია, ვიდრე დიდების. არ არსებობს ტრეფიკინგის მსხვერპლი ბავშვის ტიპი, მაგრამ არსებობს უამრავი მიზეზი, რაც ბავშვს დაუცველს ხდის. ადამიანებით ვაჭრობაში ბავშვების ჩათრევის ძირითად ხერხად თვლიან მიმზიდველი პირობების შეთავაზებას. ფულის შოვნის შესაძლებლობაზე ბავშვების დარწმუნება იოლია, რადგან ისინი იჯერებენ ყველა ისტორიას, რასაც უყვებიან. ტრეფიკინგის მსხვერპლად ქცეული ბევრი ბავშვი თვლის, რომ ნამდვილი სამუშაო შესთავაზეს სასტუმროში, კაფე-ბარში, კერძო სახლში. კომერციული გარიგების მონაწილე ბავშვებმა ზოგჯერ იციან, რომ უფროსი ადამიანების სექსუალური მომსახურებისათვის გამოიყენებენ, მაგრამ წარმოდგენაც არა აქვთ იმ ძალადობაზე, რომელსაც დაექვემდებარებიან.

ტრეფიკინგის მსხვერპლ დიდ რისკჯგუფს შეადგენს ოჯახურ ძალადობას გამოქცეული ბავშვები. არასრულწლოვნები,

რომლებსაც სურთ გაექცნენ ოჯახურ უბედურებას, არ უფიქრდებიან მოსალოდნელ პრობლემებს, მათ არა აქვთ საფრთხეების განჭვრეტის გამოცდილება. ამგვარი ბავშვების გადაბირება შესაძლებელია ისეთი ხერხებითაც, როგორიცაა თავშესაფრის და საჭმლის შეთავაზება. უპატრონო და მიუსაფარი ბავშვებით მანიპულირება იოლია, მათ ინტერესებს არავინ დაიცავს, არავინ გამოესარჩლება. ტრეფიკინგის ორგანიზატორებმა კარგად იციან ამის შესახებ და მზად არიან ისარგებლონ ამით საკუთარი მიზნებისთვის. ზოგიერთი მშობელი შეგნებულად ყიდის თავის ბავშვს ადამიანით მოვაჭრეებს. ამის ერთ-ერთი მიზეზი სიღარიბეა, მაგრამ სხვა ფაქტორებიც მოქმედებენ: ოჯახში ინცესტის დამალვის აუცილებლობა, ნარკოტიკებზე დამოკიდებულება, იოლად ფულის შოვნის სურვილი, გოგონების დისკრიმინაცია და სხვ. დადგენილია, რომ ბავშვის ნაცნობ ადამიანებს უმნიშვნელო ანაზღაურების სანაცვლოდ, შეუძლიათ გადამბირებლის როლი ითამაშონ და დაარწმუნონ ბავშვი ჩაებას სხვადასხვა სახის კომერციულ სექსუალურ ურთიერთობებში ანდა სახლიდან შორს წავიდეს ბედის საძებრად. ხშირად ბავშვები საზღვარგარეთ წასვლის გადაწყვეტილებას იღებენ თავისი და მშობლების მატერიალური მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, თავდაჯერებლობის და დამოუკიდებლობის მოსაპოვებლად, მსოფლიოს სანახავად და სხვ. ოჯახის წევრები ხშირად ამას არ ეწინააღმდეგებიან, რადგან მათგან ფულად გზავნილებს ელოდებიან. უცხოეთში წასვლას ადვილად თანხმდებიან საკუთარ სამშობლოში პერსპექტივადაკარგული ბავშვები, ისინი ცდილობენ გაექცნენ თავი ქვეყანაში არსებულ რეალობას და უკეთესი ცხოვრება იპოვონ სხვაგან, ზოგიერთი დაქორწინებაზე ფიქრობს ან სწავლაზე და ა.შ.

ზოგჯერ ადამიანით მოვაჭრეები იტაცებენ და ყიდიან არასრულწლოვნებს, მათი გადაბირებისთვის ასევე მიმართავენ მუქარას და იძულებას, გარდა უხეში ფიზიკური ძალადობისა, ზოგიერთი მსხვერპლი არაცნობიერ მდგომარეობაში

მოჰყავთ ალკოჰოლის, ნარკოტიკის, ტოქსინების გამოყენებით და შემდგომ ახორციელებენ მათ გადაადგილებას.

ბავშვების ვიქტიმიზაციის პროცესის ხელშემწყობ გარემოებებზე ქვემოთ ვიმსჯელებთ.

მსხვერპლის გადაბირების შემდეგ ხდება მისი გადაყვანა დანიშნულების (ექსპლუატაციის) ადგილზე. ტრეფიკინგის ეს სტადია არ განსხვავდება სრულწლოვანთა ტრეფიკინგისგან. მსხვერპლის ტრანსპორტირების ხერხები და საშუალებები (ლეგალური ან არალეგალური გადაადგილება, სახმელეთო, საზღვაო ან საჰაერო ტრანსპორტით, როგორც წესი არაჰუმანურ და საშიშ პირობებში) დამოკიდებულია იმაზე, კარგად ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფთან (ორგანიზაციასთან) გვაქვს საქმე, თუ სპონტანურად მოქმედთან, ანდა ინდივიდუალურად, ადამიანით ვაჭრობის გარიგების რომელიმე სტადიაში მონაწილე პირთან. როგორც წესი, ადამიანით მოვაჭრე უზრუნველყოფს მგზავრობისთვის აუცილებელ დოკუმენტებს, მგზავრობისთვის საჭირო თანხას და სატრანსპორტო საშუალებებს.

საბოლოოდ, დანიშნულების ადგილას მისული მსხვერპლი დანაშაულებრივი ორგანიზაციის ან ინდივიდუალური მოვაჭრის საკუთრება ხდება, საიდანაც მოგება უნდა ნახონ. ამ ეტაპზე, ასევე, მნიშვნელოვანია მსხვერპლზე კონტროლი, რათა თავიდან იქნეს აცილებული გაქცევა. ამისთვის სხვადასხვა მეთოდებს მიმართავენ, როგორიცაა მსხვერპლის იზოლირება, თავისუფალი გადაადგილების შესაძლებლობის აღკვეთა, მუქარა, შანტაჟი (ოჯახის წევრების მიერ დაგმობის შიში), სავალო კაბალა და სხვ.

ბავშვებით ვაჭრობა სხვადასხვა ფორმებს იღებს: ორგანიზებული პროსტიტუცია, პორნოგრაფია, სექსტურიზმი და ა.შ. საერთაშორისო მასშტაბით ცნობილია ბავშვთა ექსპლუატა-

ციის შემდეგი ფორმები: კომერციული სექსუალური ექსპლუატაცია, რომელიც თავის მხრივ მოიცავს ბავშვთა პროსტიტუციას, ბავშვთა პორნოგრაფიას, ბავშვთა სექს-ტურიზმს; ბავშვთა შრომის ექსპლუატაცია, არასრულწლოვანის ჩაბმა დანაშაულებრივ ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში (წვრილმანი ქურდობა, მათხოვრობა და სხვა); ორგანოებით ვაჭრობა (იძულებითი დონორობა); არასრულწლოვნების გამოყენება შეიარაღებულ კონფლიქტებში, ნაადრევი ქორწინებები და უკანონო შვილება (არსებობს მრავალი დემოგრაფიული, სოციალური და კულტურული ხასიათის მიზეზი, რის გამოც იზრდება მოთხოვნილება არასრულწლოვან ცოლებზე და კომერციული მიზნით შვილად აყვანაზე).

ზოგჯერ ბავშვები კომერციული სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლნი ხდებიან სხვა, ნაკლებად თვალშისაცემ სიტუაციაშიც, მაგალითად, შინამოსამსახურის სახით მათი ექსპლუატაციის დროს, ამ შემთხვევაში ბავშვს ქირაობენ კერძო სახლში ან რეზიდენციაში გარკვეული სამუშაოს შესასრულებლად, მაგრამ დამსაქმებელი თვლის, რომ ეს ბავშვი შესაძლებელია გამოყენებულ იქნეს სექსუალური მიზნებითაც.

სტოკჰოლმის 1996 წლის მსოფლიო კონგრესზე მიღებული დეკლარაციის მიხედვით „ბავშვთა კომერციული სექსუალური ექსპლუატაცია — ბავშვის უფლებების სერიოზული დარღვევაა. იგი მოიცავს სრულწლოვნის მხრიდან ბავშვზე სექსუალურ ძალადობას ან ექსპლუატაციას და ფულით ანდა ნატურით ანაზღაურებას ბავშვისთვის ან მესამე პირისთვის. ბავშვი განიხილება როგორც სექსის და ვაჭრობის საგანი. ბავშვთა კომერციული სექსუალური ექსპლუატაცია არის იძულების და ძალადობის ფორმა ბავშვებზე და უთანაბრდება იძულებით შრომას და მონობის თანამედროვე ფორმას“. ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია ხშირად ტრეფიკინგის შედეგია, ზოგჯერ კი მისი დასაწყისი; ეს არის სექსუალური ძალადობა, რომელსაც სრულწლოვანი ადამიანი ან თანა-

ტოლი სჩადის 18 წელს მიუღწეველთან, ფულადი ან ნატურალური ანაზღაურების სანაცვლოდ, რომელსაც თავად ბავშვს ან მესამე პირს უხდიან.

საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, ბავშვთა კომერციული სექსუალური ექსპლუატაცია კომერციული გარიგებაა, რომელსაც მოგება მოაქვს ერთი ან რამდენიმე პირისთვის. აქ შედის ნატურით ანაზღაურებადი გარიგებებიც, რადგან, ხშირად ეს გარიგებები განიხილება როგორც ბავშვის თანხმობით განხორციელებული. სინამდვილეში კი ბავშვის სექსუალური ექსპლუატაცია ხორციელდება მფარველობის, ღამის გასათევის, სკოლაში კარგი შეფასებების მიღების, სამსახურში დაწინაურების სანაცვლოდ და სხვ. ამგვარ გარიგებაზე ბავშვი გაცნობიერებულ თანხმობას ვერავის მისცემს და იგი იმ ადამიანების მსხვერპლი ხდება, ვინც ბოროტად იყენებს თავის მდგომარეობას და ძალაუფლებას. ბავშვი ამ დროს იმყოფება უფროსი ადამიანის გავლენის ქვეშ, ამიტომ ისეთ რამეს აკეთებს, რასაც ჩვეულებრივ ვითარებაში არ გააკეთებდა. ბავშვები არასოდეს აკეთებენ არჩევანს სექსუალურ ექსპლუატაციაზე, ამის გაკეთებას მათ აიძულებენ უფროსი ადამიანები მოტყუებით, ეშმაკობით, ვერაგობით, მუქარით ან ძალადობით.

ამგვარად, ბავშვთა კომერციულ სექსუალურ ექსპლუატაციას ადგილი აქვს მაშინ, როცა სრულწლოვნები იყენებენ ბავშვს სექსუალური მიზნით და ანაზღაურებენ ამას ფულით, საჩუქრებით ან მომსახურებით. საჩუქარი შეიძლება იყოს, მაგალითად საჭმელი ან ტანსაცმელი, ხოლო მომსახურებად შეიძლება ჩაითვალოს თავშესაფრის მიცემა ან ბავშვის დაცვა (მფარველობა).

Ecpat-ის მონაცემებით ბავშვთა კომერციული სექსუალური ექსპლუატაცია შეიძლება განხორციელდეს სხვადასხვა სიტუაციაში (ვითარებაში), კერძოდ, ეს ხდება მაშინ როცა: ა) ადა-

მიანები ბავშვებთან სექსისთვის ფულს იხდიან ბორდელებში, საკუთარ სახლებსა (ბინებსა) თუ ქუჩაში; ბ) ადამიანები ბავშვთან სქესობრივ აქტს იწერენ ვიდეოფირზე ან ამზადებენ ფოტოებს, გ) ბავშვებს ყიდიან და ყიდულობენ, რათა ადამიანებს მათთან სექსი ჰქონდეთ; დ) ადამიანები მოგზაურობენ ისეთ ადგილებში, სადაც შესაძლებელია ბავშვებთან სექსუალური ურთიერთობა ფულის ან საჩუქრის სანაცვლოდ.[77]

შრომის საერთაშორისო ორგანიზაცია ბავშვთა კომერციულ სექსუალურ ექსპლუატაციას განიხილავს ბავშვთა შრომის უკიდურეს ფორმად (შსო 1999 წლის კონვენცია ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების შესახებ). სახელდობრ, ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმები მოიცავს: ა) მონობის ან მონობის მსგავსი პრაქტიკის ყველა ფორმას, როგორიცაა, მაგალითად, ბავშვების გაყიდვა და ბავშვებით ვაჭრობა, სავალო კაბალა და ბატონყმური დამოკიდებულება, აგრეთვე იძულებითი ან სავალდებულო შრომა, მათ შორის ბავშვების იძულებითი ან სავალდებულო დაქირავება შეიარაღებულ კონფლიქტებში მათი გამოყენების მიზნით; ბ) ბავშვის გამოყენებას, შეთავაზებას ან დაქირავებას პროსტიტუციაში, პორნოგრაფიული პროდუქციის შექმნისთვის, ან პორნოგრაფიული წარმოდგენისთვის; გ) ბავშვის გამოყენებას, დაქირავებას ან შეთავაზებას მართლსაწინააღმდეგო საქმიანობისთვის, კერძოდ, ნარკოტიკების წარმოებისა და გაყიდვისთვის, როგორც ეს განსაზღვრულია შესაბამის საერთაშორისო ხელშეკრულებებში; დ) სამუშაოს, რომელმაც თავისი ხასიათით ან პირობით, რომელშიც ის სრულდება, შეიძლება ზიანი მიაყენოს ბავშვების ჯანმრთელობას, უსაფრთხოებას ან ზნეობას.

ბავშვის უფლებათა კონვენციის 34-ე მუხლის მიხედვით, სახელმწიფოები ვალდებულებას კისრულობენ დაიცვან ბავშვი სექსუალური ექსპლუატაციის და სექსუალური ცდუნების ყველა ფორმისგან. ამ მიზნით მონაწილე სახელმწიფოე-

[77] იხ. www. Ecpat international.net.

ბი ღებულობენ ყველა აუცილებელ ზომას, რათა თავიდან აიცილონ: ა) ბავშვის დაყოლიება ნებისმიერ უკანონო სექსუალურ ქმედებაზე ან ბავშვის იძულება მონაწილეობდეს ასეთ ქმედებაში; ბ) ექსპლუატაციის მიზნით ბავშვის გამოყენება პროსტიტუციაში ან სხვა უკანონო სექსუალურ პრაქტიკაში; გ) ექსპლუატაციის მიზნით ბავშვის გამოყენება პორნოგრაფიასა და პორნოგრაფიულ მასალებში. მონაწილე სახელმწიფოები, ასევე, ღებულობენ ყველა აუცილებელ ზომას, რათა თავიდან აიცილონ ბავშვთა მოტაცება, ბავშვებით ვაჭრობა ან მათი კონტრაბანდა ნებისმიერი მიზნებით და ნებისმიერი ფორმით.

ბავშვთა პროსტიტუცია. ბავშვთა პროსტიტუციის განმარტება მოცემულია ბავშვის უფლებათა კონვენციის დამატებით ოქმში, რომლის მიხედვითაც ბავშვთა პროსტიტუცია ნიშნავს ბავშვის გამოყენებას სექსუალური ხასიათის მოქმედებებში ფულადი ან სხვა სახის ანაზღაურების ფასად (მუხლი მე-2).

ოქმი მონაწილე სახელმწიფოებს რეკომენდაციას აძლევს კრიმინალიზებულ იქნეს ბავშვის შეთავაზება, მიღება, მიწოდება ან ბავშვებით უზრუნველყოფა პროსტიტუციის მიზნით.

ბავშვთა პროსტიტუცია უძველესი და გლობალური პრობლემაა. გაეროს ბავშვთა ფონდის მონაცემებით, მსოფლიოში, ყოველდღიურად, დაახლოებით 2800 ბავშვს აიძულებენ პროსტიტუციას. პროსტიტუციაში ითრევენ როგორც გოგონებს, ისე ბიჭებს. ამასთანავე, ექსპერტები მიანიშნებენ პროსტიტუციაში ჩაბმული ბიჭების რაოდენობის ზრდის ტენდენციაზე. მაგალითად, აშშ-ში კომერციულ სექსუალურ ექსპლუატაციაში ჩაბმულთა 51%-ს ბიჭები შეადგენენ. საზოგადოდ, მსოფლიოში ათეულ ათასობით ბავშვის ექსპლუატაცია ხდება პროსტიტუციაში. ესენი არიან ქუჩის ბავშვები უკრაინასა თუ რუსეთში, „პლიაჟის ბიჭუნები" შრი-ლანკაში, იამაიკასა თუ კენიაში, სახლიდან გამოქცეული ბავშვები აღმოსავლეთ თუ დასავლეთ ევროპაში და ა.შ.

გლობალიზაციის პროცესებმა პროსტიტუციის მასშტაბი გაზარდა. ბავშვთა პროსტიტუციის ყველაზე მაღალი დონე შემჩნეულია დიდ და საკურორტო ქალაქებში. ბავშვთა პროსტიტუციის ცენტრად ექსპერტები თვლიან სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიას. ამას განაპირობებს სიღარიბის ზრდა, ტურიზმის განვითარება. გაეროს ბავშვთა ფონდის მონაცემებით ერთ მილიონზე მეტი ბავშვი აზიაში, მათ შორის ინდოეთში, ტაილანდში, ფილიპინებზე გაყიდულია ბორდელებში ან ქუჩის სუტენიორებზე პროსტიტუციაში ჩასაბმელად. ecpat-international-ის მონაცემებით ეს რიცხვი უფრო დიდია. მაგალითად, 2000 წელს ინდოეთში 2 მლნ ბავშვი, სამხრეთ კორეაში 500 000, ფილიპინებზე 75 000 ბავშვი იყო პროსტიტუციაში ჩაბმული. ტურისტულ კატალოგებში შრი-ლანკა ცნობილია როგორც ბიჭების პროსტიტუციის ცენტრი, სადაც 44 000 ბავშვია ჩაბმული პროსტიტუციაში.[78]

არანაკლები პოპულარობით სარგებლობს ბავშვთა პროსტიტუცია სხვა ქვეყნებში. მაგალითად, აშშ–ში 2 მლნ მეძავიდან 300 000-დან 600 000-მდე ბავშვები და მოზარდები არიან 18 წლის ასაკამდე.[79]

ბავშვთა პროსტიტუციის რეალური მასშტაბის განსაზღვრა ძალიან რთულია, თუ შეუძლებელი არა. როგორც აღვნიშნეთ, ბავშვთა პროსტიტუცია ადამიანის უფლებათა შეუწყნარებელი დარღვევა და მონობის ფორმაა. იგი შეფასებულია როგორც ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმა, ამიტომ იმ ქვეყნებშიც კი, სადაც პროსტიტუცია ლეგალიზებულია, ბავშვთა პროსტიტუცია კანონგარეთაა, ხოლო ბავშვების ჩაბმა პროსტიტუციაში კრიმინალია.

თუ სრულწლოვანთა პროსტიტუცია შესაძლებელია დაი-

[78] Л. Д. Ерохина, М. Ю. Буряк, „Торговля женщинами и детьми в целях сексуальной эксплуатации в социальной и криминологической перспективе", М., 2003, с. 132.

[79] იქვე. გვ.132.

ყოს ნებაყოფლობით და იძულებით პროსტიტუციად, ბავშვთა პროსტიტუცია უპირობოდ უნდა ჩაითვალოს როგორც იძულებითი. ცხადია, ყველა ბავშვი იძულებით არ ებმება მასში, განსაკუთრებით მოზარდები, მაგრამ იძულება რომელსაც ისინი განიცდიან სხვაგვარია — ეკონომიკური ან სოციალური. ბავშვთა პროსტიტუციას შესაძლებელია ჰქონდეს ორგანიზებული ან არაორგანიზებული სახე. ორგანიზებული სახის ბავშვთა პროსტიტუცია ხორციელდება ბორდელებში, ბარებში, კლუბებში, სასტუმროებში, საუნებში, სკოლებში და სხვა დაწესებულებებში. არაორგანიზებული ხასიათის ბავშვთა პროსტიტუცია მთლიანობაში მოიცავს როგორც უსახლკარო ბავშვებს, ისე ოჯახში მაცხოვრებელ ბავშვებს. ბავშვთა პროსტიტუციის თავისებურებად თვლიან იმას, რომ მისი ორგანიზატორი და ძირითადი მომხმარებელი სრულწლოვანია. პროსტიტუციის ორგანიზატორები შეიძლება იყვნენ უცნობი ადამიანები, ნაცნობები და საკუთარი მშობლებიც კი. პროსტიტუციაში არასრულწლოვანთა ჩაბმა ხორციელდება ზემოქმედების სხვადასხვა ფორმებით: ფიზიკური იძულებით (ცემა, შეურაცხყოფა, თავისუფლების აღკვეთა და ა.შ) ან ფსიქიკური იძულებით (მუქარა, შანტაჟი, შეგონება, მოტყუება, მოსყიდვა და მისთ.), ასევე მის გარეშეც. ცნობილია შემთხვევები, როცა მშობლები თავად იყენებენ შვილებს იმავე მიზნით. მაგალითად, საერთაშორისო ქალთა უფლებების დაცვის ცენტრ „ლა-სტრადა უკრაინას" ექსპერტების ინფორმაციით ზაფხულის სეზონზე, ყირიმის პლაჟებზე ბავშვთა პროსტიტუციის მასშტაბი მატულობს, ხშირად მისი ინიციატორები მშობლები არიან. ზოგიერთ ქვეყანაში ბავშვთა პროსტიტუცია კულტურულ ჩვეულებათა შემადგენელი ნაწილია. მაგალითად, ჩინეთსა და იაპონიაში ჩვ.წ. აღ-მდე მე-11-12 საუკუნეებში მოიხსენიება პროსტიტუცია. ტერმინი „წითელი ჩირაღდნების" ქუჩა ამ ქვეყნებიდან მომდინარეობს. ეს კულტურები პროსტიტუციისადმი ძალიან ტოლერანტულები არიან. ექსპერტების ინფორმაციით, იაპონიაში „მოდად" იქცა სკოლის მოსწავლეთა მიერ საკუთარი სხეულის შეთავაზება უცნობი ადამიანებისთვის და მშობლებს არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ. მოსწავლეები მობი-

ლური ტელეფონით ეკონტაქტებიან კლიენტებს და ხვდებიან (ნებაყოფლობითი პროსტიტუცია), რაშიც ჯიბის და ყოველდღიური წვრილმანების ფულს შოულობენ. პროსტიტუციით დაკავებული ბავშვები სკოლაში მისვლისას ტრაბახობენ, რომ „ზმანები“ თავისი ფულით იყიდეს, რაც ბავშვებისთვის პროსტიტუციის იმპულსი და ღირებულებათა ორიენტირი ხდება. არაბთა ემირატებში არსებობს იმის რწმენა, რომ თუ ქალწულ გოგონასთან იქონიებ სქესობრივ კავშირს, განიკურნები სხვადასხვა დაავადებებისგან, მათ შორის შიდსისგან. ამიტომ იქ დიდი მოთხოვნაა ქალწულ გოგონებზე. კანადაში პროსტიტუციაში ჩაბმულთა 10-15%-ს ბავშვები შეადგენენ, ხოლო ზოგიერთ პროვინციაში, სადაც აბორიგენი მოსახლეობაა — 90%. ბრაზილიაში 2 მილიონი ბავშვია ჩაბმული კომერციულ სექსუალურ ექსპლუატაციაში და სხვ.

სამწუხაროდ, მსოფლიოში ბავშვთა პროსტიტუციაზე მოთხოვნილება იზრდება და სანამ მოთხოვნილება იარსებებს, შეთავაზებაც იქნება.

2.1 ნაადრევი ქორწინებები

ზოგიერთ ქვეყანაში ბავშვთა პროსტიტუციის შენიღბულ ფორმას წარმოადგენს ნაადრევი ქორწინებები (ქორწინება 18 წელს მიუღწეველ ბავშვებთან). ის უფრო გავრცელებულია აფრიკისა და აზიის რიგ ქვეყნებში, სადაც მიღებულია ტრადიციული ცხოვრების წესი. ზოგიერთ გოგონას იძულებით აქორწინებენ, ზოგიერთი კი ძალიან პატარაა გაცნობიერებული გადაწყვეტილების მისაღებად. თანხმობას ამ შემთხვევაში ბავშვის სახელით სხვა იძლევა, რადგანაც ბავშვს შესაძლებლობა არ აქვს არჩევანის უფლებით ისარგებლოს, ამდენად ნაადრევ ქორწინებას იძულებით ქორწინებას მიაკუთვნებენ. გარდა ტრადიციული კულტურისა, ნაადრევ ქორწინებებს განაპირობებს შესაბამის ქვეყანაში პოლიტიკური არასტაბილურობა, ეკონომიკური სიდუხჭირე, რელიგიური პრაქტიკა

და სხვ. სხვანაირად ასეთ ბავშვებს კულტურის მსხვერპლ ბავშვებს უწოდებენ, რადგან მათი უბედურების მიზეზი კულტურის, მათ შორის რელიგიური ნორმების ზეგავლენაა (მაგალითად, იძულებითი ქორწინებები, სექსი ქალწულებთან). ამავე დროს, კულტურა არ შეიძლება გამოყენებულ იქნეს ძალადობის გამართლების საფუძვლად. აქ წინა პლანზე უნდა წამოიწიოს ბავშვის უზენაესმა ინტერესებმა, რა შედეგები მოჰყვება ამგვარ ქმედებას მისთვის. ამგვარი კულტურის გავლენა ბავშვზე მინიმუმამდე უნდა დავიდეს.

საერთაშორისო პრაქტიკა ბავშვთა ქორწინებებს განიხილავს ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის ფორმად, რადგან ბავშვის გადაცემა და მიღება ხდება ნაღდ ფულზე ან ნატურაზე გაცვლით. ხშირად თავად მშობლები არიან ამგვარი ქორწინების ორგანიზატორები. რათა სარგებელი მიიღონ ან ოჯახის შენახვა უზრუნველყონ. ასეთ შემთხვევაში მშობლები ან ოჯახის წევრები ბავშვს ქორწინებისთვის გადასცემენ, რათა მიიღონ რაიმე სარგებელი ანდა შესაძლებლობა ოჯახის შესანახად. მაგრამ ხშირად, ნაადრევ ქორწინებაში აღმოჩენილი ბავშვი კარგავს ბავშვის სტატუსს და იმ დამცავ მექანიზმებს, რასაც ნაციონალური კანონმდებლობა ითვალისწინებს. ასე მაგალითად, შესაძლებელია კანონიერი ქორწინება ბავშვის პროსტიტუციის ფარულ აქტად გადაიქცეს. Ecpat-ის მონაცემებით მდიდარ მამაკაცებზე გასათხოვებლად ბანგლადეშიდან და კამბოჯიდან გაყვანილი გოგონები გაყიდულან და აღმოჩენილან ბორდელებში. ცენტრალური აზიის პოსტსაბჭოთა ქვეყნებში (ტაჯიკეთი, ყირგიზეთი) 13-16 წლის გოგონებს იძულებით ათხოვებენ და ცვლიან ფქვილზე, ცხვარზე და სხვა სასარგებლო ნივთებზე.

ეს პრობლემა არც საქართველოსთვის უნდა იყოს უცხო, რადგან აქ აზერბაიჯანული მოსახლეობა საკმაოდ დიდი რაოდენობითაა წარმოდგენილი, მათთვის კი ნაადრევი ქორწინება კულტურის ნაწილია. უფრო მეტიც, მათ ენაზე ცოლის

მოყვანა ნიშნავს ცოლის ყიდვას. გარდა ამისა, როგორც სოციოლოგიური დაკვირვებები ადასტურებს, ამ მოსახლეობის განათლების დაბალი დონის გამო, ისინი ადამიანით მოვაჭრეების ადვილ სამიზნე ჯგუფს წარმოადგენენ, მათი დარწმუნება ბავშვის მომავალი კეთილდღეობით დიდ სიძნელეს არ წარმოადგენს. ნაადრევი ქორწინებისათვის გამეტებული ბავშვის მომავლის პროგნოზირება ძალიან რთულია. საქართველოს შსს-ს ინფორმაციით აზერბაიჯანული მოსახლეობა ადამიანით ვაჭრობას ძალიან ტოლერანტულად ეკიდება, ა[illegible] მათი დაყოლიება გაყიდონ შვილი. ცოლის ყიდვა თურქეთის მთიანეთშიც მიღებული წესია.

საქართველოში ამ პრობლემით დღემდე არავინ დაინტერესებულა. ეს მაშინ, როცა მარნეულის რაიონის ზოგიერთ სოფელში არც კი იციან, რომ ქართულ სახელმწიფოში ცხოვრობენ. მაშ, რუსეთმა ან ჩინეთმა რა უნდა ქნან? როგორ უნდა აკონტროლონ ეს პროცესები, თუკი ერთი ციდა საქართველო ვერ უმკლავდება ამ პრობლემას.[80]

2.2 ბავშვთა პორნოგრაფია

ბავშვის უფლებათა კონვენციის დამატებითი ოქმის მიხედვით „ბავშვთა პორნოგრაფია ნიშნავს სხვადასხვა საშუალებებით იმ ბავშვის ნებისმიერ გამოსახვას, რომელიც ასრულებს რეალურ ან მოდელირებულ აშკარა სექსუალურ მოქმედებებს, ან ბავშვის სასქესო ორგანოების გამოსახვას ძირითადად სექსუალური მიზნებისთვის". დანაშაულია ბავშვთა პორნოგრაფიის წარმოება, გავრცელება, იმპორტი, ექსპორტი, შეთავაზება, გაყიდვა ან შენახვა ზემოთ აღნიშნული მიზნებისთვის.

[80] იხ. გაზეთი „ახალი ალიანსი" №11, 3-10 აპრილი, 2009

ბავშვთა პორნოგრაფია მოიცავს სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლი ბავშვების გამოსახულებას ან ხმის ჩანაწერს, რომელსაც მოზრდილი ადამიანები სექსუალური მიზნებით იყენებენ. ბავშვთა პორნოგრაფია იქმნება (მზადდება) ფოტოსურათების, სლაიდების, ჟურნალების, წიგნების, ნახატების, ფილმების, ვიდეოჩანაწერების, კომპიუტერული დისკების ან ფაილების ფორმით. ექსპერტები განასხვავებენ შენიღბულ პორნოგრაფიას, რომელიც სექსუალურ ურთიერთობას არ აჩვენებს აშკარად და ღია პორნოგრაფიას, რომელიც გულისხმობს სექსუალურ ურთიერთობებში ჩაბმული ბავშვების გამოსახვასაც. ბავშვთა პორნოგრაფიის დიდი ნაწილი იქმნება ფოტო და ვიდეოჩანაწერის ფორმით, რაც ასახავს ბავშვის სხეულის ინტიმურ ნაწილებს, სრულწლოვანი ადამიანის სექსუალურ მოქმედებას ბავშვთან ან ბავშვების სექსუალურ ურთიერთობას ერთმანეთთან. ბავშვების გამოყენება პორნოგრაფიის წარმოებაში ითვლება მათ ექსპლუატაციად. (ასეთი ქმედება საქართველოს კანონმდებლობით კვალიფიცირდება სპეციალური მუხლებით — 255-ე, 255[1]-ე და არა 143[2]-ე მუხლით, ამაზე ქვემოთ ვიმსჯელებთ).

პორნოგრაფიული პროდუქციით (მასალით) ვაჭრობა ხორციელდება როგორც იმ სოციუმის შიგნით, სადაც ბავშვი ცხოვრობს, ისე მთელ მსოფლიოში, მათ შორის ინტერნეტის გლობალური ქსელით. ეს არის კონსპირაციული, კარგად ორგანიზებული მრავალმილიონიანი კრიმინალური ბიზნესი სრულწლოვანი ადამიანების გართობისთვის. ბავშვთა პორნოგრაფიის მომხმარებელთა 99%-ს მამაკაცები შეადგენენ. ისინი აფუძნებენ ბავშვთა პორნოგრაფიის კლუბებს, აგროვებენ კოლექციებს და ცვლიან მათ ერთმანეთში. დღეს ბავშვთა პორნოგრაფიის პოვნა შესაძლებელია უამრავ ადგილას, ბეჭდურ გამოცემებში (წიგნები, ჟურნალები, პლაკატები), მობილურ ტელეფონებში — SMS შეტყობინებებსა და გამოსახულებებში, DVD და ვიდეოჩანაწერებში, ინტერნეტის ქსელში ვებ-გვერდებზე, ჩათებში, ელ-ფოსტაში. უახლესმა ტექნოლოგიებმა შეცვალეს პორნოგრაფიის ბუნება. ციფრულმა

კამერებმა და ვიდეომაგნიტოფონებმა მისი წარმოება გააიაფა და გააადვილა, ამასთანავე გაიზარდა გამრავლების და გავრცელების შესაძლებლობები. ინტერნეტის მეშვეობით შესაძლებელია პორნოგრაფიული პროდუქციის გავრცელება იაფად და სწრაფად მთელი პლანეტის მასშტაბით.

ბავშვებზე სექსუალური ძალადობა ვირტუალურ სივრცეში ახალი მოვლენაა, რომელიც სულ უფრო და უფრო მეტ გავლენას ახდენს მოზარდ თაობაზე დედამიწის სხვადასხვა კუთხეში. დღეისთვის საზოგადოების ყველა ფენა იმყოფება საინფორმაციო ტექნოლოგიების ზეგავლენის ქვეშ, მაგრამ ბავშვები ყველაზე დიდი ენთუზიასტები არიან ახალი ტექნოლოგიების გამოყენებისა, რომელმაც ადამიანთა შორის ურთიერთობების დამყარებისა და შენარჩუნების სრულიად ახალი შესაძლებლობები შექმნა. ბავშვები ინტერნეტის მომხმარებელი ერთ მილიარდიანი არმიის ავანგარდში არიან. მან, დადებითთან ერთად, უარყოფითი შედეგებიც გამოიწვია. ბავშვები დაუცველნი გახდნენ სხვადასხვა ფორმის ძალადობისაგან ვირტუალურ სივრცეში. ასეთ საფრთხეებს წარმოადგენს ბავშვებზე სექსუალური ძალადობის ამსახველი მასალების წარმოება, გავრცელება და გამოყენება; ქსელში გადაკიდება ან „კიბერარშიყი" („ზრუნვითა" და „თაყვანისცემით" ბავშვის ნდობის მოპოვება ისეთ სიტუაციაში ჩასაყენებლად, სადაც შესაძლებელი იქნება მისი დაზიანება); ბავშვებისთვის არასასურველი მასალების ჩვენება, რომელსაც ფსიქოლოგიური ან სხვა სახის ზიანის მიყენება შეუძლია, მეძიებლობა და დაშინება, დევნის ჩათვლით.[81]

---

[81] მეძიებლობა და დაშინება (Bulling) მსხვერპლის შანტაჟს გულისხმობს. ბულინგს ასევე უწოდებენ სხვა ადამიანისათვის ზიანის მიყენების შეგნებულ და არაპროვოცირებულ მცდელობებს. თავისი ხასიათით ბულინგი შეიძლება იყოს ფიზიკური და სიტყვიერი ან პირდაპირი თუ არაპირდაპირი. დევნა სექსუალური მიზნით (Gruming) ინტერნეტით ან მობილური ტელეფონით ხდება. იგი გულისხმობს ბავშვზე გადაკიდებას, მუდმივ კავშირს. თუ ბავშვი უარს აცხადებს ურთიერთობაზე, იმალება ან რცხვენია, ეს უფრო სიამოვნებს მოძალადეს და აგრძელებს ფსიქოლოგიურ ზეწოლას.

ყველა სოციალური ფენის ბავშვი შეიძლება გადაეყაროს ნებისმიერი ზემოთჩამოთვლილი ფორმის ძალადობას კიბერნეტიკულ სივრცეში. რისკის ქვეშ არიან ის მოზარდებიც, ვინც უკვე იყენებენ ახალ ტექნოლოგიებს, და ისინიც ვინც მომავალში გამოიყენებს. საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების მკვეთრი ზრდისა და განვითარების კვალობაზე იზრდება იმ ბავშვთა რაოდენობა, ვისთვისაც ხელმისაწვდომია ინტერნეტი. ინტერნეტის ინფრასტრუქტურა უმჯობესდება და სულ უფრო ხელმისაწვდომი ხდება ბევრი რეგიონისთვის, იგი ახალი კულტურებისთვისაც გაიხსნა, რაც ადრე არ იყო ხელმისაწვდომი. დღეს ყველა სოციალური კლასის, კულტურის, რელიგიის და რეგიონის ბავშვები შედიან კიბერნეტიკულ სივრცეში დედამიწის სხვადასხვა კუთხიდან, სადაც ისეთივე ურთიერთობას ამყარებენ, როგორსაც რეალურ სამყაროში. აქ ისინი თვითონ ქმნიან საკუთარ სოციალურ გარემოს, რომელშიც ეძებენ ინფორმაციას, ავითარებენ საკუთარ პიროვნებას, ურთიერთობენ თანატოლებთან, ანდობენ თავიანთ საიდუმლოებებს, იძენენ ახალ მეგობრებს, თამაშობენ, ეძებენ ინფორმაციას, რომელსაც ტაბუ ადევს, შედიან აკრძალულ ზონებში, განიცდიან შიშს, სტრესს და ა.შ. კიბერსივრცე ბოროტმოქმედებს შესაძლებლობას აძლევს დაეკონტაქტონ ბავშვებს უფროსი ადამიანების ზედამხედველობის გარეშე, რაც უფრო რთულია რეალურ სინამდვილეში, მაგალითად, სახლში ან სკოლაში, სადაც ისინი მეთვალყურეობის ქვეშ არიან. ბავშვები სულ უფრო ხშირად სარგებლობენ ინტერნეტით სათანადო ზედამხედველობის გარეშე მაშინ, როცა ისინი პოტენციური საფრთხეებისგან დაცვის მექანიზმებს არ ფლობენ. ამ დროს ისინი შეიძლება წააწყდნენ სხვადასხვა სახის ძალადობის სცენას, მათ შორის ონლაინ ცდუნებას (არშიყს) მომავალი სექსუალური ურთიერთობებისთვის. კიბერსივრცეში უამრავი ადგილია, სადაც იკრიბებიან ბავშვები (ჩათები, საინფორმაციო დაფები, მოზარდთა პაემნის საიტები, ფორუმები, თამაშები). ეს ზრდის სექსუალური ძალადობის მოყვარული ადამიანების შესაძლებლობას ეძიონ

და იპოვნონ ბავშვებთან მისასვლელი ვირტუალური გზები. მილიონობით მოზარდს იზიდავს ონლაინ თამაშები, სადაც ისინი შეიძლება სხვა ადამიანების მავნე ზემოქმედების ქვეშ მოექცნენ. ბოლო წლებში განსაკუთრებულ შეშფოთებას იწვევს ჩატი. ქსელში ურთიერთობა ჩათით შემდეგ პირადი შეხვედრებით მთავრდება, რა დროსაც ხდება ბავშვებზე სექსუალური ძალადობა. ჩათის ოთახები და ონლაინ ფორუმები პოპულარულია მოზარდებში, მაგრამ იქ ისინი შეიძლება წააწყდნენ ონლაინ „თაყვანისცემა-არშიყობის" პრობლემას, რის შესახებაც ნაკლებინფორმირებულნი არიან. ინტერნეტი ძალიან უწყობს ხელს ბავშვების ვიქტიმიზაციას.

ვირტუალური არშიყობა გამოიყენება პორნოგრაფიის დასამზადებლადაც სექსუალურ თემებზე ბავშვის საუბრებში ჩათრევით ანდა ვებ კამერის გამოყენებით ბავშვის შიშველი გამოსახულების მიღების გზით, ამგვარი კავშირურთიერთობა სექსუალურ მოძალადეს დამატებით ბერკეტს აძლევს ბავშვზე კონტროლისთვის, რადგან ფართო აუდიტორიის წინაშე გამჟღავნების მუქარა ბავშვს აშინებს და მორჩილს ხდის.

ყველა მოზარდის შეუცვლელ აქსესუარად იქცა მობილური ტელეფონი. მესამე თაობის ტექნოლოგიით შესაძლებელი გახდა მობილური ტელეფონით ინტერნეტში შესვლა. ამის გამო მშობლებისთვის სულ უფრო გაძნელდება ზედამხედველობა ბავშვებზე, რომლებიც სარგებლობენ ტელეფონით ონლაინ რეჟიმში. ამ ტელეფონების ფოტო და ვიდეოგადაღების შესაძლებლობები მათი უშუალოდ კიბერსივრცეში გადაცემის შესაძლებლობას იძლევა, რაც კიდევ უფრო ამაღლებს ბავშვების ვიქტიმიზაციის ხარისხს. კიბერსივრცეში სულ უფრო მეტი ბავშვი ექცევა სექსუალური ძალადობისა და საზიანო ზემოქმედების რისკის ქვეშ. ინტერნეტის და მობილური ტელეფონის დაახლოება, ექსპერტების ვარაუდით, მალე კიბერსივრცეში მობილური ტელეფონით შესვლას ნორმად აქცევს, ადამიანი კომპიუტერზე და სტაციონარულ

ტელეფონზე აღარ იქნება დამოკიდებული კიბერსივრცეში შესასვლელად, რაც კიდევ უფრო გაართულებს მშობლების და მეურვეების მხრიდან იმის კონტროლს, თუ როგორ ურთიერთობენ ახალგაზრდები კიბერსამყაროში. 2007 წლისთვის მობილური ტელეფონების მფლობელთა რაოდენობა 2 მილიარდი იყო. ecpat international-ის მონაცემებით, დღესდღეობით აზია წყნარი ოკეანის რეგიონში 15 წლამდე ასაკის ბავშვების 12%-ს აქვს მობილური ტელეფონი.

კიბერსივრცეში სექსუალური ძალადობის ძირითადი ფორმა პორნოგრაფიაა. ბავშვების გამოყენება პორნოგრაფიული მასალის დამზადებაში ხელს უწყობს ბავშვის იძულებას შეურიგდეს კომერციული სექსუალური ექსპლუატაციის სხვა ფორმებსაც.

პორნოგრაფიაში ნებაყოფლობით ჩართვის „მსურველი" ბავშვები ცოტაა, ამიტომ მათი მიზიდვა სხვადასხვა ხერხებით ხორციელდება. პორნოგრაფიაში უფრო იოლია მცირეწლოვანი ბავშვების ჩართვა, რომელთაც გაცნობიერებული არ აქვთ შესრულებული „სამუშაოს" ხასიათი, უფროსი ასაკის ბავშვების გადაბირება მუქარითა და შანტაჟით ხდება. მათი სელექცია ძირითადად უსახლკარო და მიუსაფარი ბავშვების არმიიდან ხორციელდება. ზოგიერთ მოზარდს იზიდავს თავგადასავლები და კინოსამყაროში შეღწევა. ზოგიერთი ბავშვი საკუთარი სხეულის შიშველ გამოსახულებას თავად ათავსებს ინტერნეტში, რითაც მეძიებლობის, კიბერარშიყის და სხვა სახის სექსუალური ძალადობის მსხვერპლი ხდება. კიბერსივრცე დიდი რაოდენობის ბავშვების გადაბირების შესაძლებლობას იძლევა. კიბერსამყაროში დაწყებული მეძიებლობა და არშიყობა ზოგჯერ რეალურ სინამდვილეში განხორციელებული სექსუალური ძალადობით სრულდება. ვირტუალურ სივრცეში ბავშვებზე საზიანო ზემოქმედება გაადვილებულია ახალი ტექნოლოგიების წყალობით. აშშ-ში 10-17 წლის ასაკამდე ხუთიდან ერთი ბავშვი აცხადებს ინ-

ტერნეტში სექსუალური გადაკიდების შესახებ; ბრიტანეთში — 8-11 წლამდე ჩათით მოსარგებლე ბავშვების ნახევარი აცხადებენ სექსუალური ხასიათის ონლაინ საუბრებზე...

აღმოსავლეთ და დასავლეთ ევროპის მთელ რიგ ქვეყნებში (უკრაინა, რუსეთი, ბელორუსი, გერმანია, საფრანგეთი და სხვ.) გამოვლინდა ორგანიზებული ჯგუფები, რომლებიც ბავშვებზე სექსუალური ძალადობის ამსახველ პროდუქციას ქმნიან. ისინი ფოტო და სამოდელო ბიზნესის ნიღბით მოქმედებენ ანდა იატაკქვეშა სტუდიების სახით. ხშირად ასეთ სტუდიებში ბავშვები ვაჭრობის შედეგად ხვდებიან. გამოვლენილია დამოუკიდებლად მოქმედი ადამიანებიც, რომლებიც სექსუალურ ძალადობას ახორციელებენ ბავშვებზე, იწერენ ამ სცენებს და ინტერნეტში ათავსებენ, რასაც ბავშვის შემდგომი ექსპლუატაციისთვის შანტაჟის საშუალებად იყენებენ. ეს ერთ-ერთი მეთოდია აიძულო მსხვერპლი ჩუმად იყოს (ქ. ლვოვში პედოფილმა არასრულწლოვან ბიჭთან სქესობრივი კავშირის ამსახველი სცენა ჩაიწერა, რომელსაც შემდეგ მისივე შანტაჟისთვის იყენებდა). ზოგჯერ პორნოგრაფიულ გადაღებებში ჩართული არიან თავად მშობლები, რომლებიც საკუთარი შვილების გამოყენებით შემოსავალს იღებენ. Ecpat-ის ინფორმაციით 2001 წელს მოლდაველმა მესაზღვრეებმა დააკავეს ორი ქალი, რომლებსაც 13-16 წლამდე ასაკის გოგონების და ბიჭების ჯგუფი გადაჰყავდათ კიშინოვიდან ოდესაში, კინოსტუდიაში, სადაც ისინი გამოყენებული უნდა ყოფილიყვნენ სექსუალური (პორნოგრაფიული) სცენების გადაღებებში. ეს ბავშვები ღარიბი ოჯახებიდან იყვნენ. მშობლებმა ნება დართეს ამ ქალებს „დასასვენებლად" წაეყვანათ მათი ბავშვები. ზოგიერთმა ბავშვმა განაცხადა, რომ ადრეც იმყოფებოდა ამგვარ მოგზაურობაში, სადაც ცოტა ფულიც მიიღო.[82] უკრაინის სინამდვილიდან

[82] იხ. Ecpat international.net; Торговля людьми в Украине. Международный женский правозащитный центр „Ла страда-Украина", 1997; lastrada.org.ua ;)

ცნობილია ასეთი მაგალითიც, მამამ 6 წლის გოგონასთან სქესობრივი კავშირის იმიტაცია მოახდინა, რაც ბავშვის დედამ ვიდეოფირზე გადაიღო და ინტერნეტში გაყიდეს. ამის შემდეგ, თავისი შვილის მეგობარი გოგონების მიზიდვა დაიწყეს იმავე მიზნით. იგივე, უკრაინის სამართალდამცავმა ორგანოებმა გამოამჟღავნეს ყირიმელი ცოლ-ქმრის საქმიანობა, როცა ისინი ბავშვებთან პორნოგრაფიულ ვიდეოფილმებს იღებდნენ სიმფეროპოლში. ამავე ჯგუფის წევრი ისრაელის მოქალაქე ვიდეომასალას ვებ გვერდებზე ათავსებდა საჩვენებლად, მათ შორის ონლაინ რეჟიმშიც, შესაბამისი ანაზღაურების პირობით. ამგვარად, ბავშვთა პორნოგრაფიული გამოსახულებების შექმნა ოჯახურ გარემოშიც შესაძლებელია. ბავშვები მსხვერპლად ქცევის რისკს საკუთარ სახლშივე ექვემდებარებიან მშობლების, ნაცნობების ან მეზობლების მხრიდან. თუმცა იატაკქვეშა სამოდელო სააგენტოები და ფოტოსტუდიები ძირითად როლს თამაშობენ პორნოგრაფიის მასობრივ წარმოებაში. სამოდელო სააგენტოების რეკლამა ყველგანაა, მედიაში, ინტერნეტში. უკრაინასა და რუსეთში დაფიქსირებულია შემთხვევები, როცა მშობლებს თავად მიჰყავდათ ბავშვები ფოტოსტუდიებში, ისინი ფიქრობდნენ, რომ მათ შვილებს მხოლოდ სურათს უღებდნენ და ზოგიერთს ფულსაც უხდიდნენ, მაგრამ ისინი ვერ ხვდებოდნენ, რომ მათ შვილებზე კომერციული სექსუალური ძალადობა ხორციელდებოდა.

უმრავლეს შემთხვევაში პორნოგრაფიული მასალა, რომელიც ინტერნეტით ვრცელდება, ქსელს გარეთ მზადდება და შემდეგ შეჰყავთ კიბერსივრცეში. მაგრამ პორნოგრაფიის დამზადება და ჩვენება ინტერნეტქსელშიც ხორციელდება ონლაინ რეჟიმში. ეს ხდება ვებ კამერების გამოყენებით და პირდაპირი ვიდეორეპროდუქციის გზით. აუდიტორიას წინასწარ ეცნობება დრო, როცა უნდა ჩაერთონ ქსელში და უყურონ ბავშვებზე სექსუალური ძალადობის სცენას.

ზოგჯერ ბავშვებზე სექსუალური ძალადობის ამსახველი

ფოტოსურათები იქმნება სპეციალური კომპიუტერული პროგრამების მეშვეობით, რომლებიც სხვადასხვა ფოტოების ტრანსფორმაციას ახდენენ და მათგან ქმნიან ახალ სახეს. ბავშვთა არაპორნოგრაფიული გამოსახულება შეიძლება გარდაიქმნას პორნოგრაფიულად, უფრო მეტიც, შესაძლებელია „ვირტუალური“ ბავშვების პორნოგამოსახულებების შექმნაც. ამგვარი ფსევდოპორნოგრაფია რამდენად შეიძლება სისხლისსამართლებრივი დევნის საგნად იქცეს, ეს საკამათო საკითხია, თუმცა ისიც ფაქტია, რომ ბავშვთა პორნოგრაფიასა (რეალური ან ვირტუალური) და რეალურ სამყაროში ბავშვებზე განხორციელებულ სექსუალურ ძალადობას შორის მჭიდრო კავშირია. ამგვარი პორნოგრაფიული მასალაც საფრთხის მატარებელია ბავშვებისთვის, ვინაიდან მის მომხმარებელ უფროსი ასაკის ადამიანებს ბავშვებზე რეალური სექსუალური ძალადობის განხორციელების სურვილი შეიძლება აღუძრას. ამგვარი ფოტომასალის დიდი ოდენობით ხელმისაწვდომობა უფროსი ასაკის ადამიანებს აფიქრებინებს, რომ საბავშვო პორნოგრაფია არაა სერიოზული დანაშაული, რაც ცხადია, მცდარი წარმოდგენაა.

ამგვარად, კიბერსამყაროში განთავსებული პორნოგრაფიული მასალების გავრცელების მასშტაბი, შენახვის ხანგრძლივობა და გლობალური ხელმისაწვდომობა სერიოზული საფრთხის წინაშე აყენებს მოზარდ თაობას, რადგან დღესდღეობით ინტერნეტის კონტროლი პრაქტიკულად არ არსებობს, რაც შესაძლებელს ხდის მის გამოყენებას ნებისმიერი მიზნით.

2.3 ბავშვთა სექსტურიზმი

ბავშვთა სექსტურიზმი კომერციული სექსუალური ექსპლუატაციის ერთ-ერთ ფორმად ითვლება. გაეროს დოკუმენტებში ის განმარტებულია როგორც „ტურიზმი, რომელიც ორგანი-

ზებულია ბავშვებთან კომერციული სექსუალური ურთიერთობის უპირატესი მიზნით". ბავშვის უფლებების კონვენციის დამატებითი ოქმის მიხედვით სექსტურიზმის პრაქტიკა უშუალოდ ხელს უწყობს ბავშვებით ვაჭრობას, ბავშვთა პროსტიტუციასა და ბავშვთა პორნოგრაფიას. Ecpat international-ის ინფორმაციით სექსტურიზმისთვის ყველაზე მიმზიდველ ქვეყნებს წარმოადგენს ტაილანდი, შრი-ლანკა, ინდოეთი, ბრაზილია, კოსტა-რიკა, მექსიკა და სხვ. ხოლო სექსტურისტების ყველაზე მრავალრიცხოვან ჯგუფს შეადგენენ აშშ-ს მოქალაქეები. ბავშვებთან სექსუალური ურთიერთობების მოყვარული ადამიანები დედამიწის ყველა კუთხიდან მიდიან ეგზოტიკურ ქვეყნებში, სადაც განსაკუთრებით განვითარებულია ბავშვთა პროსტიტუცია. ასეთი მოგზაურობები (სექსტურები) ზოგჯერ ხორციელდება იმისთვისაც, რომ მონაწილეობა მიიღონ პორნოგრაფიული ფილმების გადაღებაში. ზოგიერთი კინო და ფოტომოყვარული ფულს იხდის ბავშვებთან სექსუალურ აქტებში მონაწილეობის შესაძლებლობისთვის. სექსტურიზმის მოყვარულები საზოგადოების ყველა ფენაში არსებობენ, ისინი შეიძლება იყვნენ დაოჯახებულებიც და მარტოხელებიც, კაცებიც და ქალებიც, მდიდარი ტურისტებიც და მივლინებაში მყოფი ადამიანებიც. პედოფილი, სექსტურისტი წინასწარი განზრახვით მიემგზავრება რომელიმე ქვეყანაში ბავშვებთან სექსუალური ურთიერთობისთვის, მაგრამ შესაძლებელია სხვა ტურისტი ამაზე არ ფიქრობდეს მანამ, სანამ არ იპოვის მსხვერპლ ბავშვს, რომელიც ხელმისაწვდომი იქნება სექსისთვის. ასეთი ადამიანები თავის საქციელს ხშირად იმით ამართლებენ, რომ ეს მოცემული ქვეყნის კულტურისთვის მისაღებია. სინამდვილეში კი ბავშვების ხელმისაწვდომობა, ანონიმურობა, უცხო მიწაზე მორალური და სოციალური შეზღუდვებისგან გათავისუფლება ისეთი რამის გაკეთებისაკენ უბიძგებს, რასაც ჩვეულებრივ, თავის ქვეყანაში და სახლში არ გააკეთებს. ასეთ რამეს მიეკუთვნება ბავშვებზე სექსუალური ძალადობაც. ამგვარი განწყობის ჩამოყალიბებას ხელს უწყობს შესაბამისი ქვეყნის ლიბერ-

ალური კანონმდებლობა, ან/და მოსახლეობის გაუთვითცნობიერებლობა და სოციალური სიდუხჭირე. ამგვარად, ბავშვი შეიძლება ძალადობის მსხვერპლი გახდეს ისეთი ადამიანისგანაც, ვინც მოგზაური ან ტურისტია, ყველა მათგანი არ თავსდება კლინიკურ განსაზღვრებაში პედოფილი.[83]

მართალია სექსტურიზმის ძირითადი მარშრუტები სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაზე, აფრიკასა და ლათინურ ამერიკაზე გადის, მაგრამ ბოლო პერიოდში სექსტურისტების ინტერესის საგანი გახდა აღმოსავლეთ ევროპაც. უცხოელ პედოფილებს შორის სულ უფრო დიდ პოპულარობას იძენს რუსეთი, როგორც სექსტურების ქვეყანა. როგორც რუსი მკვლევარები აღნიშნავენ, რუსეთი გულმოდგინედ ერთვება სექსტურიზმში, ის განსაკუთრებით ვითარდება აღმოსავლეთ რეგიონებში, თუმცა ჩრდილო-დასავლეთ ნაწილშიც დაფიქსირდა ანალოგიური პრაქტიკა. კერძოდ, სექსტურისტები ბალტიისპირეთიდან გადადიან სანკტ-პეტერბურგში, სადაც ლოთი მშობლები, ორი ბოთლი არყის საფასურად საკუთარ ბავშვებს ატანენ მათ ხანმოკლე ვადით სექსუალური მომსახურებისთვის.

---

[83] პედოფილია (ბერძნულიდან: pedo — ბავშვი, philia — მიდრეკილება, სიყვარული) ნიშნავს ბავშვებისადმი სექსუალურ სწრაფვას. ეს არის სექსუალური მოშლილობა, რომელიც გვხვდება, როგორც ჰეტეროსექსუალ, ისე ჰომოსექსუალ მამაკაცებს შორის. ექსპერტთა ერთი ნაწილი პედოფილიას თვლის სექსუალური ხასიათის მოშლილობად, მეორე ნაწილის აზრით კი, პედოფილიას აქვს დამოკიდებულების ნიშნები. პედოფილიის ფართოდ გავრცელებას ხელს უწყობს სექსტურიზმი. ზოგიერთი პედოფილი სექსუალური მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად საზღვარგარეთ მიემგზავრება; ზოგს თან მიჰყავს მსხვერპლი სამოგზაუროდ, ზოგჯერ წინასწარ მზადდება შეხვედრა ინტერნეტის მეშვეობით, ზოგიერთი კი იმ ადგილებს ეძებს, სადაც იოლია ბავშვებთან კონტაქტი. უპირატესობას ანიჭებენ იმ რეგიონებს, სადაც ბავშვებთან სექსუალურ ურთიერთობას მოთმინებით უყურებენ, არა აქვთ შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა და განვითარებული აქვთ სექსინდუსტრია. იხ. Сексуальные преступления в отношении детей. Естония, 2006, ასევე, www.kesa.ee.

უკრაინელი ექსპერტები თვლიან, რომ სექსტურიზმი ჯერ არაა განვითარებული მათ ქვეყანაში, თუმცა დაფიქსირებულია ერთეული შემთხვევები. კერძოდ, ზაფხულის თვეებში ყირიმში შავი ზღვის სანაპიროზე და აზოვის ზღვის სანაპიროზე ჩასული ტურისტებისთვის არასრულწლოვანთა მიყიდვის ფაქტები ხანმოკლე სექსუალური ურთიერთობებისთვის. ასეთ პრაქტიკას აქვს ზრდის ტენდენცია. მათივე ინფორმაციით, უკრაინაში სექსმუშაკთა 30-40%-ს შეადგენს 11-18 წლის მოზარდები. მათი უმრავლესობა პროსტიტუციაშია ჩაბმული შავი ზღვის კურორტებზე. ეს მიანიშნებს მჭიდრო კავშირზე ბავშვთა პროსტიტუციასა და სექსტურიზმზე ქვეყნის შიგნით.[84]

უვიზო და გამარტივებულმა სავიზო რეჟიმებმა შეიძლება საქართველოშიც მოამრავლოს ასეთი „თავგადასავლების" მაძიებელი ტურისტები. ჩვენთან, შავი ზღვის სანაპიროზე თვალში საცემია უკიდურეს გაჭირვებაში მყოფი, სხვადასხვა წვრილმანით მოვაჭრე ბავშვები, რომლებიც კომერციული სექსუალური ექსპლუატაციის რისკჯგუფს წარმოადგენენ. ცხადია, ტურიზმი არ არის ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის მიზეზი, მაგრამ ტურისტული ინდუსტრიის მომსახურებით სარგებლობენ ბავშვებზე სექსუალური მოძალადეებიც. თავის მხრივ, ტურისტულ ინდუსტრიას შეუძლია ხელი შეუწყოს ბავშვების სექსუალურ ექსპლუატაციაზე მოთხოვნილების ზრდას. ზოგიერთი საწარმო შეიძლება ჩაბმული იქნეს სექსტურიზმში, მაგალითად, სასტუმროს ადმინისტრაცია, რომელიც თვალს ხუჭავს სასტუმროში მიმდინარე ბავშვთა სექსუალურ ექსპლუატაციაზე, ანდა ტურისტული სააგენტო, რომელიც ორგანიზებას უკეთებს სექსტურს საზღვარგარეთ.

ტრეფიკინგისა და სექსტურიზმის მჭიდრო კავშირზე მიანიშ-

[84] იხ. Ecpat-international, Глобальный Мониторинг, 2006, www. ecpat. net.

ნებს ის გარემოება, რომ სექსტურიზმი შეიცავს ადამიანების ვაჭრობაში ჩაბმის ყველა მოქმედებას: მსხვერპლთა რეკრუტირებას, გადაადგილებას ქვეყნის შიგნით ან მის ფარგლებს გარეთ გაყიდვას, გაცვლას ან უკანონო მიზნებისთვის გამოყენებას, როგორიცაა პროსტიტუცია, მომსახურება, მონური შრომა ან ადამიანის ორგანოების ტრანსპლანტაცია. სექსუალური ექსპლუატაციის მიზნით გადაადგილების შემთხვევაში კრიმინალური ორგანიზაციები ბავშვებს ბორდელებში ყიდიან, ან პირდაპირ კლიენტს სთავაზობენ, რიგ შემთხვევებში ბავშვებს პედოფილთა ორგანიზაციებს სთავაზობენ სექსუალური გამოყენებისათვის.[85]

სწორედ ამიტომ ითვლება სექსტურიზმი ბავშვთა ტრეფიკინგის გამოვლენის ერთ-ერთ ფორმად[86].

---

[85] იხ. ლ. ეროხინა, დასახ. ნაშრომი, გვ. 227.

[86] ბავშვებზე კომერციული სექსუალური ძალადობის ფორმების ზოგადი მიმოხილვა, ძირითადად ემყარება ecpat international-ის ანგარიშებს და მეთოდურ სახელმძღვანელოებს: Противодействие треффику детей в сексуальных целях /метод пособие/ Амстердам, Бангкок, 2006; Противодействие треффику детей в сексуальных целях /вопросы и ответы/ Амстердам, Бангкок; 2006; Насилие над детьми в киберпространстве. 2005, www.ecpat.net და სხვა.

§ 3. საქართველო ბავშვთა ტრეფიკინგის გლობალური გამოწვევის წინაშე

საქართველოში ბავშვთა ტრეფიკინგი აქტიური მსჯელობის საგნად იქცა 2003 წლიდან, როდესაც სისხლის სამართალში შემოტანილ იქნა პასუხისმგებლობა არასრულწლოვნით ვაჭრობისთვის. ცხადია, ამ თემის წინ წამოწევა და მასთან დაკავშირებული პრობლემების დასმა, მათი მოგვარების გზების ძიება და პრევენცია ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ტრეფიკინგის კვლევაში აქტიურად ჩაერთო არასამთავრობო სექტორი და საერთაშორისო ორგანიზაციები, შეიქმნა შესაბამისი საკანონმდებლო ბაზა, ჩამოყალიბდა ეროვნული რეფერალური მექანიზმი და სხვ. ქვეყანაში მომხდარი პოზიტიური ძვრების მიუხედავად, საბოლოო დასკვნების გაკეთება და მით უფრო თავის დამშვიდება ნაადრევია.[87]

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში ბავშვთა უფლებების დარღვევის შემთხვევების მონიტორინგს რამდენიმე ორგანო ახორციელებს ზუსტ სტატისტიკაზე საუბარი შეუძლებელია. ისეთი სტრუქტურა, რომელიც მთელი ქვეყნის მასშტაბით, ბავშვთა მიმართ განხორციელებული ტრეფიკინგის და სხვა მართლსაწინააღმდეგო ქმედებების შესახებ ინფორმაციას აღრიცხავს, არ არსებობს. მონაცემთა ერთიანი და სრულყოფილი ბაზის არსებობა აუცილებელი პირობაა პრობლემის სიმწვავის დასანახად და მასთან ბრძოლის ეფექტური სტრატეგიის შესამუშავებლად.

საქართველოში ბავშვთა ტრეფიკინგზე პირველი სოციოლოგიური კვლევა ჩაატარა არასამთავრობო ორგანიზაცია BCG-მ, World Vision-ის დაფინანსებით. კვლევის მიზანს შეადგენდა

[87] ამ ეჭვს ამყარებს თუნდაც ის ფაქტი, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს 2009 წლის 8 ოქტომბრის განაჩენით, მსჯავრდებული იქნა ორგანიზებული ჯგუფი ქუთაისის, წყალტუბოს და ხონის სამშობიარო სახლებიდან ახალშობილებით არაერთგზისი ვაჭრობისთვის.

ბავშვთა ტრეფიკინგის გავრცელების მასშტაბები საქართველოში, მათი ექსპლუატაციის ფორმები, მიზეზები და ხელშემწყობი ფაქტორები. კვლევის ანგარიში ფრიად საყურადღებო დოკუმენტია. როგორც სოციოლოგიური კვლევის შედეგებიდან ჩანს, ტრეფიკინგის ლეგალური განსაზღვრების არსებობის მიუხედავად, მისი იდენტიფიცირება მაინც პრობლემატურია სამთავრობო და არასამთავრობო სექტორებში. სახელდობრ, თვალში საცემია ძალადობის ფაქტების ტრეფიკინგთან გაიგივების შემთხვევები. ძალადობის ზოგიერთი ფაქტი, პირდაპირ კავშირშია ტრეფიკინგთან, მაგრამ ბავშვებზე ძალადობის მთელ რიგ შემთხვევებში, მხოლოდ ტრეფიკინგის პოტენციური მსხვერპლი ჩანს, ძალადობა და ტრეფიკინგი რომ იდენტური არ არის ეს ტრეფიკინგის საკანონმდებლო ფორმულიდანაც ჩანს, რომელზეც ცალკე ვიმსჯელებთ. სოციოლოგიური კვლევის მონაცემებით საქართველოში ბავშვებზე სხვადასხვა ფორმით ძალადობენ, დაფიქსირებულია ფიზიკური ძალადობის მძიმე და მსუბუქი ფორმები, ძირითადად მაინც ვხვდებით ფიზიკური ძალადობის შედარებით მარტივ ფორმებს, ფსიქოლოგიურ ძალადობას — მუქარის, დაშინების, დამამცირებელი მიმართვის, ხმამაღლა საუბრის და სხვა ფორმით; სექსუალურ ძალადობას — გაუპატიურების, გარყვნილი ქმედების, სექსუალურ თემებზე საუბრის, პორნოგრაფიული მასალების ჩვენების და სხვა ფორმით, ეკონომიკურ ძალადობას — შრომითი ექსპლუატაციის ან მშობლების მხრიდან ბავშვების გამათხოვრების ფორმით. რესპოდენტთა მონათხრობიდან გამომდინარე, საქართველოში ბავშვთა ტრეფიკინგის გავრცელების ზუსტი აღრიცხვისა და სტატისტიკის არარსებობის მიუხედავად, გამოვლენილია ბევრი ისეთი შემთხვევა, რომლის ტრეფიკინგთან ასოცირება ყველა მაჩვენებლითაა შესაძლებელი. აღნიშნული სოციოლოგიური კვლევის მიხედვით, საქართველოში ბავშვთა ექსპლუატაციის შემდეგ ფორმებს აქვს ადგილი: ა) შრომითი ექსპლუატაცია — დასაქმების ადგილზე შრომითი ექსპლუატაცია, ქუჩაში ან საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილებზე

სხვადასხვა წვრილმანით ვაჭრობა, სასოფლო-სამეურნეო ან სხვა სახის ფიზიკური სამუშაოს იძულებითი შესრულება; ბ) კრიმინალურ ქმედებებში ჩართვა — სასურსათო და სხვა ტიპის მაღაზიებისა და ბინების ძარცვაში არასრულწლოვანთა იძულებითი ჩართვა; გ) სექსუალური ექსპლუატაცია — ოჯახის წევრების ან სხვა პირთა მიერ არასრულწლოვნების სექსუალური ექსპლუატაცია, საზღაურის ან სარგებლის მიღების მიზნით; დ) იძულებითი მათხოვრობა — ინდივიდუალურად ან სხვადასხვა ჯგუფების მიერ არასრულწლოვანთა იძულება მათხოვრობაზე დაშინების, გადაბირების, მოტყუების ან სხვა ფორმით.[88]

სოციოლოგიურმა კვლევამ აჩვენა, რომ ტრეფიკინგის შესახებ განცხადებების სიმცირის მიუხედავად, გამოკითხული ორგანიზაციების, სოციალური მუშაკებისა და თავად ბავშვების მონათხრობიდან გამომდინარე, საქართველოში ქუჩის ბავშვები ერთი და იგივე ტიპის „საქმიანობით" არიან დაკავებულნი, რომელთა შორის ყველაზე გავრცელებული მათხოვრობა და ფიზიკური შრომაა, იშვიათ შემთხვევაში, სხვადასხვა წვრილმანი ან საეკლესიო ნივთებით ვაჭრობა. დამსაქმებლის როლში, ძირითადად, სახელდებიან მშობლები, რომელთა ნაწილი ბავშვებთან ერთად იმავე ტიპის სამუშაოს ასრულებს. ამ შემთხვევაში იძულებითი შრომის ტრეფიკინგთან გაიგივება ძალზე რთულია, აქ შეიძლება ვისაუბროთ არასრულწლოვნის ჩაბმაზე ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში, თუკი სახეზე არ გვაქვს პასუხისმგებლობის გამომრიცხველი რომელიმე გარემოება. ასევე, ამავე კვლევამ აჩვენა, რომ მათხოვრობის საშუალებით შემოსავლის მიღების მიზნით, ხშირია ჩვილ ბავშვთა გაქირავება/დაქირავების შემთხვევები. კერძოდ, თბილისში, სანაპიროზე, „ლაგუნა ვერეს" ტერიტორიაზე ქირაობდნენ ჩვილ ბავშვებს მათხოვრობის მიზნით. ამასთანავე, ბავშვებს დასაძინებელ წამლებს

[88] იხ. ბავშვთა ტრეფიკინგზე ჩატარებული კვლევის ანგარიში, BCG, თბ., 2008, გვ. 6.

აძლევდნენ მათი ტირილისგან რომ არ შეწუხებულიყვნენ. ჩვილი ბავშვების სამათხოვროდ გამოყენების შემთხვევები არცთუ იშვიათია. სამათხოვროდ ჩვილი ბავშვების გამოყენებას უფრო ხშირად არჩევენ ძირითადად ორი მიზეზის გამო — იოლია ჩვილი ბავშვების მართვა და მათი დაქირავება ნაკლები უჯდებათ, ვიდრე მოზრდილი ბავშვების მათხოვრობით მოპოვებული თანხის „წილში გაყვანა". ჩვილი ბავშვების შემოსავლის წყაროდ გამოყენება საკმაოდ გავრცელებულია ბოშებში, თუმცა როგორც კვლევამ აჩვენა, მსგავსი ფაქტები ბოლო პერიოდში აზერბაიჯანელებსა და ქართველებშიც მომრავლდა, თუმცა რესპოდენტებს კონკრეტული ინფორმაცია არა აქვთ დამქირავებლებზე[89].

საქართველოში შემოსავლის მიღების წყაროდ, ცხადია, მოზრდილ ბავშვებსაც იყენებენ. ასე მაგალითად, თბილისის რკინიგზის ვაგზლის ტერიტორიაზე გამოვლინდა ქალთა ჯგუფი, რომლებიც 3-5 ლარად ქირაობდნენ ბავშვებს მშობლებისგან, შემდეგ მათ აიძულებდნენ ემათხოვრათ. სავარაუდოდ, ბავშვებს სცემდნენ კიდეც, რადგან სოციალურმა მუშაკებმა შენიშნეს ჭრილობები და ნაიარევები. ისინი იყვნენ 3-დან 9 წლის ასაკამდე ორივე სქესის ბავშვები. 200 გამოკითხული ბავშვიდან დაახლოებით 30-35%-ს იძულებით ამათხოვრებდნენ, უმრავლესობა ძალადობის მსხვერპლია, მოძრაობენ ჯგუფ-ჯგუფად, ამ დროს, ხშირად ერთმანეთზეც ძალადობენ, ჩხუბობენ, აგრესიულები არიან. კვლევაში მოტანილია ერთი ნიშანდობლივი მაგალითი, რაც ექსპლუატაციის მიმანიშნებელია, კერძოდ, ვაგზლის ტერიტორიაზე ბავშვები ისხდნენ და მათხოვრობდნენ. ერთ-ერთმა მათგანმა, როგორც ჩანს, ვეღარ გაუძლო შიმშილს, გაიპარა და მათხოვრობით მიღებული ფულით ხაჭაპური იყიდა. მათი დამქირავებელი ქალები იქვე ახლოს, ბაღის ტერიტორიიდან აკონტროლებდნენ ბავშვებს. მათ შეუმჩნეველი არ დარჩათ ბავშვის საქციელი და ამ „თავნებობისთვის" სასტიკად სცემეს. მათი გზაკვალი

[89] იხ. დასახელებული სოციოლოგიური კვლევა

ვერ დადგინდა. 2006 წელს სოციალურ მუშაკებს დაფიქსირებული აქვთ შემთხვევა, რომლის ქალები მცირეწლოვან ბავშვებს ქირაობდნენ, მშობლებს უხდიდნენ დღეში 3 ლარს და ამ ბავშვებს ამათხოვრებდნენ. ვფიქრობთ, არასრულწლოვანთა მიმართ განხორციელებული ამგვარი ქმედებები, მხედველობაშია ბავშვთა დაქირავების შემთხვევები, შესაძლებელია შეფასდეს როგორც ბავშვთა ტრეფიკინგი. სსკ-ის 143²-ე მუხლით ერთ-ერთ ქმედებად გათვალისწინებულია არასრულწლოვნის დაქირავება. როგორც სოციოლოგიური კვლევა ადასტურებს, საქართველოში უფრო ხშირად ვხვდებით ბავშვთა შრომით ექსპლუატაციას — ბავშვების შრომით დატვირთვას და გამოყენებას არანორმირებული დროით. შრომითი საქმიანობა ძალიან ხშირად ნებაყოფლობითია — მოზარდები ადვილად გადაბირებადი კატეგორიაა, ტრეფიკიორისთვის ყოველთვის ადვილია დაითანხმოს ბავშვი, რომელსაც არ შეუძლია მოვლენების ზუსტად აღქმა და სწორი გადაწყვეტილების მიღება.

ტრეფიკინგის მსხვერპლად ქცევის რისკ-ფაქტორი განსაკუთრებით მაღალია ქუჩის ბავშვებში. ზოგიერთი მათგანი თავს ვერ აღწევს ძალადობას და ტრეფიკინგის პოტენციური მსხვერპლი ხდება, მოძალადეს კი „მფარველად" აღიქვამს. „მფარველის" ინსტიტუტი ქუჩაში ცხოვრების თანმხლები აუცილებლობაა. ეს ბავშვებისთვის უსაფრთხოების გარანტიაა, რომლის მიმართ თითქოს მადლიერებას გამოხატავენ, მაგრამ ზოგიერთები ამის პარალელურად, თავის მეურვეებს ძალადობაშიც ამხელენ. ქუჩას თავისი კანონები აქვს და საზოგადოებაში გავრცელებული წესები მასზე არ ვრცელდება. ქუჩის ბავშვები მათხოვრობით გამომუშავებული თანხის ნაწილს აძლევენ ადამიანს, რომელიც მათ მფარველობს. ქუჩაში ხშირად ხდება უსიამოვნებები. ბავშვების დაახლოებით 12% მუდმივად კონფლიქტურ ურთიერთობაშია როგორც თანატოლებთან, ასევე უფროსებთან. ასეთ დროს მარტო ყოფნა რთულია. ადამიანი, რომელსაც ისინი ფულს

უნაწილებენ, ქუჩის პრობლემების მოგვარებაში ეხმარება მათ. როდესაც ქუჩის ბავშვი მათხოვრობით ვერ აგროვებს სათანადო თანხას იმისთვის, რომ მფარველს გადაუხადოს, ზოგჯერ იგი ფიზიკურად უსწორდება. ამგვარ ფაქტებს მეორე სოციოლოგიური კვლევაც ადასტურებს, მაგრამ რესპოდენტებთან ეს კითხვა აღარაა ჩაღრმავებული, ვის უხდიან ფულს, მფარველია თუ უბრალოდ მოძალადე და სხვ. ზოგიერთი ქუჩის ბავშვი თავად ითვისებს წარმატებით „ქუჩის კანონებს" და მოძალადის როლში გამოდის, ერთ-ერთი ბავშვის მონათხრობით, სანამ თბილისში ჩამოვიდოდა, მასზე ასაკით უფროსები აიძულებდნენ მაღაზიები გაექურდა. ამ შემთხვევაში მთლიან თანხას ისინი იღებდნენ, თუ მათ თანხა არ დააკმაყოფილებდათ, სცემდნენ. ამის შემდეგ გადაწყვიტა რეგიონიდან თბილისში გამოქცევა, შეკრიბა ხუთი თავისი თანატოლი და ასაკით უმცროსი ბავშვი, რომლებიც მათხოვრობდნენ და მისთვის მიჰქონდათ თანხის ნახევარი. ამგვარ ფაქტებს სხვა წყაროებიც ასახელებენ. არასრულწლოვანთა მიმართ იძულებისა და ძალადობის შემთხვევები, რომლებიც ქუჩის ბავშვების ჩვეულებრივ ყოფას ასახავენ, რამდენად შესაძლებელია გავაიგივოთ ტრეფიკინგთან რთული სათქმელია. მათ არა აქვთ თავისუფლება შეზღუდული, შექმნილი სოციალური სინამდვილიდან გამომდინარე თავად ირჩევენ ცხოვრების ამგვარ წესს, თუმცა, ცხადია, ეს არ გამორიცხავს სრულწლოვნების პასუხისმგებლობას არასრულწლოვნის ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში ჩაბმისთვის, ცემისთვის, ძალადობისთვის, უფრო მეტიც, კონკრეტული დანაშაულის წაქეზებისათვის ან შუალობითი ამსრულებლობისთვის.

ზუსტი დასკვნების გაკეთებას ართულებს ის გარემოებაც, რომ ქვეყნის მასშტაბით არ არსებობს სტატისტიკა ქუჩის ბავშვების რაოდენობაზე, სხვადასხვა ხასიათის ანტისაზოგადოებრივ ქმედებებში ჩაბმის მაჩვენებელზე. ნებისმიერი ქვეყნის სტატისტიკაში ტრეფიკინგის მსხვერპლთა რაოდენობის სამი სახის ციფრებს ვხვდებით: 1) სასამართლო

სტატისტიკა; 2) პოლიციის ციფრები, რომელიც ყოველთვის მეტია; 3) ციფრები, რომელსაც არასამთავრობო ორგანიზაციები ფლობენ.

აქედან გამომდინარე, ჩვენ მხოლოდ ჰიპოთეტური მსჯელობა შეგვიძლია ქუჩის ბავშვების ტრეფიკინგის მსხვერპლად ქცევის რისკფაქტორზე. შესაძლებელია, ის ვინც არასამთავრობო ორგანიზაციისთვის, წმინდა ჰუმანიტარული თვალსაზრისით, ტრეფიკინგის დე-ფაქტო მსხვერპლია, სამართალდამცავი ორგანოსთვის მისი დე-იურე აღიარება რთული იყოს, ანუ არასამთავრობო ორგანიზაციამ შეიძლება ბავშვი დე-ფაქტო მსხვერპლად სცნოს, მაგრამ დე-იურე მისი დაზარალებულად ცნობა ვერ მოხერხდეს, რადგან მსხვერპლის იდენტიფიკაციის პრობლემა ძალიან რთულია.

მიუხედავად იმისა, რომ ქუჩაში ყოველდღე ვხედავთ მზრუნველობამოკლებულ ბავშვებს, ისინი მაინც ფარულ პოპულაციად ითვლება. საქართველოში არასამთავრობო სექტორის მიერ განხორციელებული მწირი სოციოლოგიური კვლევები სრულ წარმოდგენას ვერ გვიქმნის არსებულ ვითარებაზე, თუნდაც კვლევის მეთოდოლოგიიდან გამომდინარე. ზოგჯერ ის, რასაც საზოგადოებრივი ორგანიზაციები ხმამაღლა უწოდებენ კვლევას, ყოველთვის არ წარმოადგენს სოციოლოგიურ კვლევას. მაგალითად, არასამთავრობო ორგანიზაციის ფედერაცია „გადავარჩინოთ ბავშვები"-ს ჩატარებულ კვლევაში, გამოკითხული 1600 ბავშვიდან 55% აცხადებდა, რომ ფულის გამოსამუშავებლად მათხოვრობენ, მაგრამ არ იქნა გარკვეული, ხომ არ იყვნენ ეს ბავშვები ექსპლუატაციის მსხვერპლი. მით უფრო, რომ გამოკითხული ბავშვების 23%-მა განაცხადა, რომ მათხოვრობით ნაშოვნ ფულს სხვას აძლევდა.[90]

როგორც ექსპერტები აღნიშნავენ, ტრეფიკინგის მსხვერპლ-

[90] იხ. „ნუ მიწოდებთ ქუჩის ბავშვს", გაეროს ბავშვთა ფონდი, 2009.

თა კვლევის სირთულე იმაში მდგომარეობს, რომ რაოდენობრივი მეთოდები პრაქტიკულად უსარგებლოა, რადგან ისინი ძნელადმოსახელთებელი კატეგორიაა, არამრავალრიცხოვანი, ადამიანთა შეზღუდული წრეა, რომელსაც რეაბილიტაცია ესაჭიროება. ამიტომ უნდა ჩატარდეს თვისობრივი კვლევა სიღრმისეული ინტერვიუს მეთოდით, წინასწარ შეირჩეს შეკითხვები, რომლებიც უნდა მოიცვას ინტერვიუმ, შეირჩეს პრიორიტეტები: ვინ გამოვკითხოთ, რა მიზნით, რა მეთოდით და ა.შ. ტრეფიკინგის პრობლემა არა მხოლოდ აქტუალურია, შეიძლება ითქვას, რომ ჩვენში მოდურად იქცა, ძირითადად არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის, მაგრამ ისინი ხშირად აისბერგის მხოლოდ ხილულ ნაწილს იკვლევენ. ასეთი რეზულტატი კი ზუსტი დასკვნების გაკეთების შესაძლებლობას არ იძლევა, მათი მხრიდან თუნდაც ასეთი კეთილშობილური მიზნების მისაღწევად, როგორიცაა არასრულწლოვანთა ტრეფიკინგის პრევენცია, მსხვერპლის რეაბილიტაცია, რეინტეგრაცია და ა.შ. ვფიქრობთ, ამგვარი სოციოლოგიური კვლევები საჭიროა ჩატარდეს თავად შესაბამისი სახელმწიფო ორგანიზაციების მიერ ან მათი დაკვეთით, რამეთუ სამართალდამცავ ორგანოებს საზოგადოებრივი ორგანიზაციებისგან განსხვავებით, სხვა მიზნები ამოძრავებთ, კერძოდ, პირველ რიგში ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლა. სახელმწიფო დაწესებულებების საინფორმაციო რესურსები გაცილებით დიდია, რომელთა მონაცემები შეჯერებული უნდა იქნეს არასამთავრობო ორგანიზაციების მონაცემებთან, რათა რაიმე რაციონალურ დასკვნებამდე მივიდეთ.

დღეს საქართველოში, თუ შეიძლება ითქვას რომ ტრეფიკინგთან ბრძოლა წარმატებულია, ეს სახელმწიფო და არასამთავრობო სექტორის ერთობლივი ძალისხმევის შედეგია. ცხადია, მხოლოდ ოფიციალური მონაცემები, ვთქვათ საგამოძიებო ან სასამართლო სტატისტიკა, ისე როგორც არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ იდენტიფიცირებულ მსხვერპლთა რაოდენობა ვერ შეგვიქმნის სრულ, ობიექტურ წარმოდგენას

ტრეფიკინგის მასშტაბზე ქვეყანაში. ეს მხოლოდ არაპირდაპირი კრიტერიუმებია, ტრეფიკინგი კი ლატენტური დანაშაულია, იგი არ მიეკუთვნება იმ დანაშაულთა კატეგორიას, რომლის ასპროცენტიანი რეგისტრაცია ხდება, უფრო მეტიც, რეგისტრაცია ხდება მხოლოდ აისბერგის ზედა ნაწილისა. დღეს ყველა თანხმდება და არავინ კამათობს იმაზე, რომ ადამიანით ვაჭრობის დარეგისტრირებულ დანაშაულთა რაოდენობა აბსოლუტურად არ შეესაბამება რეალურად ჩადენილ დანაშაულთა რაოდენობას. საინტერესო იქნებოდა საქართველოში სხვადასხვა ქვეყნებიდან დეპორტირებულ პირთა გამოკითხვა, მათი რიცხვის დადგენა საზღვრის დაცვის და მიგრაციის სამსახურებთან თანამშრომლობით, რისთვის არიან დეპორტირებული, რომელი ქვეყნებიდან. სასურველია, რომ საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა და სახელმწიფო სტრუქტურებმა ჩაატარონ უნიფიცირებული კვლევები, რათა მხედველობიდან არ იქნეს გაშვებული რაიმე მნიშვნელოვანი და კვლევის შედეგები იყოს შეთავსებადი და შედარებადი. ამგვარი კვლევები უნდა ხორციელდებოდეს რეგულარულად.

ექსპერტები თვლიან, რომ ტრეფიკინგის დანაშაულის ლატენტურობა 2%-ია. ამასთანავე, ყველა იდენტიფიცირებული მსხვერპლი არ მიდის თავშესაფარში, ასეთი მხოლოდ 10%-ია, აქედანაც ყველა არ იქნება თანახმა ჩვენების მიცემაზე. გამოდის, რომ ტრეფიკინგის 1000-2000 შემთხვევიდან გამოვლენილი იქნება 10-20 მსხვერპლი, მათგან 1-2 მივა თავშესაფარში და დიდი ალბათობა არ არის, რომ თუნდაც ერთი მათგანი მისცემს ჩვენებას.[91]

რამდენიმე სიტყვით უნდა შევჩერდეთ გაეროს ბავშვთა ფონდის (UNICEF) და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს ფინანსური მხარდაჭერით, ფედერაცია „გადავარჩინოთ

[91] ანტიტრეფიკინგული რეგიონული პროგრამა, სამუშაო შეხვედრების მასალები, ჩაქვი., 2005, გვ. 75.

ბავშვები"-ს მიერ ჩატარებულ სოციოლოგიურ კვლევაზე, რომელიც შეეხება საქართველოში ქუჩის ბავშვების არსებულ მდგომარეობას. აღნიშნულმა კვლევამ მოიცვა 2007 წლის ივნისიდან 2008 წლის აგვისტომდე პერიოდში 18 წლამდე ასაკის ბავშვები, რომლებიც „ქუჩაში შეინიშნებიან" ოთხ ყველაზე დიდ ურბანულ ცენტრში: თბილისი, ქუთაისი, რუსთავი, ბათუმი. ქუჩის ბავშვები ურბანულ საქართველოში მეტწილად არიან 5-დან 14 წლამდე ასაკის ბიჭები, რომლებიც ძირითადად მათხოვრობენ. ქუჩის ბავშვების არსებობა საქართველოში დაუცველი ბავშვებისა და მათი ოჯახების წინაშე არსებული მრავალი სოციალურ-ეკონომიკური პრობლემის გამოვლინებაა და არა განცალკევებული ფენომენი, ქუჩის ბავშვების რაოდენობა ვარდების რევოლუციამდე და მის შემდგომ დიდად არ განსხვავდება, არსებობს ზრდის ტენდენცია.

საქართველოში მოსახლეობის დაახლოებით 25% ბავშვია. ადგილობრივი და საერთაშორისო არასამთავრობო ორგანიზაციების შეფასებით ქვეყანაში ქუჩის ბავშვების რაოდენობა 500-დან 5 000-მდე მერყეობს. ქუჩის ბავშვების აღწერისას სხვადასხვა ორგანიზაციების სოციოლოგიურ კვლევებში ურთიერთგანსხვავებულ კლასიფიკაციებს ვხვდებით სხვადასხვა ინდიკატორების მომარჯვებით. ცხადია, ქუჩის ბავშვების კატეგორიზაციის ერთიანი კლასიფიკატორი (ინდიკატორი) არ არსებობს. ეს დამოკიდებულია კვლევის მიზანზე, მეთოდოლოგიაზე და ა.შ. ყველაზე გავრცელებულია ქუჩის ბავშვების ორგანზომილებიანი განსაზღვრებები, რომელიც ყურადღებას ამახვილებს იმ ადგილზე (ანუ ქუჩაზე), სადაც ბავშვები დროის უმეტეს ნაწილს ატარებენ და ასევე ბავშვების ოჯახებთან კავშირის ინტენსივობაზე. ამ კრიტერიუმებით განასხვავებენ ქუჩის ბავშვებს, რომლებიც მუდმივად ქუჩაში ცხოვრობენ და იშვიათად ან საერთოდ არა აქვთ კონტაქტი ოჯახთან და ქუჩაში მყოფ ბავშვებს, ანუ ბავშვებს რომლებიც დღეს ქუჩაში ატარებენ და ღამე ოჯახებში ბრუნდებიან. ცხადია, ტერმინი „ქუჩის ბავშვი" პირობითია და ნეგატიური დატვირთვის სტიგმაა. საქართველოში ქუჩის

ბავშვების უმრავლესობის ასაკი 14 წელს არ აღემატება. ამასთანავე შეინიშნება მცირეწლოვანი და ჩვილი ბავშვების დიდი რაოდენობა (15%), რომლებიც ძირითადად დედებთან ერთად მათხოვრობენ.[92]

საქართველოში ქუჩის ბავშვების უმრავლესობა იძულებულია ფულის გამომუშავებაზე იზრუნოს, რომ საკუთარი თავი ან/და ოჯახი არჩინოს. ბავშვების დიდი ნაწილი შემოსავლის მიღების ერთ ან ორ სტრატეგიას მიმართავს: ყველაზე გავრცელებულია მათხოვრობა, განსაკუთრებით შედარებით მცირეწლოვან ბავშვებსა და გოგონებს შორის და მუშაობა, როგორიცაა წვრილმანებით ვაჭრობა (სანთლები, ხატები, ყვავილები), საქონლის გადატანა, ფიზიკური შრომა (მტვირთაობა), ბოთლების ან ჯართის შეგროვება, მანქანების რეცხვა და სხვა. მათხოვარ ბავშვებს ხშირად ვიღაც ახლავს, მომუშავე ბავშვები კი, მარტონი არიან ხოლმე. შეინიშნება ქურდობის შემთხვევებიც. კომერციული სექსის შემთხვევებს საქართველოს ქუჩის ბავშვები იშვიათად ახსენებენ. შემოსავლების გამომმუშავებელი ქუჩის ბავშვების შესახებ ერთ-ერთ კვლევაში რამდენიმე ბავშვმა შემოსავლის წყაროდ აზარტულ თამაშებში მონაწილეობა დაასახელა. მაშასადამე, ქუჩის ბავშვების ძირითადი საქმიანობა, ჩვენთან, მათხოვრობა და ქუჩაში შრომაა. ბავშვების ჩაბმა შემოსავლის მიმღებ საქმიანობაში ძირითადად ოჯახის მატერიალური სიდუხჭირით არის ნაკარნახები. მათ ქუჩისკენ უბიძგებს სიღარიბე, მშობელთა უმუშევრობა, უსახლკარობა. შემოსავლის მომტანი საქმიანობა ხშირად ემატება (ან ჩაანაცვლებს) ოჯახის შემოსავალს ან საშუალებას აძლევს ბავშვს თავად მიხედოს საკუთარ თავს და შესაბამისად, შეამციროს ოჯახის ხარჯები. ზოგჯერ ბავშვები ქუჩის ეკონომიკურ საქმიანობაში დედებთან ან ნათესავებთან ერთად ერთვებიან. ქუჩაში შემოსავლის მიმღები ბავშვები ფულის გამომუშავებისთვის გამოყოფილ

[92] იხ. ნუ მიწოდებთ ქუჩის ბავშვს, გაეროს ბავშვთა ფონდი, თბ. 2009 გვ. 11.

დროს, სოციალურ სამსახურში (სოციალური მომსახურება — თავშესაფრები, უფასო სასადილოები და მისთ.) ყოფნით მიღებულ ბუნდოვან პერსპექტივას, იშვიათად ამჯობინებენ. შემაშფოთებელია ის ფაქტი, რომ საქართველოში ქუჩის ბავშვების მეორე თაობას ვხვდებით, ანუ ქუჩის ბავშვების დედების ნაწილს ქუჩაში ცხოვრება თავად აქვთ გამოცდილი.
ბავშვის შრომაში ჩაბმით ოჯახის შემოსავლის გაზრდის ფენომენი მსოფლიოს მასშტაბით სიღარიბეს უკავშირდება. განვითარებად ქვეყნებში ღარიბი მშობლები რთული გადაწყვეტილების წინაშე დგანან. უკიდურესი გაჭირვების ჟამს, ბევრი ოჯახი უფრო პრიორიტეტულად მიიჩნევს ბავშვი ოჯახის არსებობისთვის აუცილებელი ყოველდღიური სახსრების მოძიებაში ჩაერთოს, ვიდრე სკოლაში რამდენიმე საათის გატარების ნება დართოს და ბავშვის საქმიანობიდან მიღებული დამატებითი შემოსავალი დაკარგოს. ამგვარად, მშობლებს ხშირად სამწუხარო გადაწყვეტილების მიღება უხდებათ და ბავშვის შრომა წინა პლანზე გადადის, ვინაიდან მისი შემოსავლის დაკარგვა მნიშვნელოვნად (ზოგჯერ უკიდურესად) გააუარესებს ოჯახის სიღარიბის დონეს.

სხვადასხვა კატეგორიის ბავშვები (ქუჩაში მცხოვრები ან ოჯახთან, მზრუნველთან კავშირის მქონენი) შემოსავლის მიღების სხვადასხვა სტრატეგიას მიმართავენ, ძირითადი მაინც მათხოვრობა და ქუჩის შრომაა. ზემოთ ხსენებული სოციოლოგიური კვლევის მიხედვით, ფულის გამოსამუშავებელი საქმიანობიდან ქუჩის ბავშვების 55%-მა მათხოვრობა დაასახელა და 27%-მა შრომა. აღსანიშნავია კიდევ ერთი საინტერესო დაკვირვება, გამოკითხული ბავშვების თითქმის ერთი მეოთხედი აცხადებს, რომ მათ მიერ გამომუშავებულ ფულს მშობლები (21%) ან სხვები (2%) ართმევენ. ეს შემთხვევები, ძირითადად 10 წლის და უმცროს ბავშვებს ეხება, რომლებიც მათხოვრობენ. უფროსი ბავშვების მხოლოდ მცირე ნაწილი და ისინი ვინც მუშაობს, აცხადებს, რომ ფული წაართვეს. თუმცა, ვინ არიან ეს ადამიანები კვლევაში და-

ზუსტებული არაა ინტერვიუს ჩაღრმავებით. არასრულწლოვანთა მათხოვრობაში ჩაბმის შემთხვევები თბილისის გარდა დაფიქსირებულია სხვა ურბანულ ცენტრებშიც. მაგალითად, სოციალური მუშაკების გადმოცემით ქუთაისში და ბათუმში ხშირია მათხოვრობაში ჩაბმით ბავშვების ექსპლუატაცია. საშიში ტენდენციაა, როცა საქართველოში ასეთი კულტურა მკვიდრდება — მშობლები ამათხოვრებენ თავის შვილებს, თვითონ კი ფუქსავატობენ. ეს კულტურა, აქამდე ბოშებში და სხვა არაქართულ ეთნიკურ ჯგუფებში იყო გავრცელებული, ახლა ქართველებშიც მკვიდრდება. საქართველოში არასრულწლოვანებზე განხორციელებული ზემოხსენებული ორი სოციოლოგიური კვლევა, ასევე ბავშვთა უფლებების დამცველი სხვადასხვა ორგანიზაციებიდან მიღებული ინფორმაციები, ზოგიერთი ჰიპოთეტური დასკვნის შესაძლებლობას იძლევა.

პირველ რიგში აღსანიშნავია, რომ არასრულწლოვნებზე განხორციელებული ძალადობის ზოგიერთი შემთხვევის ტრეფიკინგთან იდენტიფიცირება საკმაოდ რთულია. მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს მძიმე სოციალური ფონი, როცა მშობელი იძულებული ხდება ამ ნაბიჯზე წავიდეს. ის, რაც გარეგნულად ექსპლუატაციად ჩანს, ოჯახის გადარჩენის ერთადერთი საშუალებაა. ამიტომ ტერმინ ექსპლუატაციას ფრთხილად უნდა მივუდგეთ. მაგალითად, სხვადასხვა წვრილმანით ვაჭრობა, როცა ბავშვებთან ერთად მშობლებიც იმავე ტიპის სამუშაოს ასრულებენ ანდა მოსავლის აღების პერიოდში შემოსავლის მიღების მიზნით მშობლების მიერ ბავშვების სამუშაოდ გაშვება და სწავლას მოწყვეტა. მშობლები ამგვარ მოვლენას ნორმალურ ვითარებად აფასებენ, რადგან საარსებოდ მათ სხვა საშუალება არა აქვთ, გარდა ამისა, ბავშვები იმდენად მიჩვეული არიან ამგვარი ცხოვრების წესს, რომ მათ მიმართ განხორციელებულ ქმედებებს ვერ უკავშირებენ ტრეფიკინგს. ეს მათი ცხოვრების წესად ითვლება. ცხადია, ეს არ გამორიცხავს იმას, რომ მშობელი თავად იქცეს

შვილზე მოძალადედ ანდა ტრეფიკერად — ბავშვის მიმართ სხვადასხვა უკანონო გარიგების განხორციელებით, როცა მშობელი ფიქრობს, რომ მას შვილთან ნებისმიერი სახის მოპყრობის უფლება აქვს.

ზემოთ ქუჩის ბავშვების კლასიფიკაცია ვახსენეთ. არსებობენ ქუჩაში მცხოვრები ბავშვები (თითქმის მთლიანად ბიჭები), რომელთა კავშირი ოჯახთან (თუ ასეთი არსებობს) ძალიან სუსტია. მათი გადარჩენის სტრატეგია ქუჩაში ფულის გამომუშავებას და არსებული სოციალური მომსახურების გამოყენებას მოიცავს. რაც შეეხება ქუჩასა და სახლში მცხოვრებ ბავშვებს, რომლებიც წელიწადში მხოლოდ რამდენიმე თვეს ატარებენ ქუჩაში, უმრავლესობა ფულს ქუჩაში გამოიმუშავებს და საკუთარი ან ოჯახის საჭიროებების დაკმაყოფილებაზე ხარჯავს. ტრეფიკინგისთვის ყველაზე დიდ რისკჯგუფს შეადგენენ ის ბავშვები, რომლებიც ღამეს ქუჩაში ან ადამიანის ცხოვრებისათვის შეუსაბამო ადგილას ატარებენ (სძინავთ) ერთი თვის ან მეტი ხნის განმავლობაში. მათ არ ჰყავთ ოჯახი (მზრუნველი) ან არ ჰქონიათ კავშირი ოჯახთან (მზრუნველთან) ერთი თვის ან მეტი ხნის განმავლობაში, ისინი საკუთარ თავს თვითონვე უზრუნველყოფენ და მოპოვებულ ფულს საკუთარ საჭიროებებზე და ქუჩის გარემოცვაზე ხარჯავენ.[93]

ჩვენი დაკვირვებით, შრომითი ექსპლუატაციის ყველაზე დიდ რისკ ჯგუფს ქუჩაში მცხოვრები ბავშვები შეადგენენ. ამასთანავე, ძირითადად, ეს ეხება 14 წლამდე ასაკის ბაშვებს, ვინაიდან მათხოვრობა ამ დრომდე გრძელდება, როგორც კი ბავშვები მოზარდობის ასაკში შედიან აღარც მათხოვრობის სურვილი აქვთ და აღარც მოსახლეობა ეხმარება მათ. ამდენად, შემოსავლის ეს წყარო ესპობათ და შემოსავლის მიღების სხვა წყაროს ეძებენ, ხშირად ქურდობენ და კანონთან კონ-

[93] სოციოლოგიური კვლევა „ნუ მიწოდებთ ქუჩის ბავშვს" — UNICEF, 2009, გვ. 11.

ფლიქტში მოდიან. ცხადია, არც იმის გამორიცხვა შეიძლება, რომ შემოსავლის მიღების ახალი წყაროს ძიებაში ისინი ამა თუ იმ სახის ექსპლუატაციის მსხვერპლად იქცნენ. საინტერესოა კიდევ ერთი დაკვირვება, მათხოვრობის მსხვერპლი ბავშვი შემდგომ თვითონ აბამს სხვას მათხოვრობაში და ექსპლუატაციას უწევს სხვას. ამ სოციალურ წრეში ძნელია შეაღწიოს გარეშე პირმა.

საქართველოს სახალხო დამცველის საანგარიშო მოხსენებებში საგანგებო ყურადღება ეთმობა „ქუჩის ბავშვებს". ასე მაგალითად, სახალხო დამცველის 2004 წლის საანგარიშო მოხსენებაში ვკითხულობთ: ბავშვთა უფლებების დარღვევის თვალსაზრისით, ერთ-ერთი ყველაზე მძიმე მდგომარეობაა ე.წ. ქუჩის ბავშვების კუთხით. არ არსებობს ქუჩის ბავშვების პრობლემატიკის ამსახველი ზუსტი სტატისტიკური მონაცემები. ისინი არიან პრაქტიკულად ყველა დიდ ქალაქში. თბილისში ქუჩის ბავშვების რაოდენობა სხვადასხვა მონაცემებით 100-დან 1200-მდე მერყეობს, სახალხო დამცველის აპარატის მონიტორინგმა დაადგინა, რომ თბილისში ქუჩაში ღამეს რეგულარულად ათევს დაახლოებით 70-90 ბავშვი.[94]

სახალხო დამცველის 2008 წლის საანგარიშო მოხსენებაში აღნიშნულია, რომ ხშირად თავად მშობლები უბიძგებენ შვილებს მათხოვრობისა და დანაშაულისკენ. ისინი პატარაობიდანვე სწავლობენ ქუჩაში ცხოვრებას და წვრილმანი ქურდობითა და მათხოვრობით აქვთ შემოსავალი. ისინი არ ემორჩილებიან სოციალური კონტროლის ფორმებს და არც საზოგადოება გამოირჩევა მათ მიმართ შემწყნარებლობით (ტოლერანტობით). ხშირად ეს ბავშვები წვრილმანი დანაშაულისთვის ჩვეულებრივი დამნაშავეებივით იხდიან სასჯელს. მიზეზს კი არავინ სწავლობს. სათანადო ორგანოები არ რეაგირებენ, როდესაც ასეთი ბავშვები პატარაობიდან იძულე-

[94] მოხსენება საქართველოში 2004 წელს ადამიანის უფლებების სფეროში არსებული მდგომარეობის შესახებ, თბ., 2005, გვ. 88.

ბით მათხოვრობენ, შედეგებს კი არა პრევენციული, არამედ რეპრესიული ზომებით ებრძვიან. შემთხვევითი არაა, რომ 2008 წლის 26 მაისს გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტმა საქართველოს მესამე პერიოდული ანგარიშის მოსმენისას შეშფოთება გამოთქვა, რომ არ არსებობს სტრატეგიული ღონისძიებები, რომლებიც მოაგვარებდა ქუჩაში მცხოვრები ან მომუშავე ბავშვების მდგომარეობას. კომიტეტი განსაკუთრებით შეშფოთებულია ამ ბავშვების მძიმე მდგომარეობით იმ რისკების, მათ შორის ტრეფიკინგის რისკის გამო, რომლებიც მათ ემუქრებათ. კომიტეტმა რეკომენდაცია მისცა საქართველოს სახელმწიფოს დაამკვიდროს ქუჩის ბავშვებისთვის რეაბილიტაციისა და სოციალური რეინტეგრაციის სამსახურები, ჩაატაროს კომპლექსური კვლევა ქვეყანაში ქუჩის ბავშვების არსებობის მასშტაბის, ბუნებისა და მიზეზების შესაფასებლად, რათა ჩამოყალიბდეს პრევენციის ეროვნული სტრატეგია. უზრუნველყოს საკმარისი რაოდენობის თავშესაფრები როგორც თბილისში, ისე ქვეყნის სხვა კუთხეებში. სამწუხაროდ, მას შემდეგ ამ ბავშვებისთვის სიტუაცია მხოლოდ გაუარესდა, ვინაიდან ქუჩის ბავშვებისათვის არ განვითარებულა ახალი სოციალური სერვისები და ამავე დროს მოხდა მათი გამოთიშვა სერვისებიდან. არ მომხდარა მათი მონაცემების შეგროვება სტატისტიკისა და საჭიროებების დასადგენად. კერძოდ, ,,ბავშვზე ზრუნვის" სახელმწიფო პროგრამიდან ამოღებულ იქნა სოციალური მომსახურების სერვისები, ქუჩის ბავშვები დარჩნენ დღის ცენტრის სერვისის გარეშე. 2009 წლის ,,ბავშვზე ზრუნვის" სახელმწიფო პროგრამაში ქუჩის ბავშვებისთვის სოციალური სერვისის ერთადერთი წყარო სადღეღამისო თავშესაფარია, სადაც მხოლოდ 40 ბავშვისთვის არის ადგილი. სხვა არანაირი მომსახურება კონკრეტულად ამ მიზნობრივი ჯგუფის საჭიროებებიდან გამომდინარე დაგეგმილი და განხორციელებული არ არის.[95]

95 საქართველოს სახალხო დამცველის საპარლამენტო მოხსენება 2009/2. www.ombudsman.ge

ამიტომაც იყო, რომ გაეროს ბავშვის უფლებათა კომიტეტმა სინანული გამოთქვა მისი რეკომენდაციების შეუსრულებლობის გამო, რომელიც შეეხებოდა ქვეყნის შიგნით გადაადგილებულ ბავშვებს (ქუჩის ბავშვებს). მათი გადაუჭრელობა საფრთხეს უქმნის ბავშვთა კეთილდღეობას. როგორც ზემოთ აღინიშნა, ქუჩის ბავშვთა საქმიანობის ძირითად სფეროს მათხოვრობა, წვრილმანი ქურდობა, პროსტიტუცია და ტოქსიკომანია წარმოადგენს. ბავშვთა შრომამ საქართველოსათვის სრულიად უჩვეულო მასშტაბები შეიძინა. უმუშევრობის მაღალი მაჩვენებლის ფონზე ოჯახის რჩენის ფუნქციის მნიშვნელოვანი წილი ბავშვებმა იტვირთეს. ამ გარემოებამ ძლიერ შეარყია მოზარდის სოციალური ფორმირების ტრადიციული გარემო.

სახალხო დამცველის მოხსენებების მიხედვით, შემაშფოთებელია ოჯახში ბავშვებზე ძალადობის მასშტაბებიც. შსს მონაცემებით, 2007 წლის 1 იანვრიდან 1 ივლისამდე საქართველოში გამოცემულია 326 შემაკავებელი ორდერი. მათ შორის თბილისში შედგენილია 234 ოქმი. თუმცა არ არსებობს ზუსტი სტატისტიკა რამდენი ბავშვი გახდა ოჯახური ძალადობის მსხვერპლი. ოჯახურ ძალადობას და სხვა არასახარბიელო გარემოს (ნარკომანია, ალკოჰოლიზმი) გამოქცეულ ბავშვებს უწევთ ქუჩაში ცხოვრება და მათხოვრობა. ძალადობის მსხვერპლი ბავშვების რაოდენობა არც თუ ისე მცირეა, თუმცა ხშირად არ ხდება მსგავსი ფაქტების გამოვლენა, ვინაიდან არ არსებობს ამ პრობლემის მიმართ სისტემური რეაგირების მექანიზმი. ხშირად, ასეთი შემთხვევები ყოველგვარი რეაგირების გარეშე რჩება. ბავშვთა უფლებრივ მდგომარეობაზე საინტერესო მონაცემებს ფლობს სახალხო დამცველის აპარატი. ასე მაგალითად, სახალხო დამცველის ბავშვის უფლებათა ცენტრს განცხადებით მიმართა თბილისის ბავშვთა სოციალური ადაპტაციის ცენტრის დირექტორმა. ერთ შემთხვევაში საქმე ეხებოდა ამ ცენტრში მოხვედრილ ბავშვს, რომელსაც დედა და დეიდა ფიზიკური და ფსიქი-

კური ძალადობით აიძულებდნენ მათხოვრობას და მათთვის ფულის მიტანას, ხოლო მეორე შემთხვევაში 8 წლის ბავშვს, რომელიც საკუთარი მამინაცვლის სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გახდა; სახალხო დამცველს 15 წლის არასრულწლოვანმა გოგონამაც მიმართა მამის მხრიდან სექსუალური ძალადობის ფაქტზე. ბავშვთა ტრეფიკინგის პოტენციურ საფრთხეს ადასტურებს საქართველოში ბავშვების მიმართ ძალადობის ეროვნული კვლევა 2007-2008 წლებში. ასეთი სოციალური სინამდვილის ფონზე იმის მტკიცება, რომ საქართველოში ბავშვთა ტრეფიკინგი არ არსებობს, საფუძველს მოკლებულია.

ადამიანთა ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის 2005-2006 წლების სამოქმედო გეგმით (ასევე მომდევნო სამოქმედო გეგმებით), სახალხო დამცველის აპარატს და არასამთავრობო ორგანიზაციებს ეთხოვათ ტრეფიკინგის მონიტორინგი. აქედან გამომდინარე, მათ მიერ მოწოდებული ინფორმაციები მეტ ყურადღებას და გულდასმით შესწავლას საჭიროებს.

§ 4. ბავშვთა ტრეფიკინგის და კომერციული სექსუალური ექსპლუატაციის პრევენცია (რეკომენდაციები)

ბავშვთა ტრეფიკინგი მის ნებისმიერ გამოვლინებაში ბავშვთა უფლებების უხეში დარღვევაა, ის ბავშვებს ართმევს სრულფასოვანი და ღირსეული ცხოვრების შესაძლებლობას, რაც მათი პიროვნების სრული და ჰარმონიული განვითარების აუცილებელი პირობაა.

ტრეფიკინგის მსხვერპლი ბავშვი ფიზიკური, სულიერი, მორალური და სოციალური განვითარების თვალსაზრისით სავალალო შედეგებამდე მიდის, რაც ზოგჯერ მთელი ცხოვრების მანძილზე გრძელდება. როცა ისინი ტრამვას იღებენ ცხოვრების ამ ეტაპზე, შედეგები დამანგრეველია და

მთელ მათ მომავალ ცხოვრებაზე ახდენს გავლენას. გარდა ფიზიკური ზიანისა, ბავშვთა სხვადასხვა ფორმის ექსპლუატაციას შედეგად მოსდევს სტიგმატიზაცია, სირცხვილის, საკუთარი თავის უპატივცემულობის, უიმედობის, შიშის განცდა, დეპრესია და სხვ. რაც უფრო ხანგრძლივია ექსპლუატაციის ვადა, მით მეტი პრობლემები იქმნება ბავშვის ფიზიკური და სულიერი ჯანმრთელობისთვის. ქსპერტები, განსაკუთრებით მომაკვდინებელ ფაქტორად თვლიან ბავშვებზე სხვადასხვა სახის ძალადობას კიბერნეტიკულ სივრცეში. მაგალითად, ბავშვი, რომელსაც აიძულეს პოზირება უხამს გამოსახულებებში, მოგვიანებით დიდი სულიერი ტკივილით იტანჯება. ვირტუალური გარემოთი უზრუნველყოფილი პორნოგრაფიული მასალების შენახვის უვადო ხანდაზმულობა და გლობალური ხელმისაწვდომობა, შესაძლებლობას ართმევს ბავშვს დაეუფლოს და გაანადგუროს საკუთარი გამოსახულება, რაც დაეხმარებოდა სულიერი ტრამვის გამკლავებაში; ინტერნეტის ქსელში საკუთარი შიშველი გამოსახულების არსებობა ძალიან ტანჯავს ბავშვებს. სირცხვილის განცდა განსაკუთრებით მწვავეა მოზარდებისთვის, რადგან ისინი თვლიან, რომ მათზე განხორციელებული ძალადობა ხელს შეუშლის ოჯახის შექმნას, დედობას და სხვ. შეშფოთებას აძლიერებს ის ფაქტიც, რომ ბავშვი აცნობიერებს მასზე ძალადობის ამსახველი გამოსახულების დამზადების და გავრცელების შესაძლებლობას მომავალშიც, როგორც მიკრო სოციალურ გარემოში, ისე მთელი მსოფლიოს მასშტაბით. ეს სიმპტომი მაშინაც ჩნდება როცა მოზარდი თავად ამზადებს საკუთარ პორნოგრაფიულ გამოსახულებას და ინტერნეტში ათავსებს. აღარაფერს ვამბობთ კიბერარშიყობით გამოწვეულ ფსიქოლოგიურ შედეგებზე.[96]

---

[96] პორნოგრაფიის გავლენა ბავშვთა სოციალიზაციაზე მკაფიოდ ესმით დამნაშავეებს, რომლებიც მას იყენებენ ბავშვებთან არშიყობისთვის. იგი ხელს უწყობს ბავშვებში ქცევის ისეთი მოდელების და შეხედულებების ჩანერგვას, რასაც პორნომასალა ასახავს. ის აძლიერებს ისეთ სოციალურ შეხედულებებს,

ტრავმას აძლიერებს ისიც, რომ პორნოგრაფიული მასალა, რომელიც ბავშვის დამცირებას ასახავს გარეგნულად ძალადობის შთაბეჭდილებას არ ტოვებს, მას კამერების წინ აიძულებენ ღიმილს, სიმშვიდეს, ეს კი დანაშაულში თანამონაწილის განცდას აღძრავს და შიშს საზოგადოების წინაშე, რომელიც არ დაიჯერებს მის მიმართ განხორციელებულ ძალადობას. Ecpat-ის ინფორმაციით, შვეიცარიაში პორნოგრაფიის მსხვერპლი ბავშვები უარყოფდნენ ძალადობის ფაქტს, თუმცა ვიზუალური მტკიცებულებები სახეზე იყო. ტრეფიკინგის მსხვერპლი ბავშვი სტიგმატიზებული ხდება და მომავალში მასზე განხორციელებულ ძალადობას ის ჩვეულებრივ ამბად აღიქვამს. ასეთი ბავშვებით მანიპულირება ძალიან იოლი ხდება.

ბავშვების ვიქტიმიზაციის პროცესის ხელშემწყობი გარემოებები უამრავია. ბავშვების ტრეფიკინგის მსხვერპლად ქცევის რისკს ზრდის სხვადასხვა ფაქტორები. მათ შორის ერთ-ერთი გავრცელებულია ოჯახური ფაქტორები — ძალადობა და სისასტიკე ოჯახში, ალკოჰოლის ან ნარკოტიკების ბოროტად გამოყენება, განათლების დაბალი დონე, მშობლებსა და შვილებს შორის არაჯანსაღი დამოკიდებულება, მზრუნველობა მოკლებული და ობოლი ბავშვები და სხვ.

სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებიდან, აღსანიშნავია სიღარიბე, უმუშევრობის მაღალი დონე, განათლების მიღების მინიმალური შესაძლებლობა, ბავშვთა დაცვის ეფექტური სისტემის უქონლობა, მასობრივი ინფორმაციის საშუალებების მავნე ზემოქმედება, მავნე ტრადიციები, (ე.წ. კულტურის

რომელიც აუფასურებს გოგონებს ბიჭების და მამაკაცების თვალში. პორნომასალამ მაყურებელში შეიძლება გამოიწვიოს დამოკიდებულება, გრძნობათა გაუხეშება, მიბაძვა, საფრთხეს ზრდის ის ფაქტიც, რომ მასალები, რომლებიც ასახავენ ძალადობას, უხამსობას, დეგრადაციას, დღეს უფრო ხელმისაწვდომია კიბერსივრცეში, ვიდრე ადრე იყო.

მსხვერპლი ბავშვები), ქუჩაში ცხოვრება და შრომა (ე.წ. ქუჩის ბავშვები) შეიარაღებული კონფლიქტები, საგანგებო სიტუაციები, სტიქიური უბედურებები, საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები, უკანონო შვილად აყვანა და სხვ. ცალკე რისკჯგუფს ქმნიან ე.წ. „უბედური“ ბავშვები, როგორიცაა მიტოვებული ბავშვები, მეურვეობის ქვეშ მყოფი ბავშვები, ნარკოტიკის ან ალკოჰოლის მომხმარებელი ბავშვები, ეთნიკური, რელიგიური ან სხვა სახის უმცირესობების წევრი ბავშვები, ტრეფიკინგის მსხვერპლი ბავშვები და სხვ.

ტრეფიკინგის პროფილაქტიკისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს ბავშვთა ვიქტიმიზაციის პროცესის ხელშემწყობი გარემოებების აღმოფხვრას. მაგალითად, აზერბაიჯანის რესპუბლიკის ტრეფიკინგთან ბრძოლის კანონი შეიცავს ტრეფიკინგის პოტენციური მსხვერპლის განმარტებას (მაწანწალები, მათხოვრები, ობლები, უმეთვალყურეოდ დარჩენილი, ნარკოტიკებზე და ფსიქოტროპულ ნივთიერებებზე დამოკიდებული ბავშვები და სხვ.)

ბავშვთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლისა და პრევენციის ძირითად საერთაშორისო ინსტრუმენტს წარმოადგენს გაეროს ბავშვის უფლებათა კონვენცია (1989) და მისი ფაკულტატური ოქმი. ამ დოკუმენტებში ჩამოყალიბებულია მინიმალური მოთხოვნები, რომელსაც უნდა შეესაბამებოდეს ნაციონალური კანონმდებლობა, რათა ბავშვები დაცულ იქნენ ვაჭრობისგან, პროსტიტუციაში ან პორნოგრაფიაში ჩაბმისგან. ეს დოკუმენტები შეიცავენ სახელმწიფოთა საერთაშორისო თანამშრომლობის ძირითად პრინციპებს ტრეფიკინგის აღკვეთისა და დევნის, მისი თავიდან აცილების, მსხვერპლ ბავშვთა რეინტეგრაციის და დაცვის უზრუნველსაყოფად.

1996 წლის 27-31 აგვისტოს ქ. სტოკჰოლმში, ბავშვთა კომერციული სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ ჩატარებულ მსოფლიო კონგრესზე, მიღებულ იქნა დეკლარაცია და

სამოქმედო გეგმა ბავშვებით ვაჭრობასთან, ბავშვთა პროსტიტუციასა და პორნოგრაფიასთან საბრძოლველად. ამ ღონისძიებათა გეგმას მხარი დაუჭირა მეორე კონგრესმაც 2001 წელს, რა დროსაც ღონისძიებათა გეგმის ხელმომწერი ქვეყნების რიცხვი 161-მდე გაიზარდა. ამ ფართო საზოგადოებრივმა ალიანსმა, რომელშიც მთელი მსოფლიოს მასშტაბით გაერთიანებული არიან სახელმწიფო და არასახელმწიფო სტრუქტურები, გარკვეულ პროგრესს მიაღწია კომერციული სექსუალური ექსპლუატაციისგან ბავშვთა დაცვის საქმეში, თუმცა ყველა ქვეყანას თანაბარი ძალისხმევა არ განუხორციელებია ღონისძიებათა გეგმის შესრულებაში და გარკვეული წარმატების მიუხედავად, ბევრი ხარვეზი რჩება. სტოლკჰოლმის ღონისძიებათა გეგმა წარმოადგენს კონკრეტულ სამოქმედო სტრუქტურას, ღონისძიებათა კატეგორიებს, რომლებიც უნდა განახორციელონ მთავრობებმა საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და სხვა დაინტერესებულ მხარეებთან ერთად ბავშვთა კომერციულ სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ საბრძოლველად, საზოგადოდ ეს გეგმა მოიცავს: ა) სამთავრობო, არასამთავრობო და საერთაშორისო ორგანიზაციების საქმიანობის კოორდინაციას და თანამშრომლობას, ადგილობრივ, რეგიონულ, ნაციონალურ და საერთაშორისო დონეზე; ბ) ბავშვთა კომერციული სექსუალური ექსპლუატაციის აღკვეთას, აქ შედის პრევენციული ღონისძიებები; გ) ბავშვთა დაცვას, რეაბილიტაციას და რეინტეგრაციას.

ამგვარად, სტოკჰოლმის ღონისძიებათა გეგმა არის ფორმალური სახელმძღვანელო სტრუქტურა, რომელსაც სახელმწიფოთა მთავრობები იყენებენ ბავშვთა კომერციული სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ საბრძოლველად. ასე მაგალითად, უკრაინას, რომელმაც მიიღო სტოკჰოლმის ღონისძიებათა გეგმა, თავის პროგრამაში აქვს: ა) კრიტერიუმების შემუშავება, მსხვერპლი ბავშვების იდენტიფიკაციისთვის, მსხვერპლის სტატუსის მისანიჭებლად; ბ) სპეციალ-

ური სასჯელების შემოღება ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციისთვის; გ) უწყვეტი კონტროლი უკრაინული ინტერნეტ-საიტებისადმი, რათა გამოვლინდეს პორნოგრაფიის მწარმოებელი და გამავრცელებელი პირები; დ) სპეციალიზებული სარეაბილიტაციო ცენტრების შექმნა და სხვ.

საქართველო არ შეერთებია სტოლკჰოლმის სამოქმედო გეგმას. ჩვენ მიზანშეწონილად მიგვაჩნია ამ პროგრამის ხელმოწერა და იმპლიმენტაცია ქართულ სინამდვილეში. მართალია, საქართველოში ბევრი რამ გაკეთდა ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ საბრძოლველად, სპეციალური საკანონმდებლო ბაზის შექმნით დაწყებული და ეროვნული რეფერალური მექანიზმის ჩამოყალიბებით დამთავრებული, რაც ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის სამი სამოქმედო გეგმის რეალიზაციის ფარგლებში განხორციელდა, მაგრამ ეს ღონისძიებები არ ყოფილა ორიენტირებული საგანგებოდ ბავშვთა ტრეფიკინგის და კომერციული სექსუალური ექსპლუატაციის აღკვეთაზე. მას შემდეგ რაც საქართველო 2007 წელს აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის შეფასებით ტრეფიკინგთან ბრძოლაში წარმატებული ქვეყნების რიგში — პირველ კალათაში მოხვდა, ადამიანით ვაჭრობის წინააღმდეგ მიმართული ღონისძიებების განმახორციელებელი საუწყებათაშორისო საკოორდინაციო საბჭო დიდი აქტივობით არ გამოირჩევა. სუსტია კოორდინაცია სხვადასხვა ორგანიზაციებს შორის. საქართველოში არათუ ბავშვთა კომერციული სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ, არამედ ზოგადად ბავშვთა ტრეფიკინგის, მისი საფრთხეებისა და რისკების შესახებ რაიმე კოორდინირებული შეხვედრა, მსჯელობა ან მრგვალი მაგიდაც არ გამართულა, უფრო მეტიც, ქვეყანაში ბავშვთა ტრეფიკინგის ზუსტი სტატისტიკაც კი არ არსებობს. საშურია ასეთი ღონისძიების დაგეგმვა მოქმედებათა კოორდინაციისა და ინფორმაციის გაცვლისთვის.

ბავშვებით ვაჭრობასთან და კომერციულ სექსუალურ

ექსპლუატაციასთან საბრძოლველად მიზანშეწონილია შეიქმნას არასრულწლოვანთა წინააღმდეგ დანაშაულის შესახებ მონაცემთა ერთიანი ბაზა, ჩამოყალიბდეს მკაფიო კოორდინაციის მექანიზმი სამთავრობო, არასამთავრობო სექტორსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის; ეროვნულ რეფერალურ მექანიზმში საგანგებო აქცენტი გაკეთდეს ბავშვთა ტრეფიკინგის სისხლისსამართლებრივ დევნაზე, პრევენციასა და მსხვერპლთა დაცვაზე; მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს ქვეყნის შიგნით ბავშვებით ვაჭრობის პრობლემის შესწავლას, ქუჩის ბავშვების, როგორც რისკ ჯგუფების რაოდენობის შემცირებას, მათ ჩართვას სხვადასხვა ინსტიტუციებში; ბავშვთა უფლებების დაცვის უზრუნველსაყოფად საჭიროა სამართალდამცავ ორგანოთა მუშაკების სპეციალური გადამზადება ტრეფიკინგის და საზოგადოდ, კომერციული სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლი ბავშვების იდენტიფიცირებისა და სხვადასხვა სარეაბილიტაციო პროგრამებში ჩასართავად; უნდა გამკაცრდეს კონტროლი სახელმწიფო საზღვრებზე ბავშვების გადაადგილებაზე. ამ მიმართებით ბევრი პასუხგაუცემელი კითხვაცაა საიმიგრაციო კანონმდებლობაში.

2008 წელს ბრაზილიაში ბავშვთა კომერციული სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ გამართულ მსოფლიო კონგრესზე საგანგებო ყურადღება დაეთმო ბავშვთა უფლებების საგანმანათლებლო პროგრამების განვითარებას, კერძოდ, ხაზი გაესვა ბავშვთა ჩართვას ისეთ პროგრამებში, რომლებიც მათ თანამედროვე ფასეულობების და ნორმების ცვლილებების კრიტიკულ გააზრებაში დაეხმარება (მაგალითად, იმის შეგონება, რომ ქალიშვილობაზე უარის თქმა ცუდია). ბავშვებმა კრიტიკულად უნდა გაიაზრონ ახალი ნორმები, რათა თავად არ იქცნენ სექსუალური ექსპლუატაციის მსხვერპლად.

ასევე ხაზი გაესვა ქალის პატივისცემის კულტის განვითარებას, სპეციალური კვლევის განხორციელებას მამაკაცებისა და ყმაწვილების მიმართ, რათა მათ განუვითარდეთ პატი-

ვისცემა იმ უფლებათა მიმართ, რაც გააჩნიათ გოგონებს და ქალებს.

ბავშვთა ტრეფიკინგის მასშტაბებიდან გამომდინარე ზოგიერთი ქვეყანა მისი პრევენციის ორიგინალურ გზებსაც მიმართავს, მაგალითად, სამხრეთ კორეის პარლამენტმა ახალგაზრდობის დაცვის შესახებ კანონში შესწორებები შეიტანა, რომელთა მიხედვითაც სამართალდამცავ ორგანოებს უფლება აქვთ საჯაროდ გაახმაურონ იმ პირთა ვინაობა, ვინც ბავშვებთან სექსით არიან დაკავებულნი. ასეთ პირთა სიების გამოქვეყნება ეფექტური პროფილაქტიკური ზომა იქნება და გამოიწვევს მოთხოვნის შემცირებას. კანონის ახალი ვარიანტი უფრო მკაცრ სასჯელებს ითვალისწინებს სუტინიორებისა და „სასიყვარულო სასტუმროების" მფლობელებისთვის, რომლებიც არასრულწლოვნებს ქირაობენ.[97]

კანადაში სექსტურისტების მიმართ იყენებენ ქიმიურ კასტრაციას ე.ი. ხელოვნურ იმპოტენციას იწვევენ, რათა მან მომავალში აღარ გაიმეოროს მსგავსი ქმედება.

აღსანიშნავია, რომ ტერმინი ქიმიური კასტრაცია პირველად შემოტანილ იქნა არიზონას სასამართლოს მიერ (აშშ) 1982 წელს, სექსუალურ დამნაშავეთა მკურნალობის შესაძლებლობაზე მსჯელობის დროს. ექსპერტთა ერთი ნაწილი პედოფილიას თვლის სექსუალური ხასიათის მოშლილობად, მეორე ნაწილის აზრით, პედოფილიას აქვს დამოკიდებულების ნიშნები. აქედან გამომდინარე, პრაქტიკოსი სამართალდამცავები თვლიან, რომ პედოფილს ციხეში ყოფნის პარალელურად ესაჭიროება მკურნალობა, რაც გულისხმობს მისი სექსუალური იმპულსების კონტროლს, ისეთი პრეპარატების გამოყენებას, რაც ჩაახშობს ან დაამუხრუჭებს მის სექსუალურ აქტივობას, ერთი სიტყვით, საუბარია სექსუალობის მედიკა-

97 იხ. ლ. ეროხინა, დასახელებული შრომა, გვ. 150.

მენტოზურ შემცირებაზე. თუმცა, პედოფილების მკურნალობის დადებითი შედეგები მთელ მსოფლიოში მცირეა, სრული განკურნება კითხვის ნიშნის ქვეშ დგას, თუმცა მისი ქცევის კონტროლი მიღწევადია. საერთაშორისო დაკვირვებით შესაძლებელი გახდა სრულწლოვანი პედოფილების არაუმეტეს 10%-ისა და ახალგაზრდების 50%-ის განკურნება. ამავე დროს, ხანგრძლივი მკურნალობის კურსგავლილთა შორის რეციდივის პროცენტი — 6%-ს, ხოლო მკურნალობაგაუვლელთა შორის რეცივიდიზმი — 35%-ს. 80-იან წლებში ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ კასტრაცია კარგ ზეგავლენას ახდენს აგრესიულ სექსუალურ მანიაკებზე, მათ ათჯერ ნაკლები დანაშაული ჩაიდინეს განმეორებით, ვიდრე მათმა არაკასტრირებულმა „კოლეგებმა". თუმცა პესიმისტები თვლიან, რომ კასტრაცია არ არის უნივერსალური საშუალება; კასტრაციის მომხრეები კი თვლიან, რომ უმჯობესია ქიმიური კასტრაცია, ვიდრე საერთოდ არაფრის გაკეთება. მაგალითად დანიაში ქიმიური კასტრაცია პირობით ვადამდე გათავისუფლების აუცილებელი პირობაა; პედოფილების მიმართ იძულებითი კასტრაციის შემოღება ხმელთაშუა ზღვის რეგიონშიც განიხილება, გერმანიაში, ჩეხეთსა და ზოგიერთ სხვა ქვეყნებში ასევე განხილვაშია საკითხი იმის შესახებ, რომ ბავშვებზე სექსუალური ძალადობის რეციდივი დაისაჯოს კასტრაციით. გამოუსწორებელ პედოფილს სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე უკეთებენ ნემსს, რათა ხელოვნურად გამოიწვიონ იმპოტენცია. თვლიან, რომ ამგვარ დამნაშავეებს სხვას ვერაფერს მოუხერხებენ, მათ ალბათ, ფსიქიკაც მოშლილი აქვთ და ციხე ვერ გამოასწორებს. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ იძულებითი ქიმიური კასტრაციის გამოყენება ეწინააღმდეგება ადამიანის უფლებებს.[98]

აშშ-ში ბავშვთა დაცვისა და უსაფრთხოების შესახებ 2006 წლის კანონს დაემატა სექსუალური დანაშაულისათვის მსჯავრდებულ პირთა რეგისტრაციის შესახებ კანონი (sorna).

[98] იხ. www. kesa.ee

იგი ითვალისწინებს სპეციალური სამმართველოს შექმნას, რომელიც სექსუალური დანაშაულის ჩამდენ პირებზე განახორციელებს მონიტორინგს, რეგისტრაციასა და კონტროლს.

გერმანია ახორციელებს ტრეფიკინგის მსხვერპლი ადამიანების მონაცემთა შეკრებას. იტალიას აქვს ტრეფიკინგის მსხვერპლთა მონაცემთა ერთიანი ბაზა. ესპანეთში ტრეფიკინგის ჩამდენს 6-12 წლამდე ვადით ეკრძალება დაიკავოს ნებისმიერი თანამდებობა სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოებში და ა.შ.

საგანგებო ყურადღებას იმსახურებს ბავშვების დაცვა ინტერნეტის მავნე ზემოქმედებისგან. ინტერნეტში ჩადენილ სამართალდარღვევათა მიმართ სხვადასხვა ქვეყანას განსხვავებული მიდგომა აქვს. ზოგიერთმა ქვეყანამ კიბერსივრცეში ბავშვთა დაცვის სისტემა და პოლიტიკა შეიმუშავა, მაგრამ მათ უმრავლესობას ასეთი მექანიზმები არ აქვს. კიბერსივრცის გლობალური ბუნებიდან გამომდინარე საერთაშორისო და ეროვნულ დონეზე საჭიროა შეთანხმებული მოქმედებები პრობლემის დასაძლევად. სხვადასხვა ქვეყანას არა მარტო განსხვავებული იურისდიქციები აქვს, არამედ განსხვავებული რესურსები და შესაძლებლობები კიბერსივრცეში დანაშაულის აღკვეთისა და პრევენციისათვის. საჭიროა პრაქტიკული გამოცდილების გაცვლა სხვადასხვა ქვეყნებს შორის. მაგალითად, 2003 წელს აშშ-ის, კანადის, დიდი ბრიტანეთის და ავსტრალიის პოლიციების მიერ ინტერპოლთან თანამშრომლობით შეიქმნა ვირტუალური გლობალური სპეციალური ჯგუფი ინტერნეტის მეშვეობით ბავშვებზე სექსუალურ ძალადობასთან საბრძოლველად.

დღესდღეობით გადაუჭრელია ისეთი პრობლემაც, როგორიცაა დევნა და მეძიებლობა ვირტუალური საშუალებებით, რაც ფართოდ გავრცელებული მოვლენაა მოზარდებში და ბავშვებში. მისი შედეგები კატასტროფულია და დაფიქსირებულია თვითმკვლელობის შემთხვევებიც. კიბერსივრცეში

დევნის მსხვერპლნი დეპრესიულნი ხდებიან, განიცდიან დისკომფორტს, სკოლიდან გარბიან და ა.შ. არც ერთ იურისდიქციაში ქსელში დევნა უკანონო ქმედებად არ ითვლება, თუ ის მოკვლის მუქარას ან სხვა ტრადიციული დანაშაულის ნიშნებს არ შეიცავს.
ვირტუალურ გარემოში ბავშვთა დასაცავად შემუშავებულია მთელი რიგი რეკომენდაციები. იგი მოიცავს შესაბამისი პოლიტიკის შემუშავებას, (მოქმედებათა ნაციონალურ გეგმებს), კერძო სექტორთან თანამშრომლობას, საგანმანათლებლო ინიციატივებს, სამართლებრივ რეფორმებს, სამართალდამცავთა სწავლებას, სამეცნიერო კვლევებს.

2005 წლიდან უკრაინაში მოქმედებს Ecpat international-ის კამპანია „გადავაქციოთ ინტერნეტი უსაფრთხოდ". ინტერნეტში პორნოგრაფიულ საიტებზე ბავშვთა ყოფნის აღკვეთის მიზნით გაშვებულია პროგრამული უზრუნველყოფა „კიბერძიძა". თუ ვებ გვერდი შეტანილია აკრძალული წყაროების მონაცემთა ბაზაში ან შეიცავს სიტყვა-ინდიკატორებს, რომელიც მიუთითებს შეზღუდულ საიტზე, პროგრამული უზრუნველყოფა ამ საიტზე შესვლის ბლოკირებას ახდენს. შეზღუდული დაშვების საიტების სიები მუდმივად ახლდება. პროგრამული უზრუნველყოფა უფასოდ ეძლევათ ინტერნეტ კლუბებს, ინტერნეტ კაფეებს, ინდივიდუალურ მომხმარებლებს.

საქართველოში ინტერნეტით სარგებლობს მოსახლეობის 7,8%. რაც უფრო გაიზრდება ინტერნეტით მოსარგებლე მოსახლეობა, მით უფრო გაიზრდება პორნოტრეფიკინგის მასშტაბები და საჭირო გახდება უფრო ეფექტური ზომების მიღება ბავშვთა დასაცავად. შესაბამისი პრევენციული ზომების გატარება, პირველ რიგში, სახელმწიფოს ვალია, მით უფრო საქართველოში, სადაც ელექტრომედიის პრაქტიკულად ყველა საშუალებას სახელმწიფო აკონტროლებს მარეგულირებელი კომისიების მეშვეობით. კომპიუტერებზე — სახლებში, სკოლებში, ინტერნეტ კაფეებში შესაძლებე-

ლია გამფილტრავი პროგრამების დაყენება, რაც მოზარდებს შესაძლებლობას არ მისცემს აკრძალულ საიტებზე შევიდნენ. ცხადია, უმჯობესია უსაფრთხოების პროგრამების შემუშავება და დანერგვა ინტერნეტპროვაიდერებმა მოახდინონ. ბავშვთა პორნოგრაფიის ხელშეწყობის როლში ხშირად გამოდის ინტერნეტის პროვაიდერი. ეს პრობლემა ეხება სატელეფონო და ინტერნეტკომპანიებს, კომპიუტერის გამყიდველებს, ინტერნეტკაფეებს და სათამაშო სალონებს, რომელთაც ასევე ევალებათ ბავშვთა დაცვის შესაბამისი ზომების დანერგვა. დღესდღეობით ახალი ტექნოლოგიების მიმართ დაცვის ზომებს ცალკეული ინდივიდები იღებენ – მშობლები, მეურვეები, მასწავლებლები. ამ ადამიანებმა უნდა იმოქმედონ პოტენციური საფრთხეების წინააღმდეგ. ბრძოლის წინა ხაზზე მაინც მშობლები იმყოფებიან, მათ უნდა გააკონტროლონ რას აკეთებენ ბავშვები ინტერნეტში, შეამოწმონ რომელი საიტები მოინახულა ბავშვმა, რა დრო დაჰყო კომპიუტერთან. ზოგიერთი ბავშვი დღე და ღამეს კომპიუტერთან ატარებს. კომპიუტერზე დამოკიდებულება ნარკოტიკზე დამოკიდებულებას ემსგავსება. ბავშვი არ ჭამს, არ სვამს, მიწებებულია კომპიუტერულ თამაშებზე, ზოგი ავადდება კიდეც. ზოგჯერ ბავშვი იძულებულია კომპიუტერთან იჯდეს, რადგან მასთან მშობლები არ ურთიერთობენ და კომპიუტერიც იმიტომ შეიძინეს, რომ ბავშვმა ნაკლებად შეაწუხოს, როცა ისინი ისვენებენ ან ერთობიან.

საქართველოს მთავრობამ საინფორმაციო ტექნოლოგიებიდან მომდინარე საფრთხეებისგან ბავშვთა დასაცავად უნდა შეიმუშაოს შესაბამისი სტრატეგია, ხოლო ვიდრე ამ სფეროში ყოვლისმომცველი სტრატეგია შემუშავდება და მოქმედების ნაციონალური გეგმა დაიდება, შესაძლებელია ტრეფიკინგთან ბრძოლის რეფერალურ მექანიზმში და ბავშვთა დაცვის სხვა მოქმედ პროგრამებში ამ სტრატეგიის ასახვა.

საინფორმაციო-საკომუნიკაციო ტექნოლოგიებში მომუშავე

კომპანიებმა უნდა შეიმუშაონ და დანერგონ ბავშვთა დაცვის სტანდარტები; ინტერნეტ კაფეებმა და კლუბებმა უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად დანერგონ გამფილტრავი და მაბლოკირებელი პროგრამები. მაგალითად, კიევში მასიურად დაიწყეს ინტერნეტ კაფეების დახურვა და მუშაობის მკაცრი წესები დაუწესეს: ღამე არ იმუშაონ, შუადღემდე ბავშვები არ დაუშვან, რადგან სასკოლო სწავლების დროა, დაბლოკონ პორნოსაიტები და ა.შ. საქართველოში ქუჩის ბავშვების თავშესაფარი ინტერნეტ კაფეებია, განსაკუთრებით ზამთრის პერიოდში, სადაც მთელ ღამეს ატარებენ უსახლკარო ბავშვები. მათ ქმედებას არავინ აკონტროლებს.

სისხლის სამართლის კოდექსში კომპიუტერულ დანაშაულთა თავს შესაძლებელია დაემატოს სპეციალური მუხლი, რომელიც ბავშვებს დაიცავს კიბერსივრცეში ძალადობისგან, მათ შორის შანტაჟისა და დევნისგან, სსკ-ის 141-ე მუხლს დაემატოს პასუხისმგებლობა გარყვნილი ქმედებისთვის კომპიუტერული ტექნოლოგიების გამოყენებით.

ვფიქრობთ, გონივრული იყო იურიდიული პირების პასუხისმგებლობის შემოღება 255-ე მუხლით, რომლის მეშვეობით შესაძლებელია ბავშვთა პორნოგრაფიის ქსელში გავრცელებისთვის ინტერნეტპროვაიდერი კომპანიები დაისაჯონ.

იმპლიმენტირებული უნდა იქნეს, კიბერდამნაშავეობის შესახებ ევროსაბჭოს კონვენციის პოზიცია ვირტუალური საბავშვო პორნოგრაფიის შესახებ.

ტრეფიკინგის პრევენციისთვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საერთაშორისო რეკომენდაციაა სავალდებულო ინფორმირება, სახელდობრ, დაევალოთ ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების სფეროს მუშაკებს, მასწავლებლებს, საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგიების სერვის ცენტრებს, ინტერნეტ-მომსახურების პროვაიდ-

ერებს, ფოტოს ტუდიებს, ბანკებს და საკრედიტო ბარათების ანგარიშების მომსახურების კომპანიებს შეატყობინონ სამართალდამცავ ორგანოებს ბავშვთა პორნოგრაფიის ფაქტებზე ეჭვების შესახებ. ეს საერთაშორისო რეკომენდაცია რეალიზებული აქვს აშშ-ს, საფრანგეთს და სხვ.

სპეციალურ ლიტერატურაში უკვე გაისმის მოწოდება, რომ ბავშვთა ტრეფიკინგი ჩაითვალოს ადამიანურობის (კაცობრიობის) საწინააღმდეგო დანაშაულად და მასზე უნივერსალური იურისდიქცია გავრცელდეს.

ტრეფიკინგისგან ბავშვთა დაცვისა და რეინტეგრაციის აუცილებელი პირობაა მსხვერპლთა იდენტიფიკაცია. ტრეფიკინგის მსხვერპლის ან პოტენციური მსხვერპლის გამოსავლენად იყენებენ ინდიკატორებს, ანუ ცნობილი და სავარაუდო ფაქტების ერთობლიობას, რაც იმაზე მიუთითებს, რომ პიროვნება არის ან შესაძლოა იყოს ვაჭრობის მსხვერპლი. მსხვერპლის იდენტიფიკაციის პროცესი სამი ეტაპისგან შედგება, ტრეფიკინგის განხორციელების სამი ფაზის შესაბამისად, კერძოდ: მოქმედება (ადამიანის მოძრაობა-გადაადგილება, გადაბირება, გადაყვანა, შეფარება, მიღება), ადამიანის გადაადგილებისთვის გამოყენებული საშუალებები (მუქარა, ძალადობის სხვადასხვა ფორმები, შანტაჟი, მოტყუება და სხვა), მიზანი — ადამიანის ექსპლუატაციის სხვადასხვა ფორმა, ორგანოების ამოღების ჩათვლით. შეკითხვები სწორედ ამ საკითხების ირგვლივ არის კონცენტრირებული. საქართველოში მსხვერპლის იდენტიფიკაციის ორი გზა არსებობს: 1) მსხვერპლი მიმართავს სამართალდამცავ ორგანოებს (ანდა პირიქით) და შესაბამისი ინფორმაციის გადამოწმების შემდეგ ადამიანს ენიჭება დაზარალებულის სტატუსი; 2) მსხვერპლი დახმარებისთვის მიმართავს სახელმწიფო ფონდს. მობილური ჯგუფი პიროვნებას უტარებს ინტერვიუს და ინფორმაციას გადასცემს მუდმივმოქმედ ჯგუფს, რომელიც იღებს გადაწყვეტილებას მსხვერპლის სტატუსთან დაკავშირებით.

აღიარებული საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, სრულწლოვნების მსხვერპლად აღიარებისთვის საჭიროა მათ მიმართ ძალადობის, იძულების, მოტყუების და სხვა კვალის არსებობა, რათა მათი მიგრაცია ტრეფიკინგად შეფასდეს. 18 წელს მიუღწეველი პირების მიმართ კი, მოქმედებს დაცვის სპეციალური ზომები. საერთაშორისო შეთანხმებათა თანახმად, თუ მსხვერპლი ბავშვია, საკმარისი არაა მას იძულებით, მუქარით ან მოტყუებით აიძულონ მიგრაცია, ხოლო საკითხი „ექსპლუატაციაზე თანხმობის" შესახებ საერთოდ მნიშვნელობას მოკლებულია. ამა თუ იმ ფორმის ექსპლუატაცია საკმარისია იმისთვის, რომ ბავშვი ტრეფიკინგის მსხვერპლად ჩაითვალოს. ბავშვი, რომელიც სხვა პირის მიერ გამოიყენება სარგებლის მიღების მიზნით ტრეფიკინგის მსხვერპლად განიხილება.

ტრეფიკინგის მსხვერპლი ბავშვების იდენტიფიკაცია შესაძლებელია როგორც დანიშნულების სახელმწიფოში, რომლის ტერიტორიაზეც ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლს უწევენ ექსპლუატაციას, ისე წარმოშობის სახელმწიფოში, მსხვერპლის დაბრუნების შემდგომ. როგორც წარმოშობის, ისე დანიშნულების სახელმწიფოებში შემუშავებულია ინდიკატორები, რომელთა მეშვეობით შესაძლებელია ტრეფიკინგის მსხვერპლთა იდენტიფიკაცია. მაგალითად, ჰოლანდიის გენერალური პროკურატურის მიერ შემუშავებული იქნა მაჩვენებლები, რომელთა მიხედვითაც შესაძლებელია ტრეფიკის მსხვერპლთა ამოცნობა, მათ შორის ბავშვებისაც. კერძოდ, თუ აღმოაჩენენ რომ 18 წელს მიუღწეველი ჰოლანდიელი ან უცხოელი ეწევა პროსტიტუციას, ჩნდება ეჭვი, რომ იგი ტრეფიკინგის მსხვერპლია. ეჭვის საფუძველია შემდეგი გარემოებები: არალეგალური შესვლა ქვეყანაში ანდა ყალბი დოკუმენტების საფუძველზე, მოგზაურობის ორგანიზაცია არა თავად არასრულწლოვანმა, არამედ სხვამ გააკეთა, მას ეშინია ქვეყნიდან დეპორტაციისა, ხელი არ მიუწვდება სამედიცინო მომსახურებაზე, მისგან მოითხოვენ ყოველ-

დღიურ მინიმალურ შემოსავალს, რომლის მნიშვნელოვანი ნაწილი სხვას მიაქვს, მომსახურებისთვის არასრულწლოვანი ნაკლებ ხელფასს იღებს, ვიდრე ადგილობრივი მცხოვრები, შეზღუდული აქვს გადაადგილების თავისუფლება, მუშაობა უხდება ხანგრძლივი დროით და ცუდ პირობებში, განიცდის დამცირებას ან მუშაობს ძალადობის მუქარის გამო, არასრულწლოვნის ოჯახი სამშობლოში მძიმე ეკონომიკურ პირობებშია და დამოკიდებულია მის შემოსავალზე, არასრულწლოვნის ნათესავებს სამშობლოში აშანტაჟებენ ან ემუქრებიან, მას არა აქვს მუდმივი სამუშაო ადგილი, არ იცის მისი მისამართი, არ ლაპარაკობს ჰოლანდიურ ენაზე, ჩამოსულია ისეთი ქვეყნიდან, სადაც დარეგისტრირებულია ადამიანით ვაჭრობის შემთხვევები და სხვ. მსგავსი კრიტერიუმები შემუშავებული აქვთ მსხვერპლის წარმოშობის სახელმწიფოებსაც (მიმწოდებელი ქვეყნები), მაგალითად, მოლდოვაში შემუშავებულ იქნა ტრეფიკინგის მსხვერპლის ამოცნობის ზოგიერთი სარეკომენდაციო ნიშნები, რომლებიც ცხადია მხოლოდ არასრულწლოვნებს არ ეხება და მოიცავს პირებს, რომლებმაც შესაბამის ორგანიზაციებს მიმართეს სოციალური დახმარებისთვის, პირებს, რომლებიც დეპორტირებულ იქნენ სხვა ქვეყნებიდან სავიზო რეჟიმის დარღვევასთან დაკავშირებით, სამშობლოში დაბრუნებულ პირებს, რომლებიც გამოვლენილ იქნენ საზღვარგარეთ ბორდელებსა და პროსტიტუციის სხვა ადგილზე პოლიციის ალყის შედეგად, პირებს, რომლებმაც პოლიციას მიმართეს საჩივრით სხვა ქვეყანაში ცუდ მოპყრობაზე.[99]

ტრეფიკინგის მსხვერპლი ბავშვები შეიძლება ამოიცნონ არა მხოლოდ სამართალდამცავი ორგანოს მუშაკებმა, არამედ სოციალურმა მუშაკებმაც, მასწავლებლებმაც, მშობლებმაც და კლიენტებმაც კი. მათ დიდი წვლილის შეტანა შეუძლიათ ბავშვების გადარჩენასა და დაცვაში.
საქართველოს პრეზიდენტის 2007 წლის 1 თებერვლის

[99] იხ. www. ecpat. international

ბრძანებულებით დამტკიცდა ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა იდენტიფიცირების ერთიანი სტანდარტები და წესი. მასში დეტალურად არის რეგლამენტირებული ადამიანისთვის მსხვერპლის სტატუსის მინიჭების პროცედურა. მანამდე, 2006 წლის 20 ნოემბერს დამტკიცდა სამოქმედო ინსტრუქცია ტრეფიკინგის მსხვერპლთა დასაცავად (ეროვნული რეფერალური მექანიზმი), მასში ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესაბამისი სტრუქტურა წარმოდგენილია სამი ძირითადი საფეხურის გათვალისწინებით: 1) ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლის იდენტიფიკაცია და სტატუსის მინიჭება; 2) მსხვერპლის დაცვა და დახმარება; 3) რეინტეგრაცია და რეაბილიტაცია.

ამგვარად, დახმარებისთვის მიმართვის ეროვნული მექანიზმი ეს არის ადამიანით ვაჭრობის სავარაუდო მსხვერპლთა იდენტიფიკაციის პროცესი სხვადასხვა უწყებების და ორგანიზაციების მიერ და მათი ურთიერთქმედება იმის გარანტიისათვის, რომ ამ ადამიანებმა ისარგებლონ თავშესაფრით, კომპენსაციით, სამედიცინო დახმარებით და სხვა პროგრამებით.

§ 5. ბავშვთა ტრეფიკინგის კრიმინალიზაცია

ტრეფიკინგის დეფინიციის შემცველ პირველ საერთაშორისო იურიდიულ დოკუმენტად ითვლება ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის დამატებითი ოქმი „ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ“. სწორედ მასშია მოცემული საერთაშორისო სამართლის ყველაზე ხშირად ციტირებადი განმარტება ტრეფიკინგისა. ამავე დროს, ოქმი ბავშვთა ტრეფიკინგის სპეციალურ განმარტებას არ გვთავაზობს, მაგრამ მე-3 მუხლის „C“ ქვეპუნქტში მიუთითებს, რომ ბავშვის გადაბირება-გადაცემა (ტრანსპორტირება), გადაყვანა, შეფარება ან მიღება ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგად უნდა ჩაითვალოს მაშინაც კი, როდესაც გამოყენებული არ ყოფილა ამ

მუხლის „a" ქვეპუნქტით გათვალისწინებული ზემოქმედების რომელიმე საშუალება (მუქარა, იძულება და სხვ.). ტრეფიკინგის იდენტურ განმარტებას გვთავაზობს ევროპის საბჭოს 2005 წლის 16 მაისის კონვენცია ადამიანებით ვაჭრობის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ. მაშასადამე, როგორც პალერმოს ოქმი, ასევე ევროსაბჭოს კონვენცია ხაზს უსვამს, რომ ბავშვების ტრეფიკინგის დროს მნიშვნელობა არა აქვს, ჰქონდა თუ არა ადგილი მოტყუებას, ძალადობას, მუქარას ან ზემოქმედების ნებისმიერი სხვა საშუალების გამოყენებას. არსებითი მნიშვნელობა აქვს ბავშვის ექსპლუატაციის მიზანს და თუკი ამ მიზნის განსახორციელებლად ხდება ბავშვის გადაბირება, გადაცემა, გადაყვანა, შეფარება ან მიღება, ეს ქმედება ბავშვთა ტრეფიკინგად უნდა ჩაითვალოს.

საზოგადოდ, ზემოაღნიშნულ დოკუმენტებში მოცემული ტრეფიკინგის დეფინიციის მიხედვით, ადამიანებით ვაჭრობა წარმოადგენს სამი ძირითადი ელემენტის კომბინაციას: 1. მოქმედება — „ადამიანების გადაბირება, გადაცემა, გადაყვანა, შეფარება ან მიღება"; 2. საშუალებები — „მუქარა, ძალის გამოყენება ან იძულების სხვა ფორმები, მოტაცება, თაღლითობა, მოტყუება, ძალაუფლების ან უმწეო მდგომარეობის გამოყენება ანდა თანხის თუ სხვა სარგებლის მიცემით იმ პირის მოსყიდვა თანხმობის მისაღწევად ვის კონტროლქვეშაც იმყოფება მეორე პირი (ანუ ადამიანის ყიდვა)"; 3. მიზანი — „ექსპლუატაციის მიზანი. ექსპლუატაცია როგორც მინიმუმ გულისხმობს სხვათა პროსტიტუციის ექსპლუატაციას ან სქესობრივი ექსპლუატაციის სხვა ფორმას, იძულებით შრომას ან მომსახურებას, მონობას ან მონობის მსგავს მდგომარეობას, მონურ შრომას ან ორგანოთა გადანერგვას". ადამიანებით ვაჭრობა წარმოადგენს სწორედ ზემოაღნიშნული სამი ელემენტის კომბინაციას და არა ინდივიდუალურად აღებულ რომელიმე მათგანს. მაგალითად, ადამიანის გადაბირება (მოქმედება), მოტყუების გზით (საშუალება), პროსტიტუციის ექსპლუატაციის მიზნით (მიზანი) — უნდა დაკვალიფიცირდ-

ეს ადამიანით ვაჭრობად. მაშასადამე, საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით ადამიანებით ვაჭრობაზე რომ ვილაპარაკოთ, საჭიროა სამი ელემენტის — მოქმედება, საშუალება, მიზანი — შერწყმა. მაგრამ ერთი გამონაკლისია დადგენილი ბავშვების მიმართ, სახელდობრ, ბავშვების გადაბირება, გადაცემა, გადაყვანა, შეფარება ან მიღება ექსპლუატაციის მიზნით ტრეფიკინგად ჩაითვლება პალერმოს ოქმის მე-3 მუხლით და ევროსაბჭოს კონვენციის მე-4 მუხლით გათვალისწინებული ზემოქმედების რომელიმე საშუალების გამოყენების გარეშეც. ევროსაბჭოს კონვენციის მე-4 მუხლის „B" და „C" ქვეპუნქტების შეერთებით (შესიტყვებით) ვასკვნით, რომ ბავშვის გადაბირება, გადაყვანა, გადაცემა, შეფარება ან მიღება ექსპლუატაციის მიზნით ჩაითვლება ადამიანებით ვაჭრობად. ამასთანავე, მნიშვნელობა არა აქვს გამოყენებული იყო თუ არა „a" ქვეპუნქტში მითითებული ზემოქმედების საშუალებები. ასევე, მნიშვნელობა არა აქვს ექსპლუატირებული ბავშვის თანხმობის არსებობას ან არარსებობას.

ამგვარად, ბავშვთა ტრეფიკინგისთვის საკმარისია ორი ელემენტის არსებობა-მოქმედება და ექსპლუატაციის მიზანი. ეს დასკვნა გამომდინარეობს ბავშვის უფლებების კონვენციის 2000 წლის 25 მაისის დამატებითი ოქმის შინაარსიდანაც. სახელდობრ, ბავშვის უფლებების კონვენციის დამატებითი ოქმის „ბავშვებით ვაჭრობის ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ" მეორე მუხლის მიხედვით ბავშვებით ვაჭრობა ნიშნავს ნებისმიერ ქმედებას ან გარიგებას, რომლის შედეგადაც ბავშვი გადაეცემა ნებისმიერი პირის ან პირთა ჯგუფის მიერ სხვა პირს ან პირთა ჯგუფს ფულადი ან სხვა სახის ანაზღაურების ფასად, ამავე ოქმის მე-2 მუხლს მე-3 მუხლი უფრო აკონკრეტებს, რომლის მიხედვითაც ბავშვებით ვაჭრობა ნიშნავს ნებისმიერი საშუალებით ბავშვის შეთავაზებას, გადაცემას, ან მიღებას შემდეგი მიზნებისთვის: ა) ბავშვის სექსუალური ექსპლუატაცია; ბ) ბავშვის ორგანოების გადაცემა ანაზღაურების მისაღებად, გ) ბავშვის გამოყ-

ენება იძულებით სამუშაოებზე; დ) შვილად აყვანის შესახებ საერთაშორისო სამართლებრივი აქტების დარღვევით ბავშვის შვილად აყვანისთვის შუამავლის იძულებითი თანხმობის უკანონოდ მოპოვება. როგორც ვხედავთ, ეს ოქმი ასევე აფართოებს ბავშვთა ტრეფიკინგის შინაარსს.

საერთაშორისო თანამეგობრობის მიერ შემუშავებული რეკომენდაციების საფუძველზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში არასრულწლოვნით ვაჭრობა კრიმინალიზებულია 143²-ე მუხლით, რომლის მიხედვით არასრულწლოვანთა ტრეფიკინგი ორ კანონისმიერ შემადგენლობად შეიძლება დავყოთ, სახელდობრ, ერთი მხრივ, დასჯადია არასრულწლოვნის ყიდვა-გაყიდვა ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელება, ხოლო მეორე მხრივ, დანაშაულია არასრულწლოვნის გადაბირება, გადაყვანა, გადამალვა, დაქირავება, ტრანსპორტირება, გადაცემა, შეფარება ანდა მიღება ექსპლუატაციის მიზნით. ექსპლუატაციის დეფინიცია მოცემულია სსკ-ის 143¹-ე მუხლის შენიშვნაში, სადაც ის უფრო ფართოდაა გაგებული, ვიდრე შესაბამის საერთაშორისო დოკუმენტებში.

ადამიანებით ვაჭრობის პროცესის სამი ფაზა: მსხვერპლის გადაბირება (რეკრუტირება), გადაყვანა (ტრანსპორტირება) და ექსპლუატაცია როგორც სრულწლოვანთა, ისე არასრულწლოვანთა ტრეფიკინგის დროს შინაარსობრივად იდენტურია, ამიტომ მასზე დაწვრილებით არ შევჩერდებით. ზემოთ ჩვენ უკვე ვისაუბრეთ არასრულწლოვნების გადაბირების ფორმებზე და აღვნიშნეთ, რომ ბავშვები ტრეფიკინგისთვის ადვილად გადასაბირებელ კატეგორიას შეადგენენ. მათი გადაბირება შესაძლებელია ისეთი ხერხებითაც, როგორიცაა საჭმლის, თავშესაფრის ან სათამაშოს შეთავაზება. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო კონვენციებით გათვალისწინებულია ადამიანებით ვაჭრობის სფეროში ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობაც,

ამიტომ, როდესაც ტრეფიკინგის დეფინიციებში საუბარია ადამიანის გადაბირებაზე, მასში იგულისხმება ადამიანის დაყოლიების ნებისმიერი საშუალება — ზეპირსიტყვიერი, წერილობითი, ინტერნეტის შესაძლებლობები და ა.შ. ცხადია, არასრულწლოვანთა გადაბირებისთვის შეიძლება გამოყენებულ იქნეს ზემოქმედების ის საშუალებებიც, რაც სრულწლოვანთა ტრეფიკინგის დროს გამოიყენება, მათ სსკ-ის 143²-ე მუხლი დამამძიმებელი გარემოებების სახით ითვალისწინებს.

რაც შეეხება გადაყვანას ან ტრანსპორტირებას (ტრანსპორტირება და გადაყვანა სსკ-ში ბოლო დროს შეტანილი ცვლილების შემდეგ ცალ-ცალკეა გამოყოფილი), აუცილებელი არ არის რომ იგი საზღვრების გადალახვით განხორციელდეს. ტრეფიკინგი შესაძლებელია განხორციელდეს როგორც სახელმწიფოთა საზღვრების გადაკვეთით, ისე ერთი სახელმწიფოს ტერიტორიის შიგნითაც. ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული კონვენციის მე-2 მუხლში აღნიშნულია, რომ ეს კონვენცია გამოიყენება ადამიანებით ვაჭრობის ყველა ფორმების მიმართ, იქნება ის ნაციონალურ თუ ტრანსნაციონალურ დონეზე, როგორც ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებული, ისე მასთან კავშირის არმქონე.

ტრეფიკინგის პროცესის ბოლო ფაზა არის მსხვერპლის ექსპლუატაცია. როგორც კი მსხვერპლი დანიშნულების ადგილას მოხვდება, ის აღმოაჩენს, რომ მონურ პირობებში უნდა იცხოვროს და იმუშაოს. როგორც უკვე აღვნიშნეთ, არასრულწლოვნებს, ძირითადად, სექსინდუსტრიაში, შინამოსამსახურეებად, სოფლის მეურნეობაში მუდმივი თუ სეზონური სამუშაოების შესასრულებლად იყენებენ და ა.შ.

პალერმოს ოქმისა და ევროსაბჭოს კონვენციის მიხედვით ექსპლუატაცია, როგორც მინიმუმ, გულისხმობს სხვათა პროსტიტუციის ექსპლუატაციას ან სქესობრივი ექსპლუა-

ტაციის სხვა ფორმას, იძულებით შრომას ან მომსახურებას, მონობას ან მონობის მსგავს მდგომარეობას, მონურ შრომას ან ორგანოთა გადანერგვას. ეს ნიშნავს, რომ ნაციონალურ კანონმდებელს შეუძლია გაითვალისწინოს ექსპლუატაციის სხვა ფორმებიც, მაგრამ მან, როგორც მინიმუმ, უნდა გაითვალისწინოს მითითებული ფორმები ადამიანით ვაჭრობის კონსტიტუციური ელემენტების სახით. მაგალითად, სსკ-ის 143[1]-ე მუხლი გარდა კონვენციაში აღნიშნულისა, ადამიანის ექსპლუატაციის ფორმად ითვალისწინებს მის გამოყენებას დანაშაულებრივ ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში.

ტრეფიკინგის დეფინიციის შესაბამისად, ექსპლუატაციის არსებობა არ არის სავალდებულო პირობა იმისა, რომ ადგილი ჰქონდეს ადამიანებით ვაჭრობას. საკმარისია რომ ადამიანის მიმართ განხორციელებული მოქმედებები მიზნად ისახავდეს მის შემდგომ ექსპლუატაციას. მაშასადამე, ადამიანებით ვაჭრობა წინ უსწრებს მსხვერპლის ექსპლუატაციას.

საერთაშორისო მასშტაბით ბავშვთა ექსპლუატაციის ფორმებზე ზემოთ გვქონდა საუბარი, მაგრამ ზოგიერთ დეტალს დავაზუსტებთ. ბავშვთა ექსპლუატაციის ყველაზე გავრცელებულ ფორმას წარმოადგენს პროსტიტუცია და სქესობრივი ექსპლუატაციის სხვა სახეები. ამავე დროს, არც პალერმოს ოქმი და არც ტრეფიკინგთან ბრძოლის ევროპული კონვენცია ტერმინებს „ადამიანის პროსტიტუციის ექსპლუატაცია“ და „სქესობრივი ექსპლუატაციის სხვა ფორმები“ არ განმარტავს, რადგან მათი შინაარსის შესახებ მონაწილე სახელმწიფოებმა შეთანხმებას ვერ მიაღწიეს. პრობლემა ის არის, რომ პროსტიტუციასთან მიმართებაში სხვადასხვა ქვეყნებს განსხვავებული კანონები და პოლიტიკა აქვთ და არ სურთ მათი შეცვლა. ჯერ კიდევ 2000 წელს პალერმოს კონფერენციის მონაწილე სახელმწიფოთა ერთი ჯგუფი მიიჩნევდა, რომ პროსტიტუციის ნებისმიერი ფორმა, მათ შორის სრულწლოვანთა ნებაყოფლობითი და ლეგალური პროსტი-

ტუცია, უნდა ჩათვლილიყო ტრეფიკინგად. სახელმწიფოთა მეორე ჯგუფი კი, კატეგორიულად ეწინააღმდეგებოდა იმ მოსაზრებას, რომ სრულწლოვანთა ნებაყოფლობითი პროსტიტუცია ტრეფიკინგის ფორმაა და აცხადებდა, რომ ნებაყოფლობითი პროსტიტუცია არ უნდა იქნეს განსხვავებული ნებაყოფლობითი შრომის სხვა ფორმებისგან. ასეთმა წინააღმდეგობამ განაპირობა შეუთანხმებლობა დეფინიციების თაობაზე. ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის ევროპული კონვენციის მონაწილეებმა ასევე ღიად დატოვეს ეს საკითხი. კონვენცია მათზე საუბრობს მხოლოდ ადამიანებით ვაჭრობის კონტექსტში. იგი არ შეიცავს „სხვა პირთა პროსტიტუციის ექსპლუატაციის“ და „სექსუალური ექსპლუატაციის სხვა ფორმების“ ცნებათა განმარტებას. ამგვარად, ის კონვენცია გავლენას არ ახდენს იმაზე, თუ როგორ განმარტავენ სახელმწიფოები პროსტიტუციის საკითხს თავიანთ შიდა სამართალში.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ აღნიშნული საკითხის გასარკვევად უნდა ამოვიდეთ ბავშვის უფლებების კონვენციის დამატებითი ოქმიდან „ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციისა და ბავშვთა პორნოგრაფიის შესახებ“, რომელიც ბავშვებით ვაჭრობის, ბავშვთა პროსტიტუციის და ბავშვთა პორნოგრაფიის დეფინიციებს გვთავაზობს. გარდა ამისა, ბავშვთა კომერციული სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ ორგანიზებულ მსოფლიოს სამივე კონგრესზე ხაზგასმით ითქვა, რომ ბავშვთა პროსტიტუცია, პორნოგრაფია, სექსტურიზმი, კულტურის მავნე ტრადიციები არის იძულება და ძალადობა ბავშვებზე, რომელიც უთანაბრდება იძულებით შრომას და თანამედროვე მონობას. აღიარებული საერთაშორისო სტანდარტების მიხედვით, კომერციულ სექსუალურ ექსპლუატაციაზე ბავშვის „თანხმობის“ საკითხი საერთოდ მნიშვნელობას მოკლებულია. სავალდებულო არაა ბავშვი იძულებით, მუქარით ან მოტყუებით ჩააბა პროსტიტუციასა თუ პორნოგრაფიაში, მათი გამოყენება ამგვარ საქმიანობაში

საკმარისია იმისათვის, რომ ბავშვები ექსპლუატაციის მსხვერპლად ჩაითვალონ. ბავშვებს ნაკლები ზეგავლენის ბერკეტები აქვთ საკუთარ ცხოვრებაზე, ამიტომ მათი ექსპლუატაცია ყოველთვის უფრო იოლია, ვიდრე დიდების. აქედან გამომდინარე, ძნელი წარმოსადგენია ნებაყოფლობითობა ბავშვთა პროსტიტუციასა, პორნოგრაფიასა თუ სექსუალური ექსპლუატაციის სხვა ფორმებში. უფრო მეტიც, მაშინაც კი როცა სრულწლოვანი ადამიანი თანხმდება სექსუალურ ბიზნესში მუშაობაზე, ვთქვათ, კონკრეტულ ბორდელში და კონკრეტული პირობებით, თუ რომელიმე შეთანხმებული პირობა არ შესრულდება და მას მაინც აიძულებენ იმუშაოს, ეს იმას ნიშნავს, რომ იგი მოტყუებისა და ძალადობის მსხვერპლია. მოტყუება თავისთავად გამორიცხავს თანხმობას. და მაინც, გარდა საერთაშორისო სამართალში არსებული აზრთა სხვადასხვაობისა, ქართული სასამართლო პრაქტიკისთვის ამ პრობლემის გადაჭრა არცთუ იოლი უნდა იყოს. სახელდობრ, სსკ-ის 171-ე მუხლის მე-3 ნაწილი პასუხისმგებლობას ადგენს არასრულწლოვნის ჩაბმისთვის პროსტიტუციაში ძალადობის, ძალადობის მუქარის ან მოტყუების გარეშე, ხოლო 253-ე მუხლის მე-2 ნაწილი, წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის პროსტიტუციაში ჩაბმისთვის ძალადობით, ძალადობის ან ქონების განადგურების მუქარით, შანტაჟით ან მოტყუებით. მაშინ როცა საერთაშორისო სტანდარტები (და პრაქტიკა) აღნიშნულ საქმიანობაში არასრულწლოვნის ჩაბმისათვის მნიშვნელობას არ ანიჭებს არც მის მიმართ გამოყენებულ საშუალებებს და არც „თანხმობის“ საკითხს და ამგვარ ქმედებას, ცალსახად, ექსპლუატაციად აფასებს ანუ ტრეფიკინგის სახედ.

აქედან გამომდინარე, სასამართლო პრაქტიკისთვის რთული იქნება სსკ-ის 171-ე და 253-ე მუხლებით ზემოთ აღწერილი შემადგენლობების გამიჯვნა არასრულწლოვანთა ტრეფიკინგისგან (143[2]-ე მუხლი). იგივე უნდა ითქვას სსკ-ის 255[1]-ე მუხლით აღწერილი დანაშაულის შემადგენლობის —

არასრულწლოვანის ჩაბმა პორნოგრაფიული ნაწარმოების ან სხვა საგნის უკანონოდ დამზადებასა და გასაღებაში, და არასრულწლოვანთა ტრეფიკინგის მიმართებაზე. ჯერ ერთი, არასრულწლოვნის პორნოგრაფიაში ჩაბმის კანონიერი გზა არ არსებობს და მის სათაურში სიტყვა „უკანონო“ ზედმეტია, მეორეც, თუკი, მაგალითად, პორნომასალის დამზადებაში 5-6 წლის გოგონას ჩააბამენ, ეს ქმედება ტრეფიკინგად შევაფასოთ თუ 255[1]-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულად?! საერთაშორისო სტანდარტებიდან თუ ამოვალთ მსგავსი ქმედება ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის ფორმაა, რაც ტრეფიკინგის ნიშანია.[100] ამ კითხვაზე ქართულ კანონმდებლობაში ცალსახა პასუხი არ არის და დაზუსტებას საჭიროებს. ჩვენი შეხედულებით, ბავშვთა დაცვის უზენაესი ინტერესებიდან გამომდინარე მსგავსი პრაქტიკა ტრეფიკინგად უნდა შეფასდეს. ასეთია ბავშვთა უფლებების დაცვის საერთაშორისო სტანდარტები. აქედან გამომდინარე, სსკ-ის 171-ე მუხლის მე-3 ნაწილით, 253-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 255[1]-ე მუხლით აღწერილი დანაშაულის შემადგენლობათა არსებობა აზრს მოკლებულია. შესაძლებელია ამ საკითხისადმი დიფერენცირებული მიდგომაც, კერძოდ, 14 წლამდე არასრულწლოვანის ჩაბმა პროსტიტუციასა თუ პორნოგრაფიაში ყველა შემთხვევაში ტრეფიკინგად შეფასდეს, ხოლო 14-დან 18 წლამდე არასრულწლოვნის ანალოგიურ სექსუალურ პრაქტიკაში ჩართვა მათივე თანხმობით, პროსტიტუციაში ან პორნოგრაფიაში ჩაბმად (მუხლი 171-ე ან 255[1]-ე).

პალერმოს ოქმი და ევროპული კონვენცია არც „იძულებით შრომას“ განმარტავს, თუმცა არაერთი საერთაშორ-

100 ეს პრობლემა დგას საქართველოს სსკ-ის 254-ე მუხლთან მიმართებაშიც, რომელიც სუტენიორებისთვის ადგენს პასუხისმგებლობას, მაგრამ არ ჩანს დამოკიდებულება არასრულწლოვანთა პროსტიტუციისდმი. ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ საქართველოს კანონს უფრო ვიწროდ ესმის სექსუალური ექსპლუატაცია (იხ. მუხლი მე-3), რაც შესაბამისობაში არ არის საერთაშორისო კონვენციებთან.

ისო ინსტრუმენტი არსებობს მისი შინაარსის ასახსნელად. ბავშვებთან მიმართებით, განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის 1999 წლის 17 ივნისის კონვენცია ბავშვთა შრომის უკიდურესი ფორმების შესახებ, რომლის ჩამონათვალი ზემოთ უკვე ვახსენეთ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით „იძულებით შრომაზე" თანხმობის ნამდვილობა შეფასებული უნდა იქნეს საქმის ყველა გარემოებების გათვალისწინებით. „თანხმობის" საკითხი მარტივი არ არის. რთულია განსაზღვრო სად მთავრდება თავისუფალი არჩევანი და სად იწყება იძულება. ადამიანებით ვაჭრობის სფეროში ზოგიერთ მსხვერპლს მცირედი წარმოდგენაც არა აქვს, რა ელოდება. მეორენი, პირიქით ინფორმირებულნი არიან, რომ, მაგალითად, პროსტიტუციაში ჩააბამენ, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ისინი ყოველგვარ ძალმომრეობას დათანხმდებიან. მაშასადამე, ის ფაქტი, რომ ადამიანი დათანხმდა პროსტიტუციაში ჩაბმას, არ ნიშნავს რომ იგი ყოველგვარ ძალადობას შეეგუება. ამგვარად, თუ პირი დათანხმდება იმუშაოს ძალიან ცუდ პირობებში და ცუდი ანაზღაურებით, ის მაინც ტრეფიკინგის მსხვერპლად ჩაითვლება, თუკი მას სავალო კაბალის, იძულებითი შრომის, ან მონურ პირობებში ამყოფებენ. თუ მტკიცებულებები მიუთითებს, რომ ადგილი ჰქონდა რაიმე ფორმით პირის თავისუფალი ნების გამოვლენის შეზღუდვას, ის ტრეფიკინგის მსხვერპლად ითვლება და მისი თანხმობის გამამართლებელ არგუმენტად გამოყენება დაუშვებელია.

ევროსაბჭოს კონვენციის მე-4 მუხლის მიხედვით, თუ გამოკვეთილია ტრეფიკინგის დანაშაულის ნიშნები, მსხვერპლის თანხმობას მის წინასწარ განზრახულ ექსპლუატაციაზე მნიშვნელობა არ ენიჭება. მით უფრო, მეტ ყურადღებას მოითხოვს ეს საკითხი არასრულწლოვნებთან მიმართებაში, ერთი მხრივ, რამდენად იყო „თანხმობა" ბავშვის თავისუფალი ნების გამოვლინება და რამდენად აცნობიერებდა საკუთარი ქმედების მნიშვნელობას, და მეორე მხრივ, რამდენად შესაბამისობაშია იგი ბავშვის უზენაესი ინტერესების დაცვ-

ასთან. ქართული, სავალალო სოციალური სინამდვილიდან გამომდინარე, ბავშვთა შრომის ყველა ფორმის ტრეფიკინგად ჩათვლა საფუძველს მოკლებულია. ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ ოჯახების მიერ ბავშვების ჩართვა შემოსავლის მომტან საქმიანობაში შიმშილისგან თავის დასაღწევად არ შეიძლება ტრეფიკინგად შეფასდეს, მაგრამ ქართულ სინამდვილეში ბავშვთა ტრეფიკინგის არაერთი ფაქტია გამოვლენილი, რომელიც რეაგირების გარეშეა დატოვებული.
იძულებითი შრომა გულისხმობს ნებისმიერ სამუშაოს ან მომსახურებას, რომელიც მიიღება პირის ფიზიკური ან ფსიქიკური იძულებით, მის მიმართ მუქარის, შანტაჟის ან მისი უმწეო მდგომარეობის გამოყენებით. ამგვარად, ტერმინი იძულებითი შრომა თავის თავში მოიაზრებს „იძულებით მომსახურებასაც". თუმცა „მომსახურება" 143[1]-ე მუხლის შენიშვნაში განცალკევებითაა მოხსენიებული.

პალერმოს ოქმმა და ევროკონვენციამ არც მონობის მსგავსი მდგომარეობა განმარტა, თუმცა ბავშვთა შრომის ზოგიერთი უკიდურესი ფორმა მოცულია სხვა საერთაშორისო აქტებით, კერძოდ, იძულებითი შრომის შესახებ 1930 წლის კონვენციით და მონობის, მონათვაჭრობისა და მონობის მსგავსი ინსტიტუტებისა და ჩვეულებების გაუქმების შესახებ გაეროს 1956 წლის 7 სექტემბრის დამატებითი კონვენციით. ამ უკანასკნელი დოკუმენტის მიხედვით, მონობა არის სტატუსი ან მდგომარეობა ადამიანისა, რომლის მიმართაც იყენებენ ნებისმიერ მოქმედებას, როგორც საკუთრების უფლების ობიექტის მიმართ. საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, მონობის განსაკუთრებულ ფორმად ითვლება „სხვაზე დამოკიდებული მდგომარეობა". აქ საუბარია მსხვერპლის ვალდებულებაზე, იცხოვროს და იმუშაოს მესაკუთრის მეურნეობაში, გაუწიოს მას განსაზღვრული მომსახურება, როგორც ანაზღაურებით, ისე მის გარეშე, მაგრამ საკუთარი მდგომარეობის შეცვლის შესაძლებლობის გარეშე. იგი გულისხმობს „თავისუფლების უარყოფის განსაკუთრებით მძიმე ფორმას", თუმცა მას არა

აქვს საკუთრების უფლების ატრიბუტები, რაც ახასიათებს მონობას. ცნობილია, რომ შინამოსამსახურეობა ბავშვთა ტრეფიკინგის ერთ-ერთი შენიღბული და გავრცელებული ფორმაა, რაც ზოგჯერ მონობის მსგავს ან სხვაზე დამოკიდებულ მდგომარეობას იძენს. ამგვარი მდგომარეობა განსაკუთრებით მგრძნობიარეა ბავშვებისთვის, რომელთა მოწყვეტა ოჯახური გარემოსგან საკმარისია, რომ ისინი სხვაზე დამოკიდებულად იქცნენ. ამ მდგომარეობაში მოხვედრილი ბავშვები პრაქტიკულად ნებისმიერი ფორმის ექსპლუატაციის მსხვერპლნი შეიძლება გახდნენ. ეს ბავშვები განსაკუთრებით დაუცველნი არიან ექსპლუატაციისგან, რადგან ხშირად ძალიან შორს არიან ოჯახისა და თემისგან.

ექსპლუატაცია ასევე მოიცავს ადამიანის იძულებას სხეულის ორგანოს, ორგანოს ნაწილის ან ქსოვილის გადანერგვის ანდა სხვაგვარად გამოყენების მიზნით. ევროპის საბჭო თავის ერთერთ იურიდიულ მიღწევად თვლის იმ პრინციპის აღიარებას, რომლის თანახმადაც ადამიანის სხეული და მისი ცალკეული ელემენტები არ შეიძლება მოგების მიღების წყაროდ იქცეს. ეს პრინციპი განმტკიცებულ იქნა ადამიანის უფლებებისა და ბიომედიცინის შესახებ 1996 წლის კონვენციის 21-ე მუხლში და მის, 2002 წლის დამატებით ოქმში ადამიანის ორგანოების და ქსოვილების გადანერგვის შესახებ, რომლის 22-ე მუხლი კრძალავს ადამიანის ორგანოებითა და ქსოვილებით უკანონო ვაჭრობას. ამ პრინციპმა ასევე ასახვა ჰპოვა საქართველოს კანონებში ჯანმრთელობის დაცვის შესახებ და ადამიანის ორგანოთა გადანერგვის შესახებ. აქვე აღსანიშნავია, რომ სსკ-ში 134-ე მუხლის (ადამიანის ორგანოს ან ქსოვილის აღების იძულება) შემოტანის შემდეგ, სასამართლო პრაქტიკისათვის შესაძლებელია გარკვეული პრობლემა შექმნას მისმა გამიჯვნამ არასრულწლოვანთა ტრეფიკინგისგან. კერძოდ, კონკრეტულ შემთხვევაში არასრულწლოვნის იძულება ტრეფიკინგად შევაფასოთ თუ მისი სიცოცხლისა და ჯანმრთელობისთვის საფრთხის შემქმნელ დელიქტად — საქმის ფაქტო-

ბრივი გარემოებების ყოველმხრივი ანალიზის საფუძველზე უნდა გადაწყდეს.

ამგვარად, ადამიანებით (მათ შორის არასრულწლოვნებით) ვაჭრობასრთულიშემადგენლობააქვს,რომელიცმთლიანობაში წარმოადგენს სისხლის სამართლის დანაშაულს და არა ცალკე აღებული შემადგენლობის რომელიმე ელემენტი. ამავე დროს, დანაშაული ადრე სტადიაზე მთავრდება, იმისთვის რომ ტრეფიკინგი დამთავრებულ დანაშაულად ჩაითვალოს, სავალდებულო არ არის პირი ექსპლუატაციაში მოექცეს; საკმარისია ისიც, რომ ადამიანის მიმართ ტრეფიკინგის დეფინიციით განსაზღვრული ერთ-ერთი მოქმედება განხორციელდეს ექსპლუატაციის მიზნით. მაშასადამე, ტრეფიკინგი აღმოცენდება ინდივიდის ფაქტობრივ ექსპლუატაციამდე. თუ ტრეფიკინგის მსხვერპლი 18 წელს მიუღწეველია, დანაშაულისთვის სავალდებულო არ არის ზემოქმედების რაიმე საშუალების გამოყენება. არასრულწლოვნით ვაჭრობა რომ დამტკიცდეს, სამართალდამცავმა ორგანოებმა საკმარისია დაადგინონ ისეთი მოქმედებების არსებობა, როგორიცაა ბავშვის გადაბირება ან ტრანსპორტირება ექსპლუატაციის მიზნით.

სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის აუცილებელია, რომ ტრეფიკინგის დანაშაული წინასწარი განზრახვით იყოს ჩადენილი. „განზრახვის“ ცნების განმარტებას საერთაშორისო კონვენციები ნაციონალურ სამართალს უტოვებენ. ამავე დროს, ტრეფიკინგის საერთაშორისო დეფინიციები ითვალისწინებენ განზრახვის სპეციალურ ელემენტს — სახელდობრ, მასში გათვალისწინებული ყველა ქმედება ხორციელდება მსხვერპლის ექსპლუატაციის მიზნით. ამგვარად, ადამიანებით ვაჭრობა, საერთაშორისო კონვენციების მიხედვით, არსებობს მხოლოდ მოცემული სახის სპეციალური განზრახვის შემთხვევაში. საქართველოს სისხლის სამართლის კოდ-

ექსის მიხედვით არასრულწლოვანთა ტრეფიკინგი მხოლოდ პირდაპირ განზრახვას გულისხმობს. ამასთანავე, არასრულწლოვნის ყიდვა-გაყიდვის ან მის მიმართ სხვა უკანონო გარიგების განხორციელების დროს ქმედების მიზანს კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა არა აქვს, ხოლო თუ ადგილი აქვს არასრულწლოვნის გადაბირებას გადაყვანას, გადამალვას, დაქირავებას, ტრანსპორტირებას, გადაცემას, შეფარებას ანდა მიღებას, სავალდებულოა ექსპლუატაციის მიზანი. სსკ-ის 143²-ე მუხლი არასრულწლოვნით ვაჭრობის დამამძიმებელ გარემოებებად ითვალისწინებს: იგივე ქმედების ჩადენას სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით, დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით უმწეო მდგომარეობაში მყოფის ან დამნაშავეზე მატერიალურად ან სხვაგვარად დამოკიდებულის მიმართ (ნაწილი მე-2); არასრულწლოვნით ვაჭრობა: არაერთგზის, იძულებით, შანტაჟით, ან მოტყუებით; ორი ან მეტი არასრულწლოვნის მიმართ; დაზარალებულის საზღვარგარეთ გაყვანით, სიცოცხლისათვის ან ჯანმრთელობისათვის საშიში ძალადობის მუქარით, ანდა ასეთი ძალადობის გამოყენების მუქარით (ნაწილი მე-3); არასრულწლოვნით ვაჭრობა ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ, ანდა რამაც გამოიწვია არასრულწლოვნის სიცოცხლის მოსპობა ან სხვა მძიმე შედეგი (ნაწილი მე-4).

ეს დამამძიმებელი გარემოებები შინაარსობრივად არ განსხვავდება სრულწლოვანთა ტრეფიკინგის ანალოგიური მაკვალიფიცირებელი გარემოებებისგან. ამიტომ მათზე არ შევჩერდებით. თუმცა ყურადღება გვინდა გავამახვილოთ იმ გარემოებაზე, რომ ტრეფიკინგთან ბრძოლის შესახებ ევროპული კონვენცია წინადადებას აძლევს მონაწილე სახელმწიფოებს ტრეფიკინგის დეფინიციაში მოცემული ზოგიერთი გარემოება, დამამძიმებელი სახით გაითვალისწინონ სასჯელის განსაზღვრის დროს. ერთ-ერთ ასეთ დამამძიმებელ გა-

რემოებად რეკომენდებულია შემთხვევა, როცა ადამიანით ვაჭრობის დროს, მსხვერპლის სიცოცხლეს საფრთხე შეექმნა განზრახ ან უხეში გაუფრთხილებლობით. ეს გარემოება ანალოგიურად არის ფორმულირებული ევროპის საბჭოს 2002 წლის 19 ივლისის ჩარჩო გადაწყვეტილებაში ადამიანებით ვაჭრობასთან ბრძოლის შესახებ. ასეთი გარემოების არსებობაზე, მაგალითად, შეიძლება ვისაუბროთ მაშინ, როცა პირობები, რომელშიც ტრეფიკინგის მსხვერპლი გადაჰყავთ იმდენად ცუდია, რომ მისი სიცოცხლე საფრთხეში დგება. ზუსტად იდენტური დამამძიმებელი გარემოება სსკ-ში არ გვაქვს, თუმცა მას მიესადაგება 143²-ე მუხლის მე-3 ნაწილის „ე" ქვეპუნქტი — სიცოცხლისთვის ან ჯანმრთელობისთვის საშიში ძალადობით.

ევროპული კონვენციით დამამძიმებელ გარემოებად, ასევე, რეკომენდებულია ვაჭრობა არასრულწლოვნის მიმართ. თუმცა, ქართველმა კანონმდებელმა არასრულწლოვნით ვაჭრობა ცალკე შემადგენლობად გაითვალისწინა.
რატომ არის აუცილებელი ბავშვებით ვაჭრობა განვასხვაოთ სრულწლოვნებით ვაჭრობისგან? ამ კითხვაზე სპეციალურ ლიტერატურაში ასეთ არგუმენტებს ვხვდებით: ა) ბავშვების დაუცველობის გამო მანიპულაციებისა და ექსპლუატაციის წინაშე; ბ) სპეციფიკური სოციალური, ფსიქოლოგიური თუ ფიზიკური ტრამვის გამო, რომელიც ბავშვს მიადგა ადრეული განვითარების პერიოდში და რომელსაც უფრო სერიოზული შედეგები შეიძლება ჰქონდეს ბავშვის მომავალი განვითარებისა და რეაბილიტაციისათვის; გ) სახელმწიფოთა იურიდიული ვალდებულებების გამო უზრუნველყონ ბავშვთა უფლებების დაცვა, ისე როგორც ეს ბავშვის უფლებების კონვენციაშია ჩაწერილი. თუმცა, გაურკვეველია, რატომ არ შეიძლება ამ მიზნების განხორციელება, თუკი ტრეფიკინგისთვის პასუხისმგებლობა ინტეგრირებული იქნება ერთ შემად-

გენლობაში. ეს შესაძლებელია ერთი მუხლის ფარგლებშიც პასუხისმგებლობის და შესაბამისად, სასჯელების დიფერენცირებით სრულწლოვნით და არასრულწლოვნით ვაჭრობისათვის.[101]

ევროსაბჭოს კონვენციით ტრეფიკინგის დამამძიმებელ გარემოებებად, ასევე რეკომენდებულია მისი ჩადენა საჯარო მოხელის მიერ სამსახურებრივი მოვალეობის შესრულებისას და დანაშაულებრივი ორგანიზაციის მიერ. ეს რეკომენდაციები ასახულია სსკ-ის 143²-ე მუხლში.

არასრულწლოვანთა ტრეფიკინგი და მომიჯნავე სამართალდარღვევები

ტრეფიკინგისგან უნდა განვასხვავოთ სექსუალური ძალადობა ბავშვებზე. ზოგადად, ბავშვებზე სექსუალური ძალადობის არსენალში მოიაზრება სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული ისეთი კანონისმიერი შემადგენლობები, როგორიცაა: არასრულწლოვნის გაუპატიურება — 137-ე მუხლის მე-3 და მე-5 ნაწილი; სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება დამნაშავისთვის წინასწარი შეცნობით არასრულწლოვნის მიმართ — 138-ე მუხლის მე-3 და მე-5 ნაწილი; სქესობრივი კავშირის ან სექსუალური ხასიათის სხვაგვარი მოქმედების იძულება არასრულწლოვნის მიმართ — 139-ე მუხლის მე-2 ნაწილი; სსკ-ის 141-ე მუხლით კრიმინალიზებულია გარყვნილი ქმედება 16 წელს მიუღწეველთან, მაგრამ აქ საუბარია ძალადობის გარეშე ქმედებაზე და თუკი ძალადობით ხორციელდება იგივე ქმედება, მაშინ ისევ 138-ე მუხლი უნდა მოვიმარჯვოთ.

---

[101] იხ. მართლმსაჯულება და კანონი, 2006, N 2, გვ. 54-61.

ბავშვზე სექსუალური ძალადობა, ეს არის კონტაქტი ან ურთიერთობა ბავშვსა და სრულწლოვანს ან უფრო გათვიცნობიერებულ მოზარდს შორის, რა დროსაც ბავშვი გამოიყენება როგორც მოძალადის სექსუალური მოთხოვნილების დაკმაყოფილების საგანი (იხ. Ecpat international). ასეთი მოქმედება შეიძლება განხორციელდეს მუქარით, ძალადობით, მოსყიდვით, მოტყუებით, ზეწოლით. სექსუალური ხასიათის ძალმომრეობითი მოქმედება ყოველთვის არ შეიცავს სხეულებრივ კონტაქტს მოძალადესა და ბავშვს შორის. ასეთი ძალმომრეობითი ხასიათის მოქმედება შეიძლება შეიცავდეს ექსგიბიციონიზმს ან ვუაერიზმს. მაგალითად, სრულწლოვანი ადამიანი უთვალთვალებს ბავშვს თუ როგორ იხდის ტანსაცმელს ანდა ინიცირებას უკეთებს (აიძულებს, აღაგზნებს) ბავშვებს დაამყარონ ერთმანეთთან სექსუალური კონტაქტი, თვითონ კი უყურებს ან ვიდეოფირზე იწერს მათ მოქმედებას, რითაც სიამოვნებას იღებს. შედარებით ახალი ფენომენია კიბერარშიყი და კიბერდევნა (Gruming). როგორც ზევით აღვნიშნეთ, დღესდღეობით არც ერთ იურისდიქციაში, ქსელში დევნა უკანონო ქმედებად არ არის აღიარებული.

ჩვეულებრივი სექსუალური ძალადობისგან განსხვავებით, კომერციული სექსუალური ექსპლუატაცია ბავშვს აქცევს არა მხოლოდ სექსის ობიექტად, არამედ აგრეთვე ვაჭრობის საგნადაც.

ტრეფიკინგსა თუ ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაციის სხვა ფორმებს (პროსტიტუცია, პორნოგრაფია და სხვ.) კომერციული გარიგების ფორმა აქვს, რომელსაც მოგება მოაქვს ერთი ან რამდენიმე პირისთვის. თუმცა მსხვერპლისთვის ნატურით ანაზღაურებად გარიგებებსაც აქ მოიაზრებენ. საქმე იმაშია, რომ ხშირად ასეთ შეთანხმებას განიხილავენ როგორც ბავშვის „თანხმობით" განხორციელებულს. ბავშვების სექსუა-

ლური ექსპლუატაცია შეიძლება მოხდეს ღამის გასათევის მიცემის, მათი დაცვის, სკოლაში კარგი შეფასებების მიღების და მისთ. სანაცვლოდ. ცხადია, ბავშვი ამგვარ გარიგებაზე თანხმობას არ იძლევა და იგი იმ ადამიანის (ან ადამიანების) მსხვერპლია, ვინც ბოროტად იყენებს თავის მდგომარეობასა და ძალაუფლებას.

ამრიგად, საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, განსხვავება, ერთი მხრივ, ბავშვებზე სექსუალურ ძალადობასა, და მეორე მხრივ, ტრეფიკინგსა თუ სექსუალური ექსპლუატაციის სხვა ფორმებს შორის ამა თუ იმ ფორმით ანაზღაურების ფაქტორშია, რაც კომერციული გარიგების ფორმას იღებს.

ცალკე მსჯელობის საგანია ბავშვთა უკანონო გაშვილება. საქართველოს კანონმდებლობა კრძალავს პირდაპირი წესით გაშვილებას. მეურვე ბავშვისა, რომელიც დაბადებამდე უკვე არასასურველია მშობლისთვის სახელმწიფოა, ვიდრე არ შეირჩევა მშვილებელი ოჯახი. ამავე დროს, შვილად აყვანის გართულებული პროცედურა ხელს უწყობს უკანონო გარიგებებს არასრულწლოვნებზე. სახელდობრ, შვილად აყვანის პროცედურა, რომელიც საქართველოში არსებობს, დიდ სირთულეებს უქმნის დაინტერესებულ ოჯახებს, მათ წლობით უწევთ რიგში დგომა, რაც თავის მხრივ ხელს უწყობს კორუფციას და უკანონო გარიგებებს ბავშვებზე. ზოგჯერ დაუსაბუთებელ უარს ეუბნებიან ოჯახებს, მაშინ როცა ჩვენთან ქუჩის ბავშვების ზრდის ტენდენცია შეინიშნება. არც იმით ინტერესდება ვინმე, რა ბედი ეწიათ შვილად აყვანილ ბავშვებს, არავინ აკონტროლებს მათ მდგომარეობას. საჭიროა ნაშვილები ბავშვის შემდგომი ყოფის მონიტორინგი, ყველას სმენია მათ თავს გადახდენილი სამწუხარო ისტორიები. კანონმდებლობის და სოციალური კონტროლის ხარვეზებით კარგად სარგებლობენ ადამიანით მოვაჭრეები. ამის ნათელი

მაგალითი იყო საქართველოს სასამართლო პრაქტიკაში ო. გორელიკის საქმე. მან საქართველოდან უცხოეთში ბავშვების გაშვილება შემოსავლის მიღების წყაროდ აქცია. მან 2000-2001 წ. არაერთგზის გაუკეთა ორგანიზაცია არასრულწლოვნებით ვაჭრობას (ყიდვა-გაყიდვას) და სხვა უკანონო გარიგების განხორციელებას საზღვარგარეთ უკანონოდ გაშვილების მიზნით. იგი მსჯავრდებულ იქნა თბილისის კრწანისი-მთაწმინდის რაიონული სასამართლოს მიერ 2001 წლის 11 დეკემბერს სსკ-ის 172-ე მუხლით (აქვე უნდა აღინიშნოს ქუთაისის, წყალტუბოსა და ხონის სამშობიარო სახლებიდან ბავშვთა ვაჭრობის ფაქტები).

ქართულ კანონმდებლობასა და სასამართლო პრაქტიკაში ასევე პრობლემურია არასრულწლოვნით ვაჭრობის (ტრეფიკინგი) და შვილად აყვანის მიზნით არასრულწლოვანზე უკანონო გარიგების გამიჯვნა.
ამგვარი წინააღმდეგობის ქრესტომათიული მაგალითია სისხლის სამართლის საქმე ბუწაშვილის მიმართ, რომელმაც შვილად აყვანის მიზნით გაყიდა ბავშვი და პროვოკაციის მსხვერპლი დედა ტრეფიკინგისთვის გაასამართლეს. ეს საქმე ნათელი დასტურია იმისა, რომ უკანონო გაშვილება ტრეფიკინგთან პირდაპირ კავშირში აღიქმება და მის გამომწვევ მიზეზად ითვლება. თუმცა მსგავსი დამოკიდებულება ბოლო პერიოდში შეიცვალა.

საერთაშორისო გაშვილების შესახებ ჟენევის 2008 წლის კონვენციის მიხედვით, თუ ბავშვი გაიყიდა შვილად აყვანის მიზნით სისხლის სამართლის დევნაზე უარი უნდა ითქვას ბავშვის ინტერესებიდან გამომდინარე. მართლაც, თუკი ბავშვი ხელსაყრელ გარემოში მოხვდა ძნელია ხელი აღმართო ვინმეს დასასჯელად. საერთაშორისო გაშვილების მიმართ, უფრო ზუსტად არასრულწლოვნისადმი ამგვარი დამოკიდებულება სწორედ ამ კონვენციიდან იკვეთება. მანამდე ჰაა-

გის 1993 წლის კონვენცია ბავშვთა დაცვისა და საერთაშორისო გაშვილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ, ასევე 1996 წლის 19 ოქტომბრის კონვენცია ბავშვთა დაცვის ღონისძიების შესახებ ძირითად აქცენტს აკეთებდნენ მიმღები ოჯახის მოვალეობებზე, მშობელთა პასუხისმგებლობაზე და ჩრდილში რჩებოდა თავად არასრულწლოვანი. მაგრამ საერთაშორისო გაშვილების შესახებ ბოლო კონვენციამ სწორედ არასრულწლოვანზე გააკეთა აქცენტი. ამრიგად, ბავშვის უზენაესი ინტერესებიდან გამომდინარე, თუ შვილად აყვანის მიზნით მოხდა მისი ყიდვა, ეს არ შეიძლება სისხლისსამართლებრივი დევნის საფუძველი გახდეს.[102]

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სსკ-ის 172-ე მუხლში, სამეცნიერო ლიტერატურაში გამოთქმული კრიტიკული შენიშვნების შემდეგ შევიდა შესაბამისი შესწორებები.

---

[102] აღსანიშნავია, რომ ბავშვთა ინტერესების დაცვას მათი ტრანსნაციონალური გადაადგილებისა და საერთაშორისო გაშვილებისას მიეძღვნა ჰააგის სამი კონვენცია: 1980 წლის კონვენცია ბავშვების საერთაშორისო მოტაცების სამოქალაქო სამართლებრივი ასპექტების შესახებ; 1993 წლის კონვენცია ბავშვთა დაცვისა და საერთაშორისო გაშვილების სფეროში თანამშრომლობის შესახებ; იგი მიზნად ისახავს საერთაშორისო გაშვილების პროცესის რეგულაციას და შვილად აყვანილი ბავშვების ინტერესების დაცვას და 1996 წლის კონვენცია მშობლების პასუხისმგებლობისა და ბავშვთა დაცვისთვის გათვალისწინებულ ზომებთან დაკავშირებული იურისდიქციის, შესაბამისი კანონის, აღიარების, იძულებითი აღსრულებისა და თანამშრომლობის შესახებ. ეს უკანასკნელი კონვენცია ბავშვთა დაცვის სამოქალაქო სამართლებრივი ზომების ფართო წრეს მოიცავს. კონვენციით ჩამოყალიბდა ბავშვთა დაცვის ინტეგრირებული სისტემა, რომელიც მოიცავს სამართლის სხვადასხვა სისტემების როგორც საჯარო-სამართლებრივ, ისე კერძო-სამართლებრივ ღონისძიებებს ბავშვთა მეურვეობისა და დაცვის უზრუნველსაყოფად. ეს კონვენცია არ ცდილობს შექმნას ერთიანი საერთაშორისო სამართალი ბავშვთა დაცვის შესახებ; მისი მიზანია შექმნას ბავშვთა დაცვის საკითხებზე ეფექტური საერთაშორისო თანამშრომლობის სისტემა სხვადასხვა კულტურული და რელიგიური წარმომავლობის სამართლებრივ სისტემებს შორის.

§ 6. ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობა

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში ნოვაციას წარმოადგენს 143[3]-ე მუხლი — ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობა. ტრეფიკინგთან ბრძოლის შესახებ ევროკონვენციის მე-19 მუხლით მონაწილე სახელმწიფოებს რეკომენდაცია მიეცათ ნაციონალური სამართლის პრინციპების შესაბამისად, მოახდინონ მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობის კრიმინალიზაცია, სწორედ ამის გამოძახილია სსკ-ის 143[3]-ე მუხლი.

ტრეფიკინგის განვითარებას და გაფართოებას ხელს უწყობს ადამიანთა უზარმაზარი რაოდენობის შეუპოვარი თუ სასოწარკვეთილი მცდელობა გადაჭრან სიღარიბის პრობლემა, ოჯახური სიძნელეები, ეძიონ უკეთესი ცხოვრების პირობები მაშინ, როცა სხვა ადგილას მოთხოვნილება არსებობს მათ შრომასა და მომსახურებაზე. სანამ ასეთი მოთხოვნა იქნება, მიწოდებაც იარსებებს. დამნაშავეობა, მაგალითად, ბავშვთა კომერციული სექსუალური ექსპლუატაცია, არსებობს იმიტომ, რომ მასზე არსებობს მოთხოვნილება. სწორედ ამიტომაც არის მიზანშეწონილი დაისაჯოს მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობა. ამასთანავე, პროსტიტუციაში ან სხვაგვარ სექსუალურ ქმედებებში ჩაბმული ბავშვების მიმართ სისხლისსამართლებრივი ან ადმინისტრაციული ზემოქმედების ზომების გამოყენების საფუძველი არ არსებობს. ისინი ზრუნვასა და დაცვას საჭიროებენ. დამნაშავეები კლიენტები, სუტენიორები და ექსპლუატატორები არიან, ისინი უნდა იდევნებოდნენ სასამართლო წესით და არა ბავშვები.

დამნაშავეობა სულ უფრო და უფრო ავლენს თავისი საქმიანობის დივერსიფიკაციის ტენდენციას, იგი ესწრაფვის

ექსპლუატაციისთვის ადამიანთა მიწოდებას ყველა სექტორში, სადაც მოთხოვნილება არსებობს.

ტრეფიკინგთან ბრძოლის შესახებ ეკროკონვენციის მე-6 მუხლი ეთმობა ადამიანებით ვაჭრობის მოთხოვნასთან ბრძოლის ზომებს, რომელშიც ვკითხულობთ: ადამიანების, განსაკუთრებით ქალების და ბავშვების ექსპლუატაციის წარმომშობ მოთხოვნილებასთან წინააღმდეგობის მიზნით, რადგან მას მივყავართ ადამიანებით ვაჭრობასთან. მონაწილე მხარეები იღებენ ან სრულყოფენ საკანონმდებლო, ადმინისტრაციულ, საგანმანათლებლო, სოციალურ, კულტურულ და სხვა ზომებს. ეს მუხლი მხარეებს აკისრებს პოზიტიურ ვალდებულებას მიიღონ ან განავითარონ ზომები, რომელიც მიმართული იქნება როგორც სექსუალური ექსპლუატაციის, ისე იძულებითი შრომის ან მომსახურების გაწევის, მონობის ან მისი მსგავსი პრაქტიკის, სხვაზე დამოკიდებული მდგომარეობის ან ორგანოთა ამოღების მოთხოვნილებასთან საბრძოლველად. ამ საკითხისთვის ცალკე მუხლის მიძღვნით კონვენციის შემდგენლებმა აუცილებლად ჩათვალეს ხაზი გაესვათ ადამიანით ვაჭრობის მოთხოვნილებასთან ბრძოლის მნიშვნელობისთვის თავად ტრეფიკინგის დევნისა და პრევენციის მიზნით. მე-6 მუხლი შეიცავს საშუალებების (ზომების) მინიმალურ ჩამონათვალს ტრეფიკინგის მოვლენასთან ეფექტურად საბრძოლველად. სახელდობრ, მის ძირითად ელემენტს წარმოადგენს მოწინავე გამოცდილების, მეთოდებისა და სტრატეგიის შესწავლა, რომლის მიზანია კლიენტების მხრიდან მოთხოვნილების შემცირება. მასობრივი ინფორმაციის საშუალებების და სამოქალაქო საზოგადოების როლისა და პასუხისმგებლობის ამაღლებისკენ მიმართული ზომები. მედია და სამოქალაქო საზოგადოება გვევლინება უმნიშვნელოვანეს ფაქტორად, რომელმაც უნდა აღიქვას მოთხოვნილება როგორც ერთ-ერთი პირველმიზეზთაგანი,

რაც წარმოშობს ადამიანებით ვაჭრობას. მნიშვნელოვანია, ასევე საინფორმაციო კოამპანიების ჩატარება კონკრეტული ჯგუფების მიმართ, შესაბამის შემთხვევაში მასში საჯარო ხელისუფლების წარმომადგენლების და იმ პირთა ჩართვით, ვინც პოლიტიკური გადაწყვეტილებების შემუშავებასა და მიღებაში მონაწილეობს. ადამიანის ექსპლუატაციის მოთხოვნილებასთან ბრძოლაში მნიშვნელოვანი როლი ეკისრება აღმზრდელობითი ხასიათის ღონისძიებებს, რაზეც ყურადღება გაამახვილა ბავშვთა კომერციული სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ 2008 წელს ბრაზილიაში გამართულმა მსოფლიო კონგრესმა.

ევროკონვენციის მე-19 მუხლის მიხედვით, მონაწილე მხარეები მოვალენი არიან განიხილონ საკითხი წინასწარი შეცნობით ტრეფიკინგის მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობის სისხლის სამართლის დანაშაულად აღიარების შესახებ. კონვენციის ავტორებს რამდენიმე გარემოებამ უბიძგა ჩაერთოთ ეს ნორმა ხელშეკრულების ტექსტში. მათ შორის ძირითადი იყო სურვილი არ წაეხალისებინათ ადამიანით ვაჭრობის განვითარება. ეს ნორმა მიმართულია კონვენციით გათვალისწინებული ნებისმიერი სახის ექსპლუატაციის მსხვერპლის კლიენტზე. ამ ნორმის მიხედვით, დანაშაულად შეიძლება ჩაითვალოს, მაგალითად, ბიზნესის მესაკუთრის მიერ, მისთვის ადამიანით მოვაჭრეების მიერ მიწოდებული მუშახელის შეგნებულად გამოყენება. ამ შემთხვევაში ბიზნესის მესაკუთრის მოქმედება ტრეფიკინგად ვერ შეფასდება, რადგან იგი თავად არ ახდენდა მსხვერპლთა გადაბირებას და დამოუკიდებლად არ გამოუყენებია ტრეფიკინგის დეფინიციით გათვალისწინებული რაიმე საშუალება, მაგრამ დამნაშავე იქნება მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობაში. ასევე, მეძავის კლიენტი, რომელიც საქმის კურსში იყო რომ ქალი გაყიდული იყო, ანალოგიურად პასუხს აგებს მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობისთვის.

მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ მე-19 მუხლის მიხედვით უნდა იდევნებოდეს სარგებლობა ისეთი მომსახურებით, რაც ექსპლუატაციის საგანია ტრეფიკინგის დეფინიციის მიხედვით. იგი მიმართულია იმ პირთა დასჯისკენ, ვინც ექსპლუატირებული მომსახურების შესყიდვით მონაწილეობს მსხვერპლის ექსპლუატაციაში. ეს ნორმა არ ეხება მეძავის, როგორც ასეთის მომსახურებით სარგებლობას. ასეთი მომსახურებით სარგებლობა კონვენციის მე-10 მუხლში მოექცევა, თუ კონკრეტული მეძავის ექსპლუატაცია ხდება ადამიანებით ვაჭრობასთან დაკავშირებით, ე.ი. როცა არსებობს ტრეფიკინგის დანაშაულის შემადგენლობის ნიშნები. ევროკონვენცია პროსტიტუციის ექსპლუატაციასა და სექსუალური ექსპლუატაციის სხვა ფორმებს ეხება მხოლოდ ადამიანებით ვაჭრობის კონტექსტში.

ევროკონვენციის მე-19 მუხლის მიხედვით იმისთვის, რომ პირმა ვაჭრობის მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობისთვის აგოს პასუხი, ამ მოქმედების განხორციელებისას „უნდა იცოდეს რომ ეს პირი ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლია“, ანუ მოსარგებლე უნდა აცნობიერებდეს, რომ მოცემული პირი ადამიანით ვაჭრობის მსხვერპლია და არ შეიძლება დაისაჯოს, თუ ეს მისთვის ცნობილი არ იყო. ამის დამტკიცება სამართალდამცავი ორგანოებისთვის არცთუ იოლი ამოცანა იქნება. ანალოგიური სიძნელე წარმოიშობა, მაგალითად, 16 წელს მიუღწეველთან სქესობრივი კავშირის დამტკიცების დროს (სსკ-ის 140-ე მუხლი). როგორ დავადგინოთ, რომ მსხვერპლი 16 წელს მიუღწეველია? გარეგნობა, ემოცია, ვითარება და სხვა ფაქტობრივი გარემოებები გვეხმარება ამის გარკვევაში. ამავე კრიტერიუმებით შეიძლება ვამტკიცოთ, რომ დამნაშავემ გააცნობიერა მსხვერპლის სტატუსი, როცა მისი მომსახურებით სარგებლობდა. დასავლეთ ევროპაში ჩატარებულმა გამოკვლევამ აჩვენა, რომ მეძავების

კლიენტების 22%-ზე მეტი მსხვერპლის იდენტიფიკაციას ახდენს. ცნობილია მათი მხრიდან მსხვერპლთა დახმარების შემთხვევებიც.

ამგვარად, მტკიცების პროცესის სირთულე გადამწყვეტი არგუმენტი ვერ იქნება იმისთვის, რომ ამგვარი ქცევა დანაშაულად განვიხილოთ. უფრო მეტიც, 2008 წელს ბრაზილიაში ბავშვთა კომერციული სექსუალური ექსპლუატაციის წინააღმდეგ მიმართულ მსოფლიო კონგრესზე ითქვა, რომ ბავშვთა პროსტიტუცია მაშინაც უნდა დაისაჯოს, თუკი დამნაშავემ შეცდომა დაუშვა მსხვერპლის ასაკში. როგორც ვხედავთ საკუთარი მოქმედების შესაძლო შედეგების რისკი მთლიანად დამნაშავეს დააკისრეს. მართლაც, როცა მდინარეში შედიხარ ყველა მოსალოდნელი საფრთხეც უნდა გათვალო.
მტკიცების პროცესის სირთულე ზოგჯერ გადაილახება ფაქტობრივი გარემოებების საუძველზე დამნაშავის ზრახვების შესახებ დასკვნების გაკეთების გზით. ცოდნა, განზრახვა ან მიზანი, როგორც დანაშაულის შემადგენლობის ელემენტი შეიძლება დადგინდეს რეალური, ობიექტური, ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე. ეს მიდგომა რეკომენდებულია სხვა საერთაშორისო კონვენციებშიც. მაგალითად, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის მე-6 (f) მუხლში ვკითხულობთ: „წინასწარი შეცნობა, განზრახვა და მიზანი როგორც დანაშაულის შემადგენლობის ელემენტები, შეიძლება დადგინდეს საქმის ობიექტური ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ევროკონვენციის მე-19 მუხლი არა სავალდებულო, არამედ სარეკომენდაციო ხასიათისაა. მიუხედავად ამისა, ზოგიერთმა ქვეყანამ, გააცნობიერა რა მე-19 მუხლით გათვალისწინებული რეკომენდაციის ღირე-

ბულება და მნიშვნელობა, მისი იმპლიმენტაცია მოახდინა ეროვნულ კანონმდებლობაში. მაგალითად, შვეციამ მე-19 მუხლის საფუძველზე პასუხისმგებლობა შემოიღო ტრეფიკინგის მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობისთვის. ეს ვალდებულება კონვენციის სხვა ხელმომწერმა (მონაწილე) ქვეყნებმაც აიღეს. მათ რიგში საქართველოც აღმოჩნდა.
საქართველოს კანონმდებლობით, ზოგადად, კლიენტების პასუხისმგებლობა პროსტიტუციისთვის დადგენილი არ არის. ცხადია, მით უფრო დასჯადი არაა პროსტიტუცია ბავშვების მხრიდან, მაგრამ 2007 წლის 8 მაისს შემოღებული იქნა პასუხისმგებლობა ტრეფიკინგის მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობისთვის: წინასწარი შეცნობით სსკ-ის 143[1]-ე და 143[2]-ე მუხლებით გათვალისწინებული დანაშაულის მსხვერპლის ან დაზარალებული პირის ისეთი მომსახურებით სარგებლობა, რომელიც ამავე კოდექსის 143[1]-ე მუხლის თანახმად წარმოადგენს ექსპლუატაციას.

ადამიანთა ვაჭრობის მსხვერპლი არის პირი, რომელსაც ადამიანთა ვაჭრობის (ტრეფიკინგი) დანაშაულის შედეგად მიადგა მორალური, ფიზიკური ან ქონებრივი ზიანი და რომელიც საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით მიჩნეულია ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლად; ხოლო დაზარალებული არის პირი, რომელიც სსკ-ის 143[1]-ე ან/და 143[2]-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში ცნობილია დაზარალებულად საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით.

143[3]-ე მუხლის ობიექტური და სუბიექტური შემადგენლობის ნიშნები ევროკონვენციის ზემოაღნიშნული რეკომენდაციების საფუძველზე უნდა გავიგოთ. დანაშაულის ობიექტური მხარე გამოიხატება მსხვერპლის ისეთი მომსახურებით სარგებლობაში, რომელიც 143[1]-ე მუხლის თანახმად წარმოადგენს


ექსპლუატაციას. ამგვარად, მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობა, რომელიც ექსპლუატაციად შეიძლება შეფასდეს, უნდა განიმარტოს 143[1]-ე მუხლის შენიშვნის საფუძველზე, კერძოდ, ადამიანის გამოყენება იძულებითი შრომის ან მომსახურებისთვის, დანაშაულებრივ ან სხვა ანტისაზოგადოებრივ ქმედებაში, პროსტიტუციის ან სექსუალური ექსპლუატაციის სხვა ფორმის ანდა სხვა სახის მომსახურებით სარგებლობა.

დანაშაული ობიექტურად დამთავრებულია მაშინ, როცა პირი ისარგებლებს მსხვერპლის ან დაზარალებულის ასეთი მომსახურებით. ქმედების სუბიექტური შემადგენლობა პირდაპირ განზრახვას გულისხმობს, რომლის მტკიცების მეთოდიკაზე ზემოთ ვისაუბრეთ.

რაც შეეხება პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებებს, შინაარსობრივად არ განსხვავდება 143[1]-ე და 143[2]-ე მუხლებით გათვალისწინებული დამამძიმებელი გარემოებებისგან, ამიტომ მათზე არ შევჩერდებით.

მესამე კარი

ქართული ანტიქურდული ნორმების და სასამართლო პრაქტიკის მიმოხილვა



http://forum.tsu.ge/lofiversion/index.php/t17156.html

თავი I

ანტიქურდული ნორმების კრიმინალიზაციის საკითხები საქართველოში

გურამ ნაჭყებია
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი

§ 1. ქურდული ცხოვრების წესის მსოფლმხედველობრივი საფუძვლები

ორგანიზებული დანაშაულის ცნებისა და მისი გამოვლენის ფორმების ანალიზის დროს ჩვენ არაერთგზის მოგვიწია „კანონიერი ქურდების" ხსენება, რადგამ ეს უკანასკნელი ორგანიზებული დანაშაულის განსაკუთრებული ფორმაა. ამჯერად კი „კანონიერი ქურდობის" პრობლემას ცხოვრების წესის მსოფლმხედველობრივი გაგების მიხედვით განვიხილავთ.

ფაქტია, რომ ე.წ. „კანონიერი ქურდების" პრობლემას არაერთი სერიოზული ნაშრომი მიეძღვნა, მაგრამ ფილოსოფიური ანალიზის საგანი დღემდე არ ყოფილა. პრობლემის ეს მხარე მეთოდოლოგიურად ხდება აუცილებელი, მაგრამ საკითხი ამ მხრივაც რთულია, რის გამოც ამ პრობლემატიკაში რაიმე განსაკუთრებული გარღვევის პრეტენზია არ შეიძლება გვქონდეს.

1. ცნობილია, რომ ე.წ. „ქურდული კანონები" სხვა არაფერია, თუ არა ქურდული ცხოვრების წესების ერთობლიობა, რომელიც ყოფილ საბჭოთა კავშირში გასული საუკუნის 30-ან წლებიდან ჩამოყალიბდა, თუმცა ამ წესებმა სოციალურ-პოლიტიკური ვითარების შეცვლის კვალობაზე, გარკვეული, არსებითი ცვლილებაც კი განიცადეს. აღნიშნული წესების ძირითადი პრინციპები კი ასე გამოიყურება:

ე.წ. „ჟიგანების“ მიერ შემუშავებული წესების ძირითადი პრინციპები:

აკრძალულია: 1. საზოგადოებრივად სასარგებლო შრომაში მონაწილეობა; 2. იარაღით ხელში სახელმწიფო ინტერესების დაცვა; 3. ხელისუფლების ოფიციალურ სტრუქტურებთან დაზარალებულის ან მოწმის სახით თანამშრომლობა. 4. სავალდებულოა საერთო სალაროში ფულის შეტანა. არსებობს ქურდული ფიცი, ქურდული კურთხევა, ქურდული სასამართლო; ქურდული ღირსების კოდექსი; ქურდული შეკრებები ამ სამყაროსთვის უმნიშვნელოვანესი გადაწყვეტილებების მისაღებად და გასატარებლად.

ქურდები თავის თავს „კანონიერს“ მარტო ამ წესების გამო არ უწოდებდნენ. ეს წესები მათ სჭირდებოდათ იმისთვის, რომ ემართელებინათ თავი, თითქოს ამ წესების გამო მოქმედებდნენ ასე და არა სხვა რამის გამო.[1] თავის მართლებისა და თვითმოტყუების თაობაზე საინტერესოა პროფ. ზ. კაკაბაძის მოსაზრებანი. კერძოდ, ადამიანი მიდრეკილია თვითმოტყუებისაკენ, რომელიც გარკვეულწილად დანაშაულებრივი ქმედების გამართლების მცდელობაშიც გამოიხატება. ესაა სინდისის ნეიტრალიზაცია, მოცემული საქმე თითქოს საჭირო და აუცილებელია.[2] მოცემულ შემთხვევაში „კანონიერ ქურდს“ ქურდული ცხოვრების წესის მოშველიება იმიტომ სჭირდება, რომ გაამართლოს საკუთარი ქმედება, არა მარტო ჩვეულებრივი მოქალაქეების, ან ხელისუფლების წარმომადგენელთა მიმართ, არამედ თვით იმ კანონიერი ქურდების მიმართაც, რომლებმაც დაარღვიეს ქურდული ცხოვრების წესის რომელიმე ნორმა.

---

[1] გ. ლობჟანიძე, გ. ღლონტი, კანონიერი ქურდები საქართველოში, თბ., 2004, გვ. 46.

[2] ზ. კაკაბაძე, ადამიანი როგორც ფილოსოფიური პრობლემა, თბ., 1967.

2. გ. პოდლეკიხი და ა. ტერეშონოკი აღნიშნავენ, რომ რუსეთში დამნაშავისადმი ერთგვარი თანაგრძნობა და ცნობისმოყვარეობა ყოველთვის იგრძნობოდა.[3] ამ მხრივ გამონაკლისი არც საქართველოა. უფრო მეტიც, ქართულ მწერლობაშიც კი გამოიკვეთა ამგვარი ტენდენცია, როდესაც კრიმინალს ქურდული ცხოვრების განსაკუთრებულობის შარავანდედი მოსავს (მაგალითად, ნ. დუმბაძის შემოქმედებაში მურტალო, ლიმონა და სხვა). ეს ტენდენცია, ერთი მხრივ, გასაგებია, რადგან „კანონიერი ქურდიც" ადამიანია და თუ მას, მიუხედავად მისი კრიმინალური წარსულისა, მაინც შემორჩა ადამიანური ღირსებისა და სიყვარულის გრძნობა, — ეს გზავნილია ნებისმიერი გონიერი მოსამართლისთვის, რომელმაც ყველაზე უფრო ხელიდან წასული „კანონიერი ქურდის" პიროვნებაში ადამიანი უნდა აღმოაჩინოს. მაგრამ, სამწუხაროდ, კრიმინალებისადმი ამგვარი თანაგრძნობა, რაც პატივსადებია სასამართლო სხდომის დარბაზში იმის გამოსაკველვად, თუ რატომ დაადგა ის პირი ქურდული ცხოვრების გზას, მიუღებელია კრიმინილოგიურად, დანაშაულთა თავიდან აცილების პოზიციებიდანაც; უფრო მეტიც, — ფილოსოფიურად, რადგან ქურდული ცხორების წესი, მისი ნამდვილი უსაზრისობის გამო, ელემენტარულ ფილოსოფიურ კრიტიკას ვერ უძლებს. მაგრამ ყოფილ საბჭოთა კავშირში „კანონიერი" ქურდებისადმი ერთგვარი თანაგრძნობა იმანაც გამოიწვია, რომ სახელმწიფო საკუთრება „საარვისო" საკუთრებადაც კი იყო გაგებული და, მაშასადამე, მისი ნებისმიერი ხერხით ხელყოფა მოსახლეობის დიდი ნაწილის მხრივ დანაშაულად არ ფასდებოდა („მე ხომ არ მპარავს?" პოზიციიდან).

3. რით აიხსნება ქურდული ცხოვრების წესის ამგვარი გამძლეობა? უფრო მეტიც, რა საზრისი დევს ე. წ. კანონიერი ქურდის ერთობ ხიფათიან, ხშირად სასიკვდილოდ გამეტებულ ცხოვრებაში? ნუთუ კანონიერ ქურდს არა აქვს იმისი

[3] გ. პოდლეკიხი, ა. ტერეშონოკი, კანონიერი ქურდები, ბათუმი, 1995, გვ. 5.

გაგება, რომ ის თავისი თავის წინააღმდეგ მოქმედებს? ან: კანონიერი ქურდის ფსიქოლოგია და ფილოსოფია იმით ხომ არ არ აიხსნება, რომ საზოგადოებრივი ცხოვრება ნაკლოვანია, უსამართლობით არის გაჯერებული და ამიტომ ხომ არ უნდა ვიფიქროთ, რომ კანონიერი ქურდი ცსოვრების ამ მანკიერი წესის პროდუქტია, და რომ ქურდული ცხოვრების წესი უსამართლობის სამართლიანი გადანაწილების პრეტენზიით მართლდება? ერთი კი აშკარაა, რომ ნებისმიერი კანონიერი ქურდის ცხოვრება გამოირჩევა ანგარებით. მართალია, არსებობდა, ასე ვთქვათ, იდეალური „კანონიერი ქურდის“ ტიპი, რომელსაც არანაირი ქონება არ გააჩნდა, მაგრამ საარსებო წყაროს იგი იძენდა მისი ორგანიზატორობით ჩადენილი დანაშაულებრივი ქმედებისაგან, ან იმ ე.წ. საერთო „ბიუჯეტიდან,“ რომელსაც საერთო სალარო ანუ „ობშაკი“ ეწოდება. ამ გზაზე კანონიერი ქურდი დაუნდობელია და, რაც უფრო ბევრს შოულობს, მას მით უფრო ბევრი უნდება (ამ მხრივ ტარიელ ონიანის მაგალითიც კმარა!) აქ კი, როგორც ჩანს, საქმე ეხება თავისებურ პრესტიჟს, ესე იგი, ღირსების საქმეს. ამ მიმართებით კი თავს იჩენს ღირებულებითი ორიენტაცია, რაც აქსიოლოგიური მიდგომის გარეშე სწორად გაგებული ვერ იქნება. ამ მხრივ ფრიად საინტერესოა „კანონიერი ქურდების“ დახასიათება დადებითობის კომპლექსში, როდესაც ყოველი დადებითი შტრიხი გამოყენებულია ამ ტიპის კრიმინალთა სასარგებლოდ და მათი ავტორიტეტის ამაღლებას ემსახურება. კერძოდ, „კანონიერი ქურდი,“ არაერთგზის ნასამართლევია; ის სისხლისსამართლებრივ სუბკულტურას ღრმად არის დაუფლებული; დამნაშავეთა სამყაროში სარგებლობს დიდი ავტორიტეტით; ის, საერთო წესისამებრ, აღიარებულია კანონიერ ქურდად ამ ტიპის კრიმინალთა თავყრილობებზე, სადაც დგება ქურდული ეთიკისა და იდეოლოგიის საკითხები; აგრეთვე ქურდული ბიუჯეტის ანუ „ობშაკის„ შევსების ხერხები და მეთოდები. „კანონიერი ქურდი„ სუპერლიდერია და იგი ქურდული ცხოვრების წესს იცავს არა მარტო თავისუფლების აღკვეთის მოხდის ადგილებში, არამედ სხვაგანაც, სადაც კი ხელი მიუწვდება. უფრო მეტიც, ისინი

ქურდული ცხოვრების წესის აქტიური პროპაგანდისტები არიან.

მათ აქვთ მთელი რიგი სხვა დადებითი თვისებების კომპლექსი. ისინი კარგი ორგანიზატორები არიან; მათ აქვთ უნარი, შეკრან დამნაშავენი და ისინი თავიანთ ნებას დაუმორჩილონ; ისინი, უმრავლეს შემთხვევაში, მიმზიდველნი და საინტერესონი არიან; ივალდებულებენ თავს, რათა თვალყური ადევნონ თავის გარეგნობას; უნდა იცვამდნენ სუფთად და აკურატულად, მოდურად, მუდამ ინდა იყვნენ ფორმაში, სუფთად გაპარსულნი; უნდა ზრუნავდნენ საკუთარი მეტყველებისთვის. არ დაიჯერონ და არ გაავრცელონ ჭორები, შეუმოწმებელი ინფორმაცია, რომელიც ლახავს რომელიმე მსჯავრდებულის ღირსებას. ქურდულ გარჩევებზე იყვნენ ობიექტურნი, სამართლიანი, დარღვევების მიმართ შეურიგებელნი, დაუნდობელნი. გამოირჩევიან იმისი დიდი უნარით, რომ მოთოკონ საკუთარი ემოცია, არ უნდა გამოვიდენენ მწყობრიდან და არა ყვირილით, არამედ, ავტორიტეთით და საქმის ცოდნით დაარწმუნონ მოწინააღმდეგე.[4]

მაგრამ საქმე ისაა, რომ კანონიერი ქურდის სახე არსებითად შეიცვალა გასული საუკუნის 90-ანი წლებიდან, როდესაც რუსეთში სახელმწიფო ხელისუფლება შესუსტდა, უფრო მეტიც, გაჩნდა ხელისუფლების ვაკუუმი, ხოლო ამისი შევსება სხვადასხვა რჯულის ე.წ. ავტორიტეტებმა დაიწყეს, მათ თავდაპირველად მოხერხებულად შექმნეს რეკეტების მთელი ქსელი, დააწესეს ხარკი, მოსაკრებელი. ბევრი მათგანი ბიზნესმენთა არაოფიციალური დაცვის სამსახურში ჩადგა და ამ გზით საკმაოდ დიდი ფული დარგოვდა, ხოლო ყოველივე ეს ხელს უწყობდა იმას, რომ კანონიერი ქურდები თანდათან ჩართულიყნენ ბიზნესში. ეს კი მათი გადაშენების დასაწყისს მოასწავებდა, რადგან ისინი უკვე თანამშრომლობდნენ ბიზნესის ოფიციალურ სტრუქტურებთან, მათ უკვე გაუჩნდათ

[4]ამის შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. И. Т. Шурухнов, Неформальная дифференцияция итсправительно-трудовых учреждений, М. 1992.

პოლიტიკურ ხელისუფლებაში მოსვლის პრეტენზია, რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, მისი ბიზნეს ინტერესებში. ეს ავტორიტეტებს ქურდული ცხოვრების ტრადიციული წესი კაპიკადაც აღარ უღირთ; ისინი უარს ამბობენ კანონიერ ქურდად ოფიციალურ კურთხევაზეც კი. საქმე იქამდეც მივიდა, რომ „ქურდის“ წოდება, რომელიც არაერთგზის ნასამართლობას, თანაც ციხეში ჯდომით, გულისხმობდა, ბოლო ხანებში იყიდება იმ პირზეც კი, რომელიც ციხეში ერთი დღეც არ მჯდარა. თანაც საკმაოზე მეტად ახალგაზრდებზე. ისინი ცდილობენ უფრო ავტორიტეტული ქურდების მოსყიდვას დიდი ფულის ხარჯზე. ამდენად, შეიძლება ითქვას, რომ კორუფციამ უფრო მეტად დაარტყა კანონონიერ ქურდებს, ვიდრე ოფიციალურ სახელმწიფოებრივ სტრუქტურებს.[55] ასევე ნიშანდობლივია კანონიერი ქურდების ცხოვრების წესის ფსიქოლოგიური და კრიმინოლოგიური დახასიათება: ყოფილი მკვლელები, მძარცველები, ნარკოტიკებისადმი მიდრეკილნი პირები, დანაშაულებრივი იდეების გენერატორები, საზოგადოებრივი წესრიგისა და სტაბილიზაციის დაუძინებელი მტრები, ისინიც კი, რომლებმაც ფულით იყიდეს საკმოდ მაღალი სამეცნიერო, აკადემიური თუ სხვა წოდებები და ა.შ.[6]

4. ე.წ. ქურდული ცხოვრების წესი ერთგვარი ხერხია იმის შესანიღბად, რომ ამგვარი ცხოვრების წესის საფუძველში დევს ანგარება. ეს ფაქტი შეგნებულად ინიღბება ქურდული ცხოვრების ვითომდა „კანონებით,“ რადგან შიშველ რეალობაზე დამყარებული ჩვეულებრივზე უფრო მძაფრი კრიმინალი ვერავისთვის მისაბაძი ვერ იქნება. „კანონიერი ქურდიც“ ადამიანია. ის შეურაცხადი კი არაა, არამედ ამ მხრივ ნორმალური ფსიქიკისაა, თუმცა ამ მიმართებით „ნორმალური“ პირობითია, რადგან არ შეიძლება „ნორმალურად,“ ანუ, ნორმ-

[5] ამისა შესახებ უფრო დაწვრილებით იხ. Ю. В. Датов, `Воры в законе~ как субъекты риночной модернизации России (ინტერნეტიდან).

[6] ამის შესახებ იხ. Психология преступных групп (ინტერნეტიდან).

ისეულად ჩაითვალოს ქურდული ცხოვრების წესი. ცხადია, „ქურდული კანონები," ანუ, ნორმები არსებობს, მაგრამ ეს ნორმები არანორმალურია და ის არ შეიძლება „ნორმად" ანუ ქცევის წესად მივიჩნიოთ. არ უნდა შეგვაცდინოს იმ გარემოებამ, რომ ქურდული ცხოვრების წესებში ერთ დროს იდეალურ ქურდად ითვლებოდა ის, ვისაც საკუთარი ქონება არ ჰქონდა და ამდენად იგი თითქოს ანგარებით არ მოქმედებდა. მაგრამ, ჯერ ერთი, როგორც ზემოთ ითქვა, საარსებო წყაროს იგი დანაშაულებრივი გზით ღებულობდა; კერძოდ, დანაშაულებრივი ოპერაციის შედეგად, ხოლო ამ ოპერაციებში იგი ორგანიზატორია და არა ამსრულებელი. მეორეც, არსად არ უნდა ემუშავა, მაშასადამე, პარაზიტული ცხოვრების წესს ეწეოდა. მესამე, იგი ვალდებულია თავისი წვლილი შეიტანოს ე. წ. „ობშაკის" ანუ ქურდულ სალაროში, მის „ბიუჯეტში." ქურდები ქმნიდნენ და ქმნიან სახელმწიფოს სახელმწიფოში.

5. „კანონიერი ქურდის" იარლიყი და მასთან დაკავშირებული რიტუალები ხომ არაა დაკავშირებული ე.წ. „ნორმატიულ ფაქტებთან"გ.ნანეიშვილი ასახელებს დაპირებას და შეთანხმებას, ხელშეკრულებას, რომელთაც, ერთის მხრივ, ფაქტის თვისება აქვთ, ხოლო, მეორეს მხრივ, — „ნორმატიულის„ თვისება, რამდენადაც სავალდებულოა გარკვეული კატეგორიის პირებისთვის. ხომ არ ავხსნათ ყველივე ეს ნორმატიული ფაქტების თეორიით? მართლაც, ხსენებული ავტორი ცდილობს დაასაბუთოს, რომ არსებობს ისეთი ნორმატიული ფაქტი, რომელიც პოზიტიური სამართლისაგან დამოუკიდებლად მოქმედებს და რომელიც იწვევს აზრთა ისეთ კომპლექსს, როცა სუბიექტები იმსჭვალებიან ვალდებულისა და უფლებამოსილის მნიშვნელობით, იმის მიუხედავად, ეწინააღმდეგება თუ არა ეს ნორმატიული ფაქტი პოზიტიური სამართლის მოთხოვნას. ავტორის მტკიცებით, არ შეიძლება ნორმატიული ფაქტები პოზიტიურ სამართალზე დავამყაროთ ან მისგან გამოვიყვანოთ. ფაქტის ნორმატიულობა, — ამტკიცებს ავტორი, „თვით ფაქტის შინაგანი ბუნებიდან გამომდინარე-

ობს და არა ნორმიდან. ხელშეკრულება, შეთანხმების თუ დაპირების აქტი, აგრეთვე დაფუძნებითი აქტი, პოზიტიური სამართლისგან დამოუკიდებლად ქმიან უფლებამოსილებისა და ვალდებულების განწყობილებას. თვით ეს აქტები წარმოშობენ აზრთა ისეთ წყობას, რომელშიც მე და სხვა მოცემული ვართ როგორც აქტუალური მოქმედი აზრი უფლებამოსილებისა და ვალდებულებისა. ხოლო რაკი ეს ასეა, თავისთავად ცხადია, რომ აღნიშნული აქტების ნორმატიულ ძალასაც ჩვენ პოზიტიური სამართლისგან დამოუკიდებლად უნდა განვიცდიდეთ."[7]

ამრიგად, აშკარაა, რომ ქურდული ცხოვრების წესი და მისი პრინციპები წარმოადგენენ ნორმატიული ფაქტის სახეობას, როდესაც საქმე ეხება, ერთის მხრივ, გარკვეულ ფაქტებს, როგორიცაა, მაგალითად, „ქურდული კანონის" ნორმებზე შეთანხმების აქტი, ხოლო, მეორეს მხრივ, — ამ ფაქტების ნორმატიულ ძალას, რომლის თანახმად, ნებისმიერი კანონიერი ქურდი ვალდებულია არა მარტო თვითონ დაიცვას ეს მოთხოვნები, არამედ თვალყური ადევნოს სხვა კანონიერი ქურდის მიერ ამ მოთხოვნების შესრულებას. დარღვევის შემთხვევაში კი, ვალდებულია და უფლებამისილი მოაწყოს ქურდული სასამართლო. გასაგებია, რომ ქურდული ცხოვრების წესი, რომელიც თითქოს რაიმე განსაკუთრებული კანონის ფორმაში გამოიხატება, სინამდვილეში სხვა არაფერია, თუ არა ანტისამართლებრივი და იურიდიულად სრულიად უკანონო აქტი. „კანონიერი ქურდის" ცნება მხოლოდ იმ ფაქტს აღნიშნავს, რომ სინამდვილეში საქმე ეხება ანტისაზოგადოებრივი ცხოვრების წესს, რის გამოც „კანონის" ფორმას ვერ მიიღებს. გ. ნანეიშვილი შემთხვევით არ ამტკიცებს, რომ ნორმატიული ფაქტი შეიძლება ეწინააღმდეგებოდეს პოზიტიურ სამართალს, მაგრამ ეს ნორმატიული ფაქტის არ-

[7]გ. ნანეიშვილი, სამართლის ნამდვილობა და ცდა ნორმატიული ფაქტების დასაბუთებისა, „სამართლის ფილოსოფიის საკითხები," თბ., 1992, გვ. 132.

სებას ვერაფერს აკლებს. დიახაც, ქურდული ცხოვრების წესი იურიდიულად უკანონოა და ამიტომ „კანონიერი ქურდი" იურიდიულად შეუძლებელია, მაგრამ იმის აღსანიშნავად, რომ საქმე ეხება ქურდული ცხოვრების წესების გამო გარკვეულ შეთანხმებას, ჩვენ იძულებულნი ვართ, ამ ფაქტის აღსანიშნავად ეს ტერმინი „კანონიერი ქურდი" გამოვიყენოთ. მაგრამ ამჯერად ყურადღებას მივაქცევთ იმ გარემოებას, რომ გ. ნანეიშვილის ნორმატიული ფაქტების თეორია ეყრდნობა გერმანელი ფილოსოფოსის ედუარდ ჰუსერლის ფენომენოლოგიურ მეთოდოლოგიას, რომელიც გარკვეულწილად იდეალისტური ელფერის მატარებელია. ამ მხრივ მოკლედ შევეხებით ედუარდ ჰუსერლის ფენომენოლოგიური მეთოდის არსის გაგებას, რაც საინტერესოდაა გადმოცემული პროფ. ზ. კაკაბაძის ერთ-ერთ ნაშრომში. კერძოდ, პროფ. ზ. კაკაბაძის აზრით, თუ ტრადიციული ფილოსოფია ეძებდა პირველ მიზეზებს, როგორც სამყაროს საწყისებს, ფენომენოლოგია არის ახალი ტიპის ფილოსოფია, რომელიც ყოფიერების მიზეზებს კი არ ეძებს, არამედ „ყოფიერების მნიშვნელობის წარმოშობის ფაქტორებს, ესე იგი, ყოფიერების კონსტიტუციურ ფაქტორებს. ფენომენოლოგია კითხვას სვამს იმაზე, თუ როგორ განსაზღვრავს თავის თავს ყოფიერება" და რომ „სუბიექტი თავისი ონტიური აქტებით ანიჭებს სამყაროს საზრისსა და მნიშვნელობას და ამის გამო არის სამყაროს ყოფიერების მაკონსტრუირებელი ფაქტორი."[8]

ავტორი განმარტავს თვით ფენომენის ცნებას, რაც ფენომენოლოგიის, როგორც სპეციფიკური მეთოდის, გასაღებია. კერძოდ, „ფენომენია" – ჭეშმარიტად საკუთარ ყოფიერებაში და, კორელატულად ჩემთან დამოკიდებულებაში შექმნილი სამყარო. ფენომენოლოიგია არის გამოკვლევა, რომელიც გაგვიხსნის ცნობიერების ნამდვილ ინტენციურ სიცოცხლესა და სამყაროს ამ უკანასკნელთან მიმართებაში ანუ ნამდვილ

[8] ზ. კაკაბაძე, „ექსისტენციური კრიზისის" პრობლემა და ედუარდ ჰუსერლის ტრანცედენტური ფენომონოლოგია, თბილისი, 1985, გვ. 102.

ინტენციურ სამყაროს.“[9] თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ „ინტენცია„ არის ცნობიერების მიმართება საგანზე, მაშინ გასაგებია, თუ რა სიძნელეები შეიძლება დაუდგეს ამ მეთოდოლოგიას. მართლაც, ამ პოზიციიდან ძნელია იმის დასაბუთება, თუ საიდან ეძლევა სუბიექტს აზრი, რომ ყოფიერება ამგვარად (და არა სხვანაირად) დაასაზრისოს? მაგრამ არც იმისი უგულებელყოფა ივარგებს, რომ სუბიექტი ამგვარი ინტენციის გარეშე არ არსებობს და ამდენად მოძღვრება ნორმატიული ფაქტების შესახებ უეჭველად საყურადღებოა. კერძოდ, „ყოფიერების მნიშვნელობების“ იდეა აქტუალურად ეხმიანება „ქურდული ცხოვრების წესის„ იმ მნიშვნელობებს, რომელთაც, როგორც ჩანს, ნორმატიული ფაქტის თეორია გამოხატავს.

იმ მიზნით, რომ ნორმატიული ფაქტის ცნება „იურიდიული ფაქტის„ ცნებაში არ აგვერიოს, საკითხი ამ მხრივ დასაზუსტებელია. ამ პოზიციიდან ფრიად საყურადღებოდ მიგვაჩნია პროფ. ბ. სავანელის მიერ გ. ნანეიშვილის პოზიციის ნათელყოფა, როცა იგი იყენებს ხსენებული ავტორის იდეებს. კერძოდ, იგი გასაგებად და ლოგიკურად ალაგებს გ. ნანეიშვილის თეორიას ნორმატიული ფაქტების შესახებ და თვით ამ ავტორის სიტყვებით ასკვნის, რომ „ნორმატიულ ფაქტს აქვს როგორც ფაქტის, ასევე ნორმის თვისება. არის თუ არა ხელშეკრულება მართლზომიერი, შეიძლება გაირკვეს ან არ გაირკვეს მომავალში. მანამდე კი მხარეების ურთიერთობას აქვს მთელი ისტორია, რომლის განმავლობაშიც ისინი დაკავშირებული არიან ერთმანეთთან როგორც უფლებამოსილი და ვალდებული.“[10]

აქ არ უნდა დაგვაბნიოს „ხელშეკრულების“ ცნებამ, რადგან, ხელშეკრულებაც ისეთივე ნორმატიული ფაქტია, როგორც, მაგალითად, შეთანხმების ან დაპირების აქტი. ვიმეორებთ,

[9] ზ. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 119.

[10] ბ. სავანელი, სამართლის თეორია, თბ., 2009, გვ. 234.

ნორმატიულ ფაქტებს ორმაგი თვისება აქვს: ერთის მხრივ, საქმე ეხება შეთანხმების, დაპირების თუ სხვა მსგავს მოვლენებს, როგორც ფაქტებს, ხოლო, მეორეს მხრივ, — ამ ფაქტების ნორმატიულ ძალას, ესე იგი, მათ ვალდებულობას, იმის მიუხედავად, კანონიერია თუ არა ამ ფაქტებიდან გამომდინარე მოქმედებანი. ჩვენს შემთხვევაში უფრო საინტერესო ჩანს შეთანხმების აქტი, რადგან, გვეჩვენება, რომ ქურდული ცხოვრების წესი „ქურდულ კანონებზე„ შეთანხმების საფუძველზეა აგებული. როგორც ბ. სავანელი აღნიშნავს„ ფაქტის ნორმატიულობა ობიექტური, პოზიტიური სამართლისაგან დამოუკიდებელი, თვისებაა. რა თქმა უნდა, სამართალს შეუძლია გამოიყენოს ნორმატიული ფაქტი, ან შექმნას ხელოვნური დაბრკოლება იმ კანონზომიერების გამოსავლენად, რაც ჩადებულია ნორმატიულ ფაქტში, მაგრამ ნორმატიული ფაქტის ბუნებას სამართალი ვერ შეცვლის.“[11]

ვიდრე აქ განვითარებული მსჯელობის შეფასებაზე გადავიდოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია უფრო ნათლად წარმოვაჩინოთ ნორმატიული ფაქტებისა და იურიდიული ფაქტების განმასხვავებელი ნიშნები. ამ აზრით მთავარი ისაა, რომ „იურიდიული ფაქტი, რომელსაც პოზიტიური სამართალი უკავშირებს სამართლებრივი ურთიერთობის წარმოშობას, შეცვლას ან შეწყვეტას, მაგრამ ამის გამო ის ნორმატიულობას არ იძენს.“[12][12] მართლაც, მაგალითად, ადამიანის დაბადება ან სიკვდილი იურიდიული ფაქტებია, რადგან ისინი ქმნიან შესატყვის სამართლებრივ ურთიერთობებს, მაგრამ ამ ფაქტებს ნორმატიული ბუნება არ გააჩნიათ. ამრიგად, შეიძლება ვამტკიცოთ, რომ ქურდული ცხოვრების წესის საფუძველში დევს ნორმატიული ფაქტის ისეთი სახეობა, როგორიცაა შეთანხმება. ეს შეთანხმება, ერთის მხრივ, არის ფაქტი, თუ ეს შეთანხმება მართლაც შედგა, ხოლო, მეორეს მხრივ, შეთანხმების ამ ფაქტს სავალდებულო, ნორმატიული, მნიშვნელობა

[11] ბ. სავანელი, სამართლის თეორია, თბ., 2009, გვ. 234.

[12] იქვე, გვ. 234.

აქვს ამ შეთანხმების მონაწილეებისთვის. შეთანხმების აქტიდან გამომდინარე ვალდებულება და მასთან დაკავშირებული დაპირება უნდა შესრულდეს, იმის მიუხედავად, არის თუ არა ეს შეთანხმება კანონიერი, ან იყო თუ არა ესა თუ ის დაპირება პოზიტიური სამართლის განხოციელებისკენ მიმართული აქტი. უფრო მეტიც, სწორედ შეთანხმების, როგორც ნორმატიული ფაქტის, ბუნებით შეიძლება აიხსნას არა მხოლოდ „კანონიერი ქურდის" ფენომენი, არამედ საზოგადოდ ორგანიზებული დანაშაულის ფენომენიც, რადგან ამ მოვლენაში ორგანიზებული დანაშაულის წევრებს შორის შეთანხმებას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს. უფრო მეტიც, აქ, როგორც ჩანს, დგას ფაქტისა და ნორმის მიმართების პრობლემა, რადგან, ის, რაც არის, არ ნიშნავს, რომ ის აგრეთვე უნდა იყოს, როგორც ღირებულება, და, პირიქით, ის, რაც უნდა იყოს, არ ნიშნავს, რომ ის უკვე არის. სწორედაც რომ პირიქით, ის, რაც არის, ყველაფერი (მაგალითად, დანაშაული) არსებობის ღირსი არაა და ამიტომ არ უნდა იყოს, ხოლო ის, რაც არსებობის ღირსია, ან არ არის, ან საკმარისად არაა ადამიანთა ყოფიერებაში დამკვიდრებული. ამ პოზიციიდან იგულისხმება არსისა და ჯერარსის ტრადიციული ფილოსოფიური პრობლემა, რომელსაც აქ დაწვრილებით არ შევეხებით. აღვნიშნავთ მხოლოდ იმას, რომ ნორმატიული ფაქტების პრობლემა ფაქტისა და ნორმის დაკავშირება კი არაა მხოლოდ, არამედ, თვით ფაქტის ნორმატიული ბუნების ჩვენებაში მდგომარეობს. ეს საკითხი იმიტომ გვაინტერესებს, რომ ნორმატიულ ფაქტებთან დაპირისპირება და ბრძოლა განსაკუთრებული მოვლენაა. დებულება, რომ სამართალმა ნორმატიულ ფაქტს შეიძლება შეუქმნას ხელოვნური დაბრკოლება ნორმატიული ფაქტებში ჩადებული ნამდვილი საზრისის გამოსავლენად, — მეტად საყურადებოა. დებულება, რომ ნორმატიულობა თვით ფაქტის შინაგანი ბუნებაა, ხოლო ნორმატიული ფაქტი ისტორიულად წინ უსწრებს პოზიტიურ სამართალს და ამიტომ პოზიტიურ სამართალს არ შეუძლია ფაქტებს ნორმატიული ძალა მიანი-

ჭოს, ან ნორმატიული ფაქტის ბუნებაში რაიმე შეცვალოს[13]– მეტად დამაფიქრებელია. რამდენად ეფექტურია ბრძოლა ისეთ ნორმატიულ ფაქტებთან, როგორიცაა შეთანხმება „ქურდულ კანონებზე"? გასაგებია, რომ საქმე შეეხება სახელმწიფოს პოლიტიკური ნების პრობლემას, ესე იგი, იმას, სახელმწიფოს ოფიციალური სისხლის სამართლის კანონი მართლაც დაუპირისპირდება თუ არა „ქურდული კანონების" საფუძველზე შეკრულ კრიმინალებს და სამართლებრივი საშუალებით დაამარცხებს თუ არა ამ მოვლენას. თუ სამართალი უპირისპირდება ჩვეულებრივ ფაქტებს, ვთქვათ, ძალადობას, როგორ დაუპირისპირდება სამართალი ნორმატიულ ფაქტებს, როცა ეს უკანასკნელი პოზიტიური სამართლისაგან დამოუკიდებელია? ცხადია, ისეთი ნორმატიული ფაქტი, როგორიცაა, მაგალითად, შეთანხმება, ქურდულ კანონებზე შეთანხმებითაც ვლინდება, მაგრამ ამ კონკრეტულ ფაქტით არ ამოიწურება. ამით იმის თქმა გვინდა, რომ სახელმწიფოს სამართლებრივი ბრძოლა ქურდული ცხოვრების წესთან საკმაოდ რთულია, მაგრამ ქურდული ცხოვრების წესის დამარცხება ნორმატიული ფაქტების უარყოფას ან უგულებელყოფას არ ნიშნავს, რადგან შეთანხმების აქტი სხვა ნორმატიულ ფაქტში გამოვლინდება.

6. ამრიგად, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ქურდული ცხოვრების წესი, მით უფრო ამ უკანასკნელ ხანებში, სხვა არაფერია, თუ არა ამ ცხოვრების წესის საფუძველში მდებარე **ანგარების შენიღბვის განსაკუთრებული ხერხი.** კერძოდ, ქურდი არ მუშაობს, არ ქმნის, ითვისებს მზამზარეულს, მაგრამ ითვისებს ათასგვარი ბინძური ხერხებით.

7. ერთი სიტყვით, ამ მიმართებით „ცხოვრების წესის" სოციოლოგიური და ფილოსოფიური ანალიზი გარდუვალია.

მაგალითად, პროფ. ზ. კაკაბაძე ამტკიცებს, რომ ადამიანი

[13] გ. ნანეიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 141.

არსებობის სხვადასხვა შესაძლებლობისადმი გულგრილი კი არაა, არამედ ირჩევს და მიზნად ისახავს რომელიმე მათგანს. „მისი ცხოვრება ყოველთვის გარკვეული მიზნით წარიმართება, ამ მიზნის განხორციელების პროცესს წარმოდგენს, ხოლო, რამდენადაც ეს ასეა, ამდენად ადამიანის საქციელი არ შეიძლება კაუზალური კანონებით აიხსნას. თავისი ძირითადი მიზნის განხორციელების სხვადასხვა სტადიაზე რომ იმყოფება, ადამიანი ამის შესაბამისად ცვლის ხოლმე გარემოსადმი დამოკიდებულებას და, მაშასადამე, ერთსა და იმავე პირობებში სხვადასხვაგვარად იქცევა."[14]

ცხადია, ადამიანის საქციელი მხოლოდ კაუზალური კანონებით ვერ აიხსნება, მაგრამ არც ამ კანონებისგან მოწყვეტით არსებობს. მეორეც, ერთსა და იმავე პირობებში ერთი და იგივე პირის მიმართ სხვადასხვანაირი მოქმედება — ეს მხოლოდ აბსტრაქტული შესაძლებლობაა, რადგან, პეტრე რომ ასე იქცევა, პავლე მოიქცევა სხვაგვარად, რადგან ეს უკანასკნელი პავლეა. ამას ადასტურებს ქურდული ცხოვრების წესიც. კერძოდ, „კანონიერი ქურდი" სხვანაირად მოიქცევა, ვიდრე ის, ვინც ამ წესებს არ მისდევს. ცხადია, „კანონიერ ქურდს" შეეძლო ცხოვრების სხვა წესი აერჩია, იმის მიუხედავად, რომ ამ ტიპის კრიმინალი გარედან იძულების წესით ხშირად ყალიბდება. მით უფრო, რომ „ადამიანის ცხოვრება ყოველთვის რაღაც იდეალის მიხედვით წარიმართება და რომ ამ იდეალის მიხედვით აღიარებს, მნიშვნელობას ანიჭებს და ეპყრობა გარემომცველ სამყაროს."[15]

არსებობს კი ქურდული ცხოვრების წესი, როგორც იდეალი ამ უკანასკნელის ქურდული გაგებით? ცხადია, აქ საკითხი რთულდება, რადგან „კანონიერი ქურდი," როგორც უკვე ითქვა, ნორმალური ფსიქიკის ადამიანა და არა შეურაცხადი. მეორე მხრივ, ფაქტია, რომ ქურდული ცხოვრების წესი არა-

[14] ზ. კაკაბაძე, ფილოსოფიური საუბრები, თბ., 1988, გვ. 14.

[15] იქვე, გვ. 28.

ნორმალურია, არანორმისეულია, რის გამოც ის იდეალად ვერ გამოდგება. ის იდეალად ჩვენ გვეჩვენება, ან ჩვენ მივაწერთ მას იდეალის მნიშვნელობას, რაკი ვერ აგვიხსნია ის მიზეზები, რაც ყოველივე ამას განაპირობებს. მართლაც, რით აიხსნება ის, რომ ქურდი ამდენს იტანდეს, თავის თავზე ამდენს იღებდეს და ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ ანგარებით? აქ თავს იჩენს ე. წ. პრესტიჟის მოთხოვნილებაც, მაგრამ საკითხავი ისიცაა, თუ რაა აქ პრესტიჟული — თვით ქურდული ცხოვრების წესი თუ ამგვარი ცხოვრების შედეგები? მით უფრო, რომ „იდეალის საფუძველში ყოფიერების შესაბამისი გაგება ძევს.„[16][16] მაგრამ, სამწუხაროდ, შესაძლებელია, რომ ადამიანმა თავის თავზე უსიამო ჭეშმარიტებას ზურგი აქციოს და შესატყვის ილუზიებს მიაშუროს, ესე იგი თავი მოიტყუოს, ხოლო, ეს უეჭველად აძნელებს თვითშემეცნებას.[17][17] ბოლოს, „შეიძლება ითქვას, რომ ადამიანის საქციელი, მისი ცხოვრების მიმართულება, გეზი, საბოლოო ანგარიშით, მის მიერ არსებობის, ყოფნის სისტემის გაგებით განისაზღვრება.„[18]

ამრიგად, ყოველი კონკრეტული ადამიანის ცხოვრების წესი ადამიანის ყოფნის სისტემის გაგებაზეა აგებული, თუმცა ისიც ფაქტია, რომ არსებობს თვითმოტყუების ფენომენი, რომელიც ხელს უშლის ადამიანის მიერ თავისი ცხოვრების წესის მართებულ გაგებასა და შეფასებაში. „კანონიერი ქურდი" არც თუ ისე გაუნათლებელია, რომ ვერ გაიგოს, თუ რა უსაზრისოა მისი ცხოვრება, მაგრამ ის მაინც ამ გზას ადგას, თუმცა თავის პირმშოს ამ გზას, ალბათ, არ გაუყენებს. აქ ცოდნის ნაკლულობაზე იმდენად არაა ლაპარაკი, რამდენადაც მრწამსის უღირსობაზე. ეს ტერმინი „მრწამსის უღირსობა„ საკმაო სიღრმით და მარჯვედ გამოხატავს ქურდული ცხოვრების წესის უარყოფით შეფასებას, მაშინ, როცა ეს ტერმინი ბრალის ცნების პრობლემატიკაშია გამოყენ ებუ-

[16] ზ. კაკაბაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 31.

[17] იქვე, გვ. 47.

[18] იქვე, გვ. 199.

ლი. მაგალითად, ი. ვესელსისა და ვ. ბოილკეს ერთობლივ ნაშრომში ნათქვამია, რომ „ბრალეული გაკიცხაობის საგანს მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში გამოვლინებადი, მართლწესრიგით დადგენილი მოთხოვნებისადმი დამნაშავის არაკეთილსინდისიერი განწყობა წარმოადგენს."[19] ამ ავტორების აზრით, „სამართლებრივი სინდისისათვის" ყურის დაგდების შემთხვევაში სამართლებრივი აკრძალვა განხორციელდებოდა,„ ესე იგი, მართლზომიერი ქმდება იქნებოდა ჩადენილი. აქედან კეთდება დასკვნა, რომ „ბრალი„ ნიშნავს ქმედების გასაკიცხაობას იმის გამო, რომ მას საფუძვლად სამართლებრივად გაკიცხვის ღირსი მრწამსი უდევს."[20]

ამრიგად, ბრალი მრწამსის უღირსობაა, ხოლო მრწამსი დახასიათებულია, როგორც საკუთარი, ჩვეულებითი, რელიგიური, ან პოლიტიკური მსოფლმხედველობა, რომლის საფუძველზე პირი თავს უფლებას აძლევს, ზოგჯერ კი ვალდებულად თვლის, ჩაიდინოს განსაზღვრული ქმდება.[21]

როგორც ჩანს, „მრწამსის„ ცნებაში საკმაოდ ფართო შინაარსის ფენომენი იგულისხმება, რის გამოც იგი, გარკვეული აზრით, მსოფლმხედველობის სინონიმად შეიძლება ჩაითვალოს. ბრალიც, როგორც ჩანს, მისგან მოწყვეტილი არაა, თუმცა საკმაოდ ძნელია კონკრეტული უპასუხისმგებლო, ანუ, ბრალეული ქმედება, მრწამსის უღირსობიდან პირდაპირი ლოგიკური გზით გამოიყვანო. მაგრამ ამჯერად ჩვენ ბრალის პრობლემას უშუალოდ არ ვეხებით. დაგვაინტერესა მრწამსის ცნებამ, რომელიც, გარკვეულწილად, მსოფლმხედველობრივ პრობლემას უკავშირდება. ამაზე მეტყველებს თ.

---

[19] ი. ვესელსი (ვ. ბოილკე), სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დანაშაული და მისი აგებულება, თბ., 2010, გვ. 221 (გერმანულიდან თარგმნა ზ. არსენიშვილმა, ხოლო სამეცნიერო რედაქცია გააკეთა სამართლის დოქტორმა ი. დვალიძემ).

[20] იქვე, გვ. 221.

[21] იქვე, გვ. 222.

ბუაჩიძის დებულება, რომ „ყოველი ადამიანური აქტი, აღქმა იქნება ეს თუ შეფასება, გარკვეულ ხედვაზე, — მსოფლიოს ხედვაზე, მსოფლმხედველობაზე – დაყრდნობით სრულდება„ და რომ „...გარკვეული აზრით, ადამიანად ყოფნა ფილოსოფოსად ყოფნას ნიშნავს.„[22] ცხადია, ეს ეხება ქურდულ სამყაროსაც. აქაც არის მსოფლხედვა, იმისი გამართლება, რასაც ქურდი აკეთებს. ცხადია, გარკვეული მსოფლმხედველობის გარეშე არც ქურდი და ქურდული სამყაროა, მაგრამ სულ სხვაა ფილოსოფია, როგორც თეორიული მსოფლმხედველობა, რომ ფილოსოფია არის ეპოქის კრიტიკა და ცხადია, ქურდული ცხოვრების წესის კრიტიკაც, რასაც კანონონიერი ქურდი, როგორც წესი, არ იღებს არც უშვებს. ადამიანი ქმნის ღირებულებათა სამყაროს და ეზიარება მის კანონებს. აქ უკვე დგას კულტურისა და ადამიანის მიმართების საკითხიც. განეკუთვნება თუ არა ქურდული ცხოვრების წესები „კულტურის„ ფენას თუ ეს არის ფსევდო კულტურა, სუბკულტურა? როგორც აკად. ა. ბოჭორიშვილი აღნიშნავდა, კულტურა ადამიანის მიერ შექმნილი დადებითი ღირებულების მქონე ფენომენია, რომელიც ადამიანის აქტიურ შემოქმედებით აქტებში ჩანს, და რომ კულტურაში ადამიანმა თავისი თავი უნდა მოიპოვოს.[23] მით უფრო, თუ ყველა ღირებულებას შორის, რომლებითაც კულტურა ამ საპატიო სახელს ინარჩუნებს, უმაღლესი ზნეობრივი ღირებულებაა. ირკვევა, რომ „საზოგადოებრივი ცხოვრების კულტურულობა იზომება, პირველ რიგში, იმის მიხედვით, თუ რაოდენ ასწია მან ადამიანის ზნეობა, რაოდენ გააუმჯობესა მან ადამიანი, როგორც ზნეობრივი არსება.“[24] გასაგებია, რომ ქურდული ცხოვრების წესი, რომელიც რაღაც „კანონებისგან“ შედგება, კულტურის საწინააღმდეგო ფენომენია, რომელშიც ადამიანი თავის თავს კი არ პოულობს, არამედ, პირიქით, კარგავს. ეს „კანონები“ ე. წ. „ფლო-

---

[22] თ. ბუაჩიძე, ადამაინის ყოფიერება და ფილოსოფიის რაობა, „ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საკიხები,“ V11, თბ., 1983, გვ. 25.

[23] ა. ბიჭორიშვილი, რა არის კულტურა, თბ., 1965, გვ. 18-19.

[24] იქვე, გვ. 33.

ბის“ გახელებული ჟინის გამოვლენაა, მაშინ, როცა ადამიანისთვის მთავარი ყოფნის ფენომენია. როგორც თავის დროზე მართებულად აღნიშნავდა პროფ. ო. ჯიოევი, „ყოველდღიურ ცხოვრებაში ადამიანს უჩნდება წარმოდგენა, რაც უფრო მეტს ფლობს, მით უფრო მტკიცე ხდება მისი ყოფიერება და ამის შედეგად იგი ქონებასა და ფლობას ცხოვრების საშუალებად კი არ მიიჩნევს, არამედ მთელი ცხოვრების შინაარსად.“[25]

ისმის კითხვა: თუ პირობით ჩამოვაშორებთ ქურდული ცხოვრების წესს „ქონას,“ ესე იგი, მატერიალურ ინტერესს, მაშინ ლოგიკურად რჩება მხოლოდ „ყოფნა,“ ხოლო, ამ უკანასკნელის სფეროში „ქურდის“ ადგილი არ რჩება. გასაგებია, რომ „ქურდად ყოფნას“ არანაირი ფილოსოფიური საზრისი არაა აქვს. როგორც ირკვევა, „ადამიანის ცხოვრების შესწავლისას ფილოსოფია გამოავლენს იმასაც, რომ ადამიანი არ სჯერდება უბრალოდ არსებობას, ის თავის საარსებო მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებაზე კი არ ზრუნავს მხოლოდ, არამედ აფასებს კიდეც თავის ცხოვრებას“...[26]

ცხადია, ამ თვითშეფასების ხასიათს ადამიანის ცხოვრება-მოღვაწეობისთვის დიდი მნიშვნელობა აქვს, მაგრამ არსებობს ადამიანის შეფასება გარედან, სხვა ადამიანებისა თუ ინსტანციისგან გამომდინარე. ამ მხრივ ფრიად საინტერესოა ა. ბრეგაძის დებულება იმის თაობაზე, თუ როგორ იქცევა ადამიანი გარეგანი შეფასებისგან დამოუკიდებლად. კერძოდ, ირკვევა, რომ ადამიანის შეფასება დადებითად თუ უარყოფითად მაინც იმას ნიშნავს, რომ ამ შემთხვევაში ადამიანი გარედან იქნება განსაზღვრული და მისი ნამდვილი სახე გაუგებარი დარჩება. „ადამიანი თავისი ნამდვილი სახით მაშინ გამოჩნდება, როცა მას არც შიში ექნება თავისი მოქ-

[25] ო. ჯიოევი, კულტურა და ფილოსოფია, ბათუმი, 2008, გვ. 19.

[26] იქვე, გვ. 20.

მედებისა და არც ჯილდოს მოელის ვინმესგან (შექებისა და გაკიცხვის იქითა მხარეს გადანაცვლება). ეს კი მაშინაა შესაძლებელი, როცა პიროვნებას ძვალსა და რბილში აქვს გამჯდარი ყოველი ის კანონი და კატეგორია, (უპირველეს ყოვლისა, უფლება, მოვალეობა, პასუხისმგებლობა), რაც უნდა ახასიათებდეს მას, როგორც საზოგადებრივ არსებას. „[27]

ამ დებულებაში ბევრი რამ არის ისეთი ნათქვამი, რომელიც ადამიანის არსებას სამართლის სფეროშიც შეეხება. კერძოდ, საზოგადოებრივი ურთიერთობის სამართლებრივი მოწესრიგებაში წახალისება, ჯილდო და სხვა ამგვარი დაპირება ჩვეულებრივი მოვლენებია. ამ მხრივ უცხო არც სახელმწიფო იძულების მუქარაა. ამის გამო საკმაოდ ძნელია იპოვო სამართლის სფეროში ადამიანი, რომელიც წამახალისებელი თუ მაიძულებელი ზეგავლენისგან იქნებოდა თავისუფალი და, მაშასადამე, ასე ვთქვათ, წმინდა გაგების საგნად მოგვევლინებოდა. მით უფრო რთულია „ქურდულ კანონებზე" შეფიცულ ადამიანს რაიმე გაუგო, რადგან, როგორც ჩანს, ის თავს არც ეკუთვნის. მაგრამ ზემოთაღნიშნულ დებულებაში ადამიანის არსების ასპექტში ნახსენებია „პასუხისმგებლობა," რომელიც ყველაფერს თავის ადგილზე აყენებს. ცხადია, იგულისხმება, უპირველეს ყოვლისა, პოზიტიური, ანუ, პროსპექტული პასუხისმგებლობა, როცა ადამიანი, თავისი არსებიდან გამომდინარე, მოწოდებულია, თავის ნორმატიულად დადგენილ მოვალეობას მოეკიდოს პასუხისმგებლურად. წინააღმდეგ შემთხვევაში მას ნეგატიური პასუხისმგებლობა მოუწევს. მაგრამ, სამწუხაროდ, ,,კანონიერი ქურდის„ ცხოვრების წესი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე უპასუხისმგებლობის ნათელი მაგალითია, როცა იგი, თავისი მრწამსის უღირსობის გამო, ბრალეულობის განუწყვეტელ განცდას თავიდან ვერ მოიშორებს.

აქ უკვე აშკარაა, რომ „ქურდული კანონები„ არსებითად ეწი-

[27] ა. ბრეგაძე, შინაგანი ცხოვრება და გამოსახულება, „ფილოსოფიური ანთროპოლოგიის საკითხები, V11, თბ., 1983, გვ. 78.

ნააღმდეგებიან ადამიანის, როგორც საზოგადოებრივი არსების, ცხოვრების ჭეშმარიტ წესს, რომელიც, უპირველეს ყოვლისა, ადამიანის შემოქმედებითი შრომის მაღალადამიანური ღირებულებით გამოიხატება.

8. საინტერესოა სოციალური როლების თეორია. ადამიანი იკავებს გარკვეულ პოზიციას და ამის მიხედვით მოქმედებს კიდეც. ესაა სოციალური როლის ნორმატიული გაგება. ირკვევა, რომ ადამიანი ქმნის როლს, როგორც თავისუფალი ხელოვანი. ამით იკვეთება როლის შექმნასა და შესრულებაში შემოქმედებითი საწყისი, მისი შესრულების ინდივიდუალურობა და განუმეორებლობა. როლი — ესაა მოლოდინი, თუ როგორ მოიქცევა იგი მის მიერ დაკავებული პოზიციიდან გამომდინარე.[28]

აზრი ზუსტი არაა: როლი შეიძლება სუბიექტმა მართლაც შექმნას, მის მიერ დაკავებული პოზიციიდან გამომდინარე, მაგრამ როლი ობიექტურიცაა: ის დამოკიდებულია იმაზე, თუ ვინ არის ის— დედა, მამა, მოქალაქე და ა.შ.

არსებობს სოციალური როლების კონფლიქტი. ადამიანს უკავია ისეთი პოზიცია, რომელიც მას პირდაპირ კარნახობს დანაშაულებრივ ქმედებას. მაგალითად, დანაშაულებრივი ორგანზაციის წევრობა. ეს ეხება ქურდული სამყაროს წევრობიდან გამომდინარე მოქმედებასაც. მით უფრო, რომ აქ ერთმანეთისგანაა განსხვავებული დანაშაულებრივი ქცევა და დანაშაულებრივი საქმიანობა.[29]

9. მაგრამ ხომ არაა კანონიერი ქურდობის კრიმინალიზაცია სისხლის სამართლის სოციოლოგიური სკოლის გამოხატულება თანამედროვე ეტაპზე? მართლაც, ცნობილი ფაქტია, რომ სისხლის სამართლის კლასიკური სკოლის ძირი-

[28] Криминология, Учебник, М. 2001, стр. 137.

[29] იქვე, გვ. 341.

თადი პოსტულატი გახლდათ პრინციპი, რომლის თანახმად, სისხლის სამართალი არის ქმედების სამართალი. კერძოდ, სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული ქმედების, როგორც ადამიანის ნების გარეგანი აქტის, გარეშე არ არსებობს დანაშაული. არავითარი შეხედულება, რწმენა თუ აზრთა რაიმენაირი წყობა თუ მრწამსი, კონკრეტული ქმედების გარეშე, სისხლის სამართლის ინტერესს არ შეიძლება წარმოადგენდეს. არავითარი, თუნდაც აშკარად მიუღებელი, ამორალური ცხოვრების წესი, რაიმე კონკრეტული ქმედების გარეშე, დანაშაულად ვერ ჩაითვლება. ამის გამო რთულდება ე. წ. კანონიერი ქურდის სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიცემა, რამდენადაც იგი, ბოლო ხანებში, გარკვეულ სიფრთხილეს იჩენს და კონკრეტულ ქმედებას უშულოდ არ სჩადის, თუმცა შენიღბულად ის დანაშაულებრივი კავშირებს თავისივე მსგავსებთან ყოველთვის ამყარებს და მომავალ დანაშაულებრივ ქმედებას გეგმავს კიდევაც. ამიტომაა დანაშაულებრივი ორგანიზაცია და ორგანიზებული დანაშაული კავშირში კანონიერი ქურდების საქმიანობასთან. უფრო მეტიც, კანონიერი ქურდი არა მარტო თვითონ ცხოვრობს მის მიერ აღიარებული ქურდული წესებით, არამედ ვალდებულია ეს წესები თავს მოახვიოს სხვებსაც, გასწიოს აქტიური პროპაგანდა ამ მიმართებით, აქტიურად იმუშაოს იმისთვის, რომ ქურდული ცხოვრების წესი თავს მოახვიოს არა მარტო ახალგაზრდობას, არამედ მოზარდებსაც და ისინი ჩააბას დანაშაულებრივ საქმიანობაში. მართალია, ამ საქმეს „კანონიერი ქურდების„ მომსახურე პირები (ე.წ. „შესტიორკები„) უშუალოდ აკეთებენ, მაგრამ ეს „კანონიერ ქურდს" არავითარ შეღავათს არ ანიჭებს. უკვე აშკარა ხდება, რომ „კანონიერი ქურდი„ ქურდული ცხოვრების წესის პასიური მიმდევარი კი არაა, არამედ აქტიური მოქმედებით ამრავლებს თავისივე მსგავსებს ახალგაზრდობის წრიდან, რაც, ცხადია, უაღრესად საშიშია ახალგაზრდა თაობის მორალური ჩამოყალიბებისთვის. ამიტომ, ჩვენი აზრით, კანონიერი ქურდის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთებისთვის არსებითად საყურა-

დღებოა სწორედ მისი იდეოლოგიურ-გამხრწნელი ზეგავლენა და მის მიერ დანაშაულებრივ საქმიანობაში ახალგაზრდობის ჩაბმის ორგანიზაციული ხერხები და მეთოდები.

10. მართალია, სოციოლოგიური სკოლა უფრო შორს მიდის და პიროვნების საშიშროებას ხედავს იმაში, რომ ეს პიროვნება რომელიმე საზოგადოების თუ ჯგუფის წევრობის ან რაიმე პრინციპების გამო მან მომავალში შეიძლება ჩაიდინის დანაშაული. მაგრამ, საქართველოში ქურდული მენტალიტეტის გამძლეობა და მისი საშიშროება სრულიადაც არ გამორიცხავს იმ დასკვნას, რომ ქურდული ცხოვრების წესის აღიარება და მისი სულისიკვეთებით ყოფნა ნიშნავს არა მხოლოდ იმას, რომ პირი მომავალში დანაშაულებრივ ქმედებას უეჭველად ჩაიდენს, არამედ იმასაც, რომ იგი სჩადის ქურდული ცხოვრების წესთან დაკავშირებულ ქმედებას, მაგალითად, მუქარას, აწყობს ქურდულ გარჩევებს.[30] და ეს თავისთავად არის საშიში და ხელყოფს საზოგადოებრივ წესრიგს, სიმშვიდეს, ადამიანთა ღირსებას.

11. ცხადია, კანონიერი ქურდობა და ქურდობა, როგორც ჩვეულებრივი დანაშაული, ეთმანეთისაგან განსხვავდება. ქურდობის, როგორც ჩვეულებრივი დანაშაულის ობიექტია საკუთრება (სსკ-ის 177-ე მუხლი). ქურდული სამყაროს წევრობა და კანონიერი ქურდობა (სსკ-ის 223[1]-ე მუხლი) კი მიმართულია არა საკუთრების, არამედ საზოგადოებრივი წესრიგის წინააღმდეგ. ეს გასაგებია, რადგან ქუდული სამყაროს წესისადმი პატივისცემა და იდეალად მისი წარმოჩენა საფრთხეს უქმნის საზოგადოებაში მორალურად ჯანსაღი ურთიერთობების დაკვიდრებას და ამკვიდრებს ქურდული ცხოვრების ამორალიზმს, რაც განსაკუთრებით საშიშია ახალგაზრდობის ნორმალური სულისკვეთებით ჩამოყალიბებისთვის, თუმცა არის აზრი, რომ ამ მიმართებით უფრო მართებული იქნებოდა, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში გარკვეული

[30] სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, თბ., 2006, გვ. 473.

ცვლილების შეტანა, კერძოდ, ორგანიზებული სახის კანონიერი ქურდობის დასჯადობის დაწესება, მაგრამ, ვფიქრობთ, ამგვარი ნოვაცია საქართველოში უკვე აქტუალური არაა, რაკი ამ ტიპის დანაშაული დღითიდღე მცირდება. რუსეთში კი, პირიქით, იზრდება. მას ხელს უწყობს არა მხოლოდ ტოტალური კორუფცია, არამედ ტოტალისტური რეჟიმიც. ამან ხელი შეუწყო ქურდული ცხოვრების წესის გაუმართლებელ გაიდეალებას, მაგრამ არაა აზრს მოკლებული დებულება, რომ ქურდულ სამყარო რუსეთში არსებული ტოტალისტური რეჟიმის წინააღმდეგ სტიქიური პროსტესტია. ფაქტი კი ისაა, რომ „მსგავს მოვლენას დასავლეთის ვერც ერთ ქვეყანაში ვერ შეამჩნევთ."[31] ირკვევა, რომ „თანამედროვე დამნაშავეობის სამყარო სრულიად თავისუფალია უმცირესი რომანტიკული დანაშრევებისგანაც კი. იგი პრაგმატული და სისხლუხვია.„[32] მაგრამ არც იმისი დავიწყება შეიძლება, რომ ქურდული ცხოვრების წესში არსებობს გარკვეული პრესტიჟის ფენომენი. გარკვევით იყო ნათქვამი, რომ „კანონიერი ქურდის ტიტული პრესტიჟული ხდება ქართული საზოგადოების სხვადასხვა ფენაში, განსაკუთრებით ახალგაზრდებს შორის. ახალგაზრდებს ქურდული რომანტიკა იტაცებს. განსაკუთრებით მიმზიდველია ლეგენდები ქურდული სიმამაცის, პატიოსნების შესახებ, მისი მონაწილეობა საქმის გარჩევების დროს გატაცებული ნივთის დაბრუნებისას.[33] სწორედაც რომ ლეგენდაა „ქურდული პატიოსნება" და „სამართლიანობა„ თუ სხვა მაგვარი ყალბი შარავანდედი, რომლითაც საქმის ჭეშმარიტი არსი იფარება!

12. „კანონიერი ქურდობა„ იურიდიულად შეუძლებელია, რადგან ქურდობა, ცხადია, კანონიერი ვერ იქნება. კანონმდებელს აქ იმისი თქმა უნდოდა, რომ არსებობს ადამიანი, რომელიც ქურდული ცხოვრების წესის მიმდევარია, რომ იგი თავის და-

[31] გ. პოდელკიხისა და ა. ტერეშინიკის დასახ. ნაშრომი, გვ. 5.

[32] იქვე, გვ. 18.

[33] გ. ლობჟანიზე, გ. ღლონტი, დასახ. ნაშრომი, გვ. 69.

ნაშაულებრივ საქმიანობას ამ წესის კარნახით წარმართავს. ტერმინი „ქურდული სამყაროს„ წევრობა იმიტომ იკრძალება, რომ იგი დანაშაულებრივი ცხოვრების წესს გამოხატავს. ცხადია, იგულისხმება ამ დანაშაულებრივი წესის აღსრულების ხერხები და მეთოდები, ესე გი, არა მხოლოდ სიტყვიერი აღიარება იმისა, რომ ის თავის თავს ამ წრის წარმომადგენლად წარმოაჩენს. ამით იმის თქმა გვინდა, რომ ქურდული სამყაროს წევრობის სიტყვიერ აღიარებას წინ უნდა უძღოდეს ამ სამყაროს წევრისთვის დამახასიათებელი საქმიანობა. მართალია, სისხლის სამართლის კონკრეტულ საქმესთან კავშირში შეიძლება გაჭირდეს იმისი მტკიცება, თუ რამდენად აქტიური იყო იგი ქურდული სამყაროს წევრობისას, მაგრამ ამ ფაქტის დადგენის გარეშე, მხოლოდ სიტყვიერი აღიარება იმისა, რომ ვინმე ქურდული სამყაროს წევრია, საკმარისი არაა.

ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ქურდული სამყაროს წევრი, როგორც ეს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223[1]-ე მუხლიდან ჩანს, „კანონიერი ქურდი" არაა, რადგან ეს უკანასკნელი ხსენებული მუხლის მეორე ნაწილში პასუხისმგებლობის დამამძიმებელი გარემოების სახითაა გათვალისწინებული. აქედან გამომდინარეობს დანაშაულად კვალიფიკაციის რამდენიმე საკითხი. პირველი საკითხი ეხება დანაშაულთა ერთობლიობის წესით ქმედების კვალიფიკაციას, როცა ქურდული სამყაროს წევრი (როცა ეს წევრობა არა მარტო აღიარებულია, არამედ დადგენილია), ჩაიდენს კონკრეტულ დანაშაულს, ვთქვათ, ქურდობას (სსკ-ის 177-ე მუხლი). არის თუ არა აქ დანაშაულთა ერთობლიობის საფუძველი? ლიტერატურაში ზოგჯერ უარყოფილია დანაშაულთა ერთობლიობა, როცა ქურდული სამყაროს წევრი ჩაიდენს რაიმე კონკრეტულ დანაშაულს. მაგრამ, ჩვენი აზრით, აქ დანაშაულთა ერთობლიობა საეჭვო არ უნდა იყოს. მართლაც, თუ ქურდული სამყაროს წევრობა არის დამოუკიდებელი დანაშაული, მაშინ ამ სამყაროს წევრის მიერ რაიმე კონკრეტული დანაშაულის ჩადენა დანაშაულთა ერთობლიობას უეჭვე-

ლად ქმნის. იგივე ითქმის „კანონიერი ქურდის„ მიერ რაიმე კონკრეტული დანაშაულის ჩადენის შესახებაც, რადგან „კანონიერი ქურდობა„ ხსენებული მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, დამოუკიდებელი დანაშაულია. ბოლოს, დგება ის საკითხიც, თუ როგორ უნდა გადაწყდეს ქმედების დანაშაულად კვალიფიკაცია, როცა კანონიერი ქურდი ჩაიდენს, მაგალითად, ქურდობას (სსკ-ის 177-ე მუხლის ვთქვათ, პირველი ნაწილით)? პასუხი ერთია: აქაც სახეზეა დანაშაულთა ერთობლობა.[34]

13. იმის მიუხედავად, რომ „კანონიერი ქურდის„ თუ „ქურდული სამყაროს" ცნებები იურიდიული აზროვნების წესს უკავშირდებიან, იურიდიულ ცნებებს არ წარმოადგენენ. აქ ანალოგიისთვის შეიძლება მოვიტანოთ ტერმინი „დამნაშავის პიროვნება," რომელიც არც თუ იშვიათად არის მიჩნეული იურიდიულ ცნებად. ერთ-ერთ ნაშრომში სავსებით სწორადაა ნათქვამი, რომ „დამნაშავის პიროვნება" არ წარმოადგენს ისეთ სრულიად განცალკევებულად მდგომ მოვლენას, რომელსაც ზოგადად ადამიანის პირვნებასთან კავშირი არა აქვს. დამნაშავის პიროვნება და ზოგადად პიროვნების ცნებები ერთმანეთთან დაკავშირებული ცნებებია და ისეთ თანაფარდობაში არიან ერთმანეთთან, როგორც ნაწილი მთელთან. ამ მიდგომიდან გამომდინაე, პიროვნების დახასიათება დამნაშავის პიროვნების შესწავლისთვის საბაზო ხდება."[35]

აქედან ლოგიკურად გამომდინარეობს დასკვნა, რომ რამდენადაც მთელი განსაზღვრავს ნაწილს, ე.ი. პიროვნება „დამნაშავეს" და არა პირიქით, ამდენად „დამნაშავის პიროვნება„ ნაწილის მიერ მთელის განსაზღვრის ლოგიკაა, რაც, ცხადია, ალოგიზმია. უცნაურია, რომ „დამნაშავის პიროვნებას" მთელი ნაშრომი მიეძღვნა, მაგრამ მაში განვითარებული მსჯ-

[34] სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, თბ., 2006, გვ. 475.

[35] კრიმინოლოგია, თ. წერეთლის სახელობის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი, თბ., 2005, გვ. 97.

ელობის ლოგიკით მტკიცდება, რომ „დამნაშავის პიროვნება“ იურიდიულად შეუძლებელია. მოგვყავს ტექსტი რუსულ ენაზე, უცვლელად:
„ადამიანი, რომელმაც ჩაიდინა დანაშაული – დამნაშავეა, მაგრამ ჩავთვალოთ იგი ასეთად ჩვენ შეგვიძლია მხოლოდ მას შემდეგ, რაც მას სასამართლო სცობს ბრალეულად. ამისთვის კი, ის მიცემული უნდა იქნეს სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში და გადაეცეს სასამართლოს. პირი, რომელიც კანონით დადგენილი წესით მიცემულია სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში, აღიარებულია ბრალდებულად. ბრალდებული, რომელიც გადაეცა სასამართლოს, სამართალში მიცემულად იწოდება, ხოლო სამართალში მიცემული რომლის მიმართ გამოტანილია გამამტყუნებელი განაჩენი, მსჯავრდებულია.“[36]

გასაგებია, რომ ამ მსჯელობით ტერმინი „დამნაშავე“ ცხადდება არაიურიდიულ ცნებად, რამდენადაც იგი პირის სამართლებრივ მდგომარეობას არ გამოხატავს. ამით ჩვენ იმისი თქნა გვინდა, რომ „კანონიერი ქურდი“ არის არაიურიდიული, სოციოლოგიური ცნება, რომელიც დაკავშირებულია პროფესიულ და ორგანიზებულ დანაშაულთან. კიდევ უფრო აშკარაა, რომ „ქურდული სამყარო“ არის სოციოლოგიური ცნება, რადგან, ამ მიმართებით საქმე შეეხება სამართლებრივი ურთიერთობის ფარგლებს გარეთ არსებულ სოციალურ წესებს და მათ საფუძველზე აგებულ ფაქტობრივ ურთიერთობებს, რომელთაც სამართალი უპირისპირდება. ამდენად, „კანონიერი ქურდების„ მიმართ თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ მათი ცხოვრების წესი მსოფლმხედველობრივი ცდომილების ნაირსახეობას წარმოადგენს. კერძოდ, ქურდული ცხოვრების წესი „ცხოვრების წესის“ ფილოსოფიური კატეგორიის საფუძველზე უნდა შეფასდეს. უკვე ითქვა, რომ ქურდული ცხოვრების წესის საფუძველში დევს ანგარება, როგორც ნებისმიერი „კანონიერი ქურდის„ საქმიანობის ფსიქიკური საზრისი, ხოლო ფილოსოფიურად ეს „საზრისი„

[36] Личность преступника, М. 1971, стр. 17.

უსაზრისოა, რადგან იგი ადამიანის არსსა და დანიშნულებას ეწინააღმდეგება. მართალია, „კანონიერი ქურდი" მოქმედებს განზრახ, მაგრამ საქმე სწორედ ისაა, რომ განზრახი დანაშაული, რომელიც ფსიქოლოგიურად შეგნებულია და ამ აზრით, როგორც წესი, უშეცდომოა, ფილოსოფიურად, პირიქით, ღრმაა შეცდომაა, ესე იგი მსოფლმხედველობრივ ცდომილებას წარმოადენს. ამისი დასაბუთება არის დანაშაულებრივი ცხოვრების წესის ფილოსოფიური კრიტიკა. თავს უფლებას მივცემთ ამ საკითხებზე ჩვენი ერთი ფილოსოფიური ნაშრომის დასკვნითი ნაწილი მოვიშველიოთ, რადგან მასში დასაბუთებულია, რომ სწორედ განზრახი დანაშაული, რომელიც ფსიქოლოგიურად, როგორც წესი, უშეცდომოა, ღრმა მსოფლმხედველობრივ ცდომილებად უნდა შეფასდეს. ამ პოზიციიდან შევაფასეთ მაშინ ქურდული ცხოვრების წესიც და გავაკრიტიკეთ იგი. ჩვენ მაშინ ვწერდით: „დებულება, რომ განზრახი დანაშაული ადამიანის ღრმა მსოფლმხედველობრივ ცდომილებაა, არ უნდა იყოს მხოლოდ თეორია, ესე იგი, სისხლის სამართლის ფილოსოფიის კუთვნილება, არამედ ადამიანთა პრაქტიკულ ცხოვრებაზეც უნდა გავრცელდეს. ეს საჭიროა იმისთვის, რომ ადამიანები უფრო თვითკრიტიკულად და მაღალი პასუხისმგებლობით მოეკიდონ თავიანთ პრაქტიკულ ცხოვრებას, თავი დააღწიონ რაიმე მოტივით დანაშაულის ჩადენის ცდუნებას. როგორც პროფ. ნ. კვარაცხელია ამბობს, მიუხედავად ჩვენი ეპოქის ანტიფილოსოფიურობისა, ფილოსოფია კვლავ რჩება ეპოქის ფხიზელ გონებად და მოუსყიდველ სინდისად[37]. ფილოსოფიას ეპოქის კრიტიკასაც უწოდებენ და რა გასაკვირია, თუ იგი დანაშაულის განზრახ ჩამდენი პირის მსოფლმხედველობრივი გამათრახების საქმესაც მოემსახუროს. მით უმეტეს, რომ საქართველოში ჯერ კიდევ ცოცხლობს ე. წ. ქურდული მენტალიტეტი, რომლის სამარცხვინო ბოძზე გასაკრავად მხოლოდ ოფიციალური სახ-

[37] ნ. კვარაცხელია, ადამიანი და მსოფლმხედველობა, თბ., 2001, გვ. 57

ელმწიფო ხელისუფლების ძალისხმევა საკმარისი არ არის. საჭიროა მთელი საზოგადოების შემართება, თუმცა უმიზეზო არაფერია და ამიტომ ხელისუფლება ამ ქურდული მენტალიტეტის გამძლეობის მიზეზებსაც უნდა ჩაუფიქრდეს. ე.წ. ქურდული სამყაროს მოშლისთვის საქართველოში გადადგმულ ნაბიჯებს ზოგჯერ ადამიანის უფლებისთვის საფრთხის შექმნადაც კი აღიქვამენ, მაგრამ საკითხავია: არსებობს კი ქურდული ცნობიერების ტარებისა და ქურდად ყოფნის უფლება? ამ და სხვა ამგვარ პრობლემებს შემდგომი მსჯელობა სჭირდებათ.„[38]

ამრიგად, ქურდული ცხოვრების წესი „ცხოვრების წესის“ ფილოსოფიური კატეგორიის საფუძველზე უნდა შეფადეს, როგორც ღრმა მსოფლმხედველობრივი ცდომილება. „კანონიერი ქურდი„ იურიდიულად შეუძლებელია, რადგან ქურდული ცხოვრების წესი, რომელიც ამ ტერმინით გამოიხატება, არის სოციოლოგიური ფენომენი, რომელიც, როგორც ვნახეთ, ნორმატიული ფაქტის ნაირსახეობას წარმოადგენს. საქართველოს სახელმწიფოს ნებას, რომ ებრძოლოს საქართველოში ჯერ კიდევ შემორჩენილ ქურდულ მენტალიტეტს და ქურდული ცხოვრების წესს, უეჭველად სჭირდება მხარდაჭერა, მაგრამ, ცხადია, სათანადო ნორმატიული ბაზის საფუძველზე. ქურდული ცნობიერების ტარებისა და ქურდად ყოფნის უფლება, ცხადია, არ არსებობს, მაგრამ არც იმისი უფლება არსებობს, რომ ქურდული ცხოვრების წესის წინააღმდეგ ბრძოლის საბაბით უკანონო ხერხები და მეთოდები გამოვიყენოთ. ამგვარი უკანონობა ქურდული ცხოვრების წესის კიდევ უფო მეტ განტკიცებას გამოიწვევს და ამდენად დასმული პრობლემა კიდევ უფრო ღრმა განსჯას მოითხოვს.

---

[38] გ. ნაჭყებია, განზრახი დანაშაული, როგორც მსოფლმხედველობრივი ცდომილება, „ფილოსოფიური ძიებანი," ტ. X1, თბ., 2007, გვ. 141-142.

გიორგი გორაშვილი
სამართლის დოქტორი

§2. ე.წ. კანონიერი ქურდობის კრიმინოლოგიური ანალიზი და მოკლე ისტორიული ესკურსი

საქართველოს გასაბჭოებამდე არ იცნობდა პრობლემას რომელსაც დღეს კანონმდებელმა ე.წ. „ქურდული სამყარო" უწოდა. თვითონ მოვლენას გააჩნია ღრმა ისტორიული ფესვები, უკვე XVII საუკუნიდან ყალიბდება დაუწერელი ქცევის ნორმები და კრიმინალური ჟარგონი. უნდა აღინიშნოს აგრეთვე, რომ რუსულ ისტორიულ სინმდვილეში ტერმინი „вор" არ აღნიშნავდა დღევანდელი მოსაზრებით „ქურდს", რომელიც ნივთს იპარავს. აღნიშნულ ტერმინს იმთავითვე განსაკუთრებული დატვირთვა ჰქონდა და არ შემოიფარგლებოდა მხოლოდ მპარავის აღსანიშნავად. პირს, რომელიც იპარავდა სხვა ტერმინით, (татя) მოიხსენიებდნენ.[39] ტერმინი „კანონიერი ქურდი" წარმოიშვა რუსული კალკიდან „вор в законе". აღნიშნული ტერმინის წარმოშობის შესახებ ლიტერატურაში რამოდენიმე მოსაზრება არსებობს, პირველის მიხედვით აღნიშნული ტერმინით მაშინდელი საბჭოთა მილიცია მოიხსენიებდა დანაშაულებრივ სამყაროში გამორჩეულ ლიდერებს,[40] მეორე ვერსიით ტერმინი წარმოიშვა თვითონ დანაშაულებრივ წრეებში დაუწერელი ქურდული კანონის შემუშავებისა და დამტკიცების შემდეგ. აღნიშნული კანონის განუხრელად შემსრულებლები თავიანთ თავს „კანონიერ ქურდებს" უწოდებდნენ.[41]

---

[39] იხ. Я. Костюковский. История российской организованной преступности. http://www.narcom.ru/cabinet/online/12.html

[40] იხ. იქვე.

[41] იხ. გ. ღლონტი, გ. ლობჟანიძე, კანონიერი ქურდები საქართველოში: ისტორია და რეალობა. თბ., 2004, 44-45 გვ.

არ არსებობს მონაცემები აღნიშნული მოვლენის წარმოშობის ზუსტი პერიოდის შესახებ. როგორც წესი „კანონიერი ქურდების" წარმოშობას უკავშირებენ საბჭოთა კავშირში შრომა-გასწორებითი ბანაკების მთავარი სამმართველოს (ГУЛАГ) შექმნას 1930 წელს.[42] შრომა-გასწორებით ბანაკებში, შრომით დასახლებებსა და სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში, ადამიანთა უზარმაზარი მასების გამო წარმოიშვა თვითორგანიზაციისა და მართვის პრობლემები. შრომა-გასწორებითი ბანაკების იდეა ი. სტალინს 1927 წელს თურქეთიდან გამოსულმა ებრაელმა საქმოსანმა ნაფტალი არონის ძე ფრენკელმა შესთავაზა.[43] აღნიშნული ბანაკების მეშვეობით შესაძლებელი იყო პატიმრების, როგორც იაფი მუშახელის გამოყენება, რასაც იმ დროისთვის, სუსტი ეკონომიკის მქონე საბჭოთა სახელმწიფოსთვის სასიცოცხლო მნიშვნელობა ჰქონდა.[44] „სახელმწიფო რეპრესიულ მანქანასა და „კანონიერი ქურდების" სტრუქტურას შორის პრაგმატული სიმბიოზი დამყარდა, რაც საშუალებას იძლეოდა, ერთი მხრივ, მაქსიმალურად გაზრდილიყო „გულაგში" მსჯავრდებულთა ძირითადი მასის ექსპლუატაციის ეფექტურობა, ხოლო მეორე მხრივ, კრიმინალები განსაზღვრული ტრადიციებისა და წესების ჩარჩოებში ყოლოდათ, რაც ბუნებრივად შეზღუდავდა მათს ძალაუფლებასა და რაოდენობას. სახელმწიფოსა და ქურდებს შორის ეს დამოკიდებულება არ ატარებდა თანამშრომლობის ხასიათს და შეიძლება დახასიათდეს როგორც იძულებითი თანაარსებობა. ხელისუფლება, როდესაც აუცილებელი იყო, თვალს ხუჭავდა ბანაკებში ქურდების პრივილეგირებულობაზე, რადგან ისინი სხვა პატიმრებს აიძულებდნენ უკეთ ემუშავათ გეგმის შესასრულებლად.[45]"

---

[42] ტერმინი რუსულ ენაზე განიმარტება როგორც: Главное управление исправительно-трудовых лагерей, трудовых поселений и мест заключения - ГУЛАГ

[43] იხ. Уголовная империя. Воры в загоне. http://www.aferizm.ru/criminal/crime_kingdom.htm

[44] იხ. ГУЛАГ http://www.memo.ru/history/nkvd/gulag/index.htm

[45] იხ. გ. ღლონტი, გ. ლობჟანიძე, კანონიერი ქურდები საქართველო-

„კანონიერი ქურდების მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი ორგანიზებული დანაშაულობის მხოლოდ შემადგენელ ნაწილს კი არ წარმოადგენენ, არამედ ისინი ორგანიზებული დანაშაულობის წინამძღოლები და იდეური სულისჩამდგმელები არიან"[46]

კრიმინალური ორგანიზაცია არნახული სისწრაფით ვითარდებოდა და უკვე 40-50-იან წლებში ე.წ. „კანონიერი ქურდების" რაოდენობამ ათასს გადააჭარბა, თუ გავითვალისწინებთ მათ გარემოცვასაც ე.წ. „ბლატიანებს" (блатные), საუბარია დაახლოებით 40-50 ათასს ადამიანზე.[47] საბჭოთა ხელისუფლებას დანაშაულებრივი სამყაროს „ელიტის" ესოდენ სწრაფი ზრდა საფრთხისშემცველად მოეჩვენა, თანაც ე.წ. „კანონიერი ქურდების" საკუთარი ინტერესების შესაბამისად გამოყენების პრაგმატული ელემენტი აღარ არსებობდა, რადგანაც აღნიშნულ პერიოდში მსჯავრდებულთა შრომა არარენტაბელურობით ხასიათდებოდა. საბჭოთა ხელისუფლებამ გადაწყვიტა შეესუსტებინა ე.წ. „კანონიერი ქურდების" რიგები. სასჯელაღსრულებითი დაწესებულებების ადმინისტრაცია ცდილობდა ციხის კრიმინალურ ელიტაში გადამწყვეტი სიტყვა მისთვის სასურველ ქურდებს ეთქვა, ამიტომ დაიწყო ადმინისტრაციისა და ქურდების ერთი ნაწილის ე.წ. თანამშრომლობა.[48] ქურდების იმ ნაწილს, რომელიც ადმინისტრაციასთან თანამშრომლობდა, „კანონიერი ქურდების" წინააღმდეგ „პოლონელი ქურდები" (Польские воры) უწოდეს, ანუ ქურდები, რომლებმაც ცხოვრების სწორ წესს გადაუხვიეს.[49] „პოლონელი ქურდების" გარდა მეორე

ში: ისტორია და რეალობა. თბ., 2004, გვ. 112-113

[46] იხ. Криминология. Учебник для вузов. Под общ. ред. д.ю.н. проф. А.И. Долговой. М., 2002. с. 694.

[47] იხ. http://www.aferizm.ru/jargon/sl_v_e.htm#Вор,%20вор%20в%20законе

[48] იხ. http://www.aferizm.ru/jargon/sl_p_r.htm

[49] პოლონელი ქურდების ცნება წარმოიშვა იმ პერიოდიდან, როდესაც პოლონეთი შედიოდა რუსეთის იმპერიის შემადგენლობაში. კრიმინალური მითოლოგია ქურდული ღირებულებების გაუფა-

მსოფლიო ომის შემდეგ სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში გამოჩნდნენ ე.წ. „მეავტომატეები" (автоматчики). ეს უკანასკნელნი მსჯავრდებულთა ის კატეგორიაა, რომლებსაც საბჭოთა ხელისუფლება სამამულო ომში ბრძოლის საფასურად სასჯელისგან გათავისუფლებას დაჰპირდა, მაგრამ ომის დამთავრების შემდეგ ისევ სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში შეაბრუნა. ქურდული კანონის გადახვევისთვის, (ქურდული კანონის მიხედვით ხელისუფლებასთან თანამშრომლობა აკრძალულია) „მეავტომატეებს" „კანონიერი ქურდები" დაუპირისპირდნენ.[50]

1940-იანი წლების ბოლოდან, კრიმინალებს შორის დაიწყო ბრძოლა გავლენის მოსაპოვებლად და საერთო ქურდული სალაროს (Общак)[51] ხელში ჩასაგდებად. აღნიშნული და-

---

სურებას პოლონელი ქურდების საქმიანობას უკავშირებს. პოლონელ ქურდებში მოიაზრებენ სამ კატეგორიას: 1. ქურდები, რომლებმაც ცხოვრების „სწორ" წესს გადაუხვიეს; 2. პროფესიონალი ქურდები, რომლებიც არ ერთიანდებოდნენ არანაირ დაჯგუფებებში. 3. „გაძუკნებული ქურდები" ე.ი. ქურდები, რომლებიც ადმინისტრაციასთან თანამშრომლობაზე წავიდნენ და მისი ხელშეწყობით „კანონიერ ქურდებს" ებრძვიან.

[50] იხ. Я. Костюковский. История российской организованной преступности. http://www.narcom.ru/cabinet/online/12.html

[51] საერთო ქურდული სალარო (Общак) წარმოადგენს კრიმინალური სახსრების თავისებურ ბანკს, რომლის დანიშნულება თავდაპირველად იყო ქურდული შეკრებების მოწყობის დაფინანსება; პატიმრობაში, ან მიმალვაში მყოფი კრიმინალების ოჯახებისთვის ფინანსური დახმარების გაწევა; თანამდებობის (ძირითადად სამართალდამცავი) პირების მოსყიდვა; კრიმინალური ლიდერების შენახვა თავისუფლების აღკვეთის ადგილებში; ქმედუუნარო დამსახურებული კრიმინალების ფინანსური დახმარება და ა.შ. (ამ საკითხთან დაკავშირებით დაწვრილებით იხილეთ Костоев И. М., Викторов В. Е. Россия: преступный мир. OCR Палек, 1998 г.)
არსებობს მონაცემები, რომ საერთო ქურდული სალაროს თანხები დღეს ლეგალურ ეკონომიკაში იდება, კერძოდ სასტუმროებში, სათამაშო ბიზნესში, საბანკო სისტემის განვითარებაში და ა.შ. ანუ კრიმინალური ორგანიზაცია ფინანსური აქტივების ლეგალიზაციის

პირისპირება ცნობილია როგორც „ძუკნებისა და ქურდების ომი"[52], იგივე „ძუკნების ომი" (сучья война).[53]

აღნიშნულ ბრძოლას საბჭოთა სახელმწიფო ყველანაირად აქეზებდა და ხელს უწყობდა. „ძუკნების ომის" შედეგად 1960-იანი წლების დასაწყისში კრიმინალური ელიტის დიდი ნაწილი განადგურდა. „ძუკნების ომი", ტრადიციებზე მყარად მდგომი კანონიერი ქურდების გამარჯვებით დასრულდა. საბჭოთა ხელისუფლება მიღწეული შედეგით არ დაკმაყოფილდა და გადარჩენილი ქურდების გასანადგურებლად საინტერესო ხერხს მიმართა. 1956 წელს საბჭოთა კავშირის შსს-მ ჩამოაყალიბა ე.წ. ექსპერიმენტული ბანაკი (სალიკამსკის №6 კოლონია)[54], სადაც თავი მოუყარეს ყველა „კანონიერ ქურდს" ერთად. მცირე ხნის შემდეგ ძალაუფლების მოყვარულმა „კანონიერმა ქურდებმა" გავლენის მოსაპოვებლად დაიწყეს ერთმანეთის „ჭამა". სასჯელაღსრულებითი დაწესებულების ადმინისტრაცია ყველანაირად აქეზებდა და აღვივებდა კონფლიქტს. „ძუკნების ომის" შემდეგ ცოცხლად გადარჩენილმა ე.წ. „კანონიერმა ქურდებმა" ერთმანეთი გაანადგურეს. სახელმწიფო მანქანა შეჩერდა 1950-იანი წლების ბოლოს, როდესაც 1930-იანი წლების მონაცემებთან შედარებით „კანონიერი ქურდების" სამი პროცენტი დარჩა ცოცხალი.[55] 1960-იანი წლების დასაწყისში საბჭოთა კავშირის შსს-ს ხელმძღვანელობამ განაცხადა, რომ „საბოლოოდ განადგურდა დანაშაულებრივი ორგანიზაცია და ქურდული წეს-ჩვეულებები." რეალურად აღნიშნულმა წეს-ჩვეულებებმა ოცი წლის

გზას ადგას.

[52] «Сучья» война, http://shalamov.ru/library/6/6.html

[53] ტერმინი „ძუკნა"-ში (Сука) მოიაზრება: 1. ქურდი, რომელმაც დარღვია ქურდული კანონი. 2. გატეხილი ქურდი, ან ბლატიანი, რომელიც სასჯელაღსრულებით ადმინისტრაციასთან თანამშრომლობაზე წავიდა. დაწვრილებით იხ: http://www.aferizm.ru/jargon/sl_s_kon.htm

[54] აღნიშნულ კოლონიას არაოფიციალურად „თეთრ გედსაც" უწოდებდნენ, მოქმედებდა 1980-იან წლებამდე.

[55] იხ. http://www.aferizm.ru/criminal/crime_kingdom.htm

განმავლობაში იატაკქვეშეთში გადაინაცვლეს. ქურდული ორგანიზაცია საკუთარი რიგების განახლებას ცდილობდა. სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში გადარჩენილმა ავტორიტეტებმა დაიწყეს თავის გარშემო ახალი სახეების (Фраер)[56] შემოკრება, იმ ხალხის რომლებმად „ძუკნების ომის" დროს „კანონიერი ქურდების" მხარე დაიჭირა და ამით ნდობა მოიპოვა.[57]

1980-იანი წლების დასაწყისიდან საბჭოთა ტოტალიტარული კონტროლის შესუსტებას ქურდული ორგანიზაციის გამოცოცხლება მოჰყვა. აუცილებელია აღინიშნოს ის მიზეზ-ფაქტორები, რომლებმაც განაპირობეს საბჭოთა კავშირის რღვევის პერიოდში ორგანიზებული დანაშაულობის ახალი მძლავრი ტალღის ჩამოყალიბება. საყოფაცხოვრებო საგნებზე მწვავე დეფიციტის, მოთხოვნილებების ზრდის, გეგმიური ეკონომიკის და სხვა გარემოებების გამო, თანდათანობით დიდი გასაქანი ჰპოვა ჩრდილოვანმა, ანუ პარალელურმა ეკონომიკამ, რომელიც 1980-იანი წლების ბოლოს მატერიალური წარმოების 80% შეადგენდა.[58] დაიწყო იატაკქვეშა საამქროების ე.წ. „ცეხების" პერიოდი. სახალხო წარმოებაში გახშირდა მითვისება-გაფლანგვის ფაქტები, იმატა ეკონომიკური დანაშაულებისთვის გასამართლებულ პირთა რაოდენობამ. პარალელურად იმატა თანამდებობრივი დანაშაულობის დონემაც, რადგანაც სახელმწიფო და პარტიული ნომენკლატურის წარმომადგენლები პირდაპირ თუ ირიბად კავშირში აღმოჩნდნენ ჩრდილოვან შემოსავლებთან. 80-იანი წლების ბოლოდან ყალიბდება მჭიდრო კავშირები ჩრდილოვანი ეკონომიკის წარმომადგენლებს, კორუმპირებულ

---

[56] ტერმინით „ფრაერი"-თ (Фраер) მოიხსენიებენ პირს რომელსაც ქურდულ სამყაროსთან კავშირი არ ჰქონია. იგივე დატვირთვა აქვს ტერმინ „лох"-ს. დაწვრილებით იხ: http://www.aferizm.ru/jargon/sl_s_kon.htm

[57] იხ. Кучинский А. Тюремная энциклопедия, Послевоенные годы. http://www.drink.dax.ru/turma/turem_45.shtml

[58] იხ. Криминология. Учебник для вузов. Под общ. ред. д.ю.н. проф. А.И. Долговой. М., 2002. с. 236.

სახელმწიფო ჩინოვნიკებსა და ე.წ. „კანონიერ ქურდებს" შორის. 1970-იანი წლების ბოლოს ჩატარდა ე.წ. „კანონიერი ქურდების" საკავშირო შეკრება (Сходняк)[59], რომელშიც მონაწილეობა მიიღეს ჩრდილოვანი ეკონომიკის წარმომადგენლებმა. აღნიშნულ შეკრებაზე დაიდო შეთანხმება, რომ დანაშაულებრივი სამყაროს მხრიდან უსაფრთხოების გარანტიების სანაცვლოდ, იატაკქვეშა მეწარმეებს (цеховики), საერთო ქურდულ სალაროში (общак) უნდა შეეტანათ მოგების 10%, სანაცვლოდ ქურდული ორგანიზაცია პასუხისმგებლობას იღებდა დანაშაულებრივი სამყაროს მხრიდან მათ უსაფრთხოებაზე.[60] ამგვარად, 1970-იანი წლების ბოლოს და 1980-იანი წლების დასაწყისში, ორგანიზებული დანაშაულობა გარკვეულწილად აკონტროლებდა ჩრდილოვან ეკონომიკას. ტრადიციად იქცა „ქურდების წილის გადახდა". საბჭოთა კავშირის დაშლისა საბაზრო ეკონომიკის პირობებში, გუშინდელი ეკონომიკური დამნაშავეები წარმატებულ ბიზნესმენებად იქცნენ, ჩრდილოვანი ეკონომიკა ლეგალიზებული იქნა, მაგრამ საბაზრო ეკონომიკა ჩანასახშივე განიცდიდა ორგანიზებული დანაშაულობის გავლენას. გუშინდელი „ცეხოვიკი" და დღევანდელი „მეწარმე", ხშირ შემთხვევებში ერთი და იგივე პიროვნება იყო, რომელიც თავისი საქმიანობის დასაწყისიდანვე „ღალას" უხდიდა „კანონიერ ქურდებს". 1980-იანი წლების ბოლოდან ფიქსირდება „პოლიტიკოსების კრიმინალიზაცია და კრიმინალების პოლიტიზაცია". ბევრი პოლიტიკოსი მიხვდა, რომ იგი შეიძლება აღმოჩენილიყო ცარიელ-ტარიელი, საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ამიტომ დაიწყეს ბრძოლა „სწრაფი და დიდი ფულისთვის", რაც

[59] Сходняк, შეკრება, არის „კანონიერი ქურდების" სათათბირო ორგანო, სადაც იღებენ ყველა მნიშვნელოვან გადაწყვეტილებას, დაწყებული „ქურდად კურთხევიდან", დამთავრებული კონფლიქტების გადაწყვეტით და ქურდული ტრადიციების დამრღვევების გასამართლებით. იხ:. ww.prison.org/nravy/dictionary/s.htm

[60] იხ. Костюковский. Я. История российской организованной преступности. www.narcom.ru/cabinet/online/12.html

უმრავლეს შემთხვევაში კრიმინალურ ხასიათს ღებულობდა.[61]

ორგანიზებული დანაშაულობა კი თავის მხრივ ცდილობდა შეეღწია ხელისუფლებაში. აღნიშნულ პერიოდში დიდი ცვლილებები განიცადა ე.წ. „ქურდულმა კანონმაც", ახალი თაობის კრიმინალები ცდილობდნენ მოერგოთ იგი თავიანთი ინტერესებისთვის. „ქურდული კანონი" თავდაპირველი სახით კრძალავდა პოლიტიკაში მონაწილეობას და სახელმწიფო სამსახურში ყოფნას, თუმცა მოგვიანებით აღნიშნული აკრძალვა შერბილდა. სახელმწიფო ხელისუფლებასთან კავშირი დასაშვებად იქნა მიჩნეული ქურდული ორგანიზაციის უსაფრთხოების გარანტიების უზრუნველყოფის, ფინანსური მოგების მიღების და ძალაუფლების მოპოვების ინტერესიდან გამომდინარე. ზოგიერთი მონაცემებით „1999 წელს რუსეთის სახელმწიფო „დუმაში" არჩეული 450 დეპუტატიდან 93 სამართალდამცავი ორგანოების და სპეცსამსახურების ოპერატიულ დამუშავებაში იმყოფებოდა."[62] არსებობს სხვა მონაცემებიც, რომელთა მიხედვითაც რუსეთის სახელმწიფო დუმაში 2001 წლისთვის სამი „კანონიერი ქურდი" და შვიდი „ავტორიტეტი" იმყოფებოდა.[63] კრიმინალების პოლიტიზაციის მაგალითები ბევრია როგორც რუსეთის ფედერაციაში ისევე პოსტსაბჭოეთის სხვა რესპუბლიკებში. კრიმინალური ავტორიტეტები საქართველოს უახლესი პოლიტიკური ისტორიისთვისაც არ წარმოადგენდა უცხო თემას. 90-იან წლებში საქართველო კრიმინალური ავტორიტეტების დიდ ზეგავლენას განიცდიდა. ქვეყნის ცხოვრების თითქმის ყველა მიმართულებაში კრიმინალური ორგანიზაციის დიდი გავლენა იგრძნობოდა.

---

[61] იხ. Криминология. Учебник для вузов. Под общ. ред. д.ю.н. проф. А.И. Долговой. М., 2002. с. 245.

[62] იხ. Брсоян В. А. Крюков. А. А. Уголовно-правовые меры борьбы с организованной преступностью. Сибирский Юридический Вестник. 2004. №3. http://web1.law.edu.ru/magazine/sibvestnik/article.asp?magNum=3&magYear=2004&articleID=1183199

[63] იხ. Воры в законе" пишут законы? "Новая газета", 17.09.2001, http://2001.novayagazeta.ru/nomer/2001/67n/n67n-s35.shtml

კრიმინოლოგების თქმით, რთულია იმის განსაზღვრა მოიგო თუ არა რამე სახელმწიფომ 1960-იან წლებში ე.წ. „კანონიერი ქურდების" განადგურებით, რადგანაც ძველი თაობის ქურდები თავიანთ შეხედულებებში გაცილებით კონსერვატიულები იყვნენ, იტანდნენ სახელმწიფო მხრიდან ზეწოლას. (მყარნი იყვნენ ღირებულებების, ტრადიციების საკითხში. იქცეოდნენ „ქურდული კანონის" შესაბამისად და არ ახდენდნენ აღნიშნული ნორმების ინტერპრეტირებას საჭიროების მიხედვით. აქედან გამომდინარე, მათზე სახელმწიფო კონტროლის განხორციელება გაცილებით მარტივი იყო. შენიშ. ჩვენია — გ.გ.) კრიმინალური ავტორიტეტების ახალი თაობა უფრო მეტად აქცენტს აკეთებს ძალადობაზე, ხშირად არღვევს ქურდულ კანონს[64] და ა.შ.

ორგანიზებული დანაშაულობა საბჭოთა პერიოდში არ შემოიფარგლებოდა კონკრეტული მოკავშირე რესპუბლიკის საზღვრებით. იგი ერთიან საკავშირო ხასიათს ატარებდა. ორგანიზებული დანაშაულობის ერთიანი საკავშირო „ინსტიტუტის" შექმნას, ჩვენი აზრით, სხვა ფაქტორებთან ერთად, ხელი შეუწყო საბჭოთა პენიტენციალურმა სისტემამაც, რადგანაც ერთი მოკავშირე რესპუბლიკის მოქალაქე სასჯელს იხდიდა მეორე მოკავშირე რესპუბილიკის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში და პირიქით. საბჭოთა პენიტენციალური სისტემის აღნიშნული თვისების გამო, სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში მჭიდრო კავშირები ყალიბდებოდა სხვადასხვა მოკავშირე რესპუბლიკების კრიმინალებს შორის. ე.წ. „კანონიერი ქურდების" კრიმინალური ორგანიზაციაც ერთიან საკავშირო ხასიათს ატარებდა. ტარდებოდა ერთიანი საკავშირო შეკრებები, სადაც კრიმინალები გავლენის სფეროებს ინაწილებდნენ, წყვეტდნენ განსაკუთრებით მნიშვნელოვან დავებს, განიხილავდნენ სამომავლო მოქმედების გეგმებს, ატარებდნენ ე.წ. „კანონიერ ქურდებად" კურთხევის ცერემონიებს. საბჭოთა კავშირის რღვევის შემდგომ,

[64] იხ. Костюковский. Я., დასახ. ნაშრომი.

ამგვარმა შეკრებებმა უფრო სისტემატური ხასიათი მიიღო. „1989-92 წლებში 26 შეკრება ჩატარდა, 1993 წელს დაახლოებით 100, 1994 წელს — არანაკლებ 413. მათ მუშაობაში დაახლოებით 6 656 კაცი მონაწილეობდა, მათ რიცხვში, დაახლოებით 1 210 ავტორიტეტი, მათ შორის 223 „კანონიერი ქურდი" იყო. ეს გარემოება დანაშაულებრივი სამყაროს კონსოლიდაციაზე მიუთითებს."[65]

საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, პოსტსაბჭოური სივრცის ორგანიზებული დანაშაულობის ერთიანობა კვლავ შენარჩუნდა. ამის დასტურია აგრეთვე, ერთი სახელმწიფოს მოქალაქეობის მქონე კრიმინალური ავტორიტეტების ე.წ. „მოღვაწეობა" მეორე სახელმწიფოში. კრიმინალური კავშირები საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ არ დარღვეულა. პირიქით, აღნიშნული კავშირები გაღრმავდა და ახალ პოლიტიკურ-ეკონომიკურ ვითარებას მოერგო. 1990-იან წლებში ორგანიზებულმა დანაშაულობამ პოსტსაბჭოური სახელმწიფოების ხელისუფლების ყველა შტოში შეაღწია. იგი აკონტროლებდა პოსტსაბჭოური სივრცის ეკონომიკის დიდ ნაწილს, საფრთხის ქვეშ დააყენა თვითონ სახელმწიფოებრიობის იდეა და ცდილობდა საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ, ახლად წარმოქმნილ ეროვნულ სახელმწიფოებზე კონტროლი მოეპოვებინა.

[65] იხ. ღლონტი გ., ლობჟანიძე გ., კანონიერი ქურდები საქართველოში: ისტორია და რეალობა. თბ., 2004. გვ. 131.

გიორგი გორაშვილი
სამართლის დოქტორი

§ 3. კრიმინალური სუბკულტურა და თანამედროვე ქართული საზოგადოება

კრიმინალურ სუბკულტურაში[66] მოიაზრება „კრიმინალურ ორგანიზაციებში გაწევრიანებული დამნაშავეების ცხოვრების წესი, ქცევის ნორმები, წეს-ჩვეულებები. ასოციალური ჯგუფები ხასიათდებიან დეგრადირებული მორალური ნორმებით, სისასტიკით, ისეთი ადამიანური თვისებების დაკარგვით როგორიცაა სიბრალული, თანაგრძნობადა ა.შ."[67] ხშირად, ყველაფერი უარყოფითი ინიღბება ცრუ სამართლიანობით, მეგობრებისადმი ერთგულებით. კრიმინალური ჯგუფებისთვის დამახასიათებელია ჯგუფში დადგენილი წესების განუხრელი შესრულება, ჯგუფის წევრი, რომელიც გადაუხვევს ტრადიციულ ნორმებს ისჯება მკაცრად, ზოგჯერ სასტიკად.[68]

საბჭოთა პერიოდის ბოლოს და მისი დაშლის შემდგომ პირველ წლებში, ცენზურის არ არსებობის და მცდარად გაგებული თავისუფლების პირობებში, კრიმინალურმა სუბკულტურამ დიდი გასაქანი ჰპოვა ქართულ საზოგადოებაში. ყოველდღიურ ცხოვრებაში ჩვეულებად იქცა კრიმინალური ჟარგონი, „ქურდული" ღირებულებები. „შეინიშნება დანაშაულებრივი იდეოლოგიის ფართო და მიზანმიმართული

[66] სუბკულტურა არის საზოგადოებრივი კულტურის ავტონომიური, შემადგენელი ნაწილი. იგი შეიძლება ზოგიერთ შემთხვევაში განსხვავდებოდეს ან ეწინააღმდეგებოდეს კულტურის ზოგად ნორმებს. სუბკულტურაში შეიძლება მოიაზრებოდეს ქცევის განსხვავებული ნორმები, ენა, აღმსარებლობა, რწმენა, ჩაცმულობა და ა.შ.

[67] იხ. Александров Ю.К. Очерки криминальной субкультуры. М.: Права человека, 2002. с. 3

[68] იხ. Александров Ю.К. იქვე.

დანერგვა საზოგადოებრივ ცნობიერებაში."[69] ქურდული ორგანიზაცია მონდომებით ცდილობს შეიტანოს საზოგადოებაში თავისი წეს-ჩვეულებები, ჟარგონი, აგიტაცია-პროპაგანდა გაუწიოს ე.წ. „ქურდულ კანონს". კვაზისამართლიანობით წყვეტს მოქალაქეებს შორის დავებს და ა.შ. ქართული სახელმწიფოებრიობის პირველ ეტაპზე სამართალდამცავ ორგანოებში გამეფებულმა კორუფციამ, საკანონმდებლო ბაზის სისუსტემ, სახელმწიფოს უუნარობამ დაერეგულირებინა საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა სფერო, კრიმინალური სუბკულტურის დიდი გავრცელება გამოიწვია, განსაკუთრებით ახალგაზრდობაში. ქართულ საზოგადოებაში თანდათანობით იშლებოდა ზღვარი მართლზომიერსა და დანაშაულებრივს, ზნეობრივსა და ამორალურს, დასაშვებსა და დაუშვებელს შორის.

საქართველოში ე.წ. „ქურდული სუბკულტურის" ფართო გავრცელებაზე მეტყველებს თვითონ ქართული წარმოშობის „კანონიერი ქურდების" პროცენტული სიმრავლე საბჭოთა კავშირის ფარგლებში, როგორც აღნიშნული სახელმწიფოს არსებობის დროს, აგრეთვე მისი რღვევის შემდეგაც. ზოგიერთი მონაცემებით 1995 წლისთვის ყოფილი საბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე კანონიერი ქურდების 33% შეადგენდნენ რუსები, 31%-ქართველები, 8%-ს სომხები, 5%-აზერბაიჯანელები და 22%-სხვა დანარჩენები.[70] თუ გავითვალისწინებთ საქართველოს მოსახლეობის რიცხობრივ სიმცირეს, პოსტსაბჭოეთის „კანონიერი ქურდების" 31% მართლაც უზარმაზარი მაჩვენებელია.

დანაშაულებრივი სუბკულტურა ცდილობდა, გამოენახა დასაყრდენი ქართულ ხასიათში და კვაზისამართლიანობას ამოფარებულს დაეპყრო იგი. სამართლიანობის პრობლემა

[69] იხ. Криминология. Учебник для вузов. Под общ. ред. д.ю.н. проф. А.И. Долговой. М., 2002. с. 245.

[70] იხ. Костюковский Я. История российской организованной преступности. http://www.narcom.ru/cabinet/onlinc/12.html

ქართული აზროვნებისთვის მეტად აქტუალურია. ისტორიული ქარტეხილების დროს საქართველოს მართავდნენ უცხო დამპყრობლები და ისინი თავიანთ ქცევის წესებს უწესებდნენ ქართულ საზოგადოებას. „მართალი სამართლის ქმნა“ ყოველთვის მნიშვნელოვანი იყო ქართველისთვის. სამართლიანობისთვის, სიკეთისთვის ბრძოლის მოთხოვნილება ქართულ სულიერებაში წმინდა გიორგის მნიშვნელოვანი ადგილითაც გამოიხატება. უსამართლო კანონის დარღვევა და სამართლიანად მოქცევა საქართველოში ვაჟკაცობადაა მიჩნეული. ხალხურ ლექსში, არსენა ოძელაშვილზე, მოცემულია ფრაზა: „მდიდარს ართმევს, ღარიბს აძლევს, ღმერთი როგორ წაახდენსა“, რომელიც სამართლიანობის ფორმულადაა მიჩნეული. ბატონისთვის, რომელიც გლეხების შრომის ხარჯზე მდიდრდება, თავისით არაფერი შეუქმნია, აღნიშნული სიმდიდრის წართმევა და ღარიბებისთვის მისი დაბრუნება მართლაც სამართლიანია. კანონი იცავს მდიდარს, მის სიმდიდრეს, არსენა ართმევს მდიდარს, ე.ი. არღვევს კანონს, მაგრამ იგი უსამართლო კანონს არღვევს. ქართულ ცნობიერებაში უსამართლო კანონის არამარტო დარღვევა შეიძლება, არამედ ასეთი დარღვევა საქებარი და მისაბაძიცაა. პრობლემა იმაშია, რომ სამართლიანობის ფორმულად მიჩნეულ ზემომოყვანილ ფრაზაში დაკონკრეტებული არ არის მდიდარს სიმდიდრე პატიოსანი შრომით აქვს მოპოვეული თუ არა. იგულისხმება, რომ აღნიშნული სიმდიდრე უსამართლოდაა მოპოვებული, მაგრამ თუ დავუშვებთ, რომ მდიდარს, რომელსაც არსენა ართმევს, სიმდიდრე თავისი პატიოსანი შრომით აქვს მოპოვებული, ხოლო ღარიბი იმიტომ არის ღარიბი, რომ იგი ზარმაცია და უსაქმური, ეზარება შრომა, მაშინ სამართლიანობის ფორმულა უსამართლობის გამოვლინებად გადაიქცევა. ზემომოყვანილი მაგალითის მსგავსად კრიმინალური სუბკულტურა სამართლიანობის საყოველთაოდ მიღებულ ფორმულებს ხშირად იყენებდა უსამართლო ქმედებების გასამართლებლად. სამართლიანობის ფორმულის ქვეშ იდო ისეთი შინაარსის ქმედება, რომელიც

უსამართლობის გამოვლინებას წარმოადგენდა. ამ მოვლენას ჩვენ „კვაზისამართლიანობას“ ვუწოდებთ.

გუსტავ ლე ბონი გენიალურ ნაშრომში „ერების და მასების ფსიქოლოგია“ წერს: ცივილიზაციები გამომდინარეობენ პირველ რიგში ერების ხასიათიდან, ე.ი. მათი მემკვიდრეული გრძნობებიდან. აღნიშული მემკვიდრეული გრძნობები ხასიათდებიან დიდი სიმყარით, მაგრამ ისინი შეიძლება შეიცვალონ გარკვეული ფაქტორების ზემოქმედებით. აღნიშნულ ფაქტორთაგან ერთ-ერთად შეიძლება დავასახელოთ იდეის გავლენა.

როდესაც გარკვეული პერიოდის ჭოჭმანის, ცვალებადობის და პროპაგანდის შემდეგ, რომელიმე იდეა მიიღებს გარკვეულ ფორმას და შეაღწევს მასების ცნობიერებაში, იგი წარმოქმნის დოგმატს. ე.ი. ერთ-ერთ იმ აბსოლიტურ ჭეშმარიტებას, რომელიც უდაოა.[71]

სამართლიანობის პრობლემა ყოველთვის აწუხებდა ქართულ ცნობიერებას, ამიტომაა, ბოროტებასთან მებრძოლი სახეებით მდიდარია მხატვრული ლიტერატურა და ხალხური ფოლკლორი. ქართულმა აზროვნებამ არსენა ოძელაშვილთან ერთად დათა თუთაშხიას, არსენა მარაბდელის, კაკო ყაჩაღის მხატვრული სახეები შექმნა. ისინი არღვევდნენ კანონს, მაგრამ ეს კანონი უსამართლო იყო. ორგანიზებული დანაშაულობა მიხვდა, რომ სამართლიანობის განცდა ქართული ცნობიერების უმნიშვნელოვანესი თვისება იყო და კვაზისამართლიანობას ამოფარებული კრიმინალური სუბკულტურა ცდილობდა დამკვიდრებულიყო ქართულ ცნობიერებაში. „ქურდული ორგანიზაცია“ ცდილობდა სამართლიანობის მისეულ იდეას შეეღწია მასების ფსიქოლოგიაში და დამკვიდრებულიყო დოგმატის სახით.

---

[71] იხ. Гюстав Ле Бон. Психология народов и масс. СПб, 1896. с. 26-30.

ორგანიზებული დანაშაულობის მამამთავრებმა, შესანიშნავად გამოიყენეს საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის ბოლო წლებში და მისი რღვევის შემდგომ პერიოდში, სახელისუფლებო წრეებში და სამართალდამცავ სისტემაში გამეფებული კორუფცია, საზოგადოებაში გამეფებული უსამართლობის და დაუცველობის განცდა, კანონიერი უკანონობის პირობები და აქტიურად დაიწყეს დანაშაულებრივი სუბკულტურის დანერგვა საზოგადოებაში.

ცნობილია, რომ თუ სახელმწიფო ვერ ართმევს თავს კონკრეტულ საზოგადოებრივი ურთიერთობის დარეგულირებას, საზოგადოება თვითონ ცდილობს გამონახოს აღნიშნული ურთიერთობის დარეგულირების გზები. სახელმწიფო მართლმსაჯულების მიმართ უნდობლობით განწყობილი საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები, რომელთაც კრიმინალთან შეხება შეიძლება ადრე არასდროს ჰქონიათ, — ესენი იყვნენ მეცნიერები, მუშა-მოსამსახურეები და სხვანი, — თავიაანთი პრობლემების სამართლიანად გადაჭრის იმედით „კანონიერ ქურდებს" მიმართავდნენ. „კანონიერი ქურდის" მიერ გამოტანილი „განაჩენი" აუცილებლად უნდა აღსრულებულიყო. ურჩი სასტიკად ისჯებოდა. რეალურად სახელმწიფოში იქმნებოდა „სახელმწიფო", თავისი ქცევის ნორმებით, „სასამართლოთი", და იძულებითი აპარატით.

კრიმინალური სუბკულტურის გავრცელების მნიშვნელოვან ხელშემწყობ ფაქტორად შეიძლება მივიჩნიოთ საბჭოთა და პოსტსაბჭოური პერიოდის სასჯელაღსრულებითი დაწესებულებები, აგრეთვე სასჯელის მოხდის შემდეგ სახელმწიფო სტრუქტურების და საზოგადოების დამოკიდებულება სასჯელმოხდილი პირების მიმართ.სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში შემთხვევით მოხვედრილი პირები, რომლებიც დანაშაულის ჩადენამდე არ წარმოადგენდნენ ე.წ. „ბლატიანებს" და არ იყვნენ კრიმინალური იდეების გულშემატკივრები, სასჯელის მოხდის პერიოდში, ან მის შემდეგ

ცდილობდნენ დანაშაულებრივ სამყაროსთან დაახლოებას. სასჯელის მოხდის პერიოდში მათზე ზეგავლენას ახდენდნენ ე.წ. დაუწერელი ციხის კანონებით, რომელთაც ნებისმიერი პატიმარი უნდა დამორჩილებოდა, რათა ციხეში სხვა პატიმრებთან თანაცხოვრება, საკუთარი ადგილის მოპოვება შესძლებოდა.

რაც შეეხება კრიმინალური სუბკულტურის გავრცელების ხელშემწყობ სასჯელის მოხდის შემდგომ პერიოდს, წარსულში თავისუფლება აღკვეთილი პირების ერთი ნაწილი მიიჩნევდა თავს კრიმინალური სამყაროს შემადგენელ ნაწილად არა მხოლოდ იმის გამო, რომ მათზე გარკვეული ზეგავლენა მოახდინა ციხის კანონებმა და იმ კრიმინალურმა სუბკულტურამ რომელიც ციხეში სუფევდა, არამედ იმანაც, რომ სახელმწიფო და საზოგადოება მათგან გაუცხოებული აღმოჩნდა.

სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში შემთხვევით მოხვედრილი პირები, რომლებიც სასჯელის მოხდამდე არ იყვნენ კრიმინალური იდეების მატარებლები, ე.წ. „ბლატიანები" და არ წარმოადგენდნენ ქურდული სამყაროს წევრებს, ანუ ე.წ. „შემთხვევითი დამნაშავეები", სასჯელის მოხდის შემდეგ აღმოაჩენდნენ ხოლმე, რომ სახელმწიფო, საზოგადოება მათ ეჭვის თვალით უყურებს, მათზე არის და მთელი ცხოვრება იქნება დამნაშავის დამღა და ერთადერთი ადგილი სადაც თავი შეუძლია იგრძნონ „ოჯახში" ეს არის ზუსტად კრიმინალური სამყარო, რომელიც მათ ხელგაშლილი ელოდება. აქედან გამომდინარე, შემთხვევითი დამნაშავე, რომელიც გუშინ სანიმუშო, ანდა ჩვეულებრივი, საშუალო მოქალაქე იყო, აღმოაჩენს, რომ სახელმწიფო სტრუქტურებში, საზოგადოებრივ ცხოვრებაში მისი ადგილი აღარ დარჩა და ერთადერთი წრე, რომელიც მზადაა იგი მიიღოს გაკიცხვის გარეშე კრიმინალური სამყაროა. ამის შემდეგ იწყება კრიმინალური კავშირების გაღრმავება, ახალი კავშირების გამოძებნა და „ოჯახში", ანუ დანაშაულებრივ სამყაროში საკუთარი ადგილის დამკვიდრებისკენ სწრაფვა, რადგანაც სხვაგან, ლეგა-

ლურ სამყაროში, თვითრეალიზაციის შესაძლებლობები მინიმუმამდეა დაყვანილი.
შემთხვევითი დამნაშავის რესოციალიზაციის პრობლემა ძირეულად განსხვავდება პროფესიონალი ან ორგანიზებული დამნაშავის რესოციალიზაციის სპეციფიკისგან და განსაკუთრებულად ფაქიზ მიდგომას საჭიროებს. შემთხვევითი დამნაშავის მიმართ სახელმწიფომ და საზოგადოებამ მეტი ჰუმანურობა უნდა გამოიჩინოს, რათა აღნიშნული პირები ისევ საზოგადოებისთვის სასარგებლო ფერხულში ჩაებან და არ იგრძნონ თავი გარიყულებად იმ წრიდან, იმ იდეებიდან, რომელთაც თავის დროზე მსახურობდნენ და სწორად მიაჩნდათ. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, სახელმწიფოებრივი იდეისგან არ შეიძლება გაუცხოებული იქნეს ის ადამიანები, რომლებმაც არა კრიმინალური პროფესიონალიზაციის, არამედ შემთხვევის გამო გადაკვეთეს კანონის ზღვარი. განსხვავებით პროფესიონალი ან ორგანიზებული დამნაშავეებისგან პირებს, რომლებიც არ წარმოადგენენ კრიმინალური იდეების მატარებლებს, პირველად ჩაიდინეს დანაშაული და ეს დანაშაული არ არის განსაკუთრებით მძიმე, უნდა ჰქონდეთ იმის შანსი სახელმწიფოსგან, რომ სასჯელის მოხდის შემდეგ შეეძლოთ სახელმწიფო ან საზოგადოებრივ სამსახურში ჩადგომა და არსებული ნასამართლობა არ იყოს კეთროვანის დამღა, მთელი მათი დარჩენილი ცხოვრების მანძილზე.

განსხვავებულ მიდგომას საჭიროებს პროფესიონალი და ორგანიზებული დამნაშავის რესოციალიზაცია. ამ შემთხვევაში თუნდაც არ იყოს ჩადენილი განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, სახელმწიფო და საზოგადოება მეტი სიფრთხილით უნდა მოეკიდოს დანაშაულის ჩამდენი პირის საკუთარ წიაღში დაბრუნებას, მისთვის ნდობის გამოცხადებას და სოციალურად მნიშვნელოვანი ფუნქციების დაკისრებას. მსგავსი კატეგორიის დამნაშავეებმა უფრო მეტად უნდა დაამტკიცონ თავიანთი გამოსწორება და სახელმწიფოებრივი იდეებით ხელახალი აღზრდა, კრიმინალურ სუბკულტურაზე უარის თქმა.

სახელმწიფომ და საზოგადოებამ კრიმინალური სამყაროს რიგებისკენ არ უნდა უბიძგოს თუნდაც კანონთან კონფლიქტში მყოფ პირებს. პირიქით, აღნიშნული პირების გამოსწორებისთვის უნდა ხდებოდეს სახელმწიფოებრივი იდეების პროპაგანდა და უნდა არსებობდეს შანსი, რომ წარსულში სასჯელმოხდილი პირები შეძლებენ დაიმკვიდრონ თავისი ადგილი საზოგადოებაში, რათა მათ არ გადაწყვიტონ თვითრეალიზაცია კრიმინალური კარიერის მიმართულებით. რესოციალიზაციის პროცესი რა თქმა უნდა განსხვავებული უნდა იყოს შემთხვევითი დამნაშავისა და ორგანიზებული ან პროფესიონალი დამნაშავისთვის, თუმცა ერთმნიშვნელოვანია, რომ გენერალური ხაზს წარმოადგენს აღნიშნული პირებისთვის იმის რეალური შანსის არსებობა, რომ მონდომების შემთხვევაში სახელმწიფო მათ მიიღებს, თვითრეალიზაციის შანს მისცემს და არ გარიყავს.

კრიმინალური სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლა პირველ რიგში ალბათ იმაში უნდა გამოიხატოს, რომ რაც შეიძლება ნაკლები მოქალაქის ჩათრევა შეძლოს მან თავის რიგებში. განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ახალგაზრდობის განრიდება კრიმინალური სუბკულტურისგან, რასაც წარმატებით ახორციელებს ამ ბოლო წლებში საქართველოს ხელისუფლება. მნიშვნელოვანია კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების დაბრუნება, სახელმწიფოებრივი ცხოვრების და აზროვნების სპექტრში, მათთვის თვითრეალიზაციის რეალური შესაძლებლობების მიცემა, და კრიმინალური, ნახევრად მითოლოგიური, ფსევდოსამართლიანი იდეების სრული დასამარება. სახელმწიფომ უნდა მიიღოს შემთხვევით გზააცდენილი საკუთარი მოქალაქეები და არ უნდა გაწიროს ისინი კრიმინალური „ოჯახისთვის“, რომელიც ხელგაშლილი ელოდება ყოველ ახალ გარიყულს, კრიმინალური სუბკულტურის ყოველ ახალ მსხვერპლს...

იმის რეალური შანსი, რომ ჩადენილი დანაშაულის მიუხედა-

ვად და განსაკუთრებით შემთხვევითი დამნაშავეებისთვის, სახელმწიფო მზადაა გამოიჩინოს გულმოწყალება და მიიღოს საკუთარი გზააცდენილი მოქალაქეები, მისცეს მათ თვითრეალიზაციის შესაძლებლობა საკუთარ სტრუქტურებში, იყოს გაცილებით ჰუმანური და სამართლიანი ვიდრე ორგანიზებული დანაშაულობის სინდიკატები, კრიმინალური სამყაროსა და მისი სუბკულტურისთვის ადგილს აღარ ტოვებს.

კანონთან კონფლიქტში მყოფი პირების რესოციალიზაციის, კრიმინალური სუბკულტურის წინააღმდეგ ბრძოლის და გზააცდენილი მოქალაქეების სახელმწიფოსა და საზოგადოების წიაღში დაბრუნების მიზნებისთვის მნიშვნელოვნად წინგადადგმულ ნაბიჯს წარმოადგენს საქართველოს სისხლის სამართლის თანამედროვე პოლიტიკა, განსაკუთრებით განრიდების ახლადდანერგილი ინსტუტუტი, სახელმწიფო ბრალდების დისკრეციის უფლება, საპროცესო შეთანხმების ინსტიტუტი[72], ბოლო პერიოდში რეალურად ამოქმედებული ალტერნატიული სასჯელის სახეები, მაგალითად საზოგადოებრივად სასარგებლო შრომა და სხვა სამართლებრივი ინსტრუმენტები.

გიორგი გორაშვილი
სამართლის დოქტორი

§ 4. საქართველოს ანტიქურდული კანონმდებლობა

საქართველოს სახელმწიფო უალტერნატივო მდგომარეობაში იმყოფებოდა 2000-იანი წლების დასაწყისში, მას ან უნდა გამოეჩინა ბრძოლის უნარი და შებრძოლებოდა ორგანიზებულ დანაშაულობას, რომელიც მის სხეულში საკმაოდ მყარად იყო გამჯდარი, ან უარი უნდა ეთქვა სახელმწიფოებრიობაზე და კრიმინოკრატიად გადაქცეულიყო. საქართველომ ორ-

[72] თავის დროზე საპროცესო შეთანხმება აღმოჩნდა ერთ-ერთი ეფექტური მექანიზმი იტალიაში მაფიის წინააღმდეგ ბრძოლაში.

განიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის გზა აირჩია, რადგანაც სხვა შემთხვევაში იგი შეწყვეტდა არსებობას, როგორც დემოკრატიული რესპუბლიკა.

საქართველოს ხელისუფლებამ, უპირველეს ყოვლისა ორგანიზებული დანაშაულობის ძირითად ბირთვთან დაიწყო ბრძოლა, ეს ძირითადი ბირთვი კი ე.წ. „კანონიერი ქურდების" ორგანიზაციაა. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს 2006 წლის 28 აპრილს დაემატა ახალი ნორმა (223[1]-ე მუხ.) ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ, რომელიც დამთავრებულ დანაშაულად განიხილავს ე.წ. „კანონიერ ქურდობას", ან ქურდული სამყაროს წევრობას. სისხლისსამართლებრივი რეგულირების გარდა, კანონმდებელმა 2005 წლის 20 დეკემბერს შექმნა სპეციალური კანონი „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ", სადაც დეტალურად გაიწერა ორგანიზებულ დანაშაულთან დაკავშირებული ცნებები და განისაზღვრა პასუხისმგებელ პირთა ნორმის რეგულაციის სფერო. პოსტსაბჭოურ სივრცეში საქართველომ პირველმა მიიღო ანტიქურდული კანონმდებლობა, რაც უცილობლად პროგრესულ ნაბიჯად უნდა ჩაითვალოს.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223[1]-ე მუხლი დეტალურად არ განმარტავს კანონიერი ქურდობისა და ქურდული სამყაროს წევრობის ობიექტურ მხარეს. აღნიშნული ქმედებების შინაარსის დასადგენად უნდა მივმართოთ საქართველოს კანონს „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ". კანონიერი ქურდობისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ერთი შეხედვით დაფუძნებულია ორგანიზებული ჯგუფისადმი კუთვნილების პრინციპზე, ბანდიტიზმის, ტერორისტული ორგანიზაციის და სხვა დანაშაულების მსგავსად, თუმცა ამ უკანასკნელთაგან განსხვავებით კანონმა „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ", კანონიერი ქურდობისა და ქურდული სამყაროს წევრობისათვის, ჯგუფის წევრობასთან ერთად სისხლისს-

მართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლად სავალდებულოდ განსაზღვრა გარკვეული ქმედებების განხორციელება. კანონიერი ქურდობის ობიექტური მხარე გამოიხატება ორგანიზაციის წევრობაში, კერძოდ კანონიერი ქურდი უნდა იყოს ქურდული სამყაროს წევრი. ქურდული ორგანიზაციისადმი კუთვნილების გარდა კანონიერი ქურდი ქურდული სამყაროს სპეციალური წესების შესაბამისად უნდა წარმართვდეს ან/და ორგანიზებას უწევდეს ქურდულ სამყაროს ან პირთა გარკვეულ ჯგუფს. როგორც ვხედავთ, „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ" კანონის მოთხოვნის შესაბამისად, კანონიერი ქურდობისთვის პასუხისმგებლობის დასაკისრებლად სახეზე უნდა იყოს ორი კომპონენტი: პირველი, ის რომ პირი უნდა წარმოადგენდეს ქურდული სამყაროს წევრს და მეორე, უნდა წარმართავდეს ან/და ორგანიზებას უწევდეს ქურდულ სამყაროს ან პირთა გარკვეულ ჯგუფს. აღსანიშნავია, რომ კანონიერი ქურდობისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება უფრო რთული სამართლებრივი კომპონენტების არსებობას მოითხოვს, ვიდრე ბანდის ან ტერორისტული ორგანიზაციის ხელმძღვანელის პასუხისმგებლობა, რადგანაც იმის გარდა, რომ ბრალდებამ უნდა დაადგინოს პირის კუთვნილება ქურდული ორგანიზაციისადმი, უნდა დადგინდეს აგრეთვე ისიც, რომ ხდებოდა პირთა გარკვეული ჯგუფის მართვა ან/და ორგანიზება.

სოციალურ სინამდვილეში კანონიერი ქურდის ტერმინის გამოყენებამ გამოიწვია ის, რომ აღნიშნული ტერმინი ნორმატიულ აქტებში დამკვიდრდა. ქურდობა არ შეიძლება იყოს იმავდროულად კანონიერი, ეს ორი იურიდიულად ურთიერთგამომრიცხავი ცნებებია, „გაუმართლებელია კოდექსში კანონიერება უკანონობის მნიშვნელობით იყოს გამოყენებული"[73] ამასთან, თუკი ქურდობა დანაშაულია, როგორ შეიძლება დანაშაული იყოს კანონიერი. ე.წ. „კანონიერი ქურდის" პა-

[73] იხ. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, ავტორ. კოლ. გამომცემლობა „მერედიანი", თბ., 2006, გვ. 452.

სუხიმგებლობის გარდა სსკ-ის 177-ე მუხლი ითვალისწინებს ქურდობას, როგორც „სხვისი მოძრავი ნივთის ფარულ დაუფლებას მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით". ლოგიკური თვალსაზრისით ამ ორ ტერმინს შორის ის განსხვავებაა, რომ თუ ერთი „ჩვეულებრივი" ქურდობაა, მეორე „კანონიერი" ქურდობაა. ჩვენი აზრით ნორმაში უნდა აისახოს, რომ ცნება „კანონიერი ქურდობა" არის ფიქცია, კონკრეტულ სოციუმში მიღებული ტერმინი და ამიტომ სასურველია კანონში ჩაიწეროს არა „კანონიერი", არამედ „ე.წ. კანონიერი".

კანონმდებელმა „ქურდული სამყარო" განსაზღვრა როგორც „პირთა ნებისმიერი ერთობა, რომელიც მოქმედებს მათ მიერ დადგენილი/აღიარებული სპეციალური წესების შესაბამისად და რომლის მიზანია დაშინებით, მუქარით, იძულებით, დუმილის პირობებით, ქურდული გარჩევის გზით, დანაშაულებრივ ქმედებებში არასრულწლოვანთა ჩაბმით, დანაშაულის ჩადენით ან დანაშაულის ჩადენისკენ წაქეზებით, მისი წევრებისთვის ან სხვა პირებისთვის სარგებლის მიღება."[74] აღნიშნული ნორმა იტალიის სისხლის სამართლის კოდექსში აღწერილი „მაფიოზური ასოციაციის" მსგავსია.[75] „კანონიერი ქურდები" და „იტალიური მაფია" ორგანიზებული დანაშაულობის სახეებია, რომელთა შორისაც საკმაო განსხვავებაც არსებობს.[76] პირველ რიგში აღნიშნული განსხვავება შეეხება ორგანიზაციულ სტრუქტურას. „იტალიური მაფია" მიეკუთვნება ორგანიზაციის პატრიმონიულ მოდელს, რომელიც სისხლითნათესაობით პრინციპზეა აგებული და რომლის სათავეში დგას „ბოსი", იგი როგორც წესი „ოჯახის" ან „ოჯახთა გაერთიანებების" ერთპიროვნული მმართველია.[77] რაც შეეხება

[74] იხ. 2005 წლის საქართველოს კანონი ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ, მუხ. მე-3.

[75] დაწვრილებით იხილეთ ზემოთ.

[76] იხ. Транснациональная организованная преступность. Виды основных мировых организаций. www. crime.vl.ru

[77] იხ. Ianni. Kinship and Social Control in Organizd Crime. 1972. მოყვანილია Howard Abadinsky. Organized Crime. Nelson-Hall publishers. Chi-

ქურდულ ორგანიზაციას, იგი სისხლითნათესაური პრინციპის მიხედვით არ იგება და არც ერთპიროვნული მმართველი ჰყავს, იგი წარმოადგენს „საძმოს" (Братва), რომლის შეკრებებზე (Сходняк) ხმის უფლება ყველა წევრს გააჩნია და ჰორიზონტალური მმართველობის ნიმუშს წარმოადგენს.[78] მეორე არსებითი განსხვავება ამ ორ დანაშაულებრივ ორგანიზაციას შორის, შიდაორგანიზაციულ ნორმებშია, რომელთა მიხედვითაც წარმოებული მათი საქმიანობა ერთმანეთისგან საკმაოდ განსხვავდება.

ორგანიზებული დანაშაულობისა და რეკეტის შესახებ კანონში მოცემულ „ქურდული სამყაროს" იურიდიული დეფინიციასთან მიმართებაში გვსურს გამოვთქვათ რამოდენიმე მოსაზრება:

1. „ქურდული სამყარო" — კანონმდებელმა აღნიშნული ტერმინი გამოიყენა იმ სოციუმის დასახასიათებლად, რომელიც მოქმედებს „მათ მიერ დადგენილი/აღიარებული სპეციალური წესების შესაბამისად და რომლის მიზანია დაშინებით, მუქარით, იძულებით, დუმილის პირობებით, ქურდული გარჩევის გზით. მისი წევრებისთვის ან სხვა პირებისთვის სარგებლის მიღება."[79] ქურდების კრიმინალური ორგანიზაცია არის ჩვეულებრივი დანაშაულებრივი დაჯგუფება და მისი „სამყარო"-თი მოხსენიება არ მიგვაჩნია მიზანშეწონილად. მართალია მოვლენა ხასიათდება ფართო მასშტაბებით და ქურდულ სოციუმში არსებობს შიდა ქცევის წესები, მაგრამ მსგავსი სტრუქტურა გააჩნია ნებისმიერ კრიმინალურ ორგანიზაციას. მაგალითად თუ ავიღებთ იტალიური მაფიას, აღნიშნულ ორგანიზაციას გააჩნია საკმაოდ მკაცრი შინაგანაწესი,

---

саgo. перевод с англ.-СПб.: Издателство С.-Петербургского университета. 2002. с. 36. მიხედვით.

[78] იხ. http://www.prison.org/nravy/dictionary/s.htm

[79] იხ. 2005 წლის საქართველოს კანონი ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ, მუხ. 3.

მორალურ-ზნეობრივი ნორმები, მაგრამ იტალიის სისხლის სამართლის კანონის 416-ე „ბის“ მუხლი მაფიოზური ტიპის ასოციაციის, ანუ დაჯგუფების ცნებას ადგენს და არა მაფიოზური სამყაროს ცნებას.[80] მსოფლიოში არცერთი ქვეყნის სისხლის სამართალი, არცერთი საერთაშორისო ნორმატიული აქტი, ორგანიზებული ჯგუფის ცნების განსაზღვრისას არ ხმარობს ტერმინს „სამყარო“. ტერმინი „სამყარო“ მეტისმეტ პატივად მიგვაჩნია ორგანიზებული ჯგუფის დასახასიათებლად და დანაშაულებრივი მოვლენის იდეალისტურ ასპექტში გადაწყვეტისკენ მიუთითებს. შეიძლება დავასკვნათ, რომ გაცილებით უკეთესი იქნებოდა „ქურდული სამყაროს“ ნაცვლად, შემოგვეღო ტერმინი „ქურდული კრმინალური ორგანიზაცია“ ან „ქურდული დანაშაულებრივი დაჯგუფება“

2. „ქურდული სამყაროს“ იურიდიულ ცნებაში ამომწურავადაა ჩამოთვლილი ობიექტური მხარის ელემენტები. ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის მსოფლიო გამოცდილება აჩვენებს, რომ ისეთი რთული მოვლენის კრიმინალიზაციისას, როგორც ორგანიზებული დანაშაულობაა, უნდა მოვერიდოთ ხისტ დეფინიციებს.

3. კანონში ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ მოცემულია „ქურდული სამყაროს“ კონკრეტულად განსაზღვრული მიზანი, სარგებლის მიღება. გამოდის, რომ თუ რომელიმე კონკრეტულ შემთხვევაში ქურდულ ორგანიზაციას სარგებლის მიღების მიზანი არ გააჩნია, იგი ასეთად არ ჩაითვლება, რაც არ მიგვაჩნია მართებულად. მართალია, ორგანიზებული დანაშაულობის დამახასიათებელია ანგარებითი მოტივაცია და სარგებლის მიღების მიზანი კრიმინალური საქმიანობიდან, მაგრამ მიგვაჩნია, რომ კანონიერი ქურდების შემთხვევაში აღნიშნული მიზნის საკანონმდებლო რეგლამენტაცია შეზღუდავს ანტიქურდული ნორმების რეგულირების სფეროს. ქურდული ორგანიზაციის დამახასიათებელი

[80] დაწვრილებით იხილეთ ზემოთ.

ნიშნინია ის, რომ ისინი ფსევდოსამართლიან იდეებს და ფსევდოსამართლიან ღირებულებებს ამოფარებულნი თავიანთ საქმიანობაში ხშირად გამორიცხავენ ანგარებით მოტივაციას. კანონიერი ქურდების განმარტებით ისინი იმიტომ არჩევენ საქმეებს ქურდული წესების შესაბამისად, რომ აღადგინონ სამართლიანობა, საერთო ქურდული სალაროს ფულს იმიტომ კრეფენ, რომ დაეხმარონ პატიმრობაში მყოფებს და მათი ოჯახის წევრებს და ა.შ. ქურდული ორგანიზაცია მართლაც, რეალურად ანგარებითი მოტივაციის მქონეა, მაგრამ ეს იმდენადაა შენიღბული კვაზისამართლიანობის იდეებითა და ქმედებებით, რომ რთულია დადასტურდეს ქურდული გარჩევის შედეგად კონკრეტულად რა სარგებელი მიიღო ორგანიზაციამ. ქურდული გარჩევა წარმოსახულია იმგვარად, რომ ქურდულის სამყაროს წევრის ან კანონიერი ქურდის მიერ ქურდული წესების მიხედვით გარჩევა სამართლიანობის აღდგენას ემსახურება.

გაეროს კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მე-2 მუხლში სავსებით მართებულად დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის ერთ-ერთ ნიშნად განსაზღვრავს პირდაპირ ან არაპირდაპირ, ფინანსური ან სხვა სახის მატერიალური სარგებლის მიღების მიზანს. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მსგავსი მიზანი, რა თქმა უნდა, გააჩნია ქურდულ ორგანიზაციასაც, თუმცა მიგვაჩნია აღნიშნული სახის მიზნის საკანონმდებლო რეგლამენტაცია პრობლემებს ჰქმნის ბრალდების მტკიცების საკითხში.

კანონიერი ქურდობის მსგავსად, ქურდული სამყაროს წევრობის დასჯადობის საფუძვლად, კანონის თანახმად, ჯგუფში მონაწილეობასთან ერთად დადგენილია ქურდული სამყაროს მიზნების მისაღწევად აქტიური მოქმედების განხორციელება. აქტიური მოქმედება სასამართლო პრაქტიკის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ შეიძლება გამოიხატოს ქურდული გარჩევების მოწყობით, ე.წ. ქურდული საერთო სალაროსთ-

ვის ფულის აკრეფით და ა.შ. მიგვაჩნია რომ, საკანონმდებლო დონეზე შესაძლებელია უკეთესად ჩამოყალიბდეს ქურდული სამყაროს წევრის სამართლებრივი დეფინიცია,[81] კერძოდ უმჯობესი იქნება, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრის ზოგადი ცნებიდან ამოვიდეთ[82] და პირისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაკისრებლად საკმარისი საფუძველი იყოს მხოლოდ ქურდულ კრიმინალურ ორგანიზაციაში მონაწილეობა, ანუ ბრალდება ვალდებული უნდა იყოს დაამტკიცოს მხოლოდ პირის კუთვნილება ქურდული კრიმინალური ორგანიზაციისადმი. რაც შეეხება კანონის შემდგომ მოთხოვნებს: ქურდული სამყაროს აღიარებას და მისი მიზნების შესაბამისად აქტიურ მოქმედებას, მიგვაჩნია, რომ აღნიშნული მოთხოვნები არ წარმოადგენს არსებით ინდიკატორებს, არ ასახავს ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლაში არსებულ საერთაშორისო გამოცდილებას და პრობლემას ქმნის ბრალდების მტკიცების დროს.

არსებული სამართლებრივი დეფინიციის შენარჩუნების პირობებში ყურადღება უნდა გამახვილდეს შემდგომ საკითხებზე. პირველი, ის რომ ქურდული სამყაროს წევრია „ნებისმიერი პირი, რომელიც აღიარებს ქურდულ სამყაროს". რას ნიშნავს ქურდული სამყაროს აღიარება? როგორ უნდა გამოხატოს პირმა ქურდული სამყაროს აღიარება, რა ფორმით, რომ აღნიშნულმა სისხლისსამართლებრივი მნიშვნელობა შეიძინოს? სასამართლო პრაქტიკის შესწავლისას დავადგინეთ, რომ საბრალდებო დასკვნებსა და განაჩენებში მითითებულია ქურდული სამყაროს აღიარების შემდგომი ფორმები: „სუბიექტი ცნობს და აღიარებს ქურდულ სამყაროს"; „სუბიექტი თავისი ცხოვრების წესით საჯაროდ გამოხატავს ქურ-

[81] იხ. საქართველოს კანონი ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ. მუხ. მე-3, ნაწ. მე-3.

[82] იხ. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მუხ. 27-ე. ნაწ. მე-4.

დული სამყაროსადმი მხარდაჭერას"; „სუბიექტი ცხოვრობს ქურდული სამყაროს სპეციალური წესების შესაბამისად და ხელს უწყობს ასეთი წესების გავრცელებას"; „სუბიექტი გეგმავს და აწყობს სპეციალურ ქურდული წესებით საქმეების გარჩევას". როგორც ვხედავთ კრიმინალურ სუბკულტურაში გავრცელებულმა შეხედულებებმა ასახვა ჰპოვა ოფიციალურ სამართლებრივ დოკუმენტებში. იმის მაგივრად, რომ ბრალდებამ და სასამართლომ დაადგინოს მხოლოდ და მხოლოდ პირის კუთვნილება კრიმინალური ორგანიზაციისადმი ადგენს იმას, რომ სუბიექტი თავისი ცხოვრების წესით საჯაროდ გამოხატავს ქურდული სამყაროსადმი მხარდაჭერას ან სუბიექტი ცხოვრობს ქურდული სამყაროს სპეციალური წესების შესაბამისად და ა.შ. ისმის კითხვა სამართლებრივად რამდენად დასაბუთებადია ან/და გამართულია პირის ცხოვრების წესის კრიმინალურად ან მართლზომიერად შეფასება. საერთოდ მიღებულია პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პრინციპი. პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა საყოველთაო უფლებაა, აღნიშნული დაცულია როგორც კონსტიტუციური ისე სისხლის საპროცესო სამართლის ფუძემდებლური პრინციპებით.

საქართველოს სისხლის საპროცესო სამართლის მე-4 მუხლის 1-ლი ნაწილის მიხედვით: „მოსამართლე, პროკურორი, გამომძიებელი და სისხლის სამართლის პროცესის სხვა მონაწილეები ვალდებულნი არიან სისხლის სამართლის პროცესის ყველა სტადიაზე დაიცვან პროცესის მონაწილეთა ღირსება და პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა", ხოლო მე-7 მუხლის თანახმად, რომელიც ადგენს სისხლის სამართლის პროცესში პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის პრინციპს: „გამოძიების პროცესში მხარეს არა აქვს უფლება, თვითნებურად და უკანონოდ ჩაერიოს სხვის პირად ცხოვრებაში. საპროცესო მოქმედების ჩამტარებელმა არ უნდა გაამჟღავნოს ცნობები პირადი ცხოვრების შესახებ, ასევე პირადი ხასიათის ცნობები, რომელთა საიდუმლოდ დაცვაც პირს საჭიროდ მიაჩნია."

სასამართლო დოკუმენტებში მოტანილია ფრაზა: „ცხოვრობს ქურდული სამყაროს სპეციალური წესების შესაბამისად". ნებისმიერ ადამიანს შეუძლია იცხოვროს ისე როგორც სურს, რა წესებითაც სურს, მთავარია მან არ ჩაიდინოს დანაშაულებრივი ქმედება. ზოგადად ვფიქრობთ გაუმართლებელია შეიქმნას შთაბეჭდილება, რომ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი დანაშაულებრივი ქმედება კი არ არის, არამედ ამა თუ იმ სუბიექტის პირადი ცხოვრების წესი. საბრალდებო დასკვნებსა და განაჩენებში აისახა კრიმინალური სუბკულტურის ის მნიშვნელოვანი დებულება, რომელზე დაყრდნობითაც ქურდული კრიმინალური ორგანიზაცია ცდილობდა საკუთარი წევრების დანაშაულებრივი ქმედებები წარმოედგინა არა ჩვეულებრივ კრიმინალურ საქმიანობად, არამედ პირადი ცხოვრების წესად, რასაც სხვათა შორის კრიმინალური თვითგამართლების დოქტრინაც ეყრდნობა. ის რაც, დანაშაულებრივი საქმიანობის გასამართლებლად, კრიმინალურმა სუბკულტურამ პირადი ცხოვრების წესად მცდარად და ყალბად წარმოაჩინა, სასამართლო ოფიციალურ დოკუმენტებში აისახა და ეს, რა თქმა უნდა, არ უნდა ჩაითვალოს დადებითად. სასამართლო დუკუმენტებში საუბარი უნდა იყოს არა ცხოვრების წესის თავისებურებაზე და დასჯადობაზე, არამედ ჩვეულებრივი კრიმინალური ქმედების განხორციელებაზე, რაც გამოიხატება ქურდულ დანაშაულებრივ ორგანიზაციაში მონაწილეობით და იმ სხვა აკრძალული ქმედებების ჩადენით (მაგალითად ქურდული გარჩევა) რომელსაც პირდაპირ ითვალისწინებს კანონი ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ.

რამდენად არის შესაძლებელი დადგინდეს ქურდული სამყაროს სპეციალური წესების მიხედვით ცხოვრობს ესა თუ ის ადამიანი, თუ ზოგადად კრიმინალია და კრიმინალურმა სუბკულტურამ მის პიროვნებაში მყარად დაისადგურა? რითი უნდა დაადასტუროს ბრალდებამ, საიდან არის შესაძლე-

ბელი სპეციალური ქურდული წესების დადგენა, რათა მათი დადგენის შემდეგ შეაფასოს ამ წესებით ცხოვრობდა პირი თუ არა? აღნიშნული ამოცანა რა თქმა უნდა განუხორციელებელია, რადგანაც თვითონ ქურდული კანონი დაუწერელია, ამასთან სამართლებრივად რთულად დასასაბუთებელია და საშუალო მოქალაქისთვის, რომელსაც შეხება არ ჰქონია კრიმინალურ სამყაროსთან, გაუგებარია როგორ შეიძლება ცხოვრება ქურდული წესებით და რითი განსხვავდება აღნიშნული ცხოვრება ჩვეულებრივი მოქალაქის ცხოვრებისგან.

ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ კანონის აღნიშნული დებულება, კერძოდ „აღიარებს ქურდულ სამყაროს“, როგორც ვხედავთ პრობლემებს ქმნის ბრალდების მტკიცების დროს და ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში წარმატებულ დებულებად არ უნდა ჩაითვალოს. როგორც უკვე აღინიშნა, ქურდული სამყაროს აღიარების ნაცვლად, ბრალდებამ უნდა დაადასტუროს მხოლოდ პირის კუთვნილება ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფისადმი.

ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ კანონის თანახმად ქურდული სამყაროს აღიარებასთან ერთად პირმა აქტიურად უნდა იმოქმედოს აღნიშნული სამყაროს მიზნების შესაბამისად. ვფიქრობთ „აქტიური მოქმედების“ ცნების მაგივრად „ქმედების“ ცნება უფრო მიზანშეწონილია, რადგანაც გამოდის, რომ იმას, ვინც აქტიურად არ მოქმედებს და მოქმედებს ზომიერად ქურდული ორგანიზაციის წევრად ვერ მივიჩნევთ. ქურდული სამყაროს წევრის დეფინიცია, ჩვენი აზრით შეიძლება ჩამოყალიბდეს შემდეგნაირად: ნებისმიერი პირი, რომელიც მონაწილეობს ქურდულ ორგანიზაციაში ან/და მოქმედებს აღნიშნული ორგანიზაციის მიზნების შესაბამისად. პირის ქურდული ორგანიზაციისადმი კუთვნილების დადგენისას აუცილებელია ორმხრივი კავშირის გამოკვეთა, როგორც წევრის ორგანიზაციის მიმართ, ასევე ორგანიზა-

ციის კავშირი წევრთან. თუ აღნიშნული კავშირი არ დგინდება პირი ქურდული სამყაროს წევრად არ უნდა ჩაითვალოს. შემოთავაზებული დეფინიცია: ნებისმიერი პირი, რომელიც მონაწილეობს ქურდულ ორგანიზაციაში ან/და მოქმედებს აღნიშნული ორგანიზაციის მიზნების შესაბამისად გააფართოებს ნორმის რეგულირების სფეროს და პასუხიმგებელ სუბიექტთა წრეს:

1. დანაშაული დამთავრებული იქნება ქურდული ორგანიზაციის წევრობის მომენტიდან, იმის მიუხედავად, ჩაიდინა თუ არა პირმა რომელიმე კონკრეტული დანაშაული. აღნიშნული დებულება სავსებით შეესაბამება სსკ-ის 27-ე მუხლს, სადაც მითითებულია, რომ „ორგანიზებული ჯგუფის სხვა მონაწილე პასუხს აგებს ჯგუფში მონაწილეობისთვის ამ კოდექსის შესაბამისი მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში“.
2. მართლმსაჯულებას შესაძლებლობა ექნება პასუხისგებაში მისცეს ის პირებიც, რომლებიც მართალია არ არიან ორგანიზებული ჯგუფის წევრები, მაგრამ მოქმედებენ მისი მიზნების შესაბამისად. (მაგ. კორუმპირებული თანამდებობის პირები ახორციელებენ გარკვეულ ქმედებებს ქურდული ორგანიზაციის შეკვეთით.) აღნიშნული მოსაზრებაც, სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის, კერძოდ თანამონაწილეობის და ამსრულებლობის ნორმებში პოულობს დასაყრდენს. პირი, რომელიც არ არის ორგანიზაციის წევრი, შეიძლება დამხმარის როლში მოგვევლინოს, ანდა ქურდული ორგანიზაციის წაქეზებით შეასრულოს გარკვეული მოქმედება. ქურდული ორგანიზაციის წევრის ჩვენეული კონცეფცია საშუალებას მოგვცემს აღნიშნული ორგანიზაციის წევრებად განვიხილოთ წაქეზებული ამსრულებლები და დამხმარეები, თუ მათ გაცნობიერებული ჰქონდათ, რომ ასრულებდნენ ქურდული ორგანიზაციის ინტერესების შესაბამის ქმედებას.

ზემოაღნიშნული მოსაზრების გასამყარებლად შესაძლებე-

ლია მოვიშველიოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ, რომლის მე-5 მუხლი ადგენს დამნაშავეთა ორგანიზებულ ჯგუფში მონაწილეობის კრიმინალიზაციის საფუძვლებს. კონვენციის მიხედვით დამთავრებული დანაშაულისთვის და არა მომზადება მცდელობისთვის, აგრეთვე არა როგორც თანამონაწილემ არამედ როგორც უშუალო ამსრულებელმა უნდა აგოს პირმა პასუხი, როდესაც:

„ქმედება ჩადენილი პირის მიერ, რომელიც აცნობიერებს დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის მიზანს და საერთო დანაშაულებრივ საქმიანობას, ან ამ ჯგუფის განზრახვას, ჩაიდინოს შესაბამისი დანაშაული, რომელიც აქტიურ მონაწილეობას იღებს:

ა. დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის დანაშაულებრივ საქმიანობაში;
ბ. დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის სხვა საქმიანობაში იმის გაცნობიერებით, რომ მისი მონაწილეობა ხელს შეუწყობს ზემოაღნიშნული დანაშაულებრივი მიზნების მიღწევას;

ბ) დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის მონაწილეობით ჩადენილი მძიმე დანაშაულის ორგანიზება, ხელმძღვანელობა, ხელშეწყობა, წაქეზება, დახმარება ან რჩევის მიცემა.“

ნორმის დეფინიციის დღევანდელ ეტაპზე, ქურდული ორგანიზაციის წევრად უნდა მოვიაზროთ კრიმინალთა ის კატეგორია, რომლებიც არ არიან დანაშაულებრივი ორგანიზაციის ხელმძღვანელები, ანუ ე.წ. „კანონიერი ქურდები“, მაგრამ წარმოადგენენ ქურდული ორგანიზაციის წევრებს. მაგ: „ავტორიტეტები“, „მაყურებლები“ და ა.შ.

ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ კანონით გათვალისწინებული „ქურდული გარჩევა“[83] რთული გასამი-

[83] იხ. საქართველოს კანონი ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ. მუხ. მე-3. ნაწ. მე-3.

ჯნია დავების არასამართლებრივად გადაწყვეტის სხვა გამოვლინებებიდან. მაგალითად, წარმოიშვება კითხვა, რითი განსხვავდება ქურდული გარჩევა რეკეტირის მიერ დავების გადაწყვეტისგან?[84] „ქურდული გარჩევის" განსაკუთრებული სოციალური საშიშროება იმაში მდგომარეობს, რომ კვაზისამართლიანობაზე აგებულ, ე.წ. ქურდულ კანონზე დაყრდნობით, სახელმწიფო მართლმსაჯულების გვერდის ავლით, სახელმწიფო მართლმსაჯულების განსჯადი საქმეების გადაწყვეტა ხდება. რეალურად ეს არის ორგანიზებული დანაშაულობის შეჭრა სახელმწიფო ფუნქციების განხორციელებაში. კრიმინალური სუბკულტურის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ელემენტი, ტრეტეული სასამართლო, სახელმწიფო მართლმსაჯულების ფუნქციების მითვისებით მის დისკრედიტაციას ახდენს. ქურდული გარჩევის ცნებაში არ შესულა ზემოაღნიშნული ძირითადი ელემენტები, მაგრამ შესულია ფაკულტატური ნიშნები: „ქურდული სამყაროს წევრის მიერ ორ ან მეტ პირს შორის არსებული დავის გადაწყვეტა, რომელსაც ახლავს მუქარა, იძულება, დაშინება ან სხვა უკანონო ქმედება". ქურდულ გარჩევას, ზოგიერთ შემთხვევაში, შეიძლება საერთოდ არ ახლდეს არც მუქარა, არც იძულება, არც დაშინება ან სხვა უკანონო ქმედება. ხშირად ტრეტეულ მოსამართლეს, რომლის როლშიც, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, ქურდული სამყაროს წევრი გამოდის, მხარეები ნებაყოფლობით მიმართავენ, მათ შორის დავის გადასაწყვეტად. ტრეტეული მოსამართლის გადაწყვეტილებაც ხშირად ნებაყოფლობით აღსრულდება. სხვა საკითხია, იძულების შესაძლებლობა, ე.წ „კანონიერი ქურდის" მიერ გამოტანილი გადაწყვეტილების შეუსრულებლობის შემთხვევაში, ურჩი მხარე მკაცრად ისჯება. ამას გარდა, იძულების შესაძლებლობის ცნება მოიცავს, როგორც მუქარის, იძულების და ა.შ. რეალურად განხორციელებას, აგრეთვე მათი გამოყენების შესაძლებლობას.

---

[84] იხ. საქართველოს კანონი ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ. მუხ. მე-2. ნაწ. მე-3.

ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ კანონის ზემოაღნიშნული მოთხოვნა ე.წ. კანონიერი ქურდობისა და ქურდული სამყაროს წევრობისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძვლების შესახებ, როგორც ქვემოთ დავინახავთ სასამართლო პრაქტიკის ანალიზისას, პრობლემებს ქმნის ბრალდების მტკიცებების ასპექტით. ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილებამ აჩვენა, რომ ორგანიზებული დანაშაულის ფორმების კრიმინალიზაციისას სასურველია ობიექტრი მხარე არ იყოს ხისტად დეფინირებული და პასუხისმგებლობის საფუძველს წარმოადგენდეს ორგანიზებული ჯგუფის წევრობა.

გიორგი გორაშვილი
სამართლის დოქტორი

§ 5. დასჯადობა ქმედებისთვის თუ სოციალური სტატუსისთვის?

„კანონიერი ქურდობისთვის" სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება ბადებს კითხვას, არის ეს დასჯადობა ქმედებისთვის, თუ კონკრეტული სოციალური მდგომარეობისთვის, კონკრეტული სტატუსისთვის? სისხლის სამართლის კლასიკური სკოლის უმთავრეს პრინციპს შეადგენს ის, რომ დასჯადია მხოლოდ ქმედება და არა აზრები, იდეები, შეხედულებები. საქართველოს სსკ-ის 223[1]-ის მიხედვით, „კანონიერი ქურდობა" ისჯება ვადით 7-10 წლამდე, ჯარიმით ან უამისოდ. „კანონიერი ქურდის" ცნებას ადგენს საქართველოს კანონი ორგანიზებული დანაშაულობისა და რეკეტის შესახებ, რომლის მე-3 მუხლის მე-4 ნაწილში ვკითხულობთ: კანონიერი ქურდი – ქურდული სამყაროს წევრი, რომელიც ქურდული სამყაროს სპეციალური წესების შესაბამისად, ნებისმიერი ფორმით მართავს ან/და ორგანიზებას უწევს ქურდულ სამყაროს ან პირთა გარკვეულ ჯგუფს.

იმისთვის, რომ დადგეს „კანონიერი ქურდის“ პასუხისმგებლობის საკითხი „უნდა დადასტურდეს, რომ იგი მოქმედებდა (მართავდა პირებს ან ორგანიზებას უწევდა მათ) სწორედ ქურდული სამყაროს სპეციალური წესების შესაბამისად. . . ამგვარად „კანონიერი ქურდის“ პასუხისგებაში მიცემისთვის არაა საკმარისი მხოლოდ ის ფაქტი, რომ ეს პიროვნება საზოგადოებაში კანონიერი ქურდის სახელითაა ცნობილი, არამედ აუცილებელია მას დაუმტკიცონ, რომ მართავდა ან ორგანიზებას უწევდა ქურდულ სამყაროს ან პირთა გარკვეულ ჯგუფს.“[85] იმის დამტკიცება, რომ „კანონიერი ქურდი“ მართავდა ან/და ორგანიზებას უწევდა გარკვეულ სოციუმს, როგორც მართებულად აღინიშნა წარმოშობს პრობლემებს ბრალდების მტკიცების დროს.[86]

ჩვენი აზრით, „კანონიერი ქურდების“ პასუხისმგებლობის საკითხი დანაშაულებრივი შეთანხმების კონცეფციის მიხედვით უნდა გადაწყდეს. პირის ქურდად „კურთხევის“ ცერემონია არის შეთანხმება ქურდულ ორგანიზაციასა და აღნიშნულ პირს შორის. „უფლებრივი ცხოვრების სფერო გაცილებით ფართოა, ვიდრე ის სფერო, რომელსაც პოზიტიური სამართალი შეიცავს. მაგრამ რა იწვევს იმ უფლებრივი სფეროს წარმოშობას, რომელიც პოზიტიური სამართლის მოქმედებას არ ექვემდებარება? – ნორმატიული ფაქტები. არსებობს ფაქტები, რომელთაც აქვთ უნარი შექმნან აზრთა ისეთი კომპლექსი, რომ ლოგიკური დამოკიდებულება მასთან გვსაზღვრავს ჩვენ უფლებამოსილისა და ვალდებულის მნიშვნელობით“.[87] ქურდად „კურთხევა“ ხდება ქურდულ შეკრებაზე, სადაც მინიმუმ ორი „დამსახურებული“ ქურდი რეკომენდაციას აძლევს ქურდობის კანდიდატს.[88] კანდიდატი უნდა აკმაყოფილებდეს

[85] იხ. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, წიგნი I, ავტორთა კოლექტ. გამომცემლობა „მერედიანი“, თბ., 2006, გვ. 453.

[86] იხ. სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, იქვე.

[87] იხ. ნანეიშვილი გ., სამართლის ფილოსოფიის საკითხები. თბ., 1992. გვ. 107.

[88] იხ. ღლონტი გ., ლობჟანიძე გ., კანონიერი ქურდები საქართველო-

შესაბამის მოთხოვნებს.[89] ყველა პროცედურის გავლის შემდეგ, კანდიდატი ქურდული ღირებულებების ერთგულების ფიცს დებს, იგი ვალდებულებას იღებს დაიცვას „ქურდული კანონები", ხოლო ღალატის შემთხვევაში დაისაჯოს სიკვდილით. ყველა პროცედურის გავლის შემდეგ, კანდიდატი უფლებამოსილი ხდება ატაროს კრიმინალური სამყაროს გვირგვინი. გვირგვინს ამ შემთხვევაში სიმბოლური დატვირთვა აქვს და კრიმინალურ სამყაროში დიდ დამსახურებებზე მიუთითებს.[90] „ჩვეულებრივმა ადამიანმა რამოდენიმეჯერ შეიძლება შეიცვალოს პროფესია, ცხოვრების წესი. დანაშაულებრივი ელიტის წარმომადგენელს ამის უფლება არა აქვს (სპეციალისტები 2-3 იშვიათ გამონაკლისს ასახელებენ, მაგრამ აღნიშნული გამონაკლისები უფრო მეტად ადასტურებენ ძირითად წესს.). „კანონიერი ქურდი" რჩება ასეთად მთელი ცხოვრების მანძილზე. კრიმინოლოგიური გამოკვლევები ასაბუთებენ, რომ დანაშაულებრივი სამყაროს ელიტა, „კანონიერი ქურდები," არცროდის იქნებიან კანონმორჩილნი, არ შეიცვლიან ცხოვრების წესს. . ."[91] ქურდული ორგანიზაციის წინაშე დადებული ფიცი კანონიერ ქურდს ავალდებულებს მთელი ცხოვრების მანძილზე იცხოვროს ქურდული კანონების მიხედვით, ანუ დანაშაულებრივად, რადგან ქურდული კანონი გმობს სახელმწიფოებრიობის იდეას. „ანტისაზოგადოებრივი ქმედების ჩადენას მისი ჩამდენი პირი გაჰყავს შესაბამის ინსტანციასთან ნორმატიული ურთიერთობის გარეთ. ეს კი სხვა არაფერია, თუ არა უპასუხისმგებლობის ობიექტურ ვითარებაში სუბიექტის გადასვლა. ეს ბუნებრივია, რადგან სუბიექტი ინსტანციასთან ნორ-

---

ში: ისტორია და რეალობა. თბ., 2004, გვ. 122-127.

[89] იხ. Корона воровской империи. http://www.aferizm.ru/criminal/crime_kingdom.htm

[90] კრიმინალური ტრადიციების შესახებ იხ. Гуров А.И. Профессиональная преступность: прошлое и современность М., 1990 с. 125-133 (Роль уголовных традиций и обычаев в воспроизводстве профессиональной преступности)

[91] იხ. Криминология. Учебник для вузов. Под общ. ред. д.ю.н. проф. А.И. Долговой. М., 2002, с.709.

მატიული ურთიერთობის ფარგლებში უნდა მოქმედებდეს. ამ ურთიერთობის ფარგლებში კი შესაძლებელია საზოგადოებრივად სასარგებლო (მორალური თუ მართლზომიერი) ქმედება. ამორალური თუ მართლსაწინააღმდეგო ქმედება ამ ურთიერთობის ფარგლებში შეუძლებელია. ამიტომ ამ ქმედების ჩამდენი პირი, ამ ქმედების გამო და ფარგლებში, სათანადო ინსტანციასთან ნორმატიული ურთიერთობის გარეთაა. ეს იმას ნიშნავს, რომ ეს პირი თავისი ამ ამორალური თუ მართლსაწინააღმდეგო ქმედებით გადავიდა ინსტანციის წინაშე უპასუხისმგებლობის ობიექტურ ვითარებაში. მაგრამ უპასუხისმგებლობის ეს ობიექტური ვითარება გამოწვეულია მოვალეობისადმი, როგორც ნორმატიული ურთიერთობის ელემენტისადმი, სუბიექტური, უპასუხისმგებლო, ანუ, ბრალეული დამოკიდებულებით."[92]

ორ ან მეტ პირს შორის შეკავშირება, შეთანხმება დანაშაულის ჩადენის მიზნით, პირობების შექმნად, ანუ მომზადებად ითვლება. ზოგიერთ შემთხვევაში კანონმდებელი იყენებს ფიქციის მეთოდს და დანაშაულის დამთავრების მომენტად დანაშაულებრივი შეთანხმებას მიიჩნევს. ბანდიტიზმი, დამთავრებული დანაშაულია მყარი შეიარაღებული ჯგუფის შექმნის მომენტიდან, რომელსაც პირზე ან ორგანიზაციაზე თავდასხმის მიზანი აქვს (სსკ-ის 224-ე მუხლი). დანაშაულებრივი შეთანხმების კონცეფციას ეყრდნობა აგრეთვე „რიკოს"[93] კანონი და იტალიის ანტიმაფიური კანონმდებლობა. იტალიის სისხლის სამართლის კოდექსის 416-ე ბის მუხლის თანახმად მაფიოზური ასოციაციის შექმნა, ხელმძღვანელობა, აგრეთვე აღნიშნულ დაჯგუფებაში მონაწილეობა დამთავრებული დანაშაულია. რუსეთის ფედერაციის სსკ-ის 210-ე მუხლის თანახმად დანაშაული დამთავრებულად ითვლება „დანაშაულებრივი გაერთიანების (ორგანიზაციის)" შექმნის მომენტიდან და ა.შ.

---

[92] იხ. გ. ნაჭყებია, ბრალი, როგორც სოციალური ფილოსოფიის კატეგორია. თბ., 2001, გვ. 284.

[93] სტატუტი რეკეტული და კორუმპირებული ორგანიზაციების შესახებ.

„ორგანიზაციული შეთანხმების“ კონცეფციის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ „კანონიერი ქურდობის“ დასჯადობისას სახეზეა არა სოციალური სტატუსის გამო დასჯადობა, არამედ დასჯადობა ქმედების გამო. „კანონიერი ქურდი“ უნდა განვიხილოთ ქურდული ორგანიზაციის ერთერთ ხელმძღვანელად, ქურდული ორგანიზაცია კი მყარი, ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის სახეა. ქურდად „კურთხევის“ დროს პირი აცხადებს თანხმობას ქურდული ორგანიზაციის წევრობაზე, იგი ეთანხმება კრიმინალურ „ნორმებს“, ჩადენილ და ჩასადენ დანაშაულებს, დებს ერთგულების ფიცს. „კანონიერი ქურდის“ ქურდულ ორგანიზაციაში შესვლა უკვე სოციალურად საშიში ქმედებაა, რომელიც დამთავრებულ დანაშაულად უნდა განვიხილოთ.[94]

ე.წ „კანონიერი ქურდის“ პასუხისმგებლობისთვის კანონმდებელი ადგენს დანაშაულებრივი ქმედების ობიექტური მხარის დამატებით ელემენტებს: ქურდული სამყაროს ან პირთა გარკვეული ჯგუფის მართვა ან/და ორგანიზება ნებისმიერი ფორმით. როგორც ზემოთაც აღინიშნა ობიექტური მხარის აღნიშნული დებულებების დასაბუთება ბრალდებისთვის პრაქტიკულად ძალზე რთული იქნება, ამის გარდა უნდა აღინიშნოს, რომ შეიძლება „კანონიერი ქურდი“ არავის მართვას ან ორგანიზებას კონკრეტულად არ ახორციელებდეს. ობიექტური მხრიდან გამომდინარე, მას პასუხისგებაში ვეღარ მივცემთ.

მიგვაჩნია, რომ ე.წ. „კანონიერი ქურდობის“ დასჯადობის საფუძველს უნდა წარმოადგენდეს ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფისადმი, ქურდული ორგანიზაციისადმი კუთვნილება. ისევე, როგორც წყდება სისხლის სამართალში სხვა დანაშაულებრივი ორგანიზაციების (მაგალითად, ტერორისტული ორგანიზაციის, ბანდის და ა.შ) ხელმძღ-

---

[94] ქმედების სოციალური საშიშროების საკითხისთვის იხ: გ. ნაჭყებია. სისხლისსამართლებრივი ურთიერთობა და დანაშაულის ცნება. თბ., 2002 გვ. 18.

ვანელების პასუხისმგებლობის საკითხი. როგორც დაგვანახა სასამართლო პრაქტიკის ანალიზმა, კანონის მოთხოვნა, ქურდული სამყაროს ან პირთა გარკვეული ჯგუფის მართვა ან/და ორგანიზება ნებისმიერი ფორმით, პრობლემებს წარმოშობს ბრალდების მტკიცების დროს. საგულისხმოა, რომ დანაშაულებრივი ორგანიზაციების წინააღმდეგ მიმართული ნორმების დღევანდელ მოდელებში სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძველი ჯგუფისადმი კუთვნილებას ემყარება. როგორც იტალიის ანიტიმაფიურ კანონმდებლობაში, ისე აშშ-ს „რიკო"-ს კანონში პასუხისმგებლობის საფუძვლად დამკვიდრებულია კრიმინალური ორგანიზაციის წევრობა-მონაწილეობის პრინციპი, რადგანაც ორგანიზებული დანაშაულობა იმდენად რთული, მრავალმხრივი და სახეცვალადი მოვლენაა, რომ კანონში დანაშაულის შემადგენლობის ობიექტური და სუბიექტური ნიშნების ხისტად განსაზღვრა აღნიშნული მოვლენის წინააღმდეგ ბრძოლას მნიშვნელოვნად უშლის ხელს.

დანაშაულებრივი შეთანხმების კონცეფციის თანახმად უნდა გადაწყდეს „ქურდული სამყაროს წევრის" პასუხისმგებლობის საკითხიც (სსკ-ის 223[1]-ის მე-2 ნაწ.), როდესაც პირი წევრიანდება „ქურდულ ორგანიზაციაში" და მან იცის, რომ აღნიშნული ორგანიზაცია კრიმინალურია, მისი თანხმობა აღნიშნული ორგანიზაციის წევრობაზე დამთავრებულ დანაშაულს უნდა წარმოადგენდეს.[95]

დასასრულს შესაძლებელია ითქვს, რომ „კანონიერი ქურდისა" და „ქურდულ სამყაროსთან დაკავშირებული" პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დამყარებულია მათ ქმედებაზე. კერძოდ ქურდულ ორგანიზაციაში გაწევრიანებისას ისინი ეთანხმებიან აღნიშნული ორგანიზაციის კრიმინალურ საქმიანობას, ჩადენილ და ჩასადენ დანაშაულებს, აცხადებენ მოქმედების მზადყოფნას მისი ინტერესების შესაბამისად.

---

[95] იხ: გ. ნაჭყებია, მართლზომიერი ქმედების მექანიზმის მონისტური გაგების საკითხისთვის. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მაცნე, სამართლის სერია, 2005 წ., №1, გვ. 132-137.

თავი II

ქურდული სამყაროს წევრობისა და კანონიერი ქურდობის დანაშაულთა თაობაზე არსებული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი

დავით სულაქველიძე
სამართლის დოქტორი

§ 1. ქურდული სამყაროს წევრობისა და კანონიერი ქურდობის სისხლისსამართლებრივი ასპექტები

პოსტსაბჭოთა სივრცეში, და მათ შორის საქართველოშიც, განვითარდა ორგანიზებული დანაშაულობის მემკვიდრეობით მიღებული ასეთი ფორმები, როგორიცაა: ქურდული სამყაროს წევრობა, რომელიც გამოიხატება სუბიექტის ორგანიზაციულად აქტიურ კავშირში კრიმინალური სამყაროს გამოუსწორებელ ელემენტებთან ამ უკანასკნელთა დანაშაულებრივი საქმიანობისათვის ხელშეწყობისა და ასეთ საქმიანობაში უშუალო მონაწილეობის სახით, აგრეთვე კანონიერი ქურდობა, რომელიც თავისი არსით წარმოადგენს სუბიექტის მიერ მისი აქტიური დანაშაულებრივი საქმიანობიდან გამომდინარე „დამსახურებისა“ და დანაშაულებრივ სამყაროში საყოველთაოდ და სავალდებულოდ მიღებული ტრადიციებისადმი მისი ურყევი ერთგულების შედეგად მოპოვებულ ანტისოციალურ სტატუსს, რაც მას საშუალებას აძლევს თავისი გავლენა იქონიოს სხვა დამნაშავეებსა და დანაშაულებრივი სამყაროსადმი სოლიდარულად განწყობილ სხვა ანტისოციალურ ელემენტებზე, რათა მოახდინოს მათი ძალისხმევის კონცეტრირება და საქმიანობის წარმართვა საერთო დანაშაულებრივი მიზნების მისაღწევად.

ქურდული სამყაროს წევრობისა და კანონიერი ქურდობის

თაობაზე საქართველოში განხორციელებული საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის შესწავლისა და ანალიზის მიზანს წარმოადგენს აღნიშნული კატეგორიის დანაშაულობასთან ბრძოლის ეფექტურობისა და ხსენებული პრაქტიკის ქვეყნის შიგნით მოქმედ კანონმდებლობასა თუ საერთაშორისო სამართლებრივ აქტებთან შესაბამისობის დადგენა, აგრეთვე, სათანადო რეკომენდაციების შემუშავება როგორც საკანონმდებლო, ისე საგამოძიებო — სასამართლო პრაქტიკის დახვეწა-გაუმჯობესების თვალსაზრისით.

განსახილველი კატეგორიის დანაშაულთა საქმეების შესწავლის შედეგები წარმოდგენას გვაძლევს იმის თაობაზე, თუ რა სახით ხორციელდება რეალურად ქურდული სამყაროს წევრობა და კანონიერი ქურდობა, რაც თავის მხრივ საშუალებას გვაძლევს განვსაზღვროთ როგორი პრაქტიკული ნაბიჯები უნდა გადაიდგას ამ მოვლენებთან წარმოებული ბრძოლის ეფექტურობის ასამაღლებლად, აგრეთვე, როგორი საკანონმდებლო ნოვაციები იქნება ოპტიმალური და სასარგებლო პრაქტიკის ამოცანებისადმი შესაბამისი მატერიალურ-სამართლებრივი და საპროცესო სამართლებრივი ინსტიტუტების სრული ადეკვატურობის უზრუნველსაყოფად.

უწინარესად განვიხილოთ საკითხი — შესწავლილი საქმეების მიხედვით რა ხასიათის მოქმედებებში გამოიხატება ქურდული სამყაროს წევრობა. შესწავლილ სისხლის სამართლის საქმეებში არსებული საბრალდებო დასკვნებისა და განაჩენების მიხედვით, ქურდული სამყაროს წევრობა გამოიხატება შემდეგ მოქმედებებსა და ქცევებში: სუბიექტი ცნობს და აღიარებს ქურდულ სამყაროს; თავისი ცხოვრების წესით საჯაროდ გამოხატავს ქურდული სამყაროსადმი მხარდაჭერას; ცხოვრობს ქურდული სამყაროს სპეციალური წესების შესაბამისად; სასჯელაღსრულების დაწესებულებაში სასჯელის მოხდისას, ასევე სასჯელის მოხდისა და გათავისუფლების შემდეგ აქვს აქტიური ურთიერთობა და კავშირი კანონიერ

ქურდებთან; სხვებთან ერთად თავისი აქტიური თანამოქმედებით ხელს უწყობს ქურდული სამყაროს მიზნების განხორციელებასა და ქურდული სამყაროს სპეციალური წესების გავრცელებას; მონაწილეობს ე.წ. „ობშიაკის“ ანუ სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მყოფი კანონიერი ქურდებისა და ქურდული ტრადიციების მიმდევარი სხვა პირების დასახმარებლად საჭირო თანხების მოქალაქეებისაგან გამოძალვასა თუ სხვა არალეგალური გზებით შეგროვებასა და დანიშნულებისამებრ მიწოდებაში; გეგმავს და აწყობს საქმეების ქურდულ გარჩევას; სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფ კანონიერ ქურდებსა და ქურდული სამყაროს სხვა წარმომადგენლებს ეხმარება აღნიშნული დაწესებულებების გარეთ მყოფ პირებთან კავშირის დამყარებაში, უზრუნველყოფს მათ მათთვის საინტერესო ინფორმაციებითა და ასეთი ინფორმაციების მისაღებად საჭირო საშუალებებით; მატერიალურ და სხვა სახის დახმარებას უწევს პატიმრობაში მყოფი კანონიერი ქურდების ოჯახის წევრებს; ასრულებს კანონიერი ქურდების სხვადასხვა დავალებებს.

საყურადღებოა ის გარემოება, რომ დასახელებული მოქმედებებიდან ზოგიერთი მათგანის შინაარსი ერთობ ზოგადი და ბუნდოვანი ფორმულირებით არის გამოხატული საბრალდებო დასკვნებსა და განაჩენებში, რაც ხელს უშლის მათი არსის ზუსტ და ერთგვაროვან გაგებას. ამასთან, საქმეში არსებულ არც სხვა საპროცესო დოკუმენტებშია მოცემული მათი დაზუსტებული მნიშვნელობა. თუმცა ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ხსენებული ფორმულირებები მატერიალური სისხლის სამართლის ნორმებშიც არ არის განსაზღვრული და, როგორც ჩანს, ისინი საგამოძიებო — პრაქტიკის მუშაკთა სამართალშემოქმედების ნაყოფს წარმოადგენს, რომელიც სასამართლოების მიერ პირდაპირ იქნა მიღებული და გაზიარებული. მაგალითისთვის შეიძლება ითქვას საბრალდებო დასკვნებსა და განაჩენებში მითითებულ ქურდული სამყაროს წევრობის ისეთ სახეებზე, როგორიცაა: „სუბიექტი ცნობს და აღიარებს

ქურდულ სამყაროს"; „სუბიექტი თავისი ცხოვრების წესით საჯაროდ გამოხატავს ქურდული სამყაროსადმი მხარდაჭერას"; „სუბიექტი ცხოვრობს ქურდული სამყაროს სპეციალური წესების შესაბამისად და ხელს უწყობს ასეთი წესების გავრცელებას"; „სუბიექტი გეგმავს და აწყობს სპეციალური ქურდული წესებით საქმეების გარჩევას".

საბრალდებო დასკვნებსა და განაჩენებში განვითარებული დასკვნითი მსჯელობები არავითარ კონკრეტიკას არ შეიცავს იმის თაობაზე, თუ რეალურად რა მოქმედებებს გულისხმობს პირის მიერ ქურდული სამყაროს ცნობა და აღიარება, ქურდული სამყაროსადმი მხარდაჭერის საჯაროდ გამოხატვა, ქურდული სამყაროს სპეციალური წესებით ცხოვრება, ქურდული სამყაროს სპეციალური წესების გავრცელება და სხვა. ამგვარი, კონკრეტულ შინაარსს მოკლებული ფორმულირებები, რომლებიც საბრალდებო დასკვნებისა და განაჩენების მეშვეობით იურიდიულ ძალას იძენენ, შეიძლება იქცნენ ერთგვარ, ფაქტობრივად მოქმედ „კაუჩუკის ნორმებად", რომელთა შინაარსის სურვილისამებრ გაფართოება და შეკუმშვა იქნება შესაძლებელი, რასაც ხელს უწყობს შესაბამისი საკანონმდებლო ნორმების შინაარსობრივი განუსაზღვრელობაც (მხედველობაშია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223[1]-ე მუხლი).

ანალოგიური პრობლემებია დაკავშირებული ისეთი ქმედების შინაარსის განსაზღვრასთან, როგორიცაა კანონიერი ქურდობა.

საბრალდებო დასკვნებსა და განაჩენებში აღნიშნულია, რომ პირმა ჩაიდინა კანონიერი ქურდობა. თუ რაში გამოიხატა აღნიშნული, ამის თაობაზე ბრალდების ფაბულაში მოცემულია მითითება სხვადასხვა, განსხვავებულ ფაქტებზე, რომელთა ჩამოთვლა, როგორც წესი, იწყება იმაზე მითითებით, რომ დასახელებული პირი ქურდულ შეკრებაზე (ე.წ.

„ქურდული სხოდკა“) აღიარებულ იქნა კანონიერ ქურდად. ამის შემდეგ ხსენებულ საბრალდებო დოკუმენტებში საუბარი გრძელდება იმის თაობაზე, რომ კანონიერ ქურდად აღიარების შემდეგ იგი სისტემატურად მონაწილეობდა ქურდულ შეკრებებში, სადაც განიხილებოდა კანდიდატურები კანონიერ ქურდად აღიარების მიზნით, ასევე საკითხები კანონიერი ქურდებისთვის გავლენის სფეროების გადანაწილებისა და დანაშაულთა ჩადენის ორგანიზების თაობაზე, ხელს უწყობდა ქურდული ტრადიციების გავრცელებას, ხელმძღვანელობდა ქურდული სამყაროს წევრების საქმიანობას ქურდულ სალაროში (ე.წ. „ობშიაკი“) თანხების შესაგროვებლად თუ სხვა დავალებების შესასრულებლად, აქვს მჭიდრო კავშირი სხვა კანონიერ ქურდებთან და კრიმინალურ ავტორიტეტებთან.

ყველა საბრალდებო დასკვნასა და განაჩენში, სადაც კი მოცემულია ფაბულის აღწერა იმის თაობაზე თუ რაში გამოიხატა პირის მიერ ჩადენილი კანონიერი ქურდობა, აუცილებლად არის მითითებული, რომ აღნიშნული პირი ქურდების შეკრებაზე (მიახლოებითი დროისა და ადგილის მითითებით) აღიარებულ იქნა კანონიერ ქურდად სხვა კანონიერი ქურდის ან ქურდების მიერ, რომ ის არის ქურდული ტრადიციების მიმდევარი და რომ იგი ეწევა ცხოვრებას სპეციალური ქურდული წესების შესაბამისად. მართალია, არც ერთ საბრალდებო დასკვნასა და განაჩენში არ არის მოცემული საქართველოს სსკ-ის 223[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის, როგორც ნორმის შინაარსობრივი განმარტება, რასაც ექნებოდა გარკვეული პრეცედენტული მნიშვნელობა, მაგრამ იმ ბრალდებათა ფაბულებიდან გამომდინარე, რომლებიც ხსენებულ საბრალდებო დასკვნებსა და განაჩენებშია წარმოდგენილი, მკაფიოდ იკვეთება ის გარემოება, რომ პრაქტიკაში დადგენილადაა მიჩნეული შემდეგი: კანონიერი ქურდობა, როგორც დანაშაული, არ არსებობს ამ დანაშაულის სუბიექტის ქურდული წესების დაცვით სხვა კანონიერი ქურდების მიერ პირის კანონიერ ქურდად აღიარების გარეშე.

წინააღმდეგ შემთხვევაში, თუკი ასეთი პირის კანონიერ ქურდად „კურთხევა“ არ იქნებოდა მიჩნეული საქართველოს სსკ-ის 223[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული შემადგენლობის აუცილებელ ელემენტად, მაშინ შეუძლებელი იქნებოდა კანონიერი ქურდობის შემადგენლობის გამიჯვნა იმავე მუხლის პირველ ნაწილში მოცემული შემადგენლობის — ქურდული სამყაროს წევრობისგან, ვინაიდან, უმრავლეს შემთხვევაში პირი, რომელიც მიჩნეულია ქურდული სამყაროს წევრად, როგორც წესი, არის ქურდული ტრადიციების მატარებელი, თავის მოქმედებებსა და ქცევებში ემორჩილება ქურდული ცხოვრების სპეციალურ წესებს, მონაწილეობს ქურდულ (კრიმინალურ) გარჩევებში და ა.შ. ანუ იგი აკეთებს თითქმის ყველაფერს, რასაც ე.წ. კანონიერი ქურდი, მაგრამ ამ უკანასკნელისგან იგი განსხვავდება უფლებებით, რაც იმას ნიშნავს, რომ მას არ გააჩნია ისეთი დონისა და გავლენის მქონე უფლებრივი სტატუსი კრიმინალურ სფეროში, რაც აქვს კანონიერ ქურდს, მაგრამ ასეთ უფლებრივ სტატუსს პირი იღებს სწორედ ქურდული წესების დაცვით სხვა, საამისოდ უფლებამოსილი კანონიერი ქურდების მიერ მისი კანონიერ ქურდად აღიარების შედეგად.

ცალკეულ შემთხვევაში ბრალდებას კანონიერი ქურდობის თაობაზე თან ახლავს ასევე ბრალდება ისეთ დანაშაულთა ჩადენის თაობაზე, როგორიცაა გამოძალვა, იძულება და მძევლად ხელში ჩაგდება, რაც სპეციფიკურია ქურდული ცხოვრებისა და საქმიანობისთვის. იშვიათად გვხვდება ასევე ბრალდება ისეთ დანაშაულთა ჩადენის თაობაზე, როგორიცაა ნარკოტიკული საშუალების და ცეცხლსასროლი იარაღის მართლსაწინააღმდეგო შეძენა, შენახვა და ტარება, სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მოთავსებული პირის მიერ აკრძალული საგნის შენახვა, ტარება ან/და ასეთი საგნით სარგებლობა, წინასწარი პატიმრობის ან სასჯელაღსრულების დაწესებულების საქმიანობისთვის ხელის შეშლა ან ამ საქმიანობის დეზორგანიზაცია, აღნიშნული დაწესებულების ადმინისტრაციაზე თავდასხმა ან/და ამავე მიზნით

დანაშაულებრივი დაჯგუფების შექმნა ან ასეთ დაჯგუფებაში აქტიური მონაწილეობის მიღება.
ასეთია ქურდული სამყაროს წევრობისა და კანონიერი ქურდობის ის ძირითადი მატერიალურ-სამართლებრივი მახასიათებლები რაც წარმოდგენილია აღნიშნული კატეგორიის დანაშაულთა შესახებ სასამართლო პრაქტიკაში არსებულ სისხლის სამართლის საქმეებში.

აუცილებლად უნდა აღინიშნოს საქართველოს სსკ-ის 223[1] მუხლის პირველ და მე-2 ნაწილების დისპოზიციებში არსებული განსაზღვრებების შესახებ, რომლებშიც მოცემულია განსახილველი კატეგორიის დანაშაულთა მხოლოდ დასახელება. საგულისხმოა ის გარემოება, რომ აღნიშნული მუხლის სათაურს სიტყვასიტყვით ემთხვევა ამ მუხლის ნაწილებში მოცემული დისპოზიციების ტექსტები. ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, რომ ასეთი ფორმა ხსენებულ სისხლისსამართლებრივ ნორმას აძლევს კაუჩუკის თვისებას, რაც იმას ნიშნავს, რომ მისი შინაარსი, სასამართლო პრაქტიკაში ამ ნორმის სხვადასხვა შემთხვევაში გამოყენებისას, შეიძლება სურვილისამებრ იქნეს გაფართოებული ან დავიწროვებული.

მატერიალური სისხლის სამართლის კანონმდებლობის კერძო ნაწილისთვის უცხო არ არის ისეთი ნორმების არსებობა, რომელთა დისპოზიციებს აქვთ ზოგადი შინაარსობრივი განსაზღვრულობა, რაც შესაძლებლობას იძლევა ისეთ დანაშაულებრივ ქმედებათა კვალიფიკაციისთვის, რომლებიც ვერ თავსდებიან კოდექსის კერძო ნაწილის სპეციალურ ნორმათა ფარგლებში. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ სამოხელეო დანაშაულთა შემადგენლობები, რომლებიც მოცემულია საქართველოს სსკ-ის 332-ე (სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება), 333-ე (სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტება) და 341-ე (სამსახურებრივი გულგრილობა) მუხლების პირველ ნაწილებში. სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილში მოიპოვება

ისეთი ნორმებიც, რომელთა დისპოზიციები ამოიწურება მხოლოდ ქმედების დასახელებით, მისი შემადგენლობის ნიშნებზე მითითებისა და შინაარსის გადმოცემის გარეშე. მაგალითად, ასეთია საქართველოს სსკ-ის 108-ე (განზრახ მკვლელობა) და 358-ე (მობილიზაციით გაწვევისთვის თავის არიდება) მუხლების დისპოზიციები.

საქართველოს სსკ-ის 223[1]-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულთა შემადგენლობის ზოგიერთი ელემენტის შინაარსი განმარტებულია „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ" საქართველოს კანონში, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ იქნა და ამოქმედდა საქართველოს სსკ-ის 223[1]-ე მუხლთან ერთად. მითითებული კანონის მე-3 მუხლის მე-4 პუნქტი „კანონიერი ქურდის" ცნებას შემდეგნაირად განმარტავს: „ქურდული სამყაროს წევრი, რომელიც ქურდული სამყაროს სპეციალური წესების შესაბამისად, ნებისმიერი ფორმით მართავს ან/და ორგანიზებას უწევს ქურდულ სამყაროს ან პირთა გარკვეულ ჯგუფს." იმავე მუხლის პირველი პუნქტი „ქურდული სამყაროს" ცნებას განმარტავს შემდეგი სახით: „პირთა ნებისმიერი ერთობა, რომელიც მოქმედებს მათ მიერ დადგენილი (აღიარებული) სპეციალური წესების შესაბამისად და რომლის მიზანია დაშინებით, მუქარით, იძულებით, დუმილის პირობებით, ქურდული გარჩევის გზით, დანაშაულებრივ ქმედებებში არასრულწლოვანთა ჩაბმით, დანაშაულის ჩადენით ან დანაშაულის ჩადენისკენ წაქეზებით მისი წევრებისთვის ან სხვა პირებისთვის სარგებლის მიღება." აღნიშნული მუხლის პირველი პუნქტი ასე განმარტავს „ქურდული სამყაროს წევრის" ცნებას: „ნებისმიერი პირი, რომელიც აღიარებს ქურდულ სამყაროს და აქტიურად მოქმედებს ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად".

აღნიშნულის მიუხედავად, არ შეიძლება გამართლებულად იქნეს მიჩნეული ქურდული სამყაროს წევრობისა და კანონ-

იერი ქურდობის შესახებ მოქმედ სისხლის სამართლის კანონის მუხლში დისპოზიციის განსაზღვრების შემოფარგვლა მხოლოდ აღნიშნული ქმედებების დასახელებით, რადგან ზემოხსენებულ სამოხელეო დანაშაულთა განმსაზღვრელი სისხლისსამართლებრივი ნორმები, მართალია, ზოგადი ხასიათისაა, მაგრამ მათში მაინც არის წარმოდგენილი ქმედების კრიმინალიზაციის გარკვეული კრიტერიუმები ანუ მისი შემადგენლობის დამაფუძნებელი ძირითადი ნიშნები. რაც შეეხება ზემოთ აღნიშნულ იმ შემადგენლობებს, რომლებიც შესაბამის ნორმაში მხოლოდ ქმედების დასახელებით არის გამოხატული (მაგალითად, საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლი — განზრახ მკვლელობა), უნდა აღინიშნოს, რომ აქ საქმე გვაქვს ისეთ კლასიკურ სისხლისსამართლებრივ ქმედებასთან, რომლის არსი საყოველთაოდ ცხადი და გასაგებია იურიდიული განათლების არმქონე ნებისმიერი ადამიანისათვისაც კი, რის გამოც აღნიშნული ქმედება კანონში დამატებით განმარტებას აღარ საჭიროებს.

ამათგან სრულიად განსხვავებული მდგომარეობა გვაქვს ქურდული სამყაროს წევრობისა და კანონიერი ქურდობის საკანონმდებლო განსაზღვრებასთან მიმართებით, რომლებიც საკანონმდებლო სიახლეს წარმოადგენს და რომელთა შინაარსობრივი მნიშვნელობა არამცთუ ნებისმიერი მოქალაქისთვის არამედ გამოცდილი სპეციალისტებისთვისაც (კრიმინალისტები, კრიმინოლოგები თუ სხვა) კი, ფრიად ბუნდოვანი და ძნელად გასაგებია, რომელიც დავის საგანს წარმოადგენს. აღნიშნულმა გარემოებამ შესაძლოა პრაქტიკაში გამოიწვიოს ის, რომ ქურდულ სამყაროსთან კავშირში ეჭვმიტანილ პირთან ნებისმიერი არამიზნობრივი, უნებლიე შეხება და ურთიერთობაც კი, შეიძლება გახდეს სუბიექტისთვის პასუხისმგებლობის დაკისრების საფუძველი, რაც მთლიანად იქნება დამოკიდებული სამართალდამცავი სტრუქტურის შესაბამის უფლებამოსილ მუშაკთა სუბიექტურ შეხედულებაზე, რადგან ზემოხსენებულ „ორგანიზებული დანაშაული-

სა და რეკეტის შესახებ“ საქართველოს კანონში მოცემული შესაბამისი ცნებების განსაზღვრებები ერთობ ამორფულია. ამიტომ, ისეთ შემთხვევაში, როდესაც სისხლის სამართლის კანონში კრიმინალიზებულმა ქმედებამ თავისი შინაარსითა და მნიშვნელობით შესაძლებელია სრულიად განსხვავებული ინტერპრეტაციები გამოიწვიოს, რაც პირდაპირ აისახება სასამართლო პრაქტიკაზე და ადამიანთა ბედზე, არ არის სასურველი, რომ ასეთი ქმედების კრიმინალიზაციისას კანონმდებელი შემოიფარგლოს სისხლის სამართლებრივ ნორმაში მხოლოდ ქმედების დასახელებით, არამედ აუცილებელია, რომ ნორმის დისპოზიციაში შეძლებისდაგვარად ამომწურავად იყოს წარმოდგენილი ქმედების შემადგენლობის შინაარსის განმსაზღვრელი კრიტერიუმები.

გარდა ამისა, გვერდს ვერ ავუვლით აგრეთვე განსახილველი ქმედებების სახელდებისთვის გამოყენებული ტერმინოლოგიის საკითხს, რომელთა ზუსტ და ადეკვატურ გამოხატვას არსებითი მნიშვნელობა აქვს იმის დასადგენად არსებობს თუ არა რეალური და დასაბუთებული სამართლებრივი საფუძველი პასუხისმგებლობის დაკისრებისთვის. ტერმინოლოგიური ნოვაცია ისეთ მნიშვნელოვან საკანონმდებლო აქტში, როგორიცაა სისხლის სამართლის კოდექსი, მხოლოდ იმ შემთხვევაში შეიძლება იყოს გამართლებული, თუ არსებობს მისი გამოყენების გარდაუვალი აუცილებლობა და ამავე დროს მისი შინაარსობრივი მნიშვნელობის გაგება არ არის დაკავშირებული განსაკუთრებულ სირთულესთან საშუალო ინტელექტუალური დონის მქონე ადამიანისთვის. თუკი ამ მოთხოვნებს ლეგიტიმურად მივიჩნევთ, მაშინ შეიძლება ისიც აღინიშნოს, რომ საქართველოს სსკ-ის 223[1] მუხლის პირველი ნაწილის დისპოზიცია ტერმინოლოგიური გამართულობის თვალსაზრისითაც ვერ აკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რაც ბუნებრივად წაეყენება ნებისმიერ სისხლისსამართლებრივ ნორმას მისი დანიშნულების მნიშვნელობიდან გამომდინარე. შემთხვევითი არ არის ის გარემოება, რომ საბრალდებო

დასკვნებსა და განაჩენებში თუ სხვა მნიშვნელოვან საპროცესო აქტებში, რომლებიც ხსენებული კატეგორიის დანაშაულთა თაობაზე წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეებში მოიპოვება, მართალია, ასე თუ ისე, ამა თუ იმ ფორმით ახნილია რაში გამოიხატებოდა ქურდული სამყაროს წევრობა, მაგრამ, ამასთან, ბრალდების ფაბულის აღწერილობა საერთოდ არ ემთხვევა იმ ნიშნებს, რომლებიც მოცემულია ხსენებული სპეციალური კანონის ნორმებში „ქურდული სამყაროს" შესახებ, რომლის წევრობაც პირს ბრალად ედება.

გარკვეულ უხერხულობებს იწვევს ასევე საქართველოს სსკ-ის 223[1] მუხლის მე-2 ნაწილში გამოყენებული ისეთი ტერმინოლოგიური სიახლე, როგორიცაა „კანონიერი ქურდობა". ადვილი მისახვედრია, რომ ეს ტერმინი გამომდინარეობს ჩვენი საზოგადოების ერთ, კრიმინალური მენტალობის მქონე ნაწილში გავრცელებული და დამკვიდრებული ისეთი ცნებიდან როგორიცაა „კანონიერი ქურდი". ზემოთ აღნიშნული იყო იმის შესახებ, რომ სპეციალურმა კანონმა „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ" და საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკამ უკვე წარმოაჩინა — რას ნიშნავს იყო კანონიერი ქურდი ანუ პირის მახასიათებელი როგორი ატრიბუტიკა მოიაზრება ამ ცნებაში. ცხადია, როგორც ყოველთვის, პრაქტიკას თავისი კონკრეტული ამოცანები აქვს გადასაწყვეტი და ამის გამო, მან შესაძლოა, ცალკეულ უხერხულობებს, რაც ბრალდების ფორმულირებაში გამოყენებული საკანონმდებლო კატეგორიების ტერმინოლოგიურ პრობლემებს უკავშირდება, ნაკლებად გაუნიოს ანგარიში, მაგრამ აღნიშნულისგან განსხვავებით, კანონმდებელმა, როცა ის საკანონმდებლო ნორმის დისპოზიციას აყალიბებს, მსგავს უხერხულობებს ყველა შესაძლო საშუალებით უნდა აარიდოს თავი.

მოცემულ შემთხვევაში დასახელებულ საკანონმდებლო ნორმაში გამოყენებული ტერმინი „კანონიერი ქურდობა" და

„კანონიერი ქურდი“ ნასესხებია კრიმინალური ელემენტების ლექსიკონიდან, რაც ვერ ჩაითვლება ტერმინოლოგიური პრობლემის გადაწყვეტის მისაღებ გზად და საშუალებად, რადგან ამით ხდება, ერთი მხრივ, კრიმინალური ლექსიკისა და, მაშასადამე, თვით კრიმინალური ელემენტების ერთგვარი პოპულარიზაცია, ხოლო მეორე მხრივ, არც ის არის გამორიცხული, რომ მან, შესაძლოა, სათავე დაუდოს გარკვეულ სამართლებრივ შეუსაბამობებს და გაუგებრობებს, რაც ერთობ არასასურველია.

საქმე ისაა, რომ თავის დროზე ტერმინი „კანონიერი“ მიისაკუთრა დამნაშავეთა წრემ, რაშიც გამოიხატა აღნიშნული წრისთვის დამახასიათებელი უკიდურესად ცინიკური დამოკიდებულება და თავხედობა კანონმორჩილი საზოგადოებისა და თვით კანონის, როგორც სახელმწიფოს საფუძველთა საფუძვლის მიმართ. ამასთან, ამ გზით კრიმინალური ელემენტები ცდილობენ დააკნინონ საზოგადოების მართლშეგნება და საზოგადოების წარმოდგენაში ერთგვარი ლეგიტიმაცია გაუკეთონ დანაშაულებრივ საქმიანობასა და ქურდობის ინსტიტუტს, ნეგატიური გავლენა მოახდინონ ახალგაზრდობის, განსაკუთრებით კი მოზარდი თაობის სოციალურად ჯერ კიდევ მოუმწიფებელ და ჩამოუყალიბებელ ფსიქიკაზე, შეუცვალონ მას ღირებულებითი ორიენტაცია და ამ გზით გადააქციონ იგი კრიმინალური სფეროს მუდმივ მკვებავ წყაროდ.

ტერმინი „კანონიერი“ ნებისმიერ შემთხვევაში ცალსახად გულისხმობს სახელმწიფოს მიერ ამა თუ იმ ფორმით ოფიციალურად დაშვებულს, მიღებულს, ნებადართულს და სხვა ანალოგიური შინაარსობრივი დატვირთვის მქონე მოვლენას, რაც სრული ანტიპოდია არა მხოლოდ ყოველგვარი დანაშაულებრივის, არამედ ნებისმიერი კანონსაწინააღმდეგო და მართლსაწინააღმდეგო შინაარსისა თუ დატვირთვის მქონე მოვლენისა. ამდენად, ტერმინ „კანონიერის“ ქურდთან მიმართებაში თუნდაც პირობითად გამოყენება არ არის სასურველი და

გამართლებული, რის გამოც განსახილველი კრიმინალური მოვლენის არსის გადმოსაცემად აუცილებელია ისეთი ტერმინის შერჩევა, რომელიც შესაბამისი საკანონმდებლო ნორმის დანიშნულებისა და მნიშვნელობის ადეკვატური იქნება, ამასთან, რომლითაც მოხერხდება ხსენებული ანტისოციალური ქმედების მართლსაწინააღმდეგო არსის სრულყოფილად წარმოჩენა. საკანონმდებლო ნორმის ამგვარი სრულყოფა, თავის მხრივ, ხელს შეუწყობს სასამართლო პრაქტიკის შემდგომ დახვეწასა და განვითარებას, აღნიშნული ხასიათის დანაშაულებთან ბრძოლაში კანონიერების განუხრელად დაცვას.

როგორც აღინიშნა, განსახილველ დანაშაულებთან დაკავშირებით გარკვეული ტერმინოლოგიური პრობლემები დამახასიათებელია არა მხოლოდ კანონმდებლობისათვის, არამედ სასამართლო პრაქტიკისთვისაც. მხედველობაშია შემდეგი გარემოება: ქურდული სამყაროს წევრობისა და კანონიერი ქურდობის დანაშაულთა საქმეებში არსებულ საბრალდებო დასკვნებში, განაჩენებსა თუ სხვა საპროცესო დოკუმენტებში გამოიყენება სხვადასხვა ისეთი ტერმინი, რომელთა განმარტების უქონლობამ შეიძლება გაურკვევლობა გამოიწვიოს პირისათვის წარდგენილ ბრალდებაში. მაგალითად, პრაქტიკაში გამოყენებული ასეთი ტერმინებია — „ქურდული საერთო", „საკნის მაყურებელი", „ქურდული (კრიმინალური) გარჩევა", „ქურდული ტრადიცია", „ქურდული წესები" და სხვა, რომელთა შინაარსის დაუდგენლად პირისთვის წარდგენილი ბრალდება გარკვეული ბუნდოვანების შემცველი იქნება. ისეთი ტერმინი, როგორიცაა „ქურდული საერთო", წარმოადგენს რუსული ტერმინის „ობშიაკ"-ის პირდაპირ ენობრივ თარგმანს და არა სამართლებრივად ადეკვატურ თარგმანს. სინამდვილეში, მასში იგულისხმება ქურდებისა თუ სხვა კრიმინალური ელემენტების მიერ შექმნილი და მათსავე კონტროლს დაქვემდებარებული ერთგვარი სალარო, რომელშიც გროვდება დანაშაულებრივი გზებით შეგროვებული ფულადი თანხები, განკუთვნილი დანაშაულებრივი მიზნების მისაღწ-

ევად, თუმცა, ამ შემთხვევაში, შესაძლოა ტერმინი — „ქურდული სალაროც" პირობითი ხასიათის იყოს, მაგრამ ბევრად უფრო გასაგებია, ვიდრე „ქურდული საერთო". ასე რომ, ქურდული სამყაროს წევრობასთან და კანონიერ ქურდობასთან მიმართებით ტერმინოლოგიურ დახვეწას საჭიროებს არა მარტო სისხლის სამართლის კანონმდებლობა, არამედ, მასთან ერთად, საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაც.

ყოველივე ზემოთქმულთან ერთად, აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ თვით საკანონმდებლო ნორმაში (მხედველობაშია საქართველოს სსკ-ის 223[1]-ე მუხლი) არ არის რაიმე მითითება მასზე, შეიძლება თუ არა, რომ ქურდული სამყაროს წევრობა და კანონიერი ქურდობა ჩადენილ იქნეს რაიმე მაკვალიფიცირებელ გარემოებებში, რომელთა თაობაზე მითითება გვხვდება სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის სხვა მუხლებში (მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ საქართველოს სსკ-ის 177-ე, 178-ე, 179-ე, 180-ე, 181-ე მუხლები და სხვა). ეს გარემოება, მოცემულ შემთხვევაში, საყურადღებოა იმდენად, რამდენადაც წინამდებარე კვლევისთვის, დასახული მიზნებიდან გამომდინარე, ქურდული სამყაროს წევრობა და კანონიერი ქურდობა ინტერესის საგანს წარმოადგენენ, როგორც ორგანიზებული დანაშაულის ფორმები.

ქურდული სამყაროს წევრობისა და კანონიერი ქურდობის დანაშაულთა თაობაზე წარმოებულ სისხლის სამართლის საქმეებში წარმოდგენილი საბრალდებო დასკვნები და განაჩენები არაფერს მიუთითებენ მათ შესახებ, როგორც ორგანიზებულ დანაშაულებზე, თუმცა აღნიშნულ დოკუმენტებში ბრალდების ფაბულა ჩამოყალიბებულია ისეთი შინაარსით, რომ სრულიად არაორაზროვნად იგულისხმება დამნაშავეთა ქმედების ორგანიზებული ხასიათი. აღნიშნულის დასადასტურებლად შეიძლება მიეთითოს შემდეგ მაგალითებზე: ქ.უ.-ს და სხვათა ბრალდების საქმეზე დადგენილ განაჩენში, რომლითაც მათ ბრალი დაედოთ ქურდული სამყაროს წევრობაში,

მითითებულია შემდეგი: ქ.უ. თბილისის №5 საპყრობილეში მოთავსებული „საკნის მაყურებლის“ — შ.ა.-ს სიტყვიერი დავალებით ორგანიზებას უწევდა საკანში მყოფი სხვა პატიმრების ოჯახის წევრებისაგან ქურდული სამყაროს წესებით აღიარებულ ქურდულ საერთოში შესატანი თანხების შეგროვებას, აგრეთვე მობილური ტელეფონით სარგებლობისთვის პირობების შესაქმნელად საჭირო თანხების შეგროვებას. იგი მითითებული მიზნებით სხვადასხვა დროს შეგროვებულ ფულად თანხებს გადასცემდა ზ.ჩ.-ს (აღნიშნული სასჯელაღსრულების დაწესებულების მოხელე), რომელიც თავის მხრივ, აღნიშნულ თანხებს ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად გადასცემდა პატიმარ შ.ა.-ს. ამასთან, ქ.უ. მის მიერ ქურდული „ობშიაკის“ შეგროვებული თანხების ნაწილს შ.ა.-ს მითითებით იტოვებდა თავისთან მისგან მიღებული ცალკეული დავალებების შესასრულებლად.

ზ.კ-ს ბრალდების საქმეში არსებულ საბრალდებო დასკვნასა და განაჩენში, რომელსაც ბრალი დაედო კანონიერი ქურდობის ჩადენაში, მითითებულია შემდეგი: ზ.კ. 1971 წელს თბილისში, ქურდულ შეკრებაზე — ე.წ. „ქურდულ სხოდკაზე“ აწ გარდაცვლილი კანონიერი ქურდის — ა.მ.-ს მიერ აღიარებულ იქნა კანონიერ ქურდად. ამის შემდეგ იგი სისტემატურად იღებდა მონაწილეობას სხვადასხვა კრიმინალურ გარჩევებში, რომელიც დღემდე აგრძელებს კანონიერ ქურდობას, ამჟამადაც აღიარებს რა ქურდულ ტრადიციებს და მონაწილეობს ქურდულ შეკრებებსა და „გარჩევებში“. მისი ინიციატივით, საქართველოში ეწყობოდა ქურდული შეკრებები — „ქურდული სხოდკები“, რომლებიც იმართებოდა სხვა კრიმინალური ავტორიტეტების კანონიერ ქურდად აღიარების მიზნით, ასევე კანონიერი ქურდებისათვის გავლენის სფეროების გადანაწილებასთან დაკავშირებული საკითხების დასარეგულირებლად და სხვადასხვა სახის დანაშაულებრივი საკითხების გადასაწყვეტად. მის დავალებებს საქართველოში ემორჩილებიან ქურდული სამყაროს წევრები.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზი თვალნათლივ გვიჩვენებს, რომ ის პირები, რომლებიც თავიანთ თავს აკუთვნებენ ქურდულ სამყაროს (იგულისხმებიან მენტალურად ჩამოყალიბებული ქურდული სამყაროს წევრები და კანონიერი ქურდები), ნებისმიერ შემთხვევაში, თავიანთ საქმიანობაში გამოირჩევიან მაღალი ორგანიზებულობით — აღნიშნული საქმიანობის განსახორციელებლად საჭირო მყარი ორგანიზაციული სტრუქტურების ჩამოყალიბებით, ურთიერთშორის ფუნქციების გადანაწილებით, აგრეთვე ცალკეული დანაშაულებრივი აქციების ზედმიწევნითი დაგეგმვითა და მკაცრი დისციპლინით. ცხადია, ასეთ პირობებში ვერც ქურდული სამყაროს წევრობა და ვერც კანონიერი ქურდობა ვერ მოიაზრება ამ დანაშაულებში ბრალდებული პირის სხვა დამნაშავეთა ორგანიზაციულ გაერთიანებასთან მჭიდრო კავშირ-ურთიერთობის გარეშე. სხვაგვარად რომ ითქვას, ქურდული სამყაროს წევრობაც და კანონიერი ქურდობაც თავიანთი იმანენტური ბუნებით, აუცილებლობით გულისხმობენ მათ არსებობას ორგანიზებული დანაშაულის ფორმით, რის გამოც ასეთ ვითარებაში გამორიცხულია კანონმდებლის მიერ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამის მუხლში გადიდებული სასჯელის დაწესება აღნიშნულ დანაშაულთა ჩადენისთვის ორგანიზებული ჯგუფის მიერ, რაც სამართლებრივად სრულიად გაუმართლებელი იქნებოდა.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სრულიად ნათელია, რომ მითითებული სამართლებრივი შეუსაბამობისა და ხარვეზებისა თუ ტერმინოლოგიური პრობლემების გამოსასწორებლად, აგრეთვე საკანონმდებლო ნორმებში მოცემული ცნებებისა და კატეგორიების პრაქტიკასთან დაახლოების მიზნით, აუცილებელია საქართველოს სსკ-ის 223[1] მუხლის ისეთი ახალი რედაქციის შემუშავება და მიღება, რომელიც დააკმაყოფილებს იმ მოთხოვნებს, რაც კარგად გამართულ საკანონმდებლო ნორმას წაეყენება და რომელთა შესახებ ზემოთ უკვე იყო საუბარი. ასეთი საკანონმდებლო ნორმის შე-

მუშავებისას გათვალისწინებულ უნდა იქნეს ის გარემოება, რომ ქურდული სამყაროს წევრობა და კანონიერი ქურდობაც უკავშირდება კრიმინალურ ელემენტებს შორის გარკვეული ორგანიზაციული კავშირის აუცილებელ არსებობას, რომლის გარეშე ვერც ერთი მათგანი ვერ იარსებებს. თუკი ამ კავშირურთიერთობებმა სათანადო ასახვა ვერ ჰპოვა შესაბამის კანონში, მაშინ მითითებულ ანტისოციალურ მოვლენასთან სრულფასოვანი ბრძოლის წარმოება უთუოდ გაძნელდება. ყოველივე აღნიშნულის გათვალისწინებით, საქართველოს სსკ-ის 223[1] მუხლის ახალი რედაქციის ერთ-ერთი ვარიანტი შეიძლება შემდეგი სახით იქნეს წარმოდგენილი:

მუხლი 223[1]. დანაშაულებრივი გაერთიანების შექმნა და მის საქმიანობაში მონაწილეობა

1. **დანაშაულებრივი გაერთიანების შექმნა, რომელიც ხასიათდება მისი წევრების მყარი ორგანიზაციული კავშირით და რომლის მიზანია ხანგრძლივი დროის განმავლობაში გაერთიანების წევრთა ერთობლივი საქმიანობის ორგანიზება სხვადასხვა დანაშაულთა ჩასადენად ან ჩადენილ დანაშაულთა დაფარვისთვის, ან/და ასეთი გაერთიანების ხელმძღვანელობა, აგრეთვე იძულებით ან სხვა გზით პირის დაყოლიება აღნიშნული გაერთიანების წევრობაზე, მის საქმიანობაში მონაწილეობის მიღებაზე, ან მასთან სხვაგვარად თანამშრომლობისთვის, — ისჯება...**
2. ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებული დანაშაულებრივი გაერთიანების წევრობა, აგრეთვე წინასწარი შეცნობით ასეთი გაერთიანების საქმიანობაში მონაწილეობის მიღება ან დანაშაულებრივი მიზნით მასთან სხვაგვარად თანამშრომლობა, — **ისჯება...**
3. ამ მუხლის პირველ ნაწილში მითითებული დანაშაულებრივი გაერთიანების წევრის მონაწილეობა კრიმინალური თუ სხვა უკანონო დავების გადაწყვეტაში, აგრეთვე მისი სხვაგვარი საქმიანობა, მიმართული მის მიერ გაერთიანების

სხვა წევრებზე გავლენისა და სპეციალური პრივილეგიური სტატუსის მოსაპოვებლად ან/და გაერთიანების სხვა წევრისთვის ასეთივე სტატუსის მისანიჭებლად, დაკავშირებული აღნიშნული დანაშაულებრივი გაერთიანების წევრობისთვის სავალდებულოდ აღიარებული სპეციალური დანაშაულებრივი წესების, რიტუალებისა თუ ტრადიციის აღსრულებასთან, მხარდაჭერასა და გავრცელებასთან, რითაც საფრთხეს უქმნის საზოგადოებრივ უშიშროებასა და მართლწესრიგს, — ისჯება...

საქართველოს სსკ-ის 223[1] მუხლის ახალი რედაქციის წარმოდგენილი ვარიანტი, მართალია, შეიძლება არ იყოს დაზღვეული სადავო მომენტებისგან, მაგრამ მოქმედი საკანონმდებლო ნორმისგან განსხვავებით, მასში მოცემულია მთელი რიგი კრიტერიუმებისა, რომლებიც საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის თვალსაზრისით გახდებიან სასარგებლო ორიენტირები პირის მიერ ჩადენილი ქმედების ინკრიმინირებისა და კვალიფიკაციის სწორად განსაზღვრისთვის, აგრეთვე მონათესავე ბუნების მქონე ისეთი სისხლისსამართლებრივი დელიქტებისგან მისი გამიჯვნისთვის, როგორიცაა უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა ან ხელმძღვანელობა ან მასში მონაწილეობა ანდა მისი დაფინანსება (სსკ-ის 223-ე მუხლი), ბანდიტიზმი (სსკ-ის 224-ე მუხლი) და რეკეტულ დაჯგუფებაში მონაწილეობა (სსკ-ის 224[1]-ე მუხლი).

§ 2. ქურდული სამყაროს წევრობისა და კანონიერი ქურდობის საპროცესო სამართლებრივი ასპექტები

საქართველოს სსკ-ის 223[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულები — ქურდული სამყაროს წევრობა და კანონიერი ქურდობა ინტერესს იწვევენ არა მხოლოდ მატერიალური სამართლის თვალსაზრისით, არამედ, ასევე, სისხლის სამართლის პროცესის თვალსაზრისითაც. ამ მიმართებით საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკაში არსებული სისხლის სამართლის საქმეების შესწავლამ აჩვენა, რომ აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე ბრალდების დადასტურება მნიშვნელოვან პრობლემებთან არის დაკავშირებული, რასაც განაპირობებს როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზები. ობიექტურ მიზეზებად, რომლებიც აძნელებენ ხსენებული დანაშაულის გამოვლენასა და დადგენას, შეიძლება მივიჩნიოთ შემდეგი: ქურდული სამყაროს წევრებისა და კანონიერი ქურდების საქმიანობის ძალზე კონსპირაციული ხასიათი; მათი ორგანიზაციის რიგებში ინფორმატორის მოძიების ან გარედან მისი ჩანერგვის სიძნელე; მათი დანაშაულებრივი ქმედებების შემსწრე მოწმეებისა და დაზარალებულების შიში მხილებული და დაკავებული დამნაშავის უკან მდგარი კრიმინალური ელემენტებისგან მოსალოდნელი შურისძიების მიმართ, რის გამოც ისინი თავს არიდებენ ბრალდების მოწმედ გამოსვლასა და ბრალდების მხარდაჭერას ან/და სასამართლოში ცვლიან ჩვენებებს განსასჯელთა სასარგებლოდ; სამართალდამცავი სტრუქტურების მიერ მოპოვებული მტკიცებულებითი ინფორმაციის არასრულფასოვნება იმ თვალსაზრისით, რომ იგი მოკლებულია კონკრეტულ ხასიათს და მხოლოდ ზოგადად მიუთითებს დანაშაულებრივი ფაქტების შესაძლო არსებობაზე.

გარდა ამისა, არსებობს გარკვეული სუბიექტური ფაქტორე-

ბიც, რომლებიც ართულებენ ქურდული სამყაროს წევრობასთან და კანონიერ ქურდობასთან ბრძოლას. ასეთ ფაქტორებს მიეკუთვნება: ვინაიდან განხილულ დანაშაულთა კრიმინალიზაციიდან მცირე დროა გასული, ჯერ კიდევ სამართალდამცავი სტრუქტურების მუშაკებისა და მოსამართლეების სათანადო გამოცდილების უქონლობა საქმეთა სრულყოფილი წარმოებისთვის; საზოგადოებაში მართლშეგნების და კრიმინალურ მოვლენებთან ბრძოლის განწყობილების სისუსტე; ცალკეულ შემთხვევაში საქმისადმი ზერელე დამოკიდებულება მტკიცებულებების მოპოვებისა და დამაგრების პროცესში; აღნიშნულ დანაშაულთა ჩამდენი კრიმინალური ელემენტების მრავალწლიანი პროფესიული გამოცდილება, რაც მათ საშუალებას აძლევს თავი აარიდონ დანაშაულში მხილებას და გავლენა იქონიონ მოწმეებსა და დაზარალებულებზე; მოცემული კატეგორიის საქმეების წარმოებისას სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობის შესაბამისი ნორმებით დადგენილ მოთხოვნათა დაუცველობა, რაც იწვევს მტკიცებულებათა ბაზის შესუსტებას.

დასახელებული ფაქტორების ერთობლივი მოქმედება ძალზე ნეგატიურ დაღს ასვამს მოცემული კატეგორიის საქმეებზე არსებულ სასამართლო პრაქტიკას, რაც საჭიროებს ამ მიმართებით ყურადღების გაძლიერებას, რათა, ერთი მხრივ, ქურდული სამყაროს წევრობასა და კანონიერ ქურდობასთან ბრძოლის პრაქტიკა გახდეს უფრო ეფექტური, ხოლო მეორე მხრივ, საქმეთა წარმოებისას მაქსიმალურად იქნეს დაცული პროცესის მონაწილეთა საქართველოს კონსტიტუციითა და საპროცესო კანონით გარანტირებული უფლებები.

რაც შეეხება კონკრეტულ სისხლის სამართლის საქმეებთან დაკავშირებულ პრობლემებს, უნდა აღინიშნოს შემდეგი: თუკი განვაზოგადებთ, უმეტეს შემთხვევაში ძირითადი ნაკლი მდგომარეობს მასში, რომ პირისთვის შერაცხული ბრალდება შემოიფარგლება მხოლოდ ძალზე ზოგადი ფორ-

მულირებებით, სადაც აღნიშნულია ქურდული სამყაროს წევრის ან კანონიერი ქურდის კრიმინალურ საქმიანობაზე, მათ კრიმინალურ დამნაშავეთა სფეროში ურთიერთობებსა და კავშირებზე, მათ კრიმინალურ ავტორიტეტებად აღიარებაზე, კრიმინალურ წრეებში მათ გავლენებზე და ა.შ., რაც მიჩნეულია მათი ბრალეულობის დამადასტურებელ ფაქტობრივ გარემოებებად. მაგრამ აღნიშნული მსჯელობებით არ არის დაზუსტებული როდის, სად, რა ვითარებაში და ვის მიმართ ხდებოდა მსჯავრდებულთა მიერ მათთვის ბრალად შერაცხული ქმედებების ჩადენა. ამ მომენტს კი არსებითი მნიშვნელობა გააჩნია პასუხისმგებლობის დაკისრების კანონიერების თვალსაზრისით, რადგან ქურდული სამყაროს წევრობისა და კანონიერი ქურდობისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, როგორც ცნობილია, დაწესდა 2006 წლის დასაწყისიდან, ხოლო თითქმის ყველა საქმეში აღნიშნულია, რომ პასუხისგებაში მოცემული და მსჯავრდებული პირი კანონიერ ქურდად აღიარებულ იქნა ბევრად უფრო ადრე, კერძოდ, გასული საუკუნის 70-იან, 80-იან და 90-იან წლებში, ხოლო ბრალდების მოწმეები რომელთა უმეტეს ნაწილს პოლიციის ორგანოებისა და სასჯელაღსრულების დაწესებულებათა მუშაკები წარმოადგენენ, ვერ იძლევიან დაზუსტებულ ინფორმაციას თუ როდის, რა პერიოდში ახორციელებდა განსასჯელი იმ ქმედებებსა თუ საქმიანობას, რაც საფუძვლად დაედო მის მიმართ წარდგენილ ბრალდებას, ვის მიმართ იქნა ჩადენილი აღნიშნული ქმედებები, ან საიდან, რა გზითა და ვისი მეშვეობით გახდა მოწმისთვის ცნობილი განსასჯელის კრიმინალური საქმიანობის თაობაზე. ამის გამო ბრალდების მოწმეთა ჩვენებებში ხშირად გვხვდება გამონათქვამები იმის შესახებ, რომ განსასჯელის კრიმინალური საქმიანობის თაობაზე მისთვის ცნობილია საზოგადოებაში გავრცელებული ხმებით, კრიმინალურ წრეებში დამკვიდრებული აზრით და ა.შ., რომელთა ფაქტობრივი დადასტურება თითქმის არ ხდება.

ქურდული სამყაროს წევრობისთვის მსჯავრდებული პირებიდან შეიძლება გამოვყოთ ორი კატეგორია: 1) პირები, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებულნი კრიმინალურ წრეებთან როგორც თავიანთი ცხოვრების წესით, ისე თავიანთი ღირებულებითი ორიენტაციით და აქტიურ მონაწილეობას იღებენ კრიმინალურ საქმიანობაში; 2) პირები, რომლებსაც, მართალია, ჰქონდათ გარკვეული შეხება კრიმინალურ წრესთან და მის წარმომადგენლებთან, მაგრამ უმეტესად ეს ხდებოდა მათი ნების საწინააღმდეგოდ, რომლებიც ვერ ახერხებდნენ წინ აღდგომოდნენ კრიმინალური ელემენტებისგან მომდინარე ზეწოლას, რის გამოც ისინი გვევლინებიან როგორც უნებლიე ხელშემწყობები კრიმინალურ ავტორიტეტთა კანონსაწინააღმდეგო საქმიანობისა. ამიტომ, შეიძლება ითქვას, რომ ამ მეორე კატეგორიის პირთა მოხსენიება ქურდული სამყაროს წევრებად, პირობითი ხასიათისაა. ამის მაგალითად შეიძლება დავასახელოთ ერთ-ერთ სამარშრუტო ხაზზე მომუშავე მიკროავტობუსების მძღოლების — ს.ს.-ს, რ.ო.-ს, ვ.მ.-სა და სხვათა ბრალდების საქმე, რომლებიდანაც ყოველთვიურად ხდებოდა გარკვეული ფულადი თანხების შეგროვება კრიმინალური ავტორიტეტის, ვინმე მ.ა.-ს მიერ, რომელსაც აკრეფილი თანხები შეჰქონდა ქურდულ სალაროში — ე.წ. „ობშიაკში" სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი კანონიერი ქურდებისა და სხვა კრიმინალური ავტორიტეტების დასახმარებლად.

გარდა აღნიშნულისა, ქურდული სამყაროს წევრობასთან დაკავშირებით ყურადღებას იქცევს საგამოძიებო პრაქტიკის არაერთგვაროვანი მიდგომა ერთი და იგივე ქმედების ჩამდენი სხვადასხვა პირების მიმართ. აქ მხედველობაშია შემდეგი გარემოება: როგორც ზემოთ აღინიშნა ერთ-ერთ საქმეზე სამარშრუტო ხაზზე მომუშავე რამდენიმე მიკროავტობუსის მძღოლები მიცემულ იქნენ პასუხისგებაში ქურდული სამყაროს წევრობის ბრალდებით, იმის გამო, რომ მათგან იკრიფებოდა

თანხები ქურდულ სალაროში შესატანად, რომელიც გადაეცემოდა კრიმინალურ ავტორიტეტს. იმავე საქმეში ფიგურირებენ სხვა მძღოლებიც, რომლებიც ასევე იძლეოდნენ თანხებს კრიმინალური ავტორიტეტისთვის, მაგრამ ისინი არ ყოფილან მიცემულნი პასუხისგებაში, მიუხედავად იმისა, რომ ამ უკანასკნელებს არ განუცხადებიათ ხსენებული თანხების მათგან იძულებით წართმევის შესახებ. უფრო მეტიც, პირი, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობდა მძღოლებისგან თანხების შეკრებას, ხოლო მოგროვილ თანხას გადასცემდა კრიმინალურ ავტორიტეტს, ასევე არ ყოფილა მიცემული პასუხისგებაში. ანალოგიური ქმედებების ჩამდენი პირებისადმი არასტანდარტული მიდგომა მჟღავნდება კიდევ ერთ, მრავალბრალდებულიან საქმეში. ერთ-ერთი ბრალდებულის ძმა პასუხისგებაში იქნა მიცემული ქურდული სამყაროს წევრობისთვის იმის გამო, რომ მან შეასრულა დაპატიმრებული ძმის შემოთვლილი თხოვნა მისთვის გარკვეული თანხის გაგზავნის თაობაზე, მაშინ, როდესაც იმავე საქმეში მონაწილე სხვა ბრალდებულის დედა, რომელმაც დაპატიმრებულ შვილს გაუგზავნა თანხა ქურდული სალაროსთვის, არ იქნა მიცემული პასუხისგებაში მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ცნობილი იყო შვილისთვის გაგზავნილი თანხის დანიშნულება.

ქურდული სამყაროს წევრობისა და კანონიერი ქურდობის თაობაზე წარმოებულ საქმეებში გვხვდება ისეთი შემთხვევებიც, როდესაც საგამოძიებო ორგანოს მიერ არ იქნა სრულად გამოყენებული საპროცესო კანონით გათვალისწინებული შესაძლებლობები მტკიცებულებების მოპოვებისა და მისი დამაგრებისთვის. მაგალითად, ერთ-ერთ საქმეში მტკიცებულებად მითითებულია კრიმინალურ ელემენტებს შორის წარმოებული სატელეფონო საუბრის ფარული ჩანაწერი, მაგრამ შემდეგში არ იქნა ჩატარებული ფონოგრამიული ექსპერტიზა ხმის იდენტიფიკაციის მიზნით, რის გამოც

აღნიშნული მტკიცებულება დაცვის მიერ, არცთუ უსაფუძვლოდ, სადავოდ იქნა გამხდარი. სხვა შემთხვევაში განაჩენში მითითებულია, რომ ერთ-ერთმა კანონიერმა ქურდმა უცხოეთიდან დაურეკა მნიშვნელოვანი სამართალდამცავი სტრუქტურის ერთ-ერთ პასუხისმგებელ პირს, რომელსაც განუცხადა, რომ ის არის კანონიერი ქურდი და ითხოვს კანონიერი ქურდების დევნის შეწყვეტას, წინააღმდეგ შემთხვევაში მთელი ქურდული სამყარო გაერთიანდება სამართალდამცავი ორგანოების წინააღმდეგ საბრძოლველად კანონიერი ქურდობის დასაცავად. ხსენებული მოწმის ჩვენება ისე იქნა მიღებული მტკიცებულებად, რომ არ იქნა შემოწმებული და დადგენილი: რომელი ქვეყნიდან განხორციელდა სატელეფონო ზარი; რომელი უცხოური მობილური კავშირგაბმულობის კომპანიის ქსელის მეშვეობით განხორციელდა სატელეფონო ზარი დასახელებული მოწმის ნომერზე; როგორი იყო ზარის განმახორციელებელი ტელეფონის მონაცემები — ნომერი და კოდი; ვის საკუთრებად ირიცხებოდა აღნიშნული ტელეფონი ან ვის მფლობელობაში იყო იგი ზარის განხორციელებისას, რაზედაც სამართლიანად მიუთითებდა დაცვის მხარე.

განსახილველი კატეგორიის საქმეების სასამართლო განხილვებისას გვხვდება ისეთი ცალკეული დარღვევაც, რომელიც ხელს უშლის დაცვის მხარეს მასში, რომ სრულფასოვნად დაიცვას განსასჯელის უფლებები და კანონიერი ინტერესები. მაგალითად, ერთ-ერთი საქმის განხილვისას დაცვის მხარემ საპროცესო ნორმების დაცვით დააყენა შუამდგომლობა დაცვის დამატებითი მოწმეების დაკითხვის თაობაზე, რაზედაც სასამართლოს მიერ უარი ეთქვა იმ მოტივით, რომ აღნიშნულ მოწმეთა დაკითხვა ხელს ვერ შეუწყობდა საქმეზე ჭეშმარიტების დადგენას, რითაც დაირღვა არა მარტო სისხლის სამართლის საპროცესო ნორმებით, არამედ საქართველოს კონსტიტუციითა და ადამიანის უფლებათა შესახებ

ევროპული კონვენციით აღიარებული უფლებები. სხვა შემთხვევაში სასამართლოს მიერ არ იქნა დაკმაყოფილებული დაცვის შუამდგომლობა მტკიცებულების დაუშვებლად ცნობაზე, რომელთან დაკავშირებითაც დამცველი მიუთითებდა, რომ მტკიცებულების საქმესთან შესახებობა არ იყო დადგენილი დაქტილოსკოპიური და ფიზიკო-ტექნიკური ექსპერტიზების მეშვეობით. სასამართლომ უარის თქმის საფუძვლად ის მოტივი მიუთითა, რომ დაცვის მხარეს შეეძლო თვითონ ჩაეტარებინა საჭირო ექსპერტიზები მტკიცებულებასთან დაკავშირებით,¥ რითაც ფაქტობრივად დაცვის მხარეს გადააკისრა მტკიცების მოვალეობა, რაც სრულიად გაუმართლებელია.

გარდა აღნიშნულისა, არის ისეთი სისხლის სამართლის საქმეებიც, რომლებშიც განაჩენები საკმაოდ საფუძლიანადაა დასაბუთებული. ძირითადად, ეს ისეთი შემთხვევებია, როდესაც პირს წაასწრეს უშუალოდ დანაშაულის ფაქტზე, ანუ იმ ქმედების ჩადენისას, რომლებიც იძლევიან ქურდული სამყაროს წევრობისა და კანონიერი ქურდობის შემადგენლობას. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ ო.გ-ს ბრალდების საქმე, რომელიც წასწრებულ იქნა ახალგაზრდების ორ ჯგუფს შორის მიმდინარე კრიმინალური გარჩევისას, რომელშიც იგი მონაწილეობდა როგორც არბიტრი და აღნიშნულ დავას წყვეტდა ქურდული წესებით დადგენილი ნორმების შესაბამისად. თვითონ ო.გ., უარყოფდა რა დანაშაულის ჩადენას, ახალგაზრდების დავაში მის ჩარევასა და თავის მონაწილეობას იმით ხსნიდა, რომ იგი მამაშვილურ დარიგებებს აძლევდა ახალგაზრდებს, რათა მათ ერთმანეთში არ ეჩხუბათ. ო.გ-მ პასუხი აგო ქურდული სამყაროს წევრობისთვის. შეიძლება დავასახელოთ ასევე, გ.შ-ს ბრალდების საქმე, ქ.უ-სა და შ.ა-ს ბრალდების საქმე, რომლებსაც პასუხისმგებლობა დაეკისრათ საქართველოს სსკ-ის 223[1] მუხლის პირველი ნაწილით.

საბოლოოდ, შეიძლება აღინიშნოს, რომ ქურდული სამყაროს წევრობისა და კანონიერი ქურდობის თაობაზე არსებული საგამოძიებო და სასამართლო პრაქტიკის ანალიზიდან გამომდინარე, უდავოა ის გარემოება, რომ აღნიშნული პრაქტიკა საჭიროებს არსებით გაუმჯობესებასა და დახვეწას, რათა, ერთი მხრივ, უფრო ეფექტური გახდეს ორგანიზებული დანაშაულის მოცემულ ფორმებთან წარმოებული სისხლის-სამართლებრივი ბრძოლა, ხოლო მეორე მხრივ, მაქსიმალურად იქნეს დაცული ადამიანის უფლებები აღნიშნული კატეგორიის საქმეებზე სისხლის სამართალწარმოების განხორციელებისას. ამასთან, იმავე ანალიზის შედეგად ისიც ცხადია, რომ ხსენებული პრაქტიკის გაუმჯობესება და წინ წაწევა ვერ მოხდება იმ საკანონმდებლო ნორმების დახვეწისა და განვითარების გარეშე, რომლებსაც შეხება აქვთ ქურდული სამყაროს წევრობასა და კანონიერ ქურდობასთან, რადგან ცნობილია, რომ საკანონმდებლო ბაზის არასრულყოფილება მნიშვნელოვნად განაპირობებს სასამართლო პრაქტიკის ნაკლოვანებებს. ამიტომ, ხელშესახები პოზიტიური შედეგების მისაღებად, როგორც კანონმდებლობის, ისე სასამართლო პრაქტიკის ყველა პრობლემა ამ მიმართებით ერთობლიობაში უნდა იქნეს განხილული და გადაწყვეტილი.

გოჩა მამულაშვილი
სამართლის დოქტორი

გიორგი გორაშვილი
სამართლის დოქტორი

§ 3. ქურდული სამყაროს წევრობისა და კანონიერი ქურდობის წინააღმდეგ მიმართული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი *(ნაწილი პირველი)*

„კანონიერი ქურდი", ანუ „ჩარჩოში ჩასმული ქურდი", სრულიად უცხო და გაუგებარი რამ არის ბევრი ქვეყნისთვის, მაგრამ ძალიან ცნობილია საქართველოში. „კანონიერი ქურდი" როგორც დამნაშავეთა სამყაროს ერთ-ერთი მიმართულების, მპარავების წინამძღოლი, რუსეთის ციხეებში ჩამოყალიბდა გასული საუკუნის 30-იან წლებში. ეს არის რუსული წარმოშობის მოვლენა, რომელიც გავრცელდა რუსეთისს მთელ ტერიტორიაზე და მათ შორის საქართველოშიც. ექსპერტები თვლიან, რომ კანონიერი ქურდის ჩამოყალიბებას საფუძვლად დაედო რამდენიმე სუფთა რუსული მოვლენა თუ ტრადიცია: ციმბირი, ციხეები, „ლაგერები" და სხვა. ასევე, ეს არის რუსული სამონასტრო ტრადიცია და რუსული სახელმწიფოს უარყოფის ტრადიცია. ამას დაემატა სტალინის ციხის განსაკუთრებული პირობები და წესები და დაიბადა ე.წ. ჩარჩოიანი ქურდი რუსულ ციხეში. კანონიერი ქურდი თავისი ცხოვრების წესით მოქცეული იყო უმკაცრეს ჩარჩოებში და მათ არასგზით არ გადადიოდა. ის თავისი ცხოვრების წესით ციხის სულიერ ლიდერად და მორალურ მმართველად (წინამძღოლად) ჩამოყალიბდა. ის ასკეტი იყო. მას აკრძალული ჰქონდა პასპორტი, ოჯახი, სახლი და სხვა რაიმე ქონება ჰქონოდა. ის იპარავდა და საკუთარ სახლად მიაჩნდა ციხე. ამიტომ მოპარვიდან მოპარვამდე თავისუფლება მისთვის დროებითი იყო, ანუ გამოდიოდა, რომ ჩარჩოიანი ქურდი სახელმწიფოს წინააღმდეგი იყო, ოღონდ, მას ქურდობით ებრძოდა. დამნაშავეთა სამყაროს ყოველი წევრი მას ნდობით და სრული მორჩილებით

შესცქეროდა, თუ არ ჩავთვლით ქურდული ტრადიციის გარეთ არსებულ ადამიანებს. ის იყო მოსამართლეც, ხელმწიფეც და ეპისკოპოსიც მის სამყაროში არსებული ხალხისთვის.[96]

კრიმინალურ ორგანიზაციაში შინაგანმა რეფორმამ ქურდებს „ჩარჩოიანის" ავტორიტეტი დაუტოვა, მაგრამ მათ განგსტერობის და მაფიოზობის ელემენტები შესძინა. ბევრი მათგანი წამყვანი ბიზნესმენია რუსეთში, ნაწილმა სახელისუფლებო სტრუქტურებშიც შეაღწია. საქართველომ, როგორც რუსული სახელმწიფოს ნაწილმა, მიიღო რუსული ქურდული ცხოვრება და ბევრი „სახელოვანი" წარმომადგენელიც ჰყავდა. ამავე დროს ქართველ ქურდებს მაინც სპეციფიკური, ნაციონალური ნიშანი ჰქონდათ. რუსეთისგან განსხვავებით, საქართველოში არა საციხო კულტურის გამო, არამედ აბრაგობის, კანონისადმი სამხრეთული უნდობლობისა და ქალაქური ცხოვრების კოლორიტულობის გამო გამოდგა ქურდული ტრადიცია მისაღები და პოპულარული.

საქართველოში ქურდული რევოლუცია დაიწყო 1970-იანი წლებიდან, როცა ე.წ. კანონიერი ქურდების ინსტიტუტმა ქალაქ თბილისიდან მასობრივად გააღწია პროვინციებში და იქ მრავალი კრიმინალი ეკურთხა ქურდად. 1990-იან წლებში, როცა საქართველოში გამოცხადდა დამოუკიდებლობა და სამოქალაქო ომმა სახელმწიფოს შესუსტება გამოიწვია, კანონიერმა ქურდებმა დიდი გავლენა მოიპოვეს ქვეყანაში და მათი ასკეტიზმიდან თითქმის აღარაფერი დარჩა.

ქართველი კანონიერი ქურდები საკმაოდ ბევრნი არიან. ისინი განსაკუთრებით მყარად დამკვიდრდნენ რუსეთის ფედერაციაში, უკრაინაში, თუმცა ზოგიერთი მათგანი უკვე ევროპისა და ამერიკის ბევრ ქალაქში ცხოვრობს. ისინი, ჩვეულებრივ, არჩევენ ადგილებს, სადაც მოხერხებულად მოეწყობიან, რათა მართონ თავიანთი უხილავი, პატარა „სახელმწიფოები", რომლებიც ძალადობასა და თაღლითობაზეა დამყარებული.

---

[96] იხ. აკა მორჩილაძე, „მესაიდუმლის ქამარი", თბ., 2008, გვ. 161-163.

დღეს კანონიერი ქურდები თითქმის აღარ ქურდობენ, სამაგიეროდ, ისინი წარმართავენ სხვათა ქურდობებს და საიდუმლო ოპერაციებს.

ასეთ ვითარებაში, ცხადია, დროული და გონივრული იყო საქართველოს პარლამენტის მიერ ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ კანონის მიღება, რომლის საფუძველზეც კრიმინალიზებულ იქნა ქურდული სამყაროს წევრობა და კანონიერი ქურდობა.

ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით კანონიერი ქურდი არის ქურდული სამყაროს წევრი, რომელიც ქურდული სამყაროს სპეციალური წესების შესაბამისად ნებისმიერი ფორმით მართავს ან/და ორგანიზებას უწევს ქურდულ სამყაროს ან პირთა გარკვეულ ჯგუფს. მაშასადამე, კანონიერი ქურდობა გამოიხატება ქურდული სამყაროს ან პირთა ჯგუფის მართვაში ან/და ორგანიზებაში. ეს კი კონკრეტულ მოქმედებას გულისხმობს, რომელიც მტკიცების საგანს შეადგენს.

კანონიერი ქურდობის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივ საშუალებებს შორის უმნიშვნელოვანესი ადგილი უკავია სისხლის სამართლის ნორმებს. სისხლის სამართლის ნორმების რეალიზაციის, მნიშვნელოვან ინსტრუმენტს კი სასამართლო პრაქტიკა წარმოადგენს.

სასამართლო პრაქტიკა, მითუმეტეს ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ, დიდი ინტერესის საგანია, როგორც იურიდიული პრაქტიკის, ისე მეცნიერების თვალსაზრისით. ნაშრომის ფარგლებში შეძლებისდაგვარად შევისწავლეთ კანონიერი ქურდობის წინააღმდეგ მიმართული საქართველოს სასამართლო პრაქტიკა, მისი ტენდენციები, გამოვთქვით მოკრძალებული მოსაზრებები აღნიშნულთან დაკავშირებით.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2008 წლის 8 აგვისტოს განაჩენით ა. პ-ს მსჯავრი დასდეს სსკ-ის 223[1]-ე მუხლით კანონიერი ქურდობისთვის, რომელიც ძალაში დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2008 წლის 10 იანვრის განაჩენით. განაჩენის აღწერილობითი ნაწილის შესაბამისად, საბრალდებო დასკვნით, მის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში:

,,ა. პ-ი, იყო რა ე.წ. ქურდული ტრადიციების მატარებელი, 1996 წლის 24 აგვისტოს ქ. თბილისში, ლოტკინის გორაზე ზ. პ-სთან, ა. ხ-სთან ერთად შეხვდა მ. ს-ს, გ-ს, მ. მ-სა და კ. გ-ს და მათი სიკვდილის, ოჯახის წევრების აწიოკების და ამოხოცვის, მათი პირადი ქონების საყოველთაოდ საშიში საშუალებით – აფეთქებით განადგურების მუქარით, მასზე და მათი მეგობრების ყაჩაღობაში ცილის წამებისთვის ჯარიმის დაკისრების მოტივით უკანონოდ მოსთხოვა 10 000 აშშ დოლარის გადაცემა, რისთვისაც 1997 წლის 2 ივნისს ქ. თბილისის ნაძალადევის რაიონის სასამართლოს მიერ იქნა მსჯავრდებული სსკ-ის 154-ე მუხლის მეორე ნაწილით (გამოძალვა, ძველი რედაქციით) და მიესაჯა 10 წლით თავისუფლების აღკვეთა. საპყრობილეში ყოფნისას იგი იყო ე.წ. ქურდული ტრადიციების აქტიური მიმდევარი, სხვა მსჯავრდებულებზე ახდენდა ზეწოლას ე.წ. ,,ქურდული საერთოს" შეკრებისთვის, აიძულებდა მათ ეთამაშათ აზარტული თამაშები, ყოველმხრივ ცდილობდა ქურდული სამყაროს მხარდაჭერას და მათი იდეების პროპაგანდას. სასჯელის მოხდის შემდგომ, ა. პ-ი დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების მიზნით 1999 წელს გაემგზავრა რუსეთის ფედერაციაში – ქ. მოსკოვში. 2004 წელს ქ. მოსკოვში იგი დამნაშავეთა სამყაროს ლიდერების შეკრებაზე აღიარებულ იქნა კანონიერ ქურდად. ა. პ-ი ქ. მოსკოვის ოლქის ტერიტორიაზე იყო მოქმედი ქართული ორგანიზებული დანაშაულებრივი დაჯგუფების ლიდერი, სისტემატურად იღებდა მონაწილეობას ე.წ. ქურდულ გარჩევებში, აძლევდა დავალებებს ქურდული სამყაროს წევრებს, ე.წ. ,,მომავლებს," მონაწილეობა მიეღოთ სხვადასხვა სახის მძიმე და

განსაკუთრებით მძიმე დანაშაულებრივი ქმედების ჩადენაში, რომელთა განხორციელებაც ემსახურებოდა ქურდული სამყაროს მიზნებს. იგი, როგორც ქურდული ტრადიციების აქტიური მიმდევარი, არაერთხელ იქნა დაკავებული კანონიერი ქურდების შეკრებებზე, ე.წ. ,,სხადნიაკებზე," რუსეთის ფედერაციის ტერიტორიაზე. კრიმინალურ წრეებში გავლენას ახდენდა როგორც სასჯელაღსრულების დაწესებულებებში მოთავსებულ, ასევე თავისუფლებაში მყოფ კრიმინალურ ელემენტებზე. ა. პ-ს გააჩნია ფართო დანაშაულებრივი კავშირები, როგორც საქართველოში, ასევე, მის საზღვრებს გარეთ. იგი რუსეთის ფედერაციაში მფარველობდა იქ მყოფ ქართველ და უცხოელ ბიზნესმენებს, რათა სხვა მოქმედი კრიმინალური დაჯგუფებების მხრიდან არ ჰქონოდა ადგილი მათთვის ფულის გამოძალვის ფაქტებს, რის სანაცვლოდაც მათგან იღებდა ე.წ. ,,წილებს", რომელიც ხმარდებოდა ქურდული სამყაროს მიზნების განხორციელებას. ა. პ-ი ქ. მოსკოვიდან საქართველოში სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი მისი ძმის კანონიერი ქურდის ზ. პ-ს მეშვეობით ზემოქმედებას ახდენდა საქართველოში მყოფ კრიმინალურ ავტორიტეტებზე."

ბრალდების მიერ მოპოვებული მტკიცებულებებიდან მნიშვნელოვანია მოწმეთა ჩვენებები და დაკავების დროს გაკეთებული ვიდეოჩანაწერი, რითაც დგინდება, რომ დაკავების დროს ა. პ-მ განაცხადა, რომ იგი კანონიერი ქურდია და ცხოვრობს ქურდული სამყაროს წესებითა და ცხოვრებით. საგულისხმოა, რომ წინასწარი გამოძიების დროს მიცემული ჩვენება ა. პ-მ სასამართლოში შეცვალა და განაცხადა, რომ თავს დამნაშავედ არ სცნობდა. ბრალდებულის აღიარება რა თქმა უნდა არ ითვლება მტკიცებულებათა დედოფლად, მაგრამ მნიშვნელოვან სამხილს წარმოადგენს. ბრალდების მხარის სასარგებლოდ უნდა ითქვას, რომ ე.წ. კანონიერი ქურდისგან აღიარების მიღება მნიშვნელოვანი წარმატებაა, რადგანაც მსგავსი მტკიცებულების მოპოვება სირთულეს

წარმოადგენს ბოლო პერიოდში, რადგანაც კანონიერი ქურდების დიდი ნაწილი უკვე თავს არიდებს კანონიერი ქურდობის საჯარო აღიარებას. აღნიშნული მნიშვნელოვან ცვლილებას წარმოადგენს ე.წ. ქურდულ წესებში, რადგანაც ადრე, ნებისმიერ სიტუაციაში, კითხვაზე თუ ვინ იყო კანონიერი ქურდი ვალდებული იყო განეცხადებინა საკუთარი ვინაობის და ქურდული სამყაროსადმი კუთვნილების შესახებ. დანაშაულებრივ ორგანიზაციაში აღნიშნული წესი ამ ბოლო პერიოდში შეიცვალა და ე.წ. კანონიერი ქურდებისგან აღიარების მიღება რთულ ამოცანას წარმოადგენს. დღესდღეობით მათი ვინაობის შესახებ კითხვაზე ე.წ. კანონიერი ქურდები პასუხობენ, რომ არიან მოქალაქეები, ადამიანები და ა.შ. და ყველანაირად არიდებენ თავს სამართალდამცავებთან იმის აღიარებას, რომ ე.წ. კანონიერ ქურდებს წარმოადგენენ. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ბრალდების მხარის მიერ მოპოვებული მტკიცებულება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს. კანონიერი ქურდობის აღიარება არ წარმოადგენს პირის მიერ საკუთარი სოციალური სტატუსის შესახებ ცნობის მიწოდებას, როგორც ეს შეიძლება ერთი შეხედვით ჩაითვალოს. კანონიერი ქურდობა ეს არის დანაშაულებრივი ორგანიზებული ჯგუფის ხელმძღვანელობა და აღნიშნულის აღიარებაც ზუსტად კრიმინალური ორგანიზაციისადმი კუთვნილების აღიარებას ნიშნავს.

სისხლის სამართლის საქმეში არსებული მნიშვნელოვანი მტკიცებულებების მიუხედავად, ჩვენი აზრით, ბრალდების მხარეს უკეთესად უნდა წარმოედგინა ა. პ-შვილის მიერ ჩადენილი ქმედების საქართველოსთან შემხებლობის საკითხი. სსკ-ის 223[1]-ე მუხლით გათვალისწინებული „კანონიერი ქურდობა“ ბლანკეტური ნორმაა და ქმედების არსი დგინდება კანონით „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ სადაც განმარტებულია, რომ კანონიერი ქურდობა გამოიხატება ქურდული სამყაროს ან პირთა ჯგუფის მართვაში ან/და ორგანიზებაში. სისხლის სამართლის საქმის მასალებიდან

არ ჩანს თუ რაში გამოიხატა ა. პ.-ს მიერ ქურდული სამყაროს ან პირთა ჯგუფის მართვა ან/და ორგანიზება, ამასთან ეს ყოველივე რა შემხებლობაში იყო საქართველოსთან. სისხლის სამართლის საქმეში ჩანს, რომ ა. პ. კრიმინალურ საქმიანობას ეწეოდა საქართველოს ფარგლებს გარეთ, კერძოდ რუსეთში.[97] საქართველოს ტერიტორიაზე, ან საქარველოს ინტერესების წინააღმდეგ განხორციელებული ა. პ-ს კრიმინალური საქმიანობის შესახებ სისხლის სამართლის საქმეში სასურველია ბრალდებას მეტი მტკიცებულება მოეპოვებინა. საზღვარგარეთ პირის დანაშაულებრივი საქმიანობა იმავდროულად არ ნიშნავს საქართველოში მისი დასჯადობის სამართლებრივ შესაძლებლობას. სსკ-ის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, საქართველოს მოქალაქეს, რომელმაც საზღვარგარეთ ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის ნორმებით აკრძალული ქმედება და რომელიც არ ისჯება იმ ქვეყნის კანონმდებლობით სადაც ქმედება განხორციელდა, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ განხორციელდა საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. საქართველოსთან დანაშაულებრივ შემხებლობასთან დაკავშირებით საბრალდებო დასკვნაში მითითებულია, რომ „ა. პ. ქალაქ მოსკოვიდან საქართველოში სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი მისი ძმის კანონიერი ქურდის ზ. პ-ს მეშვეობით ზემოქმედებას ახდენდა საქართველოში მყოფ კრიმინალურ ავტორიტეტებზე.“ საბრალდებო დასკვნაში არ ჩანს კონკრეტულად რა სახის ზემოქმედებას ახდენდა ა. პ. მოსკოვიდან, არადა ზუსტად აღნიშნულის დად-

[97] ბრალდების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებიდან საგულისხმოა რუსეთის ფედერაციის შინაგან საქმეთა სამინისტროს გვერდნახევრიანი წერილი, სადაც ა. პ. დასახელებულია კრიმინალად (კანონიერ ქურდად). იგი და მის მიერ ორგანიზებული ჯგუფი მოსკოვში და მოსკოვის ოლქის ტერიტორიზე სჩადის მძიმე დანაშაულებს; მას კავშირი აქვს საქართველოდან გამოსულ კანონიერ ქურდებთან, მაგრამ კონკრეტულად ვისთან, წერილში აღწერილი არაა.

გენით ბრალდება სრულად ასახავდა ა. პ-ს მიერ ჩადენილ დანაშაულის სურათს. შესაბამისად, დაცვის მხარე აღარ იმსჯელებდა იმასთან დაკავშირებით, რომ ა. პ-ს საქართველოში არაფერი დაუშავებია, მისი ქმედება არ იყო მიმართული საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ, განსასჯელის საქმიანობა რუსეთის ფარგლებს არ გასცდენია და შესაბამისად არ არსებობს საქართველოს კანონებით მისი დასჯის საფუძველი.

ქვემოთ ვრცლად იქნება განხილული, ხოლო აქ მოკლედ აღვნიშნავთ, რომ ჩვენი აზრით, ე.წ. კანონიერი ქურდების და ქურდული სამყაროს წევრების პასუხისმგებლობის საფუძველი განხილული უნდა იქნეს ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრის ან ხელმძღვანელის კრიმინალიზებული ფორმების ანალოგიურად. მაგალითად შეიძლება დასახელდეს ისეთი ორგანიზებული ჯგუფების წევრობა/ხელმძღვანელობა როგორიცაა ბანდა, ტერორისტული ორგანიზაცია და ა.შ. აღნიშნულ შემთხვევაში პირის პასუხისგებაში მისაცემად ბრალდება ადგენს მხოლოდ პირის კავშირს ორგანიზებულ ჯგუფთან. დღეს არსებული ნორმატიული სინამდვილით, კანონიერი ქურდის პასუხისგებაში მისაცემად ბრალდება ვალდებულია ორგანიზებულ ჯგუფის წევრობასთან ერთად დაადგინოს ის ფაქტიც, რომ პირი მართავს ან/და ხელმძღვანელობს ქურდულ სამყაროს. კანონის მსგავსი მოთხოვნა პირის დანაშაულებრივი ქმედების შეფასების საკითხში წარმოშობს პრობლემებს, და აღნიშნული გამოვლინდა კიდევაც სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენების შესწავლისას. ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლის გამოცდილება და თანამედროვე პრაქტიკა გვიჩვენებს, რომ ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფების წარმომადგენელთა პასუხისგებაში მისაცემად უნდა დავეყრდნოთ ორგანიზებული დანაშაულებრივი შეთანხმების კონცეფციას, რაც იმას ნიშნავს, რომ პირის პასუხისგებაში მისაცემად ბრალდებამ უნდა დაადგინოს მხოლოდ მისი კუთვნილება

დანაშაულებრივ ორგანიზაციასთან. მსგავსი საკანონმდებლო და სასამართლო პრაქტიკა არსებობს როგორც ამერიკის შეერთებულ შტატებში[98] ისე იტალიაში. ე.წ. ქურდული სამყარო და კანონიერი ქურდები წარმოადგენს ჩვეულებრივ კრიმინალურ ორგანიზაციას და მათი პასუხისმგებლობის საკითხიც ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის წევრობის/ხელმძღვანელობის მიხედვით უნდა გადაწყდეს.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ კანონით დადგენილი ქმედების ობიექტური მხარის ნიშნები, მართვა ან/და ორგანიზება, პრობლემებს ქმნის ბრალდების მტკიცების პროცესში, ამიტომ სასურველია შესაბამისი შესწორებები შევიდეს მასში.

მოცემულ სისხლის სამართლის საქმეში, ისევე როგორც ე.წ. კანონიერი ქურდების მიმართ გამოტანილ სხვა განაჩენებშიც ბრალდების მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები, ეყრდნობა ფაქტებს, რომელთაც კანონიერი ქურდობის კრიმინალიზაციამდე ჰქონდა ადგილი. ბრალდებამ ა. პ-ის საქმეში წარმოადგინა მტკიცებულებები, რომელთა მიხედვითაც დგინდება, რომ იგი 1997 წლის 2 ივნისს მსჯავრდებულ იქნა სსკ-ის 154-ე მუხლით (1960 წლის სსკ) და სასჯელის სახედ და ფორმად მიესაჯა 10 თვით თავისუფლების აღკვეთა. სასამართლო განაჩენის მიხედვით სასჯელის მოხდის პერიოდში „ა. პ. იყო ქურდული ტრადიციების აქტიური მიმდევარი, სხვა მჯავრდებულებზე ახდენდა ზეწოლას ე.წ. „ქურდული საერთოს" შეკრებისთვის, აიძულებდა ეთამაშათ აზარტული თამაშები, ყოველმხრივ ცდილობდა ქურდული სამყაროს მხარდაჭერას და მათი იდეების პროპაგანდას". სამწუხაროდ, სისხლის სამართლის საქმეში ნათლად არ ჩანს კანონიერი

[98] ამერიკის შეერთებული შტატების პრაქტიკა ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ასპექტით დაწვრილებით არის განხილული საქართველოს ანტირეკეტული ნორმების ანალიზისას.

ქურდობის კრიმინალიზაციის შემდეგ, კერძოდ, 2006 წლის 28 აპრილიდან, ეწეოდა თუ არა ა. პ კანონიერ ქურდობას და რაში გამოიხატებოდა მისი დანაშაულებრივი საქმიანობა. ჩვენი აზრით, სასურველი იქნებოდა ბრალდებას მოეპოვებინა მტკიცებულებები, რომლებიც ნათლად მიუთითებდნენ ა. პ-ის კრიმინალური საქმიანობის (ე.წ. ქურდული გარჩევების, საერთო სალაროს შეკრების ან სხვა ქმედებები) შესახებ კანონიერი ქურდობის კრიმინალიზაციის შემდგომ.

განსასჯელმა ა. პ-იმ სასამართლო სხდომაზე წარდგენილ ბრალდებაში თავი არ სცნო დამნაშავედ, კერძოდ შეკითხვაზე, — „სცნობდა თუ არა წარდგენილ ბრალდებაში თავს დამნაშავედ", — უპასუხა, რომ თავს დამნაშავედ არ სცნობდა. პროცესის შემდგომ მსვლელობას განსასჯელი არ დასწრებია სასამართლოსადმი უნდობლობის მოტივით. საგულისხმოა, მოცემულ საქმეში დაცვის მხარის პოზიცია, რომელიც დამცველის მიერ განვითარებული დაცვის სტრატეგიის თვალსაზრისით, კრიტიკას ვერ უძლებს. მოცემულ საქმეში დამცველი სწორად მიუთითებს იმ ფაქტორზე, რომ ა. პ.-ს დანაშაული საქართველოს ტერიტორიაზე არ ჩაუდენია. ამ დებულებიდან გამომდინარე ასკვნის, რომ საქართველოს „შინაგან საქმეთა სამინისტრომ უკანონოდ დააკავა პირი, რომელსაც ფაქტობრივად დანაშაული არ ჩაუდენია, რადგან იგი იმყოფებოდა რუსეთში. ასევე აღსანიშნავია, რომ რუსეთის კანონმდებლობა ამგვარ ფაქტს საერთოდ არ სცნობს დანაშაულად." საგულისხმოა ის, რომ უცხო ქვეყანაში მყოფი პირის ქმედება, რომელიც არ არის დასჯადი ქმედების განხორციელების ადგილზე, საქართველოს კანონმდებლობით იმ შემთხვევაში ჩაითვლება დანაშაულად თუ ეს ქმედება არის საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული, ანდა თუ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ამ დანაშაულისათვის გათვალისწინებულია საერთაშორისო ხელშეკრულებით.

საუბრობს რა მისი დაცვის ქვეშ მყოფი პირის უდანაშაულობაზე, დამცველი საბოლოო მოთხოვნას აყალიბებს ამგვარად: „მე არ ვეთანხმები წარმოდგენილ ბრალდებას, მაგრამ თუ სასამართლო მის მიმართ მაინც გამოიტანს გამამტყუნებელ განაჩენს, გთხოვთ გაითვალისწინოთ ის, რომ იგი არ არის ნასამართლევი, ჰყავს მეუღლე და 2 შვილი, ფაქტიურად იგი საქართველოში არ მოქმედებდა და არც იმყოფებოდა, გაითვალისწინოთ ყოველივე ზემოაღნიშნული და ალტერნატივის სახით, განუსაზღვროთ სასჯელის მინიმუმი". იმ დროს, როდესაც დამცველი ამტკიცებს დაცვის ქვეშ მყოფის უდანაშაულობას, ხოლო განსასჯელი არ სცნობს თავს დამნაშავედ წარდგენილ ბრალდებაში, დაცვის მხარის საბოლოო მოთხოვნა, რომ განსასჯელს განესაზღვროს სასჯელის მინიმუმი არ შეიძლება ჩაითვალოს მართებულად და ჩვენი აზრით ხელყოფს დაცვის უფლებას, რადგანაც დამცველი განსასჯელის პოზიციას გასცდა და პირის გამართლების მაგივრად სასჯელის მინიმუმის დანიშვნა მოითხოვა.

დაცვის მხარე არ მსჯელობს ასევე ისეთ მნიშვნელოვან საკითხზე, როგორიცაა განსასჯელის მიერ ქმედების შემადგენლობის ნიშნების განხორციელება – არგანხორცილების საკითხი და ისეთ არაარსებით დეტალებზე ამახვილებს ყურადღებას, რაც საქმის არსს ფაქტობრივად არ ცვლის. დაცვის მხარეს უნდა ემსჯელა, ხორციელდებოდა თუ არა განსასჯელის მიერ ქურდული სამყაროს სპეციალური წესების შესაბამისად ქურდულ სამყაროს ან პირთა გარკვეული ჯგუფის მართვა ან/და ორგანიზება, რამდენად იყო სათანადო მტკიცებულებები წარმოდგენილი ბრალდების მხარის მხრიდან და საქართველოს ტერიტორიაზე ან საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ, უცხო ქვეყნის ტერიტორიაზე რაში გამოვლინდა დანაშაულის შემადგენლობით აღწერილი ნიშნები.

დაცვის მხარე მიუთითებს აგრეთვე იმ ფაქტზე, რომ ა. პ. საქმიანობას ეწეოდა რუსეთში და საქართველოსთან არა-

ნაირი კავშირი არ ჰქონდა. „მინდა მოგახსენოთ, — ამბობს ადვოკატი, — რომ ა. პ. ცხოვრობდა მოსკოვში 7-8 წლის განმავლობაში, იგი საქართველოში იშვიათად ჩამოდიოდა. მოსკოვში ეწეოდა საქმიანობას და ეს საქმიანობა არ იყო დაკავშირებული კრიმინალებთან.“ დაცვის მხარეს აპელირება უნდა გაეკეთებინა არა იმ ფაქტორზე, რომ განსასჯელი საქმიანობდა მოსკოვში და ეს საქმიანობა არ იყო დაკავშირებული კრიმინალებთან, არამედ იმაზე, რომ მისი ქმედება არ შეიცავდა იმ დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს, რომლებიც ბრალად ერაცხებოდა განსასჯელს. პ-ის სისხლის სამართლის საქმეზე საგულისხმოა სასამართლო განაჩენის სამოტივაციო ნაწილი, სადაც მოხსენიებულია ის, რომ 1997 წლის 2 ივნისის განაჩენის საფუძველზე თავისუფლების აღკვეთის მოხდის პერიოდში „ა. პ. იყო ქურდული ტრადიციების აქტიური მიმდევარი, სხვა მსჯავრდებულებზე ახდენდა ზეწოლას ე.წ. „ქურდული საერთოს“ შეკრებისთვის, აიძულებდა ეთამაშათ აზარტული თამაშები, ყოველმხრივ ცდილობდა ქურდული სამყაროს მხარდაჭერას და მათი იდეების პროპაგანდას. სასჯელის მოხდის შემდგომ, ა. პ. დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელების მიზნით, 1999 წელს გაემგზავრა რუსეთის ფედერაციაში, ქ. მოსკოვში. 2004 წელს ქ. მოსკოვში დამნაშავეთა ლიდერების შეკრებაზე აღიარებულ იქნა კანონიერ ქურდად. ა. პ. ქ. მოსკოვის ოლქის ტერიტორიაზე იყო მოქმედი ქართული ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის ლიდერი, სისტემატურად იღებდა მონაწილეობას ე.წ. ქურდულ გარჩევებში, აძლევდა დავალებებს ქურდული სამყაროს წევრებს...“, როგორც ვხედავთ განაჩენის თითქმის მთელი სამოტივაციო ნაწილი ეძღვნება ა. პ-ის საქმიანობის აღწერას რუსეთის ფედერაციაში და არ არის კონკრეტული ინდიკატორი, თუ რატომ მოხვდა ა. პ. ქართული მართლმსაჯულების სფეროში. არადა ეს უცილობლად უნდა იყოს ასახული განაჩენის სამოტივაციო ნაწილში, თუ რის გამო მოხდა ა. პ-ს მსჯავრდება ქართული სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისად, იმის მიუხედავად რომ იგი საქმიანობდა რუსე-

თის ფედერაციაში. სსკ-ის მე-5 მუხლის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქის მიერ საზღვარგარეთ დანაშაულის ჩადენისას, სახეზე უნდა იყოს საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგო მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული. სასამართლო განაჩენის სამოტივაციო ნაწილში უცილობლად უნდა იყოს მსჯელობა იმის შესახებ, თუ რატომ არის ა. პ-ის საქმიანობა რუსეთის ფედერაციაში, საქართველოს კანონმდებლობით დასჯადი. მნიშვნელოვანი დეტალი რაც სასამართლო განაჩენში აღნიშნულზე მიუთითებს ისაა, რომ „ა. პ-ი ქ. მოსკოვიდან საქართველოში სასჯელაღსრულების დაწესებულებაში მყოფი მისი ძმის კანონიერი ქურდის ზ.პ-ის მეშვეობით ზემოქმედებას ახდენდა საქართველოში მყოფ კრიმინალურ ავტორიტეტებზე.“ სასამართლოს განაჩენის სამოტივაციო ნაწილში აღნიშნული გარემოებისთვის განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმო და ერთი წინადადებით არ უნდა შემოფარგლულიყო. ზუსტად აღნიშნულში ვლინდება ა. პ-ის დასჯადობის საფუძველი და არა იმაში, რომ იგი რუსეთის ფედერაციაში იღებდა წილებს და ეწეოდა სხვა ქმედებებს, რომელთა აღწერასაც ეძღვნება განაჩენის მნიშვნელოვანი ნაწილი. სასამართლო გამოძიებას დეტალურად უნდა გამოერკვია, თუ რა სახის ზემოქმედებას ახდენდა მოსკოვიდან ა. პ. საქართველოს სასჯელაღსრულებით სისტემაში მოთავსებულ პატიმრებზე და გამოეკვეთა საქართველოს ინტერესების შელახვა აღნიშნული ქმედებით.

ზუსტად იმაში, რომ ა. პ. მოსკოვიდან ახდენდა უარყოფით ზემოქმედებას საქართველოს სასჯელაღსრულებით სისტემაში განთავსებულ პატიმრებზე, გამოიხატება ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით განსაზღვრული კანონიერი ქურდობის ობიექტური მხარის ნიშნები, მართვა ან/და ორგანიზება. სასამართლო განაჩენში დადგენილი და განმარტებული უნდა ყოფილიყო, რა სახის ზეგავლენას ახდენდა ა.პ. რუსეთიდან, როგორ მართავდა იგი ან/და ორგანიზებას უწევდა საქართ-

ველოს ტერიტორიაზე თავისუფლებააღკვეთილ პირებს და ყოველივე აღნიშნულით, როგორ შეილახა ქვეყნის ინტერესი არსებითად.

თელავის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 3 ნოემბრის განაჩენით გ. გ-ს მსჯავრი დაედო მასში, რომ მან ჩაიდინა კანონიერი ქურდობა, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 223[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილით. განაჩენის მიხედვით, მისი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: „1998-2003 წლებში გ. გ-მ ქურდული მენტალიტეტის მქონე პირებისაგან ჩამოაყალიბა დანაშაულებრივი ჯგუფი და ქურდულად არჩევდა სადავო საკითხებს, რითაც მოქმედებდა ქურდული წესების შესაბამისად, რომლის მიზანი იყო დაშინება, მუქარა, იძულება და ქურდული გარჩევის გზით ფინანსური სარგებლის მიღება, რითაც შეიძინა გარკვეული ქონება ქ. თელავში. გამოძიებით დადგენილ იქნა, რომ თელავის რაიონის სოფელ შალაურში მცხოვრებ ბ. ჭ-ს ჰქონდა თელავში მცხოვრები ვ. ბ-ის ვალი, რის გამოც მათ შორის იყო დაძაბული ურთიერთობა. 1999 წლის აგვისტოში, საქმის გარჩევის მიზნით, ბ. ჭ-მ საქმეში ჩართო კანონიერი ქურდი გ. გ., რომელმაც ა. ბ-ი დაიბარა შუამთის ტყეში არსებული რესტორნის მიმდებარე ტერიტორიაზე, რა დროსაც გ. გ-მ სიტყვიერი და ფიზიკური შეურაცხყოფა მიაყენა მას და უთხრა, რომ ბ. ჭ-საგან ვალს ვეღარ მიიღებდა. ამით განაწყენებულმა ვ. ბ-მა 1999 წლის შემოდგომაზე ბ. ჭ-ის შვილს ვ. ჭ-ს გამოართვა მისი კუთვნილი ავტომანქანა და უთხრა, რომ მანქანას ვალის გადახდის შემდეგ დაუბრუნებდა. ამასთან დაკავშირებით, გ. გ-მ მეორე დღეს ვ. ბ-ი დაიბარა ქ. თელავში, სადაც მოხდა საქმის გარჩევა, რა დროსაც გ. გ-მ აიძულა ვ. ბ-ი, ბ. ჭ-სთვის დაებრუნებინა მისი კუთვნილი ავტომანქანა. ამის შემდეგ, ვ. ბ-ი რამდენჯერმე შეეცადა ბ. ჭ-საგან თავისი კუთვნილი თანხის მიღებას, მაგრამ ყოველი მცდელობის დროს გ. გ. ემუქრებოდა მას და ეუბნებოდა თავი დაენებებინა ამ უკანასკნელისთვის.“

2008 წლის 29 მაისს მსჯავრდებულმა და მისი ინტერესების დამცველმა ადვოკატმა თელავის რაიონული სასამართლოს განაჩენი გაასაჩივრეს სააპელაციო წესით. საჩივარში აპელანტები აღნიშნავენ, რომ მოწმეებს, რომელთა ჩვენებები საფუძვლად დაედო გამამტყუნებელ განაჩენს, არ შეუძლიათ მიუთითონ ინფორმაციის წყარო (მხედველობაშია გ. გ.-ს კანონიერი ქურდობის ფაქტი), რის გამოც მათი ჩვენებები არ შეიძლება საფუძვლად დაედოს გამამტყუნებელ განაჩენს (სსკ-ის მე-10, მე-11 მუხლები), ამის გარდა, გ. გ-ძეს 1998-2002 წლებში რომც გაერჩია ქურდული წესებით საქმე, „კანონიერი ქურდობა" 2006 წლის მაისამდე დანაშაულად არ ითვლებოდა, რის გამოც, საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლის საფუძველზე, გ. გ-ზე სსკ-ის 223[1]-ე მუხლი უკუძალით არ უნდა გავრცელდეს. ამასთანავე, გ. გ-ძე არის რუსეთის ფედერაციის მოქალაქე, რომელიც 2003 წლის შემდეგ საქართველოში არ ჩამოსულა, ხოლო რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსი არ ითვალისწინებს „კანონიერი ქურდობის" დანაშაულის შემადგენლობას, რის გამოც ის არ უნდა დაისაჯოს სსკ-ის 223[1]-ე მუხლით.

სააპელაციო სასამართლომ განაჩენის სამოტივაციო ნაწილში მიუთითა, რომ: ,,სააპელაციო სასამართლო ვერ გაიზიარებს დაცვის მხარის არგუმენტს, რომ გ. გ-ს არ შეიძლება მსჯავრი დაედოს სსკ-ის 223[1]-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულისთვის, რადგან აღნიშნული ქმედება დასჯადი გახდა 2006 წლიდან, ვინაიდან სსკ-ის 223[1]-ე მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების დასჯადობისათვის საკმარისია თავად ფაქტის არსებობა, რომ პირი არის „კანონიერი ქურდი". ცოტა ქვემოთ გრძელდება — პალატას მიაჩნია, რომ „კანონიერი ქურდობა" არის დენადი დანაშაული, რომელიც უწყვეტად ხორციელდება ამ სტატუსის შეძენიდან მის გაუქმებამდე, რაც ვლინდება წესების შესაბამისად ქურდული გარჩევის თითოეული ფაქტის შემთხვევაში. გ. გ-ძის მიერ ქურდულად საქმის გარჩევა გამოიხატა ზემოთ

დასახელებული მოწმეების ჩვენებებით, რითაც დასტურდება, რომ გ. გ-ძე „კანონიერი ქურდის“ სტატუსის მატარებელი იყო იმ პერიოდში, როცა მოხდა საქმის გარჩევა, რაც მას არ დაუკარგავს და კვლავაც ითვლება „კანონიერ ქურდად“. და კიდევ ერთი არგუმენტი — გ. გ-ძის კანონიერ ქურდობას მოწმობს ის გარემოება, რომ ჩვენების მიცემისას მან თავი აარიდა პირდაპირ გაეცა პასუხი კითხვაზე, არის თუ არა ის კანონიერი ქურდი. ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, პალატას დადასტურებულად მიაჩნია, რომ გ. გ-ძემ ჩაიდინა მართლსაწინააღმდეგო და ბრალეული ქმედება, დანაშაული გათვალისწინებული სსკ-ის 223[1] მუხლის მეორე ნაწილით.“ მოცემულ საქმეზე სასამართლო განაჩენის ანალიზი კიდევ ერთხელ ადასტურებს ჩვენს პოზიციას იმის შესახებ, რომ ე.წ. კანონიერი ქურდების და ქურდული სამყაროს წევრების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი უნდა გადაწყდეს ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის ხელმძღვანელისა და წევრის პასუხისმგებლობის პრინციპის შესაბამისად, ისე როგორც ეს ხდება ორგანიზებული ჯგუფების ისეთი კრიმინალიზებული ფორმების დროს, როგორიცაა ბანდა, ტერორისტული ორგანიზაცია და ა.შ.

სასამართლო ლოგიკურად მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სსკ-ის 223[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედების დასჯადობისათვის საკმარისია თავად ფაქტის არსებობა, რომ პირი არის „კანონიერი ქურდი“. იდეაში ასეც უნდა გადაწყვეტილიყო საქართველოს კანონში ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ, მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ სსკ-ის 223[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულებრივი ქმედებისთვის პასუხისმგებლობის დაკისრებისას დანაშაულებრივი ჯგუფის წევრობა/ხელმძღვანელობასთან ერთად, სახეზე უნდა იყოს გარკვეული სოციუმის ქურდული სამყაროს წესების შესაბამისად მართვა ან/და ორგანიზება. კანონის მოთხოვნებიდან გამომდინარე საკმარისი არ არის პირის მხოლოდ კუთვნილე-

ბა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფისადმი და შესაბამისად საჭიროა დადგინდეს ე.წ. კანონიერი ქურდის მიერ კონკრეტული ქმედებების განხორციელება. კონკრეტული ქმედება, რომელიც დღეს მოქმედი ანტიქურდული ნორმების შესაბამისად ე.წ. კანონიერმა ქურდმა უნდა განახორციელოს იმისთვის, რომ სახეზე იყოს ქმედების შემადგენლობის ობიექტური მხარის ნიშნები, გამოიხატება ქურდულის სამყაროს სპეციალური წესების შესაბამისად გარკვეული სოციუმის მართვაში ან/და ორგანიზებაში. განაჩენის სამოტივაციო ნაწილში არ ჩანს კონკრეტულად რაში გამოიხატა ქურდული სამყაროს მართვა ან/და ორგანიზება.

განსასჯელის ბრალეულობის დასასაბუთებლად სასამართლოს მოაქვს კანონიერი ქურდობის კრიმინალიზაციამდე მომხდარი ქურდული გარჩევის ფაქტი, და მიუთითებს, რომ „კანონიერი ქურდობა" არის დენადი დანაშაული, რომელიც უწყვეტად ხორციელდება ამ სტატუსის შეძენიდან მის გაუქმებამდე, რაც ვლინდება წესების შესაბამისად ქურდული გარჩევის თითოეული ფაქტის შემთხვევაში." დენადი დანაშაული ერთიანი დანაშაულის სახეს წარმოადგენს და მისი არსი განსაზღვრულია სსკ-ის მე-13 მუხლში, რომლის მიხედვითაც „დენადია ამ კოდექსის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, რომელიც იწყება მოქმედებით ან უმოქმედობით და რომელიც შემდეგ უწყვეტად ხორციელდება." დენადი დანაშაულის გამოვლინებას წარმოადგენს ტერორისტული ორგანიზაციის ხელმძღვანელობა/წევრობა, ბანდის ხელმძღვანელობა/წევრობა და ა.შ., იქიდან გამომდინარე, რომ ორგანიზებული დანაშაულობის ამ უკანასკნელ ფორმებში პასუხისმგებლობის საფუძველს ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფისადმი კუთვნილება წარმოადგენს. რაც შეეხება კანონიერ ქურდობას/ქურდული სამყაროს წევრობას, ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობის საფუძველი ორგანიზებულ დანაშაულებრივი ჯგუფისადმი კუთვნილებასთან ერთად კონკრეტული ქმედე-

ბების განხორციელებაა. აქედან გამომდინარე, სახეზეა არა დენადი, არამედ განგრძობადი დანაშაული. სააპელაციო პალატა თვითონვე მიუთითებს, რომ კანონიერი ქურდობა „უწყვეტად ხორციელდება ამ სტატუსის შეძენიდან მის გაუქმებამდე, რაც ვლინდება წესების შესაბამისად ქურდული გარჩევის თითოეული ფაქტის შემთხვევაში". ქურდული გარჩევის თითოეული ფაქტი უნდა მივიჩნიოთ დანაშაულებრივი ქმედების გამოვლენის ფორმად და შესაბამისად სახეზეა არა დენადი, არამედ განგრძობადი დანაშაული, რომელიც ერთიანი დანაშაულის სსკ-ით გათვალისწინებულ მეორე ფორმას წარმოადგენს. სსკ-ის მე-14 მუხლის შესაბამისად „განგრძობადია ამ კოდექსის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, რომელიც მოიცავს ერთიანი მიზნითა და საერთო განზრახვით ჩადენილ ორ ან მეტ ქმედებას." საბოლოოდ შესაძლებელია დავასკვნათ, რომ კანონიერი ქურდობისა და ქურდული სამყაროს წევრის დღევანდელი საკანონმდებლო რედაქცია, გულისხმობს მისი განხორციელების შესაძლებლობას არა დენადი, არამედ განგრძობადი დანაშაულის ფორმით. კანონის აღნიშნულ ფორმულირებას თეორიული თვალსაზრისით ვერ დავეთანხმებით, რადგანაც, როგორც არაერთხელ აღვნიშნეთ, მივიჩნევთ, რომ ე.წ. კანონიერი ქურდობისთვის პასუხისმგებლობის საფუძველი უნდა ემყარებოდეს ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფისადმი კუთვნილებას, და აქედან გამომდინარე, უნდა წარმოადგენდეს დენად დანაშაულს. ერთია ჩვენი მოსაზრება და სამომავლოდ ნორმის სრულყოფის სურვილი, და მეორეა ის, რომ სასამართლო განაჩენი უნდა შეესაბამებოდეს მოქმედ ნორმებს და განაჩენის გამოტანის მომენტისთვის არსებული ნორმატიული სინამდვილით კანონიერი ქურდობა განგრძობადი დანაშაულის სახეს წარმოადგენდა.

განაჩენში არის მსჯელობა იმის თაობაზე, რომ „გ. გ. ქურდის სტატუსის მატარებელი იყო იმ პერიოდში, როცა მოხდა საქმის გარჩევა, რაც მას არ დაუკარგავს და კვლავაც ითვ-

ლება „კანონიერ ქურდად.“ სასურველი იქნებოდა სასამართლოს სამოტივაციო ნაწილში ქურდის სტატუსის შესახებ არ ემსჯელა და პასუხისმგებლობის დაკისრების დასაბუთებისთვის არ მოეტანა ის ფაქტორი, რომ პირს გააჩნია ესა თუ ის სტატუსი. საგულისხმოა, რომ პირის დასჯადობა ეფუძნება არ მის სოციალურ სტატუსს, არამედ განხორციელებულ მართლსაწინააღმდეგო და ბრალეულ ქმედებას. სასამართლოს ყურადღება უნდა გაემახვილებინა არა ქურდის სტატუსზე, არამედ განხორციელებულ დანაშაულებრივ ქმედებებზე, რაშიც გამოიხატა კონკრეტულად მისი კანონიერი ქურდობა. კანონიერი ქურდობა არის არა სოციალური სტატუსი, არამედ ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფისადმი კუთვნილების გამომხატველი. ისევე როგორც დანაშაულებრივი ორგანიზაციის სხვა ფორმები, მაგალითად ბანდის, ტერორისტული ორგანიზაციის წევრობა/ხელმძღვანელობა, კანონიერი ქურდობა წარმოადგენს ქურდული კრიმინალური ორგანიზაციის წევრობა/ხელმძღვანელობას და აღნიშნული სოციალური სტატუსი კი არ არის, არამედ დანაშაულებრივი ქმედებაა.

კანონმდებელმა ბანდის, ტერორისტული ორგანიზაციის, უკანონო შეიარაღებული ფორმირების და სხვა ორგანიზაციული კრიმინალური ფორმების დასჯადობის ეტაპი წინარე, მომზადება — მცდელობის, სტადიაზე გადმოიტანა აღნიშნული ქმედებების განსაკუთრებულად საშიში სოციალური ხასიათის გამო. უნდა აღინიშნოს, რომ ბანდიტი, ტერორისტი და ა.შ. სოციალური სტატუსი კი არ არის, არამედ პირის დანაშაულებრივი ორგანიზაციისადმი კუთვნილების მიმანიშნებელი. ტერორისტის დანაშაულებრივი ქმედება, სხვათა შორის, გამოიხატება იმაში, რომ გაწევრიანდა ტერორისტულ ორგანიზაციაში. ანალოგიურია კანონიერი ქურდის შემთხვევაც. კანონიერი ქურდი არის კრიმინალური ორგანიზაციის წევრი და მისი ქმედების დასჯადობის საფუძველიც ზუსტად იმაშია, რომ პირი გაწევრიანდა დანაშაულებრივ ორგანიზა-

ციაში და არა იმაში, რომ კანონიერი ქურდობა სოციალური სტატუსია. დასკვნის სახით შეიძლება ითქვას, რომ კანონიერი ქურდობა სოციალური სტატუსი არ არის, კანონიერი ქურდობა კრიმინალური ორგანიზაციისადმი კუთვნილებას ნიშნავს და ქმედებაში, კერძოდ ქურდულ ორგანიზაციაში გაწევრიანებაში გამოიხატება. აღსანიშნავია, რომ მოქმედი კანონმდებლობით, როგორც ზემოთაც აღინიშნა, კანონიერი ქურდის დასჯადობისთვის საკმარისი არ არის მხოლოდ კრიმინალური ორგანიზაციის წევრობის დადგენა, კანონიერმა ქურდმა ქურდული სამყაროს წესების შესაბამისად უნდა მართოს ან/და ორგანიზება გაუწიოს გარკვეულ სოციუმს.

გ. გ-ს მიმართ გამოტანილ სასამართლო განაჩენში, ისევე როგორც კანონიერი ქურდების წინააღმდეგ გამოტანილ სხვა განაჩენებში, ყურადღება გამახვილებულია კანონიერი ქურდობის კრიმინალიზაციამდელ ფაქტებზე და ნაკლები მტკიცებულებაა სახეზე 2006 წლის 28 აპრილის შემდგომ პერიოდში აღნიშნული პირების კრიმინალური საქმიანობის შესახებ. კანონმდებლის მიერ კანონიერი ქურდობის დანაშაულად გამოცხადებამდე ჩადენილი ქმედებების აღწერა, რა თქმა უნდა წარმოაჩენს კრიმინალის საქმიანობის სრულ სურათს, თუმცა სასურველი იქნებოდა ბრალდების მხარეს მეტი მტკიცებულება მოეპოვებინა ისეთ გარემოებაზე, რომელიც დაადასტურებდა კანონიერი ქურდობის კრიმინალიზაციის შემდეგ, კერძოდ 2006 წლის 28 აპრილიდან გ. გ-ს მიერ ქურდული სამყაროს ინტერესების შესაბამისად რაიმე ქმედების განხორციელებას. აღნიშნულად შესაძლებელია ჩათვლილიყო ქურდული გარჩევის მოწყობა, ქურდული საერთო სალაროსთვის თანხების შეკრება, ან სხვა რაიმე ქმედება. გ. გ-ს საქმეში მნიშვნელოვანია ბრალდების მხარის ის მტკიცებულებები, რომელთა მიხედვითაც გ. გ. მოსკოვიდან თელავში მართავდა პირთა დანაშაულებრივ ჯგუფს. გ. გ.-ს მიერ პირთა ჯგუფის მართვა ხორციელდებოდა უკვე ე.წ. კანონიერი ქურდობის კრიმინალიზაციის შემდეგ. სასურველი იქნებოდა

იმის დეტალური გარკვევა რაში გამოიხატებოდა დანაშაულებრივი ჯგუფის მართვა, ვინ შედიოდა აღნიშნულ ჯგუფში და ა.შ., რადგანაც აღნიშნულს დიდი მნიშვნელობა გააჩნია კანონიერი ქურდობის ბრალდების გასამყარებლად.

კანონიერი ქურდობის კრიმინალიზაციის შემდგომ, პირის დანაშაულებრივი ქმედების ასახვა სანიმუშოდაა მოცემული მაგალითად მ. ა.-ს, მეტსახელად „ქუცას" წინააღმდეგ გამოტანილ სასამართლო განაჩენში, რომლის სამოტივაციო ნაწილში აღწერილია არამხოლოდ ქმედების კრიმინალიზაციამდე, არამედ კრიმინალიზაციის შემდგომაც პირის დანაშაულებრივი საქმიანობის შესახებ. აღნიშნულ განაჩენში ასევე დადგენილია იმ პირთა წრე, რომელსაც მართავდა და ორგანიზებას უწევდა კრიმინალური ავტორიტეტი მეტსახელად „ქუცა". სასამართლო განაჩენის სამოტივაციო ნაწილის მიხედვით: „მ. ა. სცნობს და აღიარებს რა ქურდული სამყაროს ცხოვრების წესებს, დანაშაულის ჩამდენი პირის დ. ხ-ს სასარგებლოდ დაფარა ამ უკანასკნელის მიერ ჩადენილი მძიმე დანაშაული, რისთვისაც 1997-1998 წლებში სასჯელს იხდიდა გეგუთის სასჯელაღსრულებით დაწესებულებაში. სასჯელის მოხდისას აქტიურად ასრულებდა ქურდული სამყაროს სპეციალურ წესებს, მას ურთიერთობა ჰქონდა ქურდული სამყაროს წევრებთან და კანონიერ ქურდებთან, რომლებსაც ხელს უწყობდა ქურდული სამყაროს მართვაში. მათგან ღებულობდა სხვადასხვა დანაშაულის ჩადენის ორგანიზებასთან და განხორციელებასთან დაკავშირებულ თხოვნებსა და დავალებებს და ქურდული სამყაროს წევრთათვის სარგებლის მიღების მიზნით ახდენდა დანაშაულებრივი გეგმის შემუშავებას.

სასჯელის მოხდისგან გათავისუფლების შემდეგ, მათ შორის მას შემდეგ, რაც ქურდული სამყაროს წევრობა სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედება გახდა, მ. ა-მ გააგრძელა ცხოვრება ქურდული სამყაროს სპეციალური წესების შესაბამისად. აქტიურად განაგრძობდა ურთიერთობებს

სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში მყოფ კანონიერ ქურდებთან და კრიმინალურ ავტორიტეტებთან, კერძოდ, ბ. ი-სთან, ჰ. ბ-სთან, დ. მ-სთან, ი. გ-სთან, რ. ჯ-სთან, გ-სთან, ზ. პ-თან, რუსეთის ფედერაციაში მსჯავრდებულ შ. გ-სთან, ქურდული ტრადიციების მატარებლებთან – კ. ლ-სთან, ვ. ბ-სთან, ა. ა-სთან და სხვებთან, რომლებსაც ხელს უწყობს ქურდული სამყაროს მართვაში, მათგან ღებულობს სხვადასხვა დანაშაულის ჩადენის ორგანიზებასთან და განხორციელებასთან დაკავშირებულ თხოვნებს და ასრულებს დავალებებს."

როგორც ვხედავთ სასამართლო განაჩენში პირდაპირაა მითითებული იმის შესახებ, რომ „სასჯელის მოხდისაგან გათავისუფლების შემდეგ, მათ შორის მას შემდეგ, რაც ქურდული სამყაროს წევრობა სისხლის სამართლის წესით დასჯადი ქმედება გახდა, მ. ა-მ გააგრძელა ცხოვრება ქურდული სამყაროს სპეციალური წესების შესაბამისად." აღნიშნულით, განაჩენში კარგადაა მოცემული იმის დასაბუთება, რომ პირი არამხოლოდ კანონიერი ქურდობის კრიმინალიზაციამდე, არამედ კრიმინალიზაციის შემდგომაც დარჩა ქურდული დანაშაულებრივი ორგანიზაციის, ე.წ. ქურდული სამყაროს წევრი. ზუსტად ამგვარი დასაბუთება აკლია სისხლის სამართლის საქმეებზე გამოტანილ განაჩენთა გარკვეულ ნაწილს, რაც ქმედების კრიმინალიზაციის შემდგომ კანონიერი ქურდის ან ქურდული სამყაროს წევრის მიერ აკრძალული საქმიანობის სურათს ბუნდოვანს ხდის.

მოცემულ სისხლის სამართლის განაჩენში კანონიერი ქურდების წინააღმდეგ მიმართული სხვა განაჩენებისგან განსხვავებით კარგად არის დადგენილი იმ სუბიექტთა წრე, რომლებიც წარმოადგენენ რა პირთა გარკვეულ ერთობას — ქურდულ სამყაროს, ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ კანონის მესამე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად მოქმედებენ მათ მიერ დადგენილი/აღიარებული სპეციალური წესების შესაბამისად. განაჩენის სამოტივაციო

ნაწილში მითითებულია, რომ მ. ა. კანონიერი ქურდობის დასჯადობის შემოღების შემდეგ „აქტიურად განაგრძობდა ურთიერთობებს სასჯელაღსრულებით დაწესებულებებში მყოფ კანონიერ ქურდებთან და კრიმინალურ ავტორიტეტებთან, კერძოდ, ბ. ი-სთან, ჰ. ბ-სთან, დ. მ-სთან, ი. გ-სთან, რ. ჯ-სთან, გ. ქ-სთან, ზ. პ-თან, რუსეთის ფედერაციაში მსჯავრდებულ შ. გ-სთან, ქურდული ტრადიციების მატარებლებთან – კ. ლ-სთან, ვ. ბ-სთან, ა. ა-სთან და სხვებთან, რომლებსაც ხელს უწყობს ქურდული სამყაროს მართვაში, მათგან ღებულობს სხვადასხვა დანაშაულის ჩადენის ორგანიზებასთან და განხორციელებასთან დაკავშირებულ თხოვნებს და ასრულებს დავალებებს.“ განაჩენის სამოტივაციო ნაწილში, იმის გარდა, რომ მითითებულია კრიმინალურ ავტორიტეტებთან დანაშაულებრივი კავშირის არსებობის შესახებ, არის აგრეთვე მსჯელობა იმასთან დაკავშირებით, რომ სისტემატურად ხორციელდებოდა დანაშაულებრივი საქმიანობის ორგანიზება და აღნიშნულთან დაკავშირებით ხდებოდა გარკვეული თხოვნების და დავალებების შესრულება.

ქართული სასამართლო პრაქტიკის მიხედვით, ქურდული სამყაროს მიზნების განხორციელებისთვის ხელშეწყობის ყველაზე გავრცელებულ პარადიგმას წარმოადგენს ქურდული საერთო სალაროსთვის (ე.წ. „ობშიაკი“) თანხების შეგროვება. მართლაც, ქურდული სამყაროს მიზნების განხორციელების ყველაზე აქტიური ფორმაა ე.წ. „ობშიაკის“ აგროვება. თავის მხრივ, „ობშიაკის“ შევსება წარმოებს ქურდული ავტორიტეტის გამოყენებით, პატიმრების ოჯახის წევრებისა და გარეშე პირების ყოველთვიური სავალდებულო გადასახადის იძულებით გადახდით. აღნიშნულის გარდა, ქურდული სამყაროს წევრები „ობშიაკის“ შევსების ერთ-ერთ წყაროდ, ასევე იყენებენ პატიმართა შორის, დაწესებულების ტერიტორიაზე მათ მიერვე სავალდებულოდ დადგენილი, ციხის აზარტული თამაშების შედეგად წაგებული თანხის, ე.წ. „თავანის“ აგროვებას. ის რომ ფულის შეგროვება წარმოებს ქურდული სამყაროსთვის და ეს მოთხოვნა მომდინარეობს ქურდული

სამყაროს ავტორიტეტებისგან, თავისთავად წარმოადგენს ფსიქოლოგიური იძულების ფორმას, რაც სსკ-ის 223[1]-ე მუხლის შემადგენლობაში თავსდება. საქმეთა უმრავლესობა ამ კატეგორიისაა. ამ თვალსაზრისით, ნიშანდობლივია სისხლის სამართლის საქმე დავით ს-ს და სხვათა მიმართ (სულ 22 მსჯავრდებული). მათ მიერ ჩადენილი დანაშაული, განაჩენის აღწერილობითი ნაწილის შესაბამისად, გამოიხატა შემდეგში: დ. ს. აღიარებს რა ქურდულ სამყაროს, თავისი ცხოვრების წესით საჯაროდ გამოხატავს მისდამი მხარდაჭერას, ყოველდღიურ ცხოვრებაში მას აქტიური ურთიერთობა აქვს ქურდული სამყაროს ლიდერებთან, რომლებსაც აღუთქვამს ხელშეწყობას ქურდული სამყაროს მართვაში. გარდა ამისა, დ. ს. აქტიურად მოქმედებს ქურდულ სამყაროს მიზნების განსახორციელებლად, რითაც ხელს უწყობს ქურდული სამყაროს ფუნქციონირებას. დ. ს. ქ. თბილისის №5 საპყრობილეში მყოფი ქურდული სამყაროს ლიდერების, ე.წ. ,,საკნის მაყურებლების" ლ. ბ-ს და ნ. ნ-ს დავალებით ორგანიზებას უკეთებს საკანში მყოფი სხვა პატიმრების ოჯახის წევრებისაგან ქურდული სამყაროს წესებით აღიარებულ ე.წ. ,,ქურდულ საერთოში" შესატანი თანხების, აგრეთვე მობილური ტელეფონით და ტელევიზორით საკანში სარგებლობისთვის პირობების შესაქმნელად საჭირო თანხების შეგროვებას. პატიმრების ოჯახის წევრებს, რომლებიც მას უკავშირდებიან ტელეფონით, იგი ავალებს, რომ ქურდული სამყაროს ლიდერების მიერ ზემოთხსენებული მიზნებისთვის დაწესებული თანხები გადასცენ მის მიერ მითითებულ პირებს, დათქმულ ადგილზე და დროს.

პატიმრების ოჯახის წევრებთან შეხვედრას დ. ს. ავალებს ქურდული სამყაროს წევრებს (ლ. შ., გ. დ., მ. ჩ., ჯ. ა. და გ. მ-ს), რომლებიც დათქმულ დროს პატიმრების ოჯახის წევრებს ხვდებიან თემქის დასახლებაში, შეგროვებულ თანხას კი აძლევენ დ. ს-ს. დასახელებული პირების მეშვეობით შეგროვებულ თანხას დ. ს., ლ. ბ-ს და ნ. ნ-ს დავალებით აძლევს №5 საპყრობილეში მყოფი ქურდული სამყაროს ლიდერის, ე.წ. ,,კო-

რპუსის მაყურებლის“ ი. ვ-ს ძმას, ასევე, ქურდული სამყაროს აქტიურ წევრს ვ. ვ-ს, ქურდული სამყაროს ლიდერებისთვის გასაგზავნად.

დ. ს-მ №5 საპყრობილეში ლ. ბ-სა და ნ. ნ-სთან ერთად საკანში მყოფი 20-ზე მეტი პატიმრის ოჯახის წევრებისგან ლ. შ-ს, გ. დ-ს, მ. ჩ-ს, ჯ. ა-ს და გ. მ-ს მეშვეობით 2006 წლის 10 ნოემბრისთვის შეგროვებული თანხიდან 780 ლარი გადასცა ვ. ვ-ს, პატიმრობაში მყოფი ქურდული სამყაროს ლიდერებისთვის გასაგზავნად, ხოლო 315 ლარი მათივე მითითებით დაიტოვა თავისთან ცალკეული დავალებების შესასრულებლად.

დ. ს-მ №5 საპყრობილეში მყოფი ზემოთ აღნიშნული პატიმრების ოჯახის წევრებისგან 2006 წლის 6 დეკემბრისთვის შეგროვებული 625 ლარი გადასცა ვ. ვ-ს, პატიმრობაში მყოფი ქურდული სამყაროს ლიდერებისთვის გასაგზავნად. გარდა ამისა, დ. ს. ასრულებდა რა საპყრობილეში მყოფი ქურდული სამყაროს ლიდერების ცალკეულ დავალებებს, მათი მითითებით, სხვადასხვა საკითხების მოსაგვარებლად, პატიმრების ოჯახის წევრებისგან შეგროვებული თანხის ნაწილს აძლევდა საპყრობილეს თანამშრომლებს. მან ლ. ბ-ს და ნ. ნ-ს დავალებით №5 საპყრობილეს თანამშრომელს ლ. ვ-ს 2006 წლის 21 ნოემბერს ლ. შ-ს მეშვეობით გადასცა 300 ლარი, ხოლო 23 ნოემბერს 100 ლარი.

დ. ს. აქტიურად ავრცელებდა ქურდული საყაროს სპეციალურ წესებს, მან ქურდული სამყაროს წევრებისთვის სარგებლის მიღების მიზნით, მის მიერ ორგანიზებულ დანაშაულებრივ საქმიანობაში ჩააბა სხვა პირები, მათ მოუწოდებდა ქურდული სამყაროს აღიარებული წესებით ცხოვრებას, მონაწილეობდა ქურდულ გარჩევებში.

2006 წლის ნოემბრის თვეში სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თბილისის №5 საპყრობილის სარეჟიმო განყოფილების ინსპექტორმა ლ. ვ-მ საპყრობილის 61-ე საკანში, სადაც სხვა პატიმრებთან ერთად იყო ლ. ბ., აღმოაჩინა ციხისთვის აკრძა-

ლული ნივთი, მობილური ტელეფონი. თუმცა, მას ამაზე არ მოუხდენია შესაბამისი რეაგირება და არ შეუდგენია არანაირი დოკუმენტი, რის საფუძველზეც დამრღვევი პირის მიმართ გატარდებოდა კანონით გათვალისწინებული ზომები. მისი უმოქმედობისთვის ლ. ბ. ლ. ვ-ს დაპირდა, რომ დააკავშირებდა თავის ახლობლებს და მათი მეშვეობით გადასცემდა 300 ლარს. შეთანხმებისამებრ, ლ. ბ. მობილური ტელეფონით დაუკავშირდა ქურდული სამყაროს წევრ დ. ს-ს, მოუყვა მას მომხდარი ფაქტის შესახებ და დაავალა, რომ დაკავშირებოდა ლ. ვ-ს და საპყრობლის 61-ე საკანში მყოფი პატიმრების ოჯახის წევრებისგან ე.წ. ქურდულ საერთოში შეტანილი ფულადი თანხებიდან აეღო 300 ლარი და გადაეცა ლ. ვ-სთვის, რის შემდეგაც დ. ს. მობილური ტელეფონით დაუკავშირდა ლ. ვ-ს, დაუთქვა შეხვედრა და ფულის გადასაცემად მასთან გაგზავნა, ასევე ქურდული სამყაროს წევრი ლ. შ., რომელმაც ეს თანხა გადასცა ლ. ვ-ს.

აღნიშნული ქმედებით დ. ს-მ ჩაიდინა სსკ-ის 223[1]-ე მუხლის 1-ლი ნაწილითა და 339-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული“

დაცვის მხარის პოზიციის მიხედვით, როგორც განმარტა ერთ-ერთმა განსასჯელმა ნ. ნ-მ, თანხის აგროვება ხდებოდა იმის გამო, რომ ციხეში აუტანელი პირობები იყო და ბევრჯერ უხდებოდათ საკანში თანხის შეგროვება, რომ ელემენტარული საყოფაცხოვრებო პირობები შეექმნათ (თუნდაც ეყიდათ საპონი ან ჰქონოდათ მობილური ტელეფონი). „თანხას ნამდვილად ვაგროვებდით, მაგრამ არა „ობშიაკისთვის“, არამედ თვითონ ჩვენი პირობების გასაუმჯობესებლადო. ფულს ოჯახის წევრები გვიგზავნიდნენ და ვინ იტყოდა დახმარებაზე უარს.“ ანალოგიური ჩვენება აქვთ მიცემული სხვა განსასჯელებსაც (გ. გ. და სხვ.). სასამართლო გამოძიებით დადგინდა, რომ განსასჯელები არა მხოლოდ პირობების გასაუმჯობესებლად აგროვებდნენ თანხებს პატიმრების ოჯახის წევრებისგან, არამედ ძირითადად იმისთვის, რომ

თანხების ძირითადი ნაწილი მოხმარებოდა ქურდული სამყაროს მიზნებს და ზუსტად ამ მიზნით გროვდებოდა. აქედან გამომდინარე, სასამართლომ სწორად შეაფასა რა არსებული ვითარება, არ გაიზიარა დაცვის მხარის პოზიცია. სისხლის სამართლის საქმეებიდან ნათლად ჩანს, რომ განსასჯელების მიერ პატიმრების ოჯახის წევრებიდან აგროვებული თანხების გარკვეული ნაწილი ხმარდებოდა ციხის ადმინისტრაციის მოსყიდვას, ხოლო დიდი ნაწილი ქურდულ სალაროში მიდიოდა. მაგალითად: „მ. მ-სა და გ. ნ-ს მიერ ქურდული სამყაროს სხვა წევრების მეშვეობით, პატიმრების ოჯახის წევრებისგან შეგროვებულმა, გ. გ-სთვის (ქურდული სამყაროს წევრი, შენიშვნა ჩვენია) გადასაცემი თანხის ოდენობამ 2006 წლის ნოემბრისთვის, 2006 წლის 12 დეკემბრისთვის შეადგინა 9816 ლარი"; „ქურდული სამყაროს წევრი – ვ. ვ. რომლის საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებული იქნა ე.წ. „ქურდული საერთოს" თანხის ნაწილი — 9700 ლარი, ხოლო ამავე საპყრობილის პატიმრის ჩ-ის მეუღლის გ. მ. საცხოვრებელი ბინის ჩხრეკისას ამოღებულ იქნა ქურდული საერთოს თანხა – 79140 ლარი და 50 აშშ დოლარი". ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე სასამართლომ სავსებით საფუძვლიანად არ გაიზიარა განსასჯელების ჩვენება, რომ მათ თანხების აგროვება მხოლოდ საპატიმროში პირობების გასაუმჯობესებლად უნდოდათ.

ერთ-ერთი განსასჯელი, ლ. ყ. სასამართლო პროცესზე რიტორიკულ კითხვას სვამს: — „თუ თანხის შეგროვება დანაშაულია, რატომ იმათ არ იჭერთ ვისაც ჩვენთან თანხა მოჰქონდა, რათა მათი ახლობელი პატიმრებისთვის მიგვეწოდებინა სხვადასხვა ნივთები (კვების პროდუქტები, სანიავებლები, საპონი და მისთ.)." საქმე იმაშია, რომ ქურდული სალაროსთვის თანხის შეგროვება საპატიმრო ადგილებში ატარებდა სავალდებულო ხასიათს და იმ განსასჯელების მიმართ, რომლებიც ქურდულ საერთოში არ გადაიხდიდნენ თანხას, ტარდებოდა მკაცრი ღონისძიებები, მაგალითად ფიზიკური შეურაცხყოფა, დამცირება, აბუჩად აგდება. აქედან გამომდინარე, თავი-

სუფლების აღკვეთის ადგილებში მყოფი პატიმრების ოჯახის წევრები, იმისთვის რომ დამამცირებელი მოპყრობისგან გადაერჩინათ თავიანთი ახლობლები, ქურდული სამყაროს წევრებს აძლევდნენ გარკვეულ მოსაკრებელს. ამიტომ, განსასჯელი ლ. ყ-ს რიტორიკულ კითხვაზე, შესაძლებელია ვუპასუხოთ, რომ ზოგადად თანხის აგროვება კი არ არის დანაშაული, არამედ ქურდული სამყაროს მიზნებისთვის მისი შეკრება. აღნიშნული თანხები ხმარდება კრიმინალური ორგანიზაციის განვითარებას, სახელმწიფო მოხელეების მოსყიდვას, ლეგალურ ბიზნესში ინვესტირებას და მოგების ისევ კრიმინალური ორგანიზაციის ინტერესებისთვის მოხმარებას (ფულის გათეთრება) და ა.შ. დაცვის მხარის პოზიცია, რომ ფულის შეგროვება და ვინმესთვის გადაცემა არ ნიშნავს ქურდული სამყაროს წევრობას, სავსებით სწორად არ იქნა გაზიარებული სასამართლოს მიერ, რადგანაც ფულის შეგროვება საქველმოქმედო მიზნების განხორციელებას კი არ ხმარდებოდა, არამედ ორგანიზებული დანაშაულობის განვითარებას.

კანონიერი ქურდებისა და ქურდული სამყაროს წევრობის სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის გაცნობამ წარმოაჩინა ქმედების მართლწინააღმდეგობის პრობლემურობა. ცნობილია, რომ ქმედების მართლწინააღმდეგობის საკითხი ერთ-ერთი რთული და სადავო პრობლემაა. არის ქმედებები, რომელთა მართლწინააღმდეგობის საკითხი სისხლის სამართალში წყდება (კლასიკური დელიქტები), მაგრამ არის ქმედებები, რომელთა მართლზომიერება-მართლწინააღმდეგობის დასადგენად სამართლის სხვა დარგებს უნდა მივმართოთ (ე.წ. ბლანკეტური მუხლები). მათ შორის უნდა მოვიაზროთ ან/და მათთან უნდა გავათანაბროთ ე.წ. კანონმდებლობის ნორმები, რომლებიც საერთო სამართალში mala prohibita-ს სახელითაა ცნობილი. ეს არის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული დანაშაულები,

რომელთა ამკრძალავ ნორმებს პრევენციული (პროფილაქტიკური) მნიშვნელობა აქვს. მაშასადამე, სისხლის სამართლის ნორმებს შესაძლოა მორალური ან თეოლოგიური წარმომავლობა ჰქონდეს ანდა აღმოცენდეს, როგორც კანონმდებლობის ნორმა, სწორედ ამ უკანასკნელ კატეგორიას მიეკუთვნება კანონიერი ქურდობა (სსკ-ის მუხლის 223[1]-ე). ეს არის სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული დანაშაული, რომელსაც პრევენციული, პროფილაქტიკური ხასიათი აქვს. კლასიკური დელიქტების მართლწინააღმდეგობის დადგენა არავითარ პრობლემას არ წარმოადგენს, მაგრამ რამდენადაც ქურდული სამყაროს შესახებ ნორმას არც მორალური და არც თეოლოგიური წარმომავლობა არა აქვს, ამდენად მისი მართლწინააღმდეგობის შეგნების საკითხს მეტი სიფრთხილით უნდა მოვეკიდოთ, მხედველობაშია ინდივიდუალური მართლწინააღმდეგობის საკითხი, რამეთუ, ამ ქმედების კრიმინალიზაციის დროს ობიექტური მართლწინააღმდეგობის საკითხი, უკვე პოზიტიურად არის გადაწყვეტილი. კანონიერი ქურდობის პრობლემა მეტნაკლებად გარკვეულია და აკრძალვა ყველა საღად მოაზროვნე მოკვდავისთვის (საშუალო ადამიანი) გასაგებია, მაგრამ როცა საკითხი ეხება ქურდული სამყაროს წევრობას, მეტი სიფრთხილეა საჭირო.

სამართალი ორი მეთოდით იქმნება კანონების მიღებით და სასამართლო პრაქტიკით. ცნობილია, რომ კანონშემოქმედება ემყარება ნორმის ფორმალიზაციას. მართლწინააღმდეგობის კონცეფციაში აქცენტი კეთდება ქცევაზე, რომელიც კანონს არღვევს. ნებისმიერი ნორმის დარღვევა საკმარისია, რომ ქცევა სამართალდარღვევად შეფასდეს. მართლწინააღმდეგობის კატეგორია ავლენს ლოგიკურ წინააღმდეგობას ადამიანის ქცევასა და სისხლის სამართლის ნორმის მოთხოვნას შორის. ფორმალური მართლწინააღმდეგობისთვის საკმარისია რომ ესა თუ ის ქცევა შეფასდეს როგორც

სამართალდარღვევა, მაგრამ მატერიალური მართლწინააღმდეგობის ქვაკუთხედია მსხვერპლის ინტერესები და დასჯის აუცილებლობა დანაშაულით დარღვეული მორალური წესრიგის (მართლწესრიგის) აღსადგენად.[99]

ამასთანავე, მატერიალური მართლწინააღმდეგობის სუბიექტური წანამძღვარი ქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნებაა. შესაძლებელია ობიექტური მართლწინააღმდეგობა მართლაც სახეზე იყოს, მაგრამ ადამიანს ეს სუბიექტურად გაცნობიერებული არ ჰქონდეს, რამაც შეიძლება ბრალის გამორიცხვამდეც კი მიგვიყვანოს. თუ ჩვენ განზრახვის ფორმულას წარმოვიდგენთ, მართლაც ძნელი დასაჯერებელი იქნება ადამიანს პირდაპირი განზრახვით ქმედება შეერაცხოს, მას კი არ ესმოდეს ქმედების სუბიექტური შემადგენლობის შინაარსი. მაგალითად, შესაძლებელია ე.წ. „ობშიაკის" შემკრებთ გაცნობიერებული არ ჰქონდეთ თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა. სასამართლო პრაქტიკის ანალიზის დროს ამის დამადასტურებელი ფაქტებიც ვნახეთ.

ქმედების მართლწინააღმდეგობის შეგნების არარსებობა შეიძლება ბრალის გამორიცხვის საფუძვლად იქცეს. ეს კი, სამოსამართლო სამართლის პრეროგატივაა, მტკიცების ტვირთი გადადის ბრალდების მხარეზე, ხოლო ბრალდებულის მიმართ მოქმედებს ყველა ეჭვის მის სასარგებლოდ გადაწყვეტის პრინციპი.

მაშასადამე, მატერიალური მართლწინააღმდეგობის საკითხი სამოსამართლო სამართალში უნდა გაირკვეს, სასამართლო პრაქტიკა ამა თუ იმ ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციით ქმნის დანაშაულის ტიპის მონახაზს (ნიმუშს), სასამართლო პრეცედენტი იქცევა სამართალდარღვევის ნიმუშად (პარადიგმად), ამავე დროს, მართალია სასამართლო პრეცედენტი

---

[99] იხ. ჯ. ფლეტჩერი, ა. ნაუმოვი, თანამედროვე სისხლის სამართლის ძირითადი კონცეფციები (რუსულ ენაზე, მოსკოვი, 1997, გვ. 216-240).

მეორადი და წარმოებულია სისხლის სამართლის კანონიდან, მაგრამ მან უნდა დააკონკრეტოს კანონის ტექსტი და შეავსოს რეალური შინაარსით. სასამართლო პრაქტიკის განხილვის შემდეგ შეიძლება დავასკვნათ, რომ აუცილებელია ქცევის მატერიალური მართლწინააღმდეგობის დადგენა პირის სისხლისსამართლებრივი დევნისთვის.

ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ კანონის ამჟამინდელი რედაქციის თანახმად ქურდული სამყაროს წესების ცოდნა და ამა თუ იმ ფორმით მათი დახმარება, როცა ამას საჯარო მოხელეები სჩადიან, არ შეიძლება ქურდული სამყაროს წევრობისათვის მათი დევნის საფუძველი გახდეს. მსგავსი ქმედებისათვის საჯარო მოხელემ პასუხი უნდა აგოს უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისათვის ან გადამეტებისათვის და არა ქურდული სამყაროს წევრობისათვის. საჯარო მოხელეთა ერთი და იგივე ქმედება ერთდროულად ფასდება ქურდული სამყაროს წევრობად და სამოხელეო დანაშაულად, რაც არ მიგვაჩნია მართებულად.

თბილისის საქალაქო სასამართლომ ზ. ჩ-ს მსჯავრი დასდო უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში და ქურდული სამყაროს წევრობაში, მის მიერ ჩადენილი დანაშაული გამოხატა შემდეგში: ,,ზ. ჩ. მუშაობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქ. თბილისის №5 საპყრობილეში სარეჟიმო განყოფილების უფროსი ინსპექტორის თანამდებობაზე და ითვლებოდა მოხელედ. იგი დაუდგენელ დროსა და ვითარებაში დაუკავშირდა ქ. თბილისის №5 საპყრობილეში მოთავსებულ პატიმარს შ. ა-ს, ხოლო მოგვიანებით ამ უკანასკნელის მეუღლის დედას ქ. უ-ს, რომელიც შ. ა-ს სიტყვიერი დავალებით აგროვებდა ფულად თანხებს ქურდულ სამყაროში (ალბად ივარაუდება საერთო ქურდული სალარო, გ.მ.) შეტანის მიზნით. მას თავისი სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით ჰქონდა რა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქ. თბილისის №5 საპყრობილეში მოთავსებულ პატიმრებთან თავისუფლად შეხვე-

დრის საშუალება, იგი ამავე საპყრობილის პატიმარ ა-სთან და ქ. თბილისში მცხოვრებ ქ. უ-სთან წინასწარი შეთანხმებით, ამ უკანასკნელის მიერ ქურდული საერთოს სახით შეგროვებულ ფულად თანხებს გადასცემდა შ. ა-ს, მისთვის უპირატესობის მიღების და ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად. ზ. ჩ-ს ჰქონდა რა ქურდული სამყაროს წევრებისთვის ფინანსური დახმარების გაწევის განზრახვა, ამასთან ბოროტად სარგებლობდა თავისი სამსახურებრივი მდგომარეობით, 2006 წლის ოქტომბერ-ნოემბრის თვეებში სხვადასხვა დროს შ. ა-ს დავალებით ქ. უ-ს ართმევდა დაწესებულებში მოთავსებული პატიმრების ოჯახის წევრებისგან ქურდული საერთო სახით შეგროვებულ თანხებს. კერძოდ, 2006 წლის 23 ოქტომბერს მან ქ. უ-ს გამოართვა სხვადასხვა დროს ქურდული საერთოს სახით შეგროვილი თანხა 300 ლარის ოდენობით. აღნიშნული ქმედებით იგი საჯაროდ გამოხატავს ქურდული სამყაროსადმი მხარდაჭერას, ყოველდღიურ ცხოვრებაში მას აქტიური ურთიერთობა ჰქონდა ქურდული სამყაროს ლიდერებთან. გარდა ამისა, ზ. ჩ-ს ქმედებამ, კერძოდ კი ქურდული სამყაროს დახმარებამ, რაც გამოიხატა ქურდული საერთოების სახით შეგროვებული თანხების მათთვის გადაცემაში და ამ ქმედებით მათთვის უპირატესობის მინიჭებაში, საზოგადოებრივი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია. ზემოაღნიშნული ქმედებისათვის მას ბრალი დაედო სსკ-ის 223[1]-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით.

ამგვარად, საპყრობილის ინსპექტორის მიერ ე.წ. ქურდული „ობშიაკისათვის" შეგროვებული თანხის გადაცემა პატიმარ შ. ა-სთვის ერთდროულად შეფასდა უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებადაც და ქურდული სამყაროს წევრობად. მაშასადამე, საჯარო მოხელის ერთი და იგივე ქმედება ორჯერ შეფასდა, როგორც ქურდული სამყაროს წევრობა და როგორც უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, რაც სამართლებრივად სწორად არ მიგვაჩნია.

წინასწარმა გამოძიებამ გ. ა-ს და გ. გ-ს ბრალდება წაუყენა გამოძალვისთვის და ქურდული სამყაროს წევრობისთვის, სსკ-ის 181-ე და 223[1]-ე მუხლებით. განაჩენის მიხედვით, მათ მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: ,,2006 წლის 22 ივლისს ნ. ა., რომელიც არის ქურდული სამყაროს წევრი, დანაშაულებრივად დაუკავშირდა თავის მეგობარს, ასევე ქურდული სამყაროს წევრს გ. გ-ს და შეუთანხმდა საქართველოს მოქალაქის, ეროვნებით სომეხის, ს. ბ-სთვის დიდი ოდენობით თანხის (10 000 აშშ დოლარის) გამოძალვის შესახებ. განზრახვის სისრულეში მოსაყვანად იგი გ-სთან ერთად წინასწარი შეთანხმებით, ქურდული სამყაროს წესების მოთხოვნათა შესაბამისად და შემდეგ ქურდული გარჩევების მოწყობის დაშინებით (მუქარით), თითქოს მათი ნაცნობი ქურდული სამყაროს წარმომადგენლები აპირებდნენ ს. ბ-ზე და მისი ოჯახის წევრებზე თავდასხმას ან სხვაგვარ ძალადობას, თანხის გადახდის შემთხვევაში კი ისინი ქურდული სამყაროს წევრებთან მოუგვარებდნენ პრობლემას და ისინი აღარ მოახდენდნენ მასზე და მისი ოჯახის წევრებზე თავდასხმას. ამ მიზნით იგი დაუკავშირდა ს. ბ-ს რამდენჯერმე, რა დროსაც მისი და მისი ოჯახის წევრების მიმართ ძალადობის გამოყენებისა და ფიზიკური განადგურების მუქარით მოსთხოვა 10 000 აშშ დოლარი, რომელიც ს. ბ-ს უნდა გადაეხადა 2006 წლის 23 ივლისს. დათქმულ დღეს, დაახლოებით 13-სთ და 40 წთ-ზე, ქ. თბილისში, მე-3 მასივის №42 კორპუსის მიმდებარე ტერიტორიაზე ნ. ა-მა გ. გ-სთან ერთად წინასწარი შეთანხმებით, ს. ბ-ს წინასწარ გამოსძალა მოთხოვნილი 10 000 აშშ დოლარიდან 1500 აშშ დოლარი, რა დროსაც იგი და გ. გ-ვა დაკავებული იქნენ შსს სოდის თანამშრომლების მიერ. სასამართლო სხდომაზე განსასჯელმა ნ. ა-მ წარდგენილ ბრალდებაში თავი ნაწილობრივ სცნო დამნაშავედ, კერძოდ გამოძალვის ნაწილში და განმარტა, რომ იგი 1998 წლიდან იცნობდა ს. ბ-ს საერთო ნაცნობისგან. შემდეგ კი ჩამოუყალიბდა ახლო ურთიერთობა. იგი 2005 წელს

რამდენჯერმე მივიდა მასთან დახმარების სათხოვნელად, ერთხელ იმ მიზეზით, რომ მას და მის მეგობარს, მიშას ვიღაც ლოტკინელები აწუხებდნენ, რომ ნარკოტიკების გამსაღებლები იყვნენ. ბ-მ იცოდა, რომ ის პოლიციაში მუშაობდა და ამიტომ მივიდა მასთან დახმარების სათხოვნელად. სამი თვის შემდეგ ს. ბ-მა კვლავ სთხოვა მას დახმარება, ახლა საბურთალოელების მხრიდან შეწუხების მოტივით. იგი მის მიერ დაბარებულ იქნა სამინისტროში, რათა ოფიციალურად გაეფორმებინათ პატაკი. მაგრამ ს. ბ-ანმა განაცხადა, რომ არ უნდოდა პოლიციის ჩარევა. ცოტა ხნის შემდეგ კვლავ მივიდა და სთხოვა მეგობარი გოგოს დახმარება, მათ დაილაპარაკეს და შემდეგ დაშორდნენ. როდესაც ს. ბ-ანმა იგი სახლში მიიყვანა, ა-მ უთხრა ს-ს, შეეშვი ამ საქმესო. მან კი უპასუხა, რომ მას საერთო არაფერი ჰქონდა საქმესთან. მან კი უპასუხა, რომ აბა ტყუილად ხომ არ შეგაწუხებენო. ამ დროს გაუჩნდა იდეა გამოძალვასთან დაკავშირებით და ს. ბ-ანს ერთ-ერთ შეხვედრისას მოუყვა, თუ როგორ შეესწრნენ ის და მისი მეგობარი საუბარს რესტორანში გ. გ-ს ბიძასთან და სხვა საეჭვო პირებთან ერთად, სადაც მასზე საუბრობდნენ ქურდული სამყაროს წევრები და ფიქრობდნენ მის დაყაჩაღებას და ფულის გამოძალვას 30 000 ლარის ოდენობით, მუქარითა და რაღაც მოქმედებების იძულებით. ვერსიები, რომელსაც ის უყვებოდა ბ-ანს ყველა გამოგონილი და მოფიქრებული იყო მის მიერ, გ-მ ამის შესახებ გაიგო მოგვიანებით, როდესაც მას უკვე ნათქვამი ჰქონდა ბ-სთვის თანხისა და მუქარის შესახებ. ბ-ანი მის მონაყოლს მიიღებდა რეალურ მუქარად; ბ-ანი გ. გ-ს არ იცნობდა და ამიტომ მისი ჩართვა ამ საქმეში უფრო დამაჯერებელი იქნებოდა. ამ მონაყოლიდან 10 დღის შემდეგ ბ-ანი კვლავ მივიდა მასთან და მოუყვა მისი დაყაჩაღების ამბავი. ყაჩაღობის ის დეტალები, რომლებსაც ის და გ. გ-ვა ეუბნებოდნენ ს. ბ-ანს მისივე მონაყოლიდან იცოდნენ და უბრალოდ ავრცობდნენ. თავიდან კონკრეტულ თანხაზე არ საუბრობდნენ, მერე წამოვიდა 10 000 აშშ დოლარზე ლაპარაკი; ბ-ანის დაყაჩაღების შესახებ გ. გ-ვამ გაიგო, როდესაც ის თბილისში დაბრუნდა. ბ-ანის დაყაჩაღების დროს გ. გ-ვა

თბილისში არ იმყოფებოდა, ახლობლის დაკრძალვაზე იყო წასული. საბოლოოდ ის და ს. ბ-ანი შეთანხმდნენ 5 000 აშშ დოლარზე. 2006 წლის 23 ივლისს შედგა შეხვედრა მასსა და ს. ბ-ანს შორის. შეხვედრისას ს. ბ-ანმა მას გადასცა თანხა 1 500 აშშ დოლარის ოდენობით, რა დროსაც იგი დაკავებული იქნა. რაც შეეხება ქურდულ სამყაროსთან კავშირს, გ. გ-მ უარყო და განმარტა, რომ იგი 1995 წლიდან 2005 წლის ბოლომდე მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროს დაზვერვის სამსახურში. სასამართლო სხდომაზე განსასჯელმა გ. გ-მ წარდგენილ ბრალდებაში თავი ნაწილობრივ სცნო დამნაშავედ, კერძოდ, გამოძალვის ნაწილში და განმარტა, რომ იგი 2006 წლის ივლისის თვეში დასავლეთ საქართველოში იმყოფებოდა ახლობლის დაკრძალვაზე. ს. ბ-ანის დაყაჩაღების შესახებ დეტალები მას მოუყვა ნ. ა-მა. შემდეგ ეს დეტალები იქნა სწორედ გამოყენებული მასთან საუბარში და აქედან გაუჩნდა ეჭვი და ირწმუნა ალბათ კიდეც ს. ბ-ანმა, რომ მან იცოდა დაყაჩაღების შესახებ. როცა ის დაბრუნდა თბილისში მისთვის ცნობილი გახდა ნ. ა-ს მიერ დაწყებული საუბარი და მან უთხრა მოდი ესე გავაკეთოთო, ზედმეტი ფული არავის აწყენსო; მისთვის უცნობი იყო ს. ბ-ანის დამყაჩაღებლები. მათ მიერ ეს ამბავი მოგონილი იყო. ის პირადად არ იცნობდა ს. ბ-ანს, ეს იყო დადგმული სპექტაკლი. ის რამდენჯერმე შეხვდა ს. ბ-ანს ,,კოლოს" ზედმეტსახელით და ესაუბრა ვითომდა მოსმენილი მუქარისა და მათი შესაძლო ასრულების შესახებ. ს. ბ-ანი სთხოვდა შეეხვედრებინა ის ქურდებისათვის. მისი განმარტებით კი ის ამას ვერც გააკეთებდა რადგან არავისთან ჰქონია შეხება. მისი განმარტებით ზედმეტსახელი ,,კოლო'' პოლიციაში მუშაობისას შეარქვეს; მოთხოვნილი თანხა შეადგენდა 10 000 აშშ დოლარს, შეთანხმდნენ 5 000 აშშ დოლარის გადაცემაზე, საბოლოოდ კი გადახდილ იქნა 1 500 აშშ დოლარი. ის, რომ ბიძამისი ვითომ ქურდი იყო, ქალაქში მის ჩამოსვლამდე უკვე იცოდა ს. ბ-ანმა და ვეღარ გადათქვამდა. ქურდულ სამყაროს წევრობასთან დაკავშირებით კი განმარტა: 1989 წლიდან 1996 წლამდე მუშაობდა შინაგან საქმეთა სამინისტროში. 1991 წელს ტყვედ ჩავარდა სამაჩაბლოში და 1992 წელს გათავისუფლდა.

სასამართლომ განიხილა რა სისხლის სამართლის საქმის მასალები, მოისმინა განსასჯელების, დაზარალებულის და მოწმეთა ჩვენებები, გაანალიზა ისინი საქმეზე შეკრებილ და სასამართლო სხდომაზე გამოკვლეულ სხვა მტკიცებულებებთან ერთობლიობაში და მიიჩნია, რომ სასამართლო გამოძიების დროს დადასტურება ვერ ჰპოვა წინასწარი გამოძიებით დადგენილად მიჩნეულმა გარემოებამ იმის შესახებ, რომ განსასჯელებმა ა-მა და გ-მ ჩაიდინეს სსკ-ის 223[1]-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული. ე.ი. ქურდული სამყაროს წევრობა. ქურდული სამყაროს წევრია პირი რომელიც აღიარებს ქურდულ სამყაროს და აქტიურად მოქმედებს ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად. ქურდული სამყაროს წევრობა არ იქნება მაშინ როდესაც პირს არა აქვს კავშირი ასეთ სამყაროსთან და მოქმედებს დამოუკიდებლად. ამასთანავე, სასამართლო გამოძიებისას ვერ დადასტურდა მათი კავშირი ქურდულ სამყაროსთან, ისინი მოქმედებდნენ დამოუკიდებლად. მათ მიერ დასახელებული პირი როგორც ქურდული სამყაროს წევრი, არ არის რეალურად ის პიროვნება, მათ მიერ ეს ფაქტი მოგონილი იყო მხოლოდ მათი ვერსიის გასამაგრებლად, რათა ბ-ანისთვის გამოეძალათ ფული. აღსანიშნავია ისიც, რომ ორთავე პირი წარსულში იყვნენ პოლიციის თანამშრომლები, ერთ-ერთი მათგანი კი წლების განმავლობაში აქტიურ მონაწილეობას იღებდა დამნაშავეთა სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლაში. სისხლის საპროცესო სამართლის მიხედვით ყოველგვარი ეჭვი პირის დამნაშავედ ცნობისთვის მტკიცებულებათა უტყუარობისა და საკმარისობის თაობაზე უნდა გადაწყდეს განსასჯელის სასარგებლოდ. სასამართლო პროცესზე მოწმე ე. გ-მ, რომელიც საქმეში მოიხსენიება როგორც ქურდული სამყაროს წევრი და რომლის დახმარებითაც განსასჯელები აპირებდნენ ბ-ანის პრობლების მოგვარებას, დაკითხვისას განმარტა რომ მას არანაირი კავშირი არა აქვს ქურდულ სამყაროსთან და მისთვის საერთოდ უცნობია, ვინ არის ს. ბ-ანი. მხოლოდ ეჭვი არ შეიძლება განსასჯელების სსკ-ის

223[1]-ე მუხლის 1-ლი ნაწილით მსჯავრდების საფუძველი გახდეს. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სასამართლო მივიდა იმ დასკვნამდე, რომ სასამართლო განხილვის დროს ვერ იქნა მოპოვებული საკმარისი და უტყუარი მტკიცებულებები იმის შესახებ, რომ ა-მა და გ-მ ჩაიდინეს 223[1]-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, ე.ი. ქურდული სამყაროს წევრობა. სსსკ-ის მე-10 მუხლის თანახმად კი, გამამტყუნებელი განაჩენი უნდა ემყარებოდეს მხოლოდ უტყუარ მტკიცებულებებს და ყოველგვარი ეჭვი, რომელიც არ დადასტურდება კანონით დადგენილი წესით უნდა გადაწყდეს განსასჯელების სასარგებლოდ."

თბილისის საქალაქო სასამართლომ 2007 წლის 27 თებერვლის განაჩენით, მათ წარდგენილი ბრალდებიდან ამოურიცხა სსკ-ის 223[1]-ე მუხლი და მსჯავრი დასდო მხოლოდ გამოძალვისთვის.

საქალაქო სასამართლო დაემყარა იმ გარემოებებს, რომ როგორც ნ. ა., ისე, გ. გ. ყოფილი პოლიციელები იყვნენ. ნ. ა. 1996-2005 წლებში მუშაობდა პოლიციაში, არაერთი მადლობა აქვს მიღებული სამსახურეობრივი მოვალეობის კეთილსინდისიერი შესრულებისთვის. ასევე ყოფილი პოლიციელია გ. გ. საკითხავია, კრიმინალურ სამყაროსთან მებრძოლები როგორ გადაიქცნენ ქურდული სამყაროს წევრებად? როგორც საქმიდან ირკვევა, ქურდულ სამყაროსთან კავშირი მათი ფანტაზიის ნაყოფია, რათა გაადვილებოდათ ფულის გამოძალვა. ისინი აღიარებდნენ გამოძალვის ფაქტს, მაგრამ უარყოფდნენ ქურდული სამყაროს წევრობას. საქმეში არ მოიპოვება მათი ქურდულ სამყაროსთან კავშირის დამადასტურებელი არც ერთი მტკიცებულება და საქალაქო სასამართლო სწორად მოიქცა როცა მათ მოუხსნა ბრალდება სსკ-ის 223[1]-ე მუხლით.

თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ პირველი ინსტანციის სასამართლო სტადიაზე სისხლის სამართლის საქმე არ დასრულე-

ბულა, რადგანაც ბრალდების მხარემ სააპელაციო საჩივრით მოითხოვა საქმის ხელახალი განხილვა, მსჯავრდებულების დამნაშავედ ცნობა სსკ-ის 223[1]-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და 181-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა" და ,,გ" პუნქტებით, თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენში ცვლილების შეტანა და ნ. ა-სა და გ. გ-სთვის სასჯელის გამკაცრება. თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2007 წლის 1 ივნისის განაჩენით მათ კვლავ დასდო მსჯავრი ქურდული სამყაროს წევრობისთვის. სააპელაციო სასამართლოს განაჩენში ვკითხულობთ: ,,სააპელაციო სასამართლომ გაიზიარა პროკურატურის სააპელაციო საჩივრის მოთხოვნა, რომ მსჯავდებულები დამნაშავედ უნდა იქნენ ცნობილი სსკ-ის 223[1]-ე მუხლის 1-ლი ნაწილით, რამდენადაც მიიჩნია რომ დაზარალებულისაგან ფულის გამოძალვისას ისინი მოქმედებდნენ ქურდული წესების შესაბამისად, დაზარალებულს პირდებოდნენ ხელშეუხებლობის გარანტიას იმ შემთხვევაში თუ იგი მათ გადაუხდიდა გარკვეული ოდენობის ფულად თანხას, რომელიც შემდგომ თითქოს უნდა გადაეცათ იმ პირებისათვის რომლებიც აპირებდნენ ბ-ანის ოჯახზე თავდასხმას. პალატა ყურადღებას მიაქცევს იმ გარემოებას, რომ მსჯავრდებულმა ნ. ა-მ ბ-ანი მასზე მოსალოდნელი თავდასხმის შესახებ გააფრთხილა 2006 წლის ივნისის ბოლოს, ხოლო ბ-ანის ოჯახზე ყაჩაღური თავდასხმა განხორციელდა 2006 წლის 4 ივლისს. პალატა ვერ გაიზიარებს გასაჩივრებული განაჩენის დასაბუთებას, რომ მსჯავრდებულები მოქმედებდნენ დამოუკიდებლად და მათი მხრიდან ქურდულ სამყაროსთან კავშირი მოგონილი იყო ფულის გამოძალვის ვერსიის გასამაგრებლად, რადგან დაზარალებულ ბ-ანის ჩვენებით დადგენილია რომ იგი დააყაჩაღეს ნ. ას-თან შეხვედრიდან ერთი კვირის შემდეგ და დაყაჩაღების შემდეგ შიში რეალურად აღიქვა, მითუმეტეს გ.გ-მ მოუყვა ისეთი რაღაცეები, რაც მას არავისთვის მოუყოლია და მხოლოდ მან და მისმა მეუღლემ იცოდნენ, რამაც საბოლოოდ დაარწმუნა მსჯავრდებულების კავშირში ქურდულ სამყაროსთან. საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანო-

ნით ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ, ქურდული სამყარო არის პირთა ნებისმიერი ერთობა, რომელიც მოქმედებს მათ მიერ დადგენილი ან აღიარებული სპეციალური წესების შესაბამისად და რომლის მიზანია დაშინებით, მუქარით, იძულებით, დანაშაულის ჩადენით მისი წევრებისთვის ან სხვა პირებისთვის სარგებლის მიღება. გასაჩივრებული განაჩენის არგუმენტაცია, რომ მსჯავრდებულები წარსულში იყვნენ პოლიციის თანამშრომლები, თავისთავად არ გამორიცხავს ქურდული სამყაროს წევრობას. მსჯავრდებულები სწორედ ზემოთ მითითებული გზით, ქურდული სამყაროსთვის მისაღები მეთოდების გამოყენებით ცდილობდნენ სარგებლის მიღებას."

მიგვაჩნია, რომ პირველი ინსტანციის სასამართლომ სწორი გადაწყვეტილება მიიღო და სააპელაციო სასამართლოს მისი შეცვლის საფუძველი არ ჰქონდა. საქალაქო სასამართლოს მსჯელობა იმის შესახებ, რომ „ქურდული სამყაროს წევრია პირი, რომელიც აღიარებს ქურდულ სამყაროს და აქტიურად მოქმედებს ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად. ქურდული სამყაროს წევრობა არ იქნება მაშინ, როდესაც პირს არა აქვს კავშირი ასეთ სამყაროსთან და მოქმედებს დამოუკიდებლად. ამასთანავე, სასამართლო გამოძიებისას ვერ დადასტურდა მათი კავშირი ქურდულ სამყაროსთან, ისინი მოქმედებდნენ დამოუკიდებლად" — ობიექტურია და მიგვაჩნია დასაბუთებულად. ქურდული სამყაროს წევრობა არ შეიძლება ცალმხრივად, ისევე როგორც ტერორისტული ორგანიზაციის ან ბანდის წევრობა. კრიმინალური ორგანიზაციის წევრობის დროს აუცილებელია სახეზე იყოს ორგანიზაციის მხრიდან აღნიშნული პირის მიღება თავის რიგებში, მისი ქმედებების გამართლება, ან მოწონება. ყოველშემთხვევაში პირის გარკვეული კავშირი მაინც უნდა დადგინდეს კრიმინალურ ორგანიზაციასთან. მაგალითად, თუ მარტოხელა ტერორისტმა განახორციელა ტერორისტული აქტი და აღმოჩნდა, რომ აღნიშნული აქტი განხორციელდა რომელიმე

ტერორისტული ორგანიზაციის ხელწერით, მაგრამ ორგანიზაცია არ ცნობს დანაშაულის ჩამდენ პირს, არ დგინდება კავშირი აღნიშნულ ორგანიზაციასთან, მსოფლიოში მკაცრი ანტიტერორისტული კანონმდებლობის და სასამართლო პრაქტიკის მიუხედავად, აღნიშნულ პირს ვერ ჩავთვლით ტერორისტული ორგანიზაციის წევრად. შესაძლებელია, ბრალდების მხარემ და სააპელაციო სასამართლომ ჩათვალა, რომ პოლიციის თანამშრომლები მოქმედებდნენ ქურდული სამყაროსთვის დამახასიათებელი ხელწერით, მაგრამ როგორც სწორად მიუთითა პირველი ინსტანციის სასამართლომ, თუ არ დგინდება კავშირი კრიმინალურ ორგანიზაციასთან, ანუ კრიმინალური ორგანიზაცია თავის მხრივ არ აღიარებს მათ თავის წევრად, ქურდული სამყაროს წევრობისთვის პასუხისმგებლობის დაკისრება არ შეიძლება მიჩნეულ იქნეს მართებულად.

თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 21 აპრილის განაჩენით ვ. ხ-ს, ზ. უ-ს, გ. ყ-ს, ზ. ჯ-ს, ხ. ო-ს მსჯავრი დაედოთ ქურდული სამყაროს დახმარებისათვის სსკ-ის 24-ე, 223[1]-ე მუხლით და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისთვის სსკ-ის 332-ე მუხლით. წინასწარმა გამოძიებამ მათ ბრალი დასდო ქურდული სამყაროს წევრობაში 223[1]-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და ქრთამის აღებაში 338-ე მუხლის 1-ლი ნაწილით. მათ მიერ ჩადენილი დანაშაული გამოიხატა შემდეგში: მუშაობდნენ რა იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის №5 საპყრობილეში და წარმოადგენდნენ სხვადასხვა რანგის მოხელეებს, გამოხატავდნენ ქურდული სამყაროსადმი აქტიურ მხარდაჭერას, ქურდული სამყაროს ლიდერების, ა. კ-სა და ზ. კ-სგან მიღებული დავალებების შესრულებით, ხელს უწყობდნენ ქურდული სამყაროს მიზნების განხორციელებას, ე.წ. „ქურდული საერთოს" შეგროვებას. ისინი ბოროტად იყენებდნენ სამსახურებრივი უფლებამოსილებით განპირობებულ შესაძლებლობებს, ანგარების მოტივით, ქ. თბილისის

№5 საპყრობილის 49-ე საკანში მყოფ ქურდული სამყაროს ლიდერებს ა. კ-სა და ზ. კ-ს, მათთვის პრივილეგიების მინიჭებით და ხელსაყრელი პირობების შექმნით, აქტიურად ეხმარებოდნენ ქურდული სამყაროს მიზნების განხორციელებაში, გარდა ამისა, ისინი საპყრობილეში მყოფ პატიმრებს გადასცემდნენ ახლობლებისგან მიწოდებულ სხვადასხვა საყოფაცხოვრებო დანიშნულების ნივთებს, ახორციელებდნენ სამსახურეობრივ მფარველობას, ხოლო გაწეული სამსახურის სანაცვლოდ იღებდნენ ქრთამს, ფულადი თანხებისა და მონო ბარათების სახით, რაც წარმოადგენდა ქურდული სამყაროს წევრების მიერ გარკვეული პრივილეგიების მინიჭების სანაცვლოდ ციხის თანამშრომლებისთვის დანიშნულ არაოფიციალურ ხელფასს — ქრთამს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით საპყრობილის ზემოაღნიშნული მოხელეები სსკ-ის 338-ე მუხლის პირველი ნაწილით წარდგენილ ბრალდებაში გამართლდნენ. ამავე დროს ისინი ცნობილ იქნენ დამნაშავედ სსკ-ის 24-ე, 223[1]-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული და 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენაში. სააპელაციო საჩივარი არ დაკმაყოფილდა.

საინტერესოა ის ფაქტი, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულების მოხელეებს მართალია ქრთამის აღების ბრალდება მოუხსნა სასამართლომ, მაგრამ განაჩენში მაინც აღნიშნულია, რომ სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადება-ჩაწერის კრებსებით დგინდება, მოხელეთა მიერ სამსახურეობრივი მფარველობის განხორციელებისთვის ფულადი თანხების აღება. განაჩენში არ ჩანს, რა შეფასება ეძლევა ამ ფაქტებს. სამოტივაციო ნაწილში მოცემული მსჯელობა, კერძოდ სამსახურეობრივი მფარველობის განხორციელებისთვის ფულადი თანხების აღება მოხელის მხრიდან წარმოადგენს ქრთამის აღების შემადგენლობას. მიგვაჩნია, რომ სასამართლოს ქრთამის აღების ბრალდება განსასჯელებისთვის არ უნდა მოეხსნა.

ამავე დროს, უცნაურად ჟღერს საპყრობილის მოხელეთა მიერ ქურდული სამყაროს წევრობაში დახმარება. ის, რომ საჯარო მოხელე საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ ბოროტად იყენებს სამსახურეობრივ უფლებამოსილებას, უკანონო პრივილეგიებს ანიჭებდა პატიმრებს და მფარველობას უწევდა, რაშიც თავისთვის რაიმე გამორჩენას იღებდა, ისედაც მოცულია სსკ-ის 332-ე მუხლის კანონისმიერი შემადგენლობით და დამატებითი კვალიფიკაცია ქურდული სამყაროს წევრობაში დახმარებისთვის ზედმეტია. ვფიქრობთ, რომ დანაშაულთა ერთობლიობით განსასჯელებს არ უნდა შერაცხოდათ სსკ-ის 24-ე, 223[1]-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით გათვალისწინებული ქმედება, ამ დანაშაულთაგან ან ერთი უნდა ყოფილიყო ან მეორე, იმიტომ რომ, თუკი მოხელის მიერ უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება გამოიხატა პატიმრებისთვის უკანონო პრივილეგიების მინიჭებაში, მაშინ ქურდული სამყაროს წევრობაში დახმარება სახეზე აღარაა და პირიქით.

ნონა თოდუა

სამართლის დოქტორი

§ 4. ქურდული სამყაროს წევრობა, კანონიერი ქურდობის წინააღმდეგ მიმართული სასამართლო პრაქტიკის ანალიზი *(ნაწილი მეორე)*

ქურდული სამყაროს წევრობა, კანონიერი ქურდობა

2005 წლის 20 დეკემბრის კანონით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შემოღებულ იქნა ახალი ნორმა — ქურდული სამყაროს წევრობა, კანონიერი ქურდობა (223[1]-ე მ.უხლი), რომელმაც მრავალი კითხვის ნიშანი გააჩინა როგორც სწავლულ, ისე პრაქტიკოს იურისტებში.

ქურდული სამყაროს წევრობისა და კანონიერი ქურდობის ში-

ნაარსის გასარკვევად, უნდა მივმართოთ საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონს „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ"...

ჩვენ მიერ შესწავლილ იქნა სასამართლო პრაქტიკა ამ კატეგორიის საქმეებზე და აღმოჩნდა, რომ იგი ხარვეზიანია. ამის ერთ-ერთი მიზეზი არის თავად კანონის გაუმართაობა. თუმცა, არის შემთხვევა, როცა სასამართლოებს არასწორად ესმით კანონის შინაარსი.

საინტერესოა, სასამართლო პრაქტიკაში როგორაა გაგებული, თუ რას ნიშნავს ქურდული სამყაროს წევრობა, კერძოდ: როგორ გავიგოთ კანონის მოთხოვნა, რომ პირი აღიარებს ქურდულ სამყაროს, ცხოვრობს ქურდული სამყაროს სპეციალური წესების შესაბამისად, რომ თავისი აქტიური მოქმედებით ხელს უწყობს ქურდული სამყაროს მიზნების განხორციელებას.

ამის მაგალითად გამოდგება თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2007 წლის 19 თებერვალს გ. გ-ძის მიმართ გამოტანილი განაჩენი, რომლითაც მას მსჯავრი დაედო სსკ 223[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით, 239-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილით (საქმე № 1/6060-06). გ-ძეს საბრალდებო დასკვნით ბრალი ედებოდა მასში, რომ ჩაიდინა ქურდული სამყაროს წევრობა და ხულიგნობა, ე.ი. ქმედება, რომელიც უხეშად არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და გამოხატავს აშკარა უპატივცემულობას საზოგადოებისადმი, ჩადენილი ცეცხლსასროლი იარაღის ან იარაღად სხვა საგნის გამოყენებით, რაც გამოიხატა შემდეგში: „გ. გ-ძე ცნობს და აღიარებს რა ქურდულ სამყაროს, თავისი ცხოვრების წესით საჯაროდ გამოხატავს მის მხარდაჭერას, იგი დღემდე ცხოვრობს ქურდული სამყაროს სპეციალური წესების შესაბამისად, აქტიური ურთიერთობა და კავშირი აქვს ქურდული სამყაროს წევრებთან, კერძოდ, დ. წ-თან, ამ-

ჟამად ძებნაში მყოფ ბ. წ-თან და სხვებთან, რომლებსაც ხელს უწყობს ქურდული სამყაროს მართვაში, მათგან ღებულობს სხვადასხვა დანაშაულის ჩადენის ორგანიზებასთან და განხორციელებასთან დაკავშირებულ დავალებებს, რაზეც ახდენს დანაშაულებრივი გეგმების შემუშავებას. გ. გ-ძე ქურდული სამყაროს სხვა წევრებთან ერთად თავისი აქტიური მოქმედებით ხელს უწყობს ქურდული სამყაროს მიზნების განხორციელებას, ქურდული სამყაროს დაუდგენელ წევრებთან ერთად, სარგებლის მიღების მიზნით, მონაწილეობს ქურდულ გარჩევებში და ცდილობს ქურდული სამყაროს სპეციალური წესების გავრცელებას."

ეს ბრალდება სასამართლომ მთლიანად დადასტურებულად ცნო, მაგრამ თუ გადავხედავთ საქმის მასალებს, დავრწმუნდებით, რომ ბრალდება სათანადო მტკიცებულებას არ ემყარება.

ვნახოთ, თუ კონკრეტულად რაში გამოიხატა გ-ძის ქმედება. განაჩენის მიხედვით: „2006 წლის 6 ივნისს გ. გ-ძე თავის მეგობარ ს. ა-ძესთან ერთად მივიდა ქ. თბილისში, ძმები ზუბალაშვილების ქუჩაზე არსებულ გაჩერებასთან მდგარ კერძო ტაქსის მძღოლ ნ. ს-შვილთან და იმის გამო, რომ წინა დღით ამ უკანასკნელმა მას ტაქსით მომსახურების სანაცვლოდ გამოართვა გარკვეული თანხა, როგორც ქურდული სამყაროს წარმომადგენელმა და ავტორიტეტმა, თავი იგრძნო შეურაცხყოფილად და ამის გამო მას დაუწყო საქმის გარჩევა, რა დროსაც სახეში გაარტყა ხელი, აგინა დედის მისამართით და შეაფურთხა სახეში, ასევე აგინებდა და აფურთხებდა სახეში ს. ა-ძე. ხულიგნური ქმედების დროს მათ ხელში ეკავათ დანები. აღნიშნულიდან გამომდინარე, ზუბალაშვილების ქუჩაზე შეფერხდა მოძრაობა და შეიკრიბა ხალხი, რითაც გ. გ-ძემ აშკარად გამოხატა საზოგადოებისადმი უპატივცემულობა. შემთხვევის ადგილზე შეკრებილმა მოქალაქეებმა სცადეს დაეწყნარებინათ ისინი და მათი დახმარებით ნ. ს-შვილმა

მოახერხა გაქცევა. 2006 წლის 08 ივნისს ნ. ს-შვილი კვლავ მივიდა ავტომანქანით ზუბალაშვილების ქუჩაზე და ელოდებოდა კლიენტს. დაახლოებით 16:00 საათზე მასთან მივიდა გ. გ-ძე და კვლავ დაუწყო გინება უცენზურო სიტყვებით და დანით, მარჯვენა ხელის არეში მიაყენა ნაკვეთი ჭრილობა, რითაც მან თავისი ქცევით კვლავ დაარღვია საზოგადოებრივი წესრიგი და გამოხატა მათ მიმართ აშკარა უპატივცემულობა. შემთხვევის ადგილზე შეკრებილი ხალხის ჩარევით ნ. ს-შვილმა კვლავ შეძლო გაქცევა, რა დროსაც მას დაედევნა გ. გ-ძე თავის მეგობრებთან კ. ტ-თან, ს. ა-ძესა და ვინმე თ-სთან ერთად, ისინი დაეწიენ ნ. ს-შვილს, რა დროსაც გ. გ-ძემ თავის არეში დანით მიაყენა დაზიანება. ნ. ს-შვილი დაეცა ასფალტზე და წაქცეულს გ. გ-ძემ, კ. ტ-შმა და ს. ა-ძემ დანებით სხეულის სხვადასხვა ადგილას მიაყენეს დაზიანებები, თან სცემდნენ ფეხებით. ამ დროს ნ. ს-შვილმა დაკარგა გონება, რის შემდეგაც მისი სიმამრის, რ. შ-შვილის, მიერ იგი ავტომანქანით გადაყვანილ იქნა №5 კლინიკურ საავადმყოფოში."

ესაა ის ფაქტობრივი გარემოება, რაზეც დამყარებულია გ. გ-ძის ბრალდება.

მივყვეთ ბრალდებას ეტაპობრივად. ბრალდების პირველი მონაკვეთი მდგომარეობს შემდეგში: „გ. გ-ძე ცნობს და აღიარებს რა ქურდულ სამყაროს, თავისი ცხოვრების წესით საჯაროდ გამოხატავს მის მხარდაჭერას, იგი დღემდე ცხოვრობს ქურდული სამყაროს სპეციალური წესების შესაბამისად."

რითაა დადასტურებული ეს ბრალდება? როგორც განაჩენში აღწერილი საქმის ფაქტობრივი გარემოებიდან ჩანს, მასში გადმოცემულია გ-ძისა და მისი მეგობრების მიერ ხულიგნური მოტივით ჩადენილი ჩხუბისა და ძალადობის ფაქტი ს-შვილის მიმართ. ეს კი უტყუარად არ ადასტურებს გ-ძის მიერ ქურდული სამყაროს აღიარებისა და ქურდული სამყაროს სპე-

ციალური წესების შესაბამისად ცხოვრების ფაქტს, რადგან ქურდული სამყაროს წევრთა ქმედება უნდა შეესაბამებოდეს ამ წესებს და მიმართული უნდა იყოს სარგებლის მიღებისაკენ (ზემოთხსენებული კანონის მე-3 მუხლი).

როგორ უნდა დაადგინოს სასამართლომ, თუ რაში გამოიხატება ეს სპეციალური წესები? არადა მისი დადგენა აუცილებელია, რადგან წინააღმდეგ შემთხვევაში შეუძლებელია იმის მტკიცება, რომ ვინმეს ქმედება შეესაბამება (ან არ შეესაბამება) ამ წესებს. პრაქტიკულად საქართველოს კანონმდებელმა 223[1]-ე მუხლის სახით შემოგვთავაზა ბლანკეტური დისპოზიცია, რომლის შემადგენლობის დადგენისთვის აუცილებელია ვიცნობდეთ სპეციალურ წესებს (ე.წ. ქურდულ კანონებს). მთელი პრობლემა ისაა, რომ სასამართლოსთვის რთული საქმეა მოიპოვოს ის წესები, რაც დადგენილია დამნაშავეთა სამყაროს მიერ და რაც პერიოდულ ცვალებადობას განიცდის (არადა ეს წესები და შესაბამისი ცვლილებები სახელმწიფოს მიერ მიღებული ნორმატიული აქტებისგან განსხვავებით, არ ქვეყნდება პრესაში ან სხვა ბეჭდვით გამოცემაში). მოსამართლემ, ისევე როგორც ყველა ჩვენგანმა, შესაძლოა მხოლოდ ყურმოკვრით იცოდეს მათ შესახებ, მაგრამ საიდან უნდა დაადგინოს ამ წესის შინაარსი?

განსახილველ განაჩენში სასამართლო ბრალდებას სხვა მტკიცებულებით ამყარებს. ასეთ მტკიცებულებად ჩაითვალა მოწმეთა ჩვენებები, რომელთა შინაარსის გაცნობით ადვილად ვრწმუნდებით, რომ ისინი გადმოგვცემენ გ-ძის მიმართ შექმნილ საზოგადოებრივ აზრს, რაც უტყუარად ვერ ასაბუთებს იმას, რომ გ-ძე სწორედ ამ წესების შესაბამისად მოქმედებდა. ამასთანავე მოწმეებს მაგალითად ვერ მოჰყავთ თუნდაც ერთი კონკრეტული შემთხვევა, რაც დაადასტურებს მის მიერ აქტიური ქმედების ჩადენას ქურდული სამყაროს მიზნების შესაბამისად, რაც აუცილებელია ამ მუხლით ქმედების კვალიფიკაციისთვის.

კერძოდ, მოწმე გ. გ-შვილის ჩვენება, რომელიც აცხადებს, რომ მუშაობს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქ. თბილისის №5 საპყრობილეში ოპერატიულ მორიგე თანაშემწედ 1988 წლიდან და იცნობს ყველა შემოსულ ბრალდებულს, თუ ვინ იყო და რომელ საკანში იხდიდა სასჯელს. 1995 წლის აპრილში №49 საკანში, რომელიც განკუთვნილი იყო ქურდული ტრადიციების მატარებელი პირებისათვის, შესახლებული იქნა გ. გ-ძე. შესაბამისად, იგი პატიმრებში სარგებლობდა ყველა იმ პრივილეგიებით, რითაც სარგებლობდნენ კანონიერი ქურდები და დანარჩენი ავტორიტეტები (ს.ფ. 37-ე, სასამართ. სხდომის ოქმი, ს.ფ. 370).

სასამართლომ ერთ-ერთ მტკიცებულებად ჩათვალა სწორედ ეს ჩვენება, რომლის წაკითხვისას ნებისმიერ იურისტს რამდენიმე კითხვა სპონტანურად გაუჩნდება: 1. გ-ძე მართლაც იყო ამ საკანში მოთავსებული და სარგებლობდა რაიმე პრივილეგიებით? კარგი იქნებოდა, სასამართლოს ამის დამადასტურებელი დოკუმენტი მოეპოვებინა; 2. 1995 წელს, როცა არ არსებობდა კანონი „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ" და სსკ-ში არც 223[1]-ე მუხლის შესაბამისი ნორმა არსებობდა, დღეს რაში გამოგვადგება 1995 წელს გ-ძის ცხოვრების წესის გახსენება? ამ ჩვენებაში ხომ არაფერია ნათქვამი იმაზე, რომ გ-ძე დღემდე ცხოვრობს ქურდული სამყაროს სპეციალური წესების შესაბამისად? სასამართლოს არ გაურკვევია, რაში გამოიხატება ეს სპეციალური წესები. მაშ, საიდან კეთდება დასკვნა, რომ გ-ძე ცხოვრობს (ან თუნდაც ცხოვრობდა) სწორედ ამ წესების შესაბამისად?

სასამართლომ გ-ძის ბრალდების მტკიცებულებად ასევე ჩათვალა მოწმე ნ. ო-ლის ჩვენება, რომელიც დაახლოებით ერთი წელია მუშაობს ქ. თბილისის მთაწმინდა-კრწანისის საუბნო განყოფილების უფროს ინსპექტორად, რომელმაც უჩვენა, რომ მის კომპეტენციაშია მე-3 სექტორის მოსახლეობის აღწერა, რომელშიც შედის ზუბალაშვილების ქუჩაზე მდებარე

№30 სახლი, სადაც I სადარბაზოს მე-5 სართულზე ცხოვრობს მ. რ-ძე და ნ. შ-ძე. მოსახლეობის აღრიცხვის წარმოების პროცესში, ამ უკანასკნელთა მეზობლებმა მისცეს დამატებითი ინფორმაცია მასზე, რომ მაკას ჰყავდა მეორე ქმარი — გ. გ-ძე, რომელიც არის ე.წ. კანონიერი ქურდი, ქურდული ტრადიციების მატარებელი, ნარკოტიკების მომხმარებელი, უბანში აწყობს გარჩევებს და რომ მთელი მეზობლები შეწუხებულები არიან აღნიშნული პიროვნებით. მან (ო-ლმა) აღნიშნული ინფორმაცია მიაწოდა თავის ხელმძღვანელობას, თუმცა მათ ეს ცნობა არ გაკვირვებიათ, რადგან იცოდნენ გ-ძის პიროვნების შესახებ (ს.ფ. 40-41; სასამართლო სხდომის ოქმი, ს.ფ. 370-ე).

ინსპექტორ ო-ლის ჩვენება არ შეიძლება უტყუარ მტკიცებულებად ჩაითვალოს, რადგან იგი გვაწვდის ინფორმაციას, რომლის წარმოშობის წყაროსაც კი ვერ ასახელებს (მ. რ-ძის „ვიღაც მეზობლებმა" უთხრეს). საკითხავია, მართლა უთხრეს? რითაა ეს დადასტურებული? საიდან იცოდნენ მათ, რომ გ-ძე უბანში გარჩევებს სწორედ ქურდული წესების შესაბამისად აწყობდა, საერთოდ „საქმის გასარჩევად" განა აუცილებელია ქურდული წესების გამოყენება? ქურდული გარჩევის გვერდით ხომ არსებობს რეკეტული გარჩევაც? ან სადაა კონკრეტული ფაქტი ასეთი გარჩევისა? ასევე საკითხავია, ეს ინფორმაცია ო-ლმა მართლაც მიაწოდა თავის ხელმძღვანელობას? არავითარი დოკუმენტი ამაზე არ არსებობს.

იმ ბრალდების გასამყარებლად, რომ გ-ძე აღიარებს ქურდულ სამყაროს და დღემდე ცხოვრობს ქურდული სამყაროს წესების შესაბამისად, სასამართლო ერთ-ერთ მტკიცებულებად მიიჩნევს ასევე მოწმე სპარტაკ ა-ძის ჩვენებას. ეს ის პიროვნებაა, რომელიც დაზარალებულ ს-ლის მიმართ გ-ძის მიერ განხორციელებული ძალადობის ორივე ეპიზოდში (ჯერ 6 ივნისს და მერე 8 ივნისს) აქტიურ მონაწილეობას იღებდა დანით ხელში. იგი რატომღაც მოწმის სტატუსში მოგვევლინა. არადა გ-ძეს ბრალად შერაცხული აქვს ხულიგნობა, ჩადენილი წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ (239-ე მუხლის მე-2

ნაწილი), სადაც ამ ჯგუფის წევრად მოხსენებულია ს. ა-ძეც. იგი იყო დაზარალებულ ს-ლის ნათესავი. ა-ძემ კითხვაზე, თუ რატომ არ მიეხმარა თავის ნათესავ ს-ლს და რატომ დადგა გ-ძის მხარეს, უპასუხა, რომ არ უნდოდა ურთიერთობის გაფუჭება ისეთი კატეგორიის ხალხთან, როგორიც არის გ-ძე, ხოლო ს-ლს მერე დაელაპარაკებოდა და ადვილად აუხსნიდა ყველაფერს. მან ასევე განაცხადა, რომ გ-ძე ადრე იყო კანონიერი ქურდი, მაგრამ ახლაც არის თუ არა, არ იცის, თუმცა აქვე დასძენს, რომ იგი ქურდული ტრადიციების მიმდევარია, უბანში „კაი ბიჭის" სახელით სარგებლობს.

რამდენადაა შესაძლებელი ასეთი ჩვენება (სადაც არანაირი ფაქტი არაა მოყვანილი) ჩაითვალოს მტკიცებულებად ქურდული სამყაროს წევრობის ბრალად შერაცხვისთვის?

როგორც ვიცით, „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ" კანონის თანახმად, ქურდული სამყაროს წევრი არის ნებისმიერი პირი, რომელიც აღიარებს ქურდულ სამყაროს და აქტიურად მოქმედებს ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად.

ამდენად, სახეზე უნდა იყოს ორი კუმულაციური პირობა: 1. პირი უნდა აღიარებდეს ქურდულ სამყაროს; 2. იგი აქტიურად მოქმედებდეს ამ სამყაროს მიზნების განსახორციელებლად. როგორ გავიგოთ „აღიარებს ქურდულ სამყაროს"?

სასამართლო პრაქტიკის შესწავლით დგინდება, რომ ხშირად ქურდული სამყაროს აღიარება დადასტურებულად მიაჩნიათ, თუკი ამ პირზე საზოგადოების ნაწილში (ნაცნობებში, მეზობლებში) შექმნილია აზრი, რომ იგი ქურდული ტრადიციების მიმდევარია.

სინამდვილეში კი ამ ბრალდების სამტკიცებლად არაა საკმარისი იმის დადგენა, თუ როგორია საზოგადოების ნაწილის აზრი ამ პირის მიმართ. უფრო მეტიც, ამის სამტკიცებლად

არც ისაა საკმარისი, რომ თავად ეს პირი აცხადებს მის კავშირზე ქურდულ სამყაროსთან (განაჩენში მოსამართლე ერთ-ერთ მტკიცებულებად მიიჩნევს გაგნიძის სატელეფონო საუბრის კრებსითი ამონაწერის ერთ ადგილს, სადაც გაგნიძე ვინმე დათოს კითხვაზე, არის თუ არა ის ქურდი, პასუხობს: „დავით, ქურდი ვარ და ქურდი ვიქნები“ —იხ. ს.ფ. 371-ე). ასეთი ჩვენება შესაძლებელია, ჩაითვალოს ერთ-ერთ მტკიცებულებად სხვა მტკიცებულებებთან ერთად.

მაინც რატომ არაა საკმარისი? ამის მიზეზი რამდენიმეა. პირველი — ადამიანი სხვადასხვა მოსაზრებით შეიძლება იბრალებდეს, რომ იგი აღიარებს ამ სამყაროს, სინამდვილეში კი სულ სხვა ცხოვრების წესით ცხოვრობდეს (ნიშანდობლივია, რომ გ-ძე სასამართლო პროცესზე აცხადებს, რომ იგი არის ქართული ტრადიციების მიმდევარი და ქურდული ტრადიციები არავისთან გამოუვლენია); მეორე — შესაძლოა, პირი მართლაც გულით აღიარებდეს ამ სამყაროს, მაგრამ ეს მაინც არაა საკმარისი, რადგან „აღიარებს ქურდულ სამყაროს" ნიშნავს არა ცალმხრივ, არამედ ორმხრივ აღიარებას. სხვაგვარად რომ ვთქვათ, არა მარტო ეს პირი უნდა აღიარებდეს ქურდულ სამყაროს, არამედ თავად ქურდული სამყაროც უნდა აღიარებდეს მას როგორც ამ სამყაროს წევრს, ე.ი. ეს პირი ქურდული სამყაროს მიერ მიღებული უნდა იყოს ამ სამყაროს წევრად.

საიდან კეთდება ასეთი დასკვნა? ეს დასკვნა გამომდინარეობს უშუალოდ კანონის მოთხოვნიდან. კერძოდ, როგორც ვთქვით, ქურდული სამყაროს წევრობის მეორე პირობაა ის, რომ პირი აქტიურად მოქმედებს ამ სამყაროს მიზნების განსახორციელებლად. ეს კი იმას ნიშნავს, რომ პირის აქტიური მოქმედებით (მაგალითად, ე.წ. „ობშიაკის“ შეკრებით, ქურდული გარჩევით და სხვა) იგი ახორციელებს ქურდული სამყაროს მიზნებს, ეხმარება მათ ამ მიზნების (სარგებლის მიღების) რეალიზებაში და ეს ურთიერთშეთანხმებული პროცესია.

თუკი პირი დამოუკიდებლად მოქმედებს, როგორც ე.წ. „ადინოჩკა', მას არ ცნობს ქურდული სამყარო, ასეთ პირობებში მისი ქმედება ხელს ვერ შეუწყობს ქურდული სამყაროს მიზნების განხორციელებას და იგი ვერ ჩაითვლება იმ სამყაროს წევრად, რომლის წარმომადგენლები არ ცნობენ მას და არ სარგებლობენ მისი აქტიური მოქმედების შედეგებით.

გამომდინარე აქედან, უნდა დავასკვნათ, რომ ქურდული სამყაროს მხოლოდ ცალმხრივი აღიარება ვერ ჩაითვლება ქურდული სამყაროს წევრობად არა მარტო იმიტომ, რომ სახეზე არაა მეორე აუცილებელი პირობა (აქტიური მოქმედება), არამედ იმიტომაც, რომ ეს პირი არაა აღიარებული ამ სამყაროს მიერ (ე.ი. სახეზე არაა ზემოთხსენებული კანონის პირველი პირობაც).

განსახილველ განაჩენში სასამართლო ცდილობს დაამტკიცოს, რომ გ-ძე აღიარებულია ქურდულ სამყაროში და მათთან შეთანხმებით მოქმედებს. მასზე წარდგენილ ბრალდებაში ვკითხულობთ, რომ მას: „... აქტიური ურთიერთობა აქვს ქურდული სამყაროს წევრებთან, კერძოდ, დ. წ-თან, ამჟამად ძებნაში მყოფ ბ. წ-თან და სხვებთან, რომლებსაც ხელს უწყობს ქურდული სამყაროს მართვაში, მათგან ღებულობს სხვადასხვა დანაშაულის ჩადენის ორგანიზებასთან და განხორციელებასთან დაკავშირებულ დავალებებს, რაზეც ახდენს დანაშაულებრივი გეგმის შემუშავებას..."

ბრალდების ეს მონაკვეთიც საქმის მასალებით არაა სათანადოდ დასაბუთებული. უფრო მეტიც, ზოგიერთ მათგანთან პირადი ნაცნობობაც კი არაა დადგენილი. დასმულ კითხვაზე, იცნობს თუ არა იგი გ. კ-იას, გ-ძე პასუხობს, რომ ასეთს საერთოდ არ იცნობს, ხოლო ბ. წ-ელი იყო მისი მეგობარი, მაგრამ შემდეგ უგზო-უკვლოდ დაიკარგა. რაც შეეხება დ. წ-ელს, იცნობს, როგორც ბ-ის ძმას.

მისი ამ ჩვენების საწინააღმდეგოდ საქმეში არანაირი მტკიცე-

ბულება არ მოიპოვება. ამ პირებთან გარდა პირადისა, სხვა საეჭვო სატელეფონო საუბარიც კი არაა დაფიქსირებული. მაშ საიდან მტკიცდება მათი დანაშაულებრივი კავშირი და ის, რომ ხელს უწყობს მათ ქურდული სამყაროს მართვაში? კერძოდ, რომელი დანაშაულის ჩადენის შესახებ მიიღო დავალება და ვისგან? რა გეგმა შეიმუშავა მათ განსახორციელებლად? ასევე გაურკვეველია, რას ნიშნავს ურთიერთობა აქვს „სხვებთან"? ვინ არიან ეს „სხვები"?

ამ ბოლო კითხვის შესახებ განაჩენში ვკითხულობთ: „ამავე კრებსებიდან ირკვევა, რომ გ. გ-ძე და მასთან მოსაუბრე მამაკაცი 500 აშშ დოლარს ძალავენ ძიებით დაუდგენელ მოქალაქეს და რადგან ამ უკანასკნელს არ მიაქვს მათთან ფული, ღებულობენ გადაწყვეტილებას, წაართვან მანქანა" (ს.ფ. 371-ე).

როგორც ჩანს, ვერ დადგინდა, ვის ესაუბრება გ-ძე ამ შემთხვევაში ტელეფონით. ვერც ის, თუ ვის მიმართ გეგმავენ ისინი გამოძალვას. ამდენად, საქმის არსი სრულიად ბუნდოვანია. ამასთან დაკავშირებით უნდა ითქვას, რომ გამოძალვის დადგენა არაა საკმარისი ქურდული სამყაროს წევრობის ბრალად შერაცხვისათვის, რადგან გამოძალვა და ქურდული სამყაროს წევრობა სრულიად დამოუკიდებელი დანაშაულებია, გამოძალვის ჩადენისათვის არაა აუცილებელი ქურდული სამყაროს წევრობა (ასევე პირიქით).

განაჩენით გ-ძეზე წარდგენილი ბრალდება დადასტურებულად არის მიჩნეული ასევე მოწმეთა — ზ. მ-ძისა და კ. ხ-ძის ჩვენებებით. განაჩენში ვკითხულობთ: „მათ აჩვენეს, რომ გ. გ-ძე არის ე.წ. რეკეტიორი, ნარკოტიკის მომხმარებელი და ეწევა მაღაზიებიდან ფულადი თანხების აღებას, ქურდული წესით წყვეტს მოქალაქეთა შორის დავებს, არჩევს საქმეებს, წარსულში იყო კანონიერი ქურდი, დღესაც წარმოადგენს კანონიერ კრიმინალურ ავტორიტეტს და ეწევა ქურდული

ტრადიციების ჩამოყალიბებას ახალგაზრდებში“ (ს.ფ. 371-ე). როგორც ვხედავთ, ამ ჩვენების მიხედვით გ-ძე რეკეტირადაცაა წარმოდგენილი და ქურდული სამყაროს წევრადაც, რაც ურთიერთგამომრიცხველია. ასევე მოცემულ ჩვენებებში არაფერია ნათქვამი იმაზე, თუ კერძოდ, როდის და რომელი მაღაზიიდან იღებდა იგი თანხას გამოძალვით; ვის შორის გადაწყვიტა დავები და როდის; საიდან დასტურდება, რომ დავებს სწორედ ქურდული წესით წყვეტდა; საიდან იცის, რომ წარსულში იყო კანონიერი ქურდი; რომ დღესაც არის კრიმინალური ავტორიტეტი; რაში გამოიხატება ის, რომ იგი ეწევა ქურდული ტრადიციების ჩამოყალიბებას ახალგაზრდებში, კერძოდ, ვის მიმართ განახორციელა ეს ქმედება? კარგი იქნებოდა, საქმეში მოპოვებული იყოს ასეთი კონკრეტული ფაქტები.

როგორ ესმით სასამართლო პრაქტიკაში ქურდული გარჩევა?

ამის მაგალითად გამოგვადგება იგივე განაჩენი, რითაც გ-ძეს ბრალად შეერაცხა ასევე ის, რომ იგი „ქურდული სამყაროს სხვა წევრებთან ერთად თავისი აქტიური მოქმედებით ხელს უწყობს ქურდული სამყაროს მიზნების განხორციელებას, ქურდული სამყაროს დაუდგენელ წევრებთან ერთად სარგებლის მიღების მიზნით მონაწილეობს ქურდულ გარჩევაში...“

მოცემულ საქმეში გ-ძის მიერ ვინმეზე საქმის გარჩევის არანაირი ფაქტი არ ფიქსირდება, გარდა ერთი შემთხვევისა, რასაც, როგორც ჩანს, სასამართლო საქმის გარჩევად თვლის.

კერძოდ, ზემოთხსენებულ ფაბულაში წერია: „...იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა მას ტაქსით მომსახურების სანაცვლოდ გამოართვა გარკვეული თანხა, როგორც ქურდული სამყაროს წარმომადგენელმა თავი იგრძნო შეურაცხყოფილად და ამის გამო მას დაუწყო საქმის გარჩევა, რა დროსაც სახის არეში გაარტყა ხელი...“

რას ნიშნავს ქურდული გარჩევა?

„ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, ქურდული გარჩევა ნიშნავს ქურდული სამყაროს წევრის მიერ ორ ან მეტ პირს შორის არსებული დავის გადაწყვეტას, რომელსაც ახლავს მუქარა, იძულება, დაშინება ან სხვა უკანონო ქმედება.

„ორ ან მეტ პირს შორის" ნიშნავს იმას, რომ ქურდული სამყაროს წევრი მინიმუმ ორ მოდავე მხარს შორის წარმოშობილ პრობლემას წყვეტს სხვადასხვა უკანონო ქმედებით (ასრულებს „მოსამართლის" როლს). როდესაც ქურდული სამყაროს წევრი თავად ედავება ვინმეს (ე.ი. ერთ პირს ურჩევს საქმეს) იგივე ხერხების გამოყენებით (მუქარით, იძულებით და ა.შ.), ქურდულ გარჩევას ადგილი არა აქვს. ასეთი ქმედება შეიძლება ჩაითვალოს ქურდული სამყაროს წევრის მიერ ჩადენილ სხვა აქტიურ მოქმედებად, ისიც იმ შემთხვევაში, თუკი იგი ემსახურებოდა ქურდული სამყაროს მიზნების განხორციელებას.

მოცემულ შემთხვევაში გ-ძე არ წყვეტდა დავას ორ მხარეს შორის, იგი თავად ედავებოდა ს-შვილს, რადგან განაწყენებული იყო მასზე. ეს შემთხვევა ვერც იმ აქტიურობად ჩაითვლება, რაზეც საუბარია ზემოთხსენებული კანონის მე-3 მუხლში ქურდული სამყაროს წევრის განმარტებისას, რადგან როგორც ვთქვით, ასეთი აქტიური მოქმედება უნდა ემსახურებოდეს ქურდული სამყაროს მიზნებს. ამავე კანონის შესაბამისად კი ქურდული სამყაროს მიზანი არის მისი წევრებისათვის ან სხვა პირებისათვის სარგებლის მიღება. გ-ძეს კი ს-შვილთან ჩხუბის დროს არავითარი სარგებლის მიღების მიზანი არ ამოძრავებდა. მისი მიზანი იყო სამაგიეროს მიზღვა ს-შვილზე.

გ-ძის ეს ქმედება ვერც რეკეტულ გარჩევად ჩაითვლება. სსკ-ის 224[1]-ე მუხლის მიხედვით, რეკეტულ დაჯგუფებაში

მონაწილეობის ობიექტური შემადგენლობა სხვა ქმედებებთან ერთად გულისხმობს აგრეთვე: ა) დავების უკანონოდ გადაწყვეტას; ბ) მონაწილეობას დავების უკანონოდ გადაწყვეტაში რეკეტულ დაჯგუფებათა ან რეკეტულ დაჯგუფებასა და სხვა პირს შორის, რასაც მოცემულ შემთხვევაში ადგილი არ ჰქონია.

რით განსხვავდება რეკეტული და ქურდული გარჩევა?

1) ქურდული გარჩევის ამსრულებელია ქურდული სამყაროს წევრი, ხოლო დავების რეკეტული გადაწყვეტისა — რეკეტული დაჯგუფების მონაწილე (რეკეტირი); 2) ქურდული გარჩევა მიმდინარეობს ე.წ. ქურდული წესების შესაბამისად, ხოლო რეკეტულად დავების გადაწყვეტისათვის არაა „დადგენილი" რაიმე წესები, იგი არაა ჩარჩოში მოქცეული: 3) ქურდული გარჩევა მიმდინარეობს ორ ან მეტ ნებისმიერ მოდავე მხარეს შორის, ხოლო დავების რეკეტული გადაწყვეტა: ა) რეკეტულ დაჯგუფებებს შორის ან ბ) რეკეტულ დაჯგუფებასა და სხვა პირს შორის (ე.ი. აქ ერთი მოდავე მხარე მაინც უნდა იყოს რეკეტული დაჯგუფება).

ამდენად, ზედმეტია საუბარი იმაზე, რომ გ-ძის ქმედებაში არაა რეკეტული გარჩევის ნიშნები.

როგორც ზემოთაღწერილი გარემოებიდან ჩანს გ. გ-ძეს ქმედებაში აშკარაა მცირე საბაბით ატეხილი ჩხუბი და ძალადობა (გინება, ცემა, ჯანმრთელობის დაზიანება), რაც ჩადენილია საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას (რითაც მან გამოხატა აშკარა უპატივცემულობა საზოგადოებისადმი), რაც შეიძლება შეფასდეს ხულიგნობად, თუკი მან გამოიწვია საზოგადოებრივი წესრიგის უხეში დარღვევა. ამასთან ქმედება ჩადენილია ცივი იარაღის გამოყენებით, რაც გვაძლევს 239-ე მუხლის მე-3 ნაწილის შემადგენლობას. ხოლო 239-ე მუხლის მე-3 ნაწილის დისპოზიციიდან აშკარად ჩანს,

რომ ეს ნაწილი თავისთავში მოიცავს ამ მუხლის 1-ელ და მე-2 ნაწილსაც. ამდენად, ქმედების კვალიფიკაციისას ზედმეტი იყო მე-2 ნაწილის „ა' ქვეპუნქტზე (ჩადენილი წინასწარ შეთანხმებით ჯგუფის მიერ) მითითება. სასამართლოს მხოლოდ ბრალდებაში უნდა დაეფიქსირებინა ეს დამამძიმებელი გარემოება (ეს საკითხი უფრო დაწვრილებით განხილულია სსკ-ის 143[1]-ე მუხლის განმარტებისას).

ამ ეპიზოდის კვალიფიკაციისას დაშვებულია სხვა შეცდომაც. კერძოდ, გაგნიძისა და მისი მეგობრების ძალადობთი ქმედება, რაც ჩადენილი იყო სეხნიაშვილის მიმართ საზოგადოებრივი თავშეყრის ადგილას (ქუჩაში), დაკვალიფიცირებულია ხულიგნობად (139-ე მუხლი) და ამავე დროს მას მიცემული აქვს ქურდული გარჩევის შეფასება.

ასეთი კვალიფიკაცია სსკ 223[1]-ე მუხლის არსის არასწორი გაგების შედეგია. ხულიგნობა არის დანაშაული, რომლის სუბიექტური შემადგენლობის აუცილებელი ნიშანია საზოგადოებისადმი აშკარა უპატივცემულობის გამოხატვა, ხოლო ქურდული სამყაროს წევრობის სუბიექტური შემადგენლობის აუცილებელი ნიშანი — ქურდული სამყაროს წევრებისათვის ან სხვა პირებისათვის სარგებლის მიღება („ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ კანონის მე-3 მუხლი).

ქურდული სამყაროს მიზანი არ შეიძლება იყოს საზოგადოებისადმი „აშკარად" უპატივცემულობის გამოხატვა. პირიქით, ამ სამყაროს წევრები ცდილობენ სხვადასხვა მზაკვრული ხერხებით შექმნან ილუზია, რომ დიდ პატივს სცემენ საზოგადოებას, არიან „გაჭირვებულთა და უსამართლოდ დაჩაგრულთა შემწე". ისინი გარეგნულად იქცევიან „ღირსეულად", „თავდაჭერილად", გამოირჩევიან სიტყვაძუნწობით, საზოგადოებაში არ „ხმაურობენ", რითაც ცდილობენ სერიოზული ადამიანის ავტორიტეტის მოპოვებას. სწორედ „უსამართლოდ დაჩაგრულთა შემწეობას" ემსახურება ე.წ.

ქურდული გარჩევა, რომელიც ორ მოდავე მხარეს შორის პრობლემის გადაწყვეტას გულისხმობს (მათ შორის მტყუან-მართალის გარკვევისკენაა მიმართული). შეიძლება ითქვას, რომ ხულიგნური ქმედების ჩადენა ქურდული სამყაროს მსოფლმხედველობით უღირსი საქციელიც კი არის, „არ ამშვენებს" ამ სამყაროს წევრს, რადგან მათ იმის პრეტენზია აქვთ, რომ სიმპატია დაიმსახურონ საზოგადოების დიდ ნაწილში.

ეს ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ქურდული სამყაროს წევრის მიერ გამორიცხულია ხულიგნობის ჩადენა, მაგრამ საქმე ისაა, რომ ასეთი ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს როგორც ხულიგნობა (და არა ქურდული გარჩევისა და ხულიგნობის ერთობლიობა).

საბოლოოდ, შეიძლება ითქვას, რომ სასამართლომ გ-ძის წარსულში „კანონიერი ქურდობის", სადღეისოდ კი ქურდული სამყაროს წევრობის ფაქტი დადასტურებულად ცნო მოწმეთა ისეთი ჩვენებებით („გაგვიგია, რომ იგი კანონიერი ქურდი იყო, დღესაც ქურდული ტრადიციების მიმდევარია"), რომელიც არაა საკმარისი ამ ბრალდების დადასტურებისათვის. ის ფაქტი, რომ გ-ძის პიროვნებაზე ასეთი აზრია შექმნილი საზოგადოების ნაწილში (აღსანიშნავია, რომ პროცესზე დაკითხული ზოგიერთი მოწმე, მაგალითად, დაზარალებულ ს-ლის მეუღლე აცხადებს, რომ არაფერი გაუგიათ გ-ძის ქურდული ტრადიციების შესახებ), არაა უტყუარი და საკმარისი მტკიცებულება მასზე შერაცხული ბრალდების დასადასტურებლად.

სსკ-ის 223[1]-ე მუხლთან დაკავშირებით საინტერესოა სისხლის სამართლის კანონის მოქმედების საკითხი დროში და სივრცეში და პირთა წრის მიმართ. უფრო კონკრეტულად რომ ვთქვათ, როდის უნდა იყოს ჩადენილი ამ მუხლში აღწერილი ქმედება? თუ დაეკისრება პასუხისმგებლობა ამ მუხლით უცხო ქვეყნის მოქალაქეს? სად უნდა იყოს ჩადენილი ეს ქმედება?

ამ თვალსაზრისით ყურადღებას იპყრობს თბილისის საქალაქო სასამართლოს 2006 წლის 13 ოქტომბრის განაჩენი ზ. კ-ვის მიმართ (საქმე № 1/6244-06).

განაჩენის მიხედვით კ-ვი ცნობილ იქნა დამნაშავედ სსკ-ის 223[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილით და 144-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა", „ე" და „ვ" ქვეპუნქტებით (2006 წ. 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით). კერძოდ, მსჯავრი დაედო მასში, რომ ჩაიდინა კანონიერი ქურდობა, ასევე მძევლად ხელში ჩაგდება წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, ანგარებით, შვიდ დღეზე მეტი ხნით.

ეტაპობრივად მივყვეთ განაჩენში დაფიქსირებულ ბრალდებას.

კერძოდ, განაჩენის მიხედვით, დადასტურებულად იქნა ცნობილი, რომ საქართველოს მოქალაქე, ქ. თბილისში მცხოვრები ზ. კ-ვი 1971 წელს ქ.თბილისში ქურდულ შეკრებაზე, ე.წ. „ქურდულ სხოდკაზე" აწ გარდაცვლილი კანონიერი ქურდის ა. მ-ვის მიერ აღიარებული იქნა კანონიერ ქურდად. კანონიერ ქურდად აღიარების შემდეგ იგი სისტემატურად იღებდა მონაწილეობას სხვადასხვა ქურდულ გარჩევებში. დაახლოებით 1989 წელს იგი გაემგზავრა რუსეთში, კერძოდ, ქ. მოსკოვში, სადაც დღემდე აგრძელებს კანონიერ ქურდობას.

როგორც ვხედავთ, განაჩენის ამ ნაწილში ბრალდება ეხება კ-ვის ცხოვრების ეპიზოდს, რაც შესაძლოა, საქართველოში მოხდა 1971 წელს (უფრო სწორად, 1971 წლიდან 1989 წლამდე).

საქმე ისაა, რომ 2005 წლამდე საქართველოში არ არსებობდა კანონი „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ", ანუ ე.წ. კანონიერი ქურდობა არ იყო დასჯადი ქმედება. ამდენად, კ-ვის 1971 წელს კანონიერ ქურდად აღიარება და ამის შემდეგ 1989 წლამდე ქურდულ გარჩევებში მონაწილეობა

დადასტურებული ფაქტიც რომ იყოს, იგი სადღეისოდ მისი სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისთვის ვერ გამოდგება, რადგან სისხლის სამართლის კანონს, რომელიც აწესებს ქმედების დანაშაულებრიობას, უკუძალა არა აქვს (სსკ-ის მე-3 მუხლის 1-ელი ნაწილი).

როგორც განაჩენშია აღნიშნული, კ-ვი 1989 წელს რუსეთში გაემგზავრა და იქ დღემდე აგრძელებს კანონიერ ქურდობას. საინტერესოა, თუ დავუშვებთ, რომ საქმის მასალებით ბრალდების ეს მონაკვეთი უტყუარადაა დადასტურებული, გამოდგება თუ არა იგი კ-ვის მიმართ სსკ-ის 223[1]-ე მუხლით პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის?

ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად უნდა მივმართოთ საქართველოს სსკ-ის მე-5 მუხლს, რითაც მოწესრიგებულია სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საზღვარგარეთ ჩადენილი დანაშაულისათვის. ამ მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილები ეხება საქართველოს მოქალაქეს და საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირს. ხოლო ამავე მუხლის მე-3 ნაწილი ეხება უცხოელს ან მოქალაქეობის არმქონე პირს, რომელიც მუდმივად არ ცხოვრობს საქართველოში.

დავიწყოთ სსკ-ის მე-5 მუხლის 1-ელი ნაწილის განხილვით, რომლის მიხედვითაც საქართველოს მოქალაქეს ან საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირს ამ კოდექსით სისხლის სამართლის პასუხისმგებლობა დაეკისრება მაშინ, თუ მან საზღვარგარეთ ჩაიდინა სსკ-ით გათვალისწინებული ისეთი ქმედება, რომელიც დანაშაულად ითვლება იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, სადაც ის ჩადენილია. ვინაიდან კანონიერი ქურდობა ან ქურდული სამყაროს წევრობა რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსით არც არასდროს ყოფილა და არც ამჟამადაა დასჯადი ქმედება, კ-ვს რუსეთში ჩადენილი ამ ქმედებებისთვის (იგი დადასტურებუ-

ლიც რომ იყოს) სს პასუხისმგებლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით ვერ დაეკისრება.

ვნახოთ მე-5 მუხლის მე-2 ნაწილი თუ იძლევა შესაძლებლობას, დაეკისროს პასუხისმგებლობა კ-ვს რუსეთში ამ ქმედების ჩადენისათვის.

სსკ-ის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით საქართველოს მოქალაქეს ან საქართველოში მუდმივად მცხოვრებ მოქალაქეობის არმქონე პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით დაეკისრება იმ შემთხვევაში, თუ მათ საზღვარგარეთ ჩაიდინა ამ კოდექსით გათვალისწინებული ისეთი ქმედება, რომელიც დანაშაულად არ ითვლება იმ სახელმწიფოს კანონმდებლობით, სადაც ის ჩადენილია, მაგრამ ეს ქმედება არის საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ანდა თუ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ამ დანაშაულისთვის გათვალისწინებულია საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით.

რუსეთის ტერიტორიაზე ე.წ. კანონიერი ქურდობის ჩადენა, თუ ამ ქმედებით არ დაზარალდა საქართველოს მოქალაქე ან იურიდიული პირი, ვერ ჩაითვლება საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართულ ქმედებად. ამასთანავე ამ საკითხზე არანაირი საერთაშორისო ხელშეკრულება არ არსებობს საქართველოსა და რუსეთს შორის. ამდენად, სსკ-ის მე-5 მუხლის მე-2 ნაწილიც არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ კ-ვზე საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით შერაცხულ იქნას 1989 წლიდან დღემდე რუსეთში ჩადენილი „კანონიერი" ქურდობა.

ამდენად, განაჩენის ეს მონაკვეთი არ შეესაბამება საქართველოს სსკ-ის მე-3 მუხლის 1-ელი ნაწილისა და მე-5 მუხლის 1-ელ და მე-2 ნაწილების არსს.

აღნიშნული განაჩენით ასევე დადასტურებულადაა მიჩნეული, რომ მოსკოვში ყოფნის განმავლობაში მისი ინიციატივით საქართველოში ეწყობოდა ქურდული შეკრებები, ე.წ. „ქურდული სხოდკები", რომელიც იმართებოდა სხვა კრიმინალური ავტორიტეტების კანონიერ ქურდად აღიარების მიზნით, ასევე კანონიერი ქურდების გავლენის სფეროებით უზრუნველყოფის საკითხთა დასარეგულირებლად და სხვადასხვა სახის დანაშაულებრივი საკითხების გადასაწყვეტად, რასაც იგი აგვარებდა სატელეფონო კავშირების მეშვეობით. იგი არის რა კანონიერი ქურდი, ამჟამადაც აღიარებს ქურდულ ტრადიციებს, მონაწილეობს ე.წ. ქურდულ შეკრებებში, გარჩევებში და მის დავალებებს საქართველოში ემორჩილებიან ქურდული სამყაროს წევრები.

იგი უკავშირდებოდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქ. თბილისის №5 საპყრობილეში მოთავსებულ კანონიერ ქურდებს, ა. ქ-იანს, მეტსახელად „წრიპას" და ზ. პ-შვილს, რომლებიც მისი უშუალო მითითებებითა და დავალებებით პატიმართა და მსჯავრდებულთაგან ყოველთვიურად, სისტემატურად, კრებდნენ ფულად თანხებს ქურდულ „საერთოებში" შეტანის მიზნით, რაც ხმარდებოდა კანონიერი ქურდებისა და ქურდული სამყაროს წევრთა მატერიალურ უზრუნველყოფას.

როგორც ვხედავთ, განაჩენის ამ მონაკვეთში მითითებულია იმ ქმედებებზე, რის ჩადენასაც კ-ვს აბრალებენ საქართველოს ინტერესების საწინააღმდეგოდ, მაგრამ განაჩენში არაა დაკონკრეტებული ამ ქმედებათა ჩადენის თუნდაც მიახლოებითი დრო (წელი).

ისმის კითხვა: რამდენად გამოდგება ეს ბრალდება სსკ-ის 223[1]-ე მუხლით პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის?

ამ საკითხის გადაწყვეტისათვის პასუხი უნდა გაეცეს კითხ-

ვას: ხომ არაა სსკ-ის 223[1]-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა დენადი დანაშაული?

თუ იგი დენადია, მაშინ მნიშვნელობა არა აქვს, როდის იქნა აღიარებული პირი კანონიერ ქურდად — „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ" კანონის მიღებამდე, თუ მის შემდეგ. მთავარია, კ-ის მიერ ადრე ჩადენილი ქმედება გრძელდებოდეს ამ კანონის ძალაში შესვლის შემდეგაც.

სსკ-ის მე-13 მუხლის მიხედვით, დენადია ამ კოდექსის ერთი მუხლით ან მუხლის ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, რომლის ჩადენა იწყება მოქმედებით ან უმოქმედობით და რომელიც შემდეგ უწყვეტად ხორციელდება.

რამდენად შეესაბამება ეს ცნება ქურდული სამყაროს წევრობას ან კანონიერ ქურდობას?

როგორც უკვე აღინიშნა, ქურდული სამყაროს წევრობა აუცილებლად გულისხმობს ორ კუმულაციურ ნიშანს: 1. პირმა უნდა აღიაროს ქურდული სამყარო და 2. მან აქტიურად უნდა იმოქმედოს ამ სამყაროს მიზნების განსახორციელებლად.

აქედან გამომდინარე, ქურდული სამყაროს მხოლოდ აღიარება არაა საკმარისი ქურდული სამყაროს წევრობისათვის. ე.ი. ამ სამყაროს პასიური წევრობა (სამყაროში გაწევრიანება) არ გვაძლევს ამ დანაშაულის შემადგენლობას (განსხვავებულ ვითარებასთან გვაქვს საქმე, მაგალითად სსკ-ის 223-ე მუხლში, სადაც უკანონო შეიარაღებულ ფორმირებაში მონაწილეობა დამთავრებულია ამ ფორმირებაში გაერთიანების მომენტიდან და იგი შემდეგ უწყვეტად გრძელდება). სსკ-ის 223[1]-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობისათვის აუცილებელია პირმა კიდეც აქტიურად იმოქმედოს ამ სამყაროს მიზნებისათვის. ხოლო ეს მოქმედება (მაგალითად, „ობშიაკის" შეგროვება, ან არასრულწლოვნის ჩაბმა და-

ნაშაულში და ა.შ.) როგოც წესი, არ ხორციელდება უწყვეტად და მას ეპიზოდური ხასიათი აქვს. ამასთან, ქმედება მიმართულია სხვადასხვა უშუალო ობიექტის წინააღმდეგ (მაგალითად, მუქარის გამოყენებით „ქურდული წილის“ მოთხოვნა ხდება სხვადასხვა პირისაგან) ანდა დანაშაულის მსხვერპლი სხვადასხვა პიროვნებაა (მაგალითად, დანაშაულში ჩაბმულია სხვადასხვა პირი). შესაძლებელია, ეს ქმედებები ერთმანეთისაგან გარკვეული დროითაც იყოს დაცილებული.

ამდენად, ქურდული სამყაროს წევრობა არაა დენადი დანაშაული, რადგან მისი შემადგენლობა მიბმულია ამ სამყაროს მიზნებისათვის სხვადასხვა აქტიური ქმედებების ჩადენასთან. ამიტომ თუ ქურდულ სამყაროში გაწევრიანების შემდეგ სახეზეა აქტიური ქმედების ჩადენა იმ დროს, როცა ეს კანონი არ არსებობდა, დღეს ასეთი ქმედების კვალიფიკაცია სსკ-ის 223-ე მუხლით დაუშვებელია.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, აუცილებელია, პირს ქურდული სამყაროს მიზნების შესაბამისად ერთი ქმედება მაინც უნდა ჰქონდეს ჩადენილი სსკ-ის 223[1]-ე მუხლის შემოღების შემდეგ.

იგივე უნდა ითქვას სსკ-ის 223[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილზეც — კანონიერი ქურდობა.

ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ კანონის მე-3 მუხლის თანახმად, კანონიერი ქურდი არის ქურდული სამყაროს წევრი, რომელიც ქურდული სამყაროს სპეც. წესების შესაბამისად, ნებისმიერი ფორმით მართავს ან/და ორგანიზებას უწევს ქურდულ სამყაროს ან პირთა გარკვეულ ჯგუფს.

როგორც ვხედავთ, აქაც საჭიროა ორი კუმულაციური ნიშნის არსებობა: 1. ქურდული სამყაროს წევრობა და 2. პირთა ჯგუ-

ფის მართვა ან მათი ორგანიზება „ქურდული წესების" შესაბამისად.

ამდენად, განსხვავებით ქურდული სამყაროს წევრობისაგან, „კანონიერი ქურდის" აქტიური ქმედება გამოიხატება პირთა ჯგუფის მართვაში ან ორგანიზებაში (ე.ი. იგი არის ამ სამყაროს ხელმძღვანელი).

„მართვა" და „ორგანიზება" კი გულისხმობს ციკლურ პროცესებს, სხვადასხვა ქმედებებს, რომლებიც ერთმანეთთან უწყვეტად არაა დაკავშირებული. პირიქით, ამ ქმედებებს, ხშირ შემთხვევაში ერთმანეთთან კავშირიც კი არა აქვთ (მაგალითად, „კანონიერი ქურდი" წილს ითხოვს რესტორნის მესაკუთრისაგან, ამავე დროს ქურდული სამყაროს წევრისაგან ითხოვს ე.წ. „ობშიაკის" შეგროვებას, ანდა „საქმეს ურჩევს" სხვა მეწარმეებს, რაშიც იღებს თავის „ქურდულ წილს"). ამაზე ისიც მიუთითებს, რომ ე.წ. კანონიერი ქურდი, როგორც წესი, მართავს სხვადასხვა პირთა ჯგუფს. ეს შეიძლება იყოს ქურდული სამყარო (რომლის წევრიც თავადაა), ასევე პირთა სრულიად სხვა ჯგუფი. ყოვლად შეუძლებელია, პირი უწყვეტი (დენადი) ქმედებით მართავდეს ორ ან მეტ სხვადასხვა პირთა ჯგუფს.

გამომდინარე აქედან, კანონიერი ქურდობა არაა დენადი დანაშაული და ამდენად, სსკ-ის 223[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილით პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის აუცილებელია, რომ ერთი ქმედება მაინც (მაგალითად, პირთა რომელიმე ჯგუფის მართვა) ჩადენილი იყოს სისხლის სამართლის კოდექსში ამ მუხლის შემოღების შემდეგ.

ვნახოთ, რამდენადაა დაცული ეს პირობა მოცემულ საქმეში?

ამის გასარკვევად მივუბრუნდეთ აღნიშნული განაჩენის ზემოთმოყვანილ მონაკვეთს, სადაც ნათქვამია, რომ მოსკოვში

ყოფნის განმავლობაში კ-ვის ინიციატივით საქართველოში ეწყობოდა ქურდული შეკრებები.

როგორც ვხედავთ, განაჩენის ამ მონაკვეთში არაა დაკონკრეტებული, თუ როდის (რომელ წელს) და სად მოეწყო ეს შეკრებები.

ასევე განაჩენის ამ მონაკვეთში ზოგადადაა ნათქვამი, რომ იგი სატელეფონო კავშირების მეშვეობით ახორციელებდა სხვადასხვა სახის დანაშაულებრივ კავშირებს.

განაჩენი უფრო დასაბუთებული იქნებოდა, მასში დაკონკრეტებული რომ იყოს ა) კერძოდ, რომელი დანაშაულებრივი კავშირები გვარდებოდა კ-ვთან სატელეფონო კავშირებით; ბ) როდის (რომელ წელს) შედგა ეს კავშირები და სადაა ამისი მტკიცებულება საქმეში?

განაჩენის ამ მონაკვეთში ასევე ვკითხულობთ, რომ იგი, არის რა კანონიერი ქურდი, ამჟამადაც აღიარებს ქურდულ ტრადიციებს, მონაწილეობს ქურდულ გარჩევებში და მის დავალებებს საქართველოში ემორჩილებიან ქურდული სამყაროს წევრები.

განაჩენი უფრო დამაჯერებელი იქნებოდა, მასში მითითებული რომ იყოს: 1. რომელი მტკიცებულებით დასტურდება, რომ კ-ვი ამჟამადაც მონაწილეობს ქურდულ გარჩევებში; კერძოდ, რომელ გარჩევაში მიიღო მონაწილეობა და ვის გაურჩია საქმე? 2. რით დასტურდება, რომ მის დავალებებს საქართველოში ემორჩილებიან ქურდული სამყაროს წევრები? კერძოდ, რა დავალება მისცა მათ? 3. კერძოდ, ვის მისცა დავალება და როდის (რომელ წელს) მოხდა ეს?
საყურადღებოა განაჩენის შემდეგი მონაკვეთი, სადაც მითითებულია იმაზე, რომ კ-ვი უკავშირდებოდა ქ. თბილისის №5 საპყრობილეში მოთავსებულ კანონიერ ქურდებს ქ-იანს და პ-

შვილს, რომლებიც მისი უშუალო მითითებითა და დავალებით ყოველთვიურად, სისტემატურად, კრებდნენ ფულად თანხებს, რაც ხმარდებოდა კანონიერი ქურდებისა და ქურდული სამყაროს წევრთა მატერიალურ უზრუნველყოფას.

აქაც ისმის კითხვა: 1. როდის (რომელ წელს) უკავშირდებოდა იგი ქ-იანსა და პ-შვილს და როდის (რომელ წელს) სთხოვდა ფულის შეკრებას? 2. როდის შეკრიბეს მათ ეს ფულადი თანხები? 3. თუკი ასეთი ფაქტები ცნობილი იყო სამართალდამცავი ორგანოებისათვის, რატომ თავის დროზე არ ახდენდნენ რეაგირებას მასზე? 4. რატომ არ დაისვა იმ პირთა პასუხისმგებლობის საკითხი, რომლებსაც ევალებოდათ ამგვარი ფაქტებზე სამართლებრივი რეაგირება ან/და შეფასება? 5. თუ ეს ფაქტები მათი ჩადენისას არ იყო ცნობილი სათანადო ორგანოებისათვის, შემდეგ როგორ გახდა იგი ცნობილი მათთვის?

კარგი იქნებოდა, ამ საკითხებზე სათანადო ყურადღების გამახვილება.

ხსენებულ განაჩენში არის ერთი მონაკვეთი, სადაც მითითებულია ქმედების ჩადენის დრო. კერძოდ, აქ ვკითხულობთ: „იგი 2006 წლის 14 აპრილს მობილურ ტელეფონზე დაუკავშირდა შსს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის სამმართველოს მეორე სამსახურის უფროსის მოადგილეს გ. ჩ-შვილს, რომ მას და საქართველოს სამართალდამცავ ორგანოებს თავი დაენებებინათ კანონიერი ქურდების დევნისთვის. იმ შემთხვევაში, თუ არ შესრულდება ზ. კ-ვის მოთხოვნა, ამ უკანასკნელისვე ორგანიზებითა და სხვა კანონიერი ქურდების მონაწილეობით მთელი ქურდული სამყარო გაერთიანდებოდა საქართველოს სამართალდამცავი ორგანოების წინააღმდეგ და იბრძოლებდნენ კანონიერი ქურდების ინტერესების დასაცავად“.

რითაა დადასტურებული კ-ვის მიერ ამ ქმედების ჩადენა (მუქარა, რაც მიმართულია იქითკენ, რომ სათანადო ორგანოს წარმომადგენლებმა არ შეასრულონ მათზე დაკისრებული მოვალეობა ქურდული სამყაროს წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში)?

განაჩენის მიხედვით, საამისო მტკიცებულებად მოყვანილია მოწმედ დაკითხული გ. ჩ-შვილის ჩვენება, რომელიც აცხადებს, რომ მას 2006 წლის 14 აპრილს მობილურ ტელეფონზე დაურეკა უცნობმა მამაკაცმა ამოუცნობი ნომრით, რომელიც მას დაელაპარაკა რუსულ ენაზე და უთხრა, რომ იყო „ზახარი". როდესაც მან უპასუხა, თუ რა ნებავდა, ამ უკანასკნელმა მას ქართულად უთხრა, რომ იყო კანონიერი ქურდი შ. კ-ვი. შემდეგ რუსულად გააგრძელა საუბარი და უთხრა, რომ მისთვის ცნობილი იყო მის მიერ კანონიერი ქურდის, ჯ. შ-ძის, ასევე მისი ბავშვობის მეგობრის, მ. ფ-ძის დაკავების ფაქტი და გააფრთხილა ის და სამსახურის თანამშრომლები თავი დაენებებინათ კანონირი ქურდების დევნა-დაკავებისთვის.

ამ ჩვენების წაკითხვისას ბუნებრივად ჩნდება კითხვები: 1. თუკი რეალურად იყო ასეთი სატელეფონო ზარი, რატომ ვერ მოხერხდა შესაბამისი ნომრის დადგენა? (ამოუცნობი ნომრის დადგენა სათანადო სამსახურებს შეუძლიათ); 2. რითაა დადასტურებული, რომ ამ ზარის ავტორი მართლაც კ-ვი იყო და ვინმემ არ ისარგებლა მისი სახელით? 3. რამდენადაა შესაძლებელი მოწმის ამგვარი ბუნდოვანი ჩვენება („უცნობმა მამაკაცმა მითხრა, რომ იგი იყო კანონიერი ქურდი შ. კ-ვი") ჩაითვალოს კანონიერი ქურდობისათვის ბრალდების მტკიცებულებად?

ასევე განსახილველ განაჩენში კ-ზე წარდგენილი ბრალდების დამადასტურებელ ერთ-ერთ მტკიცებულებად მიჩნეულია ის, რომ კ-ვს მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა აქვს სხვადასხვა კანონიერ ქურდებთან (და ჩამოთვლილია ამ პირთა გვარები).

ჯერ ერთი, საიდან დასტურდება, რომ მათ აქვთ მჭიდრო მეგობრული ურთიერთობა? მეორეც, საიდან დასტურდება, რომ ეს პირები — ლ. შ-შვილი, გ. ზ-ძე და ვ. ი-ვი არიან „კანონიერი" ქურდები? არის კი მათ მიმართ გამოტანილი განაჩენი ამ ბრალდებით? მესამე და მთავარი, რაც არ უნდა დაგვავიწყდეს: „კანონიერ" ქურდთან მეგობრობა სრულიად არ ნიშნავს იმას, რომ ეს პირიც „კანონიერი" ქურდია. ასეთი მეგობრობა შეიძლება მორალურად იყოს გაუმართლებელი, მაგრამ სსკ-ის 223[1]-ე მუხლით ბრალდებისათვის მტკიცებულებად ვერ გამოდგება.

ხსენებულ განაჩენში სხვა პრობლემაცაა. კერძოდ, სადავოა ის ფაქტი, არის თუ არა კ-ვი საქართველოს მოქალაქე. მის მიმართ სისხლის სამართლის საქმე სხვადასხვა ინსტანციის სასამართლოებმა ისე განიხილეს, რომ მისი ადგილსამყოფელი არავინ იცოდა, იგი სასამართლოებს თვალითაც არ უნახავთ. სასამართლოზე წარმოდგენილ იქნა შ. კ-ვის პასპორტის ქსეროასლი, რომლიდანაც ჩანს, რომ იგი რუსეთის მოქალაქეა.

თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2007 წლის 23 მაისის განაჩენით (საქმე №1/ბ-2838-06) წარმოდგენილი ქსეროასლი არ მიიჩნია სარწმუნო მტკიცებულებად.

ამდენად, კ-ვის მოქალაქეობის საკითხი აშკარად საეჭვო და სადავოა.

თუკი კ-ვი მართლაც რუსეთის მოქალაქეა, მაშინ მის მიერ საზღვარგარეთ ჩადენილი ქმედებაზე სსკ-ის 223[1]-ე მუხლით პასუხისმგებლობის დაკისრებისათვის აუცილებელია დადასტურდეს, რომ: ა) ეს ქმედებები არის საქართველოს ინტერესების წინააღმდეგ მიმართული მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაული ანდა თუ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა ამ დანაშაულისათვის გათვალისწინებულია

საქართველოს საერთაშორისო ხელშეკრულებით (სსკ-ის მე-5 მუხლის მე-3 ნაწილი) და ბ) ეს ქმედებები ჩადენილი უნდა იყოს მას შემდეგ, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შემოღებულიქნა 223[1]-ე მუხლი (სსკ-ის მე-2 მუხლის 1-ელი და მე-2 ნაწილი.).

კ-ვის მიმართ სსკ-ის 223[1]-ე მუხლის გამოყენების სხვა საფუძველი გვექნებოდა მაშინ, თუ იგი ამ ქმედებას ჩაიდენდა საქართველოს ტერიტორიაზე (სსკ-ის მე-4 მუხლის 1-ელი ნაწილი).

როგორც ზემოთ აღინიშნა, კ-ოვს ამ განაჩენით ბრალად შეერაცხა ასევე მძევლად ხელში ჩაგდება (144 მუხლის მე-2 ნაწილი, „ა", „ე' და „ვ" ქვეპუნქტები). კერძოდ, 2000 წელს, წინასწარი შეთანხმებით კაკი ო-ვთან ერთად, მან განიზრახა აშშ-ის მოქალაქის ალ. კ-ის მძევლად ხელში ჩაგდება და გათავისუფლების სანაცვლოდ მისი ოჯახის წევრებისაგან ფულადი თანხების გამოძალვა.

განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, იცოდა რა, რომ ალ. კ-ინი მის მეუღლესთან და სიმამრთან ერთად იმყოფებოდა თბილისში, გ. ო-ის ოჯახში, სთხოვა მ. ფ-ძეს, ალ. კ-ინი შეეხვედრებინა მისთვის. მ. ფ-ძემ 2000 წლის 18 ივნისს, თავისი კუთვნილი მანქანით მიაკითხა ალ. კ-ნს და წაიყვანა სასტუმრო „შერატონ მეტეხი პალასი"-ს ავტოსადგომზე, სადაც მათ დახვდათ ზ. კ-ვი და კ. ო-ვი, რომლებიც გადმოვიდნენ ავტომანქანიდან, მიესალმნენ ალ. კ-ნს და მ. ფ-ძეს, რის შემდეგ მ. ფ-ძემ კ-ვისა და ო-ვის თხოვნით დატოვა ისინი.

ამ შემთხვევის შემდეგ ალ. კ-ნი გ. ო-ის ბინაში არ გამოჩენილა. როგორც მოწმეთა ჩვენებით ირკვევა, რამდენიმე დღეში ალ. კ-ნი მობილური ტელეფონით დაუკავშირდა თავის მეუღლეს ს. ა-ვას, რომელსაც შეატყობინა მისი გატაცების შესახებ, გააფრთხილა, რომ არ მიემართა სამართალდამცავი ორგა-

ნოებისათვის და სთხოვა თანხმობა მათი საერთო საბანკო ანგარიშიდან 1 200 000 აშშ დოლარის გადარიცხვაზე, რის შემდეგ მას გაათავისუფლებდნენ.

ამის შემდეგ კ-ნი ხშირად ურეკავდა თავის მეუღლეს და სთხოვდა აღნიშნული თანხის გადარიცხვას ბანკიდან.

2000 წლის 27 ივნისს ს. ა-ოვა დაუკავშირდა ბელგიის სამეფოს ქ. ბრიუსელის შესაბამის ბანკს და განაცხადა თანხმობა მათი ანგარიშიდან შპს „ახლო აღმოსავლეთის ფედერალურ ბანკში“ შესაბამის ნომერზე დამატებით საკრედიტო ანგარიშზე 1 200 000 აშშ დოლარის გადარიცხვის თაობაზე. აღნიშნული გადარიცხვა განხორციელდა 2000 წლის 28 ივნისს, მაგრამ ალ. კ-ნი გამტაცებელ პირებს არ გაუთავისუფლებიათ და მისი ადგილსამყოფელი დღემდე უცნობია.

ვნახოთ, რამდენად სწორადაა დაკვალიფიცირებული ჩადენილი ქმედება მძევლად ხელში ჩაგდებად?

მოწმედ დაკითხულ მ. ფ-ძის ჩვენებიდან ირკვევა, რომ კ-ოვს ალ. კ-ინთან სადავო ჰქონდა 1 200 000 აშშ დოლარი. ეს ფაქტი კი არსებითად ცვლის საქმის არსს, რადგან სადავო თანხის ამოღების მიზნით ადამიანის მოტაცება და თავისუფლების აღკვეთა არ უნდა დაკვალიფიცირდეს მძევლად ხელში ჩაგდებად. მით უმეტეს, მისი დამამძიმებელი ნაწილით — ანგარებით. მძევლად ხელში ჩაგდება გულისხმობს მე-3 პირზე ზემოქმედების მიზანს, რათა იგი აიძულონ, შეასრულოს ისეთი ქმედება, რისი შესრულების მოვალეობა მას არ აკისრია. აქედან გამომდინარე, მძევლად ხელში ჩაგდება ანგარებით სახეზეა მაშინ, როცა ხელში ჩაგდებულია პირი, რათა სხვა პირი აიძულონ გადაიხადოს გამოსასყიდი დამნაშავეთა სასარგებლოდ ან როცა დამნაშავის მიზანია მიიღოს ისეთი მატერიალური გამორჩენა, რაც მას წესით არ ეკუთვნის (სურს სხვისი ქონების ხარჯზე გამდიდრდეს).

მოცემულ შემთხვევაში კი კ-ვისა და ო-ვის მიზანი იყო არა გამოსასყიდის მიღება ან სხვისი ქონების ხარჯზე გამდიდრება, არამედ სადავო თანხის ამოღება, რასაც ალ. კ-ნი მათ არ აძლევდა. ამდენად, მისი ქმედება შეიცავს თავისუფლების უკანონო აღკვეთის ნიშნებს (143-ე მუხლი).

ამ თვალსაზრისით უნდა დაკითხულიყვნენ ის პირები, ვინც ფლობდნენ ინფორმაციას კ-ვისა და კ-ნის ურთიერთობის შესახებ (მაგალითად, კ-ვის მეუღლე, მისი სიმამრი, რომლებიც ამ შემთხვევის დროს ქ. თბილისში იმყოფებოდნენ და აქედან გამომდინარე, ფლობენ სათანადო ინფორმაციას).

როგორ უნდა დაკვალიფიცირდეს შემთხვევა, როცა მოხელე აქტიურად ეხმარება ქურდული სამყაროს წარმომადგენელს, რა დროსაც იყენებს თავის სამსახურებრივ მდგომარეობას? ამ კითხვაზე პასუხის გასაცემად გამოგვადგება თბილისის საქალაქო სასამართლოს 2007 წლის 17 ივლისის განაჩენი ქ. უ-ლის, ზ. ჩ-ძის და შ. ა-ლის მიმართ (საქმე №1/ბ-2262-07).

საბრალდებო დასკვნის მიხედვით ზ. ჩ-ძეს ბრალი დაედო მასში, რომ ჩაიდინა ქურდული სამყაროს წევრობა, აგრეთვე მოხელის მიერ სამსახურეობრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება საჯარო ინტერესების საწინააღმდეგოდ, სხვისთვის უპირატესობის მისაღებად, რამაც საზოგადოების კანონიერი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია, რაც გამოიხატა შემდეგში:

„ზ. ჩ-ძე მუშაობდა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქ. თბილისის №5 საპყრობილეში სარეჟიმო განყოფილების უფროსი ინსპექტორის თანამდებობაზე და ითვლებოდა მოხელედ.

იგი დაუდგენელ დროსა და ვითარებაში დანაშაულებრივად დაუკავშირდა ქ. თბილისის №5 საპყრობილეში, კერძოდ №80 სა-

კანში მოთავსებულ პატიმარ შ, ა-ელს, ხოლო მოგვიანებით ამ უკანასკნელის მეუღლის დედას ქ, უ-ლს, რომელიც შ. ა-ეის სიტყვიერი დავალებით აგროვებდა ფულად თანხებს ქურდულ სამყაროში შეტანის მიზნით.

მას თავისი სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით ჰქონდა რა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ქ. თბილისის №5 საპყრობილეში მოთავსებულ პატიმრებთან თავისუფლად შეხვედრის საშუალება, იგი ამავე საპყრობილის პატიმარ ა-ლთან და ქ. თბილისში, ახალციხის ქ. №27-ში მცხოვრებ ქ. უ-თან წინასწარი შეთანხმებით მის მიერ ქურდული საერთოს სახით შეგროვებულ ფულად თანხებს გადასცემდა შ. ა-ელს, მისთვის უპირატესობის მიღების და ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად.

ზ. ჩ-ძეს ჰქონდა რა ქურდული სამყაროს წევრებისათვის ფინანსური დახმარების გაწევის განზრახვა, ამასთან ბოროტად სარგებლობდა რა თავისი სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით, 2006 წლის ოქტომბერ-ნოემბერში სხვადასხვა დროს შ. ა-ლის დავალებით ქ. უ-ლს ართმევდა დაწესებულებაში მოთავსებული პატიმრების ოჯახის წევრებისაგან ქურდული საერთოს სახით შეგროვებულ თანხებს. კერძოდ, 2006 წლის 23 ოქტომბერს მან ქ. უ-ლს გამოართვა სხვადასხვა დროს ქურდული საერთოს სახით შეგროვილი თანხა, საერთო ჯამში 300 ლარის ოდენობით.

აღნიშნული ქმედებით იგი საჯაროდ გამოხატავს ქურდული სამყაროსადმი მხარდაჭერას, ყოველდღიურ ცხოვრებაში მას აქტიური ურთიერთობა ჰქონდა ქურდული სამყაროს ლიდერებთან.

გარდა ამისა, ზ. ჩ-ძის ქმედებამ, კერძოდ, კი ქურდული სამყაროს წევრებისათვის დახმარებამ, რაც გამოიხატა ქურდული საერთოების სახით შეგროვებული თანხების მათთვის გა-

დაცემაში და ხსენებული ქმედებით მათთვის უპირატესობის მინიჭებაში, საზოგადოებრივი ინტერესების არსებითი დარღვევა გამოიწვია. ზემოაღნიშნულისთვის მას ბრალი დაედო სსკ-ის 223[1]-ე მუხლის 1-ლი ნაწილით და 332-ე მუხლის 1-ლი ნაწილით."

როგორც საქმის არსიდან ჩანს, ზ. ჩ-ძე იყო მოხელე, იგი დაუკავშირდა პატიმარ ა-ელს და შეუთანხმდა, რომ გადასცემდა მას უ-შვილის მიერ ქურდული საერთოსთვის შეგროვოლ თანხას. ფულის გადაცემას ადვილად მოახერხებდა, რადგან როგორც მოხელეს ჰქონდა პატიმრებთან თავისუფალი შეხვედრის საშუალება. ამ მიზნით მან უ-შვილს გამოართვა შეგროვილი თანხა 300 ლარის ოდენობით.

რამდენად სწორია მისი ქმედების კვალიფიკაცია ქურდული სამყაროს წევრობად?

სანამ ამ კითხვაზე პასუხს გავცემდეთ, უნდა დავუშვათ, რომ შ. ა-ისა და ქ. უ-შვილის ქურდული სამყაროს წევრობის ფაქტი დადასტურებულია და არ იწვევს დავას. ასეთი დათქმის შემთხვევაშიც კი ზ. ჩ-ძის ქმედება არ შეიძლება შეფასდეს, როგორც ქურდული სამყაროს წევრობა, ვინაიდან:

1. ქურდული სამყაროს წევრობას არ შეიძლება ჰქონდეს ეპიზოდური სახე, იგი იწყება იქიდან, როცა ქურდული სამყარო აღიარებს ამ პირს მის წევრად და ეს პირი შეასრულებს თუნდაც ერთ აქტიურ ქმედებას ამ სამყაროს მიზნებისთვის. ამის შემდეგ კი იგი ვალდებულია ამ სამყაროს ინტერესების შესაბამისად აქტიურად იმოქმედოს და ამდენად, არ გაწყვიტოს კავშირი ამ სამყაროსთან.
2. ქურდული სამყაროს წევრად პირის აღიარება არ შეიძლება მოახდინოს ამ სამყაროს ერთმა წევრმა სხვა წევრებთან შეთანხმების გარეშე. ქურდულ სამყაროში პირის გაწევრიანება ხდება ამ სამყაროს გარკვეული ნაწილის ნებით და მათთან შეთანხმებით.

ზ. ჩ-ძისა და შ. ა-ლის დანაშაულებრივი ურთიერთობა დაიწყო სასჯელაღსრულების დაწესებულებაში და ეს ურთიერთობა დაკავშირებული იყო იმასთან, რომ ჩ-ძე იყო ამ დაწესებულების უფროსი ინსპექტორი. ამდენად, შ. ა-სთვის ჩ-ძე საჭირო კაცი იყო მანამ, სანამ იგი (შ. ა-ლი) სასჯელს იხდიდა ამ დაწესებულებაში. სასჯელის მოხდის შემდეგ კი ჩ-ძესა და შ. ა-ელს შორის ეს ურთიერთობა (შეგროვილი ფულის გადაცემა) ბუნებრივად შეწყდებოდა. სხვა სახის ურთიერთობა მასსა და ქურდულ სამყაროს წევრებს შორის საქმის მასალებით არ დადგენილა.

ამდენად, ჩ-ძეს ქურდული სამყაროს ამ ორი წევრის (ალისა და უ-შვილის) სასარგებლოდ უნდა შეესრულებინა მხოლოდ ტექნიკური სახის ფუნქცია — შეგროვილი ფული გამოერთმია უ-შვილისათვის და გადაეცა პატიმარ ა-ლზე.

3. საქმის მასალებით არაა დადასტურებული მასზე წარდგენილი ბრალდება, რომ 2006 წლის ოქტომბერ-ნოემბერში იგი სხვადასხვა დროს ართმევდა უ-შვილს ა-ლზე გადასაცემად შეგროვილ ფულს. დადასტურებულია ასეთი მხოლოდ ერთი ფაქტი — 2006 წლის 23 ოქტომბერს მან უ-შვილს გამოართვა 300 ლარი, მაგრამ სხვა დროს ჩადენილი ასეთი შემთხვევები დადასტურებული რომც ყოფილიყო, ამ პირთა კავშირი მაინც ეპიზოდური ხასიათისაა, რადგან ეს ურთიერთობა ორიენტირებული იყო ა-ელის სასჯელაღსრულების დაწესებულებაში ყოფნის პერიოდზე.

4. 4) საქმის მასალებით ასევე არაა დადასტურებული მასზე წარდგენილი ბრალდება, რომ „იგი საჯაროდ გამოხატავს ქურდული სამყაროსადმი მხარდაჭერას, ყოველდღიურ ცხოვრებაში მას აქტიური ურთიერთობა ჰქონდა ქურდული სამყაროს ლიდერებთან“. (როგორც ვხედავთ, განაჩენში დაფიქსირებულია ურთიერთობა არა „ლიდერთან“, არამედ „ლიდერებთან“).

აქვე ისმის კითხვა: რამდენად ტიპურია, რომ სასჯელაღსრულების დაწესებულების მოხელე საჯაროდ გამოხატავდეს თავის მხარდაჭერას ქურდული სამყაროსადმი? ამით იგი ხომ ამხელს საკუთარ თავს? პირიქით, მოხელე ყოველთვის შეეცდება, სხვებისთვის შეუმჩნეველი დარჩეს მისი კავშირი ქურდულ სამყაროსთან და მიუხედავად ამისა, თუკი იგი ასეთი თავხედი და წინდაუხედავი იყო, კერძოდ რაში გამოვლინდა ეს „საჯარო მხარდაჭერა"? ფულის ჩუმად გადაცემის ფაქტი ვერანაირად ვერ შეფასდება, როგორც „საჯარო მხარდაჭერა".

მაშ, რა შეფასება უნდა მიეცეს ჩ-ძის მიერ ჩადენილ ქმედებას?

იგი იყო რა მოხელე, მართლაც ბოროტად გამოიყენა თავისი სამსახურეობრივი უფლებამოსილება, რადგან ამ დაწესებულების მოხელეს არა აქვს უფლება ფული (თუნდაც იგი იყოს კანონიერი გზით შეძენილი) გამოართვას პატიმრის ნათესავს და გადასცეს იგი პატიმარს, მით უმეტეს, თუ ეს არის ე.წ. ქურდული საერთოსთვის შეგროვილი თანხა, მაგრამ სასამართლომ (ისევე როგორც გამოძიებამ) ქმედების კვალიფიკაციისას შეცდომა დაუშვა, როცა ეს შემთხვევა შეაფასა სსკ-ის 332-ე მუხლით.

საქმე ისაა, რომ ჩ-ძემ ჩაიდინა ისეთი ქმედება (პატიმრის ნათესავს გამოართვა ფული პატიმარზე გადასაცემად), რომლის ჩადენის უფლება არავითარ შემთხვევაში არა მარტო მას, არამედ არც ერთ მოხელეს არა აქვს, თანაც ამ ქმედების ჩადენისას გამოიყენა თავისი სამსახურეობრივი უფლებამოსილება (ის, რომ თავისუფლად შეეძლო პატიმართან კონტაქტი). ქმედების შეფასებისას ამ შემთხვევაში მთავარი არაა ის, რომ მას შეეძლო ნებისმიერ დროს კონტაქტი დაემყარებინა ა-თან. აქ მთავარია ის, რომ მას (ისევე როგორც სხვა მოხელეს) არ ჰქონდა კერძო პირისაგან აღებული ფუ-

ლის პატიმარზე გადაცემის უფლება (აქვე ისიც უნდა ითქვას, რომ თუ ეს იქნება კანონიერად მოპოვებული ფული, მოხელის მიერ უფლებამოსილების გადამეტება უნდა შეფასდეს, როგორც დისციპლინური გადაცდომა, რადგან სსკ-ის 333-ე მუხლი აუცილებლად გულისხმობს მართლსაწინააღმდეგო შედეგს — ფიზიკური ან იურიდიული პირის უფლებების, საზოგადოების ან სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებით დარღვევას).

სწორედ ამით განსხვავდება ერთმანეთისაგან სსკ-ის 332-ე და 333-ე მუხლები. სსკ-ის 332-ე მუხლის ამსრულებელი წყვეტს იმ საკითხს და სჩადის ისეთ ქმედებას, რომლის ჩადენის უფლებაც მას აქვს, მაგრამ ამ ქმედებას სჩადის საჯარო ინტერესის საწინააღმდეგოდ (და არა ამ ინტერესის შესაბამისად); ხოლო სსკ-ის 333-ე მუხლის ამსრულებელი წყვეტს იმ საკითხს და სჩადის ქმედებას, რომელიც: ა) შედის სხვა მოხელის კომპეტენციაში; ბ) უნდა გადაწყვეტილიყო კოლეგიალურად და არა ერთპიროვნულად; გ) მისი ჩადენა შესაძლებელი იყო კანონით დადგენილ დროსა და პირობებში; დ) მისი ჩადენის უფლება არა აქვს არც ერთ მოხელეს.

ჩ-ძის ქმედება სწორედ ამ უკანასკნელ შემთხვევას შეესაბამება. ამდენად, მან გადააამეტა თავის სამსახურეობრივ უფლებამოსილებას, როცა პატიმრის სიდედრს გამოართვა ე.წ. ქურდული „საერთოსათვის" შეგროვილი თანხა და გადასცა იგი ა-ლს, რამაც სახელმწიფოს (კერძოდ, სასჯელაღსრულების დაწესებულების) კანონიერი ინტერესის არსებითი დარღვევა გამოიწვია.

ამ ქმედების კვალიფიკაცია სსკ-ის 332-ე მუხლით სწორი იქნება იმ შემთხვევაში, თუკი სასჯელაღსრულების მოხელეს მიენიჭება უფლებამოსილება კანონით დადგენილ შემთხვევაში გადასცეს პატიმარს ნათესავისგან მოტანილი ფული, მაგრამ მოხელე ამ უფლებას გამოიყენებს ბოროტად

და კანონის მოთხოვნის დარღვევით გადასცემს მას ფულს (მაგალითად, გადასცემს ქურდული საერთოს სახით შეგროვილ თანხას). მოცემულ შემთხვევაში ასეთ ვითარებასთან საქმე არ გვაქვს, ამიტომ სსკ-ის 332-ე მუხლით კვალიფიკაცია შეცდომად უნდა ჩაითვალოს.

ჩ-ძის ქმედების სსკ-ის 333-ე მუხლით კვალიფიკაციისას შეფასება მიეცემა როგორც იმას, რომ მან სამსახურეობრივი უფლებამოსილება ბოროტად გამოიყენა (რადგან სსკ-ის 333-ე მუხლი არის 332-ე მუხლის კერძო შემთხვევა), ასევე იმასაც, რომ იგი დაეხმარა ქურდულ სამყაროს (ამ სამყაროზე დახმარების უფლება არა აქვს არც ერთ მოხელეს და უფლებამოსილების გადამეტებაც სწორედ ამაში გამოიხატა).

გამომდინარე აქედან, არასწორად უნდა ჩაითვალოს მისი ქმედების დანაშაულთა ერთობლიობით კვალიფიკაცია.

ამდენად, სასამართლოს ჩ-ძის ქმედება უნდა დაეკვალიფიცირებინა სსკ-ის 333-ე მუხლით — სამსახურეობრივი უფლებამოსილების გადამეტება. ასეთი კვალიფიკაცია სხვა თვალსაზრისითაცაა გამართლებული. კერძოდ, ამ შემთხვევაში არაა აუცილებელი იმის მტკიცება, რომ ჩ-ძეს გაცნობიერებული ჰქონდა ქურდულ სამყაროსთან მისი თანამშრომლობის ფაქტი. აქ საკმარისია, პირს ჰქონდეს გაცნობიერებული, რომ ჩადენილი ქმედება სცილდებოდა მის კომპეტენციას და იგი იწვევს სახელმწიფოს კანონიერი ინტერესის არსებით დარღვევას.
აღნიშნული განაჩენი უცვლელად დატოვა თბილისის სააპელაციო სასამართლომ 2007 წლის 29 ოქტომბრის განაჩენით. ხოლო საქართველოს უზენაესმა სასამართლომ 2008 წლის 20 მაისის განჩინებით არ ცნო მიზანშეწონილად ამ საქმეზე

შემოსული საჩივარის დაშვება სისხლის სამართლის საქმეთა პალატის სხდომაზე განსახილველად (საქმე №2239 აპ).
რამდენადაა შესაძლებელი, რომ ქურდული სამყაროს წევრად ჩაითვალოს პირი, რომელიც პატიოსანი შრომით მიღებული შემოსავლის ნაწილს პერიოდულად, თუნდაც ნებაყოფლობით გადასცემს ქურდული სამყაროს რომელიმე წევრს მისივე თხოვნის საფუძველზე?

პრაქტიკაში ხშირია შემთხვევა, როცა ქურდული სამყაროს წევრები სატრანსპორტო მუშაკებისგან (მაგალითად, სამარშრუტო ტაქსების მძღოლებისგან) ითხოვენ ყოველთვიურ (ან ყოველდღიურ) თანხას იმ მოტივით, რომ იგი მოხმარდეს ციხეში, გაჭირვებაში მყოფი პატიმრებისთვის ნორმალური პირობების შექმნას. ეს მძღოლებიც ფორმალურად ნებაყოფლობით, უხდიან მათ ამ თანხას.

ამის მაგალითად გამოგვადგება თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2006 წლის 15 დეკემბრის განაჩენი, რომლითაც დადგენილად ჩაითვალა შემდეგი: „რ. ო-შვილი, ვ. მ-ნი, ს. ს-ნი და ს. ს-ნი ცნობენ და აღიარებენ ქურდულ სამყაროს, ეთანხმებიან და ახორციელებენ მათ მიზნებს, თავიანთი ცხოვრების წესით საჯაროდ გამოხატავენ მათ მხარდაჭერას. აღნიშნული გამოიხატა იმაში, რომ მუშაობენ რა მეტრომშენის დასახლებაში მოძრავ №28-ე სამარშრუტო ტაქსის მძღოლებად, ნებაყოფლობით, ყოველგვარი ძალდატანებისა და იძულების გარეშე, ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად ისინი სისტემატურად, ყოველთვიურად უხდიდნენ ქურდული სამყაროს წარმომადგენელს, კრიმინალურ ავტორიტეტს – მ. ა-ძეს, მეტსახელად „ქუცო“-ს, ქურდულ წილს 43 ლარის ოდენობით.“
აღნიშნულიდან გამომდინარე, ამ პირებს ბრალად შეერაცხათ ქურდული სამყაროს წევრობა (223[1]-ე მუხლის 1-ელი ნაწილი.).

ამ პირებთან 2006 წლის 7 დეკემბერს შედგა საპროცესო შეთანხმება ქ. თბილისის პროკურატურის განყოფილების პროკურორთან ბრალზე, გარიგებასა და სასჯელის ზომაზე. საპროცესო შეთანხმება დაკმაყოფილდა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ და მსჯავრდებულების მიმართ დანიშნულ სასჯელზე გამოყენებულ იქნა პირობით გამოსაცდელი ვადა (5-5 წლის ვადით), დამატებით სასჯელად კი თითოეულს დაეკისრა 5000 ლარის გადახდა.

წარდგენილი ბრალდება სასამართლომ დადასტურებულად ცნო მოწმეთა ჩვენებებით, რომლებიც ადასტურებდნენ, რომ მათთან მივიდა მრავალჯერ ნასამართლევი მ. ა-ძე და სთხოვა, დახმარება გაეწია, რითაც კი შეიძლებოდა — ფულით და პროდუქტებით, რაც გაიგზავნებოდა ციხეში ქურდებთან და ისინი დაეხმარებოდნენ იქ მყოფ გაჭირვებულ პატიმრებს. მძღოლებს ამ თხოვნაზე უარი არ უთქვამთ და ყოველთვიურად კრებდნენ 200 ლარს. თანხას აგროვებდა მძღოლების ბრიგადირი ნ. ფ-შვილი (რომელიც რატომღაც არაა მიცემული პასუხისგებაში სხვა მძღოლებთან ერთად და იგი საქმეში მოწმის სტატუსით გადის). ნ. ფ-შვილი თვითონაც დებდა თანხას, თითოეულ მძღოლს თვეში უწევდა 43 ლარის დადება. ზოგიერთი კი პროდუქტებს ყიდულობდა ციხეში გასაგზავნად.

აღნიშნულ მძღოლთა ქმედების ქურდული სამყაროს წევრობად კვალიფიკაცია უხეშ შეცდომად და სსკ-ის 223[1]-ე მუხლის არსის გაუაზრებლობის შედეგად უნდა ჩაითვალოს.

ვინაა ქურდული სამყაროს წევრი?

კანონის თანახმად, ქურდული სამყაროს წევრი არის ნებისმიერი პირი, რომელიც აღიარებს ქურდულ სამყაროს და აქტიურად მოქმედებს ამ სამყაროს მიზნების განსახორციელებლად.

რაში მდგომარეობს ქურდული სამყაროს მიზნები?

„ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის თანახმად, ამ სამყაროს მიზანია დაშინებით, მუქარით, იძულებით, დუმილის პირობებით, ქურდული გარჩევის გზით, დანაშაულებრივ ქმედებებში არასრულწლოვანთა ჩაბმით, დანაშაულის ჩადენით ან დანაშაულისკენ წაქეზებით მისი წევრებისათვის ან სხვა პირებისათვის სარგებლის მიღება.

აქედან უნდა გაკეთდეს დასკვნა: ქურდული სამყაროს წევრი სარგებლის მისაღებად მოქმედებს სწორედ ზემოთმითითებული ხერხებით (დაშინებით და ა.შ.). ამ ხერხებიდან სულ მცირე ერთ-ერთის გამოყენების გარეშე არ არსებობს ქურდული სამყაროს წევრობა. ე.ი. „აქტიურად მოქმედებს"-ში უნდა გავიგოთ, რომ იგი ამ ხერხების გამოყენებით მოქმედებს.

ქურდული სამყაროს წევრმა სარგებლის მისაღებად შეიძლება შეფარული დაშინების მეთოდი გამოიყენოს, როგორც ეს გააკეთა მრავალჯერ ნასამართლევმა მ. ა-ძემ, რომელმაც ყოველთვიური ფულადი თანხა მოსთხოვა მძღოლებს, მაგრამ საამისოდ აშკარა მუქარა არ გამოუყენებია. იგი დასჯერდა იმის თქმას, რომ ეს თანხა უნდა გაუგზავნოს ციხეში მყოფ ქურდებს, რომლებიც დაეხმარებიან გაჭირვებულ პატიმრებს. ამით ა-ძემ მიანიშნა, რომ ამ „თხოვნის" უკან დგას ქურდული სამყარო, რომელიც „არაა შეჩვეული" უარით გასტუმრებას. ეს ყველაფერი, რასაკვირველია, გასაგები იყო სამარშრუტო ტაქსის მძღოლებისთვის და ისინიც დათანხმდნენ, თორემ მათ ა-ძის „ვიზიტი" მართლაც რომ თხოვნად აღექვათ, ასე ორგანიზებულად ყოველ თვე ზუსტად ერთი და იგივე ოდენობის (43-43 ლარის) შეგროვებას არ შეუდგებოდნენ.
ამდენად, მ. ა-ძის ქმედება შესაძლებელია დაკვალიფიცირდეს, როგორც აქტიური მოქმედება ქურდული სამყაროს მიზნების განსახორციელებლად, მაგრამ რამდენად შესაძლებელია ტაქსის მძღოლთა ზემოთმოთითებულ ქმედებას მიეცეს ასეთი კვალიფიკაცია?

მოცემულ შემთხვევევეში ტაქსის მძღოლები არიან ქურდული სამყაროს წევრის (ა-ძის) მხრიდან ფულის „შეწერის“ მსხვერპლნი, რადგან იცოდნენ, რომ უარის შემთხვევაში ისინი სულ მცირე, მატერიალურად უფრო მეტად დაზარალდებოდნენ.

საგულისხმოა, რომ სასამართლომ უკრიტიკოდ მიიღო მათი ჩვენება იმის შესახებ, რომ ისინი ნებაყოფლობით, ყოველგვარი დაძალების გარეშე აგროვებდნენ თანხას ქურდული სამყაროს წევრზე გადასაცემად.

ასეთ ვითარებაში ისმის კითხვა: რატომ ასევე უკრიტიკოდ არ მიიღო მათი ჩვენება, რომ ეს თანხა გროვდებოდა გაჭირვებულ პატიმართა დასახმარებლად? თუკი ეს ნამდვილად ასე იყო, მაშინ მძღოლების მიმართ მადლობის მეტი არაფერი ითქმის.

სასამართლომ ეს მძღოლები ცნო ქურდული სამყაროს წევრებად და ყურადღება არ გაამახვილა იმაზე, რომ მათ ქურდული სამყაროსთვის სარგებლის მისაღებად ვინმეს მიმართ არ გამოუყენებიათ ძალადობა, მუქარა და სხვა ხერხი. პირიქით, ისინი თავიანთი პატიოსანი შრომის ნაწილს უხდიდნენ ქურდული სამყაროს წევრს.

ზედმეტად უნდა ჩაითვალოს იმის მტკიცება, რომ ქურდული სამყაროს წევრები ამ სამყაროსთვის სარგებლის მისაღებად თავად არ ეწევიან კანონიერ შრომას (როგორც ამას ადგილი ჰქონდა ამ მძღოლების შემთხვევაში) და ამ შრომის ნაწილს თავად არ უხდიან ქურდულ სამყაროს სხვა წევრს. პირიქით, ისინი ცხოვრობენ პარაზიტული ცხოვრების წესით და სხვებს აიძულებენ გადაუხადონ მათ სარგებელი. შეუძლებელია, ქურდული სამყაროს ერთი წევრი აიძულებდეს ამავე სამყაროს სხვა წევრს, გადაუხადოს ქურდულ სამყაროს ე.წ. ქურდული წილი თავისი ქონებიდან, რაც ამ უკანასკნელს კანონიერად აქვს მიღებული.

აღნიშნულ მძღოლებზე წარდგენილ ბრალდებაში ყურადღებას იპყრობს ასეთი ფრაზა: „თავიანთი ცხოვრების წესით საჯაროდ გამოხატავენ მათ მხარდაჭერას".

ისმის კითხვა: რას ნიშნავს „საჯაროდ გამოხატავენ მათ მხარდაჭერას"? რით გამოხატეს მძღოლებმა ეს „საჯარო მხარდაჭერა"? იქნებ იმით, რომ ჩუმად აგროვებდნენ მათი ჯაფით მოპოვებული ფულის ნაწილს და ასევე ჩუმად აძლევდნენ ა-ძეს? საჯაროდ გამოხატვა ნიშნავს სიტყვით ან საქმით რაიმეს გამოხატვას საზოგადოების ფართო ფენებში.

სისხლის სამართლის კოდექსის 223[1]-ე მუხლის განხილვისას აუცილებლად უნდა შევეხოთ საკითხს: როდისაა დამთავრებული ეს დანაშაული?

ასეთი კითხვის საფუძველი არის ამ მუხლის დისპოზიცია („ქურდული სამყაროს წევრობა"— (1-ელი ნაწილი), „კანონიერი ქურდობა"— (მე-2 ნაწილი).

როგორც ვხედავთ, აქ ქმედებაზე არაფერია ნათქვამი, დაფიქსირებულია მხოლოდ კრიმინალური სტატუსი.

ამის მიუხედავად, შეიძლება ითქვას, რომ განსახილველი ნორმა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას აწესებს არა სტატუსისთვის, არამედ ქმედებისათვის. ასეთი დასკვნის საფუძველს იძლევა საქართველოს 2005 წლის 20 დეკემბრის კანონი „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ" (მე-3 მუხლი), სადაც განმარტებულია, თუ რას ნიშნავს ქურდული სამყაროს წევრობა და კანონიერი ქურდობა. პირი ქურდული სამყაროს წევრად რომ ჩაითვალოს, მან არა მარტო უნდა აღიაროს ეს სამყარო (როგორც უკვე აღვნიშნეთ, ეს აღიარება უნდა იყოს ორმხრივი), არამედ აქტიურად უნდა მოქმედებდეს ამ სამყაროს მიზნების განსახორციელებლად. ამდენად, განსხვავებით ბანდაში მონაწილეობისაგან (224-ე მუხლის მე-2 ნაწილი), სადაც ბანდაში მონაწილეობის ფაქ-

ტი (ე.ი. მასში გაწევრიანება) უკვე გვაძლევს ამ დანაშაულის დამთავრებულ შემადგენლობას, აქ ხაზგასმულია, რომ აუცილებელია ქმედების ჩადენა.

რა არის ამ სამყაროს მიზანი?

ამ კითხვაზეც პასუხს იძლევა იგივე კანონი, რომლის თანახმადაც, ქურდული სამყაროს მიზანია დაშინებით, მუქარით, იძულებით, დუმილის პირობებით, ქურდული გარჩევის გზით, დანაშაულებრივ საქმიანობაში არასრულწლოვანთა ჩაბმით, დანაშაულის ჩადენით ან დანაშაულისკენ წაქეზებით მისი წევრებისთვის ან სხვა პირებისთვის სარგებლის მიღება.
როგორც ვხედავთ, აქ ჩამოთვლილია ის ქმედებები, რაც შეიძლება ჩაიდინოს ქურდული სამყაროს წევრმა ზემოთ მითითებული მიზნის მისაღწევად, მისი აქტიური მოქმედებაც სწორედ ამაში გამოიხატება. ამ ქმედებათა უმეტესობა შეიცავს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ ცალკეულ დანაშაულთა შემადგენლობას. ასეთია: მუქარა (151-ე მუხლი); იძულება (150-ე მუხლი); დანაშაულებრივ საქმიანობაში არასრულწლოვნის ჩაბმა (იგი წარმოადგენს რომელიმე დანაშაულის ან შუალობით ამსრულებლობას, ან მასში თანამონაწილეობას); დანაშაულის ჩადენა (იგულისხმება რომელიმე კონკრეტული დანაშაული); დანაშაულისკენ წაქეზება (გულისხმობს რომელიმე დანაშაულში თანამონაწილეობას, ვთქვათ, 25, 177-ე მუხლები), ქურდული გარჩევაც, როგორც წესი, დაკავშირებულია დანაშაულის ჩადენასთან, რადგან ასეთ გარჩევას თან ახლავს მუქარა, დაშინება ან სხვა უკანონო ქმედება (როგორც წესი და არა ყოველთვის, რადგან დაშინება არ გვაძლევს სსკ-ით გათვალისწინებული რომელიმე დანაშაულის შემადგენლობას).

ისმის კითხვა: მოიცავს კი სსკ-ის 223[1]-ე მუხლის შემადგენლობა ნებისმიერ ზემოთჩამოთვლილ ქმედებებს, მათ შორის იმ დანაშაულს, რაც შეიძლება ჩაიდინოს ქურდული სამყაროს წევრმა?

ამ კითხვაზე ლოგიკური პასუხი ასეთი უნდა იყოს: რადგან ეს ქმედებები სსკ-ის 223[1]-ე მუხლის შემადგენლობის ერთ-ერთი აუცილებელი ნიშანია, მაშინ სსლ-ის 223[1]-ე მუხლი შთანთქავს მათ, როგორც მთელი შთანთქავს მის ნაწილს და კვალიფიკაცია დანაშაულთა ერთობლიობით საჭირო არაა. ასე მაგალითად, თუ ქურდული სამყაროს წევრმა მუქარით აიძულა ვინმე მიეცა მისთვის ე.წ. ქურდული წილი, ქმედება უნდა დაკვალიფიცირდეს მხოლოდ სსკ-ის 223[1]-ე მუხლით და ზედმეტია სსკ-ის 181-ე ან 150-ე მუხლზე მითითება. ანდა თუკი იგი თავად ჩაიდენს, ვთქვათ, ქურდობას, ასეთ შემთხვევაშიც სსკ-ის 223[1]-ე მუხლმა უნდა შთანთქას ეს დანაშაული (დანაშაულის ჩადენაც ხომ აქტიური მოქმედების ერთ-ერთ სახედაა მითითებული ზემოთხსენებულ კანონში). რაც შეეხება იმ მოქმედებებს, რაც არ გვაძლევს ცალკეულ დანაშაულთა შემადგენლობას (მაგალითად, დაშინება, დუმილის პირობების წაყენება), ისინი უდავოდ შედიან სსკ-ის 223[1]-ე მუხლის შემადგენლობაში.

საქმე ისაა, რომ ერთია ლოგიკა, მაგრამ სულ სხვაა რეალობა. სსკ-ის 223[1]-ე მუხლი პრაქტიკულად არ იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ მან შთანთქას ყველა ის ქმედებები, რასაც სჩადის ქურდული სამყაროს წევრი. ამაზე აშკარად მიუთითებს სსკ-ის 223[1]-ე მუხლის 1-ლი ნაწილის სანქცია (ისჯება თავისუფლების აღკვეთით ვადით ხუთიდან რვა წლამდე, ჯარიმით ან უამისოდ). ამიტომ მის მიერ ქურდული სამყაროს მიზნების შესაბამისად ჩადენილი მოქმედება (მაგალითად, ქურდობა ბინაში შეღწევით, ანდა მძევლად ხელში ჩაგდება) უნდა დაკვალიფიცირდეს დამოუკიდებლად სსკ-ის 223[1]-ე მუხლთან ერთად.

ამდენად, იქმნება ვითარება, როცა **ერთი ქმედება ფაქტობრივად ორჯერ ფასდება**, რადგან: ა) ქურდული სამყაროს წევრობად ქმედების კვალიფიკაციისთვის აუცილებელია, ამ სამყაროს წევრმა აქტიურად იმოქმედოს; ბ) ეს აქტიურობა კი მოითხოვს დამატებით კვალიფიკაციას დანაშაულთა ერთობლიობით.

რა შეიძლება იყოს აქედან გამოსავალი?

გამოსავალი სსკ 223[1] მუხლის სწორად განმარტებაშია. კერძოდ, თუკი ქურდული სამყაროს წევრის მიერ ჩადენილი მოქმედებისათვის (მაგალითად, იძულების ჩადენისათვის) შესაბამის მუხლში (მაგალითად, 150-ე მუხლი) დაწესებული სანქცია არ აღემატება სსკ-ის 223[1]-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქციას, ასეთ შემთხვევაში ქმედების კვლიფიკაცია უნდა მოხდეს მხოლოდ სსკ-ის 223[1]-ე მუხლით, რადგან იგი შთანთქავს ამ დანაშაულს, როგორც მთელი — მის ნაწილს. ბრალდებაში უნდა დაფიქსირდეს, თუ კერძოდ რაში გამოიხატა ქურდული სამყაროს მიზნების შესაბამისი მოქმედება (ვთქვათ, იგი გამოიხატა მუქარაში).

როდესაც ქურდული სამყაროს წევრის მიერ ჩადენილი მოქმედებისათვის სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამის მუხლში დაწესებული სანქცია უფრო მკაცრია, ვიდრე სსკ-ის 223[1]-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქცია, ქმედების კვალიფიკაცია უნდა მოხდეს დანაშაულთა ერთობლიობით. მაგალითად, ქურდული სამყაროს წევრმა ხელთ იგდო მძევალი, რათა მისი ნათესავებისთვის ამ მძევლის გათავისუფლების სანაცვლოდ ფული მოეთხოვა. ვინაიდან სსკ-ის 144-ე მუხლი (მით უმეტეს მისი მე-2 ნაწილი) გაცილებით მკაცრი სანქციითაა აღჭურვილი, ვიდრე სსკ-ის 223[1]-ე მუხლის პირველი ნაწილი, კვალიფიკაცია უნდა მოხდეს დანაშაულთა ერთობლიობით — სსკ-ის 223[1]-ე მუხლი და 144-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

ამდენად, მართალია, „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ კანონის მე-3 მუხლში ჩამოთვლილია აქტიური მოქმედების სახეები და მათ შორისაა „დანაშაულებრივ ქმედებებში არასრულწლოვანთა ჩაბმა, დანაშაულის ჩადენა ან დანაშაულისაკენ წაქეზება“, მაგრამ აქედან სსკ-ის 223[1]-ე მუხლის შემადგენლობაში იგულისხმება არა ყველა დანაშაული, არამედ ისინი, რომლისთვისაც დაწესებული სანქცია არ აღემატება სსკ-ის 223[1]-ე მუხლის პირველი ნაწილის სანქციას.

იგივე უნდა ითქვას სსკ-ის 223[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილის (კანონიერი ქურდობა) მიმართაც, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ „კანონიერი ქურდის" მიერ ჩადენილი მოქმედების კვალიფიკაციისას (კერძოდ, იმის გადასაწყვეტად, სახეზეა დანაშაულთა ერთობლიობა თუ მხოლოდ სსკ-ის 223[1]-ე მუხლის მე-2 ნაწილი), უნდა ვიხელმძღვანელოთ სსკ-ის 223[1]-ე მუხლის არა მე-2 ნაწილის, არამედ პირველი ნაწილის სანქციით. ეს იმიტომ , რომ ე.წ. კანონიერი ქურდიც არის ქურდული სამყაროს წევრი, რომელიც გარდა იმისა, რომ აღიარებს ამ სამყაროს და აქტიურად მოქმედებს მისი მიზნებისათვის, კიდევაც ხელმძღვანელობს ან ორგანიზებას უწევს მას. კანონმდებელმა „კანონიერ ქურდს" უფრო მკაცრი სასჯელი სწორედ ამ სამყაროს ორგანიზებისა და ხელმძღვანელობისთვის (და არა ცალკეული დანაშაულის ჩადენისათვის) დაუწესა. ამდენად, სსკ 223-პრიმა მუხლის პირველი ნაწილი არის ამ დანაშაულის ძირითადი შემადგენლობა.

როგორია სასამართლო პრაქტიკა ამ მიმართებით?

ამის გასარკვევად გამოგვადგება თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ 2006 წლის 6 ნოემბერს გამოტანილი განაჩენი მ. ტ-შვილის საქმეზე (საქმე № 1/4414-06), რომელსაც საბრალდებო დასკვნით ბრალი ედებოდა არაერთგზის ძარცვაში (178-ე მუხლის მე-2 ნაწილი.), არაერთგზის გამოძალვაში (181-ე მუხლის მე-2 ნაწილი), მუქარაში (151-ე მ.უხლი), ასევე ქურდული სამყაროს წევრობაში (223[1]-ე მუხლის 1-ელი ნაწილი).

ქურდული სამყაროს წევრობისათვის დამახასიათებელ აქტიურ მოქმედებად საბრალდებო დასკვნით მიჩნეულ იქნა სწორედ ძარცვა, გამოძალვა, მუქარა და თითოეულ მათგანს დამატებითი კვალიფიკაცია მიეცა სსკ-ის 223[1]-ე მუხლთან ერთად. სასამართლომ ტ-შვილის ბრალდებიდან ამორიცხა სსკ-ის 178-ე მუხლის მე-2 ნაწილი და 181-ე მუხლის მე-2 ნაწილი და ბრალდების ამ ნაწილებში იგი გაამართლა,

რადგან პროცესზე გამოკვლეული მტკიცებულებებით ვერ დადგინდა მათი ჩადენა. საბოლოოდ, სასამართლომ ქმედება დააკვალიფიცირა სსკ-ის 151-ე მუხლითა და 223[1]-ე მუხლის პირველი ნაწილის ერთობლიობით. მუქარა ჩაითვალა ქურდული სამყაროს წევრის მიერ ჩადენილ აქტიურ მოქმედებად ამ სამყაროს მიზნების შესაბამისად.

ასეთი კვალიფიკაციით სასამართლომ ფაქტობრივად ორჯერ შეაფასა მუქარა — ერთხელ სსკ-ის 151-ე მუხლით და მეორედ 223[1]-ე მუხლით (როგორც ამ დანაშაულის აუცილებელი ნიშანი — აქტიურობის სახე).

აღნიშნული კვალიფიკაცია არ უნდა ჩაითვალოს გამართლებულად. უფრო სწორი იქნებოდა, სასამართლოს ტ-შვილის ქმედება დაეკვალიფიცირებინა სსკ-ის 223[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით, რომელიც თავისთავში მოიცავს მუქარასაც.

საინტერესოა, რამდენად შეესაბამება ტ-შვილის მიერ ჩადენილი ქმედება მუქარის და ქურდული სამყაროს წევრობის შემადგენლობას?

განაჩენის მიხედვით, ტ-შვილის მიერ მუქარის ჩადენა გამოიხატა რამდენიმე ეპიზოდში, საიდანაც პირველი შემდეგში მდგომარეობს: 2005 წლის 4 იანვარს ტ-შვილი მივიდა ე. გ-ის კუთვნილ მაღაზიაში და მუქარით უთხრა მას, რომ სჭირდებოდა მისი ავტომანქანა ნარკოტიკების მისატანად „ძველი ბიჭებისათვის," რაზეც გ–მ უარი განუცხადა. მაშინ ტ-შვილი დაემუქრა, რომ იცოდა, სადაც აჩერებდა მანქანას და მოპარავდა.

თუ დადასტურებულად ჩავთვლით ამ ფაქტს, აშკარაა, რომ იგი მუქარის ნიშნებს არ შეიცავს, რადგან მუქარის (151-ე მუხლი) განხორციელებისთვის გამოყენებული უნდა იყოს სიცოცხლის მოსპობის, ჯანმრთელობის დაზიანების ანდა

ქონების განადგურების მუქარა. ამ შემთხვევაში ადგილი რომ არ ჰქონია პირველ ან მეორე მათგანს, ეს აშკარაა. რაც შეეხება ქონების განადგურების მუქარას, არც ესაა სახეზე, რადგან მანქანის მოპარვის მუქარა არ შეიძლება ჩაითვალოს ქონების განადგურების მუქარად. გარდა ამისა, ტ-შვილი გ-საგან ითხოვდა გარკვეულ ქმედებას (მანქანის თხოვებას), რაც არაა დამახასიათებელი მუქარის შემადგენლობისთვის.

მოცემულ შემთხვევაში სახეზეა იძულება (150-ე მ.), კერძოდ გულბანის ფსიქიკური იძულება, შეასრულოს მოქმედება, რომლის განხორციელება მის უფლებას წარმოადგენს. მანქანის მოპარვის მუქარა ფსიქიკური იძულების სახეა, ხოლო მანქანის სხვისთვის თხოვება მისი მესაკუთრის (გულბანის) უფლებაა და არა მოვალეობა.

მუქარის მეორე ეპიზოდი მდგომარეობს შემდეგში: 2007 წლის 17 იანვარს გ-ის მაღაზიაზე განხორციელდა ყაჩაღური თავდასხმა, რის შემდეგადაც დაახლოებით მე-2, მე-3 დღეს გ-ნს დაურეკა ტ-შვილმა და უთხრა, რომ ეს ცოტა იყო და ამაზე უარესი მოუვიდოდა, თუ არ გამოიტანდა პოლიციიდან ტ-შვილის საწინააღმდეგო განცხადებას, სახლში ე.წ. „ლიმონკას“ შეუგდებდა და ააფეთქებდა.

თუ ამ მეორე ფაქტსაც ჩავთვლით დადასტურებულად, აქაც აშკარაა, რომ სახეზეა არა მუქარა, არამედ იძულება (150-ე მუხლი), რადგან ტ-შვილი ქონების განადგურების მუქარით (რაც ფსიქიკური იძულების ნაირსახეობაა), აიძულებდა გულბანს შეესრულებინა გარკვეული მოქმედება (განცხადება გამოეტანა პოლიციიდან), რომლის განხორციელება მისი უფლება იყო.

ამ ეპიზოდთან დაკავშირებით ასეთი კითხვაც ჩნდება: თუ დადასტურებულად ჩაითვალა ის ფაქტი, რომ გ-ის მაღაზიაზე ყაჩაღური თავდასხმის შემდეგ ტ-შვილმა მას დაურეკა

და ფაქტობრივად აღიარა, რომ ეს თავდასხმა მისი მოწყობილი იყო, მაშინ რატომ არ დაისვა საკითხი ყაჩაღობაში თანამონაწილეობისთვის მისი პასუხისგებაში მიცემის შესახებ?
მუქარის მესამე ეპიზოდი: საქმის მასალებით დადგენილად ჩაითვალა შემდეგი: ტ-შვილი ემუქრებოდა გ-ს, რომ მალე გახდებოდა კანონიერი ქურდი და თუ ყოველთვე არ გადაუხდიდა 100 აშშ დოლლარს და ასევე არ ათხოვებდა მანქანას როცა დასჭირდებოდა, იგი მოპარავდა მანქანას, დაუმტვრევდა მაღაზიას და არ გაახარებდა.
ეს ეპიზოდი შეიცავს არა მუქარის (151-ე მუხლი), არამედ გამოძალვის (181-ე მუხლი) ნიშნებს, რადგან სახეზეა სხვისი ნივთის (ფულის), ასევე ქონებრივი სარგებლობის მოთხოვნა (ათხოვოს მანქანა, როცა დასჭირდება), რასაც თან ერთვის დაზარალებულის ნივთის განადგურების (მაღაზიის დამტვრევის) მუქარა.

როგორც ვხედავთ, ამ საქმეში არასწორადაა შეფასებული ტ-შვილის მიერ ჩადენილი ქმედებები.

საბოლოოდ უნდა ითქვას შემდეგი: სადავო არაა, რომ ქურდული სამყაროს წინააღმდეგ სისხლისსამართლებრივი ბრძოლა საშური საქმეა. ამასთან ძალზე ძნელია ამ კატეგორიის საქმეებზე მტკიცებულების მოპოვება. არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ მართლმსაჯულების განხორციელება რთული და ეკლიანი საქმეა, სწორედ ამიტომაა იგი საპატიო. მისასალმებელია, რომ ჩვენმა სამართალდამცავმა ორგანოებმა შეძლეს წარმატებული ბრძოლის წარმოება და მეტად რთული სისხლის სამართლის საქმეების გამოძიება და ბრალდებულთათვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება.

რევაზ გოგშელიძე
სამართლის დოქტორი

§ 5. ქურდული სამყაროს წევრობა, კანონიერი ქურდობა — სისხლის საპროცესო სამართლებრივი ასპექტები

საქართველოს კანონი „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ," რომელიც მიღებულ იქნა საქართველოს პარლამენტის მიერ 2005 წლის 20 დეკემბერს, ორგანიზებული დანაშაულის ერთ-ერთ სახედ მიიჩნევს ქურდული სამყაროს წევრობას, კანონიერ ქურდობას. შესაბამისად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 223[1]-ე მუხლი დასჯადად აცხადებს – ქურდული სამყაროს წევრობას, კანონიერ ქურდობას.

აღნიშნულ დანაშაულზე სისხლის სამართლის საქმეების გაცნობამ იმ დასკვნამდე მიგვიყვანა, რომ ძირითადად გამოძიება იწყება „ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე. გამომძიებლისთვის ასეთი ოპერატიული ინფორმაციის მიმწოდებლად უფრო ხშირად გვევლინებიან საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სპეციალური ოპერატიული დეპარტამენტის თანამშრომლები, რომლებიც მოღვაწეობენ „კანონიერი ქურდებისა და კრიმინალური ავტორიტეტების წინააღმდეგ ბრძოლის სამსახურში."

აქ გასაკვირი არაფერია და არც წინააღმდეგობაში მოვდივართ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 263-ე მუხლთან (ძველი რედაქცია). რომელიც აყალიბებს იმ პირთა ნუსხას, რომელთაც უფლება აქვთ, გამოძიების ორგანოებს მიაწოდონ „ცნობები დანაშაულის ჩადენის შესახებ." გამოზიების ორგანო კი ვალდებულია, ფრთხილად და აუჩქარებლად გაანალიზს „ოპერატიული ინფორმაცია," გაითვალისწინოს, რომ ამ ინფორმაციის უკან დგანან ის პიროვნებები, რომლებიც სამსახურეობრივად ვალდებულნი არიან შეკრი-

ბონ მონაცემები ქურდული სამყაროს წევრებზე. ამდენად, მათ შეიძლება ჰქონდეთ გარკვეული დაინტერესება, რომ მათ მიერ მიწოდებული ინფორმაცია კონკრეტულ პიროვნებაზე აღმოჩნდეს რეალური.

გამომძიებელი კი მიწოდებული „ოპერატიული ინფორმაციის" სისწორისა და საიმედოობის დადგენას ახდებს საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების გზით, რათა ამ გზით მოპოვებული მტკიცებულებების შემოწმებით და შეფასებით მივიდეს იმ დასკვნამდე, რომ მიწოდებული ოპერატიული ინფორმაცია, შეიცავს დანაშაულის შემადგენლობის ნიშნებს. ამისთვის საჭიროა, მოწმის სახით დაიკითხოს ინფორმაციის მომწოდებელი. ინფორმაციის მიმწოდებელ პირთა დაკითხვისას გამომძიებელმა (პროკურორმა) უნდა დაადგინოს ის წყარო, საიდანაც მათ მოიპოვეს ინფორმაცია, რამდენადაც, როგორც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 111-ე მუხლის პირველი ნაწილის დ) ქვეპუნქტი შენიშნავს: „პირი, რომელსაც არ შეუძლია მიუთითოს რა წყაროდან, სად, როდის და როგორ გამოვლინდა მის მიერ წარმოდგენილი მონაცემები" მიიჩნევა დაუშვებელ მტკიცებულებად.

ინტერესს იწვევს სისხლის სამართლის საქმე №10060167 გ. გ-ძის მიმართ, კანონიერი ქურდობის ბრალდებით.

ქ. თბილისის პროკურატურის შს ორგანოებში, გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორის მიერ აღიძრა შუამდგომლობა ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს წინაშე, ბრძანების გაცემის თაობაზე, რათა განხორციელებულიყო გ. გ-ძის მიმართ სატელეფონო საუბრების ფარული მიყურადება-ჩაწერა.

მოსამართლემ დააკმაყოფილა პროკურორის შუამდგომლობა და მას საფუძვლად დაუდო პროკურორის შუამდგომლობაში ასახული ინფორმაცია, რომ: „ყოფილი კანონიერი ქურდი გ.

გ-ძე ეწევა მოქალაქეთა პირადი ქონების ძარცვა-ყაჩაღობას, რეკეტიორობას და აგრძელებს ახალგაზრდებში ქურდული ტრადიციების დანერგვას, არის ნარკოტიკული ნივთიერებების მომხმარებელი და წარსულში ნასამართლევია."

საქმე ისაა, რომ მოსამართლის ბრძანებიდან ან ჩანს, უშუალოდ საქმეში არსებული რომელი მტკიცებულებების გამოკვლევა-შესწავლის საფუძველზე დაასკვნა მან ხსენებული ინფორმაციის სარწმუნოება. შეიძლება ითქვას, მოსამართლე მიენდო პროკურორის შუამდგომლობაში მოყვანილ ინფორმაციას და ისე გასცა ბრძანება, რაც გაუმართლებლად უნდა ჩაითვალოს, რადგან, თუკი პირი მართლაც ეწევა მოქალაქეთა პირადი ქონების ძარცვა-ყაჩაღობას, რეკეტიორობას და ა.შ. ამის შესახებ ფაქტობრივი მონაცემები საქმეში ხომ უნდა არსებობდეს. ამდენად, პროკურორის შუამდგომლობა დასაბაუთებული უნდა იყოს.

ასეთია ზოდაგი წესი შუმდგომლობის წარდგენისა (სსსკ-ის 231-ე მუხლის — ძვ. კოდექსი) და განხილვისა (სსსკ-ის 140-ე მუხლი — ასევე ძვ. კოდექსი).

ასევე კითხვის ნიშნებს ბადებს ქ. თბილისის პროკურატურის შს ორგანოებში გამოძიების საპროცესო ხელმძღვანელობის განყოფილების პროკურორის მიერ შედგენილი საბრალდებო დასკვნა, სადაც აღნიშნულია, რომ: „ბრალდებულის მიმართ შერაცხული დანაშაულის მის მიერ ჩადენა გამოიხატება შემდეგში: გ. გ-ძე ცნობს და აღიარებს რა ქურდულ სამყაროს, თავისი ცხოვრების წესით საჯაროდ გამოხატავს მის მხარდაჭერას, იგი დღემდე ცხოვრობს ქურდული სამყაროს სპეციალური წესების შესაბამისად, აქტიური ურთიერთობა და კავშირი აქვს ქურდული სამყაროს წევრებთან, კერძოდ დ. წ-თან, ამჟამად ძებნაში მყოფ ბ. წ-თან და სხვებთან, რომლებსაც ხელს უწყობს ქურდული სამყაროს მართვაში. მათგან ღებულობს სხვადასხვა დანაშაულის ჩადენის ორგანიზებასთან

და განხორციელებასთან დაკავშირებულ დავალებებს, რითაც ახდენს დანაშაულებრივი გეგმების შემუშავებას."

შემდგომ კი განაგრძობს: „გ. გ-ძე ქურდული სამყაროს სხვა წევრებთან ერთად თავისი აქტიური მოქმედებებით ხელს უწყობს ქურდულ სამყაროს. დაუდგენელ წევრებთან ერთად სარგებლის მიღების მიზნით, მონაწილეობს ქურდულ გარჩევებში და ცდილობს ქურდული სამყაროს სპეციალური წესების განხორციელებას" (სისხ. სამ. საქ. გვ. 307-309).

საბრალდებო დასკვნის ეს მცირეოდენი მონაკვეთი, რომელიც ჩვენ მოვიყვანეთ, მართლაც წარმოშობს კითხვებს, კერძოდ: ა) რაში გამოიხატება გ. გ-ძის მხრიდან „ქურდული სამყაროს ცნობა და აღიარება," მხოლოდ და მხოლოდ მისი აღიარებით, თუ სხვა რომელიმე ქმედებით? ბ) რომელი მტკიცებულებით ამყარებს პროკურორი თავის პოზიციას, როდესაც აცხადებს რომ: „გ. გ-ძე თავისი ცხოვრების წესით საჯაროდ გამოხატავს მის მხარდაჭერას."

ასევე დაუსაბუთებელია საბრალდებო დასკვნის ის მონაკვეთი, სადაც წერია, რომ „გ. გ-ძეს აქტიური ურთიერთობა აქვს ამჟამად ძებნაში მყოფ ბ. წ-თან და სხვებთან, რომლებსაც ხელს უწყობს ქურდული სამყაროს მართვაში, მათგან ღებულობს სხვადასხვა დანაშაულის ჩადენის ორგანიზებასთან და განხორციელებასთან დაკავშირებულ დავალებებს, რაზეც ახდენს დანაშაულებრივი გეგმების შემუშავებას."

თუ გ. გ-ძეს აქტიური ურთიერთობა ჰქონდა „ამჟამად ძებნაში მყოფ ბ. წ-თან", მაშინ როგორ მოხდა ის, რომ სამართალდამცავ ორგანოებს ამ ძებნილის ადგილსამყოფელი ვერ დაუდგენიათ? არადა დღეს არსებული ტექნიკური საშუალებები ამის შესაძლებლობას მარტივად იძლევა.

გარდა ამისა, საქმის მასალებით არაა გამყარებული ბრალ-

დების ის მონაკვეთი, სადაც საუბარია აქტიურ ურთიერთობაზე „სხვებთან“, ე.ი. გამოძიებით დაუდგენელ პირებთან, რომელთა ვინაობა არავინ უწყის. დამაჯერებლობას მოკლებულია მსჯელობა „მათთან“ აქტიურ ურთიერთობაზე და „ქურდული სამყაროს მართვაში ხელშეწყობაზე.“ ასევე „მათგან“ ე.ი. დაუდგენელი პირებისგან, „დანაშაულის ჩადენის ორგანიზებასთან დაკავშირებით დავალების მიღების თაობაზე.“ ისევე როგორც გაუგებარია, როგორ დაადგინა და რა მასალებზე დაყრდნობით გააკეთა პროკურორმა დასკვნა, რომ ზემოთ ხსენებულ პირებთან (დ. წ., ბ. წ.) და „სხვებთან“ აქტიური მოქმედებებით ახდებდა გ. გ-ძე დანაშაულებრივი გეგმების შემუშავებას. ისმის კითხვა: რაში გამოიხატებოდა „დანაშაულებრივი გეგმების შემუშავება“ (ეს „დანაშაულებრივი გეგმები რა სახით მოიპოვა გამოძიებამ — დოკუმენტური მასალით, სქემით თუ ნახაზებით?) და კერძოდ, რომელი დანაშაულებრივი გეგმების შემუშავებას ჰქონდა ადგილი?

ასევე საქმის მასალებით უტყუარად არაა დადასტურებული ის, რომ გ. გ-ძე ქურდული სამყაროს სხვა წევრებთან ერთად თავისი აქტიური მოქმედებებით ხელს უწყობს ქურდული სამყაროს მიზნების განხორციელებას, ქურდული სამყაროს დაუდგენელ წევრებთან ერთად სარგებლის მიღების მიზნით, მონაწილეობს ქურდულ გარჩევებში და ცდილობს ქურდული სამყაროს სპეციალური წესების გავრცელებას, რადგან თუ პირები „დაუდგენელია,“ რის საფუძველზე გააკეთა პროკურორმა დასკვნა, რომ ეს დაუდგენელი პირები ქურდული სამყაროს წევრები არიან?

ასევე საინტერესოა, თვითონ სასამართლო პროცესის მიმდინარეობა. სასამართლო პროცესზე მოწმის სახით დაიკითხა მე-5 საპყრობილეს ერთ-ერთი მორიგე-თანაშემწე გ-შვილი, რომელიც კითხვაზე: „მისთვის ცნობილი იყო თუ არა, რომ გ. გ-ძე იყო კანონიერი ქურდი?“ იგი პასუხობს: „დიახ, ასეთი ინფორმაციის ცოდნა ჩემს სამსახუროებრივ მოვალეობაში

შედის. ეს ინფორმაცია ჩვენთან ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე მოდის.“

თუ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობას (მუხლი 110-ე — ძვ. კოდექსი) დავესესხებით, მტკიცებულებათა წყაროდ არ მოიხსენიება „ოპერატიული ინფორმაცია.“ მოცემულ შემთხვევაში კომპეტენტურ თანამდებობის პირებს (გამომძიებელი, პროკურორი) „ოპერატიული ინფორმაციის“ საფუძველზე უნდა დაეწყოთ გამოძიება და ცალკეული სახის საგამოძიებო მოქმედებების ჩატარების გზით შეემოწმებინათ, სინამდვილეს შეესაბამებოდა თუ არა მიწოდებული ინფორმაცია.

ვფიქრობთ, საქმეს მტკიცებულების თვალსაზრისით ბევრი არაფერი შესძინა მოწმის სახით მე-5 საპყრობილის მორიგე-თანაშემწის დაკითხვამ, რადგან ასეთი დაკითხვით მიღებულ იქნა ზოგადი სახის ინფორმაცია.

ყურადღებას იპყრობს პროკურორის შეკითხვები სასამართლო პროცესზე დაზარალებულისა და მოწმეების მიმართ, ადასტურებენ თუ არა „წინასწარი გამოძიების სტადიაზე მიცემულ ჩვენებებს“ და თანახმანი არიან თუ არა „გამოქვეყნდეს მათ მიერ წინასწარი გამოძიების სტადიაზე მიცემული ჩვენება?“ რამდენად კანონიერია ასეთი შეკითხვების დასმა?

უპირველეს ყოვლისა, უნდა ითქვას, რომ სასამართლოში სისხლის სამართლის საქმის განხილვა იმიტომ კი არ ხდება, რომ დადასტურებულ იქნეს პროცესის მონაწილეების მხრიდან წინასწარი გამოძიების სტადიაზე მიცემული ჩვენებები და ამის საფუძველზე მიიღოს გადაწყვეტილება მოსამართლემ განსასჯელის ბრალეულობისა თუ არაბრალეულობის შესახებ. არამედ, მოსამართლემ (სასამართლომ) კანონმდებლობის იმპერატიული მოთხოვნის საფუძველზე მტკიცებულებები

უნდა შეისწავლოს, გამოიკვლიოს და შეამოწმოს უშუალო პირველწყაროებთან მიმართებაში, ე.ი. პროცესის ყველა მონაწილისგან უნდა მიიღოს ჩვენება მომხდარი ფაქტისა და მასთან დაკავშირებული ფაქტობრივი გარემოებების შესახებ, მხოლოდ ასეთი მიდგომითაა შესაძლებელი უზრუნველყოფილ იქნეს სისხლის სამართლის პროცესის ისეთი პრინციპების რეალიზება, როგორიცაა: უშუალობა, ზეპირობა, შეჯიბრებითობა, საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევა სასამართლოსა და მხარეების აქტიური მონაწილობით.

მეორე მხრივ უნდა ითქვას, რომ ვიდრე სისხლის სამართლის კოდექსში არსებობს 371[1]–ე მუხლი, რომელიც ითვალისწინებს სს-ის პასუხისმგებლობას მოწმის ან დაზარალებულის მიერ არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენებისთვის, სსკ-ის 481-ე მუხლის 1-ლი ნაწილი (ძვ. კოდექსი) ნაწილობრივ კარგავს თავის დანიშნულებას, რამდენადაც მოწმის, დაზარალებულის უფლება, მათივე თანხმობით მოხდეს მათი ჩვენებების გამოქვეყნება, რამდენადმე ფორმალურ ხასიათს იძენს. ეს მუხლი (481-ე) უფრო გამოყენებადი ხდება ბრალდების მხარისთვის, ვიდრე დაცვის მხარისთვის.

კერძოდ, თუ მოწმე ან დაზარალებული შეეცადა ჩვენების შეცვლას ან თუნდაც შესწორებას, პროკურორი დაუსვამს შეკითხვას: „ადასტურებს თუ არა იგი წინასწარი გამოძიების სტადიაზე მიცემულ ჩვენებებს?". ამ დროს მოწმისთვის ადვილად გასაგები ხდება, თუ რას ნიშნავს პროკურორის ეს მინიშნება. კერძოდ ეს იმას ნიშნავს, რომ თუ არ დაადასტურებს წინასწარ გამოძიებაში მიცემულ ჩვენებას, დადგება მისი სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი სსკ-ის 371[1]-ე მუხლით.

ასეთ ვითარებაში კი, არაპირდაპირი გზით ილახება სასამართლოს დამოუკიდებლობა, რადგან სწორედ მოსამართლე

(და არა სხვა სახელმწიფო მოხელე) აფრთხილებს მოწმეს და დაზარალებულს იმის შესახებ, რომ თუ ცრუ ჩვენებას მისცემენ, დაეკისრებათ სისხლის სამართლებრივი პასუხისმგებლობა.

თუკი მტკიცებულებათა გამოკვლევის დროს, რომელიც მხარეთა შეჯიბრებითობის საწყისზე მიმდინარეობს, მოსამართლე გამოკვლეული მტკიცებულებების შეფასების საფუძველზე მივა იმ დასკვნამდე, რომ მოწმის ან დაზარალებულის ჩვენება ცრუა, მაშინ იგი განაჩენის გამოტანისთანავე ასევე გამოიტანს განჩინებას მოწმის ან დაზარალებულის მხრიდან ცრუ ჩვენების მიცემის ფაქტთან დაკავშირებით გამოძიების დაწყების შესახებ.
ვიდრე ყველა მტკიცებულება არ შეუსწავლია და არ გამოუკვლევია, მოსამართლეს (სასამართლოს), არ შეუძლია გადაწყვიტოს მოწმის (დაზარალებულის) სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი.

ამდენად, სასამართლო პროცესზე მოწმის ან დაზარალებულის მიერ მიცემული ჩვენება სწორია თუ ცრუა, უნდა დაიწყოს თუ არა სს-ის დევნა მის მიმართ, ეს საკითხი მოსამართლის შესაფასებელია და არა პროკურორის.

პროკურორს არა აქვს უფლება, შეახსენოს მოწმეს ან დაზარალებულს წინასწარი გამოძიების სტადიაზე მიცემული ჩვენება. ასევე არა აქვს უფლება მოაქციოს იგი წინასწარი გამოძიების ჩარჩოებში.

ამდენად, სსკ-ის 371[1]-ე მუხლი (არსებითად ურთიერთსაწინააღმდეგო ჩვენება...) კონკურენციაშია სსკ-ის 370-ე მუხლთან (ცრუ ჩვენების მიცემა).

სასამართლო პრაქტიკის გაცნობისას თვალში საცემია ის გარემოება, რომ განაჩენის აღწერილობით-სამოტივაციო

ნაწილში იგივე ლაფსუსებია განმეორებული, რაც გვხვდება საბრალდები დასკვნაში.

მაგალითად: ჩვენს მიერ განხილულ სისხლის სამართლის საქმეში არ არის უტყუარი მტკიცებულება, რითაც დადასტურდებოდა გ. გ-ძის მხრიდან სსკ-ის 223[1]-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენა. კერძოდ, სისხლის სამართლის საქმეზე დაკითხული ის მოწმეები, რომლებიც გ. გ-ძის ქურდულ სამყაროსთან კავშირის შესახებ საუბრობენ სხვადასხვა პირებისგან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ხშირად იმ პიროვნებებსაც ვერ ასახელებენ, ვისგანაც მიიღეს ინფორმაცია.

ასე მაგალითად, სასამართლო გამოძიების დროს მოწმის სახით დაკითხულ იქნა მთაწმინდის რაიონის პოლიციის ყოფილი თანამშრომელი, უბნის ინსპექტორი, რომელიც უჩვენებს, რომ: „პირადად გ-ძეს არ იცნობს. უბნის მოსახლეობისგან იცოდა, რომ გ. გ-ძე აწუხებდა მათ (მოსახლეობას), იყო ნარკოტიკების მომხმარებელი“ და პროკურორის შეკითხვაზე იგი პასუხობს, რომ: „მან მეზობლები გამოკითხა და მათგან მიიღო ინფორმაცია, რომ გ-ძე იყო ნარკომანი, აკითხავდნენ საეჭვო პირები და საქმის გარჩევა მიდიოდა ეზოში.“

მაგრამ საინტერესოა ის, რომ ეს „მეზობლებისგან მიღებული ინფორმაცია“ მან მოგვიანებით, ჩვენების სახით მიაწოდა გამომძიებელს, სასამართლოს და როდესაც დამცველი ეკითხება მეზობლების ვინაობას, იგი ინფორმაციის მიმცემ წყაროებს (მეზობლებს) ვერ ასახელებს.

სასამართლო სხდომაზე, მე-5 საპყრობილის ერთ-ერთი მორიგე-თანაშემწე მოწმის სახით დაკითხვისას, პროკურორის შეკითხვაზე შემდეგ რიგად პასუხობს, რომ: გ.გ-ძე 1995-1996 წწ. იჯდა 49-ე საკანში და იქცეოდა ისე, როგორც ყველა კანონიერი ქურდი.

საქმე ისაა, რომ არავის გადაუმოწმებია, მართლაც იჯდა თუ არა იგი ხსენებულ კამერაში და მითუმეტეს როგორ იქცეოდა. შეკითხვაზე, იყო თუ არა ცნობილი, რომ გ-ძე „კანონიერი ქურდი" იყო, მოწმე დადებითად პასუხობს. ეს ინფორმაცია მას მიღებული ჰქონდა ოპერატიული ინფორმაციის საფუძველზე. მაგრამ ასევე საკითხავია, მართლაც არსებობს კი ასეთი ოპერატიული ინფორმაცია (თუმცა მეორე საკითხია, რამდენად ჩაითვლება ოპერატიული ინფორმაცია მტკიცებულებად)?

დამცველის შეკითხვაზე: „გ. გ-ძე ქურდული ტრადიციების მატარებელია? მოწმე პასუხობს, რომ მას ეს არ შეუმჩნევია, ტრადიციების გამომჟღავნების საშუალება არც აქვს." (სასამართლო სხდომის ოქმი, გვ. 333-334).

ტ. ფ-იას სისხლის სამართლის საქმე ნომერი — 090060185

ტ. ფ-იას ბრალდებულის სახით დაკითხვის ოქმში საყურადღებო მომენტები შეინიშნება. კერძოდ, გამომძიებელი ბრალდებულის დაკითხვის ოქმის შესავალ ნაწილში უთითებს, რომ დაკითხავს ტ. ფ-იას, მაგრამ შემდგომ გრაფაში, სადაც მითითებულია, რომ დაკითხვის დაწყებამდე ბრალდებულს განემარტა მის მიმართ წარდგენილი ბრალდების არსი და უფლება-მოვალეობები, ბრალდებულის სახით მითითებულია ტ. ო-ანი. ასევე ტ. ო-ანია მითითებული იმ გრაფაში, რომელიც ეხება ბრალდებულის მხრიდან ხელმოწერას, რომ მას განემარტა უფლება-მოვალეობები და ჩაიბარა შესაბამისი წერილობითი ნუსხა.

სამწუხაროა ის გარემოება, რომ ამგვარი სახის საპროცესო დოკუმენტზე ხელი აქვს მოწერილი არა მხოლოდ გამომძიებელს, არამედ პროკურორსა და ტ. ფ-ს ინტერესების დამცველი ადვოკატსაც.

ადვოკატის პოზიცია შეიძლება იმით გამართლდეს, რომ მას შეეძლო სასამართლო პროცესზე ამგვარი სახის საპროცესო დოკუმენტის არსებობა გამოეყენებინა დაცვითი ფუნქციის განხორციელებისას (თუმცა სამწუხაროდ, ეს შესაძლებლობა დამცველს პროცესზე არ გამოუყენებია). პროკურორს კი, ამასთან დაკავშირებით უფრო მეტი პასუხისმგებლობა ეკისრება.

ამავე სს-ის საქმეში გამომძიებელი მოწმის დაკითხვის ოქმის შესავალ ნაწილში მიუთითებს, რომ მოწმის სახით დაკითხავს ბ. ნ-ძეს, მაგრამ შემდგომ გრაფაში, სადაც საუბარია მოწმის გაფრთხილების, მისი უფლება-მოვალეობების შესახებ, უთითებს მოწმე — პ. დ-შვილს. მართალია, მოწმის დაკითხვის ოქმის ბოლოში მითითებულია ბ. ნ-ძის გვარი, მაგრამ სისხლის სამართლის საქმეში, ამგვარი სახის საპროცესო დოკუმენტების არსებობა გაუმართლებელია, რადგან იგი აუცილებლად გახდება დავის საგანი. იურიდიულად გაურკვეველია, ვინ დაკითხა საბოლოო ჯამში გამომძიებელმა — ბ. ნ-ძე თუ პ. დ-შვილი (ასევე სადაო გახდება, ვის წარედგინა ბრალდება — ტ. ფ-იას, თუ ტ. ო-ანს?).

რაც შეეხება ტ. ფ-იას მიმართ წარდგენილ ბრალდებას, საქართველოს სსკ-ის 378-ე მუხლის (პატიმრობის ან თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებისთვის ხელის შეშლა ან ამ საქმიანობის დეზორგანიზაცია) 1-ელ და მე-2 ნაწილით, იგი უტყუარად არაა დადასტურებული საქმეში არსებული პირდაპირი მტკიცებულებებით.

კერძოდ, სისხლის სამართლის საქმეში არსებობს სატელეფონო საუბრების ჩანაწერები ტ. ფ-იასა და სასჯელ-აღსრულებით დაწესებულებაში მყოფ პირებს შორის, მაგრამ მათი საუბრიდან არ იკვეთება, რომ ტ. ფ-ია არის ორგანიზატორი იმ ბუნტისა, რომელიც მოხდა 2006 წლის მარტის თვეში საქართველოს სასჯელ-აღსრულებით დაწესებულებებში.

სატელეფონო საუბრიდან ჩანს, რომ ტ. ფ-ია, უფრო სწორედ ვინმე „ტარიელი“ პატიმრებს მიმართავს, რომ: „ხმაური ატეხონ, მისკები ურტყან ერთმანეთს და ჰქონდეთ „მმირნი“ (მშვიდობიანი) მოთხოვნები, რომ მიიქციონ ხალხის ყურადღება, გააგებინონ მათ თავისი მოთხოვნები, რომ არაფრის დიდებით არ მოხდეს ადმინისტრაციაზე შეტევა.“

აღსანიშნავია, რომ სასამართლო გამოძიებაზე არ დაკითხულან, ზემოთხსენებულ სატელეფონო საუბრებში მონაწილე პირები, იმ ფაქტორბივი გარემოებების შესახებ, რომელიც საინტერესო უნდა ყოფილიყო სასამართლოსთვის.

ამასთან დაკავშირებით დაცვის მხარემ და განსასჯელმა დააყენეს შუამდგომლობა სატელეფონო საუბრებში მონაწილე პატიმრების სასამართლოზე დაკითხვის შესახებ, (მათაც ხომ აბრალებდა გამოძიება ე.წ. ბუნტის ორგანიზებას), მაგრამ იგი არ იქნა დაკმაყოფილებული, რითაც დაირღვა საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის უმნიშვნელოვანესი პრინციპი — საქმის გარემოებათა ყოველმხრივი, ობიექტური და სრული გამოკვლევა (მუხლი 18-ე), რომელიც გულისხმობს იმას, რომ: გამომძიებელმა, პროკურორმა, მოსამართლემ, სასამართლომ უტყუარად უნდა დაადგინონ, მოხდა თუ არა დანაშაული, ვინ ჩაიდინა იგი და გაარკვიონ მტკიცების საგნის ყველა სხვა გარემოება სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით. ერთნაირი გულმოდგინებით გაარკვიონ ბრალდებულის (განსასჯელის), როგორც მამხილებელი, ისე გამამართლებელი, აგრეთვე მათი პასუხისმგებლობის დამამძიმებელი და შემამსუბუქებელი გარემოებანი.

საქართველოს კანონით „ორგანიზებული დანაშაულის და რეკეტის შესახებ“ მე-3 მუხლის მეოთხე პუნქტის თანახმად, კანონიერი ქურდი არის ქურდული სამყაროს წევრი, რომელიც ქურდული სამყაროს სპეციალური წესების შესაბამ-

ისად ნებისმიერი ფორმით მართავს ანდა ორგანიზებას უწევს ქურდულ სამყაროს ან პირთა გარკვეულ ჯგუფს.

ბრალდებულის დაკითხვის ოქმის გაცნობით გაურკვეველია, თუ ვის წარედგინა ბრალდება — ტ. ფ-იას თუ ტ. ო-ანს, საქმეში არის სხვა სახის დარღვევაც. კერძოდ, ოქმის გაცნობით შეუძლებელია დადგინდეს, თუ როდის, რომელ თვესა და რიცხვში, წარუდგინა გამომძიებელმა პროკურორთან ერთად ბრალდება ტ. ფ-იას.

რაც შეეხება ფონოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნას, რომლითაც გამყარებულია ტ. ფ-იას მიმართ წარდგენილი ბრალდება, ექსპერტიზა არ ამტკიცებს, რომ ეს ხმები ეკუთვნის ტ. ფ-იას. მეორეც, 2006 წლის 10 ნოემბრის სასამართლო სხდომაზე დაცვის შუამდგომლობით გამოცხადდნენ ფონოსკოპიური ექსპერტიზის ჩამტარებელი და დასკვნაზე ხელისმომწერი მოწვეული ექსპერტი მ. ტ-შვილი და ექსპერტი უ. ხ-შვილი.

სასამართლომ არ დაიცვა სსსკ-ის 460-ე მუხლის მოთხოვნა, კერძოდ კი, მოწმის სახით გამოძახებული ექსპერტი მ. ტ-შვილი დაკითხა მეორე ექსპერტის უ. ხ-შვილის თანდასწრებით, რომელიც ასევე გამოძახებული იყო სასამართლო სხდომაზე მოწმის სტატუსით. სასამართლომ არ გასცა განკარგულება ექსპერტ ხ-შვილის დარბაზიდან მისთვის განკუთვნილ ოთახში გაყვანის შესახებ, რის გამოც ექსპერტი და ამ შემთხვევაში მოწმე, თავიდან ბოლომდე დაესწრო სპეციალიტ-ექსპერტის დაკითხვას. რის შემდეგაც, დაცვის მხრიდან მოწმის სახით ხ-შვილის დაკითხვას აზრი დაეკარგა. მოცემულ შემთხვევაში ფონოსკოპიური ექსპერტიზის დასკვნა სასამართლოს დაუშვებელ მტკიცებულებად უნდა ეცნო.

ვფიქრობთ, სამომავლოდ აზრს მოკლებული არ იქნება დადგეს საკითხი, ხომ არ იბღალება კერძო იურიდიულ პირთა ავტორიტეტი, როდესაც ფიჭური კავშირგაბმულობის დაწესებ-

ულებიდან (მაგ. „მაგთის" ოფისიდან) ხდება, მათი ნებართვის გარეშე „საუბრების" მოსმენა და ფონოგრამის დამზადება? იქნებ დაკანონდეს ფონოგრამის შინაარსისა და სისხლის სამართლის საქმეში არსებული „საუბრის" (ე.წ. „კრებსები") სისწორის სავალდებულო ნოტარიალური დადასტურება?

მ. ტ-შვილის — სისხლის სამართლის საქმე ნომერი — 01060088

ამ საქმის შესწავლით ნათელი ხდება, რომ ხშირად სასამართლოები სწორად აფასებენ საქმის მასალებს და ბრალდებიდან ამორიცხავენ იმ მონაკვეთს, რაც უტყუარად არაა დადასტურებული.

ამის მაგალითად გამოდგება მ. ტ-შვილის საქმე.

მ. ტ-შვილს წარდგენილი ჰქონდა ბრალდება სსკ-ის 178-ე მუხლის 2-ე ნაწილის „ბ" და „გ" ქვეპუნქტებით, 181-ე მუხლის 2-ე ნაწილის „ბ" ქვეპუნქტით, 151-ე მუხლით და 223[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულების ჩადენაში.

სისხლის სამართლის საქმის გაცნობამ მიგვიყვანა იმ დასკვნამდე, რომ სასამართლომ მხარეთა მიერ წარდგენილი მტკიცებულებების უშუალო გამოკვლევისა და შესაწავლის საფუძველზე, მტკიცებულებათა არ არსებობის გამო სწორად მოუხსნა მ. ტ-შვილს ბრალდება ისეთი დანაშაულების ჩადენაში, როგორიცაა ძარცვა, გათვალისწინებული სსკ-ის 178-ე მუხლის „ბ" და „გ" ქვეპუნქტებით (ძვ. რედაქციით) და გამოძალვა, გათვალისწინებული სსკ-ის 181-ე მუხლის 2-ე „ბ" ქვეპუნქტით, რაც უდაოდ მისასალმებელია.

ამასთანავე, საინტერესოა, რამდენად სწორად ცნეს მ. ტ-შვილი დამნაშავედ სსკ-ის 223[1]-ე მუხლის პირველი ნაწილით (ქურდული სამყაროს წევრობა) გათვალისწინებულ მართლსაწინააღმდეგო ქმედებაში.

მოდით, გადავხედოთ სისხლის სამართლის საქმეში არსებულ მტკიცებულებებს.

ერთ-ერთ ასეთ მტკიცებულებად გვევლინება დაზარალებულ ე. გ-ანის მიერ, წინასწარი გამოძიების სტადიაზე მიცემული ჩვენება, რომელიც შემდეგ გამოქვეყნებული იქნა სასამართლო გამოძიების დროს, რამდენადაც ე. გ-ანი არ გამოცხადდა სასამართლო სხდომაზე საზღვარგარეთ ყოფნის გამო.

ჩვენებაში ე. გ-ანი ამბობს, რომ: „2006 წლის 4 იანვარს მის კუთვნილ მაღაზიაში მივიდა მეზობლად მცხოვრები მ. ტ-შვილი, რომელმაც მუქარით უთხრა მას, რომ სჭირდებოდა მისი ავტომანქანა ნარკოტიკების მისატანად ე.წ. „ძველი ბიჭებისთვის", რაზეც მან უარი განაცხადა. აღნიშნულზე კი მ. ტ-შვილი დაემუქრა და უთხრა, რომ იცოდა, სადაც აჩერებდა ავტომანქანას და მაინც წაიყვანდა — მოპარავდა.

2006 წლის 17 იანვარს მის მაღაზიაზე განხორციელდა ყაჩაღური თავდასხმა, რის შედეგადაც დაახლოებით მეორე, მესამე დღეს დაურეკა მ. ტ-შვილმა და უთხრა, რომ ეს ცოტა იყო და იმაზე უარესი მოუვიდოდა. მოითხოვდა მისგან, პოლიციიდან განცხადება გამოეტანა, თორემ სახლში ლიმონკას შეუგდებდა და ააფეთქებდა. იგი ასევე ემუქრებოდა, რომ მალე გახდებოდა „კანონიერი ქურდი" და თუ ყოველთვე არ გადაუხდიდა 100 აშშ დოლარს, ასევე არ ათხოვებდა მანქანას, როცა მას დასჭირდებოდა, იგი დაუმტვრევდა მაღაზიას, მანქანას და „ქურდული სამყაროს წევრობის" ბრალდების გამყარება დაზარალებულის მიერ აღნიშნული ჩვენებით ბევრ კითხვას ბადებს.

ჯერ ერთი, ქურდული სამყაროს წევრად გახდომის მსურველი პიროვნება მეტ-ნაკლებად იცნობს ქურდულ ტრადიციებს, მისდამი წაყენებულ მოთხოვნებს და ასეთი პიროვნება არ გაუმხელს მოქალაქეს თავის დანაშაულებრივ განზრახვას,

რომ „ავტომანქანით ძველი ბიჭებისთვის ნარკოტიკები უნდა მიიტანოს“ იმიტომ, რომ ასეთი ქმედებით, ფაქტობრივად დანაშაულში ამხელს საკუთარ თავსაც და ე.წ. „ძველ ბიჭებსაც“. (ისიც გასათვალისწინებელია, რომ ეს ფაქტი არ ხდება იმ დროს, როცა საქართველოში კრიმინალები თავისუფლად პარპაშებდნენ და არაფერს ერიდებოდნენ. პირიქით, ეს ხდება იმ დროს, როცა ქურდულ სამყაროს მიმართ სერიოზული ბრძოლა იყო გამოცხადებული).

მეორეც, მხოლოდ პირის სურვილი, გახდეს „კანონიერი ქურდი“ არ არის საკმარისი, იმისთვის, რომ პიროვნება შერაცხულიყო „ქურდული სამყაროს წევრად.“

თუ სასამართლომ დაზარალებულ ე. გ-ანის ჩვენება მიიღო სარწმუნოდ, მაშინ სწორედ ამ ჩვენების შინაარსიდან გამომდინარე, ძნელია გაკეთდეს დასკვნა, რომ მ. ტ-შვილი არის „ქურდული სამყაროს წევრი.“ „ქურდული სამყაროს წევრები“ არ აბარებენ ანგარიშს გარეშე პირებს, რა ქმედების ჩადენას აპირებენ.

გარდა ამისა, გასათვალისწინებელია სხვა გარემოებაც. კერძოდ, არაა გამორიცხული, მ. ტ-შვილი „ქურდული სამყაროს წევრობას“ მიიჩნევდეს ავტორიტეტულად, იბრალებდეს მის წევრობას. ამიტომ მისი განცხადება თავისთავად უტყუარად არაფერს არ ადასტურებს, თუმცა ეჭვის საფუძველი ნამდვილად არის.

რაც შეეხება მოწმის სახით დაკითხულ ე. გ-ანის დის ა. გ-ანის ჩვენებას, იგი ნაწილობრივ ემთხვევა მისი დის — ე. გ-ანის ნაამბობს. ასე მაგალითად, იგი აცხადებს: „მთელმა გლდანმა იცის, რომ კანონიერი ქურდობა უნდოდა და მათთან ტრიალებდა, „ძველი ბიჭია და კორპუსის მაყურებელია... „ქურდობის მერე მაგისმა მეგობრებმა ჩამოხსნეს ჟალუზები, მერე

ერთს უთქვია ჩემს დასთან მაღაზიაში, გვარი სახელი არ ვიცი, რომ ხუთივე ვიყავით ბინაშიო;"

ესაა მოწმის მიერ მიცემული ჩვენება, რომელიც მოკლებულია ფაქტობრივ მასალებს. მოწმემ მიცემული ჩვენება სარწმუნო რომ გახადოს, საუბრობს, რომ: „ქურდობის ფაქტში რომ ტ-შვილიც ერია ჩემს დას უთხრა მეზობელმა ნ-მ, რომლის გვარიც არ ვიცი;"

გამოძიების ორგანო არ დაინტერესდა „მეზობელ ნ-ით" და არ დაუდგენია მისი პიროვნება, თუმცაღა მისი დადგენა არც თუ ისე დიდ სირთულეს წარმოადგენდა.

გამოძიების ამ ხარვეზის გამოსწორებას სასამართლო გამოძიების დროს შეეცადა დამცველი ზ. რ-შვილი, რომელმაც სასამართლოს წინაშე წარადგინა შუამდგომლობა დამატებითი მოწმის სახით მეზობელ ნ. ი-ვის დაკითხვის თაობაზე, მაგრამ პროკურორი არ დაეთანხმა შუამდგომლობას და შესაბამისად სასამართლო სხდომის თავმჯდომარემაც არ დააკმაყოფილა შუამდგომლობა იმ მოტივით, რომ ნ. ი-ვის დაკითხვას განსასჯელისადმი წარდგენილ ბრალდებასთან და საქმესთან კავშირი არა აქვს.

სასამართლო გამოძიების დროს პროკურორის შუამდგომლობით, ბრალდების დამატებითი მოწმის სახით დაიკითხა გლდანი-ნაძალადევის შს სამმართველოს მეორე განყოფილების საუბნო ქვეგანყოფილების უბნის უფროსი ინსპექტორი, რომლის ჩვენებაც შემდეგი შინაარსისაა: „თვითონ დაკავებისას (საუბარია მ. ტ-შვილზე) არაერთხელ განაცხადა, რომ დაბადებულია ქურდად და სურს რომ გამოვიდეს ე.წ. „კანონიერი ქურდი." ურთიერთობა ჰქონდა კრიმინალურ სამყაროსთან და მათ წარმომადგენლებთან „ჟამგარიანთან," „ჯობორიასთან," განსასჯელი უბანში გარკვეული კრიმი-

ნალური ავტორიტეტით სარგებლობდა და მეზობლებს ეშინოდათ და ვერაფერს ამბობდნენ.“

დამცველის შეკითხვაზე კი იგივე მოწმე პასუხობს, რომ „ტშვილი მე არ დამიკავებია, განყოფილებაში თქვა როდესაც მიიყვანეს, რომ ქურდად არის დაბადებული. განყოფილებაში თქვა რაც მე მოვისმინე, კონკრეტულად, ქურდობა მინდაო.“

***

სასამართლო პრაქტიკის ანალიზიდან ირკვევა, რომ ე.წ. „კანონიერი ქურდებისთვის“ სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკისრება, სამართლებრივად რთულ ამოცანას წარმოადგენს. ეს არც არის გასაკვირი, ვინაიდან ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ ბრძოლა, მსოფლიო სამართლებრივ პრაქტიკაში, უდიდეს ძალისხმევასთანაა დაკავშირებული.

ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ სამართლებრივი საშუალებებით ბრძოლა ნორმატიული აქტებისა და სასამართლო პრაქტიკისგან დიდ მოქნილობას და ეფექტურობას მოითხოვს, რადგან ორგანიზებული დანაშაულობა არის მუდმივად ცვლადი, გარემო პირობებს მორგებული მოვლენა.

აქედან გამომდინარე, ორგანიზებული დანაშაულობის ძირითადი ბირთვის, ქურდული კრიმინალური ორგანიზაციის, წინააღმდეგ ბრძოლაში მიღწეული წარმატება, მით უფრო დიდ მნიშვნელობას იძენს, ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა.


როგორც ზემოთ იყო აღნიშნული, ქურდული კრიმინალური ორგანიზაცია ერთიანი დარჩა მთელ პოსტსაბჭოურ სივრცეში და მასთან დაპირისპირება სამართლებრივი საშუალებებით მოცემულ ეტაპზე პოსტსაბჭოთა რესპუბ-

ლიკებიდან მხოლოდ საქართველომ განახორციელა.

სასამართლო პრაქტიკის ანალიზიდან ჩანს, რომ ქვეყანამ წარმატებით გაართვა თავი სამართლებრივი საშუალებებით ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას. ჩვენ მიერ ზოგჯერ კრიტიკულად დანახული ნორმატიული და სასამართლო პრაქტიკის ნიუანსები აისახა წარმოდგენილ სამეცნიერო დებულებებში, რაც ნაკარნახებია ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ უფრო მეტად ეფექტური ბრძოლის სურვილიდან. იმედია, სამეცნიერო ანალიზისას შემუშავებული რეკომენდაციები წაადგება საქართველოს სასამართლო პრაქტიკას ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში.

მეოთხე კარი

ქართული ანტირეკეტული ნორმები



http://watchmojo.com/index.php?id=7427

გიორგი გორაშვილი
სამართლის დოქტორი

შესავალი

ანტირეკეტული ნორმები ქართული სამართლებრივი სინამდვილისთვის ნოვაციას წარმოადგენს. ტერმინი „რეკეტი" საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში 2004 წლიდან დამკვიდრდა. ამიტომ ქართულ იურიდიულ ლიტერატურაში ამ დრომდე არ არსებობდა ამ ტერმინის განმარტება. ზოგადად ცნობილი იყო, რომ რეკეტი არის გამოძალვა[1]. 2005 წლის 20 დეკემბერიდან ამოქმედდა სპეციალური კანონი „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ".

ქართულმა ანტირეკეტულმა ნორმებმა თავიდანვე კითხვები დაბადა როგორც თეორიაში, ისე პრაქტიკაში. მატერიალური სისხლის სამართლის თვალსაზრისით, ბუნდოვანია ანტირეკეტული ნორმების რეგულაციის სფერო, პრობლემა შეიქმნა დანაშაულის სხვადასხვა ფორმებიდან მისი გამიჯვნისას. აღნიშნული მიზეზების გამო, ახალი ანტირეკეტული ნორმები პრაქტიკულად უმოქმედოა. საქართველოს უზენაესი სასამართლოს სტატისტიკისა და ინფორმატიზაციის გაყოფილების ინფორმაციით, სასამართლო წარმოებაში რეკეტთან დაკავშირებული სისხლის სამართლის საქმეები საერთოდ არ განხილულა: „2005-2007 წლებში არ შემოსულა საქმეები სსკ-ის 171-ე და 2241-ე მუხლებით"[2].

საბჭოთა კავშირის რღვევის შემდეგ, ნაციონალური სახელმწიფოების ხელისუფლების სისუსტის, სოციალური კონტრო-

[1] იხ. ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2005, გვ. 150.

[2] საქართველოს უზენაესი სასამართლო, სასამართლო სტატისტიკისა და ინფორმატიზაციის განყოფილების №63-კ პასუხი ჩვენს 2007 წლის 6 სექტემბრის წერილზე.

ლის არაეფექტურად განხორციელების პირობებში ორგანიზებულმა დანაშაულმა დიდი მასშტაბი შეიძინა. მე-20 საუკუნის ბოლოს პოსტსაბჭოური რესპუბლიკების უმრავლესობაში მსგავსი მდგომარეობა შეიქმნა: ორგანიზებულ დანაშაულთა შედეგად ადამიანთა ერთმა ჯგუფმა ხელთ იგდო არა მხოლოდ დიდი სიმდიდრე და გავლენა ახლად აღმოცენებულ საბაზრო ეკონომიკაზე, არამედ შეაღწია ხელისუფლების ყველა შტოში. ქართველი კანონმდებელი შეეცადა გამოეყენებინა ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაში წარმატებული ქვეყნების გამოცდილება და აღნიშნულ მოვლენასთან სისხლისსამართლებრივი ღონისძიებებით დაიწყო ბრძოლა. სავარაუდოდ ქართველი კანონმდებელი დაეყრდნო აშშ-ს „სტატუტს რეკეტული და კორუმპირებული ორგანიზაციების შესახებ",[3] რადგანაც ქართული ანტირეკეტული ნორმები აშკარად განიცდის „რიკოს" კანონის ზეგავლენას. აშშ-ს კანონმდებლობის ეფექტურობა ორგანიზებულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლაში ფართოდ არის აღიარებული. მიჩნეულია, რომ ნებისმიერი ქვეყნის კანონმდებელი, რომელსაც სურვილი აქვს შექმნას ეფექტური სამართლებრივი აქტი ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ, აუცილებლად უნდა გაეცნოს იმ კონცეფციებს, რომლებზედაც დაფუძნებულია აშშ-ში ორგანიზებულ დანაშაულთა წინააღმდეგ მიმართული ნორმები. პრობლემაში გარკვევის მიზნით, მიზანშეწონილია შეერთებული შტატების ანტირეკეტული კანონმდებლობის შესწავლა, არამხოლოდ ზოგადად, ზედაპირულად, არამედ იმ ფუძემდებლური კონცეფციებთან და პრინციპებთან ერთად, რომლებზე დაყრდნობითაც იქცა აღნიშნული ნორმები ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ მიმართულ ეფექტურ იარაღად.

[3] სტატუტი რეკეტული და კორუმპირებული ორგანიზაციების შესახებ (Racketeer, influenced and Corrupt Organizations [RICO] statute) ქვემოთ მოხსენიებული იქნება როგორც „რიკო".

აღნიშნული ამოცანის შესრულების შემდეგ შედარებით-სამართლებრივი, ისტორიული, შედარებით-ისტორიული, ფორმალურ-ლოგიკური, დოგმატური, სისტემურ-სტრუქტურული მეთოდების გამოყენებით შესაძლებელია გამოირკვეს:

1. რამდენად ეფექტურად მოერგო ანტირეკეტული ნორმები საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის სისტემას, როგორ შეეთავსა არსებულ სამართლებრივ ინსტიტუტებს;
2. ანტირეკეტული ნორმების რეგულირების სფერო;
3. დეფინიციური პრობლემები;
4. რამდენად ეფექტურია ანტირეკეტული ნორმები ორგანიზებულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

§ 1. კრიმინალიზაციის საზრისი

ტერმინი „ორგანიზება" წარმოიშვა ბერძნული სიტყვიდან — „Organon" და ფრანგულიდან — „Organiser". აღნიშნული სიტყვა ბერძნულად ნიშნავს „ინსტრუმენტს, იარაღს", რაც შეეხება ფრანგულ ტერმინს, იგი განიმარტება როგორც „მოწესრიგება, დაგეგმვა, გაერთიანება".

„ორგანიზებული დანაშაულის" ცნებაში მოიაზრება დაგეგმილი, წინასწარ მოფიქრებული და მომზადებული დევიანტური ქცევა. რაც შეეხება „ორგანიზებულ დანაშაულებრივ საქმიანობას", მასში უნდა ვიგულისხმოთ ცალკეულ „ორგანიზებულ დანაშაულთა" ერთობლიობა. პირთა ჯგუფის მიერ განხორციელებული „ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობა" უდევს საფუძვლად „ორგანიზებულ დანაშაულს".[4]

„ორგანიზებული დანაშაული" არსებითად ჯგუფური დანაშაულის ერთ-ერთი სახეა.[5] ჯგუფური დანაშაულის შესახებ ნორმები მოცემულია საქართველოს სსკ-ის მე-7 თავში. ჯგუფური ორგანიზებულობის ნიშნები შეიძლება ვეძიოთ თანამონაწილეობაში (სსკ-ის 23-ე მუხლი), აგრეთვე, ჯგუფური დანაშაულის ისეთ სახეებში, როგორიცაა დანაშაული, ჩადენილი ჯგუფის მიერ წინასწარი შეთანხმებით (სსკ-ის 27-ე მუხლი ნაწილი მე-2) და დანაშაული, ჩადენილი ორგანიზებული ჯგუფის მიერ (სსკ-ის 27-ე მუხლი ნაწილი მე-3).

ქართული სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, რეკეტირობის გარდა დასჯადია „უკანონო შეიარაღებული ფორმირების შექმნა ან ხელმძღვანელობა, ანდა მასში მონაწილეობა" (სსკ-ის 223-ე მუხლი), „ქურდული სამყაროს წევრობა, კანონიერი ქურდობა" (სსკ-ის 223[1] მუხლი), „ბანდიტიზმი" (სსკ-

[4] იხ. Криминология. Учебник для вузов. Под общ. ред. д.ю.н. проф. А.И. Долговой. М. 2002. с. 67-69

[5] იხ. ზ. წულაია. კრიმინოლოგია, ზოგადი ნაწილი, თბ. 2003წ. გვ. 225

ის 224-ე მუხლი), „ტერორისტული ორგანიზაციის შექმნა ან ხელმძღვანელობა, ანდა მასში მონაწილეობა“ (სსკ-ის 327-ე მუხლი) და სხვა. ყველა ზემოჩამოთვლილი ნორმა ორგანიზებული ჯგუფის სპეციალური, კრიმინალიზებული ფორმაა. საქართველოს კანონმდებლობის მიხედვით, ჯერჯერობით არ არსებობს ორგანიზებულ დანაშაულთა წინააღმდეგ მიმართული ზოგადი ნორმა. ზემოაღნიშნული სპეციალური ნორმები, ორგანიზებულ დანაშაულთა მხოლოდ კონკრეტულ გამოვლინებებს არეგულირებს, მაგრამ მათ გარეთ მოუწესრიგებელი რჩება დანაშაულებრივი საქმიანობის საკმაოდ დიდი წრე. აშშ-ს ნაციონალური უსაფრთხოების საბჭოს 2000 წლის მოხსენებაში, ორგანიზებულ დანაშაულებრიობასთან ბრძოლის საკითხებთან დაკავშირებულ კრიტიკულ წინადადებებში აღინიშნა, რომ „ყოფილი საბჭოთა კავშირის არც ერთ რესპუბლიკაში არ არის კანონები, რომლებიც შესაძლებლობას მისცემდა სამართალდამცავ ორგანოებს, პასუხისგებაში მიეცათ დანაშაულებრივი ქმედების ჩადენის მიზნით გაერთიანებული პირები და არა მხოლოდ ისინი, ვინც უკვე ჩაიდინა დანაშაული.“[6]

შეერთებულ შტატებში „რიკოს“ კანონი მიმართულია ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ. „რიკოს“ მიღებისას, 1970 წელს, კონგრესის მიზანი იყო მაფიისა და სხვა დანაშაულებრივი სინდიკატების გავლენის შესუსტება, ხოლო შემდეგ — მათი სრული გაძევება აშშ-ს ეკონომიკიდან.[7] „კონგრესი ადგენს, რომ ორგანიზებული დანაშაულებრიობა შეერთებულ შტატებში არის მეტად რთული, მრავალფეროვანი და ფართოდ გავრცელებული მოვლენა. ყოველწლიურად მრავალი მილიარდი დოლარით ზარალობს ამერიკის ეკონომი-

---

[6] იხ. The report of Advice of National Safety, International crime threat assessment, chapter I, Global Context of International Crime 2000, Перевод на русский язык, Владивостокский Центр по изучению организованной преступности А.В. Пономаренко, Е.В.Кравченко, www.crime.vl.ru, 2006.

[7] იხ. http://www.ricoact.com/ricoact/faq.asp, 2006.

კა უკანონო ძალადობის, თაღლითობისა და კორუფციის შედეგად".[8]

„რიკო" გათვალისწინებულია აშშ-ს კოდექსის მე-18 ნაწილის 96-ე თავში, §§ 1961—1968.[9] იგი ორგანიზებულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის კანონის ნაწილს წარმოადგენს 901ა).[10] შეერთებული შტატების უზენაესი სასამართლოს განმარტებით, „რიკოს" მეშვეობით ორგანიზებული დანაშაულის ყველა გამოვლინებაზე უნდა განხორციელებულიყო მძლავრი დარტყმა.[11]

როგორც ვნახეთ, აშშ-ში „რიკოს" კანონის მიღება მიზნად ისახავდა ორგანიზებულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლას, იგივე მიზანი ამოძრავებდა ქართველ კანონმდებელსაც, როდესაც 2004 წელს სისხლის სამართლის კოდექსში შეიტანა ანტირეკეტული ნორმა, ხოლო 2005 წელს შექმნა სპეციალური კანონი „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ", რომლის პირველივე მუხლში ნათქვამია, რომ „ამ კანონის მიზანია, ხელი შეუწყოს ორგანიზებული დანაშაულის, ქურდული სამყაროსა და რეკეტის წინააღმდეგ ბრძოლას და თავიდან აცილებას". ერთგვარი მიზნის მიუხედავად, როგორც ქვემოთ დავინახავთ, აღმოჩნდა მთელი რიგი პრობლემებისა, რომელთა გამოც ქართული ანტირეკეტული ნორმები შედარებით არაეფექტური აღმოჩნდა ორგანიზებულ დანაშაულთა

[8] იხ.http://graham.main.nc.us/~bhammel/INS/RICO.html#CRM\\\\PEN. Section 1 of Pub. L. 91-452

[9] უნდა აღინიშნოს აგრეთვე ის ფაქტორიც, რომ ამჟამად გარდა ფედერალური კანონისა, უკვე 29 შტატმა მიიღო საკუთარი „რიკოს" კანონი (http://www.labex.ru/page/inzk_usa_uk_8.html).

[10] იხ. Weiner J. RIKO, Terrorism and extraterritorially: can RIKO reach foreign conduct? p.15 www.nesl.edu/intljournal/vol1indx.cfm, 2006

[11] Racketeer, influenced and Corrupt Organizations statute, § 1961; Liberal Construction of Provisions; Supersedure of Federal or State Laws; Authority of Attorneys Representing United States Section 904 of title IX of Pub. L. 91-45

წინააღმდეგ ბრძოლაში, ვიდრე — მათი ამერიკული ანალოგი.

§ 2. თავისუფალი ინტერპრეტაციის კონცეფცია ლეგალობის პრინციპთან და ქართული სისხლის სამართლის კოდექსის სისტემასთან მიმართებაში

2.1 თავისუფალი ინტერპრეტაციის კონცეფციის არსი

შეერთებული შტატების კონგრესმა შეიმუშავა ე.წ. „თავისუფალი ინტერპრეტაციის" კონცეფცია, რომლის მიხედვითაც: „შესაძლებელია მოცემული კანონის დებულებების თავისუფალი ინტერპრეტირება ამავე კანონში აღწერილი მიზნების მისაღწევად".[12] არ არსებობს სისხლის სამართლის კანონი, რომელიც მსგავს დებულებას შეიცავდეს. უფრო მეტიც, ტრადიციულად მიღებულია, რომ სისხლისსამართლებრივი ნორმები დაწერილი უნდა იყოს ერთმნიშვნელოვნად და ნებისმიერი გაუკრკვევლობა უნდა გადაწყდეს ბრალდებულის სასარგებლოდ.

„თავისუფალი ინტერპრეტირების" კონცეფცია გამომდინარეობს თვითონ ორგანიზებული დანაშაულებრიობის, როგორც მოვლენის, მრავალმხრივობიდან, აგრეთვე, მისი ზუსტი იურიდიული დეფინიციის შემუშავების სირთულიდან. ორგანიზებულ დანაშაულთა ცვალებადობა და დინამიურობა სისხლის სამართლის კანონისგან არანაკლებ მოქნილობას მოითხოვს, რათა დაუსჯელი არ დარჩეს არც ერთი დამნაშავე მხოლოდ იმის გამო, რომ სისხლის სამართალი არ არეგულირებს საზოგადოებრივი ურთიერთობის კონკრეტულ სფეროს. „რიკოს" კანონი არ შეზღუდულა ორგანიზებულ დანაშაულთა მანამდე არსებული ეთნიკური სტერეოტიპებით. მისთვის მნიშვნელოვანია არა დანაშაულის ფორმა, არამედ შინაარსი. მისი ავტორები იყენებენ ზოგად ტერმინებს

[12] იხ. Weiner J. დასახელებული ნაშრომი, გვ. მე-15.

და თავს არიდებენ ორგანიზებული დანაშაულის ცნების განმარტებას. „კონგრესმა სპეციალურად გააფართოვა კანონის მოქმედების ფარგლები, რათა არ დაეტოვებინა მცირე ხვრელიც კი, რომლის გამოყენებითაც ორგანიზებულ დანაშაულში მონაწილენი გადაურჩებოდნენ პასუხისმგებლობას."[13]

„რიკოს" ფართო სამართალგანმარტება შესაძლებლობას იძლევა, აღნიშნული კანონი გამოყენებულ იქნეს იმ შემთხვევების დროსაც, რომლებიც მისი მიღების მომენტისთვის არ იყო გათვალისწინებული, აგრეთვე, ისეთ „რთულ საქმეებში, რომლებიც არ რეგულირდება სამართლის ტრადიციული ნორმებით და საზოგადოებაში იწვევს ძლიერ უარყოფით ემოციას".[14]

„რიკოს" დებულებების თავისუფალი ინტერპრეტაციის მაგალითი იყო აშშ-ში გახმაურებული სასამართლო პროცესი, „აშშ ტურკეტტეს წინააღმდეგ", რომლის დროსაც აშშ-ს უზენაესმა სასამართლომ განმარტა, რომ „ორგანიზაცია", რომელიც კრიმინალურ საქმიანობას ეწევა, არ არის აუცილებელი, იყოს შექმნილი ლეგალურ საფუძველზე, იგი შეიძლება იყოს დე-ფაქტო წარმონაქმნი და „შეზღუდვითი განმარტება „ორგანიზაციისა", როგორც მხოლოდ ლეგალურ საფუძველზე შექმნილი იურიდიული პირისა, გამოიწვევს კანონის („რიკოს") პროფილაქტიკური ფუნქციების უგულებელყოფას"[15]

---

[13] იხ. M. Cormaney, Rico in Russia: effective control of organized crime or anoter empty promise? Перевод М. Буряк, 2002 г: http://www.crime.vl.ru/docs/stats/stat_145.htm, 2007

[14] იხ. იქვე.

[15] იხ. http://www.ipsn.org/court_cases/us_v_turkette-supreme-1981-06-17.htm, 2007

2.2 თავისუფალი ინტერპრეტაციის კონცეფცია ლეგალობის პრინციპთან მიმართებაში

ქართულ სისხლის სამართალში „თავისუფალი ინტერპრეტაციის" კონცეფციის გაზიარება, მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება მიზანშეწონილი, თუკი ამით წინააღმდეგობა არ შეიქმნება ლეგალობის ზოგადსამართლებრივ პრინციპთან. კანონიერების პრინციპი ასახულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 1-ელ და მე-7 მუხლებში და „ვლინდება არა მარტო დანაშაულის ასპექტით, არამედ სასჯელის ასპექტითაც"[16]. ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ეგიდით კანონიერების პრინციპის უგულებელყოფა არ უნდა ჩაითვალოს მიზანშეწონილად.

აშშ-ში გააცნობიერეს ის ფაქტორი, რომ „რიკოს" „თავისუფალი ინტერპრეტაციის" შესაძლებლობა წარმოშობს სამართლებრივი თვითნებობის საშიშროებას. ზემოაღნიშნული პრობლემის დასარეგულირებლად აშშ-ს იუსტიციის სამინისტროში შეიქმნა ორგანიზებულ დანაშაულთან და რეკეტთან ბრძოლის სპეციალური განყოფილება („OCRS"), რომლის ამოცანას შეადგენს „რიკოს" კანონის გამოყენებაზე ზედამხედველობა. „რიკოს" კანონით სისხლისსამართლებრივი დევნის დაწყებისათვის აუცილებელია ზემოაღნიშნული განყოფილების სანქცია. იგი ამავდროულად თვალყურს ადევნებს სასამართლო წარმოებაში არსებულ საქმეებს.[17]

---

[16] იხ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, ავტორთა კოლექტივი, რედ.: გ.ნაჭყებია, ი. დვალიძე. გამომცემლობა „მერიდიანი", თბ., 2007, გვ. 18.

[17] იხ. http://www.labex.ru/page/inzk_usa_uk_8.html, 2007

2.3 თავისუფალი ინტერპრეტაციის კონცეფცია ქართული სისხლის სამართლის კოდექსის სისტემასთან მიმართებაში

2004 წლის 24 ივნისის კანონით ქართველმა კანონმდებელმა, გაუგებარი მიზეზის გამო, ანტირეკეტული ნორმა მოათავსა სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში (17[1]-ე მუხლი). ამასთან, ზოგადი ნაწილით აღწერილი ანტირეკეტული ნორმა სსკ-ის განსაკუთრებული ნაწილის მხოლოდ ერთი დანაშაულის გამოძალვის (სსკ-ის 181-ე მუხლი) — შემადგენლობაში აისახა დამამძიმებელი გარემოების სახით.

შეიძლება ვივარაუდოდ ის, რომ ზოგად ნაწილში რეკეტის ცნების გათვალისწინებით კანონმდებელმა შექმნა მისი ფართოდ გამოყენების წინაპირობა, ამოვიდა რა „რიკოს" „თავისუფალი ინტერპრეტაციის" კონცეფციიდან. თუმცა თუ ეს ასეა, უნდა ითქვას, რომ ნორმის ფართოდ გამოყენების პირობების შექმნით, იმდენად ამორფული გახდა 17[1]-ე მუხლის რეგულაციური სფერო, რომ ნორმა ეხება ხუთი წლის განმავლობაში განმეორებულ თითქმის ყველა დანაშაულს. „თავისუფალი ინტერპრეტაცია" ვერ განხორციელდება, თუ გაურკვეველია, რის ინტერპრეტაციას ვახდენთ და ეს ინტერპრეტაცია რა მიზანს ემსახურება. აშშ-ში „თავისუფალი ინტერპრეტაციის" კონცეფცია ემსახურება ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლას, ამისთვის „რიკო" ადგენს „პრედიკატულ დანაშაულთა" ჩამონათვალს, განსაზღვრავს რა რეკეტული საქმიანობის სახეებს და აწესებს შესაბამის სასჯელს. ქართული ნორმის მიხედვით კი განუსაზღვრელია რეკეტული საქმიანობის სახეები. 2006 წლის 15 ივლისის ცვლილებებით ახალი შემადგენლობა დაემატა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსს (224[1]-ე მუხ.) ანტირეკეტული ნორმების სრულყოფის თვალსაზრისით აღნიშნული წინგადადგმულ ნაბიჯად შეიძლება მივიჩნიოთ, რადგანაც ნორმა სანქციით აღიჭურვა და დამოუკიდებელი შემადგენლობის სახედ ჩამოყალიბდა სისხლის სამართლის კერძო ნაწილის სისტემაში,

მაგრამ კვლავ გაურკვეველი დარჩა, რა მოიაზრება რეკეტულ საქმიანობად. თუ დავუშვებთ, რომ კანონმდებელს რეკეტი გამოძალვის ერთ-ერთი სახედ მიაჩნია, მაშინ უსაზრისოა გამოძალვის ორი შემადგენლობის — ზოგადის და სპეციალურის არსებობა იმ დროს, როდესაც გაურკვეველია, რითი განსხვავდება ისინი ერთმანეთისგან.

§ 3. პასუხისმგებლობის ერთობლიობის კონცეფციის არსი და მისი გამოვლენა ქართულ სისხლის სამართალში

3.1 პასუხისმგებლობის ერთობლიობის კონცეფციის არსი

საქართველოს სისხლის სამართლს კოდექსის 17[1]-ე, მუხლისა და „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ" საქართველოს კანონის მე-2 მუხლის 1-ელი ნაწილის მიხედვით, „რეკეტი არის შემოსავლის ან სხვაგვარი ქონებრივი სარგებლის სისტემატურად მიღების მიზნით წარმოებული არაერთჯერადი და ორგანიზებული საქმიანობა, რომელიც დაკავშირებულია განზრახი დანაშაულის ჩადენასთან (თუ ნასამართლობა არ არის გაქარწყლებული ან მოხსნილი), თუ იგი განხორციელდა ორჯერ მაინც ხუთი კალენდარული წლის განმავლობაში, რომელშიც არ შედის რეკეტირის დაპატიმრებისა და სასჯელის მოხდის ვადა." ე.ი. ქართული კანონმდებლობის მიხედვით, პირი რეკეტირად ჩაითვლება იმ შემთხვევაში, თუ იგი ხუთი წლის განმავლობაში არანაკლებ ორჯერ ჩაიდენს განზრახ დანაშაულს. აღნიშნული კონცეფცია „პასუხისმგებლობის ერთობლიობის" სახელითაა ცნობილი და სისხლის სამართალში ერთგვარ სიახლეს წარმოადგენს[18]. მას საფუძველი აშშ-ში „რიკოს" კანონის მიღებამ დაუდო და მიმართულია ორგანიზებული ჯგუფების წევრების პასუხისმგებლობისა და სასჯელის მაქსიმალური გამკაცრებისკენ, საზოგადოებისთვის ამ უკანასკნელთა მომეტებული საშიშროების გამო.

[18] იხ. ftp://sosrussia.com/analyse/library/clusa/page2, 2007.

„რიკო“ არის ერთადერთი სისხლის სამართლის კანონი, რომელიც შესაძლებლობას აძლევს ბრალდების მხარეს, წარმოადგინოს დანაშაულებრივი ორგანიზაციის საქმიანობის სრული სურათი, ორგანიზებული დამნაშავეების „ოჯახის“ სახით. იმის მაგიერ, რომ სისხლისსამართლებრივი დევნა განახორციელოს მხოლოდ რომელიმე მცირე ჯგუფის ხელმძღვანელისა და მისდამი დაქვემდებარებული რამდენიმე დამნაშავის მიმართ, ამ უკანასკნელთა მიერ ჩადენილი ერთი რომელიმე დანაშაულის გამო, ბრალდება უფლებამოსილია, დაადანაშაულოს ორგანიზებული დამნაშავეების მთელი „ოჯახი“. ჩადენილი ერთი რომელიმე დანაშაულებრივი აქტის მტკიცების ნაცვლად, „რიკო“ შესაძლებლობას იძლევა, დადგინდეს პირის მთელი დანაშაულებრივი საქმიანობა მისი ცხოვრების მანძილზე.“[19]

"რიკოს" მიხედვით, თუ პირი, ან პირთა ჯგუფი, ათი წლის განმავლობაში ორჯერ ჩაიდენს გათვალისწინებული ორმოცდაათზე მეტი დანაშაულიდან (40-ზე მეტი ფედერალური და 9 სახელმწიფო დანაშაულიდან) ერთ-ერთს, აშშ-ს ატორნეის (ფედერალური ბრალმდებელი, შენიშვნა ჩვენია - გ. გორაშვილი), ბრალდების საფუძველზე შეიძლება ცნობილ იქნეს რეკეტირად.[20] „რიკოს“ კანონი 1961-ე პარაგრაფში ადგენს საკმაოდ ვრცელ ჩამონათვალს იმ დელიქტებისა, რომლებიც ითვლება „რეკეტულ საქმიანობად“. აღნიშნულ საქმიანობად მიჩნეულია, მაგალითად, „ჰობსის“ კანონის დარღვევა[21], ფულის გათეთრება, მკვლელობა, მძევლად ხელში ჩაგდება, მექრთამეობა, თაღლითობის სხვადასხვა სახეები, სამართალწარმოებისთვის ხელის შეშლა, ნაქურდალის საერთაშორისო გადაზიდვა, კრედიტის უკანონოდ მიღება და ა.შ.[22]

---

[19] იხ. H. Organized Crime. Nelson-Hall publishers. Chicago. перевод с англ.-СПб.: Издателство С-Петербургского университета. 2002 с. 542

[20] იხ. http://www.labex.ru/page/inzk_usa_uk_8.html, 2007

[21] იხ. 18 U.S.C. sec. 1951 (1982) (prohibiting extortionate or violent enterference with interstate or foreign commerce).

[22] იხ. 18 u.s.c, chapter 96—racketeer influenced and corrupt organizations,

„პასუხიმგებლობის ერთობლიობის" კონცეფციის შინაარსში გასარკვევად უნდა მივუთითოთ, რომ აშშ-ს „რიკოს" კანონი მოქმედებას იწყებს დანაშაულის განმეორების შემთხვევაში. განმეორებული დანაშაული უნდა მიეკუთვნებოდეს ე.წ. „საკონტროლო დელიქტების" ჯგუფს. ამას გარდა, აშშ-ს უზენაესი სასამართლოს განმარტებით, ჩადენილ დანაშაულს უნდა ახასიათებდეს „ურთიერთდაკავშირებულობა" და „უნდა არსებობდეს საფრთხე აღნიშნული ქმედებების გაგრძელებისა"[23]. „რიკოს" კანონით, პირი პასუხს აგებს არა ცალკეული დანაშაულისთვის, არამედ მის მიერ ჩადენილი ყველა დანაშაულისთვის, რადგანაც მიიჩნევა, რომ იგი ორგანიზებულ დანაშაულებრივ საქმიანობას ეწევა.

3.2 ანტირეკეტული ნორმები დანაშაულის სიმრავლისა და ჯგუფური დანაშაულობის სამართლებრივ ინსტიტუტებთან მიმართებაში

ქართულ სისხლის სამართალში „პასუხისმგებლობის ერთობლიობის" კონცეფციის ანალოგი „დანაშაულის სიმრავლეში" შეიძლება ვეძიოთ. მოვიაზრებთ არაერთგზის დანაშაულს (სსკ-ის მე-15 მუხლი), დანაშაულთა ერთობლიობას (სსკ-ის მე-16 მუხლი) და დანაშაულის რეციდივს (სსკ-ის მე-17 მუხლი).

აშშ-ს „პასუხისმგებლობის ერთობლიობის" კონცეფციასა და ქართულ „დანაშაულის სიმრავლეს" შორის ის განსხვავებაა, რომ, თუ საქართველოში დანაშაულის გამეორების შემთხვევაში პირი პასუხს აგებს მის მიერ ჩადენილი კონკრეტული დანაშაულისთვის და გამეორება მიიჩნევა პასუხისმგებლობის დამამძიმებელ გარემოებად, აშშ-ში „საკონტროლო დელიქტების" გამეორება თვისობრივად ახალი დანაშაულის შე-

§ 1961. definitions.

[23] იხ. http://www.ricoact.com/ricoact/faq.asp, 2007

მადგენლობას იძლევა და ჩვეულებრივი სისხლის სამართლის ნორმების ნაცვლად პირი პასუხს აგებს „რიკოს" მიხედვით.

რეკეტირობის ძირითად ნიშნად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 17[1]-ე, 224[1]-ე მუხლებისა და „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ" სპეციალური კანონით მოიაზრება ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობა, დანაშაულის სიმრავლე კი აღნიშნული ორგანიზებულობის გამოხატვის ფორმაა. „როგორც სსკ-ის 17[1]-ე მუხლის შინაარსიდან ირკვევა, რომ რეკეტი დანაშაულის სიმრავლისა და ჯგუფური დანაშაულის ინსტიტუტების მიჯნაზე დგას. სახელდობრ, რეკეტის განმარტების თანახმად, დამნაშავე უნდა მოქმედებდეს არაერთჯერადად და ორგანიზებულად"[24] პოზიცია იმის შესახებ, რომ „არაერთჯერადობა" და „ორგანიზებულობა" რეკეტის ცნების თანაბარმნიშვნელოვანი ნიშნებია"[25], ვერ დავეთანხმებით, რადგანაც დანაშაულის გამეორება ხუთი წლის განმავლობაში ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობის მიმანიშნებელია. დანაშაულის სიმრავლე ამ შემთხვევაში არის შინაარსის გამოხატვის ფორმა და არა თვითონ შინაარსი. არ შეიძლება შინაარსი გავაიგივოთ ფორმასთან, ანუ რეკეტირობის შინაარსობრივი ნიშანი მისი ორგანიზებული დანაშაულის ერთ-ერთი სახისადმი კუთვნილებაა. ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობა კი სსკ-ის 27-ე მუხლის მიხედვით ჯგუფური დანაშაულობის ერთ-ერთ სახეში, ორგანიზებულ ჯგუფშია მოაზრებული. აქედან გამომდინარე ანტირეკეტული ნორმის მოთავსება სსკ-ის დანაშაულთა სიმრავლის თავში (17[1]-ე მუხლი) მოხდა ფორმალური და არა შინაარსობრივი ნიშნით და წინააღმდეგობაში მოდის აღნიშნული ნორმის კრიმინალიზაციის საზრისთან და ბუნებასთან.

---

[24] იხ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, ავტორთა კოლექტივი, რედ.: გ.ნაჭყებია, ი. დვალიძე. გამომცემლობა „მერიდიანი", თბ., 2007, გვ. 346.

[25] იხ.სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, დას. ნაშრ. გვ. 346.

§. 4 საკონტროლო დელიქტთა კონცეფცია

4.1 საკონტროლო დელიქტთა კონცეფციის არსი

„პასუხისმგებლობის ერთობლიობის" კონცეფციასთან კავშირში უნდა განვიხილოთ „საკონტროლო დელიქტთა" („predicate offences") კონცეფცია. აღნიშნული კონცეფციის თანახმად, „რიკოს" კანონის ამოქმედებისთვის პირმა უნდა განახორციელოს მინიმუმ ორი საკონტროლო (პრედიკატული) დანაშაული 10 წლის განმავლობაში. „საკონტროლო დელიქტის" ცნებაში იგულისხმება ის დანაშაულები, რომლებიც, აშშ-ს კანონმდებლობის თანახმად, ქმნიან „რიკოს" შემადგენლობას და მათი ამომწურავი ჩამონათვალი მოცემულია აღნიშნული კანონის 1961-ე პარაგრაფში (40-ზე მეტი ფედერალური და 9 სახელმწიფო დანაშაული).[26] პრედიკატული დანაშაულის პირველად ჩადენის შემთხვევაში, პირი პასუხს აგებს საერთო წესით, ხოლო სპეციალური რეციდივის შემთხვევაში, ანუ აღნიშნული დანაშაულების ხელმეორედ ჩადენის შემდეგ, ამოქმედდება „რიკო".

აშშ-ს უზენაესი სასამართლოს განმარტების თანახმად, 10 წლის განმავლობაში ორი საკონტროლო დელიქტის განხორციელების გარდა, „რიკოს" კანონით პასუხისგებაში მიცემისთვის აუცილებელ მოთხოვნას წარმოადგენს ის, რომ აღნიშნული „საკონტროლო დელიქტები" დაკავშირებული უნდა იყოს ერთმანეთთან და არსებობდეს საშიშროება დანაშაულებრივი საქმიანობის გაგრძელებისა.[27]

უნდა აღინიშნოს, რომ თავის დროზე „რიკოს" კანონი არ შეზღუდულა ორგანიზებულ დანაშაულთა მანამდე არსებული «ეთნიკური სტერეოტიპებით». „რიკოს" კანონისთვის მნიშვნელოვანია არა დანაშაულობის ფორმა, არამედ მისი შინაარსი. „რიკოს" მიღებამდე, ორგანიზებულ დანაშაულობას

[26] იხ. 18 u.s.c, chapter 96—racketeer influenced and corrupt organizations, § 1961. definitions.

[27] იხ. http://www.ricoact.com/ricoact/faq.asp.

ეთნიკურ დაჯგუფებებს (კონცეფცია „alien-conspiracy model"), განსაკუთრებით კი იტალიურ-ამერიკულს უკავშირებდნენ.[28] აშშ-ს კანონმდებლის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ აქცენტი გაკეთდა ორგანიზებულ დანაშაულებრიობაზე, როგორც ზოგად მოვლენაზე და არა მის ცალკეულ გამოვლინებებზე. ანუ, არა ფორმაზე, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არამედ — შინაარსზე. ამის გამოა, რომ „რიკოს" ბოლო დროს იყენებენ დანაშაულთა ისეთი სახეების წინააღმდეგაც, რომლებიც მისი მიღების დროს საერთოდ არ არსებობდა[29]. არსებობს მოსაზრება „რიკოს" როლის ზრდაზე ტერორისტულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლის ასპექტითაც.[30]

4.2 ქართული ანტირეკეტული ნორმები საკონტროლო დელიქტთა კონცეფციასთან მიმართებაში

პრედიკატული დელიქტების გაუთავლისწინებლობა ქართულ ანტირეკეტულ ნორმებს ფაქტობრივად უმოქმედოდ ტოვებს, რადგანაც გაუგებარია აღნიშნული ნორმების მოქმედების ფარგლები, რეგულაციური სფერო. შეუძლებელია გაივლოს მიჯნა დანაშაულის სიმრავლის სხვა სახეებთან (არაერთგზის დანაშაულთან, დანაშაულთა ერთობლიობასთან და დანაშაულის რეციდივთან), აგრეთვე, ორგანიზებული ჯგუფის სხვა სპეციალურ სახეებთან („ქურდული სამყაროს წევრობასთან", „კანონიერ ქურდობასთან" (სსკ-ის 223[1] მუხლი), „ბანდიტიზმთან" (სსკ-ის 224-ე მუხლი) და სხვა).

---

[28] იხ. Уголовное законодательство США, http://sosrussia.com/analyse/library/clusa/page2/

[29] იხ. Cormaney M., Rico in Russia: effective control of organized crime or anoter empty promise? Перевод М. Буряк, 2002 г. http://www.crime.vl.ru/docs/stats/stat_145.htm, 2007

[30] იხ. Nathan Irvin & Juster Kenneth, Law Enforcement Against International Terrorists: Use of the RICO Statute, 60 U. COLO. L. REV. 1989.p.564; Weiner J. RIKO, Terrorism and extraterritorially: can RIKO reach foreign conduct? p.13 www.nesl.edu/intljournal/vol1indx.cfm

„საკონტროლო დელიქტთა“ („predicate offences“) კონცეფციის გაუთვალისწინებლობამ წარმოშვა გაუგებრობა იმ საკითხში, თუ რა მოიაზრება რეკეტირობაში და რომელი დანაშაულებრივი ქმედებების განხორციელება წარმოადგენს რეკეტულ საქმიანობას. პრედიკატული დელიქტების განსაზღვრამდე ქართველმა კანონმდებელმა პირველ რიგში უნდა გადაწყვიტოს, ექნება ქართულ ანტირეკეტულ ნორმებს აშშ-ს ანტირეკეტული ნორმების შესაბამისად ორგანიზებულ დანაშაულთა წინააღმდეგ მიმართული ზოგადი თუ ბანდიტიზმის (სსკ-ის 224-ე მუხლი), ქურდული სამყაროს წევრობის, კანონიერი ქურდობის (სსკ-ის 223[1]-ე მუხლი) და სხვათა მსგავსად ორგანიზებული ჯგუფის, კრიმინალიზებული, სპეციალური ნორმის სახე.

ქართულ ანტირეკეტულ კანონმდებლობას ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მიმართული ზოგადი ნორმის ხასიათი არ გააჩნია და ამით უკვე წინააღმდეგობაში მოდის ამერიკულ ანალოგთან. ზემოაღნიშნულის დასტურად სსკ-ის 224[1]-ე მუხლის სანქციაც საკმარისია, რომელიც ითვალისწინებს თავისუფლების აღკვეთას 5-დან 10 წლამდე. მაგალითად, თუ პირი ორგანიზებულ დანაშაულებრივ საქმიანობას ეწევა და ხუთი წლის განმავლობაში ორჯერ ან მეტჯერ ჩაიდენს განსაკუთრებით მძიმე დანაშაულს (მაგ. ტრეფიკინგი სსკ-ის 143[1]-ე მუხლი) მისი პასუხისგებაში მიცემა მხოლოდ რეკეტირობისთვის პასუხისმგებლობის შემსუბუქებად იქცევა, როდესაც პირიქით უნდა იყოს. ამიტომ აღნიშნული პირი პასუხისგებაში შეიძლება მიეცეს დანაშაულთა ერთობლიობისთვის, ანუ რეკეტირობისა და ტრეფიკინგისთვის, განსხვავებით აშშ-ს „რიკოს“ კანონისგან, რომელიც თავის თავში მოიაზრებს ყველა პრედიკატულ დანაშაულს. აშშ-ს „რიკოს“ მიხედვით, ორჯერ ან მეტჯერ პრედიკატული დელიქტების ჩადენის შემთხვევაში, ამასთან, თუ აღნიშნულ დელიქტებს ახასიათებთ ურთიერთკავშირი და არსებობს საშიშროება კრიმინალური საქმიანობის გაგრძელებისა, პირი პასუხს

აგებს არა ჩვეულებრივი წესით, არამედ გაცილებით მკაცრად როგორც რეკეტირი...[31]

შეერთებულ შტატებში, სადაც ორგანიზებული დანაშაული დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება, „რიკოს" კანონი წარმატებით მოქმედებს იმ მიზეზის გამო, რომ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, არ იფარგლება ეთნიკური ან სხვა სახის სტერეოტიპებით. ამ თვისების გამო ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებებისთვის 1970 წელს მიღებული კანონი მზად აღმოჩნდა. ქართველმა კანონმდებელმა, თუ ის გაითვალისწინებს აშშ-ს გამოცდილებას, უნდა შექმნას ორგანიზებულ დანაშაულთა წინააღმდეგ მიმართული ზოგადი ნორმა, იქნება ეს ანტირეკეტული ნორმებით თუ სხვა ფორმით. ფორმას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა, მთავარია, მათში აისახოს ის შინაარსი და ფუძემდებლური პრინციპები, რამაც აშშ-ს წარმატება მოუტანა ორგანიზებულ დანაშაულთა წინააღმდეგ ბრძოლაში.

4.3 წინადადებები საკონტროლო დელიქტთა კონცეფციასთან მიმართებაში ქართული ანტირეკეტული ნორმების საკანონმდებლო დახვეწისთვის

ქართული ანტირეკეტული კანონმდებლობისთვის უმნიშვნელოვანესია „საკონტროლო დელიქტთა" („predicate offences") კონცეფციის ამოქმედება. აღნიშნული მიზნის მისაღწევად შეიძლება ორი ალტერნატიული მიმართულება გამოიკვეთოს:

1. საქართველოს სსკ-ის 17[1]-ე მუხლში რეკეტის და რეკეტირობის დეფინიციის შემდეგ ჩამონათვალის სახით გათვალისწინებულ იქნეს სსკ-ის განსაკუთრებული ნაწილის კონკრეტული ნორმები, რომლებსაც კანონმდებელი ორგანიზებულ დანაშაულთა პრედიკატულ დელიქტებად ჩათვლის, ხოლო ამ უკანასკნელთ კი დაემატოს შესაბა-

[31] იხ. ზევით „პასუხისმგებლობის ერთობლიობის კონცეფცია".

მისი დამამძიმებელი გარემოება, რომელიც პირობითად შეიძლება ასე განისაზღვროს: „ჩადენილი რეკეტირის მიერ". მსგავსი პრეცენდენტი სსკ-ში უკვე გვაქვს გამოძალვის შემადგენლობის სახით (181-ე მუხლის მე-4 ნაწილი). აღნიშნული გზით თუ წავალთ, თავისთავად დადგება საქართველოს სსკ-ის 224[1]-ე მუხლის გაუქმების აუცილებლობა, რის დასტურადაც დღევანდელი მდგომარეობაც გამოგვადგება: მაგალითად, თუ გამოძალვა ჩაიდინა რეკეტირმა, გამოდის, რომ მან პასუხი უნდა აგოს როგორც გამოძალვის შესაბამისი დამამძიმებელი გარემოებით (181-ე მუხლის მე-4 ნაწილი) აგრეთვე, რეკეტისთვის ცალკე (224[1]-ე მუხლი). აღნიშნული წინააღმდეგობაში მოდის არამარტო „საკონტროლო დელიქტების" კონცეფციასთან,[32] არამედ ერთი და იმავე ქმედებისთვის ორჯერ დასჯის დაუშვებლობის კონსტიტუციურ პრინციპთანაც.[33] ზემოაღნიშნული მსჯელობიდან გამომდინარე, ანტირეკეტული ნორმების რეგულაციური სფერო უნდა განისაზღვროს სსკ-ის ზოგადი ნაწილის 17[1]-ე მუხლში პრედიკატული დანაშაულების ჩამოთვლის გზით (მაგალითად : მიეთითოს სსკ-ის კერძო ნაწილით გათვალისწინებული რომელი დანაშაულები ჩაითვლება რეკეტული საქმიანობის სახეებად). კონკრეტულ საკონტროლო დელიქტებს კი სსკ-ის კერძო ნაწილში დაემატოს შესაბამისი დამამძიმებელი გარემოება: „ჩადენილი რეკეტირის მიერ". ამ ვითარებაში თავისთავად დგება 224[1]-ე მუხლის გაუქმების საკითხი, რადგანაც იგი, მარტივად რომ ვთქვათ, უფუნქციოდ რჩება.

2. „საკონტროლო დელიქტთა" კონცეფციის ამოქმედების

---

[32] ანტირეკეტული ნორმების მიხედვით, პირი იმიტომ არის რეკეტირი, რომ მან დროის გარკვეულ პერიოდში გაიმეორა პრედიკატული დანაშაული, ზუსტად აღნიშნული გამეორების გამო ისჯება იგი უფრო მკაცრად. (შენიშვნა ჩვენია).

[33] ამ კონკრეტული მაგალითიდან გამომდინარეობს, რომ პირი ისჯება რეკეტირობისთვის (სსკ-ის 181-ე მუხლის მე-4 ნაწილი) და კიდევ რეკეტირობისთვის (სსკ-ის 224[1]-ე მუხლი).

მეორე მიმართულება უფრო გამართულია შინაარსობრივი თვალსაზრისით, ადვილად ჯდება ქართული სისხლის სამართლის კოდექსის სისტემაში და უფრო ახლოს დგას აშშ-ს „რიკოს" კანონის სტრუქტურასთანაც. უმჯობესი იქნება საქართველოს სსკ-ის 224[1]-ე მუხლში განისაზღვროს რეკეტისა და რეკეტირობის ცნება და ამის შემდეგ მოხდეს საკონტროლო დელიქტთა ამომწურავი ჩამოთვლა, რომელთა ორჯერ ან მეტჯერ ჩადენა ხუთი წლის განმავლობაში შეფასებული იქნება ორგანიზებულ დანაშაულებრივ საქმიანობად. სსკ-ის 224[1]-ე მუხლი აღიჭურვოს უფრო მკაცრი სანქციით, ვიდრე მასში შემავალი კონკრეტული პრედიკატული დანაშაულები. დავუშვათ, რომ რეკეტული საქმიანობის სახეებად საქართველოს კანონმდებელმა განსაზღვრა ძალადობრივი ძარცვა (სსკ-ის 178-ე მუხლის მე-3 ნაწილის „დ" პუნქტი), ყაჩაღობა (სსკ-ის 179-ე მუხლი) და ტრეფიკინგი (სსკ-ის 143[1]-ე მუხლი). დელიქტუნარიანი პირის პასუხისმგებლობის საკითხი, რომელმაც ხუთი წლის განმავლობაში ორჯერ ან მეტჯერ ჩაიდინა აღნიშნული დანაშაულები, შეფასდება რეკეტირობად, ჩადენილი ძარცვის, ყაჩაღობისა და ტრეფიკინგის საფუძველზე, სასამართლო განაჩენში მითითებული იქნება სსკ-ის 224[1]-ე მუხლზე და სასჯელიც აღნიშნული მუხლის სანქციის მიხედვით დაინიშნება.[34] მეორე მიმართულებით წასვლის შემთხვევაში ლოგიკურია, რომ უნდა გაუქმდეს სსკ-ის 17[1]-ე მუხლი, რადგანაც იგი უფუნქციოდ დარჩება, ამასთან, მისი გაუქმება სისტემურ-სტრუქტურული თვალსაზრისითაც მიზანშეწონილი იქნება.

[34] რეკეტის შემადგენელ დანაშაულებზე მოსამართლე განაჩენის აღწერილობით ნაწილში მიუთითებს.

§ 5. ორგანიზაციული შეთანხმების კონცეფცია

5.1 ორგანიზაციული შეთანხმების კონცეფციის არსი

აშშ-ში არსებობს „სტატუტი დანაშაულებრივი შეთანხმების შესახებ", რომლის მიხედვითაც, ორი ან მეტი პირის შეთანხმება მიმართული დანაშაულის ჩასადენად, დამთავრებულ დანაშაულად ითვლება. შეთანხმების დამთავრებულ დანაშაულად ცნობისთვის აუცილებელია, რომ ორი ან მეტი პირი გეგმავდეს კანონით აკრძალული ქმედების განხორციელებას და აღნიშნული მიზნის მისაღწევად დაიწყოს „აშკარა მოქმედება".[35]

როგორც აღინიშნა, „აშკარა მოქმედების" დაწყების გარეშე შეთანხმება დამთავრებულ დანაშაულად არ ითვლება. „აშკარა მოქმედების" დაწყების ანალოგი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებულ დაუმთავრებელ დანაშაულთა სახეებში, მომზადებასა და მცდელობაში (სსკის 18-ე, მე-19 მუხლები) შეიძლება ვეძიოთ. დანაშაულებრივი შეთანხმება, აშშ-ს კანონმდებლობის მიხედვით, დამთავრებულ დანაშაულად ითვლება, თუ დაფიქსირდა შეთანხმებულთა მხრიდან დანაშაულის განხორციელებისკენ მიმართული გარკვეული ქმედება, იქნება ეს პირობების განზრახ შექმნა თუ დანაშაულის ობიექტური მხრის გარკვეული ნაწილის შესრულება.

ქართული სისხლის სამართლისგან განსხვავებით, აშშ-ს კანონმდებლობის მიხედვით, დანაშაულებრივი შეთანხმება, უკვე დამოუკიდებელ დანაშაულად ითვლება.

არ შეიძლება, არ აღინიშნოს ის გამონაკლისი, რომელიც დანაშაულებრივი შეთანხმების წინააღმდეგ მიმართულ სტატუტ-

[35] იხ. Abadinsky H., Organized Crime. Nelson-Hall publishers. Chicago. перевод с англ.-СПб.: Издателство С-Петербургского университета. 2002 с. 536.

შია დაფიქსირებული. კერძოდ, დანაშაულის დამთავრების ეტაპი ნარკოტიკულ დანაშაულებთან დაკავშირებით ერთი საფეხურით წინაა გადმოტანილი და არ მოითხოვს „აშკარა მოქმედებას".[36] დამთავრებულ დანაშაულს წარმოადგენს ორი ან მეტი პირის შეთანხმება ნარკოტიკულ ნივთიერებათა ბრუნვის ფედერალური ნორმების დარღვევის შესახებ.[37]

„დანაშაულებრივი შეთანხმების" სამართლებრივი ინსტიტუტის სასიკეთოდ აშშ-ს სამეცნიერო წრეებში შემდეგი მოსაზრებებია გამოთქმული:

1. „დანაშაულებრივი შეთანხმების" დამთავრებულ დანაშაულად ჩათვლა შესაძლებლობას აძლევს სამართალდამცავებს, მოახდინონ რეაგირება მანამ, სანამ დამნაშავეები ქმედების განხორციელებას დაიწყებდნენ;
2. „დანაშაულებრივი შეთანხმების" მონაწილეს არ შეუძლია, თავიდან აიცილოს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა იმ საბაბით, რომ მან არ იცოდა „შეთანხმების" ყველა დეტალის შესახებ, ან პიროვნულად არ იცნობდა მასში მონაწილე ყველა წევრს;
3. „დანაშაულებრივ შეთანხმებაში" მონაწილე თითოეული პირის ქმედება მტკიცებულებად ითვლება სხვა მონაწილეთა მიმართ;
4. „დანაშაულებრივ შეთანხმებაში" მონაწილე პასუხისმგებელია შეთანხმების სხვა მონაწილეთა ქმედებებისთვის, რომლებიც განხორციელდა მანამდე, სანამ იგი გაწევრიანდებოდა ჯგუფში, თუკი ახალი მონაწილე იცნობს „დანაშაულებრივი შეთანხმების" ძირითად მიზნებს და თანახმაა, მონაწილეობა მიიღოს მათ განხორციელებაში;

---

[36] იხ. Abadinsky H., დასახ. ნაშ. გვ. 591.

[37] იხ. აშშ-ს უზენაესი სასამართლოს 1994 წლის განაჩენი [United State v. Shabani N: 93-981]
http://www.law.cornell.edu/supct/html/93-981.ZO.html, 2007

5. „დანაშაულებრივი შეთანხმების" ინსტიტუტი ორგანიზებულ დანაშაულობის, განსაკუთრებით მისი ზედა ეშელონების, წინააღმდეგ ბრძოლის ეფექტური იარაღია. იგი იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ პასუხისგებაში მიეცნენ ორგანიზებული ჯგუფის ხელმძღვანელები, იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც მათ არ განუხორციელებიათ რაიმე „აშკარა მოქმედება". საკმარისია, დამტკიცდეს ის ფაქტი, რომ ისინი „შეთანხმების" მონაწილეები არიან.[38]

„რიკოს" ავტორები, დაეყრდნენ რა „დანაშაულებრივი შეთანხმების" სტატუტს, და მასში აღწერილ დებულებებს, შეიმუშავეს ახალი, „ორგანიზაციული შეთანხმების" კონცეფცია. ერთ-ერთი მიზეზი, რის გამოც „რიკო" საკმაოდ ეფექტური გამოდგა ორგანიზებულ დანაშაულებთან ბრძოლაში, არის ზუსტად „ორგანიზაციული შეთანხმების" ახალი კონცეფციის დამსახურება.

„ორგანიზაციული შეთანხმება" მნიშვნელოვან იარაღად იქცა ორგანიზებულ დანაშაულთა ლიდერების წინააღმდეგ. მიუხედავად იმისა, რომ ეს უკანასკნელნი ხელმძღვანელობდნენ კრიმინალურ დაჯგუფებებს, პირადად იშვიათად არღვევდნენ კანონს. „რიკომ" ისეთი ფორმულირება მისცა „დანაშაულებრივი შეთანხმების" ნორმებს, რომ შესაძლებელი გახდა პასუხისგებაში მიცემულიყვნენ ისინი, ვინც რეალურად წარმართავდა ორგანიზებულ დანაშაულობას.[39]

თანამონაწილეობის ნორმები არაეფექტურად მუშაობენ ორგანიზებულ დანაშაულთა წინააღმდეგ, რადგან, როგორც წესი, კრიმინალურ ორგანიზაციაში რეალიზდება სხვადასხვა სახის დანაშაულებრივი შეთანხმება. იმის გამო, რომ არ არსებობს ერთიანი კოლექტიური შეთანხმება, ან ერთიანი კოლექ-

[38] იხ. Abadinsky H., დასახ. ნაშრომი, გვ. 536.
[39] იხ. Nathan Irvin & Juster Kenneth, Law Enforcement Against International Terrorists: Use of the RICO Statute, 60 U. COLO. L. REV. 1989.p.564.

ტიური დანაშაულებრივი მიზანი, მთელი ჯგუფის პასუხისგებაში მიცემა რთულ ამოცანას წარმოადგენს. „შეუძლებელია, დამტკიცდეს ერთიანი შეთანხმება და ერთიანი დანაშაულებრივი მიზანი სრულიად სხვადასხვა დანაშაულზე და მათ ჩამდენ პირებზე, რომლებიც კონკრეტული დანაშაულის ჩადენაში ურთიერთკავშირში არ იმყოფებიან."[40]

„რიკოს" კანონმა მოხსნა ეს პრობლემა „ორგანიზაციული შეთანხმების" კონცეფციით. „ორგანიზაციული შეთანხმების" მიხედვით, ორგანიზაციის კრიმინალურ საქმიანობაზე პასუხისმგებელია მისი ყველა წევრი, არა აქვს მნიშვნელობა უშუალოდ იღებდა თუ არა იგი მონაწილეობას რეკეტული დანაშულის ჩადენაში. ამას გარდა, მნიშვნელობა არა აქვს იცოდა თუ არა პირმა ორგანიზაციის სხვა წევრების საქმიანობის შესახებ, ანდა ფლობდა თუ არა ინფორმაციას ორგანიზაციის საქმიანობის ყველა სფეროს შესახებ. „ორგანიზაციული შეთანხმების" კონცეფცია საშუალებას იძლევა, განვიხილოთ დანაშაულებრივი ორგანიზაცია როგორც ერთი მთლიანი და არა როგორც მისი ნაწილების ჯამი.[41]

5.2 ორგანიზებულ დანაშაულობასთან სისხლისსამართლებრივი საშუალებებით ბრძოლის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფისთვის

ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის ეფექტურად წარმართვის ინტერესებიდან გამომდინარე, გათვალისწინებული უნდა იქნეს სსკ-ის 27-ე მუხლში დანაშაულებრივი ორგანიზაციის (გაერთიანების) ცნება. აღნიშნული ცნების შემუშავებისას მიზანშეწონილია დავეყრდნოთ „რიკოს" „ორგანიზაციული შეთანხმების" ძირითად დებულებებს, განსაკუთრებით პასუხისმგებლობის საკითხის დადგენისას,

[40] იხ. Cormaney M. Rico in Russia: effective control of organized crime or anoter empty promise? Перевод М. Буряк, 2002 г. http://www.crime.vl.ru/docs/stats/stat_145.htm

[41] იხ. Cormaney M. დასახ. ნაშ.

რადგანაც ზუსტად პასუხისმგებლობის ფარგლების „რიკოსეული“ გადაწყვეტა იქცა ორგანიზებულ დანაშაულთა თავკაცების სამართლიანად დასჯის საფუძველად აშშ-ში.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 27-ე მუხლის მე-3 ნაწილისა და ამავე მუხლის შენიშვნის მიხედვით, ორგანიზებული დანაშაულის ცნებაში მოიაზრება როგორც ორგანიზებული ჯგუფი, ისე დანაშაულებრივი ორგანიზაცია. ანუ, მარტივად რომ ვთქვათ, ქართველმა კანონმდებელმა ეს ორი განსხვავებული მოვლენა ერთი ცნების ქვეშ მოაქცია და დანაშაულებრივი ორგანიზაციასა და ორგანიზებული ჯგუფს შორის, ტოლობის ნიშანი დასვა. აღნიშნული მიდგომა ვფიქრობთ არ არის მართებული, რადგანაც დანაშაულებრივი ორგანიზაცია გაცილებით უფრო რთული მოვლენაა, ვიდრე ორგანიზებული ჯგუფი. ერთ-ერთი უმთავრესი განმასხვავებელი ნიშანი მათ შორის არის ის, რომ დანაშაულებრივი ორგანიზაცია იქმნება მრავალი დანაშაულის ჩასადენად, ანუ მისი შექმნისას არსებობს კრიმინალური საქმიანობის მიზანი, მაშინ როდესაც ორგანიზებული ჯგუფი შეიძლება შეიქმნას ერთი დანაშაულის ჩასადენადაც[42]. დანაშაულებრივი ორგანიზაციის კრიმინალიზებულ სახედ ტრადიციულად „ბანდიტიზმს“ (სსკ-ის 224-ე მუხლი) მიიჩნევენ. „ბანდა“ (Banda) იტალიური წარმოშობის სიტყვაა და გამოიყენება მყარი[43] დანაშაულებრივი ჯგუფის აღსანიშნავად, რომელიც რამდენიმე დანაშაულის ჩასადენად იქმნება (იტალიური ტერმინის სინო-

[42] იხ. სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო, ავტორთა კოლექტივი, რედ.: გ.ნაჭყებია, ი. დვალიძე. გამომცემლობა „მერიდიანი“, თბ., 2007, გვ.225.

[43] იხ. ო. გამყრელიძე ცნებაში „სიმყარე“ ჯგუფის სრულტურული მახასიათებლის, ანუ წევრობის უწყვეტობის გარდა, მოიაზრებს მრავალი დანაშაულის ჩადენის მიზანსაც, ეს „სიმყარის“ ცნების ფართო გაგებაა. ვფიქრობთ, საქართველოს სსკ-ის კოდექის „სიმყარის“ ცნების ვიწრო გაგებას უნდა დაეყრდნოს, სადაც სიმყარის ცნებაში სტრუქტურული მახასიათებელი იქნება გათვალისწინებული, ხოლო დანაშაულებრივი საქმიანობის მიზანმა დამოუკიდებელ ასახვა უნდა ჰპოვოს.

ნიმებია: გერმანული — Die Bande და რუსული Шайка).[44]

„სისხლის სამართლის მეცნიერებამ კარგა ხანია, რაც შეიმუშავა დანაშაულებრივი ორგანიზაციის ცნება. დანაშაულებრივი ორგანიზაცია, რომლის ერთ-ერთ სახესაც შეიარაღებული ბანდა წარმოადგენს, ყოველგვარი სხვა დანაშაულებრივი დაჯგუფებისგან ერთი არსებითი ნიშნით განსხვავდება – ეს არის მყარი ჯგუფი."[45]

5.3 რუსეთის ფედერაციის გამოცდილება დანაშაულებრივი გაერთიანების (ორგანიზაციის) კრიმინალიზაციის საკითხში

ორგანიზებული დანაშაულობის კრიმინალიზაციისას გასათვალისწინებელია ის თეორიული და პრაქტიკული პრობლემები, რასაც რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსში „დანაშაულებრივი გაერთიანების (ორგანიზაციის) შექმნას" (რუსეთის ფედერაციის სსკ-ის 210-ე მუხლი) გათვალისწინებას ახლდა თან. აღნიშნული ნორმა ნოვაციას წარმოადგენს და „სისხლის სამართლის კოდექსში თეორეტიკოსების, პრაქტიკოსი მუშაკების და კანონმდებლებს შორის დიდი დავის შემდეგ იქნა გათვალისწინებული. ხანგრძლივი დროის განმავლობაში, მრავალი დაობდა იმ საკითხთან დაკავშირებით, რომ რამდენად მიზანშეწონილი და აუცილებელი იყო შემოღებულიყო დასჯადობა არა კონკრეტული დანაშაულებრივი ქმედებების გამო, არამედ მხოლოდ დანაშაულებრივი ორგანიზაციის შექმნის, ან მასში მონაწილეობისთვის. საიდუმლოს არავისთვის არ წარმოადგენს ის ფაქტი, რომ დღესდღეობით რუსეთში ყველაზე გავლენიანი დანაშაუ-

[44] იხ. ო. გამყრელიძე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ., 2005 გვ. 208.

[45] იხ. ისევ თვითმფრინავის გატაცების საქმის გამო. გაზეთი "ახალი საქართველო" 14-20 მაისი 1998.

ლებრივი გაერთიანებების, თუ ორგანიზაციების ლიდერები პირადად არ მონაწილეობენ კონკრეტულ დანაშაულებში და ამის გამო სისხლის სამართლის რეგულირების ფარგლებს გარეთ რჩებიან."[46] რუსეთის ფედერაციის სსკ-ის 210-ე მუხლის შემუშავებისას კანონმდებლის მიზანს შეადგენდა შეექმნა ისეთი ეფექტური ნორმა, რომელიც ორგანიზებულ დანაშაულთა წინააღმდეგ იქნებოდა მიმართული.[47]

რუსეთის ფედერაციის სსკ-ის „210-ე მუხლის მიხედვით შემადგენლობის ობიექტური მხარე გამოიხატება:

1. მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების ჩადენის მიზნით დანაშაულებრივი გაერთიანების ან ორგანიზაციის შექმნაში;
2. აღნიშნული დანაშაულებრივი გაერთიანების (ორგანიზაციის), ან მასში შემავალი სტრუქტურული ერთეულების ხელმძღვანელობაში;
3. მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების ჩასადენად გეგმების შემუშავებისა და პირობების შექმნის მიზნით დანაშაულებრივი ჯგუფების ორგანიზატორების, ხელმძღვანელების, ან სხვა წარმომადგენლების გაერთიანების შექმნაში;
4. დანაშაულებრივ გაერთიანებაში მონაწილეობაში;
5. ორგანიზებული ჯგუფების ორგანიზატორების, ხელმძღვანელების და წარმომადგენლების გაერთიანებაში;
6. სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით ზემოჩამოთვლილი ქმედებების განხორციელებაში".[48]

---

[46] იხ. В.А. Номоконов, Ю.Б Мельников, Какой должна быть политика в области борьбы с организованной преступностью? Дальневосток . 2002 г. с. 5.

[47] იხ. Комментарий к Уголовному кодексу Российской Федерации. Под. общ. ред. Скуратова Ю.И. Лебедева В.М. М. 1999 с. 510.

[48] იხ. Уголовное право. Особенная часть. Коллектив авторов. Изд. Норма М. 2000 с. 381.

როგორც კრიტიკოსები აღნიშნავენ, მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულის ჩადენის მიზანმა რუსეთის ფედერაციის სსკ-ის 210-ე მუხლი „მკვდარ" შემადგენლობად აქცია.[49] ორი ან მეტი პირის გაერთიანება მძიმე ან განსაკუთრებით მძიმე დანაშაულების ჩადენის მიზნით ისედაც დასჯადია, რადგანაც დანაშაულის მომზადებად ითვლება. ამ ლოგიკით 210-ე მუხლის რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსში შემოტანა საერთოდ უსაგნო გამოდის. როგორც მართებულად აღნიშნავს ა. დოლგოვა, „ახალ კოდექსში ისევ გამოვლინდა ძველებური მიდგომა, რაც, რბილად რომ ვთქვათ, ორგანიზებული დანაშაულის ფენომენის შეუსწავლელობის ბრალია."[50]

„რუსეთის სისხლის სამართლის კოდექსის მიღების შემდეგ, თუკი დანაშაულებრივ ჯგუფში ორგანიზებულობის მცირე ნიშნები მაინც შეინიშნებოდა, ბრალდება ცდილობდა გამოეყენებინა რუსეთის ფედერაციის სსკ-ის 210-ე მუხლი. სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა გახმაურებული გამამართლებელი განაჩენების შემდეგ. დღესდღეობით სამართალდამცავები ცდილობენ ჯგუფური დანაშაულობის ზოგადი ნორმების გამოყენებას და ყველანაირად თავს არიდებენ 210-ე მუხლს. ამგვარი ტენდენციის გაგრძელების შემთხვევაში აღნიშნული ნორმის „მკვდარ შემადგენლობად" გადაქცევის საფრთხე იქმნება."[51] რუსეთის ფედერაციის სსკ-ის 210-ე მუხლით აღძრული საქმეების სტატისტიკა მართლაც შე-

[49] იხ. Номоконов В.А. Мельников Ю.Б, Какой должна быть политика в области борьбы с организованной преступностью? Дальневосток . 2002 г. с 6.

[50] იხ. Долгова А.И. Криминальная ситуация в России и правовые проблемы борьбы с организованной преступностью, Преступность и законодательство. М,. 1997. С. 53.

[51] იხ. Брсоян, В. А. Крюков А. А., Уголовно-правовые меры борьбы с организованной преступностью. Сибирский Юридический Вестник. 2004. № 3. http://web1.law.edu.ru/magazine/sibvestnik/article.asp?magNum=3&magYear=2004&articleID=1183199, 2007

მაშფოთებელია: 1997 წლის განმავლობაში მთელი რუსეთის მასშტაბით აღძრულ იქნა მხოლოდ 48 სისხლის სამართლის საქმე, რომელთაგან მხოლოდ 9 დამთავრდა გამამტყუნებელი განაჩენით. 1998 წელს აღიძრა 160 სისხლის სამართლის საქმე, რომელთაგანაც მხოლოდ ერთი დამთავრდა გამამტყუნებელი განაჩენით.[52]

5.4 საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით რეგლამენტირებული ორგანიზებული ჯგუფის სუბიექტური მხარის კრიტიკული ანალიზი

აღსანიშნავია, რომ სსკ-ის 27-ე მუხლის მესამე ნაწილში მითითებული: პირდაპირ ან არაპირდაპირ ფინანსური ან სხვა მატერიალური სარგებლის უკანონოდ მიღების მიზანი უსაფუძვლოდ ზღუდავს ნორმის მოქმედების ფარგლებს. როგორც წესი, უმრავლეს შემთხვევებში ორგანიზებული ჯგუფის მოქმედება მართლაც დაკავშირებულია უკანონოდ მატერიალური სიკეთის მიღების მიზანთან, მაგრამ ამ წესიდან გამონაკლისებიც არსებობს. მაგალითად, შეიძლება ტერორისტული აქტი (სსკ-ის 323-ე მუხლი) ან საბოტაჟი (სსკ-ის 318-ე მუხლი) ჩაიდინოს ორგანიზებულმა ჯგუფმა, რომელიც ეთნიკურ-სეპარატისტულ იდეოლოგიურ პლატფორმაზე მოქმედებს და რომელსაც სარგებლის მიღების მიზანი არ გააჩნია. სსკ-ის 27-ე მუხლის მე-3 ნაწილის მიხედვით, მსგავსი ჯგუფი ორგანიზებულად ვერ ჩაითვლება უკანონო სარგებლის მიღების მიზნის არარსებობის გამო, რაც სრულიად ალოგიკურ ვითარებაში გვაყენებს. როგორც ზემოაღნიშნულმა, რუსეთის ფედერაციის „მწარე" გამოცდილებამ გვაჩვენა, სარისკოა ორგანიზებული დანაშაულის ცნების შეზღუდვა კონკრეტუ-

[52] იხ. Kruessmann T. Organised Crime Policies: Russia, 2003. Перевод Буряк М. http://www.crime.vl.ru/docs/stats/stat_84.htm, 2007

ლი მიზნით. მიზანი, ორგანიზებულ დანაშაულებრიობასთან დაკავშირებით, შეიძლება იყოს მხოლოდ ზოგადად დანაშაულებრივი საქმიანობა. ორგანიზებული დანაშაულის ცნების მკაცრ ჩარჩოებში მოქცევა თავის დროზე არ ისურვა, ასევე, შეერთებული შტატების კანონმდებელმაც, შემოიფარგლა რა „რიკოს“ კანონში ზოგადი ტერმინებით.[53]

[53] იხილეთ ზემოთ თავისუფალი ინტერპრეტაციის კონცეფცია.

მეხუთე კარი

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია



http://www.indiatalkies.com/2011/01/money-laundering-charges-filed-exministers.html

სამართლის დოქტორი
გოჩა მამულაშვილი

§ 1. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია როგორც ორგანიზებული დანაშაულის გამოვლენის ფორმა და თანამედროვეობის გლობალური პრობლემა

„ჭუჭყიანი" ფული ორგანიზებული დანაშაულის მამოძრავებელი ძალაა, ფულის გარეცხვის პრობლემის აღმოცენება პირდაპირ დაკავშირებულია ორგანიზებულ დამნაშავეობასთან. სწორედ ამიტომ ფულის გარეცხვასთან ბრძოლა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ბერკეტია ორგანიზებულ დამნაშავეობასთან საბრძოლველად. შემთხვევითი არაა რომ სამართალდამცავთა ძალისხმევა პირველ რიგში მიმართულია საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულობის ფინანსურად განადგურებაზე და არა უბრალოდ მათი უკანონო საქმიანობის გამოვლენაზე, მაგალითისთვის, ნარკობარონი ადვილად მოახერხებს კონფისკებული ნარკოტიკის პარტიის ახლით შეცვლას (შევსებას), მაგრამ გაცილებით გაუჭირდება ჩამორთმეული აქტივების (შემოსავლების) ახლით შევსება. დღესდღეობით ფულის გათეთრებამ ისეთ მასშტაბებს მიაღწია, რომ ფინანსური და ეკონომიკური რყევების წყაროდ შეიძლება გადაიქცეს ნებისმიერი სახელმწიფოსთვის. ორგანიზებულ დამნაშავეობას შეუძლია კოლოსალური ფულადი საშუალებების მობილიზებით ზეგავლენა მოახდინოს სავალუტო კურსზე, საფონდო ბირჟებზე და აქედან გამომდინარე ამა თუ იმ ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკაზეც.

მაშასადამე, ფულის გათეთრება ორგანიზებული დანაშაულობის ერთ-ერთი ძირითადი ელემენტია, რადგან დანაშაუ-

ლებრივმა ორგანიზაციებმა კრიმინალური შემოსავლები გამოსაყენებლად ვარგის რესურსებად უნდა გარდაქმნან, რამეთუ შემოსავალი, რომელსაც ვერ დახარჯავ შემოსავლად არ ითვლება. გათეთრების შედეგად დანაშაულებრივ შემოსავლებს კანონიერი საშუალებების რესპექტაბელური სახე ეძლევა, რათა ის შემდგომში ჩაიდოს (განთავსდეს) ლეგალურ ეკონომიკაში და ფინანსურ ინსტიტუტებში. კრიმინალურ სამყაროს შესაძლებლობა ეძლევა ფორმალურად კანონიერ საფუძველზე გამოიყენოს უკანონო ოპერაციებით მიღებული შემოსავლები და ამით გააფართოვოს და ლეგალიზებული გახადოს თავისი საქმიანობა. ეს, თავის მხრივ, იწვევს კრიმინალური სტრუქტურების პოლიტიკური გავლენის ზრდას, წინააღმდეგობას რეგულირების სისტემის განმტკიცებისდმი. იზრდება კორუფცია სახელმწიფო სექტორში და სამართალდარღვევები ფინანსურ სფეროში. გათეთრების ოპერაციაში ჩართული დიდი ოდენობის „შავი კაპიტალი" ძირს უთხრის ფინანსური ბაზრების სიმყარეს. უკონტროლო ფულადი მასის ბრუნვაში ჩაბმა სტიმულს აძლევს ინფლაციას. ამგვარად, უკანონო საქმიანობის შედეგად მიღებული დიდი ფულადი მასა ყოველთვის მომაკვდინებლად აისახება როგორც ქვეყნის შიდა, ისე საერთაშორისო ეკონომიკურ სისტემებზე.

ჭუჭყიანი ფული საფრთხეს უქმნის კონკურენტულ გარემოსაც. ის დამატებით რისკებს და ხარჯებს ქმნის ლეგალური ბიზნესისთვის. თავისუფალი ეკონომიკური კონკურენცია სერიოზულად ირღვევა, როცა საქმიანი წრეების წარმომადგენლები თავიანთ ოპერაციებს აფინანსებენ არალეგალური წყაროებით. საბაზრო კონკურენციის ნორმები მნიშვნელოვნად მახინჯდება მცირე ჯგუფების (მაფიოზური ან არამაფიოზური საქმიანი წრეების) სასარგებლოდ და მთელი კოლექტიური ჯგუფის (ლეგალური მეწარმეების) საზიანოდ. ეს კი არა მარტო ეკონომიკაზე, არამედ მთელ სოციალურ სინამდვილეზეც აისახება.

გაერო გლობალიზაციის ერთ-ერთ ტენდენციად გამოყოფს მსოფლიო ეკონომიკის ინტეგრაციას, რაც განაპირობებს ცვლილებებს საერთაშორისო დამნაშავეობაშიც.

მსოფლიო ეკონომიკის ინტეგრაციამ წარმოშვა საერთაშორისო ფინანსების გლობალიზაცია და ამის შედეგად ოფშორული ბაზრების განვითარება, რამაც, ერთის მხრივ, ხელი შეუწყო საერთაშორისო ვაჭრობის განვითარებას და ინვესტირების პროცესს, მაგრამ, მეორე მხრივ, წარმოშვა გლობალური მსოფლიო სისტემა ჩრდილოვანი ეკონომიკისა, რომელიც ოფშორულ ზონებში გადასახადებით არ იბეგრება. ფინანსური გლობალიზაციის არსი მდგომარეობს იმაში, რომ საერთაშორისო საფინანსო კომპიუტერულ ქსელში არაჩვეულებრივად გაადვილდა უზარმაზარი ფულადი თანხების დედამიწის ერთ კუთხიდან მეორეში გადასროლა. ამ ტრანზაქციების ყოველდღიური მოცულობა ერთ ტრილიონ დოლარს აღწევს. შედეგად ხდება ფინანსური ნაკადების მზარდი დაშორება რეალური ვაჭრობისა და წარმოების მოცულობისგან. რეგიონული და დარგობრივი ფინანსური ბაზრების გაერთიანება ერთიან მსოფლიო ფინანსურ ბაზარში, წარმოშობს საფინანსო სფეროში გლობალურ მონოპოლიებს, რომელთაც არნახული ზენაციონალური ძალაუფლება აქვთ მსოფლიო ბაზრებზე. ხშირად ასეთი ზენაციონალური კომერციული კონგლომერატები წყვეტენ ამა თუ იმ ნაციონალური ეკონომიკის კეთილდღეობას, რომელთა სათავეში არცთუ იშვიათად ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულებრივი საზოგადოებების ლიდერები არიან. კაპიტალის მოძრაობის სისწრაფე თანამედროვე გლობალურ საფინანსო ბაზარზე უტოლდება ინფორმაციის მოძრაობის სისწრაფეს და ბუნებრივია ბევრად აჭარბებს ამ პროცესების გააზრების სისწრაფეს. ტრილიონობით დოლარი „ცხელი" ფულის დარტყმის ძალას ნებისმიერი ნაციონალური ეკონომიკის გადატრიალება შეუძლია.[1]

[1] ვ. ოვჩინსკი, 21-ე საუკუნე მაფიის წინააღმდეგ, რუს. ენაზე, მ., 2000, გვ. 18-20.

ამგვარად, ფულის გათეთრების მასშტაბების გაფართოებას ხელი შეუწყო ეკონომიკის გლობალიზაციამ. ამავე დროს, ბერლინის კედლის დანგრევამ და კომუნისტური რეჟიმის დასრულებამ ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპაში დააჩქარა მსოფლიო ეკონომიკის გარდაქმნის პროცესი. პოსტკომუნისტურმა ქვეყნებმა, რომლებიც მანამდე დახურული იყო საერთაშორისო ფინანსური ურთიერთობებისთვის, შეცვალეს თავისი კანონმდებლობა ლიბერალური მიმართულებით და კარი გაუღეს საბაზრო ეკონომიკის პრინციპებს უცხოურ კაპიტალდაბანდებათა სტიმულირებისთვის. ერთი სოციალურ-ეკონომიკური სისტემიდან მეორეზე სწრაფმა და მტკივნეულმა გადასვლამ გამოიწვია მძიმე შედეგები, ქაოსი, წარმოების დაცემა, სიღარიბის, დამნაშავეობის და კორუფციის ზრდა. ამ ქვეყნებმა ვერ მოასწრეს ეკონომიკისა და საზოგადოების დაცვის მექანიზმების შექმნა. ამან ყველაფერმა ხელი შეუწყო ეკონომიკური დამნაშავეობის განვითარებას.

ექსპერტების შეფასებით, ბოლო წლებში ფულის გათეთრების დივერსიფიკაციას ხელი შეუწყო ისეთმა ფაქტორებმა, როგორიცაა: ფულადი საშუალებების ბრუნვის გაადვილება, ერთი ქვეყნიდან მეორეში დიდი ოდენობით კაპიტალის თავისუფლად გადაყვანის შესაძლებლობა, ზოგიერთი მთავრობის მიერ უცხოური ინვესტიციების სტიმულირების და სავაჭრო ოპერაციების ლიბერალიზაციის პოლიტიკა, სათანადო იურიდიული ბაზის არ არსებობა, დანაშაულებრივი ორგანიზაციების უფრო ეფექტური მოქმედება მაღალკვალიფიციური ფინანსური კონსულტაციების გამოყენებით. კერძოდ, ფულის გათეთრებაში ჩართულ ორგანიზებულ დამნაშავეებს ჰყავთ მაღალკვალიფიციური მრჩევლები (gate keeper — კარების დარაჯი), რომლებიც რჩევებს აძლევენ მათ ფულის გარეცხვის ტექნოლოგიებზე, ისინი იგონებენ ეკონომიკური საქმიანობის ისეთ სქემებს (მოდელებს), რომლითაც ინიღბება კაპიტალის უკანონო გადაადგილება.

ამგვარად, ევროპული თანამეგობრობის ფარგლებში 1992 წლიდან მოხდა მთელი ეკონომიკური და ფინანსური საქმიანობის საერთო ლიბერალიზაცია, კაპიტალის გადაადგილების ჩათვლით. ამან დანაშაულებრივ ორგანიზაციებსაც გაუმარტივა საქმიანობა უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციისთვის. საბჭოთა კავშირის დაშლა და მაასტრიხტის ხელშეკრულება ისტორიული მოვლენებია, რომლებმაც დიდი წვლილი შეიტანეს მსოფლიო ეკონომიკის შეცვლაში, რომლის შედეგებით ორგანიზებული დამნაშავეობაც სარგებლობს.

ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის (FATF) მონაცემებით, ყოველწლიურად მსოფლიოში ირეცხება 500 მილიარდიდან 1,5 ტრილიონ აშშ დოლარამდე. ეს სრულიად საკმარისია მრავალი ქვეყნის ეკონომიკური სისტემის დასანგრევად, აღარაფერს ვამბობთ იმაზე, რომ „ჭუჭყიანი" ფული საერთაშორისო ტერორიზმის ფინანსური ბაზაა, რადგან, ძლიერი ფინანსური უზრუნველყოფის გარეშე დიდი ტერორისტული აქტები შეუძლებელია. სწორედ ამიტომაც ფულის გათეთრება XXI საუკუნის ერთ-ერთ საშიშ საფრთხედ ითვლება და მასთან ბრძოლა საერთაშორისო თანამეგობრობის განსაკუთრებული ზრუნვის საგნადაა ქცეული. ამ საფრთხიდან გამომდინარე მსოფლიო თანამეგობრობამ არაერთი სპეციალური კონვენცია მიიღო ფულის გარეცხვის ყველა ფორმის წინააღმდეგ საბრძოლველად, რაზეც ქვემოთ გვექნება მსჯელობა.

§ 2. ფულის გათეთრების გენეზისი, ხელშემწყობი პირობები და ფაქტორები

ექსპერტების ვარაუდით, თანამედროვე გაგებით ფულის გარეცხვის ისტორია იწყება 1920-იანი წლებიდან, როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში მშრალი კანონის ამოქმედებით მკვეთრად გაიზარდა ორგანიზებული დამნაშავეობა. სახელ-

დობრ, აშშ ე.წ. „მშრალი კანონი“ კრძალავდა ალკოჰოლური სასმელების თავისუფალ ბრუნვას, რამაც სათავე დაუდო ალკოჰოლის მასობრივ კონტრაბანდას (ბუტლეგერობა). ამგვარი საქმიანობით მიღებული ფული იდებოდა მთელი ქვეყნის მასშტაბით სამრეცხაოების ქსელის განვითარებაში, რომელთა ანგარიშებიდან მიღებული შემოსავალი უკვე ლეგალურად გამოიყურებოდა. სწორედ მაშინ „ჭუჭყიანი“ ფულის ლეგალიზაციის ამ ხერხს „გარეცხვა“ უწოდეს, რაც ხატოვნად გადმოსცემდა არალეგალურად მიღებული ფულის ლეგალურად გარდაქმნის პროცესის არსს. უფრო დაკონკრეტებული ვერსიით, ცნობილმა ამერიკელმა განგსტერმა ალფონსო კაპონემ მე-20 საუკუნის 30-იან წლებში ჩიკაგოს ტერიტორიაზე შექმნა სამრეცხაო აპარატების ქსელი, რომელის ანგარიშებზეც რეცხავდა რეკეტით, აზარტული თამაშებით და პროსტიტუციით ნაშოვნ ფულს. თითქოსდა ინგლისურ ვარიანტში ფულის ლეგალიზება (გათეთრება) იწოდება გარეცხვად, სწორედ აქედან იღებს ეს ტერმინი (money laundering) სათავეს. არავინ იცის რამდენად შეესაბამება სიმართლეს ეს მახვილგონივრული ისტორია, თუმცა, ეს ტერმინი მართლაც ზუსტად გამოხატავს ფულის გათეთრების პროცესის არსს. პროცესის დასაწყისში თამაშში შედის ჭუჭყიანი ფული რომელიც ტექნოლოგიური დამუშავების რიგი სტადიების გავლის შემდეგ „სუფთა“ ხდება.

აღსანიშნავია, რომ ექსპერტები ფულის გარეცხვის „ნათლიმამად“ პოლონური წარმოშობის ნიუ-იორკელ მეიერ ლანსკის თვლიან, დღეისთვის ფულის გარეცხვის ცნობილი ხერხების უმრავლესობას მას მიაწერენ. თავისი კრიმინალური ტალანტის წყალობით, იგი მსოფლიოში ერთ-ერთი უდიდესი მაფიოზური სინდიკატის მეთაური გახდა.

ტერმინი „ფულის გარეცხვა“ პირველად პრესაში 1973 წელს გამოჩნდა, აშშ პრეზიდენტ რ. ნიქსონთან დაკავშირებული უოტერგეიტის სკანდალის დროს. კერძოდ, საპრეზიდენტო

საარჩევნო კამპანია ფინანსდებოდა ანონიმური შემოწირულობებით, რომლებიც, როგორც გვიან გაირკვა, ცრუმაგიერი კომპანიებიდან შესული გარეცხილი ფული იყო. თუმცა მაშინ ფულის გარეცხვა არსად დანაშაულად არ ითვლებოდა.

1980-იანი წლებიდან აშშ-ში არალეგალურად მიღებული შავი ფულის ლეგალურად გარდაქმნის პროცესი იწოდება ფულის გათეთრებად. მისი დეფინიცია ეფუძნება ორგანიზებული დანაშაულის შესახებ აშშ საპრეზიდენტო კომისიის მიერ 1984 წელს გაკეთებულ განმარტებას, რომლის მიხედვით, ფულის გარეცხვა ეს არის პროცესი, რომლის მეშვეობითაც იფარება უკანონო შემოსავლის არსებობა, წარმოშობა ან გამოყენება და შემდეგ ეს შემოსავლები ინიღბება იმგვარად, თითქოს მას კანონიერი წარმომავლობა ჰქონდეს.

აშშ სენატის საერთაშორისო ურთიერთობების კომიტეტმა და ნარკოტიკებსა და ტერორიზმთან ბრძოლის ქვეკომიტეტმა ფულის გარეცხვის მთელი პროცესი სამ ძირითად სტადიად დაყო:

1. ნაღდი ვალუტის მიღება, კონსოლიდაცია და განთავსება. ნაღდი ფულის ლეგალურ ბრუნვაში შესაყვანად დამნაშავე იძულებულია გამოიყენოს საბანკო ანგარიშები, საფოსტო გზავნილები, სამგზავრო ჩეკები და სხვა ინსტრუმენტები ნაღდი ვალუტის საბანკო სისტემაში ჩასანერგად.
2. კონსერვაცია – ამ ეტაპზე ფულის „მრეცხავები" ფულად საშუალებებს აშორებენ დანაშაულებრივი წარმოშობის წყაროს. ამ მიზნით ფულის გადასაადგილებლად, ისინი იყენებენ საბანკო ანგარიშების და კომპანიების მაქსიმალურ რაოდენობას. იხლართება ფინანსური ტრანსაქციების რთული ქსელი, რომლის ძირითადი ამოცანაა ფინანსური ანგარიშგების ნებისმიერი კვალის წაშლა.
3. გარეცხილი საშუალებების რეპატრიაცია ან ინტეგრაცია ლეგალურ ორგანიზაციებში – ფული მიმოქცევაში

ბრუნდება სუფთა და ხშირად გადასახადით დასაბეგრი შემოსავლის ფორმით. რაც უფრო ნაკლებია თანხა, მით უფრო სწრაფია ეს პროცესი.[2]

როგორც ვხედავთ, ფულის გარეცხვა — ეს არის პროცესი, მოქმედებათა სერია, რომელიც მიზნად ისახავს უკანონო წარმომავლობის ფულის ან სხვა შემოსავლის ფინანსურ ბაზარზე დაბრუნებას, შემოსავლის კანონიერად წარმოჩენას. ეს პროცესი შეიძლება ერთ ქვეყანაში განხორციელდეს, შესაძლოა რამდენიმე ქვეყნის ტერიტორიაზეც. უკანონო კაპიტალის გათეთრებისკენ მიმართული მოქმედებები სხვადასხვა ტექნოლოგიების (სქემების) მეშვეობით ხორციელდება.

ფულის გარეცხვის კლასიკური სქემები მოიცავენ ნაღდი ფულით ოპერაციების განხორციელებას, საბანკო და სხვა ფინანსური ინსტიტუტების მომსახურების ბოროტად გამოყენებას, ოპერაციებს ძვირადღირებული მოძრავი და უძრავი ქონებით, აზარტულ თამაშებს. ბოლო დროს ამ სქემაში ფართოდ ჩაერთო ოფშორული ფინანსური კომპანიები, ინტერნეტის ქსელი, ფულადი საშუალებების გადაყვანის არასაბანკო სისტემა, საქონლით და მომსახურებით საერთაშორისო ვაჭრობა. ფულის გარეცხვის მეთოდები უამრავია. ყველაზე მარტივი სქემა პირდაპირ შემოსავლის მიღების ადგილას ხორციელდება. მაგალითად, დამნაშავე შავი ფულით ყიდულობს აზარტულ თამაშში (ვთქვათ, დოღი) ან ლატარიაში მოგებულ ბილეთს მისი მფლობელისგან, ხოლო შემდეგ წარადგენს ამ ბილეთს ასანაზღაურებლად. ამ გზით მიღებული თანხა უკვე კანონიერი შემოსავალია. ასეთი სქემა ვარგისია ერთჯერადი (ან ეპიზოდური) ლეგალიზებისთვის. უწყვეტი დანაშაულებრივი შემოსავლების მუდმივი გარეცხვისთვის სქემაში ერთვებიან ისეთი დაწესებულებები, რომელთაც ნაღდ ფულთან აქვთ საქმე – ბარები და რესტორნები, ავტოსამრეცხაოები, სხვადასხვა სახის გაქირავების

[2] Кордобовская М., Грязные деньги века // offshore express.—2005. —N 5(29). _ с. 16-22.

პუნქტები და სხვა. პრინციპი ერთია – უკანონო ფული ერთიანდება კანონიერ მოგებასთან და აღირიცხება, როგორც კანონიერად მოქმედი საწარმოს საერთო შემოსავალი.

თუ დამნაშავე თავის ქვეყანაში საეჭვო შემოსავლების გამოჩენას ვერ ახერხებს, ფულის გასარეცხად საზღვარგარეთ მოქმედებს. ამ შემთხვევაში მან პირველ რიგში უნდა გაიტანოს ფული მისი წარმოშობის ქვეყნიდან. ოფიციალური საბანკო სისტემის გვერდის ავლით ეს შესაძლებელია ფულის ფიზიკური გადატანით, ოქროსა და ძვირფასი ქვების შეძენით და კონტრაბანდით, თუმცა ეს სარისკოა, რადგან საბაჟო კონტროლია გასავლელი. მაგრამ გამოსავალი აქაც არის, არსებობს პროფესიონალ კურიერთა ფირმები, რომლებიც ნაღდ ფულს დედამიწის ნებისმიერ კუთხეში მიიტანენ.

„ჭუჭყიანი" კაპიტალის საზღვარგარეთ გასატანად ზოგჯერ მისი ფიზიკურად გადაადგილება სულაც არაა საჭირო, კერძოდ, ფართო გავრცელება პოვა ურთიერთჩათვლების მექანიზმმა. ეს სქემა იატაკქვეშა ბანკების სისტემის საფუძველია, რომლებიც სოკოებივით მრავლდება ნაციონალური დიასპორების განვითარებასთან დაკავშირებით. თუ დამნაშავეს დასჭირდება ფულის გადატანა თავისი ქვეყნიდან საზღვარგარეთ, იგი მიმართავს იატაკქვეშა ბანკს და შეაქვს თანხა. იატაკქვეშა ბანკი აგზავნის კოდირებულ შეტყობინებას თავის კორესპონდენტ ბანკთან საზღვარგარეთ, შესაბამისი თანხის ჩარიცხვის შესახებ კლიენტის საზღვარგარეთულ საბანკო ანგარიშზე (საკომისიოს გამოკლებით). ამასთანავე, ფაქტობრივად ფული არსად არ გადაადგილდება. როცა ვინმეს ფულის გადატანა კლიენტის ქვეყანაში დასჭირდება, სწორედ მაშინ მოხდება ფულადი თანხების ურთიერთჩათვლა. ასეთი ოპერაციის გაკონტროლება პრაქტიკულად შეუძლებელია. მისი საიდუმლოება გამყარებულია ოჯახური კავშირებითა და ნდობით, რაც არსებობს საზღვარგარეთ მცხოვრები ნაციონალური დიასპორის (თემების) წარმომადგენლებს შორის.

იატაკქვეშა საბანკო საქმიანობა აზიაში წარმოიშვა. ეს სისტემა გვერდს უვლის ლეგალურ საბანკო პროცედურებს. ასეთი საბანკო სისტემისკენ კლიენტებს უბიძგებს სხვადასხვა მიზეზები: ეს, ერთი მხრივ, საზოგადოებისთვის მისაღები მომსახურებაა, მაგალითად: ღარიბ ქვეყნებში მცხოვრები ნათესავებისთვის უმნიშვნელო თანხების გადაყვანისას საგადასახადო მოსაკრებლის გვერდის ავლით, მაგრამ, მეორე მხრივ, ეს აბსოლუტურად დანაშაულებრივი საქმიანობაა, მაგალითად ნარკოტრეფიკის ან ტერორიზმის დაფინანსების დროს.

იატაკქვეშა საბანკო სისტემა სხვადასხვა სახელითაა ცნობილი, მაგალითად, ჩინელებისთვის როგორც საბანკო სისტემა „chop chop," ინდოეთის სუბკონტინენტზე – როგორც სისტემა „Chiti," „Hundi" და „Hawalla." ლათინოამერიკელებისთვის „Stash House." ემიგრაციის გამოისობით ამ ტერმინმა ფართო გავრცელება მიიღო ჩრდილოეთ ამერიკაშიც. იატაკქვეშა საბანკო სისტემას საფუძვლად უდევს ნდობა, მის გარეშე ის დაინგრევა. ტერმინი „Hawalla" (გადასახლება) ნიშნავს ორგანიზებულ იატაკქვეშა საბანკო სისტემას, რომელიც მოქმედებს საერთაშორისო დონეზე და დაფუძნებულია ემიგრანტებისა და ვაჭრების მიერ, რომლებიც გადასახლდნენ სხვა ქვეყნებში. იატაკქვეშა ბანკები ახორციელებენ როგორც არალეგალური ვაჭრობით დაგროვილი ფულადი თანხების გადაგზავნას, ასევე დანაშაულებრივი საქმიანობით მიღებული, ანდა უკანონო სავაჭრო ოპერაციებისთვის განკუთვნილი მნიშვნელოვანი კაპიტალის გადაყვანას სხვა ქვეყანაში მოსყიდვის, ან იძულების საფუძველზე. ჰავალას სისტემა საკმაოდ ოპერატიულია და მისი მუშაობის წესი არსებითად ემთხვევა ფინანსური ოპერაციების განხორციელების წესს ფულის გარეცხვის დროს. ჰავალას ბანკირები ახორციელებენ როგორც ფულადი თანხის პირდაპირ გადაყვანას, ასევე კომერციულ ოპერაციებს, გასცემენ ფულად სესხებს და სხვა.[3]

[3] Освальдо кукуцца, Отмывание денег и мировая экономика, в сборнике ГЕОЭКОНОМИКА, Перевод с итал, Карло Жан, Паоло Савона,

ამგვარად, იატაკქვეშა საბანკო სისტემა ჭუჭყიანი ფულის გარეცხვის ერთერთი ხელშემწყობი ფაქტორია.

დანაშაულებრივი გზით მიღებული ფულადი აქტივების გადასაყვანად, ცხადია, გამოიყენება ოფიციალური საბანკო სისტემაც. ორგანიზებული დანაშაულებრივი საქმიანობით მიღებული კაპიტალის დიდი მოცულობა საბანკო სისტემას გვერდს ვერ აუვლის ფულის გარეცხვის თვალსაზრისით. ნაღდი ფული ბანკებში სხვადასხვა ხერხით ხვდება. საბანკო ჩეკების მარტივი შეძენიდან გადადიან მიმდინარე ანგარიშების ან შემნახველი ანაბრების გახსნაზე (ძირითადად წარმომდგენზე). ამ უკანასკნელ შემთხვევაში სიფრთხილის მეტი ზომებია დასაცავი, რადგან დიდი თანხების დეპონირება შეუმჩნეველი არ რჩება. ქვეყნების უმრავლესობის საბანკო სისტემა დიდი თანხების დეპონირებასთან დაკავშირებულ ოპერაციებს (გარიგებებს) ყურადღებით აანალიზებს. მაგრამ დამნაშავეები აქაც პოულობენ გამოსავალს, კერძოდ, შესაძლებელია ნაღდი ფულის გადაყვანა ჩეკებში, ოფიციალური თუ არაოფიციალური ფირმების მეშვეობით მსხვილი თანხების დანაწევრება (სტრუქტურირების მექანიზმი), გარიგების ანონიმურობის გარანტიის მიღება, ბანკის მოსამსახურეთა მოსყიდვა. ახლა ხშირად მიმართავენ ცრუმაგიერი ფირმების შექმნას. ასეთ ფირმებს შეუძლიათ არა მარტო დაასაბუთონ დიდი ოდენობის ნაღდი ფულის დეპონირების აუცილებლობა, არამედ გაამართლონ ამ თანხების საზღვარგარეთ გადაყვანის აუცილებლობა.

როგორც კი, ფული საზღვარგარეთ აღმოჩნდება, იწყება ფულის გათეთრების მომდევნო ეტაპი. გამოცდილი კრიმინალები აფუძნებენ ოფშორულ კომპანიებს, რომლებიც ფულის გათეთრებისთვის საუკეთესო პირობებით სარგებლობენ. ფულის გარეცხვის ზოგიერთი სპეციალისტი ხსნის საკუთარ

M. 1997; Анатолий Судоплатов, Экономическая безопасность//Статус-кво-2003; N1, c.42-49.

ბანკს (არის ქვეყნები, სადაც ეს მარტივი პროცედურაა), გაატარებს ფულს ამ ბანკში, შემდგომ გადაიყვანს სხვა ბანკში და მაშინვე დახურავს მას, ან ფინანსურ ოპერაციასთან დაკავშირებულ ყველა დოკუმენტს გაანადგურებს.

ფულის გარეცხვის საუკეთესო ხერხად მიიჩნევენ მის გატარებას ისეთ ბიზნესში, სადაც ნაღდი ვალუტა აბსოლუტურად ლეგალურია და ანგარიშსწორების ტრადიციული საშუალებაა. მაგალითად, ანტიკვარიატით ვაჭრობა, სწრაფი კვების საწარმოები, ბარები, რესტორნები და კაზინო.

ფინანსურ წრეებში ფიქრობენ, რომ ოფიციალურ არხებში გამავალი ჭუჭყიანი ფული საერთო თანხის შედარებით მცირე ნაწილს შეადგენს. მაგალითად, სპეციალისტები თვლიან, რომ საქართველოში ფულადი მასის 80% საბანკო სისტემის გარეთ ბრუნავს. აქედან გამომდინარე, არასაბანკო სექტორში ფულის გათეთრების მაღალი რისკი არსებობს. ამ რისკს ამაღლებს დიდი ოდენობით ნაღდი ფულის ბრუნვა. შეზღუდვების არ არსებობა ნაღდი ფულის ბრუნვაზე, კრიმინალური წარმომავლობის დიდი ოდენობის თანხების კონვერტაციის შესაძლებლობას იძლევა.

ფულის გარეცხვისთვის არანაკლები შესაძლებლობები აქვს არასაბანკო ფინანსური მომსახურების ბაზარს. მაგალითად, მსოფლიო ბანკის მონაცემებით, უკრაინის სადაზღვევო ბაზარზე ოპერაციების დიდ ნაწილს არაფერი აქვს საერთო დაზღვევასთან და მოქნილი ინსტრუმენტია ან გადასახადისათვის თავის ასარიდებლად, ანდა იგივე ფულის გათეთრებისთვის (მაგალითად, საზღვარგარეთ გადაზღვევის მეშვეობით).[4]
სულ ახლახანს, 2011 წლის თებერვალში, სერიოზულ ეკონომიკურ დანაშაულში ამხილეს ქართული სადაზღვევო სისტემაც, კერძოდ, ჯანდაცვის დაზღვევის სექტორი,

[4] Дмитрий Горюнов; Большая стирка; Последствия борьбы с отмыванием денег в Украине скорее негативны. 6/12 2002. http://bin.ua/news/finance/finances/20677.

რომელსაც საქართველოში სადაზღვევო მომსახურების 84% უკავია, მიმდინარეობს გამოძიება. ჰიპოთეტურად, შესაძლებელია ფულის გასათეთრებლად გამოყენებული იქნეს ჩვენი სადაზღვევო სისტემაც, მაგალითად, დაგროვებადი სიცოცხლის დაზღვევა და საპენსიო დაზღვევა, თუ არ მოხდება პირის იდენტიფიკაცია. ამ დროს კლიენტი აგროვებს თანხას სადაზღვევო კომპანიაში და შემდეგ გაიტანს როგორც ლეგალურს. თუ პირს დაგროვებადი სიცოცხლის დაზღვევა ჰქონდა ვთქვათ 70 წლის მიღწევამდე, შეუძლია ვადაზე ადრეც შეწყვიტოს ხელშეკრულება და გაიტანოს თანხა, რასაც კანონიერი სახე ექნება.

რაც შეეხება გადაზღვევის მექანიზმს, გადაზღვევას ერთი სადაზღვეო კომპანია ახდენს მეორესთან და თავად დაზღვეული პირი არ მონაწილეობს ამაში. აქ ალბათ თავად სადაზღვეო კომპანიები უნდა შევიდნენ კორუფციულ გარიგებაში ფულის გასათეთრებლად.

ფულის გათეთრების სქემები სხვადასხვა ქვეყნებში განსხვავებულია, ხშირად იცვლება და შესაბამისად დროის ნებისმიერი მომენტისთვის შეუძლებელია ფულის გათეთრების მეთოდებისა და მექანიზმების სრული და ცალსახა ჩამონათვალის დადგენა.

სპეციალისტების შეფასებით პოსტსაბჭოთა ქვეყნებში ფულის გათეთრების გავრცელებული ხერხებია: ნაღდი ფულის გადარიცხვა ცრუმაგიერი პირების ანგარიშზე თანხების დანაწევრებით, ნაღდი ფულის გატანა ქვეყნიდან კურიერების დახმარებით ან კონტრაბანდული გზით, უცხოური ბანკების დახმარებით შემდგომი რეპატრიაციის მიზნით, ფულის ნამდვილი წარმომავლობის შენიღბვა (ანგარიშები უცხოურ ბანკებში, განთავსება საინვესტიციო კომპანიებში, ფასიანი ქაღალდების, ანტიკვარიატის, უძრავი ქონების შეძენა საზღვარგარეთ და სხვა), ფიქტიური კონტრაქტები საქონლის

მიწოდებაზე ან სხვადასხვა სახის მომსახურების გაწევაზე, გადახდა (ანგარიშსწორება) აკრედიტივით და სხვა.
ფულის გარეცხვის ძირითადი ამოცანაა დიდი ოდენობით უკანონო ნაღდი ფულის ან სხვა ქონების გადაყვანა ადვილად მართვად ფინანსურ ინსტრუმენტებში, ან საკუთრების სხვა სახეებში.

ფულის გათეთრების ხელშემწყობ ფაქტორებზე მსჯელობისას გვერდს ვერ ავუვლით საბანკო და ფისკალური ოაზისების პრობლემას.[5] ეკონომიკური ასპექტით ფინანსური ოაზისები მდებარეობს იმ ქვეყნებში, რომელთაც მცირე ეკონომიკური პოტენციალი აქვთ, დამოკიდებული არიან უცხოურ დახმარებაზე. მათი კანონმდებლობა განსაკუთრებულ შეღავათებს

---

[5] ფინანსური ოაზისებით პირველი მოსარგებლენი მეკობრეები იყვნენ, რომლებიც მე-17 საუკუნის დასაწყისიდან თავს ესხმოდნენ სავაჭრო ხომალდებს. მათაც უხდებოდათ ნაძარცვი ქონების „გარეცხვა". თავიანთი არცთუ იოლი საქმიანობით დაღლილი მეკობრეები ცდილობდნენ „წყნარ ჰავანებში" დასახლებას, სადაც მშვიდად გაატარებდნენ დარჩენილი სიცოცხლის წლებს. ფინანსური ოაზისების მაცხოვრებლებს ძალიან უყვარდათ კორსარები, რომლებიც დაუზოგავად ფლანგავდნენ მთელ ქონებას. ხმელთაშუა ზღვის ქალაქი სახელმწიფოები ერთმანეთს ეცილებოდნენ თავის ტერიტორიაზე დაესახლებინათ ყოფილი მეკობრეები თავიანთი ურიცხვი სიმდიდრით. ისეც ხდებოდა, რომ ნოსტალგიით შეპყრობილი მეკობრეები ნაძარცვი ქონებით ყიდულობდნენ თანამოქალაქეთა პატიებას. მაგალითად, 1612 წელს მოხდა მოვლენა, რომელიც შეიძლება ჩაითვალოს დანაშაულებრივი ფულის ამნისტირების პირველ შემთხვევად, კერძოდ, მეკობრეებს, რომლებმაც შეწყვიტეს თავიანთი ხელობა, ინგლისმა სრული ამნისტია შესთავაზა, დაგროვილი ქონების შენარჩუნების უფლებით. დღეს ანალოგიურ ხელშეკრულებას სთავაზობენ ზოგიერთ სახელმწიფოს მსხვილი ნარკობარონები. ცნობილია ისიც, რომ მეკობრე მორგანის შთამომავლებმა ნიუ-ორკში ბანკების სისტემა შექმნეს. Анатолий Судоплатов, Экономическая безопасность; Статус-кво-2003-N1, с.42-49; Теневая экономика и экономическая преступность; Электронный учебник;www.osi.ru;htpp//osi.omskreg.ru. Кордобовская М., Грязные деньги века// offshore express.—2005.—N 5(29).— с. 16-22

ითვალისწინებს ფიზიკური ან/და იურიდიული პირებისთვის როგორც საგადასახადო, ისე საბანკო სფეროში. ამ ქვეყნების დამახასიათებელ თავისებურებას წარმოადგენს: საბანკო საიდუმლოს მკაცრად დაცვა, საკრედიტო ინსტიტუტები კლიენტებს აბსოლუტური ანონიმურობის გარანტიას აძლევენ, ფინანსური გამოძიების ჩატარება აკრძალულია ან შეზღუდულია, სამართლებრივი დახმარება უცხოური საგამოძიებო კომისიებისადმი არ ხდება, საგადასახადო ტვირთი მსუბუქია ან საერთოდ არ არსებობს, რაც განსაკუთრებით მიმზიდველია და მომგებიანია ფულადი ანაბრების, კაპიტალდაბანდებისა და სავალუტო ოპერაციებისთვის. ძირითადი დამახასიათებელი ნიშანი მაინც საბანკო სისტემის ჰერმეტულობა და პრივილეგირებული საგადასახადო სისტემაა. პოლიტიკური ასპექტით ფინანსური ოაზისები ხასიათდება სტაბილური და ერთგვაროვანი მთავრობებით (ხშირად ტოტალიტარული), რომელთაც შეუძლიათ უზრუნველყონ მემკვიდრეობითობა პოლიტიკაში და ეკონომიკური და სავალუტო რეგულირების ხანგრძლივი სტაბილურობა.

ფინანსურ ოაზისებს წარმოადგენს როგორც მრავალრიცხოვანი ყოფილი კოლონიები (ჰონკონგი, სეიშელის, ანტალიის კუნძულები და სხვა), რომლებმაც მთლიანად ან ნაწილობრივ მიიღეს პოლიტიკური და ეკონომიკური დამოუკიდებლობა, მაგრამ დაკარგეს მეტროპოლიების (კოლონიზატორი ქვეყნების) ფინანსური მხარდაჭერა, ასევე ევროპის ზოგიერთი ქვეყანა, რომელსაც მცირე ტერიტორია და საწარმოო სიმძლავრეები აქვთ (ანდორა, ლიხტენშტეინი, ლუქსემბურგი, ნორმანდიის კუნძულები).

მაგალითად, ლამანშის სრუტის კუნძულები (ჯერსი, გვერნსი, სარკი) დიდ ბრიტანეთში შედის, მაგრამ სრული ფინანსური დამოუკიდებლობით სარგებლობენ სამეფოსგან და ევროკავშირისგან. ისინი ინტეგრირებულნი არ არიან ევროპის თანამეგობრობაში და სარგებლობენ ოფშორული სტატუსით.

მათი საბანკო და საგადასახადო სისტემა კლიენტებს განსაკუთრებულ შეღავათებს სთავაზობს საერთაშორისო ფინანსური გარიგებების დროს. ამის გამო იქ ბანკების და საშუამავლო ფირმების დიდი რაოდენობაა. ამ კუნძულებს ფისკალურ ოაზისად აქცევს ის, რომ აქ არ არსებობს საბაჟო, მემკვიდრეობის, დღგ გადასახადები. ლიბერალური საგადასახადო სისტემა და საბანკო საიდუმლოს შეუვალობა ამ კუნძულებს მიმზიდველს ხდის.

კაიმანის კუნძულები ინგლისის ყოფილი კოლონიებია, დღეს სრული თავისუფლება აქვთ. მათი ეკონომიკური სისტემა მთელ რიგ შეღავათებს ითვალისწინებს, არ არსებობს საშემოსავლო, დღგ და სხვა გადასახადები. გარდა ამისა, სავალუტო რეჟიმი აბსოლუტურად თავისუფალია, ნებადართულია როგორც კუნძულებს შორის, ისე მათ ფარგლებს მიღმა ნებისმიერი თანხის ნებისმიერ ვალუტაში გადაყვანა. კუნძულების ავტონომია ცოტა ხნის წინ შეზღუდა აშშ-ს მთავრობამ, რომლის გამოძიებით დადგინდა, რომ კაიმანის კუნძულები სამხრეთამერიკელი ნარკომოვაჭრეებისთვის ფულის გარეცხვის მთავარ ცენტრად იქცა. აშშ მთავრობამ ამ კუნძულებთან მიაღწია შეთანხმებას, რომლის ძალითაც დასაშვებია იმ ფირმების საქმიანობის შესწავლა, რომლებიც ეჭვმიტანილნი არიან ნარკოტიკებით საერთაშორისო ვაჭრობაში. ფისკალური ოაზისები გაჩნდა ევროპის ჩარჩოებშიც. მაგალითად, უაღრესად დაბალი საგადასახადო ტარიფი, მონაკოს კლასიკურ ფისკალურ ოაზისად აქცევს.

ანდორას მოსახლეობა ცხოვრობს საგადასახადო თავისუფლების ხარჯზე. მისი საბანკო სისტემა არავითარი კანონმდებლობით არ რეგულირდება. ეს არის ევროპული ჰონკონგი.[6]

ბანკების ქვეყანაში – შვეიცარიაში, საბანკო საიდუმლო აღარ

[6] კლაუს კოტკე, „ჭუჭყიანი ფული“, თარგმანი რუსულ ენაზე, მოსკოვი, 1998, გვ.307.

წარმოადგენს იმავე ხარისხით დაცულს, როგორც ადრე იყო აღსარების საიდუმლოსავით. ფულის გარეცხვასთან ბრძოლის მიზნით შვეიცარიამ მთელი რიგი ვალდებულებები აიღო – კლიენტების სავალდებულო იდენტიფიკაცია ბანკების მიერ, მათი შემოსავლების შემოწმება (დეკლალირება), საბანკო საიდუმლოს გამჟღავნების შესაძლებლობა კანონით დადგენილ შემთხვევაში და სხვა. თუმცა აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო კაპიტალის მზრუნველი შემნახველის ფუნქცია შვეიცარიისგან მიიტაცა ავსტრიამ, უნგრეთმა და ზემოაღნიშნულმა ევროპულმა პატარა სახელმწიფოებმა. სპეციალური ნორმების საფუძველზე სხვადასხვა შეღავათების მეშვეობით მათ თავიანთ საბანკო სისტემებში კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაკადები მიიზიდეს. შეიქმნა საფრთხე (რისკი) რომ ეს ქვეყნები ფულის გარეცხვის ნავსაყუდელად იქცეოდნენ.

კ. კოტკე წერს: თავისი მიმზიდველობით, ავსტრიულმა საბანკო საიდუმლოებამ გადააჭარბა შვეიცარიულს. ამ ქვეყნებში არა მარტო გარანტირებულია ფულადი ანაბრების ანონიმურობა, არამედ მთელი რიგი უპირატესობებია ფულადი საშუალებების განსათავსებლად (მაგალითად, კაპიტალიდან შემოსავალი იბეგრება 25%). ჭუჭყიანი ფულის დაფარვის შესაძლებლობა დიდია. შემნახველი წიგნაკების ანონიმურობის დაცვას დიდი ტრადიციები აქვს. შემნახველი ანგარიშის წარმოება ხდება ლეგიტიმაციის გარეშე, დაშვებულია ციფრული ანგარიშებიც. თუმცა ავსტრია არ არის საგადასახადო ოაზისი. 1993 წლის 1 იანვრიდან ავსტრიული ბანკები ვალდებულნი არიან კლიენტების იდენტიფიცირება მოახდინონ ზღვრული თანხების ზემოთ ტრანზაქციების განხორციელებისას.[7]

როცა ფულის გათეთრების გენეზისზე ვსაუბრობთ, გვერდს ვერ ავუვლით საკითხს უკანონო შემოსავლების წყაროების

[7] კლაუს კოტკე, დასახ. ნაშრომი, გვ. 294-305.

შესახებ. სახელდობრ, საერთაშორისო თანამეგობრობისთვის საკამათოა, თუ რომელი წყაროდან მიღებული შემოსავლის ლეგალიზაციაა დანაშაული — ნებისმიერი სამართალდარღვევიდან თუ მხოლოდ დანაშაულიდან (ან მძიმე დანაშაულიდან). ამ საკითხის გარკვევას პრინციპული მნიშვნელობა აქვს, რადგან ფულის გათეთრება არ არსებობს თავისთავად, იგი ყოველთვის მეორადია და მას წინ უსწრებს პრედიკატული სამართალდარღვევა. ეს უკანასკნელი ფულის გარეცხვის განუყოფელი ნაწილია და პირის მსჯავრდებისთვის აუცილებელია დამტკიცდეს პრედიკატული სამართალდარღვევის (დანაშაულის) ფაქტი. მაშასადამე, ფულის გათეთრების ნორმა ისეა ჩამოყალიბებული კანონმდებლის მიერ, რომ მას დამოუკიდებლად ვერ გამოიყენებ და სჭირდება ტანდემი სხვა ნორმასთან, პრედიკატულ სამართალდარღვევასთან, საიდანაც მიღებულია შემოსავალი. ფულის გარეცხვის დანაშაულის დამახასიათებელი თავისებურებაა მისი დამხმარე ხასიათი. ფულის გარეცხვასთან ბრძოლის კანონის მიზანია არა მხოლოდ შავი ფულის გარეცხვის აღკვეთა, არამედ იმ დანაშაულთა გამოვლენა, რომელიც საფუძვლად უდევს ფულის გარეცხვას და მის ინიცირებას იწვევს. გარდა ამისა, უკანონო შემოსავლის ამოღება და კონფისკაციის ეფექტურად გამოყენება შესაძლებელია პრედიკატული დანაშაულის გულდასმით გამოძიების საფუძველზეც.

ფულის გარეცხვასთან სისხლისსამართლებრივი ბრძოლის ნაციონალური სისტემები არსებითად განსხვავდება სწორედ იმ საქმიანობის ხასიათზე დამოკიდებულებით, რაც შემოსავლის წყარო გახდა და რომლის გათეთრებისთვისაც დადგენილია პასუხისმგებლობა.

სახელმწიფოთა ერთი ჯგუფი სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას ადგენს დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციისთვის: აშშ, გერმანია, ბელგია, საფრანგეთი, პოლონეთი, უკრაინა და სხვ.

მეორე ჯგუფს შეადგენენ ქვეყნები, სადაც სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას იწვევს შემოსავლების ლეგალიზაცია, რომელიც მიღებულია არა მარტო დანაშაულებრივი, არამედ სხვა უკანონო საქმიანობიდანაც – მათ შორისაა, მაგალითად, საქართველო, ყაზახეთი.

დასავლეთ ევროპის ყველა ქვეყანაში, რომელსაც ფულის გათეთრებასთან ბრძოლის შესახებ კანონმდებლობა აქვს, სისხლის სამართლის წესით დასჯადია კრიმინალური შემოსავლების ლეგალიზაცია ისეთი დანაშაულებიდან, როგორიცაა: ნარკობიზნესი, იარაღით ვაჭრობა, ტრეფიკინგი, ტერორიზმი.

ნარკოტიკებით ვაჭრობა და რეკეტი ყოველთვის ითვლებოდა „ჭუჭყიანი" ფულის ძირითად წყაროდ. 1980-იანი წლების ბოლოს საერთაშორისო შეთანხმებებით საქმიანობის კიდევ რამდენიმე სფერო განისაზღვრა, საიდანაც მიღებული შემოსავალი დაკვალიფიცირდება როგორც „ჭუჭყიანი." ეს ჩამონათვალი მოიცავს ძარცვას, თაღლითობას, ადამიანის მოტაცებას გამოსასყიდის მისაღებად, აგრეთვე, ფისკალურ დანაშაულებს. „ჭუჭყიან" ფულად უნდა ჩაითვალოს საერთაშორისო საზოგადოებრივი ორგანიზაციებისათვის ან ცალკეული სახელმწიფოების ბიუჯეტიდან მოპარული ფულიც (მაგალითად, ფილიპინების დიქტატორ მარკოსის მიერ მოპარული მილიარდები).

ისტორიულად ბევრ ქვეყანაში ფულის გარეცხვასთან ბრძოლა დაიწყო ნარკოტიკებთან ბრძოლით და მხოლოდ მოგვიანებით გავრცელდა სხვა, პირველ რიგში, მძიმე დანაშაულებზე. მართლაც, თავდაპირველად ყველა საერთაშორისო შეთანხმება „ჭუჭყიან" ფულად თვლიდა მხოლოდ ნარკობიზნესიდან მიღებულ ფულს. მაგრამ რადგანაც ორგანიზებული დამნაშავეობა ამის პარალელურად მრავალი სხვა სახის დანაშაულებრივ საქმიანობას ეწევა, დროთა განმავლობაში „ჭუჭყიან" ფულად თვლიდნენ დანაშაულებრივი გზით მიღებულ ყოველგვარ ფულს.

დღესაც ბევრ ქვეყანაში ფულის გათეთრება დანაშაულად ითვლება მხოლოდ მაშინ, როცა იგი დაკავშირებულია ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან (არგენტინა, ჩილე, მექსიკა, ლუქსემბურგი და სხვა). მაგრამ დღეს საერთაშორისო თანამეგობრობა შეთანხმდა იმაზე, რომ ფულის გარეცხვა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის ფარგლებს გამცდარი პრობლემაა და უკავშირდება ტრანსნაციონალური დამნაშავეობის სხვა სახეებს, რომ ფულის გათეთრება არა მარტო მართლწესრიგის უზრუნველყოფის საკითხია, არამედ ფინანსური და ეკონომიკური საკითხიც და შეუძლია სერიოზული საფრთხე შეუქმნას ფინანსური და კომერციული სისტემის მთლიანობას, საიმედობას და სტაბილურობას. ამიტომ საჭიროებს საერთაშორისო კოორდინირებულ მიდგომას. მაგალითისთვის, ავსტრიის სსკ დანაშაულად აცხადებს ყველა სახის აქტივების გარეცხვას, რომელიც მიღებულია სერიოზული დანაშაულების ჩადენის შედეგად. ბელგიის სსკ ფულის გათეთრების საფუძვლად მიიჩნევს ყველა დანაშაულს. გერმანიაში დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრის მიერ ნებისმიერი დანაშაულის ჩადენის შედეგად მიღებული შემოსავლის გარეცხვა კვალიფიცირდება დანაშაულად.

აღსანიშნავია, რომ მრავალი ქვეყნის კანონები (აშშ, საბერძნეთი, ბელგია და სხვა) შეიცავენ კრიმინალური საქმიანობის (პრედიკატული დანაშაულის) სპეციალურ სიებს, რაც ფულის გარეცხვის საფუძველია.

დღეისთვის, პრედიკატული დანაშაულის სიები, რაც ფულის გარეცხვის მნიშვნელოვანი წყაროა საკმაოდ ფართოა. ევროკავშირის ქვეყნები ებრძვიან შემოსავლის გარეცხვას ისეთი სახის დანაშაულიდან (ძირითადად მძიმე) როგორიცაა იარაღით, ნარკოტიკებით, ანტიკვარული ნივთებით, ადამიანით და ადამიანის ორგანოებით ვაჭრობა, ასევე ტერორიზმი, პროსტიტუცია, თაღლითობა, შანტაჟი და ძარცვა.

ფულის გათეთრების პრედიკატულ დანაშაულთა სიები ცვალებადია. მისი შევსება ხდება ამა თუ იმ ქვეყნების მიერ საჭიროების ან მათი მზაობის მიხედვით გამოიძიონ ფულის გათეთრების სხვა წყაროებიც.

ამგვარად, სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობა განსხვავდება იმ ქმედებათა ჩამონათვალით, რომელიც ჭუჭყიანი ფულის წარმოშობის წყაროს წარმოადგენს. ასეთ წყაროდ შეიძლება მიჩნეული იქნეს: ნებისმიერი დანაშაული, ორგანიზებული დამნაშავეობისთვის ტიპიური დანაშაულები, სამართალდარღვევები, რომლებიც დაკავშირებულია ნარკოტიკების უკანონო ბრუნვასთან. ამის შესაბამისად, ქვეყნების ერთ ჯგუფში ფულის გარეცხვასთან ბრძოლის შესახებ კანონები კონცენტრირებულია ნებისმიერი უკანონო გარიგებით მიღებულ შემოსავლებზე, მეორე ჯგუფში – მხოლოდ კრიმინალური საქმიანობიდან მიღებულ შემოსავლებზე. რომელი წყაროდან მიღებული უკანონო შემოსავლის დევნას განახორციელებს ესა თუ ის ქვეყანა, ეს დამოკიდებულია მის სურვილსა და უნარზე ებრძოლოს ასეთ შემოსავლებს. მაგალითად, ზოგიერთ ქვეყანაში გადასახადისთვის თავის არიდება დანაშაულია, სხვაგან ეს უკანონო, მაგრამ კრიმინალურ საქმიანობას არ წარმოადგენს.

სხვადასხვა ქვეყანა თავისებურად (დისკრეციულად) წყვეტს შეიტანოს თუ არა პრედიკატულ დანაშაულთა სიაში ისეთი დანაშაული როგორიცაა: გადასახადის გადაუხდელობა, კომერციული საიდუმლოს დარღვევა, კორუფცია. გააჩნია რას ისახავს მიზნად კანონმდებელი – დანაშაულთან ბრძოლას, თუ უფრო ფართოდ უკანონო ქმედებებთან ბრძოლას. ფისკალურ დანაშაულებთან დაკავშირებით სხვადასხვა ქვეყნებს განსაკუთრებით განსხვავებული პოზიცია აქვთ. ეს იმით აიხსნება, რომ ამ დროს დამნაშავეები ფინანსურ დაწესებულებებში აბსოლუტურად ლეგალურად განთავსებული ფულით ოპერირებენ. გადასახადის გადაუხდელობით მიღებული ფულის გარეცხვა განსხვავდება ფულის გათეთ-

რების კლასიკური ოპერაციებისაგან იმით, რომ ამ შემთხვევაში ფული შეიძლება მიღებული იქნეს კანონიერი გზით. ამავე დროს, აღსანიშნავია, რომ გადასახადის გადაუხდელობით დაგროვილი თანხა ისევ კომერციულ ბრუნვაში ექცევა და ამგვარად თეთრდება. აქედან გამომდინარე, რასაც საგამოძიებო სამსახურები სტატისტიკას ფლობენ გადაუხდელ გადასახადებზე, ფაქტობრივად ეს ციფრები ფისკალური დანაშაულით მიღებული ფულის გათეთრების მოცულობასაც ასახავენ ამა თუ იმ ქვეყანაში. (სამწუხაროდ ჩვენ ეს ციფრები სრულად ვერ მოვიპოვეთ).

უნდა აღინიშნოს, ისიც, რომ პრედიკატული სამართალდარღვევების მხოლოდ დანაშაულით შემოფარგვლას ერთი ნაკლი აქვს. სახელდობრ, ფულის გათეთრებასთან ბრძოლაში განსაკუთრებული როლი ეკისრება სასამართლო სისტემას. ფულის გარეცხვაში კერძო პირთა ბრალდების დროს სასამართლოსთვის განსაკუთრებულ სირთულეს წარმოადგენს იმის დამტკიცება, რომ საკუთრება, რომელიც გარეცხვის მექანიზმშია ჩართული, უკანონო, დანაშაულებრივი საქმიანობით მიღებული შემოსავალია, გათეთრება განხორციელდა გარკვეული მიზნით, ეჭვმიტანილმა იცოდა საკუთრების უკანონო წარმოშობის შესახებ. იმისათვის, რომ შემოსავალი დანაშაულებრივი გზით მიღებულად ჩაითვალოს, საჭიროა საპროცესო კოდექსით გათვალისწინებული ყველა პროცედურის დაცვა, სავალდებულოა სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენი, რომლითაც დადგენილია, რომ შემოსავალი მიღებულია სწორედ დანაშაულის ჩადენის შედეგად. ეს მართლაც პრობლემაა, კანონმდებლობა უნდა გამოირჩეოდეს მოქნილობით და ითვალისწინებდეს სწრაფი რეაგირების შესაძლებლობას ფულის გათეთრების ახალი ფინანსური ინსტრუმენტების გამოყენების საწინააღმდეგოდ, მაგრამ, მეორე მხრივ, შემოსავლის ლეგალიზაციის საგნის ამგვარ გაფართოებას ვერ გაუმკლავდება სასამართლო სისტემა. სახელდობრ, ვერცერთი სამართლებრივი სისტემა ვერ შე-

ძლებს ისეთი საინფორმაციო ნაკადის დამუშავებას, რაც დაკავშირებულია ნებისმიერი უკანონო (დაუსაბუთებელი) შემოსავლის წარმომავლობის გარკვევასთან. თანაც, ფულის გათეთრებასთან ბრძოლის სტრატეგიული მიზანი ორგანიზებული დანაშაულის დამარცხებაა და არა ზოგადად საეჭვო შემოსავლებთან ბრძოლა.

ცალკე განსჯის საგანია ფარული (ჩრდილოვანი, არაოფიციალური) ეკონომიკური საქმიანობა, რაც უკანონო შემოსავლის მიღების ერთ-ერთი წყაროა.[8]

ჩრდილოვანი ეკონომიკა, პირველ რიგში, მოიცავს რეგისტრაციის გარეშე ეკონომიკურ აქტივობას, რაც ფარული კაპიტალის წყაროა. გარდა ამისა, მეურნე სუბიექტები ჩრდილოვანი ეკონომიკის საწარმოებლად ეწევიან ორმაგ ბუღალტერიას (თავისთვის და სახელმწიფოსთვის), დაქირავებულ პირთა შრომის ანაზღაურებას უწყისით და „კონვერტით" (უწყისში ხელფასი ნაკლებია, კონვერტში მეტი, დამსაქმებელი ხშირად დაბალ ხელფასებს აფიქსირებს უწყისებში, რათა ნაკლები გადასახადი გადაიხადოს, ხელზე კი გაცილებით მეტს უხდის დაქირავებულ პირს), ოფიციალური შემოსავლების და დასაბეგრი მოგების შემცირებას რეალურთან შედარებით, ანგარიშსწორებას ნაღდი ფულით და სხვა.

ფარული მეწარმეობის აღკვეთისთვის სახელმწიფოებრივი ზემოქმედების ღონისძიებათა სისტემაში ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ჩრდილოვანი შემოსავლების ლეგალიზაციასთან ბრძოლას.

---

[8] А. Шестаков Теневая экономика; Москва,2000; Теневая экономика и экономическая преступность; Электронный учебник;www.osi.ru;htpp// osi.omskreg.ru; Сергей Аврин, Конференция `Отмывание денег в России и банки~, БАНКОВСКИЕ ТЕХНОЛОГИИ 4' 98, www.bizcom.ru; Анатолий Судоплатов; Экономическая безопасность; Статус-кво—2003-N1- с. 42-49

ფარული მეწარმეობა რთული მოვლენაა, იგი შეხებაშია ეკონომიკურ ურთიერთობათა მთელ სისტემასთან. აქ შედის საზოგადოებისგან არაკონტროლირებადი საქმიანობა სასაქონლო-მატერიალურ ფასეულობათა (ასევე მომსახურების) წარმოების, განაწილებისა თუ მოხმარებისათვის. მმართველობის ორგანოებისგან დამალული ეკონომიკური ურთიერთობები ფიზიკურ და იურიდიულ პირებს შორის, სახელმწიფო ან კერძო საკუთრების გამოსაყენებლად პირადი ან ჯგუფური ინტერესებისთვის. არაფორმალური ეკონომიკური ურთიერთობა ერთი მხრივ მეწარმესა და მეორე მხრივ ბანკს შორის, ხშირად კრიმინალში გადადის. მაგალითად, კომერციული ბანკი შეღავათიან კრედიტს აძლევს მეწარმეს, ხოლო სხვაობა ფაქტობრივ პროცენტსა და ნომინალურს შორის იყოფა ბანკსა და მეწარმეს შორის, როგორც პირადი შემოსავალი, რომელიც არ აისახება ანგარიშგებაში და არ იბეგრება.[9]

მსოფლიოში ყველგან, სამეწარმეო სექტორში შავი ფულის წარმოქმნის გავრცელებული მეთოდია შემოსავლებით მანიპულირება. აქ მოიაზრებენ სამეწარმეო საქმიანობას რეგისტრაციის გარეშე, ანდა ნაადრევი განაცხადის გაკეთებას წარმოების შეწყვეტის შესახებ, შესაძლებელია გადასახადის პოტენციურმა გადამხდელმა თავისი საქმიანობა წარმოაჩინოს გადასახადით დაუბეგრავ საქმიანობად. ამგვარი სქემით უკანონო შემოსავლის მიღების მაგალითია მრავალრიცხოვანი ოპერაციები მოქმედი ფირმების სალიკვიდაციოდ და ახლების დასაფუძნებლად, რა დროსაც მეწარმეს შეუძლია განაცხადოს, რომ ახალ ფირმას არ დაუწყია საქმიანობა, შესაბამისად არ აწარმოებს ბუღალტერიას და შეუძლებელია მისი ბრუნვის შემოწმება, ან კიდევ, შესაძლებელია მეწარმემ რეგისტრაციამდე დაიწყოს საქმიანობა (ვთქვათ ვაჭრობა), მიღე-

[9] შესტაკოვი ა. ჩრდილოვანი ეკონომიკა, რუსულ ენაზე, მოსკოვი, 2000, გვ, 51.

ბული შემოსავალი კი ნათესავის ანგარიშზე გადარიცხოს, ზოგჯერ ხდება ბუღალტრულ ანგარიშებში კონტრაქტების დაურეგისტრირებლობა. გარიგებები ფინანსური ანგარიშების შედგენის გარეშე ნიშნავს მათ აღურიცხაობას საბუღალტრო დოკუმენტებში. ეს არის მანიპულაცია შემოსავლებით. ზოგჯერ ჭუჭყიანი (შავი) ფულის მისაღებად მეწარმეები მიმართავენ ასეთ მანიპულაციებსაც, კერძოდ, ყალბად ზრდიან ხარჯებს პერსონალის შენახვაზე, მომსახურების გაწევაზე, მატერიალურ ხარჯებზე და მისთანებზე. ამასთანავე, ან არ არსებობს საფუძველი ამ ხარჯების გამოსაქვითად (ჩამოსაწერად) ანდა იგნორირებულია შესაბამისი ნორმატივები. შემოსავლების დამალვა ფარული სამეურნეო საქმიანობის დროსაც აქტუალურია, რადგან რეგისტრაციისა და ლიცენზიის გარეშე მიღებული შემოსავალიც უნდა დაიბეგროს, ანუ საეჭვო შემოსავლებიც იბეგრება საგადასახადო კანონმდებლობით.

რამდენი ადამიანი იმყოფება სამეურნეო ცხოვრების სამართლებრივი ნორმების მიღმა, რთული გასარკვევია. მთელ მსოფლიოში ფარული ეკონომიკის ხვედრითი წილი ქვეყნის მთლიან შიდა პროდუქტში საშუალოდ 5-10% აღწევს. ექსპერტების შეფასებით, საქართველოში ეს მაჩვენებელი დაახლოებით 15-20% აღწევს.

ჭუჭყიანი ფულის შექმნის მეთოდებში გარკვეული წილი უკავია გადასახადების თავის არიდებით მიღებულ შემოსავალს. კლაუს კოტკე წერს: როცა გერმანიაში ჭუჭყიან ფულზე საუბრობენ ეს მაშინვე ასოცირდება გადასახადებით დაუბეგრავ ფულთან. მხედველობაშია შემოსავალი, რომელიც გამოყვანილია კანონით დადგენილი დაბეგვრის სფეროდან, ასევე თანხა (ან მისი ნაწილი), რომელიც ექვემდებარება დაბეგვრას. ჭუჭყიანი ფულის დამახასიათებელი ნიშანია ის, რომ იგი წარმოიქმნება გადასახადებისთვის თავის არიდებით (ეს არის დაბეგვრისგან დამალული საშუალებები, ასევე შესაბამისი გადასახადის გადაუხდელი თანხები).[10]

[10] კლაუს კოტკე, ჭუჭყიანი ფული, თარგმანი რუსულ ენაზე, მოსკოვი 1998, გვ. 38.

მაშასადამე, ჭუჭყიანი ფულის წარმოქმნისთვის ნოყიერ ნიადაგს წარმოადგენს სამეწარმეო სექტორი. არასწორი საბუღალტრო აღრიცხვით, ე.წ ორმაგი ბუღალტერიის წარმოებით და საბუღალტრო აღრიცხვის სხვადასხვა ხვრელების მეშვეობით იქმნება შავი ფული. ძირითადად ეს ხდება მოგების თანხის შემცირებით, რაც მიზნად ისახავს საგადასახადო ტვირთის შემსუბუქებას, ანუ გადასახადების მინიმუმამდე შემცირებას.

ამგვარად, გადასახადებისთვის თავის არიდების მეთოდების სისტემა იმავდროულად წარმოადგენს შავი ფულის წარმოქმნის მეთოდების სისტემას. აქედან გამომდინარე, ფულის გათეთრების პრედიკატულ სამართალდარღვევათა სიიდან ფისკალური დანაშაულების გამორიცხვა საფუძველს მოკლებულია, რაზეც ქვემოთ ვიმსჯელებთ.

საქართველოში ფისკალური დანაშაულებით სახელმწიფოსთვის მიყენებული ზიანის მოცულობის შეფასება ვერ შევძელით, რადგან შესაბამისმა სამსახურმა ასეთი ინფორმაცია არ მოგვცა. რაც შეეხება ზოგად ინფორმაციას ფისკალური სამართალდარღვევების შესახებ, შემოსავლების სამსახურის მონაცემთა ერთიანი ელექტრონული ბაზის მიხედვით 2007-2010 წლებში საგადასახადო/საბაჟო სამართალდარღვევების შემდეგი სტატისტიკური მონაცემები არსებობს; 2007 წელს რეგისტრირებულია საგადასახადო სამართალდარღვევის 9,729 ოქმი, 8,352113 ლარის დარიცხული ჯამური თანხის ოდენობით და საბაჟო სამართალდარღვევის 4,325 ოქმი — 20,691 920 ლარის დარიცხული ჯამური თანხის ოდენობით, 2008 წელს საგადასახადო სამართალდარღვევის 13,393 ოქმი — 9,789 738 ლარის დარიცხული ჯამური თანხის ოდენობით, და საბაჟო სამართალდარღვევის 9,982 ოქმი — 9,014 397 ლარის დარიცხული ჯამური თანხის ოდენობით, 2009 წელს საგადასახადო სამართალდარღვევის 22,255 ოქმი — 39,281 888 ლარის დარიცხული ჯამური თანხის ოდენობით

და საბაჟო სამართალდარღვევის 10,508 ოქმი — 11,347 002 ლარის დარიცხული ჯამური თანხის ოდენობით, 2010 წელს საგადასახადო სამართალდარღვევის 26,781 ოქმი — 61,623 478 ლარის დარიცხული ჯამური თანხის ოდენობით და საბაჟო სამართალდარღვევის 10,042 ოქმი — 8,971 916 ლარის დარიცხული ჯამური თანხის ოდენობით. აქ არ შედის ეკონომიკური დანაშაულის (გადასახადისთვის თავის არიდება, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია და სხვ.) სტატისტიკა. აღსანიშნავია ისიც, რომ კრიმინალურ საქმიანობასა და ფარულ მეწარმეობას შორის ტოლობის ნიშნის დასმა არ შეიძლება. ფარული მეწარმეობა სამეურნეო საქმიანობის ისეთი სახეა, რომელიც ქვეყნის მთლიანი შიდა პროდუქტის ზრდაში აისახება, თუმცა ამას სახელმწიფო ვერ აკონტროლებს. მასთან ბრძოლა წმინდა ეკონომიკური მეთოდებითაც შეიძლება.

§ 3. ფულის გათეთრებასთან ბრძოლის საერთაშორისო და შიდასამართლებრივი ნორმატიული აქტები, საერთაშორისო მონიტორინგი

ფულის გარეცხვასთან ბრძოლის პირველ საერთაშორისო აქტს წარმოადგენს ვენის კონვენცია "ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლის შესახებ" (1988 წლის 20 დეკემბერი), რომელმაც დიდი გავლენა მოახდინა დასავლეთის ქვეყნების შესაბამისი კანონმდებლობის განვითარებაზე. ვენის კონვენციამ დანაშაულად აღიარა ნარკოტიკების უკანონო ბრუნვიდან მიღებული ფულის „გარეცხვა" და დაავალა ხელმომწერ ქვეყნებს ებრძოლათ ნარკოტიკებით ვაჭრობით მიღებული შემოსავლის გათეთრების წინააღმდეგ. ამასთანავე, ორგანიზებული დანაშაულის განვითარების კვალობაზე იზრდებოდა სხვა სახის უკანონო საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებიც, რომელთა ნაწილი ასევე „ირეცხებოდა" და შემდეგ ლეგალურ ეკონომიკაში იდებოდა (ინვესტიციების სახით). როგორც უკვე აღინიშნა, დღეისთვის „ჭუჭყიან ფულს" მიე-

კუთვნება არა მხოლოდ ნარკობიზნესიდან მიღებული შემოსავლები, არამედ შემოსავლები მიღებული იარაღით ვაჭრობიდან, ტრეფიკინგიდან, კონტრაბანდიდან, ადამიანთა მოტაცებიდან, გადასახადების გადაუხდელობიდან და სხვა უკანონო წყაროებიდან.

1990 წლის 8 ნოემბერს ევროსაბჭოს წევრ სახელმწიფოთა მიერ მიღებული იქნა კონვენცია „დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების გარეცხვის, გამოვლენის, დაყადაღებისა და კონფისკაციის შესახებ“ (სტრასბურგის კონვენცია).

კონვენციის პრეამბულაში აღნიშნულია, რომ მძიმე დანაშაულთან ბრძოლა, რაც მზარდი საერთაშორისო პრობლემაა, მოითხოვს თანამედროვე და ეფექტური მეთოდების გამოყენებას საერთაშორისო დონეზე, ერთ-ერთი ასეთი მეთოდი დამნაშავეებისთვის დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ჩამორთმევაა. კონვენციის პირველი მუხლის მიხედვით, „შემოსავალი“ ნიშნავს ნებისმიერ ეკონომიკურ სარგებელს, რომელიც შეძენილია დანაშაულებრივი გზით; ხოლო „პრედიკატული დანაშაული“ ნიშნავს ნებისმიერ დანაშაულს, რომლის შედეგადაც წარმოიშვა შემოსავალი, რაც გარეცხვის საგანი შეიძლება გახდეს. ამგვარად, სტრასბურგის კონვენციამ დანაშაულად აღიარა არა მხოლოდ ნარკობიზნესიდან მიღებული შემოსავლების „გარეცხვისკენ“ მიმართული ქმედება, არამედ სხვა დანაშაულებრივი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლების გარეცხვაც.

სტრასბურგის კონვენცია მიზნად ისახავს საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებას დანაშაულებრივი საქმიანობით მიღებული ქონების გამოვლენის, ამოღების და კონფისკაციის გასაადვილებლად, სახელმწიფოთა შორის ეფექტური ურთიერთთანამშრომლობის სისტემის შექმნას და საერთო სისხლისსამართლებრივი პოლიტიკის განხ-

ორციელებას. ამასთანავე, კონვენციის მიზანია უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის სფეროში ნაციონალური კანონმდებლობის ფორმირებისთვის საერთაშორისო სამართლებრივი სტანდარტებისა და ნორმების შექმნა, ამ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობის სამართლებრივი საფუძვლების განსაზღვრა. კონვენცია აწესრიგებს ისეთ უმნიშვნელოვანეს საკითხებს, როგორიცაა შიდა სახელმწიფოებრივ დონეზე განსახორციელებელი ღონისძიებები (შემოსავლების გარეცხვასთან დაკავშირებული დანაშაულები, სპეციალური საგამოძიებო უფლებამოსილებები და მეთოდები, საკონფისკაციო ზომები, სამართლებრივი დაცვის საშუალებები), საერთაშორისო თანამშრომლობა და სამართლებრივი დახმარება, კონფისკაცია, თანამშრომლობაზე უარის თქმის საფუძველი და სხვ. დღეისთვის სტრასბურგის კონვენცია არის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან ბრძოლის საერთაშორისო და სახელმწიფო პოლიტიკის ჩამოყალიბების საფუძველი[11]

ფულის ლეგალიზაციასთან ბრძოლის საერთაშორისო ნორმების შესამუშავებლად 1989 წელს დიდი შვიდეულის მიერ (G-7) პარიზის სამიტზე შეიქმნა საერთაშორისო ორგანიზაცია — ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფი (FATF). თავდაპირველად ეს ორგანიზაცია მოწოდებული იყო შეემუშავებინა ღონისძიებები ნარკოტიკებით ვაჭრობიდან მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის წინააღმდეგ, ვენის ზემოაღნიშნული კონვენციის ვალდებულებათა შესასრულებლად, მაგრამ დროთა განმავლობაში ამ ორგანიზაციის საქმიანობის მასშტაბი გაფართოვდა. დღეს ეს ორგანიზაცია 30-ზე მეტ სახელმწიფოს აერთიანებს. FATF-ის 40 რეკომენდაციის (ტერორიზმის დაფინანსებასთან საბრძოლველად ასევე 9 სპეციალური რეკომენდაციის) შემუშავებით დაიხვეწა შავი ფულის ლეგალიზაციასთან ბრძოლის სტრატეგია.

[11] გ. ტაბუცაძე, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის საერთაშორისო გამოცდილება, ჟურნალი „სამართალი", №11-12, 2003.

სწორედ ამ რეკომენდაციების საფუძველზე ჩამოყალიბდა მრავალი ქვეყნის, მათ შორის საქართველოს, კანონმდებლობა ამ სფეროში[12].

---

[12] FATF-ის შექმნის აუცილებლობა გამოწვეული იყო მსოფლიო საზოგადოების მზარდი შეშფოთებით ფულის „გარეცხვის" პრობლემით. ამ ორგანიზაციას დაევალა ფულის გარეცხვის მეთოდების და ტენდენციების გამოკვლევა, ამ მოვლენასთან საბრძოლველად ეროვნულ და საერთაშორისო დონეზე მიღებული ღონისძიებების მონიტორინგი, მასვე დაევალა ღონისძიებების შემუშავება, ფულის „გარეცხვის" აღსაკვეთად. შექმნიდან ერთი წლის თავზე (1990 წლის აპრილში) FATF-მა წარადგინა ანგარიში, რომელიც შეიცავდა 40 რეკომენდაციას (განსაზღვრულ ღონისძიებებს), რომელთა დანერგვა აუცილებელი პირობა იყო ფულის გარეცხვასთან ეფექტური ბრძოლისთვის. FATF-ი ეს არის ორგანო, რომელიც მოწოდებულია დასაბუთებული წინადადებები მოამზადოს კანონმდებლობისა და რეგულაციური პოლიტიკის სფეროში რეფორმების გასატარებლად, თითოეული სახელმწიფოს ნაციონალურ დონეზე ფულის გარეცხვასთან ბრძოლის ეფექტურობის ასამაღლებლად. FATF-ი ახორციელებს ანალიზსა და კონტროლს მისი წევრების მიერ ფულის გარეცხვასთან ბრძოლის ღონისძიებების შემოღებაზე და საერთაშორისო დონეზე აყენებს ყველა ქვეყნის მიერ ასეთი ღონისძიებების დანერგვის აუცილებლობის იდეას. ამ ორგანიზაციას არ გააჩნია განსაზღვრული წესდება და მისი საქმიანობის ხანგრძლივობა შეზღუდული არაა, ჯგუფი ყოველ 5 წელიწადში გადასინჯავს თავის მისიას და დამოკიდებულია მისი დამფუძნებელი ქვეყნების ნების გამოვლენაზე. FATF-ზე დაკისრებული ამოცანების სტრუქტურა ასე გამოიყურება: მსოფლიოს ყველა რეგიონში ფულის გარეცხვასთან ბრძოლის ინფორმაციის გავრცელება, ფულის გარეცხვასთან ბრძოლის საერთაშორისო ქსელის შექმნა, რომელიც ეფუძნება მასში წევრობის გაფართოებას, მსოფლიოს სხვადასხვა ნაწილში რეგიონული ორგანოების შექმნას, სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციებთან მჭიდრო თანამშრომლობას, კონტროლი წევრი სახელმწიფოების მხრიდან FATF-ის 40 რეკომენდაციის შესრულებაზე და დაცვაზე. ყველა წევრი სახელმწიფო მოწმდება ამ რეკომენდა-

FATF-ის რეკომენდაციების მიზანია, პირველ ყოვლისა, ამ ორგანიზაციის წევრი ქვეყნების ვენის კონვენციასთან (ნარკოტიკული საშუალებებით ვაჭრობის აღკვეთის შესახებ) შეერთება და „შავი" ფულის „გარეცხვის" დანაშაულთა კატეგორიაში შეტანა, ქვეყნებში ფულის მოძრაობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფა და ფულის მოძრაობის კონტროლის პროცესში სახელმწიფოს ყველა სექტორის (ადმინისტრაციული, სამართალდამცავი და სხვ.) ჩართვა, ამ სფეროში სახელმწიფო ორგანოებს შორის ურთიერთანგარიშვალდებულების და სახელმწიფოთა შორის აქტიური თანამშრომლობის დამყარება.

როგორც აღინიშნა, FATF-ის ძირითად დოკუმენტს წარმოადგენს 40 რეკომენდაცია, რომელიც გადმოსცემს ფულის გარეცხვასთან ბრძოლის ძირითად, უნივერსალურ ღონისძიებებს, ეს რეკომენდაციები უზრუნველყოფენ მოქმედებების მთელ სპექტრს ფულის „გარეცხვის" წინააღმდეგ, რომლებიც მოიცავენ მართლმსაჯულებისა და კანონმდებლობის სისტემას, ფინანსურ სისტემას და მის რეგულირებას, აგრეთვე საერთაშორისო თანამშრომლობას.

ციების შესრულებაზე. შემოწმებას ორასპექტიანი მიდგომა აქვს: ყოველწლიური თვითშეფასება და ურთიერთშეფასების უფრო დეტალური პროცედურა.,ფულის გარეცხვის მეთოდების და ტენდენციების შესწავლა და გადასინჯვა და შესაბამისი კონტრზომების შემუშავება.ფულის გარეცხვა — ეს არის საქმიანობა, რომელიც ვითარდება და ამიტომ საჭიროებს მუდმივ მონიტორინგს. FATF-ის წევრები კრებენ ინფორმაციას ფულის გარეცხვის ტენდენციებთან დაკავშირებით, რათა უზრუნველყონ 40 რეკომენდაციის თანამედროვეობა და ეფექტურობა. დაკისრებული ამოცანების შესასრულებლად FATF-ი წელიწადში რამდენჯერმე ატარებს პლენარულ სხდომებს და თათბირებს. გადაწყვეტილებების მიღება კონსენსუსს ეფუძნება. FATF-ის სამდივნო პარიზშია.

რეკომენდაციები გადმოსცემენ სამოქმედო პრინციპებს და აუცილებელ სივრცეს აძლევენ ქვეყნებს ამ პრინციპების გამოსაყენებლად თითოეული მათგანის სპეციფიკის და კონსტიტუციური წესრიგის შესაბამისად.

1990 წელს პირველად გამოქვეყნებული რეკომენდაციები ორჯერ გადაისინჯა, 1996 და 2003 წლებში. FATF-მა შეიმუშავა ამ რეკომენდაციების განმარტებებიც, რომელიც მოწოდებულია ახსნას ზოგიერთი მათგანის შინაარსი და იგი დამატებით სახელმძღვანელოს წარმოადგენს.

FATF-ის რეკომენდაციების შინაარსი ასე გამოიყურება: პირველი სამი რეკომენდაცია ეხება სამართლებრივ სისტემებს, კერძოდ, ფულის გარეცხვის დანაშაულის მასშტაბს, წინასწარ ზომებს და კონფისკაციას. პირველი რეკომენდაციის მიხედვით, ქვეყნებმა ფულის გარეცხვის კრიმინალიზება უნდა მოახდინონ, ვენის და პალერმოს კონვენციების საფუძველზე (გაეროს 1988 წლის კონვენცია ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლის შესახებ და 2000 წლის კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის შესახებ). სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ ფულის გარეცხვის დანაშაულის ცნების შემოღება (ანუ კრიმინალიზაცია) მძიმე კატეგორიის დანაშაულების ან/და ისეთი დანაშაულების ანალოგიით, რომლებსაც მნიშვნელოვანი შემოსავლების მიღება ახლავს. ყოველმა ქვეყანამ უნდა გააფართოვოს ფულის გარეცხვასთან დაკავშირებული სამართალდარღვევის ცნება (ანუ ქმედებათა კატალოგი), პრედიკატული დანაშაულების ფართო დიაპაზონის გათვალისწინებით. პრედიკატული სამართალდარღვევა შეიძლება განისაზღვროს ნებისმიერ სამართალდარღვევად ანდა გამოყენებული იყოს რაიმე ზღვრული მიდგომა, რაც დაკავშირებულია სამართალდარღვევის სერიოზულობის კატეგორიასთან ან თავისუფლების აღკვეთის ვადასთან (ზღვრული მიდგომა) ან კიდევ პრედიკატული

სამართალდარღვევების ჩამონათვალით ანდა ამ მიდგომების კომბინაციით.

პირველი რეკომენდაციის განმარტებაში ვკითხულობთ: ფულის გარეცხვის პრედიკატული დანაშაულის განსაზღვრისას სახელმწიფოებმა მხედველობაში უნდა მიიღონ სამართალდარღვევის სერიოზულობა ან მისი ჩადენისთვის თავისუფლების აღკვეთის ვადა ან ორივე ეს კრიტერიუმი ერთობლივად. იქ სადაც ასეთი ზღვრული მიდგომა იქნება გამოყენებული, პრედიკატულ სამართალდარღვევებში უნდა შევიდეს ყველა სერიოზული კატეგორიის სამართალდარღვევა ან ის სამართალდარღვევები, რომლებიც ერთ წელზე მეტი ვადით თავისუფლების აღკვეთით ისჯება (ან უფრო ნაკლებ ვადითაც, სადაც ეს დაშვებულია). პრედიკატული სამართალდარღვევა ფულის გარეცხვისთვის უნდა გავრცელდეს სხვა ქვეყანაში ჩადენილ მოქმედებებზეც, რომლებიც სამართალდარღვევათა შემადგენლობაში შედიან ასეთ ქვეყანაში და რომელიც პრედიკატულ სამართალდარღვევად ჩათვლიდა, თუ ასეთი მოქმედებები მის ტერიტორიაზე იქნებოდა ჩადენილი. ქვეყნებს შეუძლიათ სპეციალური ნორმის საფუძველზე პრედიკატულ სამართალდარღვევად ჩათვალონ მხოლოდ ქვეყნის შიგნით ჩადენილი მოქმედებები. მეორე რეკომენდაციის მიხედვით, ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ რომ განზრახვა და ცოდნა, რაც აუცილებელია ფულის გარეცხვის სამართალდარღვევის დასამტკიცებლად შეთავსებადი იყოს ვენის და პალერმოს კონვენციებში ფორმულირებულ სტანდარტებთან, იმ კონცეფციის ჩათვლით, რომ ქმედების სუბიექტური ნიშნები — წინასწარი შეცნობა, განზრახვა და მიზანი შეიძლება დადგინდეს საქმის ობიექტური ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე. სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ხოლო სადაც ეს შეუძლებელია სამოქალაქო და ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა უნდა შეეფარდოს იურიდიულ პირებს.

ვენის და პალერმოს კონვენციების შესაბამისად, ქვეყნებ-

მა უნდა მიიღონ ზომები (მათ შორის საკანონმდებლო), რაც შესაძლებლობას მისცემს კომპეტენტურ ორგანოებს კონფისკაცია მოახდინონ ლეგალიზებული საკუთრების, ფულის გარეცხვის ან პრედიკატული სამართალდარღვევის ჩადენის შედეგად მიღებული შემოსავლებისა, ამ სამართალდარღვევათა ჩასადენად გამოყენებული ან მათ ჩასადენად გამიზნული საშუალებებისა, ან საკუთრებისა, კეთილსინდისიერი მესამე პირების დაუზიანებლად.

FATF-ის რეკომენდაციების დიდი ნაწილი ეთმობა ღონისძიებებს (ზომებს), რომლებიც უნდა განახორციელონ საფინანსო დაწესებულებებმა, არასაფინანსო სექტორის სუბიექტებმა და ზოგიერთი პროფესიების წარმომადგენლებმა, რათა აღკვეთონ ფულის გარეცხვა და ტერორიზმის დაფინანსება.

მეოთხე რეკომენდაციის მიხედვით, ქვეყნებმა უნდა უზრუნველყონ, რომ საფინანსო დაწესებულებების საიდუმლოს შესახებ კანონები ხელს არ შეუშლიან რეკომენდაციების შესრულებას.

5-12 რეკომენდაციები ეთმობა კლიენტების იდენტიფიკაციას და აღრიცხვის წარმოებას. კერძოდ, საფინანსო დაწესებულებებმა არ უნდა გახსნან და აწარმოონ ანონიმური ანგარიშები ან გამოგონილ სახელებზე (ფიქტიურ პირებზე) გახსნილი ანგარიშები. საფინანსო დაწესებულებებმა უნდა მიიღონ სათანადო ზომები კლიენტთა იდენტიფიკაციისთვის, რომლებთანაც საქმიან ურთიერთობას ამყარებენ, ისინი ვალდებულნი უნდა იყვნენ ოფიციალური და სხვა შესაბამისი დოკუმენტების საფუძველზე დაადგინონ თავიანთი კლიენტების იდენტურობა გარიგების დადებისას, განახორციელონ კლიენტებთან საქმიანი ურთიერთობების მუდმივი მონიტორინგი, განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინონ საერთაშორისო საკორესპონდენტო ურთიერთობების მიმართ, შეიმუშაონ კონტროლის პოლიტიკა და პროცედურები იმ რისკების მიმართ,

რაც დაკავშირებულია ოპერაციების განხორციელებასთან კლიენტთან პირადი კონტაქტის გარეშე, კერძოდ, საგანგებო ყურადღება უნდა დაეთმოს ფულის გათეთრების სქემებში ახალი ტექნოლოგიების გამოყენების შესაძლებლობის აღკვეთას, ამისათვის უნდა შემუშავდეს კონტროლის პროცედურები კლიენტთან პირადი კონტაქტის გარეშე ოპერაციების განხორციელებისას, განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ ნებისმიერ დიდ უჩვეულო ოპერაციას, ოპერაციის განხორციელების უჩვეულო სქემას, რომელსაც არა აქვს აშკარა ეკონომიკური ან კანონიერი მიზანი. შეძლებისდაგვარად უნდა გაირკვეს ასეთი გარიგებების მიზანი და კონკრეტული გარემოებები, შედეგები წერილობით გაფორმდეს და ხელმისაწვდომი იყოს მაკონტროლებელი და სამართალდამცავი ორგანოებისთვის. საფინანსო დაწესებულებებმა უნდა შეინახონ როგორც შიდასახელმწიფო ისე საერთაშორისო ოპერაციების შესახებ ყველა აუცილებელი დოკუმენტი, რათა შესაძლებლობა ჰქონდეთ სწრაფად უპასუხონ კომპეტენტური ორგანოების შეკითხვებს, ამავე პერიოდით უნდა შეინახონ კლიენტის საიდენტიფიკაციო მონაცემები. კერძოდ, მე-10 რეკომენდაციის მიხედვით საფინანსო ორგანიზაციებმა არანაკლებ 5 წელი უნდა შეინახონ დოკუმენტაცია გარიგებების შესახებ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე, მის გარეთ, რაც შესაძლებლობას მისცემთ მათ მოთხოვნის შემთხვევაში, სწრაფად მიაწოდონ ინფორმაცია კომპეტენტურ ორგანოებს. ასეთი დოკუმენტაცია საკმარისი უნდა იყოს ცალკეულ გარიგებათა გარემოებების აღსადგენად. მათ უნდა შეინახონ კლიენტის მაიდენტიფიცირებელი დოკუმენტაციაც (პასპორტის, პირადობის მოწმობის და სხვ. ასლები). კლიენტის იდენტიფიკაციის და აღრიცხვის წარმოების წესი გარკვეულ შემთხვევებში ვრცელდება არასაფინანსო დაწესებულებებზეც და განსაზღვრული კატეგორიის პროფესიებზე, მაგალითად, კაზინოები, უძრავი ქონების აგენტები, ძვირფასი ლითონებისა და ქვების დილერები, ადვოკატები, ნოტარიუსები, ბუღალტრები.

13-16 რეკომენდაციები ეხება საეჭვო ოპერაციების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას. თუ საფინანსო დაწესებულებას ეჭვი გაუჩნდა ან ეჭვის გონივრული საფუძველი აქვს, რომ ფულადი საშუალებები არის შემოსავალი დანაშაულებრივი საქმიანობიდან ან დაკავშირებულია ტერორიზმის დაფინანსებასთან, კანონით ან ინსტრუქციით გათვალისწინებული უნდა იქნეს ინფორმაციის დაუყოვნებლივ მიწოდება კომპეტენტური ორგანოებისთვის. ამასთანავე, საფინანსო ორგანიზაციებმა, მათმა დირექტორებმა, თანამდებობის პირებმა და მუშაკებმა არ უნდა გააფრთხილონ კლიენტები კომპეტენტური ორგანოებისთვის მათ შესახებ ინფორმაციის გადაცემასთან დაკავშირებით. აღნიშნული რეკომენდაციების განმარტებებით განსაზღვრულია მონიტორინგს დაქვემდებარებული ტრანზაქციების რაოდენობაც, კერძოდ, საფინანსო ინსტიტუტებისთვის (მე-5 რეკომენდაციის ფარგლებში) — 15 000 აშშ დოლარი/ევრო, კაზინოებისთვის (მე-12 რეკომენდაციის ფარგლებში) — 3000 აშშ დოლარი/ევრო, ძვირფასი ლითონებისა და ქვების დილერებისთვის (12-16 რეკომენდაციების ფარგლებში) — 15 000 აშშ დოლარი/ევრო. მე-13 რეკომენდაციის განმარტებით, სახელმწიფოებისთვის რეკომენდებულია სხვა ალტერნატივაც, კერძოდ, ყველა საეჭვო ოპერაციის შესახებ, თანხის ოდენობის მიუხედავად, ინფორმაციის მიწოდების ვალდებულება.

საფინანსო დაწესებულებებმა უნდა შეიმუშაონ ფულის გარეცხვის და ტერორიზმის დაფინანსების საწინააღმდეგოდ ბრძოლის პროგრამები.

17-20 რეკომენდაციები ეთმობა ფულის გარეცხვისა და ტერორიზმის დაფინანსების შემაკავებელ სხვა ღონისძიებებს. აქ საუბარია ეფექტური და თანაზომიერი სანქციების გამოყენების აუცილებლობაზე, ფიქტიური ბანკების შექმნისა ან საქმიანობისთვის დაბრკოლებების გაწევაზე, ვალუტის და სხვა ფინანსური ინსტრუმენტების ფიზიკურად საზღვარგარეთ

გატანის გამოვლენის და კონტროლის ღონისძიებებზე და სხვ. მაგალითად, მე-19 რეკომენდაციის მიხედვით, ქვეყნებმა უნდა გააკონტროლონ საზღვარგარეთ ვალუტის და სხვა საწარმდგენლო ფინანსური ინსტრუმენტების ფიზიკური გატანა, ისე რომ ხელი არ შეუშალონ კაპიტალის თავისუფალ მოძრაობას.

21-22 რეკომენდაციები იმ ქვეყნების მიმართ გასატარებელ ღონისძიებებს ეთმობა, რომლებიც არ ასრულებენ ან არასრულყოფილად ასრულებენ FATF-ის რეკომენდაციებს.

23-25 რეკომენდაციებში საუბარია რეგულირებასა და ზედამხედველობაზე. სახელდობრ, საფინანსო დაწესებულებების ლიცენზირებისა და რეგისტრაციის აუცილებლობაზე, კომპეტენტური ორგანოების მოვალეობაზე აღკვეთონ იმის შესაძლებლობა, რომ დამნაშავეებმა და მათმა თანამონაწილეებმა უხელმძღვანელონ საფინანსო დაწესებულებებს, ანდა იქცნენ საფინანსო დაწესებულების დიდი კაპიტალის ან საკონტროლო პაკეტის მფლობელებად ან მესაკუთრეებად. ფულის გარეცხვასთან ბრძოლის ინტერესებისთვის რეკომენდებულია საფინანსო დაწესებულებებში საკონტროლო პაკეტების მფლობელთა შესაბამისობის პერიოდული გადამოწმება, არასაფინანსო დაწესებულებების და გარკვეული კატეგორიის პროფესიების საქმიანობის რეგულირება და ზედამხედველობა.

შემდეგი რეკომენდაციები ეთმობა ინსტიტუციურ და სხვა ღონისძიებებს, რაც აუცილებელია ფულის გარეცხვასთან და ტერორიზმის დაფინანსებასთან საბრძოლველად. კერძოდ, 26-34 რეკომენდაციებში საუბარია კომპეტენტურ ორგანოებზე, მათ უფლებამოსილებებზე და რესურსებზე, ფინანსური დაზვერვის სამსახურის შექმნის აუცილებლობაზე, სამართალდამცავი ორგანოების პასუხისმგებლობაზე საგამოძიებო მოქმედებების განსახორციელებლად, სპეციალური

საგამოძიებო მეთოდების შემუშავებასა და გამოყენებაზე, გამოძიების პროცესში კომპეტენტური ორგანოების უფლებამოსილებით აღჭურვაზე შესაბამისი ინფორმაციის გამოსათხოვად, ქონებაზე ყადაღის დასადებად ან ამოსაღებად კონფისკაციის მიზნებისთვის, სამართალდამცავი ორგანოების და საფინანსო ზედამხედველობის სამსახურების თანამშრომლობაზე, ფულის გარეცხვასთან ბრძოლის სისტემის ეფექტურობის პერიოდულად გადამოწმებაზე, შესაბამისი სტატისტიკის წარმოებით, იურიდიული პირების საქმიანობის გამჭვირვალობაზე, რათა ისინი გამოყენებული არ იქნან ფულის გარეცხვის მიზნებისთვის და სხვ.

35-40 რეკომენდაციებში საუბარია საერთაშორისო თანამშრომლობაზე, იურიდიულ დახმარებასა და ექსტრადიციაზე, თანამშრომლობის სხვა ფორმებზე.

FATF-ი მუდმივად ადევნებს თვალს უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის სფეროში ახალ ტენდენციებსა და მეთოდებს, შეიმუშავებს შესაბამის კონტრზომებს. ფულის გარეცხვასთან ბრძოლის მიზნებისთვის იგი განსაზღვრავს ე.წ. არაკოოპერირებად ქვეყნებსა და ტერიტორიებს (FATF-ის შავი სია), რომლებიც ხელს უშლიან საერთაშორისო თანამშრომლობას ამ სფეროში. ქვეყნების შავ სიაში შეტანა და სიიდან ამორიცხვა წყდება FATF-ის სხდომებზე კოლეგიურად, მათ მიერ შემუშავებული კრიტერიუმების საფუძველზე. ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა 1997 წლის სექტემბერში ფულის გარეცხვასთან ბრძოლის ღონისძიებების შესაფასებლად დააფუძნა რჩეულ ექსპერტთა კომიტეტი (MONEYVAL). იგი წარმოადგენს ევროპის საბჭოს დამნაშავეობის პრობლემებზე ევროპული კომიტეტის ქვეკომისიას. მისი მიზანია ფულის გარეცხვასთან ბრძოლისთვის ევროსაბჭოს ქვეყნების მიერ გატარებული ღონისძიებების თვითშეფასების და ურთიერთშეფასების ჩატარება. თავის საქმიანობაში ეს ორგანიზაცია ემყარება FATF-ის პრაქტიკას და გამოცდილებას. ამ კომიტე-

ტის წევრი საქართველოცაა. 2007 წელს მან დადებითი დასკვნა მოამზადა საქართველოში განხორციელებულ რეფორმებზე ფულის გარეცხვასთან ბრძოლაში.

აღსანიშნავია, რომ მსოფლიოში შექმნილია FATF-ის მსგავსი მრავალი რეგიონული ორგანიზაცია, მათ იგივე მიზნები და ამოცანები აქვთ, მაგრამ მათი საქმიანობა შემოიფარგლება ცალკეული რეგიონით. ასეთია მაგალითად, ფულის გარეცხვასთან ბრძოლის აზია-წყნარი ოკეანის ჯგუფი (APG); ფულის გარეცხვასთან ბრძოლის ფინანსური ღონისძიებების შემმუშავებელი კარიბის ჯგუფი (CFATF); ფულის გარეცხვასთან ბრძოლის აღმოსავლეთ და სამხრეთაფრიკული ჯგუფი (ESAAMLG) ფულის გარეცხვასთან ბრძოლის ფინანსური ღონისძიებების შემმუშავებელი ჯგუფი სამხრეთ ამერიკაში (GAFISUD).

საქართველომ 2003 წლის 6 ივნისს მიიღო კანონი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ. ამ კანონის მიზანია საქართველოში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და ტერორიზმის დაფინანსების აღკვეთის სამართლებრივი მექანიზმების შექმნა, საზოგადოების კანონიერი უფლებებისა და სახელმწიფოს ინტერესების დაცვა. ეს კანონი არეგულირებს საქართველოში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გამოვლენასთან და აღკვეთის ხელშეწყობასთან დაკავშირებულ ურთიერთობებს, საამისოდ უფლებამოსილ ორგანოებსა და შესაბამის პირებს შორის, აგრეთვე ურთიერთობებს, ერთი მხრივ, საქართველოს და, მეორე მხრივ, სხვა სახელმწიფოთა უფლებამოსილ ორგანოებსა და საერთაშორისო ორგანიზაციებს შორის. კანონი განმარტავს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციასთან დაკავშირებულ ძირითად ტერმინებს — ისეთი როგორიცაა, უკანონო შემოსავალი, მისი ლეგალიზაცია, საეჭვო და უჩვეულო გარიგება, მონიტორინგი და სხვ. კანონი განსაზღვრავს მონიტორინგის განმახორციელებელ პირებს, მონიტორინგს დაქვემდებარე-

ბულ გარიგებებს; მონიტორინგის განმხორციელებელი პირების ვალდებულებებს გარიგების შესახებ ინფორმაციის (დოკუმენტების) აღრიცხვასთან, შენახვასთან და მათ შესახებ ანგარიშგების წარდგენასთან დაკავშირებით; განსაზღვრულია ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ძირითადი უფლებამოვალეობანი, საზედამხედველო ორგანოების პასუხისმგებლობა, საერთაშორისო თანამშრომლობის ძირითადი მიმართულებები.

ეს კანონი საქართველოში ფულის გათეთრებასთან ბრძოლის საბაზო დოკუმენტს წარმოადგენს. მისი ძირითადი დებულებები დაკონკრეტებულია ისეთ კანონქვემდებარე ნორმატიულ აქტებში, როგორიცაა ფინანსური მონიტორინგის სამსახურის დებულება, „ფულის გათეთრების" წინააღმდეგ ბრძოლის საკითხებში ბანკების ადგილზე შემოწმების მეთოდიკური სახელმძღვანელო (ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 2004 წლის 30 დეკემბრის 840 განკარგულება); საქართველოს ეროვნული ბანკის — რისკზე დამყარებული მიდგომების გამოყენებით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის რისკის შეფასების მეთოდური სახელმძღვანელო, დებულება კომერციული ბანკების მიერ ინფორმაციის მიღების, სისტემატიზაციის, დამუშავებისა და საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურისთვის გადაცემის წესის შესახებ (საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის ბრძანება №95 2004 წლის 28 ივლისი). მონიტორინგის განმახორციელებელი პირების შიდა ინსტრუქციები, რომლებშიც განსაზღვრულია მონიტორინგის განმახორციელებელი პირების ვალდებულებები შიდა კონტროლის განხორციელებასთან დაკავშირებით. მაგალითად, საკრედიტო ორგანიზაციის შიდა კონტროლის წესებით შემუშავებულია კრიტერიუმები უჩვეულო გარიგებების გამოსავლენად. აქვე მოცემულია კლიენტის მიერ დანაშაულებრივი შემოსავლების ლეგალიზაციის განხორციელების რისკის შეფასების კრიტერიუმები ანუ საქმიანობის სახეები, რომლებიც დანაშაულებრივი შემოსავლების ლეგალი-

ზაციის განხორციელების მაღალ რისკს შეიცავენ. კერძოდ, იმ იურიდიული პირების (არასაკრედიტო ორგანიზაციები) საქმიანობა, რომლებიც აწარმოებენ ფულადი საშუალებების გადაყვანას; ოფშორებში დარეგისტრირებული იურიდიული პირების და მათი ქვედანაყოფების საქმიანობა; ტურისტული საქმიანობა, სათამაშო ბიზნესი, ხელოვნების საგნებით და ანტიკვარიატით ვაჭრობა, ძვირფასი ლითონებით და ქვებით ვაჭრობა, უძრავი ქონებით ვაჭრობა (შუამავლობა), ნებისმიერი საქმიანობა, რაც ნაღდი ფულის ინტენსიურ ბრუნვასთანაა დაკავშირებული (საცალო ვაჭრობა, ნავთობპროდუქტებით ვაჭრობა, საზოგადოებრივი კვება), საგარეო ეკონომიკური ოპერაციების განხორციელება და სხვ.

საქართველოს მთავრობის 2007 წლის 16 ივნისის 118-ე დადგენილებით „უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონის მიზნებისთვის განისაზღვრა საყურადღებო ზონების ნუსხა. ამ ნუსხაში შევიდა: ავღანეთი, ანგილია, ანტიგუა და ბარბუდა, ბარბადოსი, გვატემალა, გრენადა, გუამი, დომინიკა, ერაყი, ვანუატუ, თერქს-ქაიქოსის კუნძულები, ინდოეთი, ინდონეზია, ირანი, კაბო ვერდე, კაიმანის კუნძულები, კოლუმბია, კუკის კუნძულები, ლიბანი, ლიბერია, მარშალის კუნძულები, ბირმა, მიკრონეზია, მონსერატი, ნაურუ, ნიგერია, ნიუე, პაკისტანი, პალაუ, სამოა, სეიშელები, სენტ-ლუსია, სირია, სუდანი, ტაიტი, ტაჯიკეთი, ფილიპინები, ჩრდილოეთ მარიანას კუნძულები, ჯიბუტი.

§ 4. ფულის გათეთრების კრიმინალიზაცია (იურიდიული დახასიათება)

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით ფულის გათეთრება კრიმინალიზებული იქნა 1996 წლის 29 ოქტომბრის კანონით, რომლითაც შემოღებულ იქნა პასუხისმგებლობა

არაკანონიერი გზით მოპოვებული ფულადი სახსრების ლეგალიზებისთვის (სსკ-ის 165[1]-ე მუხლი).[13] თუმცა მსგავს ქმედებებთან ბრძოლა ადრეც წარმოებდა, კერძოდ, 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსი ითვალისწინებდა პასუხისმგებლობას დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენისა ან გასაღებისთვის (სსკ-ის 229-ე მუხლი), გარდა ამისა, უკანონო შემოსავლების გამოყენების საწინააღმდეგოდ სახელმწიფო ახორციელებდა სხვა ღონისძიებებსაც, რის გამოც დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ლეგალიზება მარტივი საქმე არ იყო, ხოლო ლეგალიზებული ქონების დახარჯვაც ასევე გართულებული იყო.[14]

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის დანაშაულის შემადგენლობის ახლებურად ჩამოყალიბება საქართველოს 2003 წლის 6 ივნისის კანონს — „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ", — უკავშირდება, და ამ უკანასკნელში შეტანილი ცვლილებებისდა მიხედვით სსკ-ის 194-ე მუხლის შინაარსიც რამდენჯერმე შეიცვალა.

ფულის გათეთრების კრიმინალიზაცია მიზნად ისახავს ქვეყნის ეკონომიკური სისტემის და უპირველეს ყოვლისა, ფულად-საკრედიტო სისტემის დაცვას დიდი მოცულობის არაკონტროლირებადი ფულადი სახსრების შემოსვლისგან. ამას მოითხოვს, ასევე, ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის ინტერესებიც.

ფულის გათეთრება მოთავსებულია სსკ-ის XXVI თავში — დანაშაული სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის წინააღმდეგ. განსახილველი დანაშაულის სისხლისსამართ-

[13] მისი შინაარსი ასე ჟღერდა — არაკანონიერი გზით მოპოვებული ფულადი სახსრებით ან ქონებით საფინანსო ოპერაციების ჩატარება, ან ასეთი სახსრების ან ქონების გამოყენება ლეგალური სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობის განხორციელებისთვის.
[14] მაგალითად, ავტომობილი „გაზ-24" რომ შეგეძინა უნდა წარგედგინა ცნობა საფინანსო სამსახურისთვის შემოსავლის წყაროს შესახებ. ცხადია, არც ფულის გათეთრების სქემები იყო უცხო. იხ. რ. ოთინაშვილი, ჩრდილოვანი ეკონომიკა, თბ. 2001, გვ. 51-52; 104

ლებრივი დაცვის ობიექტთან დაკავშირებით სპეციალურ ლიტერატურაში და სხვადასხვა ქვეყნის კანონმდებლობაში ურთიერთგანსხვავებულ მიდგომებს ვხვდებით: რომელია პრიორიტეტული იმ სიკეთეთა შორის, რომლის დასაცავადაც დადგენილია სისხლის სამართლის ნორმა — სახელმწიფოს სტრატეგიული ინტერესი (ეკონომიკური უსაფრთხოება), მართლმსაჯულების ინტერესი (დამნაშავის დევნა), მთლიანად ეკონომიკური სისტემა, თუ მისი ცალკეული სფერო, ლეგალური სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკური საქმიანობა, ფულად-საკრედიტო სისტემა, საფინანსო სისტემა და სხვ. ამ საკითხზე ცალსახა პასუხი არ არსებობს. ვფიქრობ, ფულის გათეთრების ხელყოფის ობიექტი სერიოზულ გააზრებას და შემდგომ შესწავლას მოითხოვს.

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმულია მოსაზრება, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ხერხები (და ხშირად მისი მოპოვების წყაროც) პირდაპირ თუ არაპირდაპირ არსებულ ეკონომიკურ სისტემას, კონკრეტულად კი სამეწარმეო და სხვა ეკონომიკურ საქმიანობას უკავშირდება, სადაც საბაზრო ეკონომიკის პირობებში, განმსაზღვრელი ეკონომიკური საქმიანობის თავისუფლების, ლეგალურობის, კეთილსინდისიერების, კონკურენტულობის პრინციპებია. უკანონო შემოსავლების გათეთრება ძირს უთხრის ლეგალური ბიზნესის აღნიშნულ საფუძვლებს. რაც, პირველ რიგში, კანონმორჩილ სამეურნეო სუბიექტებს აზიანებს. ამიტომაც ხელყოფის ძირითად ობიექტად სწორედ ეს ინტერესი უნდა ჩაითვალოს, თუმცა ამ დანაშაულის ჩადენით, ცხადია, ზიანდება ნებისმიერი ზემოაღნიშნული ინტერესიც. აღარაფერს ვამბობთ იმის შესახებ, რომ ლეგალიზებული ფული კრიმინალთა ფინანსური ბაზა ხდება, კორუფციის ინდიკატორია, ზიანდება საერთაშორისო ეკონომიკური ურთიერთობები და ა.შ.

ცხადია, ზოგჯერ უკანონო შემოსავალი ისეთი წყაროდანაა მიღებული, რომელსაც არაფერი საერთო არა აქვს ეკონომიკურ საქმიანობასთან (იარაღით ან ნარკოტიკებით ვაჭრობა, ტრეფიკინგი და მისთ.) რაზეც საუბარია XXVI თავში. მაგრამ

ამავე დროს, პირები, რომლებიც ფულის გათეთრებას ახორციელებენ და ლეგალური ეკონომიკური საქმიანობის მიღმა მოქმედებენ, ცდილობენ ამ სივრცეში დაბრუნებას. ამიტომ თუნდაც ამ მხრივ საჭიროებს ლეგალური ეკონომიკური საქმიანობა დაცვით მექანიზმს, რაც 194-ე მუხლშია ჩადებული. გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსში ფულის გათეთრების ამკრძალავი ნორმა მოთავსებულია 21-ე თავში (§261), რომლის სათაურია „დანაშაულის წინასწარ შეუპირებელი დაფარვა და წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შესყიდვა". 261-ე პარაგრაფი მიზანად ისახავს შიდასახელმწიფოებრივი მართლწესრიგის დაცვას და წინარე დანაშაულის შედეგის თავიდან აცილებას. გერმანულ ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ ფულის გათეთრება მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია. 261-ე პარაგრაფით გათვალისწინებული ნორმის დაცვის მიზანია მართლმსაჯულების ინტერესი, რაც გაბატონებული მოსაზრებით, წინარე დანაშაულის შედეგად დარღვეული ინტერესების დაცვასაც გულისხმობს.[15]

საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსს 1996 წელს დაემატა ცალკე თავი ფულის გარეცხვის შესახებ (324[1]–324[9] მუხლები), რომელშიც ფულის გათეთრება დანაშაულის დაფარვაში დახმარების ფორმად არის მიჩნეული.

გაეროს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის შესახებ კონვენციის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტით დადგენილი კრიტერიუმებით ფულის გათეთრება ტრანსნაციონალური ხასიათის დანაშაულია. მსოფლიო ეკონომიკის გლობალიზაციის პირობებში ძნელია წარმოიდგინო ფულის გათეთრება, რომლის არსებითი შედეგები მხოლოდ ერთ სახელმწიფოში ვლინდება. ფული მოძრაობის დროს შეზღუდული არაა არც ბანკის კედლებით და არც სახელმწიფო საზღვრებით, მისი მოძრაობის მთელი გზის მონიტორინგი, რა რაოდენობის ბან-

[15] იხ. Krey, BT, Band 2, § 19, Rn. 605 a.,Urs Kindhäser, Strafgesetzbuch,4. Auflage Nomos,2010,S.962; Lackner/Kühl, Strafgesetzbuch,Kommentar,27. Auflage Beck,2011,S.1209

კები ან რამდენი სახელმწიფოს საფინანსო სისტემა გაიარა, არც თუ იოლი გასაკონტროლებელია, თუ შეუძლებელი არა. რომელიმე საფინანსო ინსტიტუტში მოხვედრილი „ჭუჭყიანი" ფული მსოფლიო ფულად მასაში გაზავდება და თავისი რაოდენობის პროპორციულად „აჭუჭყიანებს" მას, რაც ობიექტურადაა განპირობებული მსოფლიო ინტეგრაციული პროცესებით. აქედან გამომდინარე გამოითქვა მოსაზრება რომ ლეგალიზაცია მიეკუთვნოს ტრანსნაციონალური ხასიათის დანაშაულს, რამდენადაც ის პირდაპირ აზიანებს საერთაშორისო ეკონომიკურ ურთიერთობებს. მისი უშუალო ობიექტია სოციალური ურთიერთობები, რომელიც ეფუძნება საერთაშორისო ეკონომიკურ საქმიანობაში კრიმინალური ქცევების აკრძალვის პრინციპს; ლეგალიზაციის მხოლოდ შიდა ეკონომიკური დანაშაულისთვის მიკუთვნება, რასაც ახლა აქვს ადგილი, სათანადოდ არ ასახავს ამ დანაშაულის სოციალურ საშიშროებას.[16]

რაც შეეხება დანაშაულის საგანს, სსკ-ის 194-ე მუხლის მიხედვით ლეგალიზაციის საგანია უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონება[17] მასში იგულისხმება როგორც მოძრავი და უძრავი ნივთები, ასევე ქონებაზე უფლება (ქონებრივი უფლებები), რომელიც სისხლისსამართლებრივი დაცვის და-

[16] იხ. Якимов О. Ю. Легализация доходов, приобретенных преступным путем, Санкт-Петербург. 2005, с. 49-50.

[17] (იხ. სსკ-ის 194-ე მუხლის 1-2 შენიშვნა. ამ მუხლის მიზნებისთვის უკანონო ქონებად ითვლება ქონება, აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, აქციები (წილი), რომელიც/რომლებიც პირს, მისი ოჯახის წევრს, ახლო ნათესავს ან დაკავშირებულ პირს მოპოვებული აქვთ კანონის მოთხოვნათა დარღვევით. ამ მუხლის მიზნებისთვის დაუსაბუთებელ ქონებად ითვლება ქონება, აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, აქციები (წილი), რომლის/რომელთა კანონიერი საშუალებებით მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტები პირს, მისი ოჯახის წევრს, ახლო ნათესავს ან დაკავშირებულ პირს არ გააჩნია ან იგი მოპოვებულია უკანონო ქონების გასხვისების შედეგად მიღებული ფულადი სახსრებით).

მოუკიდებელი საგანია (სსკ-ის 180-ე, 181-ე. 182-ე მუხლები) და სსკ-ის 194-ე მუხლში ნახსენები არაა. თუმცა, ლეგალიზაციის საგანში ქონებრივი უფლებების ჩართვის აუცილებლობაზე ხაზგასმულია ფულის გათეთრების საწინააღმდეგო 1990 წლის ევროპულ კონვენციაშიც და ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის შესახებ გაეროს 2000 წლის კონვენციაშიც. საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლის ამ ხარვეზს ავსებს კანონი შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ, რომელშიც ხაზგასმულია რომ ქონებაში იგულისხმება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულ ქონება (მუხლი 147).

აღსანიშნავია, რომ ლეგალიზაციის საგანთან დაკავშირებით რამდენჯერმე შეიცვალა საქართველოს კანონმდებლობის პოზიცია. 1996 წლის 29 ოქტომბრის კანონში, რომლითაც კრიმინალიზებულ იქნა არაკანონიერი გზით მოპოვებული ფულადი სახსრების ლეგალიზება, საუბარია არაკანონიერი გზით მოპოვებულ ფულად სახსრებზე ან ქონებაზე, ყოველგვარი დათქმების გარეშე (სსკ-ის 165[1]-ე მუხლი, 1960 წ.); 2005 წლის 28 დეკემბრის კანონით ცვლილება შევიდა სსკ-ის 194-ე მუხლში, რომელშიც უკვე საუბარი იყო დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ქონებაზე. ამავე კანონით უკანონო შემოსავლად არ ითვლებოდა საგადასახადო სფეროში ჩადენილი დანაშაულით მიღებული შემოსავალი, აგრეთვე შემოსავალი 5 ათას ლარამდე.

2003 წლის 6 ივნისის საქართველოს კანონში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ, უკანონო შემოსავალი განმარტებულია პირის საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებული ფულადი სახსრები, სხვა ქონება ან ქონებრივი უფლებები, რომლებიც მან მიიღო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული დანაშაულის (მათ შორის იარაღით ვაჭრობის, ნარკოტიკული დანაშაულების, ტრეფიკინგის, ტერორიზმის) ჩადენის შედეგად, გარდა საგადასახადო და საბაჟო სფეროებში დანაშაუ-

ლის ჩადენის შემთხვევებისა. ანუ აქ უფრო შევიწროებულია დანაშაულის საგანი და საუბარია მხოლოდ დანაშაულის ჩადენის შედეგად მიღებულ უკანონო შემოსავალზე, ფინანსური დანაშაულების გამოკლებით.

გავრცელებული ინფორმაციით, საქართველოში ფულის გათეთრების საწინააღმდეგო კანონის მიღებისას, სსკ-ის 194-ე მუხლის პრედიკატულ დანაშაულთა წრიდან საბაჟო და საგადასახადო სფეროებში ჩადენილ დანაშაულთა ამორიცხვას ლობირება გაუწია პარლამენტართა ერთმა ჯგუფმა, ვინც ამ ცვლილებით ისარგებლა. ისინი ასაბუთებდნენ რომ გადასახადების დამალვამდე ქონება ლეგალური გზით იყო მოპოვებული. თუმცა, გადასახადების დამალვით მიღებული ქონების კვლავ ლეგალურ ბრუნვაში მოქცევა რომ გათეთრებას ნიშნავს, ამას არავინ მიაქცია ყურადღება.

FATF-ისა და MONEYVAl-ის რეკომენდაციების გათვალისწინებით 2007 წლის 4 ივლისს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ კანონში შევიდა ცვლილება, რომლითაც უკანონო შემოსავალი განიმარტა პირის საკუთრებაში ან მფლობელობაში არსებულ უკანონო ან/და დაუსაბუთებელ ქონებად ანუ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონება შეიცვალა უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონებით, რითაც მეტისმეტად გაფართოვდა 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საგანი. ამავე დროს, საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის მიხედვით ქონების ჩამორთმევა სასამართლოს მიერ ინიშნება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა განზრახი დანაშაულისთვის, იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდება, რომ ეს ქონება დანაშაულებრივი გზითაა მოპოვებული. მაშასადამე, 194-ე მუხლის მიმართ დამატებით სასჯელად ქონების ჩამორთმევის გამოსაყენებლად სავალდებულოა პრედიკატული დანაშაულის დამტკიცება. გამოდის რომ, თუ შემოსავალი დანაშაულებრივი გზით არ არის მოპოვებული მისი გათეთრებისთვის ისეთ ეფექტურ სასჯელს როგორიც ქონების ჩამორთმევაა, ვერ გამოვიყენებთ.

ამ საკითხთან მიმართებაში ერთმნიშვნელოვანი მიდგომა არ არსებობს არც საერთაშორისო აქტებში და არც ნაციონალურ კანონმდებლობაში. ასე მაგალითად, გაეროს 2000 წლის 12 დეკემბრის კონვენცია ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ, მოითხოვს **დანაშაულებრივი გზით** მიღებული შემოსავლების გათეთრების კრიმინალიზაციას (მუხლი 6). ამ კონვენციის მიზნებისთვის დანაშაულით მიღებული შემოსავალი ნიშნავს რაიმე დანაშაულის ჩადენის გზით პირდაპირ ან არაპირდაპირ შეძენილ ან მიღებულ ნებისმიერ ქონებას. თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ ძირითად სამართალდარღვევებს (ანუ ლეგალიზაციის პრედიკატულ დანაშაულებს — გ.მ.) უნდა მიაკუთვნოს ყველა მძიმე დანაშაული. „მძიმე დანაშაული", კონვენციის მე-2 მუხლით, ნიშნავს დანაშაულს, რომელიც ისჯება თავისუფლების აღკვეთის მაქსიმალური ვადით, არანაკლებ 4 წლისა ან სასჯელის უფრო მკაცრი ზომით. იმ სახელმწიფოებმა, რომელთა კანონმდებლობაც ადგენს სპეციფიკური ძირითადი დანაშაულების ჩამონათვალს, მათ მინიმუმ, ასეთ სიებში (კატალოგში) უნდა შეიტანონ იმ სამართალდარღვევათა ამომწურავი ჩამონათვალი, რომლებიც დაკავშირებულია ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფებთან.

ევროპის საბჭოს 1990 წლის კონვენცია „დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გარეცხვის, გამოვლენის, დაყადაღებისა და კონფისკაციის შესახებ", შემოსავლად თვლის ნებისმიერ ეკონომიკურ სარგებელს, რომელიც შეძენილია **დანაშაულებრივი გზით**. პრედიკატული დანაშაული ნიშნავს ნებისმიერ დანაშაულს, რომლის შედეგადაც მიღებული იქნა შემოსავალი, რაც შეიძლება ამ კონვენციის მე-6 მუხლით მითითებული დანაშაულის (ანუ შემოსავლების გარეცხვის დანაშაულის) საგანი გახდეს.
FATF-ის პირველი რეკომენდაცია პრედიკატულ სამართალდარღვევებს ეხება და მათ სერიოზულობაზე ამახვილებს ყურადღებას. კერძოდ, FATF-ის პირველი რეკომენ-

დაციის მიხედვით, პრედიკატული სამართალდარღვევების განსაზღვრის დროს გამოყენებული უნდა იქნეს ისეთი კრიტერიუმები, როგორიცაა სამართალდარღვევის სერიოზულობის კატეგორია, თავისუფლების აღკვეთის ვადა, ან პრედიკატული სამართალდარღვევების ჩამონათვალი ანდა ამგვარი მიდგომის კომბინაცია. ყოველმა სახელმწიფომ უნდა განსაზღვროს ფულის გარეცხვასთან დაკავშირებული რომელი სამართალდარღვევა უნდა ჩაითვალოს მძიმე დანაშაულად. ევროკავშირის საბჭოს ჩარჩო გადაწყვეტილებებში, რომლებიც ფულის გათეთრებასთან ბრძოლას ეხება (91/308/evg, 2001/97/eg, 2005/60/eg და სხვ.), დასჯად ქმედებათა კატალოგი მიანიშნებს, რომ მხედველობაშია ორგანიზებული დანაშაულის გამოვლენის ფორმები და არა ნებისმიერი სამართალდარღვევა. ყველა ევროდირექტივა ხაზს უსვამს სწორედ დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების გათეთრების დასჯის აუცილებლობას. ევროდირექტივებით განსაზღვრული პრედიკატული დანაშაულების კატალოგი FATF-ს რეკომენდაციებით შემოთავაზებული კატალოგის ანალოგიურია. FATF-ს რეკომენდაციების განმარტებაში ვკითხულობთ, რომ სახელმწიფოებმა უნდა განიხილონ ფულის გარეცხვის დანაშაულის ცნების შემოღება მძიმე კატეგორიის დანაშაულის ან/და ისეთი დანაშაულების ანალოგიურად, რომელთაც დიდი ოდენობის შემოსავლის მიღება ახლავს. ფულის გათეთრებასთან დაკავშირებულმა პრედიკატულ დანაშაულთა ჩამონათვალმა უნდა მოიცვას შემდეგი კატეგორიის ქმედებები: ორგანიზებულ დანაშაულებრივ ჯგუფში და რეკეტში მონაწილეობა, ტერორიზმი — მისი დაფინანსების ჩათვლით — ადამიანებით ვაჭრობა, სექსუალური ექსპლუატაცია — ბავშვთა ექსპლუატაციის ჩათვლით, ნარკოტიკული საშუალებებით და ფსიქოტროპული ნივთიერებებით ვაჭრობა, იარაღით ვაჭრობა, მოპარული ნივთებით და სხვა საკუთრებით უკანონო ვაჭრობა, კორუფცია, მოტყუება და თაღლითობა, ფულის გაყალბება, საავტორო უფლებების დარღვევა და ინტელექტუალური პროდუქტის

მეკობრეობა, დანაშაული გარემოს წინააღმდეგ, მკვლელობა და სხეულის მძიმე დაზიანება, მოტაცება, თავისუფლების უკანონო აღკვეთა და მძევლად ხელში ჩაგდება, ქურდობა, კონტრაბანდა, გამოძალვა, დოკუმენტების გაყალბება, მეკობრეობა, მანიპულაციები ბაზარზე.

უკრაინის 2002 წლის კანონით დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის აღკვეთის შესახებ, შემოსავალი ნიშნავს ნებისმიერ ეკონომიკურ სარგებელს, რომელიც მიღებულია საზოგადოებრივად საშიში, მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენის შედეგად და რომელიც წინ უსწრებდა შემოსავლების ლეგალიზაციას (გარეცხვას). საზოგადოებრივად საშიში, მართლსაწინააღმდეგო ქმედება, რომელიც წინ უსწრებს შემოსავლების ლეგალიზაციას (გარეცხვას) — ეს არის ქმედება, რომლისთვისაც უკრაინის სსკ-ით გათვალისწინებულია სასჯელი თავისუფლების აღკვეთით 3 და მეტი წლის ვადით (გარდა უკრაინის სსკ-ის 207-ე (უცხოურ ვალუტაში შემოსავლის დაბრუნებისთვის თავის არიდება) და 212-ე მუხლისა (გადასახადისთვის თავის არიდება) ან რომელიც დანაშაულადაა აღიარებული სხვა სახელმწიფოს სისხლის სამართლის კანონით და ასევე ასეთივე ქმედებისთვის პასუხისმგებლობა გათვალისწინებულია უკრაინის სსკ-ით და რომლის განხორციელებით მიღებულია უკანონო შემოსავალი.

დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციასთან ბრძოლის შესახებ რუსეთის ფედერაციის 2001 წლის კანონით, შემოსავალი ნიშნავს დანაშაულის ჩადენის შედეგად მიღებულ ქონებას (ფინანსური ხასიათის დანაშაულების გამოკლებით). თუ, უკანონო შემოსავლის მიღების ხერხი, ქონების შეძენის მომენტში არ წარმოადგენდა დანაშაულს და შემდგომ იქცა ასეთად, მაშინ ფინანსური ოპერაციები და სხვა გარიგებები ამ ქონების მიმართ არ ქმნის ლეგალიზაციის დანაშაულის შემადგენლობას, ისევე როგორც,

შემოსავლის მიღება დანაშაულებრივი გზით, რომელიც შემდგომ დეკრიმინალიზებული იქნა და შემდგომი ფინანსური ოპერაციები ან გარიგებები მის მიმართ არ ქმნის ლეგალიზაციის შემადგენლობას. რუსეთის სსკ-ში 2002 წლის 1 თებერვალს შეტანილ ცვლილებებს, „რომლითაც შემოსავლის მიღების „უკანონო" ხერხი, შეიცვალა „დანაშაულებრივით", მართებულად მიიჩნევენ იურიდიულ ლიტერატურაში. ეს იმიტომ გაკეთდა, რომ სწორედ დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების ლეგალიზაციაზე დადგენილიყო სისხლისსამართლებრივი აკრძალვა და არა ადმინისტრაციული სამართალდარღვევის, სამსახურებრივი გადაცდომის ან სამოქალაქო დელიქტის შედეგად მიღებული შემოსავლის გათეთრებაზე.[18]

ამავე დროს აკრიტიკებენ რუსეთის კანონმდებლობას, რომელიც პრედიკატულ დანაშაულთა წრიდან ამორიცხავს ფინანსური ხასიათის დანაშაულებს. ეს არღვევს კანონის წინაშე მოქალაქეთა თანასწორობის პრინციპს და სირთულეებს უქმნის სამართალშეფარდებით პრაქტიკას — უკანონო შემოსავლის წარმომავლობის დადგენის დროს. ლეგალიზატორებმა ეს გამონაკლისები შეიძლება გამოიყენონ თავისებურ ფარად პასუხისმგებლობისგან თავის დასაღწევად. მაგალითად, ამტკიცონ, რომ შემოსავალი გადასახადების გადაუხდელობით მიიღეს.

როგორც აღვნიშნეთ, შემოსავლის ლეგალიზაციის პრედიკატულ დანაშაულთა წრიდან გამონაკლისებს საქართველოს კანონმდებლობაც ითვალისწინებდა, რაც ამჟამად უკვე გაუქმებულია, მანივალის რეკომენდაციების საფუძველზე 2007 წლის 4 ივლისს სსკ-ის 194-ე მუხლიდან ამოღებულ იქნა ლეგალიზაციის საგნის ფინანსური ღირებულების ბარიერი (5000 ლარი). ამით საგადასახადო სფეროში ჩადენილ დანაშაულების მიმართ ლიბერალიზმს ბოლო მოეღო. უფრო შეურიგებელი დამოკიდებულებაა გადასახადების დამალვის

[18] ო. იაკიმოვი, დასახელებული ნაშრომი გვ. 65.

მიმართ საზღვარგარეთულ სამართალში. ამ გზით მიღებულ შემოსავალს ყველა „ჭუჭყიან“ ფულად აღიარებს. საქართველოს კანონმდებლობა ლეგალიზაციისთვის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მინიმალურ ფინანსურ ზღვარს არ ადგენს, მაგრამ ლეგალიზებული შემოსავლის რაოდენობა, ვთქვათ „დიდი ოდენობა“, პასუხისმგებლობის დამძიმების საფუძველია. ეს მიდგომაც მართებულია, რადგან ლეგალიზატორებს შეუძლიათ დიდი თანხების დაქუცმაცება და პასუხისმგებლობისგან თავის დაღწევა. ფინანსური ოპერაციების სტრუქტურირების მექანიზმები კარგად აქვს ათვისებული დამნაშავეთა სამყაროს, მაგრამ ამავე დროს, არ შეიძლება არ აღინიშნოს, რომ ჩვენმა კანონმდებელმა მეტის-მეტად გააფართოვა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საზღვრები, როცა ლეგალიზაციის საგნად აღიარა უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონება და ამით პრედიკატულ დანაშაულთა შორის ნებისმიერი სამართალდარღვევა მოიაზრა, მათ შორის ადმინისტრაციული გადაცდომა ან სამოქალაქო დელიქტიც. ამან ბევრ უსამართლობას და უკანონობას შეიძლება დაუდოს სათავე. ჩვენ ისეთ სახელმწიფოში ვიცხოვრეთ ათეული წლები, სადაც ქონების შეძენა კანონის მოთხოვნათა დარღვევით პრობლემას არ წარმოადგენდა, მხედველობაში გვაქვს სამოქალაქო კანონმდებლობის დარღვევით უძრავი ქონების შეძენა, ფლობა, სარგებლობა, გადაცემა და მისთ.

როგორც აღინიშნა, ჩვენი კანონმდებელი დანაშაულის საგნად მიიჩნევს არა მარტო დანაშაულებრივი, არამედ სხვაგვარი კანონდარღვევის გზით მოპოვებულ ქონებას. დანაშაულის საგნის ამგვარი განსაზღვრა გაუმართლებლად აფართოებს დანაშაულის შემადგენლობას, ამავე დროს ეწინააღმდეგება სტრასბურგის კონვენციის პირველი თავის პირველი მუხლის შინაარსს, რომლის მიხედვითაც ქონება აუცილებლად დაკავშირებული უნდა იყოს სისხლის სამართლის დანაშაულთან.

ვინაიდან, ნორმატიული აქტების იერარქიაში საერთაშორისო კონვენცია ქვეყნის შიდა მიმდინარე კანონზე მაღლა დგას, სსკ 194-ე მუხლის შენიშვნაში სიტყვები: "კანონის მოთხოვნათა დარღვევით" უნდა გავიგოთ, როგორც სისხლის სამართლის კანონის მოთხოვნათა დარღვევა. ამდენად, ქონება ან მისგან მიღებული შემოსავალი პირს მიღებული უნდა ჰქონდეს დანაშაულებრივი გზით.

რაც შეეხება დაუსაბუთებელ ქონებას, 194-ე მუხლის შენიშვნის მიხედვით ასეთად ითვლება ქონება, აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, აქციები (წილი), რომლის / რომელთა კანონიერი საშუალებებით მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტები პირს, მისი ოჯახის წევრს, ახლო ნათესავს ან დაკავშირებულ პირს არ გააჩნია, ან იგი მოპოვებულია უკანონო ქონების გასხვისების შედეგად მიღებული ფულადი სახსრებით.

ამდენად, დაუსაბუთებელი ქონება არის ორი სახის: 1. ქონება, რომლის კანონიერი საშუალებით მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტი პირს არ გააჩნია;

2. ქონება, რომელიც მოპოვებულია უკანონო ქონების გასხვისების (მაგალითად, გაყიდვის, გაცვლის) გზით.

როგორც ვხედავთ, ფულის გათეთრების საგანი არის ისეთი ქონებაც, რომლის კანონიერი საშუალებით მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტი პირს (ან პირებს) არ გააჩნიათ. ამდენად, აქ მნიშვნელობა არა აქვს იმას, ეს ქონება დანაშაულებრივი გზითაა მოპოვებული თუ არა. ამასთან, თუკი პირველ შემთხვევაში (უკანონო ქონება) მტკიცების ტვირთი ბრალმდებელს აწევს (მან უნდა ამტკიცოს, თუ კონკრეტულად რომელი კანონის დარღვევით აქვს პირს ეს ქონება მოპოვებული), მეორე შემთხვევაში (დაუსაბუთებელი ქონება) მტკიცების ტვირთი თავად ბრალდებულზეა. ე.ი. მან უნდა ამტკიცოს ქონების კანონიერი წარმომავლობა. თანაც, ეს

უნდა ამტკიცოს დოკუმენტურად და არა სხვაგვარი მტკიცებულების მოხმობით (მაგალითად, მოწმეთა ჩვენებით). სხვაგვარი მტკიცებულება მხედველობაში არ მიიღება და პირს ვერ გაამართლებს.

რამდნად გამართლებულია კანონმდებლის ასეთი პოზიცია?

ამ კითხვას პასუხი რომ გაეცეს, ჯერ უნდა გაირკვეს, თუ რა ფორმით ხორციელდება საქართველოში შრომითი საქმიანობა ან მომსახურებასთან დაკავშირებული ურთიერთობა და აქედან წარმოშობილი ანაზღაურება.

საქართველო განსხვავდება განვითარებული ევროპული სახელმწიფოებისაგან, სადაც ნებისმიერი შრომითი საქმიანობა ხელშეკრულებითაა მოწესრიგებული თუნდაც ეს ეხებოდეს ფიზიკურ პირებს. მაგალითად, სარემონტო (ბინის რემონტი ან სხვა სამუშაოების ჩატარება), სარეპეტიტორო, სამასწავლებლო (ცეკვის მასწავლებელი, რომელიც სახლში უტარებს მოწაფეს კერძო გაკვეთილებს), შინამოსამსახურის, ბავშვების ძიძის საქმიანობა და სხვა, მოწესრიგებულია ხელშეკრულებით. ეს პირები ანაზღაურებას იღებენ ბანკის მეშვეობით. ყოველ შემთხვევაში, მათ საჭიროებისას შეუძლიათ, წარმოადგინონ სათანადო დოკუმენტი (ხელშეკრულება) მათი შემოსავლის წარმომავლობის შესახებ.

საქართველოში კი ასეთი ურთიერთობისათვის არაა აუცილებელი ხელშეკრულების დადება. ამდენად, შესაძლებელია, პირი წლების განმავლობაში ეწეოდეს მსგავს საქმიანობას და ანაზღაურებას იღებდეს ხელზე. ეს ანაზღაურება, როგორც წესი, არაა იმ ოდენობის, რომ საკითხი დადგეს გადასახადისაგან თავის არიდებისათვის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე. სათვალავშია მისაღები ისიც, რომ საქართველოში თითქმის არ არსებობს ფულადი დანაზოგის ბანკში შენახვის კულტურა (რასაც აქვს თავისი ობიექტური და სუბიექტური მიზეზი). ადამიანები ამჯობინებენ, ფული

შეინახონ სახლში. საბოლოოდ, როცა დადგება დაგროვილი თანხის კანონიერი წარმომავლობის საკითხი, შესაბამისი დოკუმენტების წარმოდგენა შეუძლებელი ხდება, რადგან იგი რეალურად არ არსებობს.

ამდენად, მსგავს შემთხვევაში სახეზეა დაუსაბუთებელი ქონება, რომელიც შესაძლებელია, მიჩნეული იქნას სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საგნად, თუკი პირი ამ თანხით შეიძენს ვთქვათ, ძვირად ღირებულ უძრავ ქონებას და დოკუმენტურად ვერ დაასაბუთებს ფულის კანონიერ წარმომავლობას. არადა ამ ფულის მოპოვებაზე მან წლების განმავლობაში ბევრი "ოფლი ღვარა", დიდძალი სასარგებლო შრომა შეასრულა.

ვფიქრობთ, სსკ 194-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის საგნად დაუსაბუთებელი ქონების გათვალისწინება საქართველოს პირობებში არაა მიზანშეწონილი, იგი არაა სამართლიანი, რადგან არ შეესაბამება საქართველოს რეალობას.

ასეთ პირობებში ნახევარი საქართველო შეიძლება დასაჭერი გახდეს. მით უფრო, რომ დანაშაულთან ბრძოლის მოტივით, ზოგჯერ, სასამართლო პრაქტიკა კანონის უკუძალის აკრძალვასაც კი უგულებელყოფს. ანდა დავუშვათ განგრძობადი ფორმით ხდება ნივთის ფლობა, ან კიდევ რა ვუყოთ იმ რეალობას, როცა ქვეყანაში არსებული 250 000 დევნილიდან რომელიმე ვერ წარმოადგენს თავისი ქონების კანონიერი საშუალებებით მოპოვების დამადასტურებელ დოკუმენტებს, დაუსაბუთებელ ქონებად ჩავუთვალოთ და ჩამოვართვათ?! ჯოჯოხეთს გამოქცეულ ადამიანებს რა დოკუმენტების წამოღებაზე უნდა ეფიქრათ?

ლეგალიზაციის საგანთან დაკავშირებით ასევე მნიშვნელოვანია პრედიკატული დანაშაულების ne bis in idem პრინციპთან თავსებადობის საკითხი. ორმაგი დასჯის აკრძალვა აქ-

ტუალურია ევროპულ სისხლის სამართალშიც. ამ პრინციპზე არც საქართველოს ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს უთქვამს უარი. (იხ. მუხლი 18.)

ყველა საერთაშორისო კონვენცია ამ სფეროში ხაზგასმით ამბობს, რომ თითოეულმა მონაწილე სახელმწიფომ, თავისი შიდა კანონმდებლობის ძირითადი პრინციპების შესაბამისად, უნდა მიიღოს საკანონმდებლო და სხვა ზომები. ასე მაგალითად, ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენციის მე-6 მუხლის მეორე პუნქტის „ე" ქვეპუნქტის მიხედვით, „თუ ამას მოითხოვს მონაწილე სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობის ძირითადი პრინციპები, შეიძლება გათვალისწინებული იქნეს, რომ ამ მუხლის პირველ პუნქტში აღნიშნული დანაშაულები არ ეხება პირებს, რომელთაც ჩაიდინეს ძირითადი სამართალდარღვევა (ე.ი. პრედიკატული დანაშაული).

ფულის გათეთრების საწინააღმდეგო ევროკონვენციის მე-6 მუხლის „ბ" ქვეპუნქტის თანახმად, შეიძლება დათქმულ იქნეს, რომ პირველ პუნქტში მითითებული დანაშაულები (ანუ ფულის გარეცხვისკენ მიმართული ქმედებები — გ.მ.) არ შეეხება იმ პირებს, რომლებმაც ჩაიდინეს პრედიკატული დანაშაული. ვფიქრობ, ეს დათქმები, ერთი ქმედებისათვის ორჯერ დასჯის გამორიცხვას ემსახურება. თითოეულ მხარეს, სახელმწიფოს, კონვენციასთან მიერთების დროს შეუძლია განაცხადოს, რომ მე-6 მუხლის პირველი პუნქტის დებულებები გამოიყენება მხოლოდ პრედიკატული დანაშაულების ან დანაშაულთა ისეთი კატეგორიების მიმართ, რომლებიც მითითებულია განაცხადში. ყველა კონვენცია ითვალისწინებს ამა თუ იმ სამართლებრივი სისტემის კონსტიტუციურ პრინციპებს და ფუნდამენტურ საფუძვლებს.
საქართველოს, შესაბამისი კანონმდებლობით, არც პრედიკატულ დანაშაულთა ჩამონათვალი და არც არავითარი დათქმა კონვენციებთან მიმართებით არ გაუკეთებია. დღე-

ვანდელი რეალობით ნებისმიერი სამართალდარღვევის ჩადენით მიღებული შემოსავალი შეიძლება იქცეს ლეგალიზების საგნად. გამოდის, რომ ქურდმა ნაქურდალი ნივთი რომ შეინახოს ან გაყიდოს ქურდობასთან ერთად ფულის გათეთრებისთვისაც უნდა აგოს პასუხი. რაც წინააღმდეგობაშია ne bis in idem პრინციპთან. უფრო მეტიც, დღეს საქართველოს პროკურატურაში განიხილება სამეწარმეო საქმიანობის სფეროში აგრეთვე ეკოლოგიური დანაშაულის ჩადენის შედეგად მიღებული შემოსავლების სსკ-ის 194-ე მუხლით (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება) კვალიფიკაციის შესაძლებლობა შესაბამის პრედიკატულ დანაშაულებთან ერთობლიობით. მაგალითად, რომელიმე ფირმამ (ან ფიზიკურმა პირმა) სხვისი სასაქონლო ნიშნის გამოყენებით შემოსავალი რომ მიიღოს და იგი გამოიყენოს, წარმოებაში ჩადოს ან უბრალოდ საბანკო ანგარიშზე განათავსოს, ის უკვე ფულის გათეთრებასაც ახორციელებს, ანდა მის მიერ უკანონო სამეწარმეო საქმიანობით მიღებული შემოსავლით სარგებლობა ან ფლობა ასევე შემოსავლის გათეთრებასაც ნიშნავს, ან კიდევ, უკანონოდ გაჩეხილი ხე-ბუჩქნარით რომ ისარგებლოს ეკოლოგიურ დანაშაულთან ერთად შემოსავლის გათეთრებასაც აქვს ადგილი. ამავე ლოგიკით, თუ მოხელემ ქრთამი აიღო, უნდა დაისვას ამ შემოსავლის შესაძლო ლეგალიზების შეფასების საკითხი და კვალიფიკაცია სამოხელეო დანაშაულთან ერთობლიობით მოხდეს. ფულის გათეთრებისკენ მიმართული კონკრეტული ქმედება რომც არ იყოს სახეზე, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის ფლობა და სარგებლობა ხომ სახეზეა და ერთი ქმედებისთვის მაინც ორჯერ უნდა აგოს პასუხი მოხელემ.

უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონება იმდენად ფართოა, რომ თუ ნივთის მპოვნელმა არ დაიცვა სამოქალაქო კოდექსის 191-ე მუხლით დადგენილი მოთხოვნები და გამოიყენა, გარდაქმნა, ან სხვა ქმედება განახორციელა ნაპოვარი ნივთის მიმართ, მან ფულის გათეთრებისთვის უნდა აგოს პასუხი, რადგან ეს შემოსავალი უკანონოა.

არსენა მარაბდელი რაკი დანაშაულებრივი გზით ნაშოვნ ფულს საჩუქრად გარდაქმნიდა (მდიდარს ართმევს ღარიბს აძლევს პრინციპით), გამოდის რომ თურმე ფულს ათეთრებდა. ასეთ სახალისო დასკვნებამდე მივალთ, თუ პრედიკატული დანაშაულის ჩამდენს იმავდროულად ფულის გათეთრებისთვისაც დავაკისრებთ პასუხისმგებლობას.

როგორც ვხედავთ, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საგნის პრობლემა სერიოზულ გააზრებას მოითხოვს და ისე მარტივად არაა საქმე, როგორც ეს ერთი შეხედვით შეიძლება მოეჩვენოს ვინმეს. ვერავინ უარყოფს, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის დროს პრედიკატულ დანაშაულს (სამართალდარღვევას) პრეუდიციული მნიშვნელობა აქვს. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციით გამოწვეული ზიანი უნდა შეფასდეს წინარე კრიმინალური ქცევის შედეგებით, ფულის გარეცხვა წინარე ქმედებასთან შემხებლობის ერთერთი ფორმაა. ამ საკითხს ქვემოთ დავუბრუნდებით.

§ 5. შემოსავლების ლეგალიზაციის ობიექტური შემადგენლობა საერთაშორისო აქტებში და ნაციონალურ კანონმდებლობაში

ნარკოტიკული საშუალებების და ფსიქოტროპული ნივთიერებების უკანონო ბრუნვასთან ბრძოლის შესახებ გაეროს (ვენის კონვენცია) 1989 წლის კონვენციის მე-3 მუხლის b ქვეპუნქტის მიხედვით, შემოსავლის ლეგალიზაცია ნიშნავს საკუთრების კონვერსიას ან გადაყვანას, თუ ცნობილია, რომ ეს საკუთრება მიღებულია ამავე მუხლის „ა" პუნქტში მითითებული სამართალდარღვევების ჩადენის შედეგად, ან მასში მონაწილეობით, საკუთრების უკანონო წყაროს დაფარვის ან შენიღბვის მიზნით, ანდა ნებისმიერი პირისთვის დახმარების გაწევის მიზნით ვინც მონაწილეობს ასეთ სამართალდარღვევაში, იმისთვის რომ თავი აარიდოს პასუხისმგებლობას თავისი ქმედებისთვის. ასევე, საკუთრების ნამდვილი ხა-

სიათის, წყაროს, ადგილმდებარეობის, განკარგვის ხერხის, გადაადგილების, საკუთრებაზე ნამდვილი უფლების ან მისი კუთვნილების დაფარვა ან შენიღბვა.

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს (პალერმოს) 2000 წლის კონვენციის მე-6 მუხლის მიხედვით ფულის გათეთრება მოიცავს ისეთ ქმედებებს, როგორიცაა: წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების გარდაქმნა ან გადაცემა ამ ქონების უკანონო წარმოშობის დაფარვის ან დამალვის მიზნით ან ნებისმიერი იმ პირისთვის დახმარების გაწევის მიზნით, რომელიც ძირითადი სამართალდარღვევის მონაწილეა, რათა თავი აარიდოს საკუთარი ქმედების სამართლებრივ შედეგებზე პასუხისმგებლობას, ასევე, წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების ნამდვილი ხასიათის, წყაროს, ადგილის, განკარგვის ხერხის, გადაადგილების, ქონებაზე უფლების ან მისი კუთვნილების დაფარვა ან დამალვა.
ევროპის საბჭოს ფულის გათეთრების საწინააღმეგო 1990 წლის კონვენციის მე-6 მუხლის მიხედვით, ლეგალიზაცია მოიცავს ისეთ მოქმედებებს როგორიცაა: საკუთრების გარდაქმნა ან გადაცემა, იმის შეცნობით, რომ ასეთი საკუთრება არის დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავალი, საკუთრების უკანონო წარმოშობის დაფარვის ან შენიღბვის მიზნით ან ნებისმიერი პირისთვის დახმარების გაწევის მიზნით ვინც მონაწილეობს პრედიკატულ დანაშაულში, რათა თავი დააღწიოს ამგვარი ქმედების სამართლებრივ შედეგებს. აგრეთვე, ქონების ნამდვილი ხასიათის, წყაროს, ადგილმდებარეობის, მდგომარეობის, გადაადგილების, საკუთრების უფლების ან მისი კუთვნილების დაფარვა ან შენიღბვა, იმის შეცნობით რომ ასეთი საკუთრება არის დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავალი.

ამრიგად, საერთაშორისო აქტების მიხედვით, ლეგალიზაცია

არის დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ტრანსფორმაცია, რომლის მიზანია ეს ქონება ლეგალური ფორმებით მიღებულად წარმოაჩინოს. აღსანიშნავია, რომ სამივე კონვენცია შემოსავლის გათეთრების ფორმად თვლის ასევე, საკუთრების შეძენას, ფლობას ან გამოყენებას, თუ მისი მიღების მომენტში ცნობილი იყო, რომ ეს ქონება დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავალია.

როგორც ვხედავთ, საერთაშორისო აქტებში იკვეთება ფულის გათეთრების სამი ტიპის ხერხი: 1. ქონების კონვერსია ან გადაყვანა (გადარიცხვა), 2. ქონების შენიღბვა ან დამალვა. 3. ქონების შეძენა, ფლობა, გამოყენება.

საქართველოს კანონი, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ, შემოსავლის ლეგალიზაციის შემდეგ განმარტებას გვთავაზობს — უკანონო შემოსავლისთვის კანონიერი სახის მიცემა (შეძენა, გამოყენება, გადაცემა ან სხვა მოქმედება), აგრეთვე, მისი ნამდვილი წარმოშობის, მესაკუთრის ან მფლობელის ან/და ქონებრივი უფლებების დამალვა ან შენიღბვა ანდა ასეთი ქმედების ჩადენის მცდელობა. ანალოგიურ განმარტებას გვთავაზობს სსკ-ის 194-ე მუხლის – (უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია) — დღევანდელი რედაქცია. სახელდობრ, ფულის გათეთრების დანაშაულის ობიექტური მხარე ორი ფორმით შეიძლება განხორციელდეს: პირველი უკანონო ან/და დაუსაბუთებელი ქონებისთვის კანონიერი სახის მიცემა (ქონებით სარგებლობა, ქონების შეძენა, ფლობა, კონვერსია, გადაცემა ან სხვა მოქმედება) მისი უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზნით, და მეორე, ქონების ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, მასზე საკუთრების ან/და მასთან დაკავშირებული სხვა უფლებების დამალვა ან შენიღბვა.

სისხლის სამართლის კანონი სანიმუშოდ ჩამოთვლის უკანონო

შემოსავლის ლეგალიზაციის ხერხებს.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, როგორც წესი, რამდენიმე ოპერაციისგან შემდგარი პროცესია. არსებობს ფულის გათეთრების ორსაფეხურიანი, სამსაფეხურიანი, ოთხსაფეხურიანი მოდელები. ორსაფეხურიანი მოდელი მოიცავს ფულის „გარეცხვას" და ბრუნვაში დაბრუნებას. სამსაფეხურიანი მოდელი გულისხმობს: 1) განთავსებას ე.ი. არალეგალური წყაროდან ფულის გადატანას ლეგალურში (მაგალითად, საბანკო გადარიცხვა სხვა რომელიმე ქვეყანაში), 2) „კვალის წაშლას" — მრავალჯერადი ფინანსური ოპერაციები ერთი ქვეყნიდან მეორეში, 3) ინტეგრაციას, მრავალჯერადი ფინანსური ოპერაციების შემდეგ ლეგალიზებული საშუალებების დაბრუნება ოფიციალურ ეკონომიკურ ციკლში (მაგალითად, ფულის ეკონომიკაში განთავსება ან უძრავ ქონებაში დაბანდება). გაეროს ექსპერტები გამოყოფენ ფულის გათეთრების 4 სტადიას: 1) ნაღდი ფულისაგან გათავისუფლება და გადარიცხვა ცრუმაგიერი პირების ანგარიშებზე (მაგალითად, ნათესავებზე ან სხვა შუამავლებზე, რომელთაც საკუთარი ანგარიშები აქვთ ბანკებში), 2) ნაღდი ფულადი საშუალებების განაწილება (მაგალითად, ფასიანი ქაღალდების შესყიდვა), 3) ჩადენილი დანაშაულის კვალის წაშლა, ამ სტადიაზე მთავარი ამოცანაა ყველა ზომის მიღება, რათა ვერავინ შეიტყოს ფულის წარმოშობის წყარო და განაწილების ადგილები, 4) ფულადი მასის ინტეგრაცია. გარეცხილი ფულის ინვესტირება ბიზნესის მომგებიან სფეროში.

ამგვარად, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია წარმოადგენს რთულ პროცესს, ის მოიცავს მრავალფეროვან ოპერაციებს, რომლებიც ხორციელდება სხვადასხვა მეთოდებით და ხერხებით. მართალია მათ კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობა არა აქვს, მაგრამ ამ დანაშაულთან ბრძოლისა და მისი პრევენციისთვის ეს არსებითია. ზოგადად, ლეგალიზაციის ამა თუ იმ ხერხის, მეთოდის არჩევა მრავალ ფაქტორზეა

დამოკიდებული — დანაშაულის ორგანიზების ხარისხზე, დანაშაულობის მასშტაბზე, ფულადი სახსრების მოცულობაზე და სხვა. ამასთანავე, ლეგალიზაციის პროცესის შემადგენელი მეთოდების თუ ხერხების ზუსტად დადგენას არსებითი მნიშვნელობა აქვს ქონების ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის, მოძრაობის, მასზე საკუთრების თუ მასთან დაკავშირებული სხვა უფლებების დასადგენად. როგორც აღვნიშნეთ, სპეციალურ ლიტერატურაში და საერთაშორისო პრაქტიკაში აღიარებულია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პროცესის რამდენიმე სტადიად დაყოფა, თუმცა ეს დაყოფა პირობითია. ამ საკითხს მომდევნო პარაგრაფში განვიხილავთ.

§ 6. კრიმინალური წარმოშობის ფულის გარეცხვის მოდელები (უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციის ეტაპები — სტადიები); ქმედების ობიექტური მხარის რეალიზაციის სპეციფიკა

როგორც უკვე ითქვა, თავისთავად ფულის გარეცხვა საკმაოდ რთული პროცესია დანაშაულებრივი წარმომავლობის შემოსავლები გაივლის ფინანსურ სისტემას მათი არალეგალური წარმომავლობის დასაფარავად და კანონიერი სახის მისაცემად. მიუხედავად იმისა, რომ ეს პროცესი უამრავ მოქმედებას მოიცავს მთლიანობაში ისინი სამ ძირითად მოქმედებაზე დაიყვანება. ექსპერტთა შეფასებით ყველაზე ტიპიურია ფულის გარეცხვის სწორედ სამსაფეხურიანი მოდელი..

პირველი მოქმედება (სტადია) — **ეს არის განთავსება (Placement)**. ფულის გათეთრების პროცესის პირველ სტადიაზე ხდება არალეგალური შემოსავლების ლეგალურ ფორმებში გადაყვანა. ეს შეიძლება განხორციელდეს ფულის დეპონირებით ადგილობრივ ბანკებში ან სხვა ფინანსურ დაწესებულებებში. ნაღდი ფული შეიძლება გადატანილი იქნეს საზღვარგარეთ, იქაურ საფინანსო დაწესებულებებში დეპონირებისთვის ან გამოყენებულ იქნეს ძვირფასი ნივთების შესაძენად.

განთავსება — გულისხმობს ნაღდი ფულადი საშუალებების ფიზიკურ მოთავსებას საფინანსო ინსტიტუტში, წარმოშობის ადგილიდან მოშორებულ ტერიტორიაზე, რადგან, ამ სტადიაზე დამნაშავის ძირითადი მიზანია ნაღდი ფულის ამოღება შეძენის ადგილმდებარეობიდან და მისი სხვა ფორმებში გადაყვანა (მობილურ ფინანსურ ინსტრუმენტებში განთავსება). ფულის განთავსებისათვის გამოიყენება როგორც ტრადიციული, ისე არატრადიციული საფინანსო დაწესებულებები. ტრადიციული საფინანსო დაწესებულებებიდან აღსანიშნავია ბანკები, არასაბანკო საფინანსო-საკრედიტო ინსტიტუტები (საინვესტიციო ფონდები, სადაზღვეო კომპანიები, საპენსიო ფონდები, საფინანსო კომპანიები და სხვ.).

უკანონო შემოსავლების გარეცხვაში საკრედიტო სისტემის გამოსაყენებლად ლეგალიზატორები ბანკებში ხსნიან ანგარიშებს დანაშაულებრივი შემოსავლების განსათავსებლად; ფიქტიური ან ლიკვიდირებული ორგანიზაციის ბეჭდის, ბლანკის ან სხვა საიდენტიფიკაციო დოკუმენტების გამოყენებით ხსნიან ანგარიშს ანგარიშსწორებისთვის უკანონო ფულის ჩასარიცხად, ან ამ ორგანიზაციის სახელით ბანკიდან ფულის შემდგომი გადარიცხვისთვის ფიქტიური კონტრაქტის შესასრულებლად, ახორციელებენ ფიქტიურ საბანკო ოპერაციებს ერთი და იმავე პირის მიერ დაფუძნებულ რამდენიმე ორგანიზაციას შორის, ფიზიკურად გააქვთ ფული და ათავსებენ საზღვარგარეთულ ბანკებში და ა. შ.

სპეციალისტების შეფასებით დამნაშავეები ტრადიციულ საფინანსო დაწესებულებებს შემდეგი მეთოდებით იყენებენ: ნაღდი ფულის გარდაქმნა ფინანსურ ინსტრუმენტებად, წვრილი ბანკნოტების გადაცვლა მსხვილ კუპიურებზე ან ფულის გადაცვლა სხვა ვალუტაზე, ნაღდი ფულით ოპერაციების სტრუქტურირება (ანაბრების დანაწევრების ტექნიკა), საფინანსო დაწესებულებაზე კონტროლის დამყარება, ბანკებს შორის საკორესპონდენტო ურთიერთობების გამოყენება, ყალბი აუდიტორული კვალის შექმნა, უკანონო საშუალებების საზღვარგარეთ გადაყვანა, სატრანზიტო ანგარიშების

გამოყენება, სესხის გარანტიის მექანიზმი, კანონიერი და უკანონო საშუალებების შერწყმა და სხვ.[19]

ექსპერტები ფულის გარეცხვის პირველ სტადიაზე გავრცელებულ მეთოდად თვლიან ნაღდი ფულით ოპერაციების სტრუქტურირებას. განხორციელებული საფინანსო ოპერაციების მასშტაბების შეზღუდვა (ანაბარი, ფულადი ინსტრუმენტის შესყიდვა, ვალუტის გაცვლა) საფინანსო ინსტიტუტის მონიტორინგს დაქვემდებარებული ოპერაციის (გარიგების) ანგარიშგების სპეციალური ფორმების შევსებისგან თავის დაღწევის მიზნით ხდება. შემდეგ, ფულის გადატანა ხდება სხვა ანგარიშზე, როგორც წესი, სხვა ქვეყანაში. მაგალითად, საქართველოში ბანკების მონიტორინგს ექვემდებარება პირის მიერ დადებული ან შესრულებული გარიგება ანდა მისი დანაწევრების მიზნით დადებულ ან შესრულებულ გარიგებათა ერთობლიობა, თუ გარიგების ან გარიგებათა ერთობლიობის თანხა აღემატება 30000 ლარს, ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში. აქედან გამომდინარე, დამნაშავე შეიძლება შეეცადოს კანონმდებლობით დადგენილ ზღვარს ზემოთ არ დადოს გარიგება, საფინანსო ინსტიტუტის თვალის ასახვევად დაანაწევროს იგი.

ნაღდი ფულით ოპერაციების სტრუქტურირებაში დამნაშავეებს დიდ დახმარებას უწევს საფინანსო დაწესებულებაზე ან მის პერსონალზე დანაშაულებრივი ორგანიზაციის მხრიდან კონტროლის დამყარება. ამ შემთხვევაში ფულის გარეცხვაში ერთვებიან ბანკების ხელმძღვანელები და მოსამსახურეები, რომლებიც ეხმარებიან კრიმინალებს ანგარიშებზე ფულის დანაწევრებაში, საბანკო ანგარიშის გამოყენებაში, ანაბრებით მრავალჯერადი ოპერაციების განხორციელებაში და ფულის მოხსნაში.

ფულის გასათეთრებლად ბანკებს შორის საკორესპონდენტო ურთიერთობების გამოყენების დროს ხდება უკანონო თანხე-

[19] Отмывание грязных денег, кол. авторов, Киев, 2003, с. 22.

ბის ბანკ-კორესპონდენტებთან გადაგზავნა და ბანკთაშორისი გადაყვანის გარეგნული სახის მიცემა. ასეთი მეთოდი დამნაშავეებს შესაძლებლობას აძლევს განსაკუთრებით დიდი თანხები გადააადგილონ და დოკუმენტურად ოპერაციის ნამდვილი არსი მიჩქმალონ.

ყალბი აუდიტორული კვალის შექმნა გულისხმობს განზრახ ისეთი დოკუმენტების გამოყენებას, რომლებიც ნიღბავენ უკანონოდ მიღებული შემოსავლების ნამდვილ წყაროს, მესაკუთრეებს და ადგილმდებარეობას. ექსპერტების დაკვირვებით, კლიენტების იდენტიფიკაციის სისტემის სრულყოფასთან დაკავშირებით ცრუმაგიერ პირებზე გახსნილი ანგარიშების გამოყენების შემთხვევები რამდენადმე შემცირდა, მაგრამ გახშირდა ანგარიშების გახსნის შემთხვევები მშობლების, ნათესავების, კომპანიონების და ნებისმიერი სხვა პირების სახელზე, რომლებიც დამნაშავეთა მითითებებით მოქმედებენ.

ფულის რეალური მფლობელების დასაფარავად ხდება ცრუმაგიერი მაკონტროლებელი კომპანიების შექმნა, რომლებიც როგორც წესი, სხვა ქვეყნებშია დარეგისტრირებული, მათი ბუღალტერია ხელმიუწვდომელია ხელისუფლებისთვის და ხელმძღვანელობა შორიდან ხდება, ანონიმური ინსტრუქციებით. ეს კომპანიები, როგორც წესი, გამოიყენება უძრავი ქონების შესაძენად ფულის დასაგროვებლად და ცრუ გაკოტრების განსახორციელებლად.

უკანონო შემოსავლების საზღვარგარეთ გადაყვანა, როგორც განთავსების მეთოდი, ხორციელდება სხვადასხვა ფინანსური გარიგებების მეშვეობით ისეთი ინსტრუმენტების გამოყენებით, როგორიცაა სატელეგრაფო გზავნილი, ჩეკი, აკრედიტივი, თამასუქი და სხვა. ამისათვის სხვადასხვა მეთოდი გამოიყენება. მაგალითად, სესხის გარანტიის მექანიზმი არის მეთოდი, რომელიც ზოგიერთ ქვეყანაში ნაღდი ფულის კონტრაბანდისათვის გამოიყენება. მისი არსი იმაში მდგომარეობს, რომ ნაღდი ფული სხვა ქვეყანაში გადაი-

ტანება, ხოლო შემდეგ გამოიყენება გარანტიად საბანკო სესხისათვის, რომელიც ჭუჭყიანი ფულის წარმოშობის ქვეყანაში გადაიყვანება. ეს მეთოდი გარეცხილ ფულს არა მარტო ნამდვილი სესხის სახეს აძლევს, არამედ გარკვეული საგადასახადო შეღავათებიც ახლავს.

ექსპერტების შეფასებით „ჭუჭყიანი" ფულის ლეგალურ საბანკო სესხად გადაქცევა ფულის გარეცხვის საკმაოდ გავრცელებული მეთოდია. სქემა დაახლოებით ასეთია: პირველ ეტაპზე ჭუჭყიანი ფული წვრილი ანაბრების სახით (10 000 დოლარზე ნაკლები) სხვადასხვა შუალედურ ბანკებში შეაქვთ, შემდეგ ფული საგადასახადო „ოაზისში" გადაიგზავნება, მომდევნო ეტაპზე სხვადასხვა ბანკს შორის ფიქტიური ოპერაციების სერია ხორციელდება იმ მიზნით, რომ შეუძლებელი გახდეს ფულის წარმომავლობის დადგენა. ამის შემდეგ ფული რესპექტაბელურ ბანკში გადაიგზავნება, უფრო ხშირად შვეიცარიაში, რომელიმე ცრუ ფირმის სახელზე. ბოლო ეტაპზე, თავისი კლიენტის მოთხოვნის საფუძველზე შვეიცარული ბანკი თანხმდება სხვა ქვეყნის, ვთქვათ, საფრანგეთის ბანკის სესხის გარანტიებზე. ფრანგული ბანკი კი, თავის მხრივ, აძლევს სესხებს ლეგალურ ფირმებს, რომლებსაც სინამდვილეში კრიმინალური ორგანიზაციები აკონტროლებენ.[20]

ჭუჭყიანი ფულის კრედიტის გარანტიად გამოყენებისას, ცხადია, კრედიტის გამცემმა ბანკმა რაღაცა სარგებელი უნდა მიიღოს, სხვანაირად წარმოუდგენელია კრედიტი გასცეს. ექსპერტების აზრით, ასეთ ფინანსურ ოპერაციაში ბანკი კრედიტის ოდენობის 20-25% მაინც მოითხოვს. საბანკო პერსონალთან წინასწარი შეთანხმების გარეშე ასეთი გარიგება არ შედგება. კრედიტის გამცემმა ბანკმა ვინმეს ფული რომ გაუთეთროს აუცილებლად სარგებელს მოსთხოვს, სხვანაირად რაში უნდა აწყობდეს ასეთ საეჭვო ოპერაციაში

[20] იხ. რ. ოთინაშვილი, ჩრდილოვანი ეკონომიკა, თბ., 2001, გვ. 51.

მონაწილეობა. რომ არა ფინანსური ინტერესი, ბანკი ეტყოდა კრედიტის მსურველს გადმორიცხე შენი ფული ჩემთან და გაიტანეო, მაგრამ იგი ამას არ (ვერ) აკეთებს. ფულის გამთეთრებელს ასეთ პირდაპირ საფინანსო ოპერაციას ურჩევნია გზები დახლართოს.

საფინანსო სისტემის გავლით ფულადი საშუალებების საზღვარგარეთ გადასაყვანად ფიზიკურ პირებს შეუძლიათ გამოიყენონ სატრანზიტო ანგარიშები (მრავალჯერადი ანგარიში მრავალი კლიენტისთვის), ეჭვის გასაფანტად შესაძლებელია თანხების დანაწევრებაც, თუმცა, თუ თანხის მიმღები ერთი პირი იქნება და რამდენიმე ფიზიკური პირი გადარიცხავს თანხას დანაწევრების მიზნით, ბანკის მონიტორინგის სამსახურის ყურადღებას მიიქცევს, ამიტომ ყოველგვარი ეჭვის გასაფანტად თანხის მიმღებიც რამდენიმე ადრესატი უნდა იყოს. ამგვარი ტრანზაქცია მონიტორინგს არ ექვემდებარება. კრიმინალებს ეს მეთოდი ათვისებული აქვთ.

ჭუჭყიანი ფულის განთავსება ხდება არატრადიციულ საფინანსო დაწესებულებებშიც. არატრადიციულს უწოდებენ არასაბანკო საფინანსო დაწესებულებებს, რომლებიც ფაქტობრივად ახორციელებენ საბანკო მომსახურებას, როგორიცაა სავალუტო ბირჟები, ფასიანი ქაღალდებისა და ძვირფასი ლითონების ბროკერები, კაზინოები, სატელეგრაფო და საფოსტო მომსახურების ორგანიზაციები, სადაზღვევო კომპანიები და სხვ.
ფულის გარეცხვისთვის არატრადიციული ფინანსური დაწესებულებების გამოყენების კონკრეტული ტექნოლოგიები დამოკიდებულია მრავალ ფაქტორზე, რაც განპირობებულია ამ დაწესებულებათა საქმიანობის სამართლებრივი რეგულირების თავისებურებებით სხვადასხვა ქვეყანაში.

საქართველოს არასაბანკო ფინანსური სექტორი წარმოდგენილია 17 საკრედიტო კავშირით, 39 მიკროსაფინანსო ორგა-

ნიზაციით, 1 საფონდო ბირჟით, 16 სადაზღვევო კომპანიით და 6 არასახელმწიფო საპენსიო ფონდით.

საქართველოში აჟამად სასაქონლო ბირჟა არ არის, ხოლო საფონდო ბირჟა ვერ ფუნქციონირებს. არსებული მდგომარეობით საქართველოს ფასიანი ქაღალდების ბაზარი ადრეული განვითარების პროცესშია და კომპანიებისთვის ჯერ კიდევ ვერ იქცა კაპიტალის მოძიების მნიშვნელოვან წყაროდ. ამიტომ ეს ინსტრუმენტი ჩვენი ეკონომიკის მასშტაბებიდან გამომდინარე, ნაკლებად გამოსაყენებელია შემოსავლების გათეთრებაშიც. რაც შეეხება ბროკერებს, რამდენადაც ბროკერის ძირითადი საქმიანობა შუამავლობაა, მას შეუძლია, მაგალითად, ძვირფასი ლითონის შესყიდვის ხელშეკრულება კლიენტისთვის ხელსაყრელ ფასად დადოს, რისთვისაც მომსახურებაში დიდ თანხას მოითხოვს (საკომისიო), ამ თანხას კი შემდეგ ისევ კლიენტს, ანუ ფულის გამთეთრებელს დაუბრუნებს. მაშასადამე, ბროკერებმა სავაჭრო შუამავლობით შეიძლება დიდი ფული იშოვნონ, მაღალი მომსახურების ფასით, რომელსაც გაუნაწილებენ ფულის გამთეთრებელს. ამ სქემის გამოყენება საქართველოშიც შესაძლებელია.

ექსპერტები თვლიან, რომ ბოლო პერიოდში, არატრადიციულ საფინანსო ორგანიზაციებს უფრო ხშირად იყენებენ უკანონო შემოსავლების გასათეთრებლად, რაც იმითაა გამოწვეული, რომ ფულის გარეცხვასთან საბრძოლველად კანონმდებლობა საბანკო სექტორში უფრო სრულყოფილია.
დანაშაულებრივი შემოსავლების განთავსებისას არატრადიციული საფინანსო დაწესებულებების გამოყენების გავრცელებული მეთოდებია: კანონიერი და უკანონო ფონდების შერწყმა, ნაღდი ფულით ქონების შეძენა, ვალუტის უკანონო გატანა.

კანონიერი და უკანონო ფონდების შერწყმა ეფუძნება ფულის გარეცხვის მიზნით იმ საწარმოთა გამოყენებას, რომლებშიც

მნიშვნელოვანი რაოდენობის ნაღდი ფული ჩვეულებრივი და კანონიერი მოვლენაა (მაგალითად, რესტორნები, ბარები, სასტუმროები და სხვ.), აქ კანონიერი ოპერაციების მასაში უკანონო შემოსავლების დამალვა საკმაოდ იოლია.

საქართველოში რესტორნების და კაფე ბარების გამოყენება ფულის გათეთრების სქემებში ნაკლებად სავარაუდოა, რადგანაც მათ დიდი შემოსავლები არ აქვთ და როგორც კი დიდ ბრუნვას აჩვენებენ, მაშინვე თვალში საცემი გახდება. ამასთანავე, ჩვენს ხელისუფლებას ასეთი საგადასახადო სტრატეგია აქვს არჩეული: თუ რაღაც პერიოდში საწარმომ დიდი ბრუნვა აჩვენა, შემდეგ კი ჩააგდო (ან ჩაუვარდა) ბიზნესი, ბოლო პერიოდის დაბეგვრას იმავე განაკვეთით უკეთებენ როგორც წინა, მომგებიანი საანგარიშო პერიოდის დროს. შემოსავლების სამსახური რესტორნებსა და საზკვების ობიექტებს ქრონომეტრაჟის წესით ამოწმებს, რაც შემდეგში მდგომარეობს: საგადასახადო ორგანოები გარკვეული პერიოდის განმავლობაში აკვირდებიან საწარმოს მუშაობას, სწავლობენ შემოსავალს და ადარებენ მას გასული პერიოდის შემოსავალთან, სხვაობის აღმოჩენის შემთხვევაში სოლიდური ჯარიმაა დადგენილი. ფინანსთა მინისტრის 2009 წლის 8 სექტემბრის ბრძანებით, საგადასახადო ორგანოებს დაევალათ ქრონომეტრაჟის შედეგები წინა წლებზე გაევრცელებინათ, ანუ თუ მიმდინარე წელს რესტორნის ბრუნვა გაცილებით უფრო მაღალი იყო, ვიდრე გასულ წელს, მის მეპატრონეს უზარმაზარი თანხით აჯარიმებდნენ, რის გამოც არაერთი ბიზნესმენი გაკოტრდა. მოგვიანებით მთავრობამ აღიარა, რომ ეს წესი უსამართლო იყო და ახალ საგადასახადო კოდექსში ცვლილება შეიტანა, სახელდობრ, საწარმოს ერთი კვირის შემოსავალს წინა კვირის ბრუნვასთან ადარებენ. თუ შემოსავლების სამსახურის თანამშრომელი აღრიცხავს, რომ სხვაობა 10%-ით მეტია, მეწარმე სხვაობის თანხის ოცმაგი ოდენობით ჯარიმდება — საგადასახადო კოდექსის 257-ე მუხლი. ამიტომ რესტორნების ბიზნესს ნაკლებად უღირთ დიდი მასშტაბის

ფულის გათეთრების ოპერაციებში ჩართვა, არარეალურად დიდი შემოსავლების ჩვენებით, რაც მაშინვე თვალში საცემი გახდება საგადასახადო ორგანოებისთვის. ამგვარად, ეს ბიზნესი იმდენად კონტროლირებადია ჩვენისთანა პატარა ქვეყანაში, რომ ნაკლებად მოსალოდნელია ფულის გათეთრების სქემებში მათი ჩართვა. რაც შეეხება სასტუმროების ბიზნესს, აქ ექსპერტებს გარკვეული ეჭვები აქვთ, ისინი თვლიან რომ სასტუმროები უკანონო შემოსავლის გათეთრების ერთ-ერთი საშუალებაა ჩვენთან. 2004 წელს ერთ-ერთი საერთაშორისო ორგანიზაცია დაინტერესდა თუ რა ხდებოდა ჩვენს სასტუმროებში. ჩამოვიდა 28 ექსპერტი, რომლებიც განაწილდნენ სხვადასხვა სასტუმროებში. ისინი მონაცვლეობდნენ ერთიდან მეორე სასტუმროში. ერთი წლის შემდეგ დაიდო დასკვნა, ცხადია საიდუმლოდ, თუ რა რაოდენობის შემოსავალი ჰქონდათ მათ და საიდან. ამ დასკვნით, სასტუმროების რეალური შემოსავალი არ შეიძლება იყოს იმდენი, რაც მათ აქვთ დაფიქსირებული. დასკვნაში ისიც წერია, რომ სასტუმროების ერთერთი ძირითადი შემოსავლის წყარო არის პროსტიტუცია.[21] მოგვიანებით შემოსავლების სამსახურმა სასტუმროების შემოწმებაც ქრონომეტრაჟის წესით დაიწყო. ამჟამად რა ვითარებაა იქ, საგანგებო შესწავლას მოითხოვს.

ქონების შეძენა ნაღდი ფულით (მანქანები, იახტები, აქციები, ფუფუნების საგნები ან უძრავი ნივთები) ფულის გარეცხვის მნიშვნელოვან ხერხად ითვლება. საეჭვოდ დიდი რაოდენობის ნაღდი ფული გადაიყვანება იმავე ღირებულების, მაგრამ ნაკლებად საეჭვო ფორმებში, ან შეიძინება ქონება, რომელიც მომავალში დანაშაულებრივი მიზნით იქნება გამოყენებული.

ამ თვალსაზრისით, საქართველოში ფულის გათეთრების საუკეთესო საშუალება იყო მშენებლობის ბიზნესი, რომელიც დღეს კრიზისშია. წლების მანძილზე შავი ფული იდებოდა ბინების მშენებლობებში, შემდეგ ეს ბინები იყიდებოდა და ამ სქემით ჭუჭყიანი ფული თეთრდებოდა.

[21] იხ. www. asavali.ge 2009 N 51.

აღსანიშნავია, რომ საქართველოში სესხის უზრუნველყოფის სახეებში 54% უკავია უძრავ ქონებას. თუ ეს ქონება ჭუჭყიანი ფულით არის შეძენილი და შემდგომ საბანკო სესხის გარანტიად გამოყენებული, ეს ფულის გათეთრების სქემაა. ვინ უწყის ჭუჭყიანი ფულით შეძენილი უძრავი ქონების უზრუნველყოფით, რამდენი საბანკო სესხია გატანილი უკანონო შემოსავლის ლეგალიზებისთვის?

ვალუტის უკანონო გატანა — ხორციელდება ორი ფორმით — ფიზიკური გატანით და ფინანსური ოპერაციების მეშვეობით. FATF-ის წევრი ქვეყნების უმრავლესობა აღიარებს დანაშაულებრივი წარმომავლობის საშუალებების მოცულობის გაზრდას, რომელიც კონტრაბანდული გზით შედის სხვა სახელმწიფოთა ფინანსურ სისტემაში განსათავსებლად. ამას ხელს უწყობს მრავალ ევროპულ ქვეყანაში ნაღდი ფულის მოძრაობაზე სასაზღვრო კონტროლის არარსებობა.

ფულის გარეცხვისთვის ასევე გამოიყენება სავალუტო ოპერაციების განმახორციელებელი დაწესებულებები. მათი მუშაობა არ არის ისეთი მკაცრად რეგლამენტირებული, როგორც ტრადიციული ფინანსური ინსტიტუტების საქმიანობა. ამავე დროს, კლიენტებს ისეთ მომსახურებას სთავაზობენ, რაც დამნაშავეთა ინტერესს იწვევს — ვალუტის გაცვლა, წვრილი კუპიურების მსხვილზე გადაცვლა, ევროჩეკების, სამგზავრო ჩეკების ფულზე გადაცვლა და სხვ. სავალუტო ოპერაციებთან დაკავშირებული დაწესებულებები შესაძლებლობას იძლევა უკანონო და კანონიერი შემოსავლები შეერწყას ერთმანეთს.

ფულადი გზავნილების განმახორციელებელი ორგანიზაციები ფულის გადაგზავნას ახორციელებენ როგორც ქვეყნის შიგნით, ისე საზღვარგარეთ ტელეგრაფის, კურიერების, ფაქსების, კომპიუტერული ქსელის მეშვეობით და სხვა საშუალებებით. ისინი, ასევე ყიდიან ან უშვებენ ისეთ საგადასახა-

დო ინსტრუმენტებს, როგორიცაა სამგზავრო ჩეკები, ფულადი ორდერები და სხვ. მათი ძირითადი ფუნქციაა ფულის გაგზავნა საზღვარგარეთ მათთვის, ვისაც არ შეუძლია ურთიერთობა დაამყაროს ტრადიციულ საფინანსო დაწესებულებებთან. ამ დაწესებულებათა პოპულარობა ფულის გარეცხვის საქმეში განპირობებულია იმით, რომ მათი საქმიანობა ნაკლებადაა რეგლამენტირებული კანონით, ვიდრე ბანკების საქმიანობა.

კაზინო და აზარტული თამაშების სხვა დაწესებულებები (იპოდრომები, სპორტული ტოტალიზატორები, ბინგო, ლოტო და სხვ.) ფულის გარეცხვის დიდ შესაძლებლობებს ფლობენ. ის არალეგალური და კანონიერი ფონდების შერწყმის კარგი საშუალებაა. აზარტული თამაშების ინდუსტრია აქტიურად იყენებს ნაღდ ფულს და თავის კლიენტებს ანონიმურობით უზრუნველყოფს, კაზინოები ასევე სთავაზობენ ისეთ ფინანსურ ოპერაციებს როგორიცაა: კრედიტის, სეიფის მიცემა, ჩეკების გაყიდვა, ფულის გადაგზავნა.

სათამაშო სახლებისთვის დამახასიათებელი განსაკუთრებული ატმოსფერო და მარტივი პროცედურები იდეალური ადგილია ფულის გარეცხვისთვის. ფულის გარეცხვას შეიძლება ხელი შეუწყოს კაზინოს (ან სხვა სათამაშო სახლის) კორუმპირებული პერსონალის დახმარებამ, რომელიც უზრუნველყოფს მართლსაწინააღმდეგო ზემოქმედებას თამაშის მსვლელობაზე. საუბარი აღარაა თვით ფირმის მართვაში კრიმინალების შეღწევის შესაძლებლობებზე (მაგალითად, ფირმის მართვის აქციების საკონტროლო პაკეტის შესყიდვა). ამ შემთხვევაში მთლიანად სათამაშო სახლი შეიძლება იქცეს ფულის გარეცხვის ინსტრუმენტად.

ფულის გარეცხვის კიდევ უფრო ეფექტურ საშუალებას წარმოადგენს ონლაინ კაზინო. ვირტუალური კაზინოების უმრავლესობა ბევრ შეკითხვებს არ უსვამს მომხმარებელს, რომელ-

იც ანგარიშს ხსნის. ხშირად თამაშის დაწყება შეიძლება საკუთარი სახელისა და ელექტრონული ფოსტის მითითებით. ფულის გარეცხვის უმარტივეს ხერხად თვლიან ანგარიშის გახსნას, მასზე ფულის ჩარიცხვას და შემდეგ მის მოხსნას. ამის შემდეგ შეიძლება ამტკიცო, რომ ეს ფული მოგებულია ონლაინ კაზინოში. აღსანიშნავია, რომ სათამაშო ბიზნესის პოპულარობა ქსელში სწრაფი ტემპით იზრდება. ასეულობით სათამაშო საიტები იხსნება ოფშორულ ზონებში, რითაც ეს კომპანიები თავს აღწევენ საკუთარი ქვეყნების იურისდიქციას, განვითარებული საკანონმდებლო და პოლიციური სისტემით და ხელს უწყობენ ჭუჭყიანი ფულის გარეცხვაში სხვადასხვა დანაშაულებრივ დაჯგუფებებს.

საქართველოში სათამაშო ბიზნესი საკმაოდ დიდი გადასახადით იბეგრება. მაგალითად, თბილისში კაზინო ყოველწლიურად იხდის ლიცენზიის გადასახადს 5 მილიონი ლარის ოდენობით და ყოველკვარტალურად ფიქსირებულ გადასახადს 30000 ლარის ოდენობით თითოეულ მაგიდაზე. თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ეს ადგილობრივი გადასახადია და სხვადასხვა ტარიფით იბეგრება სხვადასხვა რეგიონში. კაზინოები ტურისტულ ზონებში გათავისუფლებულია ამ გადასახადისაგან. საქართველოში რამდენად ჩართულია სათამაშო სახლები ფულის გარეცხვის სქემებში, ძნელი სათქმელია, რადგან კონკრეტული ინფორმაცია ვერ მოვიპოვეთ.

FATF-ის მონაცემებით, ფულის გათეთრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებენ ადვოკატები, ნოტარიუსები, აუდიტორები, სამართლისა და ეკონომიკის სხვა ექსპერტები — „დარაჯები“. მომსახურების ამ სფეროში მოღვაწე ადამიანებს კვალიფიციური სპეციალური ცოდნა გააჩნიათ და დიდი დახმარების გაწევა შეუძლიათ შემოსავლების გარეცხვის სქემების შემუშავებაში, ყალბი აუდიტორული კვალის შექმნაში, თანაც ისინი ძნელად ხვდებიან სამართალდამცავთა შავ სიაში ეჭვმიტანილ პირებად.

ფულის გარეცხვასთან საბრძოლველად კანონმდებლობის გამკაცრების კვალობაზე დამნაშავეები ხშირად მიმართავენ ასეთი სპეციალისტების მომსახურებას და კაპიტალის განთავსებისთვის მათ ანგარიშებს იყენებენ. ამ პროფესიის წარმომადგენლებს ხშირად საქმე აქვთ მსხვილ ფულად თანხებთან, თავიანთი კლიენტების კანონიერი წარმომადგენლობის დროს. ადვოკატებს შეუძლიათ სპეციალურ საბანკო ანგარიშებზე, რომლებიც ჰონორარების მისაღებად აქვთ გახსნილი, დიდი რაოდენობის დანაშაულებრივი წარმომავლობის ნაღდი ფული მიიღონ. ეს ანგარიშები რეგისტრირებულია ადვოკატის სახელზე და როგორც წესი ინფორმაცია თავისი კლიენტის შესახებ კონფიდენციალურია. ფულის გარეცხვის სქემის შესაბამისად ადვოკატი კლიენტს ფულს უბრუნებს სხვა ფორმით (მაგალითად, ჩეკით ან სხვა ფულადი ინსტრუმენტით ან უძრავი ქონების შეძენით). კლიენტის კონფიდენციალობის პრივილეგიიდან გამომდინარე, ფულის წარმომავლობის და განხორციელებული ოპერაციების უკანონობის დამტკიცება ძალიან რთულია.

ჭუჭყიანი ფულის განთავსება შესაძლებელია არასაფინანსო სექტორის დაწესებულებებში. სახელდობრ, საზღვარგარეთ ფულის გარეცხვისთვის აქტიურად იყენებენ გართობის ინდუსტრიასთან დაკავშირებულ დაწესებულებებს (კაფებარები, დისკოთეკები, სპორტულ-გამაჯანსაღებელი ცენტრები, საუნები, მასაჟის სალონები და სხვ.).

საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, ფულის გათეთრებაში ასევე გამოიყენება საავტომობილო ბიზნესთან დაკავშირებული დაწესებულებები (საკომისიო ვაჭრობა ავტომობილებით, ვაჭრობა სათადარიგო ნაწილებით, ავტომობილების რემონტი, ავტომობილების გაქირავება და სხვ.), საცალო ვაჭრობა (ანტიკვარული მაღაზიები, ელექტროტექნიკის მაღაზიები, საიუველირო მაღაზიები, გაქირავების პუნქტები და სხვ.), სხვა საწარმოები (სამშენებლო ფირმები, ჯართით მოვაჭრე საწარმოები, მგზავრთა გადაყვანის სააგენტოები,

ტიპოგრაფიები, ბინის გაქირავების ფირმები და სხვ.). საქართველოში რამდენად გამოიყენება ეს ბიზნესი ფულის გათეთრებაში, ძნელი სათქმელია, მით უფრო, როცა არანაირი სტატისტიკა არ არსებობს, ანდა თუ არსებობს ხელმიუწვდომელია, მაგრამ თეორიულად ჩვენთან დასაშვებია უცხოური საქონლით მოვაჭრე მაღაზიებმა ძალიან მაღალი ფასი დაადონ საქონელს, გააფორმონ, რომ თითქოს დიდი რაოდენობით შემოვიდა საქონელი და გაიყიდა ძვირად, მათ ანგარიშზე დაჯდება დიდი რაოდენობით შემოსავალი, რაც გათეთრების ერთ-ერთი მექანიზმია.

განთავსება შესაძლებელია ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. უკანონო შემოსავლების საზღვარგარეთ განთავსება ოფიციალური საფინანსო დაწესებულებების ჩართვის გარეშე ხდება ფულის ფიზიკურად გატანით. იგი ხორციელდება სხვადასხვა მეთოდებით, რომელთაგან ყველაზე ტიპურია: ფულის ფარულად გატანა კურიერების მიერ (კონტრაბანდა), ფულის გატანა სატრანსპორტო საშუალებებში მოწყობილი სამალავებით, საფოსტო გზავნილებით, იატაკქვეშა საბანკო სისტემის გამოყენებით.

ვალუტის ექსპორტი შესაძლებლობას იძლევა „გაიწმინდოს" კაპიტალი საქონლის ან მომსახურების იმპორტის რეალურად ან ფიქტიურად განხორციელებით. ვალუტის იმპორტი კი შესაძლებლობას იძლევა ნაციონალურ ბაზარზე დაბრუნდეს უკანონო წარმოშობის კაპიტალი, რომელიც უკვე გარეცხილია საერთაშორისო საბანკო სისტემაში მოხვედრით, მაგალითად, დეპონირების ან მარტივი გადაყვანის შედეგად. კრიმინალები საქონლის ფიქტიური ექსპორტის ოპერაციებით ღებულობენ დიდ კაპიტალს, რომელიც საზღვარგარეთის ბანკებშია დეპონირებული.

უფრო დახვეწილ პროცედურად მიიჩნევენ ლეგალური საწარმოს ანგარიშზე ჭუჭყიანი ფულის განთავსებას კაპიტალური დაფინანსების ოპერაციის სახით. ცნობილია, რომ შავი ფუ-

ლის უძრავ ქონებაში და ეკონომიკაში ჩადება მისი სწრაფი გარეცხვის შესაძლებლობას იძლევა.

კლაუს კოტკე წერს: შავი ფულის წარმოქმნას ერთი არსებითი ეკონომიკური ნაკლი აქვს — იგი უკავშირდება ფულადი საშუალებების ბრუნვიდან ამოღებას და სწორედ ეს ფული დასჭირდება მეწარმეს ერთ მშვენიერ დღეს ფირმის რეკონსტრუქციისთვის. მაგრამ როგორ გამოასწოროს ეს შეცდომა და საგადასახადო სამსახურის შეუმჩნევლად როგორ დააბრუნოს ადრე ამოღებული საშუალებები ეკონომიკურ ბრუნვაში, რომ დააფინანსოს აუცილებელი ინვესტიცია? ამგვარი შესაძლებლობა არსებობს და მას უწოდებენ ჭუჭყიანი ფულის რეციკლირებას. ფულის ჩადება (განთავსება) შეიძლება მოხდეს აშკარად ან ფარულად. ფულის აშკარად ჩადებისას საგადასახადო სამსახურის ჩინოვნიკების თვალის ასახვევად ინვესტორად შეიძლება გამოიყენოს ცრუმაგიერი პირები ან თავისივე ფირმის თანამშრომლები. თუ ფულის ჩადება ფარულად მოხდება, ამისთვის ფიქტიურ კრედიტს გამოიყენებს. აქაც მოჩვენებითი კრედიტორები ფირმის თნამშრომლები არიან. შესაძლებელია ჭუჭყიანი ფულის მფლობელს თავად ბანკმაც გამოუყოს კრედიტი თავისივე ფარული ანგარიშიდან, რომელიც ანონიმურადაა გახსნილი ამავე ბანკში.[22]

ჭუჭყიანი ფულის რეციკლირებისთვის იყენებენ ფიქტიურ სესხებსაც, რომელსაც საზღვარგარეთ მცხოვრები საქმიანი პარტნიორები გასცემენ.

საზღვარგარეთული საფინანსო ფირმების ან ბანკების მიერ გაცემული სესხებით კაპიტალდაბანდება ქვეყანაში აუცილებლად უნდა დაექვემდებაროს მონიტორინგს, რადგან, როგორც წესი, ეს ფირმები თუ ბანკები ოფშორებში ან ფინანსურ ოაზისებშია დარეგისტრირებული, ეკუთვნით უცნობ პირებს და იყენებენ ძალიან მიმზიდველ საპროცენტო განაკვეთებს. სპეციალისტების შეფასებით ეს სისტემა დიდი კაპიტალდაბანდებების ლეგალიზაციის შესაძლებლობას

[22] იხ. კლაუს კოტკე, დასახ. შრომა გვ. 179-182.

იძლევა. სწორედ ამ რისკის გამო საქართველოში კომერციული ბანკების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამონიტორინგო ოპერაციაა კაპიტალდაბანდება.

განაწილების (გაფანტვის, დაშლის, განშრევების) სტადია (LAYERING) — ფულის გათეთრების მეორე სტადიაზე ხდება უკანონო შემოსავლის მოწყვეტა მისი წყაროსგან ფინანსური ოპერაციების რთული ჯაჭვის შექმნის გზით, რომლის მიზანია ამ შემოსავლების აუდიტორული კვალის შენიღბვა. მაშასადამე, ამ სტადიის ფუნქციას წარმოადგენს ის, რომ უკანონო ფული დააშოროს დანაშაულებრივ წყაროს ფინანსური ოპერაციების ჯაჭვის მეშვეობით და წაშალოს ფულის წარმომავლობის კვალი.[23]

სხვადასხვა ფინანსური ოპერაციების ერთმანეთზე დაშრევება ართულებს სამართალდამცავი ორგანოების საქმიანობას უკანონო ფონდების მოსაძიებლად და საკონფისკაციოდ. მრავალჯერადი ფულადი გადარიცხვების განხორციელებას ერთადერთი მიზანი აქვს — ფულის წარმომავლობის კვალის წაშლა. ფულის გათეთრების მეორე სტადიაზე მთავარი ამოცანაა ფინანსური ოპერაციების რთული თანმიმდევრობით უკანონო შემოსავალი ჩამოშორდეს თავის წარმოშობის წყაროს და დაიფაროს ე.წ. აუდიტორული კვალი.
ეს სტადია მოიცავს ისეთ ოპერაციებს, როგორიცაა: დეპონირებული ნაღდი ფულის გადაგზავნა, დეპონირებული ნაღდი ფულის კონვერტაცია ფულად-საკრედიტო ინსტრუმენტებში (ობლიგაციები, აქციები, ჩეკები და სხვ.), ინვესტიციები უძრავ ქონებაში და ლეგალურ ბიზნესში.

ლეგალიზაციის მეორე სტადიაზე, ექსპერტების დაკვირვებით, გამოიყენება შემდეგი მეთოდები: ნაღდი ფულის გად-

[23] დ. გუგავა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისთვის (ავტორეფერატი), თბ. 2005; შალიკაშვილი მ. კრიმინოლოგია, თბ, 2010; ა. რიმარუკი, ჭუჭყიანი ფულის გარეცხვა, კიევი, 2003, რუსულ ენაზე.

აყვანა ფულად ინსტრუმენტებში. მას შემდეგ, რაც უკანონო შემოსავლები წარმატებით განთავსდება საფინანსო დაწესებულებებში, ისინი გარდაიქმნება ფულად ინსტრუმენტებად (საბანკო ჩეკები, ობლიგაციები, ფულადი გზავნილები და სხვ.), რაც აადვილებს უკანონო შემოსავლების ქვეყნიდან გატანას.

შემოსავლების ლეგალიზაციის მეორე სტადიაზე გავრცელებული ხერხია ქონების შეძენა და გაყიდვა. როცა გამთეთრებელი ფულს დებს შეძენილ ქონებაში, ეს უკანასკნელი შეიძლება ხელახლა გაიყიდოს ქვეყნის შიგნით ან გატანილ და გაყიდულ იქნეს საზღვარგარეთ. ამას ორმაგი შედეგი აქვს — რთულდება ფულის გამთეთრებელი პირის ძებნა და რთული ხდება ქონების მოძებნა და კონფისკაცია.

ფულადი საშუალებების ელექტრონული გადაგზავნა — ერთერთი თანამედროვე და გავრცელებული მეთოდია გათეთრებაში. მას ახასიათებს ისეთი უპირატესობები როგორიცაა: სისწრაფე, მინიმალური აუდიტორული კვალი, მაღალი ანონიმურობა.

შესაძლებელია სხვა ფირმების ანგარიშებზე ფულის მრავალჯერადი გადაგზავნა. მსგავსი გზავნილი, რომელიც შენიღბულია ფსევდოოპერაციებით და შემდგომ ფირმების თვითლიკვიდაციის მეშვეობით, შესაძლებლობას იძლევა ეფექტურად დაიფაროს ფინანსური საშუალებების წარმოშობის წყარო.

ექსპერტების დაკვირვებით, ფულის გარეცხვის მეორე ეტაპზე წარმატებით იყენებენ იატაკქვეშა საბანკო სისტემას.

დღეისთვის, მეორე ფაზის საფინანსო ოპერაციების განსახორციელებლად დიდ როლს თამაშობენ ოფშორული ზონები, აგრეთვე, მსუბუქი საგადასახადო რეჟიმისა და სუსტი ფინანსური კონტროლის სისტემის მქონე ქვეყნები.

ოფშორულ ზონებში დარეგისტრირებული კომპანიები ტიპური ინსტრუმენტია, რომელიც ფულის გათეთრების მეორე სტადიაზე გამოიყენება (ასეთი კომპანიების დირექტორები ხშირად ადგილობრივი ადვოკატები არიან, რომლებიც მოქმედებენ როგორც რწმუნებულები, მათი ამოცანაა დაფარონ ინფორმაცია კომპანიების რეალურ მესაკუთრეებზე და სარგებლობენ რა საბანკო საიდუმლოს დაცვის მკაცრი კანონით და ადვოკატის უფლებით არ გაამჟღავნოს კლიენტისგან მიღებული ინფორმაცია, ამ ამოცანას წარმატებით ართმევენ თავს.[24]

როგორც ცნობილია, ოფშორები გაჩნდა იმ მოტივით, რომ გარკვეულ კომპანიებს გადასახადებისთვის განკუთვნილი ხარჯები დაეზოგათ. ოფშორულ ზონებს აწყობდნენ, ძირითადად, ის ჯუჯა სახელმწიფოები, რომელთაც საკუთარი ეკონომიკის განვითარებისთვის ფინანსური რესურსი არ ჰყოფნიდათ და აქ დარეგისტრირებული კომპანიებიდან ამოღებული ფულით ცდილობდნენ სახელმწიფო ხარჯების დაფარვას, ამიტომაც ისინი სთავაზობენ კომპანიებს მათ ტერიტორიაზე რეგისტრაციას, დაბალ გადასახადებს და მოქმედების თავისუფლებას. ოფშორის მეორე ხიბლი ის არის, რომ კომპანიის მფლობელები ანონიმად რჩებიან და ეს ანონიმური წარმომავლობა მათ აძლევთ საშუალებას, მიიღონ შავი ფული და აქედან გაათეთრონ. ევროპაში შავი ფულის გათეთრება ამ ფულის 50 პროცენტი ჯდება, ოფშორულ ზონებში კი 20-25 პროცენტი.[25] სპეციალისტების შეფასებით ოფშორული ფირმების

[24] იხ. Отмывание грязных денег, киев, с. 20.

[25] ოფშორული ზონა — ქვეყანა ან ქვეყნის ტერიტორიის ნაწილი, რომელსაც გააჩნია დაბალი ან ნულოვანი საგადასახადო განაკვეთი შემოსავალთა ყველა ან ცალკეულ კატეგორიებზე, საბანკო და კომერციული საიდუმლოების დაცვის განსაკუთრებული ხარისხი, ცენტრალური ბანკის სარეზერვო მოთხოვნების მინიმალური არსებობა ან სრული არარსებობა, ვალუტის კონვერტაციის შეუზღუდაობა და რომელიც ასეთად მიჩნეულია საქართველოს ფინანსური მონიტორინგის სამსახურის მიერ კომპეტენტური საერთაშორისო ორგანიზაციების ინფორმაციაზე დაყრდნობით.

უსაფრთხო გამოყენების სხვადასხვა სქემა არსებობს, მაგალითად, შუამავლობა ექსპორტ-იმპორტის ოპერაციებში:

1. შუამავალი. ვთქვათ, საქართველოში რეგისტრირებული ფირმა საკუთარ, ან ნაყიდ პროდუქციას საექსპორტოდ აგზავნის. საქართველოში საქონლის ერთეული, დავუშვათ, დაჯდა 100 აშშ დოლარი, ხოლო მასში ფირმას სურს მიიღოს 200 აშშ დოლარი. საზღვარგარეთის რომელიმე ქვეყანაში, ვთქვათ, გერმანიაში., თავდაპირველად, ქართული ფირმა უმნიშვნელო ფასნამატით (110 აშშ დოლარით) მიჰყიდის საქონელს თავის ოფშორულ ფირმას, რომელიც მას 200 აშშ დოლარად გაყიდის გერმანიაში. მეორე ეტაპზე, ფასთაშორისი სხვაობით მიღებული 90 აშშ დოლარის შესახებ ვერავინ გაიგებს, რომ არაფერი ვთქვათ დაბეგვრაზე.

   არსებობს ასეთი სქემაც: შედგება ორი ხელშეკრულება რეალური და ფიქტიური (გარიგების მომატებული ფასით). ფიქტიური ხელშეკრულებით ფული გადაეგზავნება შუამავალ ფირმას, რომელიც, როგორც წესი, ოფშორშია დარეგისტრირებული. სხვაობა რეალურ და ფიქტიურ ფასს შორის ამ ფირმის ანგარიშზე რჩება შემოსავლის სახით.
2. პარტნიორი. იგივე გარიგება შეიძლება განხორციელდეს ფირმის სახელით, რომელსაც თავის ოფშორულ ფირმასთან გაფორმებული აქვს კონტრაქტი ერთობლივი საქმიანობის შესახებ. კონტრაქტის თანახმად ოფშორული ფირმა მარკეტინგული მომსახურებისთვის მიიღებს მთელი მოგების 75%-ს, აღნიშნული თანხა „სუფთაა" და თავისუფალია დაბეგვრისაგან.
3. კონსულტანტი. ფირმა „დასავლურ ტექნოლოგიაზე" გადასვლისთვის (ან იურიდიული და მარკეტინგული მომსახურებისთვის) თავის ოფშორულ ფირმას გადაუხდის როიალტს ან ერთჯერად გადასახადს თავისი მოგებიდან.

მოგების ეს ნაწილი გამოიყვანება დაბეგვრის სფეროდან.

4. კრედიტორი. როცა ოფშორულ ფირმას დასავლეთის ბანკში გარკვეული ფულადი თანხა დაუგროვდება და ფირმის ქართველ მფლობელს სურს პრესტიჟული ავტომობილის (ან სხვა რამის) ყიდვა, იგი საჭირო თანხას აძლევს საკუთარ თავს ან თავის ქართულ ფირმას გრძელვადიანი, უპროცენტო კრედიტის სახით. ეს გზა ოფშორული ფირმის ანგარიშიდან სამამულო ფირმის ანგარიშზე და პირიქით, თანხების გადარიცხვის ყველაზე მოხერხებული ვარიანტია.
5. ერთობლივი საწარმო. ოფშორული ფირმა საზღვარგარეთული ინვესტორის როლს ასრულებს და სამამულო ფირმასთან ერთად დაწესებული შეღავათების მიღების მიზნით აფუძნებს ერთობლივ საწარმოს. ეს ვარიანტი ყველაზე უნივერსალურია.[26]

იურიდიულ ლიტერატურაში გამოთქმული მოსაზრებით, ფულის გათეთრების პროცესის პირველ და მეორე ეტაპად დაყოფა, ძალიან პირობითია, რადგან ორივე ერთსა და იმავე მიზანს ემსახურება — ჩამოაშოროს უკანონო შემოსავალი წარმოშობის წყაროს, გაწყვიტოს კრიმინალური კავშირი, ისინი, შეიძლება განსხვავდებოდნენ მხოლოდ ფინანსური კვალის წასაშლელად გამოყენებული ოპერაციების მასშტაბურობით.[27]

ფულის გათეთრების მესამე სტადია არის **ინტეგრაცია (Integration).** ფულის გათეთრების ამ ბოლო სტადიაზე ხდება უკვე გარეცხილი შემოსავლის (ფულის ან სხვა ქონების) ქვეყნის ლეგალურ ფინანსურ სისტემაში ინტეგრირება, გარეცხილი ფული ბრუნდება საბანკო სისტემაში კანონიერი შემოსავლის სახით, ლეგალიზებული ფულის სოციალურ ეკონომიკასთან გაერთიანებით სახსრები კანონიერად გამოიყურება და აქ

[26] რ. ოთინაშვილი, ჩრდილოვანი ეკონომიკა, 2001, გვ. 52-53.
[27] იხ. И.А.Киселев, ГРЯЗНЫЕ ДЕНЬГИ, Москва, 2009 с.18

უკვე ძნელია ერთმანეთისგან განასხვავო კანონიერი და უკანონო გზით მიღებული შემოსავალი.

მას შემდეგ, რაც წარმატებით განხორციელდება უკანონო შემოსავლის დაშლის (განაწილების) პროცესი, ფულის ლეგალიზატორებმა თავისი სიმდიდრის წყაროს ახსნისას უნდა შექმნან მისი წარმოშობის უტყუარობის გარეგნული იერსახე. ამისთვის ინტეგრაციის პროცესში სხვადასხვა მეთოდს იყენებენ:

უძრავი ქონების გაყიდვა. უძრავი ქონების გაყიდვის მრავალი საშუალება არსებობს, რაც შესაძლებლობას იძლევა „გარეცხილი" ფული უკან დაბრუნდეს ეკონომიკაში. მაგალითად, უძრავი ქონება შეიძლება შეიძინოს ცრუმაგიერმა ფირმამ, რომელიც უკანონო ფულს იყენებს. ამ უძრავი ქონების შემდგომი გაყიდვით მიღებული თანხა უკვე ითვლება კანონიერად მიღებულ შემოსავლად.

საგარეო ვაჭრობის გარიგებათა ფასების დამახინჯება ეფექტური მეთოდია უკანონო შემოსავლების ეკონომიკაში ინტეგრაციისთვის. ამისთვის ასეთ სქემებს იყენებენ: ა) ქვეყანაში შემოტანილი ფულადი თანხების დოკუმენტურად მომატება, ბანკში შესაბამისი შენატანების გასამართლებლად, ბ) ექსპორტის მოცულობის გადიდება, საზღვარგარეთიდან შესაბამისი თანხების მიღების დასაბუთების მიზნით.
ნაღდი ფულის დეპონირება ფირმის საბანკო ანგარიშზე მიზნად ისახავს ფულისთვის გაყიდვებიდან მიღებული შემოსავლის სახის მიცემას.

გარიგებები ფასების შემცირებით (დაწევით) ან მომატებით ფულის გათეთრების ერთ-ერთი ხერხია. მაგალითად, შეიძლება მოვიტანოთ ოპერაციები უძრავ ქონებაზე. შეიძინება სახლი შემცირებულ ფასად, ხოლო ფასთა სხვაობა შეივსება (დამატებით გადაიხდება) ჭუჭყიანი ფულით. ამის შემდეგ ხდება რემონტის იმიტაცია და სახლი უფრო მაღალ ფასად იყიდება. შედეგად გარეგნულად კანონიერ შემოსავალს ვი-

ღებთ. გარიგებები ფასების აწევით გავრცელებულია ხელოვნების ნაწარმოებების აუქციონებზე. ნივთები, რომელთა ფასის განსაზღვრა მხოლოდ პირობითად შეიძლება, ძალიან მაღალ ფასად იყიდება, ამის შედეგად კი იქმნება მაღალი რეალური შემოსავალი.

თუ ფულის გარეცხვა კაზინოს ან ლატარიის მეშვეობით მოხდა, შემოსავლის დეკლარირება ხდება მოგების სახით.

ცნობილი მეთოდია ცრუმაგიერი კომპანიების და ყალბი კრედიტების გამოყენება. დანაშაულებრივი გზით მიღებული ფულადი საშუალებები, შეიძლება წარმოდგენილი იყოს როგორც კანონიერად მიღებული, სესხის სახის მიცემით. ამ შემთხვევაში კრედიტორად გამოდის ფორმალურად დამოუკიდებელი, მაგრამ ფაქტობრივად დამნაშავეთა მიერ კონტროლირებადი კომპანია, რომელიც რეალურად მოქმედი ან ფიქტიურია. ფსევდოკომპანიები სამართალდამცავი ორგანოების თვალის ასახვევად იქმნება. ისინი ან საერთოდ არ ახორციელებენ წესდებით განსაზღვრულ ეკონომიკურ საქმიანობას ან მათი საქმიანობა და შემოსავლები დიდად განსხვავდება ერთმანეთისგან. ასეთი ფირმები ეფექტურად გამოიყენება ფულის გასარეცხად (უსაქონლო ოპერაციები, ყალბი კრედიტები, სხვადასხვა სახის „მომსახურება“ გავრცელებული პრაქტიკაა მათ საქმიანობაში).

უცხოურ ბანკებში კონტროლის დამყარება და მათი მეშვეობით ფულის გარეცხვა დამნაშავეთა მაღალ ოსტატობაზე მიანიშნებს, რადგან ასეთი სქემების გახსნა დიდ სირთულეს წარმოადგენს სამართალდამცავებისთვის. ექსპერტების გათვლით, ეს განპირობებულია უცხოური ბანკების შესაძლებლობებით, დამალონ ფულადი გადარიცხვების მნიშვნელოვანი ნაწილი; მათი მეშვეობით შესაძლებელია კრედიტის მიღება, რომელიც გარეგნულად კანონიერად გამოიყურება, მაგრამ ის ფაქტობრივად უკანონო შემოსავლით არის უზ-

რუნველყოფილი; ასეთი ბანკები ხშირად ხელშეუვალია სამართალდამცავი ორგანოებისთვის საბანკო კანონებით და დამოუკიდებელი სახელმწიფოს საფინანსო პოლიტიკით. პირველ რიგში ეს ეხება ოფშორულ საბანკო ბიზნესს, სადაც ბანკები დაინტერესებულნი არ არიან ინფორმაცია მისცენ პოლიციას თავისი კლიენტების შესახებ. ასეთი ბანკები ოფშორული ქვეყნების ბიუჯეტის შევსების და ნაწილობრივ, ადგილობრივი მოსახლეობის დასაქმების წყაროა. ამიტომაც სახელმწიფოსგან ჩაურევლობის დიდი გარანტიებიც აქვთ.
აღსანიშნავია, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ობიექტური მხარე ყველაზე მეტ სირთულეს ქმნის სამართალშეფარდების პრაქტიკისთვის. ამით აიხსნება მისი ლატენტურობის მაღალი დონეც. ლეგალიზაციის ხერხების გაცნობა სპეციალურ ლიტერატურაში გვიჩვენებს, რომ გარეცხვა შეიძლება განხორციელდეს საზოგადოებრივი ცხოვრების პრაქტიკულად ყველა სფეროში. მაღალი ლატენტურობა შესაძლებლობას არ იძლევა ზუსტად შეფასდეს ამ მოვლენის რეალური მასშტაბები და დადგინდეს, რომელია ყველაზე გავრცელებული ხერხები. ამიტომ ორიენტაცია კეთდება საექსპერტო შეფასებებისა და კრიმინოლოგიური კვლევების საფუძველზე.

კვლევები ადასტურებს, რომ კრიმინალური კაპიტალის გარეცხვის ძირითადი ფორმაა მისი ჩადება ლეგალური ბიზნესის ამა თუ იმ სფეროში, ანუ სამეწარმეო ან სხვა ეკონომიკურ საქმიანობაში. ჭუჭყიანი ფულის ჩადება სხვადასხვა კომერციული ორგანიზაციების შექმნასა და ფუნქციონირებაში, უფრო კონკრეტულად ნიშნავს იმას, რომ ფულადი საშუალებები ან ქონება გამოიყენება საწესდებო კაპიტალის სახით, ანდა ეს ფული გამოიყენება არა მხოლოდ გადახდის საშუალებად, არამედ გადახდისუნარიანობის გარანტიის სახით, მაგალითად, კრედიტის მიღების მიზნით სამეწარმეო საქმიანობის განსახორციელებლად.

კანონი სანიმუშოდ ჩამოთვლის შემოსავლის გათეთრების ხერხებს და მიუთითებს სხვა ქმედებას.

ფულის გარეცხვისკენ მიმართული სხვა მოქმედება შეიძლება გამოიხატოს რაიმე ფინანსურ ოპერაციაში, მაგალითად, ბანკისთვის საგადასახადო დავალების მიცემა ფულის გადასარიცხად, ანდა სამოქალაქო გარიგებაში, მაგალითად, ვალუტის გაცვლის პუნქტში ეროვნული ფულის გადაცემა ვალუტის შესაძენად, საიუველირო მაღაზიის გამყიდველისთვის ფულის გადაცემა ძვირფასი ნაკეთობების შესაძენად, ნოტარიუსის თანდასწრებით უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვის ხელშეკრულების ხელმოწერა და სხვ. ამგვარ მოქმედებათა განხორციელება შესაძლებელია როგორც პირადად, ისე წარმომადგენლის მეშვეობით. ამ უკანასკნელ შემთხვევაში, ცხადია, უნდა გაირკვეს, იცოდა თუ არა წარმომადგენელმა ლეგალიზაციის საგნების შეძენის დანაშაულებრივი (უკანონო) გზის შესახებ. თუ იცოდა, ეს თანამონაწილეობაა, თუ არა — დანაშაული საერთოდ არაა.

ოფიციალური მინდობილობების მიცემა ჭუჭყიანი ფულის მფლობელებს შესაძლებლობას არ მისცემს თავიანთი პიროვნება ჩრდილში დამალონ, ამიტომ უპირატესობას ანიჭებენ ცრუმაგიერი პირების გამოყენებას, რომლებიც გარკვეული საზღაურის ფასად, თუ სხვა გარემოებათა გამო საბანკო ანგარიშების ან ქონების ნომინალური მფლობელები არიან და ყველა მოქმედებას მათი ფაქტობრივი მფლობელების მითითებებით ახორციელებენ. ცრუმაგიერი პირების გამოყენება საკმაოდ გავრცელებულია ბიზნესში. ამიტომაც მოითხოვს FATF-ი, რომ მოხდეს კომპანიების და ბანკების ბენეფიციარი მფლობელების სავალდებულო იდენტიფიკაცია.

ლეგალიზაციად შეიძლება ჩაითვალოს ნებისმიერი მოქმედება, უკანონო შემოსავალთან დაკავშირებით, მისი განხორციელების ფორმისა თუ ხერხის მიუხედავად, რომელიც მიმარ-

თული იქნება მათზე სამოქალაქო უფლებების წარმოშობაზე, შეცვლაზე ან შეწყვეტაზე.

ლეგალიზაციის დამთავრებულ დანაშაულად ცნობისათვის საკმარისია კანონში მითითებული, ან ნებისმიერი სხვა მოქმედების ჩადენა უკანონო, ან დაუსაბუთებელ ქონებასთან მიმართებით მისთვის კანონიერი სახის მისაცემად. ყოველგვარი ფინანსური ოპერაცია დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ქონებასთან დაკავშირებით ლეგალიზაციის (გათეთრების) ნებისმიერ სტადიაზე დანაშაულებრივია და დაკვალიფიცირდება როგორც დამთავრებული დანაშაული, ვინაიდან, მიზნით დაფუძნებულ დელიქტთან გვაქვს საქმე. ამასთანავე, თუკი ამ ფინანსურ ოპერაციებს ერთსა და იმავე ლეგალიზებად ქონებასთან მიმართებაში ახორციელებს ერთი პირი, მაშინ ქმედება უნდა შეფასდეს როგორც ერთიანი განგრძობადი დანაშაული. დანაშაული დამთავრებულად ჩაითვლება თუნდაც ვერ იქნეს მიღწეული ქონების უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზანი. მაშასადამე,ამ დანაშაულის შემადგენლობა შეიძლება მოგვცეს როგორც ერთეულმა ეკონომიკური მნიშვნელობის მქონე მოქმედებამ უკანონო ან დაუსაბუთებელ მატერიალურ ფასეულობათა გამოყენებით, ისე რამდენიმე ალტერნატიულმა მოქმედებამ იმავე საგანთან მიმართებაში.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ამსრულებელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი. რადგან ლეგალიზაციის ობიექტური შემადგენლობა ხორციელდება სამოქალაქო სამართლებრივი ურთიერთობებით, ამიტომ გამოითქვა მოსაზრება, რომ ამ დანაშაულის ამსრულებლის ასაკის დადგენისას ვიხელმძღვანელოთ საქართველოს სამოქალაქო კოდექსით, რომელიც ადამიანს 16 წლიდან აძლევს შესაძლებლობას, განახორციელოს სამოქალაქო გარიგებები. 14 წლის არასრულწლოვანს არ შეიძლება ბოლომდე შეგნებული და გაცნობიერებული ჰქონდეს ლეგალიზაციის

პროცესის მნიშვნელობა. გარდა იმისა, რომ ამას გარკვეული ცოდნა და გამოცდილება სჭირდება, არასრულწლოვანს იურიდიულად არა აქვს შესაძლებლობა განახორციელოს საბანკო ოპერაციები, სატელეგრაფო გადარიცხვები და ა.შ.[28]

რეალურად, ალბათ, ძნელი წარმოსადგენია 14 წლის არასრულწლოვანი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პროცესში ჩაერთოს, თუმცა 194-ე მუხლის დღევანდელი რედაქცია უშვებს მათი მონაწილეობის შესაძლებლობას ამ პროცესში, მაგალითად, უკანონო ან დაუსაბუთებელი ქონების ფლობა, სარგებლობა, გადაცემა. გარდა ამისა, არაქმედუნარიანობა ხელს არ უშლის არასრულწლოვანს მისცეს შესაბამისი მინდობილობა შუამავალს და მისი მეშვეობით განახორციელოს ქმედება. „ჭუჭყიანი" ფულის მფლობელი, შესაძლებელია, შუამავლის მეშვეობით მოქმედებდეს არა მხოლოდ თავისი ქმედუუნარობის გამო, არამედ სხვა მიზეზითაც, მაგალითად მაკონტროლებელი ორგანოებისგან ზედმეტი ყურადღება რომ არ მიიქციოს. ამდენად, პირის ქმედუნარიანობის საკითხს პრინციპული მნიშვნელობა არა აქვს იმისთვის, რომ იგი ლეგალიზაციის ამსრულებლად ჩავთვალოთ, სამოქალაქო გარიგება მას შეუძლია განახორციელოს როგორც პირადად, ისე შუამავლის მეშვეობით.

ძალიან საინტერესოა, თუ როგორ უნდა გაიმიჯნოს პირველადი დანაშაულის (ანუ პრედიკატული დანაშაულის) ამსრულებელი. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ამსრულებლისგან. ამასთან დაკავშირებით სხვადასხვა ქვეყნების კანონმდებლობაში განსხვავებული მიდგომები არსებობს. ერთი ნაწილი თვლის, რომ ძირითადი დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს შემოსავლის ლეგალიზაციის დანაშაულის ამსრულებელიც, ხოლო მეორე ნაწილი კი, პირიქით, თვლის, რომ პირი, რომელიც მონაწილეობს ძირითად დანაშაულში, არ შეიძლება იყოს ლეგალიზაციის ამსრულებელი და ამ და-

[28] დ. გუგავა, დისერტაციის რეფერატი, გვ. 21-22.

ნაშაულს მიიჩნევს პრედიკატული დანაშაულის დაფარვის ფორმად. ამრიგად, იმ ქვეყნებში, სადაც ფულის გათეთრებას განიხილავენ ძირითადი დანაშაულის დაფარვად, ძირითადი დანაშაულის ამსრულებელი არ განიხილება ფულის გათეთრების ამსრულებლად (გერმანია, საფრანგეთი და სხვ.).

მაგალითად, ქურდმა ნაქურდალი ნივთი გაყიდა და უკანონო შემოსავლის გასათეთრებლად, ამ ფულით სახლი იყიდა. პირველი მიდგომით, ქურდმა ქურდობის გარდა, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისთვისაც უნდა აგოს პასუხი. ზემოთ ჩვენ აღვნიშნეთ, რომ ასეთი მიდგომა წინააღმდეგობაში მოდის ne bis in idem პრინციპთან, სწორედ ამიტომ ფულის გათეთრების საწინააღმდეგო ყველა საერთაშორისო კონვენცია დათქმას აკეთებს, რომ თუ ამას მოითხოვს მონაწილე სახელმწიფოს შიდა კანონმდებლობის ძირითადი პრინციპები, შეიძლება გათვალისწინებული იყოს, რომ ფულის გათეთრებისკენ მიმართული დანაშაულები არ ეხება იმ პირებს, რომელთაც ჩაიდინეს ძირითადი სამართალდარღვევა.[29] საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ამ კითხვაზე პირდაპირ პასუხს არ იძლევა, თუმცა, თუ სისხლის სამართლის კანონს სისტემურად განვმარტავთ, 186-ე და 375-ე მუხლები ავიწროებენ ფულის გარეცხვის ამსრულებელთა წრეს.
უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია შესაძლებელია განხორციელდეს როგორც ერთპიროვნული ამსრულებლობის, ისე თანაამსრულებლობისა და თანამონაწილეობის ფორმით. თუ ლეგალიზაცია ჯგუფური დანაშაულის ფორმით ხორციელდება, მაშინ პასუხისმგებლობის საკითხი სსკ-ის 27-ე მუხლის მიხედვით უნდა გადაწყდეს. დამნაშავეთა ორგანიზებული ჯგუფის დაწვრილებით განმარტებას იძლევა პალერმოს კონვენციის მე-5 მუხლი, რომელიც ასევე მხედველობაშია მისაღები.

[29] А.И. Боицов; Преступления против собственности; Санкт-Петербург, 2002, с. 272-273 В.Ф. Зубков С.К. Осипов, Международные стандарты в сфере противодействия отмыванию преступных доходов и финансированию терроризма. М., 2010. с. 12-13.

ფულის გათეთრების თანამონაწილეობის ფორმით განხორციელებისას ყველაზე საინტერესო დამხმარის ფიგურაა. შესაძლებელია დახმარება პრედიკატულ დანაშაულში, დახმარება საკუთრივ ლეგალიზაციაში (194-ე მუხლი) და დახმარება უკვე ჩადენილი დანაშაულის დაფარვაში (186-ე ან 375-ე მუხლები).

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, თუ დამხმარე წინასწარი შეთანხმებით მონაწილეობს პრედიკატულ დანაშაულში, ის ჩვეულებრივი დამხმარეა (ე.ი. თანამონაწილეა), თუ დამხმარე პრედიკატული დანაშაულის ჩადენის შემდეგ იძენს, ფლობს, იყენებს ნივთებს იმის შეცნობით, რომ ეს ქონება დანაშაულის გზითაა მიღებული — მაშინ ის 186-ე მუხლით აღწერილი დანაშაულის ამსრულებელია (ცხადია, ეს ქმედებები არც შემოსავლის გათეთრებას და არც დანაშაულის დაფარვას არ უნდა ისახავდეს მიზნად), თუ დამხმარის ანალოგიური ქმედებები, ე.ი. დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენა, ფლობა, სარგებლობა, გასაღება და სხვ. შემოსავლების გათეთრებას ემსახურება, მაშინ ეს დახმარებაა ან ამსრულებლობა 194-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ხშირად, განგრძობადი ფორმით ხორციელდება, ამიტომ განგრძობადი დანაშაულის სპეციფიკიდან გამომდინარე თანამონაწილეები შესაძლებელია უკვე დაწყებულ დანაშაულებრივ ქმედებას შეუერთდნენ და შეასრულონ დანაშაულის ობიექტური შემადგენლობის ნაწილი (ვთქვათ რომელიმე ფინანსური ოპერაცია ან გარიგება); ისინი მაინც დასრულებული დანაშაულისთვის აგებენ პასუხს, მაშინ როცა, თუ ერთი პირი ერთი და იმავე ქონებასთან მიმართებით ახორციელებს ქმედებებს ლეგალიზაციისთვის, ერთიან დანაშაულთან გვაქვს საქმე.

FATF-ის და MONEYVAI-ის რეკომენდაციების უპირობო იმპლემენტაციამ შესაძლებელია რიგი პრობლემები წამოჭრას ქმედების ამა თუ იმ დანაშაულად კვალიფიკაციის თვალსაზრისით.

ასე მაგალითად, სად უნდა გაივლოს ზღვარი, ერთი მხრივ, პრედიკატულ დანაშაულში თანამონაწილეობასა და მეორე მხრივ, საკუთრივ ფულის გათეთრებაში ან მის შემდგომ ქმედებებში (მხედველობაშია სსკ-ის 186-ე და 375-ე მუხლები) მონაწილეობას შორის? მტკიცებების თვალსაზრისით რთული შესაფასებელია, ესა თუ ის ქმედება უკანონო შემოსავლის გათეთრებას ემსახურებოდა, თუ სხვა რამეს.

საერთაშორისო შეთანხმებები (ვენის, პალერმოს, სტრასბურგის კონვენციები) ფულის გათეთრებად აფასებენ პრედიკატული დანაშაულის დაფარვაში დახმარებასაც, (ანუ უკვე ჩადენილი დანაშაულის დაფარვაში დახმარებასაც) და საკუთრივ ფულის გარეცხვაში დახმარებასაც. სახელდობრ, თუ ადამიანმა იცის შემოსავლის უკანონო წარმომავლობა, და მისი ქმედება — საკუთრების გარდაქმნა (კონვერსია) ან გადაცემა მიზნად ისახავს ძირითადი სამართალდარღვევის მონაწილისთვის დახმარებას, რათა მან თავი აარიდოს საკუთარი ქმედების სამართლებრივ შედეგებზე პასუხისმგებლობას, გაცნობიერებული აქვს, რომ მისი ქმედება გამოიწვევს შემოსავლის ლეგალიზებას და სურს ეს შედეგი, ან ითვალისწინებს ასეთი შედეგის გარდაუვალობას ანდა შესაძლებლობას, მაშინ ეს შემოსავლის გათეთრებაში თანამონაწილეობაა.

აღნიშნული კონვენციების მიხედვით, დანაშაულად და შესაბამისად ფულის გათეთრებად უნდა შეფასდეს, ასევე ქონების შეძენა, ფლობა ან გამოყენება იმის შეცნობით, რომ მისი მიღების მომენტისთვის ეს ქონება წარმოადგენს დანაშაულის გზით მიღებულ ქონებას.

საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით, მისი სისტემიდან გამომდინარე, ანალოგიური ქმედებების შეფასება შემდეგნაირად უნდა მოხდეს: თუ პირი წინასწარი შეპირებით შეიძენს ან გაასაღებს დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ნივთს, მაშინ ის შესაბამისი დანაშაულის თანა-

მონაწილეა (დამხმარეა) და ამ ქმედების 194-ე მუხლით (ფულის გათეთრება) კვალიფიკაცია ზედმეტია.[30]

თუ პირი წინასწარი შეპირების გარეშე, მაგრამ წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ნივთს იძენს, სარგებლობს, ფლობს ან ასაღებს პირადი მოტივით, მაშინ ის 186-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულს ახორციელებს.

თუ სსკ-ის 186-ე მუხლში აღწერილი ქმედებები (ნივთის შეძენა, სარგებლობა, ფლობა ან გასაღება) ემსახურება შემოსავლის გათეთრებას, მაშინ ეს დახმარებაა (ან ამსრულებლობა) 194-ე მუხლით გათვალისწინებულ დანაშაულში (ანუ ფულის გათეთრებაში). როგორც აღვნიშნეთ, შესაბამისი კონვენციები, ძირითადი სამართალდარღვევის მონაწილისთვის დახმარების გაწევას, რათა მან თავი აარიდოს საკუთარი ქმედების სამართლებრივ შედეგებზე პასუხისმგებლობას, შემოსავლის გათეთრებად თვლის. თუმცა, ჩვენი კოდექსი დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთების წინასწარ შეპირების გარეშე დაფარვას, დანაშაულის დაფარვად აფასებს, სახელდობრ, თუ ადამიანი, ამა თუ იმ ფორმით, დაფარავს დანაშაულებრივი გზით ნაშოვნ ქონებას იმის გაუცნობიერებლად, რომ ამგვარმა გარიგებამ შეიძლება გამოიწვიოს შემოსავლების გარეცხვა, მაგრამ მიზნად ისახავს პრედიკატული დანაშაულის ამსრულებლის დახმარებას, რათა მან თავი აარიდოს თავისი ქმედების იურიდიულ შედეგებს, მაშინ ის დანაშაულის დაფარვას ახორციელებს (მუხლი 375-ე). ამრიგად, 375-ე მუხლი (დანაშაულის დაფარვა) და 194-ე მუხლი (ფულის გათეთრება) ზოგადი და სპეციალური დაფარვის სახ-

[30] ცხადია, თუ წინასწარი შეთანხმება მოიცავს როლების განაწილებას, კერძოდ, ერთი დანაშაულებრივი გზით მოიპოვებს ქონებას, მეორე კი მის ლეგალიზაციაზე ზრუნავს, მაშინ ქმედების ფულის გათეთრებად შეფასება ეჭვს არ იწვევს. აქ უკვე, არა უბრალო ფსიქოლოგიური დახმარებაა ძირითად დანაშაულში, არამედ კონკრეტული მოქმედებები ხორციელდება ფულის გასათეთრებლად.

ეებია, ორივე ერთად კი დანაშაულთან შემხებლობის ფორმები. თუ დანაშაულებრივი გზით ნაშოვნი ქონების დაფარვა მიზნად ისახავს მისთვის კანონიერი სახის მიცემას, მაშინ ეს ფულის გათეთრებაა, ხოლო თუ დაფარვის მიზანია მხოლოდ დახმარება, რათა ძირითადი დანაშაულის ჩამდენმა თავიდან აიცილოს პასუხისმგებლობა, მაშინ ეს დანაშაულის დაფარვაა (მუხლი 375-ე). ყველა კონვენციის ცალსახა მოთხოვნაა, საკუთრების გარდაქმნისა თუ გადაცემის დროს, პრედიკატული დანაშაულის ამსრულებლის დამხმარემ იცოდეს, რომ მისი ქმედება გამოიწვევს შემოსავლის ლეგალიზაციას და სურდეს ეს შედეგი ან ითვალისწინებდეს ასეთი შედეგის გარდაუვალობას ან ასეთი შედეგის შესაძლებლობას. აქედან გამომდინარე, თუ ეს წინასწარ შეცნობილი არ არის, ამგვარი დახმარება დანაშაულის დაფარვის ზოგად შემადგენლობას მოგვცემს (მუხლი 375-ე).

სსკ-ის 186-ე მუხლით აღწერილი ქმედების შეფასებისას კი, უნდა გაირკვეს რას ემსახურებოდა ის, ფულის გათეთრებაში დახმარებას, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის დაფარვაში დახმარებას, თუ პირადი სარგებლის მიღებას. თუ პირს არც შემოსავლის გათეთრების და არც ძირითადი სამართალდარღვევის მონაწილის დახმარების მიზანი არ ამოძრავებს და წინასწარი შეპირების გარეშე, მაგრამ წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ნივთს შეიძენს, ფლობს, სარგებლობს ან ასაღებს პირადი მოტივით, მაშინ ის სსკ-ის 186-ე მუხლით აღწერილ დანაშაულს ახორციელებს.

აღსანიშნავია, რომ სსკ-ის 186-ე და 375-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულები ობიექტურად ფულის გათეთრების შემადგენელ მოქმედებებს გულისხმობს. სსკ-ის 186-ე და 194-ე მუხლებს შორის არსებულ კოლიზიას კვლავ დავუბრუნდებით 186-ე მუხლის დახასიათებისას.

თუ უკვე ლეგალიზებული შემოსავლით სარგებლობასთან, შეძენასთან, ფლობასთან ან გასაღებასთან გვაქვს საქმე, მაშინ სახეზეა სსკ-ის 194[1]-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაული — უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გზით მოპოვებული ნივთით სარგებლობა, ნივთის შეძენა, ფლობა ან გასაღება. უკანონო შემოსავლებით ფინანსური ოპერაციების განხორციელება არ ნიშნავს, რომ მას უკანონოს ლაქა მოშორდა, შემდგომი ქმედებები ამ ქონებასთან მიმართებით ასევე დანაშაულია.

§ 7. უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის სუბიექტური შემადგენლობა

ფულის გათეთრების საწინააღმდეგო ყველა საერთაშორისო შეთანხმება (ვენის, პალერმოს, სტრასბურგის კონვენციები) ხაზს უსვამს, რომ შემოსავლების გასათეთრებლად კონკრეტული მოქმედებების განხორციელებისას (ქონების გარდაქმნა ან გადაცემა, დამალვა ან შენიღბვა და სხვ.) პირს წინასწარ შეცნობილი უნდა ჰქონდეს, რომ ქონება დანაშაულებრივი გზით არის მიღებული და მიზნად უნდა ისახავდეს მისთვის კანონიერი სახის მიცემას, რაც ამ დანაშაულის სუბიექტურ შემადგენლობაში განზრახვის მიმანიშნებელია. ამასთანავე, ხაზგასმულია, რომ წინასწარი შეცნობა, განზრახვა და მიზანი როგორც დანაშაულის შემადგენლობის ელემენტები შეიძლება დადგინდეს საქმის ობიექტური ფაქტობრივი გარემოებების საფუძველზე (ვენის კონვენციის მიხედვით უბრალო ინფორმირებულობაც კი, რომ ქმედება ფულის გარეცხვას უკავშირდება, საკმარისია სუბიექტური მხარის დასასაბუთებლად).

შემოსავლის ლეგალიზაციის სუბიექტურ შემადგენლობასთან დაკავშირებით, სპეციალურ ლიტერატურაში დავობენ, მხოლოდ პირდაპირ განზრახვასთან გვაქვს საქმე, თუ დასაშვებია არაპირდაპირი განზრახვაც.

ამ დანაშაულის არაპირდაპირი განზრახვით შესაძლო განხორციელების არგუმენტად ასახელებენ ლეგალიზაციის პროცესის სირთულეს, რომლის ყველა დეტალის ცოდნა გამორიცხულია. საკმარისია დამნაშავე უშვებდეს ფულის (ქონების) წარმოშობის დანაშაულებრიობას. დანაშაულებრივი გზით შეძენილ ქონებასთან მიმართებით ფინანსური ოპერაციისა თუ გარიგების განხორციელებისას, დამნაშავე, შესაძლოა, შეგნებულად უშვებდეს ან გულგრილად ეკიდებოდეს მისი ლეგალიზაციის ფაქტს. მაგალითად, ჭუჭყიანი ფულის უძრავ ქონებაში დაბანდებისას, ან უცხოური ვალუტის შეძენისას დამნაშავე, შესაძლოა, სპეციალურად არც ისახავს მიზნად ამ ფულისთვის მართლზომიერი სახის მიცემას. მას, შესაძლოა, სურდეს მისი დაცვა ინფლაციისგან ან უბრალოდ თვლიდეს კაპიტალის ჩადების ამგვარი ხერხი უფრო სარგებლიანია. ამასთანავე, დამნაშავე გულგრილად ეკიდება იმას, რომ ჭუჭყიანი ფულით ფინანსური ოპერაციების განხორციელებით, ობიექტურად რთულდება მათი შემდგომ გამოვლინება, ხდება შენიღბვა, მართლზომიერი ხასიათის მიცემა და ა.შ. ამიტომ, კანონში ლეგალიზაციის მიზანზე საგანგებო მითითება ზედმეტია. ისედაც ნათელია, რომ ჭუჭყიანი ფულისა, თუ სხვა ქონებისთვის მართლზომიერი სახის მიცემა, ობიექტურად ხდება, როცა ამ ქონებით ფინანსური ოპერაციები ან გარიგებები ხორციელდება და მისი ლეგალურ ბრუნვაში შეტანა ხდება, იმისაგან დამოუკიდებლად, დამნაშავე ისახავდა თუ არა ამგვარ მიზანს. აქედან გამომდინარე, შესაძლებლად მიიჩნევენ ლეგალიზაციის განხორციელებას არაპირდაპირი განზრახვითაც.[31]

ამგვარი დასკვნის საფუძველს ნაწილობრივ, საერთაშორისო აქტებში არსებული წინააღმდეგობები განაპირობებს. ასე მაგალითად, სტრასბურგის კონვენციის მიხედვით, ქმედებისთვის ფულის გათეთრების დანაშაულის კვალიფიკაციის მიცემა შეიძლება იმ შემთხვევაშიც, როდესაც დამნაშავე:

[31] ო.იაკიმოვი, დასახელებული ნაშრომი, გვ.134-137; И.А. Киселев, ГРЯЗНЫЕ ДЕНЬГИ, Москва, 2009 с. 98-109.

ა) ვალდებული იყო ევარაუდა, რომ ქონება წარმოადგენს შემოსავალს;
ბ) მოქმედებდა მოგების მიღების მიზნით;
გ) მოქმედებდა შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობის განხორციელებისათვის ხელშეწყობის მიზნით.

როგორც ვხედავთ, კონვენციამ შემოგვთავაზა, სამი კუმულაციური პირობა, როცა ხელმომწერ სახელმწიფოს უფლება აქვს (მაგრამ არაა ვალდებული), ქმედებას მისცეს დანაშაულის კვალიფიკაცია.ზემოთხსენებული პირველი პირობიდან ("ვალდებული იყო ევარაუდა") გამომდინარეობს, რომ არაა აუცილებელი, პირს გაცნობიერებული ჰქონდეს ქონების დანაშაულებრივი წარმომავლობა, მთავარია, მას ევალებოდეს (მაგალითად, სამსახურებრივად) ამის გაცნობიერება.

საკითხის ამგვარი გადაწყვეტა არ უნდა ჩაითვალოს მართებულად, რადგან ფულის გამთეთრებელს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს დანაშაულის საგნის უკანონო წარმომავლობა. წინააღმდეგ შემთხვევაში, მას ფულის გათეთრებას ბრალად ვერ შევრაცხავთ.

ამასთან აღსანიშნავია, რომ ამ სამი პირობიდან მეორე და მესამე პირობაში აშკარად ჩანს, რომ ქმედება ჩადენილი უნდა იყოს პირდაპირი განზრახვით, თანაც გამიზნულად. ასეთ ვითარებაში კი პირველი პირობა (ვალდებული იყო ევარაუდა, რომ ქონება წარმოადგენდა შემოსავალს) აშკარად შეუსაბამობაში მოდის დანარჩენ ორ პირობასთან. როგორ შეიძლება ერთმანეთთან შევათავსოთ ვითარება, როცა პირს არა აქვს გაცნობიერებული, რომ საქმე აქვს დანაშაულებრივი გზით მიღებულ ქონებასთან (თუმცა ევალება ამის ვარაუდი) და ამავე დროს იგი მოქმედებს შემდგომი დანაშაულებრივი საქმიანობის განხორციელებისათვის ხელშეწყობის მიზნით. თუ ფულის გამთეთრებელს ძირითადი დანაშაულებრივი ქმედება (ე.ი. პრედიკატული დანაშაული) არა აქვს გაცნობიერებული,

მაშინ მას არც ის ექნება გაცნობიერებული, რომ მისი ქმედება იქნება ხელის შეწყობა "შემდგომი" დანაშაულებრივი საქმიანობის განხორციელებისთვის.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის საქართველოს სსკ-ის 194-ე მუხლით გათვალისწინებული კანონისმიერი შემადგენლობა მოითხოვს სპეციალური მიზნის არსებობას მოცემულ დანაშაულებრივ ქმედებაში. ეს ნიშანი პირდაპირაა მითითებული ფულის გათეთრების პირველ ფორმაში და გამომდინარეობს შემოსავლის ლეგალიზაციის მეორე ფორმის ტექსტის შინაარსიდან. მაშასადამე, იმისათვის, რომ ამსრულებელს ან თანამონაწილეს დაეკისროს პასუხისმგებლობა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისთვის ამა თუ იმ ქმედების განხორციელებისას, გაცნობიერებული უნდა ჰქონდეთ სპეციალური მიზანი, რაც გულისხმობს უკანონო შემოსავლის გარეცხვის მიზანს. მიზნის ელემენტი ნათლად მიუთითებს, რომ აქ მხოლოდ პირდაპირი განზრახვაა შესაძლებელი. ამრიგად, განზრახვა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში გულისხმობს მიზნის არსებობას და სწორედ ამ მიზანთან დაკავშირებით ირჩევს ამსრულებელი განზრახვის რეალიზაციის ხერხსა და საშუალებას. შემოსავლის ლეგალიზაციისკენ განხორციელებული ყველა მოქმედება ამ მიზნის მიღწევის სურვილით უნდა იყოს ნაკარნახები. არაპირდაპირ განზრახვასთან სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაკავშირება უსაფუძვლოდ და უსამართლოდ გააფართოვებდა რეპრესიის ფარგლებს და ეს არც ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის ამოცანებს შეესაბამება.

ალბათ, ძალზე იშვიათია, ფულის გასარეცხად განხორციელებული მოქმედებები ლეგალიზაციის მიზნის გარეშე, ანდა ქონების ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობას, მასზე საკუთრების სხვა უფლების დამალვა ან შენიღბვა არაპირდაპირი განზრახვით, სპეციალური მიზნის გარეშე. იცის რა შემოსავლის უკანონო გზით წარმომავლობა, დამნაშავე ისწრაფვის, ყველანაირად

წაშალოს ეს კვალი, რათა შემოსავალი ლეგალურად გამოიყურებოდეს. პირდაპირი განზრახვის კანონისმიერი ფორმულით ეს ნიშნავს, რომ ლეგალიზატორს გაცნობიერებული აქვს თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებს მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომას და სურს ეს შედეგი ან ითვალისწინებს შედეგის დადგომის გარდუვალობას. მტკიცების თვალსაზრისით, განზრახვის კომპონენტები ასე გამოიყურება: შემოსავლის უკანონო წარმომავლობის ცოდნა (ინტელექტუალური ელემენტი), მისთვის კანონიერი სახის მიცემის სურვილი (ნებელობის ელემენტი), მართლწინააღმდეგობის შეგნება.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია რომ პირდაპირ განზრახვას გულისხმობს, ამის დასადასტურებლად კიდევ რამდენიმე არგუმენტის მოტანა შეიძლება: 1) რამდენადაც ფულის გათეთრება დანაშაულის დაფარვის სპეციალური ფორმაა, დანაშაულის დაფარვა არ შეიძლება არაპირდაპირი განზრახვით განხორციელდეს; 2) ფულის გათეთრებას სწორედ სპეციალური მიზანი განასხვავებს ისეთი მომიჯნავე დანაშაულის შემადგენლობისგან, როგორიცაა — სსკ-ის 186-ე მუხლით აღწერილი ქმედება; 3) უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია ფორმალური დანაშაულია, რომლის არაპირდაპირი განზრახვით განხორციელების შესაძლებლობა საკამათო თემაა სისხლის სამართლის თეორიაში. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, სსკ-ის 194-ე მუხლით აღწერილი ქმედების სუბიექტური მხარის სავალდებულო ნიშნებია, ერთი მხრივ, შემოსავლის უკანონო წარმომავლობის გაცნობიერება, მეორე მხრივ, მისთვის მართლზომიერი სახის მიცემის მიზანი. ამ ნიშნების გარეშე ფულის გათეთრების სუბიექტური მხარე არ არსებობს. ფულის გათეთრების ქმედების დანაშაულებრიობას განსაზღვრავს შემოსავლის უკანონო წარმომავლობა, მის გარეშე შემოსავლის გათეთრება არ არსებობს. თუ პირს წინასწარ შეგნებული არა აქვს, რომ უკანონო შემოსავლის მიმართ ახორციელებს გათეთრების ოპერაციებს, თუ მხოლოდ ეჭვობს, რომ ქონება

(შემოსავალი) შესაძლოა დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული (უკანონოა), მაშინ მას თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობაც არა აქვს გაცნობიერებული, რაც განზრახვის ერთერთი კომპონენტია. თუ ქმედების ჩამდენ პირს შეგნებული არა აქვს მოცემულ შემადგენლობაში შემავალი ნიშნები, რომლებიც ქმედებას ახასიათებენ როგორც დანაშაულს, მაშინ განზრახვის საკითხი ვერც კი დაისმება. განზრახვის საკანონმდებლო ფორმულიდან ჩანს, რომ „დაშვება" მიზეზობრიობის პროცესს, სახელდობრ, მავნე შედეგის დადგომას შეეხება. არაპირდაპირი განზრახვა დასაშვებია უკანონო შემოსავლის გათეთრების შედეგის მიმართ, მაგალითად, შესაძლებელია ესა თუ ის ფინანსური ოპერაცია უკანონო შემოსავლის გათეთრებით დამთავრდეს და ეს დაუშვას დამნაშავემ, მაგრამ ეს შედეგი ფულის გათეთრების კანონისმიერი შემადგენლობის გარეთაა. დასჯადია თავისთავად შემოსავლის ლეგალიზაციის მიზნით განხორციელებული ქმედება, მიუხედავად იმისა მოხდება მისი გათეთრება თუ არა. თუ კანონმა გარკვეული შედეგი არ შეიტანა შემადგენლობაში, მაშასადამე, არც ის აინტერესებს, თუ როგორი იყო დამნაშავის ფსიქიკური დამოკიდებულება ამ შედეგისადმი, ყოველ შემთხვევაში ქმედების სუბიექტური შემადგენლობის, შემდეგ კი ბრალის დასაბუთებისთვის ამას მნიშვნელობა არა აქვს.[32]

მიუხედავად ზემოაღნიშნული არგუმენტებისა, ფულის გათეთრების საწინააღმდეგო საერთაშორისო კონვენციები უშვებენ არაპირდაპირი განზრახვით როგორც ამსრულებლობის, ისე თანამონაწილეობის შესაძლებლობას. მაგალითად, რომელიმე ფინანსური ინსტიტუტის თანამშრომელმა (ბანკის, სადაზღვევო კომპანიის) ივარაუდოს ამა თუ იმ ქმედების (ფინანსური ოპერაციის) განხორციელებისას შემოსავლის კრიმინალურ წარმომავლობაზე და შეგნებულად, დაუშვას მისი ლეგალიზების შესაძლებლობა. მსგავსი რამ დასაშვებია, ასევე მონიტორინგის განმახორციელებელი სხვა პირე-

[32] მ. უგრეხელიძე, ბრალი საფრთხის დელიქტებში, თბ., 1982. გვ. 16—22.

ბის მხრიდან საეჭვო და უჩვეულო გარიგებებთან მიმართებაში, როცა ისინი გონივრულ ზომებს არ იღებენ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთისთვის. მსგავსი სქემა კიდევ უფრო მყარდება, თუკი ამგვარ დაშვებას წინ უძღვის კორუფციული გარიგება. მაგალითად, ბანკის მოსამსახურემ გარკვეული გასამრჯელოს სანაცვლოდ სასწრაფოდ განახორციელა ფინანსური ოპერაცია, რომლის დროსაც დაუშვა იმის შესაძლებლობა, რომ ეს ქმედება შემოსავლის ლეგალიზაციისთვის გაკეთდა.

ამ საკითხთან დაკავშირებით საინტერესო მოსაზრებას გამოთქვამს ქ.მჭედლიშვილი-ჰედრიხი, კერძოდ იგი წერს: სისხლის სამართლის დოგმატიკაში აზრთა სხვადასხვაობაა ევენტუალური განზრახვით დახმარების შესაძლებლობის შესახებ. ლიტერატურაში ევენტუალური განზრახვით დახმარების ერთ-ერთ მაგალითად ასახელებენ შემთხვევას, როდესაც დამხმარე ნეიტრალურ ქმედებას ახორციელებს, იცის, რომ ამ ქმედებით იგი შესაძლებელია ამსრულებელს დანაშაულის განხორციელებაში დაეხმაროს და შეგნებულად უშვებს ან გულგრილად ეკიდება ამ შედეგის დადგომას. (შემთხვევა: ბანკის თანამშრომელმა იცის, რომ შესაძლებელია, კლიენტმა შეტანილი თანხა გაათეთროს და მაინც ასრულებს თავის მოვალეობას).

საწინააღმდეგო და სწორი აზრის მიხედვით, თანამონაწილეები ერთიანი უმართლობით და ერთიანი განზრახვით არიან შეკავშირებული და ამიტომაც დამხმარე ყოველთვის პირდაპირი განზრახვით მოქმედებს. მხოლოდ ეჭვი ამსრულებლის მიერ შესაძლო დანაშაულის ჩადენის შესახებ დამხმარის დასჯადობას ვერ დააფუძნებს[33].

ზემოაღნიშნული არგუმენტების საფუძველზე, ჩვენ იმ დასკვ-

33 იხ. ქ.მჭედლიშვილი-ჰედრიხი, სისხლის სამართალი, ზოგადი ნაწილი, თბ. გამომცემლობა მერიდიანი, 2011, გვ. 238

ნამდე მივედით, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია პირდაპირ განზრახვას გულისხმობს. აქვე აღსანიშნავია, რომ თანამონაწილეობის ლეგალური განმარტება, რაც საქართველოს სსკ-ის 23-ე მუხლშია ჩამოყალიბებული — „განზრახ ერთობლივი მონაწილეობა", უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში არაპირდაპირი განზრახვით თანამონაწილეობას გამორიცხავს, მიუხედავად იმისა, რომ საერთაშორისო კონვენციების მიხედვით ამგვარი თანამონაწილეობა დასაშვებად არის მიჩნეული.

§ 8. ფულის გათეთრება და მომიჯნავე დანაშაულები

8.1 წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შეძენა ან გასაღება (სსკ-ის 186-ე მუხლი)

განსახილველი ქმედება 1960 წლის სისხლის სამართლის კოდექსის მიხედვით საზოგადოებრივი უშიშროებისა და წესრიგის საწინააღმდეგო დანაშაულად ითვლებოდა (მუხლი 229-ე), ახალი სისხლის სამართლის კოდექსით კი, საკუთრების საწინააღმდეგო დანაშაულია. კანონმდებელმა ამ დანაშაულის სისტემური ადგილის შეცვლით სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტად საკუთრებითი ურთიერთობა აღიარა. მის საგანს წარმოადგენს ის ქონება, რომელიც დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული, ანუ შეძენილია დანაშაულის ჩადენის შედეგად.
ქმედების ობიექტური შემადგენლობა გამოიხატება წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთით სარგებლობაში, ნივთის შეძენაში, ფლობაში ან გასაღებაში.
ამ მუხლის ძველი რედაქცია დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შეძენითა და გასაღებით შემოიფარგლებოდა. 2008 წლის 19 მარტს შეტანილი ცვლილებით კანონმდებელმა ნივთზე ხარვეზიანი უფლების მოპოვების ფორმების უფრო

დეტალიზება მოახდინა, შეძენასთან ერთად დასჯადი გახდა ფლობაც და სარგებლობაც; შესაძლებელია, ნივთი შეძენილი არ იყოს, მაგრამ წინასწარ შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთი დროებით შესანახად იყოს მიბარებული სხვაზე (მაგალითად, სხვის გარაჟში მოათავსო მოპარული ავტომობილი და გარაჟის მფლობელმა იცოდეს რომ იგი დანაშაულებრივი გზითაა მოპოვებული), ან კიდევ დროებით სარგებლობაში იქნეს გადაცემული ასეთი ნივთი, რომელიც სამოქალაქო გაგებით ნივთის შეძენის ცნებაში ასევე ვერ თავსდება. ამგვარად, კანონმდებელმა დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ნივთთან მოპყრობის ყველა შესაძლო ქმედების კრიმინალიზაცია მოახდინა, რათა ამ ნივთთან შეხებაში მყოფმა ვერც ერთმა პირმა ვერ დააღწიოს თავი პასუხისმგებლობას.

დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შეძენა გულისხმობს როგორც სასყიდლით, ისე უსასყიდლოდ მასზე უფლების მოპოვებას (ყიდვა, გაცვლა, ჩუქება და სხვ.), ხოლო გასაღება — ნებისმიერი ფორმით გასხვისებას (რეალიზაციას). კოდექსის 186-ე მუხლის ობიექტური შემადგენლობა ისეა ჩამოყალიბებული, რომ მასში მითითებულ მოქმედებათა განხორციელების ფაქტი, იმისდა მიუხედავად, დადგა თუ არა მავნე შედეგი, ქმნის დანაშაულის დამთავრებულ შემადგენლობას.

დანაშაულის სუბიექტური მხარე პირდაპირ განზრახვას გულისხმობს. დამნაშავეს გაცნობიერებული აქვს დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შეძენის, სარგებლობის, ფლობის ან გასაღების მართლსაწინააღმდეგო ხასიათი და სურს მისი ჩადენა.

„წინასწარი შეცნობა“ ამ შემთხვევაში ნიშნავს დამნაშავის მიერ იმ ფაქტის შეგნებას, რომ ნივთი მოპოვებული იყო დანაშაულის ჩადენის შედეგად. იმას, რომ ქონება მოპოვებუ-

ლია დანაშაულებრივი გზით, შეიძლება მოწმობდეს ნივთის თავისებურება, მისი რაოდენობა, ვითარება, რომელშიც იგი შეიძინეს, ფასი, შეძენის წინადადების მიმცემის პიროვნება და ა.შ.

წინასწარი შეცნობით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის შეძენას ან გასაღებას შეიძლება ჰქონდეს თანამონაწილეობის ფორმა, ეს მაშინ, როდესაც დამნაშავე ან უშუალოდ მონაწილეობს ნივთის მართლსაწინააღმდეგო მოპოვებაში, ან წინასწარ იყო შეპირებული, რომ შეიძენდა ან გაასაღებდა ქონებას, ხოლო თუ ასეთი შეთანხმება არ არსებობდა, ეს დანაშაული დამოუკიდებელ ხასიათს იღებს.

ამრიგად, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების შეძენა თანამონაწილეობად ჩაითვლება, თუ იგი დამნაშავისთვის დანაშაულის ჩადენამდე, დანაშაულის ჩადენისას ან სხვა გარემოებათა გამო წინასწარ იყო ცნობილი. მაგალითად, როდესაც მართლსაწინააღმდეგო ქმედებას სისტემატური ხასიათი ჰქონდა, რაც დამნაშავეს აძლევდა საფუძველს ევარაუდა, რომ იგი დახმარებას გაუწევდა ამსრულებელს.

სსკ-ის 186-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის შემადგენლობა უნდა გავმიჯნოთ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისაგან (მუხლი 194-ე). სსკ-ის 186-ე მუხლში საუბარია მხოლოდ დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ნივთზე, ხოლო 194-ე მუხლში — უკანონო შემოსავალზე ფართო გაგებით, რომელშიც იგულისხმება როგორც დანაშაულებრივი, ისე არადანაშაულებრივი გზით მოპოვებული, მაგრამ უკანონო ან

დაუსაბუთებელი ქონება.[34] 186-ე მუხლით აღწერილი ქმედების კრიმინალიზაცია მიზნად ისახავს დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ლეგალურ ეკონომიკურ ბრუნვაში ჩაბმის თავიდან აცილებას (აღკვეთას) და საკუთრების დაცვას. აქედან გამომდინარე ეს დანაშაული უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისგან, ძირითადად, მოქმედების მიმართულებით განსხვავდება, კერძოდ, ამ უკანასკნელ შემთხვევაში დამნაშავე ასეთი ნივთის ეკონომიკურ ბრუნვაში ჩაბმით მის ლეგალიზებას ისახავს მიზნად, რაც უნდა გამოვრიცხოთ 186-ე მუხლით გათვალისწინებული ქმედების რეალიზაციის დროს, ამ დროს დამნაშავეს ამოძრავებს სხვა პირადი მიზანი და მოტივი (მაგალითად, ანგარება, ნივთის იაფად შეძენის მიზანი და სხვ.), თუმცა, ნივთზე უფლების მოპოვების 186-ე მუხლით გათვალისწინებული ფორმები ძალაუნებურად ქონების ლეგალიზაციასაც იწვევს. საქმე ისაა, რომ უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება) ნებისმიერი ფინანსური ოპერაციისა თუ სხვა გარიგების ფაქტობრივი მხარეა, პირი რომელიც აცნობიერებს, რომ ახორციელებს სამოქალაქო გარიგებას ამა თუ იმ ქონებასთან მიმართებით (შეძენა, ფლობა, გასაღება...) არ შეიძლება არ სურდეს, რომ ამ გარიგებას მისცეს მართლზომიერი ხასიათი. ძალაუნებურად ის ფულის

[34] სსკ-ის 186-ე მუხლით აღწერილი დანაშაულის საგანი ძირითადად ემთხვევა ფულის გათეთრების შემადგენლობის საგანს (194-ე მუხლი). ამავე დროს ქონება რომელიც 186-ე მუხლის საგანს შეადგენს შეზღუდულია მხოლოდ იმ ნივთებით, რომლებიც მოპოვებულია დანაშაულის ჩადენის შედეგად. მისგან განსხვავებით ფულის გათეთრების საგანს შეიძლება შეადგენდეს ისეთი ქონებაც, რომლის დანაშაულებრივი წარმომავლობა დაუდგენელია, მაგრამ არც ლეგალური წარმომავლობის დამადასტურებელი დოკუმენტი გააჩნია მის მფლობელს და ამიტომ უკანონო შემოსავლად ითვლება. ამრიგად, 194-ე მუხლში უკანონო შემოსავალი უფრო ფართოდ არის გაგებული, მასში იგულისხმება როგორც დანაშაულებრივი, ისე არადანაშაულებრივი, მაგრამ უკანონო გზით მოპოვებული ან/და დაუსაბუთებელი ქონება. სსკ-ის 186-ე მუხლით გათვალისწინებული დანაშაულის ამსრულებელი ნებისმიერი ფიზიკური ან იურიდიული პირია, ხოლო სსკ-ის 94-ე მუხლში კი ის ფიზიკური ან იურიდიული პირი, ვინც ცდილობს კანონიერი სახე მისცეს შემოსავალს.

გათეთრების რაღაც საფეხურს ახორციელებს, თუმცა უნდა ვივარაუდოთ, რომ სსკ-ის 186-ე მუხლით აღწერილი ქმედების განხორციელებისას პირს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის მიზანი არ ამოძრავებს, სხვანაირად მიჯნას ვერ გავავლებთ 186-ე და 194-ე მუხლებით გათვალისწინებულ დანაშაულებს შორის. აქვე აღსანიშნავია, რომ ფულის გათეთრების საწინააღმდეგო საერთაშორისო კონვენციები სსკ-ის 186-ე მუხლით აღწერილ ქმედებებს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის შემადგენელ ნაწილად მიიჩნევს, თუმცა კანონმდებელმა ეს შემადგენლობა ფულის გათეთრების პარალელურად დამოუკიდებელ დანაშაულად დატოვა, რაც სასამართლო პრაქტიკას გარკვეულ პრობლემებს შეუქმნის.

ამრიგად, როგორც ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, სსკ-ის 186-ე მუხლით აღწერილი ქმედების შეფასებისას უნდა გაირკვეს რას ემსახურებოდა ის, ფულის გათეთრებაში დახმარებას, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ნივთის დაფარვაში დახმარებას, თუ პირადი სარგებლის მიღებას, რათა ის გავმიჯნოთ 194-ე და 375-ე მუხლებით აღწერილი დანაშაულებისგან. თუ პირს არც შემოსავლის გათეთრების და არც ძირითადი სამართალდარღვევის მონაწილის დაფარვის მიზანი არ ამოძრავებს და წინასწარი შეპირების გარეშე, მაგრამ წინასწარი შეცნობით, დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ნივთს შეიძენს, ფლობს, სარგებლობს ან ასაღებს პირადი მოტივით, მაშინ ის სსკ-ის 186-ე მუხლით აღწერილი დანაშაულის შემადგენლობას ახორციელებს.

8.2 უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გზით მოპოვებული ნივთით სარგებლობა, ნივთის შეძენა, ფლობა ან გასაღება (სსკ-ის 194[1]-ე მუხლი)

ეს ნოვაცია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 2008 წლის 19 მარტს გაჩნდა. საქართველოს პარლამენტის განმარტებით ბარათში ვკითხულობთ: „ეს დამატება განპირობებულია ფინანსური ქმედების სპეციალური ჯგუფის

(FATF) და ევროსაბჭოს ფულის გათეთრების საწინააღმდეგო რჩეულ ექსპერტთა კომიტეტის (MANIVAL) მიერ შემოთავაზებული რეკომენდაციებით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის და ტერორიზმთან ბრძოლის სფეროში საკანონმდებლო ბაზის გაუმჯობესებასთან დაკავშირებით". აქედან გამომდინარე, სსკ-ის 194[1]-ე მუხლით აღწერილი ქმედების კრიმინალიზაცია მიზნად ისახავს იმავე ინტერესის დაცვას, რაც სსკ-ის 194-ე მუხლითაა გათვალისწინებული.

ქმედების ობიექტური მხარე გულისხმობს წინასწარი შეცნობით უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გზით მოპოვებული ნივთით სარგებლობას, ნივთის შეძენას, ფლობას ან გასაღებას. აღნიშნული ქმედებები 194-ე მუხლითაც არის გათვალისწინებული, მაგრამ ისინი მიზნად ისახავენ უკანონო შემოსავლის ლეგალიზებას, ხოლო 194[1]-ე მუხლში საუბარია უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის გზით მოპოვებული ნივთის შეძენაზე, ფლობაზე, სარგებლობაზე ან გასაღებაზე, ანუ უკვე ლეგალიზებულ ქონებაზე. კანონმდებლის მიზანია, დაიცვას მართლზომიერი ფულად-სასაქონლო ურთიერთობები უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის შემდგომ ეტაპებზეც, ანუ უზრუნველყოს უკანონოდ ლეგალიზებული ქონების ეკონომიკურ ბრუნვაში ფაქტობრივი ჩაბმის დაუშვებლობა. ამ მიზნის მისაღწევად კრიმინალიზებულია არა მხოლოდ უკანონოდ ლეგალიზებული ნივთის შეძენა, არამედ ამ ნივთით დროებითი სარგებლობა და ფლობაც, აგრეთვე მისი გასაღება.

ნივთის შეძენის,სარგებლობის, ფლობის და გასაღების არსზე უკვე გვქონდა საუბარი 186-ე და 194-ე მუხლების ანალიზის დროს.

დანაშაულის ამსრულებელი შეიძლება იყოს როგორც ფიზიკური, ისე იურიდიული პირი.

ქმედების სუბიექტური შემადგენლობა პირდაპირ განზრახ-

ვას გულისხმობს. მოტივი, როგორც წესი, ანგარებითია, თუმცა არც სხვა, პირადი მოტივის გამორიცხვა შეიძლება. კანონმდებელი მოტივს კვალიფიკაციისთვის მნიშვნელობას არ ანიჭებს.

§9. სასამართლო პრაქტიკა ფულის „გარეცხვის" შესახებ

საკითხის განხილვა გვინდა დავიწყოთ ეგმონტის ჯგუფის მიერ მომზადებული 100 სისხლის სამართლის საქმის მიმოხილვით.[35] ეგმონტის ჯგუფის ანგარიშში შესული ეს სი-

[35] ეგმონტის ჯგუფი დაფუძნდა 1995 წელს ბრიუსელში ეგმონტ-არენბერგის სასახლეში, სადაც გაიმართა სხვადასხვა ქვეყნების ფინანსური დაზვერვის სამსახურების წარმომადგენლების პირველი შეკრება. ასეთი ჯგუფის შექმნა გადაწყდა FATF-ის შეხვედრებზე სხვადასხვა ქვეყნების ფინანსური დაზვერვის სამსახურების წარმომადგენლების არაფორმალური კონტაქტების შედეგად. მისი მიზანია ფინანსური დაზვერვის სამსახურებს შორის დიალოგის უზრუნველყოფა ფულის გარეცხვასთან ბრძოლაში მათი ნაციონალური პროგრამების მხარდასაჭერად. ეს გამოიხატება ფინანსური დაზვერვის ორგანოებს შორის ინფორმაციის სისტემატიზაციასა და გაცვლაში ამ ორგანოთა მუშაკების და ექსპერტების მომზადების დონის გაუმჯობესებაში, საფინანსო დაზვერვის სამსახურების ურთიერთობის ხელშეწყობაში უახლესი ტექნოლოგიების გამოყენებით. დღეისთვის ეგმონტის ჯგუფის წევრია მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნის 69 საფინანსო დაზვერვის სამსახური. დაარსების მეხუთე წლისთავზე, ეგმონტის ჯგუფმა მისი წევრი სახელმწიფოების ფინანსური დაზვერვის სამსახურების მეშვეობით შეკრიბა 100 სისხლის სამართლის საქმე, ფულის გარეცხვასთან ბრძოლაში გამოცდილების გასაზიარებლად. თითოეულმა საფინანსო სამსახურმა თითო საქმე გადასცა ეგმონტის ჯგუფს, რის შედეგადაც მის ანგარიშში მოხვდა 100 სისხლის სამართლის საქმე ყველა კონტინენტიდან. ანგარიში ასახავს ფულის გარეცხვასთან ბრძოლის საერთაშორისო გამოცდილებას. ეგმონტის ჯგუფის მიერ მისი წევრი ქვეყნე-

სხლის სამართლის საქმეები აღწერენ ფულის გარეცხვის ტიპოლოგიებს ყველა კონტინენტიდან. სახელდობრ, ეგმონტის ჯგუფის მასალები შეიცავენ ფულის გარეცხვის ისეთ სქემებს, როგორიცაა: დანაშაულებრივი შემოსავლების დამალვა ლეგალურად მოქმედ ბიზნეს-სტრუქტურებში, რომლებსაც დანაშაულებრივი ორგანიზაციები მართავენ, ლეგალური ბიზნესის არასწორად გამოყენება, ყალბი დოკუმენტებისა და ცრუმაგიერი პირების ან ანონიმური აქტივების გამოყენება...[36] ნაციონალური სამართლებრივი სისტემების განსხვავებების გამოყენება და სხვ. მთელ რიგ ქვეყნებში კომპანიის დაფუძნება-რეგისტრაცია მარტივი პროცედურაა. ყოველთვის მოიძებნებიან ადამიანები, ვისაც გარკვეული გასამრჯელოს საფასურად შეუძლია კომპანიის დარეგისტრირება და მის მართვაში დახმარება. არსებული კომპანიების (ხშირად ძალიან კარგი რეპუტაციის მქონეც) მეშვეობით დანაშაულებრივი შემოსავლების განთავსებას ფინანსურ სისტემაში მთელი რიგი უპირატესობები აქვს, ამ შემთხვევაში კანონიერი და უკანონო ოპერაციების ერთმანეთში შერევა იოლია. მრავალ ბიზნესსტრუქტურას, ხშირად ნაღდ ფულთან აქვს საქმე და საფინანსო დაწესებულებები ეჭვით არ უყურებენ მათ ანგარიშებზე ნაღდი ფულის დეპონირებას, საკუთარი კომპანიიდან ინფორმაცია მაკონტროლებელთან არ გაჟონავს და სხვ.

ამავე დროს, ეგმონტის ჯგუფის ანგარიშში ნაჩვენებია უამრავი ინდიკატორი, რომელიც ფინანსური ოპერაციების საეჭვობაზე მიანიშნებს შესაბამის სამსახურებს. კერძოდ, საერთაშორისო პრაქტიკაში გვხვდება საეჭვო ფულადი ოპერაციების ისეთი ინდიკატორები, როგორიცაა: ნაღდი ფულით

ბის საფინანსო დაზვერვის სამსახურებიდან შეკრებილი სისხლის სამართლის საქმეები ასახავენ ფულის გარეცხვის ტიპოლოგიებს ყველა კონტინენტიდან.

[36] ჭუჭყიანი ფულის გარეცხვა, ავტორთა კოლექტივი, კიევი, 2003, გვ. 78.

მსხვილი ოპერაციები, კომპანიისთვის არარეალური ბრუნვა, განხორციელებული ბიზნესისთვის უჩვეულო საქმიანობა, დეპონირებული საშუალებების სწრაფი გადატანა (გადარიცხვა) ოფშორულ ზონაში, კლიენტის საქმიანობის პროფილისთვის უჩვეულო სიმდიდრე, განხორციელებული ბიზნესის საეჭვობა, ბიზნესის არაჩვეულებრივი აქტივობა, ანგარიშებზე ფულის უჩვეულო ან არაეკონომიკური მოძრაობა, ფულის სწრაფი და/ან დიდი ოდენობით მოძრაობა, ფულის ძალიან რთული მოძრაობა, ფულის მოძრაობა გაურკვეველი მესამე პირების სასარგებლოდ, ფულის წარმომავლობის არასაკმარისი დასაბუთება და ა.შ.

ეგმონტის ჯგუფის ანგარიშის მიხედვით, ხშირია ცრუმეწარმეობის ფორმით კრიმინალური შემოსავლების გარეცხვა. ოფიციალურად ფუძნდება კომპანია, რომელსაც ფულის გარეცხვის მექანიზმად იყენებენ, დანაშაულებრივი გზით ნაშოვნი ფული შეაქვთ კომპანიების ანგარიშებზე, შემდეგ ამ თანხებს ხსნიან ანგარიშიდან და სხვადასხვა მიზნით იყენებენ (უძრავი ქონების შეძენა და მისთ.).

აღნიშნული მასალების მიხედვით, შუამავლის მეშვეობით შეძენილი ფირმა ხალიჩების იმპორტის საფარველქვეშ ჰაშიშის იმპორტს ახორციელებდა (საქმე 10), სხვა კომპანია კომპიუტერებით ვაჭრობის საფარქვეშ (უსაქონლო ოპერაციებით) ზეთისა და ალკოჰოლის კონტრაბანდით ნაშოვნ ფულს ათეთრებდა (საქმე 20), ერთ-ერთი კომპანია ხილის მიწოდების ყალბი ანგარიშების საფარველქვეშ, კორუფციული გარიგებების გზით ნაშოვნ ფულს რეცხავდა. ამავე ანგარიშში არის პრეცედენტები, რომელთა მიხედვითაც თაღლითებმა დააფუძნეს კომპანიები თითქოსდა საფინანსო მომსახურებისთვის ან საინვესტიციო საქმიანობისთვის, სინამდვილეში კი ეს კომპანიები გამოიყენეს სხვისი ქონების თაღლითობის გზით დასაუფლებლად (საქმე 8-9).

ცნობილია, რომ ბანკი ტრადიციული საფინანსო ინსტიტუტია ფულის გარეცხვისთვის. ერთ-ერთი საქმის მიხედვით, ოფშორული კორპორაციის სახელზე სხვა ქვეყანაში გაიხსნა მიმდინარე ანგარიში, სადაც ბანკის მოსამსახურის ხელშეწყობით თავი მოიყარა კორუფციული გზით მიღებულმა შემოსავლებმა. ბანკის ანგარიშზე დეპონირებული ფულით განხორციელდა მრავალჯერადი გადარიცხვები ანგარიშიდან ანგარიშზე კვალის წასაშლელად (საქმე 13).

1991 წელს ერთ-ერთ ევროპულ ქვეყანაში წინასწარი გამოძიება დაიწყო ერთ-ერთი ბანკის მოსამსახურის მიმართ, რომელიც ეჭვმიტანილი იყო ორგანიზებული ჯგუფისთვის დახმარებაში ნარკოტიკების ვაჭრობით მიღებული ფულის გასათეთრებლად. იგი პაკეტებით იღებდა ამერიკულ საბანკო ჩეკებს (20-30 ჩეკი პაკეტში) თითოეულს 4000 აშშ დოლარიდან 8000 აშშ დოლარამდე თანხით. ეს ჩეკები იყო ამერიკული ნარკოკარტელის მიერ კოკაინის გაყიდვით მიღებული მოგება, რომლებსაც იძენდნენ დანაშაულებრივი ორგანიზაციის დაქირავებული პირები საბანკო კანონმდებლობის გვერდის ასავლელად. თითოეული ჩეკის თანხის 10000 აშშ დოლარამდე შემცირება მიზნად ისახავდა საფინანსო დაწესებულების ეჭვების თავიდან აცილებას. ჩეკები ეგზავნებოდა ბანკის მოსამსახურეს რომელიც მათ დეპონირებას ახდენდა იმავე ბანკის ანგარიშებზე. ამ ანგარიშების მმართველმა ბანკის მოსამსახურემ დამოწმებული ჩეკები გასანაღდებლად წარადგინა. რამდენიმე თვეში ეს თანხები საბანკო გადარიცხვით დაბრუნდა ნარკოკარტელის ადგილსამყოფელ ქვეყანაში და გამოიყენებოდა უძრავი ქონების შესაძენად. გამოძიებამ აჩვენა, რომ ბანკის სხვა მაღალ თანამდებობის პირებს შემუშავებული ჰქონდათ ფულის გარეცხვის სქემა. სხვადასხვა ამერიკულ ქვეყნებში კლიენტების გადაბირება ბანკის მარკეტინგული სტრატეგიის ნაწილი იყო. კლიენტების გადაბირება ხდებოდა შუამავლის მეშვეობით, რომელსაც საკომისიოს უხდიდნენ ბანკში მოყვანილი ყოველი კლიენ-

ტისთვის. ბანკი არ აწარმოებდა კლიენტების იდენტიფიკაციას, ანგარიშის გასახსნელად ფულის წარმომავლობის შესახებ, კითხვებს არავინ სვამდა. მიუხედავად იმისა რომ ბანკი ინფორმირებული იყო საეჭვო ოპერაციების შესახებ, პრობლემური ანგარიშები არ დახურულა. ბანკი აგრძელებდა დიდი ოდენობით ჩეკების განაღდებას. ვიდრე სხვა წყაროებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე არ დაიწყო ფინანსური გამოძიება (საქმე 86).

უბრალო ავტოშემკეთებელი საწარმო, რომელმაც დღიურ ამონაგებად (ნავაჭრად) რამდენიმე ათასი დოლარი აჩვენა და ბანკში განათავსა როგორც კომპანიიის შემოსავალი, ეჭვის საფუძველი გახდა ბანკისთვის. ბანკის ინფორმაციის საფუძველზე ფინანსური დაზვერვის სამსახურმა დაადგინა, რომ ეს იყო შემოსავალი თაღლითობიდან, ფულის მითვისებიდან და გადასახადების გადაუხდელობიდან. ლეგალურად მოქმედი კომპანია საფარველი იყო იმის სამტკიცებლად, რომ თითქოს ნაღდი ფული ბიზნესიდან მიღებული შემოსავალია. ნაღდი ფულით განხორციელებული მსხვილი ოპერაციები, პატარა კომპანიისთვის არარეალური ბრუნვა, ვალუტის არატიპიური წარმომავლობა, დანაშაულებრივი შემოსავლების გამოვლენის ინდიკატორად იქცა.

მასაჟის სალონის ანგარიშზე უჩვეულოდ დიდი ოდენობის შემოსავლები ეჭვის საფუძვლად იქცა ბანკისთვის, რომლის ინფორმაციით ფინანსური დაზვერვის სამსახურმა გამოავლინა, რომ მასაჟის სალონებში სინამდვილეში ბორდელები იყო განთავსებული, სადაც ტრეფიკინგის მსხვერპლი ქალების ექსპლუატაცია ხდებოდა (საქმე 23).

სხვა საქმეში, ოფშორული ანგარიშიდან ერთ-ერთი კომპანიის ანგარიშზე სოლიდური თანხის გადარიცხვა ეჭვის საფუძველი გახდა ბანკისთვის, რომლის ინფორმაციით ფინანსური დაზვერვის სამსახურმა უკანონო შემოსავლების გარეცხვის დაშლა-განაწილების სტადია გამოავლინა (საქმე 16).

ვალუტის გაცვლის პუნქტი ან რესტორანი არ არის ისეთი მასშტაბის ბიზნესი, რომელსაც მილიონობით შემოსავალი მოაქვს. სწორედ ამიტომ უჩვეულოდ დიდი შემოსავლების წარმომავლობის აღნიშნულ ბიზნესთან დაკავშირებამ, ფინანსური ოპერაციების განხორციელების დროს ბანკი დააეჭვა და ინფორმაცია მიაწოდა ფინანსური დაზვერვის სამსახურს, რომელიც ნარკოტიკების ვაჭრობით მიღებული შემოსავლების გარეცხვის კვალზე გავიდა (საქმე 24, 83).

არარეალური ბრუნვა და თანხების უჩვეულო და არაეკონომიური მოძრაობა ანგარიშებზე კომპანიისთვის, რომელიც კომპიუტერებისთვის ოპერატიული მეხსიერების მოწყობილობის მიწოდებით იყო დაკავებული, ეჭვის საუძველი გახდა ბანკისთვის, რომლის ინფორმაციით ფინანსური დაზვერვის სამსახურმა დიდი ოდენობით გადასახადისთვის თავის არიდების ფაქტები გამოავლინა. უკანონო შემოსავლების მისაღებად ასეთი სქემა მოქმედებდა — საქონლის მომწოდებელი კომპანია ორ ანგარიშს ადგენდა — ერთს ნამდვილს, რომელსაც კომპანიონებს უგზავნიდა და მეორე ფიქტიურს — საბაჟოსათვის, რომელშიც მიწოდებული საქონლის ღირებულების 1/10 ფიქსირდებოდა. ამ სქემამ დამნაშავეებს შესაძლებლობა მისცა ეჯობნათ კონკურენტებისთვის და დამატებითი მოგება მიეღოთ (საქმე 17).

ეგმონტის ჯგუფის ანგარიშში მოტანილია ლეგალური ბიზნესის არასწორი გამოყენების ფაქტები. აქ საუბარია იმ სქემებზე, როცა ფულის გამთეთრებელი ცდილობს გამოიყენოს არსებული კომპანიები, რომლებიც ინფორმირებული არ არიან შემოსავლების დანაშაულებრივი წარმომავლობის შესახებ. ამ ტიპოლოგიით საფინანსო დაწესებულებას, გაცნობიერებული არა აქვს ფულის გარეცხვის სქემაში მონაწილეობა. მათ მიერ დანაშაულებრივი სახსრები განიხილება როგორც ფირმების შემოსავალი. ამასთანავე, ფულის გარეცხვის სქემებში ხშირად იყენებენ ისეთ პროფესიონა-

ლებს, როგორიცაა: იურისტები და ბუღალტრები, რაც ხაზს უსვამს დამნაშავეთა სურვილს, დანაშაულებრივი შემოსავლები დაუკავშირონ პატივსაცემ ადამიანებს, ბიზნესმენებს. კანონიერი კომპანიების მეშვეობით ფულის გარეცხვის მოთხოვნილება სულ უფრო იზრდება, რამდენადაც საფინანსო დაწესებულებებს არ სურთ ისეთი საშუალებების მიღება, რომლის კანონიერ წარმომავლობაშიც დარწმუნებული არ არიან.

კანონიერი ბიზნესისთვის მისდაუნებურად ფულის გათეთრების სქემებში მონაწილეობა საფრთხის მატარებელია, თუკი ამ ფაქტებს მედია გააშუქებს. მათ პასუხისმგებლობას თავიც რომ დააღწიონ, კანონმორჩილი მოქალაქეები და ფირმები მხოლოდ იმ კომპანიებთან ამჯობინებენ ურთიერთობას, რომელთაც შეულახავი რეპუტაცია აქვთ.

აღნიშნული ტიპოლოგიით დანაშაულებრივი შემოსავლებისთვის კანონიერი სახის მისაცემად გამოიყენება საბანკო დაწესებულებაც, საკრედიტო კომპანიაც, პრესტიჟული საადვოკატო ფირმაც, კაზინოც და სხვა ლეგალური ბიზნესსტრუქტურა. ამის პრეცედენტები მრავლადაა ეგმონტის ჯგუფის მიერ შეკრებილ საქმეებში.

ექსპერტები თვლიან რომ, ფულის გარეცხვის ლეგალური მექანიზმებიდან ყველაზე დაუცველია ონლაინ საბანკო მომსახურება, ნაღდი ფული, სატელეგრაფო გზავნილები, ელექტრონული საფულეები, ანგარიშსწორების სხვა ახალი ტექნოლოგიები. იურისტების, ნოტარიუსების, ბუღალტრების და სხვა პროფესიონალების მომსახურება, საკორესპოდენტო საბანკო ანგარიშები, ფასიანი ქაღალდები წარმდგენზე და სხვა ინსტრუმენტები მოთხოვნის დასათმობად ოფშორული საფინანსო ცენტრები, არაკოოპერირებადი ქვეყნები და ტერიტორიები.[37]

[37] ჭუჭყიანი ფულის გარეცხვა, ავტორთა კოლექტივი, გვ. 214-221.

დანაშაულებრივი შემოსავლების გამოვლენისა და ამოღების საფრთხე უკანონო შემოსავლების ლეგალიზატორებს უბიძგებს, ფულის გარეცხვის სქემებში გამოიყენონ კრიმინალთან კავშირის არმქონე ცრუმაგიერი პირები. ასეთი შემოსავლების სამართავად შერჩეულ ცრუმაგიერ პირებს იყენებენ საბანკო ანგარიშებზე ფულის დეპონირებისა და მოხსნისთვის. ამგვარმა საფინანსო ოპერაციებმა სამართალდამცავთა ყურადღებაც რომ მიიქციონ, ნამდვილი დამნაშავეთა გამოვლენისა და შემოსავლების ამოღების რისკი მცირეა. საეჭვო წარმომავლობის აქტივებსა და კრიმინალებს შორის კავშირის შესანიღბად ანგარიშის გახსნის ან საფინანსო ოპერაციების წარმოების დროს გამოიყენება ყალბი დოკუმენტები.

საერთაშორისო პრაქტიკის მიხედვით, საფინანსო დაწესებულებებში არცთუ იშვიათია ყალბი დოკუმენტების წარდგენის შემთხვევები შემოსავლების, თითქოსდა ლეგალური წარმომავლობის დასასაბუთებლად. ეგმონტის ჯგუფის მიერ შეკრებილ სისხლის სამართლის საქმეებში დაფიქსირებულია ანგარიშის გასახსნელად, ან ფულის გადარიცხვისთვის და პიროვნების საიდენტიფიკაციოდ ყალბი, მოპარული ან დაკარგული პასპორტების გამოყენების შემთხვევები, ასევე, ფულის გარეცხვის სქემაში ყალბი სახელებისა და მისამართების გამოყენების შემთხვევები, განსაზღვრული საკომისიოს სანაცვლოდ საკუთარი ანგარიშის გამოყენების უფლების მიცემა სხვა პირებისთვის და ა.შ.

ერთ-ერთი საქმის მიხედვით, ორგანიზებული ჯგუფი მოპარული ავტომობილების ვაჭრობით მიღებული შემოსავლების გასარეცხად, სხვადასხვა პირების სახელზე გახსნილ ანგარიშებს იყენებდა ფულის მრავალჯერადი მოძრაობისთვის ანგარიშებს შორის, მისი წარმომავლობის დასაფარად, რაც ფულის გარეცხვის პროცესში შემოსავლების დაშლა-განაწილების სტადიითაა ცნობილი. ამასთანავე, ერთი და იგივე პირი მოქმედებდა მთელ რიგ ბანკებში სხვადასხვა პირების სახელზე გახსნილი ანგარიშების მფლობელთა წარ-

მომადგენლად, რაც იმაზე მიანიშნებს რომ ამ ანგარიშების მფლობელი რეალურად ეს ადამიანი იყო, სხვები კი ცრუმაგიერი პირები. (საქმე 40).

ანგარიშში წარმოდგენილი ერთ-ერთი საქმის მიხედვით, სახელმწიფო პენსიების გასაცემად განკუთვნილი 2 მლნ აშშ დოლარი, ფინანსთა სამინისტროს თანამდებობის პირთა მონაწილეობით გადარიცხული იქნა კერძო პირების ანგარიშებზე. გადარიცხული თანხების ლეგალიზაციისთვის პირები იყენებდნენ ყალბ დოკუმენტაციას, აგრეთვე ყალბ პასპორტებს ანგარიშების გასახსნელად. ფული გარეცხილი იქნა მსხვილი საფინანსო დაწესებულებების მეშვეობით... (საქმე 41).

კომპანიების ორგანიზებული ქსელი ერთ-ერთ ქვეყანაში საქონლის კონტრაბანდით იყო დაკავებული. დეპონირებული ნაღდი ფულის გადარიცხვები, ოფშორული ზონების სხვადასხვა საბანკო დაწესებულებებში, შესაძლებლობას აძლევდა მათ, დიდი ოდენობით გადასახადებისგან თავი გაერიდებინათ. ამ კომპანიების საქმიანობის ხელწერა იყო დიდი რაოდენობის ნაღდი ფულის დეპონირება ანგარიშებზე და მათი მოძრაობა საზღვარგარეთ სხვადასხვა კომპანიების ანგარიშებზე. ამგვარ გადარიცხვებს ასაბუთებდნენ როგორც საქონლის იმპორტის ავანსირებულ საშუალებებს და ბანკს წარედგინებოდა ანგარიშები და საგარეო ეკონომიკური კონტრაქტები. ბანკის დაეჭვება გამოიწვია იმან, რომ კომპანიები არასოდეს არ წარადგენდნენ საბაჟო დეკლარაციებს და ანგარიშებისა და ზედდებულების ორიგინალებს, რომლებიც დაადასტურებდნენ რეალურ იმპორტს. ფინანსური დაზვერვის სამსახურების მიერ, ბანკის ინფორმაციის საფუძველზე, დადგინდა, რომ კომპანიები ფიქტიური იყო და საქონლის იმპორტს არ ახორციელებდნენ. ბანკში წარდგენილი საგარეო-ვაჭრობის დოკუმენტები ყალბი იყო. საზღვარგარეთ გადარიცხული თანხების ბენეფიციარების უმრავ-

ლესობა (კომპანიები და ფიზიკური პირები) გაურკვეველი ან არარსებული იყო, ზოგიერთი კომპანია დამნაშავეთა სამყაროს წარმომადგენლებთან იყო კავშირში, ზოგიერთი კი ოფშორებში რეგისტრირებული, რომელთა მფლობელების იდენტიფიცირება რთულია (საქმე №42).

ახალგაზრდა ქალის უცნობი მამაკაცით სასიყვარულო გატაცებამ ფულის გათეთრების სქემაში მისდაუნებური ჩათრევა განაპირობა, სახელდობრ, ლეგალიზატორმა მუქარით აიძულა ქალი, რამდენიმე ანგარიში გაეხსნა თავის სახელზე, რათა მისთვის უცნობი პირებისაგან თანხები მიეღო. ამ ანგარიშებზე სოლიდური თანხების ჩარიცხვის შემდეგ ფულის გამთეთრებელმა მამაკაცმა აიძულა ქალი ერთ-ერთ ტურისტულ ცენტრში სახლი შეეძინა. ქალის ანგარიშზე თანხების უჩვეულო მოძრაობა შეუმჩნეველი არ დარჩათ საფინანსო დაწესებულებებს. მოგვიანებით ფინანსური დაზვერვის სამსახურებმა გაარკვიეს რომ ეს მამაკაცი სხვადასხვა გამოგონილი სახელებით ახორციელებდა ფინანსურ ოპერაციებს (გარიგებებს) და ჩართული იყო ნარკოტიკების კონტრაბანდაში (საქმე №45). სხვა საქმეში ადგილი ჰქონდა ნარკოტიკების ვაჭრობით მიღებული თანხების განთავსებას დამნაშავის მეუღლის, ნათესავების, ნაცნობების ანგარიშებზე. ფულადი გზავნილების მისაღებად უამრავი ანგარიშები იხსნებოდა (საქმე №46) [38]; საბანკო ანგარიშებზე ზღვრული თანხები ირიცხებოდა, რომლებიც მაშინვე იფანტებოდა ანუ ნაღდი ფული იხსნებოდა ანგარიშებიდან ან იგზავნებოდა სხვა ანგარიშებზე. ფულის გათეთრების ამ სქემას უწოდებენ — smerfing-ს. ეგმონტის ჯგუფის ანგარიშიდან ჩანს, რომ ფულის გათეთრებისათვის ხშირად გამოიყენება თანხების „გა-

[38] ერთ-ერთ საქმეში 23 საბანკო ანგარიშს ერთი პირი მართავდა, რომლებსაც ფულის გათეთრების ოპერაციებისთვის იყენებდა, მეორეგან — ლეგალიზატორებმა 40 ანგარიში გახსნეს, რათა თანხების მოძრაობა მაქსიმალურად გართულებულიყო (საქმე №81).

ფანტვის“ მეთოდი (smerfing)[39].

ეგმონტის ჯგუფის ანგარიშის მიხედვით, ფულის გარეცხვის საერთაშორისო პრაქტიკაში გავრცელებულია ანონიმური აქტივების გამოყენება. ექსპერტების შეფასებით, დამნაშავესა და შემოსავალს შორის კავშირის შენიღბვის კარგი საშუალებაა ანონიმური აქტივები. კარგად შენიღბული ფინანსური კვალი თითქმის შეუძლებელს ხდის გამოძიების პროცესში გამოვლენილი და დამტკიცებული იქნეს კავშირი დამნაშავესა და აქტივს შორის. სწორედ ამიტომ, დანაშაულებრივ საქმიანობაში პოპულარულია ანონიმური აქტივები. ზოგიერთი ფორმის აქტივები ანონიმურია თავისი ბუნებით, მაგალითად, ნაღდი ფული, საიუველირო ნაკეთობები, ძვირფასი ქვები და ლითონები, ელექტრონული გადახდის სისტემები და სხვ. ამიტომ, ასეთი აქტივის მფლობელის ან მისი წარმოშობის წყაროს დადგენა ფაქტობრივად შეუძლებელია, თუ უშუალოდ ამ აქტივის ყიდვა-გაყიდვის დროს არ დააკავეს დამნაშავე.

ეგმონტის ჯგუფის ანგარიშში შესულია სისხლის სამართლის საქმეები, რომელთა ინდიკატორი გახდა ერთი და იგივე პირების მიერ ბანკებში ან ვალუტის გაცვლის პუნქტებში ზღვრული ოდენობის თანხების მრავალჯერადი გადაცვლა სხვა ვალუტაზე; ნაღდი ფულის დეპონირება საბანკო ანგარიშზე და მოკლე დროში უკან გატანა; ვალუტის უჩვეულო ფორმა (წვრილი კუპიურები); მრავალრიცხოვანი ვალუტებისგან შემდგარი ნაღდი ფული; დიდი ოდენობის ნაღდი ფულის დეპონირება ახლადგახსნილ ანგარიშზე; განსაკუთრებით დიდი ოდენობის თანხების გადაცვლა სხვა ვალუტაზე; დიდი

[39] ზღვრული თანხის ქვემოთ განხორციელებულ ოპერაციას უწოდებენ smerfing-ს. ეს არის ფულის გათეთრების სქემა როცა საფინანსო ინსტიტუტში სამოძრაო ან გადაცვლილი თანხა არ აღემატება ზღვრულ ოდენობას, რომლის გადაცილების შემთხვევაში ანგარიშგების ბლანკი ივსება.

ოდენობის ნაღდი ფულის დაგროვება ანგარიშებზე და შემდეგ საზღვარგარეთ გადარიცხვა; ფულის გადარიცხვა საზღვარგარეთის იურისდიქციებში ან პირიქით რაიმე ბიზნეს მიზნის გარეშე (თანხების ამგვარი ატიპიური ან არაეკონომიკური გადარიცხვა მის გათეთრებაზე მიანიშნებს); უჩვეულო ბიზნეს-საქმიანობა ან საფინანსო ოპერაცია (ფულის მოძრაობა, რომელიც ხარჯებთანაა დაკავშირებული შეიძლება მიანიშნებდეს, რომ ბიზნესი უფრო მეტადაა დაინტერესებული ფულის გადაადგილებით ფინანსურ სისტემაში, ვიდრე შემოსავლის მიღებით. ლეგალური ბიზნესმენი ყოველთვის დაინტერესებულია შეამციროს საბანკო მომსახურების ხარჯები, ლეგალიზატორები კი სხვადასხვა საფინანსო დაწესებულებებში ან ქვეყნებში ანაწილებენ („ფანტავენ") თანხებს, რათა დახლართონ ფინანსური კვალი); ნაღდი ფულის კონტრაბანდა და განთავსება მრავალრიცხოვან საბანკო ანგარიშებზე; ერთი და იგივე პირის მიერ, ერთსა და იმავე დღეს სხვადასხვა ქალაქებში განხორციელებული მსხვილი ოპერაციები ნაღდი ფულით (ძირითადად ვალუტის გაცვლის ოპერაციები); კლიენტის საქმიანობის პროფილისთვის (ან ფინანსური სტატუსისთვის) უჩვეულო (არარეალური) სიმდიდრე (ვთქვათ რესტორნის ბიზნესი); და ა.შ. ზემოაღნიშნული ფულის გარეცხვის სქემების საფინანსო გამოძიებით დადგინდა, რომ შემოსავლები მიღებული იყო ნარკოტიკების ვაჭრობით, ტრეფიკინგით, პროსტიტუციით, პორნოგრაფიით, თაღლითობით და სხვ.

საფინანსო მომსახურების გლობალიზაცია ფულის გათეთრების ახალი სქემების შემუშავებისკენ უბიძგებს დამნაშავეთა სამყაროს. კერძოდ, დამნაშავეები ფულის გათეთრებისთვის ეფექტურად იყენებენ განსხვავებებს ნაციონალურ სამართლებრივ სისტემებს შორის. სახელდობრ, მხედველობაშია სხვადასხვა ქვეყნის ურთიერთგანსხვავებული კანონმდებლობა საბანკო საიდუმლოს შესახებ, კლიენტების სავალდებულო იდენტიფიკაციის შესახებ, საეჭვო საფინანსო ოპერაციებზე

ინფორმაციის მიწოდების ვალდებულების და საწარმოთა შექმნისა და რეგისტრაციის შესახებ, განსხვავებული საგადასახადო კანონმდებლობა და სავალუტო შეზღუდვები.

აღნიშნული თავისებურებები ხშირად ხელშემშლელი ფაქტორია ფინანსური ზედამხედველობის (FIU) სამსახურებისთვის სრულყოფილი ინფორმაცია მიიღონ საბანკო ანგარიშის მფლობელებზე, ამ ანგარიშებზე ფულის მოძრაობაზე, ბიზნეს-კომპანიებზე, მათ მიერ განხორციელებულ საფინანსო ოპერაციებზე და სხვ. ამის გარეშე კი ფულის გათეთრების სქემების გამოვლენა შეუძლებელია. ეს კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს ნაციონალური სამართლებრივი სისტემების ჰარმონიზაციისა და საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავების უალტერნატივობას ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაში. ეს პრობლემა კიდევ უფრო აქტუალური ხდება როცა საქმე ეხება დანაშაულებრივი შემოსავლების მიღებას და გათეთრებას ინტერნეტის გლობალური ქსელით. ეგმონტის ჯგუფის ანგარიშში მოტანილია სისხლის სამართლის საქმე, თაღლითობის მცდელობა, რომლის მიხედვითაც ვინმე ჯონმა ერთ-ერთ ქვეყანაში დააფუძნა კომპანია ინტერნეტში აზარტული თამაშების სფეროში მომსახურების გასაწევად. ამასთანავე მას არ მიუღია ლიცენზია ამგვარი ბიზნესის წარმოებაზე. თაღლითობის არსი იმაში იყო, რომ ამ კომპანიის სახელწოდება თითქმის ემთხვეოდა უკვე არსებული ინტერნეტკომპანიის სახელწოდებას, რომელიც აზარტული თამაშების ბიზნესით იყო დაკავებული (maize ltd da maze ltd). თაღლითმა ადგილობრივ ბანკში თავისი კომპანიის სახელზე გახსნა ანგარიში, რომელზეც საწევრო თანხები და თამაშის საფასური უნდა ჩარიცხულიყო. სათანადო რეკლამის შემდეგ ერთ-ერთ ქვეყანაში ანგარიშზე საკმაოდ სოლიდურმა თანხებმა მოიყარა თავი. სხვა ქვეყნის საბანკო ანგარიშზე ამ თანხის გადატანის მცდელობისას ბანკმა ინფორმაცია მიაწოდა საფინანსო დაზვერვის სამსახურს და ანგარიში გაყინა. მიუხედავად იმისა, რომ საკმაოდ რთული იყო თაღლითობის

ადგილის განსაზღვრა (ინტერნეტს იურისდიქცია არა აქვს), ერთ-ერთმა ქვეყანამ თაღლითობის მსხვერპლ, საკუთარი მოქალაქეების დასაცავად გამოძიება დაიწყო.

ეგმონტის ჯგუფის წევრი ქვეყნების ფინანსური ზედამხედველობის სამსახურებს შორის აქტიური თანამშრომლობა არაერთი საქმის წარმატებით გამოძიების და დამნაშავეთა დასჯის საწინდარი გახდა.[40]

რაც შეეხება ქართულ სასამართლო პრაქტიკას, ჩვენთან ასეთი სურათია: 2005 წელს გამოძიება დაწყებულია თექვსმეტ საქმეზე, სისხლისსამართლებრივი დევნა განხორციელდა ექვს საქმეზე ჩვიდმეტი ადამიანის მიმართ, საბოლოოდ ორ საქმეზე ათი ადამიანია მსჯავრდებული. შემოსავალი გაყინულია ერთ საქმეზე 572 000 ევროს ოდენობით, რომელსაც კონფისკაცია გაუკეთდა.

2006 წელს გამოძიება დაიწყო ათ საქმეზე, დევნა განხორციელდა ოთხ საქმეზე ოთხი ადამიანის მიმართ, საბოლოოდ სამ საქმეში ხუთი ადამიანია მსჯავრდებული. შემოსავალი გაიყინა ორ საქმეზე 4 548 000 ევროს ოდენობით; შემოსავლის კონფისკაცია განხორციელდა ერთ საქმეზე 3 214 000 ევროს ოდენობით.

2007 წლის გამოძიება დაიწყო ცხრა საქმეზე. დევნა განხორციელდა ორ საქმეზე ორი ადამიანის მიმართ. შემოსავალი გაიყინა ორ საქმეზე 1 949 000 ევროს ოდენობით.

2008 წელს (იანვარი, მაისი) გამოძიება დაიწყო სამ საქმეზე. დევნა განხორციელდა ერთ საქმეზე ერთი ადამიანის მიმართ.

---

[40] ეგმონტის ჯგუფის მიერ მოძიებული 100 სისხლის სამართლის საქმის მიმოხილვა ემყარება ა. რიმარუკის რედაქტორობით გამოცემულ ნაშრომს „ჭუჭყიანი ფულის გარეცხვა“, კიევი, 2003.

საბოლოოდ სამ საქმეში სამი ადამიანია მსჯავრდებული. შემოსავალი გაიყინა ერთ საქმეზე, 1 936 000 ევროს ოდენობით, რომელიც კონფისკებულია.

2008 წლის (ივნისი, დეკემბერი) გამოძიება დაიწყო ექვს საქმეზე. დევნა განახორციელა ორ საქმეზე სამი ადამიანის მიმართ, საბოლოოდ ერთ საქმეზე ორი ადამიანია მსჯავრდებული. შემოსავალი გაიყინა ერთ საქმეზე 6 815 609 ევროს ოდენობით. ორ საქმეზე ჯარიმაა დაკისრებული 543 486 ევროს ოდენობით. შემოსავლის კონფისკაცია მოხდა ერთ საქმეზე 87 248 ევროს ოდენობით.

2009 წელს გამოძიება დაიწყო ცხრა საქმეზე. დევნა განხორციელდა ოთხ საქმეზე ექვსი ადამიანის მიმართ. საბოლოოდ ერთ საქმეზე ერთი ადამიანია მსჯავრდებული. შემოსავალი გაყინულია ხუთ საქმეზე 1 738 200 ევროს ოდენობით. შემოსავლის კონფისკაცია მოხდა ერთ საქმეზე 40 000 ევროს ოდენობით.

2010 წლის იანვრის მონაცემებით გამოძიება დაწყებულია შვიდ საქმეზე. დევნა განხორციელდა ოთხ საქმეზე ხუთი ადამიანის მიმართ, შემოსავალი გაყინულია ერთ საქმეზე 46500 ევროს ოდენობით. საბოლოო შედეგები ცნობილი არაა.[41]

ქართული სასამართლო პრაქტიკიდან ჩვენ გავეცანით ფულის გათეთრების სქემაში საბანკო სისტემის გამოყენების ორ კლასიკურ შემთხვევას. ეს არის სისხლის სამართლის საქმე ა.ქ-ს მიმართ (საქმე 1/2402, 18.04.2006 წელი) და სისხლის სამართლის საქმე ი. თ-ის მიმართ (საქმე 1/1001-08).

თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენის მიხედვით, ა. ქ-ს ბრალი დაედო მასში, რომ მან ჩაიდინა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ესე იგი ფულისთვის და სხვა ქონებისთ-

[41] სტატისტიკური მონაცემები აღებულია MONEIVAL-ის ბოლო 2010 (3) ანგარიშიდან, იხ. http;//www.coe.int/moneival

ვის კანონიერი სახის მიცემა, აგრეთვე უკანონო შემოსავლის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, ქონების ნამდვილი მესაკუთრის, მფლობელის და ქონებრივი უფლების დამალვა ჯგუფურად, არაერთგზის, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით.

მანვე ჩაიდინა უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, ესე იგი სამეწარმეო ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი, წარმომადგენლობითი და სხვა სპეციალური უფლებამოსილების გამოყენება ამ ორგანიზაციის კანონიერი ინტერესების საწინააღმდეგოდ, თავისთვის და სხვისთვის, გამორჩენის და უპირატესობის მიღების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

მანვე, მის მიერ ორგანიზებულ ჯგუფთან ერთად, ჩაიდინა თაღლითობა, ესე იგი მართლსაწინააღმდეგო მისაკუთრების მიზნით სხვისი ნივთის დაუფლება და ქონებრივი უფლების მიღება მოტყუებით, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით.

მანვე, მის მიერ ორგანიზებულ ჯგუფთან ერთად ჩაიდინა ამ ჯგუფის მართლზომიერ მფლობელობაში და გამგებლობაში არსებული სხვისი მოძრავი ნივთის მართლსაწინააღმდეგოდ მითვისება არაერთგზის, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დიდი ოდენობით.

მანვე ჩაიდინა დიდი ოდენობით ყალბი ფასიანი ქაღალდის დამზადება და შენახვა გასაღების მიზნით, ასევე ყალბი ფასიანი ქაღალდების დასამზადებლად საბეჭდი ფორმისა და ქაღალდის უკანონო დამზადება და შენახვა.

მანვე არაერთგზის ჩაიდინა ყალბი ოფიციალური დოკუმენტის, ბეჭდის, შტამპის, ბლანკის დამზადება და გამოყენება, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

ა. ქ-ს დანაშაულებრივი ქმედებები გამოიხატა შემდეგში: 2000 წელს ა. ქ-შვილმა სააქციო საზოგადოება კომერციულ ბანკ „გამაბანკის“ წილების ნომინალური ღირებულებით შესყიდვისა და ფულადი შენატანების განხორციელების გზით ხელში ჩაიგდო აღნიშნული ბანკის მართვის სადავეები, თავად გახდა ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე, რის შემდეგაც განიზრახა აღნიშნული ბანკის გამოყენება სხვადასხვა დანაშაულების, მათ შორის სახელმწიფო ბიუჯეტის კუთვნილი ფულადი სახსრების მითვისების, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და სხვა უკანონო ფინანსური ოპერაციების წარმოების მიზნით.

აღნიშნული განზრახვის სისრულეში მოყვანისათვის ამირან ქ-შვილმა სააქციო საზოგადოება კომერციულ ბანკში „გამაბანკი“ შექმნა ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფი მისივე ოჯახის წევრების, კერძოდ, შვილების — ა. და გ. ქ-ების, მეუღლის — ნ. ქ-ის შემადგენლობით. წლების განმავლობაში აღნიშნულმა ჯგუფმა სხვადასხვა დანაშაულების ჩადენაში ჩაითრია ბანკის სხვა თანამშრომლებიც. მოგვიანებით ა. ქ-შვილი გამოვიდა სამეთვალყურეო საბჭოს შემადგენლობიდან, თუმცა შვილი, გ. ქ-შვილი, მოაწყო ბანკის გენერალურ დირექტორად, ხოლო მეორე შვილი, ა. ქ-შვილი — ბანკის სამეთვალყურეო საბჭოს თავმჯდომარედ. 2003 წლის 1 აპრილამდე ა. ქ-შვილის მეუღლე ნ. ქ-შვილი მუშაობდა ფასიანი ქაღალდებისა და პლასტიკური ბარათების დეპარტამენტის კონსულტანტად, თუმცა, აღნიშნული სამსახურიდან წასვლის შემდეგ აქტიურად აგრძელებდა ბანკში ორგანიზებული ჯგუფის შემადგენლობაში დანაშაულებრივ საქმიანობას. ასეთ პირობებშიც კი, ა. ქ—შვილი პირადად განაგებდა ბანკის საქმიანობას და ხელმძღვანელობდა სხვადასხვა დანაშაულების ჩადენას მის დაკავებამდე.

ორგანიზებული ჯგუფის დანაშაულებრივი საქმიანობის ძირითად მიმართულებად იქცა უკანონო შემოსავლის ლეგალ-

იზაცია, ანუ ფულისთვის კანონიერი სახის მიცემა, უკანონო შემოსავლის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, ქონების ნამდვილი მესაკუთრის ან მფლობელის, ანდა ქონებრივი უფლების დამალვა.

წლების განმავლობაში სხვადასხვა კომერციული ბანკებიდან და სამეწარმეო სუბიექტებიდან სააქციო საზოგადოება „გამაბანკის" სხვადასხვა ანგარიშზე გადმორიცხული ფულის გათეთრების მიზნით, ორგანიზებული ჯგუფი მიმართავდა შემდეგ უკანონო ოპერაციებს: ახდენდა უცხოეთიდან გადმორიცხული თანხების მობილიზებას კონკრეტულ ანგარიშებზე, ზოგ შემთხვევაში ეს ხდებოდა, თითქოსდა საწესდებო კაპიტალის შესავსებად, ხოლო შემდეგ ადგენდა ყალბ დოკუმენტაციას, თითქოსდა საბანკო სესხის გადაცემის თაობაზე. სინამდვილეში სესხები არც გაიცემოდა, არც ბრუნდებოდა უკან და ეს თანხები შესაბამის სუბიექტებს უბრუნდებოდათ უკვე გარეცხილი სახით.

გარდა ამისა, უცხოეთიდან გადმორიცხული თანხების მობილიზება ხდებოდა ფიქტიური სამეწარმეო სუბიექტების ანგარიშებზე, სადაც ეს თანხები ნაწევრდებოდა და მიემართებოდა სრულიად გაურკვეველ, ძირითადად ოფშორულ ზონებში რეგისტრირებული სუბიექტების ანგარიშებზე, ასევე გაურკვეველი დანიშნულებით, ხოლო განსაზღვრული პერიოდის გასვლის შემდეგ ეს თანხები თავს იყრიდა მათი თავდაპირველი გადმომრიცხავი სუბიექტების ანგარიშებზე, ასევე უკვე გარეცხილი სახით.

ფულის გათეთრების მიზნით სააქციო საზოგადოება „გამაბანკი" ახორციელებდა ვალუტის კონვერტაციის ოპერაციებსაც. ამ მიზნის მისაღწევად დანაშაულებრივი ჯგუფი ახორციელებდა „გამაბანკისთვის" აშკარად წამგებიან ფინანსურ გარიგებებს.

დანაშაულებრივი ჯგუფი კარგად ფლობდა რა ფულის გათეთრების ტექნოლოგიას, ხელმძღვანელობდა ჩამოყალიბებული მეთოდიკით, რომელსაც ინახავდა ელექტრონული ინფორმაციის სახით.

რუსეთის ფედერაციაში არსებული სააქციო საზოგადოება „გამაბანკი" კორესპოდენტი ბანკების ანგარიშებზე მობილიზებული თანხებისათვის კანონიერი სახის მიცემის მიზნით, 2003 წლის 29 დეკემბერს სააქციო საზოგადოება „გამაბანკის" დამფუძნებლების „ევროთაიმკორპორეიშენისა" და „ზოლოსტკორპორეიშენის" მიერ საქართველოს ეროვნულ ბანკში გადარიცხული იქნა 1 230 244 აშშ დოლარი, თითქოსდა სააქციო საზოგადოება „გამაბანკის" საწესდებო კაპიტალის შესავსებად. აღნიშნული თანხიდან 645 000 აშშ დოლარი ამ თანხების წარმომავლობის უკეთ შენიბღვის მიზნით გადატანილი იქნა სააქციო საზოგადოება „ბანკ ქართუში" არსებულ საკორესპოდენტო ანგარიშზე. ამის შემდეგ 2004 წლის 9, 12, 14 იანვრისა და 4 თებერვლის საგადასახადო დავალებების შესაბამისად სააქციო საზოგადოება „ბანკი ქართუდან" და საქართველოს ეროვნული ბანკიდან რუსეთის „ზოლოსტ ბანკში" გახსნილ სააქციო საზოგადოება „გამაბანკის" საკორესპოდენტო ანგარიშზე გადარიცხული იქნა 1 222 000 აშშ დოლარი თითქოსდა საკორესპოდენტო ანგარიშის გასამაგრებლად, სინამდვილეში კი ლეგალურ ბრუნვაში მოხვედრილი თანხა ისევ დაბრუნდა „ზოლოსტ ბანკში" არსებულ სააქციო საზოგადოება „გამაბანკის" საკორესპოდენტო ანგარიშზე.

აღნიშნული თანხისათვის საბოლოოდ კანონიერი სახის მიცემის მიზნით ა. ქ-შვილის მითითებით სააქციო საზოგადოება „გამაბანკში" მომზადებული იქნა ყალბი საკრედიტო ხელშეკრულებები 15 არარეზიდენტ იურიდიულ პირზე სესხების გაცემის შესახებ, აგრეთვე თანდართული ყალბი საგარანტიო წერილები და განცხადება-მოთხოვნები სეს-

ხის გაცემის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტები ა. ქ-შვილის დავალებით მომზადებული იქნა სააქციო საზოგადოება „გამაბანკის" გენერალური დირექტორის პირველი მოადგილის ი. კ-სა და საკრედიტო დეპარტამენტის უფროსის მ. ხ-ს მიერ მათ სარგებლობაში არსებული კომპიუტერების მეშვეობით, მათზე შესრულებული იქნა არარეზიდენტი იურიდიული პირების ყალბი ხელმოწერები და დამოწმებული იქნა ამავე პირების ყალბი ბეჭდებით. აღნიშნული ყალბი დოკუმენტების მეშვეობით სესხის მიღების სურვილი თითქოსდა გამოთქვა არარეზიდენტმა 15 იურიდიულმა პირმა: ,,კავალიერ ენტრპრაიზის ინქ-მა" 80 000 აშშ დოლარის, ,,ველდინ ინტერნეიშენელ ლტდ-ემ" 75 000 აშშ დოლარის, ,,კომერს იუნიონ გრუპმა" 70 000 აშშ დოლარის, ,,პროქსიუმ კორპმა" 78 000 აშშ დოლარის, ,,ტროიკა დიალოგ ლტდ-მა" 86 000 აშშ დოლარის, ,,ეკოგროს ლლს-მა" 82 000 აშშ დოლარის, ,,თვინსთელ ლიმიტედმა" 85 000 აშშ დოლარის, ,,ფორტონექს გრუპ ლტდმ" 85 000 აშშ დოლარის, ,,შალაი ვალაი ლტდ-მა" 80 000 აშშ დოლარის, ,,სიტი ინვესტ ლტდ-მა" 77 000 აშშ დოლარის, ,,ეოოო გოლფსტრიმ ლიმიტედ-მა" 80000 აშშ დოლარის, ,,უორენ ტექ კორპ-მა" 80 000 აშშ დოლარის, ,,კონტ ინვესტ ინქ-მა" 80 000 აშშ დოლარის, ,,სირიუს იუნიონ კორპ-მა" 85 000 აშშ დოლარის და ,,სექიურე იუნაიტედ კორპ-მა" 79 000 აშშ დოლარის მიღებაზე.

აღნიშნული სესხების გაცემა სააქციო საზოგადოება „გამაბანკის" ბუღალტერიაში ასახული იქნა ისე, რომ დანაშაულებრივი ჯგუფის წევრებს არც კი უფიქრიათ მოქმედი კანონმდებლობის ფორმალური დაცვაც კი და თხუთმეტივე შემთხვევაში კრედიტის გაცემა აჩვენეს კანონმდებლობით გათვალისწინებული რიგი აუცილებელი დოკუმენტების, კერძოდ მსესხებლის ანგარიშგეგმის, საბალანსო, მოგება-ზარალის, ფულის მიმოქცევის უწყისებისა და ბიზნესგეგმის დართვის გარეშე. სააქციო საზოგადოება „გამაბანკის" ბუღალტერიაში ნაჩვენები იქნა, თითქოსდა აღნიშნული კრედიტები სრუ-

ლად იქნა დაბრუნებული 2004 წლის მაისის თვეში, თუმცა საბუღალტრო დოკუმენტაციით არ ჩანს, თუ, კონკრეტულად რომელი საკრედიტო დაწესებულების მეშვეობით იქნა დაბრუნებული სესხები.

სინამდვილეში, არცერთი აღნიშნული სესხი სააქციო საზოგადოება „გამაბანკის" მიერ გაცემული არ ყოფილა, ყოველგვარი დოკუმენტაცია მათთან დაკავშირებით არის ყალბი და აღნიშნული ფინანსური მაქინაცია განხორციელდა ფულის გათეთრების მიზნით.

მოცემული ქმედებით ამირან ქ-შვილმა ჩაიდინა დანაშაულები, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 194-ე მუხლის II ნაწილის „ა", „ბ" და „გ" ქვეპუნქტებით, 220-ე მუხლით და 362-ე მუხლის II ნაწილის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით.

2000-2004 წლებში სააქციო საზოგადოება „გამაბანკის" საკორესპოდენტო ანგარიშებზე უცხოური ბანკებიდან და სხვა სამეწარმეო სუბიექტებიდან სისტემატურად ირიცხებოდა ათეული და ასეული მილიონობით თანხები უცხოურ ვალუტაში, რომელთა მობილიზება ა. ქ-შვილსა და მისი ორგანიზებული ჯგუფის გადაწყვეტილებით ფულისთვის კანონიერი სახის მიცემის მიზნით, ხდებოდა ამ უკანასკნელთა მიერ შექმნილი ფიქტიური ფირმების, უცხოეთში, მათ შორის ოფშორულ ზონებში რეგისტრირებული ფირმების საბანკო ანგარიშებზე, სადაც მიმდინარეობდა თანხების დანაწევრება და მიმართვა სრულიად გაურკვეველი დანიშნულებით.

2004 წლის 1 იანვრიდან 2004 წლის 13 ივლისამდე პერიოდში რუსეთის ფედერაციაში რეგისტრირებულმა შპს „ვენტრეონმა", შპს „ალტავეონმა" და შპს „პეტროტექსოილმა", თითქოსდა უძრავი ქონების, ფასიანი ქაღალდების შესაძენად, სინამდვილეში კი თანხის ლეგალიზაციის მიზნით, აშშ-ს არკანზასის შტატში რეგისტრირებულ კომპანია „კოდოგან ბი-

ზნეს კორპორეიშენს“ სააქციო საზოგადოება „გამაბანკში“ გახსნილ საბანკო ანგარიშზე, რუსეთის ფედერაციის ბანკ „ელექტრონიკაში“ არსებული სააქციო საზოგადოება „გამაბანკის“ საკორესპოდენტო ანგარიშის მეშვეობით ჩაურიცხა 2 095 679 603 რუსული რუბლი.

ა. ქ-შვილმა, ორგანიზებულ ჯგუფთან ერთად, დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით განახორციელა წინასწარი შეცნობით ფინანსურად წამგებიანი ოპერაცია, კერძოდ კონვერტაცია გაუკეთა „კადოგან ბიზნეს კორპორეიშენისათვის“ ჩარიცხულ თანხას სულ 72 759 645 აშშ დოლარით, ისე, რომ კონვერტაციის შედეგად სააქციო საზოგადოება „გამაბანკმა“ განიცადა 53 166 69 ლარის ზარალი, ხოლო კონვერტირებული თანხა სააქციო საზოგადოება „გამაბანკში“ დამზადებული „კადოგან ბიზნეს კორპორეიშენის“ ყალბი ბეჭდით დამოწმებული საგადასახადო დავალებების საფუძველზე, ჩაურიცხა მის მიერ უკანონო საბანკო ოპერაციებისათვის საგანგებოდ შექმნილ ფიქტიურ სამეწარმეო ორგანიზაციებს: შპს „ფენიქსს“ 6 934 673 აშშ დოლარი და სააქციო საზოგადოება „აქას“ 65 824 972 აშშ დოლარი.

უკანონო შემოსავლის წყაროს, მისი განთავსების, მოძრაობისა და ქონების ნამდვილი მესაკუთრის დამალვის მიზნით, ა. ქ-შვილისა და მისი ორგანიზებული ჯგუფის მიერ ზემოაღნიშნულ ფიქტიურ ორგანიზაციებზე ჩარიცხული თანხები დანაწევრებული იქნა მცირე თანხებად და 2 659 საგადასახადო დავალებით გაფორმებული იქნა მათი გადარიცხვა მსოფლიოს თითქმის ყველა ქვეყანაში თითქოსდა სხვადასხვა დანიშნულების პროდუქტების შესაძენად და გაწეული მომსახურეობისთვის.

გადარიცხვების შესახებ საგადასახადო დავალებები მომზადებული იქნა სააქციო საზოგადოება ,,გამაბანკში" და დამოწმებული იქნა შესაბამისად შპს ,,ფენიქსის" და სააქ-

ციო საზოგადოება ,,აქას" მრგვალი ბეჭდებით, რომლებსაც უკანონოდ ფლობდნენ ა. ქ-შვილი და ორგანიზებული ჯგუფის წევრები.

ესე იგი, ა. ქ-შვილმა ჩაიდინა დანაშაულები, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა", „ბ" და „გ" ქვეპუნქტებით, 220-ე მუხლითა და 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით.

ა. ქ-შვილმა 2001 წლის მაისში მის მიერვე დანაშაულებრივი მიზნით შექმნილი სააქციო საზოგადოება „ჯენერალ ჩარტერ გრუპის" მეშვეობით დააფუძნა შპს სადაზღვევო კომპანია „ჯენერალ ჩარტერ ინშურენსი". იმისათვის, რომ აღნიშნულ კომპანიას მიეღო სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზია, აუცილებელი იყო საწესდებო კაპიტალის არსებობა, რის გამოც ა. ქ-შვილმა განიზრახა დროებით საქართველოს დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურის მოტყუების გზით, გადაეტანა გარკვეული თანხა სააქციო საზოგადოება „გამაბანკში" გახსნილ „ჯენერალ ჩარტერ ინშურენსის" ანგარიშზე. ამ მიზნით 2001 წლის 21 მაისს ა. ქ-შვილის მითითებით სააქციო საზოგადოება ,,ჯენერალ ჩარტერ გრუპმა", რომლის ხელმძღვანელი იყო მისი შვილი გ. ქ-შვილი, შპს სადაზღვევო კომპანია ,,ჯენერალ ჩარტერ ინშურენსის" საწესდებო კაპიტალის შესავსებად სააქციო საზოგადოება ,,გამაბანკში" ჩარიცხა 360.840 აშშ დოლარი. აღნიშნული თანხა იმავე წლის 30 მაისს უკან იქნა დაბრუნებული „ჯენერალ ჩარტერ ბანკში" გახსნილ ,,ჯენერალ ჩარტერ გრუპის" ანგარიშზე. მიუხედავად ამისა, იმისათვის, რომ შპს ,,ჯენერალ ჩარტერ ინშურენსს" მიეღო სადაზღვევო საქმიანობის ლიცენზია, ა. ქ-შვილის მითითებით, გენერალური დირექტორის ზ. გ-ს და მთავარი ბუღალტრის მ. გ-ს მიერ 2001 წლის 31 მაისს შედგენილი და გაცემული იქნა ყალბი ცნობა დაზღვევის სახელმწიფო ზედამხედველობის სამსახურზე, რომ 360 840 აშშ დოლარის ექვივალენტი თანხა ირიცხებოდა ,,ჯენ-

ერალ ჩარტერ ინშურენსის“ ანგარიშზე მაშინ, როდესაც ეს თანხა რეალურად აღარ იყო. აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებით სადაზღვევო კომპანიაზე გაცემული იქნა ლიცენზია, ხოლო ამირან ქ-შვილმა და დანაშაულებრივმა ჯგუფმა მიიღო დიდი ოდენობით ქონებაზე უფლება.

ესე იგი, ა. ქ-შვილმა ჩაიდინა დანაშაულები, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,დ“ და მე-3 ნაწილის ,,ა“, ,,ბ“ ქვეპუნქტებით და 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ და „ბ“ ქვეპუნქტებით.

სააქციო საზოგადოება კომერციული ბანკი ,,გამაბანკი“ 2001 წლის ივლისიდან აწარმოებდა ფიზიკური და იურიდიული პირების მიერ სატრანზიტო ანგარიშებზე ბიუჯეტის კუთვნილი მიწის გადასახადისა და საჯარო რეესტრის მოსაკრებლების თანხების მიღებას მათი სახელმწიფო ბიუჯეტში გადარიცხვისთვის. აღნიშნული გარემოებით ისარგებლა ა. ქ-შვილმა და განიზრახა სახელმწიფოს კუთვნილი თანხების მითვისება. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, მისი დავალებით, მთავარი ბუღალტერი მ. გ-შვილი, მისი მოადგილე მ. ქ-ძე და სპეციალისტი ც. მ-შვილი შემოსულ თანხებს ნაცვლად ბიუჯეტისა, რიცხავდნენ სააქციო საზოგადოება კომერციულ ბანკ ,,გამაბანკში“ გახსნილ ,,ჯენერალ ჩარტერ ბანკის“ საკორესპოდენტო ანგარიშზე. ამ გზით 2001-2003 წლებში ,,ჯენერალ ჩარტერ ბანკის“ ანგარიშზე გადატანილი იქნა 1 476 074 ლარი და 86 თეთრი. ა. ქ-შვილის დავალებით მაია ქ-სა და ნინო ფ-ს მიერ ეტაპობრივად მოხდა ამ თანხის გადატანა სავალუტო პოზიციის №906001 ანგარიშზე კონვერტაციის მიზნით, ხოლო, კონვერტირებული თანხა კვლავ გადაირიცხა სააქციო საზოგადოება „გამაბანკში“ უცხოურ ვალუტაში გახსნილ „ჯენერალ ჩარტერ ბანკის“ საკორესპოდენტო ანგარიშზე, რის შემდეგაც ნ. ფ-ს მიერ ყალბი მემორიალური ორდერების გამოყენებით ,,ჯენერალ ჩარტერ ბანკიდან“ აშშ დოლარებში კონვერტირებული ბიუჯეტის

კუთვნილი თანხები სხვადასხვა დროს ჩაირიცხა ა., ა., გ., ნ. ქ-შვილების და მათთან დაკავშირებული სხვა ფიზიკური და იურიდიული პირების ანგარიშებზე, საიდანაც ამ ორგანიზებული ჯგუფის წევრების მიერ ხდებოდა დასახელებული თანხების გამოტანა ნაღდი ფულის სახით, პირადი საჭიროებისათვის გამოყენების, არაოფიციალური ხელფასების გაცემისა და სხვა უკანონო გარიგებების მიზნით.

მიუხედავად იმისა, რომ ჩერნოგორიის რესპუბლიკაში რეგისტრირებულ „ჯენერალ ჩარტერ ბანკს" 2002 წლის 1 აგვისტოს გაუუქმდა საბანკო საქმიანობის ლიცენზია, ამირან ქ-შვილი ორგანიზებულ ჯგუფთან ერთად ფლობდა რა „ჯენერალ ჩარტერ ბანკის" ყალბ ბეჭედსა და ტიტულიან ბლანკებს, მათი გამოყენებით, ამავე ბანკის სახელით 2003 წლის 19 სექტემბრამდე აგრძელებდა ზემოაღნიშნულ უკანონო ფინანსურ ოპერაციებს. აღნიშნული ქმედებებით სახელმწიფო ბიუჯეტს მიადგა 2 902 164 ლარის ზიანი, სანქცია-საურავების გათვალისწინებით.

ესე იგი, ა. ქ-შვილმა ჩაიდინა დანაშაულები, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ბ", „დ", მე-3 ნაწილის „ა", „ბ" ქვეპუნქტებითა და 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით.

სხვადასხვა უკანონო გარიგებების წარმოების მიზნით ა. ქ-შვილმა განიზრახა ყალბი ფასიანი ქაღალდების დამზადება, რისთვისაც შეიმუშავა შემდეგი მექანიზმები: კერძოდ, სააქციო საზოგადოება „გამაბანკში" კომპიუტერის მეშვეობით დაამზადა შესაბამისი საბეჭდი ფორმა და ფასიანი ქაღალდებისათვის განკუთვნილი სპეციალური ქაღალდის ფორმატი, რომლებსაც ინახავდა სააქციო საზოგადოება „გამაბანკში". აღნიშნული ყალბი საშუალებების გამოყენებით, ა. ქ-შვილმა დაამზადა 2000 წლის 15 დეკემბრით დათარიღებული „ჯენერალ ჩარტერ ბანკის" უბრალო თამასუქები, რომლებიც

თითქოსდა შეიძინა ამავე ბანკიდან და მეტი დამაჯერებლობისათვის დაამოწმა მითითებული ბანკის ყალბი ბეჭდით, რომელსაც უკანონოდ ინახავდა სააქციო საზოგადოება ,,გამაბანკში". აღნიშნული წესით დამზადებული ფასიანი ქაღალდები ა. ქ-შვილმა შეინახა სააქციო საზოგადოება „გამაბანკში" უკანონო გარიგებების წარმოებისა და გასაღების მიზნით.

ესე იგი ა. ქ-შვილმა ჩაიდინა დანაშაული, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 212-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტით და მე-4 ნაწილით.

ა. ქ-შვილისა და ორგანიზებული ჯგუფის მიერ სააქციო საზოგადოება კომერციულ ბანკ „გამაბანკში" დანაშაულებრივი საქმიანობის პროცესში სახელმწიფოსათვის მიყენებული იქნა მნიშვნელოვანი ზიანი 11 717 378 3 ლარის ოდენობით, თუმცა 2004 წლის 1 იანვრის შემდგომ, ამნისტიისა და არადეკლარირებული საგადასახადო ვალდებულებებისა და ქონების ლეგალიზაციის შესახებ საქართველოს კანონის საფუძველზე, ამ თანხამ მხოლოდ 2 919 882 58 ლარი შეადგინა.

უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციისა და სხვა უკანონო გარიგებების მიზნით ა. ქ-შვილმა, გამოძიებით დაუდგენელ დროსა და ადგილას, დაამზადებინა კომპანიების: ,,ფორსამ ინტერნეიშენალ ინკ", ,,აბც ინტერნეიშენალ ბანკ ინკ": ,,ჯენერალ ბიზნესს რომა", ,,კადოგან ბიზნეს კორპ", ,,ვერლონ ინკ", ,,ჯენერალ ჩარტერ ბანკ", ,,სექიურე იუნაითედ კორპ", ,,უორენ ტექ კორპ", „გოლფსტრიმ ლიმიტედ", „შალაი ვალაი ლტდ", „შირიუს იუნაიტედ კორპ", „სითი ინვესტ ლტდ", „ველდინ ინტერნეიშენალ ლტდ", „უნიკომ დეველოპმენტ ლტდ", „ეესტი ვაბარიკ ტალინ", „ტომაჯაბკ ფინანციალ ლიმიტედ", „კავალიერ ენტერპრაიზის ინკ", „ედმონდ იუნიონ კორპ", „კომერს იუნიონ გრუპ", „კონტ ინვესტ ინკ", „უნიკომ დეველოპმენტ ლტდეს" მრგვალი ბეჭდები და ამ კომპანიების წარ-

მომადგენელთა ხელმოწერების ფაქსიმილეები. აღნიშნული ატრიბუტების გამოყენებით ა. ქ-შვილმა 2000-2004 წლებში დაამზადა ყალბი სასესხო ხელშეკრულებები, ბანკის საგარანტიო წერილები, სასესხო განცხადებები, საგადასახადო დავალებები და სხვა საფინანსო დოკუმენტები, რომელთა გამოყენებითაც, დანაშაულებრივ ჯგუფთან ერთად სჩადიოდა სხვადასხვა დანაშაულებს.

ა. ქ-შვილისა და დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ დამზადებული იქნა „ჯენერალ ჩარტერ ბანკის" ტიტულიანი ბლანკები, რომელთა მეშვეობითაც და ამავე ბანკის მრგვალი ბეჭედის გამოყენებით ადგენდა ყალბ დოკუმენტებს უკანონო ფინანსური ოპერაციების წარმოებისათვის.
ესე იგი, ა. ქ-შვილმა ჩაიდინა დანაშაული, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" და „ბ" ქვეპუნქტებით.

ამდენად, მთლიანობაში ამირან ქ-შვილის მიერ ჩადენილია დანაშაულები, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,დ", და მე-3 ნაწილის ,,ა", ,,ბ" ქვეპუნქტებით, 182-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ბ", „დ", და მე-3 ნაწილის ,,ა", ,,ბ" ქვეპუნქტებით, 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა", ,,ბ" და ,,გ" ქვეპუნქტებით, სსკ-ის 212-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა" ქვეპუნქტითა და მე-4 ნაწილით, 220-ე მუხლით და 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა" და ,,ბ" ქვეპუნქტებით.

ამავე განაჩენით, ფულის გათეთრებისა და ზემოაღნიშნული სხვა დანაშაულებისთვის მსჯავრდებული იქნენ ა. ქ-შვილის შვილი, ა. ქ-შვილი და ცოლი, ნ. ქ-შვილი. მათვე, როგორც ორგანიზებული ჯგუფის წევრებს, სსკ-ის 52-ე მუხლის საფუძველზე უსასყიდლოდ ჩამოერთვათ დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონება, ამ ქონებიდან მიღებული შემოსავლები და მათი ღირებულების ექვივალენტური ქონება.

ზემოაღნიშნულ განაჩენში მითითებულია, რომ ა-ს დანაშაულებრივმა ჯგუფმა წლების განმავლობაში სხვადასხვა დანაშაულის ჩადენაში ჩაითრია ბანკის სხვა თანამშრომლებიც. განაჩენში მოტანილი ზოგიერთი ეპიზოდი, მაგალითად, სადაზღვევო კომპანიის საწესდებო კაპიტალის საბანკო სისტემაში გატარება, მითვისებული სახელმწიფო თანხების კონვერტაცია და სხვა მოქმედებები შემოსავლის გათეთრების ნიშნების მატარებელია. საინტერესოა, ბანკის მომსახურე შესაბამისი პერსონალი რა როლს ასრულებდა ამ ქმედებებში, წინარე დანაშაულებში თანამონაწილენი იყვნენ, თუ მხოლოდ ფულის გათეთრების ოპერაციებში იღებდნენ მონაწილეობას? სწორედ, მათ მიერ შესრულებულ როლზეა დამოკიდებული ქმედების სწორი კვალიფიკაცია. სამწუხაროდ, ჩვენ ვერ მოვიპოვეთ მათ მიმართ გამოტანილი განაჩენი, რომელიც პრეიუდიციულად ჩაითვალა ზემოაღნიშნულ საქმეში, ამიტომ კატეგორიული დასკვნები ვერ გავაკეთეთ. ზოგადად შეიძლება ითქვას, რომ ეს განაჩენი საბანკო სისტემის გამოყენებით ფულის გათეთრების კლასიკურ სქემას ასახავს.

თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენით ი. თ-ს ბრალი დაედო მასში, რომ მან ჩაიდინა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაში დახმარება, ე.ი. უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზნით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონებისთვის კანონიერი სახის მიცემაში, აგრეთვე ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის და მასზე საკუთრების დამალვაში და შენიღბვაში ხელშეწყობა, ჯგუფურად, სამსახურეობრივი მდგომარეობის გამოყენებით, რასაც თან ახლდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება, დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 24, 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით და მე-3 ნაწილის „ბ“ და „გ“ ქვეპუნქტებით (სისხლის სამართლის კოდექსის 2007 წლის 4 ივლისამდე მოქმედი რედაქცია), რაც გამოიხატა შემდეგში: 2006 წელს, სააქციო საზოგადოება „გაერთიანებული

ქართული ბანკი"-ს გენერალურ დირექტორს ი. თ-ს დაუკავშირდა ლიკვიდაციის პროცესში მყოფი კომერციული ბანკის „გარადსკოი კლიენტსკი''-ს დირექტორთა საბჭოს წევრი დ. ბ-ი და სთხოვა დიდი ოდენობით თანხის ბრუნვაში გაშვების მიზნით რუსეთის ფედერაციაში რეგისტრირებული შპს „იუნივესტის", შპს „მირ-ლაინის" და შპს „მეგატრანსი"-სთვის ანგარიშების სააქციო საზოგადოება „გაერთიანებულ ქართულ ბანკში" გახსნა, იმგვარად, რომ არ განხორციელებულიყო აღნიშნული კომპანიების ხელმძღვანელი პირების იდენტიფიცირება ბანკის მიერ.

ი. თ-შვილმა, მიუხედავად იმისა, რომ გაუჩნდა ეჭვი, რომ ანგარიშების ბ-ს მიერ შემოთავაზებული ფორმით გახსნა მიზნად ისახავდა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას, გაცნობიერებული ჰქონდა თავისი ქმედების მართლწინააღმდეგობა, ითვალისწინებდა მართლსაწინააღმდეგო შედეგის დადგომის შესაძლებლობას, იმ პერიოდში არ სურდა ეს შედეგი, მაგრამ შეგნებულად უშვებდა და გულგრილად ეკიდებოდა მის დადგომას, გამოიყენა სამსახურეობრივი მდგომარეობა და სააქციო საზოგადოება „გაერთიანებული ქართული ბანკი"-სთვის სარგებლის მიღების და დ. ბე-ს დახმარების აღმოჩენის მიზნით, დაავალა სააქციო საზოგადოება „გაერთიანებული ქართული ბანკი"-ს თანამშრომლებს რუსეთის ფედერაციაში ფორმალურად რ. ჩ-ს, ა. ე-ს და დ. ტ-ს სახელზე რეგისტრირებული, რეალურად კი დიმიტრი ბე-ს მიერ მართული შპს „იუნივესტის", შპს :მირ-ლაინის" და შპს „მეგატრანსი"-სთვის ანგარიშების გახსნა, რითაც უგულებელყო „კომერციული ბანკების შესახებ" საქართველოს კანონის, „უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ" საქართველოს კანონის და ეროვნული ბანკის პრეზიდენტის 1998 წლის 19 აგვისტოს №76 ბრძანებით დამტკიცებული ინსტრუქციის მოთხოვნები, რომელიც ავალდებულებს ბანკს იურიდიული პირის ანგარიშის გახსნისას იურიდიული პირის ხელმძღვანელის ან წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის იდენტიფიკაციას.

მიღებული დავალების საფუძველზე, სააქციო საზოგადოება „გაერთიანებული ქართული ბანკის" ცენტრალური ფილიალის თანამშრომლების მიერ 2006 წლის 20 ივლისს იურიდიული პირების ხელმძღვანელების და წარმომადგენლების იდენტიფიკაციის გარეშე სააქციო საზოგადოება „გაერთიანებულ ქართულ ბანკში" გაიხსნა შპს „იუნივესტი"-ს, შპს „მირ-ლაინი"-ს და შპს „მეგატრანსი"-ს ანგარიშები.

ანგარიშების გახსნიდან მოკლე დროში, მას შემდეგ, რაც შპს „იუნივესტი"-ს ანგარიშზე დაიწყო მილიონობით თანხების საეჭვო ბანკებიდან და კომპანიებიდან დანაწევრებით გადმორიცხვა, კონვერტირება და სხვადასხვა ოფშორული კომპანიებისთვის გადარიცხვა ი. თ—შვილი თავად დაუკავშირდა დ. ბე-ს და მასთან საუბრის შემდეგ საბოლოოდ დარწმუნდა, რომ იგი ეწეოდა დანაშაულის შედეგად მიღებული ქონების ლეგალიზაციას.

აღნიშნულის მიუხედავად, სააქციო საზოგადოება „გაერთიანებული ქართული ბანკი''-ს გენერალურმა დირექტორმა ი. თ-შვილმა, ვინაიდან მითითებული ტრანზაქციებიდან ბანკი იღებდა მაღალ შემოსავალს და ასევე არ უნდოდა კომერციული ბანკის „გარადსკოი კლიენტსკი"-ს დირექტორთა საბჭოს წევრ დ. ბე-თან საქმიანი ურთიერთობის გაფუჭება, არ მიიღო არავითარი ზომა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის პროცესის აღსაკვეთად და უმოქმედობით დახმარება აღმოუჩინა დ. ბე-ს, ამ უკანასკნელის მიერ მობილიზებული, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონებისთვის კანონიერი სახის მიცემაში.

საქმის მასალების მიხედვით დადგენილია, რომ შპს „იუნივესტის", შპს „მირლაინის" და შპს „მეგატრანსის" ანგარიშები სააქციო საზოგადოება გაერთიანებულ ქართულ ბანკში გაიხსნა საქართველოს კანონმდებლობის დარღვევით, ამავე ბანკის გენერალური დირექტორის ი. თ-ს დახმარებით. დ.

ტ—ს არასოდეს არ ჰქონია შეხება შპს მეგატრანსის საქმიანობასთან, საქართველოში საბანკო ანგარიშების გახსნასა და გადარიცხვებთან, ხოლო შპს მირლაინისა და შპს იუნივესტის საქმიანობის ფიქტიურ ხასიათზე მიუთითებს ის ფაქტი, რომ აღნიშნული კომპანიები არასოდეს ყოფილან განთავსებული სადამფუძნებლო დოკუმენტებში მითითებულ მისამართებზე, მითითებული იურიდიული პირების ხელმძღვანელები რ.ჩ. და ა.ე. არ ეწევიან სამეწარმეო საქმიანობას, სააქციო საზოგადოება გაერთიანებულ ქართულ ბანკში ანგარიშების გახსნისას ისინი არ იმყოფებოდნენ საქართველოში, აღნიშნული კომპანიების სახელით სინამდვილეში მოქმედებდა დ. ბე., თანხების მოძრაობის დანიშნულება არ შეესაბამება განხორციელებული ფულადი ოპერაციების ფორმას და აშკარად მიუთითებს აღნიშნული კომპონენტის ტრანზაქციების უკეთ შენიღბვის მიზნით გამოყენებაზე, მოსკოვში არსებული ბანკები „diskont" და „torgovoinvesticoonni" შპს „იუნივესტი-ს" და შპს „მირლაინი-ს" ანგარიშებზე თანხების ჩარიცხვის დროს იმყოფებოდნენ ლიკვიდაციის პროცესში, ხოლო მოგვიანებით კი ფინანსურ მაქინაციებსა და ფულის გათეთრებაში მონაწილეობის გამო შეუწყდათ საქმიანობის ლიცენზია. ამრიგად, ყოველივე აღნიშნული, კერძოდ, ფიქტიური კომპანიების შექმნა, მათ სახელებზე სს ქართულ ბანკში ანგარიშების კანონმდებლობის დარღვევით, ამავე ბანკის გენერალური დირექტორის დახმარებით გახსნა, მოცემულ ანგარიშებზე განსაკუთრებით დიდი ოდენობის თანხების ობიექტური საფუძვლის გარეშე განთავსება, დანაწევრება და სხვადასხვა ოფშორული კომპანიისთვის გადარიცხვა, დასაბუთებულად ადასტურებს აღნიშნული თანხების უკანონო წარმომავლობას და ცხადყოფს, რომ ზემოთ აღწერილი სქემის მიხედვით თანხების მოძრაობა ატარებდა როგორც მოცემული თანხების ნამდვილი მესაკუთრის, ასევე მათი წარმოშობის წყაროს, ბუნების, ადგილმდებარეობის, განთავსების და მოძრაობის დაფარვის და შენიღბვის მიზანს."

ი. თ-შვილმა წინასწარი გამოძიების დროს განაცხადა, რომ მან ისარგებლა თავისი თანამდებობით და საიდენტიფიკაციო პროცედურის გვერდის ავლით სამ არარეზიდენტ იურიდიულ პირს ანგარიში გაუხსნა ბანკში, დიდი ოდენობით ფულადი თანხების გადარიცხვების განხორციელების მიზნით. მისთვის, როგორც ბანკის მმართველისთვის, საინტერესო აღმოჩნდა შეთავაზებული წინადადება — დიდი ოდენობის თანხების ბრუნვით პროცენტების მიღება, რაც ბანკისთვის სასარგებლო მოგება იქნებოდა. მისთვის ცნობილი იყო ეროვნული ბანკის ინსტრუქციით და უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის აღკვეთის ხელშეწყობის შესახებ კანონით დადგენილი არარეზიდენტი იურიდიული პირის ანგარიშის გახსნის წესები, კერძოდ, ანგარიშის გახსნაზე იურიდიული პირის წარმომადგენლის და მისი საქმიანობის ამსახველი დოკუმენტების იდენტიფიკაციის ვალდებულების შესახებ. მაგრამ მაინც გახსნა ანგარიშები კანონის დარღვევით. მისივე ჩვენებით, დ. ბ-სთან საუბრისა და საბანკო სფეროში საკუთარი გამოცდილების გაანალიზების შემდეგ ხვდებოდა, რომ აღნიშნული კომპანიების სახელით საბანკო ოპერაციების წარმოების მიზანი უნდა ყოფილიყო ფულის ლეგალიზაცია, თუმცა დარწმუნებული არ იყო, მაგრამ ამას ვარაუდობდა. ფიქტიურ კომპანიებს მართავდა თავად დ. ბ-ე., ეს კომპანიები მას სჭირდებოდა საბანკო სისტემაში დიდი ოდენობით თანხების საბრუნავად და მისი ლეგალიზებისთვის. ი. თ. დ. ბ-ს მიერ განხორციელებული ოპერაციების შესახებ ინფორმაციას სრულად ფლობდა, საბანკო ოპერაციების მიმდინარეობას აკონტროლებდა და მოგვიანებით აბსოლუტურად დარწმუნდა, რომ ზემოაღნიშნული ფიქტიური კომპანიების ანგარიშებზე თანხების ბრუნვა, ემსახურებოდა ფულის გათეთრებას, მაგრამ მას ამაზე რეაგირება არ გაუკეთებია და ამით გადაიქცა ლეგალიზაციის პროცესის დამხმარედ.

ეს ჩვენება ფულის გარეცხვაში თანაამსრულებლობაზე მიანიშნებს და არა დახმარებაზე. საერთაშორისო კონვენციები

ამგვარ დახმარებას ფულის გათეთრების ამსრულებლობად თვლის, რადგან ამ შემთხვევაში განზრახვის არსებობისთვის საკმარისია გათეთრების შესაძლებლობის გაცნობიერება. გარდა ამისა, ი.თ. თავისი თანამშრომლების მეშვეობით უშუალოდ ახორციელებდა ფულის გათეთრების ობიექტურ მხარეს. სახელდობრ, როგორც საქმის მასალებით ირკვევა, არაპირდაპირი განზრახვით დაწყებული თანამონაწილეობა, კერძოდ დახმარება ფულის გათეთრებაში, გადაიზარდა თანაამსრულებლობაში, რადგან როცა ბანკის გენერალური დირექტორი დარწმუნდა, რომ თანხების ბრუნვა ემსახურებოდა მის გათეთრებას, გააგრძელა მასში მონაწილეობა, იგი უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ობიექტურ მხარეს უშუალოდ ახორციელებდა, რაც გამოიხატებოდა ამ ქონებით სარგებლობაში, კონვერსიაში, გადაცემაში, ეს კი უკვე არა დახმარებაზე, არამედ თანაამსრულებლობაზე მიანიშნებს. ფიქტიური იურიდიული პირებისთვის, ბანკში იდენტიფიკაციის გარეშე ანგარიშების გახსნა, რომლებზეც დიდი ოდენობის საეჭვო თანხების რთული, სწრაფი, ატიპიური და არაეკონომიკური მოძრაობა ხდებოდა საზღვარგარეთის იურისდიქციებში, მათ შორის ოფშორულ ზონებში, აშკარად მიანიშნებს რომ უკანონო შემოსავლების ლეგალიზაცია ხორციელდებოდა. ამგვარი შედეგის გარდაუვალობა მით უფრო ნათელი უნდა ყოფილიყო პროფესიონალი ბანკირისთვის. თუ იმას დავუშვებთ, რომ ბანკის ხელმძღვანელი თავიდან მთლად არ იყო დარწმუნებული განხორციელებული ფინანსური ოპერაციების დანიშნულებაში, როცა დარწმუნდა და გააცნობიერა რაც ხდებოდა და გააგრძელა მასში მონაწილეობა ის თანაამსრულებლად იქცა. მართალია, ფულის გათეთრება გამიზვნითი დელიქტია მაგრამ მისი თანაამსრულებლობისთვის სავალდებულო არაა, რომ ფულის გათეთრების მიზანი თითოეულ მონაწილეს ჰქონდეს. შესაძლებელია გათეთრების მიზანი მხოლოდ ერთ მათგანს ჰქონდეს, მეორე კი დანაშაულის შემადგენლობის წმინდა ობიექტურ მხარეს ახორციელებდეს. მიუხედავად ამისა, უკანონო შემოსავლის

ლეგალიზაციის თანაამსრულებელია ისიც, ვისაც თუმცა მისი გათეთრების მიზანი არა აქვს, მაგრამ იცის, რომ მეორე მონაწილე ამ მიზნით მოქმედებს და ეხმარება მას თავისი ქმედებით. სუბიექტური მხრივ თანაამსრულებლობა განზრახი ქმედებაა, მაგრამ აუცილებელი არაა ისინი წინასწარი შეთანხმებით მოქმედებდნენ. აუცილებელია მხოლოდ იმის ცოდნა რომ ისინი ერთსა და იმავე სისხლისსამართლებრივ უმართლობას ჩადიან.[42]

ქართულ სასამართლო პრაქტიკაში ფულის გათეთრების სქემაში ბანკების მონაწილეობის ეს ორი ფაქტი მოვიძიეთ, თუმცა ძნელი დასაჯერებელია, რომ ამით დამთავრდა საბანკო სექტორის შემხებლობა ფულის გათეთრებასთან. ეს საკითხი საგანგებო შესწავლას მოითხოვს, რადგან მსოფლიო მასშტაბით ბანკები ყველაზე სუსტ რგოლს წარმოადგენენ უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციაში.

ადვოკატის გამოყენება ფულის გათეთრებაში და ამ სქემაში ცრუმაგიერი ფირმების ჩართვა ქართულ სინამდვილეშიც დაფიქსირდა. (იხ. საქმე №1/2583-07 გ. გ-ძის მიმართ.) საბრალდებო დასკვნის თანახმად, ,,გ. გ-მ ჩაიდინა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება), ესე იგი სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონებისთვის კანონიერი სახის მიცემა (შეძენა, ფლობა, სარგებლობა, გადაცემა ან სხვა მოქმედება) მისი უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზნით, აგრეთვე მისი ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის, მასზე საკუთრების და მასთან დაკავშირებული სხვა უფლებების შენიღბვა, ჩადენილი ჯგუფურად; მანვე ჩაიდინა ყალბი დოკუმენტების დამზადება და გამოყენება (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით), ხოლო მისმა თანა-

[42] ო. გამყრელიძე, სისხლის სამართლის კოდექსის განმარტება, თბ. 2005, გვ. 183.

მონაწილემ, ნ. ხ-მა (2005 წლის 25 თებერვლამდე ი. ქ-მ) ჩაიდინა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია (ფულის გათეთრება), ესე იგი დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონებისთვის კანონიერი სახის მიცემა (შეძენა, ფლობა, სარგებლობა, გადაცემა ან სხვა მოქმედება) მისი უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზნით, აგრეთვე მისი ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის, მასზე საკუთრების და მასთან დაკავშირებული სხვა უფლებების შენიღბვა, ჩადენილი ჯგუფურად; მანვე ჩაიდინა ყალბი დოკუმენტების დამზადება და გამოყენება (2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი რედაქციით). გ-სა და ნ. ხ-ს დანაშაულებრივი ქმედება გამოიხატა შემდეგში: 2001 წლიდან გ-ძე მუშაობდა საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის წევრად და 2004 წლის აპრილში სამსახურებრივი მოვალეობის შესრულების დროს დანაშაულებრივად დაუკავშირდა ლიბანის მოქალაქეს პიერ აბდულ მუსა სავაიას, რომელიც აღნიშნულ პერიოდში იმყოფებოდა საქართველოში და იყო თბილისში რეგისტრირებული ფირმების: სააქციო საზოგადოება „ინტერნეიშენალ გეიმს ენდ ენჯოპიმენტ“-ის წარმომადგენელი და შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რესტონ ფაინენს ლ.ტ.დ.“-ს წარმომადგენლობა საქართველოში ფილიალის დირექტორი.

ესპანეთის სახელმწიფო ცენტრალური საგამოძიებო, ქ. მადრიდის №001 სასამართლოს მაგისტრ მოსამართლე სანტიაგო პედრას გომესის მოწერილობის თანახმად, ხსენებული ფირმები შეიქმნენ საქართველოში, საერთაშორისო ორგანიზებული დანაშაულებრივი ჯგუფის მიერ ესპანეთში ნარკოტიკების რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის მიზნით. იმის გამო, რომ ესპანეთიდან გადმორიცხული უკანონო თანხებით ზემოაღნიშნულ ფირმების სახელით შეძენილი იქნა უძრავი ქონება და ამ ქონებას ესაჭიროებოდა კანონიერი სახის მიცემა, შენიღბვა და მოვლა-პატრონობა, პიერ აბდულ მუსა სავაიამ 2004 წლის 3 მაისს თბილისის ნოტარიუს მ. გ-სთან გააფორმა რწმუნებულება გ-ზე (რეესტრი

№1-3034) მარწმუნებლის ქონებრივი და არაქონებრივი ინტერესების დაცვის შესახებ. ამასთან შესრულებული სამუშაოსათვის მას უხდიდა გასამრჯელოს სახით 1000 აშშ დოლარს. 2005 წლის ზაფხულის პერიოდში გ-სათვის ცნობილი გახდა, რომ ესპანეთში სამართალდამცავი ორგანოების მიერ ჩატარებული ოპერაციის შედეგად დააპატიმრეს ორგანიზებული ჯგუფის წევრები, რომლებიც მხილებულნი იქნენ ნარკოტიკების რეალიზაციის და სხვადასხვა დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ლეგალიზაციის ფაქტებზე, მათ შორის პიერ აბდულ მუსა სავაიაც. გ. გ-ძემ, ესპანურ-ქართული ენების მცოდნე, თარჯიმან ე. ჯ-ს მეშვეობით შეძლო ესპანეთის ციხეში პიერ აბდულ მუსა სავაიასთან დაკავშირება, რომლის გამოც მიიღო ზემოხსენებულ ფირმებზე რიცხული უძრავი ქონების დოკუმენტები და მითითება ქონების მესაკუთრის შენიღბვის შესახებ.

დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით, გ. გ-ძე დაუკავშირდა თავის ნათესავს, ნ. ხ-ს და გადაწყვიტა, ყალბი დოკუმენტების გამოყენებით, მის სახელზე, საკუთრებაში, გაეფორმებინა შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რესტორნ ფაინენს ლ.ტ.დ“-ს სახელზე რიცხული უძრავი ქონება, კერძოდ: ქ. თბილისში, ჩიქობავას ქ №8-ში მდებარე სასტუმრო „ლონდონი“ (მთელი საცხოვრებელი სახლის 87/132 ნაწილი და 217 მ² არასაცხოვრებელი ფართი, მიწის და უძრავი ქონების №01/16/05/19/001, საბაზრო ღირებულებით 1 250 000 აშშ დოლარი); ქ. თბილისში, საქართველოს სამხედრო გზის, ახმეტელისა და ლუბლიანას ქუჩებს შორის მდებარე 15 579 მ² მიწის ნაკვეთი (მიწის №1/13/1/22/58, საბაზრო ღირებულებით 188 100 ლარი); ქ. თბილისში, საქართველოს სამხედრო გზის ახმეტელისა და ლუბლიანას ქუჩებს შორის მდებარე 1 200 მ² მიწის ნაკვეთი (მიწის № 1/13/1/22/60, საბაზრო ღირებულებით 15 390 ლარი); ბაგები-წყნეთის გზატკეცილის მიმდებარედ 450 მ² მიწის ნაკვეთი №7 (მიწის №1/14/9/4/14, საბაზრო ღირებულებით 47 000 ლარი) და ბაგები-წყნეთის

გზატკეცილის მიმდებარედ 450 მ² მიწის ნაკვეთი №8 (მიწის №1/14/9/4/15, საბაზრო ღირებულებით 47 000 ლარი).

გ. გ-ს და ნ. ხ-ს მიერ 2006 წლის იანვარში, ტექნიკური საშუალებების, კერძოდ კომპიუტერისა და სკანერის გამოყენებით დამზადებული იქნა ქ. თბილისის ნოტარიუს ე. ჩ-ს სახელით, 2005 წლის 5 აგვისტოთი დათარიღებული, ყალბი სანოტარო აქტი-მინდობილობა №1-6909, რომელშიც ჩაბეჭდილი იყო თითქოს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „რესტონ ფაინენს ლ.ტ.დ."-ს წარმომადგენელმა პიერ აბდულ მუსა სავაიამ გასცა მინდობილობა გ. მ-შვილზე ფირმის სახელით ზემოხსენებული უძრავი ქონების ყიდვა-გაყიდვისა და სხვა ოპერაციების განხორციელების უფლების შესახებ. აღნიშნული მინდობილობის გამოყენებით გ. გ-მ და ნ. ხ-მა შეძლეს დაერწმუნებინათ ქ. თბილისის ნოტარიუსი დ. ქ-ძე დოკუმენტების სინამდვილეში და 2006 წლის 27 იანვარს მასთან გააფორმეს უძრავი ქონების: ქ. თბილისში, ჩიქობავას ქ. №8-ში მდებარე სასტუმრო „ლონდონი"-ს (მთელი საცხოვრებელი სახლის 87/132 ნაწილი და 217 მ² არასაცხოვრებელი ფართი, მიწის და უძრავი ქონების №01/16/05/19/001), ქ. თბილისში, საქართველოს სამხედრო გზის, ახმეტელისა და ლუბლიანის ქუჩებს შორის მდებარე 15 579 მ² მიწის ნაკვეთისა (მიწის №1/13/1/22/58) და ქ. თბილისში, საქართველო სამხედრო გზის ახმეტელისა და ლუბლიანის ქუჩებს შორის მდებარე 1 200 მ² მიწის ნაკვეთის (მიწის № 1/13/1/22/60) ნასყიდობის ხელშეკრულებები, სანოტარო რეესტრში სარეგისტრაციო №1-518, №1-519 და №1-520, რომლის მესაკუთრე გახდა ნ. ხ., რამაც 2006 წლის 20 და 27 ოქტომბერს რეგისტრაცია გაიარა საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ქ. თბილისის სარეგისტრაციო სამსახურში (რეგისტრაციის №68242/2006, №012006070553 და №012006070551).

ფინანსური კვალის წასაშლელად მრავალრიცხოვანი გად-

არიცხვების განხორციელება სხვადასხვა ქვეყნებში, წინასწარ მითითებულ ანგარიშებზე, ფულის გათეთრებისთვის ბ. ძ-ს ბრალდების საფუძველი გახდა. (იხ. საქმე №1/5856-06 ბ. ძ-ს მიმართ.) 2005 წლის 11 იანვარს საქართველოს გენერალური პრუკურატურის უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე სისხლისსამართლებრივი დევნის სპეციალურ სამსახურში აღიძრა სისხლის სამართლის საქმე №7405804, სააქციო საზოგადოება ,,ბანკ ქართუ"-ში 2004 წლის ოქტომბერში რუსეთის ფედერაციის მოქალაქე კადხიმ აბდულ ამირ ალ-კხალდის ანგარიშზე განხორციელებული 100 000 აშშ დოლარის ოდენობის გარიგების ფაქტზე, სსკ-ის 194-ე მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებული დანაშაულის ნიშნებით. მითითებულ საქმეზე, 2006 წლის 27 მაისს სისხლის სამართლის პასუხისგებაში მიცემული იქნა ბ. ძ. სსკ-ის 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა" და ,,ბ" ქვეპუნქტებით. წაყენებულ ბრალდებაში ბ. ძ-მა სრულად სცნო თავი დამნაშავედ და ითანამშრომლა გამოძიებასთან. ამასთან, თავის ინტერესების დამცველ ადვოკატთან კონსულტაციის შემდეგ მიმართა განცხადებით პროკურატურას, მასთან საპროცესო შეთანხმების გაფორმების თაობაზე, რაც დაკმაყოფილდა.

საქმეზე ჩატარებული გამოძიებით დადგენილია, რომ ბ. ძ-მ ჯგუფურად, არაერთგზის ჩაიდინა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ესე იგი დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონებისთვის კანონიერი სახის მიცემა, მისი უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზნით, აგრეთვე წარმოშობის წყაროს და მასზე საკუთრების უფლების დამალვა. ბ. ძ-ს ქმედებები შემდეგში გამოიხატა:

ბ. ძ. 1996 წლიდან მუშაობდა თამბაქოს ნაწარმის დისტრიბუტორად არაბი ეროვნების მოქალაქეების მიერ დაარსებულ სხვადასხვა სამეწარმეო ორგანიზაციებში, კერძოდ შპს ,,სთრაიქი", ,,ფორტუნა", ,,სტარტი" და სხვა, ხოლო 2004 წლის თებერვლიდან ასრულებდა შპს ,,პლანეტას" მენეჯერის ფუნქციებს.

ხანგრძლივი ურთიერთობიდან ჩამოყალიბებული ნდობის საფუძველზე, ზემოაღნიშნული საწარმოების დამფუძნებლების და სხვათა მიერ დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონებისთვის კანონიერი სახის მისაცემად, მისი უკანონო წარმოშობის დაფარვის, აგრეთვე წარმოშობის წყაროსა და მასზე საკუთრების უფლების დამალვის მიზნით, სხვა პირებთან შეთანხმებით, ბ. ძ-ს მიერ 1999 წლის 15 იანვარს სააქციო საზოგადოება ,,გაერთიანებული ქართული ბანკი"-ს მთაწმინდის ფილიალში გახსნილი იქნა პირადი ანგარიში. აღნიშნულ ანგარიშზე ბ. ძ-ს ნაღდი ფულის სახით შეჰქონდა ახმედ იუნისის, კადხიმ აბდულ ამირ ალ-კხალდისა და სხვათა მიერ გადაცემული თანხები, რომლებსაც რიცხავდა სხვადასხვა ქვეყნებში წინასწარ მითითებულ ანგარიშებზე.

დანაშაულებრივი საქმიანობის შენიღბვის მიზნით, 2004 წლის 16 აგვისტოს ბ. ძ-ს მიერ ამ ანგარიშზე ფინანსური ოპერაციები შეწყდა და იმავე ბანკის ცენტრალურ ფილიალში გახსნილი იქნა ახალი ანგარიში, რომლის გამოყენებითაც კვლავ გააგრძელა დანაშაულებრივი გზით მიღებული თანხების გადარიცხვა და უკანონო წარმოშობის დაფარვის, წარმოშობის წყაროსა და მასზე საკუთრების უფლების დამალვის მიზნით, ბ. ძ-ს მიერ 2004 წლის 9 იანვრიდან 2005 წლის 1 მარტის ჩათვლით ბანკში შეტანილი და სხვადასხვა მიმართულებით გადარიცხული იქნა 267 165 აშშ დოლარი.

საერთაშორისო პრაქტიკაში საეჭვო ოპერაციის გავრცელებულ სახეს წარმოადგენს ფულის გადარიცხვის მომსახურებით მრავალჯერადი სარგებლობა, დროის მოკლე პერიოდში რამდენიმე ანგარიშის გახსნა, ანონიმური აქტივით, — ამ შემთხვევაში ნაღდი ფულით, მრავალჯერადი ოპერაციები საზღვარგარეთის იურისდიქციებში. ყველა ეს ინდიკატორი მიანიშნებდა ფულის გათეთრების სქემაზე სისხლის სამართლის საქმეში ბ. ძ-ს მიმართ.

უცხოეთის, კერძოდ, ესპანეთის სამართალდამცავ ორგანოებთან თანამშრომლობით, სისხლისსამართლებრივი დევნა განხორციელდა ქურდული სამყაროს წარმომადგენლის მ. გ-ს მიმართ, რომელიც მეუღლის მეშვეობით შეეცადა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციას. საბრალდებო დასკვნის მიხედვით მ. გ-ს ბრალი ედება, მასში, რომ მან ჩაიდინა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის ორგანიზება, ე.ი. ფულისათვის და სხვა ქონებისთვის კანონიერი სახის მიცემა აგრეთვე უკანონო შემოსავლის წყაროს დამალვა ჩადენილი ჯგუფურად, რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება, რაც გამოიხატა შემდეგში: კრიმინალური ავტორიტეტი, მ. გ. (მეტსახელად ,,მელია"), 1996 წლიდან იმყოფება არარეგისტრირებულ ქორწინებაში ეკატერინე ჭ-სთან და წლების მანძილზე ცხოვრობს მასთან ერთად ესპანეთში. მ. გ. არის ესპანეთში არსებული ქართული კრიმინალური დაჯგუფება ,,ქუთაისსკაია"-ს ერთ-ერთი ხელმძღვანელი. იგი, მიუხედავად იმისა რომ ესპანეთის ბიზნეს რეესტრში არ მოიპოვება ინფორმაცია მისი და ე. ჭ-ს სამეწარმეო საქმიანობის შესახებ, ფაქტობრივად მეუღლესთან ერთად ფლობს მრავალმილიონიან ქონებას.

2005 წლის 17 ივნისს ესპანეთის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ქართული კრიმინალური დაჯგუფების მიმართ ჩატარებული სპეცოპერაცია ,,კრაზანა"-ს შედეგად, მითითებული დაჯგუფების სხვა წევრებთან ერთად, ფულის გათეთრებისა და დოკუმენტების გაყალბების ბრალდებით დაკავებულ იქნენ მ. გ. და ე. ჭ. ე. ჭ. ესპანეთის სამართალდამცავი ორგანოების მიერ დაკავებიდან მოკლე დროში გათავისუფლდა პატიმრობიდან.

სპეცოპერაციის შედეგად, ესპანეთის სამართალდამცავი ორგანოების მიერ ამოღებული და დაყადაღებული იქნა კრიმინალური დაჯგუფების კუთვნილი ქონება. მათ შორის: ცეცხლსასროლი და ცივი იარაღები, ხატები და ხელოვნების ნიმუშები, ძვირფასეულობა, ძვირფასი ქვებითა და ბრილიან-

ტებით შემკული საგნები (რომელთა საერთო ღირებულება შეადგენს რამდენიმე მილიონ ევროს), 300 000 ევროს ოდენობის ნაღდი ფული, ჩეკები, საბანკო ბარათები, სხვადასხვა მარკის 40-მდე ავტომანქანა და 70-მდე უძრავი ქონება.

ვინაიდან სპეცოპერაციის შემდეგ ესპანეთის სამართალდამცავი ორგანოები დაინტერესდნენ დაკავებული პირების სარგებლობაში არსებული ქონების წარმომავლობით, მ. გ-მ და ე. ჭ-მა, ფლობდნენ რა უკანონო გზით მოპოვებულ ქონებას და შესაბამისად არ გააჩნდათ მისი კანონიერი წარმოშობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, მითითებული ქონებისთვის კანონიერი სახის მიცემის მიზნით განიზრახეს 100 000 აშშ დოლარის ჩუქების შესახებ ფიქტიური ხელშეკრულების გაფორმება საქართველოში.

აღნიშნული მიზნის მისაღწევად, მ. გ-მ, ვინაიდან თავად იმყოფებოდა პატიმრობაში, დაავალა მეუღლეს — ე. ჭ-ს ჩასულიყო საქართველოში და თავისი ახლო ნათესავების დახმარებით გაეფორმებინა სათანადო ფიქტიური დოკუმენტი. მ. გ-ს დავალებითა და მასთან წინასწარი შეთანხმებით, ე. ჭ. 2005 წლის 12 ივლისს 4 დღით ჩამოვიდა საქართველოში და 2005 წლის 15 ივლისს მის ბებიასთან — მ. ქ-სთან, რომელიც იმყოფებოდა უკიდურესად გაჭირვებულ ფინანსურ მდგომარეობაში, გააფორმა ნოტარიალურად დამოწმებული ჩუქების ფიქტიური ხელშეკრულება №1-5925, 2000 წლის ივლისში მ. ქ-ს მიერ თითქოსდა მისთვის საქორწინო საჩუქრის სახით 100 000 (ასი ათასი) აშშ დოლარის ჩუქების შესახებ. ხელშეკრულების დადებიდან მეორე დღეს ე. ჭ-მა დატოვა საქართველო და დაბრუნდა ესპანეთში.

ამრიგად, მ. გ-ს ბრალი ედება მასში, რომ მან თავის მეუღლესთან, ე. ჭ-თან წინასწარი შეთანხმებით, ზემოთხსენებული ფიქტიური ნაჩუქრობის ხელშეკრულების გაფორმების ორგანიზებით, ჩაიდინა დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული ფულის, 100 000 აშშ დოლარისთვის კანონიერი

სახის მიცემა და მისი წყაროს დამალვა ჯგუფურად, რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლების მიღება. ამდენად, მ. გ-მ ჩაიდინა დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 24. 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა" და ,,დ" ქ/პუნქტებით (2005 წლის 28 დეკემბრამდე მოქმედი რედაქცია).

აღნიშნული საქმიდან არ ჩანს და რთულია კატეგორიული მსჯელობა, მ. გ. თავად მონაწილეობდა წინარე დანაშაულებში და აქედან დააგროვა მილიონობით ქონება, თუ მხოლოდ უკანონო შემოსავლის გათეთრების ოპერაციებს ახორციელებდა, თუკი თვითონ იყო წინარე დანაშაულების ამსრულებელი, მაშინ ამ ეპიზოდში მას ფულის გათეთრებისთვის აღარ უნდა ეგო პასუხი. რეალურად უკანონო შემოსავლის გათეთრება ე. ჭ-მ ჩაიდინა, რადგან მან განახორციელა უკანონო შემოსავლის საჩუქრად გარდაქმნა და სწორედაც დაეკისრა პასუხისმგებლობა სსკ-ის 194-ე მუხლით. აქედან გამომდინარე, დაუსაბუთებელია აღნიშნული ქმედების ჯგუფურ დანაშაულად კვალიფიკაცია

ჩვენი შეხედულებით, სისხლის სამართლის საქმეს კ. ი-სა და ბ. გ-ს მიმართ, ფულის გათეთრებასთან საერთო არაფერი აქვს. სახელდობრ, თბილისის საქალაქო სასამართლოს განაჩენის მიხედვით, კ. ი-სა და ბ. გ-ს ბრალი ედებათ მასში, რომ მათ ჩაიდინეს უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის, ე.ი. დაუსაბუთებელი ქონებისთვის კანონიერი სახის მიცემის მცდელობა, მისი წარმოშობის დაფარვის მიზნით, რასაც უნდა მოჰყოლოდა განსაკუთრებით დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება, რაც გამოიხატა შემდეგში:

,,2008 წლის 05 იანვარს, დღისით ქ. თბილისში, მდებარე ავტომანქანების ბაზრობის მიმდებარე ტერიტორიაზე ბ. გ. წინასწარი შეთანხმებისამებრ შეხვდა კ. ი-სა და გამოძიებით დაუდგენელ ვინმე შ. ბ-ს. ამ უკანასკნელის მითითებით კ. ი. ჩაჯდა ბ. გ-ს მართვის ქვეშ მყოფ ავტომანქანაში, სადაც მოთავსებული იყო 120 000 აშშ დოლარი, რომლის კანონიერი

მოპოვების დამადასტურებელი დოკუმენტები დასახელებულ პირებს არ გააჩნდათ. აღნიშნული თანხა კ. ი-მ და ბ. გ-მ წაიღეს და გადამალეს გლდანის II მ/რ, №29-ე კორპუსის ეზოში მდებარე კ. ი-ს კუთვნილ ავტოფარეხში, რათა შემდგომში მოეხდინათ მისი ლეგალიზაცია. იმავე დღეს, დაახლოებით 16:15 საათზე, როდესაც კ. ი. ახდენდა აღნიშნული თანხის გადაადგილებას მისი მძახლის ნ. ჯ-ს მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანა ,,ოპელ-ვექტრა" სახ. №SYS-442-ით, მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, რესტორან ,,სოხუმსა" და სპორტულ კომპლექს ,,ლაგუნა — ვერეს" მიმდებარე ტერიტორიაზე, დაკავებულ იქნა საქართველოს შს სამინისტროს კრიმინალური პოლიციის თანამშრომლების მიერ. ავტომანქანის ჩხრეკისას ამოღებულ იქნა დაუსაბუთებელი ქონება 120 000 აშშ დოლარი, რომელიც გამიზნული იყო ლეგალიზაციისთვის. ამდენად, კ. ი-მ და ბ. გ-მ ჩაიდინეს დანაშაული გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 19,194-ე მუხლის მე-3 ნაწილის ,,გ" ქვეპუნქტით."

როგორც სისხლის სამართლის საქმიდან ირკვევა, მსჯავრდებულებისგან ამოღებული თანხა ბ. პ-შვილის რეზიდენციაში მიდიოდა, კერძოდ, კ. ი-ს ფულს თავისი შვილი უგზავნიდა რუსეთიდან, შუამავლის მეშვეობით, რეზიდენციაში მისატანად.[43] ბ. გ-მ ცხინვალის რეგიონში რუსეთიდან შეტანილი

[43] საქართველოს საბაჟო საზღვარზე ნაღდი ფულის მოძრაობაზე კონტროლი გამკაცრდა მოგვიანებით 2009 წლის 30 დეკემბერს — ფიზიკური პირის საბაჟო დეკლარაციისა და დეკლარირებას დაქვემდებარებული საქონლის ნუსხის შევსების წესის შესახებ ფინანსთა მინისტრის ინსტრუქციით. კერძოდ, 2010 წლის 2 ივნისიდან ნებისმიერი ოდენობით ვალუტის საქართველოში შემოტანა და მისი გატანა თავისუფლდება გადასახდელებისგან, თუმცა პირის მიერ ნაღდი ფულის (ეროვნული ან/და უცხოური ვალუტა), ჩეკების ან სხვა ფასიანი ქაღალდების, რომელთა ჯამური ნომინალური ღირებულებაც აღემატება 30 000 ლარს ან მის ეკვივალენტს სხვა ვალუტაში, საზღვარზე გადაადგილება ექვემდებარება სავალდებულო დეკლარირებას.

ფული თბილისში ჩამოიტანა და გადასცა ვინმე შ. ბ-ს, ამ უკანასკნელმა კი — კ. ი-ს. რამდენად მართებულია ზნაურის რაიონიდან თბილისში ფულის ჩამოტანა მის გათეთრებად შეფასდეს, როდესაც მან არ იცოდა არც ამ ფულის წარმომავლობა, არც საქართველოში შემოტანის ხერხი და საშუალება. ამ თანხის ტრანსპორტირებისთვის მას 2 000 აშშ დოლარს გასამრჯელოს დაჰპირდნენ და ეს იყო მისი მამოძრავებელი მოტივი.

არც გამოძიების დროს და არც სასამართლო პროცესზე არ გარკვეულა კ.ი-ს შვილმა რა საქმიანობით იშოვა ეს ფული, ანდა მას სიტყვა ლეგალიზაციის მნიშვნელობა თუ ესმის, ხომ შესაძლებელია ეს თანხა შემოწირულობაც ყოფილიყო და ა.შ.

საინტერესოა ბ. გ-ს ჩვენება სასამართლო პროცესზე: „სოფელ ქალეთში (ზნაურის რაიონი) შემხვდა ეროვნებით ოსი პიროვნება, ბატონი შურა, რომელმაც გადმომცა ფული. მე კი წამოვიღე და გადავეცი კ. ი-ს 2008 წლის 5 იანვარს. აღნიშნული ფული ჩვენ მივიტანეთ მის ავტოფარეხში, რათა მოგვეხდინა მისი ლეგალიზაცია". ბრალდებულის სახით დაკითხვისას, იგივე ბ. გ. აცხადებს, რომ ცხინვალიდან ჩამოტანილი ფული გადავეცი კ. ი-ს, რომელსაც ეს ფული უნდა წაეღო ბ. პ-შვილის რეზიდენციაშიო. აშკარა წინააღმდეგობაა მის ჩვენებებს შორის.

კ. ი-მ ეჭვმიტანილის სახით დაკითხვისას განაცხადა, რომ 4 იანვარს 70 000 აშშ დოლარი მიიტანა ბ. პ-შვილის რეზიდენციაში. 5 იანვარს კი, როცა ფული მიჰქონდა გზაში დააკავეს. ეს ფული იმავე ადრესატისთვის უნდა გადამეცაო, განაცხადა მან. როგორც ვხედავთ, განაჩენი ისეა გამოტანილი, რომ მათ ჩვენებებს შორის წინააღმდეგობა გადალახული არაა. გარდა ამისა, თუკი ბრალდებულებმა წინასწარ იცოდნენ ფულის დანაშაულებრივი წარმომავლობა, მაშინ წინასწარი შეცნობით

დანაშაულებრივი წარმომავლობის ფულის ფლობა (ავტოგარაჟში შენახვა), აგრეთვე, მისი ადგილმდებარეობის, ნამდვილი მესაკუთრის დამალვა უკვე დასრულებული დანაშაული იყო, მათი ქმედების კვალიფიკაცია კი, მცდელობით მოხდა, რაც, ასევე, არამართებულია.

სისხლის სამართლის საქმის მასალების მიხედვით, ასევე, დაუსაბუთებელია ი. ო-სთვის ფულის გათეთრების ბრალად შერაცხვა. საბრალდებო დასკვნის მიხედვით ი. ო-მ უკანონო შემოსავლების ლეგალიზების მიზნით გადაწყვიტა შეეძინა თბილისში ათონელის ქუჩაზე მდებარე მიწის ნაკვეთი, მასზე დამაგრებული შენობა-ნაგებობით. ამ განზრახვით, იგი დაუკავშირდა მიწის ფაქტობრივ მფლობელს კ. ა-ს, რომელსაც, თავის მხრივ, ეს ქონება გაფორმებული ჰქონდა ნათესავზე. ი. ო-ს განზრახული ჰქონდა რა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, მოელაპარაკა კ. ა-ს, რომ რეალურად გადაუხდიდა 1 800 000 აშშ დოლარს, და ქონებრივი უფლების დამადასტურებელ დოკუმენტში შეიტანდნენ 250 000 აშშ დოლარს. ი. ო-მა მიიღო რა კ. ა-საგან თანხმობა 2007 წლის 2 მაისს ნოტარიუსის მეშვეობით გააფორმა უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება, რომლის საფუძველზეც აღნიშნული ქონება შეძენილი იქნა 180 000 აშშ დოლარად.

ის ფაქტი, რომ უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულებით ნივთის საბაზრო ღირებულებაზე ნაკლები თანხა იქნა გადახდილი, პირველ რიგში, გადასახადის გადახდისგან თავის არიდებაზე მიანიშნებს და არა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციაზე. სახელდობრ, თუ ხელშეკრულებაში უძრავი ქონების რეალური საბაზრო ღირებულება დაფიქსირდებოდა მხარეებს შორის შეთანხმებით, ერთ-ერთ მათგანს უნდა გადაეხადა საზღაური სანოტარო მომსახურებისთვის დაახლოებით 2 825 ლარის ოდენობით, თუ ამას დამატებითი ღირებულების გადასახადსაც დავამატებთ (თუკი ნოტარიუსი იხდის დღგ-ს) დაახლოებით 3 334 ლარის ოდენობით. ამ რაოდენობის

თანხა კი 218-ე მუხლის შემადგენლობასაც კი არ გვაძლევს. თუ გამოძიება ი. ო-ს ფულის გათეთრებას ედავებოდა, მაშინ აქცენტი უნდა გაეკეთებინა ამ თანხის წყაროზე, წარმომავლობაზე და არა იმაზე, რომ უძრავი ქონების ნასყიდობის ხელშეკრულება საბაზრო ღირებულებაზე ნაკლებ ფასად გააფორმა. მაშასადამე, გამოძიებას ჯერ ამ თანხის წარმომავლობა უნდა გაერკვია, შემდეგ კი აღნიშნული აქტივის საბაზრო ღირებულებაზე იაფად გადაცემის საკითხი. მტკიცების საგნად უნდა ქცეულიყო ის ფაქტი, რომ უძრავი ქონების შეძენისას ფასთა სხვაობა „ჭუჭყიანი" ფულით ხომ არ იქნა შევსებული. თუ ამის დამტკიცებას შეძლებდა ბრალდების მხარე, მაშინ, ცხადია, ფულის გათეთრების საკითხი სადავო არ იქნებოდა. საზოგადოდ, აქტივების საბაზრო ღირებულებაზე გაცილებით პატარა (ან დიდი) განაკვეთებით გადაცემა, ასევე, აქტივის იაფად შეძენა და ფასთა სხვაობის ჭუჭყიანი ფულით შევსება ფულის გათეთრების ინდიკატორია. მაგრამ, ამას დამტკიცება სჭირდება.

ფულის გათეთრების სქემაში ლეგალური სამეწარმეო სტრუქტურის გამოყენების მაგალითია სისხლის სამართლის საქმე ნ. დ-ს მიმართ, ასევე სისხლის სამართლის საქმე თ. მ-ს მიმართ. (იხ. საქმე №1/4035-06 და საქმე №1/5286).

განაჩენის მიხედვით, ნ. დ-შვილმა ჩაიდინა უფლებამოსილების ბოროტად გამოყენება, ესე იგი სამეწარმეო ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი უფლებამოსილების გამოყენება ამ ორგანიზაციის კანონიერი ინტერესის საწინააღმდეგოდ, თავისთვის და სხვისთვის გამორჩენის და უპირატესობის მიღების მიზნით, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

მანვე ჩაიდინა საბუღალტრო წიგნის წარმოების წესის დარღვევა, ესე იგი ეკონომიკური საქმიანობის ამსახველი საბუღალტრო წიგნის და აღრიცხვის სხვა დოკუმენტის წარმოების წესის დარღვევა, რამაც მნიშვნელოვანი ზიანი გამოიწვია.

მანვე ჩაიდინა ყალბი ოფიციალური დოკუმენტის არაერთგზის დამზადება და გამოყენება, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი.

მანვე ჩაიდინა უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, ესე იგი დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონებისთვის კანონიერი სახის მიცემა, შეძენა, ფლობა, სარგებლობა და გადაცემა მისი უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზნით, აგრეთვე მისი ნამდვილი ბუნების, წარმოშობის წყაროს, ადგილმდებარეობის, განთავსების, მოძრაობის, მასზე საკუთრების და მასთან დაკავშირებული სხვა უფლებების დამალვა და შენიღბვა ჩადენილი ჯგუფურად, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით და რასაც თან ახლდა დიდი ოდენობით შემოსავლის მიღება.

აღნიშნული დანაშაულებრივი ქმედებები გამოიხატა შემდეგში: ნ. დ-შვილმა 2004 წლის 24 მაისს დააფუძნა შპს ,,ეტალონი," კომერციული საქმიანობის, ალკოჰოლიანი და უალკოჰოლო სასმელების წარმოება-რეალიზების, ასევე, ყველა სხვა სახის სავაჭრო ოპერაციების წარმოების მიზნით. 2004 წლის ოქტომბრის თვეში ნ. დ. დაუკავშირდა სიღნაღის რაიონის სოფელ საქობოში მცხოვრებ ღვინის ინჟინერ-ტექნოლოგს ზ. ბ-ს, რომელიც წლების მანძილზე, წარმომავლობის დამადასტურებელი ყოველგვარი დოკუმენტაციის გარეშე ფლობდა მართლსაწინააღმდეგოდ მითვისებულ 121 ტონა საკონიაკე სპირტს და შესთავაზა აღნიშნული სპირტის წარმომავლობისათვის კანონიერი სახის მიცემა, რაზეც ზ. ბ-მა განუცხადა თანხმობა. განზრახვის სისრულეში მოყვანის მიზნით ზ. ბ-მა მოახდინა დანაშაულებრივი გზით შეძენილი სპირტის ტრანსპორტირება ქ. კასპში სააქციო საზოგადოება ,,ნატურალპროდუქტის" კუთვნილ რეზერვუარებში, რაც იჯარით ქონდა აღებული შპს ,,ეტალონს". ნ. დ-მა ზ. ბ-თან ერთად კახეთის რეგიონის და თერჯოლის რაიონის მოსახლეობიდან 2004-2005 წლებში ფაქტიურად შეძენილი

3000 ტონა ღვინო-მასალების რაოდენობა, ყალბი შესყიდვის აქტების დამზადების და გამოყენების გზით ხელოვნურად გაზარდა 3 800 ტონამდე, (ესე იგი, 800 ტონით მეტი), რისი მეშეობითაც რეალურად გამოხდილ საკონიაკე სპირტებთან ერთად ვითომდა აწარმოა დანაშაულებრივი გზით შეძენილი 121 ტონა საკონიაკე სპირტი, აღნიშნულით ნ. დ-მა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ზ. ბ-თან ერთად კანონიერი სახე მისცა დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ დიდი ოდენობით ქონებას, მისი უკანონო წარმოშობის დაფარვის მიზნით, რითაც სახელმწიფო ბიუჯეტს მიაყენა 181 500 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი.

უფრო მეტიც, ნ. დ-მა ზ. ბ-თან ერთად, როგორც შპს ,,ეტალონის" დირექტორმა, გამოიყენა რა სამეწარმეო ორგანიზაციაში ხელმძღვანელობითი უფლებამოსილება ბოროტად, ამ ორგანიზაციის კანონიერი ინტერესების საწინააღმდეგოდ 2004-2005 წლებში თერჯოლის და კახეთის რიგი რაიონების მოსახლეობიდან საკონიაკე სპირტის საწარმოებლად ღვინო მასალების შეძენის, ტრანსპორტირების და გადამუშავების თაობაზე არ აწარმოა შესაბამისი იურიდიული, საბუღალტრო და სალაროს დოკუმენტაცია, უფრო მეტიც, გამორჩენის მიღების მიზნით სააქციო საზოგადოება ,,ინვესტბანკში" გახსნილ შპს ,,ეტალონის" ანგარიშიდან თანხების საკონვერტაციოდ გატანას ახდენდა ფირმის სალაროს გვერდის ავლით, რითაც დაარღვია ეკონომიკური საქმიანობის ამსახველი საბუღალტრო წიგნის და აღრიცხვის სხვა დოკუმენტის წარმოების წესები და სახელმწიფო ბიუჯეტს მიაყენა 1 886 170 ლარის ზიანი.

საერთო ჯამში ნ. დ-ს და ზ. ბ-ს დანაშაულებრივი ქმედებით სახელმწიფო ბიუჯეტს მიადგა 200 362 ლარის მნიშვნელოვანი ზიანი. ესე იგი ნ. დ-შვილმა ჩაიდინა დანაშაული, რაც გათვალისწინებულია სსკ-ის-ის 220-ე მუხლით, 204-ე მუხლით, 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა" და ,,ბ" ქვეპუნქტებით და 194-ე

მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა" პუნქტით და 194-ე მუხლის მეორე ნაწილის ,,გ" და ,,დ" პუნქტებით (2005 წლის 28 დეკემბრამდე რედაქციით).

აღნიშნულ საქმეში უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია შემდეგი სქემით განხორციელდა: დაუსაბუთებელ ქონებას ლეგალურიც შეერია, კერძოდ, უსაქონლო ოპერაციები განხორციელდა, თითქოსდა ღვინომასალები მთლიანად გლეხებისგან იქნა შეძენილი და ყალბი დოკუმენტები დამზადდა იმის დასამტკიცებლად, რომ ძველი ქონებაც ახალი შესყიდვების შემადგენელი ნაწილი იყო, ამით კი, ფაქტიურად, ლეგალიზება გაუკეთდა ძველ, დაუსაბუთებელ ქონებას.

განაჩენის მიხედვით, თ. მ. 1998 წლიდან იყო რა საქართველოს მსხვილ გადამხდელთა საგადასახადო ინსპექციაში რეგისტრირებული სააქციო საზოგადოება ,,ავტოგაზის" გენერალური დირექტორი და მინიჭებული ჰქონდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილება, 2003 წელს განიზრახა სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით, ვინმე ლ. მ-სთან წინასწარი შეთანხმებით, მოტყუებით დაუფლებოდა დიდი ოდენობით სახელმწიფო ქონებას და ასევე, პირთა ჯგუფთან წინასწარი შეთანხმებით მოეხდინა თაღლითურად დაუფლებული სახელმწიფოს კუთვნილი დიდი ოდენობით ფულისათვის კანონიერი სახის მიცემა და ფულის ნამდვილი მესაკუთრის დამალვა, რა დროსაც დაამზადებდა და გამოიყენებდა ყალბ ოფიციალურ დოკუმენტს. დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოსაყვანად, თ. მ. დაუკავშირდა შპს ,,ელემ ინტერნეიშენალის" დირექტორს ლ. მ-ს, რომელთანაც ჰქონდა წინასწარი შეთანხმება, რომ სახელმწიფო საგადასახადო ინსპექცია შეეყვანა შეცდომაში და მათი მოტყუებით დღგ-ს გადასახადში შეექმნა ყალბი აქტივი — ე.ი. დღგ-ს გადასახადში ფულადი ზედმეტობის მობილიზაცია. ამ მიზნით მათ განახორციელეს შემდეგი სახის ცრუ ეკონომიკური უსაქონლო ოპერაციები, კერძოდ: ისინი დაუკავშირდნენ

სენაკის რაიონის საგადასახადო ინსპექციაში რეგისტრირებულ ,,ლაზი ელექტრონიკსის" დირექტორს დ. ვ-ს და ეს უკანასკნელი დაითანხმეს თითქოს 2003 წლის 20 აპრილს 1 308 000 ლარად და იმავე წლის 29 აპრილს 1 680 000 ლარად, ნაღდი ანგარიშსწორებით შპს ,,ელემ ინტერნეიშენალმა", რომელიც რეგისტრირებული იყო ქ. თბილისის დიდუბე-ჩუღურეთის საგადასახადო ინსპექციაში, შპს ,,ლაზი ელექტრონიკსი"-სგან შეიძინა ერთ შემთხვევაში არ არსებული 5 ცალი გენერატორი, ხოლო მეორე შემთხვევაში არ არსებული 5 ცალი ელექტროსადგური, რომლის საერთო ღირებულებაც იყო 29 880 000 ლარი. აღნიშნულზე გაიწერა ყალბი მონაცემების შემცველი მკაცრი აღრიცხვის №აა-32 №001872 და აა-32 №001874 საგადასახდო ანგარიშ-ფაქტურები, რომელთა მიხედვითაც შპს ,,ელემ ინტერნეიშენელს" დღგ-ს გადასახადში აესახა ზედმეტობა 4 660 000 ლარის ოდენობით, რაც სინამდვილეს არ შეესაბამებოდა, ვინაიდან შპს ,,ლაზი ელექტრონიკს" მითითებული თანხა დღგ-ს გადასახადში გადახდილი არ ჰქონდა, ხოლო იმ დროს მოქმედი საქართველოს საგადასახდო კოდექსის 114-ე მუხლის თანახმად დღგ-ს ჩათვლას ექვემდებარებოდა საქართველოს ბიუჯეტში გადახდილი დღგ-ს თანხა. თ. მ-მა და ვინმე ლ. მ-მ მათი დანაშაულებრივი განზრახვის სისრულეში მოყვანის და წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით, გარდაბნის რაიონის საგადასახდო ინსპექციიდან მოტყუებით მოიპოვეს ყალბი მონაცემების შემცველი ცნობა, თითქოს შპს ,,ელემ ინტერნეიშენელს" დღგ-ს გადასახადში ერიცხებოდა ზედმეტობა 466 000 ლარი. აღნიშნული ყალბი ცნობის მოპოვების შემდგომ, თ. მ-მა და ლ. მ-მ მოახდინეს შპს „ელემ ინტერნეიშენელის და სააქციო საზოგადოება ,,ავტოგაზის" ფიქტიური შერწყმა, რა დროსაც არ მომხდარა არც წილების განაწილების განსაზღვრა და არც ქონებრივი ბალანსების გაერთიანება. იმავდროულად, არ მომხდარა შპს ,,ელემ ინტერნეიშენალის" მიერ თითქოსდა შეძენილი 5 ცალი გენერატორისა და 5 ცალი ელექტროსადგურის სააქციო საზოგადოება ,,ავტოგაზის" ბალანსზე აყვანა იმ ელემენტა-

რული მიზეზის გამო, რომ ისინი არ არსებობდა. იმავდროულად, მათ აღნიშნული ორგანიზაციების შერწყმა განახორციელეს დოკუმენტის გაყალბებისა და მისი გამოყენების გზით, კერძოდ: თ. მ-მა 2003 წლის 12 აგვისტოს დაამზადა ყალბი მონაცემების შემცველი სააქციო საზოგადოება ,,ავტოგაზის" აქციონერთა კრების ოქმი, რომლითაც, თითქოსდა შეკრებილმა კრებამ, აქციონერ გიორგი გ-ს თავმჯდომარეობით ერთხმად მიიღო გადაწყვეტილება შპს ,,ელემ ინტერეიშენელის" და სააქციო საზოგადოება,,ავტოგაზის" შერწყმის შესახებ. აღნიშნულ დოკუმენტზე თ. მ-მა 2003 წლის 13 აგვისტოს პირადად მოაწერა ხელი გ. გ-ს სახელით, მაშინ, როდესაც საქართველოს შსს სახელმწიფო საზღვრის დაცვის დეპარტამენტის ცნობით ეს უკანასკნელი 2003 წლის 10 აგვისტოდან იმყოფებოდა საქართველოს საზღვრებს გარეთ. მის მიერ გაყალბებულ დოკუმენტს თ. მ-მა მისცა თითქოსდა კანონიერი სახე მისი ნოტარიალურად დამოწმების გზით, რითაც შეცდომაში შეიყვანა ვაკე-საბურთალოს რაიონული სასამართლო და 2003 წლის 14 აგვისტოს სასამრთლოს შესაბამისი დადგენილებით თაღლითურად მოახერხა აღნიშნული ორგანიზაციების შერწყმისათვის კანონიერი სახის მიცემა, რამაც გამოიწვია მნიშვნელოვანი ზიანი. გარდა ამისა, გარდაბნის რაიონის საგადასახდო ინსპექციის ყალბი მონაცემების შემცველი ცნობის გამოყენებით თ. მ-მა და ლ. მ-მ შეძლეს სინამდვილეში არარსებული აქტივი, დღგ-ს გადასახადი 466 000 ლარის ოდენობით, დაესვათ სააქციო საზოგადოება ,,ავტოგაზის" დღგ-ს გადასახადში აქტივის სახით. 2003 წელს იმავე პერიოდში გამოძიებით დაუდგენელ რიცხვს თ. მ-მა და ლ. მ-მ, კვლავ დანაშაულებრივი გეგმის მიხედვით, სახელმწიფოს კუთვნილი თანხის თაღლითურად მითვისების და ამ გზით მითვისებული დიდი ოდენობით ფულადი თანხის ლეგალიზაციის მიზნით, სააქციო საზოგადოება ,,აჭარასთან" გააფორმეს ხელშეკრულება მოთხოვნის უფლების დათმობის შესახებ (ხელშეკრულებაში თარიღი მითითებული არ არის) და კვლავ კანონის მოთხოვნათა საწინააღმდეგოდ სააქციო

საზოგადოება ,,აჭარას" დაუთმეს სათამაშო ბიზნესის გადასახადის დასაფარად თითქოსდა მათი ორგანიზაციის დღგ-ს გადასახადში არსებული თანხა 400 000 ლარი, რაც შემდგომში გაფორმებული ხელშეკრულების თანახმად 2%-იანი დისკაუნტით ამ უკანასკნელს სააქციო საზოგადოება ,,ავტოგაზისათვის" უნდა აენაზღაურებინა ყოველთვიურად 80 000 ლარის ნაღდი ანგარიშსწორებით. 2003 წლის 18 დეკემბრამდე თ. მ-მა და ლ. მ-მ სს ,,ავტოგაზის" ბუღალტერიის მეშვეობით მიიღეს ნაღდი ანგარიშსწორებით ფულადი თანხა 392 000,0 ლარის ოდენობით და, ვინაიდან ბუღალტრული წარმოების წესით ხსენებული თანხის მითვისებას ვერ მოახერხებდნენ, სამეწარმეო საქმიანობის განზრახვის გარეშე შექმნეს ვინმე ანა იაკუშევას სახელზე რეგისტრირებული შპს ,,ანგისი", რომელსაც, თითქოსდა დაუთმეს აქტივის მოთხოვნის უფლება, ანუ სააქციო საზოგადოება ,,ავტოგაზის"; ბუღალტერიაში არსებული ნაღდი ფული 466 268 ლარის ოდენობით და 5%-იანი დისკაუნტით გასცეს 442 955 ლარი, კერძოდ: 2003 წლის 17 დეკემბრის სალაროს გასავლის ორდერით №505-ით 231 955 ლარი, 2003 წლის 18 ნოემბრის №458 სალაროს გასავლის ორდერით 160 000 ლარი, 2003 წლის 7 ნოემბრის სალაროს გასავლის ორდერით №448 22 600 და 2003 წლის 14 ნოემბრის №284 სალაროს გასავლის ორდერი 28 400 ლარი, რითაც სინამდვილეში თ. მ-მა და ლ. მ-მ თაღლითური გზით უკანონო შემოსავალს გაუკეთეს ლეგალიზება და სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებით დაეუფლნენ დიდი ოდენობით სახელმწიფოს კუთვნილ თანხას, 466 268 ლარის ოდენობით, რამაც შელახა სააქციო საზოგადოება ,,ავტოგაზის" პრესტიჟი და ავტორიტეტი, ხოლო სახელმწიფოს მიაყენა დიდი ოდენობით მნიშვნელოვანი ზიანი.

ამდენად, თ. მ—ს მიერ ჩადენილია დანაშაული რაც გათვალისწინებულია საქართველოს 2006 წლის 31 მაისამდე მოქმედი სსკ-ის-ის 180-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა", ,,დ" ქვეპუნქტებით, მე-3 ნაწილის ,,ბ" ქვეპუნქტით, 193-ე მუხლვით, 194-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ა", ,,გ", ,,დ" ქვეპუნქტებით, 220-ე

მუხლით და 362-ე მუხლის მე-2 ნაწილის ,,ბ" ქვეპუნქტით." როგორც სასამართლო პრაქტიკის ანალიზიდან ჩანს, ზოგჯერ, მას, ვისაც დანაშაულებრივი გზით აქვს შემოსავალი მიღებული, შემდგომში მისივე ლეგალიზებისთვის ეკისრება პასუხისმგებლობა, რაც, ჩვენი შეხედულებით, ზემოაღნიშნული არგუმენტების საფუძველზე, არ უნდა იყოს მართებული. ეს საკითხი შემდგომ შესწავლას მოითხოვს.

§ 10. საზღვარგარეთის ზოგიერთი ქვეყნის კანონმდებლობა ფულის გათეთრების წინააღმდეგ

10.1 ამერიკის შეერთებული შტატები

უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციასთან ბრძოლაში საინტერესოა ამერიკის შეერთებული შტატების საკანონმდებლო და პრაქტიკული ტრადიციები. მრავალი საკანონმდებლო და მარეგულირებელი სტანდარტი აშშ-ში შემოღებულ იქნა ვენის კონვენციამდე გაცილებით ადრე, ვიდრე მსოფლიოს სხვა ქვეყნებში დაიწყებდნენ რაიმე სახის ღონისძიებების გატარებას ამ პრობლემის დასაძლევად. ჯერ კიდევ 1970 წელს აშშ-ის კონგრესმა მიიღო სამი კანონი, რომელთაც პირდაპირი შეხება ჰქონდა ამ პრობლემასთან: კანონი ორგანიზებულ დანაშაულზე კონტროლის შესახებ, კანონი საბანკო საიდუმლოს შესახებ, კანონი ნარკოტიკების გავრცელებაზე საყოველთაო კონტროლის შესახებ. ეს იყო პირველი მცდელობა ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლაში ნაღდი ფულის რეგულირების და ქონების კონფისკაციის მექანიზმების ასამოქმედებლად; ხოლო 1986 წელს აშშ-ის კონგრესმა უკვე მიიღო კანონი ფულის გარეცხვაზე კონტროლის შესახებ (milka). მოგვიანებით კონგრესმა მიიღო პატრიოტის აქტი (2001 წ.), აქტივების სამოქალაქო კონფისკაციის რეფორმის აქტი (2000 წ.) და სხვა.

საბანკო საიდუმლოს შესახებ კანონის მიზანია ხელი შეუშალოს ფულის რეცხვას და საზღვარგარეთულ ბანკებში საიდ-

უმლო ანგარიშების გამოყენებას, აიძულოს საეჭვო კლიენტები კვალი დატოვონ დოკუმენტებში, რაც აუცილებელია გამოძიებისათვის. ეს კანონი მოითხოვს 10 000 აშშ დოლარზე მეტ საფინანსო გარიგებებზე ამერიკულმა საფინანსო ინსტიტუტებმა განსაზღვრული ჩანაწერები აწარმოონ კლიენტების საბანკო ოპერაციებზე, მათ შორის გარიგების მხარეების, მათი სახელების, ფულის მიღების წყაროების, თანხების ოდენობის შესახებ. კანონის მიხედვით სავალდებულოა დოკუმენტაციის შენახვა 5 წლის განმავლობაში, რაც, ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია გამოძიებისთვის. კანონის შესაბამისად ფინანსთა მინისტრი ვალდებულია მოთხოვოს საფინანსო ორგანიზაციებს ყველა იმ დოკუმენტის შენახვა, რომელიც შეიძლება გამოსადეგი იყოს საქმეების გამოძიებისა და სასამართლო მოსმენისას. კანონი ვრცელდება ბანკებზე, კაზინოებზე, საბროკერო ფირმებზე, ვალუტის გადამცვლელ პუნქტებზე და ფასიანი ქაღალდების დილერებზე ანუ სუბიექტებზე, რომლებიც მონაწილეობენ სავალუტო გარიგებებში. ეს კანონი ავალდებულებს მათ აცნობონ ფინანსთა სამინისტროს დიდი მოცულობის ნაღდი ფულით და ექვივალენტური ფასეულობით წარმოებული გარიგებების შესახებ. გასაცხადებელი გარიგებების ყველაზე გავრცელებული ზღვარია 3000 აშშ დოლარი. ბანკები ვალდებული არიან ინფორმაცია მიაწოდონ სამართალდამცავ ორგანოებს საეჭვო ფინანსურ ოპერაციებზე. კანონი ითვალისწინებს სანქციებს დოკუმენტაციის წარმოებისა და ანგარიშგების წესების დარღვევისათვის.[44]

აშშ-ის ძალისხმევა ფულის გარეცხვასთან ბრძოლაში არ შემოიფარგლება საკუთარი საზღვრებით. ორგანიზებული დანაშაულის მონაწილეები უკანონოდ მოპოვებულ ფულს ხშირად საზღვარგარეთ მალავენ და აგრძელებენ დანაშაულებრივ საქმიანობას. ამიტომ უკანონო შემოსავლების

[44] გ. ტაბუცაძე, დასახ. სტატია, გვ. 83-84.

ლიკვიდაციისთვის ერთი ქვეყნის ძალისხმევა არასაკმარისია ტრანსნაციონალური დამნაშავეობის შემოსავლების ამოსაღებად, საჭიროა საზღვარგარეთ აღმოჩენილი აქტივების კონფისკაცია და ეს სამართალდაცვითი პრაქტიკა მუდმივად უნდა გატარდეს. აშშ-ის იუსტიციის სამინისტრო თავის მთავარ პრიორიტეტად თვლის საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარებას უკანონო შემოსავლების კონფისკაციის საკითხებზე.

აშშ-ის იუსტიციის სამინისტროს აქტივების კონფისკაციისა და ფულის გარეცხვასთან ბრძოლის დეპარტამენტი თვლის, რომ ფულის გათეთრებასთან ბრძოლაში აქტივების საერთაშორისო კონფისკაცია ეფექტური საშუალებაა სამართალშეფარდებით საქმიანობაში. აქტივების კონფისკაციის მეშვეობით სახელმწიფოებს შეუძლიათ ფინანსური ბაზა გამოაცალონ ორგანიზებულ დანაშაულს და შეარყიონ მისი შემდგომი განვითარება. ამგვარად, სამართალშეფარდებითი საქმიანობა არ უნდა შემოიფარგლოს მხოლოდ დამნაშავის დაკავებით და დასჯით, მან ზემოქმედება უნდა მოახდინოს დანაშაულის ეკონომიკურ ბაზაზე და დანაშაულის მსხვერპლთ დაუბრუნოს აქტივები. რამდენადაც დანაშაულებრივი საქმიანობა სულ უფრო და უფრო იღებს ტრანსნაციონალურ ხასიათს, საერთაშორისო თანამშრომლობა სასიცოცხლოდ აუცილებელია სამართალშეფარდებით საქმიანობაში. იმის გამო, რომ დამნაშავეებს საკმაოდ იოლად შეუძლით გადააადგილონ აქტივები ერთი ქვეყნიდან მეორეში, ამგვარი თანამშრომლობა განსაკუთრებით აუცილებელია კონფისკაციასთან დაკავშირებული საქმეების გადასაწყვეტად. აშშ-ის იუსტიციის სამინისტრო თავის სტრატეგიულ ამოცანად თვლის ყველა შესაძლებლობა გამოიყენოს დანაშაულებრივი საქმიანობით მიღებული აქტივების კონფისკაციისთვის. სხვა ქვეყნების მთავრობების მხრიდან ძლიერი მხარდაჭერის პირობებში აშშ-ის შეუძლია გამოიყენოს სისხლისსამართლებრივი და სამოქალაქო კონფისკაციის პროცედურები დანაშაუ-

ლებრივი საქმიანობით მიღებული აქტივების ბლოკირებისა და კონფისკაციისთვის, იმ შემთხვევაშიც კი როცა დამნაშავეები უკანონოდ მიღებულ აქტივებს აშშ-ის ფარგლებს გარეთ მალავენ. ახალი უფლებამოსილებები, რომელიც გაჩნდა აქტივების სამოქალაქო კონფისკაციის რეფორმის შესახებ აქტისა და კონფისკაციასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების აღსასრულებლად პატრიოტული აქტის მიღებით, აშშ-ის კვლავ შეუძლია დახმარება გაუწიოს სხვა ქვეყნის მთავრობებს, რომლებიც მოითხოვენ აშშ-ის ტერიტორიაზე მყოფი აქტივების კონფისკაციას, აშშ-ის ფარგლებს გარეთ ჩადენილი დანაშაულისთვის. ამ ახალი კანონების მიღებით, აშშ-ს თავისი წვლილი შეაქვს დაშნაშავეებისთვის იმ შესაძლო ადგილების მოსპობაში, სადაც უკანონო აქტივების დამალვაა შესაძლებელი. ამასთანავე, ამოღებული აქტივების განაწილება მონაწილე სახელმწიფოებს შორის მომავალი თანამშრომლობის სტიმულს შექმნის, გააფართოვებს უწყებათაშორის თანამშრომლობას მათი ფინანსური რესურსების შევსების გზით, რაც ესოდენ აუცილებელია დამნაშავეობასთან ბრძოლაში მონაწილე ყველა მხარისთვის. აშშ მხარს უჭერს ჩამორთმეული ქონების განაწილების პოლიტიკას სხვა სახელმწიფოებისთვის, რომლებმაც ხელი შეუწყვეს ან მნიშვნელოვნად გააადვილეს აქტივების კონფისკაცია აშშ-ის კანონმდებლობის შესაბამისად. მაგალითად, 2001 წელს აშშ-ის იუსტიციის სამინისტრომ 170 მლნ აშშ დოლარი გადაურიცხა 27 ქვეყანას კონფისკაციის ჩასატარებლად გაწეული დახმარებისთვის. აშშ-ის კანონთა კრებულში სამი ნორმაა, რომლებიც გენერალურ პროკურორის და/ან ფინანსთა სამინისტროს მდივანს უფლებამოსილებას ანიჭებს ჩამორთმეული ქონება გადასცეს სხვა ქვეყნებს: ეს არის აშშ-ის კანონთა კრებულის მე-18 §981 (i)(1) მუხლი; 21-ე — §881 (e)(1)(E) მუხლი და 31-ე — §9703 (h)(1) მუხლი. თითოეული დებულება განსაზღვრავს ჩამორთმეული ქონების საერთაშორისო გადანაწილების პირობებს. ამასთანავე, გადაცემული აქტივების ოდენობა ეფუძნება სხვა ქვეყნის და აშშ-ის შიდასახ-

ელმწიფო სამართალდამცავი ორგანოების შეტანილ წვლილს უკანონო შემოსავლების კონფისკაციაში.

ფულის გათეთრებასთან ბრძოლაში აშშ-ის ბოლო პერიოდის მიღწევებიდან აღსანიშნავია აქტივების სამოქალაქო კონფისკაციის რეფორმის აქტი (2000 წლის 23 აგვისტო). ამ კანონის საფუძველზე უამრავი ცვლილება შევიდა აშშ-ის ტერიტორიაზე უკანონო შემოსავლების ამოღების წესში, მან ასევე გააფართოვა აშშ-ის საერთაშორისო შესაძლებლობები კონფისკაციასთან დაკავშირებით, მათ შორისაა საზღვარგარეთ ჩადენილი დანაშაულების შედეგად მიღებული შემოსავლების ამოღების პირდაპირი უფლებამოსილება, აგრეთვე, სხვა ქვეყნის თხოვნით ამოღებული შემოსავლების დაკავება და კონფისკაციის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებების რეგისტრაციისა და გამოყენების სანქციონირება.

2001 წლის 26 ოქტომბერს ძალაში შევიდა ანტიტერორისტული აქტი და საჯარო კანონი 107-56 (აშშ-ის პატრიოტული აქტი). ამ ახალ კანონში კონგრესმა გააფართოვა უფლებამოსილებები მათი გამოყენების სფეროებში, კერძოდ, გარდა იმისა, რომ ტერორიზმთან და ტერორიზმის დანაშაულის დაფინანსებასთან დაკავშირებული ფულადი საშუალებების ქვეყნის შიგნით და გარეთ სამოქალაქო წესით ამოღების უფლებამოსილებები გაფართოვდა, პატრიოტულმა აქტმა უფრო გააფართოვა დანაშაულების ჩამონათვალი (კატალოგი), რომელიც დანაშაულადაა აღიარებული ფულის გათეთრების შესახებ კანონის ჩარჩოებში, სახელდობრ, იგი მოიცავს ძალადობით დანაშაულს, ქრთამის მიცემას ან სახელმწიფო ქონების მითვისებას ოფიციალური პირის მიერ, საბრძოლო მასალის ან სამხედრო ტექნოლოგიების კონტრაბანდას, ნებისმიერ დანაშაულს, რომელზეც აშშ ვალდებულია სახელმწიფოთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე გადასცეს დამნაშავე ან დევნოს იგი სასამართლო წესით. სამოქალაქო კონფისკაციის რეფორმის აქტში განმტკიცებული უფლებამ-

ოსილებების გარდა, რომელიც ეხება აქტივების პირდაპირ ამოღებას საზღვარგარეთ ჩადენილი რიგი დანაშაულებისთვის, კანონი ადგენს ახალ უფლებამოსილებებს მოცემულ გაფართოებულ ჩამონათვალში შემავალი დანაშაულების გზით მიღებული შემოსავლების კონფისკაციისათვის (ე.ი. საკუთრებისათვის, რომელიც გამოიყენება დანაშაულის ჩადენის ხელშესაწყობად).

პატრიოტული აქტის 319-ე კარის (თავის) გამოცემით (თავი 319-ე — ფულადი საშუალებების ამოღება აშშ-ის ბანკთაშორისი ანგარიშებიდან) კონგრესმა საგანგებო უფლებამოსილებები მიანიჭა აშშ-ის პროკურორებს საბანკო ანგარიშებიდან ამონაწერების მისაღებად და საზღვარგარეთის ბანკის დეპოზიტებზე არსებული საკუთრების კონფისკაციის მოთხოვნისთვის, თუ უცხოეთის ბანკს საკორესპონდენტო ანგარიში აქვს აშშ-ში. მაშასადამე, 319-ე კარი შესაძლებლობას იძლევა უფრო მკაცრი კონტროლი დამყარდეს იმ ბანკების საქმიანობაზე, რომელთაც საკორესპონდენტო ანგარიშები აქვთ აშშ-ში და გარიგებებს ახორციელებენ აშშ დოლარებში. პატრიოტული აქტის ახალი დებულებები აძლიერებს აშშ შესაძლებლობას მიიღოს ინფორმაციები ანაბრების შესახებ უცხოურ ბანკებში, რომლებსაც საკორესპონდენტო ურთიერთობები აქვთ აშშ-ის ბანკებთან, განსაკუთრებით მაშინ, როცა შესაძლებელია თანამშრომლობა სხვა ქვეყნების მთავრობებთან ან საფინანსო ინსტიტუტებთან.

უკანონო შემოსავლების ჩამორთმევის შესახებ სასამართლო გადაწყვეტილებათა აღსრულების გასაადვილებლად მნიშვნელოვანია სახელმწიფოთა შორის თანამშრომლობა, ორმხრივი ხელშეკრულებები, გადაწყვეტილებათა ორმხრივი ურთიერთაღიარება (სააღსრულებო შეთანხმებები) და სასამართლო დავალებები. სამართლებრივი ურთიერთდახმარების შესახებ აშშ-ს 49 იურისდიქციასთან აქვს ხელშეკრულება რატიფიცირებული, რომლებიც კონფისკაციის

მოთხოვნის სამართლებრივ საფუძველს წარმოადგენენ. ორმხრივი შეთანხმებები, უკანონო შემოსავლების კონფისკაციის სფეროში თანამშრომლობის შესახებ, მოწმობს კონფისკაციის როგორც საერთაშორისო სამართლებრივი სტატუსის მქონე სანქციის გამოყენებაზე.
აშშ-ის კანონმდებლობით, კერძოდ კანონთა კრებულის მე-18 მუხლის § 981-ე (a)(1)(B) დადგენილია აშშ-ის ტერიტორიაზე საკუთრების სამოქალაქო კონფისკაციის უფლება, რომელიც მიღებულია კონტროლირებადი ნივთიერებების უკანონო ბრუნვის შედეგად.

კონფისკაციის საერთაშორისო პროცესის ერთ-ერთი პირველი ეტაპია საზღვარგარეთ აქტივების ადგილსამყოფელის ზუსტად დადგენა, რომელთა მიმართაც შესაძლებელია კონფისკაციის სანქციის გამოყენება. როგორც წესი ინფორმაციის გამოთხოვა ხდება ხელშეკრულების, კონვენციის, სააღსრულებო შეთანხმების ან სასამართლო დავალების საფუძველზე, საბანკო ანგარიშების შესახებ ამონაწერების მისაღებად, რომელთაც შეუძლიათ გამოავლინონ იმ ქონების მოძრაობა ან ადგილსამყოფელი, რომელიც კონფისკაციას ექვემდებარება. როგორც უკვე აღვნიშნეთ, აშშ-ის შესაძლებლობები ამგვარი ინფორმაციის მისაღებად, გაიზარდა ანტიტერორისტული აქტის მიღების შემდეგ, როცა უცხოეთის ბანკი დაკავშირებულია ბანკ-კორესპონდენტთან აშშ-ში. საზღვარგარეთ განთავსებული კონფისკაციას დაქვემდებარებული საკუთრების აღმოჩენის შემდეგ, აშშ-ს შეუძლია მოსთხოვოს ქვეყანას, სადაც აღმოჩენილია აქტივები, ორდერის გამოცემა დაყადაღებასა და გაყინვაზე. აშშ-ის კანონმდებლობით ფედერალურ მოსამართლეებს უფლება აქვთ გამოსცენ ორდერები ამოღებაზე და ამკრძალავი სასამართლო ბრძანებები, თუ აღმასრულებელი სახელმწიფო, რომლის სუვერენულ ტერიტორიაზეც ქონება მდებარეობს, მოითხოვს აშშ-ის სასამართლოსგან ასეთ ორდერს დაყადაღების (დაკავების) გასაადვილებლად. აშშ ხშირად მოითხოვს ქონე-

ბის რეპატრიაციას კონფისკაციისთვის. აშშ-ის კანონმდებლობა არეგულირებს კონფისკაციისთვის ქონების აშშ-ში რეპატრიაციის წესს, როცა აქტივები საზღვარგარეთაა გატანილი ან სხვა ქვეყნის მიერ არის დაყადაღებული.

ორმხრივი ან საერთაშორისო შეთანხმების საფუძველზე აშშ-ის ფედერალურ მოსამართლეებს შეუძლიათ კონფისკაციასთან დაკავშირებულ სარჩელებზე გამოსცენ ორდერები ამოღების შესახებ, რომელიც გადაეცემა შესაბამისი ქვეყნის ხელისუფლებას აღსასრულებლად. თუ აღმასრულებელი სახელმწიფოს კანონით ქონება კონფისკაციას არ ექვემდებარება, ასეთ ქვეყანას სხვა ზომების მიღება შეუძლია აშშ-ის დასახმარებლად, მაგალითად, ქონებაზე ყადაღის დადება, აქტივების რეპატრიაცია, აშშ-ის სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულება კონფისკაციის შესახებ. როგორც პრაქტიკული, ასევე იურიდიული თვალსაზრისით ექსტერიტორიული იურისდიქციის უფლება სამოქალაქო წესით ქონების კონფისკაციის შესახებ შეიძლება წარმატებით განხორციელდეს, თუ აღმასრულებელი სახელმწიფო გამოხატავს მზადყოფნას ითანამშრომლოს აშშ-ის მთავრობასთან.

დანაშაულებრივი საქმიანობით მიღებული შემოსავლების კონფისკაციისთვის აშშ თავადაც აღასრულებს სხვა ქვეყნების დავალებებს. უცხოელ დამნაშავეებს უკანონო შემოსავლები თავისი ქვეყნის კანონებისგან დასაცავად საზღვარგარეთ გადააქვთ, მათ შორის აშშ-ში. ამგვარი ქმედება აშშ-ის შიდა კანონმდებლობის დარღვევაც რომ არ იყოს აშშ-ს შეუძლია მრავალმხრივი დახმარება აღმოუჩინოს სხვა ქვეყნებს საზღვარგარეთ ჩადენილ დანაშაულებთან დაკავშირებით, რომლებიც უკანონო საქმიანობად ითვლება აშშ-ის კანონმდებლობით ფულის გარეცხვის შესახებ.[45] კანონთა კრებულის კარი 981 (a)(1)(B) საზღვარგარეთ ჩადენილი დანაშაულების გზით მიღებული აქტივების ამოღების და კონ-

[45] იხ. აშშ კანონთა კრებული მე-18 §1956 (c)(7)(B) მუხლი.

ფისკაციის უფლებამოსილებას იძლევა, იმისდა მიუხედავად, ფულის გარეცხვის დანაშაული აშშ-შია ჩადენილი თუ არა. მაშასადამე, ფულის გარეცხვის აშშ-ში ჩადენის ფაქტის დამტკიცება აუცილებელი აღარაა. ამასთანავე, კონფისკაციის უფლებამოსილება ვრცელდება არა მხოლოდ აშშ-ის კანონმდებლობით განსაზღვრულ დანაშაულთა სახეებზე (პრედიკატული დანაშაულები), არამედ უცხოეთის იურისდიქციების მიერ დადგენილ ქმედებათა კატალოგებზეც. უფრო მეტიც, სამოქალაქო კონფისკაციის პირდაპირი უფლებამოსილება უნდა გავრცელდეს ისეთ ფაქტებზეც, როცა შემოსავლები ან დანაშაულის სხვა ობიექტები საგარეო ვაჭრობაში მონაწილეობდნენ, მაგალითად, გატაცებული ქონების საერთაშორისო გადაზიდვა, თაღლითობა ფოსტა-ტელეგრაფის გამოყენებით, გატაცებული ავტოსატრანსპორტო საშუალებების საერთაშორისო გადაზიდვა, ბავშვთა სექსუალური ექსპლუატაცია, იარაღით საერთაშორისო ვაჭრობა, ტერაქტები საზღვარგარეთ აშშ-ის წინააღმდეგ, ტერაქტები საზღვრების გადალახვით და სხვ. თუ დანაშაული ერთ იურისდიქციაშია ჩადენილი, ხოლო უკანონოდ მიღებული შემოსავალი იმყოფება სხვა იურისდიქციაში, ყოველთვის არ არის მიზანშეწონილი ან შესაძლებელი სისხლისსამართლებრივი დევნა ხორციელდებოდეს თითოეულ ქვეყანაში. ამიტომ ქვეყნების შესაძლებლობა, დაარეგისტრირონ და აღასრულონ სხვა ქვეყნის სასამართლოს გადაწყვეტილება კონფისკაციის შესახებ, კონფისკაციის საერთაშორისო რეჟიმის აუცილებელი კომპონენტი გახდა. აშშ-ის ფედერალური კანონმდებლობა კონფისკაციის შესახებ სხვა ქვეყნების სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების შესაძლებლობას ითვალისწინებს. კონფისკაციის შესახებ გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფო უნდა იყოს ვენის კონვენციის მხარე ან ამერიკასთან ხელშეკრულების ან საერთაშორისო შეთანხმების მონაწილე, რომელიც ითვალისწინებს თანამშრომლობას კონფისკაციასთან დაკავშირებით. მოთხოვნის წარდგენის, რეგისტრაციისა და აღსრულების წესი რეგლამენტირებულია ფედერალური კანონმდებლობით (აშშ კანონთა კრებული, 28-ე §2467 მუხლი).

უცხოურმა იურისდიქციამ აშშ-გან შეიძლება მოითხოვოს არა მხოლოდ სასამართლო ჩარევა ან იძულებითი ზომების გატარება, არამედ აშშ-ის ტერიტორიაზე განთავსებული საკონფისკაციო აქტივების ადგილსამყოფელის დადგენა, მტკიცებულებათა შეკრება, მოწმეების დაკითხვა, პოტენციური მოწმეების ან მოსარჩელეების დადგენა და სხვ. მიუხედავად იმისა რომ ამგვარი თანამშრომლობა ქვეყნების მთავრობების მიერ სანქცირებულია, ხშირად იგი დიპლომატიური არხების მიღმა ხორციელდება და უფრო ფართო თანამშრომლობის სახე აქვს.

10.2 საფრანგეთი

საფრანგეთმა ერთ-ერთმა პირველმა გაიზიარა FATF-ის (GAFI) რეკომენდაციები და შესაბამისი კორექტივები შეიტანა თავის კანონმდებლობაში. ჭუჭყიანი ფულის „რეცხვის" მეთვალყურეობისათვის საფრანგეთმა ჩამოაყალიბა ინფორმაციის დამუშავებისა და არალეგალური ფინანსური ნაკადების ბრუნვასთან ბრძოლის ორგანო TRACFIN — ეკონომიკის, ფინანსებისა და მრეწველობის სამინისტრო. იგი წარმოადგენს ფინანსური დაზვერვის ნაციონალურ ორგანოს. საფრანგეთი FATF-ის დამფუძნებელი ქვეყანაა, სწორედ პარიზშია განთავსებული მისი ოფისი და ერთ-ერთი სამუშაო ენა ფრანგულია.

საფრანგეთში ფულის გათეთრებისთვის სასჯელი თავდაპირველად დადგენილ იქნა ნარკოტიკების ვაჭრობით მიღებულ შემოსავლებთან დაკავშირებული ოპერაციებისთვის. მან ასახვა ჰპოვა საჯარო ჯანმრთელობის შესახებ კოდექსის L. 627 მუხლში, რომელიც გადავიდა ახალი სისხლის სამართლის კოდექსის 222-38 მუხლში. შემდეგ, 1996 წლის 13 მაისის კანონის მიხედვით, იგი გავრცელდა ყველა კრიმინალისა თუ დელიქტის ჩადენით მიღებული შემოსავლების გათეთრების ოპერაციებზე, საფრანგეთის მიერ აღებული საერთაშორისო ვალდებულებებიდან გამომდინარე. ამჯერად, კანონის ში-

ნაარსი არ ადგენს სისხლის სამართალდარღვევათა დეფინიციებს, მაგრამ მოიცავს ღონისძიებათა მთელ ერთობლიობას ამ სფეროში საერთაშორისო თანამშრომლობისთვის.[46] 1996 წლის 13 მაისის კანონის (№96-392) საფუძველზე საფრანგეთის სისხლის სამართლის კოდექსს დაემატა ახალი თავი ფულის გარეცხვის შესახებ (მუხლი 324-1 — 324-9).

324-1 მუხლი დანაშაულად აცხადებს ქმედების ორ სახეს, რომლებიც მოჩვენებითი მსგავსების მიუხედავად ერთმანეთისგან მკვეთრად განსხვავდებიან.

324-1 მუხლის პირველი აბზაცის მიხედვით, ფულის გათეთრება არის რაიმე დანაშაულის ან დელიქტის ამსრულებლისთვის ყველა საშუალებით ხელშეწყობა ქონების ან შემოსავლის წარმოშობის წყაროს ცრუ დასაბუთებაში (დაფარვაში), საიდანაც ის პირდაპირ თუ არაპირდაპირ სარგებელს იღებს.

ეს ქმედება ბრალად შეერაცხება არა წინარე დანაშაულის თუ დელიქტის ამსრულებელს, არამედ იმას, ვინც მას (ე.ი. პრედიკატული დანაშაულის თუ დელიქტის ამსრულებელს) დაეხმარა საკუთრების წარმოშობის წყაროს ყალბად დასაბუთებაში (დაფარვაში). ეს არის დახმარების ფორმა, რომელიც შეერაცხება როგორც დამოუკიდებელი დანაშაული.

ფულის გათეთრებისკენ მიმართული ოპერაციები სხვადასხვაგვარი შეიძლება იყოს. ამასთანავე, კანონმდებელი იძლევა სამართალდარღვევის ზედმიწევნით მკაცრ (ზუსტ) განსაზღვრებას. ჯერ ერთი, უკანონო ოპერაცია შეიძლება გავრცელდეს ნებისმიერი სახის დანაშაულისა თუ დელიქტის ამსრულებლის ქონებისა და შემოსავლების დაფარვაზე (ცრუ დასაბუთებაზე). მეორეც, დაფარვის ოპერაცია შეიძლება ეხებოდეს დანაშაულის ან დელიქტის ამსრულებლის ქონებასა და შემოსავლებს მიუხედავად, მათი წარმომავლობისა

[46] M. VERON, Droit pēnal special, Dalloz 1999, p. 268-269; Jean Larguier, Philippe Conte, Anne-marie Larguier, Droit pēnal special, Dalloz, 2005, p. 237.

და დაფარვის ოპერაცია შეიძლება ასევე ეხებოდეს არა მხოლოდ ხსენებული დანაშაულით ან დელიქტით მიღებული პირდაპირი ან ირიბი სარგებლის წარმომავლობას. ბოლოს, სისხლის სამართლის კანონს მხედველობაში აქვს დაფარვის გაადვილება ნებისმიერი საშუალებით, შემოსავლის დასაბუთებაში ყველა საშუალებით ხელშეწყობა მოიცავს ყალბი ფაქტურების გამოყენებას, შრომის ყალბ ხელშეკრულებას თუ შრომის ანაზღაურების ყალბ ბიულეტენს, ფიქტიურ ყიდვა-გაყიდვას თუ შენიღბულ ჩუქებას.

სუბიექტური თვალსაზრისით, ფულის გამთეთრებელმა იცის, რომ პიროვნებამ, ვისაც ის ეხმარება შემოსავლის წარმოშობის წყაროს დასაბუთებაში, ჩაიდინა დანაშაული ან დელიქტი, საიდანაც შემოსავალი მიიღო; ანუ აცნობიერებს, რომ დამნაშავემ, რომელიც მალავს შემოსავლის ნამდვილ წყაროს ჩაიდინა დანაშაული, ან დელიქტი, საიდანაც შემოსავალი მიიღო. ამასთანავე, პასუხისმგებლობის დასაკისრებლად აუცილებელი არაა დამნაშავემ იცოდეს წინარე დანაშაულის ან დელიქტის ზუსტი გარემოებები, ხასიათი თუ კვალიფიკაცია.

324-1 მუხლის მეორე აბზაცის მიხედვით, გათეთრებას წარმოადგენს ასევე დახმარება რაიმე დანაშაულის თუ დელიქტის ჩადენის შედეგად პირდაპირ ან არაპირდაპირ მიღებული შემოსავლის განთავსების ოპერაციაში, დაფარვა- შენიღბვაში ან კონვერსიაში. გათეთრების დანაშაულის ელემენტები აქ უფრო ღირებულია, ვიდრე პირველ ფორმაში.

324-1 მუხლის მეორე აბზაცი, დღეს, ორგანიზებული დანაშაულის ყველა ფორმის წინააღმდეგ ბრძოლის შესაძლებლობას იძლევა: მაჭანკლობა, იატაკქვეშა თამაშები ან სანაძლეო, ფინანსური ან საბაჟო თაღლითობა, კორუფცია, მოპარული ავტომობილებით თუ ხელოვნების ნამუშევრებით ვაჭრობა. ფულის გათეთრებაში დახმარების შედეგი მდგომარეობს დანაშაულებრივი შემოსავლის ლეგალურ ფინანსურ სისტემაში ინტე-

გრაციაში ან უკანონო წარმომავლობის კვალის წაშლაში.

რაც შეეხება სუბიექტურ შემადგენლობას დამნაშავემ იცის, რომ შემოსავალი, რომლის გათეთრების ოპერაციაშიც ეხმარება პირს, მიღებულია დანაშაულის თუ დელიქტის ჩადენის შედეგად. სავალდებულო არაა, რომ ის იცნობდეს წინარე დანაშაულის ამსრულებელს ან დანაშაულის ზუსტ კვალიფიკაციას.

ფულის გათეთრებასთან ბრძოლის სისხლისსამართლებრივი მექანიზმების გარდა, აღსანიშნავია, რომ საფრანგეთის ყველა მთავარ ბანკს აქვს უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციასთან ბრძოლის სპეციალური ქვეგანყოფილება. ამ ბანკებმა დახურეს ფილიალები იმ ქვეყნებში, სადაც შეუძლებელია შავი ფულის ,,რეცხვის" საწინააღმდეგო ღონისძიებების გატარება.

მიუხედავად გატარებული ღონისძიებებისა, საფრანგეთის მიმართ არსებობს სერიოზული პრეტენზიები კანონის რეალიზაციის თვალსაზრისით. საერთაშორისო ექსპერტების აზრით, მცირეა სასამართლომდე მისული საქმეები. საბანკო სექტორის გარდა, ფულის გარეცხვაში ჩართულია სხვა პროფესიები, მაგალითად, სადაზღვევო კომპანიები, საბირჟო მაკლერები და სხვ. მაგრამ ხელისუფლებას მათ მიმართ არ გამოუთქვამს არც ერთი შენიშვნა. ამიტომ, სპეციალისტთა აზრით, საფრანგეთი კვლავ რჩება შავი ფულის ,,რეცხვის" მნიშვნელოვან ცენტრად.[47]

10.3 გერმანია

ნარკოტიკული საშუალებების უკანონო ბრუნვის აღკვეთის შესახებ ვენის კონვენციის რატიფიკაცია გერმანიამ 1993 წლის 22 დეკემბერს მოახდინა, მაგრამ მანამდე 1992 წლის 15 ივლისს მიიღო კანონი ნარკოტიკების არალეგალურ ვაჭრო-

[47] გ. ტაბუცაძე, დასახელებული სტატია.

ბასთან და ორგანიზებული დანაშაულის სხვა ფორმებთან ბრძოლის შესახებ. ამასთან დაკავშირებით გერმანიის სისხლის სამართლის კოდექსში გაჩნდა ახალი დანაშაულის შემადგენლობა „ფულის გარეცხვა" — §261 — „ის, ვინც ქონებრივი ობიექტის მიმართ, რომლის წარმოშობის წყაროსაც წარმოადგენს: 1) სხვა პირის მიერ ჩადენილი დანაშაული, 2) სხვა პირის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევა, რომელიც აღწერილია ნარკოტიკების შესახებ კანონის §29, 1/1 აბზაცში; 3) დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრის მიერ ჩადენილი სამართალდარღვევა (გერმანიის სსკ §129), განახორციელებს მოქმედებებს ამ ობიექტის დასამალად ან მისი წარმოშობის დასაფარავად ანდა შეუძლებელს გახდის (ან შეეცდება) ამ ობიექტის წარმომავლობის დადგენას, მის აღმოჩენას, კონფისკაციას, დაყადაღებას, ამოღებას ან შენახვას ამოღების შემდეგ, ისჯება 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან ფულადი ჯარიმით."[48]

ამავე მუხლით არის განსაზღვრული იმ პირთა პასუხისმგებლობა, ვინც §261-ის პირველ აბზაცში მითითებულ ქონებრივ ობიექტს მიითვისებს ან გადასცემს მესამე პირს ანდა ინახავს ან სარგებლობს თავისი ან მესამე პირის ინტერესებისთვის, თუ მათ იცოდნენ ამ ობიექტის წარმომავლობის შესახებ მისი დაუფლების მომენტში; აქვე საუბარია ფულის გარეცხვის განსაკუთრებით მძიმე შემთხვევების შესახებ, კერძოდ, როცა დამნაშავისთვის ამგვარი მოქმედება ხელობაა ან იგი იმ ორგანიზაციის წევრია, რომელიც ფულის ხანგრძლივი რეცხვისთვის შეიქმნა და სხვ.

[48] კლაუს კოტკეს დასახელებულ ნაშრომში გერმანიის სსკ-ის 261-ე მუხლის შინაარსი ასე ჟღერს: სისხლის სამართლის წესით ისჯება ის, ვინც სხვა პირის დანაშაულებრივი ქმედებით მიღებულ ქონებას ფარავს, მიღებულს ნარკოტიკებით ვაჭრობით (ნარკოტიკული საშუალებების შესახებ №1 კანონის §129 1 აბზაცი), ან დანაშაულებრივი ორგანიზაციის წევრის მიერ ჩადენილი დანაშაულის შედეგად, აგრეთვე, ვინც ნიღბავს ამ საგნის წარმოშობას ან ხელს უშლის მისი წარმოშობის წყაროს გამოვლენას, აღმოჩენას ან ამ საგნის კონფისკაციას. იგივე ეხება მითითებული საგნის მიღებას, შენახვას ან გამოყენებას.

§261-ის მეხუთე აბზაცის მიხედვით, ვინც წინდაუხედავად ვერ მიხვდება, რომ ნივთი სხვა პირის მიერ კანონში ამომწურავად ჩამოთვლილი დანაშაულებრივი ქმედების საშუალებით იქნა მოპოვებული, დაისჯება 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთით ან ფულადი ჯარიმით. სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ სხვანაირად ამ ქმედების დასჯა გაძნელდებოდა განზრახვის დასაბუთების სიძნელის გამო.

იურიდიულ ლიტერატურაში მიუთითებენ, რომ ფულის გათეთრება მართლმსაჯულების წინააღმდეგ მიმართული დანაშაულია. §261-ით გათვალისწინებული ნორმის დაცვის მიზანია მართლმსაჯულების ინტერესი, რაც გაბატონებული მოსაზრებით წინარე დანაშაულის შედეგად დარღვეული ინტერესების დაცვასაც გულისხმობს.[49]

გერმანიის სსკ-ის §261 ოფიციალური განმარტებისათვის საკანონმდებლო წესით მიღებულია დოკუმენტი სახელწოდებით ,,კანონის დასაბუთება", რომელშიც კრიმინალური შემოსავლების ლეგალიზაცია (გარეცხვა) დახასიათებულია როგორც ,,ქონებრივი ღირებულებების შეღწევა ორგანიზებული დამნაშავეობის სფეროდან ლეგალურ საფინანსო და სამეურნეო ბრუნვაში, ამ ღირებულებათა კრიმინალური წარმომავლობის შენიღბვის მიზნით."[50]

დანაშაულის საგანი კანონით განსაზღვრულია როგორც ქონებრივი ობიექტი. გერმანიაში ამ ცნებას ძალიან ფართოდ განმარტავენ და ფიქრობენ (მიიჩნევენ), რომ მას მიეკუთვნება არა მარტო ნაღდი ფული და ფული ანგარიშებზე, არამედ აგრეთვე უცხოური საგადასახადო საშუალებები, მთელი მოძ-

[49] Krey, BT, Band 2,§19, Rn. 605 a; Urs Kindhäuser,Strafgesetzbuch, 4. Auflage Nomos, 2010, S. 962; Lackner/Kühl, Strafgesetzbuch, Kommentar, 27. Auflage Beck, 2011, S. 1209.

[50] Б.В. Волженкин ,,Экономические преступления" Спб, 2002, с. 559-562

რავი და უძრავი ქონება, ფასიანი ქაღალდები, ძვირფასი ლითონები და ქვები, მიწის ნაკვეთები, წილი ფირმებში და ა.შ. როგორც ცნობილია, გერმანიის სსკ სისხლის სამართლის წესით დასჯად ქმედებებს ყოფს ორ ჯგუფად: დანაშაული და გადაცდომა. სალეგალიზაციო (გასათეთრებელი) ქონებრივი ობიექტი შეიძლება მიღებულ იქნეს ნებისმიერი დანაშაულის ჩადენის შედეგად, რაც შეეხება გადაცდომას, მხედველობაშია მხოლოდ ისინი, რომლებიც მითითებულია კანონში ნარკოტიკების შესახებ ან ჩადენილია დანაშაულებრივი დაჯგუფების წევრების მიერ.

აღსანიშნავია რომ გერმანიის კანონმდებლობის მიხედვით ფულის გარეცხვის ამსრულებელია არა ის ვინც უშუალოდ სისხლის სამართლის დანაშაულის გზით შეიძინა შესაბამისი ქონებრივი ობიექტი, არამედ სხვა პირი. პირი რომელმაც პრედიკატული სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედება ჩაიდინა, გერმანიის სსკ-ის §261 თანახმად, არ შეიძლება ფულის გარეცხვის დანაშაულის ამსრულებელი ან თანამონაწილე იყოს.[51] დანაშაულებრივი შემოსავლების დაფარვას ახორციელებს ის, ვინც ნიღბავს ან მალავს მათ (ფარულად ინახავს სეიფში, სარდაფში, საბანკო საცავებში, ჩქმალავს, ათავსებს ფასეულობებს ბანკში ან სხვა დაწესებულებაში ყალბი დოკუმენტებით) წარმოშობას მოტყუებითი მოქმედებებით, სიყალბით, დოკუმენტებით მანიპულაციით, ცრუმაგიერი პირებისა და ფიქტიური ფირმების ჩართვით, სხვის ანგარიშზე სხვისი სახელით ფულის შეტანით, ,,ჭუჭყიანი" და სუფთა ფულის ერთმანეთში შერევით და ა.შ.

გერმანიის სსკ-ის 261-ე პარაგრაფის მე-9 აბზაცი გვამცნობს, რომ ამ პარაგრაფის 1-5 აბზაცის მიხედვით, არ დაისჯება ის, ვინც დაისჯება წინარე ქმედებაში (ანუ პრედიკატულ დანაშაულში) თანამონაწილეობისთვის. თუ ვერ დადგინდა, რომ

[51] Кернер х. ДАХ Э. Отмывание денег. М., 1996, с. 39.

პირი წინარე ქმედების თანამონაწილე იყო, მაშინ იგი ფულის გათეთრებისთვის აგებს პასუხს. 261-ე პარაგრაფის ძველი რედაქცია ასეთ დათქმას არ აკეთებდა და ახალმა გაითვალისწინა.

ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციისთვის აუცილებელია, რომ გასათეთრებელი შემოსავლების დანაშაულებრივი წარმომავლობა ცალსახად იქნეს დამტკიცებული. ხ. კერნერი წერს: ,,იმისთვის რომ დამტკიცდეს საწყისი, სისხლისსამართლებრივად დასჯადი ქმედების არსებობა (ანუ ფულის გათეთრების პრედიკატული დანაშაულის არსებობა), არასაკმარისია დაყადაღებული ფულის ან გამოვლენილი საბანკო აქტივების დანაშაულებრივი წარმომავლობის ვარაუდი. მნიშვნელოვანია, საქმეში არსებული მტკიცებულებებიდან გამომდინარეობდეს, რომ ფული კონკრეტული დანაშაულიდან არის წარმოშობილი. თუ მხოლოდ ეჭვი არსებობს ქონების დანაშაულებრივი წარმოშობის შესახებ ეს მტკიცებულება არ არის.[52]

გერმანიის სსკ-ის §261 ინტერპრეტატორები თვლიან, რომ ქონებრივი ღირებულების გათეთრება წინარე სტადიების მეშვეობით არ ასუფთავებს მას კრიმინალური დამღისგან. ამიტომ, შემდგომი ფინანსური ოპერაციები ამ ქონებით ასევე ითვლება მის გარეცხვად.
1993 წლის 25 ოქტომბერს გერმანიის ბუნდესტაგმა მიიღო კანონი მძიმე კატეგორიის სისხლის სამართლის დანაშაულებიდან მიღებული მოგების (შემოსავლების) გამოვლენის შესახებ (კანონი ფულის გარეცხვის შესახებ), რითაც ევროპის კავშირის 1991 წლის 10 ივნისის 91/308 დირექტივის მოთხოვნების რეალიზაცია მოახდინა, რომლის მიზანი იყო ფინანსურ და საბანკო სექტორში ფულის გარეცხვასთან ეფექტური საშუალებებით ბრძოლა. ამ კანონის მიზანია, წერს კლაუს კოტ-

[52] იხ. Х. Кернер, ДАХ Э. с.44

[44] იხ. კლაუს კოტკე, დასახ. შრომა, გვ. 16- 17.

კე, გააადვილოს მძიმე დანაშაულის ჩადენის გზით მიღებული შემოსავლების გამოვლენა, შექმნას ბარიერები ფულის გათეთრების წინააღმდეგ, ხელი შეუწყოს ორგანიზებული დანაშაულებრივი სტრუქტურების გამოვლენას. კერძოდ, კანონი ითვალისწინებს საკრედიტო და საფინანსო დაწესებულებების ვალდებულებას 20 000 მარკის და უფრო მეტი ნაღდი ფულის მიღებისა ან გაცემის ანუ ზღვრულზე მეტი თანხის ტრანზაქციის დროს კლიენტის პიროვნების იდენტიფიცირების ვალდებულებას; საკრედიტო დაწესებულებების მიერ კლიენტების იდენტიფიკაციის ზოგად ვალდებულებას, საეჭვო ფინანსური ოპერაციების იდენტიფიკაციის ვალდებულებას და ეს ჩამონათვალი საკმაოდ ფართოა, კლიენტის იდენტიფიკაციის დროს მიღებული მონაცემების დაფიქსირების, შესაბამისი ჩანაწერების წარმოების და მათი შენახვის ვალდებულებას 6 წლის ვადით; საეჭვო ფინანსური გარიგებების შესახებ სამართალდამცავი ორგანოებისთვის შეტყობინების ვალდებულებას და სხვ. აღნიშნული და ფულის გარეცხვის კანონით დადგენილი ზოგიერთი სხვა ვალდებულებების შეუსრულებლობა ადმინისტრაციული სამართალდარღვევაა, რასაც დიდი ფულადი ჯარიმები მოსდევს.

ფულის გარეცხვის შესახებ გერმანიის 1993 წლის 25 ოქტომბრის კანონი ფუნქციონალურად მჭიდროდაა დაკავშირებული ნარკოტიკების უკანონო გავრცელებასა და ორგანიზებული დანაშაულის სხვა სახეებთან ბრძოლის შესახებ 1992 წლის 15 ივლისის კანონთან, კერძოდ ეს კანონი განსაზღვრავს ფულის „გარეცხვის" დანაშაულის შემადგენლობას, ქონებრივ სასჯელს, შემოსავლების უკანონოდ აღიარების შემთხვევათა ჩამონათვალს.[53]

[53] კლაუს კოტკე, დასახ. შრომა, გვ. 16-17.

10.4 იტალია

იტალიაში 1990 წლის 19 მარტის №55, ე.წ. „გამა-ვასალის“ კანონმა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაადგინა „გარეცხვის“ ოპერაციისა და 20 მილიონ ლირაზე მეტი ოდენობის თანხის გადაყვანისათვის შემოსავლის დეკლარირების გარეშე. ასევე, მსოფლიო პრაქტიკაში პირველად განსაზღვრა მაფიის ტიპის დანაშაულებრივი ორგანიზაციის ცნება. ამავე კანონის საფუძველზე იტალიის სსკ-ის 648[1]-ე მუხლით კრიმინალიზებული იქნა ფულის გათეთრება. პირველად იტალიაში 1992 წლის საფინანსო კანონმა შემოიღო საგადასახადო (ფისკალური) სამოთხის ცნება, რომელიც ემყარება მინისტრის 1992 წლის 24 აპრილის დეკრეტს, სადაც ორი ასპექტია გამოყოფილი: შემოსავლის ცნების განსაზღვრება და ქვეყნების ჩამონათვალი, რომლებიც პრივილეგირებული საგადასახადო სისტემის მქონე ქვეყნების ან ტერიტორიების განსაზღვრებას მოერგებიან.

ფულის გარეცხვასთან ბრძოლის შესახებ ევროსაბჭოს 1990 წლის კონვენცია იტალიაში რატიფიცირებული იქნა 1993 წლის 9 აგვისტოს №328 კანონის საფუძველზე. იტალიის სისხლის სამართლის კოდექსის 648[1]-ე მუხლი, რომელიც პასუხისმგებლობას ადგენს ფულის გათეთრებისთვის არსებითად გადაისინჯა სწორედ ამ კანონის საფუძველზე. კონვენციასთან შეერთების შემდეგ აუცილებელი გახდა მასთან შესაბამისობაში მოსულიყო იტალიის შიდა სამართალი.

იტალიის სსკ-ის 648[1]-ე მუხლის მიხედვით დანაშაულში თანამონაწილეობის გარდა, ის ვინც შეცვლის ან გადასცემს ფულს, ქონებას ან სხვა საშუალებას, რომელიც მოპოვებულია დანაშაულებრივი საქმიანობით ან არადანაშაულებრივი დელიქტებით, რომლებიც ჩადენილია მათთან ან სხვა ქმედებებთან კავშირში, ისე რომ ხელი შეუშალოს მათი დანაშაულებრივი წარმომავლობის დადგენას – ისჯება თავისუფლების აღკ-

ვეთით ოთხიდან თორმეტ წლამდე ან ჯარიმით. სასჯელი მკაცრდება თუ ეს ქმედებები ჩადენილია თანამდებობის პირების მიერ სამსახურებრივი საქმიანობის დროს. სასჯელი მსუბუქდება თუ შემოსავალი მიღებულია ისეთი დანაშაულიდან, რომელიც ისჯება თავისუფლების აღკვეთით მაქსიმუმ ხუთი წლით ან უფრო მსუბუქად.

ბოლო წლების განმავლობაში იტალიის სსკ-ის 648[1]-ე მუხლის ფორმულირება რამდენჯერმე შეიცვალა. მთლიანობაში იგი ითვალისწინებს ფულის გათეთრების მოვლენის სირთულეს და დახლართულობას და წინარე დანაშაულად მოიაზრებს არა მხოლოდ ნებისმიერ განზრახ დანაშაულს, არამედ ვრცელდება ასევე შემოსავლების ტრანსფერზე, რასაც ჩვეულებრივ ახორციელებენ არა მხოლოდ მაფიოზური ტიპის დანაშაულებრივი ორგანიზაციები. ამასთანავე, ფულის გათეთრებისთვის პირის მსჯავრდებისთვის იგი არ მოითხოვს შემოსავლების წარმომავლობის შესახებ ინფორმირებულობის დამტკიცებას, ისჯება მოქმედებები, რომლებიც ხელს უშლიან შემოსავლების დანაშაულებრივი წარმომავლობის დადგენას.

1990 წლიდან, კანონმდებლობის შეცვლის შედეგად იტალიის სახელმწიფო ვალდებულია მონიტორინგი განახორციელოს დანაშაულებრივი გზით მიღებული ფულის ლეგალიზაციის მცდელობის აღმოსაჩენად და აღსაკვეთად. მონიტორინგი ითვალისწინებს, რომ ნებისმიერი თანხის გადატანას საზღვარგარეთ იმავდროულად თან უნდა ახლდეს შემოსავლის დეკლარირება. 1991 წლის 3 მაისის N143 კანონის მიხედვით, 20 000 000 ლირაზე მეტი თანხის გადატანა ნებადართულია მხოლოდ უფლებამოსილი საშუამავლო სააგენტოების მეშვეობით, რომლებიც კლიენტების რეგისტრაციას და იდენტიფიკაციას ახორციელებენ. ის პირები, ვინც უარს იტყვიან ოპერაციების ან მარწმუნებლის შესახებ ინფორმაციის მიწოდებაზე, ან ყალბ ინფორმაციას მიაწოდებენ, ისჯებიან სისხლის სამართლის წესით. კანონით დადგენილია საბანკო

სისტემის მიერ კომპეტენტური ორგანოების სავალდებულო ინფორმირების მექანიზმი ყოველი 20 მილიონ ლირაზე მეტი თანხის გადაყვანისას. მსგავსი ოპერაციების შესახებ ფინანსთა მინისტრის ინფორმირების მექანიზმიც არსებობს (კანონი №689 24.11.84). როგორც სისხლის, ისე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომებია გათვალისწინებული რწმუნებული შუამავლებისთვის. ბანკები და სხვა საშუამავლო ორგანიზაციები ვალდებული არიან შეინახონ დაწვრილებითი დოკუმენტაცია რეზიდენტების მიერ განხორციელბული სავალუტო ოპერაციების შესახებ, რათა შესაძლებელი იყოს მსჯელობა ფულის გარეცხვის მცდელობის შესახებ. ინფორმაცია პიროვნების შესახებ, მისი სოციალური მდგომარეობა, სავალუტო ანგარიშის მისამართი, ვის სახელზე ხდება ფულადი საშუალებების გადაყვანა, ოპერაციის განხორციელების თარიღი, ფულის რაოდენობა სავალუტო ანგარიშზე გადაყვანამდე და ოპერაციის შემდეგ, ასევე გადაეცემა ფინანსური კონტროლის ორგანოებს. ეს ინფორმაცია ბანკებში ინახება 5-დან 10 წლამდე ვადით.[54]

[54] Теневая экономика и экономическая преступность, Электронный учебник,www.osi.omskreg.ru
Освалдо Кукуцца, Отмивание денег и мировая Экономика, в сборнике ГЕОЭКОНОМИКА (Перевод с итальянского) М, 1997.

მეექვსე კარი

ქონების ჩამორთმევა, როგორც ეფექტური მექანიზმი ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში



http://www.bghelsinki.org/bg/temi/spravedliv-proces/

დავით სულაქველიძე
სამართლის დოქტორი

§ 1. ქართულ კანონმდებლობაში ქონების ჩამორთმევისა და მისი წინამორბედი ინსტიტუტების წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია

ქონების ჩამორთმევის ინსტიტუტი 2000 წლის 1 ივნისამდე მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობისთვის, მოყოლებული ჯერ კიდევ საბჭოთა ეპოქის დროიდან, ცნობილი იყო ქონების კონფისკაციის სახით, კერძოდ, იგი გათვალისწინებული იყო 1958 წლის 25 დეკემბრის სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სისხლის სამართლის კანონმდებლობის საფუძვლების 30-ე მუხლითა[1] და საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სისხლის სამართლის კოდექსის[2] 34-ე მუხლით, რომლის პირველი ნაწილი ადგენდა:

„ქონების კონფისკაცია

ქონების კონფისკაცია მდგომარეობს სახელმწიფოს საკუთრებად მსჯავრდებულის პირადი საკუთრების მთელი ქონების ან მისი ნაწილის იძულებით უსასყიდლოდ ჩამორთმევაში. ქონების ნაწილის კონფისკაციის დროს სასამართლომ უნდა აღნიშნოს, თუ ქონების რომელი ნაწილის კონფისკაცია ხდება ან ჩამოთვალოს საკონფისკაციო საგნები".[3]

ამავე მუხლის მე-3 ნაწილი ადგენდა, რომ ქონების კონფისკა-

---

[1] Основы уголовного законодательства Союза ССР и союзных республик. Государственное издательство юридической литературы, М., 1960, стр. 14.

[2] 1960 წლის 30 დეკემბრის რედაქცია შემდგომი ცვლილებებითა და დამატებებით.

[3] „საქართველოს სსრ-ის უმაღლესი საბჭოს უწყებები", 1961 წ., №1, მუხლი მე-10.

ცია შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ სახელმწიფო და მძიმე ანგარებითი დანაშაულებისთვის, კანონით მითითებულ შემთხვევებში. მაგალითად, ასეთი დანაშაულები იყო: სამშობლოს ღალატი, ტერორისტული აქტი, დივერსია, ჯაშუშობა, ბანდიტიზმი, კონტრაბანდა, ყაჩაღობა, თაღლითობა, სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევა და სხვა.

ქონების კონფისკაცია, აღნიშნული კოდექსის 23-ე მუხლის თანახმად, წარმოადგენდა მხოლოდ დამატებით სასჯელს და, როგორც აღინიშნა, იგი გამოიყენებოდა სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევებში, ამასთან ზოგიერთ ასეთ შემთხვევაში მისი გამოყენება დამნაშავის მიმართ აუცილებელი იყო, ხოლო ცალკეულ შემთხვევაში კი, იგი ფაკულტატურ ხასიათს ატარებდა ანუ შეიძლებოდა რომ არც ყოფილიყო გამოყენებული. მაგალითად, სამშობლოს ღალატის ბრალდებით მსჯავრდებისას იგი აუცილებლად გამოიყენებოდა, ასევე ბანდიტიზმისთვის მსჯავრდებისას, ხოლო სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევისთვის ან ყაჩაღობისთვის მსჯავრდებისას, ქონების კონფისკაციის გამოყენების მიზანშეწონილობასა და საჭიროებას წყვეტდა სასამართლო თავისი შეხედულებით.

გარდა ქონების კონფისკაციისა ზემოაღნიშნული კოდექსის კერძო ნაწილის ცალკეულ მუხლში სანქციის სახით გათვალისწინებული იყო ასევე ამა თუ იმ სპეციფიკური ხასიათის დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული საშუალებებისა და ასეთი დანაშაულის საგნის კონფისკაცია, მაგრამ გაურკვეველი იყო მისი სტატუსი, რადგან კოდექსის ზოგად ნაწილში მის შესახებ არაფერი იყო მითითებული, ყოველ შემთხვევაში კოდექსის 23-ე მუხლში მოცემულ სასჯელთა ჩამონათვალში იგი არ იყო შეტანილი. მაგალითისთვის შეიძლება დავასახელოთ ზოგიერთი ასეთი ღონისძიება: წიაღისეულის უკანონოდ მოპოვებისთვის გამოყენებული მოწყობილობებისა და საშუალებების კონფისკაცია; უკანონო თევზჭერით მოპოვებული

თევზისა და საამისოდ გამოყენებული თევზჭერის საშუალებების კონფისკაცია; სავალუტო ფასეულობებისა და ფასიანი ქაღალდების კონფისკაცია (სავალუტო ოპერაციების წესების დარღვევისთვის) და ა.შ.

ამრიგად, შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დანაშაულის ჩადენის საშუალებებისა და დანაშაულის საგნების ამგვარი კონფისკაცია წარმოადგენდა დამატებით სისხლისსამართლებრივ ღონისძიებას, მაგრამ იგი არ მიეკუთვნებოდა სასჯელთა ღონისძიებებს.

აღსანიშნავია, რომ საბჭოთა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში 1985 წლის 1 ივლისს შეტანილ იქნა დამატება 23-ე მუხლის მე-4 ნაწილისა და 34[1]-ე მუხლის სახით, რომლებითაც დაწესდა ისეთი ახალი დამატებითი სასჯელი, როგორიც იყო პირად საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევა, რომელიც მდგომარეობდა კოდექსის კერძო ნაწილში მითითებული, ნასვამ მდგომარეობასთან დაკავშირებით სატრანსპორტო დანაშაულის (სსკ-ის 241-ე და 241[1]-ე მუხლები) ჩადენაში ბრალეული პირის პირად საკუთრებაში არსებული სატრანსპორტო საშუალების იძულებით ჩამორთმევასა და დადგენილი წესით მის შემდგომ რეალიზაციაში, ყოფილი მესაკუთრისთვის მიღებული თანხის გადაცემით, რომელსაც გამოაკლდებოდა რეალიზაციის ხარჯები, ამასთან, კანონის თანახმად, ეს ღონისძიება მითითებულ შემთხვევაში აუცილებლად უნდა ყოფილიყო გამოყენებული.

განხილულმა ქონებრივმა სანქციებმა (ქონების კონფისკაცია და სატრანსპორტო საშუალების სასყიდლიანი ჩამორთმევა), ზოგიერთი არაარსებითი რედაქციული ცვლილებებით, სისხლის სამართლის კოდექსში თავისი არსებობა შეინარჩუნა საქართველოს დამოუკიდებლობის პერიოდშიც, კერძოდ, 1997 წლის ოქტომბრამდე, როდესაც ქონების კონფისკა-

ცია და სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევა, როგორც სასჯელები, ამოღებულ იქნა იმ დროს მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან (1960 წლის 30 დეკემბრის რედაქცია შემდგომი ცვლილებებითა და დამატებებით).

უნდა აღინიშნოს, რომ განხილული სასჯელების — ქონების კონფისკაციისა და სატრანსპორტო საშუალების ჩამორთმევის კოდექსიდან ამოღებას წინ უძღოდა გარკვეული მოვლენა, რომელმაც ერთგვარად განაპირობა კანონმდებლის მიერ ხსენებულ სასჯელებზე უარის თქმა. მხედველობაშია შემდეგი: 1997 წელს თბილისის ჩუღურეთის რაიონის სასამართლომ, მის წარმოებაში არსებულ ერთ-ერთ სისხლის სამართლის საქმესთან დაკავშირებით, რომელშიც განსასჯელს ბრალი ედებოდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (1960 წლის 30 დეკემბრის რედაქცია შემდგომი ცვლილებებითა და დამატებებით) 96-ე მუხლის (ყაჩაღობა) საფუძველზე, რომლის სანქციით დამატებით სასჯელად გათვალისწინებული იყო ქონების კონფისკაცია, კონსტიტუციური წარდგინებით მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს იმჟამად მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის (მითითებული რედაქცია) 23-ე მუხლისა და 96-ე მუხლის კონსტიტუციურობის თაობაზე საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლთან მიმართებით, რომელიც იცავს საკუთრების ხელშეუხებლობას სახელმწიფოს მხრიდან შესაძლო უკანონო ქმედებისგან (საკუთრების უფლების გაუქმება ან ამ უფლების სხვაგვარი უკანონო შეზღუდვა). ხსენებულმა სასამართლომ თავის წარდგინებას საფუძვლად დაუდო შემდეგი დასაბუთება:

კონსტიტუციის 21-ე მუხლის თანახმად, დაუშვებელია საკუთრების საყოველთაო უფლების გაუქმება. საკუთრების შეზღუდვა დასაშვებია აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების შემთხვევაში, ისიც მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით. ქონების კონფისკაცია კი გულისხმობს მსჯავრდებულისა და მისი ოჯახის წევრების საკუთრების უფლების გაუ-

ქმებას ან ისეთ შეზღუდვას, რომელიც არ არის გამოწვეული საზოგადოებრივი საჭიროებით, ამასთან არ ხდება მისი ანაზღაურება. წარდგინების ავტორი ითხოვდა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე და 96-ე მუხლებში დამატებითი სასჯელის სახით ქონების კონფისკაციის არსებობის კონსტიტუციურობის დადგენას.
საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, რომელმაც აღნიშნული კონსტიტუციური წარდგინება განიხილა სისხლის სამართლისა და ცივილისტი სპეციალისტების მონაწილეობით, 1997 წლის 21 ივლისს მიიღო გადაწყვეტილება №1-51, რომლითაც დაადგინა შემდეგი:

1. ცნობილ იქნეს არაკონსტიტუციურად საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე მუხლის მე-5 ნაწილის პირველი პუნქტი და 96-ე მუხლის მე-2 ნაწილის სანქციის ის ნაწილი, რომელშიც დამატებითი სასჯელის სახით გათვალისწინებულია ქონების კონფისკაცია;
2. არაკონსტიტუციურად ცნობილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე მუხლის მე-5 ნაწილის პირველი პუნქტი და 96-ე მუხლის მე-2 ნაწილის სანქციის ის ნაწილი, რომელშიც დამატებითი სასჯელის სახით გათვალისწინებულია ქონების კონფისკაცია, იურიდიულად ძალადაკარგულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილების გამოქვეყნების დღიდან.

გარდა ამისა, საკონსტიტუციო სასამართლომ იქვე დაადგინა, რომ ეთხოვოს საქართველოს პარლამენტს მოქმედ კანონმდებლობაში შეიტანოს შესაბამისი ცვლილებები ამ გადაწყვეტილების დადგენილობითი ნაწილის პირველი პუნქტის გათვალისწინებით.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ, მოცემულ საქმეზე საკონსტიტუციო სამართალწარმოებაში მონაწილე ექსპერტების მიერ წარდგენილი დასკვნებიდან გამომდინ-

არე, თავის გადაწყვეტილებას საფუძვლად დაუდო შემდეგი დასაბუთება:

საქართველოს კონსტიტუციისა და საერთაშორისო სამართლის საყოველთაოდ აღიარებული პრინციპებიდან და ნორმებიდან გამომდინარე, საკუთრების უფლება წარუვალი და უზენაესი ადამიანური ღირებულებაა, საყოველთაოდ აღიარებული ძირითადი უფლება, დემოკრატიული საზოგადოების, სოციალური და სამართლებრივი სახელმწიფოს ქვაკუთხედია. საკუთრება ადამიანის ყოფიერების არსებითი საფუძველია. საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, „საკუთრება და მემკვიდრეობის უფლება აღიარებული და უზრუნველყოფილია. დაუშვებელია საკუთრების, მისი შეძენის, გასხვისების ან მემკვიდრეობით მიღების საყოველთაო უფლების გაუქმება". ქონების კონფისკაციის დაკანონება კი საკუთრების უფლების დაუცველობის გამოვლენაა, ამიტომ ქონების კონფისკაციის არსებობა დამატებითი სასჯელის სახით ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის პირველ პუნქტს.

ამავე დროს, საკონსტიტუციო სასამართლო მიიჩნევს, რომ საქართველოს კონსტიტუცია საკუთრებას გარკვეულ სოციალურ ფუნქციებს ანიჭებს. საკუთრების უფლების განხორციელებამ არ უნდა დაარღვიოს სხვათა უფლებები და თავისუფლება, ხოლო საკუთრებით სარგებლობა იმავდროულად უნდა ემსახურებოდეს საერთო კეთილდღეობას. თუ ეს მოთხოვნები არ სრულდება ან არსებობს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა სათანადო გარემოებანი, მაშინ საქართველოს კონსტიტუცია არ გამორიცხავს საკუთრების უფლების შეზღუდვას — თანახმად საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საკუთრების ჩამორთმევას — შესაბამისად იმავე მუხლის მე-3 პუნქტისა, რომელიც ადგენს: „აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროებისთვის საკუთრების ჩამორთმევა დასაშვებია კანონით პირდაპირ დადგენილ შემთხვევებში, სასამართლოს გადაწყვეტილებით

ან ორგანული კანონით დადგენილი გადაუდებელი აუცილებლობისას და მხოლოდ სათანადო ანაზღაურებით.

საკონსტიტუციო სასამართლო აღნიშნავს, რომ საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 34-ე მუხლის შესაბამისად, „ქონების კონფისკაცია მდგომარეობს სახელმწიფო საკუთრებად მსჯავრდებულის პირადი საკუთრების მთელი ქონების ან მისი ნაწილის იძულებით უსასყიდლოდ ჩამორთმევაში". მაშასადამე, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 23-ე მუხლით გათვალისწინებული კონფისკაცია არ შეესაბამება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტით დადგენილ საკუთრების ჩამორთმევას, რომლისთვისაც ერთ-ერთ აუცილებელ პირობას წარმოადგენს სათანადო ანაზღაურება. ამასთან ერთად, საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ქონების კონფისკაცია თავისი შედეგებით არ შეესაბამება სასჯელის ინდივიდუალობის ძირითად პრინციპს, რადგანაც იგი ჩვეულებრივ მიმართულია არა მხოლოდ დამნაშავის, არამედ მისი ოჯახის უდანაშაულო წევრების წინააღმდეგაც. საქართველოს პარლამენტმა გაითვალისწინა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს რეკომენდაცია და 1997 წლის 17 ოქტომბრის კანონით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსიდან (მითითებული რედაქცია) ამოიღო სასჯელის ისეთი სახეები, როგორიც იყო ქონების კონფისკაცია და სატრანსპორტო საშუალების სასყიდლიანი ჩამორთმევა,[4] თუმცა აღნიშნული კოდექსის კერძო ნაწილის ცალკეულ მუხლებში კვლავაც დარჩა ზოგიერთი სახის დანაშაულისთვის დაწესებული სპეციალური კონფისკაცია ამ დანაშაულთა საგნებისა და მათი ჩადენის საშუალებებისა. საკონსტიტუციო სასამართლომ თავის გადაწყვეტილებაში საგანგებოდ მიუთითა, რომ იგი, მოცემულ შემთხვევაში, შემოიფარგლება მხოლოდ კონსტიტუციურ წარდგინებაში დასმული საკითხის განხილვით და არ ეხება ეგრეთწოდებულ სპეციალურ კონ-

[4] იხ. „პარლამენტის უწყებანი", 1997 წ., №44.

ფისკაციას, რომელმაც თავისი არსებობა პირვანდელი ფორმით შეინარჩუნა 2000 წლის 1 ივნისამდე — საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსის[5] ამოქმედებამდე.

საქართველოს ახალმა სისხლის სამართლის კოდექსმაც (მითითებული რედაქცია) გაითვალისწინა იძულების ღონისძიების სახით დანაშაულის საგნისა და საშუალების უსასყიდლოდ ჩამორთმევა, ოღონდ მისი წინამორბედი კოდექსისგან რამდენადმე განსხვავებული ფორმით. იმ ეტაპზე ახალი კოდექსით იგი არ იქნა მიჩნეული ძირითად ან დამატებით სასჯელად, კერძოდ, აღნიშნული კოდექსის 41-ე მუხლს დაემატა მე-3 ნაწილი (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) რომლითაც დადგენილ იქნა შემდეგი: „დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ ამ კოდექსის 214-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასჯელთან ერთად შეიძლება გამოყენებულ იქნეს სისხლის-სამართლებრივი იძულების ღონისძიება დანაშაულის საგნის ან საშუალების ჩამორთმევის სახით",[6] თუმცა ასეთი ნორმა აღნიშნული მუხლის თავდაპირველ რედაქციაში, იგულისხმება 1999 წლის 22 ივლისის რედაქცია, არ არსებობდა. სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლით კი დაწესებულია პასუხისმგებლობა საფინანსო საქმიანობის სფეროში ჩადენილი ისეთი დანაშაულებრივი ქმედებისთვის, როგორიცაა საბაჟო წესების დარღვევა, რომელშიც იგულისხმება საქართველოს საბაჟო საზღვარზე დიდი ოდენობით მოძრავი ნივთის გადატანა ან გადმოტანა, ჩადენილი საბაჟო კონტროლის გვერდის ავლით ან მისგან მალულად, დოკუმენტის ან საბაჟო იდენტიფიკაციის საშუალების მოტყუებითი გამოყენებით, დეკლარაციაში ყალბი მონაცემების შეტანით.

პარალელურად იმავე საკანონმდებლო ნოვაციის შედეგად

---

[5] 1999 წლის 22 ივლისის რედაქცია. იხ. „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე," №41 (48), 1999 წ., მუხლი 209-ე.

[6] იხ. „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე", I, 2000 წ., №18, მუხლი 45-ე.

მთლიანად შეიცვალა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლის რედაქცია და იგი ჩამოყალიბდა შემდეგი ახალი შინაარსით:

მუხლი 52. დანაშაულის საგნის ან საშუალების ჩამორთმევა

1. დანაშაულის საგნის ან საშუალების ჩამორთმევა ნიშნავს მსჯავრდებულისთვის მის საკუთრებაში ან კანონიერ მფლობელობაში არსებული, განზრახი დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული ნივთის უსასყიდლოდ ჩამორთმევას.
2. ნივთის ჩამორთმევის საკითხს წყვეტს სასამართლო. ასეთი ღონისძიების გამოყენება შეიძლება იმ შემთხვევაში, როცა იგი საჭიროა სახელმწიფო და საზოგადოებრივი აუცილებლობიდან ან ცალკეულ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე ანდა ახალი დანაშაულის თავიდან აცილების მიზნით".

ამასთან ერთად, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის შენიშვნას დაემატა მე-2 პუნქტი ასეთი შინაარსით:

„საბაჟო წესის დარღვევისათვის სასჯელთან ერთად შეიძლება გამოყენებულ იქნეს სისხლისსამართლებრივი იძულების ღონისძიება დანაშაულის საგნის ან საშუალების ჩამორთმევის სახით".

უფრო მოგვიანებით, 2002 წლის 4 ივლისის საკანონმდებლო ცვლილებებით საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 41-ე მუხლის მე-3 ნაწილში მიეთითა ასევე ამავე კოდექსის 344-ე მუხლზეც, რაც იმას ნიშნავდა, რომ დანაშაულის საგნის ან საშუალების ჩამორთმევა შეიძლებოდა გამოყენებულ ყოფილიყო ისეთი დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართაც, როგორიცაა საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა. იმავდროულად საქართველოს სსკ-ის 344-ე მუხლის (2002 წლის 4 ივლისის რედაქცია) შენიშვნას დაემატა

მე-2 პუნქტი, რომლის მიხედვით: „საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისთვის სასჯელთან ერთად შეიძლება გამოყენებულ იქნეს სისხლისსამართლებრივი იძულების ღონისძიება დანაშაულის საგნის ან საშუალების ჩამორთმევით“.[7]

ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილებების მოკლე ისტორიულ ანალიზს სრულიად ცალსახად მივყავართ შემდეგ დასკვნებამდე: 1. დანაშაულის საგნის ან საშუალების ჩამორთმევა წარმოადგენდა მხოლოდ სისხლისსამართლებრივი იძულების დამატებით ღონისძიებას და იგი არ იყო ძირითადი ან დამატებითი სასჯელი, ამიტომ სრულიად ბუნებრივია, რომ აღნიშნული ღონისძიება არ იყო შეტანილი საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-40 მუხლში (1999 წლის 22 ივლისის რედაქცია) მოცემულ სასჯელთა ჩამონათვალში; 2. დანაშაულის საგნის ან საშუალების ჩამორთმევა რადიკალურად განსხვავდებოდა საქართველოს წინა სისხლის სამართლის კოდექსით (1960 წლის 30 დეკემბრის რედაქცია შემდგომი ცვლილებებითა და დამატებებით) გათვალისწინებული დამატებითი სასჯელის — ქონების კონფისკაციისგან, რომელშიც იგულისხმებოდა მსჯავრდებულისგან მის საკუთრებაში არსებული ისეთი ქონების მთლიანად ან ნაწილობრივ უსასყიდლოდ ჩამორთმევა სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემით, რომელიც არავითარ კავშირში არ იყო მის მიერ ჩადენილ დანაშაულთან; 3. დანაშაულის საგნის ან საშუალების ჩამორთმევა გამოიყენებოდა მხოლოდ სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის შესაბამისი მუხლებით პირდაპირ გათვალისწინებულ შემთხვევაში კონკრეტული განზრახი დანაშაულის ჩამდენი პირის მიმართ, ხოლო ასეთი დანაშაული, როგორც აღინიშნა, იყო სულ ორი — გათვალისწინებული საქართველოს სსკ-ის 214-ე და 344-ე მუხლებით; 4. დანაშაულის საგნის ან საშუალების ჩამორთმევის

[7] იხ. „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, I, 24.07.2002 წ., №23, მუხლი 113-ე.

გამოყენება არ იყო ყოველთვის აუცილებელი და გარდაუვალი, არამედ მისი გამოყენება დაშვებული იყო გარკვეული პირობების დაცვით, კერძოდ მაშინ, როცა იგი საჭირო იყო სახელმწიფო და საზოგადოებრივი აუცილებლობიდან ან ცალკეულ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე, ანდა ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად; 5. დანაშაულის საგნის ან საშუალების ჩამორთმევის უფლებამოსილება გააჩნდა მხოლოდ სასამართლოს ანუ მისი გამოყენება შესაძლებელი იყო მხოლოდ სასამართლოს განაჩენის საფუძველზე.

ამგვარად გამოიყურება განსახილველი სისხლისსამართლებრივი ინსტიტუტის წინამორბედთა განვითარების მოკლე ისტორია, მაგრამ აქ წარმოდგენილი ბოლო ვითარება, საკანონმდებლო თვალსაზრისით, აღნიშნულ სისხლისსამართლებრივ ინსტიტუტთან მიმართებით დიდხანს არ გაგრძელებულა, დაახლოებით 3-4 წლის შემდეგ მან, საკანონმდებლო განსაზღვრულობის თვალსაზრისით, არსებითი ხასიათის ძირეული ცვლილებები განიცადა, რის გამოც იგი სრულიად ახლებური სახით წარმოჩინდა, რომელიც დამატებითი ხასიათის სისხლისსამართლებრივი იძულების ღონისძიებიდან გადაიქცა დამატებითი სასჯელის ერთ-ერთ სახედ. ამდენად, მან სრულიად სხვაგვარი მნიშვნელობა შეიძინა, ვიდრე მას მანამდე ჰქონდა, ამის მიმანიშნებელია თვით მისი ახალი სახელწოდებაც კი — „ქონების ჩამორთმევა“ (იგულისხმება მისი უსასყიდლოდ ჩამორთმევა და სახელმწიფოს საკუთრებაში გადაცემა), რითაც იგი თითქოსდა დაუახლოვდა ქონების კონფისკაციას, რომელსაც საბჭოთა ეპოქასა და მის შემდგომ პოსტკომუნისტურ პერიოდში მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსი იცნობდა, მაგრამ აღნიშნული ინსტიტუტის ამჟამად მოქმედი სამართლებრივი სტატუსის საფუძვლიანი ანალიზი არ იძლევა მსგავსი დასკვნის გაკეთების საფუძველს, რადგან ამჯერად საკითხი ეხება სულ სხვა ქონებას, რის გამოც მსგავსება ერთობ ზედაპირულია, ხოლო სინამდვილეში საქმე

გვაქვს ერთმანეთისგან აშკარად განსხვავებულ სამართლებრივ მოვლენებთან.

ყოველივე ნათქვამის შემდეგ აუცილებლად უნდა აღინიშნოს ისიც, რომ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში 2006 წლამდე მოქმედებდა საპროცესო კონფისკაციის ინსტიტუტი. იგი დაკავშირებული იყო სისხლის სამართლის საქმეზე წარმოების დასრულებისას ნივთიერი მტკიცებულებების შემდგომი ბედის თაობაზე საკითხის გადაწყვეტასთან. საუბარია საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსზე, რომელიც მიღებულ იქნა 1998 წლის 20 თებერვალს და ამოქმედდა 1999 წლის 15 მაისიდან.[8] ამ კოდექსის რამოდენიმე მუხლში მოცემული იყო საპროცესო ნორმები, რომლებიც შეეხებოდა საპროცესო კონფისკაციის გამოყენების საფუძველს, პირობებსა და წესს. უწინარესად მხედველობაშია აღნიშნული კოდექსის 124-ე მუხლი, რომელიც არეგულირებდა წინასწარი გამოძიების სტადიაზე ან სასამართლოში საქმის შეწყვეტის შემთხვევაში საპროცესო სამართალწარმოების დამთავრების დროს ნივთიერ მტკიცებულებათა თაობაზე მისაღებ გადაწყვეტილებასთან დაკავშირებულ საკითხებს და რომლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტი ადგენდა: „თუ დანაშაულის იარაღს ღირებულება არა აქვს, იგი ნადგურდება, ხოლო თუ მას აქვს რაიმე ღირებულება, ხდება მისი საპროცესო კონფისკაცია". ამავე მუხლის მე-2 ნაწილში კი მითითებული იყო, რომ წინასწარი გამოძიების სტადიაზე საქმის შეწყვეტისას მატერიალური ღირებულების მქონე ნივთიერი მტკიცებულების საპროცესო კონფისკაცია ხდება მხოლოდ მოსამართლის დადგენილების საფუძველზე. ამ საკითხს მოსამართლე განიხილავს ყველა დაინტერესებული პირის მონაწილეობით, იმ დოკუმენტების საფუძველზე, რომლებსაც წარადგენს საგამოძიებო ორგანო. იქვე, განხილული მუხლის მე-4 ნაწილში, აღნიშნული იყო: მსჯავრდებულის იმ ქონებაზე, რომელიც ექვემდებარება საპროცესო

[8] იხ. „საქართველოს პარლამენტის უწყებანი", 8.04.1998 წ., მუხლი №13-14.

კონფისკაციას, არ ვრცელდება ფულადი კომპენსაცია, რაც იმას ნიშნავდა, რომ საპროცესო კონფისკაცია ეს იყო ქონების (ნივთის) უსასყიდლოდ ჩამორთმევა მისი მესაკუთრისგან ან მფლობელისგან და სახელმწიფო ბიუჯეტში გადაცემა.

გარდა ამისა, აღნიშნული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 410-ე მუხლის მე-2 ნაწილში (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია) მითითებული იყო, რომ საბრალდებო დასკვნას უნდა დაერთოს ცნობა შესაძლო საპროცესო კონფისკაციის შესახებ, ხოლო 412-ე მუხლის „კ“ ქვეპუნქტი (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია) საბრალდებო დასკვნით შემოსულ საქმეზე პროკურორს ავალდებულებდა შეემოწმებინა — მიღებული იყო თუ არა საჭირო ზომები შესაძლო საპროცესო კონფისკაციის უზრუნველსაყოფად. იმავე კოდექსის 424-ე მუხლის (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია) „კ“ ქვეპუნქტის მიხედვით, რომელიც ეხებოდა 2006 წლის 28 აპრილამდე არსებულ ბრალდებულის სამართალში მიცემის ინსტიტუტს, მოსამართლეს ბრალდებულის სამართალში მიცემის სტადიაზე სხვა საკითხებთან ერთად უნდა განეხილა და გაერკვია საკითხი — მიღებულია თუ არა ზომები შესაძლო საპროცესო კონფისკაციის უზრუნველსაყოფად, რომელშიც უწინარესად მოიაზრებოდა ქონების (ნივთის) დაყადაღება. ამასთანავე, ხსენებული კოდექსის 498-ე მუხლის (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია) პირველი ნაწილის „ლ“ ქვეპუნქტის შესაბამისად განაჩენის დადგენისას სასამართლოს სხვა საკითხებთან ერთად უნდა გადაეწყვიტა საკითხი იმის შესახებ გასაუქმებელია თუ არა შესაძლო საპროცესო კონფისკაციის უზრუნველსაყოფად მიღებული ზომები, ხოლო 511-ე მუხლის „ე“ ქვეპუნქტის (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია) თანახმად გამამართლებელი განაჩენის დადგენის შემთხვევაში ამ განაჩენის სარეზოლუციო ნაწილში სასამართლოს უნდა მიეღო გადაწყვეტილება საპროცესო კონფისკაციის უზრუნველსაყოფად მიღებული ღონისძიების გაუქმების თაობაზე.

2004 წლის 9 მარტს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში შეტანილი ცვლილებების შედეგად ამ კოდექსის 44-ე მუხლს დაემატა 48-ე ნაწილი, რომლითაც განსაზღვრული იყო საპროცესო კონფისკაციის ცნება შემდეგი შინაარსით: „საპროცესო კონფისკაცია — დანაშაულის იარაღისა და საგნის უსასყიდლოდ ჩამორთმევა“.[9]

ამრიგად, ირკვევა, რომ 2000 წლის მაისიდან, მას შემდეგ, რაც საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილ იქნა დანაშაულის საგნისა და საშუალების ჩამორთმევის ინსტიტუტი, საქართველოს სისხლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობაში პარალელურად ფუნქციონირებდა ფაქტობრივად მსგავსი ინსტიტუტები, რომლებიც თავისი არსით ერთმანეთს ემთხვეოდა ნაწილობრივ, რის გამოც მათ იდენტურობაზე ვერ ვისაუბრებთ. მართალია, როგორც ერთი, ისე მეორე წარმოადგენდა დანაშაულის საგნის, ასევე დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული იარაღისა თუ სხვა საშუალების უსასყიდლოდ ჩამორთმევას, რაც სასამართლო წესით ხორციელდებოდა, მაგრამ მათ შორის მსგავსება მხოლოდ ამ ნიშნით ამოიწურებოდა, სხვა მხრივ კი მათ შორის მნიშვნელოვანი სხვაობები იყო. მაგალითად: სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლით (2000 წლის 5 მაისის რედაქცია) გათვალისწინებული დანაშაულის საგნისა და საშუალების ჩამორთმევა გამოიყენებოდა მხოლოდ შემდეგი ორი განზრახი დანაშაულის ჩადენისას — ესენია ამავე კოდექსის 214-ე მუხლით (საბაჟო წესის დარღვევა) და 344-ე მუხლით (საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთა) გათვალისწინებული ქმედებები, ხოლო საპროცესო კონფისკაცია გამოიყენებოდა ნებისმიერი განზრახი დანაშაულის ჩადენისას; მატერიალური კოდექსის ხსენებული ნორმა ხაზს უსვამდა დანაშაულის ჩამდენი პირის საკუთრებაში ან

[9] იხ. „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, I, 09.03.2004წ., №6, მუხ. 21-ე.

კანონიერ მფლობელობაში არსებული ნივთის ჩამორთმევაზე მაშინ, როდესაც საპროცესო კონფისკაცია ვრცელდებოდა ნებისმიერ ნივთზე, რომელიც დანაშაულის ჩასადენად იყო გამოყენებული ან მის საგანს წარმოადგენდა (ცხადია, ამ უკანასკნელში არ იგულისხმებოდა დაზარალებულისგან დამნაშავის, მაგალითად მძარცველის ან ყაჩაღის მიერ გატაცებული ანდა თაღლითის მიერ გამოტყუებული ნივთი ან სხვა ფასეულობა) მიუხედავად მისი კუთვნილებისა; სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლი (მითითებული რედაქცია) დამნაშავის საკუთრებაში ან კანონიერ მფლობელობაში არსებული ქონების უსასყიდლოდ ჩამორთმევისთვის აწესებდა გარკვეულ დამატებით პირობებს, სახელდობრ, ასეთი ჩამორთმევა დაიშვებოდა მხოლოდ მაშინ, როცა იგი საჭირო იყო სახელმწიფო და საზოგადოებრივი აუცილებლობიდან ან ცალკეულ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე ანდა ახალი დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, საპროცესო კონფისკაციის დროს კი ნივთის ან დანაშაულის საგნის ჩამორთმევისთვის მსგავსი პირობების არსებობა და დასაბუთება საჭირო არ იყო. დასახელებული ორი ინსტიტუტი ერთმანეთთან არ იმყოფებოდა იმ ტრადიციულ ურთიერთდამოკიდებულებაში, რომლის მიხედვით სისხლის საპროცესო სამართლებრივი ინსტიტუტები განიხილება მატერიალურ სისხლის სამართალში დადგენილი პასუხისმგებლობის რეალიზაციის საშუალებად, ისინი ერთმანეთისგან დამოუკიდებლად ფუნქციონირებდნენ.

სამართლებრივი სანქციის სახით საქართველოს მოქმედ სისხლის სამართლის კანონმდებლობაში შეტანამდე ქონების ჩამორთმევის ინსტიტუტი, როგორც საპროცესო სამართლებრივი ღონისძიება, 2004 წლის დასაწყისიდან 2006 წლამდე პერიოდში, ჩნდება საქართველოს კანონმდებლობის სხვა სფეროებში. საქართველოს პარლამენტმა 2004 წლის 13 თებერვალს მიღებული კანონებით შეიტანა დამატებები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექს-

სა და საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში, რომელთაც სათავე დაუდეს ქართულ სამართლებრივ სივრცეში ქონების ჩამორთმევის, როგორც დამნაშავეზე სამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიების ფუნქციონირებას. კერძოდ, საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსს დაემატა 37[1] მუხლი — „პროკურორის სარჩელი თანამდებობის პირის ქონების ჩამორთმევასა და სახელმწიფოსთვის გადაცემასთან დაკავშირებით“, შემდეგი შინაარსით:

1. „თუ პროკურორს აქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ბრალდებული თანამდებობის პირის მფლობელობაში არსებული ქონება შესაძლებელია იყოს მოპოვებული ამ კოდექსის 44-ე მუხლის 47-ე ნაწილში მითითებული დანაშაულის ჩადენის შედეგად, იგი აღძრავს სარჩელს თანამდებობის პირის მფლობელობაში არსებული უკანონო ან დაუსაბუთებელი ქონების, აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული შემოსავლების, აქციების (წილის) ჩამორთმევისა და სახელმწიფოსთვის გადაცემასთან დაკავშირებით.

2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში საქმის წარმოება მიმდინარეობს საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით“.[10]
ამასთანავე, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლს, სადაც მოცემული იყო ცნებათა და ტერმინთა განმარტებანი ამ კოდექსისათვის, დაემატა 47-ე ნაწილი, რომელიც განსაზღვრავდა თანამდებობის პირის ცნებას აღნიშნული კოდექსის მიზნებისათვის:

„თანამდებობის პირი (რომლის მიმართაც ხორციელდება სისხლის სამართლის პროცესი) — ამ კანონის მიზნებისათვის, „საჯარო სამსახურში ინტერესთა შეუთავსებლობისა და კორუფციის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-2 მუხლით

[10] იხ. „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე“, I, 2004 წ., №6, მუხლი 21-ე.

გათვალისწინებული თანამდებობის პირი, საჯარო მოხელე, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ხელმძღვანელი ან მისი მოადგილე, ან საწარმოში, რომელშიც სახელმწიფო ფლობს წილის (აქციათა) 50%-ს ან 50%-ზე მეტს, ხელმძღვანელობითი ანდა წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირი, რომელსაც ბრალად ედება თანამდებობაზე ყოფნის პერიოდში შესაბამისად სამოხელეო ან სამეწარმეო ან სხვა ორგანიზაციაში სამსახურის ინტერესის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენა, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაცია, გამოძალვა, მითვისება ან გაფლანგვა, გადასახადებისგან თავის არიდება ან საბაჟო წესების დარღვევა, მიუხედავად იმისა, გათავისუფლებულია თუ არა იგი დაკავებული თანამდებობიდან".[11]

როგორც აღინიშნა იმავდროულად შესაბამისი ცვლილება იქნა შეტანილი საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში, კერძოდ, აღნიშნულ კოდექსს დაემატა VII[2] თავი 21[4], 21[11] მუხლებით (2004 წლის 13 თებერვლის რედაქცია), რომელშიც განისაზღვრა თანამდებობის პირთა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევასა და სახელმწიფოსთვის გადაცემასთან დაკავშირებით განხორციელებული ადმინისტრაციული სამართალწარმოების მარეგლამენტირებელი ნორმები.[12]

ამრიგად, მოცემული საკანონმდებლო ცვლილებების ძალით პროკურორს მინიჭებული ჰქონდა უფლებამოსილება, სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37[1]-ე მუხლის პირველ ნაწილში მითითებულ დანაშაულთა ჩადენის შემთხვევებში, თანამდებობის პირის მიმართ სისხლის სამართალწარმოების დაწყების პარალელურად ამ პირის მიმართ შეეტანა

[11] იხ. „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე", I, 2005 წ. №14, მუხლი 94-ე.

[12] იხ. „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე", I, 2004 წ., №6, მუხლი 29-ე.

სარჩელი ქონების ჩამორთმევის თაობაზე ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით ისე, რომ არ დალოდებოდა სისხლის სამართლის საქმეზე საბოლოო სასამართლო გადაწყვეტილების მიღებასა და ამ გადაწყვეტილების კანონიერ ძალაში შესვლას. მოგვიანებით საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსის 21[4] მუხლის მე-2 ნაწილში შეტანილი ცვლილების მიხედვით პროკურორს აღნიშნული სარჩელის შეტანა შეეძლო თანამდებობის პირის მიმართ სასამართლოს განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან 30 დღის ვადაში. ცხადია, რომ აქ იგულისხმებოდა სისხლის სამართლის საქმეზე სამართალწარმოების მთლიანად დასრულების საბოლოო მომენტიდშან ათვლილი ოცდაათდღიანი ვადა. ეს იმას ნიშნავს, რომ აღნიშნული კანონების თავდაპირველი რედაქციით მოქმედების პერიოდში რომელიმე ზემოხსენებული დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირის მფლობელობაში არსებული ქონების ჩამოსართმევად აუცილებელი არ იყო ამ ქონების უკანონო ან დაუსაბუთებელი ხასიათის, სხვაგვარად რომ ითქვას, მისი დანაშაულებრივი წარმომავლობის თაობაზე კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენით დადასტურებული საფუძვლის არსებობა, არამედ საამისოდ საკმარისი იყო პროკურორის საფუძვლიანი ეჭვი. ასეთი ვითარება არ გამორიცხავდა ისეთ შესაძლებლობას, რომ მსგავს შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალწარმოების წესით მომხდარიყო ბრალდებული თანამდებობის პირისგან ქონების ჩამორთმევა, ხოლო ამის შემდეგ კი იგი სასამართლოს უდანაშაულოდ ეცნო.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის 21[4] მუხლმა (პირველი ნაწილი) ფრიად გააფართოვა ქონებაჩამოსართმევ პირთა წრე, განსხვავებით სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 37[1]-ე მუხლისგან, რადგან ეს უკანასკნელი შემოიფარგლებოდა მხოლოდ უშუალოდ დანაშაულის ჩამდენი თანამდებობის პირის დასახელებით, ხოლო ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ხსენებულმა ნორმამ (21[4]-ე მუხლის პირველი ნაწილი) კი დანაშაულის ჩადენაში ბრალდებულ თანამდებობის პირს

დაუმატა მისი ოჯახის წევრი, ახლო ნათესავი და მასთან დაკავშირებული პირი, ანუ შესაძლებლად მიიჩნევდა სარჩელის აღძვრას აგრეთვე მათ მფლობელობაში არსებული ქონების ჩამოსართმევად, გარდა უშუალოდ ბრალდებული თანამდებობის პირის მფლობელობაში არსებული ქონებისა.

გარდა ამისა, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII[2] თავი წყვეტდა ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებსაც, სახელდობრ, იგი განსაზღვრავდა: ქონების უკანონოდ და დაუსაბუთებლად ცნობის პირობებს (მუხლი 21[6]); ზემოთ მითითებულ პირთა მფლობელობაში არსებული ქონების დაყადაღების პირობებს (მუხლი 27[7]); ქონების უკანონოდ და დაუსაბუთებლად ცნობის იურიდიულ შედეგებს (მუხლი 21[8]); ქონების ჩამორთმევის თაობაზე შეტანილი სარჩელის დაუკმაყოფილებლობის შედეგებს (მუხლი 21[10]), აგრეთვე ქონების ჩამორთმევის თაობაზე შეტანილ სარჩელთან დაკავშირებით დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის პირობებს (მუხლი 21[11]). ამასთან ერთად, ყურადღება უნდა მიექცეს ამ კანონის 21[9] მუხლის შინაარსს, რომელიც ერთგვარ გაურკვევლობას ბადებდა. მასში აღნიშნული იყო შემდეგი:

მუხლი 21[9]. თანამდებობის პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა

1. თუ სასამართლო დაადასტურებს, რომ თანამდებობის პირის, მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან დაკავშირებული პირის მფლობელობაში იმყოფება უკანონო და დაუსაბუთებელი ქონება და სასამართლო პროცესის მსვლელობისას თანამდებობის პირის მიერ ჩადენილ ქმედებაში გამოიკვეთა სისხლის სამართლის დანაშაულის ნიშნები, პროკურორი იწყებს სისხლისსამართლებრივ დევნას მის წინააღმდეგ.
2. ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სამართალწარმოება მიმდინარეობს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით“.

ამ ნორმის მიხედვით გაუგებარი იყო თანამდებობის პირის მიერ ჩადენილი რომელი დანაშაულია მასში ნაგულისხმევი. თუკი მასში ნაგულისხმევია ნებისმიერი სხვა დანაშაული და არა ის დანაშაული, რომლისთვისაც მსჯავრდების საფუძველზე იყო შეტანილი სარჩელი უკანონო ან დაუსაბუთებელი ქონების ჩამოსართმევად, მაშინ ასეთი ნორმის არსებობა სრულიად ზედმეტია, რადგან იმ დროისათვის მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის თანახმად, დანაშაულის ნიშნების აღმოჩენის ყველა შემთხვევაში, პროკურორი ისედაც იყო ვალდებული დაეწყო სისხლისსამართლებრივი დევნა ასეთი ქმედების ჩამდენის მიმართ, მიუხედავად იმისა, ეს უკანასკნელი წარმოადგენდა თუ არა თანამდებობის პირს, საამისოდ კი პროკურორი ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსისგან დამატებით მითითებას არ საჭიროებდა. აქ აღნიშნული ნორმების შესახებ მსჯელობას აღარ გავაგრძელებთ, რადგან ამ ნორმებით გათვალისწინებული საკითხი ქვემოთ უფრო ვრცლად იქნება განხილული.

შეიძლება დაბეჯითებით ითქვას, რომ თუკი საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში ბრალდებული და მსჯავრდებული თანამდებობის პირებისგან უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის შესახებ შეტანილი ცვლილებები და დამატებები მიმართული იყო კორუფციის წინააღმდეგ, შემდგომში ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებით საქართველოს სხვა საკანონმდებლო აქტებში შეტანილი ცვლილებები და დამატებები უკვე პირდაპირ იყო მიმართული ორგანიზებული დანაშაულობის წინააღმდეგ, რომელიც ბოლო წლებში მსოფლიო მასშტაბის გლობალურ პრობლემად იქცა. ამ თვალსაზრისით პირველ რიგში აღსანიშნავია საქართველოს პარლამენტის მიერ 2004 წლის 24 ივნისს მიღებული კანონი „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“, რომელიც ოთხი მუხლისგან შედგებოდა, რომელთაგან პირველი მუხლი განსაზღვრავდა ამ კანონის

მიღების მიზანს — ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის წინააღმდეგ ბრძოლის გაძლიერება და ასეთი სახის დანაშაულთა თავიდან აცილება. იმავე კანონის მეორე მუხლი შედგებოდა სამი პუნქტისგან, აქედან პირველი პუნქტი განსაზღვრავდა რეკეტის ცნებას, მე-2 პუნქტი — რეკეტული დაჯგუფების, ხოლო მე-3 პუნქტი — რეკეტირის ცნებას. აღნიშნული კანონის მე-3 მუხლიც სამი პუნქტისგან შედგებოდა, რომლებშიც განსაზღვრული იყო რეკეტირის ოჯახის წევრის, რეკეტირის ახლო ნათესავისა და რეკეტირთან დაკავშირებული პირის ცნებები.

ამ კანონის პარალელურად 2004 წლის 24 ივნისს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის (1997 წლის 14 ნოემბრის რედაქცია შემდგომი ცვლილებებითა და დამატებებით) მეშვიდე კარს დაემატა XLIV[1] თავი შემდეგი სათაურით: „წარმოება რეკეტული ქონების ჩამორთმევასა და სახელმწიფოსთვის გადაცემასთან დაკავშირებით". აღნიშნული თავი შედგებოდა ექვსი მუხლისგან. ამ თავის პირველივე მუხლში მოცემული იყო ტერმინთა განმარტებანი (მუხლი 356[1]), რომელშიც გადატანილი იყო რეკეტის, რეკეტული დაჯგუფების, რეკეტირის, რეკეტიერის ოჯახის წევრის, რეკეტიერის ახლო ნათესავის, რეკეტირთან დაკავშირებული პირისა და რეკეტული ქონების იგივე ცნებები, რომლებიც განმარტებული იყო საქართველოს კანონში „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ".

გარდა ამისა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLIV[1] თავში მოცემული ნორმები განსაზღვრავდნენ რეკეტული ქონების ჩამოსართმევად სარჩელის აღძვრასთან, ქონების რეკეტულად ცნობასთან, რეკეტული ქონების დაყადაღებასთან დაკავშირებულ საკითხებს. აგრეთვე რეკეტული ქონების უკანონოდ და დაუსაბუთებლად ცნობის იურიდიულ შედეგებსა და რეკეტული ქონების ჩამორთმევის თაობაზე დაუსაბუთებელი გადაწყვეტილების გამოტანის პირობებს, ანალოგიურად იმ საკითხებისა, რომლებიც მოცე-

მული იყო თანამდებობის პირთა ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებით, ზემოთ განხილულ საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის VII[2] თავში ჩამოყალიბებულ საპროცესო ნორმებში.[13]

მომდევნო პერიოდში კვლავ იქნა შეტანილი გარკვეული ცვლილებები და დამატებები საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLIV[1] თავში, რომლის სახელდებაც ასე ჩამოყალიბდა: „თავი XLIV[1]. წარმოება რეკეტული ან ქურდული სამყაროს წევრის ქონების ჩამორთმევასა და სახელმწიფოსთვის გადაცემასთან დაკავშირებით" (2005 წლის 20 დეკემბრის რედაქცია).[14] ამ თავში წარმოდგენილ ნორმებში, ხსენებული ცვლილებებისა და დამატებების შეტანის გზით განხორციელდა ერთგვარი სინთეზირება იმ ინსტიტუტებისა, რომლებითაც რეგლამენტირებული იყო რეკეტული დაჯგუფებებისა და რეკეტირების, ასევე კანონიერი ქურდებისა და ქურდული სამყაროს სხვა წევრების, აგრეთვე მათი ოჯახის წევრების, ახლო ნათესავებისა და მათთან დაკავშირებული სხვა პირების ხელში არაკანონიერი (დანაშაულებრივი) გზით მოხვედრილი ქონების უკანონოდ და დაუსაბუთებლად ცნობისა და ჩამორთმევის პირობები, საფუძვლები და წესები, რომელთა არსი შემდგომში იქნება განხილული, ამიტომ მათ შესახებ აქ მსჯელობას აღარ გავაგრძელებთ. ეს ცვლილებები საქართველოს სამოქალაქო პროცესში განპირობებული იყო „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ" 2004 წლის 24 ივნისის კანონის შეცვლით, რამაც სათავე დაუდო საქართველოს მოქმედ კანონმდებლობაში ქონების ჩამორთმევის ინსტიტუტის თანამედროვე ფორმით ჩამოყალიბებასა და განვითარებას.

---

[13] იხ. „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე", I, 09.07.2004 წ., №18, მუხ. 64-ე.

[14] იხ. „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე," I, 29.12.2005 წ., №57, მუხ. 441-ე.

ასეთია ქონების ჩამორთმევის ინსტიტუტისა და მისი წინამორბედი სამართლებრივი ინსტიტუტების წარმოშობისა და განვითარების მოკლე ისტორია, რომლის შემდეგ განვიხილავთ თუ როგორ არის წარმოდგენილი აღნიშნული ინსტიტუტი თანამედროვე პერიოდის ქართულ მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობაში.

§ 2. ქონების ჩამორთმევა, როგორც მატერიალურ სამართლებრივი სანქცია და საპროცესო-სამართლებრივი ზემოქმედების ღონისძიება, თანამედროვე ეტაპზე მოქმედ ქართულ კანონმდებლობაში

2005 წლის დასასრულიდან სრულიად ახალი ეტაპი იწყება ქართულ სამართლებრივ სინამდვილეში ქონების ჩამორთმევის ინსტიტუტის ახლებურად ჩამოყალიბებისა და განვითარების თვალსაზრისით. კერძოდ, 2005 წლის 20 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა გააუქმა საქართველოს კანონი „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ" 2004 წლის 24 ივნისის რედაქციით და მის ნაცვლად მიღებულ იქნა ახალი კანონი იგივე დასახელებით, რომელშიც რეკეტთან და რეკეტული ქონების ჩამორთმევის საკითხებთან ერთად განსაზღვრულ იქნა ასევე ქურდული სამყაროს, ქურდული სამყაროს წევრისა და კანონიერი ქურდის ცნებები. აგრეთვე ქურდული სამყაროს წევრთა და მათთან დაკავშირებულ პირთა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებული საკითხები.[15] ეს კანონი მიზნად ისახავს ხელი შეუწყოს ორგანიზებული დანაშაულის, ქურდული სამყაროსა და რეკეტის წინააღმდეგ ბრძოლასა და მათ თავიდან აცილებას, რომლის მე-5 მუხლი ადგენს რეკეტული ქონებისა და ქურდული სამყაროს წევრის უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის შემდეგ სამართლებრივ საფუძვლებს:

[15] საქართველოს კანონი „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ", 2005 წლის 20 დეკემბრის რედაქცია. იხ. „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე", I, 29.12.2005 წ., №57, მუხ. 438-ე.

მუხლი 5. რეკეტული ქონება, ქურდული სამყაროს წევრის ქონება

1. რეკეტული ქონება არის რეკეტიდან მიღებული ქონება, ამ ქონებიდან მიღებული შემოსავალი, რეკეტიდან მიღებული შემოსავლით შეძენილი ქონება, აგრეთვე რეკეტული დაჯგუფების, რეკეტირის, რეკეტირის ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან მასთან დაკავშირებული პირის შემოსავალი, ქონება ან ქონებიდან მიღებული შემოსავალი, რომლის მართლზომიერი საშუალებებით მიღების დამადასტურებელი საბუთი ან სხვა მტკიცებულება არ არსებობს.

2.ქურდული სამყაროს წევრის ქონება არის მისი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან მასთან დაკავშირებული პირის შემოსავალი, ქონება ან ქონებიდან მიღებული შემოსავალი, რომლის მართლზომიერი საშუალებებით მიღების დამადასტურებელი საბუთი ან სხვა მტკიცებულება არ არსებობს.

3. რეკეტული და ქურდული სამყაროს წევრის ქონება ექვემდებარება ჩამორთმევას და მესამე პირის კანონიერი ინტერესების დაკმაყოფილების შემდეგ გადაეცემა მის კანონიერ მესაკუთრეს, ხოლო კანონიერი მესაკუთრის დადგენის შეუძლებლობის შემთხვევაში — სახელმწიფოს.

4. რეკეტული და ქურდული სამყაროს წევრის ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსთვის გადაცემის წესი განისაზღვრება საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსით“.

შეიძლება პირდაპირ აღინიშნოს, რომ საქართველოს კანონი „ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ“ ნამდვილად არის საქართველოში ორგანიზებულ დანაშაულობასთან ბრძოლის ჩარჩო-კანონი, რომლის საფუძველზედაც საქართველოს კანონმდებლობის სხ-

ვადასხვა სფეროში შემუშავებულ და ჩამოყალიბებულ იქნა ორგანიზებულ დანაშაულთა გამოვლენის კონკრეტულ ფორმებთან — თანამდებობის პირების, რეკეტიორებისა და რეკეტული დაჯგუფებების, კანონიერი ქურდებისა და ქურდული სამყაროს სხვა წევრების, ადამიანით მოვაჭრეთა (ტრეფიკერების), ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობებისა (ნარკოტრეფიკერების) და უკანონო შემოსავლების ლეგალიზაციით (ე.წ. ფულის გათეთრებით) დაკავებული პირების მიერ ორგანიზებულ დანაშაულებთან ბრძოლის სამართლებრივი საშუალებები შესაბამისი ინსტიტუტების სახით. ამ თვალსაზრისით აღნიშნულმა კანონმა მნიშვნელოვანი ზეგავლენა იქონია საქართველოს სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობაზე, ასევე, როგორც ზემოთაც აღინიშნა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაზე, ხოლო არსებითად რაში გამოიხატება ასეთი ზეგავლენა დასახელებულ საკანონმდებლო სფეროებზე, ამის შესახებ ვრცლად და დეტალურად ქვემოთ იქნება გადმოცემული.

2.1 ქონების ჩამორთმევის საკითხები საქართველოს სისხლის სამართლის მატერიალურ და საპროცესო კანონმდებლობაში (მდგომარეობა 2010 წლის 1 ოქტომბრამდე)

საქართველოს მატერიალურ სისხლის სამართალში ქონების ჩამორთმევის ინსტიტუტი ამჟამად მოქმედი სისტემით, როგორც სისხლისსამართლებრივი სანქციის ერთ-ერთი სახე, გამოჩნდა 2005 წლის ბოლოს, როდესაც ამ სფეროში განხორციელდა მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები. 2005 წლის 28 დეკემბერს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის მე-40, 41-ე და 52-ე მუხლებში შეტანილ იქნა შემდეგი ცვლილებები: სსკ-ის მე-40 მუხლის დისპოზიციას, სადაც მოცემული იყო სასჯელის სახეების ჩამონათვალი, დაემატა „კ“ ქვეპუნქტი, რომლითაც ამ ჩამონათვალს შეემატა კიდევ

ერთი სასჯელის სახე ქონების ჩამორთმევის სახით, ხოლო იმავე კოდექსის 41-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომელშიც წინათ მითითებული იყო, რომ ისეთი სასჯელები, როგორიცაა ჯარიმა და თანამდებობის დაკავების ან საქმიანობის უფლების ჩამორთმევა, შეიძლება დაინიშნოს როგორც ძირითად, ისე დამატებით სასჯელად, ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომელშიც ამჟამად მითითებულია, რომ ქონების ჩამორთმევა შეიძლება დაინიშნოს მხოლოდ დამატებითი სასჯელის სახით. იმავდროულად საქართველოს სსკ-ის 41-ე მუხლის მე-3 ნაწილი, რომელშიც აღნიშნული იყო თუ რა შემთხვევებში გამოიყენებოდა დანაშაულის საგნისა და საშუალების ჩამორთმევა, როგორც სისხლისსამართლებრივი იძულების ღონისძიება, ამოღებულ იქნა კოდექსიდან. თუმცა ეს სულაც არ ნიშნავს იმას, რომ დანაშაულის საგნისა და საშუალების ჩამორთმევა საერთოდ გაქრა სისხლის სამართლის კოდექსიდან, არამედ იგი გადაიქცა დამატებით სასჯელად, რაზედაც ცალსახად მეტყველებს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლის ახალი რედაქცია, რომელიც იმავე საკანონმდებლო ცვლილების (2005 წლის 28 დეკემბერი) შედეგად ჩამოყალიბდა და რომელშიც მოცემულია ქონების ჩამორთმევის — როგორც სასჯელის არსი და მისი გამოყენების სამართლებრივი კრიტერიუმები:

„მუხლი 52. ქონების ჩამორთმევა

1. ქონების ჩამორთმევა ნიშნავს დანაშაულის საგნის ან/და იარაღის, დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ან/და დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას.
2. დანაშაულის საგნის ან/და იარაღის ან/და დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ჩამორთმევა ნიშნავს ბრალდებულისთვის, მსჯავრდებულისთვის მის საკუთრებაში ან/და კანონიერ მფლობელობაში არსებული, განზრახი დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული ან/და

ამისთვის რაიმე სახით გამიზნული ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას. დანაშაულის საგნის ანდა იარაღის ან დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ჩამორთმევა ხდება სასამართლოს მიერ. ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა განზრახი დანაშაულისთვის, იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა დანაშაულის საგანი ანდა იარაღი ან/და დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთი და მათი ჩამორთმევა საჭიროა სახელმწიფო ან საზოგადოებრივი აუცილებლობიდან ან/და ცალკეულ პირთა უფლებებისა და თავისუფლების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე ან/და ახალი დანაშაულის თავიდან ასაცილებლად.

3. დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევა ნიშნავს მსჯავრდებულისთვის დანაშაულებრივი გზით მიღებული ქონების (ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, ასევე იურიდიული დოკუმენტები, რომლებიც იძლევა უფლებას ქონებაზე), აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული ნებისმიერი ფორმის შემოსავლების ან/და მათი ღირებულების ეკვივალენტური ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას. დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევა სასამართლოს მიერ ინიშნება ამ კოდექსით გათვალისწინებული ყველა განზრახი დანაშაულისთვის, იმ შემთხვევაში, თუ დამტკიცდება, რომ ეს ქონება დანაშაულებრივი გზითაა მოპოვებული" (2005 წლის 28 დეკემბრის რედაქცია).[16]

საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის პირველი ნაწილი (2005 წლის 28 დეკემბრის რედაქცია), როგორც ვხედავთ, იძლევა ქონების ჩამორთმევის არსის განმარტებას, რომელიც ამავე მუხლის წინანდელი რედაქციისგან განსხვავებით, სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას უქვემდებარებს არა მხოლოდ დანაშაულის იმ საგანსა და იარაღს

16 იხ. „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე", №4, 18.01.2006 წ., მუხ. 39-ე.

(საშუალებას), რომელიც იყო გამოყენებული დანაშაულის ჩასადენად, არამედ ასევე დანაშაულის ჩასადენად გამიზნულ ნივთსა და დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ქონებას.

დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ქვეშ უნდა ვიგულისხმოთ ნებისმიერი მოძრავი (ცეცხლსასროლი იარაღი, ნარკოტიკული საშუალება, ყალბი ფული, სატრანსპორტო საშუალება, ძვირფასი ნივთები და სხვა) და უძრავი (სახლი ან სხვა ნაგებობა, მიწის ნაკვეთი და სხვა) ნივთი, საგანი თუ სხვა ქონება, რომლებზე ზემოქმედებით, ანდა რომელთა გამოყენებით პირი აპირებდა განზრახი დანაშაულის ჩადენას ანუ ემზადებოდა მათი მეშვეობით დანაშაულის ჩასადენად ან ცდილობდა დანაშაულის ჩადენას. სხვაგვარად რომ ითქვას, ასეთ შემთხვევაში ნივთის (ქონების) უსასყიდლოდ ჩამორთმევა შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როდესაც სახეზეა სულ ცოტა დანაშაულის მომზადების სტადია ანდა დანაშაულის მცდელობის სტადია, რადგან ყველა სხვა შემთხვევაში, გარდა დამთავრებული დანაშაულისა, არ არსებობს მართლსაწინააღმდეგო ქმედება. მაგალითად, პირმა შეიძინა უძრავი ქონება რაიმე ნაგებობის სახით. სანამ საპროცესო კანონით დადგენილი წესით არ დადგინდება, რომ ეს პირი ემზადებოდა აღნიშნული ქონების გამოყენებით რაიმე განზრახი დანაშაულის ჩასადენად ან ცდილობდა რაიმე დანაშაულის ჩადენას, მანამდე ხსენებული პირისგან სისხლისსამართლებრივი წესით ამ ქონების ჩამორთმევის საკითხი ვერ დადგება.

რაც შეეხება დანაშაულებრივი გზით მოპოვებულ ქონებას, რომელზედაც მითითებულია საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის პირველ ნაწილში (2005 წლის 28 დეკემბრის რედაქცია), ამავე მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, მასში იგულისხმება ყველა ნივთი და არამატერიალური ქონებრივი სიკეთე, იურიდიული დოკუმენტები, რომლებიც იძლევა უფლებას ქონებაზე, აგრეთვე ამ ქონებიდან მიღებული ნებისმიერი ფორმის შემოსავლები და მათი ღირებულების ეკვივალენტური

ქონება, რომელიც მსჯავრდებულის ხელში აღმოჩნდა მის მიერ განზრახი დანაშაულის ჩადენის შედეგად და რომელიც არ წარმოადგენს სხვა ფიზიკური თუ იურიდიული პირის საკუთრებას ან ამ უკანასკნელთა კანონიერი მფლობელობის ობიექტს. მაგალითად, სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას არ შეიძლება დაექვემდებაროს მსჯავრდებულის ხელთ არსებული ისეთი ქონება, რომელიც მის მიერ დანაშაულის ჩადენისას მიტაცებულ იქნა დაზარალებული პირისაგან და ამ უკანასკნელის საკუთრებას წარმოადგენს ანდა მის კანონიერ მფლობელობაში იმყოფებოდა, გარდა იმ შემთხვევისა, როდესაც, მართალია, სარწმუნოდ არის დადგენილი, რომ, მსჯავრდებულის ხელთ არსებული ასეთი ქონება სხვის საკუთრებას წარმოადგენდა, მაგრამ ვერ დგინდება ამ ქონების მესაკუთრე ან კანონიერი მფლობელი.

განხილულ საკანონმდებლო ფორმულირებაში ყურადღებას იქცევს შემდეგი გარემოება: იმ შემთხვევაში, როდესაც სარწმუნოდ იქნა დადგენილი, რომ მსჯავრდებულის მიერ დანაშაულებრივი გზით მიღებულ იქნა ქონება, მაგრამ უშუალოდ ეს ქონება მისგან ვერ იქნა ამოღებული, მაშინ კანონი შესაძლებლად უშვებს, რომ მსჯავრდებულს ჩამოერთვას მის საკუთრებაში არსებული სხვა ქონება, რომელიც იქნება მის მიერ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ტოლფასი ღირებულების მქონე. სავარაუდოდ, საკითხის ასეთი გადაწყვეტა კანონმდებლობის მიერ ხდება იმის გათვალისწინებით, რომ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონება სამართლებრივად ვერასოდეს გახდება დამნაშავის კანონიერი საკუთრება, ე.ი. ის უკანონოდ გამდიდრდა დანაშაულის ჩადენის საშუალებით. მაგალითად ნარკოტიკული საშუალებების დიდი ან განსაკუთრებით დიდი ოდენობით რეალიზაციის შედეგად მან მიიღო შემოსავალი ან/და ასეთი შემოსავლით შემდგომში შეიძინა რაიმე ქონება, ხოლო შემდეგ მოასწრო ამ ქონების გადამალვა ან სხვა პირზე გასხვისება, რის გამოც ეს უკანასკნელი ვერ იქნა ამოღებული. სამართლებრივად სრულიად ლოგიკურია, რომ ასეთ შემთხვევაში დანაშაულის

ჩამდენმა პირმა უნდა ზღოს სახელმწიფოს სასარგებლოდ ის მატერიალური სიკეთე, რომელიც მან დანაშაულებრივი გზითა და საშუალებებით მოიპოვა. მსგავსი შემთხვევის მიმართ ანალოგიური მიდგომა გააჩნია ყველა ცივილიზებული ქვეყნის თანამედროვე სამართალს. უფრო მეტიც, საქართველოს სახელმწიფო, საქართველოს პარლამენტის 2004 წლის 17 თებერვლის დადგენილებით[17] შეუერთდა სტრასბურგის 1990 წლის 8 ნოემბრის კონვენციას — „ფულის გათეთრების, დანაშაულებრივი საქმიანობის შედეგად მოპოვებული შემოსავლების მოძიების, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ", რომელიც ამ საერთაშორისო ხელშეკრულების მონაწილე სახელმწიფოებს, მათ შორის საქართველოს, ავალდებულებს მიიღონ ისეთი საკანონმდებლო და სხვა აუცილებელი ზომები, რომლებიც საშუალებას მისცემენ აღნიშნულ ქვეყნებს კონფისკაცია გაუკეთონ დანაშაულის იარაღებსა და დანაშაულებრივი გზით მიღებულ შემოსავალს ან ქონებას, რომლის ღირებულება შეესაბამება ამ შემოსავალს. ამავე დროს, აღნიშნული კონვენცია იძლევა კონფისკაციის განმარტებას, რის მიხედვითაც იგი არის სასჯელი ან ზომა, რომლის შეფარდება ხდება სასამართლოს მიერ სისხლის სამართლის დანაშაულთან დაკავშირებული სამართალწარმოების შემდეგ და რომელსაც შედეგად მოჰყვება დანაშაულის ჩადენის გზით შეძენილი ქონების საბოლოო ჩამორთმევა (კონვენციის პირველი მუხლის „დ" პუნქტი და მე-2 მუხლის პირველი პუნქტი).[18] ამიტომაა, რომ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევისათვის კანონმდებელი არავითარ დამატებით პირობას არ აყენებს, როგორ პირობასაც იგი ადგენს დანაშაულის საგნისა და იარაღის ჩამოსართმევად, რასაც ქვემოთ შევეხებით.

რა თქმა უნდა განხილული შემთხვევა სრულიად განსხვავებულია არადანაშაულებრივი გზით პირის ხელში არამართლ-

[17] იხ. „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე", III, №21, 26.02.2004 წ., მუხ. 206.

[18] იხ. „პარლამენტის უწყებანი", 06.07.2004 წ., გვ. 192.

ზომიერად სხვისი ქონების მოხვედრისაგან, რასაც სამოქალაქო სამართალში უსაფუძვლო გამდიდრება ეწოდება და რომლის დროსაც ქონების კუთვნილება დგინდება თანასწორუფლებიან მხარეებს შორის სამოქალაქო დავის გადაწყვეტის გზით.

თუკი დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევა ხდება მსჯავრდებულისგან, მისგან განსხვავებით დანაშაულის საგნის ან იარაღის (საშუალების), ასევე დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ჩამორთმევა ხდება როგორც მსჯავრდებულისგან, ასევე დანაშაულის ჩადენაში ბრალდებული პირისგან, თუმცა ორივე შემთხვევაში ჩამორთმევა ხორციელდება სასამართლოს მეშვეობით, საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად (2005 წლის 28 დეკემბრის რედაქცია). აღნიშნული განსხვავება ხსენებულ ორ შემთხვევას შორის იმით არის განპირობებული, რომ შესაძლოა ბრალდებულის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა შეწყდეს სისხლის სამართლის საქმის სასამართლოში არსებით განხილვამდე — წინასწარი გამოძიების სტადიაზე, რა დროსაც სისხლისამართლებრივ დევნას დაქვემდებარებულ პირს გააჩნია ბრალდებულის სტატუსი და ამ სტატუსის ფარგლებში მთავრდება მის მიმართ სამართალწარმოება. თუკი ასეთი პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნა წინასწარი გამოძიების სტადიაზე შეწყდება რომელიმე არამარეაბილიტირებელი საფუძვლით, მაგალითად, დანაშაულის ხანდაზმულობის ვადის გასვლის გამო, სრულიად გასაგებია, რომ ასეთ შემთხვევაში აღნიშნულ პირს უნდა ჩამოერთვას ის იარაღი თუ საშუალება, რომლითაც მან დანაშაული ჩაიდინა ან რომელიც მისი დანაშაულის საგანს წარმოადგენდა.

აღნიშნულთან ერთად გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ დანაშაულის საგნისა და იარაღის (საშუალების), ასევე დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის უსასყიდლოდ ჩამორთმევისთვის კანონი დამატებით პირობებს

აწესებს, კერძოდ, საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილში (2005 წლის 28 დეკემბრის რედაქცია) მითითებულია, რომ ასეთი საგნებისა და ნივთების ჩამორთმევა ხდება იმ შემთხვევაში, როდესაც მათი ჩამორთმევა საჭიროა სახელმწიფო და საზოგადოებრივი აუცილებლობიდან ან ცალკეულ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე ან/და ახალი დანაშაულის თავიდან ასაცილებლად. აქ საჭიროა განიმარტოს მოცემულ ჩამონათვალში რა აუცილებლობას, უფლებებსა და ინტერესებს შეიძლება გულისხმობდეს კანონმდებელი მათზე მითითებისას.

ვფიქრობთ, რომ ამ თვალსაზრისით საყურადღებოა და სავსებით მისაღებიც ის განმარტება, რომელიც მოცემულია საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთ გადაწყვეტილებაში, რომლის მიხედვით ახალი დანაშაულის თავიდან აცილება და სხვათა უფლებების დაცვა არის ყველა განზრახი დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის საერთო მიზანი, ხოლო რაც შეეხება სახელმწიფო და საზოგადოებრივ აუცილებლობას, ეს ზოგადი ტერმინია და გარდა იმისა, რომ, თავისთავად, შეიძლება მოიცავდეს დასახელებულ ორ მიზანს, იმავდროულად, ის კონკრეტულ შინაარსსაც იძენს ცალკეულ დანაშაულებთან მიმართებით. მისი შინაარსი განსხვავებულია ადამიანის, საკუთრების, ფულად-საკრედიტო სისტემის, სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული დანაშაულების, ასევე ნარკოტიკული და სხვა დანაშაულების წინააღმდეგ ბრძოლისას. მაგალითად, საბაჟო წესების დარღვევისას, სახელმწიფო და საზოგადოებრივი აუცილებლობა არაერთ გარემოებასა და დასაცავ სიკეთეს მოიცავს. კერძოდ, ცხადია, რომ ამ შემთხვევაშიც არსებითია სხვათა უფლებების და თავისუფლებების დაცვა და ახალი დანაშაულის თავიდან აცილება, მაგრამ, გარდა ამისა, სახელმწიფო და საზოგადოებრივი აუცილებლობა შეიძლება იყოს: ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური სტაბილურობა, ნორმალური, მშვიდი სამოქალაქო ბრუნვა, საგადასახადო სისტემის ეფექ-

ტურობა, საბაზრო ეკონომიკის დინამიკური განვითარება და სხვა. ამდენად, ყველა ქვეყანა დაინტერესებულია, შეაჩეროს კონტრაბანდა ყველაზე ეფექტური გზებით და ამისთვის ძალზე მკაცრ ზომებს მიმართავს კიდეც, ხოლო დასახელებული მიზნები (იგულისხმება საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილში მითითებული მიზნები — დ.ს.) თავისი შინაარსითა და მნიშვნელობით შეესაბამება იმ აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების არსს, რასაც ითვალისწინებს საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტი. შესაბამისად, ასეთი მიზნებისათვის კონსტიტუცია უშვებს საკუთრების უფლების შეზღუდვის შესაძლებლობას კანონით განსაზღვრულ ფარგლებში და საფუძველზე.[19]

მაშასადამე, განსახილველი ნორმის მიხედვით დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევა ხდება ყველა შემთხვევაში, ხოლო საამისოდ საკმარისია დადასტურდეს, რომ სახეზეა სწორედ ასეთი ქონება, მაშინ, როდესაც დანაშაულის საგნის, იარაღისა თუ საშუალების, აგრეთვე დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ან სხვა ქონების ჩამორთმევა ყოველთვის არ ხდება, არამედ, კანონის მოთხოვნის თანახმად, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში მათი ჩამორთმევისას სასამართლომ უნდა დაასაბუთოს, რომ მოცემულ შემთხვევაში აღნიშნული ღონისძიების მიღება საჭიროა სახელმწიფო და საზოგადოებრივი აუცილებლობიდან ან ცალკეულ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესებიდან გამომდინარე ანდა ახალი დანაშაულის თავიდან ასაცილებლად. მაგალითად, რომელიმე იურიდიულ პირს, რომელიც ფუნქციონირებს ამა თუ იმ სახის პროდუქციის დამამზადებელი საწარმოს სახით, თავის საკუთრებაში გააჩნია ძალიან მნიშვნელოვანი და ძვირადღირებული და-

[19] იხ. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის №1\2\384 გადაწყვეტილება საქმეზე — დ.ჯ., ტ.გ. და ნ.დ. საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ. „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე", IV, №35, 10.07.2007 წ., გვ. 10-11.

ნადგარი. ამ დანადგარის გამოყენებით დანაშაულის ჩადენის შემთხვევაში, ვიდრე მისი უსასყიდლოდ ჩამორთმევის თაობაზე გადაწყვეტილებას მიიღებს, სასამართლომ უნდა გაარკვიოს: დანადგარის ჩამორთმევა ხომ არ გამოიწვევს მთელი საწარმოს გაჩერებას და სოციალურად რა მასშტაბის ნეგატიური შედეგები შეიძლება მოჰყვეს მის გაჩერებას, არსებობს თუ არა მომავალში ამ დანადგარის კვლავ დანაშაულებრივი მიზნებით გამოყენების საშიშროება, რა სიმძიმისა თუ მოცულობის მართლსაწინააღმდეგო შედეგია დანაშაულით გამოწვეული და სხვა გარემოებები, რა დროსაც სასამართლომ ერთმანეთს უნდა შეუთანაზომოს კონკრეტული საჯარო და კერძო ინტერესები, შეაფასოს — მოცემულ შემთხვევაში რომელი მათგანი უფრო ღირებულია. ეს პრინციპი საკანონმდებლო დონეზე მიღებულია, ხოლო სასამართლომ უნდა უზრუნველყოს პრაქტიკაში ამ პრინციპის რეალურად გატარება, რათა არ მოხდეს კერძო ინტერესების სფეროში არასაჭირო და უხეში ჩარევა. ამიტომაა, რომ კანონმა გამორიცხა საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლით (2005 წლის 28 დეკემბრის რედაქცია) გათვალისწინებული სასჯელის ზომების გამოყენება პირის მიერ გაუფრთხილებელი დანაშაულის ჩადენისას.

საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის (2005 წლის 28 დეკემბრის რედაქცია) ანალიზისას აუცილებლად უნდა შევეხოთ კიდევ ერთ მნიშვნელოვან საკითხს, რომელმაც სასამართლო პრაქტიკაში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილში მითითებულია, რომ სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას ექვემდებარება განზრახი დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული ან საამისოდ გამიზნული ისეთი დანაშაულის საგანი, იარაღი (საშუალება), ნივთი ან ქონება, რომელიც წარმოადგენს ეჭვმიტანილის, ბრალდებულისა და მსჯავრდებულის საკუთრებას ან იმყოფება მის კანონიერ მფლობელობაში. ეს იმას ნიშნავს, რომ თუკი დამნაშავის მიერ განზრახი დანაშაულის ჩასა-

დენად გამოყენებული ან მის მიერ საამისოდ გამიზნული ნივთი, საგანი, იარაღი ან ქონება წარმოადგენს სხვა პირის საკუთრებას, რომელიც ბრალეულ კავშირში არ იმყოფება ჩადენილ ან გამიზნულ დანაშაულთან და რომელსაც აღნიშნული ნივთი, საგანი ან ქონება მფლობელობაში არ გადაუცია დამნაშავისთვის, ასეთ შემთხვევაში სახელმწიფოს სასარგებლოდ დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული ან საამისოდ გამიზნული ნივთის, საგნის, იარაღისა და ქონების უსასყიდლოდ ჩამორთმევა დაუშვებელია, არამედ იგი, მართალია, ჩამოერთმევა დამნაშავეს, მაგრამ უნდა დაუბრუნდეს მის მესაკუთრეს ან კანონიერ მფლობელს. მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მისი მესაკუთრე ან კანონიერი მფლობელი ვერ იქნა მოძიებული და დადგენილი, შეიძლება ჩამორთმეული ნივთი, საგანი, იარაღი და ქონება უსასყიდლოდ გადაეცეს სახელმწიფოს.

2006 წლის 16 მაისს საქართველოს მოქალაქეებმა კონსტიტუციური სარჩელით მიმართეს საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს, რომლითაც მოსარჩელეები ითხოვდნენ საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის (2005 წლის 28 დეკემბრის რედაქცია) მე-2 ნაწილში არსებული იმ ჩანაწერის არაკონსტიტუციურად ცნობას, რომლის ძალით სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას ექვემდებარება განზრახი დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული ან საამისოდ გამიზნული არა მარტო ის საგანი, იარაღი, ნივთი და ქონება, რომელიც დამნაშავის საკუთრებას წარმოადგენდა, არამედ ისეთიც, რომელიც ქმედების ჩადენისას მხოლოდ მის კანონიერ მფლობელობაში იმყოფებოდა, ვინაიდან თვლიდნენ, რომ აღნიშნულმა ჩანაწერმა გამოიწვია მათი საკუთრების უფლების ხელყოფა, რომელიც დაცულია საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლით.

კაზუსი, რომლის გამოც მოსარჩელეებმა მიმართეს საკონსტიტუციო სასამართლოს, მდგომარეობს შემდეგში: მათ სხ-

ვადასხვა დანიშნულების საქონელი, რომელთა ღირებულება შეადგენდა 537 947 ლარს, ჩააბარეს ერთ-ერთ გადამზიდავ ფირმას თურქეთში. აღნიშნულმა ფირმამ, შესაბამისი ანაზღაურების სანაცვლოდ, იკისრა საქონლის საქართველოში გადმოტანის ვალდებულება. საქმის მასალებიდან ირკვევა, რომ მძღოლმა საზღვრის გადაკვეთისას ჩაიდინა საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე მუხლის მე-2 ნაწილით გათვალისწინებული დანაშაული, რისთვისაც ხელვაჩაურის რაიონული სასამართლოს 2006 წლის 20 აპრილის განაჩენით, საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლის (2005 წლის 28 დეკემბრის რედაქცია) მე-2 ნაწილის საფუძველზე, მძღოლს, სახელმწიფოს სასარგებლოდ, უსასყიდლოდ ჩამოერთვა მის კანონიერ მფლობელობაში არსებული დანაშაულის საგანი — 537 947 ლარის საბაჟო ღირებულების სხვადასხვა დასახელების საქონელი, რომელიც მოსარჩელეთა კუთვნილ ქონებას წარმოადგენდა. მოსარჩელეთა აზრით, სადავო ნორმა ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლს, რომლის თანახმად, საკუთრების ჩამორთმევა შესაძლებელია მხოლოდ კანონით გათვალისწინებული აუცილებელი საზოგადოებრივი საჭიროების არსებობისას და სათანადო ანაზღაურებით. სადავო დებულებაზე დაყრდნობით, მათი ქონება, კანონიერი მფლობელის დანაშაულებრივი ქმედების გამო, უსასყიდლოდ გადავიდა სახელმწიფოს საკუთრებაში ისე, რომ არ არსებობდა არავითარი საზოგადოებრივი აუცილებლობა, სხვა პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესები და ახალი დანაშაულის თავიდან აცილების მიზანი. მათივე აზრით, სადავო ნორმა კონსტიტუციის 21-ე მუხლს ეწინააღმდეგება ასევე იმის გამოც, რომ ქონების ჩამორთმევა ხდება არაბრალეული მესაკუთრისათვის და ირღვევა სასჯელის ინდივიდუალობის პრინციპი.

საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ 2007 წლის 2 ივლისის №1\2\384 გადაწყვეტილებით, არ დააკმაყოფილა რა კონსტიტუციური სარჩელი, დაადგინა, რომ საქართველოს

სსკ-ის 52-ე მუხლის (2005 წლის 28 დეკემბრის რედაქცია) მე-2 ნაწილში არსებული ჩანაწერი ბრალდებულისა და მსჯავრდებულისათვის მათ მიერ დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული ან საამისოდ გამიზნული იმ ნივთის, საგნის, იარაღისა და ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევის თაობაზე, რომელიც მხოლოდ მათ კანონიერ მფლობელობაში იმყოფებოდა და არ წარმოადგენდა მათ საკუთრებას, არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლს და ამდენად არ არსებობს მისი არაკონსტიტუციურად ცნობის საფუძველი. საკონსტიტუციო სასამართლომ თავის ვრცელ დასაბუთებაში განმარტა:

ნიშანდობლივია, რომ ფორმალურად ერთი და იგივე შედეგი — ქონების ჩამორთმევა, ყოველთვის არ წარმოადგენს ჩამორთმევას საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-3 პუნქტის მნიშვნელობით. ამ დროს გასათვალისწინებელია უფლებაში ჩარევის მიზანი, შინაარსი, ფორმა. ზოგჯერ საკუთრების ჩამორთმევა უფლების შეზღუდვის შედეგი შეიძლება იყოს. არასწორი იქნება ასეთი შემთხვევების ცალსახად არაკონსტიტუციურად მიჩნევა 21-ე მუხლის მე-3 პუნქტთან მიმართებით მხოლოდ იმის გამო, რომ ჩამორთმევა ხდება კომპენსაციის გარეშე. ამიტომ სადავო ნორმის კონსტიტუციურობა უნდა შეფასდეს როგორც ფორმალურიურიდიული, ისე მატერიალური კრიტერიუმებით. ამ შემთხვევაში ფორმალური მოთხოვნები დაცულია, კერძოდ, ბრალდებულისა და მსჯავრდებულის კანონიერ მფლობელობაში არსებული დანაშაულის საგნის, იარაღისა და დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ჩამორთმევა, ასეთი ჩამორთმევის მიზანი, საჯარო ინტერესი და ჩამორთმევის წესი დადგენილია კანონით (სადავო ნორმით). შესაბამისად, ფორმალური ნიშნებით სადავო ნორმა კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტს შეესაბამება. მატერიალური თვალსაზრისით, ნორმის კონსტიტუციურობის შეფასებისთვის კი, უპირველეს ყოვლისა, უნდა გაირკვეს, რა არის სადავო ნორმით გათვალისწინებული შეზღუდვის კანონიერი მიზანი, რამდენად შესაძლებელია, ჩაითვალოს ის აუცილებელ საზოგადოე-

ბრივ საჭიროებად საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის გაგებით და დაცულია თუ არა გონივრული თანაზომიერება ამ მიზანსა და დაწესებულ შეზღუდვას შორის. აშკარაა, რომ სადავო ნორმის შემოღების და, შესაბამისად, საკუთრების უფლების შეზღუდვის კანონიერი მიზანი თავად სადავო ნორმაში იკითხება. კერძოდ, ეს არის სახელმწიფო და საზოგადოებრივი აუცილებლობა, ცალკეულ პირთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვა, ახალი დანაშაულის თავიდან აცილება.

საკონსტიტუციო სასამართლოს აზრით, თავისთავად მესაკუთრის ბრალეულობის გაუთვალისწინებლად ისეთი ქონების ჩამორთმევა, რომელიც გამოყენებული იყო დანაშაულის ჩასადენად, დასაშვებია და აუცილებელიც კანონში დასახელებული მიზნის მისაღწევად, ვინაიდან ამ გზით იგი ხელს უწყობს პრობლემის დროულად, მყისიერად და ეფექტურად გადაწყვეტას, მიმართულია კონკრეტული დანაშაულის შემდგომი გართულებების (ახალი დანაშაულის ჩადენის, ქვეყანაში ეკონომიკური სტაბილურობისთვის, ასევე ნორმალური სამოქალაქო ბრუნვისთვის ხელის შეშლის და სხვა) თავიდან აცილებისკენ. მოცემულ შემთხვევაში საჯარო მიზნები ძალზე მნიშვნელოვანია, ამიტომ მათი მიღწევა ამართლებს საკუთრებაში ჩარევის აუცილებლობას, რაც არაკონსტიტუციურად ვერ იქნება მიჩნეული, რადგან საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლი არ ართმევს სახელმწიფოს უფლებას, მიიღოს და გამოიყენოს ისეთი კანონები, რომლითაც ის აუცილებლად მიიჩნევს საერთო ინტერესების შესაბამისად საკუთრებით სარგებლობის კონტროლისთვის და, მაშასადამე, საკუთრებისა და მფლობელობის უფლების გამართლებული შეზღუდვისთვის. იგივეს მოწმობს სხვა ქვეყნების საკანონმდებლო და სასამართლო პრაქტიკაც, აგრეთვე ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს პრაქტიკა ამა თუ იმ სახელმწიფოს მიერ დანაშაულის ჩადენის გამო ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებით, როდესაც ჩამორთმეული ქონების მესაკუთრე ბრალეულ კავშირში

არ იყო დანაშაულთან.[20]

საკონსტიტუციო სასამართლო თავის გადაწყვეტილებაში შენიშნავს: მართალია, როდესაც სახელმწიფო დამნაშავეს უსასყიდლოდ ართმევს იმ ქონებას, რომლის მესაკუთრე სხვა პირი იყო და რომელიც მან დანაშაულის ჩასადენად გამოიყენა, ამით ხდება საკმაოდ მტკივნეული შეხება აღნიშნული ქონების მესაკუთრის კანონიერ ინტერესებთან, მაგრამ ეს იმას როდი ნიშნავს, რომ იგი მთლიანად კარგავს თავის საკუთრებით უფლებას აღნიშნულ ქონებაზე. მას რჩება საკმაოდ ქმედითი სამართლებრივი მექანიზმები საამისოდ, რათა მისთვის მიყენებული ზიანის კომპენსაცია სრული მოცულობით მიიღოს, თუმცა, რა თქმა უნდა, არა სახელმწიფოსგან, არამედ იმ პირისგან, რომელმაც მისი ქონება დანაშაულებრივი მიზნებით გამოიყენა და რის შედეგადაც მან ეს ქონება დაკარგა. საკონსტიტუციო სასამართლოს ამ შემთხვევაში მხედველობაში აქვს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 361-ე მუხლის მე-2 ნაწილი;[21] 394-ე მუხლის პირველი ნაწილი; 408-ე მუხლის პირველი ნაწილი; 409-ე, 411-ე და 414-ე მუხლები, რომელთა საფუძველზე ზემოხსენებული ქონების არაბრალეულ მესაკუთრეს შეუძლია იმ პირისგან, ვინც მისი ქონების გამოყენებით დანაშაული ჩაიდინა, მოითხოვოს არა მარტო ამ ქონების ტოლფასი ღირებულება, არამედ ასევე ქონების დაკარგვით მისთვის გამოწვეული სხვა ზიანის სრული ანაზღაურება. ამ შემთხვევისგან სრულიად განსხვავებული ვითარებაა მაშინ, როდესაც დამნაშავე პირი თვითონვეა იმ ქონების მესაკუთრე, რომელიც მან დანაშაულის ჩასადენად გამოიყენა, ვინაიდან ასეთ შემთხვევაში

[20] იხილეთ აღნიშნული სასამართლოს 1986 წლის 24 ოქტომბრის გადაწყვეტილება საქმეზე — „აგოსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ"; 1994 წლის 28 სექტემბრის გადაწყვეტილება საქმეზე — „ჯემსი გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ"; 1995 წლის 5 მაისის გადაწყვეტილება საქმეზე „ეარ კანადა გაერთიანებული სამეფოს წინააღმდეგ" და სხვა.

[21] „პარლამენტის უწყებანი", №31, 24 ივლისი, 1997 წ., გვ.1:

დამნაშავე მთლიანად კარგავს ყველა უფლებას თავის ყოფილ ქონებაზე მისი უსასყიდლოდ ჩამორთმევისას. ამასთან, გასათვალისწინებელია, რომ სახელშეკრულებო ურთიერთობებში კონტრაჰენტის შერჩევისას მესაკუთრე ყოველთვის არის რისკის მატარებელი, მათ შორის იმ რისკისაც, რომ მისი ქონება შესაძლოა დანაშაულის ჩასადენად გამოიყენონ. ასეთ შემთხვევებში კანონმდებელი აფრთხილებს ყველა მესაკუთრეს, რომ თუ მისი ქონება გახდება დანაშაულის საგანი ან იარაღი, ის უსასყიდლოდ გადაეცემა სახელმწიფოს, რადგან ეს აუცილებელია კონკრეტული საზოგადოებრივი საჭიროებისათვის, სხვათა უფლებების დაცვისათვის, ახალი დანაშაულის თავიდან ასაცილებლად. ბუნებრივია, რომ ქონების დაკარგვის ასეთი ალბათობა, ერთი მხივ, მიუთითებს ყოველ მესაკუთრეს, უფრო გულმოდგინედ შეარჩიოს სანდო კონტრაჰენტი, მიიღოს ზომები შესაძლო ზიანის თავიდან ასაცილებლად, მაგალითად, ქონების დაზღვევა, ხელშეკრულების პირობების ზედმიწევნით განსაზღვრა და ა.შ. თუმცა ხელშეკრულების მონაწილის კანონიერი ინტერესების დაცვის უმნიშვნელოვანესი (უნივერსალური) საშუალება არის ზიანის ანაზღაურების მოთხოვნის უფლება, როდესაც ამ ზიანის თავიდან აცილება ვერ მოხერხდა.

განხილულ საკითხზე მსჯელობისას საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლო საბოლოოდ მიდის დასკვნამდე, რომელიც მდგომარეობს შემდეგში: „ამგვარად, სადავო ნორმით გათვალისწინებული საჯარო მიზნები წარმოადგენენ რა აუცილებელ საზოგადოებრივ საჭიროებას საქართველოს კონსტიტუციის 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის მნიშვნელობით, ამ მიზნების მიღწევისათვის საკუთრების უფლების შეზღუდვა გამართლებულია. იმავდროულად, არ ხდება საკუთრების უფლების გადამეტებული, საჯარო მიზნის არაადეკვატური შეზღუდვა, რადგან მესაკუთრე, მართალია, კარგავს ქონებას, მაგრამ ინარჩუნებს უფლებას მასზე. ამასთან, საქართველოს სამოქალაქო კოდექსით გათვალისწინებულია არა-

კეთილსინდისიერი კონტრაჰენტისგან ზიანის ანაზღაურების საკმარისი შესაძლებლობები".[22]

სსკ-ის 52-ე მუხლის (2005 წლის 28 დეკემბრის რედაქცია) თაობაზე, მსჯელობისას არ შეიძლება მხედველობიდან იქნეს გამორჩენილი კიდევ ერთი მნიშვნელოვანი საკითხი. როგორც ზემოთ აღინიშნა, ამ მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული საგნის, იარაღის, ნივთისა თუ სხვა ქონების სახელმწიფოს სასარგებლოდ ჩამორთმევა დასაშვებია, თუ იგი დანაშაულის ჩამდენი ბრალდებულისა და მსჯავრდებულის საკუთრებას წარმოადგენს ან ამ უკანასკნელთა კანონიერ მფლობელობაში იმყოფება. იმის განსაზღვრა, თუ რა იგულისხმება სამართლებრივად საკუთრების ქვეშ, რაიმე განსაკუთრებულ სირთულეებთან არ არის დაკავშირებული, რის გამოც მასზე საუბარს აღარ გავაგრძელებთ, მაგრამ აუცილებელია იმის განმარტება სასამართლომ რა კონკრეტული სამართლებრივი კრიტერიუმებით უნდა განსაზღვროს — დანაშაულის ჩასადენად გამოყენებულ ანდა საამისოდ გამიზნულ ნივთზე, საგანზე, იარაღზე ან სხვა ქონებაზე ნამდვილად არსებობს თუ არა დანაშაულის ჩამდენი ბრალდებულის ან მსჯავრდებულის კანონიერი მფლობელობა, რის გარეშეც მისი ჩამორთმევა შეუძლებელია. აღნიშნული საკითხის გადაწყვეტისას სასამართლომ უნდა იხელმძღვანელოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 155-ე მუხლში ჩამოყალიბებული სამართლებრივი ნორმებით, რომლის პირველი ნაწილი განსაზღვრავს მფლობელობის არსს. ამასთანავე, აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილი მფლობელობისგან მკაფიოდ მიჯნავს ისეთ შემთხვევას, როდესაც პირი, მართალია, ფიზიკურად დაუფლებულია ნივთს ამ ნივთის მესაკუთრის ან კანონიერი მფლობელის ნებით, ე.ი. ფაქტობრივად ბატონობს ნივთზე, მაგრამ ნივთის

[22] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2007 წლის 2 ივლისის №1\2\384 გადაწყვეტილება. იხ. „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე", IV, №35 10.07.2007 წ., გვ. 1-17.

ასეთი ფიზიკური პყრობა, თანახმად აღნიშნული კანონისა, არ ნიშნავს ნივთის მფლობელობას სამართლებრივი აზრით. საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 155-ე მუხლის მე-2 ნაწილი (1997 წლის 26 თებერვლის რედაქცია) ადგენს:

„მფლობელად არ ითვლება ის პირი, რომელიც, თუმცა ახორციელებს ფაქტობრივ ბატონობას ნივთზე, მაგრამ სხვა პირის სასარგებლოდ, და რომელსაც ნივთის ფლობის უფლებამოსილება მიღებული აქვს ამ პირისაგან. მფლობელად მიიჩნევა მხოლოდ უფლებამოსილების მიმნიჭებელი პირი“.

მაშასადამე, როდესაც ნივთი, საგანი ან ქონება მესაკუთრისგან, ამ უკანასკნელის მიერ გამოვლენილი ნამდვილი და თავისუფალი ნების საფუძველზე, გადაცემული აქვს სხვა პირს და ამის შედეგად აღნიშნული ნივთი ან ქონება იმყოფება ამ პირის ფაქტობრივი ბატონობის ქვეშ ნივთის მესაკუთრის ინტერესების სასარგებლოდ (და არა თავისი ინტერესების სასარგებლოდ), ხსენებულ ნივთთან და ქონებასთან მიმართებაში რაიმე მოქმედების შესასრულებლად ან საქმიანობის განსახორციელებლად, ასეთ შემთხვევაში ნივთისა თუ ქონების ფაქტობრივი მპყრობელი არ შეიძლება ჩაითვალოს მის მფლობელად, თუნდაც რომ ეს ნივთი ან ქონება მას გადაცემული ჰქონდეს კანონიერ საფუძველზე. მაგალითად, მესაათე ან სხვა დარგის ხელოსანი ვერ ჩაითვლება მასთან დროებით, შეკეთების მიზნით, მესაკუთრის მიერ დატოვებული საათის, ავტომანქანის, მობილური ტელეფონის აპარატის ან სხვა ქონების კანონიერ მფლობელად; ასევე, მესაკუთრის მიერ, მისთვის სასარგებლო მიზნით, სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირისთვის დროებით ნივთის ან ქონების გადაცემა ან მინდობა არ წარმოშობს იმ პირის კანონიერ მფლობელობას აღნიშნულ ნივთზე ან ქონებაზე, ვისაც ის გადაეცა ანდა მიაბარეს. მაგალითად, ტვირთების გადამზიდავი კომპანიის მძღოლი, რომელსაც მესაკუთრის ნებით გადაეცა ქონება ერთი დასახლებული პუნქტიდან მეორე დასახლებულ პუნქტში დანიშნულ მისამართზე გადასაზიდად, ამ ქონების ფაქ-

ტობრივი პყრობის პერიოდში არ წარმოადგენს მის კანონიერ მფლობელს. შესაბამისად ამისა, თუკი ასეთი პირი მის მიერ სხვისი ნივთისა თუ ქონების ფაქტობრივი პყრობის პერიოდში ამ ნივთის ან ქონების გამოყენებით ჩაიდენს რაიმე განზრახ დანაშაულს, ამ შემთხვევაში ასეთი ნივთის ან ქონების, როგორც დანაშაულის საგნის, სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევა დაუშვებელია, არამედ იგი უნდა დაუბრუნდეს მის მესაკუთრეს ან კანონიერ მფლობელს, ხოლო თუ მესაკუთრე ან კანონიერი მფლობელი ვერ იქნა მოძიებული და დადგენილი, მხოლოდ მაშინ შეიძლება აღნიშნული ნივთის თუ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემა. სწორედ ამგვარად უნდა იქნეს გაგებული საქართველოს სსკ-ის 52-ე მუხლში მოხსენიებული ბრალდებულისა და მსჯავრდებულის კანონიერ მფლობელობაში ნივთის (ქონების) არსებობის შინაარსი, რომელიც მთლიანად უნდა შეესაბამებოდეს საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობას, ისევე როგორც იმავე სისხლისსამართლებრივი ნორმის დისპოზიციაში მითითებული ბრალდებულისა და მსჯავრდებულის საკუთრებაში ნივთის (ქონების) არსებობის შინაარსი მთლიანად უნდა ეფუძნებოდეს საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით განსაზღვრულ კრიტერიუმებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ე.ი. თუკი სისხლის სამართალი, თავისი მიზნებიდან გამომდინარე, შეცვლის და თავისებურად განმარტავს საკუთრების განმსაზღვრელ კრიტერიუმებს, მაშინ ეს გამოიწვევს სრულ არეულობას მოცემულ საკითხში, რაც სერიოზულ საფრთხეს შეუქმნის საკუთრების კონსტიტუციურ უფლებას. სრულიად ნათელია, რომ, თუკი დაუშვებელია სისხლის სამართალმა თვითნებურად შეცვალოს და განმარტოს საკუთრების ის კრიტერიუმები, რაც განსაზღვრულია სამოქალაქო კანონმდებლობით, მაშინ ასევე დაუშვებელია სისხლის სამართალმა თვითნებურად განმარტოს, თუნდაც კეთილი მიზნების მისაღწევად, ნივთის კანონიერი მფლობელობის ის კრიტერიუმები, რაც განსაზღვრულია საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით, ვინაიდან საკუთრების უფლებისა და კანონიერი მფლობელობის უფლების დაცვისადმი, რო-

გორც ერთი რიგის სამართლებრივი კატეგორიების მიმართ რადიკალურად განსხვავებული მიდგომა, მთლიანად და არსებითად ეწინააღმდეგება ადამიანის ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი და საყოველთაოდ აღიარებული უფლების შეუვალობას, რაც დეკლარირებული და გარანტირებულია საქართველოს კონსტიტუციით და რეგლამენტირებულია საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობით.
2005 წლის 28 დეკემბერს საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსში შეტანილი ცვლილებებით არა მხოლოდ 52-ე მუხლი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომლითაც სისხლის სამართლის კანონმდებლობაში დამკვიდრდა ქონების ჩამორთმევის ახალი ინსტიტუტი, არამედ ამ ინსტიტუტის შემოტანამ თავისი გამოძახილი ჰპოვა აღნიშნული კოდექსის როგორც ზოგადი ნაწილის, ისე კერძო ნაწილის სხვა მუხლებშიც. სახელდობრ, საქართველოს სსკ-ის 72-ე მუხლის პირველ ნაწილში, რომლითაც განსაზღვრულია ზოგიერთი სახის ძირითადი სასჯელისგან ვადამდე პირობით გათავისუფლების საფუძველი და ფარგლები, აღნიშნულია, რომ ამ დროს მსჯავრდებული ძირითად სასჯელთან ერთად შეიძლება მთლიანად ან ნაწილობრივ გათავისუფლდეს სასჯელის მოხდისგან. შედეგად კი გაკეთდა დათქმა, რომლის ძალით მითითებულ შემთხვევებში დამატებითი სასჯელისგან გათავისუფლება არ ვრცელდება ქონების ჩამორთმევაზე.

ანალოგიურად საქართველოს სსკ-ის 73-ე მუხლის პირველ ნაწილში, რომელიც განსაზღვრავს თავისუფლების აღკვეთით მსჯავრდებულისთვის სასჯელის მოუხდელი ნაწილის უფრო მსუბუქი სახის სასჯელით შეცვლისა და პარალელურად მთლიანად ან ნაწილობრივ დამატებითი სასჯელის მოხდისგან მისი გათავისუფლების პირობებს, ზემოაღნიშნული საკანონმდებლო ცვლილების შედეგად გაკეთდა დათქმა, რომლის ძალით დამატებითი სასჯელისაგან გათავისუფლება არ ვრცელდება ქონების ჩამორთმევაზე.

ასევე, საქართველოს სსკ-ის 74-ე მუხლს, რომელიც ადგენს

სასამართლოს მიერ ავადმყოფობის ან ხანდაზმულობის ასაკის გამო მსჯავრდებულის სასჯელის მოხდისგან გათავისუფლების პირობებს, განხილული საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად დაემატა მე-6 ნაწილი, რომელშიც აღინიშნა, რომ სასჯელისგან გათავისუფლების ამ მუხლით დადგენილი საფუძვლები არ ვრცელდება ისეთ სასჯელზე, როგორიცაა ქონების ჩამორთმევა.

განხილული საკანონმდებლო ცვლილებები იმაზე მიუთითებს, რომ თუკი სასამართლოს განაჩენით, მსჯავრდებულს დამატებით სასჯელად შეეფარდა სსკ-ის 52-ე მუხლით (2005 წლის 28 დეკემბრის რედაქცია) გათვალისწინებული ქონების ჩამორთმევა, შემდგომში არ დაიშვება ამ სასჯელისაგან მსჯავრდებულის გათავისუფლება, განსხვავებით სხვა ძირითადი და დამატებითი სასჯელებისგან. როგორც ზემოთ აღინიშნა, სასამართლოს უფლება აქვს, რომ გარკვეულ პირობებში განაჩენით მსჯავრდებულს არ შეუფარდოს დამატებითი სასჯელი ქონების ჩამორთმევის სახით (იგულისხმება დანაშაულის საგნის, იარაღისა და საშუალებების, აგრეთვე დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ჩამორთმევა და არა დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ჩამორთმევა, რომელიც ყველა შემთხვევაში ინიშნება სასამართლოს მიერ დამატებით სასჯელად).

როგორც ზემოთ ითქვა, 2005 წლის 28 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებები შეეხო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის ზოგიერთ მუხლსაც. მხედველობაში გვაქვს აღნიშნული კოდექსის სსკ-ის 214-ე, 344-ე და 377-ე მუხლები. კერძოდ, სსკ-ის 214-ე მუხლიდან, რომლითაც დაწესებულია პასუხისმგებლობა საბაჟო წესების დარღვევისთვის, ამოღებულ იქნა ამ მუხლის შენიშვნის მე-2 პუნქტი, რომელიც ითვალისწინებდა აღნიშნული დანაშაულისთვის სასჯელთან ერთად სისხლისსამართლებრივი იძულებითი ღონისძიებების სახით დანაშაულის საგნისა და საშუალების

ჩამორთმევას.[23] ასევე, სსკ-ის 344-ე მუხლიდან, რომელიც აწესებს პასუხისმგებლობას საქართველოს სახელმწიფო საზღვრის უკანონოდ გადაკვეთისთვის, ამოღებულ იქნა ამ მუხლის შენიშვნის მე-2 პუნქტი, რომელიც ითვალისწინებდა აღნიშნული დანაშაულისთვის სასჯელთან ერთად სისხლის-სამართლებრივი იძულების ღონისძიების სახით დანაშაულის საგნისა და საშუალების ჩამორთმევას.[24]

გარდა ამისა, 2005 წლის 28 დეკემბრის საკანონმდებლო ცვლილებების შედეგად საქართველოს სსკ-ის 377-ე მუხლის მე-2 ნაწილი, რომლითაც წინათ დაწესებული იყო პასუხისმგებლობა კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს განაჩენში მითითებული საპროცესო კონფისკაციას დაქვემდებარებული ქონების დამალვისთვის (სსკ-ის 377-ე მუხლის 1999 წლის 22 ივლისის რედაქცია), ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით, რომელშიც განისაზღვრა პასუხისმგებლობა ჩამორთმევას დაქვემდებარებული ქონების დამალვისთვის, კერძოდ, ამ დანაშაულის ჩადენისთვის სასჯელის ზომად დადგინდა თავისუფლების აღკვეთა ვადით ორიდან ხუთ წლამდე.[25]

ამგვარი ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსის 214-ე, 344-ე და 377-ე მუხლებში სავსებით გასაგებია, რადგან ისინი წარმოადგენს სისხლის სამართლის კოდექსის ზოგად ნაწილში, კერძოდ კი მე-40, 41-ე და 52-ე მუხლებში შეტანილი იმ ცვლილებების ლოგიკურ გაგრძელებას, რომლებიც ზემოთ განვიხილეთ, იმის გათვალისწინებით, რომ ქონების ჩამორთმევა უკვე დამატებითი სასჯელია, რომელიც კანონით გათვალისწინებული სათანადო საფუძვლისა და პირობების არსებობისას, შეიძლება დაინიშნოს ყველა განზრახი დანა-

[23] სსკ-ის 214-ე მუხლის 2000 წლის 5 მაისის რედაქცია, იხ. „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე", I, 2000 წ., №18, მუხ. 45-ე.

[24] სსკ-ის 344-ე მუხლის 2002 წლის 4 ივლისის რედაქცია, იხ. „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე", I, 2002 წ., №23, მუხ. 113-ე.

[25] იხ. „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე", I, 18.01.2006 წ., მუხ. 90-ე.

შაულისთვის და არა მხოლოდ ცალკეული დანაშაულისთვის.

ამით ვამთავრებთ საუბარს საქართველოს მატერიალური სისხლის სამართლის კანონმდებლობაში ქონების ჩამორთმევის ინსტიტუტის არსზე და დანიშნულებაზე, მისი გამოყენების საფუძვლებსა და ფარგლებზე, რის შემდეგაც უნდა განვიხილოთ თუ როგორ იყო წარმოდგენილი აღნიშნული ინსტიტუტი საქართველოს 2010 წლის 1 ოქტომბრამდე მოქმედ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში.

ქონების ჩამორთმევის ინსტიტუტთან დაკავშირებით საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობაში განხორციელებულმა ცვლილებებმა შესაბამისი ასახვა ჰპოვა იმ დროისთვის მოქმედ საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსშიც. ზემოთ აღინიშნა, რომ წინათ ერთმანეთის პარალელურად და ერთმანეთისგან დამოუკიდებლად სისხლის სამართლის კანონმდებლობასა და სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში ფუნქციონირებდა ერთმანეთის მსგავსი ინსტიტუტები — სისხლის სამართლებრივი იძულების ღონისძიება დანაშაულის საგნის ან საშუალების უსასყიდლოდ ჩამორთმევის სახით და საპროცესო კონფისკაცია დანაშაულის იარაღისა და საგნის უსასყიდლოდ ჩამორთმევის სახით. ორივე შემთხვევაში დანაშაულის იარაღისა და საგნის უსასყიდლო ჩამორთმევა სახელმწიფო ბიუჯეტისთვის გადაცემით ხდებოდა მხოლოდ იმ შემთხვევაში თუკი მათ რაიმე მატერიალური ღირებულება გააჩნდათ, ხოლო თუ მათ ასეთი ღირებულება არ გააჩნდათ, მაშინ ისინი როგორც საქმეზე არსებული ნივთმტკიცებები, ექვემდებარებოდნენ განადგურებას საამისოდ დადგენილი წესების დაცვით.

2005 წლის 28 დეკემბერს საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის შესაბამის მუხლებში შეტანილი

ცვლილებების[26] შედეგად არსებითად შეიცვალა ვითარება იმ თვალსაზრისით, რომ ამჯერად ის საპროცესო ნორმები, რომლებიც შეეხებოდნენ დანაშაულის საგნის, იარაღისა და საშუალების ჩამორთმევას, რეალურად წარმოადგენდნენ სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლის პირველ და მე-2 ნაწილებში ჩამოყალიბებული ნორმების პრაქტიკული რეალიზაციის საპროცესო საშუალებებს, როგორც ეს ხდება მატერიალური სისხლის სამართლისა და საპროცესო სამართლის ნორმებს შორის ჩვეულებრივი ურთიერთდამოკიდებულების სხვა შემთხვევაში. ამაზე მიუთითებს თუნდაც აღნიშნული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 44-ე მუხლში შეტანილი ცვლილებები, რომლის ძალით ამ მუხლიდან ამოღებულ იქნა 48-ე ნაწილი, რომელიც ითვალისწინებდა საპროცესო კონფისკაციას, ხოლო იმავე მუხლის 49-ე ნაწილი ჩამოყალიბდა ახალი რედაქციით — ბლანკეტური ნორმის სახით, რომელშიც მითითებული იყო: „ქონების ჩამორთმევა — როგორც ეს გათვალისწინებულია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლით.“ ეს იმას ნიშნავდა, რომ ამჯერად საპროცესო კოდექსი ქონების ჩამორთმევის არსის განსაზღვრისას ხელმძღვანელობდა სისხლის სამართლის კოდექსის შესაბამისი ნორმებით და არ ქმნიდა მის განსხვავებულ ცნებას დამოუკიდებელი საპროცესო მნიშვნელობით. ამიტომაც სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის იმ სხვა შესაბამის ნორმებში შეტანილი ცვლილებების შინაარსიც, რომლებიც შეეხებოდნენ დანაშაულის საგნისა და იარაღის, აგრეთვე დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის უსასყიდლოდ ჩამორთმევას, თანხმობაში იყო საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლის პირველ და მე-2 ნაწილში მოცემულ დებულებებთან.

ამ მხრივ საინტერესოა აღნიშნული სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 124-ე მუხლში შეტანილი ცვლილებები.

[26] იხ. „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე,“ №4, 18.01.2006 წ., მუხ. 40.

ეს მუხლი განსაზღვრავდა თუ რა გადაწყვეტილებები უნდა ყოფილიყო მიღებული ნივთიერ მტკიცებულებათა თაობაზე საქმის წარმოების დამთავრების დროს. ამ მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტის ახალი რედაქცია ადგენდა: „ა) თუ ჩამორთმევას დაქვემდებარებულ დანაშაულის საგანს ან/და იარაღს ან დანაშაულის ჩასადენად გამიზნულ ნივთს ღირებულება არა აქვს, იგი ნადგურდება, ხოლო თუ მას აქვს ღირებულება, იგი უსასყიდლოდ გადაეცემა სახელმწიფოს."

აღნიშნული მუხლის მე-2 ნაწილი განსაზღვრავდა წინასწარი გამოძიების სტადიაზე ამავე მუხლის პირველი ნაწილის „ა" ქვეპუნქტში მითითებული, ჩამორთმევას დაქვემდებარებული ობიექტების განადგურებისა თუ სახელმწიფოსთვის უსასყიდლოდ გადაცემის საპროცესო წესებს, რომლებიც მდგომარეობდა შემდეგში: „წინასწარი გამოძიების სტადიაზე სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და წინასწარი გამოძიების შეწყვეტისას მატერიალური ღირებულების მქონე ნივთიერი მტკიცებულების განადგურება, ჩამორთმევა და გადაცემა ხდება მხოლოდ მოსამართლის დადგენილების საფუძველზე. ამ საკითხს მოსამართლე განიხილავს ყველა დაინტერესებული პირის მონაწილეობით, იმ ცნობისა და სხვა დოკუმენტების საფუძველზე, რომლებიც გამომძიებელმა წარადგინა."

აღნიშნულ დებულებაში მნიშვნელოვანია ის გარემოება, რომ იმ დანაშაულის საგნისა და იარაღის, ასევე დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთისა თუ სხვა ქონების უსასყიდლოდ ჩამორთმევა და სახელმწიფოსთვის გადაცემა, რომლებსაც გააჩნიათ ნივთმტკიცების სტატუსი, წინასწარი გამოძიების სტადიაზეც ხორციელდებოდა სასამართლო წესით, რაც სათანადო გარანტიას წარმოადგენდა საიმისოდ, რათა დაცული ყოფილიყო იმ პირთა უფლებები და კანონიერი ინტერესები რომელთაც უნდა ჩამორთმეოდათ დასახელებული საგნები, იარაღები, ნივთები თუ სხვა ქონება. ამასთან ერთად, გასათვალისწინებელია ის გარემოებაც, რომ წინასწარი გამოძიე-

ბის სტადიაზე, სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტის დროს გამომძიებელს დანაშაულის საგნის, იარაღისა თუ სხვა ნივთისა და ქონების ჩამოსართმევად სასამართლოსთვის დევნის ან გამოძიების შეწყვეტის დადგენილებასთან ერთად უნდა წარედგინა სხვა დოკუმენტებიც, რომლებითაც უნდა დადასტურებულიყო, რომ ჩამორთმევას დასაქვემდებარებელი ობიექტი ნამდვილად წარმოადგენდა დანაშაულის საგანს, იარაღსა თუ საშუალებას, ანდა დანაშაულის ჩასადენად გამიზნულ ნივთს ან სხვა ქონებას; მისი ჩამორთმევა აუცილებელი იყო სახელმწიფო და საზოგადოებრივი ან კონკრეტული ფიზიკური თუ იურიდიული პირის უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის ინტერესების არსებობის გამო, ანდა ახალი დანაშაულის თავიდან ასაცილებლად, ვინაიდან სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლის მე-2 ნაწილით დადგენილია სავალდებულო მოთხოვნა. ამასთან, აღნიშნული საკითხის სასამართლო განხილვაში მონაწილეობა უნდა მიეღებინებინათ ყველა იმ პირისთვის, ვის ინტერესებსაც შეიძლება შეხებოდა სასამართლოს გადაწყვეტილება.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 124-ე მუხლის მე-4 ნაწილი (2005 წლის 28 დეკემბრის რედაქცია) ადგენდა, რომ იმ ქონების გაფუჭების, განადგურების ან დაკარგვის შემთხვევაში, რომელიც ექვემდებარებოდა ჩამორთმევას, მის მესაკუთრეს ან მფლობელს კომპენსაცია არ მიეცემოდა. აქ გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ საკითხს იმის შესახებ შესაბამისი ქონება ექვემდებარებოდა თუ არა ჩამორთმევას, საბოლოოდ იღებდა სასამართლო. ამიტომ აღნიშნული საპროცესო ნორმის დადგენილება კომპენსაციაზე უარის თქმის შესახებ ვერ გავრცელდებოდა ისეთი ქონების გაფუჭების, განადგურების ან დაკარგვის შემთხვევაზე, რომლის მიმართ ჯერ კიდევ არ არსებობდა სასამართლოს გადაწყვეტილება, რომ იგი ექვემდებარებოდა უსასყიდლო ჩამორთმევას.

საყურადღებოა ასევე ის ცვლილება, რომელიც შევიდა ხსენებული რედაქციის სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 190-ე მუხლის პირველ ნაწილში, რომლის მიხედვით ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად სასამართლოს შეეძლო ყადაღა დაედო ეჭვმიტანილის, ბრალდებულის ან განსასჯელის, მისი მოქმედებისთვის მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ან/და დაკავშირებული პირის ქონებაზე, მათ შორის, საბანკო ანგარიშებზე, თუ არსებობდა მონაცემები, რომ ქონებას გადამალავენ ან დახარჯავენ, ან/და რომ ქონება დანაშაულებრივი გზით იყო მოპოვებული. ამ ნაწილში მითითებული პირობების არსებობისას, თუ ეჭვმიტანილი, ბრალდებული ან განსასჯელი თანამდებობის პირი იყო, პროკურორი ვალდებული იყო სასამართლოს წინაშე აღეძრა შუამდგომლობა თანამდებობის პირის მიერ სახელმწიფოს სახელით დადებული ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეჩერების თაობაზე. ეს საპროცესო ნორმა წარმოადგენდა გარკვეულ გარანტიას იმისთვის, რომ საჭიროებისა და კანონში მითითებული აუცილებლობის შემთხვევაში უზრუნველყოფილი იქნებოდა იმ ქონების რეალურად ამოღება და უსასყიდლოდ სახელმწიფოსთვის გადაცემა, რომელიც გამოყენებული იყო დანაშაულის ჩასადენად ან საამისოდ იყო გამიზნული ან/და დანაშაულებრივი გზით იყო მოპოვებული.

გარდა განხილული მუხლებისა, 2005 წლის 25 დეკემბრის კანონით ცვლილებები იქნა შეტანილი აგრეთვე საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 410-ე, 412-ე, 424-ე, 427-ე, 498-ე, 509-ე და 511-ე მუხლებში იმ საკითხების თაობაზე, რომლებიც შეეხებოდნენ პროკურორის მიერ საბრალდებო დასკვნის შედგენისას, ასევე სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი და გამამართლებელი განაჩენის დადგენისას ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებით მისაღებ გადაწყვეტილებებს, რომლებსაც დეტალურად აღარ განვიხილავთ, ვინაიდან ეს საკითხებიც წყდებოდა აღნიშნულ საპროცესო სტადიებზე გადასაწყვეტ სხვა საკითხების მსგავსად.

ასეთი სახით იყო წარმოდგენილი ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებით 2005 წლის 28 დეკემბრიდან მოქმედი საპროცესო ნორმები საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში (1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია შემდგომი ცვლილებებითა და დამატებებით), ხოლო 2010 წლის 1 ოქტომბრიდან კი ამოქმედდა საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსი,[27] რომელიც სრულიად სხვაგვარად წყვეტს დანაშაულის საგნისა და იარაღის ჩამორთმევასთან დაკავშირებულ საპროცესო საკითხებს.

2.2 ქონების ჩამორთმევა და საპროცესო კონფისკაცია საქართველოს ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კანონმდებლობაში

საქართველოს ახალმა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსმა,[28] რომელიც ამოქმედდა 2010 წლის 1 ოქტომბრიდან, ქონების ჩამორთმევის ინსტიტუტთან ერთად შემოიტანა, უფრო სწორი იქნება თუ ვიტყვით, რომ დააბრუნა საპროცესო კონფისკაციის ინსტიტუტი, რომელიც წინამორბედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსიდან[29] ამოღებულ იქნა მასში 2005 წლის 28 დეკემბერს შეტანილი ცვლილებების შედეგად[30], თუმცა ამჟამად, ახალი საპროცესო კოდექსის მიხედვით, საპროცესო კონფისკაცია ხორციელდება განსხვავებული წესებით.

საპროცესო კონფისკაცია საქართველოს ახალ სისხლის სა-

---

[27] 2009 წლის 9 ოქტომბრის რედაქცია. იხ. „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე", I, №31, 03.11.2009 წ., მუხ. 190-ე.

[28] 2009 წლის 9 ოქტომბრის რედაქცია. „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე", I, №31, 03.11.2009, მუხ. 190-ე.

[29] 1998 წლის 20 თებერვლის რედაქცია. „პარლამენტის უწყებანი", №13-14, 08.04.1998, გვ. 31.

[30] იხ. „საქართველოს საკანონმდებლო მაცნე", I, 2006 წ., №4.

მართლის საპროცესო კოდექსში თავდაპირველად მოხსენიებულია 81-ე მუხლის პირველი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტსა და ამავე მუხლის მე-3 ნაწილში. აღნიშნული მუხლი განსაზღვრავს თუ რა გადაწყვეტილება უნდა იქნეს მიღებული ნივთიერი მტკიცებულების შესახებ სისხლის სამართლის პროცესის დამთავრებისას. კერძოდ, ამ მუხლის პირველი ნაწილის პრეამბულასა და „ა“ ქვეპუნქტში აღნიშნულია, რომ განაჩენში, აგრეთვე სისხლისსამართლებრივი დევნის ან/და გამოძიების შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებაში ნივთიერი მტკიცებულების საკითხი შემდეგნაირად უნდა გადაწყდეს — თუ დანაშაულის იარაღის ან საგანს აქვს რაიმე ღირებულება, ხდება მისი საპროცესო კონფისკაცია (თუკი ღირებულება არა აქვს, იმავე ნორმით დგინდება მისი განადგურება), ხოლო აღნიშნული მუხლის მე-3 ნაწილი კი ადგენს, რომ საპროცესო კონფისკაციის ქვემდებარე ნივთიერი მტკიცებულების გაფუჭების, დაკარგვის ან განადგურების შემთხვევაში, მის მესაკუთრეს ან მფლობელს კომპენსაცია არ მიეცემა.

ამავე დროს აღსანიშნავია, რომ ახალ საპროცესო კოდექსში არსად არ არის განმარტებული, თუ რას ნიშნავს დანაშაულის საგნისა და იარაღის საპროცესო კონფისკაცია, რაც, ერთგვარად, გაურკვეველს თუ არა, ძნელად გასაგებს მაინც ხდის ამ საპროცესო ინსტიტუტის მიმართებას საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლში (2005 წლის 28 დეკემბრის რედაქცია) მოხსენიებულ დანაშაულის საგნისა და იარაღის, ასევე დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლო ჩამორთმევასთან, რომელიც განიხილება სისხლისსამართლებრივი სასჯელის ისეთ სახედ, როგორიცაა ქონების ჩამორთმევა. ამგვარი დუალიზმის შედეგად ჩნდება ჯერჯერობით პასუხგაუცემელი პრობლემატური კითხვა — რას წარმოადგენს დანაშაულის იარაღისა და საგნის კონფისკაცია თუ ჩამორთმევა — მატერიალური სისხლის სამართლის ღონისძიებას (სასჯელს), თუ საპროცესო სამართლებრივ ღონისძიებას. ამ

პრობლემის არსი იმაში მდგომარეობს, რომ ერთი და იგივე ღონისძიება არ შეიძლება ერთდროულად წარმოადგენდეს მატერიალურ — სამართლებრივ ინსტიტუტს (სასჯელს) და საპროცესო სამართლებრივ ინსტიტუტსაც, ვინაიდან ამ უკანასკნელთ განსხვავებული დანიშნულებები გააჩნიათ და მათი გამოყენებაც განსხვავებული წესებით ხდება. მაგალითად, დანაშაულის იარაღისა და საგნის ჩამორთმევის, როგორც სისხლისსამართლებრივი სასჯელის ღონისძიების გამოყენება შესაძლებელია მხოლოდ კანონიერ ძალაში შესული გამამტყუნებელი განაჩენის საფუძველზე, ეს მაშინ, როდესაც იგივე დანაშაულის იარაღისა და საგნის საპროცესო კონფისკაციის, როგორც საპროცესო სამართლებრივი ღონისძიების გამოყენება შესაძლებელია გამამტყუნებელი განაჩენის გარეშეც — წინასწარი გამოძიების შეწყვეტისას. ამასთან, პირველ შემთხვევაში ამ ღონისძიების გამოყენების მიზანს უპირატესად წარმოადგენს დამნაშავის დასჯა, ხოლო მეორე შემთხვევაში კი, ძირითადად ახალი დანაშაულის თავიდან აცილება.

აღნიშნულიდან გამომდინარე, მიგვაჩნია, რომ ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მიღების პარალელურად უნდა შესულიყო სათანადო ცვლილებები საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლში და ეს უკანასკნელი ყოფილიყო შესაბამისობაში მოყვანილი ახალი საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლთან, რათა პრაქტიკაში თავიდან იქნეს აცილებული მოსალოდნელი სირთულეები, რაც მდგომარეობს იმაში, რომ ამ კანონით შეუძლებელია იმის გარკვევა — დამნაშავისგან ამოღებული დანაშაულის იარაღის ან საგნის მიმართ უნდა განხორციელდეს საპროცესო კონფისკაცია, თუ უნდა მოხდეს სასამართლოს გამამტყუნებელი განაჩენით სასჯელის სახით აღნიშნული ნივთების ჩამორთმევა. მოცემულ საკითხში გაურკვევლობის წარმოქმნას, ცხადია, ხელს უწყობს ის გარემოებაც, რომ ახალ საპროცესო კოდექსში, როგორც უკვე აღინიშნა, არ არის განმარტებული

დანაშაულის იარაღისა და საგნის საპროცესო კონფისკაციის არსი. სასურველი და მიზანშეწონილი იყო, რომ ამგვარი განმარტება გაკეთებული ყოფილიყო ახალი საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლში, სადაც მოცემულია იმ ძირითად ტერმინთა განმარტებები, რომლებიც გამოიყენება ამ კოდექსის მიზნებისთვის.

გარდა ამისა, ხაზი უნდა გაესვას კიდევ ერთ გარემოებას, რაც უკავშირდება წინათ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 124-ე მუხლსა და ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლის განმასხვავებელ ერთ მნიშვნელოვან ასპექტს. ძველი კოდექსის 124-ე მუხლიც და ახალი კოდექსის 81-ე მუხლიც შეეხება საპროცესო გადაწყვეტილებას ნივთიერი მტკიცებულების ბედის შესახებ სისხლის სამართლის პროცესის დამთავრებისას, მათ შორის წინასწარი გამოძიების შეწყვეტისას. როგორც ზემოთაც იყო აღნიშნული, წინათ მოქმედი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 124-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად წინასწარი გამოძიების შეწყვეტისას მატერიალური ღირებულების მქონე ნივთიერი მტკიცებულების (რომელშიც ასევე მოიაზრებოდა დანაშაულის იარაღი და საგანი) ჩამორთმევა ხდებოდა მხოლოდ მოსამართლის დადგენილების საფუძველზე, ხოლო ამ საკითხს მოსამართლე განიხილავდა ყველა დაინტერესებული პირის მონაწილეობით, იმ დოკუმენტების საფუძველზე, რომლებიც გამომძიებელს უნდა წარედგინა სასამართლოსთვის. ახალი საპროცესო კოდექსის 81-ე მუხლი კი მსგავს დათქმას აღარ შეიცავს, რაც იმაზე მიუთითებს, რომ სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტისას საპროცესო კონფისკაციაზე სასამართლო კონტროლი აღარ არსებობს, მით უმეტეს, თუ იმასაც გავითვალისწინებთ, რომ ახალი საპროცესო კოდექსის მიხედვით არ არის დაშვებული სისხლისსამართლებრივი დევნისა და წინასწარი გამოძიების შეწყვეტის დადგენილების სასამართლოში გასაჩივრება.

საქართველოს ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, გარდა 81-ე მუხლისა, არსებობს სხვა ნორმებიც, რომლებიც ეხებიან ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებულ საკითხებს, მაგრამ ისინი ძირითადად რეგლამენტაციას უკეთებენ საქმის წარმოების დროს ქონების ჩამორთმევის რეალიზაციასთან დაკავშირებულ საკითხებს, რაც ფრიად მნიშვნელოვანია იმ პირისთვის, ვისაც ეს ქონება უნდა ჩამოერთვას. მაგალითად, ახალი საპროცესო კოდექსის 151-ე მუხლის პირველ ნაწილში აღნიშნულია, რომ ქონების შესაძლო ჩამორთმევის უზრუნველსაყოფად სასამართლოს შეუძლია მხარის შუამდგომლობის საფუძველზე ყადაღა დაადოს ბრალდებულის, მისი მოქმედებისთვის მატერიალურად პასუხისმგებელი პირის ან/და მასთან დაკავშირებული პირის ქონებას, მათ შორის, საბანკო ანგარიშებს, თუ არსებობს მონაცემები, რომ ქონებას გადამალავენ ან დახარჯავენ ან/და ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული. თუ არსებობს მონაცემები, რომ ქონება დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული, მაგრამ მისი მოძიება ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია ყადაღა დაადოს ამ ქონების ეკვივალენტური ღირებულების ქონებას. ამ ნაწილში მითითებული პირობების არსებობისას, თუ ბრალდებული თანამდებობის პირია, პროკურორი ვალდებულია სასამართლოს წინაშე დააყენოს შუამდგომლობა თანამდებობის პირის ქონებაზე, მათ შორის, საბანკო ანგარიშებზე, ყადაღის დადების, აგრეთვე თანამდებობის პირის მიერ სახელმწიფოს სახელით დადებული ხელშეკრულებებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შეჩერების თაობაზე.

იმავე მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით, ქონებას ყადაღა ედება ასევე იმ შემთხვევაში, თუკი მიჩნეულია, რომ ეს ქონება გამოყენებული იქნება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული, ტერორიზმის ხელშემწყო-

ბი რომელიმე დანაშაულის ჩასადენად. აქ მხედველობაშია საქართველოს სსკ-ის 323-ე-330-ე და 331[1] მუხლით გათვალისწინებული დანაშაულები, ხოლო საპროცესო კოდექსის აღნიშნული მუხლის მე-3 ნაწილის თანახმად, სასამართლოს შეუძლია ასევე ყადაღა დაადოს ქონებას, თუ არსებობს საკმარისი მონაცემები, რომ იგი კორუფციული, რეკეტული ან ქურდული სამყაროს წევრის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ" ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის ქონებაა ან/და ამ ქონების მიმართ ჩადენილია დანაშაული ან/და იგი დანაშაულებრივი გზით არის მოპოვებული.

ახალი საპროცესო კოდექსის 155-ე მუხლი კი განსაზღვრავს გადაუდებელი აუცილებლობისას პროკურორის მიერ თავისი დადგენილებით ქონებაზე ყადაღის დადებისა და ამ პროცედურაზე სასამართლო კონტროლის წესებს, რომლის მიხედვით გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, თუ არსებობს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ქონებას გადამალავენ ან გაანადგურებენ, პროკურორს უფლება აქვს, გამოიტანოს დასაბუთებული დადგენილება ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ.

ასეთი გადაუდებელი აუცილებლობის შემთხვევაში, ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ დადგენილების აღსრულებიდან 12 საათის განმავლობაში (ხოლო თუ ამ ვადის ამოწურვა ემთხვევა არასამუშაო დროს, მაშინ ამ დროის გასვლიდან არაუგვიანეს 1 საათისა), პროკურორმა ყადაღის დადების თაობაზე უნდა შეატყობინოს გამოძიების ადგილის მიხედვით სასამართლოს ან სასამართლოს, რომლის სამოქმედო ტერიტორიაზედაც ჩატარდა საპროცესო მოქმედება, უნდა წარუდგინოს მას შუამდგომლობა ყადაღის კანონიერების შემოწმების შესახებ და უნდა გადასცეს სისხლის სამართ-

ლის საქმის მასალები (ან მათი ასლები), რომლებიც ასაბუთებს საგამოძიებო მოქმედების გადაუდებლად ჩატარების აუცილებლობას. სასამართლო, მასალების შესვლიდან არა უგვიანეს 24 საათისა, ზეპირი მოსმენის გარეშე წყვეტს შუამდგომლობას. სასამართლო უფლებამოსილია შუამდგომლობა განიხილოს პროკურორისა და იმ პირის მონაწილეობით, რომლის მიმართაც ჩატარდა საგამოძიებო მოქმედება, ამასთან, იმავე კოდექსის 156-ე მუხლის შესაბამისად, სასამართლოს განჩინება ქონებაზე ყადაღის დადების შესახებ საჩივრდება ამ კოდექსის 207-ე მუხლით გათვალისწინებული წესების დაცვით.

რაც შეეხება ახალი საპროცესო კოდექსის სხვა მუხლებს, მხოლოდ 274-ე და 276-ე მუხლებში იხსენიება საპროცესო კონფისკაცია, კერძოდ, მათში აღნიშნულია, რომ გამამტყუნებელი და გამამართლებელი განაჩენების სარეზოლუციო ნაწილებში, სხვა ძირითად საკითხებთან ერთად, გადაწყვეტილ უნდა იქნეს ასევე ქონების ჩამორთმევისა და საპროცესო კონფისკაციის საკითხები.

ამრიგად, მიზანშეწონილად მიგვაჩნია: იმისათვის, რომ ერთმანეთისაგან მკაფიოდ იყოს გამიჯნული სისხლისსამართლებრივი სასჯელი და სისხლის სამართლის საპროცესო ღონისძიება, როგორც მკვეთრად განსხვავებული სამართლებრივი ფუნქციის მატარებელი ინსტიტუტები, მათ შორის დანაშაულთან დაკავშირებული ნივთების, საგნებისა და ქონების საკითხშიც, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლიდან საერთოდ ამოღებულ უნდა იქნეს დანაშაულთან დაკავშირებული ისეთი იარაღის, საშუალების, სხვა საგნისა თუ დანაშაულებრივი გზით მოპოვებული ქონების ან დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ქონების ჩამორთმევა, რომელიც, საქართველოს სამოქალაქო კანონმდე-

ბლობის მიხედვით არ წარმოადგენს დამნაშავის საკუთრების ან კანონიერი მფლობელობის ობიექტს. ეს საკითხები მთლიანად უნდა გადავიდეს და დარეგულირდეს საქართველოს ახალ სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსში, ე.ი. აღნიშნული ნივთის (ქონების) ამგვარი ჩამორთმევა მთლიანად უნდა გადაიქცეს საპროცესო ინსტიტუტად, რადგან შეუძლებელია სასჯელად მივიჩნიოთ ისეთი ქონების ჩამორთმევა, რაც დანაშაულის ჩადენის გზითაა მოპოვებული და რომელ ქონებაზეც დამნაშავეს ვერასოდეს წარმოეშობა საკუთრების ან კანონიერი ფლობის უფლება, მითუმეტეს, ეს უფრო ითქმის დანაშაულის იარაღსა და საშუალებაზე, ამიტომ მათი ჩამორთმევა უნდა ხორციელდებოდეს მხოლოდ წმინდა საპროცესო გზით, ამასთან, სასურველია, გარკვეული სასამართლო კონტროლით, როგორც ეს იყო დაწესებული წინათ მოქმედი საქართველოს სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 124-ე მუხლის მე-2 ნაწილით.

ამავე დროს, საქართველოს მოქმედი სისხლის სამართლის კოდექსის 52-ე მუხლი უნდა ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით, რომელიც დამატებითი სასჯელის სახით გაითვალისწინებს საქართველოს სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად დამნაშავის საკუთრებაში ან კანონიერ მფლობელობაში არსებული ისეთი ნივთის (ქონების) სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლოდ ჩამორთმევას, რაც მის მიერ გამოყენებული ან გამიზნული იყო დანაშაულის ჩასადენად:

„მუხლი 52. დანაშაულის იარაღის, საშუალების ან დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ჩამორთმევა.

1. დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული იარაღის ან/და საშუალების ან/და დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ჩამორთმევა ნიშნავს მსჯავრდებულისთვის საქა-

რთველოს სამოქალაქო კანონმდებლობის შესაბამისად მის საკუთრებაში ან კანონიერ მფლობელობაში არსებული ასეთი იარაღის, საშუალების ან ნივთის (ქონების) სახელმწიფოს სასარგებლოდ უსასყიდლო ჩამორთმევას.

2. დანაშაულის იარაღის ან/და საშუალების, როგორც დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული ნივთის, ასევე დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის ჩამორთმევა, ხდება სასამართლოს მიერ გამამტყუნებელი განაჩენის ან სხვა შემაჯამებელი სასამართლო გადაწყვეტილების საფუძველზე ყველა განზრახი დანაშაულისთვის იმ შემთხვევაში, როდესაც სახეზეა დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული ან გამიზნული ნივთი (ქონება) და მისი ჩამორთმევა აუცილებელია ახალი დანაშაულის ჩადენის თავიდან ასაცილებლად ან ცალკეული პირის უფლებისა თუ თავისუფლების, ანდა მისი კანონიერი ინტერესის დასაცავად".

§ 3. ქონების ჩამორთმევის ინსტიტუტი საქართველოს მოქმედი სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მიხედვით

2007 წლის ივლისამდე ქონების ჩამორთმევის ინსტიტუტი პარალელურად არსებობდა საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო კოდექსში VII[2] თავის სახით, 2004 წლის 13 თებერვლის კანონის საფუძველზე, რომელშიც, როგორც ზემოთ აღინიშნა, განსაზღვრული იყო თანამდებობის პირთა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსთვის გადაცემასთან დაკავშირებით განსახორციელებელი ადმინისტრაციული სამართალწარმოების მარეგლამენტირებელი ნორმები[31] და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსში, მასში დამატებული XIV[1] თავის სახით — „წარმოება რეკეტული ქონების ჩამორთმევასა და

[31] იხ. სსმ, I, 2004 წ., №6 მუხ. 29-ე.

სახელმწიფოსთვის გადაცემასთან დაკავშირებით".[32] მოგვიანებით სამოქალაქო საპროცესო კოდექსის აღნიშნული თავის შინაარსი შეივსო და იგი უკვე არეგულირებდა არამარტო რეკეტული ქონების, არამედ ასევე კანონიერი ქურდებისა და ქურდული სამყაროს წევრთა უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებულ საკითხებს.

ასეთი იყო უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებით საქართველოს ადმინისტრაციულ საპროცესო და სამოქალაქო საპროცესო სამართლებრივ სივრცეში არსებული ვითარება, რომელიც გრძელდებოდა 2007 წლის ივლისამდე. საქართველოს პარლამენტმა 2007 წლის 4 ივლისს მიღებული კანონებით საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსიდან მთლიანად ამოიღო VII[2] თავი,[33] ხოლო უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებული საკითხების მარეგლამენტირებელ ყველა ნორმას, შეეხებოდა იგი თანამდებობის პირთა, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის (ფულის გათეთრების) ჩამდენი პირების, რეკეტირთა, ადამიანით მოვაჭრეების, კანონიერი ქურდების, ქურდული სამყაროს წევრებისა თუ მათთან დაკავშირებულ პირთა ქონებას, თავი მოუყარა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLIV[1] თავში ამ უკანასკნელის შევსების გზით, რომლის სათაურია: „წარმოება რეკეტული ქონების, თანამდებობის პირის, ქურდული სამყაროს წევრის, ადამიანით მოვაჭრის, ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობის ან საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 194-ე მუხლის მე-3 ნაწილის „გ" ქვეპუნქტით მსჯავრდებული პირის ქონების ჩამორთმევასა და სახელმწიფოსთვის გადაცემასთან დაკავშირებით".[34] XLIV[1] თავი ამჟამად მოქმედი რედაქციით შედგება შვიდი მუხლისაგან (356[1], 357[7] მუხლები), რომლებითაც რეგულირდება დასახელებული სუბიექტების

[32] იხ. სსმ, I, 09.07.2004 წ., №18, მუხ. 60.

[33] იხ. კანონი №5198—სსმ I, 2007 წ., №28, მუხ. 285-ე.

[34] იხ. კანონი №5199—სსმ I, 2007წ., №28, მუხ. 286-ე.

უკანონო მფლობელობაში არსებული და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევასთან დაკავშირებული ყველა საკითხი. სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356[1] მუხლში მოცემულია ტერმინთა განმარტებები კოდექსის XLIV[1] გათვალისწინებული მიზნების შესაბამისად, კერძოდ, წარმოდგენილია ისეთი ცნებების იურიდიული განმარტებანი, როგორიცაა: „რეკეტი"; „რეკეტული დაჯგუფება"; „რეკეტირი"; „თანამდებობის პირი"; „ადამიანით მოვაჭრე"; „ნარკოტიკული საშუალების გავრცელების ხელშემწყობი"; „ქურდული სამყაროს წევრი"; „ოჯახის წევრი"; „ახლო ნათესავი", „დაკავშირებული პირი"; „რეკეტული ქონება"; „თანამდებობის პირის ქონება" (ასევე აქ დასახელებულ სხვა პირთა ქონება); „უკანონო ქონება" და „დაუსაბუთებელი ქონება."[35] აღნიშნულ მუხლში მოცემული ძირითადი ცნებების განმარტებები გადმოტანილია ორგანიზებული დანაშაულისა და რეკეტის შესახებ საქართველოს კანონიდან და შინაარსობრივად მისი იდენტურია.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356[2] მუხლში კი განსაზღვრულია უკანონო და დაუსაბუთებელი ქონების ჩამორთმევის თაობაზე სარჩელის აღძვრის წესები, რომელთა თანახმად უკანონოდ და დაუსაბუთებლად ზემოაღნიშნული სუბიექტების მფლობელობაში არსებული ქონების ჩამორთმევის თაობაზე სარჩელის აღძვრის უფლება აქვს პროკურორს ამ სუბიექტების მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის კანონიერ ძალაში შესვლიდან 10 წლის ვადაში. ამასთანავე, იმავე მუხლში აღნიშნულია, რომ სარჩელი ქონების ჩამორთმევის თაობაზე შესაძლებელია აღიძრას არა მხოლოდ უშუალოდ ზემოთ დასახელებული სუბიექტების მიმართ, არამედ ასევე მათი ოჯახის წევრის, ახლო ნათესავისა და მათთან დაკავშირებული პირის მიმართაც.

---

[35] შემდგომში რეკეტული, თუ ყველა სხვა ქონების დასახელება, რომლებიც განხილული კანონის შესაბამისად ექვემდებარება ჩამორთმევასა და სახელმწიფოსათვის გადაცემას, მოხსენიებული იქნება შემოკლებულად – „უკანონო და /ან/ დაუსაბუთებელი ქონება".

გარდა ამისა, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356³ მუხლში მითითებულია იმ საფუძვლებზე, რომლებზე დაყრდნობითაც სასამართლო უფლებამოსილია კოდექსის ამ თავში დასახელებული სუბიექტების ქონება ცნოს რეკეტულად, ანდა უკანონოდ ან დაუსაბუთებლად. სახელდობრ, აღნიშნული მუხლის პირველი ნაწილის თანახმად:

მოსამართლე ქონებას ცნობს რეკეტულად, თუ საქმის წარმოების პროცესში, სათანადო მტკიცებულებათა შეფასების საფუძველზე გაირკვა, რომ ქონება მიღებულია რეკეტის შედეგად, იგი წარმოადგენს შემოსავალს რეკეტის შედეგად მიღებული ქონებიდან, შეძენილია რეკეტიდან მიღებული შემოსავლით ან არ არსებობს რეკეტული დაჯგუფების, რეკეტირის, რეკეტირის ოჯახის წევრის, ახლო ნათესავის ან რეკეტირთან დაკავშირებული პირის ქონების მართლზომიერი საშუალებით მიღების დამადასტურებელი საბუთი ან სხვა მტკიცებულება; ხოლო იმავე მუხლის მესამე ნაწილის მიხედვით, მოსამართლე ქონებას ცნობს უკანონოდ, თუ საქმის წარმოების პროცესში, სათანადო მტკიცებულებათა შეფასების საფუძველზე, სასამართლომ გამოარკვია, რომ ქონება ან ამ ქონების შეძენისათვის საჭირო საშუალებები მოპოვებულია კანონის მოთხოვნათა დარღვევით. რაც შეეხება ქონების დაუსაბუთებლად ცნობას, სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356³ მუხლის მეხუთე ნაწილში აღნიშნულია, რომ მოსამართლე ქონებას ცნობს დაუსაბუთებლად, თუ საქმის წარმოების პროცესში მოპასუხემ ვერ წარუდგინა სასამართლოს ქონების ან ამ ქონების შეძენისათვის საჭირო ფინანსური საშუალებების კანონიერი გზით მოპოვების, ანდა ამ ქონებაზე საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გადასახადების გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტები. ამავე დროს, ხსენებულ 356³ მუხლში მითითებულია, რომ ქონების რეკეტულად ცნობისა და უკანონოდ ცნობის თაობაზე სარჩელის შეტანის შემთხვევაში მოსარჩელე ვალდებულია სასამართლოს წარუდგინოს მოპასუხის ქონების რეკეტულობისა და უკანონობის დამადასტურებელი მტკიცებულებები,

ხოლო ქონების დაუსაბუთებლობაზე სარჩელის შეტანის შემთხვევაში მოპასუხეა ვალდებული სასამართლოს წარუდგინოს მტკიცებულებები თავისი ქონების დასაბუთებულობისა და კანონიერების შესახებ (იხ. 356[3] მუხლის მე-2, მე-4 და მე-6 ნაწილები).

აქ, ჩვენი აზრით, რამდენადმე გაუგებრობას იწვევს ის გარემოება, თუ რატომ უნდა იყოს ვალდებული მოპასუხე ამტკიცოს თავისი ქონების წარმომავლობის კანონიერება, მაშინაც, როცა სასამართლოში სარჩელი შეტანილია მისი ქონების მხოლოდ დაუსაბუთებლად ცნობის თაობაზე. კოდექსის 356[3]-ე მუხლის მე-6 ნაწილის ასეთი მოთხოვნა მოსარჩელეს უბიძგებს, ქონების უკანონობის ვარაუდის შემთხვევაშიც, სარჩელი მაინც მისი დაუსაბუთებლობის საფუძვლით შეიტანოს, რადგან ამ გზით იგი თავიდან აიცილებს მტკიცების მოვალეობას და ფაქტობრივად მტკიცების ტვირთი მთლიანად მოპასუხეზე გადავა, რაც ამ უკანასკნელს აშკარა არათანაბარ მდგომარეობაში აყენებს და რის შედეგადაც 356[3]-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილები ფაქტობრივად გამოუყენებადი ხდება იმის გათვალისწინებით, რომ მოსარჩელე მათ ყოველთვის თავს აარიდებს. ამიტომ ვფიქრობთ, რომ კანონის ეს ხარვეზი გამოსასწორებელია, კერძოდ, საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356[3] მუხლის მე-6 ნაწილი, სასურველია, ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მოპასუხე ვალდებულია სასამართლოს წარუდგინოს თავისი ქონების დასაბუთებულობის დამადასტურებელი მტკიცებულებები“.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356[4] მუხლი განსაზღვრავს იმ საფუძველს, რომლის არსებობისას პროკურორი ვალდებულია, ქონების რეკეტულად ცნობის ანდა ქონების უკანონოდ ან დაუსაბუთებლად ცნობის თაობაზე სარჩელის შეტანის შემთხვევაში, განცხადებით მიმართოს სასამართლოს ასეთ ქონებაზე, მათ შორის საბანკო ან-

გარიშებზე, ყადაღის დადების მოთხოვნით. ასეთ საფუძველს წარმოადგენს მონაცემების არსებობა იმის თაობაზე, რომ დასახელებულ პირთა მფლობელობაში არსებულ ქონებას გადამალავენ, დახარჯავენ ან სხვაგვარად გაასხვისებენ. ცხადია, რომ კანონში ასეთი ნორმის არსებობა სრულიად ლოგიკურია, ვინაიდან, თუკი აღნიშნული ქონების გასხვისებას მოახერხებს მისი მფლობელი სუბიექტი, მაშინ სარჩელის შეტანა ქონების რეკეტულად, უკანონოდ ან დაუსაბუთებლად ცნობის თაობაზე ყოველგვარ აზრს დაკარგავს.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის XLIV[1] თავის მომდევნო მუხლი (356[5]-ე) ადგენს ქონების რეკეტულად ცნობის, აგრეთვე ქონების უკანონოდ და დაუსაბუთებლად ცნობის იურიდიულ შედეგებს. ამ მუხლის თანახმად ქონების რეკეტულად, უკანონოდ და დაუსაბუთებლად ცნობის შემთხვევაში, ეს ქონება მთლიანად, ხოლო ასეთად ქონების ნაწილის ცნობის შემთხვევაში – ეს ნაწილი, მესამე პირის კანონიერი ინტერესების დაკმაყოფილების შემდეგ, გადაეცემა მის კანონიერ მესაკუთრეს, ხოლო კანონიერი მესაკუთრის დადგენის შეუძლებლობის შემთხვევაში — სახელმწიფოს. იმავე მუხლის მიხედვით (მე-3 ნაწილი), თუ გარკვეულ გარემოებათა გამო, შეუძლებელია რეკეტულად, უკანონოდ ან დაუსაბუთებლად ცნობილი ქონების მისი კანონიერი მესაკუთრისთვის ან სახელმწიფოსათვის პირვანდელი მდგომარეობით დაბრუნება, მაგალითად: მოხდა მისი გასხვისება, დაიკარგა, გაფუჭდა და ა.შ., მაშინ მოპასუხეს დაეკისრება ამ ქონების ეკვივალენტური ფულადი თანხის გადახდა.

სამოქალაქო საპროცესო კოდექსის მოცემული თავის დარჩენილი მუხლები ეხება ქონების რეკეტულად ცნობის, უკანონოდ ან დაუსაბუთებლად ცნობის საქმეთა წარმოებისას დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანის წესებს (მუხლი 356[6]), აგრეთვე, ასეთი საქმის წარმოებისას პირის ქმედებაში დანაშაულის ნიშნების გამოკვეთის შემთხვევაში, პროკურორის მოვალეობას, აღნიშნული პირის მიმართ

სისხლისსამართლებრივი დევნის სავალდებულო დაწყების თაობაზე (მუხლი 356[7]). ეს უკანასკნელი საკითხი საინტერესოა იმ თვალსაზრისით, რომ, საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 166-ე მუხლის თანახმად, დანაშაულის ნიშნების შემცველი ქმედების გამო პირის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება პროკურორის დისკრეციულ უფლებამოსილებას წარმოადგენს, რაც იმას ნიშნავს, რომ პირის მიმართ სისხლისსამართლებრივ დევნას პროკურორი იწყებს მისი შეხედულების მიხედვით, გარდა ამავე კოდექსის 167-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა, რომელთა არსებობისას პროკურორს არ შეუძლია დაიწყოს ან აწარმოოს სისხლისსამართლებრივი დევნა, რაც პროკურორის ხსენებული დისკრეციული უფლებამოსილების შეზღუდვას წარმოადგენს. ამრიგად, ირკვევა, რომ საქართველოს სსსკ-ის ხსენებული 167-ე მუხლის გარდა, სისხლისსამართლებრივი დევნის განხორციელება-არგანხორციელებაზე პროკურორის დისკრეციული უფლებამოსილება იზღუდება აგრეთვე საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 356[7] მუხლით, რომლის მიხედვით პროკურორი ვალდებულია პირის მიმართ დაიწყოს სისხლისსამართლებრივი დევნა, თუკი ქონების რეკეტულად ცნობის, ანდა უკანონოდ ან დაუსაბუთებლად ცნობის თაობაზე სამოქალაქო სამართალწარმოების განხორციელებისას გამოიკვეთა დანაშაულის ნიშნები ხსენებული პირის ქმედებაში, მიუხედავად ასეთი დევნის განხორციელების მიზანშეწონილობაზე პროკურორის პირადი შეხედულებისა.

ამგვარად არის წარმოდგენილი ქონების ჩამორთმევის ინსტიტუტი, როგორც ორგანიზებული დანაშაულის ცალკეული ფორმის წინააღმდეგ ბრძოლის სამართლებრივი საშუალება, ამჟამად მოქმედ საქართველოს მატერიალური სისხლის სამართლის, სისხლის სამართლის საპროცესო და სამოქალაქო საპროცესო კანონმდებლობაში. დაინტერესებულ მკითხველს აქვე წარვუდგენთ 2006-2010 წლების განზოგადებულ მონაცემებს საქართველოს პირველი ინსტანციის სასამართლოებში განხილულ საქმეებში ქონების ჩამორთმევის ღონისძიების გამოყენების თაობაზე.

მონაცემები პირველი ინსტანციის სასამართლოებში დამატებითი სასჯელის სახით ქონების ჩამორთმევის შეფარდების შესახებ

წლები	შეეფარდა ქონების ჩამორთმევა (პირი)
2007	163
2008	79
2009	102
2010	122

2010 წელს საქართველოს სსკ-ის 260-ე მუხლით სასჯელის დამატებით ღონისძიებად ქონების ჩამორთმევა შეეფარდა 55 პირს, იმავე კოდექსის 262-ე მუხლით — 6 პირს, ხოლო 338-ე მუხლით — 1 პირს.

მონაცემები პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ რეკეტული ქონების ჩამორთმევისა და სახელმწიფოსთვის გადაცემასთან დაკავშირებით განხილული სამოქალაქო დავების შესახებ

წლები	დავები დაუსაბუთებელ ქონებასთან დაკავშირებით		
	სულ განხილულია	მათ შორის გადაწყვეტილების გამოტანით	მათ შორის დაკმაყოფილდა
2007	7	7	7
2008	2	1	1
2009	3	3	3

პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ დაუსაბუთებელ ქონებასთან დაკავშირებით განხილული ადმინისტრაციული დავების შესახებ

წლები	დავები დაუსაბუთებელ ქონებასთან დაკავშირებით		
	სულ განხილულია	მათ შორის გადაწყვეტილების გამოტანით	მათ შორის დაკმაყოფილდა
2006	15	10	10
2008	7	4	2
2009	3	1	1

ზემოალნიშნული ანალიზისა და მიმოხილვის გარდა, ვფიქრობთ, მკითხველისთვის საინტერესო იქნება ინფორმაცია იმის თაობაზეც, თუ როგორ ებრძვის საერთაშორისო თანამეგობრობა ორგანიზებული დანაშაულობის ცალკეულ ფორმებს ისეთი სამართლებრივ-ეკონომიკური ინსტიტუტის მეშვეობით, როგორიცაა ქონების ჩამორთმევა (კონფისკაცია), რის შესახებაც წარმოვადგენთ მოკლე მიმოხილვას.

§ 4. საერთაშორისო კონვენციები და ევროდირექტივები ქონების ჩამორთმევის (კონფისკაციის) შესახებ

დანაშაულის საგნის ან დანაშაულის ჩასადენად გამიზნული ნივთის, ასევე დანაშაულებრივი გზით მოპოვებული შემოსავლების კონფისკაციის აუცილებლობაზე პირველი აქცენტი ნარკოტიკების უკანონო ბრუნვის წინააღმდეგ მიღებულმა ვენის 1988 წლის კონვენციამ გააკეთა, რომლის მე-5 მუხლის მიხედვით ყოველი მხარე იღებს აუცილებელ ზომებს მე-3 მუხლის I პუნქტში მითითებული ნარკოტიკული დანაშაულის ჩადენის შედეგად მიღებული შემოსავლების, ასევე ნარკოტიკული საშუალებებისა და ფსიქოტროპული ნივთიერებების, ამ დანაშაულის ჩასადენად გამოყენებული (ან გამოსაყენებელი) მოწყობილობისა ან სხვა საშუალებების კონფისკაციისთვის.

ყოველი მხარე იღებს ზომებს, რომელიც საჭიროა იმისთვის, რომ კომპეტენტურმა ორგანოებმა აღმოაჩინონ და გაყინონ ან დააყადაღონ ქონება შემდგომი კონფისკაციის მიზნით. აქვე საუბარია სასამართლოს და სხვა კომპეტენტური ორგანოების შესაბამისი უფლებამოსილებებით აღჭურვაზე აღნიშნული ზომების გამოსაყენებლად, საერთაშორისო თანამშრომლობაზე კონფისკაციის მიზნით და სხვ.

ფულის გათეთრების წინააღმდეგ მიღებული სტრასბურგის 1990 წლის კონვენციის მე-2 მუხლი ეთმობა საკონფისკაციო ღონისძიებებს, სახელდობრ, ყოველი მხარე იყენებს ისეთ საკანონმდებლო და სხვა ზომებს, რომელიც აუცილებელია დანაშაულებრივი საშუალებების და შემოსავლების ან ამ შემოსავლების ღირებულების შესაბამისი საკუთრების კონფისკაციისთვის. აქვე კონვენციაში საუბარია სპეციალურ საგამოძიებო უფლებამოსილებებზე და მეთოდებზე უკანონო

შემოსავლების გამოსავლენად და დასაყადაღებლად, ამავე მიზნით საერთაშორისო თანამშრომლობის პრინციპებზე და სამართლებრივ დახმარებაზე.

ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ მიღებული პალერმოს (2000 წ.) კონვენციის მიხედვით მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ისეთი ზომები, რომლებიც შეიძლება საჭირო გახდეს ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულების გზით მიღებული შემოსავლების ან შესაბამისი ღირებულების ქონების კონფისკაციის უზრუნველსაყოფად; ამ კონვენციით გათვალისწინებული დანაშაულების ჩასადენად გამოყენებული ან გამოსაყენებლად განკუთვნილი ქონების, მოწყობილობის ან სხვა საშუალებების კონფისკაციის უზრუნველსაყოფად.

მონაწილე სახელმწიფოებმა უნდა მიიღონ ზომები, ზემოაღნიშნული ნებისმიერი ნივთის შესაძლო იდენტიფიცირების, ძებნის, დაყადაღების ან ამოღების შესაძლებლობის უზრუნველსაყოფად, მისი საბოლოო კონფისკაციის მიზნით. კონვენცია ცალკე მუხლებს უთმობს საერთაშორისო თანამშრომლობას კონფისკაციის მიზნით და დანაშაულის გზით მიღებული კონფისკაციაქმნილი შემოსავლების ან ქონების განკარგვას.

ფულის გათეთრების შესახებ ევროსაბჭოს 1990 წლის კონვენციის საფუძველზე, ევროპის კავშირის მინისტრთა საბჭომ 2011 წელს მიიღო ჩარჩო გადაწყვეტილება ფულის გათეთრების, ასევე დანაშაულებრივი გზით მოპოვებული შემოსავლების და დანაშაულის იარაღების მოძიების, დაყადაღების, ამოღებისა და კონფისკაციის შესახებ. ჩარჩო გადაწყვეტილების ერთ-ერთი მიზანია ევროკავშირის წევრი

სახელმწიფოების სამართლებრივი დებულებების ჰარმონიზაცია დანაშაულის იარაღებისა და დანაშაულიდან მიღებული შემოსავლების ჩამორთმევის სფეროში.

აღნიშნული ჩარჩო-გადაწყვეტილების მე-3 მუხლის მიხედვით ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ღონისძიებებს, რათა უზრუნველყოფილ იქნეს დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების ჩამორთმევა, განსაკუთრებით იმ შემთხვევებში, როცა ამ შემოსავლების ამოღება შეუძლებელია, შესაძლებელი გახდეს მათი ეკვივალენტური ქონებრივი ღირებულების მქონე ნივთების კონფისკაცია, როგორც წმინდა შიდასახელმწიფოებრივ პროცესში, ასევე იმ პროცესში, რომელიც სხვა წევრი სახელმწიფოს თხოვნით, მათ შორის, უცხო სახელმწიფოს მიერ მიღებული კონფისკაციის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულების თხოვნით, წარიმართება.

აღსანიშნავია ევროკავშირის საბჭოს 2005 წლის 24 თებერვლის ჩარჩო გადაწყვეტილება დანაშაულებრივი გზით მიღებული შემოსავლების, დანაშაულის იარაღისა და ქონებრივი ღირებულებების ჩამორთმევის შესახებ. მის პრეამბულაში წერია, რომ ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის მთავარი მოტივი ეკონომიკური სარგებლის მიღებაა. ორგანიზებული დანაშაულის ეფექტური აღკვეთისა და მასთან ბრძოლის ფარგლებში აქცენტი გამოძიებაზე, ანგარიშების გაყინვაზე, დაყადაღებასა და დანაშაულიდან მიღებული შემოსავლების ჩამორთმევაზე უნდა იქნეს გადატანილი. ეს ჩარჩო-გადაწყვეტილება ქონების ჩამორთმევის ფართო შესაძლებლობებს ადგენს, კერძოდ მე-3 მუხლის მე-2 ნაწილის მიხედვით ყოველი წევრი სახელმწიფო იღებს აუცილებელ ზომებს, რათა ჩამორთმევა შესაძლებელი გახდეს მაშინ, როცა ნაციონალური სასამართლო, კონკრეტული საქმიდან

გამომდინარე, სრულიად დარწმუნებულია იმაში, რომ შესაბამისი ქონებრივი ღირებულებები მსჯავრდებული პირის მიერ ჩადენილი დანაშაულიდან არის მიღებული; როდესაც დამტკიცებულია, რომ ქონებრივი ღირებულებების ოდენობა არ შეესაბამება მსჯავრდებული პირის კანონიერ შემოსავლებს და ნაციონალური სასამართლო სრულიად დარწმუნებულია იმაში, რომ შესაბამისი ქონებრივი ღირებულებები მსჯავრდებული პირის მიერ დანაშაულებიდან იქნა მიღებული და სხვ.

ევროკავშირში იურიდიული გადაწყვეტილებების ორმხრივი ურთიერთაღიარება წარმოადგენს სისხლის სამართლის საქმეებზე იურიდიული თანამშრომლობის ფუძემდებლურ პრინციპს. ამ პრინციპის მიხედვით, ნაციონალური იუსტიციის ორგანოების გადაწყვეტილებები, როგორც წესი, ყველა სხვა წევრ სახელმწიფოში შემოწმების გარეშე იძენს მოქმედების ძალას და აღსრულდება. ამ მხრივ საინტერესოა ევროკავშირის საბჭოს 2003 წლის 22 ივლისის ჩარჩო გადაწყვეტილება ზემოაღნიშნული გადაწყვეტილებების აღსრულების შესახებ, რაც დაკავშირებულია ევროკავშირში ქონებრივი ღირებულებების ან მტკიცებულებების უზრუნველყოფასთან, აგრეთვე ევროკავშირის საბჭოს 2006 წლის 6 ოქტომბრის ჩარჩო-გადაწყვეტილება ქონების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილებების მიმართ ორმხრივი ურთიერთაღიარების პრინციპის გამოყენების შესახებ. ორმხრივი ურთიერთაღიარების ეს პრინციპი მონაწილე სახელმწიფოების იუსტიციის ორგანოებს შესაძლებლობას აძლევს ერთი მხრივ მოახდინონ მტკიცებულებათა სწრაფად უზრუნველყოფა და ამ მიზნით ქონებრივი ღირებულებების დაყადაღება, ხოლო მეორე მხრივ, დანაშაულით მიღებული შემოსავლების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილებათა აღსრულების გაად-

ვილება და დაჩქარება. აღნიშნული ევროდირექტივები შეიცავენ დანაშაულებრივი ქმედებების კატალოგს, რომელზეც ვრცელდება უზრუნველყოფისა და ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილებები. მტკიცებულებათა მოპოვების უზრუნველყოფის ან ქონებრივი ღირებულებების ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილებები ვრცელდება იმ დანაშაულებზე, რომლებიც გადაწყვეტილების მიმღები სახელმწიფოს სამართლით არის განსაზღვრული და სულ მცირე სამი წლით თავისუფლების აღკვეთით ისჯება. ასეთი ქმედებებია: კრიმინალურ გაერთიანებაში მონაწილეობა, ტერორიზმი, ტრეფიკინგი, ნარკოტიკებით და იარაღით ვაჭრობა, კორუფცია, შემოსავლების გათეთრება და სხვ. ფულის გათეთრებასთან დაკავშირებული დანაშაულებრივ ქმედებათა კატალოგი სულ უფრო ფართოვდება.[36] ხსენებული ჩარჩო-გადაწყვეტილებებით მტკიცებულებათა მოპოვების უზრუნველყოფის და ქონებრივი ღირებულებების ჩამორთმევის პროცედურა დაწვრილებით არის რეგლამენტირებული; გადაწყვეტილების აღმასრულებელი სახელმწიფოს სუვერენიტეტის პატივისცემასთან ერთად, გათვალისწინებულია მისი ქონებრივი ინტერესიც, კერძოდ, ფულადი სახსრები, რომელიც ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულებით იქნა მიღებული, წარიმართება შემდეგნაირად: თუკი თანხა, რომელიც ჩამორთმევის შესახებ გადაწყვეტილების აღსრულებიდან იქნა მიღებული, 10 000 ევროზე ნაკლებია ან ამ თანხის ეკვივალენტურია, რჩება აღმასრულებელ სახელმწიფოს, ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში თანხის 50% აღმასრულებელი სახელმწიფოსგან გადაწყვეტილების მიმღებ სახელმწიფოს გადაერიცხება. ასევე, რეგლამენტირებულია, თანხის გარდა სხვა ქონებრივ ღირებულებებზე გადაწყვეტილების მიღების წესიც.

მსოფლიო თანამეგობრობა ერთხმად აღიარებს, რომ საჭიროა

[36] იხ. მ. ტურავა, ევროპული სისხლის სამართალი, გვ. 312-313.

აქტიური თანამშრომლობა დანაშაულებრივი შემოსავლების გამოვლენის, დაყადაღებისა და ჩამორთმევისთვის, ამას ემსახურება ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების მატერიალური და პროცესუალური სისხლისსამართლებრივი ნორმების ჰარმონიზაცია; სხვადასხვა პრევენციული ღონისძიებები, სანქციები არაკოოპერირებადი ქვეყნების მიმართ და სხვ. ყველა წევრმა სახელმწიფომ მოახდინა ევროპის საბჭოს 1990 წლის კონვენციის რატიფიცირება. სახელმწიფოებმა ვალდებულება აიღეს თავიანთი ქვეყნების კანონმდებლობებით დანაშაულად გამოაცხადონ უკანონო შემოსავლების სფეროში ჩადენილი ქმედებები; ითანამშრომლონ და ერთობლივი ზომები გაატარონ მსგავსი დანაშაულებრივი ქმედებების აღსაკვეთად.

საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ, მაგალითად, ისეთ დანაშაულთან ბრძოლაში, როგორიცაა ფულის გათეთრება, ერთ-ერთი ეფექტური საშუალებაა სხვადასხვა აქტივების კონფისკაცია. უკანონო საშუალებების გამოვლენასა და კონფისკაციას სერიოზული ზიანის მიყენება შეუძლია დანაშაულებრივი ორგანიზაციისთვის, ამით მცირდება მათი ინვესტიციების მოცულობა შემდგომი განვითარებისთვის, იზღუდება მათი ფინანსური ძალაუფლება დამნაშავეთა სამყაროში, და სხვ. სახსრების კონფისკაციის გარეშე დანაშაულებრივი ორგანიზაციები კვლავ განაგრძობენ განვითარებას, თუნდაც დანაშაულებრივი ბიზნესის წამყვანი ფიგურები ციხეში ჩასვან. სწორედ ამიტომ, არაერთმა სახელმწიფომ ამ დანაშაულთან ბრძოლის ერთ-ერთ ეფექტურ ფორმად აირჩია პასუხისმგებლობის სახით ქონების ჩამორთმევის შემოღება. მართალია, სხვადასხვა ქვეყანაში განსხვავებულია მისი გავრცელების ფარგლები, გამოყენების მასშტაბი, არაერთგვაროვანია მიდგომა ამ ინსტიტუტის რეგულირებასთან

დაკავშირებით სამართლის სხვადასხვა დარგში (სისხლის-სამართლებრივ, ადმინისტრაციულსამართლებრივ, სამოქალაქოსამართლებრივ სფეროში), მაგრამ უდავოა, რომ სასჯელის ეს ზომა ეფექტურია.

სამართალდარღვევის (დანაშაულის) საგნის და იარაღის ჩამორთმევა გათვალისწინებულია როგორც კონტინენტური ევროპის, ისე საერთო სამართლის ქვეყნების კანონმდებლობით, მაგრამ იმ საკითხის განხილვა – ამა თუ იმ ქვეყანაში როგორი მოდიფიკაციებით არის წარმოდგენილი ქონების ჩამორთმევისა და კონფისკაციის ინსტიტუტი, როგორც ორგანიზებულ დანაშაულთან ბრძოლის საშუალება, სხვა, უფრო ფართო მსჯელობის საგანი შეიძლება იყოს, რაც სცილდება წინამდებარე ნაშრომის მიზანდასახულობათა ფარგლებს, რის გამოც ამ საკითხზე მსჯელობას აღარ გავაგრძელებთ.

მეშვიდე კარი

იურიდიული პირის
სისხლისსამართლებრივი
პასუხისმგებლობა როგორც
ეფექტური მექანიზმი ორგანიზებული
დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლაში

გურამ ნაჭყებია
იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი

შესავალი

იურიდიული პირის ცნება და ნიშნები, მისი პასუხისმგებლობის პრობლემა, ტრადიციული გახლდათ სამოქალაქო სამართალში, თუმცა, საზღვარგარეთ და რევოლუციამდელ რუსეთში დრო და დრო დგებოდა იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთების პრობლემაც. საბჭოურ სისხლის სამართალში პასუხისმგებლობა დანაშაულისათვის მხოლოდ ფიზიკურ პირს ეკისრებოდა და, ამ მხრივ, იურიდიული პირი მხედველობაში არ იყო მიღებული. ასეთივე იყო ვითარება პოსტსაბჭოურ სივრცეშიც, როგორც რუსეთის ფედერაციაში, ისე საქართველოში. მაგრამ ვითარება რადიკალურად შეიცვალა მას შემდეგ, რაც საქართველოში დაწესდა იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სისხლის სამართლის კოდექსში ზუსტად ჩამოთვლილი ზოგიერთი განზრახი დანაშაულის ჩადენისთვის.

იურიდიული პირის სისსხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემა დღემდე იწვევს მწვავე დისკუსიებს. ამ მხრივ აზრთა პოლარულობას ბოლო არ უჩანს. ეს იმით აიხსნება, რომ დასმული პრობლემა განსაკუთრებით რთულია. გარდა ამისა, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლბის პრობლემას ისიც ართულებს, რომ სპეციალურ ლიტერატურაში ან მთლიანად, რაიმე გამონაკლისების გარეშე, უჭერენ მხარს იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობას, ან, პირიქით, პირწმინდად უარყოფენ მას. მიუხედავადამისა, ამ პრობლემისადმი მრავალი საინტერესო ნაშრომია მიძღვნილი და მათში განვითარებული იდეები საყურადღებოა. ყურადღებას იქცევს

ხსენებული პრობლემის კვლევის ტრადიციული მეთოდებიც. მაგრამ იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემა ვრცელ მსჯელობას მოითხოვს. ამჯერად კი, მოკლედ შევეხებით დასმულ პრობლემას დანაშაულში თანამონაწილეობის, მათ შორის ორგანიზებულ დანაშაულთან, მიმართებაში. მით უმეტეს, რომ ამ მიმართებით საყურადებოა ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენცია, რომელიც საქართველოს პარლამენტის მიერ 2006 წლის 7 ივნისს იქნა რატიფიცირებული. ადამიანების, განსაკუთრებით, ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგის თავიდან აცილების, აღკვეთისა და დასჯის შესახებ ოქმის მე-3 მუხლის მე-4 ქვეპუნქტში აღნიშნულია, რომ თითოელი მონაწილე სახელმწიფო, საჭიროებისამებრ, თავისი ეროვნული კანომდებლობის შესაბამისად, მიიღებს ზომებს მოცემული მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული სამართალდარღვევისათვის (ესე იგი, ადამიანების, განსაკუთრებით ქალებისა და ბავშვების ტრეფიკინგისათვის) იურიდიულ პირთა პასუხისმგებლობის დადგენის მიზნით. იქვე აღნიშნულია, რომ მონაწილე სახელმწოფოს სამართლებრივი პრინციპების შესაბამისად, ეს პასუხისმგებლობა შეიძლება იყოს სამოქალაქო, სისხლისსამართლებრივი ან ადმინისტრაციული. მით უფრო, რომ იურიდიული პირები შეიძლება იყვნენ ორგანიზებულ დანაშაულთა (დანაშაულებრივი გაერთიანების ორგანიზაციის, უკანონო შემოსავლის ლეგალიზაციის, კორუფციული გარიგებების და სხვა) დანაშაულთა თანამონაწილენიც.

დასმულ პრობლემას მეთოდოლოგიური თვალსაზრისით შევეხებით.

§ 1. „სამართლის სუბიექტი“ თუ „ სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი“ ?

ცნობილი ფაქტია, რომ სამართლის სუბიექტის ცნება და პრობლემა ოდითგანვე იპყრობდა იურისტებისა და სამართლის ფილოსოფიით დაინტერესებული პირების ყურადღებას. მაგრამ, სამწუხაროდ, იმთავითვე მოხდა ორი განსხვავებული ტერმინისა თუ ცნების აღრევა. კერძოდ, ერთმანეთს არ ემთხვევა ტერმინი „სამართლის სუბიექტი“ და ტერმინი „სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი.“ საქმე ის გახლავთ, რომ სამართლის სუბიექტად მიაჩნდათ და მიაჩნიათ დღესაც, მაგალითად, ჯერაც დაუბადებელი ბავშვი, ესე იგი ემბრიონი, რომლის სიცოცხლის უფლება დაცულია კანონით და ამავე დროს ეს ფაქტი გათვალისწინებული უნდა იქნეს სამემკვიდრეო სამართალში (მაგალითად, საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 994-ე მუხლი). ცხადია, იქ, სადაც აბორტია დაშვებული, სისხლისსამართლებრივი დაცვის ობიექტი ემბრიონი კი არაა, არამედ, ქალის ჯანმრთელობა (ზოგჯერ სიცოცხლეც). მაგრამ ამჯერად იმისი თქმა გვინდა, რომ ჯერ კიდევ დაუბადებელი ბავშვი, რომელიც, უფლებრივი თვალსაზრისით, სამართლის სუბიექტია, სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი ვერ იქნება. კერძოდ, სამართლებრივი ურთიერთობის ფორმაში ამ ურთიერთობაში მონაწილე პირთა ურთიერთზემოქმედება, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის შინაარსი (რომელსაც სამართლის ნორმა გადაჰყავს მართლწესრიგში), ჯერ კიდევ დაუბადებელი ბავშვის მხრივ, რასაკვირველია, გამორიცხულია. მით უმეტეს, რომ სამართლებრივი ურთიერთობა საზოგადოდ, როგორც ჩვენ ვფიქრობთ, **არის სამართლის ნორმისა და მართლწესრიგის კავშირის ფორმა.** სამართლის ნორმა, როგორც ჯერარსი, როგორც მოთხოვნა მისი მართლწესრიგად გარდაქმნისა, ქმნის სამართლის სუბიექტის ვალდებულებას, მოქმედებდეს მართლზომიერად და ქმნიდეს მართლწესრიგს, ხოლო, ამ ვალდებულებისადმი სამართლის სუბიექტის პასუხისმგე-

ბლური დამოკიდებულება, როგორც ამ ვალდებულების შესრულების მთლიანპიროვნული განწყობა, მართლზომიერი ქმედების ჩადენის საკამარისი პირობაა. სამართლებრივი ურთიერთობა, თავის მხრივ, არის სამართლებრივ ურთიერთობის სუბიექტების ურთიერთპასუხისმგებლობის გამოვლენის ფორმა. უფრო სწორად რომ ვთქვათ, პასუხისმგებლობა, როგორც უთიერთობის შინაარსი, ქმნის ურთიერთობას, და არა პირიქით. **გენეტიკურად**, წარმოშობის თვალსაზრისით, პირველია პასუხისმგებლობა, როგორც ვალდებულებისადმი სუბიექტის პასუხისმგებლური დამოკიდებულება. ცხადია, იგულისხმება პასუხისმგებლობის პოზიტიური ასპექტი, როგორც პასუხისმგებლობა მომავლისთვის. ეს ნიშნავს, რომ სუბიექტი აწყმოში პასუხისმგებლურად ეკიდება თავის მოვალეობას, რათა გამორიცხოს წარსულში ჩადენილი ანტისაზოგადოებრივი უპასუხისმგებლო, ანუ, ბრალეული ქმედებისთვის ნეგატიური პასუხისმგებლობა.

ამრიგად, სათანადო ინსტანციის ვთქვათ, სახელმწიფოს) წინაშე მართლზომიერი ქმედებისთვის პოზიტიური პასუხისმგებლობა პირველია, გამოვლენის ფორმის მიხედვით კი, ურთიერთობა მეორეა. ანალიზი უნდა დაიწყოს სამართლებრივი ურთიერთობით, როგორც პასუხისმგებლობის გამოვლენის ფორმით, რადგან, ამ ფორმის გარეშე პასუხისმგებლობის გამოვლენა და მისი მოხელთება შეუძლებელია. მაშასადამე, პასუხისმგებლობა და ურთიერთობა შინაარსისა და ფორმის ერთიანობას გამოხატავს.

§2. კატეგორიალურია ზროვნება და მისი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა

პასუხისმგებლობისა და ურთიერთობის ერთიანობაში საქმე შეეხება კატეგორიალურ აზროვნებას და, აქედან გამომდინარე, კატეგორიების ურთიერთგადახლართვას. კერძოდ, „ურთიერთობის„ კატეგორია უშუალოდაა გადახლართული „ფორმის„ კატეგორიასთან, რადგან ურთიერთობა, როგორც

წესი, პასუხისმგებლობას გამოავლენს. პასუხისმგებლობა, თავის მხრივ, გადახლართულია „შინაარსის„ კატეგორიასთან, რადგან ურთიერთობას ქმნის პასუხისმგებლობა და არა პირიქით. როგორც ფილოსოფიურ ლიტერატურაშია აღნიშნული, ტერმინი „კატეგორია„ პირველად არისტოტელემ გამოიყენა და თავდაპირველად ნიშნავდა მსჯავრის გამოტანას, მხილებას. არისტოტელემ ამ ტერმინებს ფილოსოფიური მნიშვნელობა მიანიჭა და ნიშნავდა არსებულის მხილებას, მისი აღმოჩენისა და ძირეული დახასიათების თვალსაზრისით. კატეგორია მიჩნეულია ყველა არსებულის ძირეულ დახასიათებად. აზრის ლოგიკური ფორმის თვალსაზრისით, ის არის უზოგადესი ცნება, რადგან, იგი დაყოფას ზოგადისა და კერძოს, გვარისა და სახის მიხედვით, როგორც ეს ხდება ცნების ლოგიკური ფორმის დროს, არ ექვემდებარება. მართებულადაა აღნიშნული, რომ კატეგორიის ცნებას არ მოეპოვება მასზე „მაღლა„ მდგომი ანუ, გვარეობითი ცნება და რომ კატეგორია არის უზოგადესი ცნება. [1]

ისიც გარკვევითაა აღნიშნული, რომ ყველა კატეგორიას ერთნაირი ზოგადობა არ გააჩნია. მაგალითად, რაოდენობრივი და თვისებრივი დახასიათება ყველა არსებულს შეეხება, მაშინ, როდესაც, მაგალითად, ფსიქიკურ მოვლენებს სივრცეში განფენილობა არ ახასიათებთ. [2] პასუხისმგებლობა და ურთიერთობა კი, როგორც ჩანს, კატეგორიალური ერთიანობით ვლინდება, იმის მიუხედავად, რომ „ურთიერთობა„ უფრო ზოგადია, რადგან ის მხოლოდ ჩვეულებრივ საგნებსაც ახასითებს და არა მხოლოდ ადამიანებს. სამაგიეროდ, ამ მხრივ უფრო ნაკლებად არის ზოგადი „პასუხისმგებლობა,„ რომელიც ადამიანებს ეხება, მაგრამ არა ყველა ადამიანს, არამედ, მხოლოდ იმას, ვისაც პასუხისგების თვისება და უნარი აქვს, ესე იგი, ვინც სოციალიაზებული ადამიანია, ანუ, პიროვნებაა. მაგალითად, ბავშვიც ადამიანია, მაგრამ ის

[1] თ. ბუაჩიძე, კატეგორიის რაობა, " თანაფარდობითი კატეგორიები, " თსუ, 1973, გვ. 4-5.
[2] იქვე, გვ. 5.

პიროვნება ჯერ კიდევ არაა. აქედან გამომდინარე, ურთიერთობისა და პასუხისმგებლობის გარკვეული რეჟიმის გარეშე არც იურიდიული პირია შესაძლებელი.

გასაგები უნდა იყოს, რომ ამ ასპექტით საქმე შეეხება ფილოსოფიურ პრობლემებს, რადგან კატეგორიის ბუნების გარკვევა ფილოსოფიის საქმეა. ეს ეხება არა მარტო იმ შემთხვევას, როცა საქმე ზოგადად ფილოსოფიური კატეგორიების ანალიზი ფილოსოფიაშივე ხდება, ესე იგი, ფილოსოფია ამ მიმართებით აცნობიერებს თავის თავს, არამედ, იმ დროსაც, როცა რომელიმე კერძო მეცნიერების სუბიექტს აუცილებლობით სჭირდება რომელიმე ფილოსოფიური კატეგორიის ანალიზი. მაგალითად, იურიდიულ მეცნიერებაში ტერმინი „პასუხისმგებლობა" ხშირად გამოიყენება, მაგრამ, სამწუხაროდ, იშვიათად აცნობიერებენ, რომ „პასუხისმგებლობა" არის სოციალური ფილოსოფიის კატეგორია და რომ ამიტომ საჭიროა ფილოსოფიის მეთოდოლოგიური დახმარება. ამისი გაცნობიერება იმას ნიშნავს, რომ „პასუხისმგებლობა" გააზრებულ იქნეს ფილოსოფიური კატეგორიების სისტემაში. მაგალითად, თავისუფლების გარეშე პასუხისმგებლობა არ არსებობს, მაგრამ თავისუფლება თვითნებობა კი არაა არამედ ზღვარდებულია პასუხისმგებლობით, რომელსაც თავისუფლება აუცილებლობაში (მორალურად გამართულ თუ მართლზომიერ ქმედებაში) გადააქვს. ამოტომაა, რომ პასუხისმგებლობა, მისის პოზიტიური ასპექტით, არის თავისუფლებისა და აუცილებლობის კავშირის ფორმა. საქმე ის გახლავთ, რომ თავისუფლება აუცილებლობაში პირდაპირი ლოგიკური გზით კი არ გადადის, არამედ, პასუხისმგებლობის პოზიტიური ასპექტის მეშვეობით, როცა სუბიექტი თავისი მოვალეობის აღსრულებას მოეკიდება პასუხისმგებლურად. ცნობილია, რომ კატეგორიალურ აზროვნებაში ხშირად არის ლაპარაკი საფუძველ-შედეგის კავშირზეც. აქ მოკლედ შევეხებით საფუძველ-შედეგის კავშირის ერთ-ერთ გამოვლენას, როდესაც საქმე ეხება საპირისპირო კატეგორიის

აუცილებელ მიღებას. როგორც პროფ. ს. წერეთელი აღნიშნავს, საფუძველი არის აუცილებელი მისი საპირისპიროსთვის, როგორც შედეგისათვის. მაგალითად, სასრული გადადის უსასრულობაში და, პირიქით, უარყოფის საშუალებით.[3]
პროფ. თ. ბუაჩიძე იმოწმებს ჰეგელის მოსაზრებას, რომ უკვე პითაგორელებთან გვხვდება კატეგორიების არასრულყოფილი ცხრილი, მაგრამ საინტერესო ისაა, რომ ამ ცხრილის ყოველი ელემენტი წარმოადგენს ურთირთდაპირისპირებულ ცნებას. მაგალითად, საზღვარი და უსაზღვრო, კენტი და ლუწი, ერთი და მრავალი და სხვა.[4]
თუ კატეგორიების ამ ურთიერთდაპირისპირებას აზრი აქვს და ამით იქმნება ურთიერთდაპირისპირებული ცნება, მაშინ გასაგებია, რომ ანალოგიურად „საზღვრის" და უსაზღვროს „დაპირისპირებისა, შესაძლებელია პასუხისმგებლობის„ და „უპასუხისმგებლობის„ დაპირისპირებაც. საფუძველ-შედეგის მიმართების პოზიციიდანაც კი, გასაგები ხდება, რომ „პასუხისმგებლობა„ არის საფუძველი მისი საპირისპიროსთვის, ანუ, „უპასუხისმგებლობისთვის," როგორც შედეგისთვის, რადგან „პასუხისმგებლობა" (მისი პიზიტიური ასპექტით) რომ არა, „უპასუხისმგებლობა" შეუძლებელი იქნებოდა. უპასუხისმ გებლობა, თავის მხრივ, როგორც პოზიტიური პასუხისმგებლობის უარყოფის ან უგულებელყოფის შედეგი, საფუძველია ნეგატიური პასუხისმგებლობისთვის, როგორც უპასუხისმგებლობის შედეგისთვის.

თუ პოზიტიური პასუხისმგებლობა საფუძველია უპასუხისმგებლობისა, ხოლო, ეს უკანასკნელი საფუძველია ნეგატიური პასუხისმგებლობისთვის, მაშინ გასაგებია, რომ ტერმინი **„უპასუხისმგებლობა" პასუხისმგებლობის პოზიტიური და ნეგატიური ასპექტების კავშირის ფორმაა,** ანუ, იგი დამოუკიდებელ კატეგორას წარმოადგენს. ჩვენ ვფიქრობთ, რომ ტერმინი **„უპასუხისმგებლობა" არის „ბრალეულობის" სინონიმი, რადგან ამ მიმართებით საქმე**

[3] ს. წერეთელი, დიალექტიკური ლოგიკა, თბილისი, 1985, გვ. 77.
[4] ბუაჩიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 7.

შეეხება პოზიტიური პასუხისმგებლობის უარყოფას განზრახვის, ხოლო, მის უგულებელყოფას, გაუფრთხილებლობის ფორმით.[55] ვალდებულებისადმი **პასუხისმგებლური დამოკიდებულება,** როგორც მორალურად გამართული თუ სამართლებრივად მართლზომიერი ქმედების სუბიექტური მიზეზი, **დადებით შეფასებას იმსახურებს.** ამ მოვალეობისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, როგორც ანტისაზოგადოებრივი ქმედების სუბიექტური მიზეზი, **სუბიექტის უარყოფითი შეფასების საფუძველია,** ვითარც **„უპასუხისმგებლო,„** ანუ, ეს ტერმინი სუბიექტის **გაკიცხვას გამოხატავს,** ხოლო, სუბიექტი, ამ ვითარებაში, ნეგატიურადაა პასუხისმგებელი თავისი უპასუხისსმგებლო ქმედებისთვის.

პასუხისმგებლობის და მისი საპირისპიროს (უპასუხისმგებლობის) ეს მოკლე მეთოდოლოგიური ანალიზი იმისთვის დაგვჭირდა, რომ იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემა თავიდანვე სწორ მეთოდოლოგიურ საფუძველზე დაგვესვა. კერძოდ, იურიდიული პირი არის არა „სამართლის სუბიექტი," როგორც ასეთი, არამედ „სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი," ხოლო ეს იმასაც ნიშნავს, რომ იურიდიული პირი იმთავითვე პასუხისმგებლობის რეჟიმში დგება, რაკი სამართლებრივი ურთიერთობა იურიდიული პასუხისმგებლობის გამოვლენის ფორმას წარმოადგენს. ამ მიმართებით იგულისხმება პასუხისმგებლობის პოზიტიური ასპექტი, რადგან უკვე ითქვა, რომ პასუხისმგებლობა, როგორც შინაარსი, ქმნის ურთიერთობას, როგორც მისი გამოვლენის ფორმას.

[5] გ. ნაჭყებია, ბრალი, როგორც სიციალური ფილოსოფიის კატეგორია, თბილისი, 2001. აგრეთვე მისი: ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციის ზოგადი თეორია, თბილისი, 2010, გვ. 221.

§ 3. იურიდიული პირის პრობლემა სამოქალაქო სამართალში

ის გარემოება, რომ იურიდიული პირი პასუხისმგებლობის რეჟიმში დგას და ამით ხდება იგი კონკრეტული სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი, დასტურდება, მაგალითად, ო. იოფეს ნააზრევიდანაც. კერძოდ, ო. იოფე მიიჩნევდა, რომ იურიდიული პირის ცნება და პრობლემა ბურჟუაზიული ცივილისტიკური აზრის მიერ არსებითად იქნა გან ვითარებული. ეს აზრი, — წერდა ო. იოფე, — იურიდიულ პირს განიხილავდა, როგორც მუდმივ და მარად სამართლებრივი ერთობას, რომელიც მისი შემქმნელი ინდივიდებისაგან დამოუკიდებელია. იგი „თავის თავს ავლენს კონკრეტულ სამართლებრივ ურთიერთობებში, რომელთა მონაწილე ის არის.„[6] ავტორი გარკვევით აღნიშნავდა, რომ მისი შემქმნელი ფიზიკური პირებისაგან იურიდიული პირის წარმოებულ ხასიათზე ყურადღების გადატანისას, იურიდიული პირი ფიქტიურ წარმონაქმნად ცხადდება, ხოლო, მისი შემქნელი ფიზიკური პირებისაგან იურიდიული პირის დამოუკიდებლობაზე ყურადღების კონცენტრირებისას, უკვე შეიძლება, იურიდიული პირი სავსებით რეალურ ორგანიზმად წარმოვსახოთ. [7]

გარდა ამისა, ფრიად საყურადღებოა ის გარემოებაც, რომ ზოგიერთი იურისტი ერთმანეთისადან განასხვავებს ისეთ ცნებებს, როგორიცაა: „ქმედუნარიანობა," „უფლებაუნარიანობა„ და „სამართალსუბიექტობა."

სამართლის სუბიექტის პრობლემატიკაში უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის ცნებებს ხშირად იყენებენ, მაშინ როდესაც „სამართალსუბიექტობის „ ცნება, სამწუხაროდ, მხოლოდ ზოგიერთი იურისტის მიერაა გააზრებული მართებულად. კერძოდ, სამართალსუბიექტობა არის უფლებაუნარიანობისა და ქმედუნარიანობის სინთეზურ ერთიანობა

[6] О. С. Иоффе, Гражданское право, Избр. Труды, МГУ, 2003, стр. 132.
[7] იქვე, გვ. 132.

და არის თვისებრივად ახალი ცნება, რომელიც პასუხისმგებლობის ცნებას ბუნებრივად ითავისებს. ეს ბუნებრივია, რადგან სამართალსუბიექტობაში იგულისხმება სუბიექტის უნარი, აგოს პასუხი მისი საკუთარი ქმედებისათვის. ისიც სამწუხაროა, რომ სამართალსუბიექტობის ცნება ხშირადაა აღრეული უფლებაუნარიანობის ცნებასთან, რაც არსებითად სწორი არაა.

გვინდა ყურადღება მივაქციოთ ერთ ფრიად საგულისხმო გარემოებას. კერძოდ, ო. იოფეს მოაქვს ფლეტჩერის სიტყვები, რომლის თანახმად, შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება თანამედროვე ადამიანის მნიშვნელოვანი აღმოჩენაა.[88] ხომ არ ნიშნავს ეს გამოინათქვამი იმას, რომ იურიდიული პირის შექმნის მიზანი იყო სწორედ პასუხისმგებლობის სუბიექტად მისი გარდაქმნა?

საკითხი ასე დგას და ამ გზაზე, რომელიც ზემოთ მოკლედ უკვე მოვხაზეთ, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასმა და გადაჭრა სავსებით შესაძლებელია. აქედან გამომდინარე, იურიდიული პირის ის მკვლევარები, რომლებიც სამართლებრივი ურთიერთობის პრობლემატიკას უგულებელყოფენ, იურიდიული პირის პრობლემას ვერც სამოქალაქო სამართალში წარმოაჩენენ, რომ არაფერი ვთქვათ იმაზე, რომ პასუხისმგებლობისა და ურთიერთობის გარეშე დანაშაულის ცნება ვერ აიგება. მაგრამ ვიდრე ამ პოზიტიურ დასკვნებს გავაკეთებდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია იურიდიული პირის სამოქალაქო-სამართლებრივი ცნების მოშველიება. ამ მხრივ მოკლედ განვიხილავთ იურიდიული პირის შესახებ აზრის ჩამოყალიბების ისტორიას. როგორც პროფ. ლ. ჭანტურია აღნიშნავს, რომის სამოქალაქო სამართალი იურიდიული პირის ცნებას არ იცნობს. ამ უკანასკნელის გარკვეული გაგება შუა საუკუნეებში ჩამოყალიბდა, თუმცა უფრო მოდიფიცირებულად იგი მე-19 საუკუნის იურისტების ნაშრომებში გაფორმდა. ამ მხრივ დიდი დამსახურება,

[8] О. С. Иоффе, დასახ. ნაშრომი, გვ. 132.

როგორც ჩანს, მიუძღვის გუსტავ ჰუგოს, ხოლო, იურიდიული პირის თანამედროვე გაგების ფუძემდებლად არნოლდ პიაზეს მიიჩნევენ. ამ უკანასკნელის მტკიცებით, მხოლოდ ადამიანი, როგორც ინდივიდი, არის ზოგადი, ბუნებრივი პირი და სამართლის სუბიექტი. მაგრამ, შესაძლებელია, კანონებმა მოახდინონ სხვა საგნების პერსონიფიკაციაც, თითქოს ისინი პირები იყვნენ და სათანადო უფლების სუბიექტები. სწორედ აქედან გამომდინარეობს იურიდიული პირის ცნება, როგორც სამართლის მიერ სუბიექტად აღიარებული საგანი. [9] მაგრამ, როგორც ირკვევა, პიაზე ვერ გასცდა შუა საუკუნეების ტრადიციას, როცა იურიდიული პირის ცნება კორპორაციის ცნებასთან გააიგივა, მაშინ, როდესაც იურიდიული პირის ცნებაში, კორპორაციის გარდა, იაზრება ფონდიც. [10]

იურიდიული პირის ცნებაში იგულისხმებოდა რამდენიმე ნიშანი. ჯერ ერთი, იურიდიული პირი არის პირთა გაერთიანება, ესე იგი, ორგანიზაციული ერთიანობა, რომელიც ნივთთა ერობლიობას უპირისპირდება. მეორე, იურიდიული პირი გამოცალკევებულია მისი წევრებისაგან, მაგრამ არა პიროვნება-ადამიანად, არამედ ფიქციურ პირად. მესამე, იურიდიული პირი წევრთა შეცვლაზე დამოკიდებული არ არის. მეოთხე, მას აქვს საკუთარი ქონება. მეხუთე, შეუძლია სასამართლოში გამოვიდეს მოსარჩელედ ან მოპასუხედ; მეექვსე, მოქმედებს მართვის საკუთარი ორგანოების მეშვეობით. მეშვიდე, შეუძლია ჰქონდეს საკუთარი წესდებაც თუ დებულებაც.

იურიდიული პირის შესახებ მოძღვრებაში, როგორც ეს სათანადო ლიტერატურიდან ჩანს, ე. წ. ფიქციის თეორიას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ამ თეორიის ფუძემდებლად სავინს ასახელებენ. მისი აზრით, მოქმედების უნარი შეიძლება ჰქონდეს მხოლოდ ფიზიკურ პირს, რომელიც შეიძლება იყოს პიროვნება. მაგრამ სამართალს აქვს შესაძლებლობა, ეს უნ-

[9] ლ. ჭანტურია, შესავალი საქართველოს სამოქალაქო სამართლის ზოგად ნაწილში, თბილისი, 2000, გვ. 207.
[10] იქვე, გვ. 209.

არი გაავრცელოს სოციალურ წარმონაქმნზეც (სახელმწიფო. თემი, საამქრო და სხვა). იგულისხმება ადამიანის, როგორც ფიზიკური პირის, უნარის თუ თვისების ტექნიკურ-იურიდიული გადატანა იურიდიულ პირზე სწორედ ფიქციური ხერხით. მაგრამ, როგორც ჩანს, ფიქციის თეორია სავინის ნააზრევში არასწორად იქნა გაგებული. კერძოდ, დასაზუსტებელია ის საკითხი, თუ რას მიიჩნევდა სავინი ფიქციად- ფიზიკური პირის თვისების გადატანას იურიდიულ პირზე, თუ თვით იურიდიულ პირად წოდებულ წამონაქმნის რეალურად არსებობას? პროფ. ლ. ჭანტურიას მტკიცებით, სავინს მიაწერეს არასწორი აზრი, რომ მას თითქოს ეჭვი შეჰქონდა იურიდიულ პირად წოდებული სოციალური წარმონაქმნის არსებობაში. სავინს სახელმწიფოც იურიდიულ პირად მიაჩნდა. აქედან ისიც გამომდინარეობს, რომ სავინი ფიქციად მიიჩნევდა არა იურიდიულ პირად წოდებულ სოციალურ წარმონაქმნებს, არამედ იმას, რომ ადამიანის უნარი, იყოს პიროვნება, სოციალურ წარმონაქმნებზე გადაგვაქვს. [11] მაგრამ იურიდიული პირის თაობაზე თეორიებში არსებობს ის მოსაზრებაც, რომ იურდიულ პირს რეალურობა აკლია. ასეთ მოსაზრებას გამოთქვამდა ჰანს კელზენიც.

როგორც ჩანს, იურიდიული პირის ცნებასთან მიმართებაში ფიქციას ორნაირი გაგება და გამოყენება აქვს. ერთნი ფიქციად მიიჩნევენ იმას, რომ ადამიანის პიროვნების, როგორც ფიზიკური პირის, თვისებების გარკვეული წესით გადატანა ხდება იურიდიულ პირად წოდებულ სოციალურ წარმონაქმნზე, რომლის რეალურობაში უკვე აღარ ეჭვობენ. მეორენი კი ფიქციას უფრო აფართოებენ და თვით იურიდიული პირის რეალურობაშიც ეჭვობენ.

იურიდიული პირის შესახებ თეორიებში ფიქციის ცნებაზე მიუთითებს დ. კერესელიძეც. ის იმოწმებს ფრანგი რალეის მოსაზრებას, რომ ერთიც ფიქციაა და მეორეც, ან ერთიც

[11] ლ. ჭანტურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 212.

რეალობაა და მეორეც. [12] ამდენად, იურიდიული პირის პრობლემატიკაში „ფიქციის„ ცნებას გვერდს ვერ ავუვლით. მაგრამ, სამწუხაროდ, თვით ფიქციის ცნება და მისი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა იურიდიულ ლიტერატურაში სათანადოდ არაა შესწავლილი. საქმის ვითარება ამ მხრივ ისე გამოიყურება, რომ ფიქცია თითქოს საფრთხობელაა, რომელიც როგორმე უნდა მოვიშოროთ თავიდან, თუმცა, არსებობს ფრიად საეჭვო გადამლაშებაც, როცა მთელი სამართალი თითქოს ფიქციად გამოიყურება.

§ 4. სისხლის სამართლის კლასიკური სკოლის ზოგიერთი წარმომადგენლის აზრი იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ

იურიდიული პირის დაფუძნებამდე ვიდრე ფიქციის ცნებას და მის მეთოდოლოგიურ ფუნქციას შევეხებოდეთ, მოკლედ განვიხილოთ იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ ზოგიერთი კრიმინალისტის მოსაზრება. ამ მხრივ საინტერესოა გამოჩენილი რუსი კრიმინალისტის ნ. ტაგანცევის პოზიცია. მისი მტკიცებით, იყო დრო, (მაგალითად, შუასაუკუნეები), როდესაც სისხლისსამართლებრივად დევნიდნენ ცხოველებსაც კი, მაგრამ, ნ. ტაგანცევის ამ ნააზრევის გამოქვეყნების დროისასთვის (მე-20 საუკუნის დამდეგი) უკვე ეჭვს აღარ იწვევდა დებულება, რომ მართლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენაში ბრალეული შეიძლება იყოს მხოლოდ ადამიანის პიროვნება (პირი). მაგრამ სამართალში „ პირი „ ნიშნავს ადამიანის, როგორც ფიზიკურ არსებას, ისე იურიდიულ პირს, რომელიც პირთა რაღაც იდეალურ ერთობას წარმოადგენს. შეიძლება თუ არა იურიდიულმა პირმა ჩაიდინოს დანაშაული და პასუხი აგოს ამისათვის სისხლისსამრთლებრივი წესით?

ეს საკითხი, ნ. ტაგანცევის მტკიცებით, არც თუ შორეულ

[12] დ. კერესელიძე, კერძო სამართლის უზოგადესი სისტემური ცნებები, თბილისი, 2009. გვ. 165.

დროს, სამუდამოდ გადაჭრილი ეგონათ და თანაც უარყოფითად. მაგრამ ხელახლა გაისმა ხმა იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სასარგებლოდ, თუმცა, — ასკვნის ნ. ტაგანცევი— მეცნიერთა ზოგადი აზრი, ამ მხრივ შეურყეველია როგორც სისხლის სამართლის პოლიტიკის, ისე სამართლის თვალსაზრისით. [13] ავტორს, როგორც ჩანს, მხედველობაში აქვს უარყოფითი აზრი იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ. მართლაც, იგი არაორაზროვნად მიუთითებს იმაზე, რომ იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებას სრული არევ-დარევა და თვითნებობა შეაქვს იურიდიული პირის დასჯადობის პირობებისა და მოცულობის საკითხში. ჯერ ერთი, — მსჯელობს ავტორი, ამ თვალსაზრისის მომხრენი იძულებელი იქნებიან, ეს პასუხისმგებლობა გაავრცელონ მხოლოდ კორპორაციებზე, რადგან წარმოუდგენელია ეკლესია-მონასტრების, სასწავლო დაწესებულებების და სხვა ამგვართა სისხლისსამართლებრივი დევნა. მეორეც, სისხლის სამართლის სუბიექტი კორპორაციაც რომ იყოს, ასკვნის იგი, შეუძლებელია მისი დადანაშაულება გაუპატიურებაში, ცრუმოწმეობაში და ა. შ. [14]

ერთი სიტყვით, ნ. ტაგანცევი კატეგორიულად არ ეთანხმება იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებას არც დანაშაულის ცნების და არც სასჯელის ცნების ასპექტით. მისი დასკვნით, სრულიად გაუგებარია, თუ რომელი დანაშაულის ჩადენა მივაწეროთ იურიდიულ პირს და რომელი არა. მეორეც, რა სასჯელი უნდა გამოვიყენოთ იურიდიული პირის მიმართ? როგორ უნდა ჩავსვათ ციხეში, მაგალითად, სააქციო საზოგადოება? ცხადია, სახელმწიფოს აქვს უფლება, შეწყვიტოს ამა თუ იმ იურიდიული პირის საქმიანობა, მაგრამ იურიდიული პირის უფლებამოსილების ამგვარი შეწყვეტა სასჯელის გამოყენებას არ უტოლდება. უ-

[13] Н. С. Таганцев, Русское уголовное право, Обшвя часть,тю I. Тула, 2001, стр. 308-309.

[14] იქვე, გვ. 309.

ფრო მეტიც, ავტორი მიდიოდა დასკვნამდე, რომ იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ამ აშკარა უხერხულობების მიუხედავად, ფრიად საეჭვოა იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის იურიდიული შესაძლებლობაც კი. მით უფრო, რომ ამ მიმართებით საკითხი დასმულია ორნაირად. ჯერ ერთი, საეჭვოა იურიდიული პირის, როგორც რაღაცნაირი კონსტრუქციის, საკითხი. ამ თვალსაზრისით იგულისხმება ის, რომ იურიდიული პირი არის ხელოვნური, იურიდიული, გამონაგონი, იმის მიხედვით განსხვავებული, თუ რა მიზნითაა შექმნილი თითოეული მათგანი. აქ უკვე დგას იურიდიული პირის შექმნისა და ფუნქციონირების ფიქციური თეორია. მეორეც, როგორ ეგუება ეს ფიქცია ბრალის, როგორც რეალურად არსებულის, ფენომენს? ბრალი, იქნება იგი განზრახვა თუ დაუდევრობა, ადასტურებს არა ფიქტიურ, არამედ რეალურ ნებას, და მაშინ იურიდიული პირის დანაშაულებრივ ქმედებაში ბრალეულობის დადგენა შეუძლებელია, რადგან რეალური გრძნობა და განცდა ფიზიკური პირების სფეროშია და ამ პოზიციიდან იურიდიული პირი უპასუხისმგებლოა. [15]

მიუხედავად ამისა, ავტორი სრულადაც არ უარყოფს სამოქლაქო-სამართლებრივ და ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას იურიდიული პირის წარმომადგენელთა მართლსაწინააღმდეგო ქმედებისთვის, ამ იურიდიული პირის საქმიანობის შეწყვეტითაც კი. მაგრამ ამჯერად ფრიად საინტერესოა ნ. ტაგანცევის მოსაზრება ე. წ. ჯგუფური თუ მასობრივი პასუხისმგებლობის შესახებ. ავტორი გულისხმობს არა იურიდიულ პირთა გაერთიანებას, არამედ ე. წ. ბრბოს დანაშაულებრივ მოქმედებას, რომელშიც, ავტორის სიტყვებით რომ ვთქვათ, კოლექტიური ბრალის განსაკუთრებული ფორმა ვლინდება. იგულისხმება დანაშაულში თანამონაწილეობის ფორმები. აქ ავტორს მოაქვს ის შემთხვევაც, როცა დანაშაულში რეალურად მონაწილეთა დადგენა თითქმის შეუძლებელია და მაშინ მიმართავენ ყოველი მეცხრედან მეათის გამოყოფას (ბრალის

[15] Н. С. Таганцев, დასახ. ნაშრომი, გვ. 310.

პატიების თავისებური ფორმა). ამ მიმართებით იურიდიული პირები არ არიან. საქმე მხოლოდ ფიზიკურ პირებს შეეხებათ. [16]

ჯერ ნაადრევია იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე ჩვენი საკუთარი პოზიციის გამოხატვა, მაგრამ, ვფიქრობთ, რომ დანაშაულში თანამონაწილეობის პრობლემა, მით უფრო ორგანიზებული დანაშაულებრივი ფორმით, იურიდიული პირების საქმიანობის ანალიზის გარეშე შეუძლებელია.

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემას ეხებოდა სისხლის სამართლის კლასიკური სკოლის ისეთი გამოჩენილი წარმომადგენელიც, როგორიც გახლდათ ა. კისტიაკოვსკი. ავტორი ეხებოდა დაბალი სამართლებრივი კულტურის ეპოქებსა და ხალხებში სისხლისსამართლებრივი დევნის სუბიექტებს ცხოველთა სამყაროდანაც კი, მაგრამ ამჯერად ყურადღებას მივაქცევთ იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის თაობაზე ავტორის მოსაზრებას. კერძოდ, ავტორი აკეთებდა დასკვნას, რომ იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ საკითხი, როგორც წესი, წყდება უარყოფითად. შუა საუკუნეებში, პირიქით, ადგილი ჰქონდა მთელი კორპორაციების დასჯას. ამგვარი ტრადიცია, ავტორის მტკიცებით, შემორჩენილია, მაგალითად, მთელ ხალხებზე კონტრიბუციის დაკისრებით. რაც შეეხება იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასიხისმგებლობას, ის, მისი აზრით, სადავოა და იწვევს გაუგებრობებს. ავტორი ვრცლად განიხილავს იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საწინააღმდეგო არგუმენტებს (როგორ შეიძლება, იურიდიულმა პირმა, როგორც ორგანიზაციულმა ფორმამ, ჩაიდინოს დანაშაული?) მით უფრო, იურიდიული პირი მასში გართიანებული ფიზიკური პირებისაგან გამოცალკევებულია? ან კიდევ: რანაირად შეიძლება დაისაჯოს

[16] Н. С. Таганцев, დასახ. ნაშრომი, გვ. 311.

იურიდიული პირი სისხლისსამართლებრივი წესით, ეს ხომ იურიდიული პირის მოშლას გამოიწვევდა. [17]

ავტორის მტკიცებით, იმპერატრიცა ეკატერინეს დროიდან მოყოლებული, სისხლის სამართლის კანონებში ხაზგასმული გახლდათ, რომ დანაშაულის ჩადენა მხოლოდ ფიზიკურ პირებს შეუძლიათ. გარდა ამისა, იურიდიული პირის ფორმაში საქმიანობა, ავტორის აზრით, იშვიათად არ ეწინაღმდეგება სახელმწიფოს პილიტიკურ ინტერესებს, მაგრამ ამგვარი საქმიანობის აღსაკვეთად საკმარისი იქნებოდა ადმინისტრაციული ორგანოს აქტი, ვიდრე იფიციალური სასამართლო ჩარევა. [18]

ნ. ტაგანცევისა და ა. კისტიაკოვსკის ეს მოსაზრებანი ჩვენ შემთხვევით არ შეგვირჩევია იმ აზრის საილუსტრაციოდ, რომ იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთების პრობლემა განსაკუთრებით რთულია და იგი სერიოზულ მეთოდოლოგიურ მიდგომას მოითხოვს. მით უფრო, რომ რომანულ-გერმანული სამართლებრივი ოჯახის ტრადიციები ამ მხრივ სისხლის სამართლის კლასიკური სკოლის პრინციპებით განისაზღვრება. ამდენად, მართებული გახლავთ ერთ-ერთი თანამედროვე რუსი ავტორის მტკიცება, რომ სისხლის სამართლის კლასიკური სკოლის ისეთი გამოჩენილი წარმომადგენლები, როგორებიც იყვნენ ნ. ტაგანცევი და ა. კისტიაკოვსკი, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრინციპს მხარს არ უჭერდნენ. [19]ამ ავტორის საკუთარ არგუმენტებს კი მოგვიანებით განვიხილავთ.

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგე-

---

[17] А. Кистяковский, Элементарный учебник Общего уголовного права, часть Обшая, 1882, стр. 299-300.

[18] იქვე, გვ. 301.

[19] Г. И. Богуш, К вопросу об уголовной ответственности юридических лиц, „ Вкстник МГУ, Серия 11, Право, 2005, № 5, стр. 20.

ბლობის პრობლემა, როგორც წესი, ანგლო-საქსური სამართლებრივი ოჯახის წიაღში დგას, თუმცა, მისი გავლენით ის შეიძლება სხვა სამართლებრივი ოჯახს მიკუთვნებულ სამართლის დარგშიც წარმოჩინდეს. მაგალითად, თანამედროვე საფრანგეთის სისხლისსამართლებრივი კანონმდებლობა იურიდიული პირის, როგორც კორპორაცის, სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას უკვე აღიარებს.

§ 5. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთების პირველი ცდა რუსეთის ფედერაციაში

ცნობილია, რომ საბჭოური სისხლის სამართლის თეორიაში იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემა უარყოფითი აზრით იყო გადაწყვეტილი და იგი სპეციალურად არც განიხილებოდა. თანამედროვე რუსეთის ფედერაციის სისხლისსამართლებრივ ლიტერატურაში კი, ეს საკითხი უკვე დგას და ინტენსიური მსჯელობის საგანია, ხოლო, სისხლის სამართლის კანონმდებლობა იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას დღემდე არ იცნობს.

რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის ერთ-ერთ „კურსში“ (ა. ნიკიფოროვის თანავტორობით) იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სასარგებლოდ მომარჯვებულია არაერთი არგუმენტი. მოკლედ განვიხილოთ ისინი. პირველი ამ მხრივ არის გაბათილება იმ არგუმენტისა, რომ იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის იდეა თითქოს ეწინააღმდეგება პირადი, პერსონალური, პასუხისმგებლობის პრინციპს. სინამდვილეში, როგორც ამ „კურსშია“ აღნიშნული, იურიდიული პირიც შეიძლება იყოს ინდივიდუალური, დამოუკიდებელი იურიდიული სტატუსით.[20] მეორეც, პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი უგულებელყოფილი არც სამოქალაქო სამართალშია,

[20] Курс Российского уголовного права, Обшая часть, М. 2001, стр. 247.

რადგან, ზიანის ანაზღაურების პასუხისმგებლობა ამ ზიანის მიმყენებელს ეკისრება. მესამე, ადმინსტრაციულ სამართალში თანამდებობის პირთა ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა ფაქტია, მაგალითად, ბუნების, საზოგადოებრივი წესრიგის თუ სხვა სიკეთეთა დაცვის სფეროში დაშვებული ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის. მეოთხე, საერთაშორისო სისხლის სამართალში განიხილება საკითხი სახელმწიფოს პასუხისმგებლობისა მისი აგენტების მიერ ჩადენილი სამართალდარღვევებისთვის და ამ აგენტების პასუხისმგებლობა მათ მიერ საერთაშორისო სამართალდარღვევისათვის.[21] მეხუთე, აქ განხილულია იურიდიული პირის, რაღაც ორგანაზაციული ერთობის, ფიქციურობის საკითხიც. ამ მხრივ მოტანილი ინგლისურენოვანი მსჯელობა იმის თაობაზე, რომ საქმე ეხება ხელოვნურ გამონაგონს, სამართლის მიერ შექმნილ პერსონას და არა რეალურ ფენომენს. სამწუხაროდ, ამ თითქმის გაბატონებული არგუმენტის საწინააღმდეგოდ აქ არაფერია ნათქვამი, ისე ჩანს, რომ ამ არგუმენტს უსიტყვოდ ეთანხმებიან. ამდენად, ღირს, რომ ეს საკითხი ცალკე განვიხილოთ. აქ არაფერს ვამბობთ იმაზე, რომ ამ „კურსში" განხილულია იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საწინააღმდეგო არგუმენტები, რომელნიც ნ. ტაგანცევის ნააზრევის მიხედვით უკვე გავარჩიეთ და აქ არ გავიმეორებთ. მოკლედ აღვნიშნავთ იმ გარემოებას, რომ აქ გამოკვეთილია იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთების ორი უმთავრესი სიძნელე. პირველი ამ მხრივ არის იურიდიული პირის ბრალის დასაბუთების პრობლემა. აქ მოხსენიებულია ბრალის ფორმებად წოდებული განზრახვა და გაუფრთხილებლობა. დასმულია საკითხი, თუ როგორ შეიძლება, ბრალის ეს სახეობა მივაწეროთ იურიდიულ პირს? მით უფრო, რომ ბრალის კლასიკური გაგება გულისხმობს სუბიექტის გაკიცხვას, ხოლო გაკიცხვის ადრესატი შეიძლება იყოს მხოლოდ ფიზიკური პირი. მეორე სიძნელე ეხება საერთაშორ-

[21] იქვე, გვ. 249.

ისო სისხლის სამართალს, უფრო სწორად, საერთაშორისო სისხლისსამართლებრივ იუსტიციას. აქ გამორიცხულია სახელმწიფოთა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრინციპი. [22]

ამ ვითარების ფონზე ამ სახელმძღვანელოში დასმულია საკითხი იმის თაობაზე, თუ რით აიხსნება ის გარემოება, რომ რუსეთში „ნეპის" ეპოქაში იურიდიული პირების სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის იდეას მომხრეები გაუჩნდნენ და ეს იდეა ნორმატიულად განმტკიცდა კიდეც? აქ აკეთებენ დასკვნას, რომ თანამედროვე რუსეთში იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემისადმი ინტერესის აღორძინება შემთხვევითი ან კოლექტიური ცდომილების შედეგი არაა. აქ მოკლედაა მიმოხილული ინგლისური და ამერიკული ლიტერატურა კორპორაციის, როგორც იურიდიული პირის, მიერ დანაშაულის ჩადენის შესაძლებლობის შესახებ, რადგან ამ გზით უფრო უკეთ შეიძლება დავიცვათ თავისუფალი და პატიოსანი ბიზნესი, მისი უსაფრთხოება. [23]

ბოლოს, აქ ნათქვამია, რომ იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სასარგებლოდ საკითხის გადაწყვეტისას ყველაზე პირველი მაინც არის ბრალის პრობლემა. ამიტომ მოსაფიქრებელია იურიდიული პირის სუბიექტური შერაცხვის პრობლემის გადაჭრის გზები, თუმცა, აქვე ისიცაა აღნიშნული, რომ დიდ ბრიტანეთში, სადაც იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა იფიციალური წესითაა აღიარებული, არასდროს სრული მოცულობით არ დასმულა საკითხი იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესების დადებითი თუ არყოფითი მხარეების შესახებ.

---

[22] Курс Российского уголовного права, Обшая часть, М. 2001, стр. 252
[23] იქვე, გვ. 253-254.

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემას ა.ნიკიფოროვმა მონოგრაფიული გამოკვლევა მიუძღვნა, რომელსაც მოგვიანებით განვიხილავთ. ამჯერად კი მოკლედ განვიხილოთ იურიდიული პირის ფიქციურობის საკითხი.

§ 6. ფიქციის ცნება და მისი მეთოდოლოგიური მნიშვნელობა

ჩვენ უკვე ვახსენეთ იურიდიული პირის ბუნების გაგებაში ფიქციის თეორია, მაგრამ ვიდრე ამ თეორიის ახსნას შევეცდებოდეთ, მოკლედ განვიხილოთ იურიდიული პირის ე.წ. რეალისტური თეორია, რომლის თანახმად, ყურადღება უნდა გადავიტანოთ არა თვით იურიდიულ პირზე, როგორც უკვე შექმნილ შედეგზე, არამედ იურიდიული პირის შემქმნელ ფიზიკურ პირებზე, რომელთა რეალობა ეჭვს არ იწვევს. ის, როგორც პირი, ინდივიდუალურად არის პიროვნება, მაგრამ როგორც ადამიანი, გარკვეული ერთობის მატარებელია, რაც ადამიანის ცნების საფუძველში დევს. პიროვნების ასეთი განუყოფელი ნიშანი არის წმინდა ბუნებრივი დუალიზმი. კერძოდ, ადამიანი, ერთი მხრივ, არის ფიზიკური პირი, მაგრამ, მეორე მხრივ, ადამიანი ამავე დროს არის გარკვეული ერთობის მატარებელი, ერთობისა, რომელიც იურიდიული პირის ფორმაშიც შეიძლება არსებობდეს. [24]

ამრიგად, იურიდიული პირის პრობლემატიკაში ფიქციის თეორიის გვერდით რეალისტური თეორიაც უნდა მოვიხსენიოთ, თუმცა უპრობლემო არც რეალისტური თეორიაა. კერძოდ, ამ თეორიაში რეალური არიან იურიდიული პირის დამფუძნებელი ფიზიკური პირები, ხოლო, იურიდიული პირი, როგორც კორპორაცია, მაინც ფიქტიური პირია, რომელიც სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტად ითვლება. ერთი სიტყვით, იურიდიული პირის პრობლემატიკაში ფიქციის თეორიას გვერდს ვერ ავუვლით.

[24] ო. იოფეს დასახელებული ნაშრომი, გვ. 134-135.

ცნობილია, რომ ტერმინი „ფიქცია„ მხოლოდ ერთი მნიშვნელიბით არ გამოყენება, თუმცა მასში ის უარყოფითი აზრი დევს, რომ რაიმე რეალურად არ არსებობს და იგი ხელოვნური გამონაგონია, რომელიც ჯანსაღი აზრისთვის გაუგებარი და მიუღებელია. მაგალითად, ცნობილია, რომ კელზენის ტიპის ნორმატივიზმში დაშვებულია ორი სახის ნებისყოფა — ერთი ის, რაც ფსიქოლოგიაში რეალურად არსებობს, როგორც ადამიანის რეალური ფსიქიკური უნარი, ხოლო, მეორე ის, რაც ნორმის მიერაა ნაგულისხმევი, როგორც ნორმატიული კონსტრუქცია, რომელსაც ნებისყოფის ფსიქოლოგიურ ცნებასთან არავითარი კავშირი არა აქვს.

ამ პოზიციიდან აშკარაა, რომ ფიქციურია ნებისყოფის ნორმატიული კონსტრუქცია, რომელსაც არანაირი მეცნიერული საფუძველი არ გააჩნია. ესაა ნებისყოფის ფსიქოლოიგიური ცნების ნორმატიული გაორება, დუალიზმი, რომელიც მონიზმის მეთოდოლოგიურ პრინციპთან არსებითად შეუთავსებელია. მაგრამ არსებობს „ფიქციის „ სხვა გაგებაც, რომელსაც გარკვეული მეთოდოლოგიური მნიშვნელობა აქვს. მით უფრო, რომ სამართლებრივი მოწესრიგების პრაქტიკა ფიქციის მეთოდს იშვიათად არ მიმართავს. მაგალითად, საქართველოს სსკ-ის 177-ე მუხლის მეორე შენიშვნის თანახმად, ქურდობა არაერთგზისად არის ჩადენილი, თუ მის ჩადენას წინ უსწრებდა, მაგალითად, ბანდიტიზმის (საქ. სსკ 224-ე მუხლი) ჩადენა. გამოდის, რომ ფაქტობრივად პირველი ქურდობა იურიდიულად მეორეა, თუ იგი ბანდიტიზმის შემდეგ არის ჩადენილი. ასეთივე ფიქციურია, მაგალითად, შუალობითი ამსრულებლობაც, როცა შერაცხადი პირი დანაშაულის ჩადენის იარაღად იყენებს შეურაცხადს. აქ დანაშაულის ფაქტობრივად წამქეზებელი, ესე იგი, ის, ვინც შეურაცხადს იყენებს დანაშაულის ჩასადენად, იურიდიულად ამ დანაშაულის ამსრულებელია.

ამრიგად, ფიქციას, როგორც რაიმე ურთიერთობის სამართ-

ლებრივი მოწესრიგების ხერხს, მეთოდს, სათანადო ყურადღება უნდა მიექცეს. მით უფრო, როცა საქმე იურიდიული პირის ბუნების დადგენის რთულ პრობლემატიკაში ფიქციის მეთოდოლოგიური გამოყენება სავსებით დასაშვებია. მაგალითად, ირ. სურგულაძე ადასტურებს, რომ სამართლებრივი აზროვნების ისტორიაში იურიდიული პირის რეალურობის უგულებელყოფას ფიქციის თეორიით ამართლებდნენ და ამ აზრით ფიქცია სამართლებრივი მოწესრიგების ხერხია, თუმცა ავტორი ფიქრობს, რომ ფიქციის თეორიას იურიდიული პირის ბუნების ახსნა არ შეუძლია. [25]

ფიქციის თეორიას, მით უფრო ნორმატივისტული ინტერპრეტაციით, უარყოფს გ. ნანეიშვილიც. ავტორი აკრიტიკებს ე. წ. იურიდიული მეთოდის იმ უკიდიდურესი ფრთის წარმომადგენლებს, რომ სამართლის სუბიექტი ნორმატიული კონსტრუქციაა და რომ იგი თვით სამართალზე უფროა დამოკიდებული, ვიდრე, პირიქით, სამართალი — სუბიექტზე. აქედან გამომდინარე, გ. ნანეიშვილი ფიქრობს, რომ ნორმატივისტული ჯერარსი, რომელიც ქმნის ყველაფერს, რაც სამართალი არაა, მათ შორის სამართლის სუბიექტს, პირწმინდა ფიქციაა, რომელსაც რეალობასთან არავითარი კავშირი არა აქვს. [26]

გ. ნანეიშვილი სამართლისა და მისი სუბიექტის მიმართების საკითხს განიხილავს ნორმატივისტების საწინააღმდეგო ტენდენციით. კერძოდ, სუბიექტი სამართლისაგან დამოუკიდებელია, რადგან სამართალს არ შეუძლია შექმნას ადამიანი, სიცოცხლე მიანიჭოს მას. მიუხედავად ამისა, არც იმისი უარყოფა შეიძლება, რომ სამართალი მიმართულია მისი პრაქტიკული განხორციელებისკენ და ამ აზრით ის გულისხმობს სუბიექტს,

---

[25] ირ. სურგულაძე, ხელისუფლება და სამართალი, გერმანულიდან თარგმნა და წინასიტყვაობა დაურთო პროფ. ო. გამყრელიძემ, თბილისი, 2001, გვ. 93.

[26] გ. ნანეიშვილი, იურიდიული სუბიექტი, „სამართალი," 1992, № 3, გვ. 12.

რომელიც სცნობს, აღიარებს სამართალს, მის ნორმებს, და, ამდენად, ხდება მისი განხორციელების შესაძლებლობა. [27]

ამის მიუხედავად, გ. ნანეიშვილი მაინც გარკვევით აღნიშნავს, რომ იურიდიული პირის ბუნების დადგენა წმინდა ფსიქოლოგიური მეთოდებით შეუძლებელია, რადგან იურიდიული პირი არის გარკვეული ინსტიტუტი, რომლის გავლენას ჩვენ, მისი წევრები, რეალურად განვიცდით. ეს, ავტორის აზრით, იმითაც აიხსნება, რომ იურიდიული პირი გარკვეულ დანიშნულებას ასრულებს, ხოლო იურიდიული პირის ეს დანიშნულება სამართლის ნორმებითაა დადგენილი. ამიტომაა, რომ იურიდიული პირი სამართლებრივი ღირებულების განხორციელების ცენტრია, ხოლო, სამართლის ფენომენოლოგიური თვისება ისაა, რომ ის მოითხოვს იმას, რაც სამართლის მიხედვით უნდა იყოს. [28] ავტორის იგივე სტატია გადმობეჭდულია მისივე წიგნში და დასკვნით ნაწილს ამ წიგნიდან გადმოვცემთ. მით უმეტეს, რომ აქ ავტორი იურიდიული პირის არსებით დახასიათებას იძლევა. მისი მტკიცებით, ჩვენ არ შეგვიძლია ჩვენი თავი რაიმე ორგანიზაციის, კორპორაციისა თუ ინსტიტუტის სუბიექტად წარმოვიდგინოთ, თუ არა როგორც ამ ინსტიტუტის წევრი, მაგრამ ამ მიმართებით ყველაზე ნაკლები როლი ჩვენს ფიზიკურ ასპექტს ეხება, რადგან აქ გადამწყვეტია იურიდიული პირის, როგორც რაღაც მთლიანისადმი, ჩვენი კუთვნილება. მე რომ ამა თუ ინსტიტუტის წევრი ვარ მსჯელობს ავტორი, ესე იგი მე ფუნქცია ვარ და, როგორც ფუნქცია, განსაკუთრებული ღირებულებითი ცენტრი ვარ. [29]

აშკარაა, რომ ავტორი ლაპარაკობს სამართლის სუბიექტის დანიშნულებაზე, რაც მის ფიზიკურ არსებობაზე არ დაიყვანება. ამიტომ მართლაც უსაგნო ფსიქოლოგიზმი იქნებოდა, თუ იურიდიული პირის ბუნებას ფსიქოლოგიური მეთოდის გამოყენებით შემოვფარგლავდით, რადგან სამართლის სუბ-

[27] გ. ნანეიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 16-17.
[28] იქვე, გვ. 26.
[29] იქვე, გვ.170.

იექტის დანიშნულების გარეშე იურიდიული პირის, როგორც სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტის, მართებული გაგება შეუძლებელი იქნებოდა.

შესაძლებელია სამართლებრივი ფიქციის სხვა გამოვლინებებზეც შევჩერდეთ, მაგრამ ეს ორი მაგალითიც ადასტურებს, რომ „ფიქცია" გარკვეულ მეთოდოლოგიურ ფუნქციას ასრულებს და მისი ხელაღებითი უარყოფა ან უგულებელყოფა დაუშვებელია. ფიქცია, როგორც ჩანს, რაიმე ფაქტიდან რაღაცნაირი გადახვევაა, რომელსაც გარკვეული გონივრული საზრისი აქვს. ამ გაგებით არანაირი უხერხულობა იმაში არ უნდა დავინახოთ, თუ იურიდიული პირის, როგორც გარკვეული ორგანიზაციული წარმონაქმნის, ახსნა-გაგებაში გამოყენებული იქნეს ფიქციის მეთოდი. მით უფრო, როცა საქმე ეხება ასეთ ორგანიზაციული წარმონაქმნზე ადამიანის პიროვნების თვისების გადატანას, თითქოს ისიც პირია, როგორც ადამიანი. ცხადია, ფიქციური გადამლაშებაა, როცა, მაგალითად, იურიდიული პირის რეალურობაზეც ეჭვობენ. არაფერი არაა ფიქციური იმაში, რომ ესა თუ ის ორგანიზაციული წარმონაქმნი არსებობს (მაგალითად, ესა თუ ის საწარმო-დაწესებულება-ორგანიზაცია).

§ 7. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი საქართველოში

იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ გარკვეული პოზიცია გამოიკვეთა 2007 წლის ქართული სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის სახელმძღვანელოში, მაგრამ ამჯერად მოკლედ შევეხებით ა. ოხანაშვილის მიმოხილვით ნაშრომს, თუმცა ის ფრიად საინტერესოა, რადგან მასში ბევრი თანამედროვე ნაშრომია მიმოხილული. ავტორი აცხადებს, რომ საერთო სამართლის ქვეყნებში იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საკითხი ადრე გადაწყდა, თუმცა იშვიათი არაა ობიექტური

შერაცხვის ტენდენცია. [30] ცხადია, ეს გარკვეული სიძნელეა, მაგრამ, მეორე მხრივ, ობიექტური შერაცხვაც რომ იყოს აღიარებული, ესეც სერიოზული პრობლემაა, რადგან იურიდიული პირის ქმედების მართლწინააღმდეგობა ხომ მაინც უნდა დასაბუთდეს, ხოლო, ეს უკვე იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისაკენ ერთი წინ გადადგმული ნაბიჯი იქნებოდა.

ავტორი ამ მიმართებით ეხება საერთაშორისო კონვენციებს, განსაკუთრებით ევროსაბჭოს 2003 წლის კონვენციას ტრეფიკინგისა და სხვა მსგავს დანაშაულობათა წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ, და სწორად აღნიშნავს: ეს კონვენციები კატეგორიულად როდი მოითხოვენ იმას, რომ ყველა სახელმწიფომ იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დააწესოს. გარდა ამისა, ამგვარ საერაშორისო დოკუმენტებში მითითებულია იმ დანაშაულებრივ ქმედებებზე, რომლებიც იურიდიულმა პირმა სავარუდოდ შეიძლება ჩაიდინოს (მაგალითად, თაღლითობა, მითვისება, ფულის გათეთრება და სხვა). [31]

ა. ოხანაშვილი მიმოიხილავს დისკუსიებს სხვადასხვა ქვეყნებში იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის გარშემო, მაგრამ ამჯერად მოკლედ შევეხებით ამ მხრივ გერმანულ ტრადიციას. ავტორის დასკვნით, „გერმანული სამართალი პრინციპულად არ აღიარებს იურიდიული პირის · სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას, რადგან ბრალეულობის პრინციპს აქვს კონსტიტუციის რანგი და გერმანიის ძირითადი კანონიდან გამომდინარეობს, როგორც სამართლებრივი სახელმწიფოს პრინციპი, - ეს ნიშნავს, რომ არავითარი სასჯელი არ შეიძლება იქნეს გამოყენებული ბრალეულობის გარეშე. “[32]

დასკვნა გასაგებია, მაგრამ საქმე ის გახლავთ, რომ იურიდი-

[30] ა. ოხანაშვილი, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლოობა, თსუ იურიდიული ფაკულტეტის ჟურნალი, 2009, № 2.
[31] იქვე, გვ. 187.
[32] ა. ოხანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 200.

ული პირის სისხლისსამართლებრივი წესით დაუსჯელობა ღიად ტოვებს ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ ბრძოლის პრობლემას. კერძოდ, სამეწარმეო საქმიანობის სფეროში იშვიათად არ ხდება კორპორაციების მხრივ რიგი დანაშაულებრივი ქმედების ჩადენა (მაგალითად, სამეწარმეო დანაშაულის მფარველობა, ორგანიზაციული ხასითის უპასუხისმგებლობა, რაც შესაძლებელს ხდის დანაშაულის ჩადენას და სხვა). [33]

აშკარაა, რომ სამეურენო საქმიანობის სფეროში იურიდიული პირის ფორმით მართლაც შეიძლება ჩადენილ იქნეს დანაშაული, თანაც ორგანიზებულიც კი. უფრო მეტიც, არაა გამორიცხული დანაშაულში იურიდიული პირების თანამონაწილეობაც. მაგრამ ვიდრე ამ საკითხებს უფრო ჩავუღრმავდებოდეთ, გვინდა ყურადღება მივაქციოთ ერთ შეუსაბამობას. კერძოდ, ირკვევა, რომ გერმანელები ვერ გაექცნენ იურიდიული პირის ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის პრობლემას, მაგრამ უცნაური ისაა, რომ პირს ჩადენილი უნდა ჰქონდეს დანაშაული ან ადმინისტრაციული გადაცდომა, რომ ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა დაეკისროს. გამოდის, რომ იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთებას მხოლოდ ბრალის პრობლემა როდი აბრკოლებს, არამედ მხედველობაშია მისაღები იურიდიული პირის მიმართ სასჯელის გამოყენების პრობლემაც.

§ 8. იურიდიული პირის პასუხისმგებლობის საფუძველი სამოქალაქო სამართალში

საბჭოურ სამოქალაქო სამართლში ხშირად იყო კამათის საგანი ის საკითხი, თუ რაა პასუხისმგებლობის საფუძველი ზიანი თუ ბრალი? ო. იოფე სამოქალაქო სამართლში ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის იდეას არ ეთანხმებოდა, რადგან

[33] ა. ოხანაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 200.

მიაჩნდა, რომ ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის იდეა სოციოლოგიური სკოლის ძლიერი ზეგავლენით შეიქმნა, ხოლო, ამ იდეის ბოლომდე თანმიმდევრული დაცვა ადამიანში პასუხისმგებლობის გრძნობის დაჩლუნგებას ან მის ჩაკვლას გამოიწვევდა. მით უფრო, რომ ბრალის მეშვეობით ქმედებისა და მისი სუბიექტის უარყოფით შეფასებას გამოვხატავთ. [34]

ფრიად საინტერესოა ამ მხრივ ს. ბრატუსის მიერ მოტანილი მაგალითი მძღოლის მოქმედებასთან დაკავშირებით. „როცა ავტომანქანის მფლობელი ჯდება მის საჭესთან, - მსჯელობდა ავტორი – ის ნათლად შეიგნებს იმ საფრთხეს, რასაც ავტომანქანა უქმნის ფეხით მოსიარულეს თუ სხვა სატრანსპორტო საშულებას. ის ანგარიშს აძლევს თავის თავს, რომ შესაძლებელია მისი ნებით გამოუსწორებელი უბედური შემთხვევა, რასაც მისი ავტომანქანის მოძრაობა გამოიწვევს, და რომ ის ვალდებული იქნება, აანაზღაუროს ამ მოძრაობით გამოწვეული ზიანი. მაშასადამე, პასუხისმგებლობის სუბიექტური საფუძველი სახეზეა. ავტომანქანის მფლობელმა შეგნებულად აირჩია ქცევის ის ვარიანტი, რომლის არასასურველ შედეგებზეც ის არის პასუხისმგებელი, თუმცა მისი ბრალი არ არსებობს.“ [35]

როგორც ჩანს, ავტორს იმისი თქმა უნდოდა, რომ ავტომანქანის მფლობელი თავს ვერ გაიმართლებდა და მართლაც პასუხისმგებლი იქნებოდა იმისთვის, თუ ავტორის მიერ აღწერილი შედეგები რეალურად დადგებოდა და, მაშასდამე, მისი ბრალიც სადავო არ იქნებოდა. შეიძლება ითქვას, რომ ავტორი პოზიტიური პასუხისმგებლობის იდეას გამოხატავს, ესე იგი, ავტომანქანის გონიერი მფლობელი ავტომანქანის საჭესთან დაჯდომისთანავე თავის თავზე იღებს მისი უსაფრთხო მართვის პასუხისმგებლობას, რომ შემდეგ ნეგატიურად არ იყოს პასუხისმგებელი ავტომანქანის მარ-

[34] ო. იოფეს დასახ. ნაშრომი, გვ. 467.

[35] С. Н. Боратусь, Юридическая ответственность и законность, М. 1976, стр. 181-182.

თვის წესების დარღვევისა და მასთან დაკავშირებული სხვა მძიმე შედეგებისთვის. მაგრამ, სამწუხაროდ, ხსენებული დროისათვის პოზიტიური პასუხისმგებლობის იდეა იშვიათობა გახლდათ და ბრალის პრობლემაც ამის გამო რჩებოდა გადაუჭრელი. მიუხედავად ამისა, სამოქალაქო სამართალში იურიდიული პირის ბრალის შესახებ ხშირად იყო საუბარი. მაგალითად, პროფ. ს. ჯორბენაძე წერდა, რომ „იურიდიული პირის ბრალის ცნება ვერ თავსდება ბრალის ტრადიციული ცნების ფარგლებში, რომელიც გულისხმობს ფსიქიკურ დამოკიდებულებას მის მიერ ჩადენილი ქმედებისა და მისი შედეგებისადმი. ამასთან ერთმანეთს არ ეთმხვევა პიროვნების, მათ შორის თანამდებობის პირის, ბრალი და იურიდიული პირის ბრალი.„[36] მართლაც, ბრალის ფსიქოლოგიური თეორია, როგორც ქმედებისა და მისი შედეგებისადმი სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულება, გამოხატული განზრახვის ან გაუფრთხილებლობის ფორმით, ბრალის პრობლემატიკაში ფსიქოლოგიზმია, რადგან „ფსიქიკური დამოკიდებულება„ ფსიქოლოგიური კვლევის სფეროა. მით უმეტეს, რომ ბრალი ქმედების მართლწინააღმდეგობის გარეშე არ არსებობს, ხოლო მართლწინააღმდეგობა ფსიქოლოგიურ ცნებასა და პრობლემას სრულიადაც არ წარმოადგენს.

პროფ. ს. ჯორბენაძე მაინც მიდიოდა დასკვნამდე, რომ დელიქტურ ვალდებულებაში კონკრეტული პირის ბრალი იმავდროულად არის იურიდიული პირის ბრალიც, თუ ეს პირი მოქმედებდა იურიდიული პირის სახელით, ან მისი წესდებით, ანდა დებულებით დადგენილ ფარგლებში, [37] ხოლო, სახელშეკრულებო ვალდებულების სპეციფიკა, ამ მხრივ, არ აბრკოლებს იურიდიული პირის ბრალის დადგენას.

ზემოთ ჩვენ მოკლედ აღვნიშნეთ, რომ ტერმინი „სამართლის სუბიექტი" და „სამართლებრივი ურთიერთობის სუბიექტი"

[36] ს. ჯორბენაძე, იურიდიული პირის ბრალის შინაარსის განსაზღვრებისათვის, „საბჭოთა სამართალი," 1986, № 4.
[37] იქვე, გვ. 20-21.

ერთი და იგივე არაა. უფრო მეტიც, საჭიროა ყურადღების გამახვილება ისეთ განსაკუთრებულ კატეგორიაზე, როგორიცაა: სამართალსუბიექტობა, რომელიც, თავისი ბუნებით, არის სუბიექტის „სოციალური და იურიდიული უნარი, იყოს სამართლებრივი ურთიერთობის მონაწილე." [38] ცხადია, აქ იგულისხმება სუბიექტის პასუხისმგებლობაც, რადგან სამართლებრივი ურთიერთობა სათანადო პასუხისმგებლობის გარეშე შეუძლებელია. უპირველეს ყოვლისა, ლაპარაკია პოზიტიურ პასუხისმგებლობაზე, რომლის გარეშე არც ბრალი არსებობს და არც ნეგატიური პასუხისმგებლობა. მით უფრო, რომ იურიდიული პირი, როგორც გარკვეული ორგანიზაციული წარმონაქმნი, ადამიანთა გარკვეული კატეგორიის საქმიანობის ფორმაა, ხოლო ეს საქმიანობა, მით უმეტეს — იურიდიული პირის მართვის სფეროში, კონკრეტულად ვალდებული და უფლებამისილი პირების ერთობლივი საქმიანობის გარეშე შეუძლებელია. ეს შეიძლება იყოს იურიდიული პირის ისეთი ორგანო, როგორიცაა, მაგალითად, საერთო კრება, გამგეობა, დირექტორი, დირექტორთა საბჭო და სხვა. იურიდიული პირის სახელით და თითქოს მისი ინტერესების სასარგებლოდ შეიძლება იურიდიული პირის რომელიმე ორგანომ დაუშვას უპასუხისმგებლობა და გამოიწვიოს მართლსაწინააღმდეგო ზიანი. არც ისაა გამორიცხული, იურიდიული პირის სახელით და მისი დებულების ან წესდების დადგენილ ფარგლებში, მაგრამ მაინც უპასუხისმგებლოდ, იმოქმედოს იურიდიული პირის რიგითმა წევრმაც და მაშინ დგება მისი ბრალეული პასუხისმგებლობის პრობლემაც.

იურიდიული პირის ბრალეული პასუხისმგებლობის პრობლემატიკაში განსაკუთრებით საინტერესოდ მიგვაჩნია ბ. ანტიმონოვის პოზიცია, რომელსაც ცოტა უფრო ვრცლად გადმოვცემთ. თავდაპირველად შევეხებით მის ნაშრომს დაზარალებულის ბრალის შესახებ.

[38] Советское гражданское право, т. 1. М. 1961, стр.78.

ავტორი ვრცლად ეხება ბრალის ფილოსოფიური წანამძღვრებს და ამ მხრივ საფუძვლიანად აკრიტიკებს ბრალის იდეის მოწინააღმდეგე იურისტებს, რომ ბრალი თითქოს იდეალისტური ფილოსოფიის პირმშოა და რომ მატერიალისტური დეტერმინიზმი ბრალის იდეასთან შეუთავსებელია.[39] ისიც საინტერესოა, რომ ავტორი აკრიტიკებს ბრალის ბურჟუაზიულ თეორიებს. მისი მტკიცებით, ბრალის ცნება აქ იმდენად გაუგებარია, რომ ამ ცნების სრულ უშინაარსობაზე და უპასუხისმგებლობაზე კი შეიძლება ლაპარაკი.[40]

ბ. ანტიმონოვი, ჩვენი აზრით, ბრალის პრობლემატიკაში უფრო მართებულ პოზიციაზე დგას, ვიდრე ბრალის ფსიქოლოგიური თეორია და მისი მომხრეები. კერძოდ, იგი საფუძვლიანად აკრიტიკებს პეტრაჟიცკის ფსიქოლოგიურ თეორიას და სახელშეკრულებო ურთიერთობის მაგალითზე ნათლად წარმოაჩენს, რომ ხელშეკრულება მისი დამდები მხარეების ფსიქიკურ განწყობაზე დამოკიდებული არაა. მაგალთად, ხელშეკრულების შესრულება მისი ორივე მხარეს რომ დაავიწყდეს, ამით ხელშეკულებას, როგორც პასუხისმგებლობის იურიდიულ საფუძველს, არაფერი დაემართება. პირიქით, ასეთ პირობებში კრედიტორს შეუძლია მოვალეთა ბრალის საკითხი დასვას.[41]

უმთავრესი ამ მხრივ მაინც ისაა, რომ ბ. ანტიმონოვს ბრალის არსი ესმის უფრო მართებულად, ვიდრე მისი კოლეგების უმრავლესობას, რომელიც ბრალის ფსიქოლოგიურ თეორიას იზიარებს. მისი მტკიცებით, თუ ადამიანი ხელს ჰკიდებს საქმეს, რომელიც მას სათანადოდ შესწავლილი არა აქვს და არ ითვალისწინებს იმ საფრთხეს, რასაც იგი ქმნის სხვებისათვის, ხოლო, შეეძლო ამის შესწავლა და გათვალისწინება, — მაშინ ის ბრალეულია. აქ, როგორც ჩანს, იგულისხმება ადამიანის პოზიტიური პასუხისმგებლობა, ხელი მოკიდოს ისეთ

[39] Б. С. Антимонов, Значкние вины потерпевшкго при гражданском правонарушений, М. 1950,
[40] იქვე, გვ. 58.
[41] იქვე, გვ. 89.

საქმეს, რომლის ხასიათი და მოსალოდნელი შედეგები წინასწარვეა გათვალისწინებული. თუ ადამიანი რაიმე სერიოზულ და სარისკო საქმეს სათანადო პასუხისმგებლობით არ მოეკიდა, რის გამოც საზიანო შედეგი დადგა, გასაგებია, რომ მისი ეს ქმედება უნდა შეფასდეს, როგორც უპასუხისმგებლო, ანუ, ბრალეული. ავტორი ამავე აზრის საილუსტრაციოდ იმოწმებს მაგალითს, როცა მავანმა ფეხი მოიტეხა და ის სამედიცინო სასწავლებლის სტუდენტს მიუყვანეს. ამ სტუდენტმა ავადმყოფს ოპერაციაც კი გაუკეთა. მაგრამ სტუდენტმა დაუშვა შეცდომა და კაცს ფეხის ამპუტაცია დასჭირდა. ქედან ავტორი ასკვნის: „სტუდენტის ბრალი იმაში მდგომარეობს, რომ მან ხელი მოჰკიდა საქმეს, რომელიც საკმარისად არ იცოდა." [42]

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ბ. ანტიმონოვი პოზიტიური პასუხისმგებლობის იდეას არ იცნობს, — ის ფრიად საინტერესო და ლოგიკურ დასკვნას აკეთებს, როცა აღნიშნულ მაგალითში სტუდენტმა თავისთავზე აიღო ქირურგის პასუხისმებლობა, რაც მისი მხრიდან იყო სრული უპასუხისმგებლობა (ბრალი), როგორც ავადმყოფის ფეხის ამპუტაციის სუბიექტური მიზეზი. მაშასადამე, ბრალი არის უპასუხისმგებლობის სინონიმი, ხოლო უპასუხისმგებლობა პოზიტიური პასუხისმგებლობის უარყოფის ან უგულებელყოფის შედეგია. ეს აზრი გამოსჭვივის ბ. ანტიმინოვის სხვა ნაშრომიდანაც, რომელიც იურიდიული პირის პასუხისმგებლობას და მის საფუძველს ეძღვნება. საინტერესოა მისი მტკიცება, რომ პასუხისმგებლობა ვალდებულების შესრულების არსებითი ფაქტორია, როგორც დამატებითი, ვიდრე პირველადი ვალდებულება. აქ უკვე ჩანს, რომ ავტორი ვალდებულებას და პასუხისმგებლობას განასხვავებს. მისი მტკიცებით, „კონსტრუქცია, რომლის მიხედვითაც ვალდებულება და პასუხისმგებლობა ერთი და იგივეა, საქმის ნამდვილი ვითარების ახსნას არ იძლევა. „ [43]

[42] Б. С. Антимонов, Основания договорной ответственности социалистических организаций, М. 1962, стр. 102.

[43] Б. С. Антимонов, დასახ. ნაშრომი, გვ. 21.

ავტორი იურიდიული პირის ბრალისა და პასუხისმგებლობის შესახებაც ლაპარაკობს. ნიშანდობლივია, რომ ამ ნაშრომშიც მას ბრალი ესმის როგორც უპასუხისმგებლობის სინონიმი, იმის მიუხედვად, რომ ის პოზიტიური პასუხისმგებლობის იდეით არ ხელმძღვანელობს. მისი მტკიცებით, „თუ საწარმო არ იყო მზად მოცემული დაკვეთის შესასრულებლად, მაშინ სამოქალაქო ბრალი ამ მოუმზადებლობაში სახეზეა სწორედ იმ მომენტში, როცა კისრულობენ ვალდებულებას, რომლის შესრულება შეუძლებელი იყო.“ [44] მაგრამ, ამ მიმართებით ობიექტური შერაცხვის თავიდან აცილების მიზნით, ავტორი წერს: „თუ ვალდებულმა მოქალაქემ ან ვალდებულმა ორგანიზაციამ თავიდან არ აიცილეს თავიანთ თავზე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობა, თუმცა მისი თავიდან აცილება შეეძლოთ, ისინი ბრალეულად იქნებიან ცნობილი.“ [45]

როგორც ჩანს, ავტორი აქაც გულისხმობს ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის პირობებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულებას, როცა მას შეეძლო შექმნა ამ ვალდებულების შესრულების პირობების უზრუნველყოფა. აქედან ავტორი ასკვნის, რომ „არ არსებობს და არც შეიძლება არსებობდეს სუბიექტის კატეგორიის მიხედვით ბრალის ცნებაში განსხვავება.“ ავტორის აზრით, „ყოველგვარი იურიდიული პირი – ეს ადამიანთა ორგანიზაციაა და იგი სხვა არაფერი შეიძლება იყოს.„ [46]

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ ბ. ანტიმონოვი პოზიტიური პასუხისმგებლობის იდეას არ იცნობს, ბრალის შესახებ მისი მსჯელობა სუბიექტის უპასუხისმგებლობის გამოხატულებას წარმოადგენს. ბრალის თაობაზე მისი მსჯელობიდან გამომდინარეობს დასკვნა, რომ პირს, მათ შორის იურიდიული პირის ფორმაში მოსაქმეს, შეეძლო თავიდან აეცილები-

[44] იქვე, გვ. 72
[45] იქვე, გვ. 76.
[46] იქვე, გვ. 76.

ნა ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შეუსრულებლობის პირობები, რათა ეს ვალდებულება შესრულებადი ყოფილიყო, მაგრამ, რაკი მან ეს არ გააკეთა, მაშასადამე, ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულება გამოიჩინა ამიტომ ნეგატიურადაა პასუხისმგებელი ამ უპასუხისმგებლობისათვის ანუ ბრალისთვის.

ბრალის ამგვარი გაგება, მიუხედავად იმისა, რომ ბ. ანტიმონივი მას შესაფერის ტერმინით ვერ აღნიშნავს, არსებითად ახლოა ბრალის ბუნებასთან, როგორც უპასუხისმგებლობის სინონიმთან და აშკარად სჯობნის ბრალის ფსიქოლოგიურ თეორიას, რომლითაც დღემდე ბევრი რუსი იურისტი ხელმძღვანელობს. ბრალის ფსიქოლოგიური თეორია, როგორც ქმდებისა და მისი შედეგებისადმი სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულება, გამოხატული განზრახვის ან გაუფრთხილებლობის ფორმით, არავითარ კავშირში არაა „ურთიერთობის„ კატეგორიასთან, როგორც პოზიტიური პასუხისმგებლობის გამოვლენის ფორმასთან. პოზიტიური პასუხისმგებლობის გარეშე კი ბრალის ცნება და პრობლემა შეუძლებელია, რადგან **ბრალი სხვა არაფერია, თუ არა ნორმატიულად დადგენილი მოვალეობისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, რომელიც მართლსაწინააღმდეგო ქმედებისა და მისი შედეგების სუბიექტური მიზეზია.**

აქედან გამომდინარე, ლოგიკური არ უნდა იყოს იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის უარყოფა იმ მოტივით, რომ იურიდიულ პირს ბრალეული ქმედების ჩადენა არ შეუძლია, თითქოს უფრო ადვილი იყოს იურიდიული პირის ქმედების მართლწინააღმდეგობის დასაბუთება. საკითხის ამ კუთხის დასმის შემთხვევაში ნათელი ხდება, რომ მართლსაწინააღმდეგოდ შეიძლება მოქმედებდეს არა იურიდიული პირი, როგორც ორგანიზაციული წარმონაქმნი, როგორც ასეთი, არამედ იურიდიული პირის ფორმაში მოსაქმე ფიზიკური პირი (მაგალითად, დირექტორი), ან

ფიზიკური პირების გარკვეული ერთობა (გამგეობა, საერთო კრება), ან კიდევ ის ფიზიკური პირები, რომლებიც მოქმედებენ იურიდიული პირის სახელით ან მის ინტერესებში და ამავე დროს არღვევენ იურიდიული პირის დამაფუძნებელი დოკუმენტების (წესდების, დებულების თუ კანონის) მოთხოვნებს. საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 107-[1]ე მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, იურიდიულ პირს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა დაეკისრება ამ კოდექსით გათვალისწინებული იმ დანაშაულისათვის, რომელიც ჩადენილია იურიდიული პირის სახელით ან მისი მეშვეობით, ან, გამოყენებით, ანდა მის სასარგებლოდ, პასუხისმგებელი პირის მიერ. ცხადია, იგულისხმება იურიდიული პირის ფორმაში მოსაქმე და მისი საქმიანობისათვის პასუხისმგებელი პირი. ამ დებულების სასარგებლოდ მეტყველებს სსკ ამავე მუხლის მესამე ნაწილის დებულება, რომლის თანახმად, ამ მუხლის მეორე ნაწილში მოხსენიებული „პასუხისმგებელი პირი" არის იურიდიული პირის ხელმძღვანელობაზე, წარმომადგენლობაზე, მისი სახელით გადაწყვეტილების მიღებაზე უფლებამოსილი პირი ანდა იურიდიული პირის სამეთვალყურეო, საკონტროლო, სარევიზიო ორგანოს წევრი.

გასაგებია, რომ პრაქტიკულად მოქმედებს არა იურიდიული პირი, როგორც ასეთი, არამედ ამა თუ იურიდიული პირის საქმიანობისათვის პასუხისმგებელი ფიზიკური პირი (პირები). იულისხმება, რომ იურიდიული პირის ფორმაში მოსაქმე ფიზიკური პირი, რომელიც პასუხისმგებელია იურიდიული პირის საქმიანობაზე, უპირველეს ყოვლისა, პოზიტიურადაა პასუხისმგებელი იურიდიული პირის მიერ ნაკისრი ვალდებულების შესრულებისთვის, რაც სამოქალაქო სამართლის სფეროა. ამ სფეროში იურიდიული პირის საქმიანობისათვის პასუხისმგებელი პირი შეიძლება მოქმედებდეს უპასუხისმგებლოდ, ანუ, ბრალეულად. მაგრამ იურიდიული პირი, გარკვეულ ფარგლებში, პასუსიხმგებელია სახელმწიფოს წინაშეც, რათა იმოქმედოს მართლზომიერად და შექმნას მარ-

თლწესრიგი. მით უფრო, რომ კანონმდებელი ჩამოთვლის იმ დანაშაულს, რომელიც ხორციელდება მხოლოდ განზრახ, ესე იგი სახელმწიფოს წინაშე იურიდიული პირის ფორმაში მოსაქმე პირის მიერ პოზიტიური პასუხისმგებლობის უარყოფის გზით. მაგალითად, ტრეფიკინგი (საქ. სსკ 143[1-ე] მუხლი), ესე იგი, ადამიანით ვაჭრობა, შეიძლება ჩაიდინოს როგორც ფიზიკურმა პირმა, ისე იურიდიული პირის ფორმაში მოსაქმემაც, რომელიც პასუხისმგებელია იურიდიული პირის მართლზომიერი ქმედებისათვის.

ამრიგად, განზრახვა არის ბრალის, როგორც გარკვეული ინსტანციის წინაშე პასუხისმგებლობის შეგნებული უარყოფის, ანუ უპასუხისმგებლობის, გამოხატულება, როცა ეს უპასუხისმგებლობა ხდება მართლსაწინააღმდეგო ქმედების სუბიექტური მიზეზი. აქ მეტად საინტერესოა ე. წ. „წინსწრებული ბრალის„ ის კონცეფცია, რომელიც სამოქალაქო სამართალში დაზარალებული ბრალის პრობლემასთან კავშირში შეიმუშავა ბ. ანტიმინოვმა, მაგრამ მოგვიანებით იგი თვით ავტორმა უარყო, როგორც ბრალის ისედაც აბნეულ პრობლემატიკაში დამაბნეველი ცდომილება.

ვფიქრობთ, „ წინსწრებული ბრალის„ იდეა ფრიად საინტერესოა, რადგან, ამ პოზიციიდან იგულისხმება, რომ ბრალი წინ უსწრებს მართლსაწინააღმდეგო ქმედებას, როგორც ამ უკანასკნელის სუბიექტური მიზეზი. ბ. ანტიმონივის აზრით, „იურიდიული ბრალი ჩვენს სამართალში არის სუბიექტური, პირადი ბრალი. მაგრამ ამასთან ერთად ეს არის არა ფსიქოლოგიური, არამედ სუბიექტურ- სამართლებრივი კატეგორია.“[47][47] დასახელებული ავტორი პრინციპულად არ ეთანხმებოდა ხ. შვარცის მტკიცებას, რომ ბრალი თითქოს უახლოვდება ობიექტურად მართლსაწინააღმდეგო ქმედებას და მართებულად ასკვნიდა, რომ მართლწინააღმდეგობა და ბრალი სამოქალაქო-სამართალდარღვევის შემადგენლობის

[47] Б. С. Антимонов, Значение вины потерпевшего при гражданском правонарушении, М. 1950, стр. 99.

თანაბარმნიშვნელოვანი ნიშნებია.“ [48]

ეს მოსაზრება სავსებით სწორია, რადგან ბრალის გარეშე პასუსუხისმგებლობის იდეა არსებითად ეწინააღმდეგება „პასუხისმგებლობის„ კატეგორიას. კერძოდ, ჩვენ უკვე აღვნიშნეთ, რომ პასუხისმგებლობა არის სოციალური ფილოსოფიის კატეგორია, რომელიც ორი ასპექტით ვლინდება: პოზიტიური ასპექტით, როცა სუბიექტი თავის მოვალეობას ეკიდება პასუხისმგებლურად, ესე იგი, ამ მოვალეობის შესრულების განწყობით, და ნეგატიური ასპექტით, როცა სუბიექტი პასუხს აგებს მისი უპასუხისმგებლო ქმედებისთვის. აქედან გამომდინარეობს, რომ პასუხისმგებლობის პოზიტიური ასპექტი მხოლოდ მაშინ არსებობს, როცა სუბიექტს აქვს თავისუფლება, პასუხისმგებლურად მოეკიდოს თავის მოვალეობას. თუ სუბიექტს არა აქვს მოვალეობისადმი დამოკიდებულების არჩევანი, მაშინ ის თავის მოვალეობას ვერც პასუხისმგებლურად მოეკიდება და ვერც უპასუხისმგებლოდ, ესე იგი, პასუხისმგებლობის სუბიექტი საერთოდ ვერ იქნება.

ამრიგად, ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა იმას ნიშნავს, რომ სუბიექტს უპასუხისმგებლობა (ბრალი) არ გამოუვლენია, ხოლო უპასუხისმგებლობის გარეშე ნეგატიური პასუხისმგებლობა არ არსებობს. ნეგატიური პასუხისმგებლობის გარეშე კი, არც პოზიტიური პასუხისმგებლობაა შესაძლებელი. მაშასადამე, ბრალის უარყოფა ან უგულებელყოფა პასუხისმგებლობის უარყოფის ან უგულებელყოფის ტოლფასია. ეს ბუნებრივია, რადგან ბრალი, როგორც უპასუხისმგებლობის სინონიმი, პასუხისმგებლობის პოზიტიური და ნეგატიური ასპექტების კავშირის ფორმაა. თუ ჩადენილ მართლსაწინააღმდეგო ქმდებაში სუბიექტის ბრალი არ არსებობს, მაშინ ამ შემთხვევაში პასუხისმგებლობის პოზიტიური და ნეგატიური ასპექტების კავშირიც არ არსებობს და, მაშასადამე, პასუხ-

[48] იქვე, გვ. 92.

ისმგებლობაც (მისი ორივე ასპექტით) გამორიცხულია. ამრიგად, „ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა„ ლოგიკური წინააღმდეგობაა, რადგან, თუ სუბიექტს უპასუხისმგებლობა, ანუ, ბრალი არ გამოუვლენია, მაშინ ის პასუხისმგებლობის სუბიექტი ვერ იქნება. აქ მოკლედ აღვნიშნავთ, რომ დაუშვებელია ე.წ. დაცვის ზომები პასუხისმგებლობის ზომებში აგვერიოს. მით უფრო, რომ ბრალის გარეშე სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, მართებულად უნდა ჩაითვალოს ა. ნიკიფოროვის პოზიცია, როცა ის, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთების მიზნით, მიმართავს იურიდიული პირის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემას. ავტორი მართებულად აღნიშნავს, რომ იურიდიული პირის სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთების გამოცდილება შეიძლება გამოყენებულ იქნეს იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთებისთვის. ავტორი ამ მიმართებით ვრცლად განიხილავს სამოქალაქო სამართალში იურიდიული პირების მრვალფეროვნებას სწორედ პასუხისმგებლობის რეჟიმის ასპექტით. ამ მიმართებით ავტორი მართებულად აქცევს ყურადღებას იურიდიული პირების ორგანოებზე, რომლებიც უნდა მოქმედებდნენ იურიდიული პირების დამაფუძნებელი დოკუმენტებში დადგენილი მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად, კეთილსინდისიერად და იურიდიული პირის ინტერესების ფარგლებში; დადგენილი წესით აგოს პასუხი იურიდიული პირებისთვის მიყენებული ზიანისთვის. [49] ავტორი ცდილობს, იურიდიული პირის საქმიანობის შეწყვეტის სამოქალაქო-სამართლებრივი მექანიზმი გამოიყენოს იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაფუძნებლად. ამ მიმართებით იგულისხმება იურიდიული პირის ორგანოს მიერ იურიდიული პირის ან სახელმწიფოს ინტერესების საწინაღმდეგო ქმედე-

[49] А. С. Нилифоров, Юридическое лицо как субъект преступления и ушоловной ответственности, М. 2002, стр. 37.

ბა, რომელიც იურიდიული პირის საქმიანობის შეწყვეტის საფუძველი შეიძლება გახდეს.[50] ეს კი, როგორც ჩანს, შეიძლება გამოდგეს იმის ანალოგიად, რაც სისხლის სამართალში იურიდიული პირის ლიკვიდაციად იწოდება. მაგრამ, სამწუხაროდ, ა. ნოკიფოროვი იურიდიული პირის ბრალის დასაბუთებაში სერიოზულ დაბრკოლებას წააწყდა, რადგან, ავტორი ბრალის ფსიქოლოგიური თეორიის ფარგლებს ვერ გასცდა, ხოლო ბრალი, როგორც „ფსიქიკური დამოკიდებულება, „ იურიდიული პირის, როგორც კორპორაციის, მიმართ ადეკვატური ვერ იქნება.[51] ავტორი იმოწმებს ე.წ. აბსოლუტური პასუხისმგებლობის პრინციპის მომხრეებს (მაგალითად, ჯეიმს სტიფენი)[52]. ირკვევა, რომ იურიდიული პირის ბრალის დასაბუთების სიძნელეების გამო ამჯობინებენ ილაპარაკონ ბრალის გარეშე, ანუ, აბსოლუტურ პასუხისმგებლობაზე, რაც თითქოს იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას დააფუძნებს. მაგრამ, ზემოთ უკვე აღვნიშნეთ, რომ „ბრალის გარეშე პასუხისმგებლობა“ წინააღმდეგობრივი გამონათქვამია. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ამერიკის შეერთებულ შტატებში კორპორაციას პასუხისმგებლობა შეიძლება იმ შემთხვევაშიც კი, როცა დამტკიცებულია, რომ კორპორაციის მაღალი მმართველობითი სტატუსის მქონე აგენტმა სათანადოდ იზრუნა, რათა არ ჩადენილიყო დანაშაული, რომელიც სასამართლო მსჯელობის საგანი გახდებოდა.[52] მართალია, ამ პოზიციიდან ფიზიკური პირი არაა პასუხისმგებელი, მაგრამ თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ რეალურად მოქმედებს არა იურიდიული პირი, როგორც ასეთი, არამედ იურიდიული პირის ფორმაში მოსაქმე ფიზიკური პირი, რომელიც იურიდიული პირის მართვის ორგანოს განასახიერებს, მაშინ პასუხისმგებლობა მაინც ერთი პრინციპით უნდა განისაზღვრებოდეს.

---

[50] А. С. Нилифоров, დასახ. ნაშრომი, გვ. 46.

[51] იქვე, გვ. 46

[52] ციტირებულია: იქვე, გვ. 135.

ამრიგად, ბრალის პრობლემა იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთების პრობლემას კიდევ უფრო ამწვავებს. ჩვენ კი, რგორც ჩანს, ამოვდივართ იმ დებულებიდან, რომ ბრალი არის უპასუხისმგებლობის სინონიმი, როცა სუბიექტი, ნაცლად ვალდებულებისადმი პასუხისმგებლური დამოკიდებულებისა, ის, პირიქით, უპასუხისმგებლოდ ეკიდება მას, ხოლო, ეს უპასუხისმგებლობა მართლსაწინააღმდეგო ქმედების სუბიექტური მიზეზია. ამიტომ დგას ბრალისა და მიზეზობრივი კავშირის გამიჯვნის პობლემა. ცხადია, მიზეზობრივი კავშირი მოვლენათა შორის ობიექტურ კავშირს გამოხატავს, მაშინ, როცა ბრალი მართლსაწინააღმდეგო ქმედებისა და მისი შედეგების სუბიექტური მიზეზია. აღსანიშნავია, რომ დიდ ბრიტანეთში დანაშაული ხშირად განიხილება, როგორც რაღაც შედეგის მიზეზი. მაგრამ, სამწუხაროდ, ბრალის პრობლემა ამ მიმართებით ბუნდოვანია, რადგან აქაც სახეზეა ბრალის გარეშე, ანუ, აბსოლუტური პასუხისმგებლობის პრინციპი.[53] ამ პრინციპის გამო იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის უარყოფა, როგორც ამას ზოგიერთი თანამედროვე რუსი კრიმინალისტი ფიქრობს, სწორი არ უნდა იყოს.

§ 9. გ.ბოგუშიიურიდიულიპირისსისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის წინააღმდეგ

ამჯერად თანმიმდევრულად განვიხილავთ გ. ბოგუშის არგუმენტებს იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის წინააღმდეგ. ავტორის მტკიცებით, ამ ბოლო დროს იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის იდეა „უკვე მასებს ეუფლება," მაგრამ, - მისი აზრით, ამ იდეის წინააღმდეგ იმდენად ბევრი არგუმენტია, რომ „მტკიცების ტვირთი" იურიდიუოლი პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მომხრეებს ეკისრებათ.

[53] ა. ნიკიფოროვის დასახ. ნაშრომი გვ.155

ავტორი ცდილობს თანმიმდევრულად განიხილოს იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესების საწინააღმდეგო არგუმენტები.

1. ავტორის აღიარებს, რომ იურიდიული პირების საქმიანობას თან ახლავს მომეტებული საფრხე ეკონომიკის, ბუნების დაცვის და სხვა მსგავს ინტერესთა საზიანოდ, მაგრამ, მისი აზრით, იურიდიული პირების სამეურნეო საქმიანობა სამოქალაქო სამართლის მოწესრიგების სფეროა. ამ სფეროში კი სისხლის სამართლის ნორმების გამოყენება მეტად სარისკოა;
2. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესების მომხრენი აღნიშნავენ, რომ ადგილი აქვს საწარმოების მხრივ საგადასახადო კანონმდებლობის დარღვევას, მაგრამ იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა, ავტორის აზრით, ამ მხრივ ვერაფერს შეცვლის;
3. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მომხრენი უთითებენ საწარმოთა საქმიანობის მძიმე ეკოლოგიურ შედეგებზე, მაგრამ ავტორი მაინც ფიქრობს, რომ ამ მხრივ აჯობებდა, სისხლისსამართლებრივ პასუხისგებაში მიეცათ ამ საწარმოთა თანამდებობის პირები ფიზიკური პირის სტატუსით, ან გაემკაცრებინათ ამ მიმართებით ადმინისტრაციული პასუხისმგებლობის ზომები;
4. ავტორს საეჭვოდ მიაჩნია ის არგუმენტიც, რომ იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება თითქოს უფრო კარგად დაიცავდა საწარმოთა დანაშაულებრივი თვითნებობის შედეგად დაზარალებულთა ქონებრივ ინტერესებს, რაკი ამ გზით დაწესებული იქნებოდა საწარმოს უკანონო მოქმედების გამო მისი ქონების კონფისკაცია. ავტორი კი, ფიქრობს, რომ ამ მხრივ უმჯობესი სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის გაძლიერება იქნებოდა;

5. ავტორი ამტკიცებს, რომ სამართლის სხვა დარგებში არსებული სანქციები არც თუ დიდად განსხვავდებიან სისხლისსამართლებრივი სანქციებისაგან;
6. ავტორის მტკიცებით, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ისეთი თვისება, როგორიცაა გაკიცხვა, იურიდიული პირის პასუხისმგებლობისათვის უცხოა. ამ მიმართებით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა კი, მისი აზრით, ობიექტურ შერაცხვას წაახალისებდა;
7. ავტორი კატეგორიულად არ ეთანხმება მოსაზრებას, რომ იურიდიული პირის სახელით თითქოს შესაძლებელია დანაშაულის ჩადენა, მაშინ, როცა იურიდიული პირის საქმიანობის წესი და ფარგლები მისი დამაფუძნებელი დოკუმენტებით განისაზღვრება და ამ საზღვრების გარეთ ჩადენილი ქმდება მიეწერება არა იურიდიულ, არამედ ფიზიკურ პირს;
8. ავტორის მტკიცებით, კიდევ უფრო დიდია ის სიძნელეები, რაც იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივ დასჯასთანაა დაკავშირებული. მით უფრო, რომ ამ მიმართებით სასჯელი არაა ის ადეკვატური ზომა, რაც იურიდიულ პირს შეეფერება და რომ ამ მხრივ შესაძლებელია არაბრალეულ პირთა დასჯაც კი;
9. ავტორი ამოდის იქიდან, რომ პირადი პასუხისმგებლობის პრინციპი დღესაც ძალაშია, ხოლო, იურიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება ამ პრინციპს დაარღვევდა;
10. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის მომხრე იურისტები უთითებენ იმ საერთაშორისო დოკუმენტებზე, რომლებშიც სახელმწიფოებს იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის რეკომენდაცია ეძლევათ, მაგრამ ეს, ავტორის მტკიცებით, რეკომენდაციაა და არა მოთხოვნა. ამას გარდა, მხედველობაშია მისაღები ამა თუ იმ

სამართლებრივი ოჯახისადმი ამა თუ იმ სახელმწიფოს კუთვნილება. ამ მხრივ ავტორი ასახელებს ანგლო-საქსური სამართლებრივი სისტემისათვის დამახასიათებელ აბსოლუტური, ანუ, ბრალის გარეშე პასუხისმგებლობის პრინციპს, რაც, მისი აზრით, რუსეთისათვის სრულიად მიუღებელია;

11. ბოლოს, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის იდეის გავრცლებას ავტორი იმით ხსნის, რომ თვით სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და მისი როლი არასწორადაა გაგებული. [54]

როგორ ჩანს, დასახელებული ავტორი იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთების შესაძლებლობასა და მიზანშეწონილობას პირწმინდად უარყოფს, რაც, ჩვენი აზრით, აშკარად ცალმხრივი პოზიციაა. მაგალითად, სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა მართლაც პერსონალურია, მაგრამ განა რომელიმე იურიდიულ პირს პერსონალური ინდივიდულობა აკლია? მერე რა, რომ იურიდიული პირი საქმიანობის კოლექტიური ფორმაა? სამაგიეროდ, ყოველი იურიდიული პირი პერსონაა იმ აზრით, რომ მას თავისი სახელი, ადგილმდებარეობა, საქმიანობის წესი და სხვა პერსონალური ნიშანი ახასიათებს. გარდა ამისა, ხსენებული ავტორი ანგარიშს არ უწევს იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთების არა მარტო შესაძლებლობას, არამედ მიზანშეწონილობასა და აუცილებლობასაც კი.

54 Г. И. Богуш, К вопросу об уголовной ответственности юридических лиц, Вестник Московского Универеситета, серия 11, Право, 2005, № 4.

§10. საჯარო სამართლის იურიდიული პირის ცნება და იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთების პრობლემა

როგორც ცნობილია, იურიდიული პირის ცნება საჭიროა საჯარო სამართლის ინტერესებშიც, ხოლო, საჯარო სამართალში იურიული პირის პასუხისმგებლობა უფრო ახლოს უნდა იყოს იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთებასთან, იმის მიუხედავად, რომ სისხლის სამართალი საჯარო სამართლის ტიპური დარგებისგანაც განსხვავდება. შემთხვევითი არაა, რომ თანამედროვე რუსეთში იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემა, ამ ბოლო დროს, სადისკუსიოდ მაინც გამოაქვთ. ამდენად, უფრო ლოგიკური იქნებოდა, თუ იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთებისთვის იურიდიული პირის სამოქალაქო-სამართლებრივი გაგებიდან ამ უკანასკნელის სასჯარო-სამართლებრივ გაგებაზეც გადავიდოდით. მით უმეტეს, რომ საქართველოს კანონმდებლობასა და დოგმატიკაში საჯარო სამართლის იურიდიული პირის ცნება დავას არ იწვევს. სამწუხაროდ, გაოცებას იწვევს თანამედროვე რუსეთში ამ მხრივ არსებული ვითარება, რომლის თანახმად, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ცნება არც კანონმდებლობაშია ცნობილი და არც იურიდიულ დოგმატიკაში. მაგალითად, პროფ. ვ. ჩირკინი ამ მხრივ მიმოიხილავს რუსეთის კანონმდებლობასა და დოგმატიკას და მიდის დასკვნამდე, რომ აქ საჯარო სამართლის იურიდიული პირის ცნებაც კი არ არსებობს, მაშინ, როცა საზღვარგარეთის სახელმწიფოებში, მათ შორის საქართველოში, ეს ცნება დიდი ხანია ცნობილია. ავტორი ადასტურებს იმ აშკარა უხერხულობას, როცა იურიდიული პირის პრობლემატიკა, როგორც წესი, სამოქალაქო-სამართლებრივ სფეროშია მოქცეული, მაშინ როდესაც სახელმწიფო და მისი ორგანოები, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანიები და სხვა მსგავსი ორ-

განიზაციები, ავტორის დასკვნით, საჯარო-სამართლებრივი პასუხისმგებლობის სუბიექტებია და ამიტომ ამ მიმართებით სამოქალაქო-სამართლებრივი მეთოდებით საქმიანობის მოწესრიგება უნაყოფოა. [55] ავტორი ცდილობს ჩამოაყალიბოს საჯარო სამართლის იურიდიული პირის ცნება, მაგრამ ამჯერად ჩვენი ინტერესის საგანი ისაა, რომ ავტორს აქცენტი მართებულად გადააქვს იმ განსხვავებაზე, რაც არსებობს კერძო სამართალსა და საჯარო სამართალში პასუხისმგელობას შორის. მართალია, საჯარო სამართლის იურიდიული პირები, ავტორის თქმით, მონაწილეობენ სამოქალაქო ბრუნვაშიც, მაგრამ მათი არსი მაინც სხვაა და ამიტომ საჯარო სამართლის იურიდიული პირის ცნებასა და პრობლემას სერიოზული ყურადღება უნდა მიექცეს. [56]

ცხადია, საჯარო სამართლის იურიდიული პირის ცნებაც უნდა მოვიშველიო, რათა საკითხი უფრო სრულად წარმოვაჩინოთ, თუმცა, ისიც აშკარაა, რომ საჯარო სამართლის იურიდიული პირი დანაშაულს, როგორც წესი, ვერ ჩაიდენს. მაგალითად, სახელმწიფოს ან მისი ორგანოების, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების და სხვა მსგავსი ორგანიზაციების თანამდებობის პირები (მოხელეები), მათთან გათანაბრებული პირები თუ მოსამსახურები, მოქმედებენ კონსტიტუციით და ამის საფუძველზე ამოქმედებული სხვა ნორმატიული აქტის მოთხოვნათა შესაბამისად, ხოლო, თუ ისინი დაარღვევენ ამ მოთხოვნებს, დარღვევის ხასიათის მიხედვით, პასუხს აგენენ პირადად (მაგალითად, სახელმწიფო დისციპლინის დარღვევისთვის), ან დანაშაულისთვის, ანდა დანაშაულში თანამონაწილეობის ფორმით. არაა გამორიცხული, რომელიმე პოლიტიკური პარტიამ, მისი სახელით და მისივე ინტერესებში, დააფინანსოს, მაგალითად, ტერორიზმი, სახელმწიფო გადარტიალების მცდელობა სხვა

[55] В. Е. Чиркин, Заметки к дискуссии о юридическом лице публичного права, „ Государство и право, „ 2010, № 7, стр. 27.
[56] იქვე, ფვ. 30.

მაგავსი დანაშაული, და მაშინ ამ პარტიის წამყვანი ხელმძღვანელი პირების სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობას თან დაერთოს ამ პოლიტიური პარტიის ოფიციალური რეგისტრაციის გაუქმება (იურიდიული ლიკვიდაცია), როგორც სასჯელი.

§11. იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ უახლოესი მოსაზრებანი რუსეთის ფედერაციაში

რუსეთის ფედერაციის იურიდიულ ლიტერატურაში ირიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემას ზოგიერთი ავტორი ჯერ კიდევ ამრეზით უყურებს. მაგალითად, გ. ესაკოვი ცდილობს, დაადგნოს, რომ რუსეთის ფედერაციაში იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის შესახებ სამი მიდგომა არსებობს. ერთნი უარყოფენ, მეორენი აღიარებენ, მესამენი კი აღიარებენ იურიდიულ პირებზე არატრადიციული სისხლისსამართლებრივი ზემოქმდების ზომებს, თუ ქმედება ჩადენილია ბრალეულად.[57] ავტორი აცხადებს, რომ ამ მიდგომების შესახებ ცნობილია, ხოლო, ამჯერად იგი ეხება რუსეთის ფედერაციის სისხლის სამართლის კოდექსის 104-ე (მეოთხე პრიმა) მუხლში შესატან ცვლილების პროექტს, რომლის თანახმად, საქმე ეხება დანაშაულში მონაწილეობას იმ პირისა, რომელიც მოქმედებს იურიდიული პირის ინტერესებში ან ასრულებს იურიდიული პირის მართვის ფუნქციას.

გ. ესაკოვი ფიქრობს, რომ ეს ცვლილება სერიოზულ კრიტიკას იმსახურებს, რადგან, იგი გაართულებს შესაბამისი ნორმების გამოყენების პრობლემას. სამწუხაროდ, არგუმენტად ავტორს მოაქვს მკვლელობა, რომელიც თითქოს იურიდ-

[57] Г. Есаков, Меры уголовно-правового характера в отношении юридических лиц: критическая оценка, Ж. „Уголовное Право," 2011, №3 стр. 26.

იული პირის ინტერესებში შეიძლება იქნეს ჩადენილი. კერძოდ, ავტორი უშვებს შემთხვევას, როცა დირექტორთა საბჭოს წევრი ორგანიზებას უკეთებს კონკურენტი იურიდიული პირის დირექტორთა საბჭოს თავმჯდომარის მკვლელობას. [58]

ავტორი, როგორც ჩანს, მხედველობაში არ იღებს იურიდიული პირის დამაფუძნებელ დოკუმენტებში იურიდილი პირის მიზნებისა და ამოცანების თავისებურებას, ხოლო, მკვლელობა, გაუპატიურება და სხვა ამგვარი დანაშაული, იურიდიული პირს არ შეიძლება მიეწეროს. ამგვარი დანაშაული, როგორც ავტორიც აღნიშნავს, ფიზიკური პირის საქმე შეიძლება იყოს. მაგრამ მაშინ რა შუაშია აქ იურიდიული პირი? ვფიქრობთ, დანაშაულის ჩადენა „იუდიული პირის ინტერესებში„ ავტორს არასწორად აქვს გაგებული. სამწუხაროდ, გაუგებრობაზეა აგებული ავტორის მიერ მიხმობილი მეორე მაგალითიც, რომელიც თითქოს იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საწინააღმდეგოდ მეტყველებს. კერძოდ, იმ მიზნით, რომ დროზე ადრე ჩაბარდეს საწარმოს შენობა, რათა ამ მიმართებით მოგება იქნეს მიღებული, პირი, რომელიც კომერციულ დაწესებულებაში ასრულებს ორგანიზაციულ-განმკარგულებელ ფუნქციას, მუშებს აძლევს განკარგულებას, შრომის უსაფრთხოების ზომების უგულებელყოფის გზით, მიაღწიონ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულებას, ხოლო, ამას მუშის დაღუპვა მოჰყვა. ავტორი გვეკითხება: რაში მდგომარეობს აქ იურიდიული პირის ბრალეული ქმდება? ცხადია, აქ კომერციული ორგანიზაციის თანამდებობის პირია პასუხისმგებელი მუშის დაღუპვისთვის, რაკი მან გასცა უკანონო განკარგულება, და არა იურიდიული პირი, როგორც ასეთი.

ხსენებული ავტორი აკრიტიკებს იურიდიულ პირებზე სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების იმ ზომებსაც, რომ-

[58] Г. Есаков, დასახ. ნაშრომი, გვ. 27

ლებიც აღნიშნულ პროექტითაა გათვალისწინებული, მაგრამ ეს საკითხი ამჯერად არ გვაინტერესებს, რადგან, ჩვენთვის მთავარია იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთების შესაძლებლობა. ამ თვალსაზრისით უფრო საინტერესოა გ. სმირნოვის მოსაზრება იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პერსპექტივების შესახებ. ავტორი აღნიშნავს, რომ რუსეთის ფედერაციის სინამდვილეში უკვე მომწიფდა იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესების პირობები. ჯერ ერთი, რუსეთი შეუერთდა იმ კონვენციებს, რომლებიც სახელმწიფოებს ავალდებულებენ (უფრო სწორად, მოუწოდებენ – გ. ნ.), დააწესონ იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა. ავტორს, ამ თვალსაზრისით, მოაქვს ტრანსნაციონალური ორგანიზებული დანაშაულის წინააღმდეგ გაეროს კონვენცია, აგრეთვე გაეროს კონვენცია კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლის შესახებ და ასკვნის, რომ იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება სამართლებრივი სისტემის მსოფლიო სტანდარტებთან რუსეთის ფედერაციის დაახლოებას გამოიწვევდა. გარდა ამისა, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება, ავტორის აზრით, დანაშაულობასთან ბრძოლის უფრო ეფექტური საშუალება იქნებოდა. მით უფრო, რომ იურიდიულ პირს, როგორც კოლექტიურ სუბიექტს, უფრო მეტი ფინანსური თუ ორგანიზაციული შესაძლებლობა აქვს, ჩაიდინოს და თან დაფაროს კიდეც ეს დანაშაული. [59]

მიუხედავად იმისა, რომ ავტორი, როგორც ვხედავთ, მხარს უჭერს რუსეთის ფედერაციაში იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებას, იგი, ამავე დროს, ითვალისწინებს იმ დოქტრინალურ წინაღობებს, რაც

[59] Г. Смирнов, Перспективы и условия введения в России института уголовной ответствкнности юридичесеих лиц, „ Уголоывное Право, „ 2011, № 2, стр. 76-77.

რუსეთში იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესებას უშლის ხელს. კერძოდ კი, ავტორის აზრით, ესაა პასუხისმგებლობის კლასიკური პრინციპები პირადი და ბრალეული პასუხისმგებლობა. აქედან გამომდინარე, ავტორი ფიქრობს, რომ პასუხისმგებლობის ამ კლასიკური დოქტრინის დანგრევის გარეშეც კი შეიძლება მოგვარდეს იურიდიულ პირზე სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების დაწესების პრობლემა. კერძოდ, მისი აზრით, რუსეთის კანონმდებლობაში, პასუხისმგებლობის ტრადიციული ფორმების გვერდით, შეიძლება გათვალისწინებულ იქნეს დანაშაულში თანამონაწილე იურიდიულ პირებზე ზემოქმედების ალტერნატიული ზომები, მაგრამ არა სასჯელის, არამედ სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების სხვა ზომების სახით. ავტორი ამტკიცებს, რომ ამ მიდგომისას იურიდიული პირი წინანდებურად არ იქნება დანაშაულის სუბიექტი, მაგრამ შეიძლება მოექცეს სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ქვეშ, „за причастности к преступлению, совершенному физическим лицом.“ [60] დედანის ენაზე ეს ჩანართი იმიტომ მოვიტანეთ, რომ, მისი უცნაურობის გამო, ქართულად მისი თარგმნა ვერ შევძელით. მართალც, რა ნიშნავს ეს ფრაზა? ტერმინი „причастность` არაა „თანამონაწილეობა„ ( „соучастие`), არც „შემხებლობა„ („прикосновенность `). გამოდის, რომ ეს ტერმინი რაღაც ახალია, რომელიც ძნელად გასაგები ხდება. მაგრამ, ცოტა ქვემოთ ავტორი იძლევა იმის განმარტებას, თუ ვინ არის ეს ფიზიკური პირი, რომლის დანაშაულის მიმართ იურიდიული პირი „პრიჩასტნოსტის„ მდგომარეობაშია? ირკვევა, რომ ეს ფიზიკური პირი არის სპეციალური სუბიექტი, რომელიც იურიდიული პირის ფორმაში ასრულებს მმართველობით ფუნქციებს, ან ის, რომელიც იურიდიული პირს ფაქტობრივად მართავს. [61]

[60] იქვე, გვ. 77.

[61] Г. Смирнов, დასახ. ნაშრომი, გვ. 77.

უნდა ვიფიქროთ, რომ იურიდიული პირი, როგორც საქმიანობის ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, მისი მართვის ორგანოებში მოსაქმე ფიზიკური პირებისაგან დამოუკიდებლად მოქმედებს? რა თქმა უნდა, არა. სამწუხაროდ, ხსენებული ავტორის ამ მსჯელობებიდან სწორედ ეს უცნაური დასკვნა გამომდინარეობს. იურიდიული პირის მოქმედება ხსენებული ფიზიკური პირების მოქმედების გარეშე შეუძლებელია. ეს ფიზიკური პირები მოქმედებენ იურიდიული პირის სახელით, ან მის ინტერესებში, იურიდიული პირის დამაფუძნებელი დოკუმენტებით (წესდებით, დებულებით, კანონით) დადგენილ ფარგლებში. ამიტომაა, რომ იურიდიულ პირს არ შეიძლება მიეწეროს დანაშაული, რომელიც იურიდიული პირის საქმიანობასთან არავითარ კავშირში არაა (მაგალითად, მკვლელობა, გაუპატიურება, ქურდობა და ა. შ.). მეორე მხრივ, არც თუ ისე ნათელია ავტორის მიერ მოხმობილი იურიდიულ პირებზე სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ზომები, რომლებიც თითქოს სასჯელებს არ წარმოადგენენ, მაგრამ უცნაური ისაა, რომ ამ „ზომებში“ დასახელებულია ჯარიმაც, იძულებითი ლიკვიდაციაც კი, [62] მაშინ, როცა ეს უკანასკნელი, გადატანითი მნიშვნელობით, **იურიდიული პირის სიკვდილით დასჯადაა მიჩნეული.**

ამრიგად, გ. სმირნოვი გრძნობს, რომ თანამედროვე რუსეთის ფედერაციაში იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ოფიციალური წესით უგულებელყოფა ამ ქვეყანას მსოფლიო საზოგადოებრიობის წინაშე აშკარად უხერხულ მდგომარეობაში აყენებს. მაგრამ, სამწუხაროდ, ავტორი ვერ ახერხებს, გადალახოს იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთების ორი ისეთი დამაბრკოლებელი გარემოება, როგორიცაა: პერსონალური და ბრალეული პასუხისმგებლობა. რუსეთში, როგრც წესი, არსებული დოქტრინალური პასუხისმგებლობის შე-

[62] იქვე, გვ. 78.

ნარჩუნებით, ავტორმა გადაწყვიტა, წინ დაეძრა იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემა, მაგრამ ეს, როგორც ჩანს, შეუძლებელია და ამიტომაა, რომ ავტორი ახალ გაუგებრობებში აღმოჩნდა. მაგალითად, რანაირად შეიძლება იურიდიული პირი წინანდებურად არ იყოს „დანაშაულის სუბიექტი," ხოლო, ამავე დროს მას დაეკისროს სისხლისსამართლებრივი ზემოქმედების ზემოქმედების ზომები, მათ შორის- ლიკვიდაცია? ან კიდევ: რანაირად შეიძლება იძულებითი ლიკვიდაცია იყოს „სისხლისსამართლებრივი ღონისძიება" და არ იყოს იურიული პირისთვის სასჯელი?

რუსეთში იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთების კიდევ ერთ მცდელობას შევეხებით. კერძოდ, მხედველობაში გვაქვს ლ. ივანოვის პოზიცია. ატორი მოკლედ ჩერდება იმ რადიკალურ ცვლილებებზე, რაც რუსეთში უკანასკნელი 15 წლის ფარგლებში განხორციელდა. ავტორის მტკიცებით, რუსეთის ეკონომიკურ ცხოვრებაში კერძო სამართლებრივი საწყისების გაფართოებამ საწარმოს დირეტორსა (მენეჯმენტსა) და მესაკუთრეს შორის ახალი ურთიერობის წარმოშობა გამოიწვია. გასული საუკუნის უკვე 90-ანი წლებიდან რუსეთში მიღებულ იქნა მთელი რიგი კანონებისა, რომლებიც ადგენდნენ იურიდიული პირების (საწარმოს, ორგანიზაციების) ადმინისტრაციულ პასუხისმგებლობას სხდასხვა სამართალდარღვევისთვის. ავტორი ჩამოთვლის ამ დარღვევებს (მაგალითად, საგადასახადო, ბუნებადაცვითი თუ სამედიცინო დაზღვევის სფეროში) და ასკვნის, რომ ეს საკანონმდებლო ცვლილებები ნაჩქარევად იქნა მიღებული, თუმცა, შემდეგში ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის ამოქმდებამ ამ მხრივ ბევრი რამ მოაგვარა.[63] მაგრამ, საქმე ისაა, რომ ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა შემადგენლობათა

[63] Л. Иванов, Об уголовной ответственности юридических лтц, „ Уголовное правло, „ 2011, № 3, стр. 33.

უმრავლესობა ფორმალურია, ესე იგი, პასუხისმგებლობა ეხება ადმინისტრაციული კანონმდებლობის დარღვევას, ამ დარღვევის შესაძლო შედეგების მხედველობაში მიღების გარეშე. თუ ამ დარღვევებს მოჰყვება სერიოზული ზიანი (ხანძარი, ავარია, გარემოს რადიოაქტიური დაბინძურება და სხვა), მაშინ ამგვარი დარღვევები სხვა თვისებას იძენენ და, მაღალი საზოგადოებრივი საშიშროების გამო, დანაშაულად კვალიფიცირდებიან.[64] აქედან გამომდინარე, ავტორის აზრით, იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება უფრო ლოგიკური იქნებოდა, მაგრამ, ავტორი ფიქრობს, რომ, სამწუხაროდ, რუსეთის კანონმდებელმა ეს ლოგიკური ნაბიჯი არ გადადგა. ამის გამო შეიქმა საკმაოდ უცნაური ვითარება, როცა მძიმე შედეგების მქონე სამართალდარღვევისთვის ისჯება მხოლოდ ფიზიკური პირი, ხოლო ფორმალურად ადმინისტრაციული სამართალდარღვევისთვის — იურიდიული პირი. [65] ამგვარი ვითარება, ავტორის შეფასებით, არც სამართლებრივ ლოგიკას შეესაბამება და არც სამართლიანობას. ამ შეუსაბამობის დაძლევას რუსი კანონმდებელი, ავტორის აზრით, ადმინისტრაციული ჯარიმის ოდენობის გაზრდით შეეცადა. მაგრამ ეს საკმარისი არაა და იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთების პრობლემას დღის წესრიგიდან ვერ მოხსნის. მაგრამ, ავტორი ამ მიმართებით ასახელებს ორ სიძნელეს. ჯერ ერთი, იზრდება საწარმოო ორგანიზაციები, ხოლო, მათი რთული სტრუქტურული თუ ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა ნაკლებად იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ გამოვავლინოთ იურიდიული პირის ფორმაში მოსაქმე დანაშაულის ჩამდენი ფიზიკური პირები. მეორე სიძნელე, ავტორის აზრით, ისაა, რომ სისხლის სამართალი, მისი ტადიციული ცნებებით და ინსტიტუტებით, კერძოდ, ინდივიდუალური ბრალისა და ინდივიდუალური პასუხისმგებლობის პრინციპით, იურიდიული პირის სისხლისსამართ-

[64] იქვე, გვ. 33.
[65] იქვე, გვ. 34.

ლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთების პრობლემას ვერ უმკლავდება. [66]

მიუხედავად ამისა, ავტორი მაინც აკეთებს ოპტიმისტურ დასკვნას, რომ თანამედროვე რუსეთში იურიდიული პირის ინდივდუალური ბრალისა და პასუხისმგებლობის შემუშავების საკანონმდებლო ბაზა უკვე არსებობს. ამასთან, ავტორი ამახვილებს ყურადღებას არაბრალეულობის პრეზუმფციაზე ფიზიკური პირების მიმართ და არა იურიდიული პირების მიმართ. ავტორი, როგორც ჩანს, ამოდის იქიდან, რომ სამოქალაქო სამართალში ზოგჯერ მოქმედებს ბრალეულობის პრეზუმფცია, როცა პირს შეილება დასჭირდეს სამართლებრივად დაცული სიკეთისთვის ზიანის არაბრალეული მიყენების მტკიცება. ადმინისტრაციულ სამართალში, მით უფრო — სისხლის სამართალსა და სისხლის სამართლის პროცესში, პირიქით, მოქმედებს არაბრალეულობის პრეზუმფციის პრინციპი. მაგრამ, აქ დგას ერთი ფრიად აქტუალური პრობლემა, კერძოდ, ის, რომ იურიდიული პირის სისიხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემა ბრალის განზრახი ფორმის საფუძველზე საბუთდება. ავტორი კი იმოწმებს რუსეთის ფედერაციის ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 21-ე მუხლის მეორე ნაწილის დებულებას, რომლის თანახმად, იურიდიული პირი ცნობილი იქნება ბრალეულად ადმინისტრაციული სამართალდარღვევის ჩადენაში, თუ მოცემული პირის მიერ არ იქნა მიღებული მასზე დამოკიდებული ყველა ზომა დარღველი წესებისა და ნორმების დასაცავად. [67]

ასე ფართოდ გაგებული ბრალი, როცა სუბიექტი სათანადო ზომებს არ იღებს იმისათვის, რომ თავიდან აიცილოს სამართალდარღვევა, ბრალის გაუფრხილებელ ფორმასც

[66] Л. Иванов, დასახ. ნაშრომი, გვ. 36.
[67] Л. Иванов, დასახ. ნაშრომი, გვ. 37.

მოიცავს, მაშინ, როცა იურიდიული პირის ფორმაში მოსაქმე ფიზიკური პირი, როგორც მისი მართვის ორგანო, შეიძლება მოქმედებს მხოლოდ განზრახი ბრალით. ყოველ შემთხვევაში, საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსი ბრალის განზრახი ფორმიდან ამოდის. მეორე მხრივ, ჩვენი აზრით, ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსისათვის, მით უფრო, თუ შემდგომში გვინდა იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დასაბუთებაც, ბრალეულობის პრეზუმფცია შეუთავსებელია, ხოლო, ლ. ივანოვი აზრით, იურიდიული პირის აქტიურობა იმაში უნდა ვლინდებოდეს, რომ მან ამტკიცოს მისი არაბრალეულობის გარემოებანი. [68] იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის დაწესება, რომელსაც ხსენებული ავტორი უჭერს მხარს, იურიდიული პირის მიერ თავისი არაბრალეულობის მტკიცების მოვალეობასთან არსებითად შეუთავსებელია.

სამწუხაროდ, თანამედროვე რუსეთში ბრალის გაბატონებული კონცეფცია, როგორც ქმედებისა და მისი შედეგებისადმი სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულება, გამოხატული განზრახვის ან გაუფრთხილებლობის ფორმით (ესე იგი, ბრალის ფსიქოლოგიური თეორია), ბრალის არსებას ვერ გამოხატავს, ხოლო, იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაში მოსაქმე ფიზიკურის მიმართ ის საერთოდ გამოუსადეგარია. კერძოდ, ქმედებისა და მისი შედეგებისადმი სუბიექტის ფსიქიკური დამოკიდებულება გამოიხატება არა ბრალში, არამედ, მოტივსა და მიზანში. ბრალი კი ფსიქოლოგიური ცნება კი არაა, არამედ, სოციალური ფილოსოფიის კატეგორიას და პასუხისმგებლობის პოზიტიური და ნეგატიური ასპექტების კავშირის ფორმას წარმოადგენს.

ამრიგად, იმის მიუხედავად, რომ იურიდიული პირის სისხლის-

[68] ლ. ივანოვის დასახ. ნაშრომი, გვ. 37.

სამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემატიკაში, როგორც ჩანს, ამოსავალი სამოქალაქო-სამართლებრივი პასუხისმგებლობაა, მაინც არსებობს უფრო ზოგადი მეთოდოლოგიური საფუძველი, რომელიც ამ მიმართებით უფრო ნაყოფიერია. კერძოდ, იურიული პირი, როგორც ადამიანთა ფრიად აუცილებელი საქმიანობის განსაკუთრებული ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა, პასუხისმგებლობის რეჟიმში დგას, რადგან, ამ რეჟიმის გარეშე არანაირი ურთიერთობა არ არსებობს. ცხადია, იგულისხმება, პოტიური პასუხისმგებლობა, რომელიც გარკვეული ურთიერთობის ფორმაში ვლინდება. იურიდიული პირის ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაში მოსაქმე ფიზიკური პირი, რომელიც მართავს იურიდიულ პირად წოდებულ ორგანიზაციას, წარმოება-დაწესებულებას, მოქმედებს იურიდიული პირის სახელით, ან მის ინტერესებში. ბუნებრივია, თუ ეს ფიზიკური პირი ვალდებულია მოქმედებდეს იურიდული პირის დამაფუძნებელი დოკუმენტით (წესდებითა ან დებულებით) დადგენილ ფარგლებში, და მოწოდებულია, ამ ვალდებულებას მოეკიდოს პასუხისმგებლურად. თუ იურიდიული პირის ამ ორგანიზაციულ-სამართლებრივ ფორმაში მოსაქმე ფიზიკური პირი, რომელიც პასუხისმგებელია იურიდიული პირის საწესდებო ამოცანების შესრულებისთვის, დაარღვევს მასზე დაკისრებულ მოვალეობას, იმოქმედოს მართლზომიერად, ის **მოქმდებს მართლსაწინააღმდეგოდ.** თუ ეს ფიზიკური პირი მართლზომიერი ქმედების ვალდებულებას ეკიდება **უპასუხისმგებლოდ, მაშინ ის მოქმედებს ბრალეულად,** ამიტომ ნეგატიურადაა პასუხისმგებელი მისივე უპასუხისმგებლობისა და მისი შედეგებისთვის. აქედან გამომდინარე, „ ბრალი სისხლის სამართალში შეიძლება განისაღვროს, როგორც„ **მართლზომიერი ქმედების ვალდებულებისადმი სუბიექტის უპასუხისმგებლო დამოკიდებულება, რომელიც სისხლის სამართლის კანონით გათვალისწინებული მარ-**

თლსაწინააღმდეგო ქმედების ჩადენით გამოიხატება. „[69] ცხადია, იურიდიული პირის პასუხისმგებლობის დასაბუთების ეს ზოგადი მეთოდოლოგიური საფუძველი სამართლის ნებისმიერი დარგისთვის საერთოა, თუმცა სამართლის თითოეული დარგის სპეციფიკაც მხედველობაში უნდა იქნეს მიღებული. მაგრამ ამჯერად ამ ზოგადი მეთოდოლოგიური პრობლემებით შემოვიფარგლებით, რადგან, ორგანიზებული დანაშაულების პრობლემატიკაში ამგვარი ზოგადი მიდგომა საკმარისია. მით უფრო, რომ იურიდიული პირის სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის პრობლემა სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილის 2007 წლის, აგრეთვე, 2011 წლის სახელმძღვანელოში უკვე განვიხილეთ.

[69] გ. ნაჭყებია, სისხლის სამართალი, სახელმძღვანელო, ზოგადი ნაწილი, თბილისი, 2011, გვ. 155.

ინფორმაცია პროექტის მონაწილეთა შესახებ



გურამ ნაჭყებია,
იურიდიულ მეცნიერებათა
დოქტორი,
პროექტის სამეცნიერო
ხელმძღვანელი

1964 წელს წარჩინებით დაამთავრა სამტრედიის რაიონის დიდი ჯიხაიშის სასოფლო-სამეურნეო ტექნიკუმი, 1972 წელს ასევე წარჩინებით – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, 1972 წელს ამავე უნივერსიტეტის ასპირანტურა სისხლის სამართლის სპეციალობით; დაიცვა საკანდიდატო და სადოქტორო დისერტაციები; არის იურიდიული მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი; 2005-2011 წლებში ორჯერ იყო არჩეული ხსენებული უნივერსიტეტის იურიდიული ფაულტეტის სისხლის სამართლის მიმართულების სრულ პროფესორად; არის ამავე უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე არსებული სისხლის სამართლისა და სისხლის სამართლის პროცესის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის კოორდინატორი; ამავე ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს წევრი.

გამოქვეყნებული აქვს 63 ნაშრომი,მათ შორის 9 წიგნი, სახელმძღვანელო სისხლის სამართლის ზოგად ნაწილში (2011),დამხმარე სახელმძღვანელო ქმედების დანაშაულად კვალიფიკაციაში (2010),ერთი ლექციების კურსი (2002),დანარჩენი ექვსი წიგნი კი მონოგრაფიაა.



გიორგი გორაშვილი,
სამართლის დოქტორი,
სამეცნიერო პროექტის
მენეჯერი

2000 წელს წარჩინებით დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 2001 წელს ჩაირიცხა ამავე ფაკულტეტის ასპირანტურაში კრიმინოლოგიის სპეციალობით. 2005 წლიდან 2011 წლამდე ირიცხებოდა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურაში. 2011 წელს დაიცვა სადოქტორო დისერტაცია თემაზე: „ტერორიზმის კრიმინოლოგიური დახასიათება.“

2000-2003 წლებში საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს აკადემიის მეცნიერ-თანამშრომელი. 2005 წლიდან დღემდე ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ პროფესორი.

2009 წელს მიენიჭა ილია ჭავჭავაძის სახელობის სამეცნიერო სტიპენდია. 2009 წელს გაიმარჯვა კონკურსში და დაჯილდოვდა პრეზიდენტის გრანტით „ახალგაზრდა მეცნიერთათვის.“


არის ათამდე სამეცნიერო ნაშრომის ავტორი, აქედან — ერთი მონოგრაფიის.



გოჩა მამულაშვილი, სამართლის დოქტორი, სამეცნიერო პროექტის მონაწილე

1985 წელს წარჩინებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი, ხოლო 1993 წელს ასპირანტურა და დაიცვა სადისერტაციო ნაშრომი სისხლის სამართლის სპეციალობით. ამავე პერიოდიდან დღემდე ეწეოდა პედაგოგიურ და სამეცნიერო საქმიანობას თსუ იურიდიულ ფაკულტეტზე ჯერ მასწავლებლის, შემდეგ დოცენტის, ბოლოს სრული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე.

გამოქვეყნებული აქვს ოცამდე სამეცნიერო ნაშრომი, რომელთა შორის აღსანიშნავია: პასუხისმგებლობა სახელმწიფო დანაშაულისათვის (თანაავტორობით), თბ., 2000; პასუხისმგებლობა სამეწარმეო და სხვა ეკონომიკური დანაშაულისათვის (თანაავტორობით), თბ., 2000, საერთაშორისო დანაშაულის კოდიფიკაციის ზოგიერთი ასპექტი, სახელმწიფოსა და სამართლის აქტუალური პრობლემები, საიუბილეო კრებული მიძღვნილი თსუ იურიდიული ფაკულტეტის 80 წლისთავისადმი. თბ., 2003; პასუხისმგებლობა საერთაშორისო დანაშაულისათვის (თანაავტორობით) თბ., 2003; სისხლის სამართლის ზოგადი ნაწილი, სახელმძღვანელო სტუდენტებისათვის, თავი XIV, თბ., 2007; სისხლის სამართლის კერძო ნაწილი, სახელმძღვანელო, ორტომეული, რედაქტორი და თანაავტორი. თბ. 2007-2011; სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, ეკონომიკური დანაშაული (თანაავტორობით), თბ., 2004; სისხლის სამართლის სასამართლო პრაქტიკის კომენტარი, დანაშაული ადამიანის წინააღმდეგ (თანაავტორობით), თბ., 2008; სისხლის სამართლის კანონმდებლობის სრულყოფისათვის, ჟურნალი მართლმსაჯულება და კანონი, №2 (9), თბ., 2006. თრეფიკინგის მსხვერპლის მომსახურებით სარგებლობა, ჟურნალი ცხოვრება და კანონი, 2010 №1 და სხვ.



ნონა თოდუა,
სამართლის დოქტორი,
სამეცნიერო პროექტის
მონაწილე

1981 წელს წარჩინებით დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1982 წელს გახდა ამავე ფაკულტეტის ასპირანტი სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის მიმართულებით. 1990 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია. 1984 წლიდან დღემდე არის იურიდიული ფაკულტეტის თანამშრომელი – უფ/ლაბორანტი, მასწავლებელი, დოცენტი, ასოცირებული პროფესორი, მოწვეული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი. 2009 წლიდან 2011 წლის ოქტომბრამდე იყო საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ასოცირებული პროფესორი.2010 წლის ოქტომბრიდან 2011 წლის ოქტომბრამდე იყო კავკასიის უნივერსიტეტის სამართლის სკოლის სისხლის სამართლის მიმართულების ხელმძღვანელი, ასოცირებული პროფესორი.

არის 22 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. აქედან, ორი მონოგრაფიის ავტორი და სამი სახელმძღვანელოს თანაავტორი.

არის სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციის მონაწილე. კერძოდ:

2006 წელს თინათინ წერეთლის დაბადების 100 წლისთავისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენც- მომხსენებელი თემაზე: საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის კერძო ნაწილის თავისებურებანი; 2007 წლის 18-23 ივნისში – მონაწილეობდა ფრიდრიხ შილერის

სახელობის იენის უნივერსიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტების თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელებული სისხლის სამართლის ერთობლივი სახელმძღვანელოს გამოცემისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კონფერენციაზე, როგორც მომხსენებელი თემაზე: საფრთხის დელიქტები და მცდელობის საკითხი არა-პირდაპირი განზრახვით ჩადენილ დანაშაულში; 2008 წლის 18-23 ივნისში – მონაწილეობდა ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტისა და ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელებულ სისხლის სამართლის ერთობლივი სახელმძღვანელოს გამოცემისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე. 2011 წლის 6-9 ოქტომბერში – მონაწილეობდა,როგორც მომხსენებელი ივ. ჯავახიშვილის სახ. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს უნივერსიტეტის ორგანიზებით ჩატარებულ ქართველ სისხლის სამართლის მეცნიერ-იურისტთა პირველი პროფესიული შეხვედრაზე თემაზე: „სისხლის სამართლის მეცნიერება ერთიანი ევროპული განვითარების პროცესში„ როგორც მომხსენებელი (ბრალის მისატევებელი გარემოებანი ქართულ სისხლის სამართალში).

არის რამდენიმე სამეცნიერო გრანტის მონაწილე. კერძოდ: 2002 – 2003 წწ-ში მონაწილეობდა საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის გრანტში (სისხლის სამართლის საქმეებზე სასამართლო პრაქტიკის კომენტარი – ეკონომიკური დანაშაული); 2008-2011 წწ-ში მონაწილოებდა რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებულ სამეცნიერო გრანტში: „ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში“.



რევაზ გოგშელიძე, სამართლის დოქტორი, სამეცნიერო პროექტის მონაწილე

1985 წელს წარჩინებით დაამთავრა ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. 1977 წელს მან დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია თემაზე: სასამართლო-კრიმინალისტიკური საექსპერტო დაწესებულებების ჩამოყალიბება და განვითარება საქართველოში.

იგი 1985 წლიდან 2011 წლამდე იყო იურიდიული ფაკულტეტის თანამშრომელი - სისხლის სამართლის პროცესისა და კრიმინალისტიკის ლაბორანტი, მასწავლებელი, დოცენტი, სრული პროფესორი და მოწვეული პროფესორი. წლების განმავლობაში იყო ფაკულტეტის დეკანის მოადგილე სასწავლო დარგში.

იგი არის 23 სამეცნიერო ნაშრომის ავტორი. მათ შორის სახელმძღვანელოს ავტორი და თანაავტორი კრიმინალისტიკაში და სისხლის სამართლის პროცესში.

მონაწილეობას იღებდა სხვადასხვა საერთაშორისო კონფერენციებში და სამეცნიერო პროექტებში, კერძოდ:

2002 წლის 10-17 თებერვალში - მონაწილეობდა ქ. ვაშინგტონში, აშშ იუსტიციის დეპარტამენტის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაში „სამართალდამცავი ორგანოების ორგანიზაციული საკითხების შესახებ“; 2002 წლის მარტში – მონაწილეობდა ქ. ბუდაპეშტი გამართულ კონფერენციაზე: „პროკურატურა დე-

მოკრატიულ საზოგადოებაში“, როგორც მომხსენებელი თემაზე: „პროკურატურის როლის შესახებ დემოკრატიულ საზოგადოებაში“ და მიღებული აქვს სამეცნიერო პრემია; 2002 წლის 7-14 დეკემბერში – მონაწილეობდა ქ. ბერლინში, კონრად ადენაუერის ფონდის მიერ ორგანიზებულ კონფერენციაზე – „სამართალდამცავი ორგანოების რეფორმირების შესახებ“; 2007 წლის 18-23 ივნისში - მონაწილეობდა როგორც მომხსენებელი ფრიდრიხ შილერის სახელობის იენის უნივერსიტეტისა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტების თანამშრომლობის ფარგლებში განხორციელებული სისხლის სამართლის ერთობლივი სახელმძღვანელოს გამოცემისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე; 2008 წლის 9-14 მარტი – მიწვეული იყო ოქსფორდის უნივერსიტეტში, ოქსფორდის მრგვალი მაგიდის წევრის სტატუსით, ნარკომანიის პრობლემებთან დაკავშირებით.

2008-2011 წწ. იყო რუსთაველის ფონდის მიერ დაფინანსებული სამეცნიერო გრანტის: „ორგანიზებული დანაშაულის თანამედროვე გამოვლინებების კრიმინალიზაციისა და სამართალშეფარდების პრობლემები ქართულ სისხლის სამართალში“ მონაწილე.



დავით სულაქველიძე,
სამართლის დოქტორი,
სამეცნიერო პროექტის
მონაწილე

დაიბადა 1955 წლის 5 იანვარს ზესტაფონის რაიონის სოფელ პირველ სვირში.

1979 წელს დაამთავრა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დღის განყოფილება წარჩინებით.

1982 წლიდან ეწევა სამეცნიერო და სალექციო-პედაგოგიურ საქმიანობას საქართველოს სხვადასხვა უმაღლეს სასწავლებლებში. 1982-1995 წლებში მუშაობდა საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტში მეცნიერ-თანამშრომლად, ხოლო შემდეგ სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტში უფროს მეცნიერ-თანამშრომლად.

1993 წელს დაიცვა დისერტაცია სისხლის სამართალში თემაზე: „ნებაყოფლობით ხელის აღება დანაშაულის ჩადენაზე„ და მიენიჭა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

1994-1999 წლებში იყო სამართლებრივი რეფორმების სახელმწიფო კომისიის საქართველოს ახალი სისხლის სამართლის კოდექსის შემმუშავებელი ქვეკომისიის წევრი და საქართველოს ახალი სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის სარედაქციო ჯგუფის წევრი.

1994-2007 წლებში სხვადასხვა დროს იმყოფებოდა სამეცნიერო სტაჟირებაზე ფრაიბურგის (გფრ) საერთაშორისო სისხლის სამართლის ინსტიტუტში.

2010 წლიდან მუშაობს თბილისის თავისუფალი უნივერსიტეტის სამართლის სკოლაში, არის სრული პროფესორი.

დავით სულაქველიძეს გამოქვეყნებული აქვს 20 სამეცნიერო ნაშრომი.



ირაკლი დვალიძე,
სამართლის დოქტორი,
სამეცნიერო პროექტის
მონაწილე

განათლება

1995-2000 წლები – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტი. წარჩინების დიპლომი. კვალიფიკაცია: იურისტი.

2000-2006 წლები – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასპირანტურა.

2006-2008 წლები – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის დოქტორანტურა.

2008 წლის 30 აპრილი – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სამართლის დოქტორის აკადემიური ხარისხი. სადისერტაციო თემა: „მოტივისა და მიზნის ზეგავლენა ქმედების კვალიფიკაციასა და სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე.“

პროფესიული გამოცდილება

2000-2005 წლები – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის სისხლის სამართლისა და კრიმინოლოგიის კათედრის ლაბორანტი, შემდგომ მასწავლებელი.

2005 წლის სექტემბრიდან დღემდე – ივ. ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიული ფაკულტეტის ასისტენტ-პროფესორი სისხლის სამართლის მიმართულებით.

2003-2006 წლები – საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში ლექციების კურსი: „სისხლის სამართალი.“

2007 – 2008 წლები – საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია: ლექციების კურსი სისხლის სამართალში.

2009 წლიდან დღემდე – საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციაში ლექციების კურსი: „კაზუსის ამოხსნის მეთოდიკა სისხლის სამართალში.“

სამეცნიერო ნაშრომები

1. ხუთი სამეცნიერო სტატია;
2. ორი სახელმძღვანელოს თანაავტორი;
3. ორი ქართული სახელმძღვანელოს სამეცნიერო რედაქტორი;
4. ერთი გერმანულიდან ქართულად თარგმნილი სახელმძღვანელოს სამეცნიერო რედაქტორი.

პროექტის მონაწილეები გულითად მადლობას უხდიან რუსთაველის ეროვნულ სამეცნიერო ფონდს, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხელმძღვანელობას და ადმინისტრაციულ პერსონალს, ამავე უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტს, საქართველოს სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებს, საქართველოს იუსტიციისა და შინაგან საქმეთა სამინისტროს წარმომადგენლებს, გამომცემლობა „ფავორიტ პრინტს“ და ყველა იმ ადამიანს, ვინც მონაწილეობა მიიღო წინამდებარე ნაშრომის გამოცემაში.

რედაქტორი

იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი გურამ ნაჭყებია

გამოცემაზე მუშაობდნენ

ოპერატორი: ლიანა ბესელია
კორექტორი: ნათია ოსანაძე
კორექტორი: ლეილა კირთაძე
დამკაბადონებელი: სოფიკო ტარყაშვილი

დაიბეჭდა შპს „ ფავორიტი პრინტში“

ქ. თბილისი, ჩუბინაშვილის ქ. №50

ტელ : 2 951-952